№20 2014

ათონა

№20 2014

ლიტერატურო
რელიგიურ-ფილოსოფიური და
საზოგადოებრივი ჟურნალი

№20 2014

სალიტერატურო
რელიგიურ-ფილოსოფიური და
საზოგადოებრივი ჟურნალი

კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი
კავკასიური სახლი
THE CENTRE FOR CULTURAL RELATIONS
CAUCASIAN HOUSE

თბილისი
2014

UDC (უაკ) 050 (479·22)
ა-943

მადლობას ვუხდით ევროპულ ფონდ
HORIZON-ს ფინანსური დახმარებისთვის

Our deep gratitude for financial support to
the European Foundation HORIZON

მთავარი რედაქტორი **ნაირა გელაშვილი**

ნომრის რედაქტორი **გიორგი ლობჟანიძე**

რედაქტორის ასისტენტი **თამარ რეკკ-კოტრიკაძე**

სტილის რედაქტორი **ლაშა დადიანი**

დამკაბადონებელი **ნიკოლოზ გელაშვილი**

ISSN 2298-0962

სარჩევი

პროზა, პოეზია

ქრისტინე ლავანტი – ლექსები კრებულიდან „მათხოვრის ფიალა“
გერმანულიდან თარგმნეს: თამარ კოტრიკაძემ და ვასილ გულეურმა 5
ერნესტო კარდენალი – ლექსები
გერმანულიდან თარგმნა ნაირა გელაშვილმა 12
შარლ ბოდლერი – ლექსები პროზად
ფრანგულიდან თარგმნა მარინე ჭილაშვილმა 18
შერონ ოლდსი – ლექსები 23
ინგლისურიდან თარგმნა დალილა გოგიამ
რუსუდან კაიშაური – ლექსები 28
როსტომ ჩხეიძე – „ნეტამცა არა მეცადა...“ 35
ჰაინრიჰ ჰაინე – * * * მესიზმრებოდა მეფის გოგონა
გერმანულიდან თარგმნა ნაირა გელაშვილმა 44
ვლადიმირ ნაბოკოვი – დედა
რუსულიდან თარგმნა ნაირა გელაშვილმა 45
შოთა იათაშვილი – ლექსები 46
რენე შარი – ლექსები
ფრანგულიდან თარგმნა ილია გასვიანმა 50
მიშო დადიანი – ლექსები 54
ალენ გინზბერგი – ლექსები
ინგლისურიდან თარგმნა ქეთი თუთბერიძემ 60
ოთარ ჯირკვალიშვილი – მღვდელი (მოთხრობა) 62
გოჩა სხილაძე – ლექსები პროზად 71
ვირჯინია ვულფი – დაუწერელი რომანი
ინგლისურიდან თარგმნა გია ბერაძემ 81
ბოგმილ რაინოვი გზა სანტა-კრუსზე
თარგმნა მიხეილ ბეროშვილმა 93
ამინ არ-რეიჰანი – კედრი
არაბულიდან თარგმნა დარეჯან გარდავაძემ 118
ნაირა გელაშვილი – პეპელა დახეთქილ ხელისგულზე 122
ირაკლი ციგროშვილი – ლექსები 125
ანატოლ ფრანსი – კიმოსელი მგოსანი
ფრანგულიდან თარგმნა ბელა წვერაძემ 129
კურტ ტუხოლსკი – როგორ ჩნდებიან ყველში ნახვრეტები?
გერმანულიდან თარგმნა ვლადიმერ კორტავამ 136

კრიტიკა, ესეისტიკა

ლევან ბრეგაძე – სიყვარული და უკვდავება 139
თეიმურაზ დოიაშვილი – „მწყემსი“ 142
ნაირა გელაშვილი – ლიტერატურული ჩანაწერები (დღიურიდან) 151
ლოთარ ბაიერი – რა არის ლიტერატურა?
გერმანულიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ 158

„ა ფ რ ი ს“ პ უ ბ ლ ი კ ა ც ი ა

ლია ციცაგი-ვიტეკი, ჰელენე ვიტეკი
– გრიგოლ რობაქიძისა და გ. წულუკიძის მიმოწერა 169

ფ ი ლ ო ს ო ფ ი ა

ვლადიმერ კორტავა – რელიგიურობის ცნების ნათელყოფის ცდა..... 173
გოჩა გვასალია – მაისტერ ერნსტ თეოდორ ამადეუს ჰოფმანი 181

რ ე ლ ი გ ი ა

მანფრედ ჰალერი – ქრისტე – ღმერთის საიდუმლო
გერმანულიდან თარგმნა ნაირა გელაშვილმა 196
ბერი ფილოთეველი – იესოს ლოცვა
ახალბერძნულიდან თარგმნა თამარ ჟურულმა 215
ერნესტო კარდენალი – „წიგნი სიყვარულზე“ (ფრაგმენტები)
გერმანულიდან თარგმნა ბერმა ერმოლაოსმა 234
ჯალალ ედ-დინ რუმი – არსთა მესნევი
სპარსულიდან თარგმნა და განმარტებები დაურთო გიორგი ლობჟანიძემ 264
დანიელ გოლემანი – ბუდას მოძღვრება მედიტაციასა და ცნობიერების მდგომარეობაზე
გერმანულიდან თარგმნა ლაშა დადიანმა..... 282

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა

ნაირა გელაშვილი – ხუდონჰესი – საქართველოს ბედისწერა?..... 300

„აფრის“ 19 ნომრის შინაარსი..... 306

ქრისტინე ლავანტი

ლექსები კრებულიდან „მათხოვრის ფიალა“

ქრისტინე ლავანტი (1910-1973) XX საუკუნის ავსტრიული ლირიკის ერთ-ერთი ყველაზე თვითმყოფადი და დრამატული ფიგურაა. მისი პირველი სერიოზული ლირიკული კრებული „მათხოვრის ფიალა“ (1956) ნიჭიერი მხატვრის, ვერნერ ბერგისადმი სიყვარულს მიეძღვნა და უკვე მას შემდეგ გამოიცა, რაც შეყვარებულები ხანმოკლე ერთად ყოფნის შემდეგ ერთურთს დაშორდნენ (ბერგმა ოჯახი ვერ მიატოვა). ქრისტინე ლავანტის ცხოვრებაში ეს პერიოდი პირადი ბედნიერებისა და შემოქმედებითი აქტივობის მწვერვალს წარმოადგენს. „როდესაც მიყვარს, ეს ჩემი არსების ყოველ კუთხე-კუნჭულს მსჭვალავს. ის, ვისი შინაგანი სახებაც ჩემშია აღბეჭდილი, ჩემი პურია, ჩემი ძილი, ჩემი ყოველდღიური საქმე, ჩემი ღიმილი და ჩემი დარდი,“ – სწერს პოეტი წერილში ერთ-ერთ მეგობარს (1950). „მათხოვრის ფიალა“ უმძაფრესი ტრაგიზმითა და მწარე ირონიითაა აღბეჭდილი, მისი ავტორი გაბედულად ეპაექრება უზენაეს ძალებს. სიყვარულის თემა აქ მჭიდროდაა გადახლართული ქრისტიანულ სიმბოლიკასთან, „პური და ღვინო“ დაცული, სვებედნიერი, „მართალი“ ცხოვრების მეტაფორად მოიაზრება, რომელიც ლირიკულ გმირს არ ეღირსა; თავის მეტოქეს, ბერგის მეუღლეს, პოეტი ლამის ღვთისმშობლის ნაკვრთებს ანიჭებს და „დედოფალს“ უწოდებს... კრებულის გამოსვლის შემდეგ ლავანტი მეგობრებს ბოდიშს უხდიდა: „მაპატიეთ, მაგრამ ამ წიგნის ვერც ერთ ეგზემპლარს საჩუქრად ვერ ვიმეტებ. ის მხოლოდ და მხოლოდ მისია.“

კრებულის პირველი, სატიტულო ლექსი რამდენიმე წლის წინათ ქართულ ენაზე თარგმნა რუსუდან ბრეგაძემ (თარგმანი ჟურნალ „ალტერნატივას“ 2005 წლის №5 (79)-ში დაიბეჭდა), მასვე ეკუთვნის კრებულის სათაურისა და მთავარი მხატვრული სახის განსხვავებული თარგმანი: „გლახის ფიალა“.

თამარ კოტრიკაძე

* * *

ჩუ! ეს მათხოვრის ცარიელი ფიალა გახლავს,
ნახევრად ჯერაც თიხისაა, ნახევრად ქვისა
და გიბრახუნებს ყოველ ჯერზე სულ უფრო ახლოს,
შიმშილის ჰანგი პურ-ღვინოსთან გაისმის მქისედ.

ნუ მოიყრუებ ყურს და თვალსაც ნუ აარიდებ!
შენი ტერფები, რა ხანია, თრთიან ვნებისგან,
ძალუმად როკავს ქედმაღლობა მათხოვრებისა
და უარყოფა ქურდობისა შენი თვალიდან.

ნაკურთხი პური კვლავ გატეხე, რომ ისევ ჭამო!
დამძაღებულა, გაჟღენთილა უკვე მთლიანად
მარილისაგან, ჩემს თვალებს რომ წვეთს და ფიალა
სულმთლად დაფაროს, ამოავსოს პირთამდე, ლამობს.

მოულოდნელად რომ შეწყდება დოლის ხმა ოდეს,
ამქვეყნად ტრაპეზს აღარავინ აღარ გაღირსებს,
შეიკუმშება შენი გული ხელში თავისით
და გაიძულებს, სამათხოვროდ გაწვდილი გქონდეს.

* * *

რა კარგია, რომ ვარ იდუმალი
და აქ ხილულად არასდროს ვივლი.
ჩემი არსება – ამ ქვეყნის ჯიბრით
წავიდა, გახდა მთვარის სტუმარი,
მშვიდად იძინო, ახლა შენ ძალგიძს.
სადაც ერთმანეთს შევხვდით, იმ ადგილს
რეალურ დროში ვერასდროს ნახავ.
გთხოვ, მაპატიე ეს ცოდნა ახლა –
მარტოობისგან გარსშემოცლილი.
იქნებ, ეგ შენი ბალიშის პირი
ხანდისხან მაინც ხდება ნოტიო,
იქნებ მამალი მჭახე მოტივით
ხშირად დაგძახის და ქანდარიდან
გამცნობს, რომ ისევ დაჰნათის დილა
შენს მყიფე შუშის სახურავს თავზე,
შენ რომ ხარ, სულმთლად უღონოდ, ასე
უძილო, მაშინ?
მე არ ვარ, შენ რომ ასეთ დროს გტანჯავს,
მე ვარ მხევალი, რომ თლის და არ ჭამს
მთვარეზე ვაშლებს.

* * *

ღმერთის გულამდე ისე შორია –
რაპუნცელ, ჩემო ვარსკვლავო, ქვემოთ ჩამოუშვი შენი ნაწნავი!
მარცხენა ფერდში, ჯერაც რომ ცოცხლობს
იმედს მიღვიძებს მუსიკალური ზარდახშის ხმა,
და ძაღლები ყმუიან სოფლად.

ჩემს გვერდით ბევრი ამაღლდებოდა –
რაპუნცელ, ჩემო ვარსკვლავო, ქვემოთ ჩამოუშვი შენი ნაწნავი!
არ მოგწყდება არცერთი ღერი
და შენს თავზე მყარად იქნება,
რადგან შენი სიმაღლის გავლით
მივისწრაფი და სიხარულის ნაგვიანევ მოსავალს ვზიდავ.

მხოლოდ ამაღამ დაუკრავს ყუთი –
რაპუნცელ, ჩემო ვარსკვლავო, ქვემოთ ჩამოუშვი შენი ნაწნავი!
და ზეთისხილის ხეზე მაღლა ამომიყვანე,
რომ მისი ტანი დავწვა ღვთის გულში,
შენი გულისთვის, ჩემს გამო და
კვლავ მიწაზე დასაბრუნებლად.

ხვალ წავიდეთ და ტანჯვის გზას გავყვეთ –
რაპუნცელ, ჩემო ვარსკვლავო, ქვემოთ ჩამოუშვი შენი ნაწნავი!
უკანასკნელი ღამის მსხვერპლი გავიღოთ ახლა!
ვიდრე ძაღლები ყმუიან სოფლად,
ზეთისხილის ხე და თეთრი კრავი
დავწვათ ვარამის მარადიულ ნაგვიანევ მოსავლისათვის.

* * *

რა დროულია სასოწარკვეთა!
ყოველ დღე ზუსტად დანიშნულ დროზე
მოდის და თავის საქმეს აკეთებს
ჩემს დასასჯელად ძლიერი როზგით.

მაშინ გულიდან ჩემს ირგვლივ ცვივა
ნაპერწკლები და ანგელოზთ უხმობს,
ხოლო ვით ზღვაში, გაშლილი ციდან
იესო ნავით მიცურავს უხმოდ
რომ სხვა, შორეულ ნაპირს მიადგეს,
სადაც ყოველი წმინდანი ხვდება,
და ნაპირიდან პირქარს მიარღვევს
ჩემი უმწეო იმედის ყეფა.

მაშინ ვგრძნობ, ჩემი არავის ესმის,
ავკრეფ ნაპერწკლებს, ირგვლივ რომ ქროდა,
და ჩემი გული – ტკაცანით მკვნესი –
გადაიქცევა ცეცხლოვან ლოდად.

* * *

მოვტყუვდი, ვენდე გრძნეულ დედაბერს,
ვაშლის ბაღიდან გამომიყოლა
და ქვიშის მტვერი მდის თითებიდან.
როგორ ხითხითებს! – აჰა, რას ამბობს,
რომ მე ვარ ერთი საათი მხოლოდ
ქუჩაში ნაპოვნ საათებიდან.

სახლში აქვს, რასაც ქუჩაში ხვეტავს,
ზოგი ხალისით გაჰყვირის: გუ-გუ!
მზის საათებიც ჩქარობენ არსად;
ბებერი ხვდება აჩონჩხილ მხედარს,
როცა მიდამო ჩაიცვამს უკუნს,
და ცხენზე ისვამს საათის ფასად.

რას უყვებიან ერთმანეთს, როცა
ჯოჯოხეთსა და ცას შორის ქრიან,
საბრალო ქვიშის საათს, ვინ მეტყვის.
ხან ვყვირი: მეც წამიყვანეთ, დროა!
ხან – დავავიწყდი, თავს ვიიმედებ,
და თითებიდან ქვიშას ვყრი მტვრიანს.

* * *

საღამოობით კრავს კრავზე ვითვლი,
ლეღვს მიყრდნობილი მივლალავ მიჯრით,
ყველას თავ-თავის სახელებს ვაძლევ,
ჩემს გულს, ვითარცა ველურ თესლს, ვაპნევ,
ვატან უდაბნოს ხორშაკს.
უხმე ადრეულ ნამგალა მთვარეს,
ჩემი ბავშვისთვის, რომ ლულავს თვალებს,

თიბოს ბალახი ქორფა.
მოქნილ ანკარას ვთხოვ, რომ ნათლიად
მოვიდეს ჩემთან დილაადრიან
პატარა გვირგვინს, სიკეთით მნათი,
ჩემი პატარა ბიჭუნას თავთით
დაკიდებს ლეღვის ხეზე.
მაგრამ ალიონს მღვიძარე ვხვდები
ფლეიტას უკრავს სევდიან ხმებით
სიზმარი რჩება გვერდზე.
არა მყავს ბავშვი, ცხვრებიც, მინდორში
მე რომ ვეყრდნობი და გვერდს მითოშავს
უნაყოფოა ეს ხეც.
მოცურავს უხმოდ, შეხე,
და უგვირგვინო მცურავი მაწევს
მიგრილებს სიზმრად აფაკლულ ღაწვებს.

ვინც ჩამჩურჩულებს ზემოდან რიდით,
ჩემს მხედველობას ატარებს იგი,
ვინც მევედრება ქვევიდან გულით,
მომპარა ყური, სმენადახშული,
მეორეში კი ზარებს აქვთ ბინა
ანგელოზის თმას ჰკიდიან წყვილად
ჯოჯოხეთის პირს რეკენ.
ძლივსღა ვახერხებ მე კი,
გავიგო, ჩემი გული თუ ფეთქავს –
ჩემს დამჭკნარ სუნთქვას ტკივილი ხერხავს,
ქვაში გადის და გამოდის თითქოს,
ძვალსა და რბილში სიცივე მიდგას,
ყელს მიშრობს დამწვრის გემო.
მას, ვინც ზემოდან მესაუბრება,
მე სიხარულით მივცემ უფლებას
ჩემს თვალის ჩინზე, ის არ დამკარგავს.
მაგრამ ის, ვინც ჩემს ცალ ყურს განკარგავს,
ნახევრად ტანჯავს, ვერ მოვუარე,
მას სულ ახლახანს შენზე ვუამბე,
სულის იმედო ჩემო.

ნაწვიმარ თხრილში ბანაობს ჩიტი,
თეთრი მთვარე კი მიტოვებულ თვალების ფსკერზე,
აღმოსავლეთს როცა უმზერენ.
დაისი რომ ზურგსუკან რჩება,
ეს წუთები უკეთესია.
ეს გარდაცვლილთა გეზიცაა.
ცოცხლებისთვის კი გზა ხსნილია ოთხივე მხარეს,
ამიტომ ჩიტს შეუძლია დასავლეთის მხარეს გაფრინდეს
და ღრუბელს კი სამხრეთისაკენ.
დედამიწის სვლა-გეზი კი შეუცნობია.
იქნებ იგი ჯერაც ისევ გადაკვეთს მხოლოდ
იმ ანგელოზის გულს, რომელიც თავადაც ეძებს
და ვერასოდეს უპოვია სწორი მხარე,
ამ წუთებს რომ გააძლებინებს.

* * *

მთვარევ, გამხდარი მომწონხარ მეტად,
ავადმყოფობა გშვენის.
იქნებ ცხელებამ მოიცვა ერთად
ტვინი და სისხლი შენი,
როგორც ბავშვობის ასაკში, ახლაც
რომ გვაღვიძებს და ზედ გულთან ახლოს
ვპოულობთ თივას, ქვებსა და ფოთლებს?
თუკი თვალები დაგევსოს ოდეს,
ჩუ, მაჯლაჯუნავ, ნუ ატირდები.
თვალის ჩინს მალე მეც დავცილდები
სმენასაც მიხშობს ბედი.
სხვაც დამიკარგავს მეტი.
გამომიცდია, გული რომ ქრება
და მტკივნეულად მის ნაცვლად წვება
გაძლება მძიმე ოხვრად.
შენ, ვინც სულ მალე მოხვალ
ახალი მზერით, იმედით ხვალის,
შეხედე აგერ, ამ ჩალის ყვავილს –
ასე ავმჩატდე იქნებ
და გავსხივოსნდე, თუ გადავრჩები,
ვიდრე ამქვეყნად ჩაქრება ჩემი
უკანასკნელი ფიქრი.

* * *

დედოფალო, გიხაროდენ,
შენთვის ვაგებ ამ სახლს.
ღმერთმა უწყის, მოვრჩე ოდეს,
ნუ წამოხვალ ახლა.
დარჩი წითელ სამყურებში, ვიდრე დაგიძახებს,
ჩემი სახლი, როგორც თოვლი, თეთრად იელვარებს,
ალისლობიოთი მის წინ.
იქ იცხოვრებ მშვიდად, ვიცი,
მხოლოდ ზოგჯერ შეიძლება
ჩიტთა გუნდი გესტუმრება,
რომ მოკითხვა მოგიტანონ საბრალობელ სულის.
ერთიც მინდა გირჩიო და გთხოვ, რომ აასრულო,
ამ მცენარის ერთი ძირი
ამოვიღე ჩემი მწირი
გულიდან და გადმოგირგე.
ის შვიდ წელში ერთხელ ყვავის,
თასვარსკვლავას წითელ ყვავილს
როცა გამოიღებს,
მერე ცრემლის მწარე ნამით უნდა გადაივსოს.
არასოდეს არ დალიო, ქალბატონო, მისგან!
ის გონებას ჯადოს აძლევს
და მათხოვრად გადაგაქცევს.

* * *

გზაზე ცეკვავს კალენდულა,
შუაღამე გარინდულა,
უცხო გზაა ერთობ.
გადმოხედე, ღმერთო,
სიხარულით გაიბადრა,
მიმშვენებდა ოთახს ადრე,
ახლა შენთან უნდა.
გესმის, გული გამიჩუმდა
წამოსვლა სურს მასთან, თუმცა
თავის უკანასკნელ ფურცელს
მორცხვად მიქნევს იგი.
ვერცხლისფერი ჭიქის
მძიმე რკალი ღეროს ერტყმის,
წყალს სვამს ანგელოზი თესლის
და ოთახი ტირის.
თითქოს ქვაა კირის,
ვარსკვლავები ჩემი თვალის
შენგან ისევ შორს რომ არის,
ღამის ცაზე ენთო.
ფრთხილად იყავ, ღმერთო,
უნაყოფო ჩემს გულს უნდა
გაიშალოს კალენდულად.

* * *

მთვარის ცარიელ აკვანს ახურავს
ღამე, მიმოდის სიზმრების წიგნად
და ვარსკვლავების მდუმარე რიგი
ლამპრებით სავსე სოფელს დაჰყურებს.

არ ვიცი, მიცნობს თუ არა კვლავაც
ღამე თავისი ჩამქრალი მზერით,
ჩემი თვალის ჩინს დავუდებ ზევით
სარკმელზე, შუქი იქიდან გავა.

და სიბრალულის წვენს რომ სვამს მუჭით,
ეს ჩემი გული, დამჭკნარი ფესვი,
აბიბინდება, ღამე რომ კვნესით
ვარამს ღეჭავს და ველურ თვალს ხუჭავს.

მაშინ გონებას რაღაცა ხუთავს
და გუნებასაც სხვანაირს ვიძენ;
იმედის ძალით აკვნისკენ ვიწევ,
სოფლის და ტბორის თავზე რომ ბჟუტავს.

ალბათ, იძალა კვლავ სიმამაცემ,
ბეწვზე ჰკიდია იმედი ერთი,
უსაყვარლესი რაც იყო ჩემთვის,
თავდაჯერებით მთვარეში ვაწვენ.

ახლა მე დავალ, ვით სიზმრის წიგნი.
წაკითხვა თუ გსურს, ქარად მეწვიე.
გულის ფურცელზე ბავშვი ეძიე
ვარსკვლავთვალებით უხმოდ წევს იგი.

* * *

ვარსკვლავი კლდეთა ნაპრალებში ისე ციმციმებს
და ბაღში ისეთ ველურ სურნელს აყენებს პრასი,
ამ ღამემ რაღაც ჩაიფიქრა მზაკვრული, ფარსი –
უეჭველია, მთვარეულად გადავიქცევი.
გულში ხურავენ ცვილის მსგავსად ფურცლებს ტიტები
მხოლოდ ერთია გადახსნილი და წითლად კვესავს,
სამყურას მწვანე მდელოზე დგას სიკვდილი, ლესავს
ცელს თავისთვის და ჩემთვის, ჩონჩხის ხმელი თითებით.
სიკვდილი ბოლოს ცელს აქაც ხომ ჩამოატარებს?
ჩავწანი ერთად ცხრა თავთავა ბალახის ღერი,
ცბიერი არის ჩემი სუნთქვა, შეძვრება ხელად
პრასში და იქვე თავისუფლად მოიკალათებს.
იქნებ ეს ღამე სულ არ არის ამისი მსგავსი?
მე ხომ ჯერ კიდევ კარგად მახსოვს უფლის სახელი
და გულის ჩხვლეტებს, მწარე ჩხვლეტებს ვუძლებ დალხენით,
ზეცაზე მთვარის გამოჩენაც ხალისით მავსებს.

* * *

მსგავსნი ერთმანეთს ხმას ვერ აწვდენენ.
განმარტოებით ადის ახლა ჩემი ძახილი
უკვე რომ აღარ ცახცახებენ, იმ ტოტებიდან
და სურს – ვიდრემდე შენს ხეს მიაღწევს –
მდუმარების სიმტკიცეს მისწვდეს.
იქნება შენში ქვა ჩავარდეს
მაშინ, როცა ჩიტის ბუდედ
ყოფნას გადაწყვეტ?
მსგავსნი ერთმანეთს ხმას ვერ აწვდენენ.
ჩვენ ერთმანეთს მეტისმეტად მსგავსნი წავაწყდით,
მაგრამ ახლა კი – გარდასახვას როდესაც სრულვყოფ –
და ქვად მოსული მოგაყენებ როცა ჭრილობას –
ეგ შენი გული ჩემს თავს ზემოთ დანაწევრდება
და შენი სმენა ჩემს დუმილში გაიფანტება.

გერმანულიდან თარგმნეს ***თამარ კოტრიკაძემ***
და ვასილ გულეურმა

ერნესტო კარდენალი

ერნესტო კარდენალი (დაიბადა 1925 წელს) ნიკარაგუელი მღვდელი, პოეტი, მწერალი, ლიტერატურული კრიტიკოსი, რევოლუციონერი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე გახლავთ. იგი მაჰატმა განდის მოძღვრების მიმდევარი და ქრისტიანული „გამოღვიძების თეოლოგიის“ უმნიშვნელოვანესი თეორეტიკოსია. მდიდარი არისტოკრატიული ოჯახის შვილობამ ე. კარდენალს შესაძლებლობა მისცა ღრმა განათლება მიეღო ფილოლოგიის, თეოლოგიისა და ფილოსოფიის განხრით მექსიკის და ამერიკის უნივერსიტეტებში და კარგად გაეცნო მთელი ლათინური ამერიკა.

1954 წელს იგი პირველად მონაწილეობს სამხედრო გადატრიალების მომზადების მცდელობაში დიქტატორ სამოსას წინააღმდეგ, რაც მარცხით დამთავრდა. პოეტი იძულებული გახდა ამერიკაში წასულიყო ემიგრანტად, სადაც კათოლიკე ბერის გზას დაადგა. 1965 წელს ერნესტო კარდენალი იეზიუტთა ორდენის მღვდლად აკურთხეს. იგი მაშინვე გადასახლდა არქიპელაგ სოლენტინამეზე ნიკარაგუას ტბის შუაგულში და იქ დააფუძნა დასახლება -კომუნა, რომლის წევრები ძველ ინდიელთა შთამომავლები იყვნენ, ისინი სწავლობდნენ წერა-კითხვას, ხატავდნენ, ხელსაქმობდნენ და ლოცულობდნენ. მაგრამ შემდეგ სამოსას ხელისუფლებამ კუნძულს ჯარი შეუსია, კომუნა დაარბია და მისი აგებული ხალხური შემოქმედების მუზეუმი გააცამტვერა.

1979 წელს ახალმა ხელისუფლებამ ერნესტო კარდენალი კულტურის მინისტრად დანიშნა, ამ პოსტზე იგი 1987 წლამდე მსახურობდა.

ერნესტო კარდენალის ღვთისმეტყველური შეხედულებები პაპმა იოანე პავლე მეორემ საჯაროდ გააკრიტიკა ნიკარაგუაში ყოფნის დროს, იგი გარიცხეს იეზუიტთა ორდენიდან და განკვეთეს ეკლესიიდანაც, იმის გამო, რომ „მოციქულთა წესების მიხედვით, მღვდლის წოდებას არ შეეფერება საერო მმართველობაში ჩარევა“. შემდეგ კარდენალი შეუერთდა „სანდინისტური განახლების მოძრაობას“ და შევიდა ტრაპისტთა ორდენში, ამ გზით დაუბრუნდა ეკლესიას და აღადგინა მსახურება.

ერნესტო კარდენალს ეკუთვნის მრავალი ლირიკული კრებული: „საათი 0“; „ეპიგრამები“ 1961“; „ფსალმუნები“, „ამერიკელ ინდიელთათვის პატივის მისაგებად“ 1969; პუბლიცისტური წიგნები: „კუბაზე“; „სახარება სოლენტინამეზე“.

ერნესტო კარდენალი დაჯილდოებულია გერმანელ წიგნით მოვაჭრეთა „მშვიდობის პრემიით“ (1981). წარდგენილი იყო ნობელის პრემიაზე (2005); მიიღო ლათინური ამერიკის უდიდესი პოეტის რუბენ დარიოს ორდენი; დედოფალ სოფიას იბერო-ამერიკული პრემია პოეზიის დარგში (2012); ამავე წელს Honoris causa უელვის უნივერსიტეტში.

ერთგან ერნესტო კარდენალი ამბობს, რომ მას არასოდეს გამოუყენებია იარაღი, ჩიტისთვისაც კი არასოდეს უსვრია, მაგრამ მზად ყოფილა ამისთვის, რადგან ხელმძღვანელობდა მაჰატმა განდის პრინციპებით, რომელთა თანახმადაც არაძალადობა ჯობს ძალადობას, მაგრამ ძალადობა უკეთესია ვიდრე გამყიდველობა და სილაჩრე.

მთარგმნელი

ლოცვა მერილინ მონროსათვის

უფალო,
მიიღე ეს გოგონა,
ვისაც მთელი მსოფლიო იცნობდა, როგორც მერილინ მონროს,
თუმცა ეს მისი ნამდვილი სახელი არ იყო.
(მაგრამ შენ ხომ იცი მისი სახელი, სახელი ობოლი ბავშვისა,
9 წლისა რომ გააუპატიურეს.
პატარა, გამყიდველი გოგონას სახელი, 16 წლისა
თავის მოკვლას რომ შეეცადა).
ეს გოგონა,
რომელიც ახლა შენს წინაშე დგას, ყოველგვარი მაკიაჟის გარეშე,
თავისი მენეჯერების გარეშე,
ფოტოგრაფების გარეშე, და ავტოგრაფებს აღარ არიგებს,
მარტოდმარტო, ასტრონავტივით, კოსმოსური ღამის წინაშე.
პატარაობისას იგი ოცნებობდა, ეკლესიაში შიშველი მდგარიყო
(როგორც „ტაიმი“ იტყობინებოდა)
მუხლმოყრილი ხალხის წინაშე, თავები მიწამდე რომ დაეხარათ,
და მას თითის წვერებზე უნდა გაევლო, რომ მათ თავებს არ შესდგომოდა.
შენ ფსიქიატრზე უკეთ იცი ჩვენი სიზმრები და ოცნებები:
ეკლესია, სახლი, გამოქვაბული – ეს ხომ
დედური საშოს თავშესაფრებია, მაგრამ უფრო მეტიც,
ის თავები კი თაყვანისმცემლებს ნიშნავს, ხომ ნათელია,
თავების მასა დარბაზის ბნელში, განათებული სინათლის ჩქერით.
მაგრამ ტაძარი არ არის 20 th Century-Fox-ის არც ერთი სტუდია,
ტაძარი – სიწმინდე ოქროსა და მარმარილოსგან – მისი სხეულია
და მასში დგას ძე კაცისა ხელში მათრახით
და გარეთ ერეკება სტუდიის მოვაჭრეებს,
შენი სამლოცველო ყაჩაღების ბუდედ რომ აქციეს.
უფალო,
უფალო,
ამ სამყაროში, ცოდვებითა და რადიოაქტივობებით რომ დაცხავებულა,
შენ არ შერაცხავ პატარა გამყიდველ გოგონას ცოდვილად,
რომელიც, ყველა პატარა გამყიდველი გოგონას მსგავსად,
ოცნებობდა ვარსკვლავობაზე,
და მისი ოცნება სინამდვილედ იქცა (მაგრამ სინამდვილედ
ტექნიკოლორში, შავ-თეთრ ფილმს ფერადად რომ გადააქცევს).
იგი მოქმედებდა ჩვენეული სცენარის მიხედვით, სცენარით, რომელიც
ხელში ჩავუდეთ, –
ჩვენი საკუთარი ცხოვრების სცენარი – და ეს აბსურდული
მანუსკრიპტი იყო.
შეუნდე, უფალო, და შეგვინდე ყველას ჩვენი სტუდია «XX საუკუნე»,
ეს კოლოსალური სუპერპროდუქცია, რომელშიც ყველანი ვმონაწილეობთ,
მას სიყვარული შიოდა – და ჩვენ დამამშვიდებელ წამლებს ვაწვდიდით;
გასაქარვებლად ნაღველისა, იმის გამო, რომ წმინდა არ იყო,
ფსიქოანალიზს განვუდიდებდით...
გაიხსენე, უფალო, როგორ იზრდებოდა მისი შიში კამერის წინაშე,
გაიხსენე, უფალო, სახის შეღებვა რომ ეჯავრებოდა და
რომ უნდა შეეღება ყოველი სცენის წინ,
გაიხსენე, როგორ იზრდებოდა მისი ძრწოლა, მისი თავზარი,
სტუდიაში სულ უფრო და უფრო რომ იგვიანებდა.

როგორც ყველა პატარა გამყიდველი გოგონა,
იგი ოცნებობდა ვარსკვლავობაზე.
და გაირბინა მისმა ცხოვრებამ ოცნებასავით, სიზმარივით ირეალურად,
რომელსაც ახლა ფსიქიატრი აანალიზებს და აქტებს დაურთავს.
მისი სიყვარულის თავგადასავლები იყო კოცნები დახუჭული თვალებით
და როდესაც თვალებს ახელდა, ხედავდა რომ ეს იყო კოცნა
მხოლოდ ფილმში, სხვა არაფერი.
ამის შემდეგ კი აქრობენ პროჟექტორებს!
და ჩნდება ორად-ორი კედელი ფილმის ოთახისა
(კინემატოგრაფიული კაიფის შემდეგ)
და რეჟისორი შორდება მას ხელში სცენარით, რადგან სცენა უკვე შებრუნდა.
ან როგორც იახტით მოგზაურობა – ერთი კოცნა სინგაპურში,
ერთი ცეკვა რიოში,
მიღება ვინძორის ჰერცოგის სახლში,
და ყველაფერ ამას უბადრუკი ავეჯით გაწყობილ ოთახში ნახავ.
დასრულდა ფილმი, მაგრამ ჰეპი ენდის გარეშე.
ის მკვდარი იპოვეს ყურმილით ხელში.
და დეტექტივებმა ვერ გაიგეს, ვისთან სურდა ბოლოს ლაპარაკი.
ანდა ეგებ თვითონ მას დაურეკეს ერთადერთი მეგობრული ხმის გასაგონად,
და ისმის ხმა მაგნიტოფონიდან, რომელიც ხრიალებს: «არასწორი ნომერი»,
ანდა როდესაც განგსტერის ტყვია გაივლის უცებ
და ხელს გაიწვდენ ტელეფონისკენ, რომელიც თურმე გამორთულია.
უფალო,
სულ ერთია, ვინ არის იგი, ვისთვისაც მას სურდა დაერეკა და
ვერ დაურეკა,
ეგებ არც არავინ იყო ან ვიღაცა ისეთს ეძებდა,
რომლის ნომერიც საერთოდ არ წერია
ლოს-ანჟელესის ტელეფონების წიგნში.
სულ ერთია:
შენ აიღე, უფალო, ყურმილი!

კინოვარსკვლავი, მკვდარი რომ იპოვეს პარკ-ავენიუზე

გამომაღვიძა ღამით ავდარმა,
როგორც ხმაურმა ავეჯისა ზედა სართულზე ჩაბარგებისას,
უცაბედად რომ გადაწყვეტენ საცხოვრებლად სხვაგან გადასვლას
და შემდეგ როგორც ათასობით რადიომ ანდა
მეტროებმა და ბომბდამშენებმა
და მერე თითქოს სამყაროს ყველა ელვა მოჩქეფდა
ნიუ-იორკის ცათამბჯენთა მეხამრიდებზე
და იოანე ღვთისმეტყველის კათედრალიდან
„ტაიმსის“ შენობისკენ მიიღვრებოდა
შენ არ დაგველაპარაკო. შენ არ დაგველაპარაკო,
თორემ დავიხოცებით.
და ანათებდა ცათამბჯენებს ფოტოგრაფებივით
ვულვორსის კოშკიდან კრაისლერის შენობებამდე
მოსე გველაპარაკოს,
შენ არ დაგველაპარაკო, თორემ დავიხოცებით.
«ის წუხელ, ღამის 3 საათზე ჩანს გარდაცვლილი».
იტყობინებოდა მოგვიანებით «ნიუ-იორკ ტაიმსი».

ამ დროს მეღვიძა. ჭექა-ქუხილმა გამომაღვიძა.
ცას ანათებდა აპარტამენტებისა და აბაზანების მჭახე შუქები.
ლეგიტიმურ და არალეგიტიმურ წყვილთა შუქები.
მათი შუქები, ვინც ლოცულობენ, ან სეიფებს ტეხენ,
ან ვინმე გოგოს აუპატიურებენ რადიოს მქუხარე მუსიკის ჰანგებში,
ან მასტურბირებენ ან ვერ იძინებენ,
ან, ეს-ეს არის, იხდიან და ფარდებს უშვებენ,
და დგანდგარი მე-3 ავენიუს ლიანდაგებისა,
და მატარებლები, 125-ე ქუჩაზე რომ ამოყვინთავენ
დედამიწიდან და ხელახლა იქ ჩაეშვებიან,
ავტობუსი, კუთხეში რომ ჩერდება და ისევ მიდის (თავსხმა წვიმაში)
და ეგება ქალის კივილი ღამეულ პარკში
და წივილი სასწრაფოების, უკაცრიელ ქუჩებს რომ მსჭვალავს,
ან წითელი მეხანძრეები, რომლებიც, არ ვიცით,
ვის სახლს ეძებენ, ეგება, ჩვენსას...
«მისი სხეული მაქს ჰილტონმა იპოვა, მხატვარმა,
რომელმაც პოლიციას განუცხადა, რომ იგი აბაზანის იატაკზე
აღმოაჩინა,
და რომ თამასის ბასრი კუთხე შეჭროდა ლოყაში
და ხელში ჯერ ისევ ეჭირა პატარა ფლაკონი თეთრი აბებით
და ბინაში ბოლომდე ხმააწეული რადიო ქუხდა
გადაცემის გარეშე».

ნეტარია კაცი
ფსალმუნი 1

ნეტარია კაცი, პარტიის მოწოდებებს რომელიც არ მისდევს,
და მის შეკრებებში არ მონაწილეობს,
განგსტერებთან ერთად სუფრას რომ არ უზის
და არც გენერლებთან დგას სამსჯავროში.
ნეტარია კაცი, რომელიც მოყვასს არ უთვალთვალებს
და არ აბეზღებს თანაკლასელებს.
ნეტარია კაცი, რომელიც არ კითხულობს სავაჭრო ქსელების ინფორმაციებს,
და არ უსმენს რადიო პროპაგანდას,
არ იჯერებს მის მოწოდებებს...

იქნება იგი წყლის ნაკადებთან დანერგილ ხესავით...

არ არის ჩემთვის ბედნიერება შენს იქით
ფსალმუნი 15

შევღაღადე უფალს:
არ არის ჩემთვის ბედნიერება შენს იქით.
არც კინოვარსკვლავებს ვეთაყვანები,
არც პოლიტიკურ წინამძღოლებს,
არც დიქტატორებს.
ჩვენ მათი გაზეთები არ გამოგვიწერია,
არც მათ პარტიაში ჩავწერილვართ.
არ ვლაპარაკობთ ლოზუნგებით,

და არ მივდევთ მათ მოწოდებებს.
ჩვენ არ ვისმენთ მათ გადაცემებს,
და არ გვჯერა მათი პლაკატების.
არ ვიცვამთ მათი მოდის მიხედვით,
და მათ საქონელს არასდროს ვყიდულობთ.
არც მათ კლუბებს არ ვეტმასნებით
და არც მათ რესტორნებში დავდივართ.
არა მშურს მათი ბანკეტების მენიუები,
და მათ სისხლიან ღვინოს არ შევსვამ.
უფალია ჩემი მიწა აღთქმულ მხარეში,
საუკეთესო წილი მერგო ამ ქვეყნისაგან.
მხოლოდ შენ მყავხარ ნიადაგ თვალწინ.
და როდესაც შენზე ვფიქრობ, უფალო ჩემო,
სიხარულისგან ცახცახს იწყებს ჩემი სხეულის
ყველა უჯრედი,
ღამითაც კი, როდესაც მძინავს,
თვითქვეცნობიერ სიღრმეებში ჩემი სულისა
შენ განგადიდებ!

რატომ დამტოვე?
ფსალმუნი 21 (22)

ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, – რატომ დამტოვე?
კარიკატურად გადავიქეცი,
ხალხი დამცინის,
ყველა გაზეთში აბუჩად მიგდებენ.

ჯავშნოსანი მანქანები ალყას მარტყამენ,
ლულების სამიზნე ვარ,
ელქტრომავთუხლართებში ვებმები,
ყოველდღე მიბარებენ,
ნომერი ამომწვეს
და საკნის წინ მიღებენ სურათს.
ჩემი ძვლები სათითაოდ დაითვლება როგორც რენდეგენის სურათზე,
ყველა საბუთი ჩამომართვეს,
შიშველი წამიყვანეს გაზის კამერაში,
და გაიყვეს ჩემი სამოსი და ფეხსაცმელი...
ყვირილით ვითხოვ მორფიუმს, და არავის ესმის,
ვყვირი ტუსაღის სამოსიდან,რომელიც მიჭერს,
ვყვირი, ვყვირი მთელი ღამე საგიჟეთიდან,
ვყვირი უკურნებელ ავადმყოფთა და მოხუცთა თავშესაფრიდან,
გადამდები სნეულებით შეპყრობილთა განყოფილებიდან,
სიკვდილს ვებრძვი ყინულოვან ოფლში მცურავი,
ვიგუდები მჟავებით სავსე რაღაც ოთახში,
ვტირი პოლიციის შენობაში,
წამებისთვის განკუთვნილ საკანში
და ობოლთა სახლში,
დასხივებული ვარ,
ყველა გამირბის, ეშინიათ არ გადაედოთ.

მაგრამ მაინც შენზე ვუამბობ ჩემს მოძმეებს,
უფალო ჩემო,
ჩვენს შეკრებებზე შენ განგადიდებ,
და უამრავი აჰყვება ჩემს ჰიმნებს.
ღატაკები წვეულებას გამართავენ,
ხალხი, რომელიც ახლა იბადება,
დიდ დღესასწაულს იდღესასწაულებს.

ჩემი გული არ მედიდურობს
ფსალმუნი 130

ჩემი გული არ მედიდურობს, უფალო ჩემო.
არ მინდა ვიყო მილიონერი,
წინამძღოლი
ან პრემიერი.
საჯარო სამსახურზე არ მიოცნებია
და
ჯილდოებზე არა ვნადირობ.
არც ქონება მაქვს, არც საბანკო ანგარიშები,
არც სიცოცხლე დამიზღვევია
და მაინც ისე მშვიდად ვარ, როგორც
დედის მკლავებში მძინარე ბავშვი.

თარგმნა
ნაირა გელაშვილმა

შარლ ბოდლერი

ლექსები პროზად

(პარიზის სევდა)

წუთისოფლის მგზავრები[1]

დიდი, მოქუფრული ცის ქვეშ, მტვრიან ველზე, სადაც ვერც გზას, ვერც მდელოს, ვერც თავ-ცეცხლას და ვერც ჭინჭრის ღეროს ვერ წააყდებით, მოხრილი სხეულით მიმავალ ადამიანებს გადავეყარე.

თითოეულ მათგანს ფქვილის ან ნახშირის ტომარასავით მძიმე, თუნდაც რომაელი ჯარისკაცის აღჭურვილობასავით გაუსაძლისი, უშველებელი ურჩხული ედგა ზურგზე.

არ გეგონოთ ეს ცხოველი-ურჩხული უმოქმედოდ იყო. პირიქით, მოქნილ და ძლიერ კუნთებში ჰყავდა მომწყვდეული თავისი მსხვერპლი და ფართო ბრჭყალებს მკერდში ურჭობდა, ხოლო მისი მითიური თავი ადამიანს შუბლზე ისე ედგა, როგორც ძველი მეომრის შემზარავი მუზარადი, ოდესღაც მტერს რომ შიშის ზარს სცემდა.

ერთ მათგანს ვკითხე, თუ საით ეჭირათ გეზი. მიპასუხა, ამის შესახებ არაფერი ვიცი და არც სხვებს გაეგებათ რამეო. ცხადია, სადღაც მიდიოდნენ, რადგან სიარულის დაუოკებელი სურვილი უბიძგებდათ სვლას.

უცნაური რამ შევნიშნე: არც ერთ მგზავრთაგანს არ აღიზიანებდა კისერზე ჩაბღაუჭებული ულმობელი ცხოველი, რომელიც ზურგზე ეკვროდა და თითქოს მის განუყოფელ ნაწილად ქცეულიყო. ადამიანების დარბაისელ, დაღლილ სახეებს სასოწაკვეთის ნიშანწყალსაც ვერ შეატყობდით. ცის სევდიანი გუმბათის ქვეშ, მასავით უნუგეშო დედამიწის მტვერში ამოგანგლული ფეხები მიაბიჯებდნენ. უდრტვინველი სახეები უსასრულო იმედს თავის მსხვერპლად ექცია.

ამასობაში ამალამ გვერდით ჩამიარა და ჰორიზონტის სივრცეს მიეფარა, იქ, სადაც პლანეტის მრგვალი ზედაპირი ადამიანის ცნობისმოყვარე მზერას ემალება.

წამიერად ამ საიდუმლოს ამოხსნის სურვილი დამებადა, მაგრამ სულ მალე მაცდური გულგრილობა დამეუფლა და უფრო დათრგუნული აღმოვჩნდი, ვიდრე ურჩხულებს ქვეშ მოქცეული ადამიანები.

მასხარა და ქალღმერთი ვენერა[2]

დიდებული დღეა! მწველი მზის ქვეშ, თვალაუწვდენელი ხეივანი სიყვარულისგან მიბნედილი ყრმასავით ინაბება. გარინდებულა სამყაროს საამოება. წყალიც დუმს. აქაურობას ადამიანთა აღტყინება ვერ შეედრება. ბუნება უჩუმრად ხარობს.

ძალუმი შუქი თითქოს სულ უფრო და უფრო აფერმკრთალებს მიდამოს. აფეთქებულ ყვავილებს თითქოს სურვილი სწვავთ ცის ლაჟვარდი ფერთა შეჯიბრში გამოიწვიონ. სიმხურვალეში სურნელი თითქოს ხილული ხდება და კვამლივით მნათობისკენ მიიწევს.

ამ საყოველთაო ნეტარებაში, უშველებელი ვენერას ქანდაკების ფერხთით, ქვაში გაცოცხლებულ თავნება მასხარათაგან, ვისაც სინდისის ქენჯნით ან სევდით შეპყრობილ მეფეთა გამხიარულება ევალებათ, ერთი მჭმუნვარე სახის არსება შევნიშნე. პრიალა სამოსში გამოწყობილი, თავზე რქებით და ზანზალაკებით, ვენერას კვარცხლბეკთან მოკუნტულიყო და უკვდავი ქალღმერთისკენ ცრემლიანი თვალები აღეპყრო. მისი მზერა კი ამას ამბობდა: „ეული ვარ, კაცთა მოდგმის ბოლო ქმნილებას, ცხოველთა შორის ყველაზე მანკიერს სიყვარული და სითბო

[1] ამ ნაწარმოების სათაური ფრანგულად ასე ჟღერს: „Chacun à sa chemère“. ძველ მითოლოგიაში ქიმერა ურჩხულ ცხოველს ნიშნავდა. უფრო საყოველთაო მნიშვნელობით კი – ამაო, ცრუ წარმოდგენას. ეს ნაწარმოები, რომელიც ხშირად კრიტიკის საგანი ხდებოდა, ბოდლერის გოიას და ბრეიგელის ნახატებმა შთააგონეს.

[2] იხ. „ბოროტების ყვავილები“, „მშვენიერება“ („მშვენიერი ვარ, ო, მოკვდავნო, ვით ოცნება ქვისა“).

მწყურია. რას იზამ, მეც გავჩნდი ამ ქვეყანაზე მშვენიერების უკვდავების შესაცნობად. დიდებულო ღვთაებავ, შეიწყნარე წუხილი და ბოდვანი ჩემნი“.

ულმობელი ქალღმერთი კი შორს თავის გაქვავებული მზერით, ვინ იცის, რას გაჰყურებდა.

საათი[1]

ჩინელები კატის თვალებში დროს ხედავენ. ერთხელ, ქალაქ ნაკენის გარეუბანში მოსეირნე მისიონერმა შენიშნა, რომ უსაათოდ იყო და პატარა ბიჭს ჰკითხა, რა დროაო. ჩინელი ბიჭუნა ერთხანს შეყოვნდა, მერე თითქოს გადაიფიქრაო, უპასუხა: „ახლავე გეტყვითო“. ცოტა ხნის შემდეგ ისევ გამოჩნდა. ხელში ერთი დიდი კატა ეჭირა და თან თვალებში, როგორც იტყვიან, ჯიქურ ჩასცქეროდა. დარწმუნებით მითხრა: „ჯერ ზუსტი შუადღე არ დამდგარაო“. ვერაფერს იტყვი, მართალი იყო.

მე კი, თუ ჩემს მზეთუნახავ ქალბატონს, ფელინის თვალებში ჩავხედავ, ო, რომ იცოდეთ, როგორ უხდება ეს სახელი, ის ჩემთვის ერთდროულად თავისი სქესის ღირსება, ჩემი გულის სიამაყე და სულის სურნელია. ღამით თუ დღისით, დღის სინათლესა თუ ღამის წყვდიადში, მის სათაყვანებელ თვალთა წიაღში დროს თავისებურად ვხედავ; ის სულ ერთნაირია – უკიდეგანო, საზეიმო, სივრცესავით გაშლილი, წუთებისა და წამების დანაყოფი არ გააჩნია. ეს უძრავი დრო საათზე არ აღინიშნება, სუნთქვასავით ჰაეროვანია და ამასთან სწრაფი, როგორც თვალის გადავლება.

და თუ იმ დროს, როცა ჩემი მზერა საამურ ციფერბლატს ეფინება, უსაქციელო, მოუთმენელი ანგელოზი ან ხელისშემშლელი ბოროტი ძალა მეტყვის: „მანდ, რას უყურებ ასე გულდასმით, რას ეძებ ამ არსების თვალებშიო? ნუთუ დროს ხედავ, უქნარავ, ბედოვლათო მოკვდავოო“, მე უყოყმანოდ ვუპასუხებ: „დიახ, დროს ვხედავ-მეთქი, ეს მარადისობაა!“

ნამდვილი საქებარი მადრიგალი გამომივიდა, ხომ მეთანხმებით, ქალბატონო? თქვენსავითაა – დიდბუნებოვანი. მართალი გითხრათ, ისე ვისიამოვნე ამ გადაპრანჭული სამიჯნურო თავგადასავლის შელამაზებით, რომ აღარაფერს გთხოვთ სანაცვლოდ.

ღარიბი ბიჭის სათამაშო

მსურს ერთი უწყინარი გართობის შესახებ აზრი გაგიზიაროთ. საკმადო მცირეა უბოროტო გასართობები. ჰოდა, როცა შინიდან გარეთ, შარა-შარა სახეტიალოდ გადიხართ, ჩაიწყეთ ჯიბეში პატარ-პატარა ჩვენეული გამოგონებები – ძაფზე მოძრავი კაფანდარა პოლიშინელი, გრდემლს შეჭიდებული მჭედლები ან სასტვენკუდიან ცხენზე შემომჯდარი მხედარი და როცა ხეივანში სიგრძეზე ჩამწკრივებულ კაბარეებს გაუვლით, გზად, ხის ძირში მჯდომი უცნობი ღატაკი ბავშვებისთვის გაიღეთ მოწყალება! შეამჩნევთ, ლამის თვალები გადმოსცვივდეთ ბუდიდან; სიხარულის იმდენად არ სჯერათ, გამორთმევას ვერ ბედავენ. მერე კი სწრაფად ხელიდან გამოგტაცებენ საჩუქარს და ჰერი, გარბიან, როგორც კატებს სჩვევიათ, სასუსნავი შორს მიაქვთ და იქ მიირთმევენ; გაუგიათ, ადამიანებს ნუ ენდობითო.

გზაზე, დიდ გადაშლილ ბაღში, მზის გულზე თეთრად მოჩანდა მშვენიერი სასახლე. სასახლეს ღობე ჰქონდა შემოვლებული, რომლის იქით, ერთი ლამაზი, ცუგრუმელა ბავშვი იდგა, ს

და სილამაზეს, თუკი სიდუხჭირის ლიბრს მოაცილებდით, როგორც მცნობი ადამიანი შეამჩნევს ეტლის შესაღები ლაქის ქვეშ მოქცეულ იშვიათ მხატრობას.

ღობეს აქეთ, რომელიც სიმბოლურად ორ სამყაროს – დიდ შარა გზას და სასახლეს ყოფდა, ღარიბი ბიჭუნა თავის სათამაშოს აჩვენებდა. მდიდარი გაფაციცებით უყურებდა იშვიათ და უცნობ საგანს. მაგრამ ეს სათამაშო, რომელსაც მურიანი პატარა ბიჭი ისე აღიზიანებდა, რომ გალიაში აქეთ-იქით ეხეთქებოდა, ცოცხალი ვირთხა იყო! რა ექნათ მშობლებს, რასაც შესწვდნენ, ის გამოუნახეს გასართობად.

ბავშვები კი *ერთნაირი* თეთრი კბილებით მეგობრულად ეკრიჭებოდნენ ერთმანეთს.

ყალბი ფული

როგორც კი თამბაქოს ჯიხურს გამოვცდით, ჩემმა მეგობარმა ფულის გულდასმით დახარისხება დაიწყო. ჟილეტის მარცხენა ჯიბეში ოქროს წვრილი ფული ფრთხილად ჩაიყარა, მარჯვენაში – ვერცხლის, შარვლის მარცხენა ჯიბეში მთელი დასტა მსხვილი ფული მოათავსა, მერე კი ვერცხლის ორფრანკიანი განსაკუთრებით შეათვალიერა და მარჯვენა ჯიბეში ჩაიდო.

„რა განსაკუთრებული გულმოდგინებით ანაწილებს“, – გავიფიქრე ჩემთვის. გზად მათხოვარს შევხვდით. მან აკანკალებული ხელით ქუდი გამოგვიწოდა. არაფერს აუღელვებივარ ისე, როგორც მისი მავედრებელი მზერის უხმო მეტყველებას, აღსავსეს მორჩილებითა და საყვედურით, რა თქმა უნდა, ამას მხოლოდ მგრძნობიარე ადამიანი ამჩნევს, რომელსაც ძალუძს ყოველივე ამოიკითხოს. რაღაც საერთო აღმოვაჩინე მათხოვრის მშფოთვარე სულის სიღრმესა და ნაცემი ძაღლის ცრემლიან მზერას შორის. ჩემი მეგობრის მიერ შეწირული თანხა ჩემსაზე მნიშვნელოვნად დიდი იყო. „მართალი ხართ, მეგობარო, – ვუთხარი, – გაოცებისგან მიღებულ სიამოვნებაზე რითია ნაკლები, როცა იმ გზას მიაგნებ, რითაც ადამიანს გაახარებ“. „ის ყალბი ფული იყო“, – მიპასუხა მშვიდად. თითქოს ამით თავისი მფლანგველი ბუნება სურდა გაემართლებინა.

ჩემი სუსტი ჭკუით და ზანტი ხასიათით (არ ვიცი, ბუნებამ რაღა ეს თვისება დამანათლა), ასეთი აზრი დამებადა: მეგობარს მხოლოდ მაშინ შევუნდობდი, თუ საწყალი მათხოვრის ცხოვრებაში რაღაც საოცრების მოხდენა ენდომებოდა, თუნდაც წინასწარ სცოდნოდა, მათხოვრის ხელში მოხვედრილი ფული საბედისწერო იქნებოდა თუ სხვა შედეგით დამთავრდებოდა. იქნებ ყალბი ფული ნამდვილ ფულად ქცეულიყო? ან იქნებ, ამ მიზეზით მათხოვარს ციხეში ამოეყო თავი? ვაითუ, ვიღაც მეფუნთუშეს ან კაბარეს მეპატრონეს ყალბი ფულის მკეთებელი ან თუნდაც მისი გამავრცელებელი გამოეჭირა? ან იქნებ, ეს ყალბი ფული საწყალი კაცისთვის ორიოდე დღით სიმდიდრის წყაროდ ქცეულიყო? ჰოდა ასე, ჩემს ფანტაზიას საზღვარი აღარ ჰქონდა, ფრთებს ვასხამდი ჩემი მეგობრის საზრიანობას, ვუშვებდი ყველა შესაძლო ჰიპოთეზას და დასკვნები გამომყავდა. უცებ შევწყვიტე ოცნება. გამახსენდა ჩემი ნათქვამი: „ჰო, თქვენ მართალი ხართ, არ არსებობს იმაზე ნეტარი სიამოვნება, ვიდრე შეძლო გააოცო ადამიანი, როცა სთავაზობ იმაზე მეტს, რასაც არ მოელის“.

თვალებში ჯიქურ ჩავხედე და შევძრწუნდი. მისი თვალები ულმობელი გულწრფელობით ელვარებდნენ. ნათლად დავინახე, მას წყალობაც უნდოდა გაეღო და ამასთან ეს კეთილ საქმედაც ჩასთვლოდა. მათხოვრისა და ღმერთის გული ერთდროულად უნდოდა მოეგო. სამოთხის კარი ფულის დაზოგვით სურდა შეეღო, მერე კი მუქთად ჩაეგდო ხელში მოწყალე კაცის დამამტკიცებელი საბუთი. იქნებ მეპატიებინა კიდეც მისთვის დანაშაულებრივი ხუმრობის სურვილი, რომელიც იმ დროს დასაშვებად მივიჩნიე. ღარიბი კაცის შეურაცხყოფით გართობას უცნაურობად, თავისებურებად ჩავუთვლიდი, მაგრამ ვერასოდეს ვაპატიებ უგუნურ ანგარიშიანობას. ბოროტების ჩამდენს შენდობა არა აქვს.

ფანჯრები

ის, ვინც გარედან შეიხედავს ღია ფანჯარაში, ვერასოდეს შეამჩნევს იმდენს, რასაც დახურული ფანჯრის იქით დაინახავს კაცი. არაფერია იმაზე უფრო სავსე, უძირო, იდუმალი, ბნელი, გაუგებარი და თვალისმომჭრელი, ვიდრე შანდლით განათებული ფანჯარა. ის, რაც გზის

შუქზე ჩანს, მუდამ ნაკლებად გიზიდავს, ვიდრე ის, რაც ფანჯრის მიღმა ხდება. ამ ბნელ თუ განათებულ სივრცეში სიცოცხლე ფეთქავს, ოცნებობს და იტანჯება.

ტალღებივით თანმიმდევრულ სახურავთა ნაკადის მიღმა, მუდამ რაღაცაზე დაყრდნობილ ხანშიშესულ ქალს ვხედავ. სახე ნაოჭებს დაუფარავს. მეცოდება, გარეთ არასდროს გამოდის. მისი სახის, ტანსაცმლის, მოძრაობის ან იქნებ, სულაც არაფრის მიხედვით, ამ ქალის წარსული წარმოვიდგინე. უფრო სწორად, მასზე მითი შევქმენი და ზოგჯერ ჩემს თავს თვალცრემლიანი ვუყვები.

ამ ქალის ნაცვლად საწყალი ბერიკაცი რომ ყოფილიყო, იმაზეც ადვილდ გამოვიგონებდი ამბავს.

მერე ვწვები, სიამაყე მეუფლება, რადგან ჩემმა კი არა, სხვისმა ცხოვრებამ განმაცდევინა ტკივილი და ამაფორიაქა.

ალბათ მკითხავთ: „ნუთუ ეს შეთხზული ამბავი სინამდვილედ ირწმუნეო?“ ეგ რა საკითხავია, თუკი სხვისმა ცხოვრებამ სიცოცხლის სურვილი გამიღვივა, დამანახა, თუ ვინ ვარ და რა ვარ.

რომელია სინამდვილე?

ერთ გოგონას ვიცნობდი, ვინმე ბენედიქტას. ირგვლივ გარემოს ოცნებით ავსებდა. მისი მზერა სიდიადეს, სილამაზეს, დიდებულებას და ყველა იმ სიკეთეს გამოხატავდა, რაც უკვდავების რწმენას შთაგვაგონებს. მაგრამ ამ საოცარ გოგონას სილამაზე ღმერთმა იმიტომ არ უბოძა, რომ დიდხანს ეცოცხლა; გავიცანი და რამდენიმე დღის შემდეგ გარდაიცვალა. ჰო, ერთ დღეს მე ის დავმარხე, როს გაზაფხულის სურნელი სასაფლაოზეც იკმეოდა. მივაბარე მიწას მაგრად დალურსმული, ინდური სკივრივით გამძლე, სურნელოვან ხის სასახლეში. მზერას ვერ ვაშორებდი იმ ადგილს, სადაც ჩემი განძი ჩავფალი; უეცრად ვიღაც გოგონა შევნიშნე, საოცრად ჰგავდა გარდაცვლილს. ნოტიო მიწაზე ფეხებს აბაკუნებდა, უცნაური, ისტერიული ხმით და თან სიცილით მეუბნებოდა: „მე ვარ ნამდვილი ბენედიქტა, ეს მე ვარ ცნობილი არამზადა; შენ კი, რადგან ჭკუაც გაკლია და დაკვირვებაც, დაისჯები, შემიყვარებ ისეთს, როგორიც ვარ!“ რა უნდა მექნა, – არამც და არამც-მეთქი, – განრისხებულმა ვუპასუხე. ჩემი უარი რომ უფრო ნათელი ყოფილიყო, ისე ძლიერ დავკარი ფეხი მიწას, რომ ახლახან გათხრილ საფლავში მუხლამდე ჩამეფლო და როგორც მახეში გაბმული მგელი, ალბათ, სამუდამოდ დავები ჩემი ოცნების სამარეზე.

ჯიშიანი ცხენი

სადღა აქვს სილამაზე, მაგრამ თვალს მაინც ხიბლავს. დრომ და ტრფიალმა თავიანთი ბრჭყალები დაასვეს, არ დაინდეს, დაანახვეს, რომ ყოველი წუთი, ყოველი ამბორი იტაცებს სინორჩესა და სიყმაწვილეს. ჰო, მართლაც უშნოა, ჭიანჭველას დაემსგავსა, ობობას, თუ გნებავთ, ჩონჩხადაც იქცა, მაგრამ ამავ დროს სასმელივით გულს სიამეს ჰგვრის, გონიერია, ჯადოქარი! ერთი სიტყვით, იშვიათი ცხენია!

დრომ ვერ წაუშალა ფეხაწყობილი სიარული, ვერც დახვეწილ აღნაგობას მოუღო ბოლო; ტრფიალმა ვერ დაუთრგუნა საამური, უშფოთველი სუნთქვა, ვერ შეუთხელა ფაფარი, საიდანაც საფრანგეთის სამხრეთული, გიჟური სიცოცხლე იფრქვევა: ნიმი, ექსი, არლი, ავინიონი, ტულუზა – მზით და სიყვარულით დალოცვილი ქალაქები!

დრომ და სიყვარულმა ამაოდ დაასვეს ბრჭყალები, ვერაფერი დაკლეს მის იდუმალ ხიბლს, მისი ატკეცილ, ბიჭურ მკერდს.

მართალია, ყავლი გასვლია, მაგრამ გული მაინც ერჩის, საგმირო საქმეების აღსაქმელად მზადყოფნაშია; ჯიშიან ცხენთა ჩამომავლობას აიმედებს, სადაც არ უნდა იყოთ შებმულნი, სამგზავრო ეტლსა თუ ურმის მძიმე უღელში, ჭეშმარიტი გულშემატკივრის თვალი მაინც ამოგიცნობთო.

ამასთან, ისეთი ალერსიანი და ერთგულია! ალბათ, მოახლოებული ზამთარი გულში ახალ ცეცხლს აუგიზგიზებს და საამო კდემა არასდროს გაუქრება.

მარჯვე მსროლელი

რადგან მანქანას ტყე-პარკი უნდა გაევლო, იქვე ახლოს, სასროლ მოედანთან შეჩერდა. რამდენიმე ტყვიის გასროლით სიამოვნებასაც მიიღებდა და დროსაც მოკლავდა. ამ ურჩხულის მოკვლა თითოეული ადამიანისთვის ჩვეულებრივი და კანონიერი საქმიანობაა, ხომ მეთანხმებით?

აღარ დააყოვნა, თავაზიანად გაუწოდა ხელი თავის ძვირფას, მომხიბლავ და ამასთან აუტანელ მეუღლეს, ამ ამოუცნობ ქალს, რომლის მადლიერიც უნდა ყოფილიყო თავისი ტკივილისა თუ სიამოვნებების, ან იქნებ ცოდნის იმ დიდი ნაწილის გამო, რომლითაც თავი მოჰქონდა. დანიშნულ მიზანს უამრავი ტყვია ააცდინა, ერთ-ერთი ჭერშიც კი გაიჩხირა. მომხიბლავი ქმნილების სიცილ-კისკისს ბოლო არ უჩანდა. დასცინოდა ქმრის მოუხერხებლობას. უცებ ის ცოლისკენ შემოტრიალდა და უთხრა: „აბა, დააკვირდი იმ თოჯინას, იქ, მარჯვნივ, ცხვირი ზემოთ რომ აუბზეკია და მედიდურად იცქირება. ჰოდა, ჩემო ანგელოზო, წარმოვიდგენ, ვითომ თქვენ ხართ“. მყისვე დახუჭა თვალები და ჩახმახს ხელი გამოჰკრა. ვერაფერს იტყოდით, თოჯინას თავი აშკარად წააცალა.

მერე თავისი ძვირფასი, მომხიბლავი და ამასთან აუტანელი მეუღლისკენ დაიხარა, რომელიც ამავ დროს მის განუყრელ და დაუნდობელ მუზას წარმოადგენდა, მოწიწებით ეამბორა და დასძინა: „ჩემი სიმარჯვე თქვენი ბრალია, ჩემო ძვირფასო ანგელოზო“.

წვნიანი და ღრუბლები[1]

ჩემმა ცუგრუმელა, გიჟმაჟმა სატრფომ სადილის სუფრა გამიშალა. სასადილო ოთახის ღია ფანჯრიდან ცაში ცვალებად არქიტექტურას ვადევნებდი თვალს, რომელსაც მამა ზეციერი ორთქლით ქმნის, აშენებს საოცარ ხელშეუხებელ ნაგებობებს. ვუყურებდი ამ სანახაობას და ვფიქრობდი: „ჩემი მწვანეთვალება, გიჟმაჟი, აუტანელი სატრფოს თვალები თითქმის ასეთივე ლამაზია-მეთქი“.

უცებ, ვიღაცამ ზურგში ძლიერი მუშტი მკრა. თითქოს არყის სმისგან ჩახლეჩილი, ხრინწიანი და ამასთან მომხიბვლელი ხმა შემომესმა. ჩემი ცუგრუმელა გაჰკიოდა: რას დამჯდარხართ, აბა, ახლავე შეხვრიპეთ წვნიანი! ღრუბლებით მოვაჭრე წმინდანს დამიხედეთ!“

ფრანგულიდან თარგმნა
მარინე ჭილაშვილმა

[1] ეს ნაწარმოები ერთგვარი გამოძახილია XVIII საუკუნეში დაწერილი ლექსისა „რომელია ჭეშმარიტება“. ქალის თემის გარდა, რომლის საოჯახო საქმიანობა აცდუნებს პოეტს, შეასრულოს თავისი მაღალი მოვალეობა, ამავე ლექსში ასევე იგრძნობა ჰოფმანისთვის ძვირფასი მოსაზრების მემკვიდრეობა.

შერონ ოლდსი

შერონ ოლდსი თანამედროვე პოეზიაში ერთ-ერთი წამყვანი ხმაა. ის მრავალი პრესტიჟული ლიტერატურული პრემიის მფლობელია.

შერონ ოლდსი 1942 წელს კალიფორნიაში დაიბადა, მისი პირველი პოეტური კრებული გამოვიდა, როცა ის 27 წლის იყო. თავისი შემოქმედებით პოეტმა ლიტერატურულ სამყაროში გამორჩეული ადგილი დაიკავა, როგორც ჟურნალ Poetry Flash-ის ლიტერატურული მიმომხილველი რიჩარდ სილბერგი აღნიშნავს, „ის წერს იმაზე, რაზეც აქამდე არ დაუწერიათ, ან ისე, როგორც აქამდე არასოდეს დაუწერიათ. მისი ლექსები ნამდვილი შთაგონების წყაროა“.

2012 წელს გამოცემულ კრებულში Stag's Leap შარონ ოლდსი მისთვის დამახასიათებელი გულწრფელობით უამბობს მკითხველს თავისი განქორწინების შესახებ და პულიცარისა და ტ.ს. ელიოტის პრემიებს იმსახურებს. ტ.ს. ელიოტის პრიზის გადაცემისას, კაროლ ენ დაფმა, ჟიურის თავჯდომარემ თქვა: „ამ წიგნით შერონ ოლდსმა დაგვანახა, რომ ის მსოფლიო დონის პოეტია. ყოველთვის ვამბობდი, რომ პოეზია ადამიანის სადიდებელი სიმღერაა, ამ წიგნში კი ის ნამდვილად მღერის. ის არაჩვეულებრივად აღწერს გზას დიდი ტკივილიდან ჭრილობის სრულ შეხორცებამდე.“

პირველი მსოფლიო ომის დასასრული

ადამიანები, როგორც ყაყაჩოები თავისი
სამალავის ნაპრალებზე, მიწის დაღარულ ზედაპირზე
თანდათან ჩნდებოდნენ, ისინი
ახლადნაყვავილარი დედამიწიდან
თხრილებით ამოდიოდნენ, და
ახალშობილებივით, ფეხზე ვერ დგებოდნენ,
ვერ იჯერებდნენ, რომ ცხოვრების უფლება მიენიჭათ.
ბრძანება მოვიდა: შეწყდეს კაცის კვლა.
ისინი მტერს მიუახლოვდნენ, შოკოლადი და
სიგარეტი გაუწოდეს, ხელი ჩამოართვეს, სუვენირები
გაუცვალეს – ყელსახვევები, მათარები...
ზოგიერთი გადაეხვია კიდეც. ამ დროს ლონდონში,
სასჯელის გადავადების სიხარულისგან აღტყინებული
სრულიად უცხო ადამიანები
პირდაპირ დერეფნებში და ქუჩებში შეწყვილდნენ.
და ცხრა თვის შემდეგ,
ზუსტად ისე, როგორც ის ადამიანები გამოჩნდნენ
თხრილებიდან – ჯერ თავი, მერე მოდის სხეული –
ამ დედებისგან ამოიყვანეს ჩვილები –
მეორე მსოფლიო ომის ჯარისკაცები.

ვოგის ფოტოსესია

მითხრეს, რომ ბევრი ხალხი არ იქნებოდა –
თმა, კოსმეტიკა, განათება,
ორი სტილისტი, ფოტოგრაფი,
ოპერატორი, და ორი
ასისტენტი, და მძღოლი, და ორი დამხმარე, ახალგაზრდა
სტაჟიორები, მაგრამ მაინც ვერ წარმოვიდგინე

ყველა ერთად, ერთ დიდ, კაშკაშა პავილიონში.
შერიმ ამოიღო შუა საკუნეების იარაღი,
და, ორივე თვალის
პაწაწინა ფაფუკი წამწამები დამისუსხა ერთხელ,
და ქუთუთოზე ყველა ფორი
შემეკუმშა ერთხელ. შემდეგ პატარა ფუნჯები მოიმარჯვა
და გამდნარ საპოხში ჩაყო,
ფერები – ტყის, ადრე გაზაფხულზე,
ჯერ რომ არ ამწვანებულა, და ვთქვი,
„ასე მგონია, დედა კურდღელი ხარ,
მაძინებ და დახუჭულ თვალებზე მეფერები“.
ვუთხარი, რომ წამოსვლის წინ, გარიგება დავდე
საკუთარ შიშთან, რომ
არასასიამოვნო შესახედი ვარ, და ჩემს სახეს გამოჩენის
რცხვენია, – იცით, ასეა. – გარიგების
მიხედვით კი, ჩემი ნაკვთები უჩინარდება,
ვითომ, როცა ვინმე შემომხედავს,
მხოლოდ სულს ხედავს, ცვალებადი
ფერის სწორ ოვალს, ჩარჩოდ შავი, ახლა უკვე ვერცხლისფერი
თმის მასალა რომ გამოუყენებია,
შერი ჩემს მილულულ ხედვის ორგანოებს მოეფერა,
კიდეც დალოცა. შემდეგ ფერნარდოს ხელებმა
თმა გამიჭიმეს, და გვირაბივით რაღაცაში გაატარეს. თუ
ძაბრივით... მის ხელისგულებში, ჩემი თავიდან შორს,
თმა ემსგავსება მდინარეს, ხელისგულები კი მშვიდ ნაპირებს,
მისი მოკრძალებული თითები მძიმე წყალში დალივლივებდნენ, თითქოს
ქალთევზები ყოფილიყვნენ ზღვაში, ან ნიმფები
ნაკადულზე, ან დრიადები ფოთლებში. შემდეგ, გარეთ,
ნისლში, ბალახზე, ერთიანად სველი ბუჩქის გვერდით,
მარკმა თქვა – ჰო, ეგაა. ნიკაპი ჩამოუშვი
ცოტათი, ახლა გვერდით მიაბრუნე, უფრო ნელა, ნიკაპი
ქვევით, ჰო. ასე! – და შემდეგ ჩვენს შორის ყველაზე
მაღალმა, ტანადმა,
ვეებერთელა ქოლგა აიტაცა,
და ფერნარდო ჩემკენ გამოფრიალდა და ერთი ღერი
თვალიდან გადამივარცხნა – მთელი საათი
ერთად ვცეკვავდით, ცხრა თუ თორმეტი გრაცია
ერთ მოძრაობას ვასრულებდით, ნელ რიტმში, სინათლის ზოლზე,
და ჩემი სახეც იქ იყო, ხილული
ოაზისი, რომლის გარშემოც ვცეკვავდით. და ბოლოს,
დაბალი, ფართო, ოვალური, ბებერი ტყის წაბლის
ხის მერხის სანახავად წავედი, იქვე ორი ახალგაზრდა დამხმარე იდგა –
ერთი ძალიან მაღალ კიბეზე, ერთი კი
დეკორაციებს ახვევდა, –
ბალახის და ჟინჟლის ორი ოსტატი,
და კიდევ მცენარეების. ვისაუბრეთ, და შემდეგ, როცა დავცილდით,
და ისინი ჩემს უკან ფოთლების სველ ჩრდილში დარჩნენ, ერთმა მომაძახა:
„ძალიან მოგვწონს თქვენი წერილი ლაურა ბუშისადმი“! და მე
მივბრუნდი. – აი, ისინი, ჩემს წინ იდგნენ, – დედამიწის
სული, დედამიწის მომავლის სულისკვეთება. გავძახე:
„გმადლობთ!“ და შემოვბრუნდი, შევუერთდი

საღამოს, წვიმის მბზინავი მოსასხამის
ქვეშ ჩრდილები გაქრნენ. მე ვიყავი ერთი მუშა,
სხვა, ჩემივე მსგავს მუშებთან ერთად,
ჩვენი მუზაც იქვე იყო – პრიალა ფურცელი, მეორე მუზაც –
მკითხველი, ქალი ან კაცი, თმის საშრობის ქვეშ,
და ყველანი სულ ცოტა მშვენიერების,
სულ ცოტა სიმართლის იმედით ვშრომობდით,
ჩვენს უაღრესად რთულ ადგილსა და დროში.

თავსხმა

რა ახლოს ვართ ერთმანეთთან, ერთმანეთზე კონცენტრირებულები,
როდესაც ვსმჯელობთ, როდის ვუთხრათ ბავშვებს.
„ასე მგონია, მკვლელი ვარ“ ვლუღლუღებ. „მე ვარ
მკვლელი“ – ხელს მაჯაზე მიჭერს და ამბობს.
ჩემი მაჯა ხელში უჭირავს. ის დივანის ძველ,
მუქ ლურჯ ჩითშია ჩაფლული,
მედუზებით სავსე ღამის ზღვასავით ღრმაა ლურჯი.
იატაკზე ვზივარ. ავცქერი.
თითქოს ქორწინების ბიუროში ვიყო,
გარს რაღაც მტვერივით მაკრავს. ახლა, ამაღამ,
ამ მაგელანის ნისლში სუნთქვა ნაკლებად
მტკივნეულია, ალბათ იმიტომ, რომ იქაურ ღვინოს
სვამს, სადაც მე დავიბადე – ნისლი,
ევკალიპტი, წიწვები. – და მეც
მისი ჭიქიდან ვსვამ. „ჩემი გრიპი არ გადაგედოს“ –
მეუბნება – „ჰო, მართალია, გინდა,
ჩემი გრიპი გადაგედოს“. ეს მაინც არ უნდა მეთქვა.
ვუთხარი – ვეცდები, რომ გადავიყვარო,
თუმცა, ვიცი, მთელი ცხოვრება
მეყვარება. ამბობს, რომ ვუყვარვარ,
როგორც ჩვენი შვილების დედა. ჩემი
ცრემლების ახალ-ახალი დასი
სადინართან აკრობატის ხარაჩოებზე ადის
და ცეცხლოვან ნახტომებს ასრულებს.
ზოგი პირდაპირ გვერდიდან ხტება, და წამით,
წარმომიდგენია თავსხმა, ცრემლების, როგორც
ფიტულისთვის ნასროლი დანები, რომ გამოკვეთოს ის – გულში აფეთქებული
მძვინვარება. ის ელავს, მე თავს ვუქნევ.
ისაა ჩემი ერთადერთი იმედი.

ვერ ვიტყოდი

ვერ ვიტყოდი, რომ ავტობუსიდან ჩამოვხტი –
გაქანებული ავტობუსიდან, ბავშვით ხელში,-
ამის შესახებ არაფერი ვიცოდი. ჩემი საკუთარი ამბის მჯეროდა:
ჩამოვვარდი, ან ავტობუსი მაშინ დაიძრა,
როცა ცალი ფეხი ჯერ კიდევ ჰაერში მქონდა.

არ მახსოვს, კბილი კბილს როგორ დავაჭირე,
მომბეზრდა – ისევ გავცდი გაჩერებას. ნაბიჯი გარეთ,
ჰაერში, გამჭირვალე ბავშვის მოშტერებული
თვალები ჰაერში, როცა ქუჩაში ცალ მუხლზე
დავეშვი, დავიკაწრე, დავიგრიხე;
მერე იყო ავტობუსის მუხრუჭების ხმა, გაოგნებული
მძღოლი და ჩემი გოგონას სიცილი:
კიდევ ერთხელ გააკეთე.

ეს აღარასოდეს გამიკეთებია.
ძალიან ვფრთხილობდი.
თვალყურს ვადევნებდი იმ მშვენიერ, ახალგაზრდა დედას,
რომელიც მსუბუქად გადმოხტა
დაძრული ტრანსპორტიდან
უძრავ ქუჩაში, თავისი სიცოცხლით
და თავისი სიცოცხლის სიცოცხლით ხელში.

პრიმიტივი

მსმენია ცივილიზებული ადამიანების შესახებ,
მათი ქორწინება მოიცავს დახვეწილ, გულწრფელ და გონივრულ საუბრებს.
მე და შენ კი ველურები ვართ. პარკით ხელში შემოდიხარ
და უსიტყვოდ მაწვდი.
სურნელით ვხვდები – ხორცის ოო შჰუ,
გზავნილიც მესმის: წუხელ
გასიამოვნე. ჩუმად
ვსხედვართ, გვერდი-გვერდ, ვჭამთ
გრძელ მაჭკატებს. ცომი აქა-იქ სკდება და ვარდება,
სურნელოვანი სოუსი იწუწება.
ერთმანეთს ალმაცერად ვუყურებთ, უხმოდ,
ჩვენი თვალების კუთხეები იმ შუბების წვერივით პრიალებს,
პარმაღზე რომ დევს, იმის ნიშნად, რომ
აქ მეგობარი მეგობრის გვერდითაა.

ნატურმორტი პეიზაჟში

ღამე, წვიმა, აქეთ-იქით მანქანების და ნახევრად მანქანების
ნამსხვრევები. გზაზე, უძრაობასა და
სინათლეში ქალი წევს,
უკან გადაგდებული თავი ზურგზე,
მხრებში ჩაურგია , ისე, რომ
კეფით ხერხემალს ეხება, ტანსაცმელი
თითქმის მთლიანად შემოფლეთილი აქვს,
ფეხები მოწყვეტილი, გადახსნილი თეძოდან კი
გრძელი ძვალი მოუჩანს,
ეს თვითონაა, მისი მიტოვებული მატერია.
დედა მწვდა და თავი მომიტრიალა,
გულზე მიმიკრა, ძუძუებს შორის,
მამა საჭესთან იჯდა, არაფხიზელი,

მაგრამ ეს შემთხვევა მისი ბრალი არ იყო. ბინდბუნდიდან
მივუახლოვდით – შავ, სველ ფისზე დამსხვრეული
შუშა, როგორც ქვეშ გაგებული შუაღამის
ვარსკვლავების ეკალხლართები – ეს
სწორედ ის სამყარო იყო, შესაძლოა ერთადერთი.
მკვდარი ქალი არ იყო ის ადამიანი,
მამაჩემმა რომ ლამის გადაუარა,
ის, რომელიც ჩვენს მანქანას უცებ მოერიდა
და სიკვდილს ხელი ჰკრა,
არც მე ვიყავი, არც დედაჩემი,
შეიძლება, ის იყო ჩვეულებრივი მოკვდავის მოდელი,
ამის ნიშნები ირგვლივ, შავ საფარზე ეწყო –
შუშა, ძვალი, მეტალი, ხორცი და ოჯახი.

ზამთარში სექსის შემდეგ

თავიდან, ყველაფერი მტკივნეულია,
ზეწრის დაფარებაც კი არ შემიძლია,
ყველა ნერვზე
რკინის ფირფიტა მადევს. ვწევარ ჰაერში,
თითქოს ვფრენ სწრაფად, მოძრაობის გარეშე, და
ნელ-ნელა სითბოს გკარგავ – ცხელი,
თბილი, გრილი, გაყინული, ვიდრე
კანი მთელ სხეულზე არ მეყინება
გარდა იმ ადგილებისა, რომლებიც შეხებისას
ნაკვერჩხალივით ღვივდება. ჩარჩოდან თითქმის ამოვარდნილი
კარის ირგვლივ, და სარკმელის ირგვლივ
ჰოლიდან შემომავალი სინათლე სწორ ხაზებად იწვის და
ჭერზე წვრილ სხივებად ეცემა –
სიხარულით გამოწვდილი ხელები.
სარკეში, ოთახის კუთხეებში სიმშვიდეა, ეს
ის დროა, როდესაც ხედავ, რომ თავად კუთხეა კურთხეული.
ჭაღის შავი სფერო სარკეში უძრავად ჰკიდია – სადღაც ღრმად,
სხეულში საკვერცხეებს ვგრძნობ, მოვერცხლისფრო
ნათურებს ვაშტერდები, იქნებ
საკუთარ საკვერცხეებს ვუყურებ ახლა. ყველაფერი ნათელია –
რასაც ვუყურებ, ნამდვილია და
თანაც კარგი. შეკითხვები ამოვწურეთ.
შენ თბილ, დიდ, გამშრალ
ხელისგულს სახეზე მისვამ, ისევ და
ისევ. ისევ და ისევ. როგორც ღმერთი,
ბოლო შტრიხებს რომ ავლებს, ვიდრე
ქვემოთ გამომგზავნის, რათა ამ ქვეყნად ვიშვა.

ინგლისურიდან თარგმნა
დალილა გოგიამ

რუსუდან კაიშაური

პოეზიის სიმღერა

პატარა ადამიანი ვარ,
იმდენჯერ გავამპარტავნდი,
რომ დავპატარავდი.
მამცირებდნენ
ამა ქვეყნის ლიდერები
და ვდიდდებოდი.
მაქებდნენ, როცა ბრაზის
ნაცვლად ბოლს გამოვცემდი,
ეს – სადილი იხარშებოდა ჩემში,
თბებოდნენ და
ირეცხებოდა სამოსელიც.
ხოლო ჩემთან ახლოს
სული დაუთრევია
კაკანათს,
რაც არ აძლევს გასაქანს
ჩემში ცეცხლსა და ქარს,
რომ პოეზია გამიხარონ.

წითელქუდას სიმღერა

გავჭრელდი, ყველაფერი
ზედ მაქვს ასხმული,
ათას წვრილმანს ვამსხვილებ,
რომ ჩემს თავგადასავლებს
დავამთხვიო.
დღის ხანგრძლივობიდან
დროზე მინდა გამოვაღწიო,
წითელ ქუდს მერამდენედ
ვისწორებ,
მგელს ვანიშნებ,
რომ სახლისკენ
წასვლას ვაპირებ.
მგელი მელოდა ხოლმე
ყველაზე ერთგულად,
დანარჩენები ერთმანეთს
ენაცვლებოდნენ.
ბებიას მობეზრდა
გაცოცხლების დაპირება
და ხვედრის გრძელ რიგს
მიემატა.
მე და მგელმაც
ადგილები გავცვალეთ,
მხოლოდ ზღაპარი დარჩა
მიამიტი.

ჩემი სიმღერა

რამდენს გეაჯები, ღმერთო,
თითოეული სტრიქონისთვის
ან წერტილისთვის,
რაც უნდა დავსვა,
სად ან როდის,
შენგან რომ მოდის
და ისევ შენ გიბრუნდება.
ჩემი ყოფნა-არყოფნა
შენს არსებობას უნდება.
ეს ურთიერთგაზიარება
თუ მიგნება
მიჯდება წიგნებად,
ან გამოფენაა
ჩემი ჯაფების,
სადაც კისრამდე ჩავფლულვარ
და როგორც
ძაფის გორგლის წვერს
შენკენ მწევ, რომ
 მერე ისევ დავეხვიო,
ალიაქოთში გავეხვიო,
ოღონდ უკეთესად.

მგზავრის სიმღერა

მგზავრი ყველას უყვარს,
ადგილზე ვერ ჩერდება,
შარებს ხვეტავს.
ზურგჩანთა დახტის
მის მხრებზე,
თავს მიაგდებს
ცაზე მიყუდებულ
ხესთან.
მგზავრი უხარიათ
ქალებს და ანგელოზებს –
ახირებების მფარველთ.
გზას აცდნენ ქალები და ანგელოზები,
მგზავრმა არც კი იცის,
რა საფრთხეშია გარეთ.
გზები იმალებიან ერთმანეთში
და მგზავრი, ყველაზე
შემძლე,
ფათერაკებშია,
ამიტომ ყველა როდის მგზავრობს,
მხოლოდ მიდის,
გზას არ ეძებს.

თავშესაფრის სიმღერა

ფაფის გალიებია
მოხუცთა თავშესაფარი.
აქ უკბილო ბებო-პაპანი
წუთისოფელს იღეჭებიან.
ოცნებები უკვე გადმოაფურთხეს
და თავიანთი წარსულის
მუზეუმებში დაფათურობენ
უკან დაბრუნების პირობით.
ერთხელაც
კარები ჩაეკეტებათ
არასწორი ხელგარჯილობით.
შვილები და შვილიშვილები
ცუდად დარაჯობენ,
უყურადღებონი არიან
სრულიად:
სიგნალიზაციაც მოშლილია
ან დიდი ხნის
გამორთულია.

ზამთრის სიმღერა

გაზაფხული თავისთავად
არ მოდის
ყოჩაღ, ზამთარო, გახალისება
რომ გინდება.
შობა არ გყოფნის
და აღდგომისკენ მიიპარები...
მარტი რძესავით აგჭრის
და ეღობები მაისის თვეს
თითქმის კარებში.
თებერვალშივე წამოგივიდა ცინგლები
და ზაფხულამდე მიატანე.
ჯანი მცირედით.
მარტ-აპრილს თავზე გადაახტი,
ისე სციოდათ.
ივნისთან შეხვედრის
ნუ გეშინია,
რომლის დაჭკნობა-გახმობას
აგვისტო მიაგებებს თანხმობას
ისე, რომ ზამთარი უკვე უბეში აქვს.

თბილისის სიმღერა

ჩემს ქალაქში ქუჩები
გაწყობილია არასწორად,
სახლები ქუჩდებიან
გამწვანებაზე გასაჭორად.

ქალაქი რომ გაერთოს,
შეტევა მოქალაქეზეა,
როცა გაოცებული თვალები
მას აფართოებენ
და ქალაქიდან თავის საშველად
ვერ გაეტევა.
თბილისი არის უხერხული
საკბილო,
თუნდაც რომელიმე უბანი
თავდაყირა დაკიდოს,
მაინც ვერავინ შეამჩნევს,
რადგან მოქალაქე ისეთი ჰყავს,
ხვალისთვის გადადებს სიცხადეს.
და ეს მოქალაქენი
უბნის სიმაგრეს ამოწმებენ,
ერთმანეთს ქალაქს ცინცლავენ.

ციფრების სიმღერა

ციფრები თავშეკავებაა
და სიზუსტე,
საათების ენის სიმოკლეც
რად ღირს.
ციფრები უმოქმედობას აპროტესტებენ,
მოქმედებების დაზოგვით,
როცა ერთი მეორეს
ღლის,
კალკულატორში იჭედება
და მუდმივად აზროვნებს.
ციფრები არ უყვართ
მატყუარა, ყბედ
ასოებს და კომენტარს ადებენ.
ჩემგან ციფრები გაიქცნენ
ან განზე გადგნენ,
როცა მე მათ
ჩემი მინუსებით ან გამრავლების
ნიშნებით უკან დავდევდი.

სარკის სიმღერა

მე ვარ სარკე მას შემდეგ,
რაც ყველაფერს
ვეწილადე.
დაბინდული და დაორთქლილი
უადგილო წვიმაა
ჩემი აღნაგობა,
ვიდრე არ დამაჯენენ
და ამოვიჩიჩქნი წელიწადებს,
საიდანაც აორთქლდა

ყველა ადამიანი,
ვინც ვერ შევიშრე
საგანგებოდ ჩანიშნული
და ნაღვლობდა
ჩემი ნესტის გამო.
ვუადვილებ მათ გაქრობას,
რომ ხავსად არ გადაიქცნენ
ერთგულების ნიშნად.
ნესტს ვერ შეველევი,
რადგან მზის არეკვლას
ჩემი წყლებით ვლამობ.

მართა, მარია

რას გვანან თავები
ფეხების გარეშე,
ტანები გაიბზარნენ
მარიამებად და მართებად,
სახელები გადაუქცია
ქრისტემ მათ
წოდებად.
ფეხსა და თავს შორის
ტოლობაა და დათმენა,
თორემ მარტოობას
მოიტანდა ურთიერთგათელვა.
თავი და ფეხები
ერთმანეთში სწორდება
(თავი ისმენს,
ფეხები ემსახურებიან
ქრისტეს).
მანძილი თავიდან ფეხებამდე
უსიტყვო გზა და კვალია,
ძნელია აარჩიო ამ ერთობიდან
მართა ან მარია,
ახალმა დროებამ თუ არ მოიტანა
ტანის სიმრთელე,
ქრისტე არ გარია.

ლოდის სიმღერა

მწიფობა ჩემი წესია,
ამიტომ სიცილებიც
მეგონა ჩემი ნაყოფები.
ბუნების სუნი მიღიტინებს
და მაიძულებს, ვიყო
სამხიარულო სამყოფელი.
ისეთი სახე მაქვს,
მაინც ვაი-ვუშის ქალს მეძახინ,
წკმუტუნები დამდევენ უკან

გამუდმებით.
გულს გავაწვრილებდი, რუტინას ავაწყობდი,
მაგრამ შეცდომა რომ ჩავიდინო –
სხვებს ასეთი ვუნდივარ.
აზრიც არ გამაჩნია
საკუთარი
ისეთი არამყარი ვარ
და ემოციების კოწიწები.
ლოდის მშურს,
ბოლომდე თავისი რომ გაიტანა
და მტკიცებულებაა
მოწიწების.

ომის სიმღერა

ეს არის ომი,
დაუნდობელი,
ღიმილის ფონზე,
წესიერების ფარგლებში,
რაც ძირს დავეშვი და
მიწაში ვიქექები
ნისკარტით და დეზებით.
ეს ომი არ მბეზრდება,
რაკი გამარჯვება ბოლოშია
და საბოლოო.
სულ ვმარცხდები, რადგან
ერთი გამარჯვებაც
შეწყვეტს ამ ბრძოლას
და გამარჯვებულის სახელი
მექნება უშინაარსოდ.
ეს არის ომი
ბავშვობასთან, ქალობასთან,
ყველაფერთან, რაც
წილად მერგო,
ვითომ მომეცა.
ბევრს დანანებით გავატანე
ნადავლი,
ადამიანები, ვინც ვერ მოვიყოლე
აქამდის.
სიჭრელის მიწურულს ვგრძნობ,
უკვე ბევრის მცოდნე ვარ, მავალი ვიწროზე.
ომი მე დავიწყე დაბადებიდან,
ხელები კალთაზე
ერთხელაც არ დამიწყვია,
სიცოცხლეშივე
გავამწარე ცხოვრება.

მარინე ქაციბაიას უნარები

ხელების ოჯახში ათი წევრია,
ოჯახს, ხელი რომ მავნებლობაზე
წაუცდება,
ათივე წევრი თითს გრძნობს
დაუცველად.
ჩამოყრის ბეჭედს,
საქორწინოს ან სამახსოვროს,
და სამი თითი
უნდა აკოწიწოს,
წყალობის ადრესატი
რომ დაახსომოს.
ზოგის ყველა თითი,
ხეებივით დაგრეხილი
და ქმედებაწახდენილი.
რა უნარებით ახერხებს:
ლექსებს და ნახატებს
აჩენს ფურცლებზე ისე,
რომ არც ეხება.

სამშობლოს სიმღერა

წყნარ სამშობლოს მოვინატრებ,
სადაც შფოთავენ ვალმოხდილები
და ისვენებენ მოღალატენი.
როცა სამშობლო მშობელია
და მე – მასზე ხელჩაკიდული შვილი,
ერთმანეთს მივათრევთ
ერთმანეთისკენ,
მხარდამხარ სიარული თუ
დაუშვებელია.
კრავი არ მინდა ვიყო,
არც – მოასპარეზე ცხენი.
ჭადრაკის დაფას მივუსხდებით ორივენი,
სადაც რომელიმე დავმარცხდებით.
ნუ იქნება სამშობლო
სასიმღერო და სალექსო,
ნურც მე – მისი მგოსანი.
სამშობლო თავზე გადამესხა,
აქამდე მხოლოდ ვყნოსავდი.
ჩემი დაბადების ადგილია იგი,
თბილი და სურნელოვანი ბაგასავით,
და ასე იქნება,
ვიდრე თავისი მზისა და მთვარის
ხოტბით არ დამასაქმებს.

როსტომ ჩხეიძე

„ნეტამცა არა მეცადა...“

ბიოგრაფიული რომანიდან „საგა ვახტანგური (ვახტანგ ჭელიძის ცხოვრების ქრონიკა)“

რამდენი რამის დაწერა არ დასცალდებოდა მიხეილ ჯავახიშვილს და, მათ შორის, მოგონებათა წიგნის შექმნაც.

გადაწყვეტით კი უკვე გადაეწყვიტა მისი დაწერა.

ცოტა ადრე არ იყო მისთვის მოგონებანი? ჯერ მხოლოდ ნახევარი საუკუნე მოეტოვებინა უკან, მეტი ხომ არა.

თუმც ვის დაუდგენია, რა ხნისამ უნდა მოჰკიდო ხელი განვლილი გზის გადატანას მხატვრულ-დოკუმენტურ ქარგაში. მითუმეტეს, თუ ავად შემართულა პოლიტიკური რეჟიმის ცელი და დარწმუნებით აღარც იცი, მეორე დღე გაგითენდება თუ არა.

არაფერი შემოგვრჩებოდა ამ განზრახვის, გარდა ეპიგრაფად შერჩეული სტრიქონებისა, მიხეილ ჯავახიშვილი გი დე მოპასანის რომანიდან „ცხოვრება“ რომ ამოიწერდა:

– იმაზე საშინელი არაფერია, როდესაც მოხუცი ხელახლა იწყებს თავისი ცხოვრების ჩხრეკას.

პარადოქსია ეპიგრაფად ამ სიტყვების შერჩევა?

თუ იზიარებ ამ გამოთქმულ აზრს, მაშ მოგონებებს არც ჩაუჯდები და... მაშინ, ცხადია, აღარც ეპიგრაფის შერჩევა დაგჭირდება მისთვის.

ამიტომაც უნდა ვიგულისხმოთ, რომ მარილი სწორედ მის პარადოქსულობაშია, რაც გიბიძგებს – თან ხელახლა დაიწყო საკუთარი ცხოვრების ჩხრეკა და... თან სულაც საშინელებად მიგაჩნდეს ეს საქციელი. ვერც მოეშვა და სინანულის განცდაც არ გასვენებდეს, ნეტა ტყუილუბრალოდ არ ვირჯებოდეო.

დიდი ზნეობრივი გადასახედიდანაა წარმოთქმული ეს შეგონება, სულ სხვა განზოგადებას რომ იძენს ეპიგრაფად გატანისას.

სწორედ ეს პარადოქსულობა მოხიბლავდა ვახტანგ ჭელიძეს.

იქ თავის მოსაზრებას არ დაურთავდა, და მხოლოდ შემდეგ, როდესაც ავტობიოგრაფიულ რომანშიც გაიმეორებდა, დასძენდა:

მოპასანი იქნებ იმათაც გულისხმობს, როგორ გაუძნელდება ადამიანს განვლილი ცხოვრების ქაღალდზე გადატანა.

ყველაზე დამაჯერებელ ახსნად ეს მოეჩვენებოდა, თუმც ბოლომდე მაინც არ დააკმაყოფილებდა: იქნებო!..

და გულისწუხილიც რომ აჰყვებოდა მიხეილ ჯავახიშვილის დაუწერელი მემუარების გამო, მისი „უბის წიგნაკის“ ეს პასაჟი დაენანებოდა დასაკარგავად თუ მისაყრუებლად და საგანგებოდ გადმოიტანდა თავის ჩანაწერებში, როგორც მეტად საგულისხმო მიგნებასაც და... თავისებურ გზამკვლევსაც საკუთარი მოგონებების წიგნისათვის, რომლისთვისაც სათაურიც შეერჩია და გაშლილი თხრობაც წამოეწყო, თხრობა, რომელიც, სამწუხაროდ, სიყმაწვილის ხანას ვერ გამოსცდებოდა, არსთაგამრიგე არ დააცლიდა XX საუკუნის საზოგადოებრივ-კულტურული ყოფის მხატვრულ-დოკუმენტური მატიანის შექმნას, უშუალოდ ამოზრდილს XIX საუკუნის ეროვნულ და ესთეტიკურ მრწამსზე, ეპოქისა, რომელსაც არანაკლები სიცხოვლითა და ხელშესახებლობით განიცდიდა, ვიდრე თვალწინ ჩავლილ დღეებს; ის კი არა, სულაც იმ სამზერიდან გადმოჰყურებდა თავის დროს, იქიდან იგნებდა გზას და სულისმოსათქმელადაც ის ეგულებოდა.

ეს ამონარიდი უნდა ყოფილიყო ვახტანგ ჭელიძის მოგონებათა წიგნის გამხსნელი, თუმც ბოლო წამს მაინც ფრენსის სკოტ ფიცჯერალდის სიტყვებს მოიხმობდა ავტობიოგრაფიული რომანის დასაწყებად, უძირო სევდით გაჟღენთილს:

– ყველაფერი მიდის და მხოლოდ მოგონებები რჩება...

სენტენცია სენტენციად, მაგრამ ეს გარემოებაც არანაკლებ ჩააფიქრებდა: განა რამდენისა გახლდათ ამ სიტყვების წარმოთქმისას ამერიკელი მწერალი, 44 წელზე მეტი რომ ვერც იცოცხლაო.

– ცხოვრების დასასრულს მეც მოგონებებიღა დამრჩა...

და ინანებდა, რომ უფრო ადრე არ დაეწყო წერა: მაშინ იქნებ არც გამძნელებოდაო. და ყველაფერს საკუთარ ხასიათს გადააბრალებდა:

– ყველაფრის სახვალიოდ ანუ სამერმისოდ გადადება მიყვარს. ეს ერთი დიდი ნაკლი მაქვს. საბაბს ყოველთვის გამოძებნი: ხან ავადმყოფობას მოიმიზეზებდი, ხან მოუცლელობას...

და ამოდიოდა დავით გურამიშვილის ლანდი, ავტობიოგრაფიული რომანი ლექსად რომ გაემართა, ლიტერატურულ განძს გვიტოვებდა და თან საკუთარი თავის ყვედრებას ვეღარ აუდიოდა: რაც დამრჩა, ვერ ვთქვი; მეწადა მეთქვა გრძლად, თავი მეცადა... ვერა ვთქვი, მოცლას ვუცდიდი, ნეტამცა არა მეცადაო...

და დრამატიზმით აღსავსე სტრიქონები რომ დაუგროვდებოდა ავტობიოგრაფიული რომანის დაწყებისთანავე, მთლად აღარ დაუჯდებოდა გონებაში ასეთი განწყობილება. ამ განცდას ხომ არ ჩავეთრევინებიო, – და... ბედად წამოაგონდებოდა ჩარლზ დიკენსის ის ახირებული პერსონაჟი, მოხუცობისას სულ მემუარების წერას რომ ცდილობს, დღედაღამ ამაზე ფიქრობს, მაგრამ როგორც კი მაგიდას მიუჯდება და ფანქარს მოიმარჯვებს, მემუარების ჟინი ხელადვე გადაუვლის და ქაღალდზე რაღაც ფიგურები გამოჰყავს.

იმას ასე გაუგრძელდებოდა წლიდან წლამდე და ვახტანგ ჭელიძე თავს იმ პერსონაჟთან რომ გააიგივებდა, იცინებდა და რას იცინებდა – იმაზეც და საკუთარ თავზეც, და გალაღებული ღმერთს შესთხოვდა: ნეტა იმ კაცს ბოლომდე არ დამამსგავსო, მე ხომ ხატვა და ფიგურების გამოყვანა არ მეხერხება, მაგიდასთან მისვლა და კალმის აღება მიჭირს, ეგაა და ეგო.

და კვლავ მოპასანის სიტყვებს ჩაუკვირდებოდა და მიხეილ ჯავახიშვილის აჩრდილსაც გახედავდა: ნეტა როგორ განმარტავდა ამ ფრაზას, რითი მიიქცია ყველაზე მეტად ამ სტრიქონმა მისი ყურადღება, გამოცალკევებით ერთბაშად რომ განაზოგადა და შეგონებას დაამსგავსაო?!.

სათაურიც შეერჩიაო...

„ჩვენი საუკუნის პარადოქსები“ – ასე მარჯვედ და მოხდენილად ჩაეწურა თანადროული ჟამიც და მოგონებათა წიგნის სულისკვეთებაც რამდენიმე სიტყვაში, და ეგებ მისი შერჩევისას სწორედაც მიხეილ ჯავახიშვილის მიერ მიკვლეული და განზოგადებული მოპასანისეული ფრაზაც წაადგა – მისმა პარადოქსულობამ დაუბეჯითა, კარგი იქნება, თუ დროის პარადოქსულ სულსა და მდინარებას სახელწოდებაშივე გაიტანო.

ბავშვობის მოგონებანი რომ იწყებდა მემუარების ამ წიგნს, არამარტო პირადი თავგადასავლის გასახსენებლად, არამედ – და კიდევ უფრო მეტად – იმ სოფლური ყოფის წარმოსასახავად, გურიის ერთი სოფლის, ბახვის, მაგალითზე რომ უნდა განზოგადებულიყო და ქართული სოფლის ის სახე შემოეტანა მკითხველის ცნობიერებაში, უკვე რომ დაკარგულიყო და მემუარისტისა და მისი თაობის ცნობიერებასღა შემორჩენოდა – კანტიკუნტად მიმოფანტულს.

შეყვებოდა და შეყვებოდა იმ დღეებსა და სურათებს და, რაკიღა ფართო გეგმა დაესახა და უამრავი ამბისა და პერსონაჟისათვის უნდა მოეყარა თავი, გზადაგზაც დაიწყებდა იმ დეტალებისა თუ ფრაგმენტების ჩანიშვნას, უეცრად რაც წამოაგონდებოდა და სწორედ ისეთი კუთხით, მემუარებისათვის რომ იგულისხმებდა.

თავისთვის ჩანიშვნას არ იკმარებდა და თავიდანვე ისეთ ფორმას გამოუძებნიდა, უფრო ადვილად რომ მიეჩინა ადგილი ავტობიოგრაფიული რომანის თხრობისას. თუმც შესაძლოა ერთიან თხრობაში სტილურად რაღაც-რაღაც ცვლილებანიც შეეტანა ამ ცალკეულ ფრაგმენტებში (ეგებ არცა), მაგრამ მასალად კი აგროვებდა და მიხეილ ჯავახიშვილის დაუწერელი მემუარების ის ეპიგრაფიც საგანგებოდ ამიტომაც განმეორდებოდა მის ჩანაწერებში, უეჭველად მსჯელობას შემოქსოვდა მის ირგვლივ – ან წინასიტყვაობაში, ან ბოლოთქმაში, ან იქნებ თხრობის მდინარებასაც მორგებოდა.

მიხეილ ჯავახიშვილის აჩრდილი არაერთხელ ჩნდება ამ ჩანაწერებში, რაც დაბეჯითებით გვარწმუნებს, რომ მისი პორტრეტი საკმაოდ რელიეფურად ჩაიხატებოდა „ჩვენი საუკუნის პარადოქსების“ ფურცლებზე, და ერთხანს ფიქრობდა, რომ სულაც მაშინ ემჯობინებოდა იმ გამოუყენებელი ეპიგრაფის შეხსენება მკითხველისათვის... თუმც სადაც უნდა მიეჩინა ადგილი,

გამჭვირვალე ქვეტექსტით მივეხვედრებინეთ, ეს პარადოქსი ჩემთვისაც არანაკლებ მახლობელია და დაე ამ მოგონებებს ამ კუთხითაც ჩაუკვირდითო.

ჩანაწერები, როგორც მასალა მოგონებებისათვის, საკმაოდ დაგროვდებოდა და, თუმც გაბმულ თხრობაში გადატანა არ ეღირსებოდა, თავისთავად ლიტერატურულ ღირებულებას ხომ მაინც შეიძენდა, და ამ დამოუკიდებელ ჟანრს – ჩვენშიც უკვე საკმაოდ ფეხმოკიდებულს – მრავალმხრივ მნიშვნელოვან თხზულებად შეემატებოდა.

„ტკბილ-მწარე ამბების“ სახელწოდებით მონათლული ეს ნაწარმოები უკვე აღარ წარმოგვიდგება მარტოდენ ავტობიოგრაფიული რომანის დანამატად თუ თავისებურ კომენტარ-ექსკურსებად უშუალოდ ამ ჟანრში მიღწეული იშვიათი წარმატების წყალობით.

და ეს სავსებით ბუნებრივია ვახტანგ ჭელიძის რანგის შემოქმედისა და მოღვაწისაგან, რადგანაც რასაც ხელს შეახებდა, ლიტერატურული საქმიანობა იქნებოდა თუ საზოგადოებრივი, ყველგან და ყველაფერში ქრესტომათიულ ნიმუშს ქმნიდა და აღწევდა კლასიკურ სიღრმესა და სისადავეს.

და რატომ გაგვიკვირდეს მისი ჩანაწერების ბრწყინვალება, როდესაც:

„ქართლის ცხოვრების ქრონიკები“ ნიმუშია იმისა, თუ როგორ უნდა იწერებოდეს ერის ისტორია მხატვრულ-დოკუმენტური სტილით.

„ცხოვრება ივანე მაჩაბლისა“ – როგორი უნდა იყოს ბიოგრაფიული რომანი.

აურაცხელი თარგმანები – როგორ უნდა მოეძებნოს თვითეული მწერლის მხატვრულ სამყაროს შესაფერისი გასაღები და სტილურ-ენობრივი რიტმი და შინაგანი მუსიკა.

ლიტერატურული პორტრეტების სერია – რას ნიშნავს ეს ჟანრი თავის უმაღლეს გამოვლინებაში.

ესეების ციკლი – ესენიც ჩვენი ესეისტიკის უკეთეს ნიმუშთა შორის ნაგულისხმევი.

„ცისკარი“ – როგორი უნდა იყოს სალიტერატურო ჟურნალი.

„ხომლი“ – როგორი უნდა იყოს მთარგმნელობითი ჟურნალი.

„ლიტერატურული საქართველო“ – როგორი უნდა იყოს სამწერლო გაზეთი.

„მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა“ და „მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა ბავშვებისათვის“ – როგორი უნდა იყოს საგამომცემლო პროექტები.

და „ჩვენი საუკუნის პარადოქსების“ დასაწყისიც ამასვე მიგვანიშნებს, ავტობიოგრაფიულ ჟანრსაც რომ მკვეთრად დაატყობდა თავის ხელოვნებას.

მაგრამ...

ნეტამცა არა მეცადაო...

არადა, იშვიათ მეხსიერებას თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე შეინარჩუნებდა, ცინცხალსა და ალესილს, მართლაც გასაოცარს, ოღონდ ახლოსაც არ გაიკარებდა ქებას: ასე ყველაფერი როგორ გახსოვთ, თვით უწვრილმანესი დეტალებიცო.

მეხსიერება იმათ ჰქონდათ თუ ჰქონდათ, ერეკლე ტატიშვილსა და თედო სახოკიას, ჩემი რა მოსატანიაო, – ხელსაც აიქნევდა და გაიცინებდა მისებური, ვახტანგ ჭელიძისებური სიცილით, ლაღით, მხიარულით, მკრთალი ირონიაც რომ გადასდევდა... ხან კი ისეთი სარკაზმიც, ნურავინ მოჰყვებოდა მის შუაგულში...

დღიურებს ამიტომაც არ ინიშნავდა.

თუმც ავტობიოგრაფიულ რომანს რომ ჩაუჯდებოდა, მაშინ კი გაკენწლავდა გულზე, ნეტა ჩამეწერა, იმწამიერი განწყობილებანი შემომენახა, ვინ იცის, სად და როგორ გამომდგომოდაო.

ასე პირდაპირ არსად გამოთქვამს ამ გულდაწყვეტას, თუმც ძნელი არ არის ამოვიკითხოთ მისი ჩანაწერების იმ პასაჟიდან, სომერსეტ მოემის მემუარული თხზულებიდან – „შეჯამება“ – რომ ამოუწერია:

– დღიური ჩემს დღეში არ მიწერია და ახლა ვნანობ ამას.

რატომ მიიქცევდა ეს ფრაზა მის ასეთ ყურადღებას?

ცხადია, რატომაც.

თავის განცდასა და ფიქრს გამოახვევდა ინგლისელი მწერლის სინანულში.

სინანული სინანულად და... ეს რაღაც მოულოდნელი განცდაც რომ გაუჩნდებოდა?

საოცარიაო, – სხვა სიტყვა ვერც მოეძებნა მის შესაფასებლად:

– დიდი ხნის ამბავი, რაიმე მოვლენა, შესანიშნავად გახსოვს – დეტალებით, ნიუანსებით. გადის წლები და თავიდან არ ამოდის. მაგრამ საკმარისია ფიქსაცია უყო, რომ ატყობ, თავიდან ამოვარდნას, დავიწყებას იწყებს.

ნეტა მას ემართებოდა ასეთი რამ თუ საყოველთაო მოვლენა გახლდათ? სხვა მწერლებთან ასეთი რამ არ ამოეკითხა, თუმც ეგებ მაშინ ყურადღება არ მიექცია ამ ფსიქოლოგიური გარემოებისათვის, და ახლა კვლავ რომ გადაეკითხა სხვათა მემუარული ყაიდის ჩანაწერები, ეს გულისტკივილი არაერთთანაც აღმოეჩინა?

ყოველ შემთხვევაში, დაე თავისი დაეჭვება გულღიად გამოეთქვა: ეგრეთწოდებული ჩანაწერები, დღიურები, ისეთივე ცოცხალ და მართალ შთაბეჭდილებას ვერ ინახავს, როგორსაც გონებაო. გონება შესაძლოა რაღაც მცირე სიზუსტეებში შემცდარიყო, მაგრამ არსებითი, ცოცხალი შთაბეჭდილება აქ უფრო უტყუარი გახლდათ.

რა – ათვალწუნებით უყურებდა ამ ჟანრს?

მაშ ასერიგად აღტაცებული რატომღა იყო მემუარისტული ლიტერატურით – გაბმული თხრობა იქნებოდა თუ ცალკეული ჩანაწერები, დღიურის ფორმისა? გზამკვლევად რატომ ეგულებოდა როგორც პიროვნების, ისე ეპოქის სულში შესაღწევად? და შალვა დადიანიც რატომ არ მოესვენებინა, ვიდრე ავტობიოგრაფიული რომანის საწერად დასვამდა?

თუმც გასაგებია ეს შინაგანი ჭიდილიც და მოგონების მართლაც უცნაური ბუნებაც – ფურცელზე გადატანის შემდგომ რაღაცას რომ ჰკარგავს, მემუარისტის თვალში – სულაც არსებითს და მძაფრი, გაუნელებელი შთაბეჭდილების ანარეკლადღა რჩება.

მაგრამ განა ასე არ არის ყოველი მხატვრული ქმნილება?

ადამიანური სიტყვა ვერ გაწვდენოდა გულში ნატანჯის, ნაფიქრალისა და ნაოცნებარის შესაფერისად გადმოტანას ფურცელზე და მწერლური სადარდებელიც ეს ყოფილა იმთავიდან ამთავამდე... და მოგონებანი რაღა გამონაკლისი იქნებოდა?!.

გონების მიერ შემონახული არსებითი, ცოცხალი შთაბეჭდილება მართლაც უფრო უტყუარია, მაგრამ ზეპირი მოყოლაც რომ აკარგვინებს ამბავს მთხრობელისათვის რაღაც მშობლიურსა და სანუკვარს?

მაშ ვერანაირად ვეღარ გამოგითქვამს და ეგაა!..

და რას იზამ, უნდა შეეგუო იმ არსებითისა და სიცინცხალის დაკარგვას შორეულ ანარეკლთა შემოსანახად.

ვახტანგ ჭელიძეც... ბოლოსდაბოლოს, შეეგუებოდა.

ნეტამცა არა მეცადაო...

მემუარისტული პასაჟები თუ ეპიზოდები არაერთხელ გამოჩნდებოდა მის ესეებსა თუ ლიტერატურულ პორტრეტებში, ზოგიერთი ნიმუში – ვთქვათ, „ათი წელი ერეკლე ტატიშვილთან“ თუ „პოეტის უკანასკნელი დღეები (ალექსანდრე საჯაია)“ სულაც თავიდან ბოლომდე აიგებოდა მოგონებებზე, მაგრამ ავტობიოგრაფიული რომანი მაინც სხვა გახლდათ და... ვერა და ვერ მოეცალა საამისოდ.

მემუარების წიგნს ვიღა ჩივის, ბიოგრაფიული რომანების სერიაც გვერდით რჩებოდა და ეგაა, ივანე მაჩაბლის ცხოვრება ერთ-ერთ ნიმუშად რომ წარმოუდგებოდა, როდესაც ამ ჟანრს მოჰკიდებდა ხელს და თავიდანვე მოინიშნავდა ალექსანდრე ჭავჭავაძის, ალექსანდრე ორბელიანის, სერგეი მესხის, ეგნატე ნინოშვილისა თუ გაბრიელ ეპისკოპოსის ცხოვრების ქრონიკების შედგენას. ეს – რასაც უახლოეს მეგობართან გაამჟღავნებდა, ოთარ ჩხეიძესთან, კიდევ სხვანიც ჩაეთქვა ალბათ გუნებაში, ერთბაშად სურდა ხელი მოეხვია მთელი XIX საუკუნისათვის და, ვინ იცის, რამდენი პორტრეტის გაცოცხლება დასჭირდებოდა, რამდენი ამბის ამოზიდვა და სამუდამო ჩაბეჭდვა საზოგადოებრივ ცნობიერებაში... და რომანი ივანე მაჩაბელზე ერთადერთ ნიმუშად რომ რჩებოდა, ძალიან განიცდიდა.

გაბრიელ ქიქოძეზე ბიოგრაფიულ ნარკვევს მაინც შექმნიდა – ეს ის არ გახლდათ, რაც განეზრახა, მაგრამ ნარკვევი ხომ მაინც იყო, თავისი შინაგანი სივრცით – მონოგრაფიის ტოლფასი, დროს თუ იშოვნიდა და გაშლიდა, ბიოგრაფიულ რომანს სხვა კი აღარაფერი უნდოდა.

ეს დრო სად იყო, თორემ!..

შემაერთებელი ხიდი XIX საუკუნესთან ეს სამი პიროვნება გახლდათ მისთვის: თედო სახოკია, შალვა დადიანი და გერონტი ქიქოძე. და მათი ლიტერატურული პორტრეტების წარმო-

სახვით გაწალდავდა გზას იმ საუკუნეში მთელი არსებით შთასანთქმელადაც და მკითხველის შესაყოლიებლადაც.

და კიდევ XX საუკუნის 20-იანი წლების სულის შეგრძნებით, წლებისა, დიდებული მეცხრამეტე საუკუნის უშუალო გაგრძელებად რომ ესახებოდა, ინერციით, მაგრამ ხომ ჯერაც მოისმოდა ის სუნთქვა და კიდეც ინარჩუნებდა თავის დიდ მიმზიდველობას.

– ეს ყველაფერში იგრძნობოდა.

კულტურის ზოგად მდინარებაშიც, საზოგადოებრივ ყოფაშიც, ტრადიციული სოფლის გარემოს შენარჩუნებაშიც... და აშკარა თუ შეფარულ ნიუანსებშიც.

ნანგრევებად რჩებოდა ეს ყოველივე?

ნაშთად და ნამუსრევად?

კრთოდა და ასხივებდა დიდი სამყარო – ოქროს ხანის მოლანდება ხელშესახები გაეხადათ ილიასა და მის თაობელებს, სახელმწიფოებრიობადაკარგულ მიწა-წყალზე ოცნების საქართველო წარმოესახათ, სულიერი აღორძინება და ეროვნული თავმოყვარეობის შეგრძნება გამოეტაცათ წყვდიადისაგან და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესი ისეთი სიმხნევით წარემართათ, გარდუვალი გახლდათ დამოუკიდებლობის ამოგებაც და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებაც, ადრე თუ გვიან საკაცობრიო ცხოვრების უშუალო მონაწილედაც რომ გვაქცევდა.

აგერ 20-იანი წლები, აგერ იმ სამყაროსთან შემაკავშირებელი პიროვნებანი და... აგერ წყურვილი XIX საუკუნის შესაფერისი გადაშლისა შთამომავლობის წინაშე.

– მეცხრამეტე საუკუნის ამბებზე რომ ვწერ, რაღაცნაირად გადავდივარ იმ ეპოქაში, თითქოს იმ ხალხს ვუერთდები, და ეს თავისთავად მაშორებს და მიადვილებს ბევრ თანამედროვე ადამიანთან ურთიერთობის სიძნელეს. ამიტომ როგორმე ჩქარა უნდა დავამთავრო ქრონიკები და მე-19 საუკუნის ქრონიკაზე გადავიდე.

„ქართლის ცხოვრების ქრონიკები“ თუ გაბმულ თხრობად განეზრახა ჩარლზ დიკენსის „ინგლისის საყმაწვილო ისტორიის“ მსგავსად, XIX საუკუნის ქრონიკა ბიოგრაფიულ რომანთა ციკლად ჩაეფიქრებინა.

როგორმე ჩქარა უნდა დავამთავროო...

ჯერ დაუგვიანდებოდა საქართველოს ისტორიის მხატვრული მატიანის შექმნა, მერე – გაუჭიანურდებოდა... და ადრე თუ იმ დაგვიანებას წუხდა, ახლა უკვე მოთავებას ესწრაფოდა იმ ეპოქაში გადასართველად, ყველაზე „მშობლიურად“ რომელიც ეგულებოდა და გული წყდებოდა, იმჟამად რომ არ დაბადებულიყო.

რაცა ვის რა ბედმან მისცესო!..

„ივანე მაჩაბლის ცხოვრებაზეღა“ ეკიდა XIX საუკუნის ხელშესახებად და თავით ბოლომდე აღდგენა-წარმოსახვის განზრახვა, და თანდათანობით დიდი სინანულით რომ შეკვეცავდა გუნებაში ნაგულისხმევ მთავარ გმირთა სიას, ეგნატე ნინოშვილის სახებასღა მოეჭიდებოდა, ეგებ ის მაინც აღარ გასხლტომოდა...

საბოლოოდ იმაზეც მთლად ხელს თუ არ ჩაიქნევდა, გადავადებას ამჯობინებდა და... თავის გამოვლილ გზას გახედავდა, მრავალმხრივ საგულისხმო ამბებისა და ისეთი მრავალფეროვანი პერსონაჟებით გადავსებულს, მის კალამს რომ მოელოდა ასამეტყველებლად.

XIX საუკუნის სიღრმეში ჩასაძირად ივანე მაჩაბლის ცხოვრების ქრონიკა მაინც გვეგულებოდა მეგზურად, და ახლა დაე XX საუკუნის პარადოქსული სულის ლაბირინთებში ხეტიალისასაც გამოგვდგომოდა მისი მონათხრობი – ეს უკვე ავტობიოგრაფიულ ყალიბში ჩასხმული.

ბელეტრიზებისათვის მასალა თავზესაყრელად ჰქონდა და, რომ დასცლოდა, ლიტერატურულ პორტრეტთა და სილუეტთა ისეთ წყებას ჩაგვიხატავდა, არამარტო ღირსეულ პიროვნებათა ხასიათებს, არამედ ოდიოზური ადამიანებისასაც, ამ საუკუნის ტრაგიკომიკურობას თვალნათლივ და დიდი ექსპრესიითაც გადაგვიშლიდა თვალწინ.

როდესაც „ქართლის ცხოვრების ქრონიკების“ მხატვრულობას ახსენებდნენ ხოლმე, შიშობდა, ეს დახასიათება გამოუცდელ, მიამიტ მკითხველს არასწორად არ გაეგო და ავტორისაგან ფსევდოსტილური აღწერანიც არ მოეთხოვა, ცრუპათეტიკით გაჟღენთილი, და ამიტომაც აფრთხილებდა ყველას, რომ მის ისტორიულ ქრონიკებში ტყუილუბრალოდ ნუ დაუწყებდნენ ძებნას ბელეტრიზებას, მხატვრული აღწერის პირდაპირი მნიშვნელობით – ნამდვილი ლიტერა-

ტურული ღირებულებისასაც კი (არამცთუ ფსევდოსტილური ღვლარჭნილობით შეზავებულს): ასეთი ადგილები ცოტა მაქვსო.

მაშ მის თხზულებათა ბელეტრისტული ყაიდა რას გულისხმობდა?

რას და:

გმირების ხასიათთა გამოკვეთას, ფსიქოლოგიურ დახასიათებას, ცალკეულ მოვლენათა ფსიქოლოგიურ მოტივირებას...

– ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვან ფაქტს არ ვუშვებ, რომ ამისთვის არ გამოვიყენო...

და ეს თვით „ქართლის ცხოვრების ქრონიკებში“, რომელიც ამის გამო შორს გასცილდებოდა წინასწარ შემოსაზღვრულ სივრცეს და არამცთუ სამტომეული, ორჯერ სამტომეულიც ვეღარ აუვიდოდა მასალების თავმოყრა-დალაგებას.

საისტორიო მატიანეებიდან ამოკრებილი ძუნწი ცნობების ყოველმხრივ გამოწურვას ესწრაფოდა, რათა ისტორიულ პერსონაჟთა ხასიათების ხელშესახები შტრიხები გამოეკვეთა, სულაც სილუეტები მოეხაზა და სრულყოფილი პორტრეტების აღდგენაც მოეხერხებინა... ყველა წვრილმანი, სხვათათვის შეუმჩნეველი დეტალები ამოეზიდა პიროვნებათა თუ მოვლენათა ფსიქოლოგიური მოტივირებისათვის... და აქ ხომ, მის თვალწინ ჩავლილი პროცესის გახსნისას მთელ თავის ბელეტრისტულ უნარს გადმოშლიდა უხვი მასალის წინაშე მდგარი, რომ აღარც კი იცი, როგორ გადაარჩიო ეს ყოველივე... თუმც ეს წამიერად, რადგანაც ყოვლად შეუძლებელი გახლდათ, ვახტანგ ჭელიძის რანგის მთხრობელს გაძნელებოდა მრავალფეროვანი და თუნდ ქაოტურად აჭრილი მასალის დაუფლება და თავისი ხელოვნებისათვის დამორჩილება.

მითუფრო გულდასაწყვეტია, მისი მემუარებისა მხოლოდ დასაწყისი რომ შეგვრჩენია ხელთ და მიმობნეული ფრაგმენტები.

ერთიანი ავტობიოგრაფიული რომანი თედო სახოკიას არც დაუწერია, თუმც მემუარული ყაიდის წიგნების მთელ წყებას დაგვიტოვებდა: იქ ბავშვობის ნოსტალგია – „როგორ ვიზრდებოდით ძველად“, იქ საქართველოს კუთხეებში მოგზაურობისა და ციმბირის გადასახლებიდან გამოქცევის ქრონიკები, იქ ლიტერატურულ პორტრეტთა და სილუეტთა სერია – „ჩემი საუკუნის ადამიანები“.

გერონტი ქიქოძის მოგონებანი დიდად ვერ გამოსცილდებოდა ბავშვობისა და სიჭაბუკის ხანას და ძალზე მკრთალი გამოვიდოდა, ვიდრე ამ რანგის მოაზროვნისა და სტილისტისაგან, ასეთი ენაწყლიანი მთხრობელისა და ფსიქოლოგისაგან გახლდათ მოსალოდნელი... თხრობა იქ წყდებოდა, საიდანაც, წესითა და რიგით ნამდვილი მემუარები უნდა დაწყებულიყო... და მხოლოდ საბჭოთა რეჟიმის დამხობის შემდეგ ამოვიდოდა სამზეოზე იმ რანგის ავტობიოგრაფიული თხზულება, გერონტი ქიქოძეს რომ შეშვენის, და ამიტომაცაა, „თანამედროვის ჩანაწერებში“ მთელი ეპოქის ტრაგიზმი დიდი ხელოვნებით რომ გამოკვეთილა – თანამედროვეობის უკეთესი ქრონიკა რაღა გინდა!.. და ვახტანგ ჭელიძეც აღტაცებული დარჩებოდა მემუარების ამ წიგნის შემოტანით სალიტერატურო მიმოქცევაში და კიდევ უფრო გაუმძაფრდებოდა სურვილი, თვითონაც მიეხედა მოგონებებისათვის.

მეც რომ ვაძალებდი და ვაგულიანებდი!..

თავს ამის უფლებას იმიტომაც ვაძლევდი, რომ ვიცოდი მისი ამაგი შალვა დადიანის ავტობიოგრაფიული რომანის „რაც გამახსენდა“ შექმნის საქმეში.

თვითონ თავშეკავებულად გაიხსენებდა „მეცხრამეტე საუკუნის სილუეტებში“, თედო სახოკიასა და შალვა დადიანის ლიტერატურულ პორტრეტებს რომ აერთიანებს: „ცისკარი“ რომ დაარსდა, ბატონ შალვასთან მივედი, იმ დროს უკვე კარგად ვიცნობდი, და ვთხოვე ჟურნალისათვის მოგონებანი დაეწერა. ცოტა ხანს დაფიქრდა, თითქოს დათანხმება გაუჭირდა. ამ დროს უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა რამდენიმე მოგონება თავისი დროის ადამიანებზე („ჩემი მარაო“) და ვერ ვიტყვი, იქნებ არც ფიქრობდა გაგრძელებას. ყოველ შემთხვევაში თანხმობის მოცემა გაუჭირდა, მაგრამ უარიც ვერ მითხრა – საერთოდ უჭირდა უარის თქმა. ვნახოთ, ვცდიო, ბოლოს მითხრა, მტკიცედ მაინც ვერ შემპირდა. ხოლო მეორედ რომ მივედი, გახარებული ჩანდა, ეტყობოდა, უკვე დაეწყო წერა. მალე მოგცემო, მითხრა. მაგრამ ჟურნალის პირველი ნომრისათვის მაინც ვერ მოასწრო. მეორე ნომრიდან დაიწყო ბეჭდვაო.

დროს დაუთქვამდა შალვა დადიანი – ამა და ამ დღეს გექნებათ ერთი ნომრის მასალა და მერე გაგრძელებებით მოგცემთ, არ დაგაღალატებთო.

კორექტურასაც ყოველთვის პუნქტუალურად წაიკითხავდა და ჩააბარებდათ ხოლმე, და ეს მაშინ, როდესაც რედაქცია გაწამებული იყო ავტორებისაგან კორექტურის დაგვიანებით.

ამ ავტობიოგრაფიული რომანის სახელწოდებასაც „რაც გამახსენდა“ საგანგებოდ მოიხსენიებს, როგორც შესაფერისს: ეს ხომ არაა გაბმული მოთხრობა მისი ცხოვრებისა, უფრო ცალკეულ ეპიზოდებს ჰგავს, მეხსიერებაში შემორჩენილს, იმას, რაც წერისას ახსენდებოდაო.

სტრიქონებს შორის ძნელი ამოსაკითხი არ არის, რომ რედაქტორი არამარტო აძალებს მემუარისტს ჩანაწერების წამოწყებას, არამედ ფაქტის წინაშეც აყენებს – ნომრიდან ნომერში რომ არის ახალ-ახალი მასალა წარსადგენი, სხვა გზა აღარ გაქვს, ვეღარ გადადებ და მთელი არსებითაც ჩაეფლობი თხრობაში.

ვახტანგ ჭელიძე არც იმას ამჟღავნებს, რომ მემუარების ფორმა სწორედ მან უკარნახა შალვა დადიანს, და კიდეც როგორ გაამართლა ამ რჩევამ. ის რომ ქრონოლოგიურად მოჰყოლოდა თხრობას, ვიდრე არ დასრულდებოდა, გაგრძელებებით ბეჭდვას აზრი არ ექნებოდა, რადგანაც შიგადაშიგ აუცილებლად შესავსები გახდებოდა. არადა, ჟურნალის ახალი ნომრის მოლოდინიც აჩქარებდა და თანდათანობითი გამოქვეყნებაც ახალისებდა.

მოზაიკური თხრობის ფორმა რომ არა, ამდენი ალბათ ვერც დაიწერებოდა!..

დაუმთავრებელია ეს მოგონებანი, მაგრამ იმდენს მაინც მოასწრებდა შალვა დადიანი, „რაც გამახსენდა“ სრულფასოვანი ავტობიოგრაფიული რომანი იყოს, თორემ აგერ, აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავალიც“ დაუმთავრებელია, მაგრამ სულაც შედევრია მემუარისტიკისა.

– შენ რომ არა, შალვა დადიანის მოგონებანი დაუწერელი დარჩებოდა, – ეტყოდა ალიო ადამია ვახტანგ ჭელიძეს სადღეგრძელოში. მანამდე შალვას ახსენებდნენ, რაღაც ამბავს მოიგონებდნენ და ალიოსაც ძალდაუტანებლად წამოაგონდებოდა „რაც გამახსენდას“ დაწერის ისტორია, მის თვალწინ რომ მომხდარიყო და შალვას ისედაც გაემხილა მისთვის: ვახტანგი რომ არა, ამის დამწერი არ ვიყავიო. ის თეატრალურ საზოგადოებას რომ თავმჯდომარეობდა, ეს ამ საზოგადოების სტამბას ხელმძღვანელობდა და, გარდა ოფიციალური ურთიერთობისა, გულითადი მეგობრობაც აკავშირებდათ, ერთმანეთს ლამის სიტყვის უთქმელადაც რომ უგებდნენ.

„სათნო და კეთილშობილი კაცი“ – ასე მოიხსენიებდა ვახტანგ ჭელიძე ალიო ადამიას სწორედ შალვა დადიანის ლიტერატურული პორტრეტის წარმოსახვისას, საგანგებოდ რომ აღნიშნავდა ამ პატარა გამომცემლობის ღვაწლს, სულ ხუთიოდე კაცი რომ მუშაობდა – უხმაუროდ და უფუსფუსოდ... ამ ადამიანებს ერთგულად გადაეღოთ დადიანის მუშაობის სტილი და ცალკე სამუშაო ოთახი არც კი ჰქონდათ – ზოგი იქვე იჯდა, იმ დიდბუხრიან ოთახში, სადაც თავმჯდომარესაც განსაკუთრებით უყვარდა ყოფნა, ზოგიც დღედაღამ სტამბაში იმყოფებოდა.

– რა კარგი წიგნები იბეჭდებოდა – ბატონი შალვას თაოსნობით და უშუალო მონაწილეობით თავი მოუყარეს და გამოსცეს თეატრალურ მოღვაწეთა მემუარები და ჩვენს არც თუ ძალიან მდიდარ მემუარულ ლიტერატურას ახალი წიგნები შეემატა – ძალიან საინტერესო და საჭირო წიგნები.

თვალსაჩინო ღვაწლი დაედო მემუარული ლიტერატურისათვის როგორც გამომცემელს, მაგრამ ავტორად შემატებას, ეტყობა, არ აპირებდა, მაგრამ რას გაუძლებდა თხოვნა-დაძალებას ახალდაარსებული „ცისკრის“ რედაქტორისა, ვისი ბიოგრაფიული რომანის გამოსაცემადაც მანამდე ძალიან გამოიდებდა თავს და დროულად აქცევდა წიგნად. ოფიციალურად მისი გამომცემლობის პროფილს სცილდებოდა ამ ყაიდის თხზულება, მაგრამ ფორმალურ საბაბად გამოიყენებდა იმ გარემოებას, ივანე მაჩაბელს განსაკუთრებული ღვაწლი რომ მიუძღოდა ქართული თეატრის წინაშე უილიამ შექსპირის რვა ტრაგედიის დიდებული თარგმანებით, დედნის ბრწყინვალების შესაფერისით.

ამ სწრაფი, დაუბრკოლებელი გამოცემით ძალიან გაიხარებდა ვახტანგ ჭელიძე, ხელახლა დაბადებასავით განიცდიდა ივანე მაჩაბლის – ლეგენდაში გადასული ერთი საუკეთესო მეცხრამეტესაუკუნელის – ცხოვრების შემოტანას ჩვენს საზოგადოებრივ ყოფაში. ეს მღელვარე, ერის ისტორიის მდინარებას გადაჯაჭვული ბიოგრაფია აღსაწერი და გასააზრებელი გახლდათ და ვის უნდა ედო თავს, თუ არა კაცს, ვინც ივანე მაჩაბლის მთარგმნელობითი მოღვაწეობის გამგრძელებლადაც მიიჩნევდა თავს (გარდა ზოგადი მეთოდისა თუ პრინციპებისა, უშუალოდ შექსპირისთვისაც რომ მოეკიდა ხელი და მაჩაბლურ ტრადიციასაც ინარჩუნებდა; და მეცხრამ-

ეტე საუკუნის მღელვარებათა მონაწილედაც, განგებისაგან მოზომილ ეპოქაზე მეტად ის ხანა რომ ეჩვენებოდა საკუთარი თავისათვის უფრო შესაფერისად.

და, რაც მთავარია, აქედან უნდა დაწყებულიყო სიყმაწვილისდროინდელი ოცნების აღსრულება – დაუწერელი არ დარჩენოდა, ერთი მხრივ, საქართველოს საყმაწვილო ისტორია და, მეორე მხრივ, მეცხრამეტე საუკუნის ქრონიკები.

უგვიანდებოდა ეს დიდი განზრახვა.

წიგნები არ აკლდა, მაგრამ... ყველა თარგმნილი: უილიამ შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“ და „ვენეციელი ვაჭარი“ ერთად, დანიელ დეფოს „რობინზონ კრუზო“ ორტომად, ჯონ მილტონის „დაკარგული სამოთხე“ და „დაბრუნებული სამოთხე“... აგერ უკვე ჩარლზ დიკენსის „ნიკოლას ნიკლბიც“ ჩამდგარიყო რიგში. დრო გადიოდა და ოდესმე ხომ უნდა წამოეწყო ორიგინალური წიგნების გამოცემაც, მით უმეტეს, რამხელა გეგმა დაესახა. და „ივანე მაჩაბლის ცხოვრებას“ თავისთავადი მნიშვნელობის გარდა პირველ მერცხლადაც დაიგულებდა ამ ნატვრის აღსრულების გზაზე.

და ეს სიხარული გახლდათ, სამუდამოდ რომ შერჩებოდა მეგობრად ალიო ადამია, უერთმანეთოდ არც ერთის ოჯახში სუფრა რომ აღარ გაიშლებოდა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობისასაც განუყრელად ერთად იქნებოდნენ.

იმ დღეების „ივანე მაჩაბლის ცხოვრების“ წიგნადქცევის პროცესის ნათელი მოსდევდა ამ ურთიერთობას, ის აცისკროვნებდა და განამტკიცებდა.

და ახლა ალიო ადამია შალვა დადიანის მემუარების შექმნაში მის წვლილს რომ გაიხსენებდა, ვახტანგ ჭელიძე აირიდებდა ამ ქებას, ხელსაც კი აიქნევდა: მხოლოდ დავბეჭდე, ეგაა და ეგო.

და მომიბრუნდებოდა ალიო ადამია:

– ასე იცის ყოველთვის, მადლიერების გამოხატვას არავის ანებებს, თითქოს მართლაც არაფერ შუაში იყოს... არადა, ვინ მოთვლის, რამდენი სიკეთე აქვს ჩადენილი...

არცთუ ძალიან მდიდარ მემუარულ ლიტერატურაშიო...

მთლად ისე მეორეხარისხოვნად და არასრულუფლებიან ჟანრად აღარ მიიჩნეოდა მოგონებანი საზოგადოების თვალში, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი აკლდა მის ჯეროვან დაფასებას და მოგვიანებით – 1974 წელს – დაწერილ ესეიში „კოლორიტული ჟანრი“, რომელიც უმთავრესად ეპისტოლურ მემკვიდრეობის მნიშვნელობას მიეძღვნებოდა და ლაკონიურად და ტევადად წარმოაჩენდა მის კოლორიტულობასაც და საჭიროებასაც, ვახტანგ ჭელიძე საგანგებოდ აღნიშნავდა ამ „მეტად ძვირფასი, მეტად კოლორიტული და საჭირო განშტოებისა თუ ჟანრის“ – მოგონებების – სრულუფლებიანობას პროზის, პოეზიის, დრამატურგიისა თუ კრიტიკის გვერდით.

ჩვენი დიდი მწერლობისათვის განუმეორებელი კოლორიტისა და ელფერის მინიჭების დასტურად გაიხსენებდა დიმიტრი ყიფიანის, აკაკი წერეთლის, იაკობ მანსვეტაშვილის, გიორგი ლასხიშვილის, სოფრომ მგალობლიშვილის, დავით კლდიაშვილისა და შალვა დადიანის მოგონებებს.

– რა დაუფასებელ განძს შეიცავენ ეს წიგნები, როგორ ავსებენ და ამდიდრებენ ჩვენს წარმოდგენას დიდ წინაპრებზე. ერის სასიქადულო შვილებზე. და არა მარტო ადამიანთა ურთიერთობას წარმოგვიდგენენ უფრო სრულად და სწორად, არამედ აზროვნებისა და კულტურის ისტორიასაც ავსებენ და ამდიდრებენ.

და დასძენდა:

რომ რამდენს დაჰკარგავდა ჩვენი ხალხი, ეს წიგნები რომ არ არსებულიყო;

რომ რამდენი ჯაჭვი ადამიანთა ურთიერთობისა გაწყვეტილი აღმოჩნდებოდა;

რომ რამდენ ფაქტს დავინახავდით მრუდე სარკეში;

რომ რამდენ საზოგადოებრივ მოვლენას მოეფინებოდა სამუდამო ჩრდილი...

და როგორ არ გამოეთქვა საყვედური, რომ ეს ჟანრი ასეთივე პატივში არ იმყოფებოდა, როგორც სხვა ჟანრები, თითქმის სულ არ ექცეოდა ყურადღება და ნაკლებ ზრუნავდნენ მისი განვითარებისათვის. არადა, ყველას შეახსენებდა ერთ დიდ სიკეთესა და თავისებურებას მხატვრული ლიტერატურის ამ ჟანრისა: მასში ხომ ისეთივე წარმატებით (ზოგჯერ უფრო მეტითაც) შეეძლო ემუშავა კომპოზიტორსაც, რეჟისორსაც, მსახიობსაც, აგრონომსაც, ინჟინერსაც... ყველას...

დაე სალიტერატურო და სახელოვნებო ჟურნალებს, გაზეთებს, ჩვენს გამომცემლობებს პრაქტიკული ღონისძიებანი დაესახათ ამ საქმის გამოსასწორებლად.

ესეის მოხდენილი აკორდი აგვირგვინებდა:

– საყოველთაოდ გავრცელებული ანდაზა – ანდერძი კაცს არ მოჰკლავსო, მემუარებსაც შეგვიძლია მივუსადაგოთ. არც მემუარების წერა დააჩქარებს ადამიანის დაბერებას.

ამ ფინალურ სტრიქონებს სიტყვა-სიტყვით შევახსენებდი, როდესაც ერთ-ერთი „შეჩენის“: როდის დაიწყებთ მემუარებს-მეთქი, – პასუხად მომიგებდა სიცილით: რას გადამეკიდე, მე ჯერ დაბერებას არ ვაპირებო!..

მაგრამ... თუკი მემუარების წერა არ აჩქარებდა ადამიანის დაბერებას?!.

და მზერაში გაოცება ჩაუდგებოდა:

– შენ რა, წერილებსაც ზეპირად სწავლობ?

– თავისით მამახსოვრდება...

– თუმც რა მიკვირს, გენეტიკურად მოგდგამს!..

„ქართლის ცხოვრების ქრონიკები“ ნთქავდა მთელს მის დროსაც და არსებასაც... აი, დაამთავრებდა და... ბიოგრაფიულ რომანებს ჩაუჯდებოდა მეცხრამეტე საუკუნის მღელვარებებზე... ეჰ, უკვე ველარ?.. აი, დაამთავრებდა და... ავტობიოგრაფიულ რომანს მაინც მოჰკიდებდა ხელს...

დასასრული არ უჩანდა იმ თხრობას.

XVII საუკუნემდე ამოეღწია და... გასააზრებელი და დასაწერი ეს იყო თუ იყო – ჯერ მარტო ამ საუკუნის პირველ ათწლეულებსაც ვერ დაიტევდა ერთი ტომი, ის კი არა, იმ დეტალიზებული სტილით, ვახტანგ ჭელიძე როგორც გამოჰყოლოდა საუკუნეებს, ვაითუ ორი და სამი ტომიც უკმარი ყოფილიყო... და მერე და მერეც... და უკვე ეგუებოდა, რომ დაუმთავრებელი დარჩებოდა ეს პროექტი. ქრონოლოგიურად – ორი საუკუნეღა უნდა წარმოესახა, მაგრამ შინაგანი აღნაგობა, კომპოზიციური არქიტექტონიკა უკვე ისეთ სივრცეზე გადაჭიმულიყო, თხრობა ისეთი ხვავრიელობით მოედინებოდა, მის მიერ მოსწრებული ნაწილი პროექტის შუამდეც კი ან აღწევდა და ან ისიც ვერა...

მოშვებით რას მოეშვებოდა, მაგრამ ავტობიოგრაფიული რომანი უკვე აღარ ეგვიანებოდა და... წუხდა, ძალიან წუხდა, ძველებური ძალ-ღონე რომ ველარ მოსდევდა...

ერთ-ერთი ინტერვიუსას მისი დროის სტუდენტობასა და ახალგაზრდობის წლებზე რომ ჰკითხავდნენ და მიუგებდა: ამის გახსენებას დიდი დრო მოუნდება და ეს იქნებ სხვა დროს მოვახერხოო, – გამოტყდებოდა:

– ვფიქრობ კიდეც მოგონებების წიგნის დაწერას.

ეჰ, ნეტა უფრო ადრე!..

ნელა იწერებოდა, ძალიან ნელა, მემუარები, დღეები გადიოდა და ორიოდე სტრიქონი თუ მიემატებოდა... დროდადრო კი წამოუვლიდა ძველებური აღმაფრენა და მიედინებოდა თხრობა, მაგრამ სულ უფრო იშვიათდებოდა ეს აღმაფრენანი და... თავშივე ელოდა შეწყვეტა „ჩვენი საუკუნის პარადოქსებს“, დიდებული მოღვაწის ცხოვრების ქრონიკასაც და ტრაგიკული ჟამის მატიანესაც, კომპოზიციური ჩარჩო თავისთავად რომ უნდა ამოხვეულიყო – ახალმოწესეთა დამკვიდრებიდან მათ გადაშენებამდე.

აფსუს, რა წიგნი უნდა დაგვეჭირა ხელთ და...

ნაადრევად კი გაწყვეტილიყო – მისდა სამწუხაროდ და ჩვენდა გულდასაწყვეტად...

ჰაინრიჰ ჰაინე

* * *

მესიზმრებოდა მეფის გოგონა
სახეფერმკრთალი და – დანამული,
მწვანე ცაცხვის ქვეშ ვისხედით ხოლმე
და გულში ფრთხილად მყავდა ჩაკრული...

„არ მინდა შენი მამის გვირგვინი,
არც ოქროს ტახტი, არც ოქროს კვერთხი,
არც ძოწეული მსურს, საყვარელო,
მხოლოდ შენ მსურხარ, შენ ერთადერთი“.

„ეს ხომ ვერაფრით ველარ მოხდება,
მიწაში ვწევარ ხომ რა ხანია,
და მხოლოდ ღამით მოვდივარ შენთან,
რადგან მიყვარხარ ასე ძალიან“.

გერმანულიდან თარგმნა
ნაირა გელაშვილმა

ვლადიმირ ნაბოკოვი

დედა

ღამდება. უკვე დასჯილია. ფერდზე გოლგოთის
ეშვება ხალხი,
როგორც გველი, – ნელი, ვეება,
მიიკლაკნება ზეთისხილის მუქ ხეებშორის.
გაქვავებულა მზერა დედების.

და მიჰყავს ბინდში იოანეს სახეშეშლილი,
უკვე ჭაღარა, საშინელი მარიამი და
შინ აწვენს ფრთხილად,
და თვითონაც იქვე მიწვება,
და ძილ-ღვიძილშიც მთელი ღამე მოთქმა ჩაესმის.
რა იქნებოდა, შერჩენოდა ვაჟი – იესო,
ხე გაერანდა და ემღერა? ეგებ ჩვენი ხსნა
ამ ცრემლებად სულაც არ ღირდა?

აღსდგება მკვდრეთით, ძეი ღვთისა, სხივთა მფინარე,
თავის კუბოსთან აღემართვის დიად ჩვენებად
ქალებს, რომლებსაც უყიდიათ ნელსაცხებლები.
თომა სხივოსან სხეულს ეხება,
სასწაულების ქროლვა მიწის ჭკუიდან შეშლის,
და ჯვარს აცვამენ ათასობით ადამიანებს.

მეთევზეების ბოდვას შენ რას აქნევ, მარიამ,
ვეღარ გრძნობ, როგორ მიცურავენ შენი ვაების
თავზე დღეები,
და არც მესამე, არც მეასე, არც მეათასე
დღეს შენს ძახილზე ხმას არ გაგცემს
შენი შავტუხა სიყრმის შვილი, იქ, ნაზარეთში,
მზეზე თიხისგან ბეღურებს რომ ძერწავდა ხოლმე.

რუსულიდან თარგმნა
ნაირა გელაშვილმა

ᲨᲝᲗᲐ ᲘᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲛᲘᲜᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐ

პიონერები ექსკურსიაზე წაგვიყვანეს
მინის ტარის მწარმოებელ ქარხანაში.
მამაკაცები იდგნენ ამაყად,
ზეცისაკენ აეშვირათ თავები და
უბერავდნენ...

ისე, როგორც ანგელოზები ბუკ-ნაღარას სახარებაში...

ჩვენ კი ვიდექით გაოგნებულნი და ვუყურებდით,
თანდათანობით ბოთლები როგორ იძენდნენ ფორმას...

ვიდექით და ვუყურებდით...

დროც გადიოდა...
ვბერდებოდით ნელა-ნელა.

ბერდებოდნენ და იხოცებოდნენ
ის საოცარი,
წვერგაუპარსავი, ღიპიანი ანგელოზებიც,
რომლებიც იდგნენ მინის ქარხნებში,
და გამოჰყავდათ სულის შებერვით
ღვინის, არყის, ლუდის ბოთლები...

ბოთლები გვიდგას ახლა სუფრაზე
და ვასხამთ,
ვისხამთ,
ღვინოს, არაყს, ლუდს,
და ვსვამთ, მაგრამ
ყველაზე ცუდი არის ის, რომ
არავის გვახსოვს,
რომ იდგნენ კაცები, ყელმოღერებულნი,
და უბერავდნენ,
და ბოთლები
იბადებოდნენ, როგორც ბოთლები...

ჩვენ კი ვიდექით – პიონერები.

შოპენი, სევაკი...

რომ მოვკვდები,
ჩამდეთ მიწაში,
ასი წლის შემდეგ
ამ პატარა მონაკვეთზე
კარტოფილი რომ დათესოს ვინმემ,

ამოიღოს, გათალოს, შეწვას,
და შევხაროდე მე მის შიშხინს!..

რომ მოვკვდები,
გამამწესეთ ნეშომპალად,
თუმც გული მიგრძნობს,
ვერანაირად ვერ ივარგებს
კარტოფილის ბოლქვად ეს გული,
ამიტომ რამე მოიფიქრეთ,
ტყუილუბრალოდ გულს ნუ დამილპობთ!

სწორი გზა

(ბორხესისეული გაკვეთილი)

გზა ორად გაიყო.
მერე ოთხად.
მერე კი რვად.
ის ამ რვა გზიდან ერთ-ერთ მათგანს მიუყვებოდა
და ფიქრობდა, რომ ეს რვა გზა
ცოტა ხანში თექვსმეტად უნდა გაყოფილიყო,
ანუ მის მიერ არჩეული – ისევ ორად,
მაგრამ რატომღაც ეს არ ხდებოდა.
მიდიოდა და ელოდა.
დიდი ხანი იარა ასე.
მერე უცებ დაინახა,
რომ წვრილი ბილიკი კვეთდა მის გზას.
გადავიდა.
ფეხები ასტკივდა, დაექანცა და დაეხუთა...
კედები გაიძრო,
ზურგჩანთაში ჩაყარა და ფეხშიშველა
გაუყვა არჩეულ მიმართულებას.
ისევ მოხვდა ახალ უცნაურ გზაჯვარედინზე.
ისევ კვეთდა ვიწრო ბილიკი მის ფართო გზას.
ისე, რომ არც დაფიქრებულა,
კვლავ გადავიდა ვიწრო ბილიკზე.
მიდიოდა და აღარც ფიქრობდა...
იცოდა, რომ სწორ გზაზე იდგა...

ბინა და სამყარო

დაბზარულია ჭერი?
არ გეგონოს, რომ ზეცაც დაბზარულია.
ჭუჭყიანია იატაკი?
არ გეგონოს, რომ მიწაც ჭუჭყიანია.

გარემონტებულია შენი ოთახი?
არ გეგონოს, რომ სამყაროც გარემონტებულია.
დალაგებულია შენი ოთახი?
არ გეგონოს, რომ სამყაროც დალაგებულია.

არანაირად, არანაირად არ ჰგავს
ბინა, სადაც შენი ოჯახი ცხოვრობს
სამყაროს, სადაც შენი ოჯახი ცხოვრობს,
თუმცა კი დიალექტიკური მატერიალიზმი
წლობით გინერგავდა,
რომ ოჯახი სამყაროს, საზოგადოების უჯრედია,
რომელიც მცირე ფორმებში იმეორებს მას.

რატომღაც მეთორმეტე

ერთმა თქვა: ყველაფერი გაზმორებით იწყებაო.
მეორემ: არა, ეგრე არააო, – გარდასახვითო...
მესამემ: გარდასახვით კი არ იწყება, მთავრდებაო...
მეოთხემ: არყით იწყება ყველაფერი და
დასასრულიც არყითააო...
მეხუთემ: მთავარია, სიმშვიდე მოიტანოს ყოველივე ამანო...
მეექვსემ გარეკა: პამ-პამ, პამ-პამ,
პამ-პამ – რატომღაც დაუსრულებლად გაიძახოდა...
მეშვიდემ: რა სისულელეებზე ლაპარაკობთ,
მაგას სჯობს, გარეთ გაიხედოთ, ნახოთ რა თოვლი მოვიდაო...
მეშვიდე ჩურჩულებდა.
ისე ჩურჩულებდა, ვერავინ გაიგო, რას ამბობდა...
მერვე: არ არსებობდა.
არ არსებობდა არც მეცხრე.
მეათემ თქვა: ფსონს დავდებ,
ორიათას ლარს, თქვენ ყველანი ლოთები ხართო.
მეთერთმეტემ ყველას ზურგი შეაქცია.
ამის მერეა, რომ მე რატომღაც მეთორმეტე ვარ.

ყოფიერების მუშა

ჭანჭურის არყით მთვრალი მუშები
ხალიჩასავით აგებდნენ ბეტონს
ჩემი ქუჩის ვიწრო, ბნელ ჩიხში.
ჩიხის თავში ჟირაფს ქარგავდნენ,
ბოლოში – დრაკონს.
გზააბნეული ატომებივით დაბანცალებდნენ,
მორღვეული ბათინკების
გაცვეთილი, თხელი ლანჩები
ჭაობივით ღრმად ეფლობოდათ
ამ უცნაურ მატერიაში.
დავყურებდი ამ ყველაფერს ზემოდან და
ჭანჭურის არყით მთვრალი მუშები
მელანდებოდნენ აბსენტით მთვრალ გიჟ პოეტებად -
მე-19 საუკუნის მოციქულებად...

დედაჩემმა რადიო ჩართო.
ვიღაც რეპავდა ქალის ბარძაყზე.
ჭანჭურით მთვრალ მუშებზე რომ ერეპა – ჯობდა.
მოვიკიდე ზურგზე ბარგი, მერე ბარხანაც,
დაბლა ჩავედი,
ატომებივით მობანცალეებს შევუერთდი,
გადავწყვიტე –
სულიერების მუშად ყოფნას შევეშვი და
მეც მუშა გავხდი ყოფიერების.

რენე შარი

რენე შარის (1907-1988) პოეზია რთული, ელიფსური, აფორიზმულია.

რენე შარი 1907 წლის 14 ივნისს დაიბადა ილ-სიურ-ლა-სორგში (ვოკლუზის დეპარტამენტი). ლექსების წერა სიყმაწვილეშივე დაიწყო.

30-იანი წლების დასაწყისში რენე შარი სიურრეალისტურ მოძრაობაში ჩაერთო. ანდრე ბრეტონი და პოლ ელუარი მას დიდად აფასებდნენ. 1934 წელს გამოვიდა შარის სიურრეალისტური პოეტური კრებული „მიტოვებული ურო“, რის შემდეგაც მან მალევე დატოვა სიურრეალისტთა რიგები.

შარი მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში, წინააღმდეგობის მოძრაობაში. 1945 წლიდან იგი ჩამოშორდა საზოგადოებრივ ცხოვრებას და მშობლიურ პროვანსში განმარტოვდა. სწორედ აქ გაატარა დარჩენილი ცხოვრება.

რენე შარის პოეზია საბრძოლო სულისკვეთებითაა გამსჭვალული. პოეტი გმობს ყოველგვარ ჩაგვრას, ძალადობას, უსამართლობას. წინააღმდეგობის მოძრაობაში მიღებული გამოცდილებიდან იღებს სათავეს შარის ჰუმანისტური ტენდენციის პოეზია. ამგვარი ტენდენციისაა მისი „ჰიპნოსის ფურცლები“ (1946), რომელიც ალბერ კამიუს მიუძღვნა.

50-იანი წლებიდან მოყოლებული, შარი უფრო ლირიზმისკენ იხრება და პოეტური აფორიზმების სახით გადმოსცემს ბუნების ძალთა და ადამიანურ მისწრაფებათა თანხვდომას.

რენე შარი ავტორია პოეტური კრებულებისა: „გაფანტული პოემა“ (1947), „მძვინვარება და იდუმალება“ (1948), „არქიპელაგად გაბნეული სიტყვა“ (1962), „ცეცხლმოდებული ბიბლიოთეკა“ (1956), „დაკარგული სიშიშვლე“ (1971) და სხვ.

შარი თანამშრომლობდა არაერთ სახელოვან მხატვართან; მისი პოეტური კრებულები სხვადასხვა დროს დაასურათეს ისეთმა მხატვრებმა, როგორებიც არიან: ჟორჟ ბრაკი, ვიქტორ ბრაუნერი, ალბერტო ჯაკომეტი, ანრი მატისი, პაბლო პიკასო, ვასილი კანდინსკი, ნიკოლა დე სტალი და სხვ.

რენე შარი გარდაიცვალა პარიზში 1988 წლის 19 თებერვალს, 81 წლის ასაკში.

მოკვდავი პარტნიორი

იგი მის გამოწვევას ცდილობდა, დაჟინებით მიიწევდა მისკენ, ფეხების შეტევითი და თავდაცვითი გეომეტრიის შუაგულში მდგომი, ვით მოკეცილი, ფრთოსანი, ძლიერი ბოქსიორი. საამო უბიწობასა და საკუთარ გამოცდილებაში ჩაკეტილი, თვალით ზომავდა ღირსებებს მოწინააღმდეგისა, რომელიც რატომღაც გაურბოდა. თეთრ ფონზე, სადაც ორთაბრძოლა იმართებოდა, ორივეს ავიწყდებოდა მკაცრი მაყურებლების არსებობა. ივნისის ჰაერს მიმოჰქონდა ზაფხულის პირველ ყვავილთა სახელები. ბოლოს, მოწინააღმდეგეს ლოყაზე მსუბუქმა გრიმასამ გადაურბინა და ვარდისფერ ზოლად დააჩნდა. ამას მაშინვე მოჰყვა შესაბამისი, მკვეთრი საპასუხო დარტყმა. ფეხები, უეცრად, გაჭიმული ზეწარივით დაიძაგრა, კაცმა წონასწორობა დაკარგა, წაიბორძიკა. მაგრამ მუშტებს, ზედ ცხვირწინ რომ მიუტანეს, აღარ უსარგებლიათ მომგებიანი პოზიციით, ხელი აიღეს მოწინააღმდეგის განადგურებაზე. მებრძოლთა დაღლილი, ჩაქინდრული თავები ახლა უკვე რიტმულად, ოდნავ ეხლებოდა ერთმანეთს. ამ დროს, როგორც ჩანს, პირველმა განზრახ უთხრა მეორეს ყურში ისეთი შეურაცხმყოფელი ან შესაძლოა სიტუაციისთვის შესაფერისი, ან სულაც ისეთი საიდუმლოებით მოცული რამ, რომ ამ უკანასკნელისგან ელვისებურად წამოვიდა სწრაფი, ზუსტი დარტყმა, რომელმაც თვალის დახამხამებაში ძირს დასცა ჩვენი იდუმალი მებრძოლი.

ზოგიერთი ადამიანის მნიშვნელობას ჩვენ, უბრალოდ, ვერ ვხვდებით. ვინ არიან ისინი? მათი იდუმალება თავად ცხოვრების საიდუმლო სიღრმიდან იღებს სათავეს. ისინი ძალიან ახლოს მიდიან ცხოვრებასთან, ცხოვრება კი მათ ბოლოს უღებს. მაგრამ მომავალს, რომელიც მათ

ჩურჩულით გამოაღვიძეს, შეუძლია გამოიცნოს და შექმნას ეს ადამიანები. ჰოი, ლაბირინთო მეტისმეტი სიყვარულისავ!

დამცირებული ყმაწვილი

სწორედ ის მუჯლუგუნები, ბავშვობაში რომ უთავაზებდა ხოლმე მასზე უფროსი და იატაკს ანარცხებდა, მისი მომავალი ცხოვრების, შორეული წლების, იმ დროის მაუწყებელი იყო, როდესაც მას სისხლი წასკდებოდა, თუმცა არა ცალკეული ადამიანის უსამართლობის გამო. იმ ბუჩქივით, რომელსაც ფესვები ამაგრებს და რომელიც საბრალო ტოტებით გამძლე ღეროს ებჯინება, ის შემდეგ უკუსვლით უბრუნდებოდა საკუთარი გამოცდილების მდუმარებას და თავის უცოდველობას. ბოლოს ის სახლიდან იპარებოდა, გარბოდა და ეს ზომაზე მეტი ბედნიერებით ავსებდა. იგი უწევდა მდელოს და ლელქაშთა სამანს, ეფერებოდა ლელიანის შლამს და შეიგრძნობდა მის წყვეტილ შრიალს. ყველაზე დიადი და მარადიული, რაც კი მიწას უშვია ოდესმე, მას შვილად იღებდა.

ამგვარი გაქცევები კვლავ და კვლავ განმეორდებოდა იმ დრომდე, როდესაც იგი, – მას მერე, რაც ადამიანებთან კავშირის გაწყვეტა აუცილებელი პირობა აღარ იქნებოდა, – წელში გამართული და თანაგრძნობით აღსავსე, საკუთარ ადგილს დაიკავებდა ადამიანთა შორის, ერთდროულად უფრო მოწყვლადიცა და უფრო ძლიერიც.

ლურმარენის[1] მარადისობა

ალბერ კამიუ

უკვე ვერც სწორი და ვერც განათებული გზა ვერ მიგვიყვანს იმ ადამიანთან, რომელიც განგვეშორა. სად ინავლება ჩვენი სიყვარული, სად მთავრდება ჩვენი ერთგულება? მანამ, სანამ თვალის უპესთან კიდევ ერთი ლურჯი ზოლი გაჩნდებოდეს, ის გვიახლოვდება, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ მაშინვე ხელიდან გაგვისხლტეს. მისი სახე ხანდახან ახლოს მოდის და ჩვენს სახეს ზედ ებჯინება, მაგრამ ეს მხოლოდ ცივი გაელვებაა. ნათელი დღე, რომელიც შუამავალი იყო მასა და ჩვენ შორის და ბედნიერებას გვიხანგრძლივებდა, დიდი ხანია მიილია. ყველა შემადგენელი – თითქმის ზედმეტი – ნაწილი ამქვეყნიური ყოფისა უეცრად მოირღვა. რუტინა ჩვენი სიფხიზლისა... მაგრამ ეს გამქრალი ადამიანი დგას რაღაც მყარზე, რაღაც უკაცრიელზე, რაღაც არსებითზე, რომელიც ჩვენშია, სადაც ჩვენი ათასწლეულები, ერთად აღებულნი, ოდენ დანაოჭებული ქუთუთოს სისქეს თუ უდრის.

იმ ადამიანთან, ვინც გვიყვარს, ჩვენ ლაპარაკი შევწყვიტეთ, და ეს – სიჩუმე როდია. მაშ რა არის? ჩვენ ეს ვიცით, ან გვგონია, რომ ვიცით. მაგრამ ამას მხოლოდ მაშინ ვხვდებით, როდესაც წარსული, რომელსაც რაღაც მნიშვნელობა აქვს, განიხვნება, რათა მას გზა მისცეს. აი ისიც – ჩვენ თვალწინ, ხელის გაწვდენაზე, შემდეგ უფრო შორს, ჩვენს წინ.

როდესაც დრო ისევ შენივთდება და როდესაც გამოცანის ბოლომდე ამოხსნას ვლამობთ, ჩნდება ტკივილი, ის ტკივილი, რომელიც დაღუპული თანამებრძოლის ხსოვნას ახლავს, და რომელსაც მარადიული მშვილდოსანი, ამჯერად, არას ერჩის.

[1] ლურმარენი – სოფელი სამხრეთ საფრანგეთში (ვოკლუზის დეპარტამენტი), სადაც დაკრძალულია ალბერ კამიუ.

ის, რაც გაგვაჩნია

ჩვენი სიტყვა, არქიპელაგად გაბნეული, ტკივილისა და უბედობის შემდგომ გთავაზობთ მარწყვს, რომელიც მან სიკვდილის ველებზე დაკრიფა ისევე, როგორც ამ მარწყვის ძებნით დაღლილ ხელებს.

უდელტო ტირანიებო, შუადღე რომ აროდეს გასხივოსნებთ, თქვენთვის ჩვენ მინავლული დღის სინათლე ვართ; მაგრამ ჯერ არ იცით, რომ ჩვენ ასევე ხარბი, თუმც კი დაფარული თვალი ვართ წარმოშობისა.

ლექსის დაწერა დაუფლებაა საქორწინო მიღმიერისა, რომელიც ამქვეყნიური ცხოვრების გზაზეც გვხვდება, მასთან ურიცხვი ძაფით დაკავშირებული, თუმცა მისთვის არც სიკვდილის ურნათა სიახლოვეა უცხო.

უნდა დავმკვიდრდეთ საკუთარი თავის გარეთ, ცრემლების ნაპირზე და შიმშილობათა ორბიტაზე, თუკი გვინდა, რომ რაიმე უჩვეულო მოხდეს, რომელიც მხოლოდ ჩვენთვის იქნება განკუთვნილი.

კაეშანს, რომელიც ყოველდღე საჭრეთლით გვღარავს, გაყინული მღვიმე რომ მიეტოვებინა, საყვარელ ქალს ჩვენს გულში ჭიანჭველათა წვიმა რომ შეეჩერებინა, სიმღერა ისევ აჟღერდებოდა.

ზვავთა ქაოსში, ორმა შიშველმა ქვამ, რომელიც ერთურთს შეერწყა ბრუნვა-ტრიალში, ერთმანეთის სიყვარული იგემა რძისფერ სივრცეში. მათმა მცხუნვარე ხავსმა გააოცა თოვლის ნაღვენთი, რომელმაც ისინი შთანთქა.

ადამიანი, უთუოდ, წყვდიადში გაჩენილი ყველაზე შლეგური სურვილი იყო; ამიტომაა, რომ შავბნელნი და ვერაგნი, შურიანნი და შლეგნი გავჩნდით ამ მზისქვეშეთში.

მიწა, რომელიც ოდესღაც ნავსაყუდელი იყო სილამაზისა, სიკვდილს შეეჩეხა, თავისი მოჯირითე დების თვალწინ, თავისი შეშლილი ვაჟების თანდასწრებით.

* * *

ჩვენ გაგვაჩნია უზარმაზარი სივრცეები, რომელიც ჩვენშია და რომლის გადასერვასაც ვერასდროს შევძლებთ; მაგრამ ეს სივრცეები კარგად ეხამება ჩვენებურ ჰავათა სიმკაცრეს, და ხელს უწყობს ჩვენს სიფხიზლეს ისევე, როგორც ჩვენს დაღუპვას.

როგორ უნდა უკუვაგდოთ უკუნეთში ჩვენი წინარე გული და მისი უფლება კვლავ დაბრუნებისა?

პოეზია ის მწიფე ნაყოფია, რომელსაც ხელს ვუჭერთ სიხარულით ატანილნი, ხელში ვიბღუჯავთ მაშინვე, როგორც კი ჩვენ თვალწინ ჩნდება, ნაყოფი გაურკვეველი მომავლისა, დათრთვილულ ღეროზე, ყვავილის ჯამში დავანებული.

პოეზია, ადამიანთა ერთადერთი ზეაღსვლა, რომლის დაჩრდილვაც არ ძალუძს მკვდართა მზეს სრულქმნილ და ბურლესკურ უსასრულობაში.

* * *

და აი, იდუმალება, იმაზე დიდი, ვიდრე ადამიანთა წყევლაა, რომელიც საბუთია მათი გულების გამამართლებელი: ადამიანებმა დროის წიაღში ხე დარგეს, მერე დაიძინეს ხის ძირას და დრო ნელ-ნელა ანდამატად იქცა.

სიმსუბუქე

სადღაც, ქალაქის ქუჩებში, ჩემი სიყვარული დაეხეტება. დროის კავშირი დაირღვა და სულ ერთია, სად წავა იგი. ის უკვე აღარაა ჩემი სიყვარული, ყველას შეუძლია მას გამოელაპარაკოს. მას უკვე არაფერი აღარ ახსოვს; რა იქნა ის, ვისაც იგი უყვარდა?

იგი მზერათა სურვილში დაეძებს თავის სადარს. მანძილი, რომელსაც ის გადის, ჩემი სიმართლეა. ის ხატავს იმედს და, დაუფიქრებლად, მას შორს აძევებს. მან რახანია უპირატესობა მოიპოვა, ისე, რომ ამისთვის არც გარჯილა.

მე მასში ვცხოვრობ, ბედნიერი, ვით ჩაძირული გემის ნამსხვრევი. ძალაუნებურად, ჩემი მარტოობა მის განძად იქცა. დიდ მერიდიანში, სადაც მისი სრბოლა ირეკლება, ჩემი თავისუფლება მას შორს განდევნის.

სადღაც, ქალაქის ქუჩებში, ჩემი სიყვარული დაეხეტება. დროის კავშირი დაირღვა და სულ ერთია, სად წავა იგი. ის უკვე აღარაა ჩემი სიყვარული, ყველას შეუძლია მას გამოელაპარაკოს. მას უკვე არაფერი აღარ ახსოვს; რა იქნა ის, ვისაც იგი უყვარდა, და ვინ ანათებს მას შორიდან, იმისათვის, რომ არ დაეცეს?

ფრანგულიდან თარგმნა
ილია გასვიანმა

მიშო დადიანი

* * *

კიბე-კიბე მაღლდებოდა ცხოვრება,
არ მიჩქარია, როცა ხალხი შეესია,
რადგან, მეგონა, მხოლოდ მაშინ იბადებოდა,
თითქოს მანამდე არ ყოფილა სულაც არავინ,
მაშინ იდგამდა ფეხს ჩემს თვალწინ,
ენას იტეხდა.
ხელს ჩავკიდებდი, დავატარებდი
ჩემს გემოზე.
მაინც როგორი ყოფა იყო,
მძიმე და ტკბილი,
ცისკენ აწვდილი ხელებივით
დამქონდა ფიქრი.
ღმერთო, ის გზა ხომ ჩემი იყო,
იმდენად ჩემი, ვერ შევძელი, ვერ გავიარე.
დუღდა და დუღდა ყველაფერი,
უსახსრობას გაურბოდა ხალხი.
წრეზე ბრუნვას გავს ალბათ გაქცევა,
სად გაიქცევი.
თვალის ჩინივით ენთო ქუჩაში დედაჩემი
ჩვენს მოსაძებნად.
ჩვენი მომავლის ამოსაქექად,
ჩვენი სიკვდილის.
კიბე კიბე მაღლდებოდა ცხოვრება,
ბოლოს კი ისე გაიზარდა ვერ შემამჩნია.

* * *

ჯერ ფიქრი რაა,
ცხოვრებით რო
ნელ-ნელა გწამლავს.
სხვები ყოველთვის
ბრუნდებოდნენ
ანდა ითმენდნენ.
ის ისეთია,
თუ წავიდა –
უცხო გზით წავა
და ღამესაც კი არ შერჩება
მისი სითეთრე.

მამა

თავის სიზმარში იწვა ქალაქი,
წყნეთის სუსხი კი ძვლებში ატანდა.
ის შემოვიდა –
სველი,
ამაყი
და მხრით ფოთლები შემოიტანა.

ანანო

ჩემი ძილი რას ეყოფა
ამოდენა სიხარულს.
მამა, მე ალბათ
ლოცვა მჭირდება
მთელი ძალით.

გუშინ კარგი და სწორი დღე იყო.
მე შევხედე და გადავუხვიე.

* * *

ის დღეები მენატრება,
რომ არ ყოფილა,
მაგრამ მახსოვს.

* * *

საკმარისია შემობრუნდე
საკუთარი არსებობისკენ,
ყოველთვის რაღაც გავიწყდება,
რაღაც ძვირფასი.

ვინ იყო ის, ვინც
გვერდით გედგა
მუდამ, ყოველთვის,
და წარსულივით გითვალთვალებდა
სადღაც შიგნიდან.

და გახსენებდა –
მეგობარო,
მარტივად ვკვდებით.

არაფერია მზეზე კარგი – მზესთან მისვლამდე.

* * *

შენი ბავშვობა მენატრება
რაც არ მინახავს.
ახლა შენს ფოტოს
ვუყურებ და ასე მგონია,
რომ ფოტოს უკან
ლანდივით დგას
ჩემი ცხოვრება,
და რაღაც მახსოვს
იმ უჩემო წარსულიდანაც.

* * *

ყველა სიზმარი ნანახი ქონდა,
როგორ გინდოდა გაგეოცებინა.
არც წყალს ნაყავდა,
წყალს კი არა
მზისკენ გადახრილი მუხა გამოიბა
და გზას გაუდგა.
„მე რომელი ვარ“, „რომელი ვარ“ –
შეშლილივით იმეორებდა.
სადგურამდე ჯერ კიდევ შორი იყო,
თუმცა მატარებლის კივილი ჩაესმოდა.
შინ დაბრუნებას გავს ცხოვრებაო,
ჩაიცინა და თამბაქოს ისე მოქაჩა,
თითქოს ვალს იხდისო.
გააბოოლა და კვამლს გააყოლა სიცილი.

* * *

გვიანო ზამთარო, ჩემს შიშველ ხმას
ხელებივით რომ მოისხამ,
შენს წუხილში უნდა ჩავბრუნდე.
იქნებ საკუთარ თავთან რაიმე საერთო ვნახო.
თორემ, ხომ ხედავ რამდენი ვარ ან ვინ აღარ ვარ.
შენს შეჭმულ სიჩუმეშიც
მიჭირს, მიჭირს
მხოლოდ მე ვიყო.

* * *

არასოდეს ყოფილა ცხოვრება სიზმარი.
ჩემი ცხოვრება ზედმეტად რეალურია იმისთვის,
რომ ბედნიერებას დავუთმო მხოლოდ.
არც ის მითქვამს – რთულია ბედნიერება.
თუ ვარსკვლავები არ ანათებენ,
ეს იმას ნიშნავს, რომ სხვა მხარეს ვდგავარ.
სულ ერთი ლექსი,
ერთი ტკივილიც მაბედნიერებს,
თორემ
სიმშვიდე რა ჩემი ხელობაა,

ცივი სიმშვიდე,
რომელიც იმის შეგრძნებას მიტოვებს,
შენს დახრილ ჩრდილზე მოვდიოდე
და მზეს ვეძებდე.

* * *

ბავშვობაში, როცა დედა იგვიანებდა,
კართან ვიდექი,
მეგონა ასე უფრო მალე მოვიდოდა.
ვცდილობდი
ვინმეს ფეხის ხმა
მიმემსგავსებინა დედაჩემისას,
ესეც მყოფნიდა დასამშვიდებლად –
იქნებ ის არის.

* * *

წყალს კი არა ლექსებს ვატანდი
ჩემს ყველა კოშმარს,
რომ არსად დაკარგულიყვნენ
იქ.. სხვა ყოფაში.

* * *

გრძელი ღამეა შემოდგომის..
და ღამურების
ჩრდილებივით –
დაფარფატებენ ხმელი ფოთლები.
მე სავარძელში ვზივარ სარკმელთან,
თითქოს ვიღაცას ველოდები
და იგვიანებს.

* * *

ერთ დღესაც ადგა,
საკუთარი თავისგან ნავი გამოთალა
და ზღვის სიხშირეს შეერია.
ნიჩბებს როგორ მოიქნევდა,
ხელებით ლოცვას კითხულობდა,
განა ენით, ხელებით კითხულობდა.
არაფერი გამოუვიდა,
უმისამართო ადგილას აღმოჩნდა.
ზღვამ წაიღო და სადღაც გადმოსხა.
საკუთარ მაჯებს დახედა და ვერაფრით იცნო,
მიდი ჯიუტად გაიმეორე, „აღსდექ, უფალო“
ესღა ჩაესმა თვისი ფიქრიდან და კუნძულად იქცა.

* * *

ისეთი ადამიანებიც არიან,
რომ გტოვებენ მაგრამ არსად მიდიან.
საკუთარ სისხლში
იგროვებენ შენს სიმარტოვეს
და არასოდეს ბრუნდებიან.

* * *

გაჩერებაზე გროვდება ხალხი.
ქუჩა, ბაგები და ცა – მთებია.
არყოფნისაკენ ჩუმად გადახრილს,
უკან ლექსები მექაჩებიან.
ისე ჩუმია, სხვაგან არც მივა
ეს ლექსი,ერთი ყოფის ფასია.
და სველ ფოთლებში ნაპოვნი დილა,
იღვიძებს, როგორც ანასტასია.
გროვდება ხალხი გაჩერებაზე,
ტელეფონებით და საათებით,
თუთუნს აბოლებს მთვრალი მებაღე,
ნერვებიანად ღამენათევი.
მეც ამ ლექსივით არსად მივდივარ,
არსად მივდივარ.. და სულერთია..
გზაა, ხიდია, წვიმა დილიდან,
ქუჩა, ბაგები და ცა – მთებია.

* * *

შორიდან უკვე გამოჩნდა შუქი
და ქალაქივით იწყება დილა,
დგას
ჩვენი
ქუჩა,
როგორც დღე უქმე
და მშრალი თოვლი ეცემა ფრთხილად.
გამოვცდი უკვე ყველა შეგრძნებას,
სიხარულს, ტკივილს და წუთებს გლოვის,
თოვს მშრალად თოვს და საღამოს ალბათ
მთელი ქვეყანა იქნება თოვლი.

* * *

იცი, როგორი ქალი იყო,
მზე თითებიდან ამოჰყავდა
და პურს ზელდა.
პურს ჰყიდდა, ჰყიდდა,
მთელი ცხოვრება ბებიაჩემი.
მტრედების გუნდი ესია და მათ აპურებდა.
მტრედებმა წაიღეს მისი სიცოცხლეც
და არეკლილი სუსტი კვალივით –
ირგვლილ მოფანტეს.

ჯაჭვი

გზაზე წვიმს, გზაზე თეთრი ფერია.
ქალაქი გულში მიჭერს შიგნიდან.
და მარტო ვრჩები და ყველაფერი
კვამლივით გადის ჩემი ბინიდან.
სიტყვას მივათრევ, როგორც ჯარისკაცს
დაჭრილს მხრებით და გზაში ვიღლები.
ნუ მელოდები, მე ამ ჯაჭვივით
გავწყდები მაგრამ არ შევიცვლები.

* * *

საკუთარი შიში თუ დაგსიზმრებია,
პანორამა ვართ, მგონი, რაღაცის.
აქ მხოლოდ დიდი ლურჯი გზებია
და გვიგროვდება მუჭში ნაცარი.
ნაცრის ყვავილით ხელში დაგხვდები
და ნახშირიან სუნთქვას გაგატან,
რომ ჩამიგროვდე და ასო-ასო
ამოვიკვნესო შენი სიგიჟე.
საკუთარი ხმა თუ გაგიგია,
სადღაც შუკის ან შუქის თაროდან.
იცი, მე წუხელ გზაზე ვიდექი,
მე ვიდექი და გზა კი გარბოდა.

* * *

სიცარიელეს ისე შევეგუე,
გზისკენ გახედვის მეშინია –
ვინმე არ გამოჩნდეს.
არაფერი ვიცი,
არავის ვფიქრობ
და არაფერს ვჭამ.
ჰაერითა მაქვს სავსე თვალები
და ჰაერს აქვს ჩემი თვალები.
სიტყვებს რომ თავი გავუნაწილე,
იმ სიტყვებიდან
ჩემი თავის
ამოკრეფა მიჭირს.
იყო დრო გზის პირს
საკუთარ ჩრდილზე
რამე რომ მიმეწერა,
წავიდოდი და ასფალტს კი არა
მას შერჩებოდა.

ალენ გინზბერგი

ბიტ-თაობის წარმომადგენელი ამერიკელი პოეტი ალენ გინზბერგი 1926 წლის 3 ივნისს ნიუ-ჯერსიში დაიბადა. მისი შემოქმედება, ისევე როგორც სხვა ბიტ-თაობის მწერლებისა, წარმოადგენდა პროტესტს იმ პერიოდის ამერიკაში გაბატონებული ღირებულებების მიმართ. საზოგადოებას იგი ფარისევლობაში ადანაშაულებდა. გინზბერგმა მის პოეზიაში წინ წამოწია სექსუალური თემები. პოეზიის საშუალებით ის აცხადებდა, რომ იყო ჰომოსექსუალი და კომუნისტი, მაშინ როცა ეს უკანასკნელი აშშ-ში გაიგივებული იყო ფაშიზმთან, ჰომოსექსუალიზმს კი უკიდურეს ამორალობად მიიჩნევდნენ. ამ მხრივ გინზბერგის შემოქმედებაში გამორჩეული ლექსებია „ყმუილი“ და „ამერიკა“.

გინზბერგი მთელი ცხოვრების მანძილზე ბევრს მოგზაურობდა. 1986 წელს მაკედონიაში ყოფნისას, სტრუგას პოეზიის ფესტივალზე მას უმაღლესი ლიტერატურული ჯილდო მიენიჭა, ხოლო მოგვიანებით, ამერიკის ეროვნული წიგნის ფესტივალზე ბიტნიკი პოეტის კრებული „ამერიკის დაცემა“ წლის საუკეთესო პოეტურ კრებულად იქნა აღიარებული.

ალენ გინზბერგი 1997 წელს ნიუ-იორკში გარდაიცვალა.

სუპერმარკეტი კალიფორნიაში

რამ გამახსენა შენი თავი, ნეტა, უოლტ უიტმენ?!
შუა ქუჩაში, ხეების ჩრდილქვეშ მიმავალი, თავის ტკივილით
და ჩვეული თავდაჯერებით მთვარის სიმრგვალეს ვაკვირდებოდი.
შიმშილით დაღლილს, ნეონის შუქით განათებულ სუპერმარკეტში,
მაგონდებოდა შენი ლექსები.
ნახე, რამდენი ატამია, რამდენი ჩრდილი?!
ამ შუა ღამეს საყიდლებზე მოსული ხალხი!
შესასვლელები სავსეა ქმრებით,
ავოკადოს მთებთან – ცოლები, ბავშვები დგანან პომიდვრებთან.
შენ, ფედერიკო გარსია ლორკა,
რა დაგკარგვია საზამთროებთან?

თვალი მოგკარი მაშინ, უოლტ უიტმენ,
ბავშვის გარეშე, მარტოსული, ბებერი გლეხი.
საყინულეში ხელის ცეცებით ეძებდი უმ ხორცს
და დახლთან მდგომ ბიჭებს უთვალთვალებდი.
მესმოდა, როგორ სვამდი კითხვებს:
„ვინ დაკლა ღორი კატლეტებისთვის?“
„რა ღირს ბანანი?“
„ნუთუ თქვენ ჩემი ანგელოზი ხართ?“

მე გზა ამებნა კონსერვების ბზინავ გროვაში, როდესაც უკან მოგყვებოდი,
სუპერმარკეტის დარაჯი კი ფეხდაფეხ გვდევდა.
და ორივენი, მიტოვებულ წარმოსახვაში არტიჩოკის ნაყოფის ღეჭვით,
ღია დერეფნებს მივუყვებოდით,
ხოლო გაყინულ დელიკატესს ისე ვსინჯავდით,
ერთი ცენტიც არ დაგვიხარჯავს.

საით მივდივართ, ნეტა, უოლტ უიტმენ?
ერთ საათში კარს ჩარაზავენ!

რომელ გზას ირჩევს დღეს შენი წვერი?
(შენს წიგნს ვეხები და ვოცნებობ ოდისეაზე სუპერმარკეტში,
და ვგრძნობ, ამანაც აზრი დაკარგა).

იქნებ ცარიელ ქუჩებში გვევლო, გვეხეტიალა?
ხეები ხეებს ესვრიან ჩრდილებს, ღამის სახლებში ქვრება სინათლე.
იქნებ ორივე მარტოსული ვართ?
იქნებ წავიდეთ მყუდრო ადგილას,
და მაგისტრალზე, მანქანების რიგების გავლით,
გვეოცნება ამერიკაზე, ბოლო წვეთამდე რომ დაცლილა სიყვარულისგან.

ძვირფასო მამა, მარტოსულო, თეთრწვერიანო,
შენგან ვისწავლე სიმამაცე!
როგორი იყო ნეტა მაშინ შენი სამშობლო,
როცა ქარონმა ალმოდებულ ნაპირამდე გადაგიყვანა,
იქ დარჩენილი დიდხანს უმზერდი, როგორ ქრებოდა მისი ნავი ლეთეს შავ წყლებში.

ინგლისურიდან თარგმნა
ქეთი თუთბერიძემ

ოთარ ჯირკვალიშვილი

მღვდელი

„წმინდა არს ... მიტრა და საკმეველი“
პაატა შამუგია

ეს არის მოცემულობა, რომელსაც ვერაფრით გავექცევით – ჩვენ ყველანი მღვდლით ვართ დეტერმინირებული! ჯერ კიდევ მაშინ, როცა მღვდელს საფუძველი ეყრებოდა, იდგა დილემა, როგორ ჩამოექნათ ორი საწყისი – მიწიერი და ზეციერი ერთ სხეულებრიობაში, და გაჩნდა მღვდელი... მღვდელი ყველაზე ბრძენი არსება იყო მიწიერ არსებათა შორის, ის აბალანსებდა სიკეთისა და ბოროტების მარადიულ აუცილებლობას და ასე ახერხებდა ორივე ყოფილიყო ერთდროულად – კეთილიც და ბოროტიც. ამის გამო ბოროტებს ის კეთილი ეგონათ, კეთილებს კი ბოროტი, არადა მღვდელი არც კეთილია და არც ბოროტი, „იგი“ მათ მიღმა მდგომი სუბსტანციაა, ამიტომაც ეპატიება ყოველივე, და მართლაც, ვინ ხარ შენ, ადამიანო, რომ ის განსაჯო?! განა შენ „იგი“ ხარ, ან ის შენ არის? მისი არსი მაღლიდანაა, შენ კი დღემდე ის არსება ხარ, რომელსაც 2000 წლის წინ მარგალიტები დაუყარეს, მაგრამ ის მაინც ტალახში...

თავდაპირველი მღვდელი, რომლის სახელიც ა-ზე იწყებოდა არ იყო ებრაელი, მას აარონი არ რქმევია, მოგვიანებით თქვეს ა-ზე კი არა მ-ზე იწყებოდაო (ალბათ მელქისედეკს გულისხმობდნენ, ის ხომ ებრაელი არ ყოფილა), მაგრამ არა, პირველი მღვდლის სახელი სწორედ რომ ა-ზე იწყებოდა, ოღონდ ზუსტად რა ერქვა, ეს კი არ ვიცი, ამიტომ მას უბრალოდ „ა“ დავუძახოთ. სახელი „ა“ აადვილებს ჩვენს მიდგომას. ლაზარეს ენის (იმ ენის, რომელზეც ახლა ეს ტექსტი იქმნება) ანბანის პირველი ასო სწორედ რომ ა-ზე იწყება და ის იძლევა ბიბლიური ბერძნულის (კოინე) საკრალური ანბანის მარადიულ ალიტერაციას, რითაც სამყაროს იდუმალი რხევები გადააქვს ადამიანის ცოდვილ ბუნებაში და მას მოსვენებას უკარგავს, ამიტომაც მოხდება განკითხვა „ამითა ენითა“, ამ ენას, სხვებისგან განსხვავებით განსაკუთრებული ვიბრაციის უნარი აღმოაჩნდა, რისი საიდუმლოც ალბათ მის სრულყოფილებაში იმალება, თორემ აბა როგორ უკარგავს მისი ბგერითი და აზრობრივი ჟღერადობა ცოდვილებს მოსვენებას?.. (ვფიქრობ, ამიტომ უჭირთ გარყვნილ უცხოელებს ამ ღვთაებრივი ენის შესწავლა) და ეს ენა, მისი ანბანის (მხედრული) პირველი და ბოლო ასო („ა-ნი“ და „ჰოე“) ქმნის მისტიკურ ალუზიას თავდაპირველი „სიტყვის“ მიერ გამოხატულ ისეთ ტრანსცენდენტულ ცნებებთან, როგორიცაა „ა-ლფა“ და „ომეგა“ – დასაწყისი და დასასრული (ის, ვინც არის, იყო და იქნება)!.. ვფიქრობ, სწორედ ამის გათვალისწინებით შეარქვა ღმერთმა პირველ მღვდელს ისეთი სახელი, რომელიც ა-ზე იწყებოდა და დღეს რომ ზუსტად არ ვიცით, რა ერქვა, ამაშიც, მე პირადად, განგების ხელს ვხედავ...

მაშ ასე, დღე მეექვსე! როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, გაჩნდა მღვდელი და ეწოდა მას „ა“! ჯერ კიდევ მაშინ, როცა „იგი“ თავის არსს ბოლომდე ვერ აცნობიერებდა, დასვა შეკითხვა: რისთვის გავჩნდი? აქ ყველა კარგად არის, სრული ჰარმონიაა, უკვე საუკუნეა ვერთობი, ერთობიან სხვებიც, მიყვარს აქაურობა, მაგრამ რაღაცა ისე ვერ არის... არ მაკმაყოფილებს რაც აქ ხდება, ვერ ვგრძნობ, რომ სავსე ვარ. მოულოდნელად მიხვდა რაც აკლდა ამ ყველაფერს, ეს იყო **დაძაბულობა**! და ჩაუფიქრდა იმას, თუ როგორ შემოეტანა დაძაბულობა სამყაროში და მიხვდა, რომ დაძაბულობისთვის აუცილებელია **დაპირისპირება**! როგორ შევქმნა დაპირისპირება ერთგანზომილებიან სამყაროში, სადაც ბედნიერებაც კი ასეთი ზედაპირული და წყალწყალაა? სადაც რაიმეს მიხვედრას ვერავინ ახერხებს, ყველა კმაყოფილია ბავშვური თამაშობებით? და მაშინ ა-მ პირველად მიიღო სერიოზული სახე და მიხვდა, რომ არაფრის შემოტანა არაა საჭირო გარედან, ყველაფერი მასშივეა და შესაძლოა მათშიც, ვინც მის ირგვლივ დაფუსფუსებენ მდინარეებითა და ყვავილებით მორთულ დედამიწაზე. და აი, ერთხელაც „ა“ გამოჩნდა დედამიწაზე. მისმა სხეულმა სულში გამოჟონა და იგი სულს მანამდე არ მოეშვა, სანამ ბოლომდე ხილული არ შეიქნა. მივიდა ერთ ქალთან და წინ დაუდგა, იმ ქალმა კი მხიარულობა გააგრძელა, ისე, რომ ა-სთვის ყურადღება არ მიუქცევია. „ა“ სასწრაფოდ გაშორდა იქაურობას და ახლა მეორე ქალის წინ აისვეტა, არც იმან მიაქცია ყურადღება, ასე იარა ხუთი დღე და აი, დადგა დღე მეექვსე და

„ა“-მ ინდის სანაპიროსთან ჩაიარა და იხილა მდინარის პირას ჩამომჯდარი ყრმა, ჩაფიქრებული. აქამდე ა-ს არასდროს ენახა ჩაფიქრებული ადამიანი და არც იმ ადამიანს, რომელმაც ა-ს ამოხედა, არასდროს ენახა შავად შემოსილი ქალი, სერიოზული სახით. ასე შეხვდა ერთმანეთს **ფიქრი** და **სერიოზულობა** გარემოში, რომელიც ერთსაც და მეორესაც მთლიანად გამორიცხავდა. და დაიწყო ფიქრმა შერწყულმა სერიოზულობასთან მოქმედება, რათა დაპირისპირება შემოეტანათ სამყაროში, რომელიც დაპირისპირებას მთლიანად გამორიცხავდა. და აი, მიხვდნენ! მაშინ სხეულების შერწყმით სიამოვნებას ვერავინ იღებდა, ის მხოლოდ გამრავლების საშუალება იყო – არ იყო ტკივილი და შესაბამისად არც სიამოვნება. „ა“ ჩაუღრმავდა თავის ზრახვებს, დაიძაბა, დაიძაბა და თითქოს რაღაც გასკდა მის გულში, რაღაც სკივრს თავი მოსძვრა და იქედან ნაირ-ნაირი უცხო შეგრძნებები ამოიყარა და უთხრა შავებში შემოსილმა „ა“-მ წყლის პირას ჩამომჯდარ კაცს, მე ვიცი, როგორ შემოვიტანოთ დაპირისპირება სამყაროში, წავიდეთ იქ, სადაც მთავარი ხე დგას და დაე ჩვენი სხეულები უჩვეულოდ შეერწყას ერთმანეთს! ეგ როგორო, ჰკითხა კაცმა, მაგრამ გაჰყვა. ქალმა გაიძრო შავი გამჭვირვალე შესამოსელი, კაცმა კი რომელიღაცა ცხოველის ზოლიანი ტყავი და იწყეს სხეულთა შერწყმა ყველას წინაშე, მთავარ ხესთან ხომ ყოველთვის იკრიბებოდა ხალხი. თავიდან ამაში თითქოს არაფერი იყო გასაკვირი, გარდა სითამამისა, მაგრამ ერთი მორიგი შერწყმის დროს ა-მ უჩვეულო ბგერები ამოუშვა (რა ენაზე, ამას დღემდე არკვევენ, თუმცა, უფრო სანსკრიტისკენ იხრებიან), ის მოძრაობების ცვლასთან ერთად ცვლიდა ხმის ტემბრს და თავდავიწყებას ეძლეოდა, ეს განწყობა ნელ-ნელა კაცსაც გადაედო და ბოლოს მათი დისონანსური ბგერების მჭახე ნაკადი ყველაზე დაშორებულ ადგილებსაც კი სწვდებოდა. ყველა მიხვდა, რომ ეს არ იყო ჰარმონია, რომელიც უანგარობას გულისხმობს, ეს იყო... და ეს რაც იყო, მაშინ მიხვდნენ, როდესაც თავადაც ხარბად იმავეს გამეორება დაიწყეს და ერთმანეთს გადასდეს სიამოვნება, სიამოვნება კი დაპირისპირების ნაყოფია, დაპირისპირების გარეშე სიამოვნება ვერ მიიღწევა. ყველა ქალს და კაცს გაუჩნდა სურვილი ეჩხუბათ, რაც უფრო მეტად ჩხუბობდნენ, მით მეტ სიამოვნებას იღებდნენ ერთმანეთით... მაგრამ სულ ვერ იჩხუბებ, თუმცა შესაძლებელია ჩხუბის რეჟიმში იყო, და აი, გაჩნდა ნანატრი **დაძაბულობა**! მერე ის ქალი გაქრა, მისი სხეული სულმა გაიწოვა. კაცი კი ყველას თვალწინ ინდიში გადაეშვა, ხალხი გაკვირვებული უყურებდა, მიშველება არც უფიქრიათ. როცა უჩვეულოდ გაშეშებულ, ფერშეცვლილ და გაბერილ, უმოქმედო სხეულს მიაგნეს, გაუკვირდათ, ეს რა არისო, რა იცოდნენ, რომ მალე მათაც იგივე ელოდათ, შესაძლოა, ფორმაში ყოფილიყო პატარა განსხვავება, თორემ შინაარსი ყველგან იგივე იქნებოდა; რადგან, სადაც სიამოვნებაა, იქ დაპირისპირებაა და სადაც დაპირისპირებაა, იქ სექსია და სადაც სექსია, იქ ვნებაა და სადაც ვნებაა, იქ დაძაბულობაა და სადაც დაძაბულობაა, იქ **სიკვდილია**!.. ასე გადაარჩინა „ა“-მ თავისი არსი და მიხვდა, რომ ის არც ცუდია და არც კარგი, არც კეთილია და არც ბოროტი, ის უბრალოდ მოცემულობაა – არხე, აპეირონი, ყველაფრის მიღმა მდგომი, მაგრამ აუცილებელი. მას ყველაფერი ეპატიება, მას სქესი არა აქვს, ის არის მღვდელი!

და აი გამოხდა ხანი, ა-მ კვლავ გადმოხედა დედამიწას, მისმა გამჭოლმა მზერამ გამოარღვია ეთერი, შუაგააპო ატმოსფეროს გარსი (სწორედ მაშინ მოხდა ეგვიპტეში პირველი კლიმატური ცვლილებები) და ნილოსის მიდამოებს ჩააშტერდა და იხილა ულამაზესი შიშველი ქალების მთელი გუნდი ნილოსში მობანავე და მიაწვა სისხლი, რომელიც მას არ ჰქონდა, იმ ორგანოს, რომელიც მას არ ება და დაებერა და გაუქვავდა ისე, რომ თვალთ დაუბნელდა. ახლა მღვდელს კაცად ყოფნა ეწადა და კვლავ დაიწყო მისმა სხეულმა სულში გამოჟონვა ისე სწრაფად, რომ დედამიწის ატმოსფეროში შემოსვლა ძლივს მოასწრო, თორემ მოგეხსენებათ, ხახუნის ძალა რასაც უზამდა მის ამძუვნებულ ხორცს. და მოარღვევდა, მოარღვევდა ა-სთან ერთად დედამიწის ატმოსფეროს გაურკვეველ არსებათა, „ფრთიან ქიმერათ გვიანი ჯარი“, რათა ადამიანის გენი შეეცვალათ, რასაც დღეს სჩადის მეცნიერება (შესაძლოა ა-ს დახმარებით), და წარმოეშვათ გაურკვეველ არსებათა მოდგმა, რომელსაც მოგვიანებით ნეფილიმები ეწოდათ... როცა მთელი ეგვიპტე ჰიბრიდული არსებებით აივსო და მხოლოდ რვანიღა დარჩნენ, ვისაც ვერაფერი მოუხერხეს ა-მ და მისმა ლეგიონმა, – მოულოდნელად, პირველი წვიმა წამოვიდა ქურუმთა ქვეყანაში. მანამდე მსგავსი რამ არასდროს ენახათ. ქურუმებმა ვერაფრით ახსნეს, რა ხდებოდა, მდინარე ნილოსი კი დიდდებოდა, დიდდებოდა, უჩვეულო ზომებს იღებდა, ბობოქრობდა, აღარავის ინდობდა... სწორედ იმ პერიოდში გამოჩნდა კაცი, სახელად გილგამეში (მას ქურუმები ეზოთერიკოსსაც

ეძახდნენ), ნეფილიმებს გადარჩენილი, მოძებნა ის რვა და ასწავლა თვითშენახვისა და გაუჩინარების ხელოვნება. ასე გაქრა ცხრა ადამიანი ეგვიპტეში იმ დროს, როდესაც წვიმდა და ნილოსი დიდდებოდა. „ა“ თავის ლეგიონთან ერთად მიხვდა, რომ მიზანს მიაღწია, ახლა უნდა გაშორებოდა აქაურობას და მისმა სულმა კვლავ გარდაქმნა მისი სხეული, ქიმერების ჯარმაც იგივე გააკეთა და შემდეგ, ისე, რომ დიდად არც განუცდიათ, ატმოსფეროდან ადევნებდნენ თვალს, როგორ შთანთქავდა მათ გატანჯულ ცოლ-შვილს ადიდებული ნილოსი, ისე რომ ერთი მათგანიც არ გადარჩენილა... და აი, მიხვდა „ა“, რომ ის სიყვარულზეც მაღლა იდგა!.. გადარჩენილი ცხრიდან კი ენოქო იყო ერთადერთი, რომელმაც ატმოსფეროდან გასული ლეგიონის დანახვა შეძლო. მათ ვიღაცა, ოქროსფრად მოელვარე მიუძღვოდათ წინ. ეს იყო „ა“!

(მკითხველო, ალბათ ნელ-ნელა პროტესტი მწიფდება შენში – კი მაგრამ, ამ პერიპეტიების შემყურე, ღმერთი სად იყო და რას აკეთებდაო?! ამაზე გიპასუხებ, ღმერთმა მხოლოდ ერთხელ ალაგმა ა-ს თავნებობა. როდესაც ის მღვდლად ეკურთხა, რატომღაც მოუნდა ერთი ებრაელი მეძავი ქალის ცოლად შერთვა. ამაზე ყველამ თვალი დახუჭა, დაე, იყოს, როგორც უნდაო. ყველას ის მომენტი გაახსენდა, ერთხელ ღმერთმა თავის წინასწარმეტყველს მეძავი ქალის შერთვა რომ აიძულა, რათა მისი ერისთვის ცოცხალი მაგალითით ეჩვენებინა მათი უკუღმართობა... წინასწარმეტყველსაც რა დღე ჰქონდა, ადგა და შეირთო... მერე, გადმოცემით ვიცი, მგონი, იმ ქალმა გარყვნილ ცხოვრებას თავი დაანება და ქმარი შეუყვარდა, ებრაელებმა კი, რომლებსაც ამ შემთხვევიდან რაღაც უნდა ესწავლათ, მხოლოდ მეორე ნაწილს მიაქციეს ყურადღება და კომპლიმენტადაც კი მიიღეს. ღმერთი, მოგეხსენებათ, ღმერთობს ოდენ სამყაროს ენით უთქმელში და ის იმდენად დიდ პატივს სცემს ადამიანის თავისუფალ არჩევანს, ხშირად თვალის დახუჭვა უწევს ბევრ რამეზე... ასე აპატია ა-საც მაშინ ეს ვოლუნტარისტული გამოხტომა! მაგრამ როდესაც ჩვენს მღვდელს ორი ბიჭი შეეძინა და ისინიც შთამომავლობის უძველესი წესის მიხედვით, მღვდლებად აკურთხეს, აიშვეს და რა აიშვეს, მამას გადააჭარბეს. პირდაპირ უფლის ტაძრის (სადაც წმინდა სულია დავანებული) წირთხლთან სჩადიოდნენ მეძავებთან აღვირახსნილ საქმეებს, არც წმინდათაწმინდას ერიდებოდნენ და აი, როგორც იქნა, ღმერთი აღშფოთდა და თავადვე დააკლა ორივე ზედ ტაძრის სამსხვერპლოსთან და ა-ს უთხრა, შეკრიბე ხალხი ჩემ წინაშე და მთელმა ერმა იზეიმეთო, ა-საც რა უნდა ექნა, ადგა, მოაგროვა ხალხი და ის კვირა (მთვარის კალენდრის მიხედვით) მხიარულების კვირად გამოაცხდა. ასე აზეიმა ღმერთმა ა-ს თავისი შვილების სიკვდილი, ხოლო ის ნათესავები, რომლებმაც დაუმორჩილებლობა გამოაცხადეს და კურცხალი ჩამოაგდეს, სამუდამოდ გაუყვნენ ა-ს შვილების კვალს, ეს მაგალითი იყო სხვებისთვის... ეს იყო კაცობრიობის ისტორიაში პირველი ზეიმი ადამიანის სიკვდილის გამო. სწორედ აქედან წამოვიდა ზოგიერთ ერში დამკვიდრებული მოთქმა-გოდება ბავშვის გაჩენის დროს, ხოლო მხიარულება მისი გარდაცვალებისას. მოგვიანებით ერთმა ბრძენმა თქვა კიდეც: სჯობს არ დაიბადო, ხოლო თუ დაიბადები, რაც შეიძლება, მალე მოკვდე და გაქრე ამ ქვეყნიდანო!.. ეს იყო და ეს, მკითხველო, თუ გსურს, დაკმაყოფილდი შურისძიების ამ ერთი ფაქტით, თუ არადა ჩათვალე, რომ ღმერთი უსამართლოა, ამისთვის შეიძლება შენც პასუხი მოგთხოვონ სადღაც, ოდესღაც, კეთილი ინებე და ამისთვის მზად იყავი. ყველაზე მეტად, რასაც ღმერთი არ პატიობს ადამიანს ცოდვა კი არ არის, არამედ მსოფლმხედველობა!)

გამახსენდა, ა-ს სახელის მეორე ასო! ლაზარეს ენის ანბანის ასევე მეორე ასო – „ბ“! ა, ბ... მერე? შემდეგი ასო რომელია? ღმერთო, გამინათე გონება! კარგი, გავაგრძელოთ და ვფიქრობ გზადაგზა გაგვახსენდება! მაშ ასე: „ბ“.

სწორედ ბ-მ შემოიტანა კაცობრიობის ისტორიაში მსხვერპლშეწირვის იდეა! მან ჩამოასხმევინა შორეულ აღმოსავლეთში სამას მილიონამდე ღვთაება, იქ სპილო დომინირებდა, თვინიერების სიმბოლო (ამ სპილოს გამო იყო, მომდევნო საუკუნეებში, ამდენი ხანი რომ მოუწია ინდოეთს დიდი ბრიტანეთის ტყვეობაში ყოფნა), ახლო აღმოსავლეთში კი წითელკბილებდაკრეჭილი ხბო, სახელად მოლოხი, აგრესიის, აღვირახსნილობისა და უანგარობის სიმბოლო და დაანთებინა ჩაუქრობელი ცეცხლი ველზე, რომელსაც მოგვიანებით გენჰიმონი ეწოდა და სადაც აუარება ბავშვებს წვავდნენ, რაღაცა გაუცნობიერებელი ჟინის დასაკმაყოფილებლად. რა იყო ეს ჟინი? ეს იყო ლაპარაკის შეუძლებლობის ჟინი! (აი, ახლა, მე ვერაფრით გავიხსენე, რა ერქვა პირველ მღვდელს და ამის გამო ამხელა ტექსტის დაწერა მიწევს. დამერწმუნე, ახლა მე გენჰიმონის ველზე ბავშვის მსხვერპლშეწირვის მისტერიულ რიტუალს ვასრულებ!).

სწორედ იმის გამო, რომ ბ-მ ვერ დაასრულა თავის თავი, ვერ ამოავსო მის სულში წარმოქმნილი ნაპრალი, სახელად შეოლი, მოუნდა დროებითი კმაყოფილება მაინც ეგრძნო და დაიწყო სისხლის სმა... სვამდა და სვამდა, სვამდა და სვამდა, მაგრამ ვერაფრით იხსენებდა თავის სახელს. პირიქით, უფრო და უფრო ავიწყდებოდა და გრძნობდა სწორედ იმით იღუპებოდა, რითაც თავის გადარჩენას ცდილობდა. ამას, თანამედროვე ფილოსოფიაში ჰქვია დეკონსტრუქცია! ადამიანს არ უყვარს ლაპარაკი, ადამიანი იძულებულია, ილაპარაკოს. მას რომ სრულყოფილად აზროვნება შეეძლოს, არ ილაპარაკებდა, არ მოუნდებოდა მოეყოლა თავისი თავი. არ ისურვებდა, აეგო ისეთი ბაბილონის გოდოლი, რომელიც ლაპარაკის უნარის გარეშე დაუსრულებელი დარჩებოდა. არც ცათამბჯენებს ააგებდა თანამედროვე ყოფაში, ცათამბჯენი ხომ თვითდათრგუნვის, საკუთარი ღირსების ფეხქვეშ გათელვის ჟინის სრულყოფილი არგუმენტია. იმით, რითაც ჩვენს თავს ვაშენებთ, ვანადგურებთ კიდეც მას; იმით, რითაც ჩვენ თავს ვუახლოვდებით, ვშორდებით კიდეც მას; – აი, კაცობრიობის ისტორია! და ბ-ს მოუნდა ა-ს დაბრუნებოდა, ა-ს კი მოუნდა ბ-ს დასწეოდა და... ღმერთო ჩემო, გამახსენდა, მისი სახელის მესამე ასო! ეს არის „ა“!

„ა“-ს განსაკუთრებული როლი ერგო კაცობრიობის ისტორიაში. მღვდლის სახელის ამ მესამე ნაწილაკს წილად ხვდა „პატივი“ მოეკლა ადამიანი, რომელიც საკუთარ თავს „ღვთის ძეს“ უწოდებდა!

„ძე“ ცდილობდა ადამიანი ეხსნა ლაპარაკის მძიმე ტვირთისაგან, ამიტომაც საკუთარ თავს „სიტყვა“ უწოდა. ხშირად ამბობდა ასე: „მე ვარ!“ და მისი პიროვნება სრულ სისავსეს ასხივებდა. ერთხელ „აბა“-მაც მოინდომა მსგავსი რამ და თქვა: „მე ვარ!“ და დასრულებული არ ჰქონდა სიტყვა, რომ თავისდაუნებურად უცნაურმა შეკითხვამ წამოყო თავი: „ვინ ხარ შენ?“ და „აბა“-ს აღმოხდა არაადამიანური ყვირილი: „ვინ ვარ მე?!!“ და განიზრახა „ძის“ სისავსეში შეპარულიყო. „ძე“ კი თავისი არსებობის მანძილზე პირველად ალაპარაკდა, და ალაპარაკდა იმიტომ, რომ ადამიანები ჩუმად ყოფილიყვნენ, მათ ეგრძნოთ სიჩუმის ფასი. მიმხვდარიყვნენ, რომ კამათში კი არა, დუმილში იბადება ჭეშმარიტება!

და აი, ერთხელაც ძე ლაპარაკობდა ხალხში, ყველა სულგანაბული უსმენდა: ხედავთ ამ ტაძარს? – ხელი უზარმაზარი მტკიცე ნაგებობისკენ გაიშვირა – აქ უხსოვარი დროიდან მღვდლები მსახურობენ და მის სიდიდეში ეძებენ ჭეშმარიტებას, რადგან მათ დაკარგული აქვთ თავიანთი სიდიდე, იმით, რომ დაივიწყეს საკუთარი სახელი და ახლა ვეღარაფრით იხსენებენ. ისინი თავის სახელის გასახსენებლად ყოველდღე სწირავენ მსხვერპლს და სისხლის დანახვაზე დროებით კმაყოფილებას ეძლევიან. მე კი გეუბნებით, ტაძარში ვერასდროს შეძლებთ თქვენი სახელის სრულყოფილად წარმოთქმას, ამიტომ, მოდით, დავანგრიოთ ეს ტაძარი, ის ხომ სატყუარაა და მეტი არაფერი. აი, ხედავთ იმ კლდეს? – ხელი აღმოსავლეთის სურნელოვანი ბაღისკენ გაიშვირა, სადაც არანაირი კლდე არ იყო – იქ უნდა აშენდეს ეკლესია, რომელსაც ვერასდროს მისწვდება ადამიანის სულში გაჩენილი ნაპრალი, იგივე შეოლი. იმ ეკლესიას, რომელიც მთათა სათავეში დადგინდება, უნდა ეწოდოს სიყვარული და მდუმარება!..

„ა“ შორიდან უსმენდა ამ ლაპარაკს, მაგრამ ვერაფერი გაეგო, ამიტომ გადაწყვიტა კონკრეტულ მოქმედებაზე გადასულიყო. მივიდა ძესთან და უთხრა: მიდი მერე და ააშენე! დიახ, ერთად ავაშენოთ, მიუგო ძემ, ოღონდ ესეც მითხარით, თქვენ რა გქვიათ? მე? მე?.. აა, აბა... მაგას რა მნიშვნელობა აქვს? მნიშვნელობა ისა აქვს, თუ შენი სახელი არ იცი, არასდროს დათანხმდები აი, იმ ტაძრის დანგრევას და იმ კლდეზე ახალი ეკლესიის აშენებას!.. „ა“ გაყინული სახით გამობრუნდა უკან და ნიკაპზე სისველე იგრძნო, ხელი მოისვა, დახედა და ლამის შეიშალა, პირიდან სისხლი გადმოუვიდა და მიხვდა, მისი ხსნა ძის სისხლის დალევაში იყო!..

და აი, წავიდა მღვდელმთავარი „ა“ დიდებულ ტაძარში თავის ქვეშევრდომებთან მოსალაპარაკებლად, რათა დაერწმუნებინა ისინი, რომ მათი ერთადერთი ხსნა ამ ტანჯვისაგან ძის სისხლის დაღვრა იყო... ამის აუცილებლობაში მათი დარწმუნება არ გასჭირვებია, რამდენიმემ ისიც კი თქვა, რაც ეგ გამოჩნდა, საერთოდ ვეღარაფერს ვიხსენებთო. მთლიანად დავკარგეთ საკუთარი თავის შეგრძნებაო. დროებითმა მსხვერპლმაც კი ძალა დაკარგაო და ა. შ. წითელკბილებიანი ხბო, რომელიც ჩემი სახელის მეორე ასომ შექმნა, სად არისო, იკითხა „ა“-მ. ტაძრის სარკოფაგში, საიდუმლო სკივრში ინახება უკვე ათას ექვსასი წელიაო, მიუგეს მღვდლებმა. ამოიტანეთ, ახლა დაგვჭირდებაო და, მართლაც, ხბო, რომლის შიგთავსიც შედედებული, გამხმარი სისხლით იყო სავსე, ამოიტანეს და დადგეს ტაძრის საკურთხეველთან. ლოცულობდნენ

და გარს უვლიდნენ, რაღაც გაუგებარ სიტყვებსაც წარმოთქვამდნენ, რის შემდეგაც ხბოში სისხლმა ლღვობა დაიწყო და ეს წითელი სითხე მისი კბილებიდან მოწვეთავდა... ასე გაგრძელდა მთელი ღამე, მანამ, სანამ ხბოს შიგთავსი ბოლომდე არ დაიწრიტა სისხლისგან ახალი სისხლის მოლოდინში...

...ერთ-ერთი საუბრის დროს მღვდლებმა შეიპყრეს ძე და წაიყვანეს, რათა მსხვერპლად შეეწირათ მოლოხისთვის, დარწმუნებულნი იმაში, რომ მისი სისხლის დანახვისას მთლიანად გააცნობიერებდნენ თავის თავს და შეძლებდნენ სახელების სწორად წარმოთქმას. დაუწყეს ტანჯვა (უნდა ითქვას, რომ ძის შეპყრობიდან მის მოკვლამდე არც ერთ მხარეს სიტყვა არ დაუძრავს ერთმანეთის მისამართით). სერავდნენ, ამათრახებდნენ, ხორცებს აგლეჯდნენ, მაგრამ ამაოდ, წვეთი სისხლი არ გადმოდიოდა ძის სხეულიდან. დანას ურჭობდნენ ისე, რომ ღვიძლიც კი დაუზიანეს, მაგრამ სისხლი არა და არ გადმოდიოდა. ბოლოს გადაწყვიტეს, გულის მხარეს ხმლის ნელა შეყვანით მოეკლათ იგი. მოგეხსენებათ, გული სისხლის მტუმბავი ორგანოა და მაღალი იყო იმის ალბათობა, მომაკვდავ ადამიანს ვეღარ გაეკონტროლებინა თავის სხეული და სისხლი გამოეშვა... ამით, ორ კურდღელს დაიჭერდნენ, პირველი იმას, რომ სისხლს მოიპოვებდნენ და მეორე, მსხვერპლსაც ბარემ მოიშორებდნენ... როდესაც მკერდი გაუპეს და ხანჯალი ნელ-ნელა შეუყვანეს, ძემ საშინელი ტანჯვა იგრძნო, როდესაც ხანჯლის წვერი გულის ფიცარს შეეხო, ტანჯვა აუტანელი გახდა, ხოლო როდესაც გულში შევიდა, ტანჯვა გაასმაგდა. ძემ მაინც მოახერხა სისხლის შეკავება, მისი სხეულიდან წვეთი სისხლი არ გადმოდინებულა, სიკვდილის წინ კი დაიყვირა: აბბა მამა!!! „აბა“ ზეცისკენ შემართული დანით ხელში შეშლილივით გარბოდა და ყვიროდა: მან ჩემი სახელი წარმოთქვა! მან ჩემი სახელის პირველი სამი ასო წარმოთქვა!! და ამ დროს გაიხა დიდი ტაძრის ფარდა, შეირყა მისი საძირკვლები და ტაძარმა, რომელიც საუკუნეებს ითვლიდა, ნანგრევების ქვეშ მოიყოლა იქ მომსახურე ადამიანები, ხბო კი ნამსხვრევებად აქცია! „აბა“ „საწამებელი მთიდან“ დანგრეული ტაძრისკენ გამორბოდა და კვლავ მთელი ხმით ყვიროდა, მან ჩემი სახელის ასოები წარმოთქვა!.. და აი, გაახსენდა მეოთხე ასო, ეს იყო – „დ“!

(მკითხველო, ისევ პროტესტი ხომ არ მწიფდება შენში? მართლა ფიქრობ, რომ ვინმე სატანა დგას მღვდლების უკან? არამც და არამც! ღმერთმა იცის, ვინ ვის უკან დგას. ან საიდან მოიგონეს ჰა, რა ეშმაკები არიან?.. თვალი გაუსწორე, მკითხველო, ცეცხლი აინთო და კვლავ გამოვლინდა მის სუბსტანციაში არსებული ამბივალენტური ბუნება, აჰა, უბოლოო მწკრივები სიკეთისა და ბოროტებისა... არავითარი ორი საწყისი, ყველაფერი ერთადერთისგან გამოედინება და ყველაფერი ერთადერთს მიემართება და ყველაფერი იცვლება და არაფერია მარადიული ამ სამყაროში, გარდა თავად ცვალებადობისა... ჰერაკლიტე ეფესელის მიხედვით, ახლა ჩვენ ჩაქრობამდე მისული ცეცხლის ეპოქაში ვცხოვრობთ. ეს არის ეპოქა, რომლის მდინარეშიც ერთხელაც ვერასდროს შეაბიჯებ, რადგან არც ნაბიჯია შესაძლებელი და არც მდინარე... სატანა წმინდა მამებისა და მანიქეველების მიერ ყურით მოთრეული სისულელეა. დაუსრულებლად კამათობდნენ იმაზე, თუ რა არის ბოროტება; ერთნი ამბობდნენ, ეს ისეთივე საწყისის მქონეა, როგორც სიკეთეო, მეორენი კი უმტკიცებდნენ ბოროტებას არსი არა აქვს, ის სიკეთის ნაკლებობაა. ეს ყოველივე ხომ გაურკვეველი ცნებებით სპეკულაციაა და მეტი არაფერი... ჩვენ გვხდება წმინდა წერილში ასეთი ფრაზა: „ღვთის ბოროტი სული“, გეთანხმები, არ შეიძლება ღმერთს ბოროტი სული ჰქონდეს, ამიტომ ვერაფერს ვუწოდებთ ჩვენ ვერც სიკეთეს და ვერც ბოროტებას, რადგან არ ვიცით, რას აღნიშნავს ეს სიტყვები. სამაგიეროდ, ვიცით, რომ მარიონეტები ვართ ამ დიდ სპექტაკლში (ამაზე რეფლექსირების შესაძლებლობაც კი საკმარისია ჩვენი გენიალურობის შესაგრძნობად), რომელშიც, გვინდა-არ გვინდა, საუკეთესოდ მოგვიწევს ჩვენი როლების შესრულება. ვიღაცას სატანა დაარქვეს და ეს სახელი თავის როლს ასრულებს, ალბათ შენც გქვია რაღაც და გარწმუნებ, ვერასდროს ჩასწვდები ბოლომდე, რა და რატომ გქვია! მე ოთარი მქვია, რაც არაბულად ნიშნავს „სურნელოვან ნელსაცხებელს“, გაგეცინა? ჰო, მეც სულ მეცინება ჩემს სურნელოვნებაზე! ამიტომ, ნუ გაგიჩნდება პროტესტი. თუ არ შეგიძლია, შეეგუო მოცემულობას, გახსოვდეს, ეგ შეუგუებლობაც უბრალო მოცემულობაა და მეტი არაფერი. ამიტომ, როდესაც მღვდელზე ვლაპარაკობთ – მის შავ ანაფორასა და მოშვებულ წვერზე, მკერდზე ჩამოკიდებულ ჯვარზე და ფარისევლურ გამოხედვაზე, დაყენებულ რელიგიურ მანერებზე და გამაღიზიანებელ უდარდელობაზე – შენ შეგიძლია, ამ ყველაფრის მიღმა სატანა დაინახო და ამით გული მოიფხანო, შეგიძლია, იფიქრო სასჯელზე, რომელიც მათ გარდაუ-

ვლად დაატყდებათ და ამით შენი ჩაგრულობა გაამართლო, მაგრამ რა დგას რეალურად (თუ ასეთი სიტყვის გამოყენება საერთოდ რელევანტურია ასეთ დროს) ამ ყველაფრის მიღმა, ვერ-ასდროს გაიგებ. მე, მაგალითად, ვერ ვიტყოდი, რომ ბოროტების მიღმა სატანა დგას, შესაძლოა, ბოროტება დგას სატანის მიღმა, ამიტომ ვამტკიცებ, რომ თავდაპირველად იყო „მღვდელი“!..)

მაშ ასე, „დ“-მ თავისი სახელის წინა სამი ასო – „აბა“ – ჩაიწერა და „დ“-ც მიაწერა, რომ არ დავიწყებოდა და ნილოსის ნაპირებიდან ჩამოტანილი პაპირუსი გულის ჯიბეში შეინახა.

არაფერია იმაზე მტანჯველი, როდესაც ეძებ შენს თავს, რომელიც არ დაგიკარგავს. შეიძლება, ეძებდე დაკარგულ დროს, ან საყვარლის საფლავს, მაგრამ არდაკარგული თავის მოძებნა ძალიან ძნელია... ძე კი ამბობდა: „ეძებეთ და იპოვით, დააკაკუნეთ და გაგიღებენ“, ეს სულ ახსოვდა დ-ს, მაგრამ რა უნდა ეძებნა, ან სად უნდა დაეკაკუნებინა, ვერაფრით მიმხვდარიყო, კარი ვის უნდა გაეღო, ამას, საერთოდ, ვერ ხვდებოდა... ეჰო, თქვა და ხელი ჩაიქნია!

და აი, აქედან იწყება თანამედროვე კაცობრიობის, ან, თუ გნებავთ, კაცობრიობის თანამედროვე ისტორია, – დ-მ გამოიგონა ალქიმია! „დ“ იყო პირველი მღვდელი, რომელმაც ფილოსოფიური ქვის მისაღებად ორი ტონა შარდი მოხარშა. ამ რაოდენობაზე მანამდე არავინ ასულა. და როდესაც უზარმაზარი რეზერვუარის ზემოთ მოთავსებულმა ქვამ სალათისფრად გაანათა ჩაბნელებული ოთახი, დ-მ შესძახა: heureka! და მიუხედავად ყველაფრისა „დ“-ს არ აინტერესებდა სულიერი ტრანსფორმაცია, მას ჰქონდა სრულიად ამაზრზენი პრაგმატული მიზანი, სურდა, ფილოსოფიური ქვით უბრალოდ ნებისმიერი მეტალი ოქროდ გადაექცია და მარტივად გამდიდრებულიყო. სწორედ ამ სულმდაბლობისთვის დასაჯა იგი Hermes Trismegistus-მა იმით, რომ ვერასდროს მიხვდა, ის რაც გამოიგონა, რაც ქვაში ანათებდა, რაიმეს გარდამქმნელი (ქრისოპოეია) იყო თუ უბრალო Phosphorus-ი. ამ გზით რომ ვერ გამდიდრდა, ახლა შეეცადა, ადამიანის ექსკრემენტებისა და ყველა ორგანული და არაორგანული ნივთიერების შერევით მიეღო ე. წ. სიცოცხლის ელექსირი (პანაცეა). იმდენი ჭკუა ეყო, რომ ამ შერევის შედეგად მიღებული სითხე, რომელიც მცირე კოლბაში მოათავსა, ჯერ თავისი ინკვიზიტორი მეგობრებისთვის დაელევინებინა და შედეგმა გააოგნა, სამიდან ორი მღვდელი საშინელი ტანჯვით გარდაიცვალა, ერთს კი სამუდამო დამბლა დაეცა. „დ“ მიხვდა, რომ მას ეს სითხე არ უნდა გადაეღვარა, მოვიდოდა დრო და აუცილებლად გამოადგებოდა... ახალი ექსპერიმენტი წამოიწყო, სამყაროს ოთხი სტიქიონის – ჰაერის, მიწის, წყლის და ცეცხლის მოხელთება სცადა, ეს იყო პირველი განხორციელებული ჯადოქრობა დედამიწაზე. მან რაღაც დაიჭირა, რაღაცას მიაგნო, ისეთი შეგრძნება ჰქონდა, რომ სამყაროს შექმნის საიდუმლო ამოხსნა. აღელვებულმა, თავისდაუნებურად ჩაიბუტბუტა: „ის, რაც ქვემოთაა, შეესაბამება იმას, რაც ზემოთაა და ის, რაც ზემოთაა, შეესაბამება იმას, რაც ქვემოთაა, რათა განხორციელდეს საგანთა ერთიანობის სასწაული“. თავისი მიგნებით გაბრუებული დაეხეტებოდა და სვამდა რძისფერ სითხეს, რომელიც ამ გამოგონების შედეგი იყო. სითხე, სამყაროს ყველაზე მიუღწეველ ადგილებში დააქროლებდა. მან აღმოაჩინა კოსმიური ოქროს კვეთა, ღვთაებრივი პროპორცია, მიხვდა იმას, რასაც მოგვიანებით ფიბონაჩის რიცხვების საიდუმლო ეწოდა, გონებაში მოხაზა ის, რასაც მოგვიანებით ვიტრუვიანელი ადამიანი შეარქვეს და ა. შ. მოკლედ, ეს იყო რელიგიის დასაწყისი კაცობრიობის ისტორიაში – დ-მ გამოიგონა ოპიუმი! სწორედ ამ გამოგონებამ უკარნახა დ-ს მისი სახელის მომდევნო ასო, რომელიც სრულიად არაფრიდან ამოიზარდა, – ეს იყო – „ო“! გახარებულმა „აბად“-მა გულის ჯიბიდან პაპირუსი ამოაძვრინა...

(მკითხველო, ახლა შევეცდები მცირეოდენი ფორმალური ლოგიკის კანონების გამოყენებით დაგარწმუნო, რომ შენ უკვე გამოიცანი ჩვენი მღვდლის სახელი. რადგან ტექსტის კითხვა არ შეწყვიტე, ის კი არა ასო-ასო მომყვებოდი, რათა ერთად გადაგველახა გზადაგზა წარმოშობილი რიგი დაბრკოლებები და შენ ეს არ მოგბეზრდა ე. ი. განათლებული და დამჭრიახი ადამიანი ხარ! განათლებულმა ადამიანმა კი შეუძლებელია არ იცოდეს, ამ სახელის გამოსაცნობად რამდენი და რა ასოები დარჩა. ახლა მე ვარ რთულ მდგომარეობაში, როგორ დაგარწმუნო, რომ ტექსტის წაკითხვა არ შეწყვიტო. ისე კი მერჩია, ოდნავ ირაციონალური ყოფილიყავი და ბევრ რამეზე თვალი დაგეხუჭა, მაგრამ რას ვიზამ, მე ასეთი ბედი მაქვს, სულ განსწავლული მკითხველი მხვდება. მოდი, ასეთ ექსპერიმენტს შემოგთავაზებ, დაივიწყე ეს სახელი, რომელზეც ტექსტია აგებული. მიდი რა, სცადე, თუ გამოგივა, შენი გამჭრიახობა მისნობაში გადაიზრდება და თუ იმის დავიწყებასაც შეძლებ, რომ გთხოვე, დაივიწყე-მეთქი, მჯერა, ღმერთობამდე ამაღლდე-

ბი!.. ახლა შენზეც ვიმსჯელოთ, ვინც ჯერ კიდევ ვერ მიმხვდარხარ, რომელ სახელს ვგულისხმობ, თუმცა წაკითხვა მაინც გააგრძელე. მე შენ თაყვანს გცემ! შენ ბუნებრივად გაქვს ის, რისი დავიწყებაც განათლებულ ადამიანს უზარმაზარი ძალისმევის ფასად დაუჯდება. წარმოიდგინე, შენ გაქვს ის, რაც არ გაქვს, განათლებულ მკითხველს კი არ აქვს ის, რაც აქვს. ამიტომ, მე ორივე თქვენგანს მოვუწოდებ კითხვის გაგრძელებისკენ, იმის გათვალისწინებით, რომ მე ორივე თქვენგანზე ბევრად უარეს მდგომარეობაში ვარ, იმის გარკვევაც კი არ შემიძლია, საერთოდ ვინ ვარ ამ ტექსტთან მიმართებით, რა ფუნქცია მაქვს და რა პასუხისმგებლობა მეკისრება. ან როგორ შევძლებ მომავალში მისგან დისტანცირებას ისე, რომ ერთხელ მაინც შევძლო მისი წაკითხვა. კიდევ ერთი პრობლემა თავად მღვდელია, ვერა და ვერ მიმხვდარა, რა ჰქვია, ვინ არის, საიდან მოდის... გეკითხებით, თუ თვითონ არ იცის, მე როგორ უნდა გავარკვიო ამ ყველაფერში? ან ვის რას მისცემს ამგვარი გარკვეულობა? საერთოდ, შესაძლებელია, ვინმემ რამე გაარკვიოს? ჩვენ, თავად პერსონაჟებმა, ვითომ ვიცით ამ მოთხრობის „უთვისებო კაცს“ რა ჰქვია? შეატყვე ალბათ, უკვე ჩემს თავს ვეწინააღმდეგები, ამიტომ, მოდით, ახლა ყოველგვარი წინაპირობების გარეშე მე, შენ, კიდევ შენ, ასევე ვიღაცამ და ალბათ ამ ტექსტის პროტაგონისტმაც გავაგრძელოთ ნარატივში ყოფნა და ვიდრე გავაცნობიერებდეთ ჩვენს როლებს, გავაგრძელოთ ერთმანეთის წაკითხვა, მომიტევე, მეტს მე ვერაფერს ვიტყვი...)

იცი, რატომ გრძნობს ადამიანი ეკლესიაში განსაკუთრებულ სულიერ სიმშვიდეს? იმიტომ, რომ ნებისმიერ საცეცხლურში ბოსველიას სურნელოვან ქერქს „აბადო“-ს გამოგონილ ოპიუმს ურევენ, ეს კი საოცრად ზემოქმედებს მორწმუნის სულზე. და აი, ერთგული არქიმანდრიტი ფერად-ფერადი ხატებითა და აფრიკიდან ჩამოტანილი ძვირფასი ქვებით შემკული მიტრით დამშვენებული აკმევს და აკმევს საცეცხლურს ტაძარში, იქ დგას ლევიტაციაში მყოფი ათეისტი პოეტი, რომელმაც უკვე არაერთხელ შეისუნთქა არომატიზირებული ოპიუმი და იგი მოულოდნელად ხმამაღლა წამოიძახებს: წმინდა არს მიტრა და საკმეველი! რა ამაღლებული მომენტია – მისი უარყოფით მისივე აღიარება! აი, ეს არის კლასიკური შემთხვევა თუ როგორ ამტკიცებს ღმერთი გამოცხადების იმანენტურობაში თავის ტრანსცენდენტურობას ქმნილებისადმი. აქ აუცილებლად უნდა შემოვიტანოთ ე. წ. აპოფატიკური (უარყოფის) თეოლოგია. ღმერთის შემეცნება მხოლოდ მისი ენერგიების წიაღში თანაზიარებით არის შესაძლებელი და არა მის თვისებებზე კონცენტრაციით, რადგან, როგორც კი ვიტყვით, რომ ღმერთი სიყვარულია, ან სამართლიანია, ან ბრძენია, ჩვენ შემოვსაზღვრავთ მის შესაძლებლობებს და კონკრეტულ თვისებაში ვაქცევთ მას, ამიტომ სჯობს მუდმივად ვიდგეთ მის წინაშე ოპოზიციაში, რომელიც ასეთი პრედიკატებით მიმართვას გვაიძულებს: უცნაურო და უთქმელო. ასეთ მიმართებაში ყოფნისათვის კი არ იქნება ცუდი, რაიმე გამაბრუებელ საშუალებას თუ მივმართავთ, ამ შემთხვევაში მაღალია ალბათობა, მოხდეს ემანირებულ ენერგიებთან შერწყმა და თუ ნოვატორი პოეტიც ხარ, თუნდაც უღმერთო, აუცილებლად წამოიძახებ, შენდაუნებურად: წმინდა არს მიტრა და საკმეველი! ეს არის, ძირითადად, უარყოფის (აპოფატიკური) თეოლოგია: პოეტის ემპათია; ოპიუმი; ღმერთი! რაც შეეხება კატაფატიკას (დადებით) თეოლოგიას, ეს უფრო შეზღუდული, რაციონალური ადამიანებისთვის არის, რომელთაც არ შეუძლიათ ნომინალური სახელდებების გარდა რაიმე აღიქვან. ასეთების რწმენა და ურწმუნოება დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისგან...

და აი, რომ არა შუა საუკუნეები, არასდროს იტყოდა ურწმუნო პოეტი – წმინდა არს მიტრა და საკმეველი! ინკვიზიციის მიხედვით, ურწმუნოება შეუძლებელია. სული თავისი არსით ქრისტიანულ-ქალურია. მოგეხსენებათ, ქალს არ ძალუძს შინაგანად ღვთის უარყოფა, ქრისტე კი თავად იყო ღვთაებრივი მშვენიერების განსახიერება დედამიწაზე. ამიტომ, ინკვიზიცია არავის სჯიდა ურწმუნოების გამო. ისინი ეხმარებოდნენ ცოდვილ ადამიანს უფრო ღრმად ჩაეხედა თავის სულში და იქ ღმერთი დაენახა. როდესაც ეს საოცარი აქტი განხორციელდებოდა, ადამიანი მტანჯველ სინდისის ქენჯნას განიცდიდა და სთხოვდა დიდ ინკვიზიტორს, მოეფიქრებინა ისეთი სასჯელი, რითაც ასეთ სიბრმავეს გამოისყიდდა. ინკვიზიტორიც შეიწყნარებდა მის თხოვნას და სულის საცხონებლად გამოუტანდა განაჩენს: დაისაჯოს სულის სახსნელად, რაც შეიძლება უმტკივნეულოდ და უსისხლოდ, ეს, მოგეხსენებათ, ცეცხლზე დაწვას გულისხმობდა. გასაოცარია, რომ ხშირ შემთხვევაში მსხვერპლი თავად მოითხოვდა, რაც შეიძლება ნელა დაეწვათ, რათა მას მოესწრო გაცნობიერებული ტანჯვით ცოდვების გამოსყიდვა... მოკლედ, მთელი შუა

საუკუნეები აპოფატიკაა! ღვთის არსებობის სქოლასტიკური დასაბუთებების მიღმა ყოველთვის იგულისხმებოდა გულის პრიმატი. ეს იყო ირაციონალიზმით სავსე საუკუნეები – თუ იმდენად ჭკვიანი არ ხარ, რომ ქრისტე დაინახო, მაშინ – კეთილი ინებე და – დააფუძნე შენი რწმენა ირაციონალურ საწყისებზე. ქრისტე გონებაზე მეტად გულშია, ამიტომაც გამოცხადდა ფილოსოფია თეოლოგიის მხევლად და ძირითად დევიზად დასახელდა ტერტულიანეს გამონათქვამი: მწამს, რადგან აბსურდია!.. მოკლედ, არ არსებობს ურწმუნო რომის პაპი, ისევე, როგორც არ არსებობს ურწმუნო პოეტი, ამის თქმა სურდა ჩვენს გმირს, რომელიც აი უკვე თვალსა და ხელს შუა რენესანსის ეპოქას მოადგა და ახლა იძულებულნი ვართ, თავად ვუკარნახოთ სახელის მომდევნო ასო, წინააღმდეგ შემთხვევაში თხრობა აქ უნდა შეგვეწყვიტა...

შენი სახელის მომდევნო ასო, მეგობარო, არის „ნ“. მაცადე, ახლავე ამოვიღებ პაპირუსს გულის ჯიბიდან და ჩავინიშნავ. მოიცა, მოიცა, მკითხველო, შენ მოგმართავ, ახლა მე მომეჩვენა, თუ ის ჩვენ დაგველაპარაკა? სანამ მკითხველი გიპასუხებს თავად გაგცემ პასუხს: კი, მე დაგელაპარაკე! გგონია, რახან არ გიმჩნევდი, ვერ გამჩნევდი?! სწორედ შენი მეშვეობით ვცდილობდი თავის გადარჩენას, შენ ხომ ჩემი სახელი თითქმის ბოლომდე მიკარნახე? ჰა, ჰა... რა საცოდავები ხართ ძალაუფლებას ჩაჭიდებული სიმულაკრები, მაცადე, ჩავიწერო... და რას ვხედავ, მშვიდად, გულის ჯიბიდან პაპირუსი ამოიღი და მიაწერა – „აბადონ“...

მკითხველო, ახლა იძულებული ვარ, შენთან გავაგრძელო საუბარი, მან უკვე იცის თავისი სახელი, მან ჩვენ გამოგვიყენა, ის არის მღვდელი, რომელიც ყველაზე ბრძენი იყო მიწიერ არსებათა შორის და რომელსაც არანაირი თვისება არ გააჩნია, ის არის წმინდა სუბსტანცია, დამატებების, მინარევების გარეშე. მე მაქსიმალურად ვცდილობდი მასთან დისტანცირებას, მხოლოდ ტექსტის მისტიკური მნიშვნელობის გამოკვეთა მინდოდა და მეც და შენც გარკვეული ხიფათის წინაშე აღმოვჩნდით, ჩვენმა მღვდელმა უკვე იცის, რომელია მისი სახელის ბოლო ასო, რადგან პაპირუსში „ნ“ რომ ჩაინიშნა, თვალის შევლება მოვასწარი და უცბად „ი“-ც მიაწერა, ჰო, აბადონი, მისი სახელია აბადონი! წარმოგიდგენია, მსურდა თხრობა გამეგრძელებინა, აგერ უკვე რენესანსს მოვადექით, მინდოდა, განმეხილა ბაროკო, განმანათლებლობა, რომანტიზმი, დაბოლოს, ჩვენი დრო, რომლის შექმნაშიც მღვდლებს გადამწყვეტი როლი ეკისრებათ. არ ვიცი, შეგნებულად გაგვიკეთა თუ არა აბადონმა, რომ აქეთ ვეღარ წამოვსულიყავით, არ ვიცი, იგრძნო თუ არა მან ჩვენ ეპოქაში რაიმე საფრთხე (მე თუ მკითხავ, ახლა სწორედ მისი დროა), მაგრამ ფაქტია, მან ნარატივის ძირითადი ხაზიდან ამოგვაგდო. გამოგვგლიჯა საიდუმლო (სახელი მიითვისა) და მიიმალა... მიიმალა ვითომ? მართალია, ახლა ხმას აღარ იღებს, მაგრამ ხომ არ დაგავიწყდა მას პაპირუსთან ერთად ბოთლიც აქვს, რომელშიც განთავსებული სითხე ალქიმიკოსობის პერიოდში თავის სამ მეგობარს, რომელთა სახელებია: Belfegor-ი, Abygor-ი, Azazel-ი (სწორედ ამ უკანასკნელს დაეცა დამბლა და, თუ არ ვცდები, დღემდე ცოცხალია) გაასინჯა... და მერე დიდი ამბით შეინახა, რამეში გამომადგებაო. აი, სად შეცდა, მაშინვე უნდა დავერწმუნებინე როგორმე, რომ ამ კოლბის მდინარეში გადაგდების საშუალება მიმეცა. ახლა როცა ჯინი ჭურჭლიდან ამოსულია, რამე უნდა მოვიფიქროთ მის დასაბრუნებლად. ის საშინელი სამსალა დავალევინო? ვინ მომცა მე მაგის უფლება, ვინ დამარღვევინებს თხრობის ლოგიკას?! მე, უბრალოდ, შემიძლია ბოთლის გადაგდების საშუალება არ მივცე, თორემ დალევას ვერ ვაიძულებ, აქამდე მისვლაა საჭირო... ვიფიქროთ, ერთად ვიფიქროთ, როგორ ვაიძულოთ შხამის დალევა? ახლა, როცა თავის სახელი იცის... მოიცა, მოიცა, კი იცის, მაგრამ აცნობიერებს? მე ხომ ის, როგორც პიროვნება, თხრობაში არსად დამისახელებია? აი, ეს უკვე აღარ მოეწონა, შეწუხდა აბადონი, პაპირუსი ჯიბიდან ამოიღო და ჩააშტერდა. რაღაცას ეძებდა, რაღაცას იხსენებდა... ცდილობდა საკუთარი თავის გაცნობიერებას, ამისთვის კი შეშლილივით იმეორებდა ოდესღაც „ძის“ მიერ დასმულ შეკითხვას: თქვენ რა გქვიათ? მე? მე... მქვია, აბადონი! დიახ, დიახ, მაგრამ იქნებ ეგ თქვენი ერთ-ერთი სახელია და არა ერთადერთი? რითი შეგიძლიათ დაამტკიცოთ, რომ ამ სახელის წარმოთქმისას თქვენს სისავსეს აცნობიერებთ? კი, მე ვაცნობიერებ, ვაცნობიერებ, საშინლად დაძაბა ნებისყოფა!.. მკითხველო, გჯერა, რომ აცნობიერებს? კარგი, ერთი შეკითხვაც დავუსვათ: შენ გქვია აბადონი, მაგრამ ვინ ხარ შენ? რა იგულისხმება შენი სახელის მიღმა? ისევ პაპირუსს მიუბრუნდა, ჩააშტერდა, შემდეგ ის დანა ამოიღო, რომლითაც ძეს ღვიძლი დაუზიანა და აკანკალებული ხელებით დაიწყო ამოკაწვრა: „აბადონი – სიცარიელის დემონი. მისი ჭეშმარიტი სახელი არავინ იცის, რადგან დემონთა ენაზე მისი სახელი ნიშნავს „ა რ ა ვ ი ნ“!

ამიტომ, როდესაც ამბობს ფრაზას: მე ვარ! ამ სიტყვების მიღმა ყოველთვის არაფერი იგულისხმება“. ამ ყველაფრის შემდეგ მღვდელმა, ამ კონკრეტულ ნარატივში სახელად აბადონმა, პაპირუსი შეჭამა, დანა შორს მოისროლა და უბისკენ წაიღო აკანკალებული ხელი, სადაც შხამით სავსე თავდაცობილი კოლბა ეგულებოდა. კოლბა ამოიღო, თავი მოხსნა და... მკითხველო, ჩემი თხრობის ლოგიკაში მე მოვძებნე გამოსავალი, მაგრამ არ ვიცი, ამ ეტაპიდან როგორია შენი თხრობის ლოგიკა, ამიტომ დააბრუნებ თუ არა ჯინს ბოთლში, ეგ შენი ნებაა, მე ალბათ დავალევინებდი, ახლა ხომ მთლიანად ჩვენს ხელშია, ტექსტში გვყავს დაჭერილი. უბრალოდ, რომ დავალევინებთ, ან არ დავალევინებთ, მერე რა მოხდება, ეგ უკვე აღარ ვიცი, ამიტომ იფიქრე ყველა შესაძლო ვარიანტზე და აიღე პასუხისმგებლობა, რა და როგორ განვითარდება თხრობაში. მხოლოდ ესაა, რასაც ღვთაებრივი ელემენტი შეიძლება ეწოდოს ადამიანში – თავისუფალი არჩევანი, რომლის შედეგშიც არასდროს ვართ დარწმუნებულნი! მე პირადად მგონია, რომ როგორც არ უნდა განავითარო სიუჟეტური ხაზი, რომელიღაც წინადადებიდან ტექსტის დაწყება მაინც ასე მოგიწევს:

ეს არის მოცემულობა, რომელსაც ვერაფრით გავექცევით – ჩვენ ყველანი მღვდლით ვართ დეტერმინირებული! ჯერ კიდევ მაშინ, როცა მღვდელს საფუძველი ეყრებოდა, იდგა დილემა, როგორ ჩამოექნათ ორი საწყისი – მიწიერი და ზეციერი ერთ სხეულებრიობაში, და გაჩნდა მღვდელი... მღვდელი ყველაზე ბრძენი არსება იყო მიწიერ არსებათა შორის, ის აბალანსებდა სიკეთისა და ბოროტების მარადიულ აუცილებლობას და ასე ახერხებდა ორივე ყოფილიყო ერთდროულად – კეთილიც და ბოროტიც. ამის გამო ბოროტებს ის კეთილი ეგონათ, კეთილებს კი ბოროტი, არადა მღვდელი არც კეთილია და არც ბოროტი, „იგი“ მათ მიღმა მდგომი სუბსტანციაა, ამიტომაც ეპატიება ყოველივე, და მართლაც, ვინ ხარ შენ ადამიანო, რომ ის განსაჯო?! განა შენ „იგი“ ხარ, ან ის შენ არის? მისი არსი მაღლიდანაა, შენ კი დღემდე ის არსება ხარ, რომელსაც 2000 წლის წინ მარგალიტები დაუყარეს, მაგრამ ის მაინც ტალახში...

გოჩა სხილაძე

ცარიელი სასმისი

საკუთარი თავი ძალზე უცნაური რამ არის... ასი ბავშვის შენახვა და მოვლა სჯობია საკუთარ თავის ლოლიავს, ადამიანის ფსიქიკა უზარმაზარ ყაზარმას წააგავს, სადაც ჯარისკაცები გარბი-გამორბიან ან უზარმაზარ ჰარამხანას, სადაც იშვიათად ჩამოდგება სიწყნარე მეგობრებსაც მიატოვებ(თუ არიან), მშობლებსაც-ყველას მიატოვებ და გაიქცევი... საკუთარ თავს კი რას უშვრები? სადაც წახვალ, თან წამოგყვება, გამოცვლა მაგის არ შეიძლება და სადმე დატოვება (ისე, ცუდი სულაც არ იქნებოდა)სადაც არ უნდა წახვიდე, შენი ქარიშხლიანი ფიქრები უკან გამოგეკიდება. ამიტომ ყველა პრობლემაზე ძნელი გადასაჭრელი საკუთარი თავის პრობლემაა. ის ათას ოინს გვიწყობს, თუ მუდმივად რამე გასართობი არ შევაჩეჩეთ ხელში, ყველაფერს თავზე დაგვამხობს. ხანდახან მგონია, რომ ძირს დავარდნილი რომ ვნახო საკუთარი თავი (თუ ასეთი სიურრეალისტური სურათის წარმოდგენა შესაძლებელია,) როგორც უსიამოვნო ნაცნობს, გვერდს ავუვლიდი და ფეხს არ შევანელებდი. ყველა ადამიანზე უფრო ყველაზე არასასურველი ხშირად საკუთარი თავია და ამავე დროს ყველაზე ახლობელი... იმიტომ, რომ მას ეკისრება პასუხისმგებლობა ყველა იმ განუხორციელებელ სურვილებსა და ოცნებებზე, როგორც ძაღლი ჯოხს, ისე რომ მოარბენინებდა. გახარებული ძაღლი თეთრი ძვლით ირთობს თავს, აქეთ-იქეთ დაარბენინებს... არ ვიცი, ხორცს წარმოიდგენს თუ ოცნებით ავსებს მის სიშიშვლეს. ადამიანისთვის ეს ძნელია... ძნელია, ცარიელი სასმისით წყურვილის მოკვლა, ადამიანი თავის თავს თავის მოტყუებას ვერ პატიობს, ამიტომ უნდა თავის დასჯა. მას უნდა მიატოვოს ცარიელი სასმისების მსმელი არსება და იმ სასმისს მიაგნოს, რომელიც სულ ისმევა და მაინც სულ სავსეა(ეს არაფერია, თუ არა ღმერთი)...

ოცნების ფრანები

ოცნება, რომელიც ფრანივით ცაში აიჭრა-აუცილებლად ურჩხულად ქცეული დაბრუნდება. და მასვე შთანთქავს, ვინც მას ბაბუაწვერასავით სული უბერა. სურვილები, ოცნებები ესოდენ ლამაზი, ურჩხულებად იქცევიან ხოლმე და ყველაზე მეტად იმას ემტერებიან, ვინც ისინი დაბადა და ელოლიავა, მატლიდან ლამაზი პეპელა დაფრთიანდება, თვალს რომ ახარებს, ლამაზი ოცნებებიდან კი მხოლოდ მძვინვარე ურჩხულები იბადებიან, ამიტომ ზედმეტი ოცნება სახიფათოა, ოცნებით ცაში ძალიან დიდ სიმაღლეზე რომ აიჭრება ადამიანი, უცებ აღმოაჩენს, რომ ფრთები არა აქვს და ძირს დანარცხებას რეალობის კლდეებზე ვერ ასცდება. რელიგია სურვილებზე უარი კი არ არის, არამედ სურვილების დაუკმაყოფილების გამო ეძლევა ადამიანს, როგორც ყველა სურვილთა დაკმაყოფილების იდუმალი წყარო, არსი – ყველა ადამიანის ნეტარებისკენ სწრაფვაა, ამისთვის აგებს ხიდებს, კოშკებს, იგონებს უამრავ სამოსლის ფორმას, ადის მთაზე, ეძიებს სიმდიდრეს, ცეკვავს, მღერის, წერს, რომ რამენაირად „სხვების“ და თავის ოცნებისმიერ სახეს დაუახლოვდეს. ადამიანის მთელი ცხოვრება ამ უცნაურ არარეალურ პერსონაჟთან დაახლოვების ცდაა; მაგრამ ის მოუხელთებელი პერსონაჟია, ღმერთის სატყუარაა, მისი ძირს დაგდებული ყვავილია, მისი კვალია უსიერ ტყეში, ის ერთგვარი საპნის ბუშტია, სადაც ჩვენ ავირეკლებით – მისი მიმართულება ვერტიკალურია. ის დროში გაელვებული მოუხელთებელი წამის ფარშავანგისებური ბოლოა. და მაინც ის მის არსისმიერ არსებობაში სულაც არ არის არარეალური: ჩვენ თვითონ მისი შექმნილი პერსონაჟები ვართ, უფრო სწორად, უამრავი სახის მრუდე სარკეებში დაბნეული და დაკარგული მისი სახე... ამიტომ სახეები, ბილიკები არიან მისკენ – საკუთარი თავისკენ. ასეა, მოსწონს მასაც დაკარგვა და დაბნეულობა, ხეტიალი, ასე ქმნის დროის და მოძრაობის ილუზიას, მისი არსებობა ამ ილუზიასთან განუყოფელია, – მისი არსებობა ამ ილუზიითაა განპირობებული. ილუზიის გარეშე მას სახე არა აქვს და არც არსებობს.

სახის წიგნი

სურვილები აყალიბებენ ჩვენ სულს, აძლევენ ფორმას. სურვილი გზაა, ხაზია, რომელსაც ადამიანი მიჰყვება, მერე ეს ხაზები, გზები – მის სახეზე აღიბეჭდებიან. აკი, სული თუ რამეს უნდა მივამსგავსოთ, ეს ადამიანის სახეა... სურვილები ჩვენი სულის ფერებია... რომელი სურვილიცაა მაგისტრალური, დანარჩენ სურვილებს ფონად აქცევს, ის ფერი და სურვილი დომინირებს და საერთოდ სურვილი ქმნის სამყაროს ჩვენ გარშემო... ის ყველაზე დიდი ჯადოქარია ვიტგენშტეინი ამბობს, სახე სხეულის სულიაო და ასეცაა... სახის გარეშე ხომ შეუძლებელი იქნებოდა კომუნიკაცია. თუ სადმეა ღმერთის საიდუმლო, ალბათ ადამიანის სახესა და თვალებში. აი, აქ იკითხება უცნობი წერილი, რომლის წაკითხვას ცდილობს ადამიანი. აი, ერთადერთი წიგნი, რომლის კითხვა ადამიანს არასდროს სწყინდება. შეიძლება, ის პირველი წიგნიც იყოს, ჩვენთვის გამოგზავნილი; აკი შემოქმედმა თავის სახე ამ უცნაურ თიხაზე აღბეჭდა და მოეწონა, ხატი და მსგავსი უწოდა მას. ადამიანის სახეზე ელავს მისი ბეჭედი და საიდუმლო. აი, რატომ მისჩერებიან ერთმანეთს შეყვარებულები დაჟინებით, თითქოს ისეთი რამე იხილეს, რასაც ვერასდროს წარმოიდგენდნენ, თუ ასე ახლოს იქნებოდა ის (რომელსაც უამრავი სახელი აქვს და არც ერთი ბოლომდე ვერ მოიცავს მის უკიდეგანობას და ამავე დროს ყველა სახელი მისი სახელია და მისი წახნაგი) მთელი სამყარო ამ სახის მიერ მოხდენილ სასწაულებს ეყრდნობა.

გზები

როცა უღრან ტყეში (ცხოვრებაში) მოხვდები, ყველა გზა თანაბარმნიშვნელოვანია, ერთი გზა უნდა აირჩიო და არ გაჩერდე, ვერასოდეს გაიგებ, სწორი რომელია, (ისეა ყველაფერი შექმნილი, რომ ვერ გავიგოთ), უნდა წახვიდე ამ გზაზე და თავს დააღწევ დაბნეულობას, გახვალ სამშვიდობოს აუცილებლად... მთავარი არჩევანია... გზა მერე ხდება მცდარი ან მართალი... იმის მიხედვით, თუ ჩვენ როგორ დავდივართ... როგორ გვწამს... როგორ ვაკეთებთ, რასაც ვაკეთებთ. გზები მაშინ ხდებიან გზები, როცა ჩვენ დავდივართ. არსად... არასდროს არავითარი გზა არ არსებობს ჩვენ გარეშე. გზები ჩვენი პოტენციური შესაძლებლობებია. თავისი არჩევანით ადამიანი თავის სულს ქმნის. ჩვენი გასავლელი გზა ჩვენი სულის სქემაა... ჩვენი სიარული ჩვენს გზაზე მაშინ ხდება მნიშვნელოვანი... როცა ვხვდებით, რომ ეს ზემოდან მოგვეცა, რომ გვესუნთქა და სინათლეში გაგვეღწია. უცნაურია, მაგრამ უსიერი ტყის შუაგულიდან სხვადასხვა მიმართულებით წასული გზები ერთ წერტილში იყრის თავს... მაგალითად, ვიღაც წავიდა სამხრეთით, ვიღაც ჩრდილოეთით, ვიღაც დასავლეთით, ვიღაც აღმოსავლეთით – ვინც რწმენით, იმედით და სიყვარულით წავიდა ამ გზებზე, ერთმანეთს აუცილებლად შეხვდებიან. ყველა მოგზაურობას ერთი მიზანი აქვს, შეხვდე საკუთარ თავს, თუ საკუთარ თავს შეხვდი, ღმერთსაც შეხვდები... აკი საკუთარ თავამდე იმდენივე მანძილია, რამდენიც ღმერთამდე. ადამიანს შეხვედრები სხვებთან იმიტომ ეძლევა, რომ საკუთარ თავი დაკარგოს და ისევ იპოვოს (ადამიანი კარგავს, რაც მისი არ არის და პოულობს, რაც მისია... ადამიანი რასაც საკუთარ თავს უძახის, ეს მისი ნამდვილი მე არ არის, ეს მისი სიზმრისეულ ფრაგმენტებისგან დროებით შემკვრივებული ბირთვია რომელიც მუდმივ ფერიცვალებაშია, თუ მან ეს დროებითი ბირთვი არ დაკარგა, ვერასოდეს იპოვნის საკუთარ თავს. დაკარგვა და პოვნა ერთდროულად ხდება, ეს ურთიერთგანპირობებული საიდუმლოა – აქ დაკარგვა უდრის პოვნას და პოვნა გულისხმობს დაკარგვას) და ამ დროს ეს «სხვა» – ადამიანი არაფერია, თუ არა ღმერთის პროექცია, ჩვენკენ მოქცეული, ისინი შუქურები არიან... შეიძლება, ჩვენც ასევე სხვებისთვის ვიქცეთ შუქურად, მანძილიც კი სხვების გამო არსებობს... სხვების გარეშე ჩვენ ვერასდროს წავიდოდით სადმე. მიმართულებას მაშინ აქვს აზრი, თუ ვიცით, თუ სად ან ვისთან მივდივართ (გაშლილ ოკეანეს, რომელსაც ნაპირი არ აქვს... აფრის გაშლას და ნებიმიერი მიმართულებით გაცურვას რა აზრი აქვს? მოძრაობა უნაპიროდ დროს არ აირეკლავს) ან კი როგორ უნდა აირჩიო მიმართულება?ამ დროს მოძრაობა ძალიან პირობითია, ის ფიქტიურია. ჩვენ მიმართულებას და მოძრაობას სხვები განაპირობებენ. არავითარი სხვა გზები არ არსებობს, ეს გზები ადამიანებია, ჩვენ მათი მეშვეობით მივდივართ საკუთარ თავთან, ღმერთანაც. საკუთარ თავამდე ვერასდროს მივალთ სხვების გარეშე.

გადამფრენი ფრინველი

ადამიანი, როცა ბედნიერია, იმ დროს დროდ არ მიიჩნევს. ასეთი რამეები სხვა სამყაროდანაა და აქაური დროით არ ანგარიშდება.

ადამიანები ხარბები არიან – მათ შორის მეც... ადამიანის სული არასდროს აღივსება, სულ უნდა რომ ბედნიერი იყოს. როცა ადამიანს უყვარს, ბედნიერიც არის და უბედურიც, ერთდროულად ჯოჯოხეთშიც არის და სამოთხეშიც (ამ დროს ადამიანი ღმერთივით განვრცობილია, ღმერთი ხომ ჯოჯოხეთშიც არის და არ არის ადგილი, სადაც ის არ არის). და მაინც ეს წამები ერთადერთია, რომლისთვისაც ეს სიცოცხლე ღირდა. სხვა შემთხვევაში ჩვენი არსებობა დიდი უაზრობა და გაუთავებელი ტანჯვა იქნებოდა. ადამიანს მხოლოდ ცუდი ახსოვს, ის, რაც აქაური სამყაროდან არ იყო, მისი მახსოვრობიდან უჩინარდება... უბედურებას ფრთები არ გააჩნია, არც გაფრენა შეუძლია, ამიტომ არასოდეს გვტოვებს, თუ ერთხელ მოგვაგნო. სიყვარული და ბედნიერება კი გადამფრენი ფრინველებივით არიან, დროებით შეჩერდებიან ჩვენთან... ჩვენს წყაროს მოსვამენ და ისევ გააგრძელებენ გზას შორეული ქვეყნებისკენ...

სიზმრების სარკე

რამდენიმე ისეთი სიზმარი მინახავს... ისეთი მუსიკა მომისმენია სიზმარში, რომელთან შედარებით ბეთჰოვენი ხეზე შემომჯდარი ყვავი გეგონება კაცს, მაგრამ რად გინდა? გამოიღვიძებ და დადიხარ მკვდარი. ღირდა კი გამოღვიძება? ზოგჯერ ისეთი სილამაზე მინახავს იქ, რომელიც აქ არ არსებობს. არც ბუნებაა მსგავსი აქ, არც ყვავილი, არც ქალი, ერთი კია, სიზმარშიც საშინელი სევდა გაქვს, გეშინია, რომ სიზმარიდანაც არ იქნე გაძევებული... ქვეცნობიერად იცი, რომ იქ შენ შემთხვევით მოხვდი და იქ შენი ადგილი არაა. ეს უფრო სძენს სილამაზეს სიზმრისეულ მოვლენებს და საერთოდ, ცხოვრებისეულსაც. როცა ადამიანი უდიდეს სიშორეს გრძნობს სასურველი საგნიდან, ძალიან მტკივნეულია, მაშინ ის სახე, რაც ადამიანს იზიდავს, ყველა სახეზე ახლოა... მაგრამ ადამიანის სული არ ივსება... ალბათ ეს არის არყოფნის სურვილი... მხოლოდ არყოფნის შემთხვევაში გადაილახება ზღვარი ჩვენსა და ჩვენგან დაშორებულ სიზმრისეულ სამყაროს შორის. ადამიანის დამშვიდება შეუძლებელია, ამიტომ მან სამოთხე გამოიგონა, ან არ გამოუგონებია და არის. ჩვენ ამას აქ ვერასოდეს გავიგებთ. აკი ბუნდოვანი სარკიდან მხოლოდ სიზმრები ჩანს. ჩვენი სიცოცხლე ბუნდოვანი სარკის ველია, სადაც გაელვებულ ფიგურებს სიმყარე არ გააჩნიათ: ოდნავ გამოკრთებიან ელვარე სახეები და ჩვენს გულს წაიყოლებენ... დავუჯეროთ გულს? ალბათ, უნდა დავუჯეროთ...

სირბილი

ჩვენ ხომ ათასი სისულელით ვირთულებთ ცხოვრებას. ხშირად თვითონვე ვემალებით ბედნიერებას და სიხარულს.რომელიც შეიძლება ხელის გაწვდენაზე იყოს... ადამიანი ერთადერთი არსებაა, რომელიც მომავალში ცხოვრობს – სიცოცხლე განუწყვეტელი «ახლას» ბუშტუკებისგან შედგება, სადაც ჩვენ არ ავირეკლებით... იმიტომ, რომ მუდმივად ხვალეზე, მომავალზე ვზრუნავთ და ხელიდან გვისხლტება ყველაზე ჯადოსნური წამების გაელვება. არსებების, საგნების, ადამიანების უდიდესი იდუმალება, სამყაროს გახსნილობა ჩვენში, ექოს არ გამოსცემს ადამიანი წყაროსავით უნდა იყოს, წმინდა და კრიალა ზედაპირით, ნებისმიერი ვინც ამ წყაროზე დაიხრება და მოსვამს, თავის თავი უნდა დაინახოს. ადამიანის ადამიანის მიმართ ყურადღება და დახრილობა აქცევს ადამიანს წყაროდ, კრიალა სარკისებურ ზედაპირად. წყაროს ბოლომდე ამღვრევა შეუძლებელია, თუ ავამღვრევთ, მისი შინაგანი კანონის ძალით მალევე იწმინდება... წყარო არავის დასდევს უკან, არავის ეუბნება, რომ საამო სასმელია და წმინდაა... არავის თხოვს მის სარკეში ჩახედვას, თითქოს იცის მის გარეშე სხვები ვერ გაძლებენ, რაღაც სიამაყის ძალით, თავისივე თავშია ჩაბრუნებული და ამავე დროს გახსნილია ყველასთვის, მის ზედაპირზე სახეები აირეკლებიან, ზოგი სახე უფრო ხანგრძლივად ჩერდება მასთან... ის ამოდის თავისივე

სიღრმის წიაღიადან მან იცის, თუ წავლენ, ისევ დაბრუნდებიან. მართალია, ზოგიერთი ლამაზი სახის გამო მისი ზედაპირი უფრო ციმციმებს, მაგრამ ის ვერასოდეს ეტყვის ლამაზ სახეს, გაჩერდი, არ წახვიდე... ადამიანის ბუნება მუდმივი წასვლებისაგან შედგება: სადღაც გავრბივართ მუდამ და სადაც გავრბივართ, ეს ხვალის სამეფოა, ჯერ არარსებული... თუ არ შევჩერდით, ერთმანეთისკენ არ დავიხარეთ, ვერასოდეს დავინახავთ ჩვენს სახეს, ჩვენი სახის დასანახად ერთმანეთისკენ უნდა დავიხაროთ, თვალი შევავლოთ იმ სასწაულს, რასაც ადამიანის საიდუმლო ჰქვია, თვალი გავუშტეროთ ყვავილს, თითქოს პირველად და უკანასკნელად ვხედავდეთ... თითოეული არსება ძაღლი იქნება თუ ვარდი – სააწაულის აფეთქებაა ჩვენს წინ, ადამიანზე აღარ ვლაპარაკობ, როგორც დოსტოევსკი ამბობდა-ის ხომ გამოცანაა, საიდუმლო, რომელიც უნდა ამოიხსნას... ჩვენ კი სადღაც გავრბივართ, ვემალებით სასწაულების ნათებას. დახურულები ვართ იმიტომ, რომ ადამიანმა მომავალში გადაინაცვლა, აწმყოში აღარ ცხოვრობს... ის კი, რაც საოცრება, სასწაულია და ულევი სიხარულის წყარო – ჩვენ გვერდით მიედინება და მუდმივი «ახლას» მწკრივებისგან შედგება, სასწაულის დასანახად სახის დახრაა საჭირო, საგნების, არსებების (ანუ წყაროს კრიალა) ზედაპირზე ჩვენი თავი რომ დავინახოთ. ყველა ადამიანი, საგანი, ხე, ყვავილი ჩვენთვის სარკედ უნდა იქცეს, ეს კი მაშინაა შესაძლებელი, თუ შევჩერდებით.

* * *

მაღალ ინტელექტს სილამაზეზე ფიქრი წარმოშობს, სილამაზე ღვთაებრივის ფანჯარაა სააქაოში, ჩვენთვის დატოვებული, ყოველ შემთხვევაში, მოაზროვნებისთვის და პოეტებისათვის... ინტელექტი არაფერია, თუ არა იარაღი, მოწყობილობა. სილამაზე თვითონ ღმერთია (პლოტინი ამბობს, რომ სილამაზეში ცნაურდება და ვლინდება ღმერთი, იბნ ალ-არაბიც იმავეს ამტკიცებს). ინტელექტი ერთგვარი კიბეა, რომელსაც მოაზროვნე ადამიანი სილამაზის, ღვთაებრიობის კოშკს მიადგამს... (მას ასე წარმოუდგენია) როცა ის კოშკში შედის (ესე იგი ღმერთში – სილამაზეში, თუ ეს მიღწევადია). მას ინტელექტი – კიბე აღარ ჭირდება, შეიძლება, მოისროლოს შორს. ცოდნას ადამიანი იმიტომ ეძებს, ბედნიერების და ნეტარების გზა მოძებნოს, როცა იპოვის ინტელექტი უკვე ზედმეტი ბარგია. ინტელექტი კიბეა, საცეცებია, ხელსაწყოა (Deus ex machina) ჩვენი მიზნებისთვის, მიზანი და ბუნება ყველა ადამიანის ნეტარებაში მოხვედრაა. ეს მისი ბუნებაა... ყოველგვარი ცოდნა ოდენ იარაღია ბედნიერების კარის გასაღებად.

* * *

სიყვარული მოულოდნელად უსაზღვროებასთან გვაჯახებს (ის ტრანცენდეტული ავარიაა), ამა სოფლის ფანჯრიდან გვისვრის რაღაც სივრცეში, რასაც უსაზღვრობას ან მარადიულობას ეძახიან, შეწყვეტილი მარადიული სიმღერა ისევ ახმაურდება ჩვენში, თითქოს დამშრალი მაღალი ჩანჩქერიდან უზარმაზარი წყლის ნაკადი დაეშვა.

* * *

ძალიან ძნელი წარმოსადგენია ჩვენი სულები სქესის გარეშე... სქესში არის პიროვნული, რაღაც უცვლელი და მარადიული. სქესი ადამიანის გზაა. გამოაცალე მას ეს მოცემულობა და მიიღებ ფიტულს. ფიტულისთვის რა მნიშვნელობა აქვს მარადისობას, მარტო ოსანას მოღაღადე სულები ჩემთვის წარმოუდგენელია და ცოტა, ალბათ, მოსაწყენიც. ეს იგივეა, იყო სივრცეში, სადაც არც ერთი ობიექტი არ არის... რა მნიშვნელობა აქვს, საით წახვალ? მოძრაობას ჩვენი სურვილები განაპირობებენ.

უსურვილო ადამიანი და ქვა ერთი და იგივეა.

* * *

წიგნები გასაღებია, ადამიანის გულის საიდუმლო კარს რომ აღებს და იმ დარბაზებში შევყავართ, რასაც ჰქვია სიცოცხლის,სიკვდილის და სიყვარულის სამეფო. ყველა წიგნი ადამიანის პირად მოგზაურობას ასახავს... ხოლო ამ მოგზაურობაში მთავარი ადგილი სიყვარულს უჭირავს – ადამიანებისთვის წიგნი რუკა და გასაღებია, ადრინდელი სამყაროების ექოებია – რომელსაც ჩემი ცხოვრების ექოც შეურთდება და გასაღებად, მოელვარე სარკედ იქცევა სხვებისათვის.

* * *

მაინტერესებს ის, რაც არსებითია... რაც ბედნიერებას და ნეტარებას ეხება... იმიტომ, რომ ჩვენი არსების ბირთვი მხოლოდ ამისგან შედგება... მაინტერესებს მასთან მისასვლელი გზები... და ის, რაც ადამიანს მისგან აცილებს... ეს ჩემთვის ყველაზე საინტერესოა. თუ რატომ ვერ ვუბრუნდებით ჩვენ თავს ან როცა ვუბრუნდებით, მუდამ სხვა რატომ არის ის?

არარეალურის საჭიროება

ვირტუალური მეგობრები სიზმარში ნანახი პერსონაჟებივით არიან: გამოიღვიძებთ და ფიქრობთ, ვინ იყვნენ სიზმარში ნანახი ადამიანები, შეიძლება, გინდოდათ კიდევ, საუბარი გაგეგრძელებინათ, შეიძლება შეეჩვიეთ კიდეც, უფრო მეტიც გაუმიჯნურდით... მათი ნახვისათვის და მათთან შეხვედრისთვის სიზმრისეული მდგომარეობაა საჭირო, ისინი (ჩვენ) ნახევრად რეალურნი არიან და როგორც ყველა მოჩვენება მზის სინათლეს ვერ იტანენ. ჩვენი და მათი არსებობისთვის ვირტუალური ბურუსი, სიბნელე აუცილებელია ჩვენი ვირტუალური მეები მტრედის მოვალეობას ასრულებენ, ბარათებიც მიაქვთ-მოაქვთ და მხოლოდ არარსებულ სივრცეში ახერხებენ ერთად ღუღუნს. როცა რეალურ ადამიანს სახეში უყურებ ხვდები, რომ არ გისმენს. წარმოდგენილი, ვირტუალური მეგობარი გაცილებით თავაზიანია და გულისხმიერი, ანუ არის ისეთი, როგორიც გვჭირდებოდა და კიდევ რეალურ მეგობრებზე (თუკი ისინი არიან) ბევრად პოეტური და ამაღლებული გვეჩვენებიან. ადამიანისათვის არარეალურს რეალურზე არანაკლები მნიშვნელობა აქვს... უფრო მეტიც, არარეალური რეალურის ცის თაღია, ჰაერია, რომლის გარეშე მთელი სიცოცხლე ჯოჯოხეთად იქცეოდა და სადღაც ჯანდაბაში გაუჩინარდებოდა...

ტანჯვის ხელები

რატომ უწყობს ტანჯვა ხელს აზროვნებას? ან რატომ არ შეიძლება აზროვნება ტანჯვის გარეშე?... ამ კითხვას რამდენი პასუხიც არ უნდა გავცეთ, ისევ ხელახლა იქნება გასაცემი. ეს არის კითხვა, რომელსაც ბევრნაირი პასუხი აქვს, მაგრამ არც ერთი არ აკმაყოფილებს ადამიანის გულს. იმიტომ, რომ ტანჯვა გარდუვალია, ადამიანის სურვილი – იყოს ბედნიერი და ნეტარი, უსასრულოა და უდიდესი, რაც უფრო იტანჯება ადამიანი, უფრო ფიქრობს. ადამიანის ძირითადი ფიქრი კი მხოლოდ ნეტარებაზეა, მხოლოდ ტანჯვას ამოაქვს ნეტარების ხატი ჩვენი სულის სიღრმიდან, მხოლოდ მას აქვს ისე გრძელი ხელები, რომ ადამიანის სულის ფსკერს შეეხოს.

წყურვილი

სწორედ ენის უძლურებაში შეიცნობს ადამიანი, რომ ჭეშმარიტებას ეხება, როცა ენა უკან იწყებს დახევას, ეს იმის ნიშანია, რომ გამოუხატველის (ჭეშმარიტების) კართან ვდგავართ.უცნაურია მაგრამ, სილამაზეს ვერავითარი ადამიანური სიტყვები ვერ ამოწურავს, ის მოუხელთებელია... რაც არ უნდა აღწერო სილამაზე, რაც არ უნდა თქვა, თითქოს ძირითადი გაგისხლტა და მოშორებით დადგა ჰორიზონტზე.

მე ასე ვფიქრობ, ჩვენი წარმოსახული სამყარო არანაკლებ ძლიერია, ვიდრე ის, რასაც ჩვენ მატერიალურ სამყაროს ვეძახით... ის ღრუბლებივითაა და ჰაერივით... ჩვენ შეგვიძლია, ზემოთ არ ავიხედოთ, მაგრამ ვსუნთქავთ და ხანდახან ღრუბლებსაც ვათვალიერებთ. მათ გარეშე შეუძლებელია ჩვენი წარმოდგენები, არა აქვს მნიშვნელობა, ცრუა თუ რეალური, ბუფერის როლს ასრულებენ, რეალობას რომ არ შევასკდეთ ... მიუხედავად იმისა, ასრულდებიან თუ არა ჩვენი სურვილები, ჩვენი ვირტუალური მე მუდამ მზადაა ხელი გამოგვიწოდოს და ჩადგეს ჩვენსა და რეალობის ბასრ ნაჯახს შორის... ანუ ის, რაც ხანდახან სიცრუეა, ჩვენ გამუდმებით გვიხვევს ჭრილობებს და გვეალერსება, ფეხზე გვაყენებს... ეს მტკივნეულია... ვიცით, რომ სიცრუეა ეს ყველაფერი, მაგრამ მთლად არც ასეა... ჩვენი წარმოდგენები, ფიქრები, რომელიც სიცრუე

გვგონია, ჩვენს სულს ქმნიან და ნელა-ნელა გარდაქმნიან რეალობას, რომელიც უძრავი გვგონია, ჩვენი წარმოდგენები და ოცნებები ჩვენი ხელებია... ისინი ინერციით მოცურდებიან მარადისობის (ჭეშმარიტების) ნულოვან ზედაპირზე და ჩვენგან დამოუკიდებლად იწყებენ მოქმედებას... უდაბნოში ხე ასობით მეტრს გადის ფესვებით იმიტომ, რომ სწყურია, თვალები მას არ სჭირდება, რომ გზა გაიგნოს. ჭეშმარიტების ძიებისას თვალები არც ისე საჭიროა, როგორც წყურვილი... მხოლოდ წყურვილს შეუძლია მიგვიყვანოს წყაროსთან და არა – თვალებს.

ცარიელი დარბაზი

სიზმრები განუხორციელებელი ან განხორციელებადი იდეებია (ან კიდევ წარსულის ძონძებით შემოსილი ჩვენივე აჩრდილები, ან კიდევ მომავლის ელვარე სამოსელში გამოწყობილი ჩვენი ვირტუალური მეები)... ისინი ღამით გვსტუმრობენ და დაეძებენ რეალობის სამოსელს. ზოგი სულის დარბაზში პოულობს ამ სამოსელს... ზოგიერთი კი სულის – დარბაზის სიცარიელეში კი ამაოდ დახეტიალობს ოთახიდან ოთახში, თითქოს და ღარიბი მასპინძელი შეხვდა, რომელსაც არაფერი შეუძლია შესთავაზოს, გარდა ღამისა და ვარსკვლავიანი ცისა, აქ ისინი მის უზარმაზარ სარკეში მხოლოდ თავიანთ სიშიშვლეს ხედავენ და შეშინებული თავიანთი სიშიშვლით, უმალ უკან იხევენ უბედისწერო ადამიანის სულიდან და გზებით, ბედისწერით დამძიმებული სულებისკენ მიისწრაფიან.

„სხვა“

სანამ საკუთარ თავს მოვძებნით, ჩვენ უნდა ვეძებოთ სხვა ადამიანი – სარკე, რომელშიც საკუთარ თავს დავინახავთ (სხვაგვარად შეუძლებელია საკუთარი თავის დანახვა და პოვნა) შეიძლება, მილიონი ადამიანი შეგხვდეს და სარკედ არ გამოდგეს და ვერაფერი დავინახოთ... უნდა გაგიმართლოს, რომ ასეთ ადამიანს შეხვდე და მაშინ ჩვენი სულიდან ულამაზესი სახე ამოცურდება, რომელიც არის ჩვენი იდეალური მე (შეგიძლიათ, მას ღმერთი უწოდოთ) და ჩვენი არსებობის საფუძველს შეადგენს, ის ჩვენი სულის უხილავი ბირთვია და სხვადასხვა სახეს ღებულობს სხვადასხვა ადამიანთან. ღმერთი მხოლოდ აბსტრაქტული სიტყვაა და ადამიანური ფორმის გარეშე მას არც გამოცხადება შეუძლია და არც გამოჩენა, მას ადამიანი სჭირდება თავის ბაგეებად და თავის სახედ, ის სინამდვილეში ყოველი ადამიანის ხორცშეხმაა, მისი ერთიანობის მრავალფეროვნებაა. ის არის ყოველი და არც არის, მანამ, სანამ საკუთარ თავს ანუ „სხვას“ (სარკეს) მივაგნებდეთ, მაშინ ღმერთი კონკრეტულ სახეს იღებს და ჩვენივე სულის ფსკერიდან, ლაბირინთიდან იმ „სხვის“ საშუალებით თავისუფლდება და ჩვენივე უიდუმალეს არსებად წარმოგვიდგება და მას იმ „სხვის“ სახე აქვს.

დაბურული სარკეები

ყველა წიგნი წყალმა წაიღოს, არ მაინტერესებს, არც მინდა წერა, არც არასდროს მდომებია, მე ცხოვრება მინდა, მე უფრო ის მაინტერესებს, რატომ ვერ ვცხოვრობთ (წერა ჩემთვის პასუხის ძებნაა, თუ რატომ ვართ ამოვარდნილები იდეალური დროიდან და სივრციდან). სხვა დანარჩენი სისულელეა. რამდენ ტკივილს ვუძლებთ მაინც... რომელსაც ვერავის მოვუყვებით... მე იმედი არ მაქვს, არც არასდროს მქონია, რომ ადამიანს შეუძლია ჩემი გაგება, ამიტომ მუდამ ღმერთს მივმართავ, ხან სიმწრისგან და ხან სიხარულისგან გარეტებული... ვერ ვისვენებ, გამუდმებულ წყურვილს განვიცდი, რომლის დაცხრობა არ შეუძლია არაფერს, რაც ამ სამყაროშია: არც ნივთს, არც ადამიანს, არც წერას. პასუხი მხოლოდ შეიძლება წამოგველანდოს, ის ჰორიზონტივითაა: მივუხლოვდებით, იქ ვართ და პასუხი ის აღარ არის, რაც ჩვენ პასუხი გვეგონა, პასუხს ჩვენთვის, ადამიანებისათვის, მირაჟული ბუნება აქვს, მას ერთი ფუნქცია აქვს: გვიბიძგოს, დაგვძრას, დაბადოს ჩვენში ინერცია, რომ განუწყვეტლივ ვისწრაფოთ ჰორიზონტისაკენ, სად-

აც ახალი პასუხის მირაჟია; მარადიული კი მისკენ, მის გზაზე სიარულია... როცა უდაბნოში წყლის მირაჟს ხედავენ მოგზაურნი, ეს არ ნიშნავს, რომ წყალი მხოლოდ მოჩვენებაა, მირაჟი მიუთითებს, რომ წყალი არსებობს, ოღონდ არა იქ, სადაც ხედავენ, ამიტომ მირაჟი სულაც არ არის ცუდის მაცნე, პირიქით, ის მიუთითებს, რომ პირველწყარო არსებობს. საჭიროა განუწყვეტლივ სწრაფვა და სიარული რომ იმ სივრცეში და დროში მოვხვდეთ, სადაც პასუხის წყლები მიედინება... როგორც პავლე მოციქული ამბობს: სანამ ცოცხლები ვართ, მხოლოდ დაბურულ სარკეში შეიძლება ვიხილოთ ჭეშმარიტება (ჩვენ ერთმანეთისთვის დაბურული სარკეები ვართ). ეს ასე იქნება, სანამ უფლის წინაშე არ წარვდგებით და არ ვიხილავთ მას, ვინც სხვადასხვა პასუხის სახით გველანდებოდა.

დროს პარალელური ხაზების გამრუდება

უშეცდომო ცხოვრება მკვდრის ცხოვრებაა... ნამდვილი ცხოვრება შეიცავს შეცდომებს, როგორც ბუნებრივ შემადგენელ ნაწილს, ამით არის სიცოცხლე საინტერესო, რომ ის სწორხაზოვანი არ არის. ის ზიგზაგებივით მიდის, გამუდმებით სწორ ხაზს უბრუნდება და გამუდმებით უხვევს სწორი გზიდან, რეალობაში აბსოლუტურად სწორი ხაზი არ არსებობს, ის ევკლიდეს გეომეტრიის საკუთრებაა, მხოლოდ აქ შეიძლება იყოს სწორი და არა რეალობაში. სწორხაზოვანი, უშეცდომო ცხოვრება ღმერთსაც მოსწყინდა და ამიტომ შექმნა სხვა რეალობა, სადაც შეცდომა, გზიდან გადახვევა მრავალფეროვნების, უამრავი ფერების საფუძველთა საფუძველია, ეს ადამიანთა სამყაროა, სადაც ერთმანეთი რომ გავარჩიოთ, სხვადასხვა გზებით უნდა წავიდეთ, მუდამ პირდაპირი გზიდან უნდა გადავუხვიოთ... სხვა შემთხვევაში გზა დაკარგავს თავის მნიშვნელობას, შეიკეცება, შემოკლდება და გაქრება. სიცოცხლის გზამ რომ იარსებოს, უამრავი მოსახვევი და აღმართ-დაღმართი უნდა ჰქონდეს. სინამდვილეში მთელი რეალობა ერთ წერტილშია კონცენტრირებული... ჩვენ, ჩვენი გზები ამ წერტილიდან არეკლილი სხივების თამაშებია, ეს სიზმრისეული სამყარო სიმკვრივეს სწორედ დაბნეულობით, უამრავი მისახვევ-მოსახვევით, განშორება-შეხვედრებით იღებს ამ რეალობით (ჩვენ) ღმერთი განიცდის სიცოცხლის გემოს, მისი ამრიტაც და ამბროზიაც ეს ილუზიური სამყაროა, რომელიც რაღაც უცნაურობის ძალით მასზე რეალურია, ეს სამყარო ღმერთის წყურვილია, რეალობად ყოფნის წყურვილი, მასში უამრავი პარალელური დრო მიედინება და ყოველი დროის ხაზი ის თვითონ არის, ის ერთმანეთს «სხვების» სახეებით ეფეთება... და სწყურია ყველა ეს პარალელური დროის ხაზი დროის ერთ ხაზში მოაქციოს, მაგრამ ხვდება, ეს შეუძლებელია, მისი სიცოცხლე ასეთი პარალელური დროის ხაზებისაგან შედგება, რომელიც ერთმანეთისკენ მიისწრაფიან და მრუდდებიან, მხოლოდ მისივე შექმნილ სასოწარკვეთის სიცარიელეში იცნობიერებს მისი (ჩვენი)სიცოცხლე თავის თავს ... ყველა ადამიანი საათივით არის, ისინი სხვადასხვა დროზე არიან მომართული, სხვადასხვა დროს აჩვენებენ; ისინი პარალელური სამყაროები არიან, თითქოს ერთნაირები, ერთნაირი სტრუქტურით, მათი დროები კი ერთმანეთს არ ემთხვევიან. ხანდახან ხდება სწორება დიდ «საათზე» – უძრავზე, მარადიულზე, მაგრამ, ეს დროებითია, ისინი განწირულები არიან სხვადასხვა დროში იარსებონ, მხოლოდ წამიერად შეჩერდნენ და მიუხლოვდნენ ერთმანეთს და მერე თავის დროების დინებას წაჰყვენ... განსხვავება, უთანხმოება დროებს შორის არსებობის საფუძველია, თუ ისინი ერთ დროზე გასწორდებიან, დროითი, ილუზიური სამყარო ისევ გაუჩინარდება, შეიკუმშება და ყველა სახე ერთ დიდ სახეში შეერთდება, მას (ღმერთს) აღარ ექნება სარკე–ადამიანები, სადაც თავის თავს უჭვრეტს და ნეტარებს, ჩვენ მისი ხორცშესხმული აზრები ვართ, მისი სიხარული, ნეტარების წყარო და მისი ჯოჯოხეთი.

დაკარგვა

ნამდვილად დასჯილია ადამიანი აქ მოსვლით, მაგრამ რამდენადაც დასჯილია, იმდენად კურთხეულია. უცნაურია, მაგრამ ასეა. ადამიანი ყველაზე იდუმალი არსებაა ამ ქვეყანაზე და, მე მგონი, იმ ქვეყანაზეც. ადამიანი არის გასაღები ყველა კარის, რაც არსებობს და ადამიანი

არის ყველა კარი, რომლის იქით ამოუცნობი სამყარო იწყება, ადამიანი არის ყველაზე საოცარი დარბაზი, რომელშიც შევდივართ და ამ დარბაზში საკუთარი თავის უარმყოფელ სიყვარულს შევყავართ. ყველა სასწაული ადამიანის სასწაულთან შედარებით არაფერია. თვით უსახური უსასრულობაც შეიკუმშება, გაქრება ადამიანის გარეშე. ადამიანი თვითონ არის შემოქმედი და თავის თავის ამ სიზმრისეულ რეალობაში ჩამგდები. ღმერთი უამრავი თვალით თავისავე თავს შეჰყურებს და რწმუნდება– ის არის! ის არსებობს! ჩვენ კი ერთმანეთს შევყურებთ და ვრწმუნდებით, რომ ვართ «ჩვენ» ის. ჩვენ“ «მისი» არსებობის მანიფესტაცია ვართ“ჩვენ“ ვართ «ის» »ის» არის „ჩვენ“ რომელი არის ნამდვილად «ის» თუ «ჩვენ»? «მას» და «ჩვენ» მხოლოდ ორმაგი არსებობა შეგვიძლია, ცალცალკე არც ერთი არ ვარსებობთ, არც ღმერთი, არც ადამიანები... ნამდვილი მოგზაურობა – ეს არის მოგზაურობა «ოცნებების» მხარეში. (რომელიც, სინამდვილეში რეალობის გულისგულია). ის არის უსასრულობისკენ მიმართული სურვილი – ბუმერანგი ამ გზაზე სიარული – სიღრმისეული მოგზაურობაა ადამიანის სულისა. ეს არის მოგზაურობა, რომელიც მხოლოდ ადამიანის სულში ხორციელდება... ეს არაა ამბავი, რომელიც შეიძლება სადმე დავინახოთ გარეთ, ის მხოლოდ ჩვენი სულების სიღრმეშია. იქ, სადღაც ფსკერზე, სადაც ადამიანი და ღმერთი (რომელსაც სატრფოს სახე აქვს) ვეღარ არჩევენ და არც იციან, რომელია მე, რომელია შენ, ეს იმიტომ, რომ ადამიანი ამ დროს შეიკუმშება ან შეიკეცება, გზასავით, ღვთაებრივ წერტილში... ნამდვილი სასწაული იბადება იქ, სადაც სარკე თავისივე თავს უმზერს.

ცხოვრების დინება და სიბრძნის ნაპირი

ერთადერთი განსხვავება კარგ და ცუდ დღეებს შორის არის საყვარელი ადამიანის დამოკიდებულება და განწყობა ჩვენ მიმართ დღეები თავისთავად არც ცუდია, არც კარგი... დღეების სიცუდეს ან სიკარგეს განსაზღვრავს ჩვენი დამოკიდებულება ადამიანებთან და მათი ჩვენთან... სტოიციზმი კარგია, მაგრამ არაფერს შველის. ჩვენ არ ვართ მბრძანებლები არც დღეების, არც გრძნობათა სამყაროსი... ჩვენ შეგვიძლია თავი ვინუგეშოთ ბრძნული ფრაზებით (ასეთი ფრაზები ბევრია სტოიკოსებთან, შოპენჰაუერთან), ეს იგივეა, მარილიანი წყალი დავლიოთ დიდი ხნის მწყურვალებმა, მაგრამ ეს არაფერს შეცვლის, სიბრძნე უსხეულო ხალხის საქმეა.ცოცხლებს სიბრძნე არ შველის (ის საწოვარაა დიდებისათვის), მკვდრებს კი არაფერში სჭირდებათ... სიბრძნე სიცარიელის შვილია, თავად ცხოვრებას, სიცოცხლეს არავითარი სიბრძნე არ გააჩნია, ის დინებაა უბრალოდ. სიბრძნე და ბრძნული აზრები, მათი საქმეა, ვინც დინებიდან ამოვარდა, ვინც წარსულის მაგიურმა თვალმა (ან გორგონას მზერამ) გააქვავა. სიცოცხლე დინება, ნადიმი და ბრძოლაა, სიბრძნე კი მათი საქმეა, ვისაც ამ ნადიმზე ყველა სკამი დაკავებული დახვდა. რას ამბობს სიბრძნე? ყველაფერი წარმავალია, ყველაფერი გაივლის, არ ღირს ამაზე ფიქრი... თუ ეს ასეა, რატომ იხარჯება ამდენს? ათასობით წელია, რომ ვერ ჩუმდება... ეს იგივეა, შეყვარებულმა ადამიანმა თავისი სიყვარულის ობიექტს ათასი წერილი მისწეროს და ათასჯერ აუხსნას, თუ როგორ სძულს და როგორ არ უყვარს იგი... თუ ასეა, ამდენს რა ალაპარაკებს? რატომ არ დადუმდება? თუკი ისედაც ყველაფერი ცხადია.

ბედნიერების ფოტოგრაფია

ადამიანი კიდეც რომ ყოფილიყო ბედნიერი ოდესმე, მერე მაინც ითავცემებდა და იწუწუნებდა. ბედნიერებას ადამიანი მალე ივიწყებს. ტკივილი კი სულ ახსოვს. ბედნიერება არაამქვეყნიურია და ჩვენი მახსოვრობის არქივში არ ინახება იმიტომ, რომ ჩვენი მახსოვრობა ამქვეყნიურს, საგნობრივს ინახავს, მას, რაც სტატისტიკას, აღწერას ექვემდებარება. რახან ბედნიერება აღუწერელია, გამოუთქმელია, მისი ფოტოგრაფირება და დამახსოვრება ჩვენს მეხსიერებას არ შეუძლია, ის ელვასავითაა... გაიელვებს და მორჩა... განა ელვას შეუძლია, სადმე ჩამოჯდეს და გაჩერდეს? ის ასე უჩინარდება და თავის კვალზე დანახშირებულ ხეებს ტოვებს და ადამიანებსაც... მისი კვალი კი არავინ იცის. ცაზე ელვა ხან სად გაელავს, ხან სად... ბედნიერება, ისე, უფრო მისი

დევნაა ადამიანისთვის, ვიდრე რეალური მდგომარეობა. ახალი ამ სამყაროში არაფერი ხდება... გარდა ჩვენი განცდებისა, მაგრამ, საბოლოოდ, ისე გამოდის, რომ ეს ყველაფერი რაც ჩვენ გადაგვხდენია, რაღაც ფორმით იმეორებს სხვების ცხოვრებას... სხვა შემთხვევაში, ის წიგნები, რომლებიც მოგვწონს, არ დაგვაინტერესებდა და გაუგებარი იქნებოდა... რახან იღებ და მოგწონს... გულისგულში ხვდები, რაც გიწერია... უკეთეს შემთხვევაში... და ამ წიგნებში უკეთესი შემთხვევებია აღწერილი. არის უფრო ცუდი ვარიანტებიც, რაც ინერტულობაა და ცხოვრების ნაკადში არმოხვედრაა ... როცა თავს არაფერი გადახდება... ერთი სიტყვით, სჯობია, გადაგხდეს და ინანო, ვიდრე არ გადაგხდეს და ინანო... რახან მაინც უნდა ინანო... ტანჯვა ჩვენი ეგზისტენციალური მდგომარეობაა და ვერსად გავექცევით მას. ეს რომ ვიცი, ყოველგვარი სურვილი მეკარგება მოძრაობის, ბედნიერებისაც კი მეშინია, ვიცი, რომ მერე უფრო დავიტანჯები სასწორის ერთ პინაზე როცა ბედნიერებას და სიხარულს დაგვიდებენ და მოგვაჩეჩებენ... ამავე სასწორის მეორე პინაზე ასჯერ მძიმე უბედურება ეშვება და ყველაფერს აყირავებს... და ასე სულ... ამ წრეს არა აქვს დასასრული, არც გასასვლელი... ჩვენ ციყვივით დავრბივართ ამ სურვილების რგოლში, მაგრამ, ციყვისგან განსხვავებით ამ რგოლშივე, ვიხოცებით...

სიხარული და ტკივილი

აზროვნებას წარმოუდგენელ სულის სიღრმეში შევყავართ. მართალია, ეს სიღრმე ტკივილიანია, მაგრამ გზადაგზა დიდი სიხარულის და ნეტარების ნაღმებიც ფეთქდება, ამ სულის სიღრმისკენ მიმავალ გზაზე. სწორედ ამ ნეტარების და უცნაური აღტკინების ნაღმების არსებობა განაპირობებს აზროვნებისა და თვითშემეცნების წყურვილს და იდუმალისკენ, მიუწვდომელისკენ მუდმივ ლტოლვას. ჩვენ, როცა თავს ვარიდებთ ფიქრს, ჩვენს საფიქრალს კი არ ვუქცევთ გვერდს, არამედ საკუთარ თავს. ჩვენ ვშორდებით საკუთარ თავს და ხელიდან ვუშვებთ შანსს, გავხდეთ ის, რისთვისაც მოსული ვართ ამ ქვეყანაზე... მივაგნოთ საკუთარ დანიშნულებას. ჩვენი დანიშნულება კი სხვა არაფერია, თუ არა საკუთარი თავის შემეცნება... მართალია, ეს ფრაზა უკვე ტრივიალურად ჟღერს, მაგრამ უკეთესი ჯერ არავის უთქვამს. საკუთარი თავის შემეცნება იგივეა, რაც ღმერთის შემეცნება. როცა საკუთარი თავისკენ სულის სიღრმეში რაღაც მანძილს გავდივართ, იმავე მანძილით ვუახლოვდებით ღმერთს. მე მოკლე ფორმულით გამოვხატავდი ამ პროცესს: საკუთარ თავამდე იმდენივე მანძილია, რამდენიც ღმერთამდე. მანძილი, გზა მაშინ გაქრება, შეიკეცება, როცა «სხვის» (სახეში) სარკეში ჩვენივე თავს დავინახავთ, რომელიც ჩვენ თვალწინ ელვისებური გრადაციით ამ «სხვის» სახედ ტრანსფორმირდება.

უცნაური მადლიერება

ცხოვრების მფეთქავი ბირთვი კოშმარია, რომელსაც ადამიანური კომფორტის, ურთიერთობების თხელი ყინულის ფენა აქვს გადაკრული. ჩვენ დადივართ ამ ბირთვის ზედაპირზე, ამ თხელ ყინულზე, ნებისმიერი ჩვენგანი ყოველწამიერად შეიძლება აღმოჩნდეს კოშმარის უფსკრულში. შეიძლება, ნებისმიერ დროს, როცა გვძინავს თუ გვღვიძავს, ჩატყდეს თხელი ყინულის ფენა და გაქრეს ადამიანი, რომელიც ჩვენ გვერდითაა და კოშმარის ბირთვზე გადაკრულმა ყინულმა ისევ პირი შეიკრას, თითქოს არაფერი მომხდარა, თითქოს არასდროს ყოფილა. ჩვენ კი ისევ ვაგრძელებთ გზას, სიხარულით ხანდახან ვარსკვლავებს ვწვდებით. მაინც რა უცნაური არსებაა ადამიანი, სიყვარული რომ შეუძლია, ხანგრძლივი გეგმებიც აქვს, შორეულ მომავალის დამორჩილებასაც სწავლობს. ყოველწამიერად სიკვდილისაგან ზურგშექცეულია და უკან ერთხელაც არ მოიხედავს და მაინც სიცოცხლე საოცრებაა, უდიდესი ძღვენია – თავისი შეცდომებით, აღმართ-დაღმართით. შეცდომების გარეშე სიცოცხლე ფიქცია. ის, რასაც შეცდომებს ვეძახით, თავად ცხოვრებაა, სიცოცხლეა, რომლის საპირწონე ვარსკვლავებით გადაჭედილი ცაც კი არაა და არც ინდური პანთეონის სამას ორმოცდაათი მილიონი ღმერთი, არც ანგელოზთა იერარქიები, არც წმინდანების წყალზე სიარული, არც ტაძრების ზემსწრაფი გუმბათები.

და მაინც ადამიანმა ხშირ-ხშირად უნდა თქვას და გაიმეოროს:

დიდება შენ, ღმერთო, ყველაფრისათვის!

სახე და სიცარიელე

თუ ადამიანის კერპს თავი მოტყდება და დაიმსხვრევა, თავიდან მის შეკოწიწებას და დაწებებას არ უნდა შეუდგეს დაე, იჯდეს სიცარიელეში, სადაც არც ერთი სახეა არაა, სადაც არავის ხმა არ ისმის, სადაც თვითონაც კი არ არის არყოფნა, სიცარიელე თვითონ აღმოაცენებს ახალ სახეს, ახალ კერპს, ახალ კელაპტარს აანთებს... ერთადერთი, ვისაც სახე სწყურია, ეს სიცარიელეა, ღმერთია. ის სახის გარეშე ვერ ძლებს, ამიტომ ნუ გვეშინია სიცარიელის, მას ჩვენზე მეტად ეშინია უსახობისა და სიჩუმის... ჩვენი მისი შიშის შვილები ვართ. მას არ შეუძლია ჩვენ გარეშე, ის, ვინც სიცარიელეს ხედავს და ეშინია, არავინ არ არის, თუ არა – თვითონ სიცარიელე (ღმერთი). მას თავისივე სიშიშვლის ეშინია და იმალება. ჩვენი აქ ყოფნა არის მისი დამალვა საკუთარი თავისგან და ამავე დროს თავისივე თავის პოვნა თავისავე სიზმარში, რომელიც გამუდმებით ეკარგება, რომელსაც გამუდმებით დასდევს შესაპყრობად, მაგრამ როგორც კი მიუახლოვდება, ხელს შეახებს მას, ვისაც დასდევს, იმწამსვე უჩინარდება. ახალი სახე კი თავისით ჩნდება, როგორც მისი ალტერნატივა, როგორც მისი სარკე, როგორც მისი ხელახლა გაცოცხლებული გული, როგორც მისი ახალი სხეული.

* * *

როცა ვინმე თავის განსხვავებულობას და გამორჩეულობას გაცხარებული ამტკიცებს ვინმესგან, მკვეთრად იმიჯნება მისგან და სიზმარშიც კი არ ავიწყდება ეს «განსხვავებულობა», ეს ნიშნავს, რომ ის, ვისგანაც თავს ანსხვავებს, არც ისე შორსაა მისგან, პირიქით სახიფათოდ ახლოსაა. ყოველგვარ განსხვავებულობაზე გაცხარებული და ბოდვაში გადასული ლაპარაკი არის ღობის აღმართვის სურვილი, ორ მსგავს ეზოს შორის, რომ სტუმრებს მეზობლების სახლები ერთმანეთში არ აერიოთ.

დაუსრულებელი პორტრეტი

მას ეიფორიაში ჩავარდნა ახასიათებს. სასურველი ხშირად რეალობად ეჩვენება. სულწრაფი ადამიანია და მოთმინება აკლია, ამან ბევრჯერ დააზარალა: უცებ ჩამოყრის ხოლმე ყურებს, ნაცვლად იმისა, რომ ხანგრძლივად და დაჟინებით შევეცადოს რაიმეს მიღწევას. ზედმეტი ემოციურობა ხელისშემშლელია, ცოტა ცივსისხლიანი უნდა იყო. მას კი არ შეუძლია ცივსისხლიანობა და ნელა, მიზანმიმართულად მიზნის მიყოლა. მაგრამ ერთი კია: რამდენჯერაც არ უნდა დამარცხდეს, მასში თითქოს ვიღაც სულელი ზის, რომელიც განუწყვეტლივ იგონებს იმედს, ამაში კი ნამდვილად არა ჰყავს ტოლი... არ იცის, ეს კარგია თუ ცუდი, მაგრამ ასეთი რამ ზოგჯერ ეხმარება ადამიანს დეპრესიის ორმოდან ამოსვლაში, იმედი ერთგვარი თავდაცვის მექანიზმია, ადამიანს დეპრესიის მატარებელმა რომ არ გადაუაროს რეალობის რელსებზე და ნაკუწებად არ აქციოს. ის თითქოს მისი მეორე მე არის ან მფარველი ანგელოზი, რომელიც მას სდარაჯობს და გაჭირვების შემთხვევაში, მაშინ როცა გაწირულია, ხელს კრავს, რეალობის ლიანდაგებიდან გვერდზე მოისვრის და განადგურებისაგან იცავს...

ვირჯინია ვულფი

დაუწერელი რომანი

ასეთი მწუხარე გამომეტყველება საკმარისი იყო იმისთვის, რომ გაზეთიდან მზერა ამ საწყალი ქალის სახეზე გადაგეტანა – არაფრით გამორჩეულზე – რომ არა ასეთი გამოხედვა, რომელიც მას ლამის ადამიანური ხვედრის სიმბოლოდ აქცევდა. ცხოვრება ისაა, რასაც შენ ადამიანების თვალებში ხედავ, ცხოვრება ისაა, რასაც ისინი სწავლობენ და ისწავლიან რა, ვეღარასოდეს, – თუმც ძალიან ცდილობენ, ახერხებენ მის დავიწყებას. რისას? ალბათ იმისას, რომ ცხოვრება ცხოვრებაა. ხუთი სახე მოპირდაპირე მხარეს, ხუთი ზრდასრული ადამიანის სახე – თითოეულ სახეზე ცოდნაა აღბეჭდილი. უცნაურია, როგორ ცდილობს ხალხი ამის დამალვას! ყველა სახეზე თავშეკავებულობა იკითხება: მოკუმული ტუჩები, მილულული თვალები. თითოეული მათგანი ცდილობს, დამალოს ან დაამციროს თავისი ცოდნის მნიშვნელობა. ერთი ეწევა, მეორე კითხულობს, მესამე რაღაც ჩანაწერს ამოწმებს ბლოკნოტში, მეოთხე კედელზე გაკრულ რკინიგზის რუკას მისჩერებია, მეხუთე კი, რა საშინელებაა, ეს მეხუთე ხომ საერთოდ არაფერს აკეთებს. ის ცხოვრებას უყურებს. ჰო მაგრამ, ჩემო საწყალო, უიღბლო ქალბატონო – იქნებ შენც მიგეღო თამაშის წესები, იქნებ შენც დამალულიყავი.

ვითომც გაეგონოს, ამოიხედა, გვერდი ოდნავ იცვალა და ამოიოხრა. ის თითქოსდა მეზოდიშებოდა და იმავდროულად მეუბნებოდა: „თქვენ რომ იცოდეთ“, – შემდეგ ისევ ცხოვრებისკენ გაიხედა. „მაგრამ მე სწორედაც რომ ვიცი“, – ვუპასუხე უსიტყვოდ და ზრდილობის გულისთვის „თაიმზს“ ჩავხედე. – მე ყველაფერი ვიცი. „გუშინ პარიზში ხელმოწერილ იქნა სამშვიდობო შეთანხმება გერმანიასა და ანტანტის ქვეყნებს შორის... სენიორ ნიტი, იტალიის პრემიერ-მინისტრი... დონკასტერში სამგზავრო მატარებელი სატვირთოს შეეჯახა. ჩვენ ყველამ ვიცით, „თაიმზმა“ იცის, მაგრამ თავს ისე ვაჩვენებთ, თითქოს არ ვიცოდეთ. ჩემი მზერა კვლავ გაზეთს ზემოთ გაცურდა, მას შეაჟრჟოლა, მკვეთრი მოძრაობით ხელი ზურგსუკან წაიღო, ბეჭებს შორის მოიფხანა და თავი გადააქნია. კვლავ ჩემი ცხოვრების უზარმაზარ რეზერვუარში ჩავიყურყუმელავე. „აიღეთ, რაც გსურთ, – განვაგრძე მე, – დაბადებები, სიკვდილები, ქორწინებები, სამეფო კარის ქრონიკები, ჩიტების ჩვევები, ლეონარდო და ვინჩი, სანდჰილის მკვლელობა, მაღალი ხელფასები და ცხოვრების ღირებულება. „ოჰ, აიღეთ, რაც გსურთ“, – გავიმეორე. – „ეს ყველაფერი „თაიმზშია“. კვლავ უსაზღვროდ უხალისოდ დაიწყო თავის აქეთ-იქით ქნევა, სანამ მისი თავი ბრუნვისაგან დაქანცული ბზრიალასავით არ გაირინდა.

ისეთი მწუხარებისგან, რომლითაც ისაა შეპყრობილი, „თაიმზით“ ვერ დაიცავ თავს. მაგრამ სხვების თანდასწრებით ურთიერთობას ვერ დაამყარებ. ცხოვრებისგან თავდასაცავად საუკეთესო რამ იქნებოდა გაზეთი აკურატულად დაგეკეცა შრაშუნა, სქელ კვადრატად – რომელიც თვით ცხოვრებისათვისაც შეუღწევადი იქნებოდა. გავაკეთე რა ეს, სწრაფად ავიხედე ზევით, ახლა უკვე საკუთარი ფარით დაცულმა. მაგრამ მისმა მზერამ ფარშიც გამოაღწია, დაჟინებით მიცქერდა თვალებში, თითქოს მათში მხნეობის თუნდაც ნატამალს ეძებდა, რათა ის მიწასთან გაესწორებინა. თუნდაც მისი მკვეთრი მოძრაობები რად ღირდა – ის ყველა იმედს გიცრუებდა, ყოველგვარ ილუზიას გიქარწყლებდა.

და ასე ჩვენ ჩავიგრიალეთ სურეი და სუსექსის საზღვარი გადავკვეთეთ. მაგრამ მე, ცხოვრებაზე თვალგაშტერებულმა, ვერ შევამჩნიე, როგორ ჩავიდნენ დანარჩენი მგზავრები ერთმანეთის მიყოლებით და ჩვენ, თუ არ ჩავთვლით კაცს, რომელიც გაზეთს კითხულობდა, მხოლოდ ორნი დავჩით კუპეში. აი, „სამი ხიდის“ სადგურს მივადექით. მატარებელი ღოღვა – ღოღვით შევიდა სადგურზე და გავჩერდით. აპირებდა თუ არა კაცი ჩასვლას? თვითონაც არ ვიცოდი, რომელი მენატრა – ბოლოს ვინატრე დარჩენილიყო. სწორედ იმ წამს წამოდგა, უხეშად დაჭმუჭნა გაზეთი, როგორც უკვე უსარგებლო რაღაც, კარები ფართოდ გამოაღო და ჩვენ მარტო დაგვტოვა.

საწყალი ქალი ცოტათი ჩემკენ გადმოიხარა და უღიმღამო, უფერული საუბარი გამიბა იმაზე, თუ რომელ სადგურებს გავდიოდით, თავის ისტბორნელ ძმებზე, რომ ზამთარი იმ წელიწადს – უკვე აღარ მახსოვს, რომელ წელზე ლაპარაკობდა – ადრე დადგაო, თუ გვიან დადგაო. და ბო-

ლოს ფანჯარაში გაიხედა და დაინახა – რა უნდა დაენახა? – მხოლოდ ცხოვრება! – სუნთქვას ამოაყოლა: „შინიდან წასვლა ყველაფერზე უარესია“. რაღაცას მივუახლოვდით, ახლა გაირკვევა, რა ულრღნის გულს: „ჩემი რძალი – რაღაც ლიმონივით მწარე იგრძნობოდა მის ხმაში და მე კი არა, უფრო საკუთარ თავს მიმართა ბურტყუნით: – რაც უნდა უთხრა, ყველაფერზე „სისულელეას“ იძახის, და „სხვებიც ასე ამბობენ!“ – ლაპარაკისას ცქმუტავდა, თითქოს ზურგის კანი მაღაზიის ვიტრინაში გამოდებული გაპუტული ქათამივით ჰქონოდეს.

– აუ, რა ძროხაა! – შეწყვიტა ნერვიულად, თითქოსდა მინდორში მობალახე ზანტმა ძროხამ დააფრთხო და ზედმეტი გულახდილობისგან იხსნა. შემდეგ გააჟრჟოლა ადრინდებურად უხერხული, მკვეთრი მოძრაობა გააკეთა, თითქოს სპაზმის შემდეგ ზურგი ბეჭებს შორის უხურდა, თუ ექავებოდა. ისევ მომეჩვენა, რომ მასზე უბედური ქალი ამქვეყნად არ იყო და ისევ ვუსაყვედურე, თუმცა არცთუ წინანდებური თავდაჯერებით, რადგან თუკი მის უბედურებას მიზეზი ჰქონდა და ეს მიზეზი მე მეცოდინებოდა, მაშინ მისი განსჯაც აღარ შეიძლებოდა.

– რძლები, ისინი ხომ... – დავიწყე მე.

ტუჩები მოეკუმა, თითქოს შხამიანი სიტყვების ამოფრქვევას აპირებენო, მაგრამ იმავე მდგომარეობაში დარჩნენ. მხოლოდ ის იყო, რომ ხელთათმანები გაიძრო და ფანჯრის რაფაზე ჭუჭყის მოწმენდა დაიწყო. საგულდაგულოდ წმენდდა, თითქოს უნდოდა, ერთხელ და სამუდამოდ მოეცილებინა – მაგრამ რა? ლაქები თუ რაღაც გადამდები სნება. თუმცა ლაქა არა და არ იშლებოდა და ის უკან გადაიწია, ისევ გააჟრჟოლა და ხელი ისევ უკან წაიღო, როგორც უკვე ველოდი. არ ვიცი, რამ მაიძულა ხელთათმანი გამეძრო და ჩემს მხარეზე ფანჯრის წმენდა დამეწყო. ერთ ადგილზე მასზეც იყო პატარა ლაქა. როგორ არ ვწმინდე, მაგრამ ვერაფრით მოვაშორე. შემდეგ მეც ჟრჟოლამ დამიარა, მკლავი მოვხარე და ხელი ბეჭებს შორის წავიღე. ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ჩემი კანიც ხორცის მაღაზიის ვიტრინაში გამოდებული გაპუტული ქათმის კანივით იყო დანესტიანებული. ერთი ადგილი ბეჭებს შორის მექავებოდა – გაწებილი, უმი ხორცის შეგრძნება მაღიზიანებდა. მივწვდებოდი კი ხელით? მალულად შევეცადე ამის გაკეთებას. ქალმა შემამჩნია. უსაზღვრო ირონია, უსაზღვრო მწუხარება გაკრთა მის სახეზე და მიინავლა. მაგრამ მან გამიზიარა, გამიმხილა თავისი საიდუმლო, გადამდო თავისი სნება და რაღა საჭირო იყო სიტყვები? საზურგისკენ გადავიხარე ჩემს კუთხეში, მისი თვალებისგან თავი დავიფარე და მხოლოდ გორაკებს და ღარტაფებს, ზამთრის პეიზაჟის ნაცრისფერებს და მეწამულისფერებს გავცქეროდი. მე წავიკითხე მისი გზავნილი, გავშიფრე მისი საიდუმლო, ჩემდამი მომართული მისი მზერის ქვეშ.

რძალს ჰილდა ჰქვია? ჰილდა? ჰილდა? ჰილდა მარში – გაფურჩქნილი, მკერდსავსე, დარბაისელი ქალბატონი. ჰილდა ტაქსის კარის ზღურბლთან ხვდება. ფული მომზადებული აქვს. „საწყალი მინი, ასეთი ჩამომხმარი არასოდეს ყოფილა – შარშანდელი მოსასხამიც შემოაცვდა. რამდენს გასწვდება ჩვენს დროში ორბავშვიანი ქალი. არა, მინი, მე მომზადებული მაქვს, ინებეთ მძღოლო, – თქვენი რაღაცები ჩემთან არ გაგივათ. შემოდით, მინი, მე შენც შემოგიტანდი, არამცთუ შენს კალათს, – და ისინი სასადილოში შედიან. – აი დეიდა მინი, ბავშვები.

დანები და ჩანგლები ნელა ეშვებიან ზემოდან ქვემოთ. ისინი (ბობი და ბარბარა) სკამებიდან ჩამოდიან, დინჯად იწვდიან ხელს, კვლავ სკამებს უბრუნდებიან. ლუკმას და ლუკმას შორის თვალებდაჭყეტილი იმზირებიან (მაგრამ ჩვენ ამას გამოვტოვებთ. გამოვტოვებთ სამშვენისებს, ფარდებს, ფაიფურის თეფშებს სამყურას ფოთლებში, მწვანე, სწორკუთხა ყველს, თეთრ კვადრატულ ნამცხვრებს. გამოვტოვებთ – თუმცა არა, მოიცადეთ! შუა სადილობისას ისევ აჟრჟოლებს, ბობი, რომელსაც პირში კოვზი აქვს, თვალებდაჭყეტილი მისჩერებია. „სწრაფად დაამთავრე მაგ პუდინგის ჭამა, ბობ“. მაგრამ ჰილდა უკმაყოფილოა. „რატომ იკრუნჩხება ის ასე?“ ვტოვებთ, ვტოვებთ, სანამ ზედა სართულზე ამავალი კიბის მოედანს მივაღწევთ. საფეხურებზე სპილენძია გადაკრული, ლინოლეუმი გაცვეთილია. ოჰ, როგორც იქნა! პატარა საძინებელი ისტბორნის სახურავებს გადაჰყურებს, მუხლუხოს ზურგივით ზიგზაგისებურ სახურავებს – აქეთ-იქით მიმავალი წითელი და ყვითელი ზოლები მუქი ლურჯი შიფერებით) ახლა კი, მინი, კარი ჩაკეტილია. ჰილდა მძიმე ნაბიჯებით ჩადის სარდაფში, შენ კი შენი კალათის თასმას ხსნი, უბადრუკ ღამის ხალათს საწოლზე დებ, გვერდი – გვერდ აწყობ ბეწვის ქობიან ქეჩის ფლოსტებს. სარკე, – არა, სარკეს თავს არიდებ. გულდაგულ აძრობ ქინძისთავებს ჩალის ქუდიდან. ნიჟარის კოლოფში ხომ არ იქნება რაიმე? ანჯღრევ მას, მარგალიტის საკინძი – იგივე,

რაც შარშან, – ეს არის სულ. შემდეგ აცემინებ, ოხრავ და ფანჯარასთან ჯდები. დეკემბერია, ნაშუადღევი, სამი საათი. ჟინჟლავს. ერთი სინათლე დიდი საგალანტერიო მაღაზიის მინის სახურავის ქვეშ, ძალიან დაბლიდან ანათებს, მეორე მაღლიდან, მსახურების საწოლი ოთახიდან. ეს მეორე ქრება. აღარაფერი დარჩა ისეთი, რასაც შეიძლება უყუროს. წამიერი სიცარიელე – და შემდეგ რაზე ფიქრობ? (მოდი, მას გავხედავ, მოპირდაპირე მხარეზე მჯდარს – ჩაძინებულია, ან იქნებ თავს აჩვენებს, ვითომ სძინავს. რაზე შეიძლება ფიქრობდეს დღის სამ საათზე ფანჯარასთან მჯდარი? ჯანმრთელობაზე, ფულზე, კანონპროექტებზე, კონცხებზე, ღმერთზე? დიახ, სკამის სულ კიდეში მჯდარი მინი მარში ისტბორნის სახურავებს გადაჰყურებს და ღმერთს ევედრება. ეს ყველაფერი ძალიან კარგია. შეიძლება, მინაც გაწმინდოს, თითქოსდა იმისთვის, რომ ღმერთი უკეთ დაინახოს. მაგრამ რომელ ღმერთს ხედავს? ვინ არის მინი მარშის ღმერთი? ისტბორნის მიყრუებული ადგილების ღმერთი, შუადღის სამი საათის ღმერთი? სახურავებს მეც ვხედავ, ვხედავ ცასაც, მაგრამ ღმერთის ხილვა? უფრო პრეზიდენტ კრიუგერს ჰგავს, ვიდრე პრინც ალბერტს – ეს არის ყველაზე უკეთესი რამ, რაც მისთვის შემიძლია გავაკეთო. და მე ვხედავ მას სკამზე მჯდარს, შავ სერთუკით და არც ისე მაღლა. ერთი – ორი ღრუბელი შეიძლება გავუხერხო ჩამოსაჯდომად. შემდეგ მის ხელს, ღრუბელზე გადაწოლილს, კვერთხი უჭირავს. თუ ეს ხელკეტია? შავი, სქელი, ხორკლიანი. სასტიკი, უჯიათი ბებერი – მინის ღმერთი. სწორედ ის არ უგზავნის ქავილებს, ლაქებს და კრუნჩხვებს? ამისთვის ლოცულობს? ცოდვის კვალი – აი, რის წაშლას ცდილობს ფანჯრიდან. აბა რა, მას ხომ ცოდვა ადევს კისერზე? – დანაშაული აქვს ჩადენილი.

დანაშაულები ჩემებურად მაქვს დახარისხებული. ტყეები ჩაიქროლებენ, გაიელვებენ. ზაფხულობით მაჩიტები, გაზაფხულის პირას ფურისულები. განშორება – ოცი წლის წინ იქნებოდა? გატეხილი ფიცი? არა, მინი ასეთი არ არის!... ის ერთგული იყო. როგორ უვლიდა დედას! მთელი თავისი დანაზოგი საფლავის ქვაზე დახარჯა – გვირგვინები მინის ხუფის ქვეშ – ნარგიზები ქილაში. მაგრამ მე გადავუხვიე. დანაშაული – ისინი იტყოდნენ, რომ მან გულის ხვაშიადი არავის გაანდო, საიდუმლო ღრმად ჩაიმარხა გულში – სქესის საიდუმლო ასე იტყოდნენ ისინი, ნასწავლი ხალხი. მაგრამ რა სისულელეა, მას კიდევ სქესის პრობლემები აჰკიდო. არა, უმალ ასე იქნებოდა. ოცი წლის წინ, როცა კროიდონის ქუჩას მიუყვებოდა საგალანტერიო ფარდულის სარკის მინის უკან ელექტროშუქზე გაელვებულმა იისფერმა ლენტებმა მიიპყრო მისი მზერა. ვიტრინასთან შეყოვნდა: – შვიდი იყო დაწყებული. თუ გაიქცეოდა, სახლში მისვლას მოასწრებდა. მინის მბრუნავ კარს მიაწვა. გახურებული ვაჭრობის დრო. დახლები ლენტებით იყო სავსე. სული მოითქვა, ერთი მიიწია თავისკენ, მეორეს, ტვიფრული ამობურცული ვარდებით, თითებით შეეხო. არ არის საჭირო ამორჩევა, არ არის საჭირო ყიდვა. ყოველი დახლი სიურპრიზს გიმზადებს. „შვიდ საათამდე არ ვკეტავთ...“ – და უკვე შვიდია. ის გარბის, მიჰქრის, და აი უკვე სახლშია, მაგრამ უკვე ძალიან გვიანია! მეზობლები – ექიმი – ჩვილი ძმა – ჩაიდანი – დაითუთქა – საავადმყოფო – მოკვდა – თუ მხოლოდ თავზარი და დანაშაულის გრძნობა? ჰო, მაგრამ, ამ დეტალებს ხომ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს! აი ეს არის, რისი ზიდვაც უწევს, ამ სირცხვილის, დანაშაულის, ცოდვის და ამას მუდამ ბეჭებს შორის გრძნობს.

„ჰო, თითქოს თავს მიქნევს ის. სწორედ ასე იყო ყველაფერი“.

იყო თუ არა და თუ იყო, რა იყო, ეს ჩემი საქმე არ არის. მე სხვა რამ მაინტერესებს. იისფერი ლენტები საგალანტერიოს ფარდულში. – ეს საკმარისია. შესაძლოა, ცოტა იაფფასიანი, ცოტა ბანალური, რადგან დანაშაულები იმდენია, შენ მხოლოდ აირჩიე, მაგრამ რამდენი (მოდი, ერთხელ კიდევ გავიჭვრიტავ პირდაპირ – ისევ ძინავს, ან იგონებს რომ ძინავს! მიტკალივით თეთრი, გაცვეთილი სახე, მოკუმული პირი – სიჯიუტის ნიშანი, ამას კი ნაკლებად იფიქრებდი, – სქესზე არანაირი მინიშნება) რამდენი დანაშაული არაა შენი დანაშაული. შენი ხომ იაფფასიანი დანაშაული იყო, მხოლოდ ზღვა მოგიწია დიდი საწყაულით. ახლა ეკლესიის კარი იღება, ხის მაგარი სკამი იღებს მას. მუხლს იყრის მუქ ფილებზე, ყოველდღე, ზამთარში, ზაფხულში, ალიონზე თუ შებინდებისას (ახლაც იქ არის) ლოცულობს. მისი ცოდვები ეცემიან, ეცემიან, ეცემიან – გამუდმებით. და ყველა – ლაქაზე. ის გასივდა, გაწითლდა, გიზგიზებს. ამ დროს აჟრჟოლებს. პატარა ბიჭები თითს იშვერენ მისკენ. „ბობი დღეს ლანჩისას“, მაგრამ ყველაზე უარესი ხანშიშესული ქალები არიან.

ახლა, მართლაც, აღარ შეგიძლია იჯდე და ილოცო – წასვლის დროა. კრიუგერი ღრუბლებს

ქვემოთ ჩაიძირა. ისე წარიხოცა, თითქოს მხატვრის ფუნჯმა გადაუარაო ოდნავ შავგარეული ნაცრისფერი საღებავით. კეტის კიდეც კი წაიშალა. სწორედ ასე ხდება ყოველთვის! როგორც კი დაინახავ, როგორც კი იგრძნობ მის არსებობას ვიღაც ჩაგეჭრება. ამჯერად ეს ჰილდაა.

როგორ გძულს ის! იქამდე დავიდა, რომ სააბაზანოს კარსაც კი კეტავს ღამით, შენ კი მხოლოდ ცივი წყლის გადავლება გინდა, შფოთიანი, უძილო ღამის შემდეგ, როცა გეჩვენება, რომ დაბანა გიშველის. საუზმისას კი ჯონი და ბავშვებიც იქვე არიან – ყველაზე უარესი სუფრასთან ჯდომაა, თან ხანდახან სტუმრებიც მოდიან. გვიმრა მზერებისგან მთლად ვერ დაგიფარავს – ისინიც ყველაფერს ხვდებიან და შენ გარეთ გადიხარ, სანაპიროზე დახეტიალობ, სადაც ნაცრისფერი ტალღებია და ქაღალდები ქარდაქარ დაფრენენ, მინის მწვანე საფარქვეშ ორპირი ქარები ზუზუნებენ, სკამები ორი პენსი ღირს. რა ამბავია! თორემ მღვდლების ქადაგებას მოუსმენდა კაცი. ოჰ, ეს ზანგი – ეს უცნაური კაცი – თუთიყუშებიანი კაცი – პატარა, საცოდავი არსებები! ნუთუ აქ არავინაა ისეთი, რომ ღმერთზე ფიქრობდეს? სწორედ აქ, პირსს ზემოთ, კვერთხით ხელში, მაგრამ არა, ცა მთლიანად ნაცრისფერია და თუ სადმე გამოკრთება სილურჯე, თეთრი ღრუბლები მაშინვე გადაფარავენ მას და მუსიკა – ეს სამხედრო ორკესტრია – რის დაჭერას ლამობენ? და იჭერენ? როგორ მიშტერებიან ბავშვები! ჰოდა ახლა კი სახლისაკენ უკუსვლით – სახლისაკენ უკუსვლით!“ სიტყვებს აქვთ მნიშვნელობა, ისინი შეიძლება იმ ბაკენბარდებიან მოხუც კაცსაც წარმოეთქვა. – არა, არა, სინამდვილეში მას არაფერი უთქვამს, მაგრამ მნიშვნელობა ყველაფერს აქვს. – კარებზე მიყუდებული პლაკატები – ფირნიშები ვიტრინებს ზემოთ, – ლოყაწითელი ვაშლები კალათებში – ქალების თავები საპარიკმახეროების ფანჯრებს მიღმა – ყველა ამბობს: „მინი მარში“ და უცებ ატყდა: „კვერცხი გაიაფდა“... ყოველთვის ასე ხდება! მე ის ჩანჩქერისკენ მიმყავდა, პირდაპირი გზით სიგიჟისაკენ, ის კი რულმორეული ცხვრის ფარასავით, მოტრიალდება და ჩემს თითებს შორის გარბის. კვერცხი გაიაფდა. მიწაზე მაგრად მიჯაჭვულ საწყალ მინი მარშს დანაშაულები, უბედურებები, აღტაცებები თუ შეშლილობები არ ეხება. არასოდეს დაუგვიანია სადილზე, არასოდეს მიუსწრია წვიმას ისე, რომ მაკინტოში არ სცმოდეს. არასოდეს დავიწყნია, რომ კვერცხი გაიაფდა. და აი, მან სახლს მიაღწია, ფეხსაცმელს იწმენდს შესასვლელთან.

სწორად შევძელი წაკითხვა? მაგრამ ადამიანის სახე – ადამიანის სახე მთელ სიგრძეზე გაშლილ გაზეთს ზემოთ მეტს მოიცავს, მეტს მალავს. ახლა თვალები გახელილი აქვს, მზერა – გარეთ მიმართული. და ადამიანის ხედვა, – როგორ უნდა გამოვხატო ზუსტად – თიშავს – აშორებს – და როგორც კი ღეროს შეეხები, პეპელა უკვე მიფრინავს, პეპელა, რომელიც საღამოობით ყვითელ ყვავილებს დაჰფარფატებს. გაინძრევი, ხელს ასწევ, და ის უკვე მიფარფატებს, მაღლა, შორს. არ ავწევ ხელს. დაე ასე იყოს, ილივლივე, იფარფატე, სიცოცხლე, სული, გონი – რაც უნდა გერქვას – მინი მარში – და მეც ჩემს ყვავილზე – და ქორი ალიონზე, – განმარტოებით, სხვანაირად რად ეღირებოდა ჩვენი ცხოვრება. აფრენა, ლივლივი საღამოთი, დღისით, ლივლივი ალიონზე, ანავარდება, აფრენა! და ისევ დაჯდომა. მარტოხელა, უხილავი, მაგრამ ყოვლისმხედველი – მის ქვემოთ კი ისეთი სიწყნარეა, ისეთი მშვენება. არაფერს ხედავდე, არაფერზე წუხდე. სხვების თვალები ჩვენი საპყრობილეა, მათი აზრები – ჩვენი გალიები. ჰაერი შენს ზემოთ, ჰაერი შენს ქვემოთ. და მთვარე და უკვდავება... მაგრამ მე ზეციდან მიწაზე ვადენ ზღართანს. შენც? აი შენ, კუთხეში რომ ხარ, რა გქვია? – ქალი – მინი მარში, მგონი, ასე გეძახიან, ხომ? აი ისიც, თავის ყვავილებს მაგრად ჩაფრენია, ჩანთას ხსნის და იქედან ნიჟარას იღებს – კვერცხი – ვინ თქვა, რომ კვერცხი გაიაფდა? შენ თუ მე? ჰო, შენ თქვი, სახლისკენ რომ მივდიოდით, გახსოვს, მაშინ, როცა მოხუცმა ჯენტლმენმა მოულოდნელად ქოლგა გაშალა – თუ დააცემინა? ასე იყო თუ ისე, კრიუგერი წავიდა, შენ კი სახლში „უკუსვლით“ მიდი და შესასვლელთან ფეხსაცმელი გაიწმინდე. ასე იყო. ახლა კი ჯიბის ცხვირსახოცი გადაგიფენია მუხლებზე და მასზე კვერცხების პატარა დაკბილულ ნაჭუჭებს ყრი – რუკის ფრაგმენტები – თავსატეხი. ნეტავ აწყობა შემეძლოს! ნეტავ შენ წყნარად იჯდე. მუხლები შეანძრია, რუკა ისევ ფრაგმენტებად იქცა. ქვემოთ, ანდების ფერდობებზე მარმარილოს თეთრი ლოდები მიხტუნავენ, მიქრიან, სასიკვდილოდ ლეწენ რა თავის გზაზე ესპანელი მარეკების ურდოებს – დრეიკის ნადავლს ოქრო და ვერცხლი. მაგრამ დავუბრუნდეთ... რატომ, საით? მან კარი გამოაღო, ქოლგა დგარზე დადო – ეს ხომ თავისთავად. ისე, როგორც შემწვარი ხორცის სუნი სარდაფიდან რომ აღწევს. წერტილი, წერტილი, წერტილი. მაგრამ რაც ახლა ვერ მომიშორებია, რაც მე თავჩაღუნულმა, თვალდახუჭულმა, მე-

ბრძოლის სიმამაცით და ხარის სიშმაგით უნდა განვდევნო, მივყარ-მოვყარო, ეს, რა თქმა უნდა, გვიმრების უკან მყოფი ხალხია, მოგზაური ვაჭრები. მთელი ამ ხნის მანძილზე მათ იქ ვმალავდი იმის იმედად, რომ ისინი როგორღაც გაქრებოდნენ, ან კიდევ უკეთესი, გამოჩნდებოდნენ – სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო, თუკი ჩემი თხრობა სიმდიდრეს და მაღალფარდოვნებას, ბედს და ტრაგიკულობას იძენს, როგორც უნდა იყოს კიდეც მოთხრობაში და ამ მოძრაობაში თან გაიყოლებს ორს, თუ სამს არა, მოსიარულე მოვაჭრეს და მთელ ჭალას აზიური შროშანებისა. „აზიური შროშანის რტოებმა მხოლოდ ნაწილობრივ დაფარეს მოსიარულე ვაჭრები“. შქერები რომ ყოფილიყო, მთლიანად დაფარავდნენ და თანაც მეც გამახარებდნენ თავისი თეთრი და წითელი ფერებით – აი, რა მიზიდავს მე, აი რისკენ ვილტვი. მაგრამ ისტბორნის შქერები – დეკემბერში – მარშების მაგიდაზე. არა, არა, ვერ გავბედავდი, მათ უფრო ქერქი და ფურჩალი, გვიმრა და გვირისტი შეეფერებათ. შეიძლება მოგვიანებით, ზღვასთან ჩამივარდეს მომენტი. უფრო მეტიც, სურვილს ვყავარ ატანილი ბროლის წახნაგებს და გამჭვირვალე სიმწვანეს გავაღწიო, პირდაპირ მჯდომი კაცი ავათვალ-ჩავათვალიერო – მხოლოდ ერთი, იქნებ ღმერთმა შემაძლებინოს. ეს ხომ ჯეიმზ მოგრიჯია, მარშები ჯიმის რომ ეძახიან? (მინი, უნდა დამპირდე, რომ კრუნჩხვას შეწყვეტ, სანამ მასთან დაკავშირებით ვარკვევ რაღაცებს) ჯეიმზ მოგრიჯი ვაჭრობს, მოიცა, რითი, ღილებით? მაგრამ ჯერ ამის დრო არ დამდგარა – დიდები და პატარები, გრძელ ფანერზე, ზოგი შადრევანის კუდივით, სხვები მქრქალი ოქროსფერი, ზოგი მთის ბროლის, სხვები მარჯნის – მაგრამ ხომ გითხარით, მათი დრო ჯერ არ დამდგარა. მას სიარული უწევს და ხუთშაბათობით, როცა ისტბორნში ჩადის, მარშებთან სადილობს. წითელი სახე, პატარა თვალების მშვიდი მზერა – მთლად ჩვეულებრივს ნამდვილად ვერ დაარქმევ – მისი უსაშველო მადა (ასე უფრო საიმედოა, მინისკენ არც გაიხედავს, სანამ პურით წვენს არ ამოაშრობს). ხელსახოცი კუთხით საყელოში აქვს შეკეცილი, მაგრამ ეს მეტისმეტად პრიმიტიულია. მკითხველისთვის შეიძლება მისაღებიც იყოს, მე კი არ მომწონს. მოდი, მოგრიჯების კერაზე გადავინაცვლოთ, ისიც მოვიყვანოთ მოძრაობაში. ჰო, კვირაობით ჯეიმზი თვითონ შეაკეთებს ხოლმე ოჯახის წევრების ფეხსაცმელებს. კითხულობს „ჭეშმარიტებას“ და მისი გატაცება? ვარდები – და მისი ცოლი, ყოფილი ექთანი – ძალიან საინტერესოა – ღვთის გულისათვის, ერთ ქალს მაინც დავარქმევ ჩემთვის მოსაწონ სახელს. მაგრამ არა, ის გონების არდაბადებულ ბავშვებს ეკუთვნის, უკანონოდ დაბადებულებს, მაგრამ ამის გამო არანაკლებად საყვარლებს, ჩემი შქერებისა არ იყოს. და რამდენი მათგანი კვდება თითოეულ ბოლომდე დაწერილ რომანში – ყველაზე საუკეთესოები, ყველაზე საყვარლები, მოგრიჯი კი ცხოვრობს და ცხოვრობს. ეს ცხოვრების ბრალია. აი, მინი კვერცხს მიირთმევს მოპირდაპირე მხარეს გრძელ სკამზე ჩამომჯდარი რკინიგზის ხაზის განშტოების მეორე ბოლოსთან. – ლუისი უკვე გავიარეთ? – სადღაც ჯიმი უნდა იყოს... რას იკრუნჩხება?

იქ მოგრიჯი უნდა იყოს – ცხოვრების შეცდომა. ცხოვრება თავის კანონებს გვკარნახობს. ცხოვრება გზას გვიღობავს, ცხოვრება გვიმრების უკანაა, ცხოვრება ტირანია, მაგრამ არა ჭირვეული. არა, არა, გარწმუნებთ, საკუთარი ნებით მივედი მასთან. ღმერთმა იცის, რომელმა ძალამ მიმიზიდა მისკენ გვიმრებისა და ჭურჭლის, დაწინწკლული მაგიდისა და დასვრილი ბოთლებისგან. მე მივედი დაუძლეველი სურვილის გამო, რომ ძლიერ სხეულს, ბრგე ხერხემალს მივკვროდი, – ყველგან, სადაც კი შევძლებდი შეღწევას და ფეხის მოკიდებას მის პიროვნებაში, მოგრიჯი – კაცის სულში. მტკიცე ჩონჩხი, ვეშაპივით ძლიერი ხერხემალი, ალვასავით სწორი, ნეკნები გატოტვილი, კანი – მაგრად დაჭიმული ბრეზენტი, წითელი ნაკეცები კისერზე, გული – ძლიერი ტუმბო და ამ დროს ზემოდან გადმოშვებული მუქი, კუბის ფორმის ხორცის ნაჭრები და გადმოთქრიალებული ლუდი, ისევ სისხლმა რომ უნდა შეიწოვოს – და ასე მივედით თვალებამდე. შროშანებს მიღმიდან ისინი რაღაცას ხედავენ: შავ-თეთრი, დაღვრემილი. აი, ისევ თეფშს მიაშტერდნენ. შროშანებს მიღმიდან ისინი ხანშიშესულ ქალს უყურებენ. „მარშის და, ჰილდა უფროა ჩემი ყაიდის“ ახლა მაგიდის გადასაფარებელი „მარშს ეცოდინება მორისებს რა სჭირთ“, საფუძვლიანად ვიმსჯელოთ ამაზე. აი ყველიც, და ისევ თეფშზე, შეაბრუნა, უზარმაზარი თითები – ახლა პირდაპირ მჯდომი ქალი: „მარშის და – ძმას ოდნავაც არ ჰგავს: გასაცოდავებული, ხანში შესული მდედრი...ქათმებს კარგად უნდა აჭამო... უზენაესი ჭეშმარიტება... რას იკრუნჩხება? რამე არასწორად ვთქვი? ოჰ, რა უბედურებაა, რა უბედურებაა, რა უბედურებაა, ეს ხანში შესული ქალები“.

(დიახ, მინი, მე ვიცი, რომ შენ მოიკრუნჩხე, მაგრამ, ერთი წუთით, – ჯერ, ჯეიმზ მოგრიჯი.)

რა უბედურებაა, რა უბედურებაა, რა უბედურებაა! რა მშვენიერი ხმაა! თითქოს გამომშრალ ფიცარზე ხის ჩაქუჩს ურტყამდნენ, თითქოს გულისძგერა იყოს ძველი ვეშაპმჭერისა, როცა სქელი ტალღები აწყდება და წყალს მღვრიე მწვანე ფერი აქვს. „რა უბედურებაა, რა უბედურებაა – ეს დაკრძალვის ზარია ტანჯულ სულთათვის რათა დააწყნაროს და ანუგეშოს ისინი, სუდარაში გაჰხვიოს სიტყვებით: „მშვიდობით, ღმერთმა გაბედნიეროს“ და შემდეგ: „რამე ხომ არ გესიამოვნებათ?“ და თუმცა მოგრიჯი ისევ დაკრეფს მისთვის ვარდებს თავის ბაღში, ეს უკვე დამთავრდა, სამუდამოდ. შემდეგ რა იქნება? „ქალბატონო, მატარებელს ვერ მიუსწრებთ“. ისინი ხომ არ აყოვნებენ.

ასეთები არიან ადამიანები, ასეთი სიტყვები იწვევენ გამოძახილს. აი, წმინდა პავლეს ტაძარი და ავტომობილები. მაგრამ ჩვენ ნამცეცებს ვიბერტყავთ. ოჰ, მოგრიჯ, ხომ არ დარჩებოდით? აჰ, უკვე დროა? თქვენ უნდა ისეირნოთ ისტბორნში ნაშუადღევს პატარა ეტლით? თქვენ ხართ ის კაცი, მწვანე მუყაოს ყუთების ბარიკადების მიღმა, ხანდახან ფარდები რომ აქვს ჩამოშვებული და ხანდახან ცერემონიულად ზის სფინქსის მზერით და არის მასში ყოველთვის რაღაც, რაც აკლდამას, მესაფლავეების ბიუროს თუ კუბოს მოგაგონებს, ცხენი და მეეტლე კი წინ, ბინდ – ბუნდში იკარგებიან? მითხარით, რა, გთხოვთ. მაგრამ კარი ჯახუნით იკეტება. ჩვენ აღარასოდეს შევხვდებით ერთმანეთს. მშვიდობით, მოგრიჯ!

ჰო, ჰო, ახლავე მოვდივარ. პირდაპირ სახლის ზემო სართულში. წამიერად შევყოვნდები. თავში პირდაპირ დომხალი მაქვს, როგორი მორევი ითრევს ამ ურჩხულებს, ტალღები ბობოქრობენ, წყალმცენარეები ირწევიან და აქ მწვანე, იქ შავი, ქვიშას ეხეთქება, მაგრამ თანდათან ყველაფერი თავის ადგილს უბრუნდება, დანალექი თავისთავად დაიწმინდება და თვალები ისევ წყნარი, ნათელი ხდება და ბაგეები წასულებისთვის ლოცვას აღავლენენ, აღაპს ატარებენ მათი სულების მოსაგონებლად, რომელთაც ამიერიდან ვეღარასოდეს შევხვდებით.

ჯეიმზ მოგრიჯი უკვე მკვდარია, სამუდამოდ წასული. იცი, რა მინი, „ამის ატანა უკვე აღარ შემიძლია“. თუკი მან ეს თქვა – (აბა ერთი შევხედო. კვერცხის ნაჭუჭს დამრეცი ფერდობისკენ ისვრის) რა თქმა უნდა, მან ეს თქვა, როცა საწოლი ოთახის კედელს მიეყრდნო და პატარა ბურთულებს წიწკნიდა, არშიად რომ ჰქონდა შემოვლებული შინდისფერ ფარდას. მაგრამ როცა საკუთარ თავს ელაპარაკები, ვის ელაპარაკები? დაკრძალული სული, სული სულ უფრო და უფრო ღრმად შერეკილი ყველაზე მთავარ მიწისქვეშეთში, სწორედ ის მე, რომელიც ბერად აღიკვეცა, და დატოვა სააქაო. შესაძლოა ეს სიმხდალეა, მაგრამ სამაგიეროდ მშვენიერია, როცა ის ფანარის ქნევით განუწყვეტლივ დაქრის აღმა-დაღმა ბნელ კორიდორებში. „ამის ატანა უკვე აღარ შემიძლია“, –ამბობს მისი სული. – და ეს კაცი, რომელიც სადილობს – ჰილდა – ბავშვები“. ღმერთო ჩემო, როგორ ქვითინებს! ეს სულია, თავის ხვედრს რომ დასტირის. გაქელილი სული, რომელიც ლამობს, ნოხებში მიიკუნჭოს, თანდათან რომ ილევიან, – უბადრუკი საყრდენი – წარმავალი სამყაროს გალეული ნაკუწები, სადაც არყოფნაში გადადის ყველაფერი: სიყვარული, ცხოვრება, რწმენა, ქმარი, ბავშვები და ვინ იცის, რა ბრწყინვალება და სიკაშკაშე ქალიშვილობისას ნაოცნებარი: „არა, ჩემთვის არ არის, ჩემთვის არ არის“.

და რა რჩება – მრგვალი ფუნთუშები, გაქუცული ბებერი ძაღლი? მძივის ხელსახოცები, ალბათ და ერთადერთი ნუგეში – საცვლები. მინი მარშს რომ მანქანამ გადაუაროს და საავადმყოფოში წაიყვანონ, თვით ექთნებს და ექიმებს გააოცებდა... აი, აქ არის პერსპექტივა, აქ არის ხილვა, აქ არის შორეთი, – ლურჯი ლაქა ქუჩის სულ ბოლოს, თუმცა ჩაის ჯერ კიდევ არომატი აქვს, მრგვალი ფუნთუშა ცხელია და ძაღლი – „ბენი, შენს ადგილზე წადი, შვილო, აბა, ნახე, დედამ რა მოგიტანა“ და იღებ რა ხელთათმანებს გაცვეთილი ცერა თითით, კიდევ ერთხელ ცდილობ უგულებელყო დემონი, სულ უფრო და უფრო რომ გიახლოვდება, ხვრელებიდან მოძვრება, ციხე – სიმაგრის კედლებს ამაგრებ, აქეთ-იქით დაატარებ ნაცრისფერ აბრეშუმისძაფიან ნემსს.

აქეთ-იქეთ, წინ და უკან ქსოვ აბლაბუდას, რომლითაც თვით ღმერთი – ჩუ, ჩუ, ღმერთზე ნუ ფიქრობ. რა მაგარი ნაკერია! უნდა ამაყობდე შენი ნაკერით. დაე ნურაფერი შეაშფოთებს მას, დაე ნათელი რბილად დაეფინოს და ღრუბლებმა გამოაჩინონ შიგა სამოსი პირველი მწვანე ფოთლებისა, დაე ბელურამ, ტოტზე ჩამომჯდარმა, მასზე ჩამოკიდებული წვიმის წვეთი ჩამობერტყოს... ზემოთ რატომ აიხედე? რა იყო მიზეზი – ბგერა თუ გაელვებული აზრი? ოჰ, ღმერთო! ისევ შენს საქციელს ვუბრუნდებით, იისფერ ლენტას სარკის მინის მიღმა? მაგრამ ჰილდა მოვა. შერცხვენა, დამცირება – ოჰ! ამოვქოლოთ ეს ნაპრალი!

მინი მარში, დაკემსავს რა ხელთათმანს, უჯრაში დებს. შემდეგ მტკიცე გამომეტყველებით კეტავს უჯრას. მისი სახის ანარეკლს სარკეში ვხედავ. ტუჩები მოკუმული აქვს, ნიკაპი მაღლა უჭირავს. შემდეგ თასმას იბნევს ფეხსაცმელზე, თავის ყელს ეხება. რას წარმოადგენს მისი ბროში? ფითრს თუ ფრთებს? და, საერთოდ, რა ხდება? თუ ძალიან არ ვცდები, მაჯისცემა აგიჩქარდა. გადამწყვეტი წამი ახლოვდება. ძაფები გადაჯვარედინდება – წინ ნიაგარაა. ეს კრიზისული მომენტია. ღმერთი გფარავდეს. წინ! გამაგრდი! გამაგრდი! უკან არ დაიხიო! გაბედულად! ღვთის გულისათვის, ნუ დაელოდები პასიურად! აი კარები, გააღე! მე შენს მხარეს ვარ! ხმა ამოიღე! შეები მას! სული ამოჰხადე!

– ოჰ, უკაცრავად! დიახ, ეს ისტბორნია. ახლავე დაგეხმარებით მის ჩამოღებაში. აბა, სახელურით ვცადო (და მაინც, მინი, თუმცა ვცდილობთ თავი მოვიკატუნოთ, მე შენ გაგშიფრე – შენ შესახებ ახლა ყველაფერი ვიცი).

– მთელი ეს ბარგი თქვენია?

– არც კი ვიცი, როგორ გადაგიხადოთ მადლობა.

(და მაინც, რატომ იყურები აქეთ – იქით? ჰილდა არ მოვა სადგურზე შენს შესახვედრად. არც ჯონი. მოგრი კი ახლა სადღაც ისტბორნის იქეთა მხარეს მიჰქრის.)

– მე ჩემს ბარგთან მოვიცდი, მემ. ასე უფრო საიმედოა. ის დამპირდა, რომ დამხვდებოდა. ოჰ, აი ისიც. ჩემი ვაჟიშვილი.

და ისინი ერთად მიდიან.

ჰო, მაგრამ, მე თავგზა მერევა ...მინი, ამას კი არ მოველოდი! უცნაური ახალგაზრდა კაცი ...მოიცათ! მე ვეტყვი მას – მინი! – მის მარშ! თუმცა არ ვიცი. და მისი ლაბადაც რაღაც საეჭვოდ იბზიკება, როცა დაბერავს. მაგრამ ეს არასწორია, ეს უხამსობაა ...შეხედე, როგორ იხრება ის მინისკენ, როცა ალაყაფის კარებს უახლოვდებიან. მინიმ ბილეთი მოიძებნა. მაგრამ ეს რა ხუმრობაა? და ისინი გზას დაუყვებიან, გვერდიგვერდ მიდიან, შორს ...აი ასე, ჩემი სამყარო ინგრევა. რაზე ვდგავარ? რა ვიცი? ეს სრულებითაც არ არის მინი. და მოგრიჯიც არასოდეს ყოფილა? და მე თვითონ ვინღა ვარ? და ცხოვრებაც ისეთი ცარიელია, როგორც გამოხრული ძვალი.

და მაინც უკანასკნელად მათი ხილვა: ტროტუარიდან ჩამოდიან და მინი მასთან ერთად დიდ შენობას უვლის გარს, რაც მე აღტაცებას მგვრის, – ისევ პირთამდე მავსებს. ოჰ, როგორ ტრიალებს და ზვირთდება – ისევ მიმაქროლებს. კვალში ვუდგები მათ. მანქანები აქეთ-იქით დაჰქრიან. კაშკაშა სინათლე იფრქვევა, იღვრება. ვიტრინების სარკის მინები. მიხაკები, ქრიზანთემები. სურო ბნელ ბაღებში. მერძევეების ურმები კარებთან. სადაც არ უნდა წავიდე, თქვენ გხედავთ, საიდუმლოებით მოცულო უცნობებო. ვხედავ, როგორ უხვევთ მოსახვევში. დედები და ვაჟიშვილები. თქვენ, თქვენ, თქვენ. ფეხს ვუჩქარებ, კვალში გიდგავართ. ეს კი, ჩემი შეტყობით, ზღვა უნდა იყოს. ნაცრისფერი პეიზაჟი, ფერფლივით მქრქალი. ტალღები შრიალებენ და ბუტბუტებენ. მუხლს რომ ვიყრიდე, რიტუალებს რომ ვასრულებდე, ეს უძველესი ახირებები რომ მქონდეს, მხოლოდ თქვენ, ჩემთვის უცნობო ადამიანებო, მხოლოდ თქვენ გცემდით თაყვანს. თუ მკლავებს გავშლიდი, მხოლოდ შენ მოგეხვეოდი, შენ ჩაგიკრავდი გულში – სათაყვანო სამყაროვ!

ლაპინი და ლაპინოვა

აი, ისინი დაქორწინდნენ. საქორწილო მარშმა ჩაიგრიალა. მტრედები ფარფატებდნენ. იტონისპიჯაკიანი ბიჭუნები ბრინჯს აქეთ-იქით ფანტავდნენ, ფოქსტერიერმა ძუნძულით გადაჭრა ბილიკი, ერნესტ ტორბერნმა კი პატარძალი მანქანასთან მიიყვანა, უცნობ ცნობისმოყვარეთა მცირე ჯგუფის გავლით, რომელთა გარეშე ლონდონში არც ერთი მოვლენა არ ჩაივლის: ისინი არასოდეს უშვებენ ხელიდან შესაძლებლობას, სხვისი ბედნიერების თუ უბედურების ხილვით დატკბნენ. კაცი, რა თქმა უნდა, მშვენივრად გამოიყურებოდა, ქალი – ცოტა დარცხვენილად. კიდევ ერთხელ მიმოაბნიეს ბრინჯი და მანქანა დაიძრა.

ეს იყო სამშაბათს. ახლა შაბათი იყო. როზალინდა ჯერ კიდევ არ იყო შეჩვეული თავის ახალ სახელს – მისის ერნესტ ტორბერნს. შეიძლება, ვერც ვერასდროს შესჩვეოდა მისის ერნესტ ვიღაცას, ფიქრობდა ის, როცა სასტუმროს ფანჯრის რკალიდან ტბის მიღმა მთებს გაჰყურებდა

და უცდიდა, როდის მივიდოდა ქმარი საუზმეზე. ერნესტი ძნელი სახელი იყო შესაჩვევად. ეს ის სახელი არ იყო, რომელსაც თვითონ აირჩევდა. ის, მაგალითად, ტიმოთის, ენტონის ან პიტერს ამჯობინებდა. თანაც ერნესტს სულაც არ ჰგავდა. ეს სახელი უკავშირდებოდა ალბერტის ქანდაკებას, წითელი ხის ბუფეტს, ოფორტებს – პრინცი – მეუღლის გამოსახულებით ოჯახურ წრეში. მოკლედ რომ ითქვას, მისი დედამთილის სასადილო ოთახს პორჩესტერ ტერასზე.

აი, ისიც. მადლობა ღმერთს, ის ერნესტს არ ჰგავს – სრულიადაც არა. მაგრამ ვის ჰგავს? ცერად გახედა. ჰო, ვის და, როცა შემწვარ პურს მიირთმევს, ზედგამოჭრილი ბოცვერია. მის გარდა ვერავინ დაინახავდა რაიმე მსგავსებას პაწაწა მშიშარა არსებასა და პეწიან, დაკუნთულ ახალგაზრდა კაცს შორის, რომელსაც სწორი ცხვირი, ლურჯი თვალები და პირის მკაცრი ნაკვთები ჰქონდა. მაგრამ ეს ყველაფერს კიდევ უფრო სასაცილოს ხდიდა. ჭამისას ცხვირი ოდნავ უტოკავდა. სწორედ ისე, როგორც როზალინდას საყვარელ ბოცვერს. ქმრის ცხვირის ტოკვას უყურებდა. მან მისი მზერა დაიჭირა. – მოუწია აეხსნა, თუ რამ გააცინა.

იმან, რომ ზედგამოჭრილი ბოცვერი ხარ, ერნესტ, – უთხრა, – მაგრამ, გარეული ბოცვერი... – დასძინა, ყურადღებით უცქერდა. – მონადირე ბოცვერი, მეფე ბოცვერი, ყოველთა ბოცვერთა მბრძანებელი.

ერნესტს არაფერი ჰქონდა საწინააღმდეგო, ასეთი ბოცვერი ყოფილიყო და რადგან როზალინდას მისი ცხვირის ტოკვა აცინებდა, განგებ დაიწყო ამის კეთება და ის იცინოდა და იცინოდა და ერნესტიც იცინოდა და გაუთხოვარი გოგონები, მეთევზე და შვეიცარელი ოფიციანტი – შავი, გაზინთული პიჯაკი რომ ეცვა – ყველანი მიხვდნენ: ახალდაქორწინებულები ძალიან ბედნიერები იყვნენ, მაგრამ რამდენ ხანს გასტანდა მათი ბედნიერება? ეკითხებოდნენ ისინი საკუთარ თავს და ამ კითხვას თავისი გამოცდილების შესაბამისად პასუხობდნენ.

შუადღისას, როცა მანანებით მოფენილ ტბის ნაპირზე ისხდნენ, – ბოცვერო, სალათს ხომ არ ინებებო, – ჰკითხა როზალინდამ და სალათი გაუწოდა, რომელიც მაგრად მოხარშულ კვერცხებთან ერთად ჰქონდათ ლანჩისთვის წამოღებული, – მოდი, ჩემი ხელიდან ჭამე! – დასძინა და ერნესტი თავისკენ მიიწია, სალათი მოციცქნა და ცხვირი შეატოკა.

– კარგი ბოცვერი, ყოჩაღი ბოცვერი! – თქვა როზალინდამ და ქმარს ხელი გადაუსვა, ისე, როგორც თავის შინაურ ბოცვერს უსვამდა ხოლმე. მაგრამ ეს ხომ აბსურდი იყო. რა, რა და... შინაური ბოცვერი ის ვერ იქნებოდა. ფრანგულად რომ ეცადა? – ლაპინ! – დაუძახა როზალინდამ. – მაგრამ რა, რა და... ფრანგული ბოცვერი მით უფრო ვერ იქნებოდა. ის უბრალოდ თავიდან – ფეხებამდე ინგლისელი იყო, პორჩესტერ – ტერასზე დაბადებული, სწავლობდა რაგბიში, ახლა კი, მისი უდიდებულესობა მეფის სამსახურში იდგა. შემდეგ „ბოცვერიკო“ სცადა, მაგრამ ეს უარესი იყო. „ბოცვერიკო“ ჩასუქებული, ფაფუკი, სასაცილო უნდა ყოფილიყო, ერნესტი კი, გამხდარი, ძვალმაგარი და სერიოზულია. ცხვირი ისევ უტოკავდა. – ლაპინ, – წამოიძახა როზალინდამ მოულოდნელად, როგორც ხდება ხოლმე, როცა საჭირო სიტყვას მიაგნებ.

– ლაპინი, ლაპინი, მეფე ლაპინი, – იმეორებდა ის. ისე ჩანდა, რომ მეტსახელი ზუსტად მოერგო. არავითარი ერნესტი, ის მეფე ლაპინი იყო. რატომ? – ეს კი აღარ იცოდა.

როცა მარტო ხანგრძლივად სეირნობდნენ და სალაპარაკო შემოაკლდებოდათ, წვიმა კი ცრიდა, როგორც ისინი გააფრთხილეს, რომ იწვიმებდა, ან როცა საღამოობით ბუხარს მიუსხდებოდნენ, რადგან სიცივე იყო, გაუთხოვარი გოგონები და მეთევზე კი უკვე თავიანთ ოთახებში იყვნენ და მხოლოდ ოფიციანტი გამოჩნდებოდა, თუ ზარს ჩამოჰკრავდი, როზალინდას ფანტაზიას გასაქანი ეძლეოდა და ის ლაპინების მოდგმის ამბავს თხზავდა. მის მონათხრობში, – ამ დროს თან კერავდა, ერნესტი კი კითხულობდა, – ისინი მთლად ცოცხლებივით იყვნენ, ძალიან სასაცილოები. ერნესტი გაზეთს გვერდზე გადადებდა და მას ეხმარებოდა. იყვნენ შავი ბოცვერები და წითელი ბოცვერებიც, მტრულად განწყობილი ბოცვერები და მეგობრულად განწყობილებიც. ისინი ცხოვრობდნენ ტყეებში, მიმდებარე ველებით და ჭაობებით, მაგრამ მთავარი ადგილი იქ მეფე ლაპინს ეჭირა. დრომ, როცა მას მხოლოდ ცხვირის ტოკვა შეეძლო, ჩაიარა – ის უდიდეს ცხოველ პერსონაჟად იქცა. როზალინდა მას სულ ახალი და ახალი თვისებებით ამდიდრებდა. მაგრამ პირველ რიგში ის სწორუპოვარი მონადირე იყო.

– და რისი გაკეთება ინება დღეს მეფემ? – იკითხა როზალინდამ თაფლობის თვის ბოლო დღეს.

სინამდვილეში მათ მთელი დღე მთაში იხეტიალეს, როზალინდას ქუსლზე ბებერაც გაუჩნდა, მაგრამ ამას არ გულისხმობდა.

– დღეს, – თქვა ერნესტმა, – სიგარის ბოლო მოკვნიტა და ცხვირის შეტოკებაც არ დავიწყნია, – დღეს ის კურდღელს გაეკიდა! – შეჩერდა, ასანთი გაჰკრა და ისევ ცხვირი შეატოკა. – დედალ კურდღელს, – დააზუსტა მან.

– თეთრ დედალ კურდღელს – აიტაცა როზალინდამ, თითქოს ამას ელოდაო, – ერთ ციცქნა კურდღელს, მოვერცხლისფრო ნაცრისფერს, ელვარეთვალებიანს?

– სწორედ, სწორედ! – თქვა ერნესტმა და შეხედა როზალინდას, რომელიც მას უყურებდა. – ეს სულ ერთი ციცქნა კურდღელია, გადმოკარკლული თვალებით და ჩამოშვებული წინა თათებით, – სწორედ ასე იჯდა როზალინდა, ხელებიდან გადმოშვებული საკერავით და თვალებიც, დიდი და ელვარე, რა თქმა უნდა, ცოტათი წინ ჰქონდა წამოწეული.

– აჰ, ლაპინოვა, – წაიბუტბუტა როზალინდამ.

– ასე ეძახიან? – თქვა ერნესტმა. – ნამდვილი როზალინდა? – და მას შეხედა. ყურებამდე იყო შეყვარებული.

– ჰო, სწორედ ასე ეძახიან – ლაპინოვა! – თქვა როზალინდამ.

დაძინებამდე ყველაფერი შეათანხმეს. ამიერიდან ერნესტი მეფე ლაპინი იქნებოდა, ის კი დედოფალი ლაპინოვა. ისინი ერთმანეთის სრული ანტიპოდები იყვნენ. ერნესტი – მამაცი და შეუდრეკელი, როზალინდა – ფრთხილი, მერყევი ხასიათის. კაცი ბოცვერების მოფუსფუსე სამყაროს მართავდა, ქალის სამეფო კი უკაცრიელი, საიდუმლოებით მოცული ადგილი იყო, სადაც ის უმეტესად ღამით დახეტიალობდა. და მაინც მათი ტერიტორიები ერთმანეთს ეხებოდა: ისინი მეფე – დედოფალი იყვნენ.

ასე რომ, თაფლობის თვის შემდეგ მათ უკვე ჰქონდათ თავიანთი საკუთარი სამყარო, რომელიც თეთრი კურდღლის გარდა, მხოლოდ ბოცვერებით იყო დასახლებული. კაციშვილმა არ იცოდა, რომ ასეთი ადგილი არსებობდა, მაგრამ ის ამით უფრო საინტერესოც კი ხდებოდა. ამან გაუჩინათ შეგრძნება, უფრო მძაფრი, ვიდრე ეს ზოგადად ახალდაქორწინებულებს ახასიათებს, რომ ისინი მთელ დანარჩენ სამყაროს იყვნენ დაპირისპირებული. ხანდახან ეშმაკურად გადახედავდნენ ერთმანეთს, როცა ვინმე ბოცვერებზე, ტყეებზე, ხაფანგებსა და ნადირობაზე ჩამოაგდებდა სიტყვას. მალულად თვალს ჩაუკრავდნენ ხოლმე ერთმანეთს მაგიდის გასწვრივ, როგორც მაშინ, როცა დეიდა მერიმ თქვა, რომ შემწვარი კურდღლის დანახვაც არ შეეძლო, რადგან ის ჩვილ ბავშვს აგონებდა, ან როცა ჯონიმ, ერნესტის ძმამ, თავგადაკლულმა მონადირემ უთხრა, რა ღირდა ბოცვერი იორკშირში იმ შემოდგომაზე, მთლიანად, თავის ტყავიანად. ხანდახან ეგერი სჭირდებოდათ, ან ბრაკონიერი, ან მამულების მეპატრონე და თავს იმით ირთობდნენ, რომ მეგობრებს როლებს უნაწილებდნენ. ერნესტის დედა, მისის რეჯინალდ ტორბერნი, მაგალითად, აშკარად მემამულის როლისთვის იყო შექმნილი. მაგრამ ამ ყველაფერს საიდუმლოდ ინახავდნენ, სხვანაირად ხომ საინტერესო აღარ იქნებოდა. მათ გარდა არავინ იცოდა, რომ ასეთი სამყარო არსებობდა.

რომ არა ეს სამყარო, საერთოდ როგორ გადაიტანდა იმ ზამთარს? ეკითხებოდა როზალინდა საკუთარ თავს. მაგალითად, უფროსი ტორბერნების ოქროს ქორწილი რომ ავიღოთ – როცა ყველა ტორბერნი პორჩესტერ ტერასზე შეიკრიბა, რათა ნახევარსაუკუნოვანი იუბილე აღენიშნათ კავშირისა, ასეთი ბედნიერი რომ აღმოჩნდა. – განა ამ ქორწინების შედეგად არ მოევლინა სამყაროს ერნესტ ტორბერნი? და ასეთი ნაყოფიერი – განა ამ კავშირის შედეგად არ გაჩნდა კიდევ ცხრა ვაჟიშვილი და ქალიშვილი, რომელთაგან ბევრი დაქორწინდა და მათი ქორწინებაც ასევე ნაყოფიერი აღმოჩნდა. ძალიან უფრთხოდა ამ წვეულებას, მაგრამ არწასვლაც არ შეიძლებოდა. როცა კიბეებზე ადიოდა, მწარედ განიცდიდა, რომ დედისერთა იყო და თანაც ობოლი. ის ხომ მთლიანად ჩაიკარგებოდა უამრავ ტორბერნს შორის, ახლა რომ ბზვინვარე ატლასის შპალერიან დიდ დარბაზში იკრიბებოდა, რომლის კედლებიდან პრიალა საოჯახო პორტრეტები იყურებოდნენ. ცოცხალი ტორბერნები ძალიან ჰგავდნენ დახატულებს, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ დახატული ტუჩების ნაცვლად, ნამდვილი ტუჩები ჰქონდათ. და ამ ტუჩებიდან ისმოდა ხუმრობები, სკოლასთან დაკავშირებული ხუმრობები, იმაზე, თუ როგორ გამოაცალეს სკამი დაჯდომისას მომვლელ ქალს, ხუმრობები ბაყაყებზე – როგორ უდებდნენ მათ გაუთხოვარ გოგონებს უბიწო ზეწრებში. თვითონ როზალინდას კი ბუზიც არასოდეს აუფრენია ვინმესთვის სკოლაში. ხელში მაგრად ჩაბღუჯული საჩუქრით მწვანე ატლასის მდიდრულ კაბაში გამოწყობილ დედამთილს უახლოვდებოდა, რომელსაც საღილეში ჩინებული ყვითელი მიხაკი ჰქონდა ჩარჭობილი.

მათ გარშემო კი, მაგიდებსა და სკამებზე, ოქროსფერი ძღვენი იყო დახვავებული, ზოგი ბამბაზე ეწყო, სხვებს ზემოთ ჰქონდათ ამოშვერილი კაშკაშა ტოტები – შანდლები. პორტსიგარები, ძეწკვები – და თითოეულ საჩუქარზე ოქრომჭედლის ტვიფრი, რათა ეჭვის ნატამალიც არ დარჩენილიყო, რომ ეს არამცთუ ყალბი არ იყო, არამედ უმაღლესი სინჯის ოქრო იყო. ის კი რა უბრალო რამეს ჩუქნიდა – ნახვრეტებიან ტომპაკის პატარა ყუთს, ძველ საქვიშარს, მეთვრამეტე საუკუნის რელიქვიას, რომელსაც ერთ დროს სველ მელანზე მოსაყრელად იყენებდნენ. თვითონაც გრძნობდა, რომ ეს საკმაოდ უაზრო საჩუქარი იყო საშრობი ქაღალდის ეპოქაში. და როცა საქვიშარი დედამთილს მიართვა, მის თვალწინ უცებ მოკლე და მსხვილასოებიანმა, შავმა ხელნაწერმა ჩაირბინა, რომელშიც მათი ნიშნობისას დედამთილი გამოთქვამდა იმედს, რომ „ჩემი ვაჟი თქვენ გაგაბედნიერებთ...“ არა, ის ბედნიერი არ იყო, სრულებითაც არა. ერნესტს გახედა: ჯოხივით გამართული იდგა. ცხვირიც ზუსტად ისეთი ჰქონდა, როგორიც უკლებლივ ყველა საოჯახო პორტრეტზე იყო გამოხატული. ცხვირი, რომელიც არასოდეს შეტოკდებოდა.

შემდეგ ქვემოთ ჩავიდნენ სადილისათვის. ის ნახევრად დაფარეს დიდმა ქრიზანთემებმა, რომელთა წითელი და ოქროსფერი ყვავილის ფურცლები დიდ, მჭიდრო ბურთულებად იყო დახვეული. გარშემო ყველაფერი ოქროსფრად ბრწყინავდა. ოქროსფერკიდეებიან ბარათზე ოქროსფერი გადახლართული ინიციალებით ჩამოთვლილი იყო ყველა ის კერძი, რომლითაც მათ ერთი მეორის მიყოლებით გაუმასპინძლდებოდნენ. მან კოვზი ღია ოქროსფერსითხიანი თეფშისკენ დასწია. გარედან შემოღწეულ რძისფერ ნისლს ლამპების შუქი ოქროსფერს ურევდა, რაც თეფშების კიდეებს აბუნდოვანებდა და ანანასების ხორკლიან კანს აოქროსფერებდა. და მხოლოდ ის, თავის თეთრ, საქორწინო კაბაში, ცოტათი გადმოკარკლული, ერთ წერტილზე გაშტერებული თვალებით, ჩანდა თეთრად, ყინულის ლოლუად, რომელიც არ დნება.

სადილი კი გრძელდებოდა და სასადილო ოთახი სულ უფრო და უფრო იხუთებოდა. მამაკაცების შუბლებზე ოფლის მსხვილი წვეთები გაჩნდა. ის გრძნობდა, რომ ყინვის ლოლუა დნობას დაიწყებდა. ის დნებოდა, იშლებოდა, ლხვებოდა, ორთქლდებოდა. მალე გონებას დაჰკარგავდა. და ამ დროს, როცა თავში დომხალი ჰქონდა და ყურებს გუგუნი გაჰქონდა, ქალის ხმამაღალი წამოძახილი გაიგონა:

– როგორ მრავლდებიან!

– ჰო, ტორბერნები! – ისინი მართლაც რომ მრავლდებიან! – გაიმეორა მან და რიგრიგობით გადახედა მრგვალ, წითელ სახეებს, რომლებიც თითქოს გაორდნენ, როცა მას თავბრუსხვევამ სძლია, ამოიზარდნენ ოქროსფერი ნისლიდან, შარავანდედად რომ ადგათ.

– თანაც როგორ მრავლდებიან!

ამ დროს ჯონმა დაიღრიალა:

– ეს პატარა ეშმაკები! ...ესროლეთ მათ...ჩექმებით გადათელეთ! სხვაგვარად მაგათთან ვერაფერს გახდები ...ოჰ, ეს ბოცვრები!

ამ სიტყვებმა, ამ ჯადოსნურმა სიტყვებმა ის გამოაცოცხლეს. ერნესტს გახედა და დაინახა, როგორ ტოკავდა მისი ცხვირი ქრიზანთემის ღეროებს იქეთ. ის აჩუხჩუხდა, რამდენჯერმე შეტოკდა. და ტორბერნებს იდუმალებით მოცული კატასტროფა დაატყდა თავს. ოქროს მაგიდა ჭაობად იქცა, რომელზეც კურდღლისცოცხა ჰყვაოდა. ხმების გუგუნი – ტოროლას მხიარულ გალობად, ციდან მჟღერად. ლურჯი ციდან – რომელზეც ნელა მიცურავდა ღრუბლები. და ტორბერნები, უკლებლივ ყველა, შეიცვალნენ. მან მამამთილს გახედა, ეშმაკ, პატარა კაცს, შეღებილი ულვაშებით. მისი სისუსტე საგნების შეგროვება იყო. – აგროვებდა ბეჭდებს, ემალის ყუთებს, მეთვრამეტე საუკუნის ტუალეტის მაგიდების სამშვენისებს, რომელთაც თავისი კაბინეტის უჯრებში უმალავდა ცოლს. ახლა მამამთილი დაინახა ისეთი, როგორიც იყო – ბრაკონიერი, მოსასხამს შიგნით დამალული ხოხბებით და კაკბებით, თავისი გაჭვარტლული პატარა სახლისკენ რომ მიიპარება და მათ მალულად სამფეხზე ხარშავს. აი, ეს იყო სინამდვილეში მისი მამამთილი – ბრაკონიერი. სილია კი, გაუთხოვარი ქალიშვილი, რომელიც მუდამ სხვების საიდუმლოებების ჩხრეკაში, ათასნაირი წვრილმანების ქექვაში იყო, რომლის დამალვასაც ისინი ცდილობდნენ გარეშე თვალთაგან. თეთრი ქრცვინი – ვარდისფერი თვალებით და ცხვირით, მუდამ დატალახიანებული რომ ჰქონდა მიწაში ჩიჩქნისგან. მონადირეების მხარსუკან ნჯღრევა, ბადეში, იმის მოლოდინში, სოროში როდის ჩაგაგდებენ. რა უბადრუკი ცხოვრება ჰქონდა... მაგრამ ეს სილიას ბრალიც არ იყო. ასეთი წარმოუდგებოდა მას სილია. შემდეგ დედამთილს გახე-

და, მემამულეს რომ ეძახდნენ. წითელსახიანი, უხამსი, შარიანი – ეს ყველაფერი ასეა, მაგრამ ახლა, როცა იდგა და მილოცვებისთვის მადლობას იხდიდა, როზალინდამ, იგივე ლაპინოვამ, ის სხვაგვარად დაინახა. მის უკან დანგრევის პირას მისულმა სახლმა გაიელვა, ბათქაში რომ ცვიოდა და მის ხმაში ქვითინი მოესმა, როცა ის ბავშვებს (რომელთაც სძულდათ) მადლობას უხდიდა ცხოვრებისათვის, რომელიც დიდი ხანია დამთავრდა. მოულოდნელად სიჩუმე ჩამოვარდა. ჭიქები ასწიეს, გამოცალეს და ყველაფერი დამთავრდა.

– ოჰ, მეფეო ლაპინ, ცხვირი რომ არ შეგეტოკებინა, სწორედ იმ წამს, მახეში გავებმებოდი – ყვიროდა როზალინდა როცა ნისლში სახლისკენ მიიკვლევდნენ გზას.

– მაგრამ ახლა ხომ აღარ გეშინია, – თქვა მეფე ლაპინმა და თათი მოუჭირა.

– ახლა სულ აღარ – უპასუხა მან.

და პარკის გავლით სახლში დაბრუნდნენ, ჭაობის, ნისლის და კურდღლისცოცხას სურნელით სავსე ვერანი ადგილების მეფე და დედოფალი.

ასე გადიოდა დრო, ერთი წელი. ორი. და ერთხელ, ზამთარში, ღამით, ისე მოხდა, რომ სწორედ ოქროს ქორწილის წლისთავზე, მისის რეჯინალდ ტორბერნი გარდაიცვალა. სახლი უნდა გაექირავებინათ და იქ ახლა მხოლოდ დარაჯი ცხოვრობდა. ერნესტი თავისი სამსახურიდან შინ დაბრუნდა. მშვენიერი, პატარა სახლი ჰქონდათ – სამხრეთ კესინგტონში მეტროსთან ახლოს სარაჯის მაღაზიის თავზე ნახევარი სახლი ეჭირათ. ცივი ამინდი იდგა, ქალაქი ნისლში იყო გახვეული. როზალინდა ბუხართან იჯდა და კერავდა.

– იცი, დღეს რა შემემთხვა? – ჰკითხა ქმარს, როგორც კი ის გვერდით მიუჯდა და ფეხები ბუხარს მიაფიცხა. – ნაკადულზე გადავდიოდი და უცებ...

– რომელ ნაკადულზე? – შეაწყვეტინა ერნესტმა.

– დაბლობში რომ არის, იქ, სადაც ჩვენი ტყე შავ ტყეს უერთდება, – აუხსნა მან.

ერნესტი ცოტა ხანს გაშტერებული მისჩერებოდა.

– რა მიედ-მოედები? – ჰკითხა ბოლოს.

– ერნესტ, ჩემო ძვირფასო, – წამოიძახა შეძრწუნებულმა როზალინდამ. – მეფეო ლაპინ, დასძინა და პატარა წინა თათები ბუხრის წინ ცეცხლის შუქზე ჩამოუშვა. მაგრამ ერნესტის ცხვირი არ შეტოკებულა. როზალინდას ხელები – ისინი ისევ ხელებად იქცნენ, – საკერავს ჩაეჭიდნენ, თვალები, ლამის იყო, ბუდეებიდან ამოუცვივდა. სულ ცოტა ხუთი წუთი დასჭირდა, რომ ის ერნესტ ტორბერნიდან ისევ მეფე ლაპინად ქცეულიყო და მთელი ამ ხნის მანძილზე საშინელ წნეხს გრძნობდა, ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ვიღაც კისერის მოგრეხას უპირებდა. როგორც იქნა, ის ისევ მეფე ლაპინად იქცა, ცხვირიც შეუტოკდა და ის საღამოც, ჩვეულებისამებრ, ტყეში ხეტიალში გაატარეს.

მაგრამ როზალინდას ცუდად ეძინა. შუაღამისას გაეღვიძა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს რაღაც უცნაური ხდებოდა მის თავს. გახევებული და გალიგვული იყო. ბოლოს სინათლე აანთო და მის გვერდით მწოლ ერნესტს შეხედა. მაგრად ეძინა. ხვრინავდა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ხვრინავდა, ცხვირი საერთოდ არ ეძვროდა. ისე გეგონებოდა, თითქოს არც არასდროს შესტოკებიაო. ნუთუ შეიძლებოდა, რომ ის მართლა ერნესტი ყოფილიყო, რომ ის მართლა ერნესტზე ყოფილიყო დაქორწინებული? და თვალწინ დედამთილის სასადილო ოთახი დაუდგა. იქ ის და ერნესტი ისხდნენ, მთლად მობერებულები, ოფორტების ქვეშ, კარადის წინ და თავიანთ ოქროს ქორწილს აღნიშნავდნენ. არა, ეს უკვე მეტისმეტი იყო.

– ლაპინ, მეფეო ლაპინ, – წაიჩურჩულა და მას წამიერად ცხვირი თითქოს თავისთავად შეუტოკდა, მაგრამ ისევ ეძინა. – გაიღვიძე ლაპინ, გაიღვიძე! – დაიყვირა მან.

ერნესტს გაეღვიძა და როცა ის საწოლზე წამომჯდარი დაინახა, ჰკითხა:

– რა მოხდა?

– მეგონა, ჩემი ბოცვერი გარდაიცვალა-მეთქი, – ზლუქუნით თქვა მან. ერნესტი გაბრაზდა.

– დაანებე თავი ამ სისულელეებს, როზალინდა. – უთხრა, – დაწექი და დაიძინე.

გვერდზე გადაბრუნდა და მაშინვე ჩაეძინა. ხვრინვაც ამოუშვა.

მას კი არ ეძინებოდა. მუხლებმოკეცილი იწვა, საწოლის თავის მხარეს, სწორედ ისე, როგორც სუფრაზე შემოტანილი კურდღელი. სინათლე ჩააქრო, მაგრამ ქუჩის ფანარი ჭერს მკრთალად ანათებდა და ეზოში მდგარი ხეები აშიებიან ბადეებად აისახებოდნენ მასზე, თითქოს ჩრდილიანი ჭალა ყოფილიყოს, რომელშიც ის დახეტიალობდა, აქეთ-იქით მიხვეულ – მოხვეულებში

დადიოდა, შიგნით და გარეთ, ხან გარშემო უვლიდა, ნადირობდა და მასზეც ნადირობდნენ, ესმოდა ძაღლების ყეფა და მონადირის ბუკი და ის მიჰქროდა და თავის გადარჩენას ცდილობდა – და ეს მანამ გრძელდებოდა, სანამ მოახლე ქალმა ფარდები არ გადასწია და დილის ჩაი არ შემოიტანა.

მეორე დღეს გულს ვერაფერს უდებდა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს რაღაც დაეკარგოს. ეჩვენებოდა, რომ სხეული მოეკუნტა, გაუშავდა და გაუმაგრდა. ხელები და ფეხები თითქოს წაერთვა და როცა ოთახებში ხეტიალისას, დროდადრო სარკეში იხედებოდა, ეჩვენებოდა, რომ თვალები ბუდეებიდან ამოცვენაზე ჰქონდა, ზუსტად ისე, როგორც ქიშმიშები ფუნთუშიდან. ოთახებიც თითქოს შეიკუმშა. უზარმაზარი ავეჯის კიდეები უცნაური კუთხეებით იყო გამოშვერილი და რამდენჯერმე მათ შეასკდა. ბოლოს ქუდი დაიხურა და გარეთ გავიდა. კრომველის ქუჩას გაუყვა და ყოველი ოთახი, რომელსაც ჩაუარა და რომელშიც შეიხედა, სასადილო ოთახად ეჩვენებოდა, სადაც სქელი, ყვითელი, მაქმანებიანი ფარდების მიღმა ხალხი მაგიდებს უსხდა ოფორტების ქვეშ, წითელი ხის სერვანტის წინ. და აი, ბოლოს ბუნების ისტორიის მუზეუმს მიაღწია. ბავშვობაში უყვარდა იქ სიარული, მაგრამ პირველი, რაც დაინახა, როცა ზღურბლს გადააბიჯა, ხელოვნურ თოვლზე მდგარი კურდღლის ფიტული იყო მინის წითელი თვალებით. რატომღაც მთელ სხეულში ჟრჟოლამ დაუარა. იქნებ ცოტა გამოკეთდეს, როცა შებინდდება. სახლში წავიდა და ბუხარს მიუჯდა, სინათლე არ აუნთია. შეეცადა, წარმოედგინა, რომ მარტოა ჭაობიან ადგილას, იქვე რუ მირაკრაკებს, რუს მიღმა კი უღრანი ტყეა. მაგრამ რუს იქეთ გადასვლას ვერ ახერხებს. ბოლოს ნაპირზე იცუცქება, სველ ბალახზე და ამ დროს სავარძელში მოიკრუნჩხა, ხელები ჩამოუვარდა, ბუხრის ალის გამონაშუქზე თვალები შუშის თვალებივით უპრიალებდა. ამ დროს სროლის ხმა გაისმა... წამოხტა, თითქოს მისთვის ესროლოთ. მაგრამ ეს მხოლოდ ერნესტი აღმოჩნდა, რომელმაც კარებში გასაღები გააჩხაკუნა. როზალინდა აკანკალებული უცდიდა. ის შემოვიდა და სინათლე აანთო. და აი იდგა, მაღალი, წარმოსადეგი და სიცივისგან დაწითლებულ ხელებს იწმენდდა.

– სიბნელეში ზიხარ? – ჰკითხა.

– ოჰ, ერნესტ, ერნესტ – წამოიძახა როზალინდამ და სავარძლიდან წამოიწია.

– ახლა რაღა მოხდა? – იკითხა მკვეთრი ტონით და ხელები ბუხარს მიაფიცხა.

– რა და, ლაპინოვა... – ენა დაება, ველურივით უყურებდა მას თავისი დიდი, შეშინებული თვალებით. – ის წავიდა, ერნესტ, მე ის დავკარგე.

ერნესტი მოიღუშა. ტუჩები მაგრად მოკუმა. – აი, თურმე რა მომხდარა... – თქვა და ავისმომასწავებლად გაუღიმა – ათიოდ წამი ასე იდგა, ხმისამოუღებლად, და როზალინდა იცდიდა, გრძნობდა, ხელები როგორ უჭერდნენ კისერზე.

– ჰოო, – თქვა ცოტა ხნის შემდეგ. – საწყალი ლაპინოვა... – ბუხარს ზემოთ სარკეში ჩაიხედა და ჰალსტუხი შეისწორა. – მახეში გაება და მოკვდა... – დასძინა, დაჯდა და გაზეთში ჩარგო თავი.

ასე დამთავრდა მათი ქორწინება.

ინგლისურიდან თარგმნა
გია ბერაძემ

ბოგომილ რაინოვი

გზა სანტა-კრუსზე

„გზა სანტა-კრუსზე იყო ვიწრო და წვიმებისგან დაღარული. მაგრამ ეს იმდენად არ მაწუხებდა. იმაზე უფრო ვწუხდი, რომ ოცდაათ კილომეტრზე, დიდ მოსახვევთან, ჯო გადარეული მელოდებოდა გატენილი ვინჩესტერით ხელში, რაც მე არ ვიცოდი და არც შეიძლებოდა მცოდნოდა“.

ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ, მოგზაურობაზე მეოცნებე ახალგაზრდა, ღრმად ვიყავი დარწმუნებული, რომ სწორედ ამგვარი ფრაზით უნდა დაწყებულიყო ჩემი მომავალი თხზულებების ერთ-ერთი წიგნი. გასაგებია, რომ მაშინ არ მეცოდინებოდა, მართლა მელოდებოდა თუ არა ჯო გადარეული დიდ მოსახვევთან. უფრო მეტიც, მე წარმოდგენაც არ მქონდა, როგორი იყო ეს ლეგენდარული გზა სანტა-კრუსზე და იმის მტკიცება, რომ ის ვიწრო იყო და წვიმებისაგან დაღარული, წმინდა წყლის ჰიპოთეზა გახლდათ. თვითონ ეს სახელწოდებაც – სანტა-კრუსი რომელიღაც რომანიდან თუ ფილმიდან ამეკვიატა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ გეოგრაფიაში საკმაოდ მოვიკოჭლებდი და აქამდე ბოლომდე არ ვარ დარწმუნებული, ეს ქალაქი ბოლივიაშია თუ სადმე სხვაგან (თუ ის საერთოდ არსებობს) მდებარეობს. ასე იყო თუ ისე, მე უკვე მოფიქრებული მქონდა ჩემი მომავალი რომანის პირველი კონტურები და გზა სანტა-კრუსზე ჩემს წინ გადაშლილიყო. ეს იყო გზა არამარტო ეგზოტიკისაკენ, იგი მიმიძღვებოდა ლიტერატურაშიც. ერთიც და მეორეც განსაცვიფრებელი ძალით მიზიდავდა და მიტაცებდა.

იმ დროიდან მოყოლებული ბევრი გზა ვკეცე, ათობით ქალაქი მოვინახულე, ხშირად აღმოვჩენილვარ განსაცდელის წინაშე, ხანდახან თითქმის ყოველდღიურადაც კი, მაგრამ ეს საფრთხე თუ განსაცდელი ბევრად უფრო რეალური გახლდათ, ვიდრე ჩემი ფანტაზიის ნაყოფი – არარსებული ჯოს ვინჩესტერი. ერთ-ერთი ასეთი განსაცდელის წინაშე აღმოვჩნდი მაშინ, როცა რომანის პირველი ფრაზის დაწერა დავიწყე, ფრაზისა, რომელიც ჯერ ხეირიანად არც კი მქონდა გააზრებული. სახიფათოა-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ ხშირად სწორედ ეს პირველი ფრაზა უკანასკნელი აღმოჩნდება ხოლმე.

ცხოვრებაში ბევრ ასეთ ავტორს შევხვედრივარ – ავტორს ერთადერთი წიგნისა და ეს წიგნიც ბოლომდე არ ყოფილა დასრულებული. ყოფილა ასეთი დროც, როცა შიში მიპყრობდა იმის გამო, რომ სამუდამოდ დავრჩებოდი წევრი იმ მოჩვენებითი მწერალთა კავშირისა, რომელთაც არასოდეს არაფერი დაუწერიათ. დღეს, ამდენი ჭირნანახი დღისა და წიგნის გამოცემის შემდეგ, ერთობ მიჭირს თქმა იმისა, თუ რა სჯობია.

იყო ავტორი ერთადერთი შეუთხზველი, მაგრამ მშვენიერი, იდუმალი ბურუსით მოცული რომანისა, თუ ავტორი შავით თეთრზე დაწერილი, გამომზეურებული წიგნისა, რომლის გადაფურცვლასაც გველნაკბენივით ერიდები იმიტომ, რომ არ გინდა, განიცადო იმედის გაცრუებით გამოწვეული ტკივილი.

და მაინც იყო დრო, როდესაც შიშს მგვრიდა იმის გაფიქრებაც კი, რომ არ ამცდებოდა წევრობა მწერალთა იმ გილდიისა, რომლის წევრებიც არაფერს ქმნიან. ყველაფერი კი ისე მოხდა, რომ ჩემი პირველი პროზაული ნაწარმოების პირველი აბზაცის ჩათავების შემდეგ სათქმელი გამომელია. შედარებით ლაღად ვგრძნობდი თავს პოეზიაში. ეს არის მაცდუნებელი ხასიათი ლირიკისა, რომელიც ყოველთვის უბრალო გეჩვენება, თუნდაც მანამდე, ვიდრე არ ჩახვდები, რომ უბრალოება ხელოვნებაში ადვილად ხელწამოსაკრავი საქმე არ გახლავთ. და სათქმელის მოკლედ თქმა ძნელად გადასალახი დაბრკოლებით სავსე უფროა, ვიდრე შვების მომცემი.

პროზაული ნაწარმოების წერა ჩემთვის დიდი ტანჯვა იყო და გამოუნელებელ შიშს მგვრიდა მუდამ. თითქმის ყველა ჩემი ნაწარმოები, რომლისთვისაც კი ხელი მომიკიდია, დასრულებულია, თუ არ ჩავთვლით ორიოდე მოთხრობას, რომელთაც პირველი ფრაზის ან გვერდის ჩათავებისთანავე თავი მივანებე. ჰო, ორიოდე მოთხრობა და ერთი რომანი. „გზა სანტა-კრუსზე ვიწრო იყო და წვიმის წყლით დაღარული...“

ახლაც ხშირად მახსენდება ხოლმე ერთ-ერთი ასეთი დაუმთავრებელი მოთხრობა. მოქმედება ვითარდება, ან უფრო სწორად, ერთ პირქუშ, დაუმთავრებელ სახლში უნდა განვითარებულიყო. მე თვითონ მინახავს ეს სახლი, როცა სასაფლაოს მიმდებარე ჭუჭყიან ქუჩაში უმიზნოდ

დავეხეტებოდი. ამ სახლის მიუკარებლობამ პირველი შეხედვისთანავე გამაოგნა. პირველი სართული, ასე თუ ისე, დაემთავრებინათ, კედლებიც კი შეებათქაშებინათ. ფანჯრის ჩარჩოები მწვანედ იყო შეღებილი, მინები, ეტყობა, კარგა ხანი იყო აღარავის გაეწმინდა, ზოგან კი საერთოდ ჩამტვრეულიყო. კარებზე დიდი, ჟანგიანი ბოქლომი ეკიდა, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ სახლი უკვე დიდი ხანია მიეტოვებინათ. ზედა სართული სანახევროდაც არ იყო დამთავრებული. არც კი მოებათქაშებინათ, საფანჯრე თაღები კი დაუდევრად შეკოწიწებული ხის დაფებით გამოევსოთ.

ცხოვრების ავ-კარგში ჩახედული კაცისთვის ეს სახლი უპატრონოდ მიგდებული კარ-მიდამო იყო და მეტი არაფერი. ზაფხულის იმ დღეს ცა წვიმის ღრუბლებით იყო ჩამოქუფრული. ერთობ მოჟამული ვიყავი. იქნებ ამიტომ – დალაგებით მაინც არ შემიძლია ამის თქმა – მიტოვებული სახლის სილუეტი, ქუჩის ბოლოს ორმოებსა და თხრილებს შუა რომ წამოყუდებულიყო, ტრაგიზმით გამსჭვალული მომეჩვენა. რაღაც დრამა გათამაშდა ალბათ, ამ სახლში, ან შეიძლებოდა გათამაშებულიყო, თუ ჩემს ფანტაზიას ფრთების გაშლის საშუალებას მივცემდი. ჰოდა, გადავწყვიტე, ამეწერა ეს დრამა, ფონად კი ეს მიტოვებული პირქუში სახლი გამომეყენებინა. ჩემი სახლში მისვლა და პირველი ორი გვერდის დაწერა ერთი იყო. ეს ორი გვერდი იყო, თუ შეიძლება ასე ითქვას, დრამის ტოპოგრაფია. და მაინც, დრამის ხორცშესხმა ვეღარ მოვასწარი, რადგან ამ ორი გვერდის გარდა სტრიქონი აღარ დამიწერია.

უადგილოდ მიმაჩნია, შეგახსენოთ ბანალური ჭეშმარიტება, რომ მწერალი, უპირველესად, უნდა ჩაწვდეს ადამიანური კონფლიქტის არსს და მხოლოდ მაშინღა უნდა იფიქროს გარემოზე.

მხატვრულ ამოცანას განსხვავებით მატერიალურისაგან, მხოლოდ ერთადერთი სწორი ამონახსნი როდი მოეპოვება. ამიტომაც არავის არ აქვს უფლება, მიგითითოს, საიდან უნდა დაიწყო ამოცანას ამოხსნა – კონფლიქტიდან თუ გარემოდან. და არაფერია განსაცვიფრებელი იმაში, თუ რომელიმე შენობის ფასადი ან სახლის სილუეტი გიკარნახებს რომელიმე დრამის შინაარსს.

ეულად მდგომი სახლი, დაუმთავრებელი და ყველასაგან მიტოვებული, რომლის პირქუში სილუეტი იკვეთება ქუჩის ჭუჭყიანი გუბის ფსკერზე და წვიამიანი ცა...

ამდაგვარი პეიზაჟი, ბუნებრივია, ბადებს აზრს სასოწარკვეთილებაზე, უიღბლობასა და სიკვდილზე. შეიძლება ეს იყო ბანალური წარუმატებლობა ასევე ბანალური წამოწყებისა: ადამიანმა წამოიწყო სახლის მშენებლობა, მაგრამ არ ეყო ფული და სახლი დაუმთავრებელი დარჩა. და მაინც, ეს არ შეიძლება იყოს ამ უბედურების ერთადერთი ჭეშმარიტი მიზეზი: სახლის პატრონს უთანხმოება მოუვიდა თავის ძმასთან, რომელსაც პირველი სართული უნდა დაეკავებინა, ანდა იგი მიატოვა ახალგაზრდა მეუღლემ, ვისთვისაც წამოიწყო ამ სახლის მშენებლობა. ან კიდევ საკუთარმა შვილმა გაქურდა და თვითონ საზღვარგარეთ გაიქცა, ან არადა, თვითონ გაქურდა ვიღაც, რათა ფული მოეგდო ხელში და სახლი დაემთავრებინა, მაგრამ ციხეში ჩააყუდეს და სახლიც ოხრად დარჩა და ფულიც. ნურც ის გაგიკვირდებათ, თუ ამ პირქუში, მტვრით დაფარული სახლის ფასადის უკან იმალება არა ერთბაშად გაკოტრებული კაცის ბედი, არამედ ტრაგიკული ეპილოგი, აღსავსე დანაშაულებებით, ღალატითა და სისხლის წვიმებით.

ეს ტრაგიკული ეპილოგი. სახლის ყველაზე პირქუშ ნაწილში მეორე, დაუმთავრებელ სართულზე, უნდა განვითარებულიყო. აქ ბნელ და ცარიელ, ფანჯრებდახაფრულ ოთახებში უნდა გათამაშებულიყო ფინალის შემზარავი სცენა. ჩემთვის ეს დღესავით ნათელი იყო. მაგრამ თვით ფინალი მაინც ბურუსით მოცული რჩებოდა. ბურუსით იყო მოცული აგრეთვე დრამაც, რომელიც წინ უძღოდა მას და ხალხიც, წარმართველი ამ დრამისა. ასე და ამგვარად, მოქმედების ადგილი სახეზე იყო, გმირები კი არ ჩანდნენ. მათ მაგივრად ჩემი ფანტაზია ზედიზედ ხატავდა ამოუცნობ ამოცანებს, რომლებიც ვერც კი ასწრებდნენ ხორცშესხმას, უმალ იფანტებოდნენ და უჩინარდებოდნენ. ამიტომაც ეს მოთხრობაც, როგორც ყველა დანარჩენი, მეორე გვერდზევე იყო შეწყვეტილი.

წარუმატებლობის მიზეზი აშკარა იყო, მაგრამ არა ჩემთვის. ისიც კი მახსოვს, თუ როგორ ძირისძირობით და გამოწვლილვით ვმსჯელობდი ამ თემაზე მამაჩემთან.

ეს სჯა-ბაასი, როგორც ყოველთვის, ახლაც სადილობისას მოხდა, როცა ყველანი მაგიდას შემოვუსხედით. მე და ჩემი ძმა მადიანად შევექცეოდით თბილ-თბილ ლორს, სულ ცოტა ხნის წინ რომ ამოარბენინა ძმამ ძეხვეულის მაღაზიიდან. ლორს მხოლოდ ჩვენ ორნი მივირთმევდით ხოლმე, რადგან მამაჩვენი მაინცდამაინც არ ეტანებოდა მაგარ ხორცს. ის რომელიღაც სა-

მარხვო ლობიოს მიირთმევდა, რომელიც თვითონ მოამზადა, რადგან ჩვენი შინამოსამსახურე სადღაც გამოთვრა და უკვე ორი დღე იყო, თვალი აღარ მოგვეკრა მისთვის. მამა ჭამდა უხმოდ და სვენებ-სვენებით, თითოეულ ლუკმას ბოლომდე ღეჭავდა, მისი შემყურე კაცს ნამდვილად დაეკარგებოდა ჭამის მადა. მე კი ამასობაში კიდევ ერთი ლორის ნაჭერი გადავსანსლე და ლუკმა ბოლომდეც არ ჩამეყლაპა, რომ მაშინვე ჩემი თეორიის სამსჯავროზე გამოტანა ვცადე.

– განა არსებობს იმაზე უფრო რთული რამ, ვიდრე ინტრიგის გაბმა-მოფიქრებაა... ფიქრობ, ფიქრობ, იმტვრევ თავს და როცა უკვე ყველაფერი მოფიქრებული გგონია, აღმოჩნდება, რომ შენს მიერ მოქსოვილი ინტრიგების ქსელი სულაც არ არის ორიგინალური, გეჩვენება, რომ სადღაც უკვე წაგიკითხავს ამდაგვარი რამ და რაიმე ახლის მოფიქრება, საერთოდ, შეუძლებელია.

– ჰმ, დიახ, – ყრუდ გაისმა მამაჩემის პასუხი, რაც მის ენაზე სულაც არ ნიშნავდა, რომ ის თანახმა იყო.

მერე კი, როცა ლუკმა, როგორც იქნა, ბოლომდე გაღეჭა და გადაყლაპა, გააგრძელა:

– და მაინც იბეჭდება დ გამოდის უთვალავი რომანი, სადაც აღწერილი ინტრიგები სულაც არ ჰგავს ერთმანეთს. და არც მათ ავტორებს გაუქურდავთ ერთმანეთი. მაგრამ მათი უმეტესობა მაინც უკვე ცნობილი სიტუაციების ნარისახეობაა და მეტი არაფერი. ნაირსახეობას ხელოვნებაში ხანდახან საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება, – შენიშნა მოხუცმა, ვიდრე მომდევნო ლუკმას წაატანდა ხელს.

– ჩემი აზრით, ადამიანური ქმედება გამოიხატება კომბინაციათა განსაზღვრულ რაოდენობაში, რომელსაც ველარაფერს დაუმატებ და რომელიც დიდი ხანია ამოწურულია.

– იგივე ითქმის ყავაზე, – ჩაერთო საუბარში ჩემი ძმა.

ეს სიტყვები „იგივე ითქმის ყავაზე“, რომელიღაც უკბილო ანეგდოტის ბოლო ფრაზა გახლდათ, რომელიც უკვე აღარ მახსოვდა და ჩემი ძმა მაშინ ისროდა ხოლმე ამ ფრაზას, როცა სურდა, ეგრძნობებინა ირგვლივ მყოფთათვის, რომ საუბარმა ინტერესი დაკარგა და გულისგამაწვრილებლად მოსაწყენი გახდა.

– იგივე ითქმის ჭადრაკზეც, – დავაზუსტე მე.

მამა მოთმინებით ღეჭავდა ლუკმს, სანამ იტყოდა:

– მე დიდი არაფერი გამეგება ჭადრაკისა, მაგრამ მგონია, რომ ცხოვრებაში შესაძლებელი კომბინაციები გაცილებით მეტია, ვიდრე ამ ბრძნულ თამაშში.

– ალბათ ასეა, საერთო ჯამში... – ვაღიარე უწადინოდ – მაგრამ თითოეულ განსაზღვრულ სიტუაციაში ასეთი კომბინაციები არც ისე მრავლად გვხვდება. დავუშვათ, გიღალატა ქალმა. რას მოიმოქმედებ? შენც უხდი სამაგიეროს და თვითონაც ღალატობ, შეიძლება მიატოვო ან იტანჯები, ან სკანდალს ტეხ, უთვალთვალებ, ან არადა კვლავ, ბოლოს და ბოლოს, ჰო, კიდევ... რა ვიცი... ვთქვათ, არსებობს ოცი, ოცდაათი ასეთი ვერსია, მაგრამ ისინი უსასრულოდ ბევრი როდია... ამავე დროს ყველა მათგანი გამოყენებულია.

– იგივე ითქმის ყავაზე, – ჩაერთო ისევ ჩემი ძმა.

– გამოყენებულია ის, რაც იყო აქამდე, – მომიგო მოხუცმა, დამცინავად შემომხედა და მერე მზერა ოთახის კუთხეში გადაიტანა. ჩვენ უნდა ვისარგებლოთ იმით, რაც განსხვავდება ძველისაგან. ისინი კი, ვინც ჩვენს მერე მოვლენ ამ ქვეყნად, ისარგებლებენ თავიანთი თანადროული მასალით, რადგან ჩვენი უკვე მოძველებული იქნება მათთვის. მე ხომ გითხარი, ნაირსახეობა ხელოვნებაში არც ისეთი ხელწამოსაკრავი საქმეა-მეთქი.

მან, ჩვეულებისამებრ, მოაგროვა მის წინ დაყრილი პურის ნამცეცები, რითაც გვამცნო, რომ თვითონ უკვე მოამთავრა სადილი, შემდეგ ჩემს ძმას გადასცა და უთხრა:

– შენ კი, სულ ყავა რომ გაკერია პირზე და სხვა არაფერზე იცხელებ თავს, ნება იბოძე, ქვევით ჩაირბინე და სამი ყავა შეუკვეთე!

ეს „ქვევით“ კაფე იყო, ერთი მაკედონელის საკუთრება, საიდანაც დღეში სამჯერ ქაშანურის ფინჯნით მამისთვის ყავა მოგვქონდა. „თვისობრიობა გადადის რაოდენობაში“, – უყვარდა მამაჩემს თქმა მას შემდეგ, რაც ამ ყავამ თავისი უწინდელი სურნელება დაკარგა და დახრუკული თურქული ცერცვის გემო მიიღო.

ჩემი ძმა უკვე გამქრალიყო, მამაჩემიც ადგომას აპირებდა და მალე, ალბათ, თავის კაბინეტს მიაშურებდა, როცა უცებ ტუჩებზე ის იშვიათი ღიმილი გაუკრთა, მხოლოდ მას რომ სჩვეოდა.

– როგორც მახსოვს, გიმნაზიაში მათემატიკური თეორიების დაზეპირებით თავს მაინცდამაინც არ იკლავდი. ახლა კი გისმენ და მგონია, რომ შენ იმდენად ცხოვრება კი არ გაინტერესებს, შენს გარშემო რომ დუღს და გადმოდუღს, რამდენადაც ალბათობისა და თამაშის თეორია. მიანებე ეს საქმე სპეციალისტებს, შენ კი – თუ მწერლობა განგიზრახავს, შენს საქმეს მიხედე.

– მეც ხომ სწორედ ამით ვარ დაინტერესებული, – წავიბურტყუნე, ცოტა არ იყოს, გაღიზიანებულმა.

– ოღონდ ამონახსნი ვერ მიპოვია... მხედველობაში მაქვს არა მათემატიკური, არამედ იმ ამონახსნის, იმ გასაღების პოვნა, მწერლობაში, ლიტერატურაში შესასვლელ კარს რომ მოერგება... იქნებ წარმოსახვის უნარი არ შემწევს...

– მე კი მგონია, რომ შენ სხვა რამ უფრო ხელარგეწიფება, – გაეღიმა მამას.

– რა არის ეს „სხვა რამ“?

– ის, რის ნაკლებობასაც მეტ-ნაკლებად ყველანი განვიცდით.

როცა შემატყო, ვერ გავიგე მისი ქარაგმა, განაგრძო:

– ვთქვათ, წამოიწყე რაიმე საქმე და არ გამოგდის. ნუ დაიწყებ თავის მტვრევას იმაზე, თუ რატომ არ გამოგდის: სხვა გზა მოძებნე, სხვა ხერხი იხმარე! რატომ აგიტეხია, რომ პირველ რიგში, სიუჟეტი უნდა მოიფიქრო, რატომ გგონია ინტრიგაა ის უმთავრესი რამ, რომელიც გზას გაგიხსნის და წერას გაგიადვილებს? სიუჟეტი, შინაარსი მხოლოდ და მხოლოდ ძიებაა და მეტი არაფერი. ამგვარად, შენ უნდა დაიწყო მიზეზებიდან. მიზეზი კი ადამიანია.

– „აღმოაჩინე რა, შენც ამერიკა“, – კინაღამ არ წამომცდა. მაგრამ მამისადმი ძვალსა და რბილში გამჯდარმა პატივისცემამ მაიძულა თავი შემეკავებინა.

მაგრამ მამაჩემი ალღოთი მიმიხვდა, რისი თქმაც მინდოდა.

– დარწმუნებული ხარ, რომ კარგად იცნობ იმ ადამიანებს, ვინც შენი ნაწარმოების გმირები უნდა გახდნენ?

პასუხი არ გავეცი, რადგან ვერ ვიტან შეკითხვებს, რომლებიც უკვე წინასწარ გულისხმობენ უარყოფით პასუხს.

– მინდა, სწორად გამიგო, – გააგრძელა მამაჩემმა, – ადამიანის ბუნებას ბოლომდე კარგად ვიცნობო, – ვერც ერთი ჩვენთაგანი ვერ დაიტრაბახებს და ეს არსებითად არის სწორედ ის, რისი უნარიც არავის შესწევს. მაგრამ თუ შენ არჩევანს შეაჩერებ რამდენიმე ადამიანზე, რომელთა ხასიათების, ვნებების დახატვაც გსურს, მაშინ მათ მაინც უნდა იცნობდე კარგად. უნდა იცნობდე თუნდაც ისე, თუ როგორ გამოიყურებიან, რანი არიან, რითი ცხოვრობენ, რით სუნთქავენ. – „იოლი საქმეა“, – იტყვი შენ – მე ხომ ყოველდღე ხალხში ვტრიალებ, ვხვდები ათასი ჯურის ადამიანს, სულ მათთან ვარ, ხანდახან იმასაც კი წამოვიძახებ ჩემთვის, „ოჰ, ეს ხალხი“. ეს ასეა. მაგრამ აბა, მიდი და ნებისმიერი მათგანის დახასიათება სცადე. გინდაც ყველაზე ახლობელი აირჩიე სამიზნედ. აიღებ თუ არა ხელში კალამს, მაშინვე მიხვდები, რომ შენ მათ ძალიან ცუდად, ზედაპირულად იცნობ.

არ ვიცი, ბოლომდე თქვა თუ არა მამამ თავისი სათქმელი, რადგან იმ წუთას ოთახში ჩვენი ნაცნობი მაკედონელი შემოვიდა ლანგრით ხელში და საუბარიც ამით დამთავრდა. მე ჩემს ოთახს მივაშურე. მამაჩემთან საუბარმა რაღაცნაირად გამაღიზიანა. საკუთარ თავზე ვიყავი გამწყრალი, მაგრამ მოხუცზეც ვბრაზობდი. საკმარისია, ვინმეს დახმარებისთვის მიმართო, გგონია, რომ გაგიმხელენ რომელიმე პროფესიულ საიდუმლოს, მაგრამ რად გინდა, მის სანაცვლოდ წაგიკითხავენ პატარა ჭკუის სასწავლებელ ლექციას, გესაუბრებიან ბანალურ ჭეშმარიტებაზე და ამით მთავრდება ყველაფერი.

ცოტა მოგვიანებით კი, ვიდრე ჩემთვის განკუთვნილ ცერცვიან ყავას გამოვწრუპავდი, მოულოდნელად გადავწყვიტე მიმეღო გამოწვევა და ერთ-ერთი ჩემი ახლობელი ადამიანის პორტრეტი დამეხატა. დიდხანს ვიმარჩიელე იმაზე, თუ ვისზე შემეჩერებინა არჩევანი. გამიჭირდა, რადგან არც ერთ მათგანს არ აღმოაჩნდა ისეთი რამ, რაც საშუალებას მომცემდა დამეხატა საინტერესო ადამიანის ტიპი. ბოლოს არჩევანი ვლადოზე შევაჩერე, რატომღაც ის მომეჩვენა მეტ-ნაკლებად ყველაზე კოლორიტულ ფიგურად.

ვლადო ჩვენთან ზაფხულის ერთ დილას მოვიდა. როგორც თვითონ თქვა, ის მამაჩვენის სანახავად იყო მოსული, მაგრამ მერე რატომღაც დაავიწყდა, წასულიყო. მოხუცმა, რა თქმა უნდა,

ნება დართო ჩვენთან შეეფარებინა თავი, მაგრამ ჩვენ ამის შესახებ არაფერი ვიცოდით და მთელი დღე ველოდით, როდის წავიდოდა იგი. მაგრამ ის ჩვენი სახლიდან აღარ წასულა, სამზარეულოში პატარა ტახტი დაიკავა, ის ღამე იქ გაათია, მეორე დღეს კი ორი, საკმაოდ შელახული ჩემოდანი მოათრია და ტახტის ქვეშ შეინახა. ჩემოდნები წიგნებით იყო გამოტენილი. ჩვენდა სამწუხაროდ, ეს წიგნები ისეთივე მოსაწყენი აღმოჩნდა, როგორც თვითონ ვლადო. აქ ვერ ნახავდით ჟიულ ვერნის რომანებს. სამაგიეროდ, თავზე საყრელად იყო პათეტიკური კლასიკური პიესები, სადაც უყვარდათ წმინდა სიყვარულით და მომაბეზრებელ ტირადებს წარმოთქვამდნენ რაღაცით აღშფოთებული კეთილშობილნი.

ვლადო მსახიობი იყო, უიღბლო მსახიობი. როცა ვამბობ „უიღბლო“-მეთქი, სულაც არ ვგულისხმობ „უნიჭოს“. დიდი ხნის შემდეგ, როცა მე უკვე თითქმის დავიწყებული მქონდა მისი არსებობა, იგი კვლავ გამომეცხადა შავ კოსტუმში გამოწყობილი გახამებული საყელოთი, უკვე რომ გაყვითლებულიყო რეცხვითა და დაუთოებით. სახე ძველებურად უსიცოცხლო ჰქონდა. ასაკს მისთვის ვერაფერი დაეკლო. სექტემბერი იყო. მე მაშინ რადიოკომიტეტში ვმუშაობდი. ვლადო შემოვიდა ჩემთან კაბინეტში, როგორც თვითონ თქვა, ძველი ნაცნობის მოსანახულებლად და კიდევ იმისათვის, რომ ეთქვა ჩემთვის, რადიოთეატრში დავიწყე მუშაობაო. მას შემდეგ, რაც თავისი ვიზიტის საქმიანი მხარე უკვე მოამთავრა, გაჩუმდა და ფანჯარასთან სკამზე ჩამოჯდა. იჯდა ასე, გასცქეროდა შორეულ სივრცეს და ჩვეულებისამებრ, ეტყობა, დავიწყებოდა, რომ უნდა წასულიყო. სხვა, მისი მსგავსი, სუბიექტებისგან განსხვავებით, ვლადო არასოდეს დაგირღვევდა მყუდროებას თავისი სტუმრობით. იგი გაუნძრევლად, გატრუნული იჯდა ხოლმე თავისთვის კუთხეში ისე, რომ მის იქ ყოფნას ვეღარც კი იგრძნობდი.

მე უკვე თავი მქონდა ჩარგული რომელიღაც ხელნაწერში, რომლის რედაქტორობაც მომანდეს, როცა ფანჯარასთან სუსტად ჩაახველეს, სწორედ ისე, ტენორები არიის წინ რომ ჩაიწმენდენ ხოლმე ხმას.

– იქნებ რამე მოგეცა ჩემთვის, წავიკითხავდი. რამე ისეთი... გესმის...

„ჰო, ჰო, ქვეყანა რომ გადარიო, ისეთი ხომ!“ – მივუგე მე, ოღონდ ჩემთვის, გუნებაში.

– გესმის, მთელი ცხოვრება ჩრდილში ვიყავი... კი არ ვჩივი, ზოგჯერ კმაყოფილიც კი ვარ ჩემი ბედით...

– რაც უფრო ჩრდილში დგახარ, მით უფრო ნაკლები მოშურნე გყავს... მაგრამ, როცა გჯერა და იცი, რომ მთელი ამ ხნის მანძილზე არ გქონდა შესაძლებლობა, შეგექმნა რაიმე ისეთი... ხომ გესმის, რისი თქმაც მინდა? მითხარი...

თანხმობის ნიშნად მაგიდიდან ერთ-ერთი ლექსის ხელნაწერი ავიღე და ვლადოს მივაწოდე. ეს იყო ბერანჟეს ლექსი. და მიუხედავად იმისა, რომ ბერანჟეს ლექსის ჩემეული თარგმანი დიდი არაფერი გახლდათ, ძველმა მსახიობმა აღტაცება მაინც ვერ დაფარა.

ერთი კვირის შემდეგ მის მიერ წაკითხულმა ბერანჟეს ქმნილებამ მქუხარე აპლოდისმენტები დაიმსახურა. ეს ვლადოსთვის ბედნიერება იყო. მე კი მალე ვიგრძენი, თუ როგორი უბედურება დამატყდა თავს. დღე არ გავიდოდა, რომ ვლადოს ჩემი კაბინეტის კარი არ შემოეღო და არ ეკითხა, ხომ არ ვთარგმნე ბერანჟეს კიდევ რომელიმე ლექსი. ჩემთან იმდენჯერ მოვიდა თხოვნით, კიდევ მეთარგმნა ბერანჟეს ლექსები, ისე მეხვეწებოდა, რომ იძულებული გავხდი, მეთარგმნა მეორე, მერე მესამე და მეოთხე ლექსი. ჰოდა, ასე გაგრძელდა მანამდე, ვიდრე მთელი წიგნი არ ვთარგმნე – ლექსების ეს კრებული ბევრს ვერაფერს მატებდა ჩემს შემოქმედებას, მაგრამ ნაყოფიერი თესლი გამოდგა ვლადოს შემოქმედებითი მოღვაწეობის აყვავებისათვის. მან გარდასახვის ვირტოუზულ დონეს მიაღწია. მის, აქამდე უტყვ სახეზე ბობოქრობდნენ ვნებები, რისი უნარიც, ჩემი აზრით, მას არასოდეს გააჩნდა. იგი ფლობდა გარდასახვისა და ინტონაციების მთელ გამას, რაც შესაძლებლობას აძლევდა, ყოფილიყო გაქნილი კარიერისტი, მლიქვნელი, მაბეზღარა, პირატი, ძუნწი, შეექმნა ყოველგვარი ტიპი ადამიანისა და ამას ჩადიოდა საოცარი ცხოველმყოფელობით, გატაცებით. თითქოს სურდა, შური ეძია იმისათვის, რომ გააწამეს და გაუმწარეს მთელი ცხოვრება. ფეხქვეშ თელავდნენ მის ნიჭს.

ცხდია, ვლადო მსახიობთა ძველ პლეადას მიეკუთვნებოდა და ხანდახან აჭარბებდა კიდევაც „თამაშის“ დროს, და ამას იმიტომ აკეთებდა, რომ როლისთვის მეტი გამომსახველობა მიენიჭებინა. და მაინც, მისი ძველმოდური სტილი თითქმის ზუსტად ემთხვეოდა ბერანჟეს სატირულ და

პათეტიკურ ტონს. ასე რომ, სიცოცხლის ბოლოს უიღბლო მსახიობს შეეძლო თავისი პირველი და უკანასკნელი წარმატებით დამტკბარიყო.

მაგრამ ეს ყველაფერი ბევრად უფრო გვიან მოხდა. იმ დროს კი, საიდანაც ეს საუბარი წამოვიწყე, ვლადო მხოლოდ უიღბლო მსახიობი იყო მუდმივი პროფესიით – „უმუშევარი“. კვირაში ერთხელ ან ორჯერ იგი მიდიოდა სახალხო თეატრში, სადაც უკვე კარგა ხანი იყო პირდებოდნენ ადგილს, თუკი ვაკანსია, საერთოდ, გამოჩნდებოდა. მაგრამ ეს ვაკანსია მან ვერა და ვერ მიიღო და ერთ მშვენიერ დღეს, თეატრში მორიგი ვიზიტის შემდეგ, ვლადო სახლში დაბრუნდა. თითქოს აქ არაფერიაო, დიასახლისის რედინგოტის წინსაფარი აიფარა და კარტოფილის ფცქვნას შეუდგა. კარტოფილის გაფცქვნა დიასახლისის საქმეა, მაგრამ ვლადო თავგამოდებით ცდილობდა უსაქმოდ არ მჯდარიყო და რაიმე სასარგებლო საქმე ეკეთებინა. ამიტომ მას თავისი წვლილი შეჰქონდა სახლის მოვლა-დალაგებაში, გვიდა და მერე სველი ჩვრით მაგრად ხეხდა იატაკს. მსახიობმა თვითონ გამოიგონა იატაკის თავისებური საწმენდი ჯოხი, რათა წმენდის დროს რედინგოტის სუფთა წინსაფარი არ დაელაქავებინა, რომელიც მას ძალიან მოსწონდა და თითქმის არასოდეს იშორებდა.

თუ მის სამეურნეო საქმიანობას არ ჩავთვლით, იგი ყოველთვის ცდილობდა, განმარტოებულიყო. განაპირდებოდა ხოლმე ოთახის რომელიმე კუთხეში, თითქოს ცდილობდა, სახლში, რაც შეიძლება, ნაკლები ადგილი დაეკავებინა, საათობით დუმდა, ცდილობდა, ყველასთვის შეუმჩნეველი ყოფილიყო და მაშინაც კი, როცა სუფრას შემოვუსხდებოდით, ყოველთვის მაგიდის კუთხეში ჯდებოდა, თეფშს კი მუხლებში ჩაიდგამდა ხოლმე.

ეს ჩვევა, ხელი არავისთვის შეეშალა და თვალში არავის გაჩხეროდა, ცხოვრებამ გამოუმუშავა. ასე ხდება ხოლმე, როცა ამდენ ქიმუნჯებს მიიღებ – ინსტინქტურად ცდილობ, შორს დაიჭირო თავი ხალხმრავალი საზოგადოებისაგან.

ცხოვრებისეული თვალსაზრისით, მისი საქციელი ბუნებრივი იყო, მაგრამ მეორე მხრივ, უცნაური ჩანდა კაცისთვის, რომელსაც პროეფსიად მსახიობობა შეერჩია. ამ პროფესიის კაცი ხშირ შემთხვევაში, სულ სხვაგვარად იქცევა. ცდილობს, შეუმჩნეველი არ დარჩეს, მიიქციოს ხალხის ყურადღება, უფრო თამამი და გულღიაა. ასე იქცევიან ისინი სცენაზეც და ყოველდღიურ ცხოვრებაშიც. იმ ხანებში ჯერ კიდევ შეხვდებოდით მსახიობებს, რომელთაც უყვარდათ შლაპითა და ხელჯოხით სიარული, ჰალსტუხის მაგივრად, ყელზე პეპელა ჰქონდათ მიბნეული და ბოთლ ღვინოს ისე ხმამაღლა, ისეთი ინტონაციით დაუკვეთავდნენ, რომ ყველას შეემჩნია მათი გამოჩენა. და თუ ვლდოსთვის უცხო იყო ასეთი ბღენძიაობა, ეს ალბათ იმიტომ, რომ ძალზე იშვიათად იყო დასაქმებული თავისი პროფესიით და ძალზე ბევრი დარტყმაც იგემა ამ მხრივ.

და მაინც პროფესია თავისას ითხოვდა. ეს კი გვიან საღამოს ხდებოდა ხოლმე. ბებია თავის ოთახს მიაშურებდა, მამაჩემი კაბინეტში იკეტებოდა, ჩვენი შინამოსამსახურე დასაძინებლად მიდიოდა, ბიძაჩემს კი ამ დროს საერთოდ ვერ ნახავდით სახლში. ჩვენ, ბავშვები, მარტონი ვრჩებოდით ვლადოსთან სამზარეულოში. ეს სამზარეულო მარტო ვლადოს საძინებელი ოთახი როდი იყო, ჩვენ ძალიან გვიყვარდა იქ ყოფნა, რადგან აქ ვხვდებოდით ყოველღამე მსახიობს, როგორც ეს ნამდვილ თეატრში ხდება ხოლმე. ვლადო თავის გაცვეთილი ჩემოდნიდან ამოაცოცებდა ასევე გახუნებულ წიგნს, დაჯდებოდა შუა ოთახში, ერთს შემოგვხედავდა, მზად იყავითო, – გვაგრძნობინებდა და იწყებდა. ჩვენ კი მოვკალათდებოდით ტახტზე, რომელიც დარბაზის პირველსა და უკანასკნელ რიგს წარმოადგენდა და ვუცქერდით, როგორ ბობოქრობდნენ მის უტყვ სახეზე ვნებები, რომელიც უცხო იყო მისთვის.

ვლადოს სყვარელი ავტორი, რა თქმა უნდა, შექსპირი გახლდათ, ყველაზე გამორჩეული პიესა კი – „ჰამლეტი“. თუმცა „ჰამლეტის“ კითხვა აუდიტორიას ძილს ჰგვრიდა. უკვე პირველ სცენაში, როცა მოჩვენება ქრება, ქრებოდა ჩვენი ინტერესიც. მეორე სცენაში კი თვლემა ღრმა, ჯანმრთელ ძილში გადადიოდა. ასე რომ, ვლადო იძულებული ხდებოდა, თავი დაენებებინა უბედური დანიელი პრინცის დრამისათვის და ხელში„მაკბეტი“ აეღო . კარგი იყო თუ ცუდი, მაკბეტს ჩვენ უკვე ვიცნობდით მამის მონაყოლით. ეს საშუალებას გვაძლევდა თვალი გვედევნებინა მოქმედებისათვის. სამაგიეროდ, ინტერესი გვინელდებოდა ხოლმე. საწყალი ვლადო კი ტყავიდან ძვრებოდა, რათა ბოლომდე ეჩვენებინა მაკბეტის ტრაგიზმი და მისი ცოლის მუხანათობა, გრძნეულები და დანარჩენი პერსონაჟები. ჩვენი აზრით, მას სამი გრძნეულის როლი გამოსდიოდა ყველაზე კარგად. მაგრამ, სამწუხაროდ, გრძნეულთა როლები ძალზე სიტყვამცირე

და ხანმოკლე იყო, მერე კი მოქმედება მეტისმეტად ჭიანურდებოდა, განსაკუთრებით, მკვლელობის შემდეგ და ჩემი ძმა, მოთმინებიდან გამოსული, წამოიძახებდა:

– ახლა ბირნაშის ტყეზე წაიკითხე, რომელიც მიდის...

– ბირნაშის ტყე ბოლოში, – უარზე იყო ვლადო, – ბირნაშის ტყე შურისგების ადგილია, ასეთი რამ კი ყოველთვის ბოლოში ხდება ხოლმე.

მაგრამ სანამ შურისგების დრო მოაწევდა, ჩვენ უკვე გემრიელად გვეძინა.

სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ ასე გვეძინებოდა ხოლმე „ოტელოზეც“, „მეფე ლირზეც“ და „ვენეციელ ვაჭარზეც“, რომ აღარაფერი ვთქვათ პიესაზე „სიზმარი ზაფხულის ღამისა“, სადაც ეს უკვე თვით სათაურშია ნაგულისხმევი.

და აი,სწორედ ამ კაცის პორტრეტის დახატვა გადავწყვიტე ისე, რომ კარგად არც კი ვიცოდი, რატომ მაინცდამაინც მასზე შევაჩერე არჩევანი. მე ვწერდი მასზე კეთილსინდისიერად, აღვწერდი მის გარეგნობას, მიხრა-მოხრას, ჩვევებს, თუ არ ჩავთვლით ცოტაოდენ ჩვეულ უმნიშვნელო შტრიხებს, რითაც მინდოდა პორტრეტისათვის მეტი ცხოველმყოფელობა მიმენიჭებინა. მაგალითად, ვყვებოდი როგორ აგზავნიდა ბიძაჩემი ვლადოს საცხობში ცხვრის თავების შესაწვავად. ვლადო ცხვრის თავებთან ერთად ფურნაკში რამდენიმე მსხალს დებდა ხოლმე. ვეგეტერიანელი იყო და რადგანაც მსხალი მაგარი იყო, ვლადო მათ წვავდა და ისე ჭამდა. ბიძაჩემი რამდენჯერმე შეეცადა აეხსნა მისთვის, რომ ასე არ გაეკეთებინა, ვინაიდან ცხვრის თავებს მსხლის ტკბილი სუნი ასდიოდა, მსხალს კი – ცხიმის. მაგრამ მსახიობი დარწმუნებული იყო, რომ ფურნაკში ცარიელი ადგილი არ უნდა დარჩენილიყო, რადგანაც მეფუნთუშე მაინც იღებდა თავის ოცდაათ სტოტინს. ვწერდი იმასაც, თუ როგორ დადიოდა ვლადო ყოველი სადილობის წინ ქალაქის აბანოში, რათა თბილი მინერალური წყალი დაელია.

– არც თქვენ გაწყენდათ, – გვირჩევდა ჩვენც, – ძალიან სასარგებლო რამ არის.

– რისთვის არის სასარგებლო?

– ყველაფრისთვის. მთელ ორგანიზმს ასუფთავებს. და რაც მთავარია, ყუათიანია. განსაკუთრებით მაშინ, როცა ბევრს დალევ. როგორც კი ერთ ლიტრს დალევ, შიმშილი მავიწყდება და უსადილოდაც იოლას გავდივარ. რამდენჯერ დამიზოგავს ასე სადილის ფული.

საერთოდ, მე ვწერდი ყველაფერს, რისი დაწერაც შეიძლებოდა, და როგორც კი ბოლო გვერდი ჩავათავე, ხელნაწერი მამის საწერ მაგიდაზე დავტოვე. საღამოს მოხუცმა დამიბრუნა ჩემი ქმნილება და ჩვეულებისდა მიხედვით წაიბურტყუნა:

– კარგია.

კილოზე მივხვდი, რომ არ მოეწონა.

– არ ვიცი, კიდევ რისი დაწერა შეიძლებოდა, – წავილუღლუღე მე.

მამაჩემი უკვე თავისი კაბინეტისკენ გაეშურა, მაგრამ კარებთან შეყოვნდა.

– საქმე იმაში კი არ არის, კიდევ დაუმატებ რამეს თუ აქ შეჩერდები. მთავარი ის არის, რომ რაც შენ დაწერე, დამაჯერებელი არ არის, რაღაც აკლია.

– მაინც რა დავაკელი?

– არაფერი. შენ გინდოდა, რომ კალმის ერთი-ორი მოსმით შეგექმნა პატარა ესკიზი და უნდა გითხრა, რომ იგი არც თუ ისე ურიგო გამოვიდა.

– მე მინდოდა, დამეხატა ადამიანი...

– მეც მანდა ვარ. და შენც დახატე იგი მსუბუქი იუმორით.

– ცუდად არ მიხუმრია...

მამაჩემმა დუმილი ირჩია, ეტყობოდა, დროს მაძლევდა, რათა უკეთ ჩავხვდომოდი საქმის არსს. მის ადგილზე მე გამოვიდოდი ოთახიდან, ის კი ისევ კარებში იდგა და უცდიდა, როდის დაცხრებოდა, გაღიზიანებული, შეურაცხჰყოფილი ავტორი.

არა მგონია, ცუდი ტონით ვწერდე. ბოლოს და ბოლოს, იუმორის გრძნობა არც დიკენსს ღალატობს.

– არც გოგოლს, სხვათა შორის, მაგრამ თუ „ფარაჯის“ კითხვას დაიწყებ, ჯერ გაგეცინება, მაგრამ თანდათანობით ღიმილი ტუჩებზე შეგაშრება. თითქოს იცინოდი, სინამდვილეში კი თვალები ცრემლებით გევსება. შენ კი უკვე თავს იმტვრევ იმაზე, რომ შენმა მკითხველმა ბოლომდე კარგ გუნებაზე მყოფმა ჩაათავოს შენი ნაწარმოები.

– ვფიქრობ, გვხვდება ისეთი საგნებიც, რომელთა აღმოსაჩენადაც დიდი ძალისხმევა არ არის საჭირო.

– რა თქმა უნდა, ნაძალადევი არაფერი ვარგა. მაგრამ შენ გადაკვრითაც ვერაფერს ამბობ. ეს კაცი იმიტომ კი არ იბერება თბილი, უგემური წყლით, რომ სადილის ფულის დაზოგვა სურს, არამედ იმიტომ, რომ მას ეს ფული არა აქვს. იგი სამზარეულოში რედინგოტის წინსაფრით ტრიალებს. იცი რატომ? ეს მისი ერთადერთი სამოსია, სხვა მას არა გააჩნია. ის უკიდურესად გაღარიბდა, მაგრამ ცდილობს, დამალოს. არ სურს ვინმეს გულში სიბრალული გამოიწვიოს: ის ყოველთვის მხნედ დადის და ძალზე სუფთად აცვია. ყოველთვის საპნის სუნი უდის, – მართალია სამზარეულო საპნის, მაგრამ მაინც საპნის...

მოხუცი იგივე კილოთი განაგრძობდა საუბარს, და მე მეგონა, რომ ეს ყველაფერი კარგად ვიცოდი, და სწორედ ეს მაღიზიანებდა. თუ ვიცოდი, ხომ უნდა დამეწერა კიდეც. ამ დროს მამაჩემის ხმამ გამომაფხიზლა.

– შენ მისი თვალებისთვისაც კი არ მიგიქცევია ყურადღება. ადამიანის პორტრეტი თვალების გარეშე...

– რატომ, მე ვწერდი მის თვალებზე!

– ჰმ, რა თქმა უნდა, წერდი, რომ იგი ახლომხედველია და ფოლადის ჩარჩოიან პენსნეს ატარებს, არა?! რატომ არაფერს ამბობ იმაზე, როგორ ლაჩრულად იმზირებიან მისი თვალები, იმ ძაღლის თვალებს რომ ჰგვანან, პანღურის მოლოდინში რომ გასუსულან?

დაუჯერებელი იყო, მაგრამ ჩემ მიერ დახატულ პორტრეტში არსად ჩანდა თვალები. ისე ვიყავი დაღონებული, რომ მოხუცის სიტყვები კანტიკუნტადღა მესმოდა.

– ეს არის წლების მანძილზე დაგროვებული ნაღველი, წვეთ-წვეთობით რომ ეღვრებოდა გულში... ოცნება სცენაზე... უიმედო ლოდინი სტატისტის თანამდებობაზე... გაცრუებული იმედები... უკვე აღარც სჯერა... მაგრამ მას მაინც თავისი გზა აქვს... ყოველთვის რედინგოტშია გამოწყობილი და თავი ღირსეულად უჭირავს, როგორც ეს, მისივე თქმით, – კარგად აღზრდილ ხალხშია მიღებული.

მამა თითქოს საკუთარ თავს ელაპარაკებოდა, ალბათ ასეც იყო, რადგან იგი საუბრისას იშვიათად ლაპარაკობდა ასეთი მონოლოგებით, მაგრამ თანდათან კილო შეეცვალა და ახლა უკვე ჩემი მისამართით გაისმა.

– ის, რაც შენ დაწერე, საერთო ჯამში, სწორია. ახლა ვნახოთ, როგორ არის ის გააზრებული. ადამიანი, როგორც ფსიქიკური და ფიზიკური ერთობლიობა, განსაზღვრული სტრუქტურისაა, რომელსაც აქვს თავისი ხერხემალი. აი, როგორც ამ მცენარეს...

მან თავის თამბაქოსაგან გაყვითლებული გრძელი თითებით ფანჯარასთან მდგარი ბეგონია დამანახა. სუსტი, გაყვითლებული ბეგონია, რომლის მორწყვა მე და ჩემს ძმას გვევალებოდა და ჩვენც ერთმანეთს შევყურებდით, აბა, რომელი მორწყავსო.

– ამ მცენარეს აქვს ფესვი, ღერო, ფოთლები, ყვავილები... ადამიანის ფსიქიკას უფრო რთული აღნაგობა აქვს, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ იგი საერთოდ არ არსებობს. დაიწყე მისი უხილავი მხრიდან – ფესვებიდან, შემდეგ გადადი ღეროზე და განაგრძე ასე...

– ჩვენ ხელთ გვექნება მშრალი სქემა.

– მინდა სწორად გამიგო. ასე არ უნდა აღწერო იგი, მაგრამ აუცილებლად ასე უნდა შეისწავლო. ფესვები, ღერო... შეისწავლე მისი აგებულება და წერით წერე, როგორც გენებოს. წერე ისე, რომ ხელში მარტო მშრალი, არაფრისმთქმელი სქემა არ შემოგრჩეს.

ამ სიტყვების შემდეგ მამაჩემი თავის კაბინეტში შევიდა, მე კი დავხიე ჩემი ნაცოდვილარი და კაფეში გავიქეცი, სადაც ჩემი მეგობრები მეგულებოდნენ, იქნებ როგორმე იქ ჩამეკლა საზიზღარი გრძნობა დამარცხებისა. ეს იყო პატარა მარცხი, რომლის მსგავსიც მერეც რამდენჯერმე განვიცადე და რომელიც რჩება ხოლმე მოგონებათა ფსკერზე, მაგრამ შემდეგ წლების მანძილზე გღრღნის და გაწვალებს.

იმ წლებში წერა არ მიჭირდა, ვწერდი სიამოვნებით. პერსპექტივა იმისა, უარი მეთქვა ჩემი შთაბეჭდილებების ქაღალდზე გადმოღვრაზე და ხელი მიმეყო რაღაც მეთოდურ-მეცნიერულ ძიებებზე, ოდნავადაც არ მხიბლავდა. ეტყობა, მეტისმეტად პრიმიტიულად გავიგე მამის ნათქვამი, რადგანაც წარმოვიდგინე, რომ ადამიანი უნდა განმეხილა და შემესწავლა, როგორც შეისწავლიან ხოლმე ზედმიწევნით მცენარეული თუ მინერალოგიური სამყაროს ეგზემპლარებს.

ბელეტრისტიკა ჩემთვის უკვე არამარტო ისეთი რამ იყო, რაზედაც ხელი არ მიმიწვდებოდა. ამავე დროს იგი მეჩვენებოდა სიმძიმილის უამურ მხარედ, სადაც დაყიალობენ, უამური ადამიანები შეპყრობილი ასევე უამური სურვილით, ჩასწვდომოდნენ და სააშკარაოზე გამოეტანათ ადამის მოდგმის მრავალსახეობა.

სინამდვილეში ბელეტრისტიკა შეიძლება მართლაც ასეთი იყოს. ამის დასამტკიცებლად უამრავი ლიტერატურული მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ. ეს ნაწარმოებები, წიგნების ეს მთები, რომელთა ერთ მხარეს ბლომად არიან მოსაწყენი ავტორები, ხოლო მეორე მხარეს მოწყენილი მათი მკითხველები, კეთილი ზრახვებით კეთილსინდისიერად არის შექმნილი. მკითხველებისა და ავტორების აქ ყოფნა აუცილებლობით არის გაპირობებული. ერთნი ასრულებენ მისიას, რომელიც თვითონ იტვირთეს, ან კიდევ ლუკმა-პურს შოულობენ ამით. მეორენი კი მსხვერპლნი არიან კარგი ცოდნისა, რადგანაც კრიტიკოსების ან სახელმძღვანელოების ავტორების მიერ მოწონებული წიგნი აუცილებლად უნდა იქნას წაკითხული. და თუ წიგნი მოსაწყენია, ეს კიდევ ერთი დამატებითი ნიშანია იმისა, რომ ამ წიგნის ავტორი სერიოზული კაცია.

გულახდილად უნდა გითხრათ, რომ არავითარი სურვილი არ მქონდა გავრეოდი მოწყენილობის ამ ბაზარში. ამიტომაც მამის გაკვეთილს ყურადღება აღარ მივაქციე და ერთბაშად გადავწყვიტე, რომ ბელეტრისტიკა ჩემი საქმე არ იყო, ხოლო თუ მოგვიანებით შევიცვალე გადაწყვეტილება, ამაში ბრალი მეორე გაკვეთილს მიუძღვის, რომელიც მამისგან კი არა, ცხოვრებისგან მივიღე.

კარგად აღარ ვიცი ოცდაცხრამეტი წლის დასასრული იყო თუ ორმოცი წლის დასაწყისი – მახსოვს მხოლოდ, რომ სხვა ჩემს ტოლებთან ერთად მობილიზებული ვიყავი პურის ტალონების დასარიგებლად. თვეში ერთხელ შესაბამისი დაწესებულებიდან ვიღებდი ერთ შეკვრა ტალონებს და დავდიოდი ბინიდან ბინაში ჩანთაგადაკიდებული ინკასატორივით.

სამუშაო დამღლელი იყო, მაგრამ მე მაინც სხვა კუთხით ვუყურებდი მას და არამც და არამც მწერლის თვალით. თუკი საშუალება მომეცემოდა, ყოველგვარ ღონეს ვხმარობდი, რამდენიმე ტალონი ჩემთვის დამენარჩუნებინა, სხვაგვარად კი არ შემეძლო მოვქცეულიყავი, რადგან მე ბევრი მეგობარი მყავდა, რომლებიც ქალაქში მუდმივად არ იყვნენ ჩაწერილები და უჭირდათ დადგენილი წესის მიხედვით პურის ყიდვა.

მე დავდიოდი „წმინდა კვირის“ მოედნის ახლო-მახლო ქუჩებზე მდებარე სახლებში. ვინაიდან ბარათების დარიგება დაკავშირებული იყო სხვადასხვა წერილობითი ხასიათის ფორმალობასთან, ხშირად მიწევდა ამ ბინებში შეჭვრეტა, ზოგჯერ კი სასტუმრო ოთახში ან სამზარეულოშიც შევდიოდი და ვესაუბრებოდი სახლის პატრონებს.

ყველაფერი ეს ძალიან ბანალური იყო. მოხუცის თქმისა არ იყოს, სულ სახლში ტრიალებ, ხვდები მათ, უიმათოდ ნაბიჯს ვერ ადგამ. ის კი არა, ხანდახან გაბეზრებული ამოიოხრებ: „ოჰ, ეს ხალხი!“ და მაინც ადრე არასოდეს მქონია შესაძლებლობა, ორი-სამი დღის განმავლობაში ორასამდე ბინა, ოჯახი მომენახულებინა, გამეცნო მათი მცხოვრებლები, ჩემი ცხვირი ათასგვარი სურნელებით გამეღიზიანებინა და გამეგო მათი ოჯახური ავ-კარგი. ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, თითქოს პირველად ვხედავდი ჩვენს უბანს, მთელი სიგრძე-სიგანით, უბანს ორასი ცემენტის გალიით, სადაც ისევე, როგორც სამხეცე ვოლიერებში, ათასობით სხვადასხვა სქესის, ასაკისა და ჯიშის არსებანი ვეგეტერიანდებოდნენ ან ცხოვრობდნენ, ერთმანეთს ფეხქვეშ თელავდნენ ან შიმშილობდნენ, იზრდებოდნენ ან ბერდებოდნენ, კვდებოდნენ ან მრავლდებოდნენ.

მუშაობა ისე დავიწყე, ლიტერატურა არც გამხსენებია. ვარიგებდი მხოლოდ ბარათებს. ანკი მეტი რა უნდა მეკეთებინა რომელიღაც პროზაულ სასტუმრო ოთახში, რომლის სიმშვენიერესაც ორიოდე ხალიჩა და რამდენიმე სავარძელი წარმოადგენდა, რომელთა ერთადერთი დანიშნულება იმაში მდგომარეობდა, ეჩვენებინა, თუ როგორ ხელგაშლილად ცხოვრობდა დიასახლისი, რომელსაც მზრუნველად გადაეფარებინა თავისი ქონებისათვის გაყვითლებული, ძველი სელი. რა უნდა მეკეთებინა ღიპიანი ოჯახის უფროსის კამპანიაში, რომელსაც ჯერ ბოლო ლუკმა არ დაეღეჭა და უკვე ჰალსტუხს ისწორებდა სარკის წინ, რადგანაც მაღაზია მალე უნდა გაეღო, ან რა საინტერესო იყო ასევე ჩასუქებული მეუღლის ყურება, ხელით 12 ცალი უკვე ჩაშაქრებული მურაბა რომ მოჰქონდა ლამბაქით, მეორე ხელით კი კულულებს ისწორებდა. ეს რთული ოპერაცია იმის მომასწავებელი იყო, რომ დიასახლისი გემრიელი სადილის შემდეგ ჩაით

გაგვიმასპინძლდებოდა. ჰოდა, აბა რა უნდა მეკეთებინა მათ შორის, როცა ამ ხალხის ერთადერთი მიზანი იყო ეჭამათ რაც შეიძლება ბევრი და დაბერებულიყვნენ, რაც შეიძლება ნელა.

მიწევდა ისეთ ბინებში შევლაც, რომლებიც ცხოველ ინტერესს იწვევდნენ ჩემში. ჯერ კიდევ მახსოვს ერთ-ერთი ასეთი ბინათაგანი, ალბათ იმიტომ, რომ სახლის პატრონმა კინწისკვრით გამომაგდო. მას მხრებზე მუქი სოსანისფერი ხალათი მოესხა და ნამძინარევი თვალებით დიდხანს მიცქერდა, ვიდრე გავაგებინებდი, რისთვის ვიყავი მისული. შემდეგ, როცა, როგორც იქნა გავაგებინე, რა მინდოდა მისგან, ერთი წაიბუზღუნა – ამის გულისთვის შუაღამისას რატომ გამაღვიძეო, – და ცხვირწინ მომიჯახუნა კარები.

რა თქმა უნდა, იგი ტყუოდა. სად იყო შუაღამე. დილის თერთმეტი სათი ძლივს იქნებოდა. მაგრამ მე უკვე კარგად ვიცოდი მაქსიმა: „ქვეყანა დიდია, ხალხი კი – ჭრელი...“ და სადილობისას ისევ დავრეკე ამ არაკეთილმოსურნე ბინის ზარი. ამჯერად კარები ახალგაზრდა ტანკენარმა და სანდომიანმა ქალმა გამიღო, რომელსაც საკმაოდ მოეშიშვლებინა თავისი პენუარი. ხომ გეუბნებით, პენუარს ისე ღრმად ჰქონდა გული ამოჭრილი, რომ თვალი ძალაუნებურად მისკენ გამექცა, როცა, წესით, სულ სხვა მხარეს უნდა გამეხედა. დიასახლისი სასტუმრო ოთახში შემიძღვა, სადაც სოსანისფერ ხალათში გამოწყობილი მამაკაცი დილის გაზეთებს კითხულობდა და თან ყავას მიირთმევდა. უკეთ რომ ვთქვა, „ეძინა ყავის ჭიქაზე“, რადგან მოყვითალო, გაქვავებული სახე მძინარეს უფრო მიუგავდა და მხოლოდ მისი, ბოლით გაღიზიანებული აპარპალებული თვალი მეტყველებდა იმაზე, რომ არ ეძინა. სახლის პატრონი სიგარას ეწეოდა და თამბაქოს ბოლი მეტი იდუმალებით მოსავდა. როცა გაცემული ბარათის დამადასტურებელ ქვითარზე ხელს აწერდა, ჩემი ყურადღება მიიქცია მისმა ხელებმა, ცოცხალმა, ნერვიულმა, გრძელმა თითებმა, პიანისტებს რომ აქვთ ხოლმე. ეს თითები სრულ კონტრასტს ქმნიდნენ მის აპათიურ, უტყვ სახესთან.

რადგანაც ყავაზე შევესწარი, მეც შემომთავაზეს ეს გემრიელი სასმელი. –„არ მინდა, შეგავიწროვოთ“, – ზრდილობიანად ვთქვი მე, თუმცა ასეთი „საფრთხე“ მას არ ემუქრებოდა. მამაკაცი ისევ გაზეთს ჩააცივდა, იმ სვეტს, ნაირ-ნაირ ამბებზე რომ მოგვითხრობენ ხოლმე, ქალი კი ოთახის დალაგებას შეუდგა. იმ წუთს მას სხვა საქმე არც შეიძლება ჰქონოდა, რადგანაც ოთახი ალინთულ-დალინთული იყო, როგორც ეს დაბადების დღის მერე ხდება ხოლმე, ჩვეულებრივ. პენუარის ქვეშ გამოკვართული სხეული ძვირფასი სუნამოს სურნელს აფრქვევდა გზადაგზა. სახლის პატრონის სიგარას სასიამოვნო სუნი ჰქონდა და მე, თავბრუდახვეული ასეთი სურნელებით, გულმოდგინედ ავწონ-დავწონე გარემო. და კარგად შევათვალიერე დიასახლისის თითოეული ნაკვთი. თან გულში იმედი მიჭიატებდა: ...რა ვიცი, კაცნი ვართ, იქნებ, ბედმა გამიღიმოს და... რა მოხდება ვითომ, ჰა?..

ვიდრე მაგიდიდან ჭიქებსა და ბოთლებს აალაგებდა, ახალგაზრდა ქალი ერთ ფრანგულ სიმღერას ღიღინებდა, რომელიც ჩვენებური ტრანსკრიფციით, ცოტა არ იყოს, იდიოტურად ჟღერდა:

წვიმა მოდის უკუნეთში,
მაგრამ გული ელიის...

– ფირფიტა ხომ არ გამოგეცვალა, ძვირფასო? – ჩაურთო კაცმა ისე, რომ გაზეთიდან თავი არ აუღია. – ეს სულელური „შლაგერი“ ძილშიც კი არ მაძლევს მოსვენებას...

– მაპატიე, მეც ასე რაღაც უცნაურად ამეკვიატა... – დამნაშავესავით გაიღიმა ქალმა და პირუჩუმრად განაგრძო თავისი საქმე.

ჩემს თავს ვკითხე, რა საქმიანობას ეწევა, რა პროფესიისაა-მეთქი ეს კაცი, მაგრამ ეს მოხდა ცოტა მოგვიანებით, ქუჩაში, როცა უკვე ველარ ვხედავდი ღრმა დეკოლტეს, რომლისკენაც წამდაუწუმ თვალი გამირბოდა.

როცა ეს შეკითხვა მამაკაცს მივეცი, მან პასუხის ნაცვლად თავისი მძიმე, გაშტერებული მზერა მომაპყრო.

– იმიტომ გეკითხებით, რომ რაიმე ჩავწერო აქ... ასეა საჭირო, – ავუხსენი თითქმის მობოდიშებით.

– დაწერეთ „თავისუფალი პროფესია“, – ფამოსცრა კბილებში.

ახლა, როცა ერთად ჩამოვაწიკწიკე მისი პირადული მონაცემები, ჩემთვის ყველაფერი ნათელი გახდა. „თავისუფალი პროფესიის კაცი“ ღამ-ღამობით ეწეოდა თავის საქმიანობას და ჩემი ღრმა რწმენით, იგი მუსიკოსი უნდა ყოფილიყო. ძილი სადილის წინ... ნატიფი, პიანისტისთვის დამახასიათებელი გრძელი თითები... შლაგერის აგდებულად მოხსენიება... სხვას რას უნდა ნიშნავდეს... ჰა?! ეს ტიპი ალბათ ერთ-ერთ ღამის კაბარეში მუშაობდა იმ ექვსი კაბარედან, რომლებიც თავიანთ მისიას იმაში ხედავენ, რომ სოფიისთვის ევროპული ქალაქის იერი მიეცათ.

რამდენიმე დღის მოგვიანებით უბანში გავრცელებულმა ჭორებმა დამარწმუნა, რომ ჩემი ვარაუდი, თუმცა ნაწილობრივ, მაგრამ მაინც გამართლდა. ჩემი ნაცნობი მამაკაცი, ძვირფასი სიგარით, მართლა მუშაობდა ღამ-ღამობით, მაგრამ კაბარეში კი არა პიანისტად, არა. ის თურმე ბანქოს მეტად აზარტული მოთამაშე გახლდათ. თუმცა ეს ტანწერწეტა ლამაზმანს სულაც არ უშლიდა ხელს სულ თვალებში ეცქირა მისთვის, ეტყობოდა, აღმერთებდა. რაღა თქმა უნდა, მას იმ ბანქოს მოთამაშესთან ყოფნა ათასჯერ ერჩივნა, ჩემნაირ ახალგაზრდა იმედისმომცემ პოეტთან თუნდაც ერთხელ გასეირნებას. ეს ის დრო იყო, როცა პოეტი უფრო წყალწაღებული, ათვალწუნებული კაცი იყო, ვიდრე თუნდაც ბანქოს მოთამაშე.

იმ შემთხვევაში, თუ მისი თავისუფალი პროფესია პოკერის თამაში იყო, ეს კაცი ფლობდა მისი პროფესიისთვის ფასდაუდებელ ორ თვისებას: მას ჰქონდა შეუვალი სახე კარტის გამოცხადებისას და მოქნილი თითები, საოცარი სისწრაფით რომ მოძრაობდნენ ბანქოს თამაშის დროს. მე მაშინვე შევამჩნიე ეს თვისებები, თუმცა ვერ შევძელი სწორად გამომეცნო მათი ფუნქციები. მომეჩვენა, თითქოს მოხუცი მამაჩემის ხმა ჩამესმა: „მარტო დანახვა არ არის საკმარისი, უნდა შეისწავლო ისინი!“

მე უკვე მზად მქონდა პასუხი:

„მწერალი შერლოკ ჰოლმსი არ არის, ისევე, როგორც შერლოკ ჰოლმსი ვერ შეძლებდა გამხდარიყო მწერალი“. მაგრამ ამას არამც და არამც არ დავუბნევივარ. ასე ხდება ყოველთვის, როცა გსურს გამოიცნო, რა ხელობისაა სახლის პატრონი, თვალი კი დიასახლისის მოშიშვლებული უბისკენ გაგირბის. თუ საჭირო შეიქნებოდა, ჰიპოთეზის წამოყენება ვარდისფერი პენუარის შესახებ, ჩემი დასკვნები, ალბათ, გაცილებით სწორი აღმოჩნდებოდა.

ამ უბანში კარდაკარ ხეტიალის დროს იყო შემთხვევებიც, როცა მოულოდნელად ძველ ნაცნობებს წავწყდომივარ. ასე აღმოვაჩინე ერთ სხვენზე ებრაელი მეძველმანე, რომლის მაღაზიაც წმინდა ნიკოლოზის მოედანზე მდებარეობდა. ეს მაღაზია ცემენტის დერეფანს წარმოადგენდა, რომელიც ძველი წიგნებითა და ჟურნალებით იყო პირთამდე გამოტენილი. მე თითქმის ყოველდღე შევდიოდი ამ ჯურღმულში, მაგრამ ვერაფრით წარმოვიდგენდი, თუ მისი მეპატრონე აქვე, ხუთ ნაბიჯზე, რომელიღაც სხვენზე ცხოვრობდა.

სადილობის დრო იყო და აბრამი ხის მაგიდას შემოჯდომოდა ფანჯარასთან, რომელიც ზედ სხვენის მოფერდებულ კედელთან იყო მოთავსებული.

მოულოდნელმა შეხვედრამ ორივე შეგვაცბუნა. გაისმა გაკვირვების წამოძახილი, რომლის შემდეგაც მე და იმანაც ჩვენ-ჩვენი საქმე განვაგრძეთ. მე დავიწყე ჩანთიდან ბარათების და საკანცელარიო ქაღალდების ამოლაგება, მან კი ჭამა განაგრძო.

– ბარათებს რომ არიგებ, კარგია, – აღნიშნა მან, – მაგრამ აი, ყვითელი ვარსკვლავების დარიგებას რომ დაიწყებენ, იმაზე რა მოგახსენოთ. – თქვა და ხელის მოსაწერად ქაღალდზე დაიხარა.

– ვარსკვლავებამდე საქმე არ მივა, – დავამშვიდე მე.

– მივა, მივა.

– შენ დიდი პესიმისტი ბრძანდები, აბრამ.

– ებრაელი ყოველთვის პესიმისტია. მიზეზიც აქვს საამისოდ.

მან სადილზე მიმიპატიჟა. პურს ლუკმა მოვატეხე. ისიც იმიტომ, რომ მასპინძელი არ გამენაწყენებინა.

– მარტო ცხოვრობ?

– ჰო, მარტო ვცხოვრობ. ცოლი მომიკვდა. ქალიშვილი კი ქმართან ცხოვრობს, მისამართიც კი არ ვიცი ხეირიანად.

აბრამი მამაჩემივით ჭამდა: ნელა, ძალიან ნელა იღეჭებოდა. მისი შემყურე კაცს ჭამის მადა წაუხდებოდა. განსხვავება მათ შორის ის იყო, რომ მამაჩემის ჩვეულებრივს ლორს გეახლე-

ბოდათ ხოლმე, ის კი რომელიღაც ებრაეულ ძეხვს მიირთმევდა. ებრაელის მანსარდი ისეთივე უბადრუკი იყო, როგორც მისი მაღაზია. კედელზე ძველმანები ეკიდა, იქვე იდო სკივრი, რომელშიც აბრამი, ალბათ, თეთრეულს ინახავდა, კუთხეში რკინის საწოლი იდგა, რომელზედაც ღია ყავისფერი გადასაფარებელი ეფარა. ორი სამზარეულოს სკამი და გაზეთგადაფარებული მაგიდა – ეს იყო მთელი მისი ავლადიდება. მაგრამ რაღაცნაირი უსიამოვნო გრძნობა, მძიმე ლოდივით რომ მაწვებოდა გულზე, სულაც არ იყო ამ კაცის მათხოვრული ყოფით გამოწვეული. როცა სამიოდე დღის წინ პირველად ვინახულე ახალგაზრდა მარკო ბეხარი, იქაც ასეთივე სიღატაკე დამხვდა. მახსოვს, როგორი კმაყოფილი ვიყავი, როცა უბრალო ხის მაგიდა და ჩვეულებრივი სამზარეულოს სკამი იყიდა, რადგან მანამდე იძულებული იყო ხის ძველ სკივრზე ეხატა. მაგრამ იქ, მამიკოსთან იყო ნახატები, იყო ხელოვნება, მიზანი და იმედი. სხვა ყველაფერი უმნიშვნელოდ მოგეჩვენებოდათ. აქ კი სუფევდა ცივი და პირქუში განწყობილება, უაზრო არსებობა, მექანიკური, უსიხარულო ჩაქჩაქი წინ და უკან, წინ და უკან სხვენში მოქოხებულ სოროსა და მაღაზია-სარდაფს შორის და თავზე დაჰყურებდა ცარგვალი, უსაშველოდ შავი და ცარიელი. ალბათ უკეთესიც იყო, რომ იგი ასეთი შავი და ცარიელი იყო, რადგან ერთადერთი რამ, რაც მის კაბადონზე შეიძლებოდა გამოჩენილიყო, იქნებოდა ყვითელი ვარსკვლავების საშინელი თანავარსკვლავედი.

მე მახსოვს მეორე, ასევე სხვენში მოქოხებული მანსარდი, რომლის პატრონს, უფრო სწორად, დიასახლისს ვერც ერთხელ თვალიც კი ვერ მოვკარი. კარს ყოველთვის ერთი გალეული, ფერმკრთალი, ასე რვა-ცხრა წლის გოგონა მიღებდა და დიდ, ბრიალა შავ თვალებს შემომანათებდა ხოლმე.

– შენი დედიკო და მამიკო სად არიან?

– შინ არ არიან.

– ალბათ მუშაობენ, არა?

– შინ არ არიან, – იმეორებდა გოგონა და ხელებს სასაცილოდ ფარჩხავდა. ცდილობდა, დავერწმუნებინე, რომ ისინი მართლა არ იყვნენ სახლში. მოგვიანებით გავიგე, რომ მისი მშობლები დროებით კი არ იყვნენ სადმე წასულები, არამედ სამუდამოდ მიეტოვებინათ ეს მანსარდი. დედას ბავშვის დაბადების შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია. მამა კი კანადაში წასულა ბედის საძებნელად და მას მერე მისი ასავალ-დასავალი აღარავინ იცოდა. შეიძლება მარტოხელა კაცს შეეშინდა ბავშვთან ერთად დარჩენისა და იმიტომ გაიქცა, ან იქნებ, ფულის საშოვნელად წავიდა, ბავშვისთვის მოვაგროვებო, მაგრამ ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ – მისი ამბავი აღარავის გაუგია.

– მარტო ხარ სახლში?

– მარტო ვარ, ბებია სამუშაოდ არის წასული.

– მაშინ დაგიტოვებ ბარათებს, შენ კი ხელს მოაწერ, სადაც გეტყვი, თანახმა ხარ?

გოგონამ აშკარად ვერ გაიგო, რაზე იყო ლაპარაკი, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ მაინც შემიშვა სახლში. ეს მანსარდი აბრამისაზე უფრო დიდი მეჩვენა, ალბათ იმიტომ, რომ მსხვილ-მსხვილი ავეჯი იდგა – სამსართულიანი კარადა, უზარმაზარი საწოლი ორი კაცისათვის და ორი ტუმბო. ასეთი ტუმბოები, როგორც წესი, ყველა საძინებელ ოთახში შეგხვდებათ, თუმცა ერთობ უსარგებლო ნივთებია და ოთახის კუთხეების გამოსავსებად თუ იყენებენ, შიგნიდან კი გამოტენილია ცარიელი ფლაკონები ძაფებით, ნემსებით, მტვერსაწმენდი ძონძებითა და სხვა ათასი ხარახურით , გადასაყრელად რომ ვერა და ვერ იმეტებენ, ვითომ კიდევ გამოგვადგებაო.

ეს ორადგილიანი საწოლი მანსარდის აპტრონებმა ალბათ ათი წლის წინ მაინც იყიდეს დიდი ხნის ნაგროვები გროშების ფასად. ამ საწოლის ყიდვას უნდა დაედო დასაბამი ახალი ოჯახის შექმნისთვის. მაგრამ ამ იმედებით სავსე ოჯახიდან ეს გახუნებული, უკვე პეწდაკარგული ავეჯი და მარტოხელა, ბედის ანაბარად მიტოვებული გოგონაღა დარჩენილიყვნენ, გოგონა, რომლის გულშემატკივარი კაცი ქვეყანაზე არ მოიძებნებოდა.

საწოლსა და კარადას შორის იდგა პატარა მაგიდა, რომელზედაც ჟოლოსფერი, არც თუ ისე სუფთა სუფრა იყო გადაფარებული. ამ მაგიდით მთავრდებოდა ოთახის მორთულობა. მეტი ადგილი აღარსად იყო, ამიტომაც მაგიდას სხვაგან ვერც დადგამდით. მე ამოვაწყე ჩემი დავთრები, ჩამოვჯექი საწოლის კუთხეში და წერას შევუდექი.

– როცა ამ ბარათებს ჩავაბარებთ, ფულსაც გადავიხდით? – მკითხა გოგონამ, როცა ბარათების გადაცემის ცერემონიალი მოვამთავრე.

– რა თქმა უნდა.

– მაშ, ეს ბარათები რაში გვჭირდება?

მე შევეცადე, შეძლებისდაგვარად ამეხსნა გოგონასათვის, თუ რას ნიშნავდა საბარათო სისტემა. მაგრამ რამდენად დამაჯერებელი გახლდათ ჩემი განმარტება – ვერ გეტყვით. იგი ყურადღებით მისმენდა, იჯდა ჩემ გვერდით საწოლზე და ფანჯარაში იყურებოდა, საიდანაც მკრთალად ჩანდა სახლის სახურავიდან ამოჩრილი საკვამური მილის სილუეტი. შავი, დიდი თვალები რაღაცნაირად განსაკუთრებულად იყურებოდნენ და მე ვიფიქრე, რომ ელამი ის იყო. ეს არ იყო ბავშვების თვალები, ამ თვალებში მოზრდილი ადამიანის წუხილი ჩამდგარიყო.

მე უკვე მოვრჩი ჩემს საქმიანობას და შემეძლო წავსულიყავი, მაგრამ რატომღაც, მეუხერხულა ასე უცებ ადგომა და წასვლა. არ მინდოდა, გოგონა ასე მიმეტოვებინა გამოყრუებულ მანსარდში.

– იცი კერვა? – ვკითხე გოგონას და საწოლზე გაბნეულ ნემს-ძაფს შევავლე თვალი.

– წინდებს ვკემსავ.

საწოლზე ორი, ხშირი კემსვისაგან ერთიანად გაწყალებული ყავისფერი წინდა ეგდო.

– ჯობია, გადაყარო. აბა, მაგ წინდებისგან რაღა გამოდნება?!

– ბებია ამბობს, რომ ტანსაცმელი მანამდე უნდა იხმარო, ვიდრე მთლად არ გაცვდება. – არ დამეთანხმა გოგონა, ხოლო უკეთ რომ აეხსნა ჩემთვის, დაუმატა: – ჩვენ ძალიან ღარიბები ვართ.

ვეღარაფერი ვუთხარი. ძლივს ამოვღერღე ჭკუათმყოფელივით, რომ სიღარიბე ნაკლი არ არის და წამოვედი.

მას კამელია ერქვა. მისი სახელი მაშინ გავიგე, როცა ჩემს დავთარს ვავსებდი და სახელი და გვარი გამოვკითხე. ამ ულამაზესი ყვავილის სახელიც კი დამცინავად გაისმოდა მანსარდში, სადაც ეს პატარა, გალეული, ელამი გოგონა ბებიასთან ერთად ცხოვრობდა. შეიძლება დედამისმა ნახა ფილმი „ქალი კამელიებით“, ან სულაც უყვარდა ეგზოტიკა და ეგონა, რომ მისი გოგონასთვის ეს სახელი ზედგამოჭრილი იქნებოდა, მისი ქალიშვილიც ისევე აყვავდებოდა და გაიფურჩქნებოდა, როგორც ეს წარმტაცი ყვავილი, მაგრამ გოგონას ეს სახელი არ უხდებოდა.

ერთი თვის შემდეგ ისევ შევიარე ამ მანსარდში, როცა გოგონა კვლავ მარტო იყო სახლში. ამჯერად იგი თამამად შემიძღვა მანსარდში და ხელიც უფრო ყოჩაღად მოაწერა დიდი ბავშვური ასოებით: „კამელია, დედ-მამა არ მახსოვს, არავისი არა ვარ. ვარ მხოლოდ ბებიასი“.

ეს ბებია, ეტყობა, ამ მანსარდისა და გოგონას გული-გონების ერთმპყრობელი იყო. კარგად მახსოვს, ჯიბიდან კანფეტები ამოვიღე. სიმართლე უნდა ითქვას, რომ ეს კანფეტები კამელიასთვის არ მიყიდია, ჩემთვის ვიყიდე. კიდევ ერთხელ უნიათოდ ვცდილობდი თამბაქოსთვის თავი დამენებებინა და გული რომ გადამეყოლებინა, კანფეტებს ვწუწნიდი. ლიმონის კანფეტები იაფფასიანი იყო და დიდხანსაც ინახებოდა.

– აიღე კანფეტი.

გოგონამ შემომხედა, მერე მზერა ჩემს ხელისგულზე გადაიტანა და მე დავინახე, მისი შავი შეწუხებული თვალები. გოგონა დაბნეული მიყურებდა. ტკბილეულისაკენ ლტოლვა დიდი იყო, მაგრამ ბებია უფრო ძლიერი აღმოჩნდა.

– არ მინდა! – მომიგო მან და ენერგიულად გააქნია თავი, თითქოს სურდა, დაემტკიცებინა ჩემთვისაც და საკუთარი თავისთვისაც, რომ მართლა არ უნდოდა.

– რატომ არ გინდა? არ გიყვარს კანფეტი?

– ბებია ამბობს, რომ კანფეტი შაქრის ავადმყოფობას აჩენს.

– სისულელეა, ვის გაუგონია, კანფეტები შაქრის ავადმყოფობას აჩენდეს?!

– ბებია სისულელეებს არ ლაპარაკობს.

– ეჭვიც არ მეპარება, რომ ასეა. მან, უბრალოდ, არ იცის, ყველამ ყველაფერი კი არ იცის. აი, თუნდაც მე. შაქრის ავადმყოფობაზე ვიცი ცოტა რამ, მაგრამ რომ მკითხო შიზოფრენიაზე რამე, ვერაფერს გეტყვი. არ ვიცი და იმიტომ.

– შიზოფრენია რაღაა?

– ხომ გითხარი, არ ვიცი-მეთქი. მაგრამ კანფეტებზე რაც გითხარი, ის კი ნამდვილად ვიცი. შეგძლია არხეინად იყო.

და ვინაიდან თვალებში ისევ შევატყე ყოყმანი, ახალ ექსპერიმენტს მივმართე.

– აი, უყურე. ვაცლი ქაღალდს, ვიღებ კანფეტს, ვიდებ პირში და კნატ – გადავსანსლე! აბა, ერთი შემომხედე, გამიჩნდა შაქრის ავადმყოფობა?

ჩემს სისულელეზე გოგონამ წყნარად, მორიდებულად ჩაიკისკისა – ხმაში ეტყობოდა, დიდი ხანი იყო, არ გაეცინა, კანფეტი კი მაინც აიღო.

– ისევ კერავ, არა? – ვკითხე მას მერე, რაც თვალი მოვკარი საწოლზე გაბნეულ ნემსსა და ძაფს.

– წინსაფარი შევიკერო მინდა.

– გიყვარს კერვა?

– რა ვიცი... როგორ გითხრათ.

– რას იზამ, როცა გაიზრდები?

– მაშინაც შევკერავ.

– მართლა?

– მართლა. იმ სამკერვალოშივე, სადაც ბებიაჩემი კერავს. იქ საბავშვო ტანსაცმელს კერავენ.

– რად გინდა კერვა, შენ ხომ არ მოგწონს ეს ხელობა?

– იმიტომ, რომ... იმიტომ, რომ ღარიბები ვართ.

– მერე რა მოხდა, რომ ღარიბები ხართ?

– ბებია ამბობს, რომ ღარიბმა კაცმა თავისი ადგილი უნდა იცოდეს. ბედოვლათი კი არ უნდა იყოს...

„მამაშენივით“, – გულში დავამთავრე ბებიას ფრაზა.

– მოგწონს ის სამკერვალო, სადაც ბებიაშენი მუშაობს?

ბავშვმა დიდი ადამიანის თვალებით შემომხედა, მერე თავი ჩაღუნა და ძლივს ამოღერღა:

– იქ ძალიან ბნელა.

კარგად არ მახსოვს, კამელია საბოლოოდ, მგონი გაზაფხულზე ვნახე, რადგან ნასადილევს ჯერ კიდევ თბილოდა, თუმცა მზის ჩასვლას უკვე აღარაფერი უკლდა. გოგონა, ეტყობა, სკოლიდან მოდიოდა, მაგრამ ბაზარშიც შეევლო. ცალ ხელში დიდი, მუყაოს სასკოლო ჩანთა ამოეჩარა, რომელზედაც ტრადიციულად ასეთი შეგონება ეწერა: „ცოდნა სინათლეა, უცოდინარობა – სიბნელე!“ მეორეში კი – გამხმარი და მძიმე პურის ნახევარი, „ჩემს“ ბარათებზე რომ არიგებდნენ და რაღაც ფუთა, რომელსაც უკვე დატყობოდა მოყვითალო-მომწვანო ლაქები.

– როგორ დამღალა ყოველდღე რიგში დგომამ... – დაიჩივლა ხნოვანი დედაკაცივით.

გოგონას შევხედე, მან კი ამასობაში მზერა უნებურად ქუჩის მოპირდაპირე კუთხეში გადაიტანა. იქ, მტვრიანი აკაციების ჩრდილში, ნაყინის გამყიდველის ორთვალა იდგა, გამყიდველი კი სწორედ ამ დროს სამ მცირეწლოვან კლიენტს ემსახურებოდა. მან ვაფლის პატარა ჭიქები „ვანილით“ ამოავსო, ზევიდან კი ცოტაოდენი, ჟოლოს ნაყინი წამოაცხო.

როგორც კი გოგონას მზერა დავიჭირე, მაშინვე ჯიბეზე გავიკარი ხელი, სადაც დიდი ხნის შემორჩენილი ხუთლევიანი მეგულებოდა. ამ ფულით თავისუფლად მომივიდოდა ერთი კოლოფი მესამე ხარისხის სიგარეტი „მზიური“, მე კი უკვე ხელი მქონდა ჩაქნეული თამბაქოსთან უშეღავათო ბრძოლაზე. ამიტომ ცოტა არ იყოს, გამიკვირდა, როცა საკუთარი ხმა მომესმა:

– ნაყინს ხომ არ შეჭამ?

გოგონამ შემკრთალმა შემომხედა, მერე რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ მე დავასწარი.

– ვიცი, ვიცი, ბებია ამბობს, რომ თქვენ ღარიბები ხართ და ღარიბები ნაყინს არ ჭამენ.

– ბებია ამბობს, რომ ნაყინი ყელს ატკიებს, – აღუშფოთებლად შემისწორა კამელიამ.

– კარგი. მაგრამ შენ თუ იცი, როგორი სასიამოვნო ტკივილია ეს?

– რამდენი ლევისა? – მოკლედ გვკითხა ნაყინის გაფუყულმა გამყიდველმა, როცა ორივენი მის ორთვალასთან აღმოვჩნდით.

– სამი ლევისა, – მივუგე მეფური უდარდელობით და თან იმაზე ვფიქრობდი, რომ ორ ლევად თავისუფლად მომივიდოდა კოლოფი „კარიოკა“, რომელშიც, რვა ცალი ერთი ბეწო სიგარეტი იდო.

გოგონა დაძაბული ადევნებდა თვალს გაფუყული გამყიდველის მოძრაობას და იმის დასამტკიცებლად, რომ არც თვითონ იყო მოკლებული დედოფლურ უდარდელობას, ჟოლოს ნაყინს

ზევიდან კიდევ ერთი ულუფა ნაყინი დაადო. თავისი ფერმკრთალი, გამხდარი ხელით ვაფლის ჭიქა აიღო, სასუსნავი პირისკენ წაიღო და თვალები დახუჭა. ათრთოლებულ ბავშვს მოლოდინი არ გაუმტყუნდა – ნაყინი ძალიან გემრიელი გამოდგა.

კამელიას სახეზე რაღაცნაირი, იდუმალი ბედნიერება აღებეჭდა, მაგრამ თავდავიწყებამ დიდხანს არ გასტანა.

– წამო, სადმე კუთხეში დავიმალოთ, – წაიჩურჩულა გოგონამ.

– რატომ უნდა დავიმალოთ?

– ვაითუ, ბებიამ დაგვინახოს, ცემით მომკლავს.

– კარგი, დავიმალოთ.

იქ, კუთხეში გოგონამ ნელა გააგრძელა ნაყინის ჭამა. მაგრამ ერთი ცალი ნაყინი, რაც არ უნდა ნელა ჭამო, ბოლოს მაინც თავდება. გოგონა ახლა ვაფლის ჭიქას მიირთმევდა, ვიდრე ბოლომდე არ შესანსლა. მეტი რაღა დაგვრჩენოდა, ის თავისი გზით წავიდა, მე – ჩემი გზით. ერთხანს ვუყურებდი, როგორ მიჰქონდა იღლიაში ამოჩრილი მუშამბის სასკოლო ჩანთა და შავი, აგურივით მძიმე, ნახევარი პური და ბრინზის ნაჭერი.

ვუყურებდი შინისკენ მიმავალ გოგონას და თვალწინ მედგა მთელი მისი მომავალი ცხოვრება: ბნელი სამკერვალო ატელიე და გრძელი, მანსარდში გატარებული მძიმე დღეები, ბებიას მომაბეზრებელი დარიგებანი, ვხედავდი მარტოხელას, დარჩენილს უბებიოდ, მარტოდ გატარებულ ღამეებს ცივ, ორადგილიან საწოლში, ვხედავდი გოგონას, რომელსაც სახელიც კი მძიმე, აუტანელ ტვირთად დააწვებოდა, როცა ზურგს უკან მიაძახებდნენ: „ჩვენი ელამი კამელია“, ან კიდევ „ჩვენი მათხოვარი კამელია!“

ტანად პატარა იყო, როგორც ყველა ნაშიმშილევი ბავშვი, ახლა კი, ამ ფართო ქუჩის ფონზე, სულ ერთი ბეწო მოჩანდა. ვიდრე გავცქეროდი, როგორ მილასლასებდა კედელ-კედელ, რათა გამვლელებისთვის ხელი არ შეეშალა, მივხვდი, რომ ყელში რაღაც გამეჩხირა ბურთივით და სადაცაა ავბღავლდებოდი კიდეც. მიდის დრო და გრძნობ, როგორ უხეშდები და გგონია, რომ რაც უფრო იშვიათად მოგინდება ტირილი, მით უფრო იოლი ცხოვრება გექნება.

ჩემი შთაბეჭდილებები იმ სახლების ბინადრებზე, სადაც მე შევდიოდი, მეტად ცოცხალი იყო, თუმცა, რა თქმა უნდა, ნაწილობრივ, ზედაპირულიც. როგორც ქუჩის ფოტოგრაფის მიერ გადაღებული მეყსეული ფოტო.

გარემო და ადამიანები წამით გაიელვებდნენ ხოლმე ჩემს თვალწინ. ბოლომდე ვერ ვერკვეოდი, რა იყო აქამდე და არც იმის თქმა შემეძლო, რა იქნებოდა შემდეგ. მე შევსწრებივარ მაგიდასთან მსხდარ ორ პიროვნებას, კაცს, რომელსაც ერთობ შეწუხებული სახე ჰქონდა და გოგონას, რომლის გამომეტყველებაზე მივხვდი, რომ იგი ანემიით იყო ავად. ეს იყო და ეს. მოგვიანებით ჩვენს ცნობათა ბიუროში გავიგე, რომ ეს კაცი ქვრივი იყო, გოგონა კი – მისი ქალიშვილი, ცხრამეტი წლის, გაუთხოვარი. მეტი არაფერი. უბრალოდ, წამოსვლისას შევნიშნე, რომ ორივეს ერთნაირი ცისფერი თვალები ჰქონდა, რომელიც სევდით იყო სავსე. მორჩა. მათ შესახებ სხვა არაფერი ვიცოდი.

მაგრამ უბანში იმ დროს ყველამ ყველაფერი იცოდა, და სულაც არ იყო საჭირო შერლოკ ჰოლმსობა, რათა ზოგიერთი წვრილმანი გაგეგო, რისი გადმოცემაც გადაღებულ ფოტოს არ შეეძლო. ამისთვის საკმარისი იყო ყური მიგეგდო მაკედონელის კაფეში საუბრებისთვის ან დალაქის ჭორებისათვის, თუნდაც ჩვენი შინამოსამსახურესათვის, რომ უბნის ყველა წვრილმანი ამბავი კაკალ-კაკალ გეცოდინებოდათ. ინფორმაციას ყველაზე უხვი წყარო უბნის ხარაზი გახლდათ, რომლის სახელოსნოც ჩვენი დახურული ბაზრის კუთხეში მდებარეობდა. არ ვიცი, რას უნდა უმადლოდეს – სექსუალურ და საქმიან ურთიერთობებს უბნის შინამოსამსხურეებთან – მაგრამ ერთი რამ კი ცხადი იყო, რომ ხარაზმა უბნის ოჯახური დრამები ძირი-ძირობამდე კარგად იცოდა. და ვინაიდან ერთგული გახლდათ შეგონებისა: „ცოდნის სხივი არ დაუმალო სხვებს“ – ახალგაზრდებს სიამოვნებით გვიზიარებდა თავის ცოდნას და არაიშვიათად საკუთარ მოსაზრებებსაც გამოთქვამდა უბანში მომხდარ ამა თუ იმ ამბავზე.

ადრე ასეთი ცნობები აბსოლუტურად არ მაინტერესებდა და უბანში უცხოელივით ვცხოვრობდი. ვისადილებდი თუ არა, გავემართებოდი ხოლმე მაშინვე კაფე „სრედეცში“, სადაც კარტს ვთამაშობდით ან პოლიტიკურ და ლიტერატურულ პრობლემებზე ვსაუბრობდით. ხანდახან თუ შევიჭყიტებოდი ჩემს ოთახში, სადაც დაუმთავრებელი და გამოუქვეყნებელი ხელნაწერები მე-

ლოდებოდა. ისეც ხდებოდა ხოლმე, რომ შევივლიდი უბნის საინფორმაციო ცენტრებში, ისიც მხოლოდ მაშინ, როცა საქმე მქონდა: მაკედონელის კაფეში უფასოდ ვკითხულობდი გაზეთებს; სადალაქოში კი თმების გასაკრეჭად შევდიოდი. მერიდებოდა ქალაქში თმაგაბურძგნული სიარული, ხარაზთან კი მხოლოდ მაშინ შევირბენდი, როცა ჩემი ფეხსაცმელი პირს დააღებდა ან ქუსლი აძვრებოდა. იმ დროს ხარაზებს ფეხსაცმლის ქუსლებზე რკინის ნალებს ვარტყმევინებდით ხოლმე, რათა დიდხანს გაეძლო. ამიტომაც საშინელი ხმაურით მივაბიჯებდით ქუჩაში. ის კი უნდა ითქვას, რომ ეს ხმაური ჩვენს ნაბიჯებს უფრო ვაჟკაცურს ხდიდა. მაინც სხვაა, როცა გესმის შენი თითოეული ნაბიჯის ხმა. გგონია, რომ შენი ნაბიჯები ცხოვრებაში თამამი და იმედიანია.

ჭორებს კი ყურს არასოდეს ვუგდებდი. ბოლო ხანებში მივეჩვიე ცოტა, ალბათ იმიტომაც, რომ ამ ჭორების გმირებს პირადად ვიცნობდი და მათ ბევრ რამეზე ჩამაფიქრეს, უკეთ დამანახეს საკუთარი თავი. მათ გამაცნეს კაცი ნამძინარევი სახით და „თავისუფალი პროფესიით"; კამელია, რომელიც ჩემს შეკითხვაზე – „მშობლები სად არიან-მეთქი", მპასუხობდა: „ისინი არ არიან"; მუდამდღე დაღვრემილი მამაკაცი და მისი სისხლნაკლული გოგონა, პირუჩუმრა რომ ხვრეპდა სუპს მეტად სევდის მომგვრელ სამზარეულოში, ისეთ სევდიან გარემოში, რომ შეცბუნებული ვფიქრობ, თუ რა საშინელება იქნებოდა მთელი სიცოცხლე ასეთ ყოფაში, ასეთ უბადრუკ სამზარეულოში ჭამა. ამ კაცის მეუღლე გასულ წელს მოკვდა, ძალიან უდროო დროს გარდაიცვალა. არის ისეთი ხალხი, რომელთა სიკვდილიც, როცა არ უნდა მოვიდეს იგი, ყოველთვის უდროოა, რადგანაც, არსებითად, ეს ხალხი წარმოადგენს ოჯახის მაცოცხლებელ მექანიზმს. მაგრამ ამას ხშირ შემთხვევაში მაშინ ხვდებიან ხოლმე, როცა ისინი ამქვეყნად უკვე აღარ არიან.

„იგი ყოველთვის ერთგული ქმარი იყო, ახლა მარტო დარჩა და თავგზა აებნა. რა ესმის მაგას საოჯახო საქმისა, ბაზარში თუ გაგზავნი, ისიც იმ შემთხვევაში, თუ ზუსტად ეტყვი, რომ უნდა იყიდოს ორი კილო პომიდორი და ასი გრამი მარილი. თუ წინასწარ არაფერს დაუბარებ, შეიძლება ასი გრამი პომიდორი იყიდოს, ხოლო მარილი ორი კილო", – ყვებოდა ხოლმე მასზე ხარაზი, ვიდრე ფეხსაცმლის ქუსლზე ნალებს არტყამდა. გარდა ამისა, განსვენებულმა ქალიშვილი დაუტოვა და ქვრივად დარჩენილმა კაცმა უბრალოდ არ იცოდა, რა ექნა გოგონასთვის. არა, ხელს კი არ უშლიდა, პირიქით. იგი ალბათ ერთადერთი არსება იყო ამქვეყნად, რომელიც კაცს უყვარდა, რადგან თავისი ცოლისა მხოლოდ და მხოლოდ ეშინოდა.

გოგონამ დაამთავრა გიმნაზია და ახლა დიასახლისობდა, მაგრამ გადასახადების ამკრეფ ჩინოვნიკს რა იმხელა მეურნეობა უნდა ჰქონოდა, რომ საქმეს გოგონასთვის მთელი დღე წაერთმია?! იგი სიმწიფეშია შესული და საბრალო სულ იმის შიშშია, რომ თუ მამამ გარეთ გაუშვა, ვინმე აუცილებლად გააუპატიურებს, თუმცა, ჩემი აზრით, ვინც ამ საფრთხობელას ლოგინში ჩაიწვენს, ერთი კარგი პრემია ალალი იქნება მისთვის. კაცმა რომ თქვას, ამ გოგოს ულამაზო არ ეთქმოდა. იგი უფრო უფერული იყო, მოგრძო სახითა და ღია ცისფერი თვალებით, ერთ-ერთი მათგანი, გვერდით რომ ჩაგივლის და ვერც კი შეამჩნევ. ამიტომ ფუჭი იყო გოგონას შიში, თითქოს ქუჩაში გამოსვლისთანავე თავზე დააცხრებოდნენ და გააუპატიურებდნენ. მაგრამ მამისთვის იგი ძვირფასი, ლამაზი ქალიშვილი იყო და სამუშაოს დამთავრებამდე ერთი აზრი უფორიაქებდა გონებას – ვაითუ, ჩემს იქ არყოფნაში ქალიშვილი გარეთ გამოვიდა და ვინმე უსაქმური ცუდუბრალოდ გადაეკიდაო.

სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ მდგომარეობა თითქმის არ იცვლებოდა. „კაფეში არ მიჰყავს, ეშინია, შემთხვევით რაიმე საძაგლობას არ მოჰკრას ყური, სახლში კი მეგობრებსაც არ ეპატიჟება იმიტომ, რომ ისინი ძველი მუსუსები... ჰოდა, ზის ეს საწყალი მთელი დღე გუგულივით გამოყრუებულ სახლში და კარის გაღებისაც კი ეშინია. კარს მხოლოდ მაშინ აღებს, როცა მაგის ბებრუხანა დეიდა მოდის. დეიდა სამჯერ რეკავს და კარიც იღება. ჰოდა, თუ გინდა იმ სულელის იქ არ ყოფნით ისარგებლო, მიდი და სამჯერ დარეკე..."

სამზარიანი პაროლის ამბავი მთელმა უბანმა კარგად იცოდა. არც ის გამოპარვიათ, როდის იკრიბებოდა ოჯახი სანადიმოდ. კვირაობით ოჯახი განცხრომაში იყო. დილით ქვრივი მაკედონელის კაფეში მიდიოდა ნარდის სათამაშოდ და იჯდა იქ მანამდე, ვიდრე მისი ქალიშვილი და დეიდა სუფრას არ გაშლიდნენ. საზეიმო ელფერს სუფრას „სემწვარი" და ზოგიერთი სასუსნავი აძლევდა. მერე კი, როცა ნოყიერი სადილით გამომძღარი მამა გემრიელად გამოიძინებდა, ოჯახი გარეთ გამოდიოდა სასეირნოდ. ასე ჩაისეირნებდნენ ხოლმე „ბერისის ბაღამდე". ყველაზე სანე-

ტარო წუთებს კი უკან დაბრუნებისას განიცდიდნენ. შეჭამდნენ საშაქარლამო „სავოიაში“ თითო ბისკვიტს და მერე შედიოდნენ კინოთეატრ „გლორიაში“ ან „კაპიტოლში“, სადაც ყოველთვის იდგა ახლადწასმული იატაკის საცხის მძაფრი სუნი. ბოლოს კი ისევ ვიწრო, ჩახუთული ოთახი, რომლის კედლებსაც სამარადისოდ გასჯდომოდა საქონლის სუპის სუნი. არავინ იცოდა, რა გეგმები ჰქონდა სამერმისოდ გადასახადების ამკრეფ ჩინოვნიკს. უბნის „ჭორ-ბიურო“ ამაზე დუმდა, მაგრამ ძნელი მისახვედრი არ იყო, ამოგეცნო, დაახლოებით რას ფიქრობდა. „მიეჩვევა, მერე ვნახოთ“. „მიეჩვია“ თუ არა, ან რამდენად „მიეჩვია“, უბნისთვის საიდუმლოდ იყო მოცული. ფაქტი კი ფაქტად რჩება, რომ როცა ერთ დღეს ნასადილევს ქვრივი სამუშაოდან სახლში დაბრუნდა, სახლში არავინ დახვდა.

იგი მაშინვე მეზობლებთან გავიდ-გამოვიდა და ქალიშვილის ამბავი გამოჰკითხა, მერე მახლობელი პატარ-პატარა მაღაზიები შემოირბინა, ერთმა ქალმა საუთოებელ ატელიეში უთხრა, „მგონი, ახლახან ქვევით ტრაპენზიტესკენ ჩაიარაო“. ეს იყო და ეს სხვა ვერაფერი გაიგო ქალიშვილზე. ეს ტრაპენზიტე თითქმის ქალაქის შუაგულში იყო და სადღა უნდა ეძებნა, კარიკარ ხომ არ შემოივლიდა ამხელა ქალაქს. ასე რომ, ქვრივმა გოგოს კვალს ვერსად მიაგნო.

შუაღამე გადაცილებული იყო, როცა გოგო სახლში დაბრუნდა. ტანზე ახალი საკვირაო კაბა ეცვა, რომელიც ახლა ძონძებად ეკიდა ტანზე, პუდრითა და პომადით მოთხვრილი პირსახე ნამტირალევი ჰქონდა და ნერვიულ ცახცახს აეტანა. გოგონამ ორი პატარა შესახვევი გაიარა, სახლიდან სულ ორასიოდე მეტრი, მაგრამ ეს მცირე მანძილი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ასე მზრუნველობით ნაგები და ნალოლიავები ციხესიმაგრე ერთბაშად მოზვავებულიყო და დაქცეულიყო.

გოგონა რომ გაეუპატიურებინათ, ეს ამბავი სექსუალურ ნიადაგზე მომხდარ დანაშაულის ბანალურ შემთხვევად ჩაითვლებოდა, მას კი დასცინეს, მასხრად აიგდეს და ეს გაცილებით მძიმე იყო, ვიდრე სექსუალური მანიაკის მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედება. ორმა გოგონამ, რომელთაც ის გიმნაზიიდან იცნობდა, დაბადების დღეზე მიიწვიეს. მან ცდუნებას ვერ გაუძლო, თავისი საკვირაო კაბა ჩაიცვა, თმები დაივარცხნა, ჩალასავით რომ ეყარა თავზე და დაძაბულობისაგან და სირცხვილისაგან სახეატკრეცილი გაემართა იმ მდიდრული სახლისაკენ, რომელიც მხიარული, დარდიმანდი ახალგაზრდებით იყო სავსე.

კარები გოგონებმა გაუღეს და საძინებელ ოთახში შეიყვანეს, უთხრეს, პუდრი და პომადა წაისვი, ასე უფრო გამოჩნდება შენი სილამაზეო. მერე კი სასტუმროში ოთახში ახალგაზრდები შემოეხვივნენ და რიგ-რიგობით იწვევდნენ საცეკვაოდ.

„ცეკვა არ ვიცი“, – მორცხვად ამბობდა გოგონა. „არა უშავს რა, ჩვენ გასწავლით, ცეკვას რა უნდაო“, – ეფოლორცებოდნენ ბიჭები, თავს ისე აჩვენებდნენ, თითქოს მის დანახვაზე ყველას სასიყვარულოდ ანთებოდათ გულები. განსაკუთრებით არ ისვენებდა სამი ბიჭი, რომლებიც ჩვენი უბნის შეძლებული ოჯახების შვილები იყვნენ. ყურში ტკბილად ჩასჩურჩულებდნენ, რომ იგი მშვენიერ პრინცესას ჰგავს, რომლის წარმტაცი სილამაზეც ასე იუღბლოდ ჭკნება შინაურ პატიმრობაში. მოგვიანებით კი, როცა კამპანია საკმაოდ შეზარხოშდა, საწყალი გოგო ოთახის კუთხეში მიიმწყვდიეს, სიყვარულს უხსნიდნენ და ძალით სვამდნენ მასთან ვახტანგურს. ეს უკვე ხუმრობა აღარ იყო. როგორც კი „გულდამწვარი“ კავალრები მიხვდნენ, რომ გოგონა ცოტა გამოფხიზლდა და განცვიფრებულმა და შეშინებულმა თვალების აქეთ-იქით ცეცება დაიწყო, სულ აიღეს თავზე ხელი და ერთობ უტიფრად ექცეოდნენ. ვიღაცამ იმის მტკიცება დაიწყო, რომ ყვავილს, რომელიც მარტოობაში ჭკნება, მორწყვა სჭირდება და ვიდრე გვიანი არ არის, ყველამ ხელი უნდა გამოიღოთო. ამის თქმა იყო და, გოგო ვერმუტით ერთიანად გაწუწეს. მერე კი განაცხადეს, რომ ის ეგოისტია და თავის სილამაზეს ყველას უმალავს. ეცნენ საბრალოს და ვიდრე ის კვნესოდა და ფართხალებდა, კავალრებმა წინიდან და უკნიდან კაბა ჩამოახიეს სწორედ იმ უადგილო ადგილას, სადაც ქალს ყველაზე მეტად სჭირდება სამოსი, რათა დაიფაროს თავისი სასირცხვო. ბოლოს, როგორც იქნა, მოიგონა, დაუსხლტა ხელიდან იმ არამზადებს და ასეთ საშინელ მდგომარეობაში ქუჩაში გავარდა, სადაც უკვე, საბედნიეროდ, უკუნი ღამე ჩამოწოლილიყო.

ეს ამბავი უბანმა აღიქვა, როგორც ერთი პატარა თავშესაქცევი ეპიზოდი, მაგრამ არც ის დაუმალავთ, რომ ხუმრობა, ცოტა არ იყოს, უხეში და უხამსი გამოვიდა. მამამისმა კი კარგი გა-

კვეთილი მიიღო. ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა მიმხვდარიყო, რომ არ შეიძლებოდა ქალიშვილის სახლში ქოთნის ყვავილივით გამოკეტვა. ზოგიერთები კი იმასაც ამბობდნენ,რომ იმ დედიკოს ბიჭების საქციელი საზიზღრობაა და უნდა ჭკუა ვასწავლოთ, სანამ გვიან არ არისო. ასე იყო თუ ისე, უბნის ცხოვრებაში ეს ამბავი მეტად უმნიშვნელო მოვლენა გახლდათ. ბოლოს და ბოლოს, რა მოხდა ისეთი, არც კი გაუუპატიურებიათ. და მაინც, მართალია, ბიჭებს ძალა არ უხმარიათ, გოგონამ რაღაც მაინც იტკინა. მოტეხილობა სულ პატარა იყო, ძნელად თუ წარმოიდგენს კაცი, რომ ასეთი რამის მოტეხვა შეიძლება და მხოლოდ მაშინ, როცა მოსახდენი უკვე მოხდება, რწმუნდება, რომ თურმე ყველაფერი შესაძლებელია.

გოგონა კვირაობითაც აღარ გამოდიოდა მამასთან ერთად სასეირნოდ. მართალია, მომხდარი ინციდენტიდან ორი თვის მოგვიანებით ქვრივი შეეცადა, დაეყოლიებინა გოგონა გასეირნებაზე. ქალიშვილიც დათანხმდა, მაგრამ ნეტავ არ დათანხმებულიყო. საკმარისი იყო ქუჩაში ახალგაზრდა ბიჭები გამოჩენილიყვნენ, რომ გოგონა შიშის კანკალით ეკვროდა მამას. ეს ყველაფერი გამვლელების ყურადღებას იქცევდა და ამიტომაც იძულებულნი გახდნენ შეემოკლებინათ გასეირნება ყველაზე სასიამოვნო წუთების ხარჯზე – უარი თქვეს კაფე „სავოიაში“ ბისკვიტის ჭამასა და კინოზე.

არც მამა იყო მაინცდამაინც საღ ჭკუაზე. მას უკვე აღარ ეშინოდა, რომ გოგონა უიმისოდ ქუჩაში გამოვიდოდა, ჯოხით ვეღარ გამოაგდებდი გოგოს გარეთ. მამამისს ფსიქიატრების უფრო ეშინოდა. „ეგ გოგო გიჟია“, – ამბობდნენ უბანში. მაგრამ ეს იყო რაღაცნაირი მშვიდი სიგიჟე. ასეთი გიჟებით კი არც პოლიცია და არც ფსიქიატრები არ არიან დაინტერესებულნი.

უბნის ბინებში ცალი თვალით შეჭყიტვამ, ოჯახურ დრამებზე ჭორების მოსმენამ საშუალება მომცა დავკვირვებოდი ჩემს თავს და მალე აღმოვაჩინე, რომ ძალიან ბევრი რამე არ მესმოდა. არ მესმოდა, თუ რატომ ჰყავდა გამოკეტილი ამ მშვიდ, მოსიყვარულე მამას ერთადერთი ქალიშვილი. არ მესმოდა, რანაირად უნდა გამხეცებულიყო ახალგაზრდა კაცი, რომ უმიზეზოდ, ყოველგვარი ვნების გარეშეც კი ასე მოქცეოდა უსუსურ არსებას. არ მესმოდა, რატომ ემსგავსებოდა ხოლმე ადამიანი ღორს, როცა საქმე ყველაზე საკრალურს – სიყვარულს ეხებოდა.

ერთხელ, დილით, როცა სამარეულოში მივდიოდი პირის დასაბანად, უეცრად ვიგრძენი, რომ სახლში არაჩვეულებრივი დაძაბულობა სუფევდა, ჩემს ძმასა და შინამოსამსახურეს თავები ფანჯარაში გადაეყოთ და ქვევით იყურებოდნენ:

– ქალი შიგნით არის.

– კარგი ერთი, შიგნით არა! – არ ეთანხმებოდა ძმა.

– ნაძლევს ვდებ, შიგნით არის, – თავისას არ იშლიდა შინამოსამსახურე.

– ჩქარ-ჩქარა შევიშხაპუნე პირზე წყალი და მეც ფანჯარაში ვდურთე თავი.

დაბლა, ჩვენი სახლის გასწვრივ, ერთი რია-რია იდგა. ამ დილაუთენია რამ გადარია-მეთქი ეს ხალხი, გავიფიქრე და უფრო ყურადღებით დავაკვირდი მოხორხოცე ბრბოს, რომელსაც ალყა შემოერტყა პარფიუმერიის მაღაზიისთვის და ხმამაღლა იცინოდნენ და ვიღაცას ემუქრებოდენენ. მაღაზიის დარაბები კი მაგრად იყო ჩაკეტილი და იქაურობას სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა.

წინასწარ მინდა გითხრათ, რომ ხარაზიც და დალაქიც ქალების დიდი მუსუსები იყვნენ და ერთმანეთს სულ ჯიბრში ედგნენ, არა მე გჯობივარ, არა მეო. ჩემპიონებს კი უმალ გამოუჩნდებიან ხოლემ მოშურნეები. და აი, ერთ-ერთმა მათგანმა, ძველი ავეჯის შემკეთებელმა, თვალი მოჰკრა, თუ როგორ უშვებდა ღამ-ღამობით დალაქი, ეს ცოლიანი ვირი, თავის საყვარლებს სადალაქოში და... ეჰ, ამაზე ლაპარაკი, აბა, რა ჩვენი საქმეა! ამ ქალების მუსუსის საყვარლები ძირითადად უბნის შინამოსამსახურე გოგონები იყვნენ. ღმერთი, რჯული, ეს დიდ ცოდვად არ ითვლებოდა, მაგრამ ეშმაკმა მეავეჯემ თვალი მოჰკრა, რომ წუხელ დალაქის სტუმარი გახლდათ ქალი, რომელიც უბანში ცნობილი იყო, როგორც ელეგანტური, ძვირფასი სუნამოების მოყვარული, გავასქელი ქალბატონი. მოშურნემ შეიცხადა, ვიდრე აშიკმა დარაბები არ ჩამოუშვა და თვითონ მაღაზიაში არ მიიმალა. მაშინ მეავეჯემ არც აცია და არც აცხელა – დარაბები გარედან ჩაკეტა და შეყვარებულები გამოამწყვდია. ამის შემდეგ ჯერ, ხეირიანად არც კი გათენებულიყო, რომ მან ჯერ ერთის მოტყუებულ მეუღლეს მიახარა ეს ამბავი, მერე მეორესთან გავარდა.

და აი, უკვე ორი საათი იყო, რაც ცნობისმოყვარეთა ბრბო არ შორდებოდა სადალაქოს კარებს, საიდანაც ეს მრუშები უნდა გამოსულიყვნენ. ხალხს ერთი სული ჰქონდა, როდის გაიღე-

ბოდა სადალაქოს კარები და შერცხვენილი შეყვარებულები გარეთ გამოვიდოდნენ. დალაქის დედაკაცი, რომელიც ამ ბრბოს სათავეში ედგა, ხანგამოშვებით, თუმცა უკვე მოღლილი ხმით, მაგრამ მაინც გაჰყვიროდა:

– გამოდით, რატომ არ გამოეთრევით. გნახოთ ერთი მთელმა ქვეყანამ, რა შვილებიც ბრძანდებით. – უსირცხვილოებო! რაც შეეხება მეორეს, ვისაც ასე საქვეყნოდ რქები დაადგეს თავზე, იჯდა მაკედონელის კაფეში და მოჩვენებითი სიმშვიდით ყავას წრუპავდა.

– ეგე, ხედავ, რომ შიგნით არავინ არის, – უკვე მერამდენედ თქვა ჩემმა ძმამ, რომელიც, ეტყობოდა, დაღლილიყო დანჯარასთან დგომით.

– იქ არიან, იქ, – არ ტყდებოდა შინამოსამსახურე, – მეავეჯემ საკუთარი თვალით დაინახა...

სადალაქოს წინ თავმოყრილ ბრბოსაც სწორედ ეს აინტერესებდა – ვინ იყო დარაბებს იქით მიმალული. ერთ-ერთმა იქ მყოფმა ვეღარ გაუძლო ლოდინს და გადაწყვიტა, დარაბები აეხსნა და კარები გაეღო, მაგრამ კარები ჩარაზული აღმოჩნდა, ვიტრინებზე კი შტორები იყო ჩამოშვებული.

– შეამტვრიეთ კარები! – ბრძოლის წყურვილით შეპყრობილი მეომარივით დასჭექა მეავეჯემ.

მიუხედავად მისი ასეთი ომახიანი შეძახილისა, კარების შემტვრევა ვერავინ გაბედა და ლოდინით გულგაწყალებულ ხალხს ნელ-ნელა უქრებოდა ცნობისმოყვარეობის ნაპერწკალი. უწინდელი ენთუზიაზმი ქრებოდა.

– თუ ეგენი შიგნით არიან, გამოვლენ, თუ არ არიან – არ გამოვლენ, – დაასკვნა ბრძნულად ხარაზმა და თავის სახელოსნოს მიაშურა. მას სხვებიც მიჰყვნენ. ბრბომ დაშლა დაიწყო. და აი, სწორედ ამ დროს, შეყვარებულები გამოვიდნენ. არა, კი არ გამოვიდნენ, თავქუდმოგლეჯილები გამოცვივდნენ. პირველად, როგორც საყოველთაოდაა მიღებული, კარის ზღურბლზე ქალი გამოჩნდა, უკან კი კავალერი მოჰყვებოდა. ისინი ისე მოულოდნელად გამოჩნდნენ, რომ ხალხმა ძლივს შეასწრო თვალი და კაფეში თავმოყრილი პუბლიკა უმალ უკან გამოენთო ლტოლვილთ.

– სად მირბიხარ, სადა, შე გათახსირებულო, დადექი, დადექი ერთი, რომ ქვეყანამ შემოგხედოს! – გაჰკიოდა ქმარს გაანჩხლებული ცოლი.

– მიდი, მიდი, რას აპარპალებ მაგ თვალებს, მიდი, მისცხე ერთი მაგრად მაგ მამაძაღლს, – არ ასვენებდა მეავეჯე მოღალატე ცოლის ქმარს.

ეს რქოსანი კი დაბნეული, გაშტერებული მისჩერებოდა გაქცეულებს, და ვერაფრით დაეჯერებინა, რომ მის გავასქელ ცოლს ასეთი სწრაფი სირბილი შეეძლო. საწყალს აქამდე, ეტყობა, იმედი ჰქონდა, რომ მაღაზიაში არავინ იყო.

რამდენიმე დღის შემდეგ ამ კაცის სახლში შევიარე კუთვნილი ბარათების გადასაცემად.

– თქვენი მეუღლე სახლში ბრძანდება? – ვკითხე და მოხერხებულდ მოვეწყვე გაპრიალებულ მაგიდასთან. ეს მაგიდა სწორედ იმ პროზაულ სასტუმრო ოთახში იდგა, რომელზედაც ზემოთ უკვე მოგახსენეთ – ხალიჩებითა და სიყვითლეშეპარული სელით დაფარული სავარძლებით რომ იყო მორთულ-მოკაზმული.

– წავიდა.

– გრაფაა შესავსები და... იმიტომ გეკითხებით...

ის იყო, ბარათები გადავეცი, ჩემი დავთრები შევაგროვე და უკვე წასასვლელად გავემზადე, რომ მან ისევ წაიბუტბუტა:

– დიახ, დიახ, წავიდა.

შემდეგ თავი მრავალმნიშვნელოვნად ჩაჰკიდა და ისე შემომხედა, თითქოს ჩვეულებრივი ბარათების დამრიგებელი კი არა, საზოგადოების ვინმე ნამდვილი წევრი ვიყავი, რომელსაც ამ ქვეყნის ავანჩავანი კარგად მოეხსენებოდა.

– როგორ გამომაჭენა ამ მეავეჯემ, ხედავ, არა?

მან ხელი სწორედ მაშინ გამომიწოდა, როცა ვეუბნებოდი:

– იმან გამოგაჭენათ თუ თქვენმა...

სიტყვა არ მქონდა დამთავრებული, რომ დავინახე, როგორ მომუშტა თითები და გავიფიქრე, სადაცაა ერთი მაგრად მითავაზებს-მეთქი. მან კი თავისი ფაფუკი თითები ისევ გაშალა, ხელი ასწია და კეთილმოსურნე ღიმილით მხარზე მომითათუნა.

– კარგი, კარგი, შენც იმასავით ნუ ჩაყოფ ცხვირს სხვის საქმეში... კარგ ცოლობას მიწევდა...

დიასახლიც კარგი იყო... მაგრამ შენ ჯერ პატარა ხარ და ამისთანა რამერუმეებისა არაფერი გაგეგება.

მე მართლა არაფერი მესმოდა. იმ დავიდარაბის შემდეგ დალაქი და მისი ცოლი რომ არ დაშორებიან ერთმანეთს და ისევ ერთად ცხოვრობენ, ეს ჩემთვის გასაგები იყო. ასეთი ალიაქოთი მათ ოჯახში და საერთოდ, უბანში არც პირველი იყო და არც უკანასკნელი. მათ ჰყავდათ შვილები, ქალი უნდა შერიგებოდა ქმარს, თუ არ უნდოდა, რომ ქუჩაში დარჩენილიყო. მაგრამ არ მესმოდა, ეს გაზულუქებული, უსიცოცხლო კაცი რომ მისტიროდა ქალს, რომელმაც სირცხვილი აჭამა, ის, რომ მზად იყო თვალი დაეხუჭა მის ღალატზე, ოღონდ ცოლი სახლში დაბრუნებულიყო.

ქალი დედასთან წავიდა. ამგვარად მან დაისვენა სახლის მოვლა-პატრონობისაგან და თან სამაგიერო მიუზღო მეუღლეს, რომელმაც გაბედა და ასეთი მახე დაუგო. იგი იმითაც უხდიდა სამაგიეროს ქმარს, რომ ხან სად დაეხეტებოდა ხოლმე და ხან – სად, მისი თანამეინახენი უმეტესწილად ახალგაზრდები იყვნენ, რომელნიც მზად იყვნენ გაეტარებინათ ერთი ღამე მის ბარაქიან სხეულზე თვალებმინაბულებს, მაგრამ ქმრისთვის ყველაზე დიდი დარტყმა მაინც ის იყო, რომ მან განცხადება შეიტანა გაყრის თაობაზე და თან ხმები დაყარა, მეორედ ვაპირებ გათხოვებასო.

კაცს მეტის მოთმენა აღარ შეეძლო. ჯერ სხვისი პირით, ლაჩრულად, შეუთვალა, იქნებ მოვრიგდეთ როგორმეო, მერე თვითონ ეახლა მოღალატე ცოლს მოწყალების სათხოვნელად და როგორც მოსალოდნელი იყო, გამარჯვებაც მას დარჩა. მალე ეს მომხიბლავი ქალბატონი ისევ გამოჩნდა უბანში და თვალს უბნელებდა გამვლელ-გამომვლელს თავისი მორთულობითა და ბარაქიანი უკანა ნაწილის რხევით. ვერავინ ბედავდა, რაიმე აუგის თქმას, რადგან იგი დაბრუნდა არა როგორც ცოდვილი, რომელმაც მოინანია თავისი დანაშაული, არა! იგი დაბრუნდა გამარჯვებული და ამაყი, როგორც არასდროს. დაცინვით კი მის რქოსან ქმარს დასცინოდნენ.

აი, ეს არ მესმოდა. ვერასოდეს დავაბოლოვებდი ასე ჩემს მოთხრობას, ვერასოდეს მოვიფიქრებდი ბევრ სხვა რამესაც, რაც აქამდე არ ვიცოდი და არ მესმოდა. და საბოლოოდ, გაკვეთილმა, რომელიც მე მივიღე, როგორც ბარათების დამტარებელმა, ერთი ძალიან უბრალო რამ დამანახა – მე მივხვდი, რომ ხალხს არ ვიცნობდი.

ეს უბრალო რამ სულ უფრო და უფრო ხშირად მხვდებოდა თვალში სულ სხვადასხვა დროსა და გარემოში. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა მქონდა ჩემს მეგობარ სკულპტორთან. მე, ის და კიდევ ერთი მხატვარი სახლებს ვღებავდით, რათა ცოტა ფული გვეშოვა. ჩემი მეგობარი დიდი ახოვნებით ვერ დაიკვეხნიდა, მაგრამ ჩაფსკვნილი და ჯანმაგარი ბიჭი იყო. მისი სხეულიდან კადნიერება და ძალა იღვრებოდა. ამქვეყნად ყველაზე მეტად პოლიციელები სძულდა. მომიყვა, როგორ დააპატიმრეს ერთხელ დემონსტრაციაზე და ისე სცემეს თურმე, რომ ძლივს გადაურჩა სიკვდილს.

ფანჯრის რაფებზე შევდგებოდით ხოლმე და ჩარჩოებს ვღებავდით. საკმარისი იყო ჩემს მეგობარს ქუჩაში პოლიციელისთვის მოეკრა თვალი, რომ მაშინვე ხმამაღლა შემოსძახებდა მარსელიოზას.

– რა ფრანგულად უქცევ? – ეკითხებოდა ხოლმე მხატვარი.

– ნება მიეცი ბულგარეთის პოლიციას, ისწავლოს რამდენიმე სიტყვა ფრანგულად, – ჩაერეოდი ხოლმე.

პოლიციელი ხანდახან შეჩერდებოდა, ერთს დაიბღვერდა და გზას განაგრძობდა, რადგან ინტონაცია, რაც არ უნდა იყოს, ძნელად თუ გამოდგება კაცის დაპატიმრების მიზეზად. და აი, ერთხელ, ორიოდე წლის შემდეგ ქუჩაში შევხვდი სკულპტორს, რომელსაც პოლიციელის მუქლურჯი მუნდირი ეცვა, მხრებზე კაპიტნის სამხრეებითა და აქსელბანტებით, კრიალი გაჰქოდა მის გალაქულ ჩექმებს. ჯერ ვიფიქრე, თვალი ხომ არ მატყუებს-მეთქი, რადგან სკულპტორ-პოლიციელი საკმაოდ შორს იდგა ჩემგან, მაგრამ სწორედ იმ დროს მანაც მიცნო და გამიღიმა. სასოწარკვეთილმა მიმოვიხედე ირგვლივ, არ ვიცოდი, სად დავმალულიყავი. და რადგანაც ვერსად დავიმალებოდი, გამოტრიალება დავაპირე. ალბათ გამოვტრიალდებოდი კიდევაც უკან, რომ შინაგანმა ხმამ ჩამძახა: „სად მიდიხარ, რატომ იმალები? დასამალი თუ არის, ის არის!“ ჰოდა, მეც გავემართე პირდაპირ, გვერდით ისე გავუარე, თითქოს სადღაც ზევით ვიყურებოდი.

ის ძლიერი და შეუპოვარი კაცი გახლდათ. ასე ვიცნობდი მას. ისეთი ძლიერი და შეუპოვარი

იყო, რომ სატვირთო მანქანას რომ გადაევლო ზედ, ნირიც კი არ შეეცვლებოდა, უკან არ დაიხევდა. მაგრამ იგი მაინც მოტეხეს და თან როგორ: სატვირთო მანქანით კი არა, რაღაც-რაღაცებით და ერთი წყვილი გალაქული ჩექმებით. მე ეს არ მესმოდა. არ მესმოდა არც იმ ჩია, ყოველთვის შემკრთალი გოგონასი, ხანდახან ჩვენს წრესა და ახალგაზრდულ საღამოებზე რომ ვხედავდით. მე ძლივს ვამჩნევდი ხოლმე მას, რადგან იგი ადამიანების იმ რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომელთაც თითქოს მისჯილი აქვთ ჩრდილში ყოფნა და ჩრდილში სიკვდილი. მან მართლაც ძალიან ცოტა ხანს იცოცხლა, პარტიზანებთან წავიდა და ერთ-ერთ ბრძოლაში დაეცა კიდევაც, მაგრამ ისეთი წყნარი და მორიდებული კი იყო, რომ იფიქრებდი, ჭიანჭველას არ დაადგამს ფეხსო.

მე მგონია, რომ ნამდვილი მწერლური ამბიცია და ლიტერატურული მუშაობა სწორედ ამ უბრალო აღმოჩენით იწყება, იმით, რომ შენ არ იცნობ ხალხს, ჯერ კიდევ ბევრი რამ არ იცი ადამიანებზე და არ გესმის მათი, ვინც ფიქრობს, რომ ყველაფერი იცის, იგი მოკლებულია ძიების აუცილებელ სურვილს. ლიტერატურა ეს ძიებაა, იღბლიანი ძიება, რა თქმა უნდა. მაგრამ იღბლიანი იქნება თუ არა იგი, უფრო სწორად, იპოვი თუ არა მას, რასაც ეძიებ – ამის ცოდნა წინასწარ არავის ძალუძს.

იმ ამბებს, რასაც ახლა გიყვებით, მე განგებ როდი ვეძებდი. ისინი არსებობდნენ ქალაქში, ჩემს უბანში და თვითონ მითრევდნენ ამ ორომტრიალში. ხანდახან, როცა მარტო ვრჩებოდი ჩემს თავთან და ძილი მიტყდებოდა, ისინი ჩემს გონებაში ამოტივტივდებოდნენ და მოსვენებას არ მაძლევდნენ. თუმცა განგებ არასოდეს ვფიქრობდი მათზე. ისინი თვითონ მეწაფებოდნენ ხოლმე, მეც მეტი რა საქმე მქონდა; მარტოობითა და უძილობით გაბეზრებული დროს ფიქრში ვკლავდი, ვსჯიდი, ვწონიდი, ისე, ჩემთვის. ყოველ შემთხვევაში, მაშინ გულშიც კი არ გამივლია, ეს ამბები ჩემებად გამომეყენებინა. მეჩვენებოდა, რომ მოწადინებულ კაცს შეეძლო ბევრად უფრო მიმზიდველი და საინტერესო ამბები გამოეგონებინა, ვიდრე აქაური ქალაქური დრამები იყო. და მეც არ ვკარგავდი იმედს, რომ როდისმე დავწერდი რაიმე ასეთს, თავბრუდამხვევად საინტერესოს, რომელიც დაახლოებით ასე დაიწყებოდა: „გზა სანტა-კრუსზე იყო ვიწრო და წვიმებისგან დაღარული, მაგრამ ეს ისე არ მაწუხებდა...“

იმედი მქონდა, რომ დავწერდი ამ რომანს, რომლის მხოლოდ ერთი აბზაცი მქონდა აქამდე დაწერილი. ოცნება, გავმხდარიყავი ნამდვილი მწერალი და დამეწერა ნამდვილი რომანი, სულც არ მიშლიდა ხელს, რომ სოციალური ხელოვნების აღიარებული მიმდევარი ვყოფილიყავი. „სრედეცში“ საათობით სწორედ ამ სოციალურ ხელოვნებაზე ვფიქრობდით და ვლაპარაკობდით და გაუთავებლად ვკამათობდით სოციალისტურ რეალიზმზე. მე ღრმად ვიყავი დარწმუნებული, რომ სოციალისტური რეალიზმი სულაც არ ნიშნავდა მხოლოდ ცხოვრებისეული პროზის ასახვას და თუ ხელოვნება მხოლოდ იმ საგნებსა და მოვლენებს გიჩვენებს, რასაც ყოველდღიურად ვხედავთ და ვგრძნობთ და მეტს არაფერს, მაშინ იგი უსარგებლოა ჩვენთვის.

ჩემი მეგობარი მაკე, რომელიც იმ დროს ფერწერის ფაკულტეტზე სწავლობდა, ერთხელ სოფელში წავიდა. შინ ჩასულმა შეამჩნია, რომ სახლის კედლები ის-ის იყო თეთრად შეეფეთქათ, მაკემ გადაწყვიტა, დაიკოს გავახარებო და უთხრა:

– აი, აქ, ამ კედელზე დიდ პეიზაჟს დავხატავ.

– როგორ პეიზაჟს?

– მე დაგიხატავ ლურჯ ცას, ცის ქვეშ ზურმუხტისფერ მთა-გორებს, ხოლო წინ, წინ იქნება დიდი, დი-დი ყვი-თე-ლი მინდორი.

– მინდორი? – შუბლი შეეჭმუხნა დას, – ის არ მყოფნის, რომ მთელი დღე მინდორში ვიჩიჩნქები, ხელები ხელებს აღარ მიგავს და შენ გინდა, სახლშიც მაგ მინდორს ვუყურო?

მეც, მაკეს დის არ იყოს, ვოცნებობდი რაიმე ისეთზე, რომელიც განსხვავდებოდა ჩემს ირგვლივ არსებული გარემოსაგან, რადგან იმ ხანებში ჩვენ მიერ გატარებული დღეები საკმაოდ პირქუში და ჭუჭყიანი იყო. ჭუჭყი იყო ქუჩაში, ჭუჭყიანი იყო ცხოვრებაც. შემოდგომის ნისლიანი დღეები იდგა. ქუჩა დილიდანვე ივსებოდა სამუშაოზე მიმავალი ხალხით, პატარა გაზეთის გამყიდველი პატარა ბიჭუნებით, რომლებიც ახალ ამბებს გაჰყვიროდნენ, ჭვარტლით იყო დაფარული სახლების ფასადები, ფანჯრებზე შავი ქაღალდი აეკრათ. ყოველთვის მოსალოდნელი იყო დაბომბვა; წვრილად ჟინჟლავდა და სიცივე ნემსებივით ატანდა ტანში. ბრბო გუგუნებდა ბაზარში, სადაც ყვითელი გოგრისა და თეთრი, ჭუჭყიანი თალგამის მეტს ვერაფერს იპოვიდით. დუქნები გატენილი იყო დამწვარი ქონის ბოლითა და გლახაკებით, რომელთც თავიანთი დარდი და ბოღმა იაფფასიან ღვინოში სურდათ ჩაეკლათ; თმაგაჩეჩილი მეძავები, ეს ბნე-

ლი კუნჭულების ბინადარნი, რომელთაც გაურეცხავი თეთრეულის მძაფრი სუნი ასდიოდათ, გერმანელებით გატენილი მსუბუქი მანქანების გრძელი კოლონები, ნაცრისფრად რომ იყო შეღებილი და გაურკვეველი მიმართულებით მიემართებოდნენ; ვიწრო მანსარდები, სადაც ვეწეოდით თუთუნს და ვკამათობდით მანამდე, ვიდრე თუთუნი პირს არ გაგვიმწარებდა, ნერწყვი არ გაგვიშრებოდა. – ეს ყველაფერი კარგად ვიცოდი, მეტისმეტად კარგად, რათა დამენახა ის, არა, როგორც საინტერესო მიმზიდველი სიუჟეტი ნაწარმოებისათვის, არამედ როგორც ერთი, ჩვეულებრივად ჩავლილი მორიგი დღე.

და აი, ერთხელ, ახირებული ბედი, რომელიც ჩვეულებრივ, არც ისე კეთილად არის ხოლმე განწყობილი დებიუტანტისადმი, მოულოდნელად დამეცა თავზე და გამომიგზავნა თემა, მზამზარეული ეგზოტიკური თემა. ისეთია, მარტო მოდი და წერე!

მე გავემგზავრე პლოვდივში, რათა იქაური ბიბლიოთეკით მესარგებლა და ჩემთვის აუცილებელი წიგნები გადამეკითხა. მე ხომ წიგნს ვწერდი დიდ წიგნს თანამედროვე ხელოვნებაზე და ასეთი რამ საჭიროდ მიმაჩნდა. ახალგაზრდა, მაგრამ იმედის მომცემი ავტორის წიგნს ერქმეოდა – არც მეტი და არც ნაკლები – „საუკუნის ხელოვნების ისტორია“. მე ვიჩო ივანოვის კაბინეტში ვმუშაობდი და ერთხელ დილით, როცა კაბინეტში შევედი, ვიჩოს შევეფეთე, რომელიც არც თუ ისე ახალგაზრდა კაცს ესაუბრებოდა. ვიჩოს თანამოსაუბრე გამხდარი იყო და სახე ისე ჰქონდა დამწვარი, რომ ინდიელი გეგონებოდათ.

– გაიცანით, ეს კაცი, თეოდორ ტრაინოვის ძმა, ეს-ეს არის ჩამოვიდა სამხრეთ ამერიკიდან, – ერთმანეთი გაგვაცნო ვიჩომ.

„სამხრეთ ამერიკა...“ გავიფიქრე მე და საოცრად მომინდა წასვლა იქ. „გზა სანტა-კრუსზე იყო ვიწრო და წვიმებით დაღარული...“

ტრაინოვის ძმა ცოტა უხერხული მოსაუბრე აღმოჩნდა. იმიტომ კი არა, რომ სიტყვაძვირი ჩანდა, არა, უბრალოდ ხმა ჰქონდა დაკარგული. სიტყვებს მთლიანად ვერ გამოთქვამდა, რაღაცნაირად ნახლეჩ-ნახლეჩ ამოისროდა ხოლმე ხრინწიანად. თუმცა ნახევარ საათში უკვე თავისუფლად ვახერხებდი მის მიერ წარმოთქმული სიტყვების გაგებას და მაშინვე იმდენი და იმდაგვარი კითხვები დავაყარე, რომ ვიჩომ მალე მიგვატოვა და სადღაც წავიდა.

მას, თურმე, მრავალი წელი გაეტარებინა სამხრეთ ამერიკაში, ცურავდა მდინარე ამაზონის გამოუკვლევი ნაპირების გაყოლებით, დიდხანს უხეტიალია ჯუნგლებში, შემთხვევის წყალობით ნახევრად ველური ინდიელების ტომში მოხვედრილა და მალე მათი დიდი პატივისცემა და სიყვარული დაუმსახურებია, რადგან მათ თურმე ციებ-ცხელებისგან კურნავდა და წამლად ჩვეულებრივ ქინაქინას ხმარობდა. იგი გახდა ბელადის მარჯვენა ხელი, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ ამ ტომის ბელადადაც კი აურჩევიათ. იგი შეუდგა ტომის განათლებას, ისინი თურმე ძალიან პრიმიტიულად ცხოვრობდნენ, მაგრამ უამრავი ოქრო ჰქონიათ სადღაც ჯუნგლებში შეგულებული. ტრაინოვი აწყობდა რეგულარულ ექსპედიციებს ახლომახლო, ამაზონის ნაპირებზე მდებარე ქალაქებში, ყიდულობდა ტანსაცმელსა და წამალს, თოფებსა და სამუშაო იარაღს. მერე და მერე კი ადგილობრივი მოსახლეობისაგან არმიაც კი ჩამოუყალიბებია, რათა ტომი თეთრკანიანი ავანტიურისტებისაგან დაეცვა. მაგრამ მარტოობა, ბოლოს და ბოლოს, მაინც მოსწყინდა და გადაწყვიტა ისევ ცივილიზებულ სამყაროს დაბრუნებოდა. ინდიელებმა ტრაინოვი მეფურად დაასაჩუქრეს და გააცილეს. მან რომელიღაც კუნძულზე მამულები შეიძინა, დაქორწინდა კიდევაც და აი, სწორედ მაშინ, ხელახლა შემოუტია ნოსტალგიამ – ისევ ჯუნგლებისკენ გაუწია გულმა. ამის შემდეგ წელიწადში ერთხელ პატარა მოტორიანი ხომალდით ეწვეოდა ხოლმე თავის მეგობრებს ამაზონის ჯუნგლებში და მერე ისევ უკან ბრუნდებოდა. ერთხელაც, მორიგი ასეთი მგზავრობისას წყალი მოსწყურდა. საუბედუროდ, კატერზე წყალი არ აღმოაჩნდა, ჭუჭყიანი ამაზონის წყლის დალევა კი შეუძლებელი იყო. მან გამოიღო მაცივრიდან ყინულის ნაჭერი, ხელში მოფშვნიტა და ისე, რომ გალღობისთვის არც დაუცდია – გადაყლაპა ამ ჯოჯოხეთურ სიცხეში. აი, სწორედ მაშინ დაკარგა ხმა.

ის, რასაც ახლა მე გიყვებით, ტრაიანოვის თავგადასავალი არ გეგონოთ. ეს მხოლოდ ძირითადი მხარეა მისი სამხრეთამერიკული თავგადასავლისა, რომელსაც საინტერესო ამბებისა და ფათერაკების უამრავი პატარა და დიდი შენაკადები ერთვის. ისინი ბევრი იყო, ეს თავგადასავლები, ძალიან ბევრი, რაზე აღარ მიყვებოდა ტრაიანოვი – ოქროზე, ჯუნგლების საშინელებებზე, ავანტიურისტებთან ბრძოლაზე, სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებებსა და კიდევ ათას სხვა რამეზე. ერთადერთი დამადასტურებელი საბუთი მისი გრძელი და არაჩვეულებრივი

ოდისეისა გახლდათ ინდიელების მიერ დამზადებული ქამარი, რომელსაც ტრაიანოვი ევროპული კოსტუმის ქვეშ ატარებდა. ქამარი ოქროსი იყო, გრძელი ძაფებით მოქსოვილი და ბალთით, რომელზედაც ორი გველის თავი იყო გამოსახული. ქამარი ეფექტური და მძიმე იყო, თუმცა, როგორც დამამტკიცებელი საბუთი, მაინც მემსუბუქებოდა.

ეს შავგვრემანი, გამხდარი მამაკაცი სულაც არ იყო ჩამოსული იმისათვის, რომ ყველა შემხვედრისათვის დაეწყო მტკიცება, მე ეს კაცი ვარ და ასეთი რამ გადამხდა თავსო. იგი აქ სამკურნალოდ ჩამოვიდა. ვიღაცს ჩაუგონებია, რომ მშობლიური ქვეყნის კლიმატს შეუძლია განკურნოს იგი. როგორც კი მოიკეთებდა, ისევ უკან აპირებდა დაბრუნებას, რადგან იქ, სამხრეთ ამერიკაში, ცოლი და ქალიშვილი ელოდებოდნენ. როგორც მერე გავიგე, იგი ვეღარ განკურნებულა და ყელის კიბოთი გარდაცვლილა.

სულაც არ მიცდია, შემემოწმებინა მართალს ყვებოდა თუ არა ტრაინოვი. იმდენდ ვიყავი მოხიბლული მის მონაყოლით, რომ სოფიაში ჩასვლისთანავე ჩემს მეგობარ პაველ ვეჟინოვთან გავიქეცი და ყველაფერი დაწვრილებით მოვუყევი. მე და პაველმა მაშინვე გადავწყვიტეთ, რომ დაგვეწერა რომანი თანაავტორობით. მე უნდა მომეთხრო ამბავი, ხოლო პაველი თავის ბელეტრისტულ გამოცდილებას უნდა მინდობოდა.

მაგრამ მარტო ამით როდი ამოიწურებოდა მის სამუშაო – პაველი წიგნის გამოცემის გარანტიასაც იძლეოდა. ერთ წიგნად კი არ ვაპირებდით გამოცემას, მაშინ ამაზე ოცნებაც კი არ შეგვეძლო – არა, რომანის პუბლიკაცია განზრახული გვქონდა სოფიის ერთ-ერთ სენსაციურ ყოველკვირეულში, რომლის სახელწოდებაც უკვე დამავიწყდა. ვიჯექით ხოლმე მე და პაველი ჩემს ოთახში, ვიხილავდით მომავალი რომანის ზოგად კონტურებს, მერე აბზაც-აბზაც გადაგვქონდა ნაფიქრი ქაღალდზე და ასევე აბზაც-აბზაც ვბეჭდავდით მანქანაზე. დასაწყისში ძალიან მონდომებულები ვიყავით და მოგვწონდა კიდევაც ჩვენი ნამუშევარი, მაგრამ თანდათანობით მოგვბეზრდა სამხრეთამერიკული თავგადასავლების აღწერა. ახლაც არ მახსოვს, ჩავათავეთ თუ არა ბოლომდე რომანი, თუ მივაგდეთ სადმე სარდაფის ბნელ კუთხეში. ყოველ შემთხვევაში, ფინალი დიდი ვერაფერი შვილი იყო.

ასე იყო თუ ისე, ეგზოტიკურ ისტორიას, რომელიც ბედნიერებას მპირდებოდა, იმედის გაცრუების მეტი არაფერი მოუტანია ჩემთვის. ერთი შეხედვით, დიდებული, ბრწყინვალე ამბავი, მაშინვე კარგავს ფერთა ელვარებას, როგორც კი ახლოდან შეხედავ და კარგად შეისწავლი. რამდენიმე არც ისე რთული მოვლენების სქემები, თითქოსდა დაძაბული სიტუაციები, დაუსრულებლად მიჰყვებოდნენ ერთმანეთს, ვიდრე არ გავიწყდებოდა, როდის დაჯექი ამ ბნელ სარდაფში და რატომ დაიწყე ბეჭდვა. იგი მხოლოდ შორიდან მოჩანს იდუმალებით მოცული, ეგზოტიკური, მაგრამ საკმარისია ახლოს მიხვიდე, რომ ის აღმოჩნდება ძალზე ბანალური და შენთვის ნაცნობი ამბავი, უკვე ბავშვობიდანვე რომ იცნობდი კარგად მაინ რიდის რომანებიდან.

გამოუცნობი, საიდუმლოებით მოცული ამბები კი – როგორ უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს – მაინც აქ, ქალაქის ბეტონის ბინებში, ქუჩასა და ბაზრის აურზაურში, დუქნებსა და ფაბრიკის მუშათა უბნებში ხდებოდა. და აი, ვიდრე მე ჩემს საზიზღარი ბარათებით სავსე ჩანთას კარიდან კარზე დავატარებდი, დამებადა იდეა, ნათელი და მოულოდნელი, როგორც ყველა დიდი იდეა: გადავწყვიტე აღმეწერა ეს ამბები. აღმეწერა ყველაფერი უკლებლივ, ქალაქის თავიდან ქალაქის ბოლომდე, თავი მომეყარა, ჩავწვდომოდი ვნებათაღელვისა და მისწრაფებების, გატაცებებისა და კონფლიქტების, წარმატებებისა და კატასტროფების ამ ქაოსს. იმ დროს არც შეიძლებოდა სხვა რომელიმე იდეა დამბადებოდა. მე მხოლოდ გრანდიოზული მასშტაბები მიტაცებდა. ყველაფერი ან არაფერი. მას მხოლოდ ჩემი „თანამედროვე ხელოვნების ისტორია“ თუ შეედრებოდა თავისი მასშტაბურობით.

– ბალზაკმა უკვე შეძლო ეს, – მითხრა ერთ-ერთმა ჩემმა მეგობარმა, როცა ჩემი გეგმები გავუზიარე.

– ბალზაკმა ეს შეძლო სხვა დროსა და სხვა ქვეყანაში, – მივუგე უკმაყოფილოდ, და გამახსენდა მამაჩემის სიტყვები.

– ის გენიოსი იყო. ჩვენ არ ვართ გენიოსები. მე მინდა, დავწერო ერთი წიგნი, მხოლოდ ერთი, გესმის? მაგრამ მინდა ყველაფერი ჩავტიო შიგ, ყველაფერი.

– ყველაფერი, რასაც ირგვლივ ხედავ თუ რაც თავში გაქვს? – ცნობისმოყვარედ მკითხა მეგობარმა.

არის ხალხი, რომელთაც ერთი სული აქვთ, როგორმე გუნება გაგიფუჭონ. როდესაც ვიგონებ

იმ დროს, ოდნავადაც არ მიკვირს, რომ მქონდა ასეთი ყოვლისმომცველი პროექტი – აღმეწერა ყველაფერი. მე ის უფრო მიკვირს, რატომ არ მქონდა მაშინ მიზნად ბალზაკის დაჯაბნა. რატომ არ შეიძლებოდა დამეჯაბნა ბალზაკი? იმ დროს ყოველგვარი მიზნის განხორციელებაზე შეიძლებოდა გეფიქრა და ერთი წუთითაც არ გეპარებოდა ეჭვი, რომ შენ შენსას მიაღწევდი. ეს ის წლებია, რომელთაც ირონიით, მაგრამ ამავე დროს, შურითაც ვიგონებ ხოლმე. გზის დასაწყისში ყოველთვის იმედიანად ვართ, თუმცა ჯერ კიდევ არ გვაქვს გასიგრძეგანებული ჩვენი შესაძლებლობები. მერე და მერე კი, რაც უფრო წინ მიიწევ ამ გზაზე, იგი უფრო რთული, გაუვალი და არასაიმედო გეჩვენება და რაც მეტი წინაღობა, რეალური იქნება ის, თუ შეფარული, შეგხვდება წინ, ეს ეჭვი უფრო ღრმავდება. ხანდახან ისეთი წუთებიც დგება, როცა საერთოდ ვერაფერს ხედავ შენ წინ, გზა-კვალი აბნეულია და იმასაც კი ვეღარ ხვდები, საერთოდ მიდიხარ წინ თუ ერთ ადგილზე იტკეპნები, ჯდები დილით შენს სამუშაო მაგიდასთან და ის სულელური და ზიზღისმომგვრელი თრთოლა გიტანს, კბილის ექიმის სავარძელში მჯდომარე კაცს რომ ემართება ხოლმე.

მაგრამ მე მაშინ მხოლოდ პირველ ნაბიჯებს ვადგამდი ამ გზაზე და ამიტომაც მყოფნიდა სითამამე, ამეწერა ყველაფერი. და დაიწყო ჩემი „მოგზაურობა დღისით“. ახლა, როდესაც ვფურცლავ ყმაწვილკაცობისას დაწერილ ამ წიგნს, ვერაფრით ამიხსნია ის ფაქტი, რომ იმ დროს ისედაც მცირე შთაბეჭდილებებიდან, რომელიც დღეთა განმავლობაში დამიგროვდა, რამდენი გამოუყენებელი ადამიანური ამბავი გამომრჩენია, მხოლოდ ახლა რომ მახსენდება. ალბათ, მაშინ მეტად უინტერესონი მეჩვენებოდა, ან ჩემს მიერ წინასწარ შედგენილ პროექტს ვერ მიესადაგნენ, ან კიდევ უხერხულად მიმაჩნდა იმ გმირების ცხოვრების აღწერა, ვისაც პირადად ვიცნობდი და რომელთაც ჩემს ნაამბობში შეიძლება საკუთარი თავი ამოეცნოთ.

– რა ხალხი ხართ ეს მწერლები, როგორც კი რაიმეს მოჰკრავთ ყურს, მაშინვე მთელ ქვეყანას მოსდებთ... – წამომძახა ბანქოს მოთამაშემ, ჩემი რომანის ერთ-ერთი გმირის პროტოტიპმა, როგორც კი ერთი თავი წავაკითხე.

– ხომ ხედავ, რამდენი რამე შევცვალე, ვერავინ გიცნობს.

– ყველა მიცნობს. ხალხი არც ისე სულელია, შენ რომ გგონია.

ამ კაცმა, ჩემი გმირისაგან განსხვავებით, უკვე დიდი ხანია მიატოვა პროფესიონალური თამაში და ცდილობდა კარგი და წესიერი ჟურნალისტის რეპუტაცია მოეპოვებინა. ერთმანეთს კაფეში შევხვდით და სწორედ მაშინ მომიყვა თავის ზოგიერთ თავგადასავალს. და მეც, რა თქმა უნდა, გადავწყვიტე, ხელიდან არ გამეშვა ასეთი საინტერესო მასალა.

– კარგი, ნუ ჯავრობ, – ვუთხარი მე, – ვერავინ გიცნობს.

– რატომ უნდა ვიჯავრო? თქვენ ხომ ამით ლუკმაპურს შოულობთ, თან ხალხის სამსახურში ხართ. განა ასე არ არის?

ასეთი რეპლიკები ყოველთვის გულზე მხეთქავდა, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ ვიცოდი, როგორი ძნელი იყო ლიტერატურით ლუკმაპურის შოვნა, არამედ იმიტომ, რომ მე გავურბოდი ხალხისთვის სამსახურს, უფრო სწორად, ვერაფერს ვაკეთებდი მათი კეთილდღეობისათვის; რაც უფრო გულზე მხვდებოდა და მაღელვებდა ესა თუ ის ამბავი, მით უფრო ეჭვი მეპარებოდა, რომ შევძლებდი მათ აღწერას. ტირილი უფრო მომინდებოდა ხოლმე ხანდახან, ვიდრე წერა. უნდა გასულიყო დრო, ვიდრე რომელიმე გულისშემძვრელ შემთხვევას აღვიქვამდი, როგორც თემას და აი, მაშინ უკვე...

კარგა მოგვიანებით, პარიზში ყოფნისას, დავიწყე რომელიღაც ნოველის წერა ანჟურ სიუჟეტზე. ნოველის გმირი გახლდათ ახალგაზრდა ფრანგი მამაკაცი, რომელიც ხელში უვარდება ანჟის სამხედრო პოლიციას და ციხიდან ვეღარ გამოდის. მე გარკვეული წარმოდგენა მქონდა იმ დროს ჟანდარმერიის ინკვიზიციაზე, ხოლო გმირი ცხოვრებისეული პერსონაჟი იყო. ეს იყო ახალგაზრდა ჟურნალისტი, კომუნისტი, რომელსაც ხშირად ვხვდებოდი ანჟუში და რომელიც ცოტა ხნის წინათ რაღაცნაირად „გაქრა“ ქალაქიდან. მე შევცვალე ზოგიერთი დეტალი, გვარი და პროფესია. მაგრამ ნაწარმოების გმირი ნამდვილად ეს ახალგაზრდა ჟურნალისტი იყო და ჩემს წარმოსახვაში მას წამების გრძელი გზა უნდა გაევლო, ვიდრე სიკვდილით დასჯიდნენ.

ვცდილობდი, დამენდო მკითხველი და ნოველაში წამების ყველაზე მკაცრი სურათების აღწერას მოვერიდე. მაგრამ რომ გაჩუმდე რამეზე, ჯერ ეს „რაიმე“ უნდა დაინახო, თუ შენი ფანტაზია ამის უნარს არ არის მოკლებული. ხოლო იქ, ჩემს ფანტაზიაში ჩემს მეგობარს ათასი ტანჯვა-წამების გადატანა უხდება და საქმე იქამდე მივიდა, რომ მე ცუდად გავხდი. ისე ცუდად

გავხდი, ხელნაწერი გვერდზე მოვისროლე და მხოლოდ ერთი წლის შემდეგ შევძელი რის ვაინი-ჩრობით იგი ბოლომდე მიმეყვანა.

ალბათ, სწორედ ამ შიშის გამო, ახალგაზრდობის წლებში რომ მქონდა საშინელებისა და ტრაგიკულისადმი, ჩემს „მოგზაურობაში“ თავი ავარიდე ზოგიერთი არასასიამოვნო ამბის აღწერას. ხალხის უბედურებებით ლუკმაპურის შოვნა, სრულიადაც არ მხიბლავდა. ალბათ იმიტომაც ვიგრძენი, რომ როგორც კი საწერად დაჯდები, შენც ხალხის საწუხარისა და ტკივილის თანაზიარი ხდები.

მე დავინდე ჩემი „მოგზაურობა დღისით“, მაგრამ სადღაც გულის კუნჭულში ისევე ვგრძნობდი ლტოლვას ზეიმურისკენ, ნათელისა და არაჩვეულებრივისაკენ, იმისკენ, რასაც ქუჩაში გასული კაცი ვერსად შეხვდები, იმიტომ, რომ იგი იბადება და ყალიბდება მხოლოდ ზმანებათა ციალში. მაშინ ჩემი მიზნები უბრალო და ხელმისაწვდომი მეჩვენებოდა, რომელთა განხორციელებაც შეიძლებოდა ფორმულით „ან-ან“. უნდა გასულიყო დრო, რათა გამეგო, რომ ეს ორი საგანი – რეალობა და ზმანება – ორივე აუცილებლობითაა გაპირობებული და განუყოფელია, როგორც ორი პოლუსი. სამყაროს ყოველთვის აქვს ორი პოლუსი, ორი პოლუსი და ორი ტროპიკა, ორი მცხუნვარე ზონა – ბედნიერება და უბედურება. და ხელოვნებაში, ვინ იცის, რატომ და რისთვის, ნაყოფიერებით ყოველთვის სწორედ ეს უკანასკნელი გამოირჩევა.

მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ თუ არ გინდა ცუდად გახდე, ჯობს, სულ არ აიღო კალამი ხელში. მე ლიტერატურაზე ვოცნებობდი, როგორც სიამოვნებაზე:

„გზა სანტა კურსზე...“

და მხოლოდ შემდეგ შევიტყვე, რომ ის ლიტერატურა – ტანჯვაა დიდი, ხანდახან კი თავის დახსნაცაა ტანჯვისაგან, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, როცა უკვე უკან მოიტოვებ, დაცლი სამსალით სავსე თასს და გათავისუფლდები კიდევაც მისგან.

არსებობს, რა თქმა უნდა, სხვა გზაც, უფრო ადვილი და საშინლად მაცდუნებელი. მაგრამ ამ გზას სხვა მხარეს მიყავხარ. თუ ერთხელ ვერ გაუძელ ცდუნებას და ამ გზით წახვედი, შენ მხოლოდ შური დაგწვავს მწვერვალებისა, სხვებს, ჩვენზე დიდებს რომ აქვთ დაპყრობილი, რადგან ჩვენ მიერ გაკვალული ბილიკი ამ მწვერვალების ქვემო ფერდობებს უვლის მხოლოდ. ჩვენ გვშურს მათი და გულში ვამბობთ: „აი, იღბლიანი ხალხი!“ იმას კი იშვიათად ვიხსენებთ ხოლმე, ძალთა რა საოცარი დაძაბვის საფასურად გახდნენ ისინი ასე იღბლიანნი. უნებლიედ, გაგვახსენდება ბალზაკის გრძელი, უძილო ღამეები ფარდებით ჩაბნელებულ ოთახში, სადაც დაბორიალობენ ადამიანური კომედიის აჩრდილები, რომელთაც ჯერ არ უნახავთ მზის სინათლე. გაგვახსენდება დიდი დომიე, რომელიც წლების განმავლობაში სიღატაკეში ცხოვრობდა და შეუპოვრად მუშაობდა ლითოგრაფიულ ქვებზე, თვითონ დაკარგა მხედველობა, რათა სხვებისთვსი თვალი აეხილა; მრავალი წლის განმავლობაში იტანჯებოდა დოსტოევსკი ციმბირში, ათეულობით წლების განმავლობაში მიემართებოდა ბოტევი პოეზიის მწვერვალისაკენ და გმირულად დაიღუპა. ათეული წლების განმავლობაში თავდავიწყებამდე მუშაობდა ვან გოგი, ვიდრე ტონი არ დაკარგა და ტრაგიკულმა ეპილოგმაც არ დაახანა. საბრალო სისლეის ოდისეა, რომელიც წლების განმავლობაში ებრძოდა საშინელ სენს და სიკვდილის წინ ასე წერს თავის მეგობარს: „ვხედავ წითელ პეპლებს... პეიზაჟისტის თვალებში, რომელიც უკვე დაძაბუნებულია დაისის ყურებით, დაბნელებული მზის შეუპოვარი ჭვრეტით, რათა უკეთ ეგრძნო იგი, ახლა მხოლოდ წამების ტკივილისა და სიკვდილის საშინელი წითელი პეპლებიღა დაფარფატებენ“.

მე კი მეგონა, რომ მოვძებნიდი იოლ გზას, მხარს ავუქცევდი ტანჯვასა და ტკივილს და დავიწყებდი ეგზოტიკურ მოგზაურობას, სადაც ერთადერთი საფრთხე ჩემი წარმოსახვის ნაყოფი ჯოს ვინჩესტერია. თავშესაქცევი გასეირნება ოცნებების ქვეყანაში – აი, ასეთი მეჩვენებოდა გზა ლიტერატურისკენ.

„გზა სანტა-კრუსზე იყო ვიწრო და წვიმის წყლებით დაღარული“.

ისე კი, ჩემი დაუწერელი რომანის ამ სულელურ ფრაზაში იყო რაღაც ხელშესახები, მაგრამ მაშინ ვერ მივხვდი ამას. მივხვდი უფრო გვიან, შეიძლება მეტისმეტად გვიანაც კი, რადგანაც მიუხედავად იმისა, რომ არ ვიცოდი ესპანური ენა, ის მაინც უნდა მცოდნოდა, რომ „სანტა-კრუსი“ წმინდა ჯვარს ნიშნავს. წმინდა ჯვარი კი, როგორც ცნობილია, გოლგოთაზე იმყოფება.

თარგმნა
მიხეილ ბეროშვილმა

ამინ არ-რეიჰანი

XIX საუკუნის დასაწყისიდან ამერიკაში დაფუძნებული დიდი სირიულ-ლიბანური ემიგრაციისა და არაბულ-ამერიკული ნოვატორული ლიტერატურულ-ფილოსოფიური სკოლის ორი გამორჩეული ინდივიდუალიზმით აღბეჭდილი კორიფე – ჯიბრან ხალილ ჯიბრანი (1883-1931) და ამინ არ-რეიჰანი (1876-1940) კიდევ ერთხელ არიან წარმოდგენილნი ქართული თარგმანებით.

რა არის ძალაუფლება და სად ვრცელდება მისი ზღვარი?! როგორია მისი მიმართება სიკვდილ-სიცოცხლესთან?! როგორია სამართლიანი საზოგადოებრივი წყობა და რამ შეიძლება შეცვალოს უსამართლო სამართალი?! როგორია ვაჟკაცობის ხვედრი უსამართლობისა და უმეცრების ქვეყანაში?! რა როლი აქვს რელიგიას საზოგადოებრივი წყობის გაკეთილშობილებაში?! ეს ის საკითხებია, სირიულ-ამერიკული ლიტერატურული სკოლის ბევრი წარმომადგენელი რომ უტრიალებს თავის ნაწერებში და სწორედ ამ თემას წამოსწევს წინ ჯიბრან ხალილ ჯიბრანიც თავის მოთხრობაში "საფლავთა ძახილი," რომლის ქართულ თარგმანსაც ვთავაზობთ ჩვენს მკითხველს.

რა ადგილი უჭირავს კედრს ლიბანურ კულტურულ ფასეულობებში და როგორია მისი როლი ლიბანური კულტურული იდენტობის შენახვა-შენარჩუნებაში?! ამინ არ-რეიჰანი ამ თემას არაერთგზის უბრუნდება თავის შემოქმედებაში. ამ თემაზე მისი გამორჩეული ესსე "მეტყველი ხეები" ქართულად უკვე ნათარგმნი აქვს იზოლდა გრძელიძეს. ამინ არ-რეიჰანი კალიფორნიის სიძველითა და სიდიდით გამორჩეულ გიგანტურ ხეებთან შედარებისას ლიბანური კედრის უპირატესობას იმაში ხედავს, რომ კედრს, მათგან განსხვავებით, სული აქვს, მისი სიდიდე და სიდიადე არამატერიალურია! ის იმ მეტყველ ხეთაგანია, რომელშიც ღვთაებრიობისა და ადამიანური სულიერების ნაწილია ჩადებული, რომელსაც მნახველთათვის მოსაყოლი აქვს და საკუთარი ისტორია გააჩნია! მის ჩრდილქვეშ წინასწარმეტყველებს უცხოვრიათ და პოეტებს შეუსხამთ ხოტბა. ლიბანური კედრი მარად ცოცხალი ხეა, რომელსაც ამაღლებული და უკვდავი სული აქვს, ხმა აქვს, რომელიც მაშინაც კი არ წყდება, როცა ის კვდება და ეს ხმა ისტორიის საიდუმლოთა გარდა ადამიანის სულის საიდუმლოებებსაც მოგვითხრობს. სწორედ ამ ხმათა კვალზეა დაწერილი ამინ არ-რეიჰანის ესსე "კედრი", რომელსაც ქართველ მკითხველს ამჯერად ვთავაზობთ.

კედრი

აი, მშვიდობით მოვაღწიეთ შენამდე, ლიბანურო კედრო! მაგრამ იმედი მწვერვალიდან ძირს გადმოეშვა და ფანტაზია ზემოდან ძირს დაენარცხა. გულში რწმენასა და სიყვარულს ტკივილი მისწვდა, როცა მთის ქვეშ წამოქცეული შენი დიდება ვიხილე! წარმოგიდგენდი მთებზე მოდებულს, ველებსა და ბორცვებზე გაშლილს, ცისარტყელასავით აზიდულს ხევებისა და მინდვრების თავზე, შენს არომატში იშვიათ ყვავილთა და ბაზილიკის კეთილსურნელების მატარებელს, შენი ჩრდილის ქვეშ ყველა ჯიშის სიმწვანის შემკრებს, წყლის ზედაპირზე, ჩანჩქერთა ფრიალო კლდეებზე თუ ქარაფებისა და ხეობების შესაყარზე შენი დიდებულების მომფენს! კედრს ამ ამაღლებულ, საყოველთაო დიდებაში წარმოვიდგენდი და საწყლად შემალული კი ვნახე იგი ფამ ალ-მიზაბის[1] ერთ განაპირა კუთხეში!

მთა კედრის ჩრდილქვეშ წარმომედგინა და დამხვდა კი კედრი მთის ჩრდილში! წარმოვიდგენდი დროს, განსხეულებულს და განდიდებულს კედრის ტყეებში და კედრი კი ვნახე დაპატარავებულ-დამცრობილი დროის მუჭში!

წარმომედგინა სიმწვანე თვალშეუწვდენელი ჰორიზონტებით, არწივები მის გადაშლილ ფესვებზე ირაოდ გადაფრენით ფრთებს რომ იმსხვრევენ და ვნახე კი გადაშავებული მიწის ნაკვეთი ერთ ბნელ კუთხე-კუნჭულში, არწივს ქედმაღლური ამპარტავნობით რომ გაუშლია მის თავზე ფრთები!

მეგონა, კედრის დიდება მთებს ავსებდა სიგრძე-სიგანე-სიმაღლეში, მათ ფერდობებს მოსდებოდა, თავისი კენწეროდან კეთილსურნელებას აფრქვევდა ველებს და არომატს ჰფენდა

[1] ფამ ალ-მიზაბი – მთის მწვერვალი ლიბანში.

მათ, ნელსაცხებელსა და გუნდრუკს აკმევდა მინდვრებს! მეგონა, კედრის დიდებას კართან მზის შუქი ედგა და საკურთხეველთან – მთვარის ციალი, სიწმინდის საგალობლებს ეუბნებოდა მათ, რასაც ეპოქები და დრონი იმეორებდნენ და ბანს აძლევდნენ. წარმოვიდგენდი ღვთაებრივ საბრძანებლებში ოქროს ტახტებზე აბრეშუმივით დაფენილ დიდებას და ეს ყველაფერი მეგონა მანამ, სანამ მის კართან გავჩერდებოდი და აი, გაოგნებას და მწვავე შეცბუნებას შევუპყრივარ!

ნუთუ კედრი ისტორიის ფურცელია?! ნუთუ ის პოეტთა ერთ-ერთი კასიდაა[1] და წინასწარმეტყველთა ერთ-ერთი საგალობელი?! ნუთუ კედრი წმინდა წიგნის სტრიქონია?! ან იქნებ საკმეველია ჟამთა საცეცხლურში?! განა კედრი კალმის გასმაა ან ნახატია დროშაზე?!

ამბობენ, ყველაფერი დიდი ბუნებასა თუ ხელოვნებაში პატარაა მისთვის, ვინც მის სიახლოვესაა. საჭიროა, ცოტა მოვშორდეთ, რათა მისი სიმაღლე და სილამაზე სრული დიდებით წარმოსდგეს ჩვენ წინაშე, რათა ჩავწვდეთ მისი სიდიადის და ძლევამოსილების ჭეშმარიტებას.

ეს ნათქვამი ზოგ რამესთან დაკავშირებით სწორია, ზოგ შემთხვევაში კი არა. სწორია, მაგალითად, მაღალ მთებზე – ვერ მიხვდები მათი სიმაღლის გაქანებას, თუკი მთის ძირში დგახარ. კედრებიანი მთის ძირში მდგომს გეჩვენება, მწვერვალზე ასე ერთ საათში შეგიძლია ახვიდე. ხოლო თუ ცაში მთვარეს უყურებ, დაჰრ ალ-კადიბის[2] გადაღმიდან რომ ამოდის, გგონია, ფრთები რომ გესხას, კედრის რომელიმე ტოტიდან ერთი ნახტომით შეგიძლია ისკუპო მთვარეზე. ამ დროს თვალი გატყუებს და მანძილებს მოკვეცილს გიჩვენებს.

ხოლო ციხე-კოშკებსა და ტაძრებს, მონუმენტურ ძეგლებსა და გიგანტ ხეებს რაც შეეხება, პირიქით, მაღალ ნაგებობებს, – მაგალითად, ნიუ-იორკის ცათამბჯენებს, – მართლაც საკვირველად და საოცრად აღიქვამ მხოლოდ მაშინ, თუკი მათ მიუახლოვდები. ბაალბექის ტაძრის ექვსი სვეტის შემაშინებელ სიმაღლეს მხოლოდ მაშინ გრძნობ, თუ მათ ჩრდილში ან მათი ფრიზის ქვეშ დადექი.

განა ისეთ ცნობილ და დიდ ტაძარში, როგორიც მაგალითად ნოტრდამის ეკლესიაა პარიზში, ან კუბბათ ას-სახრას[3] მეჩეთი იერუსალიმში, ხელოვნება მთელი თავისი სილამაზით და სიწმინდე კი მთელი თავისი დიდებულებით მხოლოდ მაშინ არ წარმოსდგება შენ წინაშე, როცა ჩრდილს გასცდები და კარში შეხვალ, დადგები გუმბათის ქვეშ, მაღალი თაღის გვერდით?!

ისტორიულ, წმინდა ტყეში შევაბიჯე და მის შემაშინებელ სიწყნარეში ვეძიებდი თავშესაფარს შეყვარებული გულისთვის და სამლოცველოს – თვინიერი სულისთვის. ხსნის იმედით, რწმენით შევედი ამ ტაძარში, ფეხით გავუყევი კედრის წიწვებისა და მტვრის შავი ხალიჩით მოფენილ გალერეას, მწვანე გუმბათის ქვეშ გავჩერდი, ერთ-ერთი დიდი თაღის გვერდით. თან ვფიქრობდი იმაზე, რაც მოულოდნელად მეწვია მისი გამოჩენისას და რამაც შემიპყრო მისი მთელი ბრწყინვალებით დანახვის ჟამს. მთა სიმშვიდეში გახვეულიყო და აქეთ-იქიდან კედრის არომატს აფრქვევდა. სიწყნარე მიირწეოდა კედრის ტოტებქვეშ და შლეიფი ტოტებიდან ჩამოყრილ წიწვებზე მოსთრევდა. სიჩუმე ხმით საუბრობდა, ოღონდ ეს ხმა არ იყო განთიადის ნიავის ხმა, ეს ხმა ჩურჩული იყო, ნაზი, მიუწვდომელი, მაგრამ ისეთი, რიტორიკისა და მჭერმეტყველების წესებს მუხლზე რომ დააჩოქებდა!

გავჩერდი ამ ტაძარში მწვანე გუმბათის ქვეშ, უზარმაზარ საბჯენებს შორის, ეჭვს პირზე სიწყნარის მიწა წავაყარე, სიმშვიდის ესენცია მონატრების თვალზე ვიცხე, სიყვარულისა და პატიების მთხოვნელი ყური მისი ჩურჩულის გასაგონად გავიმახვილე. სიყვარულის ძველი ხმები მესმა, უცხო კილონი მჭერმეტყველებისა, ქება-დიდების შესხმის საყვარელი ჩურჩული, რომლებიც კედრის წიწვებივით ჩამოდიოდა ძირს და ეფინებოდა სიჩუმეს ისე, როგორც აპრილის წვიმა დაედინება თუთის ფოთლებს. ეს იყო ხმები ნაზი და ყოვლისმომცველი, მაღალი და მკვეთრი, მთებში საღამოს ზარების ექოს მსგავსი; განთიადის სიჩუმეში მტრედების ღუღუნის მაგვარი; მდინარის ნაპირებზე ხეთა ჩურჩულისნაირი; მწერის ზუზუნის მსგავსი პაპანაქება სიცხეში; კლდეებზე შემსკდარი ტალღების გრგვინვის მაგვარი ხმები.

მესმა, ფინიკიელი როგორ აღწერს კედრის ხის მასალის ღირსებებს ეგვიპტეში, ფარაონის გასაგონად – მკვიდრი, გაკრიალებული ხის მასალა, ლამაზი ფერისა და მშვენიერი კოჭების

[1] კასიდა – ტრადიციული არაბული სალექსო ფორმა.

[2] დაჰრ ალ-კადიბი – მთა ლიბანში.

[3] კუბბათ ას-სახრას (კლდის გუმბათის) მეჩეთი იერუსალიმში იმ ადგილზე, რომელსაც მოციქულ მუჰამედის ზეცად ასვლის (მიყრაჯის) ყურანისეული ისტორია უკავშირდება.

მქონე, სურნელოვანი, ტაძრებისა და სასახლეების მშვენება... დრო ვერ მძლავრობს მასზე და ჭია არ ეკარება... საუცხოო ხის მასალაა, კლდესავით მშრალი, მინასავით გლუვი, ვარდივით ლამაზი...

გავიგონე, ამავე სიტყვებს ფინიკიელი როგორ იმეორებს ნინევიისა და ასურეთის, სპარსეთის მეფეთა კარზე...

მომწვდა ცულებისა და ნაჯახების ხმა ტყეებიდან, ჩაქუჩებისა და ხერხის ხმები ტრიპოლისა და ჯუბეილის[1] საამქროებიდან...

მესმა, აშურბანიპალი[2] როგორ იწონებდა თავს კედრის ხის ძღვენით, სინაჰერიბი[3] კი ტრაბახობდა, რომ კედრი მთათა მწვერვალებზე ჰქონდა ნანახი.

გავიგონე დამპყრობელთა, მძარცველთა ხმებიც, ხმები გამარჯვებისა და წარმატების, პოეზიისა და სიწმინდისა... მეფსალმუნე დავითი ადიდებს ლიბანური კედრის ხეებს, "ქებათა ქების" ავტორი კი უმღერს თავის ტახტს, ლინაბური კედრისგან გაკეთებულს და თავისი ახალგაზრდა საცოლის სურნელს, ლიბანის არომატის მსგავსს... მესმა ესაია წინასწარმეტყველის, მაღლა ატყორცნილ ლიბანურ კედრს რომ უძღვნის დიდებას და ამოსის ხმა, ამორეველ გოლიათს კედრს რომ ადარებს.

გავიგონე ისუს ხმა, ამბობდა, კედრის მშვენიერება მართლაც ლიბანის სიამაყეაო, ლიბანის მწვერვალებს კედრის ხშირი ტყეები გვირგვინად ადგასო. ყური მოვკარი კლდეებს შემსკდარი ტალღების გრგვინვის მაგვარ ხმას ეზეკიელისა.

ლიბანურ კედრს ჩინებული ვარჯი აქვს, ფართო ჩრდილიანი, მაღლა ატყორცნილი ტანი. ლიბანური კედრი დიდების შარავანდედით წყალმა შემოსა – წარღვნამ ხომ იგი მთათა მწვერვალზე აიტანა!

ლიბანური კედრის ტოტებში ყველა ციური ფრინველის ბუდეა! მისი ვარჯის ქვეშ ხმელეთის ყველა ცხოველი გაჩენილა! მის ჩრდილქვეშ ყველა დიდი ერი სახლობს! ის დიდებულია თავის ზეცად ატყორცნილობაში, ტოტებგაბარჯღულობაში, თავის აღნაგობასა და სტრუქტურაში! ედემის ყველა ხე მას შენატრის უფლის წალკოტში!

გავიგონე, ბერძენი ისტორიკოსი როგორ უკრავს კვერს ისრაელის ტომის წინასწარმეტყველს, ევროპელ პოეტთა ხმებიც მესმა, წინასწარმეტყველთა და მეისტორიეთა ნათქვამის ექოს რომ იმეორებდნენ.

ტყე, სადაც პოეზიისა და ისტორიის ხმები მესმოდა, ნელ-ნელა გაიცრიცა და წაიშალა, შემდეგ მთის წვერზე შევნიშნე დიდი ტყე, აღმოსავლეთიდან დასავლეთით და ჩრდილოეთიდან სამხრეთით გადაჭიმული, აქეთ-იქიდან ხშირი კორომები მჭიდროდ შემოგრაგნოდა. ამ ტყეებიდან ცულებისა და წალდების, ნაჯახების ხმები მესმა, შეშის მჭრელთა და ტყის მჩეხავთა ხმები.

ამ ტყეთა ხის მერქანი ვიხილე ეგვიპტეში, ფარაონთა სასახლეებისა და ტაძრების კედლების მოპირკეთებაში; მეფეთა ბალზამირებულ სხეულებზე მისი ნახერხი მოიფრქვეოდა და მუმიათა სარკოფაგებში მის კეთილსურნელოვან საკმელს აკმევდნენ. ამ ტყეთა ხე ვნახე ასურეთის ტაძარსა და სპარსთა მეფეების სასახლეებში, დავითის სამეფო კარზე და სოლომონის ტაძარში, რომაელთა ღვთაებების ტაძრებში ეფესოსა და ანტიოქიაში.

ამ ტყეთა ხის მასალა ვნახე ზღვებში ხმაურიან ტალღებზე; სავაჭრო ხომალდები, ფინიკიელთა გემები, რომლებიც უშიშრად ეკვეთებოდნენ საზღვაო ხიფათებს ჰერკულესის სვეტებთან[4] და რომლებსაც უხილავთ კირქვის კლდეთა დამაქუცმაცებელი ტალღები ბრიტანეთის კუნძულების სანაპიროებთან; ფინიკიელთა ხომალდები, საღებავებს, შუშის ნაწარმს, ქსოვილებს რომ ეზიდებოდნენ ამ ძველი აღმოსავლური სანაპიროებიდან დასავლეთისა და ჩრდილოეთის სანაპიროებისკენ; ფინიკიელთა ხომალდები, რომელთაც გადალახეს წყვდიადის ზღვა[5] ახალი სამყაროსკენ და იალქნები დაკეცეს დასავლეთ აფრიკის სანაპიროებზე ეკვატორთან.

[1] ტრიპოლი და ჯუბეილი – ლიბანური ქალაქები.

[2] აშურბანიპალი – ასირიის მეფე ძვ. წ. აღ-ით 669 – 633 წწ.

[3] სინაჰერიბი – ასირიის მეფე ძვ. წ. აღ-ით 705 – 680 წწ.

[4] ჰერკულესის სვეტები – ასე უწოდებდნენ ორ ერთმანეთის მოპირდაპირე კლდეს გიბრალტარის სრუტის ორივე მხარეს, რომლებიც ერთგვარ კარიბჭეს ქმნიან ხმელთაშუა ზღვიდან ატლანტის ოკეანისკენ.

[5] წყვდიადის ზღვა – ასე ეძახდნენ არაბი ისტორიკოსები (იბნ ხალდუნი, ალ-მასყუდი და სხვანი) ატლანტის ოკეანეს.

გავიგონე ცულებისა და წალდების, ნაჯახების ხმები ამ ტყეებში. მომესმა ჩაქუჩებისა და ხერხის ხმები ჯუბეილის საამქროებიდან... კედრის ხის მასალა დავინახე იმ საომარ ხომალდებზეც, რომლებითაც სპარსელებმა საბერძნეთი დალაშქრეს... ალექსანდრე მაკედონელს ხის ბაზარზე საუკეთესო ხარისხის კედრი სურდა ქალაქ ტვიროსის ხიდების ასაშენებლად და კუნძულის ქალაქთან დასაკავშირებლად. სწორედ ამ ტყეთა კედრით იქნა დასჯილი ქალაქი ტვიროსი!

ყური მიუგდეთ ცულების ხმას, რომელთა ექოს იმეორებენ ხეობები და ჩაქუჩთა ხმებს, რომელთა გამოძახილი ტალღებს ჯუბეილიდან ტრიპოლამდე და ტრიპოლიდან კი არვადის კუნძულამდე მიაქვს. მეფე ანტიგონემ ხომ ხუთასი სამხედრო ხომალდის აგება მოითხოვა, რათა ამ ხომალდებით დაელაშქრა ქალაქი, რომელიც ალექსანდრე მაკედონელს აუმხედრდა და მოეოხრებინა ქალაქი ტვიროსი – ფინიკიელთა პატარძალი!

ტყეთა მფლობელნი – ფინიკიელები; ხის მასალით მოვაჭრენი – ფინიკიელები; გემთმშენებელნიც – ფინიკიელები?!

დიახ, ჩემო ბიჭუნა, იმ დროში ჩვენი თანამემამულეების ნაკლებობა ნამდვილად არ იყო! იყვნენ ისეთებიც, ვინც ერთმანეთში ჩურჩულებდა მათზე, რომელთაც სამშობლოს ინტერესებზე მაღლა თავიანთი ინტერესები დააყენეს. იყო უკმაყოფილებისა და პროტესტის ხმამაღალი ხმებიც! მაგრამ ვაჭრობა, ჩემო ბიჭუნა, ყოველთვის ვაჭრობაა, ყველა დროსა და ადგილას!

ამ კედრის ხე იყო მეფე ანტიგონეს ფლოტში! ათასი წლის შემდეგ, ამავე კედრის ხე ომაელი ხალიფა მუავია იბნ აბუ სუფიანის ფლოტში იქნა გამოყენებული! და ამ ფლოტთა ხომალდები ფინიკიელებმა ააგეს...

ჩვენ ყველანი ვეკუთვნით სამშობლოს და ჩვენ ყველანი ვეკუთვნით ალამს![1]

არაბულიდან თარგმნა
დარეჯან გარდავაძემ

[1] სიტყვები ლიბანის ეროვნული ჰიმნიდან: كلّنا للوطن للعلى للعلم „ჩვენ ყველანი ვეკუთვნით სამშობლოს, ღირსებას, ალამს!“

ნაირა გელაშვილი

პეპელა დახეთქილ ხელისგულზე



პოეტ ირაკლი ციგროშვილზე მიწევს წერა – მისი გარდაცვალებიდან 21-ე დღეს – მის სოფელში – თხილიანაში, მის სახლში, მის საგნებს შორის... ფანჯრიდან მისი მუქმწვანე, მსხმოიარე კარმიდამო მოჩანს, ქვემოთ არაგვი, ირგვლივ – ტყეშეფენილი მთები, ზემოთ – მკვრივი, ნელი, თეთრად მანათობელი ღრუბლები ლურჯ ცაზე...

ოროთახიან-შუშაბანდიანი სახლი, საიდანაც ის სამუდამოდ წავიდა და სადაც ახლა მის ერთგულ მეუღლეს და შეუცვლელ სულიერ მეგობარს, ფრანგული ლიტერატურის კარგ მთარგმნელს, ბელა წვერაძეს მოუწევს მარტო ცხოვრება, – ირაკლის აშენებულია; სხვადასხვაგვარ თაროებზე ჩამწკრივებული ძველი და ახალი წიგნები, ქართული და უცხოური ლიტერატურა ირაკლის კუთვნილი და წაკითხული წიგნებია... საწერ მაგიდაზე, ახლა რელიქვიებივით რომ დაულაგებია წიგნები ბელას, ირაკლის ლექსების კრებულებია, ზოგი რვეულივით თხელი, ზოგი უფრო სქელი, ზოგი გაცრეცილი, ზოგი ახალი... იქვე ფურცლები მოჩანს, ირაკლის ულამაზესი ხელნაწერი, თითქოს ანბანის წინაშე მოწიწებით გამოყვანილი ასოები (რა თქმა უნდა, ხელით წერდა): საკუთარი ლექსები, ბელას მიერ მხოლოდ ახლა აღმოჩენილი ტიუტჩევის ლექსების თარგმანები...

გორაკებიან-ფერდობებიანი ეზოს ზემოთა ფერდზე არყის ხეები რომ აღმართულან და ადგილობრივ, წითლად მღუარ ცირცელებსა და ვაშლის ხეებს შორის უცხო, ამღერებული სიმსუბუქე შეაქვთ, – ირაკლის დარგულია; ამ ფერდის ძირში თანაბრად დაჭრილი, ჯერ ისევ სურნელშერჩენილი შეშა ირაკლის დაპობილ-დაწყობილია (არქაული არტეფაქტი)... ეზოში სკამებად გაფანტული კუნძები, და საყვარელი, პატარა სამფეხა სკამები (ფშავში „ჩიკას“ რომ ეძახიან) და მაგიდებიც ირაკლის ნამუშაკარია (ეს სამი ფეხი სამად განტოტვილი ხეა, ირაკლი რომ პოულობდა ტყეში, ჭრიდა, შინ მოჰქონდა და პატარ-პატარა სკამებისა და მაგიდების საყრდენად აქცევდა).

არაგვს გაღმა, რომელზედაც ის ხეებისგან შეკრული ბეწვის ხიდით გადადიოდა, მისი ცნობილი საფუტკრეა; ორმოცამდე სკა და პატარა, დაბინდულ ფანჯრებიანი ვაგონი- მისი სახლუკა, რომელიც ახლა დაკეტილია და გაღების მსურველს ალბათ შიშის, წუხილისა და იდუმალების ზღურბლზე მოუწევს გადაბიჯება... აქ ირაკლი იჯდა ხოლმე და მზით, ფუტკრების ზუზუნით, ყვავილებისა და თაფლის სურნელით გაბრუებული თავის თავში მიდიოდა... და მერე სასოებით აწიკწიკებდა სტრიქონებს. ხიდსაც ირაკლი შეკრავდა ხოლმე მორებისა და ფოთლებშერჩენილი ტოტებისაგან ერთი-ორ მეზობელთან ერთად, იმდენჯერ, რამდენჯერაც მას ადიდებული, ამღვრეულ-აღრიალებული არაგვი წაიღებდა ნაფოტივით. შეწნავდა წვალებით, მორჩილად და რუდუნებით, წუწუნისა და ბრაზის გარეშე. ისე ლაპარაკობდა ამ საშინლად თავნება, არავის არაფრად ჩამგდებ, სრულიად არაპროგნოზირებად, საშიშ და ცხოვრების გამძნელებელ არაგვზე, როგორც ძალიან ძნელ, მაგრამ უსაყვარლეს ძმაზე, რომელთან ერთადაც მთელი ცხოვრება გაგილევია, ერთ ოჯახში, ერთ სახლში, და რომელიც შენი განუყრელი სიყვარული და ბედისწერაა...

საფუტკრე სუსტად შემორაგულ, ათასნაირ ყვავილებიან მინდორშია ჩაფლული, ბუნებრივად მოსული ეცოტავებოდა და ირაკლი სულ უფრო მეტ და სულ უფრო მრავალნაირ ყვავილს ამრავლებდა, მინდვრისას... ერთ მხარეს ძალიან დიდი ტირიფები რომ ირხევიან, მისი დარგულია, მათ ძირში წყარო რომ შრიალებს, – მისი ამოყვანილია მიწიდან. და ფუტკრები და საოცარი თაფლი ხომ ...

ალბათ ყველამ უკვე დაინახა პატარა სამოთხე, ედემის ბაღის რაღაცა ასლი... სადაც კაცი

ფუტკარივით მუშაკობს, ღვთის შექმნილ სიცოცხლეს უვლის, ამდიდრებს და საგნების პოეტურ ასლებს ქმნის: შე-მოქმედებს, ანუ, შესაქმეს ეწევა შესაქმეში... და ამავე დროს: როგორც მთებს ნისლი და გაზაფხულის მიწას ორთქლი ისე ამოსდიოდა ამ ადამიანს მადლიერება „ხილულთა ყოველთა და არა ხილულთა შემოქმედის“ მიმართ და მიაჩნდა, რომ თავად, და საერთოდ, ქართველი, ისედაც სამოთხეში ცხოვრობდა, რაკი ასეთ ბუნებაში დაბადებულიყო, და ბედნიერება, შრომის სიხარული და მადლიერების გამოხატვა, ლექსით, სიმღერითა თუ სიჩუმით არც მიღმა და არც ხვალისთვის არ უნდა გადაედო. აქ, ახლა და მთელი სისავსე. ტანჯვით ავსებდა ქართველთა მიერ საკუთარი სამოთხის ჯოჯოხეთად გადაქცევა. მაგრამ მთავარი მის პოეტურ შემოქმედებაში მაინც იყო უფაქიზესი, ზუსტი და ნიუანსობრივი რეპორტაჟები მშობლიური მიდამოდან, რომელიც ისე შთაბეჭდილიყო მის სულში, რომ უკვე ეს სული ქცეულიყო ლანდშაფტად, მდინარედ და მინდვრად, ფესვებად და ფოთლებად, დაღამებად და გათენებად: შიდა სამყარო უკვე თითქმის ვეღარ გაირჩეოდა გარე სამყაროსაგან და ორივეში ერთი აღმოჩენა, ერთი საიდუმლო ფეთქავდა: სილამაზის, სიცოცხლისა და სიწმინდის იგივეობა.

მყავ ბედნიერი იის სუნთქვით, იის დუმილით,
გადაათეთრა ფერდობები ტყემლის რტოებმა,
აღვიძებს, ალხენს ყურე-კუნჭულს
ფუტკრის ბზუილი,
რარიგ თბილი ხარ,
რარიგ უხვი – უბიწოებავ!

პოეტის, ადამიანის, ბუნების შვილის ეზო-კარი უხილავ (მომავალ) საცხოვრისს ერთვოდა, თითქოსდა თავისთავად გადადიოდა მასში, „სამყაროს შიდა სივრცის“ (რ. მ. რილკე) უსასრულო ღიაობის, და „თვალსაწიერის გადავერცხლის,“ (ი. ციგროშვილი) ანუ ხედვის ასტრალური შუქით გამჭვირვალების გამო:

იდუმალების ცეცხლს აღვივებ მაღლით, ციურო,
თითქოს ერდოზე იფურცლება ცა-მიწის წიგნი...
გადაგივერცხლა სავსე მთვარემ თვალსაწიერი,
გადაგიფინა ეზო-კარზე ციურის შიბნი.

საზღვარი ხილულ და უხილავ ლანდშაფტებს შორის მაინცადამაინც მჭახედ და შემაშინებლად არასდროს მოჩანდა. სიტყვა „სიკვდილს“ უფრო აღიარება ახლდა და დისონანსის მაგივრად ბუნებრივი სევდა და უცხო სიჩუმე შემოჰქონდა. და ის, სიცოცხლის მეორე, უცნობი ნახევარი მუდამ აქ იყო: ღია შინაგან სივრცეში თავისუფლად შემოჰბერდა მისი სუნთქვა, შემოდიოდნენ თუ შემოფარფატებდნენ მისი მაცნეები, რომლებსაც ნაჯაფარი, უკვე სახე და ხელისგულებდაღარული კაცის ხალასი გული და მოციმციმე თვალები ეგებებოდა. ამ კაცის ბავშვურობა, წყაროსი არ იყოს, სიღრმით, დროთა და საგანთა კავშირით საზრდოობდა და სურდა „სულეთის“ უნაზეს წარმოგზავნილსაც – პეპელასაც- გაება ძაფი ხილულ და უხილავ სიცოცხლეებს, წარსულსა და (გაჩერებულ) მომავალს – საიქიოს შორის. სურდა, სულეთის არსებას მიწიერი კერის (ფუძის, ნაფუძარის) სითბო განეცადა და თან წაეღო კაცის მომავალ-უხილავ სახლში.

სულეთიდან მოფრენილო,
შე წმინდანო პეპელა,
ჩემთან ვინ რა დაგაბარა,
გზაზე ვინ მოგეფერა!

ერთი წამით დამიჯექი
დამსკდარ ხელისგულზეო,
ბეწვის ხიდი მელოდება,
არ დამტოვო უმზეოდ.

იქნებ თვალიც დაგიამდა
სააქაოს ხილვითა,
თვალწინ ნუღარ გამიქრები
სანთელ-საკმევლივითა!
ჩაუთბუნდი ნაფუძარებს,
შენ წმინდანო პეპელა,
ნუ მიფრინავ, დაახანე,
წამი ხომ არ გებევრა.

და ახლა შემოქმედი კაცის მითოლოგემური კარმიდამო (სახლი, ხეები, ნაყოფი, მთა, მდინარე, ფუტკრები...) კიდევ ერთი საგნით გამდიდრდა : ირაკლის ეზოდან მისი (ახალი) საფლავი მოჩანს. ერთი ხეივანი, ხეივნის ბილიკი ჰყოფს რბილ ბექობზე დიდ ხეებშორის, ყვავილებში ჩაფლულ პატარა საგვარეულო სასაფლაოს ირაკლის ეზო-კარიდან. აქ მისი მშობლები და ახლობლები განისვენებენ, მაღალი მთის წვერზე მდებარე სოფელ არახიჯიდან ოდესღაც შუაფხოს მიდამოებში, კერძოდ, სოფელ თხილიანაში ჩამოსახლებული ადამიანები, რომელთა აქ ჩამოსახლების შემდეგ მათი ლამის მითიური სოფელი ტყემ შთანთქა. ამ სასაფლაოსაც მოიცავდა პოეტის სრული მზერა, როგორც მისი სიცოცხლის შემადგენელ ნაწილს („აქ მწვდება უდაბურების/ ფრთა, ჩემი პაპისპაპანი/ აქ წვანან თავის წყლულებით/ და ეკალ-ბარდის საბანი/ ახურავს... იმა ღვთაებებს/ არ ეძინებათ წამითაც... კვლავ მათი თვალი დამეძებს,/ არე იმოსვის მწვანითა“).

პოეტი ირაკლი ციგროშვილი 2014 წლის 19 აგვისტოს ფერისცვალება დღეს გარდაიცვალა. ამბობენ, და ფშავშიც სჯერათ, ამ დღეს სამოთხის კარი ღიააო. და თუ ასეა, სამოთხიდან სამოთხეში გადასულა ეს ადამიანი. და ვისთვის უნდა იყოს ეს კარი ღია, თუ არა იმისთვის, ვინც დედამიწაზე ერთგულად აღასრულებდა თავის წილ საქმეს და პატარა სამოთხეს ქმნიდა შემოქმედისაკენ მზესუმზირასავით თავმიბრუნებული. რა საოცარიც არ უნდა იყოს, ირაკლის აქვს ლექსი: „ვუცდი ფერისცვალებას“:

თითქოს დავეძებ სიტყვას ღვთაებრივს,
თითქოს რიჟრაჟში ჩნდება სოფელი,
ო, გიცდი როგორ გაუთავებლად,
ო, ნათლიერო, როგორ მოგელი!...

ირაკლის არ უნდოდა, რომ მის ეზო-კარსაც მისი პირველი სოფლის – არახიჯას ბედი სწვეოდა: ტყის მიერ შთანთქმა. მას სურდა მისი კარმიდამო პოეზიისა და განათლების კერად ქცეულიყო და გაენათებინა მიტოვებული სამოთხე – ფშავი, როგორც მისი ფანჯრებიდან გამოსული შუქი ანათებდა ხოლმე გოლიათი მთების ძირას გაწოლილი ხეობის სველ, კუნაპეტ ღამეს. მისი შეგრძნებით, ყველაფერი რაც სამყაროს შემოქმედის სინათლეში ექცევა – მიზანთან მიდის („ბურუსმა ცა რომ შეუსუდროს და დელგმამ ყველა გასასვლელი ამოუქოლოს, მაინც გაიგნებს გზას თავისი ვარსკვლავისკენ უფლის თვალიდან დაძრული შუქი“).

მაგრამ, ისიც ხომ უნდა ვთქვათ, რომ თხილიანას სამოთხე უსასრულოდ გაღარიბდა, რადგან რა არის სილამაზე, რომელსაც დამნახავი, ამრეკლავი და სახელმდებელი არ ჰყავს. ჩაქრა ეს თვალი. ისღა დაგვრჩენია, ვისურვოთ, არ ჩაქრეს მისი მონაპოვარი და საზრდოდ ექცეს ადამიანებს ადამიანად ქცევის ძნელ გზაზე.

ზედმეტია, მაგრამ დასასრულ მაინც ვიტყვი, რომ დღევანდელ საყოველთაო არანამდვილობაში სიტყვები „თავისთავადი“ „თვითმყოფადი“, „თვითმკმარი“ და „ნამდვილი“, ანუ თავად ყოფნა, ჩემთვის ირაკლი ციგროშვილის სახებას გამოიხმობს.

10 სექტემბერი, 2014 წელი, სოფელი თხილიანა

ირაკლი ციგროშვილი

* * *

დრო რომ ნაყოფს მოავლენს და
თვე რომ მოვა თაფლობის,
სურნელებით რომ დატკბება
ხევ-ღრანტე და მაღლობი.
ამ მიწით და ამ სივრცით რომ
გაილაღებს მომსვლელი –
თვალსა და გულს ეამება
ხვალის დღისთვის მლოცველი.
დრო რომ ფერებს მოავლენს და
გარეშემოს შემოსავს –
შთაგონება გაზიარებს
სათქმელს საამდღეოსა.

* * *

კვლავ შენეული ხსოვნის მზე გწყალობს,
გადასასვლელზე გიდგას თავდებად.
მამეულ სახლის საბძელი, კალო
მკრთალ სინათლეში გაილანდება...

კაკბის კრიახით მოსული დილა,
კალოსპირს ძნები და საძნოვარი
თვალსაწიერში შემოდის თბილად –
ის სთველი მრავალ ფერთა მთოვარი.

ქერის და სვილის ყანები მწიფე,
დრომ გაფრენილმა ვეღარ შებინდა...
როცა დოწია მრუმე ჯანღს იფენს
კვლავ გეძრახება ჩავლილ წლებიდან.

ძახილ-ძუხილი, მიხლილ-მოხლილი
ალხობს ღამეულ ჭირხლის ალმასებს...
პირჯვარს ისახავ, რომ მოიხილე
მაშინდელ სოფლის ის სილამაზე.

* * *

უდარობაა სასახლის ირგვლივ,
არავის ესმის შენი ძახილი...
მოშიმშილეთა ურიგო რიგი
ვერ გაიჭრება ვერა, მახვილით!
საიდან მოდის მხრჩოლავი კვამლი,
ან საით მიდის ქვეყნის ნახირი!

ამაოდ ბჟუტავს ნუგეშის თვალი,
შარაგზის ცეცხლიც ამაოდ ბოლავს...

კვლავ ფორიაქობს ამინდი ხვალის
და ახლოვდება დაისის ჟრჟოლა...

არ მოგასვენებს, ვერც დაგამშვიდებს
ჟამი შენიღბულ-შეუნიღბავი.
როსმე გასწვდები ქვეყნის კიდე-განს,
მობრუნდებაღა ჩვენსკენ იღბალი.

წერილი მზიას

მზია, ზაფხულის ფშავს მოენატრე,
მრევლს მოენატრე მარიამობის,
გულისფანცქალით მრჯიდა ყველა დღე,
რომ შენზე ლოცვა მეთქვა სამობით.

მზია, ზაფხულის მთების პერანგი
გახუნდა. გვალვამ ჯავრი იყარა...
იდუმალია გზა ფათერაკის –
არავინ იცის, საით მივყავართ...

მზია, ფშავისხევს გაღმა-გამოღმა
კვლავ ჩამოხედა თვალმა მწყალობლის,
ღვთიური სოფლის გულის საოხად
ისევ მწვანდება მიწის სამოსი.

აბა, რა უნდა გითხრა ახალი,
ან დაგამშვიდო, ძვირფასო, რითი...
მზია, გნატრულობს შენი სკა-სახლი,
შენი ძახველიც მოკითხვას გითვლის.

* * *

ჩაღმა ჩამავალი გზა ჰკიდია ბეწვზე,
ჯერ ვერ მოიჩალა, შენ რომ კალო ლეწე...

და ყივილი ისმის გამთენიის მამლის,
თავი ინუგეშე ბალახების წამლით!

თვალი დაიამე მამა-პაპის ფუძით,
ჯოხი დაიარგნე უწმინდესი ურძნის...

ჩაღმა ჩამავალი გზა ჰკიდია ბეწვზე –
ჩაუყევი შარას, ჩაუყევი ეწერს!

ფშაური

ბარგს და ბარხანას იმზადებ,
გაწვევენ ბედისწერანი.
ფრთები აკეცეს ჩრდილებმა,

დაფრაშფრაშობენ ძერანი.
არ ცხრება, აღარ ისვენებს
საწუთროს წუთი ვერანი
და იძონძება უფრორე –
ისედაც ჩოხის ძველანი...
ამ ბეწვის გადასავალზე
ჩხავიან ტურა-მელანი.
ბევრის მომსწრე და მტვირთველი
შრება სისხლი და მელანი.

თავ-თავის სიავ-სიკეთით
მიდი-მოდიან ყველანი...
მოგაცილებენ გზადაგზა
შენივე გულის ძგერანი.

* * *

უთოვლო ზამთრის ჭირხლი
მურყნის ხეებზე დნება,
ღვთიური შუქის მადლი
ნებისად მობრძანდება.
პირმზითის ბექ-ბუქებში
ბალახის ფესვი ფშვინავს...
თითქოსდა ჩამყუდროვდა
ჭია-ღუათა ბინა.
მთების გულ-მკერდში სუნთქავს
ცით მოვლენილის სითბო...
გიცდის ბილიკი ჭალის
და გზა საპირიქითო.

* * *

ხვალის იმედით იცხოვრებ ხვალაც,
ხვალისა გწამლობს შუქიც და ჩრდილიც,
კიდევ გპირდება ღვთაებრივ ღალას –
რწმენა, რომელიც პირმშოა დილის.

კიდევ დაგქანცავს სავალი მკაცრი,
კლდე-ფხაწალები ქარში ნალესი.
გაუძლებ ფიქრთა ბორიალს ნაცადს –
არაგვის პირზე, მწვანე ჭალებში.

სვე არ მოგაკლებს სითბოს საკმარისს,
გადაშორდება არეს ბინდები.
შენ, შენეული ქოხის ჟამკარით
თანდათან უფრო დაშოშმინდები.

* * *

აღარავის ახსოვხარ,
აღარავინ გკითხულობს.

თვითონა ხარ ყველასთვის
მწყემსიც და კირითხუროც.
თვითონა ხარ სიზმარი
არახიჯის ყანების,
მისი ხევ-ღრანტეების,
მთების სათაყვანები.
ხსოვნას რაიც შემორჩა –
ვერ ჩაუვლი უგულოდ,
რადგან მისი მზე გადგას,
რადგან მისით სულდგმულობ...

* * *

თიბათვის მზემ ჩამოგადნო,
დოწიას თოვლ-ყინულო.
შენი ღვიის, შენი დეკის
ყვავილობას ვხილულობ...

ურძნის ბუჩქებს, დილის ცვართა
შვენის იალკიალი...
სიპთხევს მაინც ესიზმრება
ზვავთა გმინვა-გრიალი...

გაგილაღდა ქუჩ-ბალახი,
არყნარი და ცირცელი.
დოწიას მთის ფერდობებო,
ფერი გამკობთ ძირძველი.

* * *

დაგლაღა ჟამმა
და მავანის ზურგს უკან მდგომით
გადაიხადე წილადრგებულ
ჩრდილებთან ომი.
ჩამოდგა სთველი საამდღეო და იზაფრება,
ფერნაცვალ რტოებს ეძრახები
ამ შემოდგომის.

ანატოლ ფრანსი

კიმოსელი მგოსანი

ის მიუყვებოდა ზღვისპირა ბილიკს, გორაკების გასწვრივ. შიშველ და ღრმად დაღარულ შუბლზე წითელი შალის ხილაბანდი წაეკრა. საფეთქლებზე გადმოყრილ ჭაღარა თმის კულულებს ზღვიდან მონაბერი ქარი უწეწავდა. თოვლივით ქათქათა წვერი ფთილებად დაფენოდა ნიკაპზე. მის ტუნიკასა და შიშველ ფეხებს დასდებოდა ფერი იმ გზებისა, რომელზეც მრავალი წელი ეხეტებოდა. მხარზე ვეებერთელა ქნარი გადაეკიდებინა. მას ბერიკაცი ერქვა, მგოსანსაც ეძახდნენ. ყმაწვილები კი, ვისაც ის პოეზიასა და მუსიკაში ამეცადინებდა, ბრმას უწოდებდნენ, რადგან ჟამთასვლით ისედაც ფერგამკრთალ თვალის გუგებს კვამლისგან დასიებული და დაწითლებული ქუთუთოები უფარავდა, ვინაიდან სასიმღეროდ ცეცხლისპირს ჩამოჯდომა სჩვეოდა. თუმცა მოხუცი მარადიულ უკუნეთში როდი ცხოვრობდა, მასზე ჰყვებოდნენ, რომ ხედავს იმასაც, რასაც სხვა მოკვდავი არსებები ვერ ხედავენო. ადამიანთა სამი თაობა ილეოდა, რაც შეუსვენებლივ დაეხეტებოდა ქალაქიდან ქალაქში, და აი, ახლა, როცა დილიდან საღამომდე ეგეოსის მეფის კარზე მგოსნობდა, უბრუნდებოდა საკუთარ კერას, რომლის სახურავიდან აჭრილ კვამლსაც უკვე დიდი ხანია, შორიდან ამჩნევდა, რადგან იმის შიშით შუადღის ხვატმა არ მომისწროსო, მთელი ღამე შეუსვენებლივ იარა, და აი, ცისკრისას, გამოჩნდა კიდეც მისი სამშობლო, თეთრი კიმოსი. გვერდით ძაღლი მისდევდა, მოკაკვულ ჯოხს დაყრდნობილი, ნელი ნაბიჯით მიიწევდა, წელგამართული, თავაწეული, რათა შერჩენილი არაქათით შებმოდა ვიწრო ხეობისაკენ მიმავალი გზის დაღმართს. აზიის მთებიდან ამომავალი მზე ვარდისფერ სამოსში ჰხვევდა მსუბუქ ღრუბლებს და ზღვაში გაბნეულ კუნძულთა ნაპირებს. სანაპირო კაშკაშებდა. თუმცა, აღმოსავლეთით, ერთმანეთს მიჯრილი აბზინდებითა და ტერებინთოებით აქოჩრილი გორაკები ჩრდილებში ჯერ ისევ ინახავდნენ ღამის საამო სიგრილეს.

ბერიკაცმა თორმეტი დამრეცი შუბის ტოლი მანძილი თორმეტჯერ გადაითვალა და მარცხნივ, ორი ტყუპი კლდის ეხის გავლით, საკრალური ტყის ვიწრო შესასვლელს მიაგნო. აქ, წყაროს ნაპირას, ჭაჭის ქვის საკურთხეველი აღმართულიყო.

დაფნის ხეს ყვავილებით გადაპენტილი ტოტებით დაებურა საკურთხეველი. მის წინ, ადამიანთა ფეხქვეშ გათელილი მდელო მსხვერპლად შეწირულ ცხოველთა ძვლებს გადაეთეთრებინა. ირგვლივ, ზეთისხილის ტოტებზე, უამრავი საკადრისი ეკიდა, უფრო სიღრმეში, ვიწრო ტევრის შემზარავ სიბნელეში. ცაში აჭრილი ორი ბერმუხის ტანზე კურატების გატყავებული თავები მიეჭედებინათ. ბერიკაცმა იცოდა, რომ საკურთხეველი ფებოსის სახელზე იყო აგებული. ტევრის სიღრმეში შევიდა, ქამრიდან ყურით მიბმული თიხის სასმისი ამოაძრო და დაიხარა ნაკადულთან, რომელიც ველურ ოხრახუშსა და წიწმატებში ჩაფლული, გრძლად დაკლაკნილი, მდელოზე გავაკებას ლამობდა. სასმისი ცივი წყლით აავსო და რადგან ღვთისმოსავი იყო, რამდენიმე წვეთი, სანამ შესვამდა, საკურთხევლის წინ მოაპკურა. იგი ეთაყვანებოდა უკვდავ ღმერთებს, ვისაც არ ერჩოდა არც ტანჯვა და არც სიკვდილი, მაშინ, როდესაც დედამიწაზე ერთმანეთის მიყოლებით იხოცებოდნენ ადამიანთა ცოდვილი თაობები. უეცრად შიშის ჟრუანტელმა დაუარა, ლეტოს ვაჟიშვილის ისრების შეეშინდა. სნეულებამორეულსა და წლებით დამძიმებულს უყვარდა დღის სინათლე და ეშინოდა სიკვდილისა, ამიტომაც კეთილი განზრახვა დაებადა, თელის დრეკადი ტოტი ჩამოიწოდა და თიხის სასმისი ნორჩი ხის წვერს მიაბა, ტოტი ისევ გასწორდა და მოხუცის ძღვენი ლაჟვარდისაკენ ატყორცნა.

ცას ელტვოდა ზღვის ნაპირას აღმართული, გალავანშემორტყმული, თეთრი კიმოსი. თლილი ქვით მოკირწყლული, მთებს შუა მოქცეული შარაგზა ქალაქის კარიბჭემდე მიგიყვანდათ. კარიბჭე უხსოვარ დროს აეგოთ და როგორც გადმოგვცემდნენ, თვით ღმერთების ნახელავი იყო. კამარედის ქვაზე ამოეკვეთათ უამრავი წარწერა, რომლის ახსნა არავის შეეძლო და, რომელსაც ბედნიერების ნიშნებად მიიჩნევდნენ. კარიბჭიდან ოდნავ მოშორებით მდებარეობდა საჯარო უტევანი, სადაც ხეთა ჩრდილში უხუცესთათვის განკუთვნილი მერხები ლაპლაპებდა. ასპარეზთან ახლოს, ზღვის მოპირდაპირე მხარეს, შეჩერდა ბერიკაცი. აქ იყო მისი სახლი. ვიწრო და დაბალი სადგომი სილამაზით ვერ შეედრებოდა მეზობელ სახლს, სადაც სახელგანთქმული მისანი ცხოვრობდა შვილებთან ერთად. ეზოს წინკარი ნახევრად ჩაფლული იყო ნაკელის გროვაში,

რომელსაც ღორი დინგით ჩიჩქნიდა. ნაკელი ცოტა იყო და მწირი, რითაც არ ჰგავდა მდიდრების სახლ-კარის წინ დაქუჩებულ ნაკელს. სახლის უკან მდებარე ხეხილის ბაღი ბერიკაცმა თვითონ გააშენა. ბოსელიც ფიქალისაგან თავისი ხელით ააგო. მზე კამკამა ცის წვერებს იპყრობდა, ზღვიდან მონაბერი ნიავიც მიყუჩდა. ჰაერში მონავარდე გამჭოლი მხურვალება სულს უხუთავდა ადამიანებსა და ცხოველებს; მოხუცი წამიერად შეყოვნდა ზღურბლთან, რათა შუბლიდან ოფლი მოეწმინდა. აქოშინებული, ენაგადმოგდებული მისი ძაღლიც უძრავად მიშტერებოდა ერთ ადგილს.

დედაბერი მელანთო სახლის სიღრმიდან გამოჩნდა. ზღურბლთან შეყოვნდა და დაილოცა. მელანთოს იმიტომ შეაგვიანდა, რომ ღმერთებს მის სხეულში ავი სული ჩაესახლებინათ, რამაც დაუსივა და ღვინის ორი რუბივით უქცია წვივები. მელანთო კარიელი მონა იყო, რომ ახალგაზრდა ასაკშივე, მეფემ, იმ დროს ასევე ახალგაზრდა და ძალ-ღონით სავსე მგოსანს უბოძა. ქალმა თავის ახალ პატრონს ბევრი შვილი გაუჩინა. ზოგი მათგანი ამ წუთისოფელს არ შერჩა, სხვები შორს გადახვეწილიყვნენ, რათა ათენის ქალაქებში მგოსნობის ან მეეტლის ხელობას დაუფლებოდნენ, ყველა მათგანს ღვთით მომადლებული ნიჭი აღმოაჩნდა. მელანთო მარტო ცხოვრობდა რძალთან, არეტესთან და მის ორ შვილთან ერთად.

ქალმა თავის პატრონი კოჭებშებოლილ დიდ დარბაზამდე მიაცილა, რომლის შუაგულში, საკურთხევლის წინ გაქონილი და ნაკვერჩხლებით დაფარული კერიის ქვა იდო. დარბაზს, მეორე სართულზე ვიწრო სენაკები ერტყა, ხის კიბეს კი ქალებისათვის განკუთვნილ მაღალჭერიან ოთახში შევყავდით. დედაბოძზე ეკიდა ბრინჯაოს იარაღი, რომელსაც ბერიკაცი ახალგაზრდობაში ატარებდა, მაშინ, როდესაც ქალაქიდან ქალაქში დაჰყვებოდა მეფეებს, ეტლებით რომ მიემგზავრებოდნენ გმირთა მიერ გატაცებული კიმოსელი ქალწულების გამოსახსნელად. ერთ-ერთ ბოძზე ხარის ბარკალი ეკიდა.

ხარის ბარკალი მგოსნისათვის, პატივისცემის ნიშნად, ქალაქის უხუცებს გამოეგზავნათ. გაახარა ამ ამბავმა. ჟამთა სვლით გამოფიტული მკერდიდან ფეხზე მდგომმა ღრმად ამოისუნთქა და ტუნიკის ჯიბიდან, რამდენიმე კბილ ნიორთან ერთად, თავისი მწირი საგზლის ნარჩენები ამოალაგა. მოეტანა აგრეთვე ეგეოსის მეფის ნაბოძები პატიოსანი ციური ქვაც – ძვირფასი, რადგან რკინისა იყო, თუმცა იმდენად პატარა, რომ მისგან ისრის წვერს ვერ გამოჭედდი, გზაზე ნაპოვნი ერთი ქვაც მოიყოლა, ცალი მხრიდან კაცის თავს წააგავდა. ბერიკაცმა იგი მელანთოს გაუწოდა.

– ქალო, აბა, შეხედე, როგორ ჰგავს ეს ქვა პაკროსს, მჭედელს; ღმერთების ნების გარეშე ქვა ხომ ასე არ დაემსგავსებოდა პაკროსს.

და როდესაც დედაბერმა მელანთომ მტვრით დასვრილი ხელ-ფეხი დააბანინა, ხარის ბარკალი ბერიკაცმა ორივე ხელით აიტაცა, საკურთხეველთან მიიტანა და მის აქნას შეუდგა. ფრთხილი და ბრძენი ბერიკაცი ქალებსა და ბავშვებს არასოდეს აკისრებდა საჭმლის მომზადებას, მეფეთა მსგავსად, ის თავად ხარშავდა კურატის ხორცს.

ამასობაში მელანთომ კერიაში ცეცხლი გააჩაღა, ფიჩხს უბერავდა სულს იქამდე, სანამ ღმერთმა იგი ცეცხლის ალში არ გახვია. ბერიკაცმა ღადარზე დაკუწული ხორცი დაყარა და თან ბრინჯაოს კავით მოურია, ფეხმორთხმით იჯდა და ისუნთქავდა მწარე კვამლს, რომელიც დარბაზს ავსებდა და თვალებიდან ცრემლს ადენდა; ამის გამო ოდნავადაც არ წუხდა, რადგან მიჩვეული იყო, და თანაც, კვამლს ბარაქის ნიშნად მიიჩნევდა. მას შემდეგ, რაც ხორცის სიმკვრივე ცეცხლის უხილავ ძალას ნებდებოდა, ხორცის ნაჭრები პირთან მიჰქონდა და მორყეული კბილებით ნელ-ნელა ღეჭავდა, ჭამის დროს დუმდა. დედაბერი მელანთო გვერდით ედგა და შიგადაშიგ ღვინოს უსხამდა იმ თიხის მსგავს თასში, რომელიც ღმერთს შესწირა მგოსანმა.

როცა შიმშილი და წყურვილი დაიოკა, სახლისა და საქონლის ამბავი გამოიკითხა: უნდოდა შეეტყო, მის არყოფნაში რამდენი მოქსოვეს, რამდენი ყველა შეწურეს, რამდენი ზეთისხილი დაწურეს. და მას შემდეგ, რაც გაიფიქრა, რაოდენ მწირ ქონებას ფლობდა, თქვა:

– გმირები უთვალავ ხარსა და უშობელს მწყემსავენ საძოვრებზე. მათ ასევე უამრავი ლამაზი და ჯან-ღონიანი მონა ჰყავთ; მათ სახლებს სპილოს ძვლისა და სპილენძის კარები აბია და მათ ტაბლებზე ოქროს ზვინები დგას, უდრეკი გულის პატრონებს განაღდებული აქვთ სიმდიდრე, რაც ზოგჯერ სიბერემდე მიჰყვებათ. უნდა ითქვას, რომ ჭაბუკობაში არც მე ჩამოვუვარდებოდი მათ სიმამაცეში, მაგრამ არც ეტლები მქონია, არც ცხენები და არც მსახურები მყოლია, რიგიანი იარაღიც კი არ მებადა, მათ გვერდით, მეც მათსავით რომ მებრძოლა და მზეთუნახავი

ქალწულები და ოქროს ზედადგრები მომეხვეჭა. ის, ვინც უცხენოდ, ჩლუნგი იარაღით იბრძვის, ბევრ მტერს ვერ გამოასალმებს წუთისოფელს, რადგან თვითონვე იპყრობს სიკვდილის შიში. ხელქვეითთა ბნელ ბრბოში რომ ვიბრძოდი, ქალაქების გალავნების მისადგომებთან, ამიტომაც არასოდეს მომიხვეჭავს უხვი ნადავლი.

დედაბერმა მელანთომ უპასუხა:

– ომის მოტანილ სიმდიდრეს ისევ ომი წაიღებს. მამაჩემი, კიფოსი, მილათაში სასახლეებსა და ურიცხვ ჯოგებს ფლობდა, თუმცა იარაღასხმულმა ადამიანებმა ყველაფერი წაართვეს და სიცოცხლესაც გამოასალმეს. მეც მონად ამიყვანეს, მაგრამ ცუდად არ მეპყრობოდნენ. რადგან ახალგაზრდა ვიყავი, ბელადების სარეცელს ვიზიარებდი და არც საკვები მომკლებია. ბოლოს, შენ ჩაგბარდი, ჩემს ყველაზე ღარიბ და უკანასკნელ პატრონს.

ქალის ხმაში არც სიხარული იგრძნობოდა და არც მწუხარება.

ბერიკაცმა უპასუხა:

– მელანთო, ჩემზე სამდურავი არ გეთქმის, რადგან ყოველთვის სიყვარულით გეპყრობოდი, ნუ მსაყვედურობ, ფუფუნებაში რომ ვერ გაცხოვრე. სიმდიდრე მხოლოდ იარაღისა და რკინის მჭედლებს აქვთ, ვისაც ეტლების კეთება ემარჯვება, ისიც სარგებელს ნახულობს თავისი შრომით. მისნებსაც დიდი მონაგარი შესდით, მაგრამ მძიმეა ხვედრი მგოსნისა.

დედაბერმა მიუგო:

– არა მარტო მგოსნისა, ბევრი ადამიანის ხვედრიც მძიმეა.

და მელანთო მძიმე ნაბიჯებით გავიდა სახლიდან, რათა რძლის დახმარებით ფარდულიდან საბუხრე ფიჩხი შემოეტანა. იდგა ჟამი, როცა მზე თავისი ულმობელი მცხუნვარებით ძალ-ღონეს აცლის ყველა სულდგმულს, როცა ხეს ნიავიც არ არხევს და უძრავ ფოთლებში განაბული ფრინველებიც წყვეტენ ჭიკჭიკს. ბერიკაცი ლაჭანზე მიწვა, სახე ზეწრით დაიფარა და ძილს მინებდა.

ძილის დროს პატარ-პატარა სიზმრები ეწვია, ისინი არც კარგს მოასწავებდნენ, არც ავს და არც იმ სიზმრებისაგან განსხვავდებოდნენ, ყოველღამე რომ ეზმანებოდა ხოლმე. სიზმრებში ადამიანებსა და ცხოველებს ხედავდა. ეცხადებოდნენ ნაცნობები, ოდესღაც აყვავებულ დედამიწას რომ შეჰხაროდნენ, ახლა კი, რაც მათი მზე ჩაესვენა, ცივ სამარეში განისვენებდნენ, ამიტომაც სწამდა, რომ მიცვალებულთა სულები ჰაერში დახეტიალობდნენ, თუმცა კი უძლური, ცარიელი ლანდები იყვნენ. სიზმრებმა მას ასწავლეს, რომ ცხოველებსა და მცენარეებსაც ჰქონდათ თავიანთი ლანდები, რომლებიც დროდადრო სიზმრებში გვეცხადებიან ხოლმე. სჯეროდა, რომ ჰადესში მოხეტიალე სულები თავიანთ სახეს თვითონვე იქმნიან. აბა, სხვას ვის შეეძლო მათთვის სახის ბოძება, თუ არა ერთ-ერთ იმ ღმერთთაგანს, ვინც ადამიანების უსუსურ გონებას აბუჩად იგდებს და ამით თავს იქცევს. მისანი რადგან არ იყო, ერთმანეთისაგან ვერც არჩევდა მაცდურ და არამაცდურ სიზმრებს და მათ რიგრიგობით მსვლელობას წამწამებით დახშული მზერის ქვეშ გულრგილად უცქერდა.

ბერიკაცმა გამოიღვიძა და დაინახა მის წინ კრძალვით ჩარიგებული ყმაწვილები, ვისაც ის პოეზიასა და მუსიკას ასწავლიდა. ასწავლიდა ისევე, როგორც თვით მას მამამისმა ასწავლა. მათ შორის თავისი რძლის ორი ვაჟიშვილიც ერია. უმეტესობა ბრმა იყო, განგებას ებოძებინა მგოსნობის ნიჭი მათთვის, ვისთვისაც თვალისჩინი წაერთმია და ამიტომ არ შეეძლოთ არც მიწასთან ჭიდილი და არც გმირთა მხარდამხარ ბრძოლა.

ბავშვებს ხელში ეჭირათ მგოსნის წილი გაკვეთილების საფასური – ხილი, ყველი, ფიჭა, საწმისი და ელოდებოდნენ, როდის მოიწონებდა მოძღვარი მათ შეწირულ ძღვენს, რათა საკურთხევლის წინ დაელაგებინათ.

ბერიკაცი წამოიმართა, დარბაზის ერთ-ერთი დედაბოძიდან ქნარი ჩამოხსნა და მადლიერებით თქვა:

– ბავშვებო, ცხადია, მდიდრებს მდიდრული შენაწირის გაღება უწევთ, ღარიბის შესაწირი კი მცირეა. ზევსმა, ჩვენმა მამამ, არათანაბრად გაუნაწილა ქონება ადამიანებს, თუმცა კატად გადააქცევს იმ ბავშვს, ვინც ღვთაებრივ მგოსანს მის წილ ხარკს არ გადაუხდის.

თვალხმიერმა მელანთომ სწრაფად მიიტანა ძღვენი საკურთხეველთან. ბერიკაცმა კი თავისი ქნარი მომართა და მგოსნის ირგვლივ სოხანეზე ფეხმორთხმით მსხდომი ყმაწვილებისთვის სიმღერა წამოიწყო:

– ისმინეთ სიმღერა პატროკლესა და სარპედონის ორთაბრძოლისა, კარგი სიმღერაა.

და მან იმღერა. ბგერებს მძლავრად აჟღერებდა. ყველა თქმულებას თანაბარზომიერი რიტმითა და ტაქტით ასრულებდა, ხმაში სისუსტე რომ არ შეჰპარვოდა. დროდადრო თავისი სამსიმიანი ქნარის ერთ-ერთ ბგერას ძლიერად ააჟღერებდა და სანამ შეისვენებდა, მკერდიდან აღმოხდებოდა ხოლმე გულის შემძვრელი ყვირილი, რომელსაც თან ახლდა სიმთა გაბმული რხევა.

მას შემდეგ, რაც მისგან თქმული სიმღერების რიცხვმა მისი თითების რიცხვს ორჯერ გადაამეტა, ისინი ბავშვებსაც გაამეორებინა. ყმაწვილები ერთად გაჰკიოდნენ წვრილი ხმით და მასწავლებლის მსგავსად არხევდნენ თავიანთ პატარა ქნარებს, საკუთარი ხელით რომ გამოეჩორკნათ ხისგან და ბგერებს სრულებითაც არ გამოსცემდნენ.

ბერიკაცი მოთმინებით ამღერებდა რამდენჯერმე ერთი და იმავე თქმულებებს იქამდე, სანამ პატარა მგოსნები ზუსტად არ დაიმახსოვრებდნენ. ის ბეჯით ბავშვებს არჩევდა, მაგრამ ვინც მეხსიერებით ან გონიერებით ჩამორჩებოდა, მათ ქნარს ხემს უთავაზებდა, აცრემლებული ბავშვებიც დარბაზის ერთ-ერთ ბოძს აეკვრებოდნენ ხოლმე. ის თვითონ მღეროდა სანიმუშოდ, თუმცა არასოდეს არ ამჟღავნებდა სიმღერის თქმის საიდუმლო ხერხებს, რადგან სწამდა, რომ პოეზიის კანონები უძველესი დროიდან იყო დადგენილი და ადამიანთა განსჯას არ ემორჩილებოდა. მისი რჩევები მხოლოდ და მხოლოდ თავის დაჭერას ეხებოდა.

მოზარდებს კი ასე არიგებდა:

– პატივი ეცით მეფეებსა და გმირებს. ისინი სხვა ადამიანებს აღემატებიან. გმირები სახელებითა და მათი წინაპრების სახელებით მოიხსენიეთ, რათა ეს სახელები დავიწყებას არ მიეცეს. როცა თავყრილობებზე მიგიწვევენ, ტუნიკის კალთები მუხლებზე აიკეცეთ, თავი ღირსეულად და მოწიწებით გეჭიროთ.

კიდევ დასძენდა:

– არ გადააფურთხოთ მდინარეში, რადგან მდინარე წმინდაა. არ შეცვალოთ ჩემგან ნასწავლი თქმულებები, არც მეხსიერების ღალატით, არც თქვენი ნებით; და როდესაც მეფე შეგეკითხებათ: „ლამაზი თქმულებებია, ვინ გასწავლათ ისინი?“ ასე უპასუხეთ: „ეს კიმოსელმა მგოსანმა გვასწავლა, მას კი მამამისმა ასწავლა, მამამისს, ცხადია, რომელიღაც ღმერთმა შთააგონა ისინი“.

ხარის ბარკლისაგან რამდენიმე საუკეთესო ნაჭერი დარჩა. ერთ-ერთი ცეცხლის პირას ჩამომჯდარმა მიირთვა, შემდეგ ბრინჯაოს ხელეჩოთი ძვლები დაამსხვრია, რადგან ტვინის ჭამის უფლება მარტო მას ჰქონდა და მორჩენილი ხორცი ქალ-ბალღებს ორი დღის სამყოფად გადაუნახა.

მაშინ იგრძო, რომ მალე ნამცეციც არ დარჩებოდა გემრიელი საკვებისაგან და გაიფიქრა: „ზევსს უყვარს მდიდრები და არა – ღარიბები. მე ალბათ, ჩემდა უნებურად, რომელიღაცა ღმერთი გავანაწყენე. ისინი ხომ ფარულად ბინადრობენ ტყეებსა და მთებში ანდა იქნებ, მავანი უკვდავი ღმერთის შვილს მოვექეცი უპატიებლად. ალბათ, ამ ცოდვის გამოსასყიდად მივათრევ ასეთ უღირს სიბერესაც. ზოგჯერ ავი განზრახვის გარეშე შევცოდავთ ხოლმე, რადგან ღმერთებმა ადამიანებს ნათლად როდი გამოგვიცხადეს რისი ნება გვაქვს და რისი – არა. მართლაც, შეუცნობელია სურვილი ღმერთებისა. დიდხანს უტრიალებდა გონებაში ეს ფიქრები და იმის შიშით, ულმობელი შიმშილი კვლავ არ სწვეოდა, გადაწყვიტა სახლში, ბნელ ღამესთან უქმად არ მჯდარიყო და ამჯერად იმ მხარეს წასულიყო, სადაც მდინარე ჰერმოსი კლდეთა არტახებს მიარღვევს და საიდანაც თვალს მოგტაცებთ ორნეა. სმირნა და თეთრი ჰისია, შეფენილნი იმ მთაზე, რომელსაც ფინიკიელთა გემივით ცხვირი ზღვაში ჩაუყვინთავს. და აი, როცა ფერმკრთალ ცაზე პირველი ვარსკვლავები აციმციმდნენ, ქნარი მხარზე გადაიკიდა და ზღვის ნაპირს მდიდართა სამოსახლეობისკენ გაუყვა. მდიდრებს მოსწონთ, მრავალდღიანი ნადიმობისას, გმირთა სახოტბო და ღმერთთა წარმომავლობის შესახებ სიმღერების მოსმენა.

მთელი ღამე ჩვეულებრისამებრ იარა და როცა აისმა ვარდისფრად გაანათა არემარე, მაშინ დაინახა მაღალ კონცხზე შემოსკუპული ქალაქი და იცნო დიდებული ჰისია, მტრედების საბუდარი, ქალაქი, მაღალი კლდის ქიმიდან რომ გადმოჰყურებს თვალწარმტაც ზღვაში ნიმფებივით მონებივრე ქათქათა კუნძულებს. ქალაქის შორიახლოს ჩამოისვენა, სულის მოსათქმელად შადრევნის პირას ჩამოჯდა, ტუნიკის ჯიბით შინიდან გამოყოლილი ხახვით რომ დანაყრებულიყო.

ის-ის იყო დანაყრდა, როცა თავზე ხახალშემოდგმული ვიღაც უცნობი ქალიშვილი თეთრეულის გასარეცხად შადრევანს მიუახლოვდა. ქალმა ჯერ უნდობლად შეხედა, მერე კი, როცა მის წინ დაძონძილ ტუნიკაზე ქნარგადაკიდებული, ქანცგამოცლილი ბერიკაცი იხილა, უშიშრად მიუახლოვდა და, უნებურად, სიბრალულითა და კრძალვით გულაჩუყებულმა, მუჭა წყლით აივსო

და ბერიკაცის ბაგეებს გასაგრილებლად მიაპკურა. მოხუცმა მას მეფის ასული უწოდა, დღეგრძელობა უსურვა და უთხრა:

– ქალწულო, ოცნებათა ლაშქარი შემოგრტყმია ირგვლივ, და ბედნიერი იქნება ის მამაკაცი, ვის სარეცელსაც გაიზიარებ. მე კი, ბერიკაცი, ქებას მივუძღვნი შენს სილამაზეს, იმ ღამის ფრინველივით, რომელიც ძალ-ღონეს არ იშურებს, რათა მარად იგალობოს მეუღლეთა სახლის ბანზე. მე მოხეტიალე მგოსანი ვარ. ასულო, გამაგონე შენი ტკბილი ხმა.

ქალიშვილმა მიუგო:

– დიახ, ვხედავ, როგორც ამბობ და როგორც გეტყობა, ქნარზე დამკვრელი ხარ. მაშ, იღბალს ამ ქალაქში ბედნიერ ფეხზე მოუყვანიხარ, რადგან მდიდარ მეგესი დღეს მისთვის ძვირფას სტუმარს მასპინძილობს და სტუმრის ღირსეულად დასახვედრად, ქალაქის წარჩინებულთათვის დიდ წვეულებას მართავს. ალბათ მოიწადინებს მისმა სტუმრებმა მგოსანსაც მოუსმინონ. წადი მასთან, აქედანაც მოჩანს მისი სახლ-კარი. ზღვით ვერ მიუდგები, რადგან, აი, იმ მაღალ მთაზე მდებარეობს, ნაპირებს ტალღები რომ ულოკავს და თავზე მხოლოდ თოლიები დაჰფრინავენ. მაგრამ თუ ხმელეთიდან მოკირწყლულ კიბეს აუყვები, ზვრებით დაფარულ გორაკებს შეამჩნევ და სხვა სახლებისგან გამორჩეულ ემგასის სახლს ადვილად იცნობ.

მოხუცმაც გაშეშებული მუხლები გამართა და უხსოვარი დროის წინაპართა ხელით კლდეში ნაკვეთ კიბეს აუყვა, და როცა ზეგანზე აღმართულ ქალაქს ჰისიას მიადგა, ადვილად იცნო მდიდარი მეგესის სახლ-კარი.

მოხუცს მყისვე სასიამოვნო განცდა დაეუფლა, რადგან ახლად ყელგამოღადრული ზვარაკის სისხლი გარეთ ნაკადულივით მოჩქეფდა, ირგვლივ კი ცეცხლზე აშიშხინებული ქონის სურნელება იფრქვეოდა. ზღურბლს გადააბიჯა, სადღესასწაულო ფართო დარბაზში შევიდა, საკურთხეველს ხელი შეახო და მიუახლოვდა მეგესს, რომელიც თავის მსახურებს ბრძანებას აძლევდა და ხორცს ჭრიდა. სტუმრებს უკვე მოეყარათ თავი კერიასთან და უხვი სასმელ-საჭმლის მოლოდინში ერთობოდნენ. მათ შორის ბევრი მეფე და გმირი იყო. თუმცა მთავარი სტუმარი, ვის პატივსაცემადაც მეგესი წვეულებას მართავდა, კიოსის მეფე იყო, რომელმაც სიმდიდრის მოსახვეჭად დიდხანს იცურა ზღვებზე და ხელთ უხვი ნადავლიც იგდო. მას უანეუსი ერქვა. სტუმრები უანეუსს აღტაცებით შესცქეროდნენ, რადგან, როგორც ოდესღაც ბრძენთაბრძენ ულისეს, მასაც მრავალი ქარიშხლისთვის დაეღწია თავი, კუნძულებზე ჯადოქრებთანაც გაეზიარებინა სარეცელი და განძიც მოუხვეჭავს. ის ჰყვებოდა თავგადასავალს, თავის ფათერაკებს და რადგან განგებას მახვილი გონებით დაეჯილდოებინა, მონათხრობს ზღაპრებითაც ამკობდა.

მდიდარმა მეგესმა მხარზე ქნარგადაკიდებული მგოსანი შენიშნა და მიმართა:

– კეთილი იყოს შენი მობრძანება. აბა, რას გვიმღერებ, რა იცი?

ბერიკაცმა უპასუხა:

– მე გიმღერებთ სიმღერას მეფეთა ომზე, დიდი უბედდურება რომ მოუტანა ათენს. მე ვიცი სიმღერა კედლის ალყაზეც. ლამაზი სიმღერაა. ვიცი აგრეთვე სიმღერა იმაზე, თუ როგორ მოატყუეს ზევსი, ელჩობაზეც ვიცი და მიცვალებულთა მოტაცებაზეც. ესენიც ლამაზი სიმღერებია. ასევე ვიცი ექვსჯერ სამოცი ძალზე მშვენიერი სიმღერა.

ბერიკაცი ასახელებდა ბევრ სიმღერას, რომელიც მან იცოდა, მაგრამ რომელთა რაოდენობაც მას არ ახსოვდა.

მდიდარმა მეგესმა დამცინავად ჩაიქირქილა:

– მოხეტიალე მგოსნები გემრიელი ტრაპეზისა და უხვი საჩუქრების მოლოდინში მუდამ იქადნიან, რომ ბევრი სიმღერა იციან; თუმცა ირკვევა ხოლმე, რომ ცოტა თქმულება თუ იციან, რასაც მუდმივად იმეორებენ და მეფეთა და გმირთა ყრუთასმენას ღლიან.

– მეგეს, შენ შენი სიმდიდრით ხარ განთქმული; მაშ, იცოდე, რომ იმდენი სიმღერა ვიცი, რამდენ ხარსა და უშობელსაც მწყემსავენ მთაზე შენი მენახირეები.

მეგესი მოხიბლა მოხუცის გონებამახვილობამ და ტკბილი ხმით უთხრა:

– დიდი გონიერება უნდა ამდენი სიმღერის დამახსოვრებას. მაგრამ, აბა, თუ მეტყვი: აქილევსსა და ოდესევსზე რაც იცი, ის მართალია? უამრავ სიცრუეს ჰყვებიან ამ გმირებზე.

მგოსანმა მიუგო:

– რაც ამ გმირებზე ვიცი, მამაჩემისგან გამიგონია, მამაჩემს კი თვით მუზებმა ჩააგონეს ისინი, რადგან უხსოვარ დროს უკვდავი მუზები ღვთაებრივ მგოსნებს მღვიმეებსა და ტყეებში ეწვეოდნენ ხოლმე; მე არასოდეს ვურევ ერთმანეთში ზღაპრებსა და უძველეს თქმულებებს.

მოხუცი ლაპარაკის დროს სიფრთხილეს იჩენდა, რადგან ჩვევად ჰქონდა, ბავშვობაში ნასწავლი სიმღერებისათვის თავისი შეთხზული ან სხვა სიმღერებიდან გადმოღებული ლექსებიც დაერთო. იგი თავიდან ბოლომდე თვითონ თხზავდა სიმღერებს, თუმცა ამას არ ამხელდა, შიში ჰქონდა, არ ეფიქრათ, თითქოს ერთსა და იმავეს იმეორებს. გმირები ამჯობინებდნენ და ითხოვდნენ უძველესი, თვით ღმერთების ნაკარნახევად მიჩნეული თქმულებების მოსმენას. ისინი ახალ სიმღერებს არ ენდობოდნენ და ამიტომაც საკუთარ ლექსებს რომ მღეროდა, მგოსანი გულმოდგინედ მალავდა მათ წარმომავლობას და რადგან ის ძალზე კარგი პოეტი იყო და დადგენილ წესებსაც არ არღვევდა, მისი ლექსები არაფრით ჩამოუვარდებოდა წინაპართა ნათქვამ ლექსებს, არც ლამაზი ფორმით, არც შინაარსით და შექმნისთანავე მარადიულ ქებას იმსახურებდნენ.

მდიდარ მეგესს ჭკუა-გონება არ აკლდა. მიხვდა, რომ ბერიკაცი კარგი მგოსანი იყო, კერასთან საპატიო ადგილი მიუჩინა და უთხრა:

– ბერიკაცო, როცა შიმშილს დავიოკებთ, აქილევსისა და ულისეს ამბავი გვიმღერე. ვნახოთ, რა იცი მათ შესახებ. შეეცადე, უანეუსის, ჩემი სტუმრის, ყურთასმენა მოხიბლო. ის ბრძენთა ბრძენი გმირია.

ამ უანეუსმაც, ვისაც დიდხანს ეხეტიალა ზღვაში, ქნარზე მომღერალ მგოსანს ჰკითხა, თუ რა იცოდა ოდისევსის მოგზაურობის შესახებ. თუმცა ტროას კედლებთან მებრძოლი გმირების დაბრუნების ამბავი ჯერ ისევ ბურუსით იყო მოცული და არავინ უწყოდა, რომ ოდისევსი უკიდეგანო ზღვის სივრცეში დაეხეტებოდა.

მოხუცმა უპასუხა:

– მე ის ვიცი, რომ ბრძენი ოდისევსი ცირცეს შეუწვა ლოგინში და გამჭრიახი ეშმაკობით გააცურა ციკლოპი. ქალები ოდისევსის შესახებ ერთმანეთს ზღაპრებს უყვებოდნენ, მაგრამ გმირის ითაკაში დაბრუნება მგოსნებისათვის დაფარულია. ერთნი ამბობენ, თითქოს მან თავისი ცოლი და ქონება დაიბრუნა, მეორენი დასძენენ, რომ მან გააგდო პენელოპე, რადგან ქმრის სარეცელი სხვა საქმროებს გაუზიარაო; თვითონ ოდისევსი კი ღმერთებმა დასაჯეს და ხალხიდან ხალხში შეუსვენებლივ მხარზე ნიჩაბგადებული დაეხეტებაო.

უანეუსმა უპასუხა:

– მოგზაურობისას გამიგონია, თითქოს ოდისევსი მოკვდა, საკუთარმა ძემ მოუსწრაფა სიცოცხლეო.

ამასობაში მეგეოსი სტურმებს ხარის ხორცს ურიგებდა, თითოეულ წვეულს შესაფერის ნაჭერს ურჩევდა, უანეუსს კი დიდ წილს სთავაზობდა.

– მეგეს, – უთხრა უანეუსმა, – როგორც გატყობ, წესად გაქვს წვეულებების გამართვა.

მეგესის ხარ-ძროხა მთათა კალთების ნოყიერ და სურნელოვან ბალახს ძოვდა, გემრიელი და საამო საყნოსავი იყო მათი ხორცი და ამიტომაც ვერ ძღებოდნენ გმირები მისი ჭამით. ვინაიდან მეგესი ყოველ წუთს ღვინით ავსებდა ღრმა თასს, რომელსაც შემდეგ თავის სტუმრებს გადააწოდებდა ხოლმე, ქეიფმა დაღამებამდე გასტანა, არავის ახსოვდა ასეთი საუცხოო ნადიმი.

მზე ზღვაში ჩასასვენებლად ემზადებოდა, როდესაც მენახირეები, მთებზე მეგესის ჯოგებს რომ მწყემსავდნენ, თავიანთი წილი ხორცისა და ღვინის მისაღებად მოვიდნენ. მეგესი მათ დიდად აფასებდა, რადგან ისინი მეველე მენახირეებს კი არ ჰგავდნენ, ჯოგებს რომ მხოლოდ გამორჩენის მიზნით მწყემსავდნენ, არამედ ხარებს აზიელთა თავდასხმებისგან ფარ-შუბით შეიარაღებულნი და აბჯარასხმულები იცავდნენ. სიმამაცით ისინი მეფეებსა და გმირებს არ ჩამოუვარდებოდნენ. მათ ორი წინამძღოლი ჰყავდათ: ჰეროსი და თოასი. პატრონმა ისინი გონიერებითა და სიმამაცით ყველასგან გამოარჩია. მართლაც, არავინ იყო მთელ დუნიაზე ასეთი ორი მშვენიერი ვაჟკაცის მნახველი. მეგესი მათ თავის ჭერქვეშ ისე შეხვდა, როგორც მისი ქონების სახელოვან დამცველებს და უხვად უთავაზა ღვინო და ხორცი.

უანეუსი შემოსწრებულებით მოიხიბლა და მასპინძელს მიმართა:

– ბევრი მიმოგზაურია და ამ ორი მწყემსის შესადარი მხარბეჭი, ძალ-ღონე და აღნაგობა არსად მინახავს.

ამის საპასუხოდ მეგესმა საბედისწეროდ წამოროშა:

– ჰეროსი შეუპოვარია ორთაბრძოლაში, თოასი კი უფრო ფეხმარდია.

ამ სიტყვებზე მენახირეებმა ერთმანეთს შეუბღვირეს. თოასმა პეროსს შეუძახა:

– ალბათ ჩვენს პატრონს სასმელი მოეძალა, რამაც ჭკუაზე შეშალა. მაშ, რამ ათქმევინა, რომ ორთაბრძოლაში მჯობიხარ.

პეროსმა კი თოასს ბრაზით მიუგო:

– მე მართლაც ვამაყობ იმით, რომ ორთაბრძოლაში გიგებ. სირბილში კი პირველობის ჯილდოს გითმობ, პატრონმა რომ მოგანიჭა, რადგან რა გასაკვირია, ირმის გულის პატრონს მუხლებიც ირმისა გქონდეს.

წინდახედულმა უანეუსმა მწყემსების დავა შეარბილა. მან ბრძნული იგავების მოყოლა დაიწყო, რითაც ლხინის დროს მუშტი-კრივის საფრთხეზე მიანიშნა. რადგან კარგად ყვებოდა, ყველამ მოიწონა მისი ნათქვამი და როცა კვლავ სიმშვიდემ დაისადგურა, მეგესმა ბერიკაცს მიმართა:

– გვიმღერე, მეგობარო, აქილევის რისხვისა და მეფეთა თავყრილობის ამბავი.

მოხუცმაც ქნარი მომართა და მისი ძლიერი ხმის ელვარებამ დარბაზის დახშული ჰაერი გააპო.

მისი მკერდიდან სუნთქვის ქარიშხალმა დაქროლა. ბერიკაცის ტკბილხმოვანებამ, რომელიც წარსული დროის ღირსახსოვარ წლებს აცოცხლებდა, სტუმრები სმენად აქცია. ბევრი მათგანი გაოცებას ვერ მალავდა: „საოცარია, როგორ ამოსდის მკერდიდან ასეთი ძლიერ ხმა წლებით გამოფიტულ ბერიკაცს, რომელიც გამხმარი ვაზის კერტივით აღარც გაიფურჩქნება და აღარც ნაყოფს გამოისხამს“.

დროდადრო, სახოტბო შეძახილები ტყეებში მონავარდე მძაფრი ზეფირივით გადაუქროლებდა მომლხენთა დარბაზს. და აი, უეცრად, ორი მენახირის დროებით მიყუჩებულმა კინკლაობამ კვლავ მძაფრად იფეთქა. ღვინომოძალებულები ერთმანეთს ორთაბრძოლასა და სირბილში გამოსაცდელად იწვევდნენ. მათი გახელებული ღრიალი ახშობდა ბერიკაცის ხმას, რომელიც ამაოდ ცდილობდა თავისი ქნარისა და თავისი ბაგეების ჰარმონიული, უძლიერესი მჟღერი ბგერებით თავშეყრილთა გნიასი გადაეფარა. პეროსისა და თოასის თანმხლები ღვინით გალეშილი მწყემსები ერთმანეთს მუშტებს უღერებდნენ და ტახებივით ღრუტუნებდნენ. დიდი ხანია, მათაც მეტოქეობა ჰქონდათ ერთმანეთში და თავიანთი წინამძღოლების მტრობას იზიარებდნენ.

– ძაღლო! – შეჰყვირა თოასმა.

მან პეროსს სახეში სთხლიშა მუშტი და ცხვირ-პირიდან სისხლი ჩქეფად ადინა. დაბრმავებულმა პეროსმა თოასს მკერდში თავი ატაკა, ზურგზე დასცა და ნეკნები ჩაუმტვრია. მეტოქე მენახირეები სწრაფად წამოხტნენ და ერთმანეთს კვლავ ლანძღვა-გინებით ეძგერნენ.

მეგესი და მეფენი ამაოდ ცდილობდნენ გაშმაგებულთა გაშველებას. თვით ჭკვიანი უანეუსიც კი წაიგდეს მორკინალმა მენახირეებმა. მათთვის რომელიღაცა ღმერთს ჭკუა-გონების ნატამალიც კი წაერთმია. ოთხივე მხრიდან ჰაერში დაფრინავდნენ სპილენძის თასები. მოჩხუბრების თავზე ილეწებოდა ხარის მსხვილი ძვლები, აალებული მუგუზლები, ბრინჯაოს ზედადგრები. მამაკაცთა აჩეხილი სხეულები ეყარა ცეცხლში, რომელსაც დამსკდარი რუმბებიდან გადმოღვრილი ღვინო აქრობდა.

ღრმა უკუნეთში გახვეულიყო დარბაზი, სადაც გაისმოდა გინება ღმერთების მისამართით და დაჭრილთა კვნესა. ვიღაცის გაავებული მკლავები ცხელ კუნძს დასწვდა და სიბნელეში ისროლა. ერთი გავარვარებული ნაკვერჩხალი შუბლზე მოხვდა ფეხზე მდგომ დამუნჯებულ, გარინდებულ მგოსანს.

მაშინ ყველა ბრძოლის ხმაზე უფრო ძლიერი ხმით, მან შეაჩვენა ეს დაწყევლილი სახლი და ეს ღმერთგამწყრალი ადამიანები. შემდეგ ქნარი გულში ჩაიკრა, სახლიდან გავიდა და ზღვისკენ, მაღალი კონცხის მიმართულებით გაემართა. მის რისხვას თან ერთვოდა ძლიერი გადაღლილობა და განცდა იმისა, თუ რა მწარე იყო სიცოცხლე და ადამიანად ყოფნა.

მის სულში ღმერთებთან შეერთების წყურვილის ალი გიზგიზებდა. საამო სიგრილე, მეგობრულად მოალერსე მდუმარება და ღამის მყუდროება დაუფლებოდა ირგვლივეთს. დასავლეთით, იმ მხარეში, სადაც, როგორც ამბობენ, მიცვალებულთა აჩრდილები დაფარფატებენ, კრიალა ცაზე დაკიდული ღვთაებრივი მთვარე ვერცხლისფერ ყვავილებს აფენდა მომღიმარ ზღვას. მოხუცი ჰომეროსი მაღალი კონცხის წვერს ელტვოდა იქამდე, სანამ დედამიწამ, რომელმაც ასე ხანგრძლივად თავისი ზურგით ატარა, ფეხქვეშ საყრდენს არ გამოაცლიდა.

ფრანგულიდან თარგმნა
ბელა წვერაძემ

კურტ ტუხოლსკი

კურტ ტუხოლსკი, გერმანული სატირულ-პოლიტიკური ლიტერატურის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი, 1890 წელს დაიბადა ბერლინში. აღზრდილი ბურჟუაზიულ გარემოში, სწავლობდა იურისპრუდენციას იენის უნივერსიტეტში. 1921 წლიდან ცხოვრობდა ძირითადად საფრანგეთსა და შვეიცარიაში, სადაც ის დასახლდა როგორც ემიგრანტი 1933 წელს (თვითმკვლელობა 1935 წელს ჰინდასში, გეტემბორგის მახლობლად). მისი მწვავე სატირა მიმართულია იმდროინდელ ოფიცერთა რეაქციული კასტის, მეშჩანური იდეოლოგიის, რასობრივი სიძულვილისა და აღზევებული ფაშიზმის წინააღმდეგ („5 პოსტსკრიპტუმი“, 1927; „მონა ლიზას ღიმილი“, 1929; „გერმანია, გერმანია, უპირველეს ყოვლისა“, 1929). თავის სატირულ-პოლიტიკურ ნაწარმოებებთან ერთად ტუხოლსკი ქმნიდა აგრეთვე გონებამახვილურ ნატიფ იდილიებს (wtzig-zerte Idyllen, Rheinsberg, რაინსბერგი), საბავშვო წიგნი (დასურათხატებული შეყვარებულთათვის, 1912); „კოშკი გრიფსჰოლმი“ (1931), რომლებშიაც გამოხატულება ჰპოვა მისმა ტიპურმა ბერლინურმა იუმორმა.

როგორ ჩნდებიან ყველში ნახვრეტები?

როცა საღამოს საზოგადოება უნდა შეიკრიბოს, მანამდე ბავშვები უნდა გამოიკვებონ. მათთვის იმის მოსმენა, თუ რაზე საუბრობენ უფროსები, არ არის საჭირო, – უხერხულიცაა და წესიც თავისას მოითხოვს. მაგიდაზე ბუტერბროდებია, დედა ცოტა ტკბილეულს უმატებს, მამა კი ჯერ არ მოსულა.

„დედიკო, სონიამ თქვა, რომ უკვე მოწევის უფლება აქვს – აქამდე ხომ ეს აკრძალული ჰქონდა“, – „მაგიდასთან ლაპარაკი არ შეიძლება“. – „დედიკო, ერთი შეხედე, ნახვრეტებს ყველში!“ – ერთდროულად ორი ბავშვის ხმა: „ტობი ხომ სულელია! ყველში ყოველთვის არის ნახვრეტები!“ მოზარდის ტირილნარევი ხმა: „კი, არის – მაგრამ, რატომ? როგორ ჩნდება ნახვრეტები ყველში?“ – „მაგიდასთან ლაპარაკი მიღებული არ არის!“ – „მე კი მინდა ვიცოდე, როგორ ჩნდებიან ყველში ნახვრეტები!“ – პაუზა. დედიკო: „ნახვრეტები... ყველს ხომ ყოველთვისა აქვს ნახვრეები“. – „დედიკო! შეხედე, ამ ყველს საერთოდ არა აქვს ნახვრეტები! ამ ყველმა რა დააშავა? იმ ყველს კი ნახვრეტები აქვს!“ – „ბოლოს და ბოლოს, გაჩუმდი და ჭამე. მე უკვე ასჯერ გითხარი, რომ ჭამის დროს არ ლაპარაკობენ! ჭამე“. – „უუუ...! მე კი მინდა გავიგო, საიდან ჩნდებიან ყველში... აუ, სულ მუჯლუგუნები“. გაისმის „ვაი!“ შემოდის მამა.

„რა ხდება აქ? საღამო მშვიდობისა!“ – „ოჰ, ამ ბავშვის უზრდელობამ შემჭამა!“ – „სრულიადაც არა ვარ უზრდელი. უბრალოდ, მსურს ვიცოდე, როგორ ჩნდებიან ყველში ნახვრეტები. ამ ყველს ნახვრეტები აქვს, სხვებს კი – არა!“ მამა: „კარგი, ამის გულისთვის სულ არ არის საჭირო ამდენი ბუზღუნი! დედიკო ყველაფერს აგიხსნის!“

დედა: „ახ, შენ ამ ყმაწვილს ამართლებ კიდეც! მაგიდასთან საკვების მიღებაა საჭირო და არა ლაპარაკი!“ – „თუ ბავშვი რამეს იკითხავს, ხომ შეიძლება რომ გასაგებად აუხსნა?! მე ასე მგონია“. – დედა: „ყველაფერზე ბავშვების თანდასწრებით ლაპარაკი! მე რომ საჭიროდ ვთვლიდე ამის ახსნას, უკვე ავუხსნიდი. ჰე, დააყენე ჭამას საშველი!“ – „მამიკო, არა მაქვს იმის გაგების უფლება, საიდან ჩნდებიან ყველში ნახვრეტები?!“ – მამა: „ნახვრეტები ყველში ჩნდებიან მისი დამზადებისას; ყვეალს აკეთებენ კარაქისა და რძისაგან; ამ დროს მათ ადუღებენ და ამით ის ტენიანი ხდება; შვეიცარიაში ამას შესანიშნავად ახერხებენ; როცა დიდი გაიზრდები, შვეიცარიაში ერთად წასვლას შევძლებთ, იქ მთები სიმაღლის გამო მარადიული თოვლით არიან დაფარულნი. საოცარია, არა?“ – „ჰო. მაინც, მამიკო, როგორ ჩნდებიან ყველში ნახვრეტები?“ – „მე ხომ ეს ამწუთას აგიხსენი; ისინი წარმოიშვებიან დამზადებისას, როცა ის ამოჰყავთ“. „კი მაგრამ... როგორლა ჩნდებიან ისინი იქ სრულიად უარაფროდ, ეს ნახვრეტები?“ – „ბიჭო, ნუ გამიხვრიტე ტვინი შენი ნახვრეტებით, წადი, დაიძინე! ნაბიჯით იარ! უკვე გვიანია!“ – „არა, მამიკო, ჯერ არა! ამიხსენი მხოლოდ, საიდან ჩნდებიან ყველში ნახვრეტები...“

ბუმ! კისერში წარტყმა. წარმოუდგენელი ბღავილი. ზარის ხმა.

ძია ადოლფი: „საღამო მშვიდობისა! სალამი, მარგო, სალამი. აბა, როგორ გიკითხოთ? რას იქმან ბავშვები? ტობი, რა ვაი-უშველებელი დაგემართა?“ – „მე მინდა გავიგო...!“ – „ჰმ, უნდა გაიგოს...“ – „მოკლედ, გაუშვი ეს ყმაწვილი დასაძინებლად და მომასვენე ამ სისულელეებისაგან! წამო, ადოლფ, სამუშაო კაბინეტში გავიდეთ, სანამ აქ მაგიდას გააწყობენ“. – ძია ადოლფი: „ღამე მშვიდობის, ღამე მშვიდობის, გამოუსწორებელო მყვირალავ! შეისმინე, რასაც ერთხელ გეტყვიან!.. რა სჭირს ამ ბავშვს?“ – „მარგომ ვერაფერი მოუხერხა – ბიჭს უნდა გაიგოს, როგორ ჩნდებიან ნახვრეტები ყველში, დედამ კი ეს ვერ აუხსნა“. – „და შენ ეს ვერ აუხსენი?“ – „ავუხსენი, რა თქმა უნდა“. – „გმადლობთ, მე აღარ ვეწევი. ერთი მითხარი, თუ იცი, როგორ ჩნდებიან ნახვრეტები?“ – „ოჰ, ეს ხომ თავშესაქცევი კითხვაა: რა თქმა უნდა, ვიცი, როგორ ჩნდებიან ყველში ნახვრეტები: ისინი წარმოიშვებიან დამზადებისას სინესტის ზემოქმედებით... ეს ხომ სრულიად მარტივია!“ – „ეჰ, ჩემო ძვირფასო. ისე აგიხსნია, უკეთესს რომ ვერ მოიფიქრებს კაცი. ამას ხომ ახსნა არ ჰქვია!“ – „ნუ გეწყინება, მაგრამ კომიკურად გამოიყურები! შენ თუ შეგიძლია, ამიხსნა, როგორ ჩნდებიან ყველში ნახვრეტები?“ – „შემიძლია, მადლობა ღმერთს“. – „მაშ, გთხოვთ“. „ყველში ნახვრეტების არსებობის მიზეზი არის კაზეინი,[1] რომელსაც ყველი შეიცავს“. – „ეს ხომ სისულელეა“. – „ეს სისულელე სულაც არ გახლავთ“. – „კარგა მაგარი სისულელეა; კაზეინს ხომ საერთო არაფერი აქვს... საღამო მშვიდობის, მარტა“, – „საღამო მშვიდობის, ოსკარ... დაბრძანდით, გეთაყვა. როგორ გიკითხოთ?.. საერთო არაფერი აქვს!“

„რის შესახებ კამათობთ?“ – მამა „ღვთის გულისათვის, ოსკარ! შენ ხომ სწავლობდი და ადვოკატი ხარ. აქვს რამე საერთო კაზეინს ნახვრეტებთან ყველში?“ – ოსკარი: „არა. ყველი ნახვრეტებში... მე მინდოდა მეთქვა: ნახვრეტები ყველში წარმოიშვებიან იმის გამო... მაშასადამე, ისინი წარმოიშვებიან, რადგანაც დუღილის დროს ტემპერატურის გავლენით ყველი ძალზე სწრაფად ფართოვდება“. აგრესიულ მოკავშირეებად მოულოდნელად ქცეული რაინდების – მამისა და ძია ადოლფის ხარხარი: „ჰაჰა! ჰაჰაჰა! შესანიშნავი განმარტებაა. კარგ გუნებაზე დაგაყენებს. ყველი ფართოვდება! გაგიგონია ამისთანა? ჰაჰა!..“

შემოდიან ძია სიგიზმუნდი, დეიდა ჯენი, დოქტორი გუგენჰაიმერი და დირექტორი ფლაკელანდი. საყოველთაო მიკითხვ-მოკითხვა... „როგორ მიდის საქმეები? ...ჩვენ ვსაუბრობდით... ერთობ კომიკურია... სახელდობრ ნახვრეტებზე ყველში!.. ამ წუთას შეიჭამა... მაშ, ძვირფასო, იქნებ შენ აგვიხსნა ეს!“

ძია სიგიზმუნდი: „შემდეგნაირად... ყველში ნახვრეტები ჩნდებიან იმის გამო, რომ ფერმენტაციის დროს ყველ სიცივის გამო იკუმშება.“ – „ო-ჰო-ჰო-ჰო! სიცივისაგნ! ერთხელ მაინც თუ გინახავთ ვინმეს ცივი ყველი? რა კარგია, რომ თქვენ არა ხართ ყველის მწარმოებელი, ბატონო აპოლანტ! სიცივისაგან! ჰა-ჰა!“ – ნაწყენი ძია სიგიზმუნდი კუთხეში შეიყუჟა.

დოქტორი გუგეჰაიმერი: „ამ საკითხის გადაწყვეტისათვის საჭიროა ამიხსნათ, რომელ ყველზეა საერთოდ საუბარი. ეს ხომ საკუთრივ ყველზეა დამოკიდებული!“ დედა: „ემენტალერზე![2] გუშინ ვიყიდეთ... მარტა, მე უკვე ყოველთვის დანცელთან ვყიდულობ, მიშევსკის[3] პროდუქცია აღარ მაკმაყოფილებს, ამას წინათ ქიშმიშებით „დაამშვენა“, რომლებიც სულ...“ დოქტორი გუგენჰაიმერი: „მაშასადამე, თუ ეს ემენალერი იყო, საქმე ძალზე მარტივად წყდება. ემენტალერს ნახვრეტები აქვს, რადგანაც ის მკვრივი ყველია. მკვრივი ყველის ყველა სახეობას ნახვრეტები აქვს.

დირექტორი ფლაკელანდი: „ბატონებო, ამ საკითხის გადასაწყვეტად ხომ პრაქტიკული საქმიანობის ადამიანია საჭირო... აქ მყოფნი ხომ, ძირითადად, უმაღლესი განათლების მქონენი არიან (არავის უცდია ამის უარყოფა), მაშასადამე, ყველში ნახვრეტები დუღილის პროცესში დაშლის შედეგად წარმოიშვებიან. დიახ. ყველი... ყველი სწორედაც რომ იშლება... იმიტომ, რომ იგი...“ საზოგადოება ფეხზე წამოდგა, ამოვარდა ქარიშხალი. „ტრაკო! ეს მეც ვიცი! ქიმიური ფორმულები არ წყვეტს საქმეს!“ ვიღაცის ძლიერი ხმა: „ნუთუ თქვენ ლექსიკონი არა გაქვთ?“

---

[1] კაზეინი – რძის დალექილი ცილა მისი აჭრა-ამჟავებისას; ხაჭოს შემადგენელი ნაწილი, რომელიც მიიღება მოხდილი რძიდან მჟავების ზემოქმედებით და ფერმენტაციის (დუღილის) შედეგად, გამოიყენება საღებავების, პლასტიკური მასების (მაგ., გალალიტის), წებოების, ლაკების (კოსმეტიკა) და სხვათა წარმოებაში.

[2] ემენტალერი, ჰოლანდიური – ყველის სახეობები.

[3] დანცელი, მიშევსკი – სასურსათო მაღაზიების მფლობელები.

ბიბლიოთეკის შტურმით აღება. ჰეიზე,[1] შილერი, გოეთე, ბიოლშე,[2] თომას მანის ძველი პოეტური კრებული – სადღაა... აჰა, არის!

* * *

საეკლესიო კათედრა, კაპიტალი, გადასახადი კაპიტალისგან შემოსავლზე. მსხვილი საფანტი, წითელი პარასკევი, ყველი![3] – „დამაცადე! თუ კაცი ხარ, წადი აქედან! პარდონ!“

მაშასადამე: „ყველის ზოგიერთი სახეობის ხვრეტილები ჩნდება დოს შემცველი შაქრისაგან ნახშირმჟავის წარმოქმნით“. ყველანი ერთხმად: „ნამდვილად ასეა. განა ამას არ ვამბობდი მე? ... „შეიცავს დოს და არის...“ დანარჩენი რაღა იქნა? მარგო, შენ ამოხიე ფურცელი ლექსიკონიდან? ეს ხომ წარმოუდგენელია – წიგნების კარადის ჩაკეტვა არ არის საჭრო? – ასჯერ მაქვს შენთვის ნათქვამი – ჩაკეტე გასაღებით“. – ეჰ, გავანებოთ ამას თავი: რა ეწერა, მაშასადამე? თქვენი ახსნა-განმარტება არასწორი იყო. ჩემი – სწორი“. – „თქვენ თქვით, რომ ყველის ტემპერატურა კლებულობს – მე ვთქვი, რომ ყველი ცხელდება“. – „თქვენ ხომ არაფერი გითქვამთ დოს ნახშირმჟავის შესახებ, რომელსაც იგი შეიცავს“. – „რაც თქვენ თქვით, სრული უაზრობაა!“ – „რა გესმის შენ ყველის? შენ ხომ თხის ყველს ნამდვილი ჰოლანდიური ყველისაგან ვერ გაარჩევ!“ – „ადვილი შესაძლებელია, რომ ნამდვილი ჰოლანდიური ყველი მე მეტი მქონდეს შესანსლული, ვიდრე შენ!“ – „ნუ იფურთხები, როცა ჩემთან ლაპარაკობ!“ ამ დროს ყველა ერთად ალაპარაკდა. რას არ გაიგონებდით:

– „გეთაყვა, თუ არ შეწუხდები, მოიქეცი წესიერად, როცა ჩემთან სტუმრად იმყოფები!..“ – „არავითარი მითითებები!“ – „შვეიცარულ ყველზე, კი ბატონო! ემენტალერზე – უკაცრავად!“ – „შენ აქ შინ არა ხარ! აქ ღირსეული ადამიანები არიან შეკრებილნი... მაინც სად? შენ ამ სიტყვებს ახლავე უკან წაიღებ! მე არ დავუშვე ჩემს სახლში ჩემი სტუმრების შეურაცხყოფას! ახლავე დატოვე სახლი!“ – „მოხარული ვიქნები, როცა გარეთ აღმოვჩნდები – შენი სალაფავი მე არ მჭირდება!“ – „შენ ჩემი სახლის ზღურბლს ვეღარ გადმოაბიჯებ!“ – „ბატონებო, ეს უკვე...!“ – „თქვენ კი საერთოდ დაკეტეთ თქვენი სანთქავი – თქვენ ოჯახის წევრი არ ხართ!..“ – „მდა-ა-ა, ეს უკვე მეტისმეტია!“ – „მომისმინეთ, ჩვენ ვიმყოფებით ომის მდგომარეობაში ყველის გამო“. – „ეს არ არის შერიგების საფუძველი! ჩემთვის ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და ეშმაკსაც წაუღიხარ! თქვენი ქცევა ჩვენ მიმართ შეუწყნარებელია და როდესაც მე ამ ქვეყანას დავტოვებ, შენ ჩემს სახლში არ შემოაბიჯებ!“ – „მემკვიდრეობის მაძიებელო!“ – „როგორია? ამას მოფიქრება უნდა!“ – „და მე ამას ვამბობ ხმამაღლა, ყველამ რომ გაიგონოს: მემკვიდრეობის მაძიებელო! დიახ! ახლა კი წადი და მიჩივლე!“ – „თავხედი! პირწავარდნილი თავხედი! რაა გასაკვირი ასეთი მამისაგან!“ – „შენს ცოლზე რაღას იტყვი? საიდან გაიგო ეს იმან?“ – „გასწი აქედან, თავხედო!“ – „სად არის ჩემი ქუდი? ასეთ სახლში საკუთარ ნივთებს ყურადღების მიქცევა სჭირდება!“ – „ამ სიტყვებს იურიდიული შედეგი ექნება, თავხედო!..“ – „თქვენთვისაც აგრეთვე!“ ღია კარებში გამოჩნდა ემა გუმბინიდან: „ქალბატონებო, სუფრა გაშლილია! ოთხი პერსონალური საჩივარი შეურაცხყოფისათვის, ორი გაუქმებული ანდერძი, ერთი კომპანიონთა მიერ ადრე დადებული ხელშეკრულების ლიკვიდაცია, სამი ჩაშლილი იპოთეკა, ერთი ბინის მფლობელის საჩივარი ყოფილი „სტუმრების“ მიერ სახლის წესრიგში მოყვანის მოთხოვნით.

სცენაზე დარჩნენ დანაღვლიანებული ემენტალერი და პატარა ბიჭი, რომელმაც პუნტულა მხრები ცისკენ აღაპყრო და ასეთ პოზაში მდგარმა კოსმოსი შეაზანზარა შეძახილით: „დედიკო, როგორ ჩნდებიან ყველში ნახვრეტები?“

გერმანულიდან თარგმნა
ვლადიმერ კორტავამ

[1] ჰეიზე, პაულ – გერმანელი პოეტი.

[2] ბიოლშე ვ. – გერმანელი მწერალი, მეცნიერულ-პოპულარული ნატურფილოსოფიური ნაწარმოებების ავტორი.

[3] ბუნებრივია, რომ გერმანულ ლექსიკონში ყველა ეს სიტყვა ერთი და იგივე ასოთი იწყება.

ლევან ბრეგაძე

სიყვარული და უკვდავება

გრიგოლ ორბელიანთან გალაკტიონ ტაბიძის ერთი ინტერტექსტუალური შეხვედრის გამო

რომანტიზმის პოეტური ტრადიციის, უწინარეს ყოვლისა კი, ქართველი რომანტიკოსების ზეგავლენა გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაზე, მეტადრე მის ადრეულ ლექსებზე, უდავოა. ქართველ რომანტიკოსთაგან გალაკტიონ ტაბიძის უდიდეს ინტერესს ნიკოლოზ ბარათაშვილი იწვევს. გალაკტიონის შემოქმედებაში უხვად მოიპოვება, და სათანადოდაც არის შესწავლილი, ინტერტექსტუალური მიმართებები „მერნის“ ავტორის თხზულებებთან.

რაც შეეხება გრიგოლ ორბელიანს, მის შემოქმედებასთან გალაკტიონის მიმართებას „შედარებით ნაკლები ყურადღება ეთმობოდა. ერთადერთი ნაწარმოები, რომელსაც პოეტის გრ. ორბელიანთან მიმართებაზე მსჯელობისას იმოწმებენ, არის 1927 წელს გამოქვეყნებული ლექსი „ჩემო იარალი“ (სიხარულიძე 2013: 134).

მით უფრო საგულისხმოა კიდევ ერთ ინტერტექსტუალურ მიმართებაზე დაკვირვება, რომელიც შეინიშნება გალაკტიონ ტაბიძის ლექსს „უსიყვარულოდ“ (1914) და გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელოს“ იმ მონაკვეთს შორის, რომელიც სიყვარულს ეძღვნება (ამ პარალელზე ჩემმა ქალიშვილმა, რუსუდან ბრეგაძემ, მიმითითა).

გრიგოლ ორბელიანი:

„მაშ სახე, სულის დამატკბობელი, იმიერ სოფელს არ განგვშორდების,
და სიყვარული, სულის მაშვენი, სიცოცხლეს-თანა არა დაჰშრტების,
თვარა სიყვარულს თუ დავჰკარგავდე, **უკვდავებამან** მის წილ რა მომცეს?
უსიყვარულოდ სასუფეველი, ვით საპყრობილე, ჩემთვის შეიქმნეს!..“
(ორბელიანი 1959: 104)

(ხაზგასმები აქაც და ქვემოთაც ჩვენია. – ლ. ბ.).

გალაკტიონ ტაბიძე:

„და არ არსებობს ქვეყანაზე
თვით **უკვდავება**,
თვით **უკვდავებაც** არ არსებობს
უსიყვარულოდ!“
(ტაბიძე 1966ა: 174)

გრიგოლ ორბელიანის პოემის ამ ფრაგმენტის დარად, გალაკტიონის ეს ლექსიც სიყვარულის რომანტიკული კონცეფციის გამოხატულებაა.

სიყვარული რომანტიკოსთათვის არამარტო ადამიანის ცხოვრების, არამედ მთელი სამყაროს უმაღლესი ღირებულებაა. „მწერალი-რომანტიკოსები თავიანთ შემოქმედებაში უმღეროდნენ სიყვარულს, კვლავ აცოცხლებდნენ ძველ წარმოდგენას მასზე, ვითარცა უნივერსალურ კოსმიურ ძალაზე, რომელიც აერთიანებს ადამიანსა და ბუნებას, იდეალსა და სინამდვილეს, სულიერებასა და მგრძნობელობას“ (შესტაკოვი: ინტ. 1).

გრიგოლ ორბელიანის პოემის ეს ნაწილი ზოგადად ქალ-ვაჟის სიყვარულის და კერძოდ „გულის სატრფოს“ მიმართ აღვლენილი სადღეგრძელოა. მხოლოდ ერთ ადგილას მიგვანიშნებს იგი იმ სიყვარულზე, რომელიც, „ვითარცა უნივერსალური კოსმიური ძალა“, სამყაროს მსჭვალავს: „მიჰხედეთ ვარდსა, მაშინ ჰფენს უმეტეს სუნნელებათა, / ოდეს ნიავი შეხებით შეარყევს მის-

თა რტოებთა!“ (ორბელიანი 1958: 103). კონტექსტი მიგვახვედრებს, რომ ვარდისა და ნიავის – ბუნების მოვლენათა – ურთიერთტრფობაზეა საუბარი.

გალაკტიონის ლექსი კი უკანასკნელი სიყვარულის აპოლოგიაა („მაგრამ სულ სხვაა სიყვარული / უკანასკნელი, / როგორც ყვავილი შემოდგომის / ხშირად პირველს სჯობს“. – ტაბიძე 1966: 173), მაგრამ იგი ყოვლისმომცველი სიყვარულის რომატიზმისეული კონცეფციის დეკლარაციით იწყება: „უსიყვარულოდ / მზე არ სუფევს ცის კამარაზე, / სიო არ დაჰქრის, ტყე არ კრთება / სასიხარულოდ...“ (იქვე).

სიყვარულის უზენაესობის აღიარებისას ორივე პოეტი უკვდავებას იშველიებს – უსიყვარულოდ უკვდავებასაც კი არა აქვსო ფასი, აცხადებს გრიგოლ ორბელიანი; ხოლო გალაკტიონი სიყვარულის გარეშე ვერც სამყაროს მოიაზრებს და ვერც უკვდავებას (შდრ. გერმანელი პოეტის იოჰან ქრისტიან გიუნთერის [1695-1723] სტრიქონები: „ვისაც ჭეშმარიტი სიყვარული და სიბრძნე აკეთილშობილებს, / მხოლოდ ის არის უკვდავი [სიტყვასიტყვით: „მოკვდომისაგან თავისუფალი]“ – „Wen wahre Lieb und Weisheit adeln, / Der ist allein vom Sterben frei“. – გიუნთერი ინტ. 2).

სიყვარულის ამ სადიდებელთა სათავე ახალ აღთქმაშია (პავლე მოციქულის ეპისტოლე კორინთელთა მიმართ 1, თავი 13).

„სადღეგრძელოს“ ავტორს უკვდავება სამოთხეში მოხვედრილი სულის მარადიულ არსებობად ესახება, რაზედაც მკაფიოდ მიგვანიშნებს სიტყვები „იმიერ სოფელი“ და „სასუფეველი“ ზემოთ ციტირებულ სტროფში („მაშ სახე, სულის დამატკბობელი, **იმიერ სოფელს** არ განგვშორდების, [...] უსიყვარულოდ **სასუფეველი**, ვით საპყრობილე, ჩემთვის შეიქმნეს!..“), ხოლო გალაკტიონი კი უკვდავებაში, როგორც ჩანს, **ამქვეყნიურ** უკვდავებას („და არ არსებობს **ქვეყანაზე** თვით უკვდავება... უსიყვარულოდ“), ანუ ხალხის ხსოვნაში უკვდავებას გულისხმობს, რაც პოეტისთვის დიდი შემოქმედებითი წარმატების მიღწევით არის შესაძლებლი (გავიხსენოთ: პლატონი „ნადიმში“ უკვდავების იმ ფორმას, რომელიც დიდი შემოქმედებითი წარმატების შედეგად ხალხის ხსოვნაში დარჩენით მიღწეულ უკვდავებას გულისხმობს, უფრო მაღლა აყენებს, ვიდრე შთამომავლობაში გაგრძელებულ გენეტიკურ უკვდავებას. – პლატონი 1964: 60-61). პოეტის სიტყვები: „და არ არსებობს ქვეყანაზე თვით უკვდავება, თვით უკვდავებაც არ არსებობს უსიყვარულოდ!“ ალბათ ისე უნდა გავიგოთ, რომ დიდი შემოქმედებითი წარმატება, ამქვეყნიური უკვდავების გარანტი, უსიყვარულოდ ვერ მიიღწევა.

პოეტური დიდების გარეშე რომ მისთვის არაფერს, მათ შორის არანაირი სახის უკვდავებას, ფასი არ ჰქონდა, გალაკტიონმა აშკარად განაცხადა მოგვიანებით, 1922 წლით დათარიღებულ ლექსში „ცხოვრება ჩემი“:

„ცხოვრება ჩემი უანკარეს ღვინის ფერია.
იგი ელვარებს, საბოლოოდ დაშრება ვიდრე.
მასში დიდება პოეტისა მე დავიმკვიდრე,
რომლის გარეშე – **უკვდავებაც** არაფერია“.
(ტაბიძე 1966ბ: 89)

ამ ლექსში თემატიზებულია პოეტის უკვდავების უძველესი მოტივი, რომელიც ჩვენთვის თვალმისაწვდომ წარსულში პლატონიდან იღებს სათავეს და შემდგომ ვის შემოქმედებაში აღარ იჩენს თავს, იქნება ეს ჰორაციუსი, პუშკინი („ძეგლი ავიგე ხელთუქმნელი“) თუ მრავალი სხვა.

დამოწმებანი:

გიუნთერი ინტ. 2: *http://books.google.ge/books?id=OGk6AAAAcAAJ&pg=PA18&lpg=*

ორბელიანი 1959: *ორბელიანი, გრიგოლ. თხზულებათა სრული კრებული. თბილისი: „საბჭოთა მწერალი“, 1959.*

პლატონი 1964: *პლატონი. ნადიმი. ძველი ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო ბაჩანა ბრეგვაძემ. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1964.*

სიხარულიძე 2013: *სიხარულიძე, ნათია. ქართული რომანტიზმის პოეტური ტრადიცია და გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება. თბილისი: 2013. სადოქტორი დისერტაცია.*

ტაბიძე 1966ა: *ტაბიძე, გალაკტიონ. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 1. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1966.*

ტაბიძე 1966ბ: *ტაბიძე, გალაკტიონ. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 2. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1966.*

შესტაკოვი ინტ. 1: *შესტაკოვი, ვ. პ. ეროსი და კულტურა: სიყვარულის ფილოსოფია და ევროპული ხელოვნება. რუს. ენაზე. http://www.lyubi.ru/phil7.5.2.php*

თეიმურაზ დოიაშვილი

„მწყემსი“

ციკლიდან „გალაკტიონის ბაიროული პოემები“

„მწყემსი“ გალაკტიონ ტაბიძის ერთადერთი ადრეული პოემაა, რომელიც თითქმის დაწერისთანავე გამოქვეყნდა (1911). სიჭაბუკის ჟამს შექმნილმა ამ ჟანრის სხვა ნაწარმოებებმა მხოლოდ პოეტის გარდაცვალების შემდეგ, დიდი დაგვიანებით იხილეს დღის სინათლე.

გალაკტიონის რომანტიკულ პოემებს შორის „მწყემსი“ ყველაზე ვრცელია. იგი შედგება ორი ამბის, შეფარდებითად დამოუკიდებელი ორი ეპიზოდისაგან, რომელთაც კომპოზიციურად მთავარი პერსონაჟი აერთიანებს. ამგვარი სტრუქტურა რომანტიკული „ახალი პოემის“ დამახასიათებელი ნიშანია.

ნოდარ ტაბიძის ცნობით, „მწყემსს“, სანამ საბოლოო სახეს მიიღებდა, საინტერესო გზა გაუვლია. ირკვევა, რომ იგი ორი ნაწარმოების შეერთების შედეგია: პირველი სამი თავისათვის გალაკტიონს მოურგია გამოუქვეყნებელი პოეტური თხზულება „შადრევანი“, რომელსაც IV-VII თავები უჭირავს, ხოლო საფინალო პერიპეტიები ერთგვარი ცდაა სხვადასხვა დროს დაწერილი ტექსტების დაკავშირება-გამთლიანებისა.

ერთ მხატვრულ სივრცეში ორი დამოუკიდებელი ტექსტის მოქცევა, ერთი შეხედვით, უცნაურ შთაბეჭდილებას კი ტოვებს, მაგრამ ეს, ჩემი აზრით, გალაკტიონის მიერ რომანტიკული პოემის სტრუქტურული შესაძლებლობების გაცნობიერებაზე მეტყველებს. ამასთან, ამბებს შორის, როგორც ვნახავთ, ოდენ მექანიკური კავშირი კი არაა, სიღრმისეული ძაფებია გაბმული.

„მწყემსს“, – ალბათ, ორი ჩანაფიქრის შერწყმის გამოც, – იდეურ-აზრობრივი ეკლექტიზმი ახასიათებს: ბაირონულ მოტივებთან თანაარსებობს ე.წ. ჟორჟსანდიზმი. ამ მხრივ საინტერესოა ერთი საგულისხმო ფაქტი პოემის რეცეფციისა. გალაკტიონის სემინარიის მეგობარი, პოეტი ვასო გორგაძე ავტორს ცხელ კვალზე ამცნობს თავის შთაბეჭდილებას:

„ვერ წარმოიდგენ, როგორი სიხარულით მივეგებე შენ „მწყემსს“. მაგრამ გირჩევდი კი შენთან რომ ვყოფილიყავი, პატარახან დამწიფებულიყო ის მშვენიერი პოემა – ვინაიდან ცოტა სიჩქარე ეტყობა! საერთოდ, კარგი შთაბეჭდილება აქვს. გალაკტიონ! რაც შეიძლება იკითხე. ამ პოემაში შენ ქალთა საკითხისათვის მოგიკიდნია ხელი და მკაფიობა ცოტა ვერ ეტყობა. ბუნების სურათები ალაგ-ალაგ გენიოსურია, ყოჩაღ! ნიჭიერი ხარ, ბიჭო, ნიჭიერი...“

წერილის ადრესანტი დაკვირვებული მკითხველია, რომელიც პოემის ხარვეზებზეც მიანიშნებს და გალაკტიონის პეიზაჟურ ოსტატობასაც აფასებს, ჩვენთვის კი უფრო საყურადღებო ისაა, რომ ნაწარმოებში ვ. გორგაძეს, არცთუ უსაფუძვლოდ, ქალთა საკითხი მოუნიშნავს.

„მწყემსის“ ცენტრალური პერსონაჟი მამაკაცია – მწყემსის ნიღაბს ამოფარებული პოეტი-მოგზაური, თუმცა თხზულებაში ბაირონული რომანტიკული პოემებისათვის შეუფერებლად დიდი ადგილი ეთმობა მეორე პლანის პერსონაჟებს – ელენესა და დალისას, ქალებს, რომელთა ცხოვრებაში მთავარი გმირი ეპიზოდურად, მაგრამ საბედისწეროდ ერევა.

მაინც რას გულისხმობს „ქალთა საკითხი“, რომელიც, ვ. გორგაძის თქმით, გალაკტიონს მკაფიოდ ვერ მოუცია?

„მწყემსი“ იწყება ბაირონის „აბიდოსელი საპატარძლოსა“ და ლერმონტოვის „დემონის“ ანალოგიური სიტუაციით: მოხუცი მამა საყვარელ ქალიშვილს – ელენეს უცხო, მდიდარ, ასაკოვან კაცზე ათხოვებს. მამას უჭირს „სიცოცხლის მანუგეშებელ“ ერთადერთ ასულთან განშორება, მაგრამ, წესისა და ადათის მიმდევარი, დიდ ქორწილს უხდის. თხრობა პოემაში იმ მომენტიდან იწყება, როდესაც –

დასრულდა ლხინი, სიმღერა შეწყდა,
მიდუმდა ზურნა, დასცხრა ნაღარა.

ამ გამორჩეულ დღეს ელენე ბედნიერად არ გრძნობს თავს – იგი მსხვერპლია, რომელიც მამამ „მისცა, როგორც ცეცხლს მშვიდი ზვარაკი“. ქალი მწარე ხვედრს მძიმედ განიცდის, რასაც მისი აფექტური რეაქცია მოწმობს. საზეიმო სუფრის გასრულებისთანავე:

ამობჯენილი შეგუბდა სული,
სალაპარაკო წაერთო ენა,
ამოიკვნესა და გულწასული
ტახტის ფიცრებზე გადაესვენა.

პოემის ექსპოზიციაში, როგორც ვხედავთ, მოიხაზება საქორწინო გარიგების ტიპური სქემა, როდესაც წარმმართველია არა გრძნობა, არამედ ანგარიში, როდესაც არათანაბარ ასაკობრივ მდგომარეობას მატერიალური ინტერესი გადასწონის. მშობელი შვილის მაგიერ იღებს გადაწყვეტილებას, რასაც ამართლებს და დასტურს აძლევს ტრადიცია.

პოტენციური კონფლიქტი, რომელსაც ეს სიტუაცია შეიცავს, რეალისტურ მწერლობაშიც იყო დამუშავებული და რომანტიკულშიც: პირველში – სოციალური აქცენტებით, მეორეში – სულიერი ტრაგედიის წარმოჩენით. გალაკტიონი, როგორც მოსალოდნელიც იყო, რომანტიკულ მოდელს მიჰყვება.

პოემის რეტროსპექტული ეპიზოდების თანახმად, ელენეს ჰყავს სატრფო – მწყემსი, იგივე ჭაბუკი მგოსანი, რომლის ციურმა ჰანგმა მოხიბლა იგი და რომელთანაც ერთადერთი რომანტიკული, უბიწო შეხვედრა ჰქონდა. მართალია, ქალი „მშვიდი ზვარაკივით“ დაჰყვა მამის ნებას, უსიყვარულოდ გათხოვდა უცხო, მდიდარ, ასაკოვან კაცზე, მაგრამ შინაგანად მზადაა დაუპირისპირდეს თავსმოხვეულ „ბედნიერებას“, გრძნობის სახელით უარყოს ტრადიციული მორალი და ოჯახური მოვალეობანი. ელენე სიყვარულის ადამიანურ უფლებას იცავს, რადგან „მას, ვინც არ უყვარს, ვერ შეიყვარებს“. ასე მზადდება პოემაში ნიადაგი ტრაგედიისათვის: ადათის მიმდევარი ბრბოს თვალში ბუნებრივი გრძნობის ერთგულებას ღალატი ჰქვია.

ექსპოზიციაში პოტენცირებული წინააღმდეგობა რეალურ მოქმედებად იქცევა. ელენეს, რომელსაც „ზიზღს უნთებს გულში ალერსი ქმრისა“, ერთ ღამეს თავისი ერთადერთი სიყვარული – ჭაბუკი მწყემსი გამოეცხადება. ხდება ის, რაზეც უოცნებია: ვნებით ანთებული ქალი დანებდება ვაჟს. აქედან იწყება ელენეს ორმაგი ჯოჯოხეთი: სურვილისა და სინდისის ჭიდილი შიგნით, ქმრის, ხალხის შემოტევა გარედან. ძალიან დაგვიანებულია მოხუცი მამის სინანული: თავის დასახრჩობად მიმავალ ელენეს სიძულვილით დაბრმავებული ბრბო ჩაქოლავს.

„მწყემსის“ ამ პასაჟების დაკვირვებული წაკითხვა გვიჩვენებს, რომ გალაკტიონი საკმაოდ მკაფიოდ გამოხატავს თავის პოზიციას „ქალთა საკითხში“: გრძნობის უფლების დამცველი ელენე დამნაშავე კი არა, ტრადიციის, საზოგადოების კონსერვატიული პოზიციის მსხვერპლია.

დაახლოებით ამგვარსავე მდგომარეობაშია პოემის მეორე ქალი პერსონაჟიც – დალისა, რომელიც მოხეტიალე მოგზაურად გარდასახულ მწყემსს გემზე შეხვდა. დალისაც, ელენეს მსგავსად, მდიდარ მოხუცს გააყოლეს. ცოლ-ქმარს შორის სრული გაუცხოებაა: კაცი ეთაყვანება „ვერცხლის სატანას“, რომელიც ადამიანს, მისი აზრით, ზეკაცად ხდის, ქალისთვის კი ფული და ქონება მტვერი და ჭუჭყია. სულიერი შეუთავსებლობის ტკივილს გამოხატავს დალისას სასოწარკვეთილი სიტყვები:

ოჰ, როდის მოვრჩე ამ სულთამხუთავს...
გულს რომ მიცივებს, ვით სამარის ქვა...

რადგან „ოცი წლის ქალი სამოცი წლის კაცს ვერ შეიყვარებს“, დალისას გონებაში მწიფდება აზრი, რომ ხსნა ვნების იმ გაელვებებშია, რასაც ბედი ცხოვრების გზაზე შესთავაზებს:

მხოლოდ წუთებში დაეძებს შვებას,
დარწმუნებული, რომ ნეტარებას
ინახავს მხოლოდ ძვირ წუთთა ვნება
და არა ქალის მთელი ცხოვრება.

უსიყვარულოდ დარჩენილი, „წუთიერი ნეტარების“ მოიმედე ქალის მდგომარეობით იოლად სარგებლობს პოემის მთავარი გმირი – მწყემსი დაეუფლება დალისას, რაც ქალისთვის კატასტროფით მთავრდება. თავდავიწყებაში მყოფ ქალ-ვაჟს ბებერი ქმარი წაადგება თავს. სიკვდილის მოსურნე, ზღვაში გადაშვებულ დალისას შემთხვევით გადაარჩენენ, შემდეგ კი მას, როგორც მეძავს, საროსკიპოში აღმოვაჩენთ!

„მწყემსში“ ორივე ქალის ხვედრი მეტად მძიმეა. ტრადიციისა და მორალის არტახებში მოქცეული ელენეს სიცოცხლე, როგორც ითქვა, ჩაქოლვით მთავრდება, წუთიერ ვნებას დახარბებულ დალისას კი ბედი სულიერ სიკვდილს – მეძავის სამარცხვინო არსებობას განუმზადებს. ფსევდომორალის მოქმედების პირობებში ადამიანური სიყვარულის წყურვილიც და მგრძნობელობის, როგორც გადარჩენის გზის აღმოჩენაც ერთნაირ ტრაგედიას იწვევს.

ქალის ემანსიპაციის პრობლემა შემოქმედების მთავარ თემად აქცია XIX საუკუნის ევროპული ლიტერატურის ერთ-ერთმა ყველაზე პოპულარულმა პროზაიკოსმა – ჟორჟ სანდმა, რომელმაც თავისი რომანების მხატვრული ასახვის ობიექტად აქცია ქალის ბედი ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. მწერალმა ქალმა დიდი სითამამით გამოთქვა იმდროისათვის არაორდინარული აზრი, რომ ქალს უნდა ჰქონდეს უფლება, დაარღვიოს ყალბი ზნეობის, ოჯახური ყოფის ზღუდეები, თუ ისინი მის ბუნებით მოთხოვნილებებს ბოჭავს, და კონფლიქტურ სიტუაციაში, როგორც თავისუფალმა პიროვნებამ, გულის, გრძნობის კარნახით იმოქმედოს.

გალაკტიონის რომანტიკული პოემების ქალი-პერსონაჟები სწორედ ასე იქცევიან: გრძნობას მიჰყვებიან ელენე და დალისა, ერთი – პირველი ტრფობის ერთგული, მეორე – წუთიერი ნეტარების მიმდევარი; ასევეა ელილიც – სეიმის კუთვნილი თავისუფალი ქალი, რომელიც უყოყმანოდ უმჟღავნებს დაუოკებელ სურვილს უცხო მამაკაცს („შანშე“); დაბოლოს, უნდა მოვიხსენიოთ ლელე პოემიდან „სატანა“. გრძნობის ცვალებადობის იდეა მას ახალი ეთიკის საფუძვლად უქცევია და სატრფოს თვალთმაქცურ მოტყუებას „თავისუფალი სიყვარულის“ უფლებით ამართლებს.

ამრიგად, გალაკტიონი თავის რომანტიკულ პოემებში ალაგ სოციალური მამხილებელია, მუდმივად კი – გრძნობის თავისუფლების პრინციპული დამცველი. პოეტი, ამავე დროს, კრიზისული ეპოქისთვის ნიშანდობლივ ახალ, საშიშ ტენდენციასაც ამჩნევს – გრძნობის თავისუფლების გაიგივებას ე.წ. წუთიერი ტკბობის ფილოსოფიასთან. სიყვარულის ადგილს ხორციელი ლტოლვა, ჟინი იკავებს, რასაც გალაკტიონი ადამიანში სატანური საწყისის გამოღვიძებად თვლის.

ქალის უფლების სიტყვიერი აღიარება ვერაფერს შეცვლის იმ საზოგადოებაში, სადაც ყველაფერს „ვერცხლის კერპი“ – ფული განაგებს. გალაკტიონი ამ მხრივ ჟორჟ სანდის კრიტიკულ ხაზს მიჰყვება, როდესაც „მწყემსში“ რომანტიკული პოემისთვის არცთუ დამახასიათებელი პერსონაჟი, დალისას მოხუცი ქმარი – სარგებლის მონად ქცეული, მდიდარი მევახშე შემოჰყავს. პოეტის კრიტიციზმი სატირის დონეს აღწევს იმ ეპიზოდში, სადაც მეძავად ქცეული დალისა სარისკიპოში სწორედ ყოფილ ქმარს, ამ ბებერ მევახშეს ატკბობს, საროსკიპოს მეპატრონედ კი ის ქალბატონია გამოყვანილი, ვინც გემზე ქალთა ემანსიპაციის მაღალი ამბიონიდან უქადაგებდა დალისას:

უმტკიცებდა, რომ საკითხი ქალთა
ისე გამწვავდა, ისე ცხადად ჩანს,
რომ ძნელი არის ავლება თვალთა.
მალე დადგება ნეტარი წამი,
სხივს მოგვფენს ზეცა და სამართალი,
მოგვაჯადოვებს დღეთა კამკამი,
წინ არ გაუშვებს თავის ქმარს ქალი.

ეს მხოლოდ ფრაზებია, ფარისევლობაა იმ საზოგადოების მხრიდან, რომელიც თავისუფლების გზაზე შემდგარ ქალს რეალობაში ჩაქოლვას ან საროსკიპოს კედლებს განუმზადებს. ქვეტექსტში გალაკტიონთანაც გამოკრთის ჟორჟ სანდისათვის ახლობელი იდეა, რომ ქალის, და საერთოდ პიროვნების, ჭეშმარიტი თავისუფლებისთვის საჭიროა ცხოვრების ძირეული შეცვლა, ფულზე დაფუძნებული ცრუ მორალის უარყოფა.

და მაინც, „ქალთა საკითხის“ აქცენტირების მიუხედავად, გალაკტიონის პოემათა ქალი-პერსონაჟები რომანტიზმის ტრადიციას აგრძელებენ – თითოეული თავისებურად ილტვის უმაღლესი რომანტიკული ფასეულობის – თავისუფლებისაკენ. ამ მხრივ აშკარაა მათი გენეტიკური სიახლოვე ბაირონის გულნარასთან („კორსარი“), პუშკინის ზემფირასა („ბოშები“) და ჩერქეზ ქალთან („კავკასიის ტყვე“), მაგრამ არსებითია განსხვავებაც: კლასიკური რომანტიზმის დადებითი პერსონაჟები სიყვარულისთვის იღუპებიან, გალაკტიონის ნეორომანტიკული პოემების ქალები კი, როგორც წესი, გრძნობის (ვნების) გაფეტიშებისათვის ისჯებიან.

* * *

„ქალთა საკითხის“ გამო აქამდე ქალ-პერსონაჟებზე ვმსჯელობდით, მაგრამ „მწყემსის“ მთავარი გმირი, რომანტიკული პოემის კანონის თანახმად, მამაკაცია.

ვინ არის მწყემსი?

გალაკტიონის ადრეულ პოემებშიც, მსგავსად ბაირონისა, რომანტიკული გმირი ერთი ნაწარმოებიდან მეორეში გადადის, საქმე გვაქვს ერთი პარადიგმის სახესხვაობებთან. ამ აზრს კონკრეტული ფაქტები განამტკიცებს. მაგალითად, „მწყემსში“ სიტყვასიტყვით მეორდება ზღვის აღწერილობანი პოემიდან „შანშე“ – ერთი და იგივე პასაჟები, ერთ შემთხვევაში მგოსან შანშეს უკავშირდება, მეორეგან კი – ზღვაზე სამოგზაუროდ წასულ მგოსან მწყემსს. სრულიად ცხადია, რომ გალაკტიონისათვის შანშე და მწყემსი ერთი პარადიგმის მხატვრული ვარიაციებია, შეყვანილი სხვადასხვა სიტუაციაში.

„მწყემსის“ ექსპოზიცია (ქალიშვილის იძულებითი გათხოვება, არამიწიერ ჭაბუკთან შეხვედრა...) ლერმონტოვის „დემონის“ ასოციაციებს იწვევს. რუსი პოეტის ნაწარმოებთან „მწყემსის“ კავშირზე პირველად მიუთითა რევაზ თვარაძემ, რომლის დასკვნით, „ეს პოემები (იგულისხმება გალაკტიონის „სატანაც“ – თ. დ.) ბაირონისა და ლერმონტოვის შერწყმულად გადმოქართულება უფროა, ვიდრე ორიგინალური, დამოუკიდებელი ნაწარმოებები“.

მართლაც, „მწყემსისა“ და „დემონის“ სიახლოვეს არაერთი შემხვედრი, გნებავთ – იდენტური, ადგილი მოწმობს. არც ისაა საეჭვო, რომ ქალიშვილის გათხოვების მოტივი მისი სურვილის წინააღმდეგ გენეტიკურად ბაირონის „აბიდოსელი საპატარძლოდან“ მოდის. აქედანვეა ჯაფირი, შვილზე მზრუნველი და შემდგომ მონანიე მამა, თითქმის უცვლელად გამეორებული ელენეს მამის სახეში. მაგრამ გალაკტიონის უშუალო წყარო მაინც „დემონია“. ამაზე მიუთითებს არამარტო ერთი სათავიდან – ბაირონიდან მომდინარე თანხვედრები (საექსპოზიციო სიტუაციის სრული მსგავსება, მამების შინაარსობრივად და ფუნქციურად ანალოგიური სახეები...), არამედ ლერმონტოვის პერსონაჟთა განცდების ანარეკლი გალაკტიონთან, თამარისა და დემონის სიუჟეტური სქემის დუბლირება „მწყემსში“... გალაკტიონი ნამდვილად შთაგონებულია „დემონით“, მაგრამ აზრი უბრალო „გადმოქართულების“ შესახებ მაინც გადაჭარბებული მგონია. იგი ბრმად არ იმეორებს პერსონაჟთა ხასიათებს, ცვლის პრობლემას, შემოაქვს ლერმონტოვის პოემისათვის სრულიად უცხო „ქალთა საკითხი“, ფინალისაკენ კი, როგორც ვნახავთ, ჩნდება დონჟუანიზმის თემა... აღარაფერს ვამბობ გოეთეს ბალადაზე „ტყის მეფე“, რომლის რემინისცენციები, მიუხედავად ტრანსფორმაციისა, ადვილად ამოსაცნობია. ასე რომ, „მწყემსი“ კონკრეტულად ბაირონ-ლერმონტოვის „შერწყმულად გადმოქართულება“ კი არ არის, არამედ ახალგაზრდა პოეტის თვალსაწიერში მოხვედრილი უცხო მწერლობის, ე.წ. ევროპული ნაკადის გააზრებისა და პრობლემატიკის ქართულ სივრცეში განთავსების ცდა.

„მწყემსში“ ერთი უცნაურობა იჩენს თავს: ერთი ამბავი აქ ორგზის არის მოთხრობილი – ჯერ ავტორის, შემდეგ კი, მოგონების ფორმით, მწყემსის მიერ. ორმაგობა-გამეორება შეიძლება მხატვრულ დეფექტად შეფასდეს, ორი დამოუკიდებელი ტექსტის გაერთიანებას რომ მოჰყვა, მაგრამ ეს ვერსიები ერთმანეთს ავსებს, მეტიც – ერთი ნარატივის ორ, იერარქიულად განსხვავებულ პლასტს ქმნის.

რომანტიკული გმირის აღსარება, როგორც სიუჟეტური სვლა, როგორც ხერხი ბაირონის „გიაურშია“ ფიქსირებული: გიაური გულს გადაუხსნის მონასტრის მოძღვარს, მწყემსი – მისთვის უცნობ პიროვნებას (ელენეს ქმარს), რითაც, ორსავე შემთხვევაში, რამდენადმე ეფინება შუქი გარდასული ამბების ბუნდოვანებას. მაგრამ მწყემსის ვერსიას გალაკტიონთან სხვა ფუნქციაც აქვს: იგი აღიქმება როგორც ემპირიული ამბის მითოპოეტური ინტერპრეტაცია.

ასეთი ინტერპრეტაციისათვის გალაკტიონი თითქოს საგანგებოდ გვამზადებს. მწყემსის ხილვა აღსარების წინ მთხრობელში რაღაც არაქაურთან შეხების, შიშისა და ძრწოლის შეგრძნებას იწვევს. თავის მხრივ, მკითხველიც მოელის, რომ საყვარელი ქალის დაღუპვით აღძრულ უმძიმეს შთაბეჭდილებებს გაუზიარებენ, მაგრამ აღმსარებლის მიზანი სულ სხვაა. ის იხსნის მწყემსის ნიღაბს („მე არც მწყემსი ვარ, გწამდეს, იგრძენი“...) და სურს, შემთხვევით მსმენელს ელენეს ამბავი **„გამოუმჟღავნოს“**. ამ ამბის გარეგანი, ასე ვთქვათ, მიწიერი მხარე მსმენელისათვის, და მკითხველისთვისაც! – ცნობილია, ამიტომ აღმსარებელი, როდესაც ამბის „გამჟღავნებაზე“ საუბრობს, რაღაც სხვებისთვის დაფარულის გამხელას გულისხმობს: არც თვითონაა უბრალო მწყემსი, როგორც აქამდე ეგონათ, და არც ელენეს ამბავია ჩვეულებრივი ღალატის ისტორია!

მწყემსი იწყებს თავისი უცნაური, სევდიანი ამბის თხრობას, ამბისა, რომელმაც „ტანჯვათა ზვავი“ აგრძნობინა, „ტანჯვათა ხევში“ გადაჩეხა, სახეზე კი „დაუფარავი ზიზღი“ აღუბეჭდა. თანდათან იკვეთება მარტოობის, იმედგაცრუების, აპათიის ნაცნობი მოტივები, ნარატივი გულში ჩაკლულ გრძნობაზე, „რწმენის, იმედის, სიმხნევის“ დაკარგვაზე. მკითხველის თვალთა წინაშე მწყემსის ნიღაბს ამოფარებული სხვა პიროვნება, სულ სხვა სამყარო წარმოდგება:

ბავშვი ვიყავი, მაგრამ ვიცოდი,
რას დაეძებდა მთებში მანფრედი,
მეც მასთან ერთად ვკრთოდი და ვთრთოდი,
მეც მასთან ერთად ვფრენდი და ვფრენდი.
ვიცნობდი ფაუსტს, ისიც ვიცოდი,
რად შეეჩვია მკაცრ მეფისტოფელს,
გატაცებული სოფელს განვშორდი,
გატაცებული განვშორდი სოფელს.

ის, ვინც სიყრმითვე ეზიარა ადამიანურ შესაძლებლობათა შეზღუდულობის ტკივილს, ცხოვრების უმიზნობის, იმედგაცრუების ტანჯვაც განიცადა და საზღვრის გადალახვის დაუძლეველი წყურვილიც, მიწაზე ვეღარ დაეტევა. სხვა სამყაროზე ოცნებამ მაძიებელ ჭაბუკს თითქოს გადარჩენის გზა აპოვნინა – გზა შემოქმედების, ხელოვნების, პოეზიის ტაძრისაკენ:

ხელოვნების წინ წმინდა ცრემლს ვღვრიდი,
რაღაც უცნაურს ვგრძნობდი სიამეს.

სიამის ეს გზა მალე დაიხშო – ჭაბუკ პოეტს ჩაუქრა იმედი უკვდავი შედევრების შექმნისა. შთაგონების დიადი ცეცხლით მარადიულში გაღწევასა და უკვდავებაზე ოცნება ოდენ მაცდური ილუზია აღმოჩნდა:

თურმე უბრალო იყო სანთელი,
ტიტანიურ ალს მე რომ ვარქმევდი.

შემოქმედებით ასპარეზზე მარცხს ერთადერთი ახლობელი ადამიანის – მამის სიკვდილიც დაერთო. მგრძნობიარე ჭაბუკმა მწვავედ იგრძნო უნათესაო, უთვისო „სოფლის გერის“ ხვედრი – „მარტოობის შვილს“ მუდმივ თანამგზავრად გაუხდა „სევდის აჩრდილი დამამხობელი“.

მწყემსის იმედგაცრუების ამბავი, რომელიც ზემოთ გადმოვეცი, გალაკტიონის პიროვნულ-ბიოგრაფიული განცდების ანარეკლიცაა და, ზოგადად, ბაირონის რომანტიკული გმირების ტიპური წინარეისტორიაც. იგი ნათელს ჰფენს იმ უცნობი, იდუმალი პერსონაჟის სულის მდგომარეობას, რომელიც ელენეს ბაღში გამოეცხადა.

პოემაში ბაღის ორი ხატია: ერთი – ავტორის მიერ აღწერილი, ესთეტიკურად მშვენიერი და რეალური, მეორე – მწყემსის პოეტური ოცნებით გარდასახული ბაღი-სამოთხე. კონტრასტი ამ ორ აღწერილობას – რეალურსა და წარმოსახულს შორის სრულიად აშკარაა. გამოთქმები „უხილავი ხელი“, „ღვთიური სიმშვიდე“, „ვნებათა ჯადო“, „გრძნეული ღამე“, „უკვდავი და სამარად-

ისო ფიქრი“ მწყემსის აღწერილობას არაქაურ, მისტიკურ შეფერილობას აძლევს. ამის შედეგად გამოიკვეთება სიმბოლური სურათი: იმედგაცრუებული მარტოსული სამოთხის კართან, მდინარის გაღმა ნაპირზე.

ჭაბუკი პოეტის „უკვდავი ფიქრი“ ბაღი-სამოთხის პირად, ეს ფიქრია სიყვარულზე, რომელიც არასოდეს განუცდია, მაგრამ იცის, რომ:

...სიყვარული არის მოკვდავთა
ძალა აღმგზნები და შემაერთი,
რომ სიყვარული არის აქ კაცთა
მსაზრდოებელი ძლიერი ღმერთი.

ეს გრძნობადქცეული ფიქრი გულიდან ამოხეთქს და სიმღერად იქცევა:

რა გენაღვლება, ჩემო ნუგეშო,
ციურ არსებად, ცის ღმერთად მწამდე?
მზად ვარ უფსკრულში ვნებით ჩავეშო,
ოღონდ მწყალობდე, ოღონდ გიყვარდე!

ეს არ არის უბრალოდ სიმღერა, ეს ვედრებაა ნუგეშისადმი, იდეალური არსებისადმი. ჭაბუკ პოეტს ბაღში მყოფი ქალწული „ცის ღმერთად“ ესახება, რომლისთვისაც მზადაა, ჯოჯოხეთის წამებას შეურიგდეს.

ჭაბუკის ჰანგით მოხიბლული ელენე, ვისი გულიც იდუმალი გრძნობით ტოკავს, განგების ალით წვას და თრობას განიცდის. საპასუხო სიმღერაში სიყვარულის მომლოდინე მისი გულიც გრძნობისთვის თავგანწირვის მზაობას ამჟღავნებს („რაც სურთ ის გვიყონ, რაც სურთ ისა თქვან“).

როდესაც ორთა შორის ბუნებრივი ლტოლვა ჩნდება, ხდება ის, რაც უნდა მოხდეს – პირველი შეხვედრა, პირველი კოცნა... ანალიზისთვის მნიშვნელოვანი ისაა, რომ ეს შეხვედრა და კოცნა ავტორის და პერსონაჟის ვერსიებში განსხვავებულად არის გადმოცემული და ინტერპრეტირებული. ავტორი ეპიკური ტონით გვიამბობს, როგორ ჩაეძინა მთებში ხეტიალით დაქანცულ ელენეს, როგორ იგრძნო მძინარემ ბაგეზე ცეცხლოვანი კოცნა და „მიმზიდველ ქსელში გადნა-გაება“...

მწყემსის აღსარებაში იგივე ამბავი სხვა აზრობრივ განზომილებას იძენს. ელენეს სიმღერა ჭაბუკი მგოსნის ჩაფერფლილ გულში ჯადოსნურ გამოძახილს პოულობს:

ატოკდა ნაზი სევდის ოცნება,
ერთხელ სადღაც რომ დავასაფლავე...

ჭაბუკს ჯერ ჰგონია, „რომ ეს შემთხვევაც მალე გადივლის“, წამიერი განცდაა, მაგრამ მალე რწმუნდება, რომ ეს განგების გამოწვევაა. იგი სპონტანურად გადაწყვეტს, არ შეუშინდეს ბედისწერის ძახილს: „არ დავუტოვებ შემთხვევას ამ წუთს“. ამას მოსდევს წყვილის შეხვედრა და სიყვარულის ახსნა.

ამრიგად, ის, რაც ავტორისეულ თხრობაში სიყვარულისთვის მზადმყოფი ქალ-ვაჟის ბუნებრივი ურთიერთლტოლვაა, აღსარების მიხედვით განგების ძახილია, ბედისწერასთან დაპირისპირების მაუწყებელია.

ელენესა და მწყემსის შეხვედრა რომ უჩვეულოა, ამას სიყვარულის გამჟღავნების სცენა ცხადყოფს. ავტორი-მთხრობელი აღწერს ვაჟის გრძნობათა ამოფრქვევას, ახმოვანებს მის იმედს, რომ სიყვარული „მიწყლულებული გულის“ განახლებისა და „დამდაგველი ბედის“ დაძლევის გზად ექცევა, გზად „ტკბილი ედემისაკენ“. ტირადა ორჯერ გამეორებული, ემოციურად ზეაწეული, მაგრამ ყოფითი, ლოგიკური ფრაზით მთავრდება: „გემუდარები, გამომყე ცოლად“. სცენა ბოლოვდება ქალის თანხმობით და ერთგულების აღთქმით.

სრულიად სხვა ვერსიას გვთავაზობს მწყემსის აღსარება. გრძნობის გამხელის შემდეგ ქალის მდგომარეობა ორგზის ასეა გადმოცემული:

იგი კი იდგა, როგორც ფრინველი,
ასპიტის ცქერით გარინდებული.

„ცხელი, ცეცხლადნთებული კოცნა“ მწყემსის მოგონებაში გრძნობის, მიწიერი ვნების გამოვლენა კი არაა, არამედ „ნეტარ წამში“ „შავი სიცოცხლის“ ანაზდეული, გაუცნობიერებელი გადმოღვრა:

და გაგიჟებით, არ ვიცი, რისთვის,
ქალს ვუწყე კოცნა... მხურვალე კოცნა.

აშკარაა, რომ კოცნა მწყემსის მიერ შეფასებულია, როგორც ინსტინქტური ქცევა, ქვეცნობიერი დასტური ბედისწერის გამოწვევაზე. ქალი ამ სიტუაციაში „ასპიტის ცქერით გარინდებული“, ცდუნებული მსხვერპლია.

საბოლოოდ, აღსარების მიხედვით, ყალიბდება ბიბლიური ამბის გათანამედროვებული ვერსია: მარტოსული, იმედგაცრუებული მწყემსი/სატანა სამოთხის გაღმა ნაპირზე რომ დგას, ელენე/ევას მშვენიერებით და ჰანგით მოხიბლული, აცდუნებს მას. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია ჭაბუკის შედარება მომნუსხველ ასპიტთან, ანუ სატანასთან, რომლის „ცეცხლადნთებულ კოცნას“ ელენე (ევა) გრძნეული ძალით პირველცოდვისკენ მიჰყავს. ის, რაც ავტორის თხრობაში, ემპირულ პლანში ქალ-ვაჟის სასიყვარულო შეხვედრად აღიქმება, აღსარების ვერსიით, სიღრმისეულად პირველცოდვის სცენას უკავშირდება.

ავტორის მონათხრობში შეცოდების აქტი გათხოვების შემდეგ არის გადატანილი და მოწოდებულია, როგორც ერთგულება პირველი გრძნობისადმი. მართალია, ელენე თავად იჩენს ინიციატივას („გამოსწი ჩქარა... შორს არი ქმარი... განთიადამდე შენი ვიქნები“), მაგრამ არაორდინარული საქციელის ემოციური განცდა ფსიქოლოგიურად ამბივალენტურია. ელენესთვის ეს არის „ნეტარი ღამე“ და „ღამე მწარე“, ერთდროულად – „უმანკო, წმინდა“ და „ღალატით ჩირქმოცხებული“. ახალი ეთიკური ცნობიერება, სადაც ზღვარი ვნებასა და მოვალეობას შორის მორღვეულია, ქალს რეალურ, ტრაგიკულ წინააღმდეგობათა რკალში აქცევს.

რაც შეეხება ვაჟს, მოცახცახე „მწყემსი ლტოლვილი“ განთიადისას გზას მიუყვება: „ქალს გაურბოდა და სილამაზე, / მის ხელში მკვდარი, წინ ეხატვოდა“. ეს სტრიქონებიც მკაცრ რეალობას აფიქსირებს: მარტოსულის წამების გზაზე ელენე იყო წამი-შემთხვევა, თავდავიწყების საშუალება. ვნების ჩაცხრობასთან ერთად დასრულდა სიცარიელის, უმიზნობის ტყვეობიდან გასვლის ამაო ცდა. ეს ღია მინიშნებაა დემონურ არსებაზე, რომლისთვისაც სიყვარულში ხსნა არ არსებობს.

უფრო ღრმა და მნიშვნელოვანია შეხვედრის სცენის ინტერპრეტაცია აღსარებაში. ვაჟის თამამი საქციელით განცვიფრებული ელენე ეკითხება მას, ვინ არის, „სიდან მოსული“. უცნობი უარს ამბობს ვინაობის გამხელაზე, რადგან ქალი მას მეტად ვეღარ იხილავს. იგი ისაა, ვისაც ღმერთმა ზღვასა და ხმელეთზე ხეტიალი უბრძანა, ვის გულშიც ხან ედემია, ხან ჯოჯოხეთი. ხანმოკლე ჩაფიქრების შემდეგ ელენეს არ უჭირს ჭაბუკში დემონის ამოცნობა:

– ოჰ, გიცნობ, გიცნობ, შენ ის არა ხარ,
ქვეყნად რომ ცალად დაეხეტები,
არავინ გიყვარს, არვის უყვარხარ
და უიმედო ფიქრებში ჰკვდები.

თავზარდამცემ აღმოჩენას სულაც არ ახლავს ძრწოლა და შიში, პირიქით, ამას ქალის მოულოდნელი სიტყვები მოსდევს:

შენ გსურს ალერსი... გწყურია ტრფობა?
ოჰ, ბედნიერად, რა ვქნა, რომ ვერ გხდი,
ჰა, ჩემი მკერდი და მეგობრობა,
ნუ გაიფიქრებ, რომ ჩემშიც შეცდი.

შემდეგ ხდება დანაპირების აღსრულება – ვნებიანი კოცნა და დანებება.

აღსარების ვერსიაში ცოდვის სცენა, როგორც ვხედავთ, სხვაგვარად არის მოთხრობილი. ელენე, რომელიც ჭაბუკში დემონს ამოიცნობს, მას სხეულს და მეგობრობას სთავაზობს („ჰა, ჩემი მკერდი და მეგობრობა“), ე.ი. პირველცოდვის აქტში არ ხდება დემონურისადმი უმწეო დამორჩილება: ნებაყოფლობით გაიწირება ხორცი, სული და გრძნობა კი ელენე-ევასთან რჩება, როგორც ღვთაებრივთან კავშირის გაუწყვეტელობის ნიშანი.

ძალიან არსებითია ელენეს უცნაური საქციელის მოტივირება, რაც მწყემსი-დემონის მოგონებაში იკვეთება:

დაგასაჩუქრა როგორც მთხოვარი,
რათ არ გრცხვენია, დაგასაჩუქრა...
.....
ვინ იცის, როგორ ბრძოლად უღირდა
ეგ მოწყალება, ეგ საჩუქარი?!

ელენეს გაღებულ მსხვერპლს მწყემსი-დემონი მოწყალებას უწოდებს, მადლის ენაზე კი ამას სიბრალულის ღვთაებრივი გრძნობა ჰქვია. (შედარებისთვის: გალაკტიონისავე პოემაში „სატანა“ ლელე ბოროტ სულს შებრალებას სთხოვს, მაგრამ იგი უარს ეუბნება, რადგან ეს გრძნობა მხოლოდ სიკეთის თანამდევია).

გამოდის, რომ პირველცოდვის საფუძველი სიბრალულია, რასაც მოჰყვა მთლიანი ადამიანის განყოფა ხორციელ, დემონურს ნაზიარებ და სულიერ, ღვთაებრივ საწყისებად. ელენეს ტრაგიკული სიყვარულის ემპირიული პლანი პირველცოდვის ხორციელი ასპექტია, ხოლო სიბრალულის გრძნობა და სინდისის მღვიძარება გადარჩენილი სულის ხმაა საკუთარი ბავშვის – სასუფევლის ხატის წინაშე.

დაკარგული ედემის თემა, მჭიდროდ დაკავშირებული პირველცოდვის ცნებასთან, ძალიან მნიშვნელოვანია გალაკტიონის ადრეული შემოქმედების მითოპოეტური მოდელისათვის, რომელიც მის სიმბოლისტურ ლირიკაში დაშიფრული ფორმით გადადის. ამ მოდელში კოდირებული საზრისის გამოსავლენად გასათვალისწინებელია პოემა „მწყემსი“, სადაც იგი შედარებით სადა სტილით არის რეალიზებული.

ჩატარებული ანალიზის შემდეგ, ვფიქრობ, გადაჭარბებული ჩანს „მწყემსის“ მიჩნევა ლერმონტოვის „დემონის“ უბრალო გადმოქართულებად. ვიმეორებ, ლერმონტოვის პოემის გავლენა გალაკტიონზე უეჭველი ფაქტია, მაგრამ ეს არ არის კოპირება: მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ამ ორი პოემის ქალი პერსონაჟები – ელენე და თამარი, თვისებრივად არაერთგვაროვანია დემონთან მათი მიმართების აზრობრივი შინაარსიც. დაბოლოს, განსხვავებულია ამ ნაწარმოებთა კონცეფცია: ლერმონტოვთან დემონის ტრაგიზმის კულმინაცია ისაა, რომ სასურველი არსებისთვის უბედურება, სიკვდილი მოაქვს, რაც მის სრულ და საბოლოო, მაგრამ ამაყ მარტოობას განაპირობებს. გალაკტიონის დემონი-მწყემსი კი, როგორც შებრალების ობიექტი, დემონურობაშიც კრახს განიცდის – იგი სულიერად გატეხილი, შესაბრალისი არსებაა.

ალბათ, განმარტებას არ საჭიროებს, რომ ჭაბუკი გალაკტიონისთვის მიუღწეველია ლერმონტოვის კოსმიური მასშტაბი, სიღრმე და ფსიქოლოგიზმი, კომპოზიციური სრულყოფილება და მხატვრული ელვარება. გალაკტიონი შეგირდია, მაგრამ ნიჭიერი შეგირდი, რომელიც დიდოსტატებისკენ იმზირება, მათი მემკვიდრეობის ათვისება სურს და საკუთარი შტრიხებისა და ნიუანსების შეტანასაც ცდილობს აპრობირებული მასალის გააზრებასა თუ კომპოზიციურ წყობაში.

* * *

დასასრულ, ისიც უნდა ითქვას, რომ „მწყემსის“ მეორე ნაწილში, კონკრეტულად, დალისას ამბავში ბაირონის „დონ ჟუანის“ აშკარა კვალია. მოხეტიალე მოგზაურად გარდაქმნილი მწყემსის საზღვაო პუნქტების ჩამონათვალი (სტამბოლი, ბოსფორი, ლესბოსი, როდოსი, ქიოსი...) დონ ჟუანის მარშრუტს მოგვაგონებს. მსგავსია სამშობლოდან გამგზავრების მიზეზიც – სასიყვარულო ინტრიგა. ბაირონულ ტრიადასთან (დონ ჟუანი – ინესა – მოხუცი ქმარი) ანალოგია იგრძნობა გალაკტიონის ტრიადაში (მწყემსი – დალისა – მოხუცი ქმარი) თავზე წადგომის პიკანტური სიტუაციის გამეორებით. „დონ ჟუანის“ ჰარამხანის ეპიზოდის გამოძახილია მწყემსის შეყვანა საროსკიპოში...

მოულოდნელი არც ისაა, რომ მწყემსი, ბაირონის რომანტიკული გმირების ორეული, დონ-ჟუანიზმის ასპექტსაც ითავსებს: ქალი მისთვის მხოლოდ თავდავიწყების საშუალებაა. იგი ინდიფერენტულია მის მიერ გაუბედურებულ ქალთა ტრაგიკული ბედისადმი და მხოლოდ სიყვარულში იმედგაცრუებას უჩივის ეგოისტურად.

გალაკტიონის „მწყემსში“ პირველად ჩნდება **ზეკაცის** ცნება. დალისა თვლის, რომ ზეკაცის სახელს ადამიანს მხოლოდ ტრფობა ანიჭებს. მწყემსის ტრაგედია ისაა, რომ იგი, გამორჩეულობის პრეტენზიის მქონე, ელენესგან სიყვარულს კი არა, სიბრალულს იმსახურებს.

პოემის ეპილოგში, თხრობა, ვაჟასებურად, თქმულების საბურველით იმოსება. პოეტი გვაუწყებს:

ხალხი კი ერთხმად კვლავ ამტკიცებს, რომ
სწორედ ამ ხანჯლით მოიკლა თავი
მან, ვისაც თავი მოაბეზრა დრომ,
და სევდა ჰკლავდა სულთამხუთავი.

მარტოობის ტრაგედია, ინდივიდუალიზმის დაძლევის თემა, რომელიც გალაკტიონის 10-იანი წლების შემოქმედების ძირითადი სააზროვნო პრობლემაა, ძალიან აქტუალურია პოეტის ადრეულ პოემებში. „შანშეში“ დემონურთან წილნაყარი რომანტიკული გმირი, ვითარცა აგასფერი, მარადიული ტანჯვისთვის არის განწირული. სელიმი „სატანადან“ და „საბედისწერო ფიქრის“ უსახელო პერსონაჟი დემონის კლანჭებს პირველი – სიკვდილით და მეორე – შეშლილობით „აღწევენ“ თავს; მწყემსის – ღვთის ხატად შექმნილი და დემონად ქცეული პიროვნების ხვედრი კი თვითმკვლელობაა. საჭირო იყო გზის მოხაზვა მეოცნებე-იდეალისტობიდან ზეკაცამდე და დემონის თვითმკვლელობამდე – სულის ნეგატიური ტრანსფორმაციის ლოგიკურ დასასრულამდე, რათა მოსინჯულიყო შესაძლებლობა ღვთაებრივთან მიბრუნებისა, აღორძინებისა.

ნაირა გელაშვილი

ლიტერატურული ჩანაწერები
(დღიურიდან)

2000 წელი, მარტი

გალაკტიონი

სად არის გალაკტიონის ზუსტი ბიოგრაფია? არ არის „ცხოვრება თარიღებში“ და „შემოქმედება თარიღებში!“

ისე გაქრება შემოქმედი საქართველოში, რომ მისი ცხოვრება წესიერად არ ეცოდინებათ და ის არსად ზუსტად არ დალაგდება და დაფიქსირდება (რამდენი ვიწვალე ქართული მოთხრობების გერმანული ანთოლოგიისათვის ქართველ მწერალთა ბიოგრაფიების შედგენისას, არსად წესიერად არ იყო მოწოდებული „ცხოვრება თარიღებში“).

პიროვნებისადმი პატივისცემის არარსებობა წარმოშობს გულგრილობას მისი ბიოგრაფიისადმი, მისი ცხოვრებისადმი, ამ ცხოვრების დეტალებისადმი.

არ ცნობიერდება პრობლემა: „სინამდვილე და პოეზია“ (გოეთე), ანუ: ცხოვრება და შემოქმედება. არ ანალიზდება, რას იწვევდა ცხოვრებისა და ხასიათის თავისებურებანი შემოქმედებაში და პირიქით: როგორ განსაზღვრავდა შემოქმედება ხელოვანის ბედისწერას.

როგორ ძირისძირობამდე იკვლევენ დასავლეთში შემოქმედის ბედს, რა პატივისცემით საუბრობენ მისი ცხოვრების მოვლენებზე, რამხელა მნიშვნელობას ანიჭებენ მის ურთიერთობებს, ტანჯვებს, შეხვედრებსა და განშორებებს; როგორ ადგენენ კავშირებს ფაქტებსა და ხატებს შორის. ყველა ფაქტი და არსება მნიშვნელოვანია, რადგან ისინი არიან, მუდმივად ახალ გრძნობებს, მოტივებს რომ წარმოშობენ და ცოცხლად ინარჩუნებენ ან სულაც აფეთქებენ შთაგონებას.

მაგალითად: ამდენი ხანი ვერ გავიგე, მას შემდეგ რაც მეუღლე – ოლღა ოკუჯავა უკანასკნელად (მესამედ) გადაასახლეს (და მალე დახვრიტეს კიდეც), ვინ ჰყავდა, ვინ აძლებინებდა გალაკტიონს ? ვინ იყო ეს მეგობარი ქალი? თუ ქალები? მეორე თუ მესამე ცოლი? ეს ჭორაობა კი არ არის, ბედისწერის გაგების აუცილებლობაა.

თავად პოეტისათვის ხომ არ იქნებოდა ეს ადვილი? ხომ სინდისი დასტანჯავდა? საყვარელი მეუღლე სადღაც იღუპებოდა, თვითონ კი ახალ სითბოს და სიახლოვეს აფარებდა თავს. არადა, სრული მარტოობა, ოლიას გარეშე ყოფნა მას ელემენტარულად გააცამტვერებდა. ვერც უბრალო (პოეზიისა და აზრისგან შორს მდგომ) ქალთან ურთიერთობას აიტანდა ალბათ (თუმცა, ეს კაცებს შეუძლიათ). და თუ ეს დილემა მის შემოქმედებაში ირეკლებოდა, – მნიშვნელოვანი და დასადგენია. თუ არ ირეკლებოდა – ესეც მრავლისმეტყველი მახასიათებელია. ბოლოს და ბოლოს, თუ ინტიმურ სიყვარულს არა, ადამიანურ თანადგომას, ზრუნვასა და მეგობრობას ეხებოდა საქმე! ან არ ეხებოდა! და ნორმალურია, რომ ასეთი ქალი თუ ქალები ბიოგრაფიიდან გაქრნენ? (რატომ სვამდა ამდენს?)

აქ კი ყველაფერს ასაიდუმლოებენ, თითქოს ნამუსს უნახავენ პოეტს! თუმცა, სხვა მხრივ ქალაქელი ფსევდოკულტურული პლებსი, მათ შორის მესამე სიდიდის ლიტერატორები, და ხშირად მეორისაც, ისეთი ცინიზმით გადაიჯლიგინებენ შემოქმედის ბედისწერაზე, მისი ცხოვრების ინტიმურ მხარეზე, მტკივნეულ თუ უიღბლო ურთიერთობებზე, რომ მიხვდები, რა ურიცხვი ლეგიონები ჰყავს ბელზებელს (ხშირად მის კონკრეტულ იპოსტაზს: სუკს) სამსახურში სულ უფასოდ ჩაყენებული. უბადრუკობა, უბადრუკთა უბადრუკობა და ...

90-იან წლებში ოლია ოკუჯავას საოცრად საინტერესო და ამაღელვებელი წერილები გამოსცეს ქართულად და წიგნში ისიც კი არ იყო ნახსენები, რომ ცოლ-ქმარი ერთმანეთს რუსუ-

ლად წერდა და ეს წერილები ორიგინალი კი არა, ნათარგმნი იყო. ესე იგი, ამ ორი დიდი ადამიანის ენობრივ ინდივიდუალობასთან კი არა, მთარგმნელის მიერ შემოთავაზებულ სტილთან გვქონდა საქმე.

პოლიტიკური კონიუნქტურა. რა უბედურებაა!

* * *

მაგრამ სად არის ოლია გალაკტიონის შემოქმედებაში? რატომ არის გამქრალი მისი ლექსებიდან?

ვეძებ და ვერ ვპოულობ. მერი არის, ოლია – არა. მაგრამ, ხომ ნამდვილად უყვარდა?

ნუთუ ეს ტანჯული ქალი, ძალიან მკვეთრი პიროვნება, გადასახლების შემდეგ (მაინც) ქმრის ლექსებსა და დღიურებში(?!) აღარსად უნდა გამკრთალიყო?

ერთადერთი ლექსი: „უკანასკნელი მატარებელი“.

სრულიად გულისგამგმირავი. სიმწარე და უილაჯობა ზენიტში: გულის გაპარტახება.

ემოციების დამბლა („რა საჭიროა ეხლა გოდება“).

„აჰა, დაიძრა რკინის ბორბლები,
მივდევ ვაგონებს, მახრჩობს გრძნობები,
გემშვიდობები სამარადისოდ,
სამარადისოდ გემშვიდობები.“

რკინის ურჩხული („მატარებლისგან როს მიმიღია ან თანაგრძნობა, ან შეცოდება?“).

მატარებელი = სახელმწიფოს. უგრძნობი ცალკეული ადამიანის ვაების მიმართ. ადამიანთა გამტაცებელი და გამქრობი.

ამ მატარებელმა გალაკტიონის არა მხოლოდ ცხოვრებიდან გაიტაცა, არამედ ლექსებიდანაც საბოლოოდ ამოძირკვა საოცარი ქალი: მისი ნამდვილი მეუღლე და სულიერი მეგობარი – ოლია ოკუჯავა (ხომ შეიძლებოდა მოგვიანებით შეექმნა მისი პოეტური ხატი! მაგრამ „ხალხის მტერზე“ რაღას დაწერდა!).

(ისე, ადამიანურად გასაკვირია, რომ ამ „უკანასკნელ მატარებელში“ პოეტი თავის ტანჯვაზე ლაპარაკობს და არა განწირული მეუღლისაზე).

ვიცი, რა შემზარავად საშიში იყო „სახელმწიფოს მტრისადმი“ თანაგრძნობის გამოვლინება. ვიცი, რა ჯოჯოხეთური ღამეები იდგა თბილისში: უძილობა, შუაღამის თავზარის (კარზე ბრახუნის) მოლოდინი; ყინულოვანი შიში ბინებში... ვიცი. გული არა ერთხელ ჩამიტარებია 1937 წლის თბილისის ღამეებში დახშული სახლების წინ და ბრახუნზე გაღებული კარებების უკან.

სრული უილაჯობა. ცივი ჟრჟოლა. განწირულობა. გაქვავება.

საწყალი, საწყალი, ბავშვივით დაუცველი, შიშით გულგაყინული გალაკტიონი.

და მაინც: სიმბოლური პოეზიაც ხომ არსებობს?

რა იყო ეს? შიში თუ ტანჯვიდან გაქცევა? თუ იმ დროისათვის ოლია უკვე აღარ უყვარდა?

ოლია იყო გალაკტიონი – ქალი, ოღონდ არ წერდა. წესით, თავადაც უნდა ეწერა. გალაკტიონმაც უთხრა ეს.

ამ პატარა ქალის სულში ქარიშხალი ცხოვრობდა, ცეცხლოვანი პროტესტი ბობოქრობდა ადამიანთა ჩაგვრისა და ტანჯვის წინააღმდეგ. რევოლუციის ტრფიალს რომ იტყვიან... ეს იყო ოლია ოკუჯავა. ალბათ მან გადასდო ეს ტრფიალი გალაკტიონს. შეყვარებულები პეტერბურგს მიემგზავრებიან, რათა რევოლუციის გმირულ პათოსსა და ბედისწერას ეზიარონ (!). ბოროტებისა და უსამართლობის წინააღმდეგ ამხედრებული ადამიანების სისხლიანი სილამაზე!

(რა იცოდა, რომ იქ და მაშინ იჭედებოდა არაადამიანური უსამართლობის რკინის აკვანი, რომელშიც მისი და მილიონობით მასავით უდანაშაულო ადამიანის ცხოვრება ჩაიმსხვრეოდა. თუმცა, ალბათ ნაწილობრივ მაშინაც იცოდა. მაგრამ ამას უბედურ აუცილებლობად თვლიდა. რევოლუციის ტრაგიკულ თანამდევად. ერთი მეოთხედი შეეწირება სამი მეოთხედის კეთილდღეობას. ეს ჯობს სამი მეოთხედის, ანუ მთელი ხალხის შიმშილსა და წერა-კითხვის უცოდინარობას, ბავშვების ტანჯვას, მათ შიმშილსა და ექსპლოატაციას. მასობრივ გაუნათლებლობასა და სიბნელეს. ასე ფიქრობდა?).

ორივეს აღაფრთოვანებდა ლენინი, ლამის უკვე მითოსური გმირი – შერკინებული მსოფლიო

უსამართლობას, ტანჯული ადამიანის მხსნელი (ქრისტე გაეთავისუფლებინათ ამ მისიისაგან). გალაკტიონი ამაყობდა, რომ ქართველი პოეტებიდან მან პირველმა ახსენა სახელი „ლენინი“ ლექსში. ლექსი კი მართლაც კარგია, იდუმალიც კი („გემი დალანდი“) . არ არსებობს დაუძლეველი მასალა გენიისათვის, ვიდრე გულწრფელად სჯერა.

(რუსეთის იმპერიის დამხობამ, რევოლუციამ უზარმაზარი პოეტური ენერგია ააფეთქა. ახალი ძალის ნაკადი. ახალი იმედები. ახალი შიშები. ახალი თემები. ახალი რაკურსი. პათოსი. საბრძოლო-ოპტიმისტური ან ტრაგიკული. როგორც საფრანგეთის რევოლუციამ თავის დროზე. მაიაკოვსკი, გალაკტიონი... „Испепеляющие годы! Безумья ль в вас, надежды ль весть? От дней войны, от дней свободы –Кровавый отсвет в лицах есть.“ – ბლოკი. და არავითარი ახალი ენერგია, პათოსი, სიახლისა და ნათელი მომავლის დაბადების წინათგრძნობა ან რწმენა არ წარმოუქმნია საბჭოთა იმპერიის დაშლას ... პირიქით. პოსტსაბჭოთა ლიტერატურა – ახალი დეკადანსი. დეპრესია. უენერგიობა. შინაგანი სიმხდალითა თუ დათრგუნვილობით გამოწვეული სნობიზმი და ცინიზმი. არანაირი იდეალები. ნამდვილი უიდეობა. ძალიან მცირე გამონაკლისის გარდა, მთელ პოსტსოციალისტურ სივრცეში. ძალიან მოსაწყენია. ეს არის შედეგი 70-წლიანი არაბუნებრივი და არანამდვილი ცხოვრებისა. მაგრამ რაიმე გამოცდილების ნულოვან გამოცდილებად ქცევა არაშემოქმედი და არამოაზროვნე ადამიანების საქმეა).

და ამავე დროს ოლია იყო ყველაზე ზუსტი მგრძნობელი, დამნახავი და დამფასებელი გალაკტიონის გენიალობისა და მისი პოეზიის უძირო, თითქმის სასოწარმკვეთი მშვენიერების მთელ მაშინდელ საქართველოში.

და გულში ზღვასავით სიყვარული უდუღდა, უსაწყისო და უსასრულო, უნაზესი და უმამაცესი, თავგანწირული, სიკვდილის მეზობლად მცხოვრები სიყვარული თავისი ქმრისადმი. რა წერილებს სწერდა!

„გალაკტიონში არის დემონი და ჩემში უფრო ანგელოზია.“

– ასეთი იყო ტერენტი გრანელის შეგრძნება.

ოლია უფრო დემონური იყო, ვიდრე გალაკტიონი.

რევოლუციების მახლობლად ხომ დემონები დაფარფატებენ. თუმცა ისედაც, ურევოლუციოდაც, ასეთ ადამიანებში გამოუთქმელად სუნთქავს საზღვრების გადალახვის წყურვილი ღმერთის გარეშე.

ოლია. ოლია დაუვიწყარი უნდა ყოფილიყო.

და ეგებ უსასრულო „ტანჯვა-განსაცდელის“ შემდეგ იდუმალების შარავანდი დაედგა მეუღლის სახეს და (გაურკვეველ) მეტაფიზიკურ სივრცეში გადაანაცვლა მისი ხატება? ოღონდ „დემონების“ დახმარებით, რომლებიც ასრულებენ რა მომაკვდავი პოეტის თხოვნას, ხურავენ წიგნებს და ხსნიან ფარდას:

„სიკვდილის პირას როცა ვიქნები,
მე ჩემს დემონებს
ვთხოვ,რომ დახურონ ყველა წიგნები,
სადაც არა ერთს
გადაქცეულს ვნახავ შენობას...
და მხოლოდ ერთი ასწიონ ფარდა მზის დამფარავი,
სადაც შენს იქით, სადაც შენს გარდა არ სჩანს არავინ...“

* * *

ასე მეჩვენება, რომ წერილები გალაკტიონზე (გალაკტიონოლოგია) სხვა გალაკტიონს ხატავენ, ვიდრე მისი ლექსები.

და: სხვა გალაკტიონს ხატავენ მოგონებები გალაკტიონზე,

და: ასევე სხვას – თავად გალაკტიონის ჩანაწერები.

ყველაზე ტრაგიკულად აღვიქვამ გალაკტიონის ჩანაწერებს.

(ილია, იაკობ გოგებაშვილი, ფიროსმანი, მიხეილ ჯავახიშვილი, ვაჟა და გალაკტიონი ღია ჭრილობებია ჩემთვის... ღია ჭრილობებში მაქვს ფესვები გამდგარი).

* * *

თავზარდამცემია, თუ რა თავისთავად ცხადად თვლის ყველა, რომ გალაკტიონი „ხარკს უხდიდა“ საბჭოთა იდეოლოგიას. ეს სრულიად გარდაუვალ რამედ ითვლება (მორალურ კომპრომისებს სრულიად ბუნებრივად აღიქვამენ ჩვეულებრივი ადამიანები და კონფორმისტები).

ხარკი შეიძლება რამდენიმე ლექსით გადაიხადო და არა შენი პოეზიის სამი მეოთხედით! ვინ აძალებდა ამდენის წერას? აგერ იყო ოთარ ჩხეიძე და, იმავე პერიოდში, როცა გალაკტიონი ზეიმობდა: „ვაშა ამ ახალ საქართველოს, ვაშა შენებასო!“ სულ იმას წერდა, თუ როგორ პარტახდებოდა ქართლი საბჭოთა ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად და ამის გამო არ დაუხვრეტიათ (რაც გასაკვირია, მაგრამ ფაქტია). ისინი სხვადასხვა განზომილებებში ხედავდნენ სინამდვილეს, სხვადასხვა ჭრილში. და ორივე გულწრფელი იყო. და ტერენტი გრანელიც ხომ წერდა იმავე პერიოდში სრულიად არაიდეოლოგიურ ლექსებს? დიახ, და ამის საზღაური – შავბნელი სიმარტოვე, გარიყულობა და სიღატაკე.

გალაკტიონს კი არ შეეძლო უჯრისთვის წერა: ის არანაირი ჯურის დისიდენტი არა ყოფილა. სძულდა „სპილოს ძვლის კოშკი“, შემოქმედის განდეგილობა, „პოეზია პოეზიისთვის“ და „ხელოვნება ხელოვნებისთვის“. სძულდა და ჭკუიდან გადადიოდა, ეს როგორ მოსდიოდათ თავში, ამას როგორ ამბობდნენო! სნობიზმი და ფუქსავატობა იყო ეს მისთვის („საუბრები ლირიკაზე“ – გვიანდელი ხანის ნამდვილი შედევრი, მიუხედავად მისი პროლოგის გმირებისა, რომელთა სახელებია: მარქსი, ენგელსი, ლენინი და სტალინი. გალაკტიონი მათში თავის აზრს სდებდა).

გალაკტიონი ხარკს არ იხდიდა. ის გრანდიოზული რევოლუციური გარდაქმნის, განახლების თანამონაწილედ, თანაავტორად და ამდენად, რევოლუციის შემოქმედი ხალხის ნაწილად, შვილად თვლიდა თავს. ამიტომ სწყუროდა მუდმივი აღიარება ამ ხალხისაგან. მასთან განუწყვეტელი კავშირი. მასთან დიალოგი. მას თავბრუს ახვევდა, უზომოდ აღაფრთოვანებდა ის, რომ სახალხო პოეტი იყო (გიჟდებოდა თავის საღამოებზე. ხალხთან შეხვედრებზე. სურდა ზედიზედ 100 საღამო გაემართა!).

ვინ არის „სახალხო პოეტი?“ ვინ არის ხალხი „სახალხო პოეტისათვის?“ ის ვისაც სწამს, რომ ხალხს ემსახურება (ილია ჭავჭავაძე, ფრიდრიჰ ჰიოლდერლინი...) „სახალხო პოეტობა“ დემოკრატიულობას უნდა სძენდეს შემოქმედებას: ის გასაგები უნდა იყოს ხალხისთვის. დემოკრატიულია ამ თვალსაზრისით გალაკტიონის – ნამდვილად მემარცხენე, ნამდვილად სოციალური სამართლიანობისთვის გულანთებული და კაპიტალიზმის გულწრფელად მოძულე პოეტის შემოქმედება? ზოგჯერ არის. უმეტესად არა. თუ პოეზია შინაარსით ფილოსოფიაა და ხმით მუსიკა, როგორც ხედავდა გალაკტიონი („საუბრები ლირიკაზე“), მაშინ ის ელიტარულობას ვერ ასცდება.

ის ესთეტიკა, ფართო წრეებისთვის შინაგან კომუნიკაციებს რომ უზრუნველყოფს: ფრაზის გამჭვირვალებითა და (სიღრმიდან წამოსული) უბრალოებით გამოირჩევა, – გვხვდება ილიასთან, ბარათაშვილთან, ვაჟასთან... მაგრამ თუ ილიასთვის და ჰიოლდერლინისთვის პოეტი ხალხსა და ღმერთს შორის დგას, რათა ღმერთის ცეცხლოვანი აზრები დაიჭიროს და სიმღერით გაშუალებული, „შებურული“, ანუ გაუვნებელყოფილი ხალხს მიაწოდოს, გალაკტიონთან პოეტს ეს მიმართება დაკარგული აქვს (საბჭოთა იდეოლოგიის შესაბამისად), და მეტაფიზიკური სივრცის არარსებობა ამ უდიდეს პოეზიას აღარ აძლევს შესაძლებლობას მეტარეალიზმად გადაიქცეს, როგორიცაა ჰიოლდერლინის, ილიას თუ ერნესტო კარდინალის პოეზია, სადაც სამოქალაქო პასუხისმგებლობა და ხალხზე ზრუნვა ყოვლისშემოქმედი ძალის წინაშე, მისი წყალობით და მისი ნების შესაბამისად ხორციელდება. ეს არის გალაკტიონის პიროვნებისა და პოეზიის ტრაგედია. მისი სამანი. მისი „გზა“ ძალიან შორს, ანუ „მაღლა“ არ მიდის (მძიმე წუთებში ურწმუნო ადამიანსაც კი ღმერთის სახელი აღმოხდება. ხოლო ჩანაწერებში ადამიანი ის არის, რაც არის მოცემულ მომენტში: და ყველგან ჩანს, რომ გალაკტიონისთვის არ არსებობს რაიმე მხსნელი ძალა ცხოვრებისა და ხელოვნების იქით: „თუ მიხსნის, ისევ ხელოვნება მიხსნის. მიხსენი, ხელოვნებავ, გევედრები!“ აი, მისი „მამაო ჩვენო“).

* * *

გალაკტიონი, როგორც პოეტიც, რევოლუციონერი იყო. მისი ენა, ფანტასტიკური სიტყვადქმნადობა, ენერგია, დრამატიზმი.

უამრავი პოეტი, რომლებიც ცხოვრებაში რევოლუციას უჭერდნენ მხარს, სრულიად არარევოლუციურები იყვნენ თავიანთ შემოქმედებაში.

* * *

გალაკტიონის სამოქალაქო ლირიკა სრულიად შეუსწავლელია.

გალაკტიონის ლირიკის უმეტესი ნაწილი სამოქალაქო-პოლიტიკური ლირიკაა.

რა არის ეს? ცხოვრების ალბათ ასე 30 წელიწადი (დაახლოებით 1927-30 წლების შემდეგ სიკვდილამდე) და შემოქმედების უდიდესი ნაწილი?

ნიცშე ზიზღით ამბობს: ეს დაპირისპირება: Vita contemplativa და vita activ აზიური გამოგონებაა. აღტაცებით ამბობს: ბერძნული ლიტერატურა პირწმინდად სახელმწიფო მოღვაწეთა ლიტერატურაა. მოქალაქე და პოეტი. პიროვნული მთლიანობა. და არა ან პოეზია, ან ცხოვრება. „სულით მდიდარი და საქმით ღარიბი“ – როგორ ეცოდება ჰიოლდერლინს, თავისი, აი, ასეთი გერმანია. თავისი თავიც: აი, ასეთი. და საოცარია, როგორ იგივეს ამბობს გალაკტიონი (ეს ყველაზე განათლებული ქართველი პოეტი, რომელიც როგორც თევზი წყალში ისე დაცურავს კაცობრიობის კულტურულ და აზრობრივ სივრცეში) ლირიკის არსის განსაზღვრისას და ელადის პოეზიის, თუნდაც პინდარეს დახასიათებისას.

„რაოდენ ბრწყინვით მიდიოდა ძველი ელადა, ლირიკა მისი ეროვნული იყო და სადა. რა ძლიერია უბრალობით ქნარი იმდარი, რა საოცარი ხმით მღეროდა მაშინ პინდარი. ბრწყინვალესი და მშვენიერის მქონე იერის მღერდა ელადის სიდიადეს და სიძლიერეს. მისი ოდები და ჰიმნები რა აღტაცებით შეჯიბრებებზე გამარჯვებულთ პატივსაცემად ოლიმპიისა და პითიის ხატავდა სახეს, იმ ხალხის რწმენას, იმ სიმაღლეს და სიამაყეს...“

„ისტორიული სინამდვილის ხმით დატვირთული, გარემოცვათა უმრავლესთა განცდათ სირთულით ლირიკა იყო ჭეშმარიტად ღრმა, ეროვნული; ლირიკა იყო ხალხის სული და ხალხის გული, ის არ მოემწყვდა პიროვნულ და ინტიმურ სფეროს, ის ასახავდა უურთულესს, უღრმესს, საეროს. ადამიანის საეროსთან დამოკიდებას, საგმირო საქმეთ, სამშობლოის მისის დიდებას.“

თომას მანის ბრწყინვალე წერილი: „გოეთე და დემოკრატია“. გოეთე ვერ იტანდა რევოლუციას და თავისთავად ვერც დემოკრატიას. რადგან უმრავლესობა არც განათლების მატარებელია და არც კულტურის. ასეთი არის უმცირესობა. და გაუნათლებელმა უმრავლესობამ განათლებული უმცირესობა უნდა მართოს? მაგრამ! სახელმწიფოს ინტერესების გულისთვის გოეთე უკანა პლანზე სწევს პოეტს და პოეზიას. „ტორკვატო ტასსო“. სახელმწიფო – მთელი ხალხის კეთილდღეობისა და სიმშვიდის გარანტი (უნდა იყოს). მთელი ხალხი, უმრავლესობა, უმაღლესი ფასეულობაა. და თუ აბსოლუტური უმცირესობა: პოეტი – მის საფუძვლებს არყევს, ჯობს, იგი გვერდზე გადაიწიოს. პლატონი. პოეზია საშიშია სახელმწიფოსთვის, რომელსაც ძლიერი კაცები სჭირდება: პოეზია ზედმეტად ასათუთებს მათ. ჰომეროსი – სახელმწიფოს მტერი. მაგრამ ძალა სათნოების გარეშე კი არ არის საშიში? და რამ ზარდოს ეს სათნოება ადამიანში? რამ ზარდოს სილამაზის შეგრძნება? რამ ზარდოს სიკეთე? და სიკეთის გარეშე როგორ მივიღებთ სამართლიან სახელმწიფოს? და უსამართლო სახელმწიფო როგორ იქნება ძლიერი? რამდენ ხანს გაძლებს?. „წინააღმდეგობებს შორის გაბმული ცხოვრება“ – რ.მ. რილკეს მძიმე ამოოხვრა. სიბრძნე წინააღმდეგობათა დაზავებაშია. ტკივილი კი – ყველგან ძალაში.

გალაკტიონი ლირიკას აღიქვამს დიადი იდეების (რომელთა საერთო შინაარსი „სამართლიანობაში“ ან „სილამაზეში“ სუფევს) მატარებელ და განმახორციელებელ ძალად, სიცოცხლის სულად, ხალხის ამამაღლებლად და ამდენად, სამართლიანი სახელმწიფოს უმძლავრეს იარაღად და თავშიც არ მოუვა მისი საზიანოობა სახელმწიფოსთვის.

გალაკტიონისთვის უწმინდესი ფენომენები, მოვლენები და მათი შესატყვისი ცნებები იყო: არა მხოლოდ „პოეზია“, არამედ: „მშვიდობა“ (თუნდაც მხოლოდ „მშვიდობის წიგნი“), „შენება“, „სამართლიანობა“, „ხალხთა მეგობრობა“, „შრომა“ (ილიასეული „შრომისა ახსნა“ და „შრომის სუფევა“), „ჰუმანიზმი“, „განახლება“, „ერთობა“ და არასოდეს იგი არ გაიცინებდა ადამიანთა

ერთობლივ შრომაზე, საერთოდ, შრომაზე (როგორც ეს ეჩვენებათ საბჭოეთში ჩამოყალიბებულ სნობებსა თუ ინდივიდუალისტებს „კოლექტივო, მხარი-მხარს“ დაცინვა რომ ჰგონიათ. კარგად წაიკითხონ მთელი გალაკტიონი. შრომით სიმღერებს საერთოდ ყველგან ახასიათებთ თამაშისეული მომენტები).

გალაკტიონი. პოლიტიკური პოეტი. თავისი სახელმწიფოს შვილი, მის გვერდით მდგომი, რადგან, მისი რწმენით, ეს სახელმწიფო ისტორიაში პირველად ტანჯულთა, ჩაგრულთა და დამცირებულთა უფლებებისა და ღირსების აღდგენას აწერს თავის დროშაზე.

თუნდაც მხოლოდ ან, პირველ რიგში ის, რომ სოციალისტურმა ქვეყანამ განსაცვიფრებლად სწრაფად მოსპო მასობრივი, პირველ რიგში, ბავშვების შიმშილი და უბინაობა; წერა-კითხვის უცოდინარობა, უმუშევრობა, ამოაშრო ჭაობები, გააქრო მალარია და მთელი მსოფლიო ფაშიზმისაგან იხსნა, დიდხანს ათქმევინებდა გალაკტიონს „ჰო“-ს საბჭოთა ცხოვრებაზე, მიუხედავად ყველაფრისა. რადგან ალტერნატივას ვერსად ხედავდა („აუწერელი გარყვნილება და ფუფუნება – აი, რა არის, კაპიტალო, შენი ბუნება. აუწერელი ბუნებიდან გადანაშალი, აუწერელი ცოდვები და დანაშაული...“).

გალაკტიონი. თავისი სოციალისტური სამშობლოს გვერდით მდგომი მთელი თავისი დემონურ-დრამატული ენერგიითა და რწმენით. მას სწამდა და არ სურდა, არ შეეძლო, არ სწამებოდა, რომ ამხელა მსხვერპლი, შეცდომები და გადაცდენები უდიდესმა, უზენაესმა მიზანმა მოიტანა: პირველად ისტორიაში უნდა დამკვიდრებულიყო სამართლიანობა: თანაბარი უფლება და შესაძლებლობა ყველა ადამიანისათვის. ერთი ადამიანის მიერ მეორის არა მხოლოდ ჩაგვრა, არამედ ჩაგვრის ძირები ამოძირკვა.

ეს იყო მთავარი. მაგრამ როგორ უნდა გადარჩენილიყო რომანტიზმი? „ძველი, წყნარი რომანტიზმის“ (გ. ტ.) ძე შეცთომილის აღსარება: „ამაოდ გვწყუროდა იდეალი და ჰარმონია. ჩვენ ვცხოვრობდით იდუმალების და სასწაულების მოლოდინში. მარტოდმარტო ვიყავი მე ამ საბედისწერო ბრძოლის ველზე. ვერავითარი მიწიერი ხმა ვერ მავიწყებდა მე იმ ზეციურ ხმებს. მწუხარება ვაკენროდერის! ზმანება ნოვალისის! მაგრამ ამ დროს რომანტიული ირონია კიდევ აძლევდა პოეტს საშუალებას ამაღლებულიყო საბოლოო საგანთა ქვეყანაზე. ჩვენს დროში კი (შემოიჭრა მეცნიერება, შემოიჭრა სოციალიზმის იდეები) პოეტი სრულიად არა სჩანს და ვერავინ დაუსჯელად ვერ წავა ოცნების სამეფოში. აქაა ტრაგედია თანამედროვე პოეტისა. დაგვიანებული რომანტიკოსები!“ მაგრამ ეს ჩანაწერი 1925 წელს კეთდება. მერე კი ისტორიის ფაქტობრიობა, რომელსაც თვალს უსწორებს პოეტი, ახალ რომანტიზმს ქმნის: და გალაკტიონი თავის თავს ახასიათებს როგორც „ახალი რომანტიზმის შემქმნელს“.

„შენების“ რომანტიზმზეა ლაპარაკი.

მაგრამ იგი თანდათან კარგავს რწმენას, რომ რევოლუციის შედეგები უფრო კარგი იყო, ვიდრე ცუდი. რომ მთავარს ნაკლებად მთავარი ეწირებოდა. დიდს – მცირე. ამ რწმენის თანდათანობით გაქრობის პარალელურად ძლიერდება მისი ქაოსი. იშრიტება მისი ადამიანურობა, სიყვარული, ენთუზიაზმი. და როცა ეს რწმენა სულ ქრება, იგი თავს იკლავს.მაიაკოვსკივით. ან: იმდენად იცრიცება ყოფნასთან მისი მიმბმელი ძაფები, რომ მას თავისუფლად ისრუტავს არყოფნა: სადღაც გადააბიჯა სივრცეში (შეგნებულად გადავარდა მეოთხე სართულიდან თუ შემთხვევით, მთლად გასაგები არ არის).

დიდი ტალანტის, იდეური ადამიანის გარდაუვალი და ბედისწერული მარტოობა უინტელექტო ადამიანთა, მცირეფორმატიან ხელოვანთა გარემოცვაში („გარშემო საშინელი უდაბნოა! უნდა ვერიდო ხალხს, რომელსაც ჩემთან იდეური კავშირი არა აქვს.“ „გამარჯობა, უდაბნო!“ შეგვიძლია იმის დანახვა, რასაც ასე ესალმება? უდაბნო ნიცშესთან. უდაბნოსთვის სამყარო ჩაკეტილია. „ვინც ის დაკარგა, რაც შენ დაკარგე, ვეღარსად ჰპოვოს მან საყუდელი“. – ფრ. ნ.).

ყველა რევოლუცია მარცხდება. და რჩება მწარე სიბრძნე, რომლის თანახმადაც რევოლუცია წარმოიშობა ადამიანის ტანჯვითა და ჩაგვრით აღშფოთებულ, კეთილშობილ იდეალისტთა გულებში, მას ახორციელებენ რეალისტები და მისით სარგებლობენ არამზადები (თუმცა, ხდომილების ფარული ძირები შეუცნობელი რჩება: არაადამიანობის ფესვები ადამიანებში).

ერთი პრობლემა. აქსიომა: დიდ პოეტს აქვს მაქსიმალურად განატიფებული მგრძნობელობა ცოცხალი ბუნების მიმართ. ამიტომ არის პოეტი. მარადიული ტრიადა: ღმერთი. ბუნება. ადამიანი (პოეტი). გალაკტიონის მიერ სულისა და ბუნების განცდა და ამ განცდის განსახიერე-

ბა განსაცვიფრებელი სიტყვიერი შესაქმით, ხატებით, მუდამ მოულოდნელი გადასვლებით, მუსიკით, ნახევარტონებით, ბგერწერით, ვიბრაციებით...კარგი. მაგრამ ის როგორ ხდება, რომ ერთსა და იმავე მოვლენას, ძალიან თანამედროვეს, ძალიან ახალს, ეპოქალურს, თავისი არსით დრამატულს, ამდენად, სიმბოლურს, – დიდი პოეტი ზედაპირულად აღიქვამს და არადიდი პოეტი ღრმად? ვგულისხმობ მდინარის მოთოკვას და დამდორებას (წყლის საიდუმლო. წყალი, როგორც ყველაზე გამოუცნობი სტიქია. შესაქმეში მხოლოდ წყალზე არ არის ნათქვამი, როდის და როგორ შეიქმნა. თითქოს სულ არსებობდა, შესაქმემდე, სიბნელესავით. დავუკვირდეთ მდინარეებს ამა თუ იმ პოეზიაში. ძალიან ძლიერად არის ეს გერმანულ და ქართულ პოეზიებში). მაშასადამე: ზაჰესის აგება. არ მახსენდება გალაკტიონის ლექსი ამაზე, მაგრამ არსებობს მისი ჩანაწერი, სადაც ამ ფაქტს პოზიტიურ ჭრილში ხედავს: „როდესაც ზაჰესს ხსნიდნენ, თბილისში დაშრა მტკვარი. ფეხით გადავლისას ხელით იჭერდნენ თევზს ნაგუბარებში. საარაკო სანახავი იყო მტკვარი იმ დღეს. საზღვარი არ ჰქონდა ბავშვების სიხარულს.“ აი, ეს არის გალაკტიონი: ბავშვების სიხარულმა გადაფარა ბუნების დიადი ქმნილების – მდინარის დამონების ტრაგედია და მოაბლაგვა ტრაგიკული მომავლის წინათგრძნობა: ხედვა იმისა, თუ რა საშინელ მასშტაბებს მიიღებდა ბუნების წინააღმდეგ დაწყებული ბრძოლა, მანქანური საუკუნის გაქანება და როგორ დააყენებდა დედამიწის არსებობას კითხვის ქვეშ. 1926 წელს გარდაცვლილი რილკესთვის „მანქანა“ უკვე ის იყო, რაც იყო და რადაც განსაკუთრებით შემდეგში იქცა: თავაშვებული ზრდის შედეგად სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული ძალა.

და საოცარია, რომ ასევე რევოლუციური პოეტი, რომელიც დღეს აღარავინ იცის, რომელსაც არც მე ვიცნობ წესიერად, ილო მოსაშვილი, არაჩვეულებრივად ღრმად აღიქვამს ბუნების დაკაბალების აუცილებლობას, როგორც ტრაგედიას. ლექსი „მტკვრის სიკვდილი“. ესოდენ ადეკვატური ლექსის წარმოშობა იქ და მაშინ, სადაც და როცა ჰაერშიც კი არ ჭაჭანებდა ცნება „ეკოლოგია“? მართლაც რომ საოცარია პოეზიის გზები. ღმერთმანი. მტკვრის დაგუბების აუცილებლობა ელექტრული ენერგიის მოსაპოვებლად პოეტის განცდით არის რაღაც უკიდურესად არაბუნებრივი, ანტიბუნებრივი: რაღაც „ქაჯური“, ეშმაკური ხრიკი („სარმის დადება“): მტკვრის დაგუბებითა და დამორჩილებით წყდება კავშირები ბუნებისა და ქართველთა ისტორიულ-სულიერი მეხსიერების უზარმაზარ სეგმენტში: კავშირი ბუნების საგნებს შორის, რომელთაც მტკვარი ეხება. ესენია: მთები, ჭალები, მიწა, ჰაერი, ღრუბლები, შენაკადები, თევზები, სხვა ცოცხალი არსებები. კავშირი წარსულსა და აწმყოს, წარსულისა და აწმყოს ადამიანებს შორის, რადგან: „ასეთი“ დამცრობილი მტკვარი არ იცოდნენ არც ზაჰესისდროინდელმა თბილისელებმა, არც ბარათაშვილმა, არც არმაზის ქანდაკმა და არც წმინდა ნინომ. მათ ყველამ ერთი და იგივე მტკვარი იცოდა: თავისუფალი, თავაწყვეტილი, ველური. დაგუბებული მტკვარი აღარ არის სულიერი მეხსიერების სარკე. ხიდი წარსულთან. და თვითონ მდინარის მეხსიერებაც დაიმსხვრა, დაგუბდა და დაპატარავდა. ასევე: ის აღარ იქნება ამაღლებული ლექსებისა და ფიქრების წარმომშობი საგანი. ლექსი „მტკვრის სიკვდილი“: „გხვდება მოქნილი სარმა სარმაზე და ცეცხლი გივლის ელვის, კინოსი... აღარა გწყალობს, მტკვარო, არმაზი, აღარც თვალები წმინდა ნინოსი. ქვის ჯებირების მოგდეს ლაგამი და შემოგავლეს რკინის კედლები, ვინ იცის ტალღებს სად დააღამებ, სავსეს მცხუნვარე მზის ნაღვერდლებით. შენს დატყვევებას მთები სტირიან, წავიდა ის დრო, მორჩა საშველი... როცა ნათლავდი წარმართ მირიანს, როცა გიმღერდა ბარათაშვილი... მთებო, კლდიანო, თქვენი ნაჟური ტფილისს არ ახსოვს ასე პატარა... ზაჰესს აენთო ცეცხლი ქაჯური და ელვა აქაც ჩამოატარა. – მტკვარი დაშრაო – რეკავს დარია. ეს როგორ მოხდა... ნეტავ როგორა... მტკვარი დაგუბდა, მტკვარი მკვდარია და ძველებურად ვეღარ მოგორავს. მთებში ღრუბლები დადნენ წუხილით, ნაძვებმა კლდეებს ჩამოურბინეს... მტკვარო, დაგადგეს ქედზე უღელი, მტკვარო, შეგაბეს რკინის ტურბინებს. ჯერ არ უნახავს ცეცხლი მზიანი შენს ღრმა ნაკვალევ ხევებს ქვიანებს... რას იტყვის ტალღა ალაზნიანი – უფროსი ძმა რომ დაიგვიანებს. მშვიდობით, მტკვარო, შენი გმირული ძახილი მთიან ხევებში ჩარჩა... დაეცი, როგორც თავგანწირული, დიღომთან ვეფხვი დაეცა შარშან“.

განა 1926 წელს, როცა ეს ლექსი დაიწერა, მთლად უხიფათო იქნებოდა საბჭოთა სახელმწიფოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე „გოელროს გეგმის“, ინდუსტრიალიზაციისა და მთელი აღმშენებლობის მიმართ აი, ასეთი დამოკიდებულება?

ლოთარ ბაიერი

რა არის ლიტერატურა?

მეორე თავი წიგნისა „რა ხდება ლიტერატურა“[1]

“What Was Literature?“ – ასე ეწოდება სამოციანი წლების კონტრკულტურის ერთ-ერთი ლიდერის, ლესლი ე. ფიდლერის 1982 წელს გამოცემულ წიგნს. მისი სათაური დამცინავი სარკაზმით მოგვანიშნებს ჟან-პოლ სარტრის 1947 წელს გამოცემულ ესეზე „რა არის ლიტერატურა?“ თავდაპირველად მსურს, სარტრის წიგნზე ვისაუბრო, რადგან მეჩვენება, რომ ლიტერატურის გავლენის შესახებ არაერთი წარმოდგენა, რომელიც დღესაც საფუძვლად უდევს მის კრიზისსა და ქრობაზე მსჯელობას, ლიტერატურის სწორედ სარტრისეული კონცეფციიდან გამომდინარეობს. ვინც არ უნდა ილაპარაკოს „ანგაჟირებულობის“ შესახებ, ის, თუნდაც გაუცნობიერებლად, იმ ლიტერატურულ დისკუსიას განაგრძობს, რაც სარტრმა მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ წამოიწყო და რომელიც შორს გასცდა საფრანგეთის საზღვრებს. ამ ომისშემდგომ დებატებთან დაბრუნება მრავალი აზრით მიმაჩნია გამართლებულად: ამან შესაძლოა გაგვახსენოს დიდი ხნის წინათ მივიწყებული, ანდა დღეს უკვე გაუგებარი ტექსტი, თანამედროვე საზოგადოების მისდამი მიმართება და ამ ტექსტის მიერ დატოვებული კვალი; ამავე დროს, ეს საშუალებას გვაძლევს დღევანდელი გადასახედიდან დისტანცირებულად შევაფასოთ საზოგადოებასა და მის აზროვნებაში მომხდარი ცვლილებები.

წიგნის „რა არის ლიტერატურა?“ დამაკმაყოფილებელი გერმანული თარგმანი მხოლოდ რამდენიმე წლის წინათ გამოიცა: სარტრის მთარგმნელმა, 1991 წელს გარდაცვლილმა თრაუგოთ კიონიგმა ის ფრანკფურტის უნივერსიტეტის სტუდენტთა ჯგუფთან ერთად მოამზადა. მანამდე, 1950 წელს გამოცემული თარგმანი არამხოლოდ ფილოლოგიური თვალსაზრისით იყო გაუმართავი; მასში სარტრის საკვანძო ცნებები დამახინჯებულად იყო გადმოცემული, რამაც მშვიდი დისკუსიის ნაცვლად გაუგებრობა და ვნებათაღელვა გამოიწვია. ანგაჟირებულობა, ზოგ შემთხვევაში, თარგმნილი იყო ტერმინით „დაკავებულობა“, რის გამოც სარტრს ბრალად დაედო, თითქოს, მას მწერლების ამა თუ იმ, ქრისტიანულ-ეგზისტენციალისტური თუ კომუნისტური მსოფლმხედველობით შებოჭვა სურდეს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ძველი თარგმანით ისეთი სარტრი შევიქმენით, როგორიც იმ ეპოქაში გვჭირდებოდა და, ბელზებელისა არ იყოს, მისი ნებისმიერ მხარეს შეტრიალება შეგვეძლო. თუმცა ეს ცალკე ამბავია; ზოგადად, ხშირია შემთხვევები, როდესაც მიკერძოებულად და დროის ტენდენციების შესაბამისად თარგმნილი ნაწარმოები სრულიად გაუმართლებელ ვნებათაღელვას იწვევს. მაგრამ ეს ვნებათაღელვა ერთხელ და სამუდამოდ რჩება ისტორიულ ფაქტად და მათ უკვე სწორი თარგმანიც კი ვეღარ დააცხრობს. ვერც სარტრის წიგნის ახალი თარგმანი გააბათილებს წინა წლების გაუგებრობას. ის მხოლოდ და მხოლოდ მცდელობას გულისხმობს, კიდევ ერთხელ, sine ira et studio, ჩავწვდეთ ტექსტს, რომელიც მეხსიერებამ დამახინჯებული სახით შემოგვინახა.

„რა არის ლიტერატურა?“ 1947 წელს იზოლირებული მანიფესტის სახით ციდან არ ჩამოვარდნილა; მას კონკრეტულ ეპოქალურ ვითარებაში უდგას ფესვები და როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური ისტორია აქვს. დაწვრილებით არ განვიხილავ ყველა იმ თემის წარმოშობას, რომლებსაც სარტრი 1939 წლიდან გამოქვეყნებულ კრიტიკულ წერილებში განავრცობდა. მხოლოდ მოკლედ შევეხები ტექსტის შექმნის ისტორიას, რათა გასაგები გახდეს, თუ რა ისტორიულ ნიადაგზე აღმოცენდა სარტრის კონცეფციები.

ვიდრე „Qu’est-ce que la littérature?“ წიგნად გამოვიდოდა, ის ექვსი წერილის სახით დაიბეჭდა ახალდაარსებულ ჟურნალში „Le Temps Modernes“. მწერალთა ჯგუფმა, რომლებიც გერმნული ოკუპაციის წლებში, სარტრის მსგავსად, წინააღმდეგობის მხარეზე იღვწოდნენ, ქვეყნის განთავისუფლების შემდეგ დრო იხელთა და საფრანგეთის ინტელექტუალურ ცხოვრებაში თვალსაჩინო ადგილის დაკავება მოახერხა. საამისოდ მართლაც შესაფერისი ვითარება იყო, რადგან

[1] გაგრძელება, დასაწყისი იხ. „აფრა“ №19.

ათწლეულების განმავლობაში უეჭველი ავტორიტეტის მქონე „ნუველ რევიუ ფრანსეზმა“, თავის დროზე მარსელ პრუსტი რომ აღმოაჩინა, ოკუპაციის პერიოდში ნაცისტებთან კოლაბორაციით წაიხდინა რეპუტაცია და მხოლოდ 1953 წლის ამნისტიის შემდეგ განაახლა მუშაობა. 1945 წლის ოქტომბერში გამოვიდა „ლე ტამ მოდერნის“ პირველი ნომერი, რომელსაც შესავლის სახით წინ უძღოდა სარტრის პროგრამული წერილი, შეგნებულად რომ აცხადებდა მთელი ჯგუფის სახელით: „ჩვენ არ გვრცხვენია იმის, რომ ვწერთ და არ გვსურს, ისე ვილაპარაკოთ, რომ სათქმელი არაფერი გვქონდეს“. ჟურნალის გარშემო 1945 წელს თავშეყრილ მწერალთა შორის იყვნენ მორის ბლანშო და მიშელ ლერი, რომლებიც, კაცმა რომ თქვას, სარტრიანელებად ვერ ჩაითვლებიან. წერილის მრავლობითი ფორმა მაინცდამაინც ლიტერატურულ პარტიას არ უნდა ნიშნავდეს.

წერილმა – „ლე ტამ მოდერნის წარდგინება“ – ბიძგი მისცა სარტრს, როგორც ჟურნალის გამომცემელს, სხვა მსგავსი პროგრამული წერილების გამოსაცემად, რომლებმაც მძაფრი შეხლა-შემოხლა გამოიწვია. ქვაკუთხედად იქცა მწერლის პასუხისმგებლობისა და იმ „ანგაჟრებულობის“ ცნება, რომლის გარშემოც მომდევნო ათწლეულებშიც ბევრს კამათობდნენ. ამ წერილებში სარტრი ფლობერს „ნიჭიერ რანტიერად“ მოიხსენიებდა და ამტკიცებდა, მისი მარცხი იმან განაპირობა, რომ ის პარიზის კომუნას „შიშნარევი უგუნურებით“ ებრძოდა, ნაცვლად იმისა, რომ აღტაცებით მისალმებოდა, როგორც ეს ახალგზარდა რემბომ გააკეთაო. ლიტერატურული ტრადიციების მესვეურთ ამგვარი მტკიცებები გადამეტებად მოეჩვენათ (მოგვიანებით სარტრი თვითონაც ჩიხში მოაქცია იმ საკითხმა, თუ როგორ შეძლო ფლობერმა, მედიდურად რომ უკადრისობდა თანამედროვეობას, შეექმნა „მადამ ბოვარისთანა“ ასპროცენტიანად თანამედროვე ნაწარმოები). მწერლის პასუხისმგებლობის თემამ ოკუპაციის ისტორიული გამოცდილების ფონზე მხოლოდ სარტრისთვის როდი შეიძინა აქტუალობა. ნაცისტურად განწყობილი ნაწერებისათვის გაკრიტიკებული ერთი ავტორის რიტორიკულ შეკითხვას, განა შეიძლება იმისათვის დავისაჯოთ, რაც დავწერეთო, „ტამ მოდერნის წარდგინება“ ცალსახად დადებითად უპასუხებს. კოლაბორატორის შემთხვევა ეჭვს არ იწვევს: თუკი მის ნაწარმოებებში ის იდეოლოგიაა ასახული, შემდგომში მცდარად და უსამართლოდ რომ შეფასდა, მან მართლაც პასუხი უნდა აგოს. მაგრამ როგორია მწერლის მიმართება უშუალოდ დღევანდელ დღესთან? როგორ შეიძლება მისი არსის წვდომა და რა მოთხოვნებს უყენებს იგი მწერალს? პასუხად სარტრმა მშვენიერ ფორმულას მიაგნო, თუმცა ის, ამავდროულად, ცალსახა არჩევანისათვის თავის არიდების მარჯვე ხრიკი გახლდათ: „თუკი მწერალს საშუალება არ აქვს, თავის ეპოქას გაექცეს, მაშ, რა გაეწყობა: უნდა მივცეთ მას საშუალება, სრულად და მთლიანად ასახოს ის თავის ნაწერებში“.

რა მნიშნელობა აქვს ამ გამონათქვამს მწერლური შემოქმედების ფორმისა და საშუალებებისათვის? „ჩვენი ჟურნალი“, – განაგრძობს სარტრი, – „მომავალშიც გამოხატავს თავის პოზიციას პოლიტიკურ და სოციალურ მოვლენებთან მიმართებით. მაგრამ ამას პოლიტიკური თვალსაზრისით როდი გააკეთებს, ანუ პოლიტიკურ პარტიად არასოდეს გადაიქცევა“. ამის შემდეგ ვრცლად მსჯელობს ახალი დროის ანალიტიკური იდეოლოგიის შესახებ, დასასულს კი ისევ ლიტერატურას უბრუნდება: „მსურს, შეგახსენოთ, რომ „ანგაჟირებული ლიტერატურის“ ამ თვისებამ, ანუ სახელდობრ, ანგაჟირებულობამ თვით ლიტერატურის არსი არ უნდა დაგვავიწყოს. ჩვენ, ერთი მხრივ, ლიტერატურას უნდა ვემსახუროთ იმით, რომ მის ძარღვებს ახალი სისხლი მივაწოდოთ, მეორე მხრივ კი – საზოგადოებას, რომელსაც სწორედ ისეთი ლიტერატურა უნდა შევუქმნათ, რომელიც მას ესაჭიროება“.

რაც შეეხება ახალი, მრავლისაღმთქმელი ავტორების აღმოჩენასა და ხელშეწყობას, „ლე ტამ მოდენის“ სარედაქციო კოლექტივს მანდვილად იღბლიანი ხელი აღმოაჩნდა: მის ფურცლებზე დაიბეჭდა იმხანად ჯერ სრულიად უცნობი ნატალი საროტის, ჯინ კეროლის, ბორის ვიანის, რეიმონ კენოსა და სხვათა ნაწარმოებები. თუმცა ახალ პროზასა და კლასიკურ პოლიტიკურ წერილებს შორის „ანგაჟირებულობის“ საკითხი ერთგვარად ჰაერში გამოკიდულად დარჩა. მას იმთავითვე განხეთქილების ვაშლის როლი ელოდა: „წმინდა ხელოვნების“ მესვეურნი ამ ცნებაში პარტიული მსახურების საშიშროებას ხედავდნენ, სხვები კი (პირველ რიგში, განთავისუფლების შემდეგ გავლენიან წრეებში მოხვედრილი კომუნისტები) სარტრს ლაჩრობასა და განზე დგომაში ადანაშაულებდნენ.

„თუკი ანგაჟირებულობა გსურთ, – მწერს ერთი ბრიყვი ახალგაზრდა, – მაშ, კომუნისტური პარტიის რიგებში რატომ არ შემოდიხართო? ხოლო ერთმა დიდმა მწერალმა, რომელიც ცხოვრებაში ხშირად ყოფილა ანგაჟირებული და ასევე ხშირად გაუწყვეტია ეს კავშირი, თუმცა მაშინვე ავიწყდება, ასე მითხრა: ყველაზე ცუდი ხელოვანი ანგაჟირებული ხელოვანია. ამის მაგალითს საბჭოთა მხატვრობა წარმოგიდგენთო. ერთმა გამოცდილმა კრიტიკოსმა კი შემომტირა, ლიტერატურის მკვლელობა გაქვთ განზრახული, თქვენი ჟურნალი უნამუსოდ ქადაგებს ბელეტრისტიკის აბუჩად აგდებასო“.

ეს ციტატა წიგნის „რა არის ლიტერატურა?“ წინასიტყვაობიდანაა აღებული. ეს წიგნი კრიტიკოსებისადმი მიმართულ პასუხად უნდა გავიგოთ და, ამავდროულად, ის გავრცობილი განმარტებაა იმისა, რასაც სარტრი თავის წერილებში ანგაჟირებულ ლიტერატურად მოიხსენიებს. პირველ თავში, რომელსაც ეწოდება „რა არის წერა?“ ავტორი აცხადებს, რომ პოეზია დეტალურ ანალიზს არ ექვემდებარება. ამას ლირიკისადმი უნდობლობის გამო როდი სჩადის: 1944 წელს სარტრმა ვრცელ წერილში უმაღლესი შეფასება მისცა ფრანსის პონგსის პოეზიას. „პოეტები ის ადამიანები არიან, ენის გამოყენებაზე უარს რომ აცხადებენ,“– ვკითხულობთ დასაწყისშივე. ეს უარყოფითად არ უნდა გავიგოთ. ლირიკა კი არ დუმს, არამედ ენასთან სულ სხვა მიმართებაშია, ვიდრე პროზა. ენიბრივი ნიშნები მისთვის საკომუნიკაციო ინსტუმენტებს როდი წარმოადგენს; ისინი, ფერებისა და ბგერების მსგავსად, აღმნიშვნელი ელემენტებია, რომლებიც საკუთარ თავზე მიგვითითებენ და არა მათ მიღმა არსებულ აღსანიშნ საგანზე. ხოლო პროზა, რომელზედაც სარტრის ესეა კონცენტრირებული, გამჭვირვალეა იმ საგნებისათვის, რომლებსაც მისი ენა გამოსახავს. „ვალერი სწორედ პროზას გულისხმობს, როდესაც ამბობს, სიტყვა ისე მსჭვალავს ჩვენს მზერას, როგორც ფანჯრის მინა – მზის სხივსო“. სარტრი ზოგჯერ საკმარისად ტლანქად გამოთქვამს სათქმელს, მაგალითად, როცა ამბობს, პროზა თავისი არსით უტილიტარულიაო.

მაშასადამე, ის გარკვეული მიზნისათვის განკუთვნილი იარაღია. რა მიზანია ეს? ამ ინსტრუმენტალურ დანიშნულებას სარტრი მოგვიანებით ერთგვარ საზღვრებში მოაქცევს. წიგნის განმეორებით გამოცემაში ჩამატებული მინიშნებით ის პროზისა და პოეზიის რადიკალურ გამიჯნვას არბილებს. სწორედ ასევე ნიღბავს ის შემდგომში პროზაული ლიტერატურის უტილიტარულ სიშიშვლესაც. „მწერალი იმის ხარჯზე კი არ ხარ, რომ შენ საქმიანობად გარკვეული რამეების გამოთქმა აირჩიე, არამედ იმიტომ, რომ მათი საგანგებო სახით გამოთქმა გაქვს გადაწყვეტილი. ცხადია, პროზის ფასეულობას სტილი განსაზღვრავს. რაკი სიტყვები გამჭვირვალეა და ჩვენი მზერა მათ მიღმა აღწევს, უგუნურება იქნება, თვალწინ დაბინდული მინა რომ ავიფაროთ“. სტილი, სათქმელის გამოხატვის საგანგებო ფორმა, ერთი მხრივ, პროზის ფასს განსაზღვრავს, მეორე მხრივ კი, გარგად გაპრიალებული კინის მსგავსად, გამჭვირვალე უნდა იყოს: ეს უცნაური კონსტრუქციაა. რას ხვდება ჩვენი მზერა მაშინ, როცა ის სტილის გამჭვირვალე ქსოვილში აღწევს? სარტრს აშკარად თვითონაც არ აკმაყოფილებდა პროზის ამგვარი ნაკლულოვანი განსაზღვრება, რადგან შემდგომ წლებში მან ის განავრცო და დახვეწა: „ჩემთვის სტილი – რომელიც სულაც არ ნიშნავს სისადავეს, არამედ პირიქით, – უპირველეს ყოვლისა, ერთდროულად ორი ან სამი რამის გამოთქმის მეთოდია. ერთი მხრივ, არის მარტივი წინადადება თავისი უშუალო მნიშვნელობით, მეორე მხრივ კი, მის მიღმა, კიდევ სხვა, უფრო ღრმა შინაარსიც ძევს. თუკი არ შეგიძლია, ენას ეს მრავალშრეანობა მიანიჭო, მაშინ წერა ნამდვილად არ ღირს“.

მაშასადამე, სტილის გამჭვირვალობა ფარდობითია. ის, რაც მისი ოპტიკის მიღმა მოჩანს, დამალულია და თან ხილული. მაშინაც კი, როდესაც ავტორს წერისას თვალწინ ესა თუ ის საგანი უდგას, ის დარწმუნებული ვერ იქნება იმაში, რომ მკითხველი დაწერილ ტექსტში სწორედ ამ საგანს იპოვის. საგანი წერის პროცესში იცვლის სახეს. ავტორს დახმარება სჭირდება, რათა თავისი სუბიექტური ხედვის ჩარჩოებს გასცდეს და დაწერილის მნიშვნელობა დღის სინათლეზე გამოიტანოს. ამ დახმარებას მას მკითხველი უწევს. ის შეკითხვა, რომელსაც ხშირად უსვამენ მწერლებს – ვისთვის წერენ: მხოლოდ საკუთარ თავისათვის თუ წინდაწინ ფიქრობენ მკითხველზე? – სარტრისთვის იმთავითვე ზედმეტია, რადგან, მისი აზრით, წიგნი მკითხველის გარეშე არ არსებობს. მკითხველი აქცევს წიგნს იმად, რასაც ის წარმოადგენს, სუბიექტური მიზნების თუ მასალისაგან დამოუკიდებლად. წიგნში „რა არის ლიტერტურა?“ სარტრი გვიხატავს წიგნის საგნად ქცევის პროცესის თვალსაჩინო სურათს: „ლიტერატურული საგანი ერთგვარი ჩიკორია,

რომლის არსსაც მოძრაობა შეადგენს. მის საარსებოდ განსაკუთრებული ქმედებაა საჭირო, რასაც ჩვენ კითხვის პროცესს ვუწოდებთ და ამ არსებობის ხანგრძლივობა იმდენივეა, რამდენ ხანსაც გრძელდება კითხვის პროცესი. მის გარეშე არსებობს მხოლოდ შავი ნიშნები თეთრ ქაღალდზე, სხვა არაფერი“.

ის რაც სამოცდაათიანი წლების გერმანიის ფედერაციაში დიდი ზარზეიმით მონათლეს „რეცეფციის ესთეტიკად“, სინამდვილეში 1947 წლის ესედან იშვა. „რა არის ლიტერატურას“ ავტორისათვის ესთეტიკა სრულიად წარმოუდგენელია რეცეფციის გარეშე. ლიტერატურასა და მის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ მის მოსაზრებებს საფუძვლად უდევს იდეა, რომ ლიტერატურა სხვა არაფერია, თუ არა წერისა და კითხვის ურთიერთგავლენა. პასუხი მეორე თავში დასმულ შეკითხვაზე: „რატომ ვწერთ?“ ავტორის სუბიექტურ მოტივაციაში კი არ უნდა ვეძებოთ, არამედ იმ ურთიერთმიმართებაში, რასაც კითხვის აქტის დროს მწერალი მკითხველთან ამყარებს. წერის მიზანი სწორედ ესაა: წერა დაწერილის ფარგლებს სცილდება და მის მიღმა იმ მოძრაობაზე მიგვითითებს, რომლის წყალობითაც წიგნი მკითხველის მზერაში იბადება. ამგვარი სცენარი მკითხველს პასიური მომხმარებლის როლისაგან ათავისუფლებს და მას შემოქმედებითი პროცესის თანამონაწილედ აქცევს: „მკითხველს უკვე დაწერილის ხელახლა გადაწერა და გამუდმებით ახალ-ახალი რამეების გამოგონება უწევს. მართალია, ავტორი მას გეზს აძლევს, მაგრამ ავტორის მიერ დაყენებულ საგზაო ნიშნებს ერთურთისაგან სიცარიელე ჰყოფს, რომელიც მკითხველმა უნდა ამოავსოს და ამგვარად გაიკვლიოს მათ შორის გზა“. მაშასადამე, დაწერილი წიგნი მხოლოდ და მხოლოდ მოხმობაა, რომელიც მანამ არ განსხეულდება, ვიდრე მას ვინმე არ შეისმენს და არ გამოეხმაურება. ავტორი მას გეზს უჩვენებს, მაგრამ ბიძგს არ აძლევს. მაინც რა მამოძრავებელი ძალაა ავტორ-მკითხველის ურთიერთობის მიღმა? რა ატრიალებს ჩიკორს? ამ ერთობლივი თამაშის პროცესის განსამარტად სარტრი თავსუფლების იმ განსაზღვრებას უბრუნდება, რაც მოცემულია მის წიგნში „ყოფიერება და არარა“. „რა არის ლიტერატურაში“ გამოყენებული მრავალი ცნება – როგორიცაა: „არჩევანი“, „სესხება“, „ანგაჟირებული ცნობიერება“, „სიტუაცია“, „თავისუფლება“ – მისი 1943 წლის ფილოსოფიური ნაშრომიდანაა აღებული. მისი ექსპლიციტური კონტექსტის გარეშე, იზოლირებული სახით, ამ ცნებებმა შესაძლოა სირთულეები შეუქმნას ესეს მკითხველებს. ამჯერად ნამდვილად ვერ მოვახერხებთ ამ ცნებების ფილოსოფიური საზრისის აღდგენას. მხოლოდ იმის ხაზგასმა მსურს, რომ „ყოფიერება და არარას“ ახალი, 1991 წელს გამოცემული თარგმანი პირველად აძლევს საშუალებას გერმანულენოვან მკითხველს, აღადგინოს ის კავშირი, რაც მანამდე აკლდა, რადგან ახალი თარგმანის ტრემინოლოგია საგულდაგულოდაა მისადაგებული სხვა თარგმანების, მათ შორის, „რა არის ლიტერატურას?“ თარგმანის ტერმინოლოგიას. თავისუფლების ცნებას რაც შეეხება, მხოლოდ ამას ვიტყვი: სარტრს როდი ესმის თავისუფლება ისტორიულ-პოლიტიკური თვალსაზრისით, როგორც მონობისაგან ხსნა: ის მისთვის ადამიანური არსებობის ძირეული პირობაა, თუმცა ის სწორედ იქით გვიბიძგებს, ყოველგვარი პირობითობის ფარგლები გავარღვიოთ. „თავისუფლებისათვის განწირული“ – ეს ძალზე ცნობილი ლაკონური ფორმულაა. არჩევანის ავტონომია მხოლოდ მაშინ იწყება, როცა ეს განწირულობა გაუქმებულია. მხოლოდ მას მერე ხდება თავისუფლება მართლაც თავისუფალი. სწორედ ამ თავისუფლებას გულისხმობს მწერალი, როდესაც ამბობს, ის ჩემი ნაწარმოებების შექმნისას მეხმარებაო („რა არის ლიტერატურა?“).

ის აზრი, რომ ლიტერატურა ავტორისა და მკითხველის ერთობლივი პროდუქციაა, ასევე გამოთქმულია წიგნში „ყოფიერება და არარა“, თანაც მეტყველებისა და სხვისთვის აზრის გაზიარების ფენომენოლოგიის მარტივი ფორმით. „როცა კი ჩემს აზრს გამოვთქვამ, მის შინაარსს მხოლოდ ვარაუდით ვხვდები, რაც იმას ნიშნავს, რომ, არსებითად, ასევე ვარაუდით ვხვდები ჩემს საკუთარ არსსაც, რადგან ამ პერსპექტივიდან გამომდინარე, თვითგამოხატვა და თვითარსი ერთი და იგივეა. თანამოსაუბრე მუდამ აქაა და სწორედ ეს ანიჭებს ენას ჭეშმარიტ საზრისს“. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, ლიტერატურა მუდამ კომუნიკაციაა, იმისგან დამოუკიდებლად, სურთ თუ არა ეს ავტორებს: დუმილიც კი თანამოსაუბრისკენაა მიმართული. სარტრი ამბობს: „მწერალი შუამავალია par excellence, მისი ანგაჟირებულობა სწორედ შუამავლობაში მდგომარეობს“. სარტრის აზრით, ანგაჟირებული მწერალი ისაა, ვისაც გაცნობიერებული აქვს, რომ მის ნაწერს სხვისი არსებობა სჭირდება და რომ საუბარი სხვებზე გათვლილი

ქმედებაა. მაინც როგორ იქცევა ის მწერალი, რომელიც აცნობიერებს, რომ წერით მნიშვნელოვან ქმედებას სჩადის? „შეცდომაა იმის მტკიცება, თითქოს მწერალი გავლენას ახდენს თავის მკითხველებზე: ის მათი თავისუფლებით აპელირებს და მისმა ნაწარმოებებმა რომ გავლენა იქონიოს, აუცილებელია, მკითხველმა თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება და ეს ნაწარმოებები გაითავისოს“. „გათავისებას“ სარტრი სხვაგან განმარტავს, როგორც „გასულიერებას“, თუმცა ეს თაყვანისცემას სულაც არ ნიშნავს. სულიერი აქტის აქცენტირება ნიშნავს იმ მექანიკური მიდგომის უარყოფას, რომელიც იმხანად კომუნისტი თეორეტიკოსების მიერ გამოცხადებულ, მარქსიზმზე დამყარებულ „სარკისებური ასახვის ესთეტიკას“ შეესაბამება.

„სხვა რაღა გვრჩება განსასულიერებელი და გასათავისებელი, თუ არა ეს ათასფერი და კონკრეტული სამყარო, თავისი სიმძიმით, თავისი გაუმჭვირვალობით, თავისი ზოგადობის ზონებითა და ანეგდოტური ბრბოთი და იმ მარადი ბოროტებით, რომელიც მას ბნელი ქვესკნელიდან სდარაჯობს, მაგრამ ვერასოდეს დაამარცხებს“. რა შესანიშნავი, თუმცა დღესდღეობით უკვე ეგზოტიკად ქცეული აქცენტია: სარტრის შესახებ თავის ნაშრომში „წერით შეყვარება“ ვალტერ ვან როსუმი მართებულად საუბრობს „ლიტერატურის გრანდიოზული აპოლოგიისა და აპოთეოზის“ შესახებ. ამ ნაშრომიდან ჩანს ის უნიკალური ისტორული მომენტი, როცა ოკუპირებულ საფრანგეთში დაბადებული თავისუფლების ფილოსოფია ქვეყნის განთავისუფლების შემდეგ მრავლისაღმთქმელ, მაგრამ ჯერაც ბუნდოვანი მომავლის მქონე ვითარებას ემთხვევა. ამ განუმეორებელი მომენტის ეიფორიითაა გაჟღენთილი ფრაზა, რომელიც ხელოვნების არსისა და დანიშნულების განსაზღვრას ლამობს: „ხელოვნების საბოლოო მიზანი სწორედ ესაა: ამ სამყაროს შეკოწიწება და მისი რეალური სახით გადმოცემა, ოღონდაც ისე, თითქოს მისი ამოსავალი წერტილი ადამიანის თავისუფლება ყოფილიყოს“.

„თითქოს მისი ამოსავალი წერტილი ადამიანის თავისუფლება ყოფილიყოს,“ – ეს უკვე იმაზე მიგვანიშნებს, რომ, გრკვეულწილად, ფიქციასთან გვაქვს საქმე. სარტრი გამოწვლილვით არ გვიმარტავს იმას, თუ, სახელდობრ, როგორ ახერხებს ხელოვანი თუ მწერალი სამყაროს რეალურად გადმოცემას და, ამავდროულად, თავისუფლების ფიქციისათვის აუცილებელი გამჭვირვალობის შექმნას. სარტრი უბრალოდ, ზოგადად გვიჩვენებს იმას, რომ მწერალს სხვაგვარად არ შეუძლია, ის ამ ფიქციას კვალდაკვალ მიჰყვება, რადგან ის, როგორც მწერალი, წერის ფუნქციდან გამომდინარე, იმთავითვე თავისუფლებაზეა შეყვარებული. ოღონდაც თავისუფლება აქ პოლიტიკური თვალსაზრისითაცაა ნაგულისხმები, როგორც „მოქალაქეობრივი თავისუფლება“. „მწერალი მონებისათვის როდი წერს. პროზაული შემოქმედება თანაუგრძნობს იმ ერთადერთ წყობას, რომლის პირობებშიც პროზის არსებობაა შესაძლებელი: ესაა დემოკრატია. თუკი ერთს დაემუქრა საფრთხე, იმწამსვე მეორეც საფრთხეში აღმოჩნდება... მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ როგორ მოხვედი ლიტერატურაში, ანდა რა შეხედულებებს იზიარებ, ნებისმიერ შემთხვევაში, ლიტერატურა მაინც ბრძოლისკენ მოგიწოდებს. წერა თავისუფლებისაკენ სწრაფვის თავისებური სახეა. თუკი ერთხელ დაიწყე წერა, სამუდამოდ ხარ ანგაჟირებული“.

მეტისმეტად ლამაზად ჟღერს საიმოსოდ, რომ მართალი იყოს: პროზაული შემოქმედება თავისი არსიდან გამომდინარე, დემოკრატიის სოლიდარულია. გეგონებათ, XX საუკუნეში ცოტა ყოფილა მწერალი, ვინც დემოკრატიისაგან იმდენად შორს იყო, რამდენადაც ეს საერთოდ შესაძლებელია, ერნსტ იუნგერით დაწყებული და ლუი-ფერდინანდ სელინით თუ დრიო ლა როშელით დამთავრებული. დრიო, რომელმაც ფრანგულ ფაშიზმს შეჰფიცა ერთგულება და ნაცისტთა კურთხევით ჩაუდგა სათავეში „ნუველ რევიუ ფრანსეზს“, თვით სარტრმა 1943 წლის ერთ-ერთ წერილში უსასტიკესად გააკრიტიკა. იმ Petitio principii[1]-ს ლოგიკა, რომლის თანახმადაც თავისთავად იგულისხმება, რომ, რაკი მწერალი წერს, ის თავისუფლებასაც უნდა ეშურებოდეს და, თუკი ერთხელ დაიწყო წერა, სამუდამოდ ანგაჟირებულად რჩება, უცნაურ შეუსაბამობას ბადებს: ორიდან ერთი, ან ყველა, ვინც კი ხელში კალამი აიღო, ანგაჟირებულია და თავისუფლება სურს, მაგრამ, თუკი ასეა, მაშინ ცნება „ანგაჟირებულობას“ მწერალთან და ლიტერატურასთან მიმართებით აზრს კარგავს; თუ არა და, ანგაჟირებულობა რაღაც კონკრეტულს უნდა ნიშნავდეს და ამ შემთხვევაში, მწერლებსა და არამწერლებს შორის ზღვარი უნდა გაივლოს.

„რა არის ლიტერატურაში“ ერთგვარი არამდგრადობა შეიგრძნობა იქიდან გამომდინარე, თუ აბსტრაქციის რომელ დონეს აღწევს მსჯელობა ესეში. თავისუფლებისა და საუბრის ცნე-

[1] (ლათ.) ლოგიკური ხრიკი.

ბებთან დაკავშირებულ მსჯელობაში, „ყოფიერება და არარა“-დან უშუალოდ რომ გამომდინარეობს, გამონაკლისები თითქმის არ გვხვდება: მთელ მსოფლიოს „მისჯილი“ აქვს თავისუფლება და მწერალიც საკუთარ თავზე აღებულ ანგაჟირებას ველარასოდეს გააუქმებს. მაგრამ როგორც კი სარტრი წიგნებისა და მწერლების ემპირიულ სიმრავლეს მიუბრუნდება, მაშინვე განსხვავებების გათვალისწინება უწევს. ანგაჟირებულობა შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს: როდესაც შავკანიანი ამერიკელი თეთრკანიანთა მიმართ სიძულვილით გაჟღენთილ რომანს წერს, რომელშიც ის, ამავდროულად, ამერიკის შავკანიანთათვის ითხოვს თავისუფლებას, იგი, რა თქმა უნდა, თეთრკანიან მკითხველთა თავისუფლების მიმართ აპელირებს. მაგრამ სარტრს ყოვლად შეუძლებლად მიაჩნია, რომ ვინმემ შეიძლება დაწეროს „კარგი რომანი, რომელიც ანტისემიტიზმს შეასხამს ხოტბას“. ლაპარაკია უბრალო კი არა, „კარგ“ რომანზე: კაცმა არ იცის, საიდან შემოდის აქ ერთბაშად ხარისხის კრიტერიუმი. ჩნდება ურთიერთკავშირი ანგაჟირებულობასა და ხარისხს შორის, თუმცა ლაპარაკი უფრო რეფლექსიის ხარისხზეა, ვიდრე მწერლური, სტილისაზე. სარტრი ასე ახასიათებს ანგაჟირებულ მწერალს: „მე კი ვამტკიცებ, რომ მწერალი მაშინაა ანგაჟირებული, როდესაც ის უცხადესად და უსრულყოფილესად აცნობიერებს, რომ ის, როგორც იტყვიან, ნავში ზის, სხვაგვარად რომ ვთქვათ, როცა მას ანგაჟირება უშუალო სპონტანურობიდან რეფლექსიაში გადაჰყავს“. ანგაჟირებულობა მხოლოდ მაშინ იძენს მნიშვნელობას, როცა ის საკუთარ თავს რეფლექსიის ხარჯზე აცნობიერებს. მართალია, ნებისმიერ შემთხვევაში ხარ ანგაჟირებული, მაგრამ ზოგჯერ შეიძლება, თავი მოიტყუო და საკუთარ თავს შთააგონო, ბორკილებშიც კი თავისუფალი ვარო. სარტრის თქმით, არსებობს მრავალი მწერალი, ვისაც ამგვარ ხრიკებში ბადალი არ ჰყავს და ვინც იმ მკითხველებს ემსახურება, მშვიდი ძილი ყველაფერს რომ ურჩევნიათ. როგორ დავახასიათოთ ასეთი მწერლები: ისინი არაანგაჟირებულნი არიან თუ მცდარად ანგაჟირებულები, რაკი თავიანთი ანგაჟირებულობა გაცნობიერებული არ აქვთ? „რა არის ლიტერატურაში“ ანგაჟირებულობის ცნებას ერთგვარი ბუნდოვანება ახასიათებს: ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ავტორს სურს, ყველანი მოიცვას და, ამავდროულად, ზოგიერთებთან დისტანციაც შეინარჩუნოს. ჩემი აზრით, ამის მიზეზი ისაა, რომ საქმე დროებით კონსტრუქციასთან გვაქვს. ამ კონსტრუქციის წყალობით ხდება მომდევნო საფეხურზე გადასვლა ისევე, როგორც ვიტგენშტაინი ამბობს, თავისი ტრაქტატის დასასრულს, საკუთარი თეზისების შესახებ: ისინი გვერდზე უნდა გადადგა მისადგმელ კიბესავით, რომელიც ასვლაში დაგეხმარა და აღარ გჭირდებაო. სარტრის ლიტერატურულ კონცეფციას რბილი, დამყოლი მხარე აქვს, რომლითაც ის მომავლისკენაა მიმართული.

ანგაჟირებული მწერალი, ანუ ის, ვინც აცნობიერებს, რომ წერით მნიშვნელოვან ქმედებას სჩადის, სარტრის აზრით, „საბურველს ხდის“ სინამდვილეს; თუმცა ის იმასაც აცნობიერებს, რომ „საბურველის ახდა სახეცვლასაც ნიშნავს და რომ მხოლოდ იმას შეიძლება ახადო საბურველი, რისი შეცვლაც გწადია. მან უარი თქვა იმ განუხორციელებელ ოცნებაზე, ადამიანად ყოფნისა და საზოგადოების მიუკერძოებელი, დაუნაწევრებელი სურათი შეექმნა“. მიუკერძოებლად წერის ოცნება სარტრისთვის იმიტომაა შეუძლებელი, რომ ის ლიტერატურის საზოგადოებრივ დანიშნულებაზე სარტრის წარმოდგენას ეწინააღმდეგება. მისი აზრით, ლიტერატურა „უკლასო საზოგადოების რეფლექსიური თვითაღქმა“ უნდა იყოს. „წიგნის მეშვეობით ამგვარი საზოგადოების წევრები ყოველ წუთს შეძლებენ არსებითი ვითარების შეფასებას, საკუთარ თავსაც დაინახავენ და სიტუაციასაც“. „...ერთი სიტყვით, ლიტერატურა თავისი არსით უწყვეტი რევოლუციის პროცესში მყოფი საზოგადოების სუბიექტურობას წარმოადგენს“.

რეფლექსიური თვითაღქმა, უკლასო საზოგადოება, გამუდმებული რევოლუციის მდგომარეობა, და ამ ყოველივეს ცენტრში ლიტერატურაა: ეს ალბათ არამხოლოდ სარტრის, არამედ ომისშემდგომი მწერლების მთელი ჯგუფის ოცნება გახლდათ. „წინააღმდეგობიდან რევოლუციამდე“ – ასეთი დევიზი წაუმძღვარა ალბერ კამიუმ თავის გაზეთს „კომბატ“. 1947 წელს, როდესაც ცივი ომი დაიწყო, წინააღმდეგობა ისტორიისგადაფურცლულ და უკან მოტოვებულ გვერდად იქცა და ნანატრმა რევოლუციამ ბუნდოვან მომავალში გადაიწია. „უეჭველია, რომ დღეს-დღეობით ამგვარი პირობები არ შესრულებულა და დღეს უბრალოდ უნდა ვწეროთ,“ – ლაკონურად შენიშნავს სარტრი ერთ-ერთი თავის ბოლოს, რომელსაც ეწოდება „ვისთვის ვწეროთ?“. „რა არის ლიტერატურა?“-ს მომდევნო, ყველაზე ვრცელი თავი „მწერლის მდგომარეობა 1947 წელს“ მაშინდელი თანამედროვეობის იმ გარემოებებს განიხილავს, ამასობაში უკვე ისტორიას

რომ ჩაბარდა. ქვევით უფრო გამოწვლილვით ვისაუბრებთ იმაზე, თუ რამდენად შორს გადაიწია მან ისტორიაში.

„საკუთარი ეპოქისათვის წერა“ – ასე ასათაურებს სარტრი „ლე ტამ მოდერნში“ დაბეჭდილ ერთ-ერთ წერილს, რომელიც წინ უძღოდა „რა არის ლიტერატურას?“ და რომლის დასასრულს ის ემფატურად შესძახებს: „მის (მწერლის. – ლ. ბ.) მერე თუნდაც წარღვნა იყოს! ჩვენ სასრულის ზნეობასა და ხელოვნებას ვქადაგებთ“. მწერალ ვერკორისა და მისი წიგნის, „ზღვის დუმილი“, მაგალითზე სარტრი განგვიმარტავს იმას, თუ რას გულისხმობს ეპოქისათვის ანგაჟირებულობა. როგორც ლიტერატურული წინააღმდეგობის ნიმუშმა, ამ წიგნმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა: 1942 წლის დასასრულს არალეგალურ გამომცემლობაში „ედისიონ დე მინუი“ („შუაღამის გამომცემლობა“) დაბეჭდილი ეს ნაწარმოები რეალურად ახდენდა იმის დემონსტრირებას, თუ როგორ შეიძლებოდა გვერდის ახვევა ნაცისტ ოკუპანტთა მიერ დაწესებული საგამომცემლო შეზღუდვებისათვის. თვით მოთხრობას რაც შეეხება, გერმანული ოკუპაციის პირობებში ის ყოველგვარი, თუნდაც უწყინარი, ყოფითი კოლაბორაციის წინააღმდეგ მოწოდებად ჟღერდა. საფრანგეთის ფარგლებს გარეთ კრიტიკოსებმა ეს ნაწარმოები შეაფასეს, როგორც *მეტისმეტად* თავშეკავებული, რადგან მასში ვერ ნახავთ გერმანელი მტრებისადმი მიმართულ წყევლა-კრულვას. მაგრამ, სარტრის მტკიცებით, სწორედ შავ-თეთრ ფერებზე უარის თქმა ანიჭებს მოთხრობას უმძაფრეს შთამბეჭდაობას. წიგნი, რომელიც 1942 წელს „გერმანელებს კაციჭამიებად წარმოაჩენდა, კომიკურად იმოქმედებდა და თავის მიზანს ვერ მიაღწევდა“. მაგრამ 1942 წლის შემდგომ ვერკორის წიგნმა თავისი მკითხველი დაკარგა, რადგანაც მაშინდელი დეპორტაციებისა და მძევლების დახოცვის ვითარებაში ის უწყინარ იდილიად გამოიყურებოდა. მისი მოქმედების დრო ჩავლილი იყო, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, მან საკუთარი ფუნქცია მაინც შეასრულა.

„დამარცხებიდან ორი წლის შემდგომ ის (ვერკორის წიგნი. – ლ. ბ.) ჯერაც ცოცხალი, შიშისმგვრელი და შთამბეჭდავი იყო. ნახევარი საუკუნის შემდეგ კი ის ვეღარავის ააღელვებს. ცუდად ინფორმირებული მკითხველი მას 1939 წლის ომის პერიოდის შესახებ საყვარელ და ერთობ უგერგილო მოთხრობად აღიქვამს. ცხადია, ბანანი ახალი დაკრეფილი უფრო გემრიელია: სულიერი ნაყოფიც უმჯობესია ადგილზევე მივირთვათ“. სარტრის პროგნოზი სავსებით გამართლდა: 1990 წლის 31 ივლისს „ფრანკფურტერ ალგემაინეში“ დაბეჭდილ წერილში, რომლის სათაურია „იძებნება: მტერი“ მხოლოდ ერთი კრიტიკოსი განიხილავს ვერკორის წიგნს ისე, როგორც ეს 1947 წელს იქნა ნაწინასწარმეტყველები: როგორც უწყინარ ამბავს „მტრულ ქვეყანაში კეთილი გერმანელის“ შესახებ; კრიტიკოსი, როგორც ჩანს, საკუთარი გამჭრიახობით ტკბება, როდესაც კითხვის ნიშანს უსვამს განსაზღვრებას „წინააღმდეგობის ლიტერატურა“. არადა, მას, უბრალოდ, ისტორიული ცოდნა და ფანტაზია აკლია, რათა ტექსტის მიღმა ამოიკითხოს დაპყრობილი საფრანგეთის ის დაძაბული ვითარება, რომელმაც „ზღვის დუმილი“ დამპყრობელთათვის მდუმარე ზურგშექცევით ყოველგვარი კოლაბორაციის უარყოფად აქცია. ამ თვალსაზრისით, მომავალი თაობებისათვის წერას სარტრისთვის არავითარი აზრი არ აქვს. მას სასაცილოდაც არ ჰყოფნის მწერლის განწყობა, აქაოდა, ჩემი ნაწარმოებები 1980 წელს სასკოლო სახელმძღვანელოებში უნდა შეიტანონო. ვერკორი სწორედ მოიქცა, რომ იმ მომენტში „ზღვის დუმილი“ დაწერა; ამაზე მეტი მას იმხანად არ მოეთხოვებოდა. ის, რაც იმ მწერალმა მაშინ შეძლო, სარტრის ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, ის აბსოლუტი იყო, რომლის კვალიფიცირებაც მომავალ ეპოქებს არ ძალუძს. მწერალს მომავალი არ აინტერესებს; თუკი მომავალზე ზრუნვა სწადია, უჯობს, საკუთარ ეპოქაში გადაეშვას, რომელიც უშუალოდ წინ უძღვის და განაპირობებს კიდეც მომავალს. ამ გაგებით, ანგაჟირებულობა, რაკი მომავალზე გავლენას მაინც ვერ ახდენს, თანამედროვეობისათვის თავის შეწირვას გულისხმობს. თუმცა მწერალს თანამედროვეებზე მაინც შეუძლია გავლენა იქონიოს, იქიდან გამომდინარე, თუ როგორ მოქმედებს მისი ნაწარმოებები უშუალოდ მის ეპოქაზე.

მანამდე სარტრმა განაცხადა, წერა საბურველის ახდააო, ხოლო ეს, თავის მხრივ, ცვლილებებისაკენ სწრაფვას ნიშნავს. არადა, წერა, როგორც ცვლილებების შეტანა, მომავალზე და სამომავლოდ ახალი ვითარების შექმნაზეა ორიენტირებული. ამგვარად, ანგაჟირებულობის სარტრისეული ცნების ფარგლებში ჩნდება კონფლიქტი თანამედროვეობისადმი მიმართულ, აქაურ და მიღმიერ, ანუ მომავალზე ორიენტირებულ ვერსიებს შორის. კომუნისტმა კრი-

ტიკოსებმა იერიში მიიტანეს სარტრის საგაზეთო წერილებზე; წიგნად გამოცემულ „რა არის ლიტეატურაში“ სარტრმა მათ პასუხი გასცა. თუკი წერით თავისთავად ხარ ცვალებადი სამყაროს მიმართ ანგაჟირებული, მაშ, რატომ არ იზიარებ მუშათა კომუნისტური მოძრაობის მიერ დასახული ცვლილებების პროგრამას? – ასე ჟღერდა კრიტიკა. პასუხად სარტრი გაცხარდა და უაღრესად მკვეთრად განსაზღვრა თავისი პოზიცია.

ის, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკური მსჯელობით იწყებს. მისი თქმით, კომუნისტების მიერ ნაქადაგები ყოვლის წამლეკავი ამბოხი 1947 წელს ცივი ომის გამოცხადების შემდგომ დიდ საფრთხეს უქმნის სამყაროს, რის შედეგადაც შესაძლოა ატყდეს ცხელი ომი საბჭოეთსა და ანგლო-ამერიკულ სამყაროს შორის, ომი კი ყველაზე ნაკლებად მწერლებს აწყობთ, რადგანაც ომი ლიტერატურას ხალხისთვის ტვინის გამოსარეცხად იყენებს. თუნდაც მხოლოდ ამის გამო ის კომუნისტურ პოლიტიკას ვერ გაიზიარებს. მეორე მიზეზი კი ისაა, რომ კომუნისტები მხოლოდ პროპაგანდაში არიან რევოლუციონრები, პოლიტიკურ პრაქტიკაში კი რევოლუციურად აღარ იქცევიან. თან ცვლილება სურთ და თან სტალინურ საბჭოეთს ვერ ელევიან, ამის გამო მათი პოლიტიკა გამოკვეთილად კონსერვატიულ ხასიათს ატარებს. მეორე მხრივ, თუკი წარსულის შენარჩუნებისკენ ვისწრაფით, მაშინ განუსაზღვრელი მანძილით ვშორდებით იმ მიზნებს, რასაც სარტრი ლიტერატურასთან აიგივებს, და ერთადერთი, რასაც ჯერ კიდევ აქვს მნიშვნელობა, საშუალებებია. თვით ლიტერატურაც საშუალებად იქცევა და პროპაგანდას ემსახურება, რაც, სარტრის თვალში, მისი აღსასრულის ტოლფასია. თავის ოპონენტ როჟე გაროდის – იმხანად კომუნისტ პროპაგანდისტს, შემდგომში კი ისლამის მქადაგებელს – სარტრი მრისხანედ განუცხადებს: „ჩემი ნება რომ იყოს, ლიტერატურას ჩემივე ხელით დავასამარებდი, ოღონდაც იმ მიზნებს არ ემსახუროს, რისთვისაც თქვენ მას იყენებთ! მერედა, რა მოხდა? მესაფლავეები უდავოდ წესიერი ხალხია, მშრომელები, შესაძლოა, კომუნისტებიც. ლაქიად ქცევას მესაფლავედ ყოფნა მირჩევნია“.

ანგაჟირებულობა, სარტრის გაგებით, არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს ლიტერატურისათვის უცხო მიზნების მსახურებას. ამგვარად, გასაგებია ანგაჟირებულობის ნეგატიური განსაზღვრება, მაგრამ, პოზიტიური თვალსაზრისით, რაღას ნიშნავს „საკუთარი ეპოქისათვის წერა“? რა მიმართებაშია „საბურველის ახდის“ პროექტი იმ ისტორიასთან, რომელიც სამყარომ მანამდე უნდა შექმნას, ვიდრე მას საბურველი აეხდება?

„რა არის ლიტერატურას“ უკანასკნელ თავში საკვირველად ცოტაა საუბარი ლიტერატურული ჟანრების, ტექნიკისა თუ ესთეტიკის შესახებ. ანგაჟირებულობა აქ იმით შემოიფარგლება, რასაც შეიძლება მწერლობის პროგრამა მინიმუმი ვუწოდოთ. „მაშასადამე, მწერლის უპირველესი ამოცანაა, გადმოსცეს ენა მთელი მისი ღირსებით,“ – საზეიმოდ ამბობს სარტრი და იქვე აკისრებს მწერალს ენის ჰიგიენის პროგრამას: „მწერლის ფუნქცია იმაში მდგომარეობს, საგნებს შესაფერისი სახელები შეარქვას. როცა სიტყვები ავადმყოფობენ, ჩვენი მოვალეობაა, ისინი გავაჯანსაღოთ. მაგრამ ნაცვლად ამისა, ბევრი სწორედ ამ ავადმყოფობის ხარჯზე ცხოვრობს. თანამედროვე ლიტერატურა, მრავალი გაგებით, სიტყვების ონკოლოგიური სიმსივნეა. არაფერი არ მაქვს იმის საწინააღმდეგო, როდესაც მავანი „კარაქის ცხენის“ მსგავს ფრზებს წერს, არადა, ეს იგივეა, რაც ფაშისტურ აშშ-ზე, ანდა სტალინურ ნაციონალსოციალიზმზე ილაპარაკო“.

ეს ციტატა ერთგვარ განმარტებას საჭიროებს. საიდან მოიტანა სარტრმა ეს უცნაური „კარაქის ცხენი“? რამდენიმე წლით ადრე სარტრმა ერთ წერილში განიხილა ჟორჟ ბატაის წიგნი „შინაგანი გამოცდილება“ და სწორედ იქ წააწყდა ფრაზას „კარაქის ცხენი“. ამ სიურეალისტური მეტაფორით ბატაის იმის ჩვენება სურდა, რომ მხოლოდ პოეზიას ძალუძს, გადალახოს ის საზღვრები, რაც კარაქის მდღვებავი გლეხი გოგოს გამოცდილებას ჰყოფს იმ მოჯამაგირე ბიჭის გამოცდილებისაგან, რომელიც ცხენებს უვლის, და ამ მეტაფორული ენის მეშვეობით არნახული სინამდვილე შექმნას. ბატეის უფროსმა თანამედროვემ რაიმონდ რასელმა ამ პოეტურ იდეას თავის პროზაში შეასხა ხორცი; მას აღწერილი აქვს ხბოს ფილტვისაგან დამზადებული ლიანდაგები, კომბაინი, რომელიც მინდორზე კბილებს თესავს და სხვა ამგვარი, არა შემთხვევითი, არამედ სიტყვათა წინასწარ გათვლილ თამაშზე აგებული ქიმერული საგნები. მაშასადამე, სარტრი აცხადებს, ამგვარ თანამედროვეობასთან საერთო არაფერი მაქვსო, რადგან ის, მისი თეორიის თანახმად, კატეგორიათა აღრევას განაპირობებს, რაც ისედაც იქცა მისი თანა-

მედროვე ენის ერთ-ერთ სნეულებად. ერთობ ნაჩქარევად მიმაჩნია ის, რომ სარტრი ბატაის უწყნარ „კარაქის ცხენს“ 1947 წლის იდეოლოგიურ ენას უკავშირებს, რომლის ფარგლებშიც ხდება მის მიერ იმხანად ლამის გაღმერთებული აშშ-ს ფაშიზმთან აღრევა, სტალინის საბჭოეთისა – ნაციონალსოციალიზმთან და ასე შემდეგ. მაგრამ ცხადი ხდება ისიც, რომ სარტრისთვის მწერალს ონტოლოგიურის გარდა კულტურული პასუხისმგებლობაც აკისრია, რომელიც სწორედ ენის განსხვავებულობათა შენარჩუნებას ემსახურება. ამიტომაც მიჯნავს ასე დაჟინებით პროზას პოეზიისაგან და ეწინააღმდეგება „პოეტური პროზის“ მსგავს შერეულ ფორმებს, რომლის არსიც მისთვის იმაში მდგომარეობს, რომ „სიტყვები შავბნელ ჰარმონიებში ააჟღეროს“ და მკითხველის აღქმა დააჩლუნგოს. ერთი რამ სარტრისთვის ცხადია: ლიტერატურა საზოგადოებრივი საქმეა და როდესაც საზოგადოებაში იდეოლოგიური გამრუდებები ხდება, თანამედროვე სამყაროსთან სწორი ურთიერთობის დამყარებას რომ უშლის ხელს, მაშინ ლიტერატურის ანგაჟირებულობა სიტყვათა დამახინჯებული მნიშვნელობის გამოსწორებაში გამოიხატება. ისევ და ისევ, საკითხავია: ვისზე და როგორ ახდენს ის გავლენას?

„ენის ღირსების“ აღდგენის შესახებ ერთგვარი ზარზეიმით წარმოთქმულ სიტყვას მოსდევს ვრცელი ახსნა-განმარტება, რომელიც, ენის ჰიგიენისაგან დამოუკიდებლად, სარტრის ანტიმეტაფიზიკურ მსოფლმხედველობას ემყარებს. სარტრს არ სწამს აზროვნების წინარე-ენობრივი სუბსტანციისა, რომელიც ენას მხოლოდ კომუნიკაციისა და ტრანსპორტირების მიზნით იყენებს. „ჩვენ ხომ, ბოლოს და ბოლოს, სიტყვებით ვაზროვნებთ. ცოტა არ იყოს, ბრიყვი უნდა იყო, რათა გეგონოს, რომ იმდენად დიდ შინაგან საუნჯეს ვიტევთ, რომ ენა მისი გამოთქმის ღირსი არ არის. თანაც, ჩემში ეჭვს იწვევს ის, რაც გადმოცემას არ ექვემდებარება: ეს ყოველგვარი ძალადობის წყაროა. როდესაც გვეჩვენება, რომ ის, რაც გვაღელვებს და რისაც გვწამს, სიტყვებით არ გამოითქმის, მაშ, რაღა დაგვრჩენია: უნდა ვხოცოთ, ვწვათ და ვანადგუროთ“. გამოუთქმელის მიმართ უნდობლობა, შესაძლოა, მართებულადაც გვეჩვენოს, მაგრამ მაინც ღიად რჩება საკითხი, თუ როგორ უნდა განხორციელდეს კომუნიკაცია იმ ეპოქაში, რომელიც მწერალმა უნდა აღწეროს. მწერლის ანგაჟირებულობა ხომ სწორედ შუამავლობაში მდგომარეობს, – ესაა წიგნის, „რა არის ლიტერატურა?“, ძირითადი თეზა. ისინი, ვიზეცაა გათვლილი ეს შუამავლობის მისია, ანუ მკითხველები, სარტრის მსჯელობაში აქამდე მხოლოდ აბსტრაქტული სახით ფიგურირებდნენ. მაგრამ, თუკი ლიტერატურა მხოლოდ იმის ხარჯზე არსებობს, რომ მკითხველი ჩიკორს ატრიალებს, მაშინ 1947 წლის ლიტერატურის პორტრეტი ამ პერიოდში მკითხველის მდგომარეობასაც უნდა მოიცავდეს.

სარტრი შემოვლითი გზით, წარსულის გავლით უახლოვდება მკითხველის აწმყოს. XVIII საუკუნის მწერალმა ჯერაც არ იცოდა, თუ რას წარმოადგენს პუბლიკა, საზოგადოება: თუკი სახელს მოიხვეჭდა, მისი დიდება პუბლიკაზე კი არა, ხელისუფლის წყალობაზე იყო დამოკიდებული. დიდ მწერლად მას მერე მიაჩნდა თავი, როცა მას ვოლტერის თუ დიდროს მსგავსად, ფრიდრიჰ დიდის ან ეკატერინე მეორის სუფრასთან იწვევდნენ. თუმცა ამ დიდების საძირკველი, ფეოდალური პირადი ურთიერთობა, ერთობ არამყარი გახლდათ, რადგან გაღებული წყალობა ყოველწამს შეიძლებოდა რისხვას შეეცვალა. მწერლებმა იმით დაიწყეს, რომ მონობისაგან სულიერად გათავისუფლდნენ; ისწავლეს ფრონტებს შორის მიმოსვლა: დაღმავალი გზით მიმავალ არისტოკრატიას და სულ უფრო გათამამებულ ბურჟუაზიას შორის. ასეთნაირად შეიძინეს მკითხველები ორივე საზოგადოებრივ ფენაში, ერთდროულად მჩაგვრელებსა და ჩაგრულთ შორის. პირველებს თუ სარკეში ახედებდნენ, მეორეებს ზოდადადამიანურ იდეებს აწვდიდნენ, რომლის სახელითაც ძველი ხელისუფლება სასჯელს იმსახურებდა. შემდგომ ამისა ბურჟუაზიულმა რევოლუციამ ფრონტები აურდაურია და მკითხველთა დაცალკევებული ჯგუფები ერთიან საზოგადოებად აქცია. ახლა უკვე ბაზარი პასუხობდა ახლადწამოჩიტული საზოგადოების მოთხოვნებსა და შეკითხვებს და ხელისუფლის წყალობაც სწორედ მან შეცვალა. ამ ბაზრის პირობებში, რომელიც მას მერე განვითარდა და გაივრცო, XX საუკუნის მწერლის, სარტრის აზრით, ერთობ სახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდა: მან არამხოლოდ სამშობლოში, არამედ უცხოეთშიც მოიპოვა მკითხველები. შუამავლობის ტექნიკის უკეთ ათვისების შემთხვევაში, მას გაცილებით უფრო მეტი მკითხველიც კი ეყოლებოდა: „წიგნი ინერტულია, მას, ვისაც სურს, ყველა გადაშლის, მაგრამ თვითონ არ იშლება ჩვენ წინაშე. მისი „ვულგარიზაცია“ შეუძლებელია: ამით ლიტერატურას დათვურ სამსახურს გავუწევდით; პროპაგანდისათვის თა-

ვის არიდების შემთხვევაში, სწორედაც პროპაგანდის წინაშე აღმოვჩნდებით. საჭიროა ახალი საშუალებების გამოყენება; ისინი უკვე არსებობს. ამერიკელებმა მას მასმედია უწოდეს. ეს ის რეალური საშუალებებია, რაზეც ხელი მიგვიწვდება: გაზეთი, რადიო, ფილმი. ცხადია, ჩვენი ეჭვები გვერდზე უნდა გადავდოთ: წიგნი, უდაოდ, უძველესი და ყველაზე უფრო კეთილშობილი ფორმაა და, რასაკვირველია, მას მუდამ დავუბრუნდებით, მაგრამ დღეს უკვე არსებობს რადიოსა და ფილმის, მოწინავე წერილისა თუ რეპორტაჟის ლიტერატურული ხელოვნებაც.

რა ნიშანდობლივი თვალსაზრისია, დღეს უკვე გულუბრყვილოდ რომ გამოიყურება: მასმედია, როგორც მხოლოდ და მხოლოდ ტექნიკური საშუალება ბაზრის გასაფართოვებლად. მგონი, სარტრი, 1945 წელს, ამერიკაში მოგზაურობის შემდეგ, კიდევ დიდხანს იმყოფებოდა ღრმა შთაბეჭდილების ქვეშ. გარდა ამისა, თავბრუს ახვევდა ის წარმატება, მისმა ფილმის სცენარებმა (მაგალითად, „თამაში დასრულებულია“) და საგაზეთო წერილებმა რომ მოიპოვა, რითაც სარტრი მთელ დასავლურ სამყაროში გახდა ცნობილი. მის მიერ ნაქადაგები ეგზისტენციალიზმი სეზონის შლაგერად იქცა: სწორედ ეს ლოზუნგი აირჩია საფრანგეთის განთავისუფლების შემდეგ კვლავ აღზევებულმა კულტურამ. სარტრის რომანთა ციკლის „თავისუფლების გზები“ პირველი ორი წიგნი დიდი ზარზეიმით განაწილდა წიგნის მაღაზიებში, ხოლო ოკუპაციის პერიოდში შექმნილი პიესები უამრავ მაყურებელს იზიდავდა თეატრებში. მის ინტელექტუალურ გაზეთს, „ლე ტამ მოდერნ“, 1947 წელს რადიოზე დიდი გავლენის მქონე ფორუმი დაეთმო: სარტრს კვირაში ერთხელ მიეცა საშუალება, გაზეთის რედაქტორებსა და ავტორებთან ერთად მიკროფონის წინ ემსჯელა აქტუალურ პოლიტიკურ თემებზე. მართალია, ანტიკომუნისტური მთავრობის სათავეში მოსვლის შემდეგ გადაცემა დაიხურა, „რა არის ლიტერატურა?“-ს წერისას სარტრს მაინც უკვე ჰქონდა საკმაო საფუძველი, რათა მასმედიის უპირატესობები ემტკიცებინა.

მიუხედავად ამისა, 1947 წელს, მწერლის მდგომარეობის გაანალიზებისას, სარტრი ვითარების სრულიად მოულოდნელ, ნაკლებად ეიფორიულ შეფასებას აძლევს. მთელი ესესთვის დამახასიათებელი ორჭოფობა აქაც იჩენს თავს: ერთი მხრივ – მსოფლიო გადატრიალების გრანდიოზული პროექტები, მეორე მხრივ – ღრუბლებიდან მიწაზე რეალისტური დაშვება. სარტრმა შეძლო, მთლიანად მოეხდინა საკუთარი სიტუაციისაგან დისტანცირება, ვერც გარეგნულმა წარმატებებმა დააბრმავა და ვერც საკუთარმა ბრწყინვალე ჩანაფიქრებმა. საჯაროობის პროჟექტორებსა და გაზეთების ფურცლებს მიღმა მან ერთობ დამაფიქრებელი მომავალი განჭვრიტა: „მაშ, კიდევ ერთხელ განვიხილოთ ეს საკითხი და მიკერძოების გარეშე გავაანალიზოთ ჩვენი პუბლიკის მდგომარეობა. ამ თვალსაზრისით, მწერლის მდგომარეობა ჯერ არასოდეს ყოფილა ასე პარადოქსული. მეჩვენება, თითქოს ის ერთურთის გამომრიცხავი ნიშნებისაგან შედგება. დადებითი ისაა, რომ მწერლებს ბრწყინვალე და შეუზღუდავი შესაძლებლობები და შესაშური ცხოვრების პირობები ეძლევათ, უარყოფითი კი ის, რომ ლიტერატურა, ფაქტობრივად, კვდება. მას არც ნიჭი აკლია და არც კეთილ ინება; მაგრამ თანამედროვე საზოგადოებაში მისი ადგილი აღარ არის. სწორედ იმ მომენტში, როდესაც პრაქტიკის მნიშვნელობა აღმოვაჩინეთ, როდესაც გავაცნობიერეთ, თუ როგორია ყოვლისმომცველი ლიტერატურა, ჩვენი პუბლიკა დაიფანტა და დღეს აღარ ვიცით, ვისთვის ვწეროთ“.

მაინც როგორ ესადაგება ეს სიტყვები ისტორიის გადასახედიდან გაკეთებულ დასკვნას, რომ განვითარებული ბაზრის პირობებში მწერალს გაცილებით უფრო მეტი მკითხველი გაუჩნდა? რაც შეეხება მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდს, სარტრმა იმთავითვე შეიტანა შესწორება თავის მსჯელობაში: მწერალს საზოგადოების მხოლოდ ერთ გარკვეულ ნაწილთან, პროლეტარიატთან მისასვლელი გზა აქვს გადაკეტილი. მართალია, მუშებს თეორიულად შეუძლიათ ლიტერტურის აღქმა, რადგან განათლებულნი არიან და კითხვა იციან, მაგრამ ვერაფერს შეისმენენ, რადგან პროპაგანდით არიან გაბრუებულნი და რადგან კომუნისტური პარტია თავის „მრევლთან“ მისასვლელ გზას ფხიზლად დარაჯობს. რაკი პუბლიკა გაიხლიჩა, სარტრის აზრით, ის აღარ არსებობს; მის ნაცვლად მხოლოდ ცალკეული მკითხველები არსებობენ. მაგრამ ამის გამო ის მხოლოდ კომუნისტურ პოლიტიკას როდი სთხოვს პასუხს. ცივი ომი ისტორიის დინებიდან აგდებს იმ მწერლებს, ვისაც არ სურს, ამა თუ იმ ბანაკს მიემხროს, ამიტომაც ისინი უდაბნოს მღაღადებლებად ქცეულან. მაგრამ სარტრი ასახელებს კიდევ ერთ მომენტს, რომელიც დღეს, ცივი ომის დასრულების შემდგომ, განსაკუთებულ მნიშვნელობას იძენს: იმ

პროგრესის ლოგიკაში, რომელმაც მასმედიები წინ წამოწია, სარტრი დესტრუქციული უკანსვლის საფრთხეს ხედავს. ინდუსტრიულმა წარმომავლობამ იმისა, რასაც ის სხვაგან ინფორმაციის გავრცელების უწყინარ „ტექნიკურ საშუალებებად“ მოიხსენიებს, იოლად შეიძლება, ლიტერატურაც ჩაითრიოს და მისი „ინდუსტრიალიზაციაც“ მოახდინოს. თუკი ლიტერატურა ჩიკორის მოძრაობაა, კითხვის მომენტში წიგნს რომ აცოცხლებს, მაშინ ლიტერატურის გავრცელების ინდუსტრიალიზაციამ შესაძლოა მკვდარი ნაწილაკები დაბადოს: „სახელთან დაკავშირებული ფორმულები უკან იხევს. რაკი ჩვენი პოპულარობა ჩვენსავე წიგნებზე, ანუ ჩვენ დამსახურებაზე ბევრად უფრო შორს ვრცელდება, ამიტომაც ის წარმავალი პატივი, რასაც დღეს მოგვაგებენ, კონკრეტული საზოგადოების გამოღვიძების ნიშნად კი არა, ლიტერატურის გაუფასურებად უნდა ჩავთვალოთ“.

იმავე ამოსუნთქვით, რითაც თეორიულად ცამდე აჰყავს ლიტერატურა, როგორც კოლექტივის „რეფლექსური თვითშეცნობა“ და „მუდმივი რევოლუციის მდგომარეობაში მყოფი საზოგადოების სუბიექტივობა“, სარტრი მის ავისმომასწავებელ გაუფასურებასაც გვიწინასწარმეტყველებს. ლიტერატურის აპოთეოზი მისი აღსასრულის გვერდიგვერდ ხდება. „რა არის ლიტერატურა?“-ს უკანასკნელი წინადადებები შემდეგნაირად ჟღერს: „თუკი ის (ლიტერატურა. – ლ. ბ.) წმინდა პროპაგანდად, ანდა გართობის საშუალებად იქცა, მაშინ საზოგადოება უშუალოობის შლამში, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მაძღარ და ჩლუნგ არსებობაში ჩაეფლობა. ცხადია, ეს ყოველივე ნაკლებმნიშვნელოვანია: მსოფლიო ლიტერატურის გარეშეც შესანიშნავად იარსებებს. მაგრამ ადამიანების გარეშე ის კიდევ უფრო უკეთ იარსებებს“.

ამ ციტატით, რომლის დასასრულს თანადროული ეკოლოგიური აზროვნების ის ძირითადი იდეაა გამოთქმული, რომ ადამიანის სახით დედამიწას ყველაზე საშიში და უმოწყალო მავნებელი ჰყავს, მსურს დავასრულო სარტრის წიგნის განხილვა. ცხადია, ამ განხილვას სრულყოფილს ვერ ვუწოდებთ, ის ჩემი სუბიექტური შეხედულებებითაა აღბეჭდილი. მე არ მიცდია ესეს მრავალმხრივი შინაგანი წინააღმდეგობების შენიღბვა: ჩემი აზრით, წიგნი სწორედ ამ წინააღმდეგობების ხარჯზეა ცოცხალი და კვლავაც საპაექროდ გვიწვევს. იქნებ სწორედ, სარტრის სიტყვებით რომ ვთქვათ, „აბსოლუტურისა და წარმავალის“ ერთურთში გადახლართვა ანიჭებს ამ წიგნს ისეთ მნიშვნელობას, რის გამოც ის ჩვენზე დღესაც გავლენას ახდენს.

გერმანულიდან თარგმნა
თამარ კოტრიკაძემ

ლია ციცაგი-ვიტეკი, ჰელენე ვიტეკი

გრიგოლ რობაქიძისა და გ. წულუკიძის მიმოწერა

სამშობლოს საკუთარი ნებით არავინ ტოვებს. ძველი ბერძნები დამნაშავეს სამშობლოდან გაძევებით სჯიდნენ. ეს კი სიკვდილის ტოლფასი იყო.

სიტყვა „ემიგრანტი“ ჩემთვის უფრო მეტად 1920 და 1990 წლებთან ასოცირდება. ორივე შემთხვევაში, ქართველებმა სამშობლო დატოვეს ქვეყნის ბედუკულმართობის გამო. ბედის ირონიაა, თუ ტრაგედია, როცა ქართველი კაცი სხვათა ომებში თავს სწირავდა. მეორეს მხრივ, გვეამაყება, მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტებსა თუ სამეცნიერო ლაბორატორიებში, თეატრების, საკონცერტო დარბაზების სცენაზე ქართველი მეცნიერი, ხელოვანი, მწერალი სასწაულებს რომ ახდენს. „უცხოობაში რაა სიამე“, – ჯერ კიდევ როდის ათქმევინა ნიკოლოზ ბარათაშვილმა თავის უკვდავ პოემაში „ბედი ქართლისა“ ქართველი დიპლომატის მეუღლეს. ცნობილი საზოგადო მოღვაწე თედო სახოკია მზად იყო მისთვის სიცოცხლის დღეები შეემოკლებინათ, ოღონდ საქართველოში დაბრუნებულიყო.ჩვენი საყვარელი პოლიტიკოსის სალომე ზურაბიშვილის ბებია პარიზში ჩასვლისთანავე ლოგინიდან ვეღარ ამდგარა. პარიზის ნახვის სურვილიც კი არ ჰქონია, ისე დაულევია სული – სამშობლოსთან განშორება ვერ აიტანა. უამრავი მაგალითის მოტანა შეიძლება...

ცოტა ხნის წინ საოცარი ქართული დოკუმენტური ფილმი „მიწის სჯული“ვნახე. ფილმი ოჯახის სარჩენად ამერიკაში გადახვეწილ ადამიანებზეა. ფილმის რეჟისორი ლექსო გელაშვილი გვიამბობდა, რომ გადაღების დროს კამერასთან მარტოდ ტოვებდნენ რესპონდენტებს და უსვამდნენ კითხვას, თუ რა ხდებოდა მათ შიგნით, მათ გულში, როდესაც საქართველოზე, მიტოვებულ კერაზე, ოჯახზე ფიქრობდნენ. უმძიმესი ტკივილი მოდიოდა მათგან. თვალები ცრემლებით ევსებოდათ. შინაგანად ძალიან უჭირდათ სამშობლოსთან განშორებაო.

განსაკუთრებით დამამახსოვრდა ერთი ახალგაზრდა ქალის ემოცია. თითქოს გული ამოაყოლა ნათქვამს: „ერთი ჩემს სოფელში გამატარა, ჩემი მშობლების საფლავზე ამიყვანა...“ ეს ქალბატონი ალბათ დღესაც უცხოეთშია. უკან დაბრუნება უკვე გმირობის ტოლფასი გახდა.

„ქართველები ჩვენი ნებით უკან აღარ ვბრუნდებით. მაზოხისტები ვართ. გვსიამოვნებს ნოსტალგიით წამება. ანდა, ემიგრანტულ ბინას მოვრთავთ ქართულ-თუშური ფარდაგით, მეგრული ჩონგურით, შროშის ჯამ-ჭურჭლით და ავტეხავთ ერთ ვაიუშველებელს, აი, რა დაგვაკარგვინეს, აი, როგორ გვიყვარს აქ, რაც არასოდეს გვყვარებია თქო. ჩვენი ეროვნული პატივმოყვარეობა ამითაც დაკმაყოფილებულია.“ ოთარ ჭილაძე თავის ნაწარმოებში, „გოდორი“, მკაცრად გვიტევს ამ სიტყვებით, მაგრამ მისი სიტყვების სიმკაცრეში უდიდესი სიბრალული და სიყვარული გამოსჭვივის ქვეყნიდან წასული თავისი ყოველი თანამემამულის მიმართ.

ქართველ კაცს ყველაზე უფრო მეტად უჭირდა სამშობლოდან შორს ყოფნა. ქართველი ვერსად ვერ გრძნობს თავს კარგად. იგი მხოლოდ თავის ქვეყანაშია ლაღი, ბედნიერი, ფრთებგაშლილი, თავისუფალი... ხშირად მსმენია, რომ პირველი თაობა ემიგრაციისა – მსხვერპლია. შემდეგი თაობები ისე აღარ იტანჯებიან, როგორც მათი მშობლები. ისეთი ინტეგრაცია, თუ ასიმილაცია ხდება, თავიანთ ისტორიულ სამშობლოს, სამშობლოდ აღარ აღიქვამენ. ტურისტებად ჩამოდიან საკუთარ სამშობლოში. უმრავლესობამ აღარც ენა იცის, სარწმუნოებაზეც ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს. უდიდესი ტკივილია და საშინელებაა, როცა ბავშვი მშობლიურ ენას კარგავს, რადგან “ადამიანმა, განსაკუთრებით, ბავშვმა, სრულიად უცხო და მისი აზროვნებისათვის შეუსაბამებელი ენის ტერმინებში იაზროვნოს, ტრაგიზმი ნორჩი თაობისა, რომელიც იძულებულია თავისი ახალი ფრთაგაშლილი აზროვნება სხვის მიერ შექმნილს კალაპოტში ჩასვას“ (გერონტი ქიქოძე).

გასული საუკუნის 90-იანი წლების ემიგრაციამ ნახევარი საქართველო შიმშილისაგან სიკვდილს გადაარჩინა. მათი უმრავლესობა კი თავის თავში გამომწყვდეულად, გაუცხოებულად, არაფერს მიკედლებულად, გაორებულად იქცა. ცოტა ნაწილმა კი შეძლო არა ორ ქვეყანას შორის, არამედ ორივე ქვეყნის კულტურით, ორივე ქვეყნის ყოფით, მენტალობით ცხოვრება.

პირადად ჩემთვისაც ბევრჯერ უკითხავთ და მეც სხვებისთვის ბევრჯერ მიკითხავს, ნეტა რა

გვაძლებინებს ამ უცხოობაში. ალბათ რწმენა, რომ ოდესმე საკუთარ კერას დავუბრუნდებით და თუ ამას რაიმე მიზეზის გამო ვეღარ მოვახერხებთ, ალბათ საფლავი მაინც უეჭველად სამშობლოში გვექნება.

კიდევ რა გვაძლებინებს? გვაძლებინებს წინაპართა პათოსი, გვაძლებინებს ექვთიმე თაყაიშვილის რწმენა, როცა “ლევილის გამოყრუებულ თავშესაფარში, სადაც მარტო უმკლავდებოდა უსახსრობასაც,უძლურებასაც, უმეგობრობასაც, შიშსაც, სენსაც, შიმშილსაც, სიცივესაც, ასაკსაც...“ (ოთარ ჭილაძე). დღევანდელ ემიგრაციასაც აქვს თავისებური უსახსრობაც, უძლურებაც, უმეგობრობაც, შიშიც, სენიც, ასაკიც და მაინც უძლებს. უძლებს იმიტომ, რომ აქვს სამშობლოში დაბრუნების იმედი. “კიდევ ერთი გაზაფხულიო“- ფიქრობს მზეს მიფიცხებული მოხუცი, უღარიბესი ემიგრანტი და, ამავე დროს, არარსებული ქვეყნის ორმოცსაუკუნოვანი საგანძურის მეჭურჭლეთუხუცესი. ხვალის იმედით, დღევანდელს უძლებს, გუშინდელის გადასარჩენად“ (ოთარ ჭილაძე).

თავდაპირველად ასე იყო ჩაფიქრებული , რომ ეს წერილი ჩემთვის საყვარელი ადამიანის, დიდებული ქალბატონის რენატე წულუკიძის ხსოვნისათვის უნდა მიმეძღვნა. ერთი წელი გავიდა, ქალბატონი რენატეს გარდაცვალებიდან. იგი ქართველი ემიგრანტის შვილის გოგი წულუკიძის მეუღლე გახლდათ.

1921 წელს ფილოსოფოსმა, ფილოლოგმა მიხეილ წულუკიძემ და მისმა მეუღლემ ექიმმა ქრისტინე თოდუამ საქართველო დატოვეს და გერმანიაში, კერძოდ, ბერლინში დასახლდნენ. ქრისტინე თოდუა-წულუკიძე ბერლინის ცნობილ Charite-ს კლინიკაში პროფესორ ფერდინანდ ზაუერბრუხთან იწყებს მუშაობას. 1924 წელს მიხეილ და ქრისტინე წულუკიძეებს ვაჟიშვილი გოგი შეეძინათ.

ბატონი გოგი არაჩვეულებრივი ადამიანი, შესანიშნავი ექიმი, თითოეული ქართველის პატრონი იყო ბერლინში. მას საქართველო თვალით არ ენახა. სამშობლოს ნახვის ნატვრა საფლავში ჩაიტანა. ბატონი გოგი თხემით ტერფამდე ევროპელი ქართველი, თუ ქართველი ევროპელი იყო. არაჩვეულებრივი მომღერალი, მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული, ქართული კულტურის, ისტორიის ღრმა მცოდნე, ქართულად უაქცენტოდ მოლაპარაკე. გოგი წულუკიძეს სახლში ასწავლიდნენ, რომ “დედა ენა არის არა შემთხვევითი დამატება ადამიანისა, არამედ თვით იმის აზროვნებასთან ორგანულად შეზრდილი პროცესი,რომლის გამოცვლა თვით იმ აზროვნების ნაჩვევი მიმდინარეობის გამოცვლას მოასწავებს“(გერონტი ქიქოძე).

1954 წელს გოგი წულუკიძე რენატე ბრესგოტზე დაქორწინდა. ფრაუ რენატე, როგორც მას ქართველები მივმართავდით, ექიმი გახლდათ. სათნო, მშვენიერი, ინტელექტით აღსავსე, მართლაც ღირსეული რძალი ღირსეული ქართული ოჯახისა.

ბოლო წლებში ქალბატონი რენატე სულ მეკითხებოდა საქართველოს შესახებ. ყველაფერი აინტერესებდა. მიყვებოდა თავის ქართველ დედამთილზე. მამამთილს ვერ მოვესწარი, 1944 წელს გარდაიცვალაო.

ქალბატონი რენატე უკანასკნელი მოჰიკანი იყო წულუკიძეების ოჯახისა. თუმცა რატომ უკანასკნელი? გოგი და რენატე წულუკიძეებს ორი ვაჟი ჰყავთ – თენგიზი და სანდრო. ისინიც მშობლების მსგავსად ექიმები არიან. სამწუხაროდ, ქართული არც თენგიზმა და არც სანდრომ არ იციან.

როდესაც წულუკიძეების ოჯახზე ვფიქრობთ, არ შეიძლება ისევ წარსულს არ დავუბრუნდეთ. ძალიან მინდოდა ქართველი მკითხველისათვის გამეცნო მიხეილ წულუკიძისადმი გრიგოლ რობაქიძისა და მიხაკო წერეთლის გამოსამშვიდობებელი წერილები, რომლებიც 1944 წლითაა დათარიღებული. ეს წერილები ქალბატონმა რენატემ გადმომცა. მთხოვა გერმანულად მეთარგმნა. რასაკვირველია, თხოვნა შევუსრულე. წერილების გამოქვეყნების ნებაც ქალბატონმა რენატემ დამრთო. ამ წერილებში ნათლად ჩანს ამ ოჯახის ცხოვრება, მათი ისტორია, მათი დამოკიდებულება ემიგრაციის დანარჩენ წარმომადგენლებთან, მათი ფიქრები საქართველოს სვე-ბედზე და საერთოდ, როგორც მიხაკო წერეთელი წერს „მიშას ბრწყინვალე კერა“.

აი, ეს წერილებიც:

მ. წულუკიძის ხსოვნას

შორიდან, ბოდენის ტბიდან, მსურს მოგაწვდინო გამოსათხოვარი სიტყვა. საფლავთან ყოველი სიტყვა გულის უკანასკნელი სიღრმიდან იშვის, ხოლო იგი უმწეოა მაინც. ჩემი სიტყვაც

ასეთია. ძვირფასო მიშა! გულმართალი იყავ შენ და ნათელგონიერი, მშვიდი და წყნარი, თავაზიანი და მორიდებული, ხელგაშლილი და სტუმარმოყვარე. უხვად გქონდა შენ ქართული ხასიათის თვისება მომადლებული: სხვისი გახარება. შეხვედრისას ვინმესთან, შენ თვით ხალისი იყავ. ორმოცი წლის მანძილზე ჩვენი მეგობრული ურთიერთობისა – ლაიპციგში სტუდენტობის დროს, თბილისში სალიტერატურო სარბიელზე, განსაკუთრებით.ჩვენი საყვარელი უფროსი მეგობრის გიგო დიასამიძის ოჯახში. ბერლინში გადმოხვეწილობის ხანაში – ყოველთვის და ყველგან შეხვედრა შენთან იყო ჩემთვის გადამახალისებელი და გამამხნევებელი. გიყვარდა შენი მშვენიერი ოჯახი, გიყვარდა შენი ერთგული მეგობრები – ხოლო ეს სიყვარული საზრდოს იმ სიყვარულისაგან იღებდა, რომლითაც შენ საქართველოსადმი იყავ ანთებული. აუტანელია ხვედრი გადმოხვეწილისა; თუ სიცოცხლე ძნელია უსამშობლოდ, სიკვდილი სამშობლოს გარეშე მწარეა მეტად. ვინც მოგვავლინა ამ სოფელს, მანვე უნდა გადაგვასვენოს მარადისობაში სათუთი სიყვარულით. უკუღმართი ბედი ამ ბუნებრივ აქტსაც სულის განტევებისა არ იმეტებს გადმოხვეწილისათვის. შენ, ჩემო მიშა, თითქო წინასწარ გრძნობდი ამ სიმწარეს. გასული წლის დეკემბრის 21-ს მწერდი: „ჰე, ჩემო გრიგოლ! ასე განახევრებული ვართ ყველა! და განსაკუთრებული სიმწვავით განვიცდი სწორედ ახლა ჩვენს შორს სამშობლოს; ხშირად მაგონდება პოეტის სიტყვები:

შავი ზღვიდან წამოსულო, იმერეთის ქარო, თუ მაისის ქუთაისმა გკითხოს; ვისი ხარ-ო, უპასუხე, რომ სუნთქვა ხარ, არ კი უთხრა ვისი – თვით მიხვდება ქუთაისი, ჩემი ქუთაისი.

ამ სიტყვას მაინც მივაწვდიდეთ საქართველოს!“. აბოლოვებდი დანაღვლიანებული ლექსის სევდით ავსილ სტრიქონებს. ძვირფასო მიშა! უკანასკნელი სუნთქვა შენ საქართველოსადმი აღმოგხდა უთუოდ და მრწამს: იგი მისწვდება შენს მშობელ მიწას. იმ საიდუმლო უსაზღვროებაში, საცა შენ ახლა იმყოფები, არა იკარგება-რა. ღმერთმა მოგცეს, ძვირფასო მეგობარო, ნათელი განსვენება მარადისობაში. მშვიდობით!

გრიგოლ რობაქიძე
იუბერლინგენ ამ ზეე,
14. 8. 1944.

მიხეილ წულუკიძე

კიდევ ერთმა საზარელმა ამბავმა შეაურვა ჩემი სული. – დაკარგვამ ძვირფასი მეგობრისა. ჩემთვის უღრმესად საყვარელი ადამიანისა, მიშა წულუკიძისა.

მიშას საქართველოშიც ვიცნობდი, ხოლო აქ, ემიგრაციაში დავუახლოვდი მას და გავიცანი მასთან ხანგრძლივი დამოკიდებულებით მისი მშვიდი და დიდი ბუნება. მისი მომხიბლავი პიროვნება. ჩემთვის, დაღლილისათვის და ათასი მწარე ფიქრით და ეჭვით შეპყრობილისათვის განსასვენებელი ადგილი იყო მიშას სახლი, სადაც მეფობდა სითბო და სიყვარული ურთიერთისადმი მისი სახლობის წევრთა, გულ-უხვობა მასპინძლისა სტუმრისადმი. და ბუდობდა სული იმ ძველი ქართული კულტურისა, რომელიც საუკუნოობით, მამა-პაპათაგან მოაქვნდა, როგორც დიდ-გვარიანს წარმომადგენელს ძველი ქართველი არისტოკრატიისა, მიხეილ წუკუკიძეს. – მეუღლე მიშასი, ქალბატონი ბადუ, ეს განსაცვიფრებელი ენერგიისა და გონების მქონე ადამიანი, ახალგაზრდობითგანვე მებრძოლი დიდ დაბრკოლებათა წინააღმდეგ, რომ თავისი სახლისათვის ღირსეული ცხოვრება მოეპოვებინა, დამხმარე და გულ-შემატკივარი ყოველი ქართველისათვის, ვინც კი მიმართავდა საშველად მის მეცნიერებას ან მის დიდი სიკეთით აღსავსე გულს, ბურჯი იყო და დამაშვენებელი მიშას სახლისა. და შვილი მიშასი, გოგია, გერმანულ-ფრანგული განათლებით აღჭურვილი, აქ, უცხოეთში დაბადებული და აღზრდილი, ხოლო შინ მშობელთაგან სულ-ჩადგმული და ქართველ მამულიშვილად მოწიფული,- გოგია, რომელიც თავისი სპეციალობის საგანთაგან უაღრესად დატვირთული დროსაც კი პოულობდა ჩემი ხელმძღვანელობით ძველი ქართული შეესწავლა მეცნიერულად და ამას თავის-თავად საგულისხმო და საჭირო საქმედ სთვლიდა, – იმედი იყო ამ მშვენიერი სახლისა, განმგრძობი მისი სახსენებელისა და მამის ღირსეული გვარისა. მიშას ხშირი ავადმყოფობის დროს ქ-ნი ბადუ ისეთივე ენერგიით იბრძოდა ძვირფასი მეუღლის გადასარჩენად, როგორც ეს წესი იყო მისი მთელ მის

ცხოვრებაში, და მას ჩემთვის უთქვამს ხოლმე: „არ დავზოგავ არაფერს, რომ ჩემ სახლს მისი უფროსი შევუნახოო“. და მართლაც სამჯერ იხსნა ქ-ნმა ბადუმ მიშა სიკვდილისაგან, ხოლო უკანასკნელად ჩვენ ჩვენდა სატირლად გამარჯვება მაინც უწყალო სიკვდილს დარჩა. და მე მესმოდა აზრი მიშას მეუღლის იმ თავ-განწირული ბრძოლისა და ახლაც ყველა გაიგებს მას. ვისაც ოდესმე უგრძნია სითბო, გამომავალი მიშას კერითგან და მის ირგვლივ განუცდია სიამოვნება. სიმშვიდე და მოსვენება სულისა. ახსოვს საუბარნი, მსჯელობანი ბევრ საკითხზედ ჩვენი ცხოვრებისა მიშასთან და მისი სახლის წევრებთან ერთად და სხვა ბევრი რამ კეთილი. დღეს ამ კერის ერთი მხარე დაინგრა და მე ამას გულით ვსტირი და ვიცი, სტირის ყოველი ქართველი, ვისაც ეს კერა უყვარდა.

მაგრამ მიშას დაკარგვა არა მარტო ჩვენთვის, მის მეგობრებისთვის და ჩვენი ემიგრაციისათვის არის დიდი დანაკლისი. არამედ მთელი ქართველი ერისათვის. საქართველომ დაჰკარგა რწმენის კაცი. განსაზღვრული მსოფლიოს – ხედვის ერთი გულ-წრფელი აღმსარებელთაგანი, რომელთა მოღვაწეობა მთელი ეპოქა იყო საქართველოს ცხოვრებისა. ხოლო მიშა იყო მათ შორის ერთი უპატიოსნესთაგანი, უგონიერესთაგანი და უმტკიცესად ქართულ ნიადაგზედ, ქართულ მამულიშვილობაზე მდგომი. ეს მან დაამტკიცა თავისი საქმით. სიტყვით და კალმით. ამისათვის მას განათლებაც შესწევდა, ენერგიაც და სულისა და გონების კულტურაც. იგი არ იყო ხნით დამაშვრალი და კიდე შესძლებდა თავისი ღვაწლის ნაყოფიერად განგრძობას, და უდროოდ წარტაცება მისი დაუნდობელი სიკვდილის მიერ ატკენს გულს მიშას თანამოაზრეთა და მთელ ქართველ ერსაც: პირველთ დაჰკარგეს ერთი საუკეთესო ამხანაგთაგანი მათი, ხოლო უკანასკნელმა ერთი საუკეთესო შვილთაგანი, მხურვალედ მოყვარე თავისი და მისთვის მუდმივი მოღვაწე.

ამიტომ მივუძღვნათ ძვირფასი მიშას სახლობას ჩვენი დიდი სამძიმარი და ვანუგეშოდ იგი, გავამხნევოთ, რათა არ ჩაქრეს მიშას ბრწყინვალე კერა; ვუსურვოთ მიშას თანამოაზრეთ, რომ ყოველი მათგანისათვის მიშა ყოფილიყოს მისაბაძი მაგალითი კეთილშობილებისა და ქართველობისა; და პატივი ვსცეთ მიშას ხსოვნას აქ, უცხოეთში, როგორც ერთმა ნაკვეთმა ქართველი ერისა.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, ძვირფასო მეგობარო!

მ. წერეთელი.

შვარცენფელდი, 18.VIII. 1944.

ვლადიმერ კორტავა

რელიგიურობის ცნების ნათელყოფის ცდა

I. intermeco[1]
განაზრება შესახებ განაზრებისა

„*Если вглядеться в последнюю* темень,
Свет ночника вырывает из мрака
Бешеной нежности высшую степень, –
В жизни как письмах, помарки с размаха“.
ევგენი რეინი

როგორც არაერთხელ აღუნიშნავს აკადემიკოს ს.ლ. კაპიცას თავის მრავალრიცხოვან სტატიებსა და ინტერვიუებში, „მრავალი რამ იცვლება (რომ არა ვთქვათ, იმსხვრევა – ვ.კ.) – დროის, ადამიანების, საკუთარი თავის აღქმა. ცხოვრების წესები, რომლებსაც თავიანთი ქმნადობა-ჩამოყალიბებისათვის დიდი დრო ჭირდებათ, დღეს უკვე მნიშვნელოვნად ჩამორ-ჩებიან რეალობას“.

„ქმნადობას“ აფიქსირებს აზროვნება-განაზრება (ჩვენ შეგნებულად ვემიჯნებით კლასიკუ-რი ფილოსოფიის კატეგორიებს). ადამიანი მისი საშუალებით ახდენს ორიენტაციას მოვლენეთა სტიქიაში და იღებს გადაწყვეტილებას, დარჩეს ცხოვრების მორევში თუ მისწვდეს მის ნაპირს თავისი მეობის შენახვა-დამკვიდრებისათვის. თანადმეროვე სინამდვილე ან თანამედროვეობის სინამდვილე წარმოუდგენელია ინფორმაციის მძლავრი (ან, უკვე დამკვიდრებული გამოთქმის მიხედვით, „შეუფერხებელი“) ნაკადის გარეშე, რომელიც შორსაა როგორც „ასახვის“ ამოცანისაგან, ასევე სიღრმისეული პიროვნულობისაგან, რომელიც ობიექტურად არსებულ ზეინდივიდუალურს ერწყმის. მეტყველება „წარმოების მიღმა“ ვარირებს ყოველგვარი პიროვნულობისაგან დაცლილ სტერეოტიპებსა და უკიდურესობამდე სუბიექტურ შეფასებებს შორის, ალაგ-ალაგ კი ნატურალურ ბოდვამდე აღწევს, რომლის პირდაპირი და მყისიერი იდენტიფიკაცია გართულებულია გონივრულობის გარეგნული საბურველით. სიახლეს, მოვლენას ან მასმედიით პროპაგანდირებულ თეორიას თუ კონცეფციას არა აქვს არსებითი, ხოლო დროდადრო კი არავითარი მნიშვნელობა; მთავარია „მოვლენათა გათვლა-აღრიცხვა“, რომელიც ემსახურება ინდივიდთა ჯგუფს, სადაც დომინირებენ ისინი, ვინც ფლობს მედიას და მსოფლიო დინამიკის მიმართულებას (საერთო სვლას) განსაზღვრავს). მომხდარის ან მოვლენების შერჩევა, ინტერპრეტაცია სწორედ მათ ნებასურვილზეა დამოკიდებული. ამ პროცესში დასაშვებად ითვლება ხმების გავრცელება, ფაქტების დამახინჯება, ხოლო მასალის ორგანიზება-მოწოდებაში კორპორატიული წარმოდგენებისა და ღონისძიებების რეალიზაცია. ობიექტურობა თავისებურ რიტუალად იქცევა. უ. ლიპმანის მიხედვით ჟურნალისტიკა ფართო აზრით – ნიშანთა და სიმბოლოთაგან შედგენილი მასალის მთელი კორპუსი, დამზადებული ტიპოგრაფიული ან მრავალსპექტროვანი წესით, რომელიც ტაქტილურ შეგრძნებებზეც კი მოქმედებს – არის არა უშუალო შეტყობინება მომხდარის შესახებ, არამედ სტილიზებული ინფორმაცია, შეთანხმებული გარკვეულ იმედებთან, ღირებულებებთან, ექსპექტაციებთან.

პატარა, მაგრამ იქნებ აუცილებელი გადახვევა მთავარი თემიდან. როგორ გაგვიჩნდა ჩვენ ზემოთნათქვამის უტყუარობის რწმენა-შეგრძნება? ძალაუნებურად გვახსენდება ერთი ნაწყვეტი „ლოტოსის სუტრის ბიანვენის“[2] ვრცელი კომენტარებიდან, რომლებიც რუს აღმოსავლეთმცოდნეს ლ.მენშიკოვს ეკუთვნის და რომლებიც, თავის მხრივ (სხვა რაკურსით), გვარწმუნებენ ცნობილი დებულებების, განწყობების (ინსტელლუნგენ) ან აქსიომების ფორმულირებების პერიოდული შეცვლის აუცილებლობაში. მეორე აქსიომას (დებულებას)

[1] ინტერმეცო [იტალ. Intermezzo – შესვენება]. მუს. მე-17-ე საუკუნის იტალიაში ამ სიტყვით აღინიშნებოდა მცირე მოცულობის პიესა, რომელიც სრულდებოდა ტრაგედიის, მოგვიანებით კი ოპერის მოქმედებებს (აქტებს) შორის. საფორტეპიანო რეპერტუარის განვითარების კვალობაზე სახელწოდება „ინტერმეცო“ დამოუკიდებელ პიესებსაც აღნიშნავს.

[2] ბიანვენი (ჩინ.) – დაახლ. გზის მაჩვენებელი.

ოთხ „კეთილშობილ (ამაღლებულ ან აგრეთვე უმაღლეს) ბუდისტურ ჭეშმარიტებათაგან“ ლ.მენშიკოვი არატრადიციული ფორმით აყალიბებს და თანაც მას „კონცენტრაციის ჭეშმარიტებას“ უწოდებს: „წვდომა ჭეშმარიტებისა, რომ გრძნობათა ორგანოები არასწორი შემეცნების წყაროს წარმოადგენენ და მხოლოდ ნამცეცებს (крупицы) იძლევიან ჭეშმარიტებისა, რომელთა კონცენტრირებაც უნდა მოახდინოს ადეპტმა“.[1] ფორმულირების ასეთი შეცვლა შესაძლებელს ხდის სულ სხვაგვარად შევხედოთ ფილოსოფიურ დებულებას, რომლისგანაც, ერთი შეხედვით უკვე ვეღარაფერს ამოიღებ-„გამოსწოვ“. ჩვენ გვინდა ხაზი გავუსვათ არასისრულესა და არასრულფასოვნებას ჭეშმარიტების ყოველგვარი ვერბალური გამოხატვა-გამოთქმის ცდას, რაც სრულიადაც არ ნიშნავს მისი (ე.ი. ცდის) აუცილებლობის უარყოფას, და არც არასოდეს უარიყოფებოდა ძველი სამყაროს იმ მოაზროვნეების მიერ, რომლებიც დუმილს მიიჩნევდნენ შინაგანი გაბრწყინვების (просветление) უკანასკნელ ინსტანციაში ჭეშმარიტების ფლობის უმაღლეს ნიშნად (კრიტერიუმად). ჩვენი მიზანი ამ შემთხვევაში, შემოისაზღვრება სურვილით, მკითხველის ყურადღება გავამახვილოთ იმ ფაქტზე, რომ შემეცნების კოლექტიური და საყოველთაოდ აღიარებული მეთოდები ადრე თუ გვიან (უფრორე ადრე, ვიდრე გვიან) კარგავენ თავიანთ ეფექტურობას და ინდივიდი იძულებული ხდება ეძებოს რეალობის არსის წვდომის სხვა მეთოდები, თუნდაც თავის გარემოცვასთან უკომპრომისო კონფრონტაციაში შესვლით. ამ საკითხს ჩვენ დავუბრუნდებით. და არაერთხელ.

განვაგრძოთ მსოფლიო დინამიკის ზოგიერთი გლობალური ასპექტის განხილვა-გადმოცემა. სად იღებენ სათავეს ის ღირებულებები, ექსპექტაციები და ინტერპრეტაციები დღევანდელი ერთპოლუსიანი (მონოპოლუსური) მსოფლიოსი, რომლებიც ერთპიროვნულად ბატონობენ პლანეტარულ ეთერში? რითი განისაზღვრება „მოვლენეთა გამოთვლა“ და მედიის მფლობელთა სარგებელი-სწრაფვა, რომელთა ხელშია აგრეთვე ადამიანთა ქცევაზე ზემოქმედების ბერკეტები? ანდა, – ვთქვათ პირდაპირ – ბერკეტები ადამიანთა ქცევის მანიპულირებისა? ხანგრძლივ დაკვირვება-გააზრებას მივყავართ საზეიმო ჭექა-ქუხილით გაჟღერებული პრინციპების, ქარტიების, დეკლარაციების და ასე შემდეგ უკანა მხარეს ამორფული უპიროვნობისა და სიცარიელის განცდამდე, – ძნელია აქ ზუსტი და ამომწურავი განსაზღვრების მოცემა. ჯერ კიდევ „ცივი ომის“ დროს ფრანგი მკვლევარი ლუმანი აღნიშნავდა, რომ მას თანამედროვე საზოგადოება ესახება არა იმდენად „სიმშვიდით მოცულ“, „სტაბილიზებულ ერთობად“, რამდენადაც სულ უფრო და უფრო დიფუზურ, ენტროპიულ წარმონაქმნად. არავინ იცის ევოლუციის მიმართულება და მისი შემდგომი ფორმა, რომელსაც იგი ქმნადობის ზედაპირზე წარმოაჩენს და არც ის, თუ რამდენად მდგრადი აღმოჩნდება შემდეგი საფეხური სისტემის ერთობლივ რეალობაში. „ყველაფერი მიმდინარეობს“ – ნაღველშერეული სიმშვიდით აღნიშნა ჰერაკლიტემ და ჩვენ არ გაგვაჩნია არავითარი საფუძველი უგულებელვყოთ ძველი სამყაროს მოძღვრებები და ინტუიციური წვდომები თანამედროვე ტრანსპორტის, კომუნიკაციებისა და საერთოდ ინფორმაციის გადაცემის საშუალებათა უქონლობის გამო. ალბათ უმჯობესი იქნებოდა გაგვერკვია მათი ღირებულებებისა და იმ ინფორმაციის რაობა, რომელთაც ისინი ეძიებდნენ და გავრკვეულიყავით ამ ძიების მეთოდოლოგიაში, რომელიც ერთობ განსხვავდება თანამედროვე აკადემიურ-ლაბორატორიული მეთოდებისაგან.

ვიდრე საბოლოოდ შევაბიჯებდეთ „ძველთა“ სამყაროში ან, უფრო ზუსტად, ჭეშმარიტების ძიების მარადიული ღირებულებებისა, რომელიც სქელი, გაუმჭვირვალე ფარდით არის დაფარული ჰომო ფაბერ-ის მზერისაგან მიუხედავად იმისა, იგი ტონობით ამზეურებს „რენომეს“ მქონე ანტიკურ და შუა საუკუნეების ავტორებს და მათთან ერთად სიცოცხლის განმავლობაში უცნობ უცნობ მისთიკოს*მისტებს, – აზრის მარგინალებს, -აღვნიშნოთ კიდევ ერთხელ, რომ შეუძლებელია განვიხილით მეცნიერება იმ ტექნიკური საშუალებებისაგან განცალკევებულად, რომლებითაც ხდება მისი რეალიზაცია: ჟურნალები, ორგანიზაციბი,რომლებიც ახდენენ კულტურული და კომერციული მოღვაწეობის კოორდინაციას, სახელმწიფოები, მიზნობრივად მიმართულნი ექსპანსიისაკენ და ათწლეულთა განმავლობაში მოწინააღმდეგეთა ინფრასტრუქტურების დაშლისაკენ. კაცმა რომ თქვას, ამ სუპერრთული სისტემის უფრო არაავტონომიური რგოლი – ეს არის მკვლევარი თავისი „გამიზნულობებით“.

რა ღირებულება აქვს მეცნიერებას, რომელიც „ერთეული“ ატომარული ფაქტით – პუბლიკაციით – მოახდენს რა გარკვეულ სოციალურ ეფექტს, ამოსწურავს თავის თავს? იგი

[1]Бяньвень по Лотосовой сутре, М., 1984, с.412,

მინერვის ბუა, რომელიც ბუს ბუნებასთან შესატყვისობით მხოლოდ ბინდის სიმშვიდეში გამოჩნდება და არ ძალუძს რაიმე გავლენა იქონიოს დღის ცნობიერებასა და მისი გამზიანებული ნახევრის სრულიად დეტერმინირებულ მოვლენებზე. დასავლეთის იდეური მიმდინარეობების ჩვეული ქრესტომათიული სია (ნეოპოზიტივიზმი, პოპერიანელობა, ფსიქოანალიზი მთელი თავისი განშტოებებით ფენომენოლოგია, პოსტინდუსტრიალიზმი და ა.შ.) დღეს უკვე ძნელია მივუყენოთ რეალურ პროცესებს. შესაძლოა, რომ საქმის არსი თეორიისა და რეალობის (რასაც არ უნდა აღნიშნავდეს ეს ცნება) პრინციპულ არათანაზომადობაშია. თეორია, რა თქმა უნდა, თვლის, რომ მისი ობიექტი რეალობაა, მაგრამ სულ უფრო და უფრო ნაკლები საფუძველი არსებობს იმისათვის, რომ ეს პოსტულატი ჭეშმარიტებად შევრაცხოთ. თანაზომადობის (თანაფარდობის) ილუზია იქმნება სტაბილურ საზოგადოებებში, რომელიც ფარავს „ტვინთა წმენდის“ გარდაუვალ პროცესში ჩართულობის ფაქტს.

თანამედროვე ცნობიერებისათვის განსაკუთრებით ძნელი აღსაქმელია ვედებიდან მომდინარე იდეები ყოფიერების განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნაწილების არაკოდიფიცირებადობის შესახებ. თავად რწმენა ასეთი ნაწილების არსებობისა წარმოიშობა სპეციალური, მაგრამ გარესაუნივერსიტეტო, არააკადემიური სწავლებით, პლიუს (და ეს – აუცილებელი პირობაა) საკუთარი სასიცოცხლო, ეკზისტენციური გზა (თითქმის ყველა ინდუისტური, მნიშვნელოვანწილად ეზოთერული, სისტემის ცენტრალური ცნება, რომლის ირიბი განსაზღვრებაც მოცემულია თეზისით: ჭეშმარიტება – ეს არის გზა). ეს გზა – გვერდი ავუაროთ დეტალებს, რადგანაც სწრაფვას, ყველაფერი შესაძლებლის ერთად გამოთქმისა ხშირად მივყავართ საქმის არსის გათქვეფა-დაკარგვამდე – ბედისწერის გარდაუვალობით ააცდენს ინდივიდს საზოგადოების თუ სოციოკულტურული ერთობის მიერ გაკვალულ მაგისტრალს. უნივერსიტეტები სპეციალისტებს ამზადებენ. მათ პროგრამაში არ არის გათვალისწინებული კურსები, რომლებიც შეასწავლიდნენ მსმენელს სამყაროს როგორც მთელის წვდომას, შემეცნების სუბიექტზე ინტენციით ანუ გონითი ხედვის არეში აუცილებელი ყოფნით. და რამეთუ ჩვენ ვისარგებლეთ დასავლური საუნივერსიტეტო ფილოსოფიის ტერმინოლოგიით, აქვე გვინდა ხაზი გავუსვათ, რომ მხედველობაში გვაქვს არა ფილოსოფიური კლასიკის, არამედ სხეულ-ხორცის ციხესიმაგრეში გამომწყვდეული გონი (ლოგოსი), რომლის თვითგაცნობიერებისათვის ხდება საჭირო გზა და, რაც მთავარია, ამ გზაზე, ან მასშიც კი, – ეს გარე სამყაროს მოვლენები კი არა, არამედ მწვავე, დაძაბული, ინტენსიური განცდა სიცოცხლისა და რადგანაც ის სულიერ-გონითი ცდა (опыт, Erfahrung), რომელიც ჩვენ გვაინტერესებს, ყველაზე ახლოს რელიგიურ ცდასთან დგას, არსებულ ვითარებაში გავაკეთებთ შესაძლებლისა და აუცილებლის მაქსიმუმს, თუ შევეცდებით რელიგიურობის ცნების ნათელყოფას. ინტერმეცოს ფინალური ნაწილისათვის ალბათ ყველაზე შესაფერი წმინდა შეძახილი იქნება, რომლითაც ბუდიზმის ადეპტები ტაძარში (სტუპაში) შედიან. ამ, გარკვეულად პოლემიკური, მუხტის შემცველი მანტრით მსურს ყურადღება გავამახვილო იმ გარემოებაზე, რომ – მიუხედავად მართლმადიდებლური ეკლესიის სამწყოსადმი კუთვნილებისა – ვერ ჩავთვლით ჭეშმარიტებას ერთი რომელიმე რელიგიისა ან ეკლესიის ექსკლუზიურ კუთვნილებად:

Om mani padme hum!
(ო საუნჯევ, ლოტოსის თავზე დაბრძანებულო!)

ნაწილი II. რელიგიურობის ცნების ნათელყოფის ცდა[1]

„ადამიანისათვის აუცილებელია თვალთახედვის
ღირებულებითი სისტემა, სიცოცხლის ფილოსოფია...
რომელთანაც შესაბამისობაში შეიძლება იცხოვრო
და გაიგო ცხოვრება, აუცილებელია იმავე აზრით,
რა აზრითაც მისთვის აუცილებელია მზე,
კალციუმი და სიყვარული“.
აბრაჰამ მასლოუ

1. რელიგიურობის ცნების ფორმალურ-ლოგიკური განსაზღვრების ცდა ამ სტრიქონების ავტორს იმთავითვე წარმოდგენილი აქვს როგორც არაადექვატური, რადგანაც ასეთი სახის განსაზღვრებები გულისხმობენ უძრავი, სტატიკური მახასიათებლების ფიქსირებას, რომელთა განხილვა-კლასიფიცირება (რაგინდ ფართო და დეტალური) მიგვიყვანდა ე.წ. არსებითი ნიშნების გამოყოფამდე, რაც საშუალებას მოგვცემდა დაგვედგინა ზუსტი საზღვრები ცნებათა უნივერსუმში (სისტემაში).

1.1. რელიგიურობის ცნება (და მისი კორელატი – რელიგია საზოგადოდ) ეხება არა რომელიმე კონკრეტულ საგანს ან განყენებულ იდეას, რომლის წვდომაც შეიძლება ერთიანი ინტელექტუალური აქტით, არამედ უწყვეტ პროცესს, რომელიც მოიცავს ადამიანის არსებობას მთლიანობაში (მთელ კონტინუუმს) – არა მხოლოდ მის მიწიერ სიცოცხლეს (დაბადებიდან სიკვდილამდე): იგი გულისხმობს აგრეთვე მის შესაძლებელ წინარე არსებობას და ამ არსებობის გაგრძელებას სხვა, არამიწიერ სამყაროში.

1.11. აქედან გამომდინარეობს რელიგიურობის ვერიფიკაციის („პრაქტიკული“ შემოწმების) სირთულე, რადგანაც მთელი სისრულით ადამიანის არსებობა, მისი შინაგანი სამყარო დანივთიერი ყოფა მხოლოდ უმაღლესი არსებისათვის შეიძლება იყოს მისაწვდომი, რომელიც თავისუფალია სასრული არსების ყველანაირი შემოსაზღვრულიბებისაგან (სივრცე, დრო, ენერგია და ა.შ.).

1.111. მეტისმეტი გულუბრყვილობა იქნებოდა (რომ არა ვთქვათ – სისულელე) კონკრეტული ინდივიდის რელიგიურობის შესახებ მსჯელობა დანაწესთა შესრულებითა და ამაზე დაფუძნებული დეკლარაციით: მე მორწმუნე (რელიგიური) ადამიანი ვარ. რელიგიურობა ზოგადი სახით არის სიცოცხლის (ადამიანის ყოფიერების, ეკზისტენციის) რეალიზაციის წესი და როგორც ასეთი, არანაირად არ არის დაკავშირებული აღმსარებლურ კუთვნილებასთან. დღევანდელი მასობრივი რელიგიურობა, რომელიც არაფერს ცვლის ადამიანის ეკზისტენციის ისეთ ფუნდამენტურ პარამეტრებში, როგორებიცაა დამოკიდებულება საკუთარ „ ეგოს“-თან, მოძმესთან და სამყაროსთან (როგორც მთელთან) წარმოადგენს სოციალური ფსიქოლოგიის საგანს და საკუთრივ რელიგიურობასთან საერთო არაფერი აქვს. „თუ ვინმე იტყვის, რომ უყვარს ღმერთი, მაგრამ სძულს თავისი ძმა, ცრუა; რადგან თუ არ უყვარს თავისი ძმა, რომელსაც ხედავს, როგორღა შეიყვარებს ღმერთს, რომელსაც ვერ ხედავს?“ (კათოლიკე ეპისტოლენი, პირველი იოანესი, 4.20).

2. „უღმერთოების“ (ანუ ათეიზმის) ნიშნად ვერ ჩაითვლება ვერც „მიღმურის“, იმქვეყნიურის, ტრანსცენდენტულის შეგნებული უარყოფა; ყოველ შემთხვევაში – უმაღლესი პერსონიფიცირებული ძალებისა. ასეთ შემთხვევებში, რომლებიც ფსიქოლოგიურად გაცილებით უფრო საინტერესოა, ვიდრე ცხადად ან აშკარად დეკლარირებული სწრაფვა, იყო უმაღლეს სამყაროთა თანაზიარი, რელიგიურობაზე შეიძლება ვიმსჯელოთ მხოლოდ მიზნისა და გაღებული მსხვერპლის მიხედვით. მიზნისა, რომელიც ადამიანის მიწიერ ბუნებაზე მაღლდება და მსხვერპლის მტკივნეულობით, რომელიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში მიიტანება მის მისაღწევად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რელიგიურად შეიძლება ჩაითვალოს ყველანაირი სწრაფვა ღირებულებათა მარადიული სამყაროსაკენ, რომელიც სძლევს ადამიანის ბუნებრივ, მატერიალურ, ბიოლოგიურ, ჯოგურ განსაზღვრულობებს. ასეთ მისწრაფებათა

[1] სტატიის მთავარი ნაწილის „ხისებრი“ (древообразная) სისტემა-სტრუქტურა ნასესხებია ლუდვიგ ვიტგენშტაინის ადრინდელი ნაწარმოებიდან «ლოგიკურ-ფილოსოფიური ტრაქტატი“. დღევანდელ ფილოსოფიურ (და არა მარტო) ლიტერატურაში ეს სისტემა საკმაოდ გავრცელებულია.

მქონე ადამიანებზე ა.მასლოუ წერდა: „რამდენიმე საუკუნის წინ ისინი აღიქმებოდნენ როგორც ღმერთის გზით მიმავალი ადამიანები, ღმერთის კუთვნილი ადამიანები (Божьи люди)... თუ რელიგიას აღვწერთ სოციალურ-ბიჰევიორისტული ტერმინოლოგიით, მაშინ ისინი უკლებლივ რელიგიურ ადამიანებად (ინდივიდებად) უნდა ჩაითვალონ, ათეისტებიც კი“.[1]

3. შევეცადოთ პიროვნების ცნების შევსებას მისი იდეალური მისწრაფებების საშუალებით (მათი განუხორციელობლობის, და არა ინტელიგებელურ, ზებუნებრივ სამყაროსთან თანაზიარობის რაკურსში;) ამ მისწრაფებების მბრწყინავ, თითქმის აფექტურ გამოხატულებას ვპოულობთ ა.ფ. ლოსევის წიგნში „მითის დიალექტიკა“. ამ სტრიქონების ავტორი თავს ნებას აძლევს მოიყვანოს მოზრდილი ნაწყვეტი ხსენებული ნაწარმოებიდან (სხვათა შორის, ეს საბჭოთა პერიოდის ბოლო წიგნია, გამოცემული ავტორის ხარჯზე), რადგანაც ზედმეტი და უადგილოა ახალი სიტყვებისა და ხატების ძებნა მაშინ, როდესაც აზრი დიდი ხანია გამოთქმულია და იდეის წვდომის დრო საუკუნეთა წყვდიადშია ჩამალული. სასწაულის ცნებას, რომელიც წითელ ზოლად გასდევს ქვემოთმოყვანილ ნაწყვეტს, ჩვენ განმარტება-განსაზღვრების გარეშე დავუდებთ საფუძვლად რელიგიურობის ცნების ნათელყოფის ცდას: „რა სურს პიროვნებას, როგორც თავისთავად არსს? მას სურს, რა თქმა უნდა, აბსოლუტური თვითდამკვიდრება. მას უნდა, რომ არაფერზე არ იყოს დამოკიდებული ანდა დამოკიდებული იყოს ისე, რომ ეს ხელს არ უშლიდეს მის შინაგან თავისუფლებას. არ სურს ნაწილებად იყოს გახლეჩილი და წინააღმდეგობებში გახლართული, იხრწნებოდეს არარსის უკუნეთსა და წყვდიადში. მას სურს იარსებოს მარად ნეტარი ღმერთების მსგავსად, რომლებიც ტკბებიან უსასრულო სიმშვიდითა და თვითკმარი, ნათელი ყოფიერების მეტყველი დუმილით. და აი, მაშინ პიროვნების გრძნობად-საგნობრივი, შემთხვევითობათა ჭრელი ისტორია-ბიოგრაფია, ჩაძირული ილუზორულ, უსუსურ და ავადმყოფურ არსებობაში, უეცრად მიდის განსაკუთრებულ მოვლენამდე, რომელშიაც წარმოჩინდება საწყისი, ნათელი წინასწარდასახულობა პიროვნებისა – მეხსიერებაში ამოტივტივდება დაკარგული ნეტარყოფნა და მით დაიძლევა ემპირიის მომაბეზრებელი, მტანჯველი სიცარიელე, მისი დამღლელი და უაზრო გნიასი, – ეს კი მაუწყებელია იმისა, რომ ხდება სასწაული. მარადიული წარსულის სიო ქრის შებღალული, შერყვნილი მიწიერი წარსულიდან, რომელიც ისევ გამოანათებს წმინდა და ნათელი ხილვებით. დამსხვრეული და არსშელახული, უხილავად ჩაფლული სულში, იგი იღვიძებს როგორც უმწიკვლო ყმაწვილკაცობა, როგორც ყოფნა-სიცოცხლის ნაზი დილა. წარსული არ დაღუპულა. იგია დაუვიწყარი შეხება მარადიულთან, ჭეშმარიტი, ნამდვილი სამშობლო. აწმყოს ფესვები საუკუნეთა მეხსიერების სიღრმეშია ჩამალული, ისინი კვებავენ მას. მარადიული და მშობლიური, წარსული ღრამადაა ჩაფლული მკერდსა და გულში; ჩვენი სულის გონითი მზერა ვერ წვდება მას, ვითარცა ბავშვობაში გაგონილ მელოდიასა ან ნანახ სურათს, რომელიც ეს-ეს არის გაგვახსენდება, მაგრამ ისინი მაინც არ ჩანან. სასწაულში უეცრად აღმოცენდება ეს მოგონება, კვლავ გამოანათებს და ნათელიქმნება საუკუნეთა მეხსიერება – ხელთუქმნელი და ცვალებადობისათვის ხელმიუწვდომელი. მეტყველი სიჩუმე და მარადისობის სიმშვიდე ქრის სასწაულიდან. შორეული ლაშქრობებიდან დაბრუნება და სამშობლოში დამკვიდრებაა არსი იმისა, რასაც აქ ვხედავთ; ის, რითაც ცხოვრობდა ემპირიის ტყვეობაში მოქცეული სული – ყოფიერების ყაყანი და ღრიანცელი, თვით არსებობის პრინციპის მანკიერება და სიბილწე იკარგება, როგორც გაზაფხულზე ალვის ხიდან ჩამოვარდნილი ბუმბული და გეღიმება ასეთი ყოფნა-სიცოცხლის გულუბრყვილობაზე. ეზიარები პატიებას და გავიწყდება ბოროტებისაგან მოყენებული ტკივილი, გავიწყდება ცოდვა. და სხეულს ეუფლება რაღაც ნეტარი დაღლილობა – განთიადი უცოდველი ყმაწვილსულისა.“[2]

შევაჯამოთ, თუ შეიძლება ასე ითქვას, თვითკმარი ნაწყვეტი ა.ფ. ლოსევის წიგნიდან. ინდივიდი, რომლის ყველაზე ძლიერი ლტოლვა აბსოლუტური თვითდამკვიდრება-თვითგანმტკიცებაა, ჩაფლულია თავისი არათანაზომადობით მის ძალებთან შედარებით სტიქიათა უსასრულო სამფლობელოში; სტიქიათა ეს სამყოფელი ყველანაირად მიმართულია იმისაკენ, რომ ამოძირკვოს ინდივიდის ოდინდელი საწყისი, ნათელი წინასწარ განკუთვნილი დანიშნულება, რომლის საფუძველიც საუკუნეთა სიღრმისეულ მეხსიერებაშია. პიროვნებას, ინდივიდს გაცნობიერებული აქვს აბსოლუტური თვითგანმტკიცების საბედისწერო, ტრა-

[1] Maslow A.H., Motivation and Personality. Rev. ad. New York: Harper and Raw. 1970, p. 169.

[2] Лосев А.Ф., Диалектика мифа. Издание автора, 1930, сс. 214-216.

გიკული შეუძლებლობა სასრული არსებისათვის. იგი დგას სასიცოცხლო, ონტოლოგიურ-ეკზისტენციური არჩევანის წინაშე – რომელი ნაწილი თავისი არსებისა განამტკიცოს გრძნობად-საგნობრივ სამყაროში, რომელი კი მსხვერპლად მიუტანოს ბრმა და ბოროტ სტიქიებს, რომელთაც ზიგმუნდ ფროიდმა კოსმიური ძალები უწოდა, რითაც ხაზი გაუსვა მის მიერ დეკლარირებულ თეზისს, რომ ადამიანის სხეული, შექმნილი ხანგრძლივი და აწეწილ-დაწეწილი, უთავბოლო ევოლუციით, ადგილს არ ტოვებს მეტაფიზიკური მიდრეკილებებისათვის.

3.1. ადამიანის ყოფიერების ტრაგიზმი მის პირველსაწყის გაორება-გახლეჩილობაშია. ამავდროულად კულტურა – ჰეგელის სიტყვებით – ნათელყოფს, რომ იგი აბსოლუტურის (ან აბსოლუტის) იმანენტური მომენტია და თავის უსასრულო ღირებულებას განუყოფლად ფლობს. „სამყოფელისა და ტანსაცმლის მოთხოვნილება, საკვების სითბური დამუშავების აუცილებლობა, მისი მოყვანა საკუთარ ბუნებასთან შესაბამისობაში და ბუნებით მოცემული სტრუქტურის გარდაქმნა – ყველაფერი ეს საფუძველია იმისა, რომ ადამიანის ყოფა დაკავშირებულია ცხოველისათვის უცხო სიძნელეებთან და იგი, როგორც გონი, არც უნდა ილტვოდეს ადვილი არსებობისაკენ“[1]

თავდაპირველი, თავისი „კაუზალური“ დეტერმინაციით უდავოდ ზეგრძნობადის სფეროში შობილი ამოცანა აღასრულოს თავისი ზედროული დანიშნულება, მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. აქვე აღვნიშნავთ დაყოფისა და განსხვავების ეპისტემოლოგიური მიზნის შესაბამისად, რომ „პიროვნების“ (პერსონა, personality, Persönlichkeit) ცნებას ჩვენ ვიყენებთ ადამიანის გვარის ამ წარმომადგენელთა მიმართ, რომლებმაც ჩვენთვის ცნობილ თუ უცნობ პირობებში, რაციონალური გააზრებისათვის მისაწვდომ თუ მიუწვდომელ ვითარებაში, თავიანთი არჩევანი ზეგრძნობადი მიზნის სასარგებლოდ გააკეთეს,ასეთი არჩევანისათვის გარდაუვალი ყოველივე მიწიერის, მატერიაში ფესვგადგმულის სამსხვერპლოზე მიტანით. ყველაფერი დანარჩენი – ბუნებაში მოქმედი უსულო ძალები, რომლებიც პერმანენტულად მიისწრაფვიან გარეგამოხატულებისაკენ, და აგრეთვე ინდივიდთა მთელი ერთობლიობა (ცნება, რომლითაც აღინიშნება უბრალოდ ბიოლოგიური სახეობისადმი კუთვნილება), უღელდებული თავისი გრძნობადი ბუნებით, არ ფლობს პიროვნებისათვის დამახასიათებელ აუცილებელ თვისებებს და მასთან ტოტალური დაპირისპირების მდგომარეობაში იმყოფება.

3.2. მაშასადამე, პიროვნების ცნება გულისხმობს ნებელობისა და ცნობიერების ბუნებრივი განპირობებულობის დაძლევას და რელიგიურობის ცნების ნათელყოფისათვის მიზანშეწონილი იქნებოდა მათი ფენომენოლოგიური სურათის მიახლოებითი აღწერა მაინც. ეს საკითხი ჯერ კიდევ დიდმა ჰეგელმა დაამუშავა და ჩვენ ამჯერადაც მივცემთ ჩვენს თავს უფლებას სიტყვასიტყვით გავიმეოროთ ჭეშმარიტება: „გონის მიზანი ისაა, რომ გაწეულ შრომაზე დაყრდნობით სუბიექტმა მოიშოროს ბუნებით მოცემული უბრალოება, ნაწილობრივ ეგოიზმის პასიური უქონლობა, ნაწილობრივ კი ცოდნისა და ნებელობის პრიმიტიულობა, ანუ უშუალობა და ერთეულობა, რომელშიაც ჩაფლულია გონი და რომ ამ გარეგნულმა ფორმამ მიიღოს მისი უნარის შესაბამისი გონივრულობა, სახელდობრ კი, საყოველთაობა, გააზრებულობა. ამ მეტამორფოზით საყოველთაობის ფორმა თავის არსში იღებს აზრის ყოფიერებას – ეს ფორმა კი ერთადერთი ღირსეული ელემენტია იდეის არსებობისათვის. კულტურა თავისი აბსოლუტური განსაზღვრებით წარმოადგენს განთავისუფლებას და უმაღლესი განთავისუფლებისათვის გაწეულ შრომას, სახელდობრ კი აბსოლუტურ გარდამავალ ეტაპს უშუალო, ბუნებრივი ზნეობიდან საყოველთაობის სიმაღლემიღწეული, სულიერი, უსასრულოდ სუბიექტური სუბსტანციური ზზნეობისაკენ. თვით სუბიექტისაგან იგი თხოულობს დიდ ძალისხმევას, მიმართულს ქცევის შიშველი სუბიექტურობის, მისწრაფებათა უშუალობის, აგრეთვე გრძნობისათვის დამახასიათებელი პატივმოყვარეობისა და თავნებობის წინააღმდეგ. ის გარემოება, რომ განთავისუფლება დიდ ძალისხმევას მოითხოვს, არის ნაწილიბრივ მიზეზი

[1] Гегель Г. В. Ф., Соч., т. VII, М. –Л., 1934, с. 215, უნდა აღინიშნოს, რომ „უფლების ფილოსოფიის“ (საიდანაც არის მოყვანილი ეს ციტატა) რუსული სახელწოდება – „Философия права“ არაადექვატურად გადმოსცემს ნაწარმოების თემატურ შინაარსს. ამ ნაშრომში კვლევის საგანია არა სამართალი როგორც ასეთი, თუმცა, სავსებით გასაგები მიზეზების გამო მოცემულია ჰეგელისდროინდელი წოდებრივი კანონმდებლობა დაფიქსირებული, სხვადასხვა იერარქიული საფეხურების უფლება-მოვალეობათა სოციოფილოსოფიური ანალიზი. მიუხედავად ყველაფერ ამისა, რაც ნაწარმოების ფონად შეიძლება ჩაითვალოს (და არის კიდევაც), კვლევის მთავარ საგანს წარმოადგენენ არა იურიდიული, არამედ ეთიკური უფლებები.

უარყოფითი დამოკიდებულებისა, რომელსაც იგი იწვევს. ამავე დროს მხოლოდ კულტურის შესრულებული შრომით სუბიექტური ნება იძენს ობიექტურობას, ერთადერთ ღირსეულ და ქმედითუნარიან ფორმას იდეის რეალიზებისა... ეს ის თვალსაზრისია, რომელიც გვიჩვენებს, რომ კულტურა წარმოადგენს აბსოლუტურის იმანენტურ მომენტს და თავისი უსასრულო ღირებულება აქვს."[1]

3.21. „ჰეგელის ენის ცალკეული თავისებურებების მიუხედავად, მის მიერ გამოთქმული აზრი განსაკუთრებულ კომენტარებს არ საჭიროებს: თუმც კი ცხადია, რომ ადამიანის თანაშემოქმედების გარეშე სეუძლებელია რაიმე საკუთრივ ადამიანური შეიქმნას, კულტურას იმდენად ადამიანი კი არ ქმნის, რამდენადაც თვით ადამიანი წარმოადგენს კულტურის ქმნილ არსებას. კულტურის ატრიბუტი, – ზნეობის მძლავრი მექანიზმი, ფუნქციონირებს არა ქცევის გარკვეული ნორმების დამკვიდრებისათვის – რამდენადაც დიდი არ უნდა იყოს მათი მნიშვნელობა, – რამდენადაც ადამიანის შინაგანი სამყაროს ტოტალური გარდაქმნისათვის".[2]

ამ ფრაგმენტის ბოლოს უპრიანი იქნებოდა აღგვენიშნა, რომ ფილოსოფიაში ავტორი დესკრიპციული პროცედურების პრიმატს აღიარებს (ალბათ გვიანდელი ვიტგენშტაინის შრომების გავლენით, რომელთა გამჭოლი თემაა სინათლე-გარკვეულობა), რადგანაც გონის შემსწავლელ მეცნიერებებში საიენტიზმის მაგიურ ვერბალურ რიტუალებს მოვლენეთა არსის წვდომის ნაცვლად «ინტელექტუალური კრუნჩხვების" (ლ. ვიტგენშტაინი) გამომწვევ უნაყოფო ცდებამდე მივყავართ, როგორც ეს მისივე შრომებშია ნათელყოფილი. აზროვნების პროცესები, როგორც წესი, არ ექვემდებარებიან სისტემატიზაციას ამ სიტყვის ყოფითი მნიშვნელობითაც კი და კვლევა-გადმოცემის ერთადერთ საშუალებად ჭვრეტისა და აღწერის სინთეზი გვევლინება.

3.22. განთავისუფლება და უმაღლესი განთავისუფლებისათვის აუცილებელი შრომა, რომელსაც თავის აბსოლუტურ განსაზღვრულობაში კულტურა წარმოადგენს, ძნელად შესასრულებელი პროცედურების ერთობლიობაა და ეს გარემოება, ბუნებრივია, არის კიდევაც ნაწილობრივ მიზეზი მის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულებისა. ასეთი დამოკიდებულების თუ მიუღებლობის სხვა მოტივებზე მიუთითა შვეიცარიელმა მოაზროვნემ კ.გ. იუნგმა.

მოცემულ სტატიაში დაყენებულ პრობლემებს ის განიხილავდა, როგორც კულტურის მკვლევარი და ამავე დროს როგორც პროფესიონალი ფსიქოთერაპევტი „ეს (ზემოაღნიშნული უარყოფითი დამოკიდებულება – ვ.კ.) კონფლიქტის შედეგია, რომლის გადატანა-განცდა აუცილებელია. ასეთი კონფლიქტების გადაჭრა შეუძლებელია ინტელექტუალური მანიპულაციებით ან რაიმე ხერხის გამოგონებით; აუცილებელია კონფლიქტის გავლა თავიდან ბოლომდე. საჭიროა მათი გაღვივება მანამდე, სანამ წინააღმდეგობათა პოტენციალი ბოლომდე არ იქნება მიყვანილი ისე, რომ საპირისპირო ტენდენციები შეძლებდნენ ერთმანეთთან შერწყმას. ეს დროში გავრცობილი პროცედურა რაციონალური არჩევანი ან გადაწყვეტა კი არა, არამედ თავისებური ალქიმიური პროცედურაა, ტანჯვა კი მისი აუცილებელი ნაწილი." ეს განსჯა მთავრდება შემდეგი კატეგორიული მტკიცებით: „რეალური გადაწყვეტა მიიღწევა მხოლოდ მძიმე და მტანჯველი გზის გავლით."

3.221. გასაგებია, რომ ტანჯვისადმი სულმოკლე შიში უმაღლესი განთავისუფლების სამუშაოსადმი უარყოფით დამოკიდებულებას წარმოშობს მათშიაც კი, ვისაც მისი განხორციელებისათვის საჭირო თვისებები გააჩნია. სასიცოცხლო სტრატეგია, დაფუძნებული ბუნებრივი განსაზღვრულობებით ნაკარნახები მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე საგნებითა და ადმიანებით მანიპულირების გზით, წარმოადგენს თანამედროვე კაცობრიობის უდიდესი უმრავლესობის რელიგიას და ბუნებრივია, ხერგავს ყველა გზას ზეგრძნობადისაკენ.

3.23. კომპიუტერული და ნანოტექნოლოგიების უქონლობას ხელი არ შეუშლია ძველი ბერძნებისთვის წარმოეშვათ ისეთი საკუთრივ ადამიანური პროდუქტი, როგორც პერიკლე და სოლონი, სოკრატე და არისტოტელე, შეექმნათ ევკლიდეს გეომეტრია, არისტოფანეს კომედიები, სოფოკლეს ტრაგედიები, ჰომეროსის პოემები, პლატონის დიალიგები და გაევრცელებინათ თავიანთი კულტურა ხმელთაშუა ზღვის მიმდებარე რეგიონებში. ბერძნები დიდი ხანია ჩამოვიდნენ ისტორიის არენიდან, „მაგრამ ჩვენ, თანამედროვე ადამიანები, იძულებულნი ვართ კვლავინდებურად ვიმუშაოთ სულის შექმნაზე, ანუ თავიდან გავიაროთ

[1] Гегель Г. В. Ф., т, VIII, М-Л, 1934, с. 215.

[2] Кортава В. В., К вопросу о ценностной детерминации сознания,«Мецниереба» , Тб., с.7.

გონთან ზიარების ერთხელ უკვე გავლილი გზა. ეს ერთადერთი საშუალებაა გავარღვიოთ ბიოლოგიური არსებობის მოჯადოებული წრე.“[1]

3.3. დასასრულ, გვინდა დავუბრუნდეთ საკითხს, რომელსაც ერთხელ უკვე გაკვრით შევეხეთ: როგორია დამოკიდებულება «ზეგრძნობადისა“ და „რელიგიურის“ (რელიგიურობის) ცნებებს შორის ჩვენ მიერ უკვე დეკლარირებული თეზისის შუქზე დესკრიპციების პრიმატისა დეფინიციებთან მიმართებაში? ხომ არ არის „ზეგრძნობადისა“ და „რელიგიურის“ ცნებებს შორის გვარ-სახეობრივი დამოკიდებულება? ჩვენ ვფიქრობთ, რომ მათ შორის ასეთი კორელაცია არ არსებობს, თუმცა კი ფაქტობრივად არსებული მოძღვრებები ძეგრძნობადის შესახებ ყველა რელიგიაში გვხდება, ბუდიზმის ჩათვლით. აქ შეიძლება გავაკეთოთ კიდევ ერთი ცდა ზეგრძნობადის წვდომასთან მიახლოებისა: ამ ცნებაში იგულისხმება ყველაფერი ის, რაც არ გვხვდება უშუალოდ გრძნობად სამყაროში, არამედ გვევლინება როგორც პროექტი, ჩანაფიქრი, იდეა, ამაღლებული ბუნებაში გაბატონებულ კაუზალურ დეტერმინაციაზე. ეს იდეები, რომელთაც საგნობრივი კორელატები არ გააჩნიათ, წარმოგვიდგებიან როგორც ღირებულებათა იერარქია და გრძნობად სამყაროში შემოაქვთ კაუზალურისაგან პრინციპულად განსხვავებული დეტერმინაცია.

და ბოლოს, ზეგრძნობად სამყაროსთან თანაზიარობის აუცილებელი პირობაა სიყვარული, სიყვარული, რომელიც მიისწრაფვის იდეალურისაკენ და მზად არის ყოველნაირი მსხვერპლის გაღებისათვის. შესაძლებელია პიროვნების ყველა იდეალური ლტოლვა ერთ ცნებაში გავაერთიანოთ და მათ უნივერსუმს „ღმერთი“ დავარქვათ და ამავდროულად გვაქვს უფლება ასეთი დენოტაციისაგან თავი შევიკავოთ. ორივე შემთხვევაში, „ღმერთი არს სიყვარული“; ზებუნებრივ, უმაღლეს ძალთა „აშკარა“ მფარველობა აუფასურებს პიროვნების მოწამეობრივ ძალისხმევას ზეგრძნობადისაკენ მიმავალ გზაზე. ამდენად, რელიგიურობის არსი მდგომარეობს უხილავი სამყაროს ხედვაში და მისკენ მიმართულ ყოვლისმომცველ სიყვარულში, რომელსაც ძალუძს გადალახოს გრძნობადი სამყაროს ურიცხვი წინაღობა, იდუმალი საწყისით მოქმედებაში მოყვანილი ნგრევისა და სიკვდილისათვის.

[1] Фейдимен Д., Фрейгер Р., Личность и личностный рост, перевод с английского, т.1, ВЦП при ИНИОН, М., 1985, с. 97.

გოჩა გვასალია

მაისტერ ერნსტ თეოდორ ამადეუს ჰოფმანი

Ich bin ein aufgeklärter Mensch und statuiere durchaus keine Wunder!„მე განათლებული ადამიანი ვარ და არანაირი სასწაული ჩემთვის არ არსებობს!“ (ამბობს სტუდენტი ფაბიანი).

...aber manches Wunderbare, Unbegreifliche ist doch noch zurückgeblieben. „მაგრამ ჯერ მაინც დაგვრჩა საკვირველი და შეუცნობელი“ (ამბობს სტუდენტი ბალთაზარი).

E.T. A. Hoffmann. Klein Zaches genannt Zinnober. ნამცეცა ცახესი,წოდებული ცინობერად

Die Narrheit erscheint auf Erden wie die wahre Geisterkönigin. Die Vernunft ist nur ein träger Statthalter, der sich nie darum kümmert, was außer den Grenzen des Reichs vorgeht.

„სოფელსა შინა სისულელე არის სულთა ჭეშმარიტი მბრძანებელი. გონება კი მხოლოდ მისი ზარმაცი მოადგილეა და მისთვის სულერთია რა ხდება მისი სამეფოს საზღვრებს მიღმა“ (დალაქი ბელკამპო ეტყვის ბერმონაზონ მედარდუსს).

E. T. A. Hoffmann. Die Elixiere des Teufels. სატანის ელექსირი

თავიდანვე ამას ვიტყვი: წინამდებარე ნარკვევს ჰოფმანზე მკითხველი ნუ მიიღებს კიდევ ერთ სნობობად. დღეისობას ბევრი ავტორი წერს ფრანც კაფკაზე, რაინერ მარია რილკეზე, ხორხე ბორხესზე, უმბერტო ეკოზე მხოლოდ სალიტერატურო ეგზოტიკისა და ინტელექტუალური მიმიკრიის შექმნის მიზნით. თავად ეს ავტორები არ მიეკუთვნებიან რომელიმე ფილოსოფიურ, ან სალიტერატურო მიმდინარეობას. ისინი არ არიან შემსჭვალულნი იმ საფიქრალით, არ იზიარებენ იმ თემატიკას, რაიც არის რილკესთან, ან ბორხესთან. თითოეულ მათგანს ასე უნდა ჰკითხო: შენ რისი მიმდევარი ხარ ლიტერატურისმცოდნეობასა და თავად ლიტერატურაში? თუ შეგიძლია დაიცვა და გამოხატო შენი ლიტერატურული კრედო? აი ეს არის მთავარი, რაც არ ჩანს ქართველ ბელეტრისტთა და ლიტერატურისმცოდნეთა ნაწერში. ცუდია კიდევ ისაა, რომ სალიტერატურო მთარგმნელები კომენტარების დართვით თარგმნიან ბევრ სახელმოპოვებულ ავტორს, მაგრამ სათარგმნი ტექსტის თემატიკა და საკითხები მთარგმნელთა გულს ვერ სწვდება. ან მათ არ შეუძლიათ ამ თემატიკის გაგება. ისინი მექანიკურად თარგმნიან და კომენტარებიც სხვისია სინამდვილეში. ეს საგრანტო კომერციისა და სნობობის სინთეზია. საქართველოში ნაწერთა მრავალფეროვნების მიუხედავად, არ შექმნილა რაიმე ლიტერატურული მიმდინარეობა, არ გაჩენილა რაიმე ბელეტრისტული კონცეფცია, რომელიც შემოიკრებდა რამდენიმე მოდასეს მაინც, რომელიც ახალ დროში ქართულ მხატვრულ სიტყვას განმაცხოველებელ მისიას მიაკუთვნებდა.

ჰოფმანზე მსჯელობას აძნელებს ისიც, რომ განმანათლებლობიდან მომდინარე სალიტერატურო მესიანიზმი გაქრა. იმის მიუხედავად, რომ ჰოფმანი თავისი შემოქმედებით იყო კრიტიკულად განწყობილი საგანმანათლებლო კონცეპტებისადმი, ის მაინც მიეკუთვნება იმ გენერალურ გეზს, რაც დადგენილი იყო ფრანგულ და გერმანულ განმანათლებლობაში. რომანტიზმმა შეინახა საგანმანათლებლო რევოლუციონიზმი, რაც მონარქიის რესტავრაციის შემდეგ გაქრა და განმანათლებლური აბსოლუტიზმი იქცა სასახლის კარის სწავლებად.

ჩემთვის ჰოფმანის შემოქმედება მრწამსია. ჰოფმანი სალიტერატურო მოძღვარია ჩემთვის და მასზე ვწერ, ვითარც მისი შეგირდი და მისი ფილოსოფიის მიმდევარი. დიდი ხანია მასზე დაწერილი მქონდა. 2002 წელს შესრულდა 180 წელი მისი სიკვდილიდან. 2012 წელს კი შესრულდა 190 წელი. ვერც ადრე და ვერც 2012 წელს ვერსად მოვახერხე ამ ნარკვევის გამოქვეყნება, რომელიც ახლა გაცილებით დიდია. მადლობას ვეტყვი ქალბატონ ნაირა გელაშვილს, რომელმაც მომისმინა და მომცა შესაძლებლობა, რომ ჟურნალ **„აფრაში“** გამომექვეყნებინა ეს წერილი. ამა წლის 24 იანვარს შესრულდა 238 წელი ჰოფმანის დაბადებიდან.

ქართული ჰოფმანიანა მეტად ღარიბია. XIX საუკუნე ისე მიიწურა საქართველოში, რომ ჰოფმანზე არა თქმულა რა. ქართულად არის მხოლოდ ჰოფმანის რომანის „კატა მურის ცხოვრებისეული ფილოსოფია“ ნანა გოგოლაშვილისეული თარგმანი (გამომც. „ნაკადული“, თბ. 1981). ქართველი გერმანისტები ყურადღებას არ აქცევდნენ ჰოფმანს. რუსეთში თეოდორ ამადეუსი

ცარიზმის დროსვე, XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან იყო დიდად ცნობილი და აღიარებული. გადაუმეტებლად შეიძლება ითქვას, რომ ჰოფმანი სიკვდილის შემდეგ გადმოსახლდა რუსეთში. თეოდორ ამადეუსი საფრანგეთშიც ადრევე სახელმოპოვებულ იქნა. ფრანგებმა შეუტყვეს, რომ ის rebelle (მოჯანყე) იყო თავის ნოველებში და ჯანყიერობანი მისნი რევოლუციის გაგრძელებისაკენ მოწოდებას ნიშნავდა. გერმანიაში მას ასეთი აღიარება არ ჰქონია. XIX საუკუნის იუნკრულმა პრუსიამ, გერმანიის არისტოკრატიამ ჰოფმანს ვერ აპატია მისი ლიტერატურული დისიდენტობა და კრიტიციზმი, არტისტული სილაღე და შემოქმედებითი გაქანება. ის შერისხული რჩებოდა გერმანიაში მთელი საუკუნე. ბისმარკის გერმანიას ჰოფმანი თითქმის დავიწყებული ჰყავდა. რუსული ლიტერატურის ისტორიიდან ცნობილია, რომ პუშკინის დროიდანვე კითხულობდნენ ჰოფმანს და მაშინდელი რუსული სალიტერატურო ჟურნალები ხშირად თარგმნიდნენ ჰოფმანის თხზულებებს. ეს მხოლოდ en vogue (მოდაში) არ იყო. „სერაპიონულ საძმოებად“ წოდებულ სხვადასხვა სალონებში ეწყობოდა ჰოფმანის კითხვა, შესწავლა და მასზედ მსჯელობა. მთელი 30-იანი წლების განმავლობაში ლიტერატურული რუსეთი ჰოფმანით იყო გატაცებული. ჰოფმანი ნახსენებია ალექსანდრ გერცენთან, ივან ტურგენევთან, ივან პანაევთან და ა. შ.. მას ჰყავდა ბევრი მიმბაძავი ლიტერატორი რუსეთში (მიხაილ ზაგოსკინი (1789-1852),რომელიც ბოლშევიკებმა შერისხეს, ვლადიმირ ოდოევსკი (1803-69), მ. ლერმონტოვი, ა. კ. ტოლსტოი და სხვ.). XIX საუკუნის 30-იან წლებში ბერლინსმისული რუსები აკითხავდნენ იმ სამიკიტნოს, სადაც მლოთავი ჰოფმანი დადიოდა და დარდს ღვინოში იკლავდა. ეს იყო ლუთერისა და ვეგნერის დუქანი, რომელიც ცნობილი გახდა იმით, რომ ბერლინის ორი სახელოვანი კაცი, ერნსტ ჰოფმანი და მისი მეგობარი, ბერლინის თეატრის მსახიობი, შექსპირისეული როლების შემსრულებელი, ლუდვიგ დევრიენტი (1784-1832) აქ მუდმივი სტუმრები იყვნენ. ისეც მომხდარა, რომ ჰოფმანის გამომცემელს მისთვის ყუთით ღვინო გაუგზავნია, რათა მას უკეთ დასრულებინა დაპირებული თხზულებანი. ჰოფმანზე თქვა კრიტიკოსმა ვისარიონ ბელინსკიმ (1811- 48)თავის ნარკვევში პუშკინის მიმოხილვისას (Сочинения Александра Пушкина), რომ ის არისო «сумасбродный романтик» (გადარეული რომანტიკოსი). მას ბევრგან ჰყავს ნახსენები ჰოფმანი და ამბობს, რომ ის არის один из величайших германских поэтов (***В.Г.Белинский***. Собр.соч., «Художественная литература», М., 1978, Т. 3, стр. 66). ბელინსკიმ ჰოფმანს უწოდა ბუნების და სულის დაფარულ ძალთა ნათელმხილველი, ახალგაზრდობის აღმზრდელი (იბიდ.). ბელინსკი წერს: «гениальный Гофман» (стр. 438). «В его рассказах, по-видимому диких, странных, нелепых, видна глубочайшая разумность» (ibid.).

ჰოფმანის1917 წლის რევოლუციამდელი რუსი ბიოგრაფოსია სერგეი იგნატოვი: (***С.С. Игнатовъ***. Э. Т. А. Гоффманъ. Личность и творчество. *ТипографияО. Л. Сомовой*. Москва. 1914.).

ჰოფმანის ცხოვრებაზე დაწერილი ფრანგი ჟან მისტლერის (Jean Mistler) წიგნი La vie d'Hoffmann რუსულად ითარგმნა 1929 წელს:***Жан Мистлер.*** Жизнь Гофмана. Изд. Academia. Ленинград. 1929.

ჰოფმანისა და გერმანული რომანტიზმის ცნობილი შემსწავლელნი საბჭოთა დროში იყვნენ რუსი აშქენაზები: იზრაილ მირიმსკი (1908-62),ნაუმ ბერკოვსკი (1901-72) და ვიქტორ ჟირმუნსკი (1891-1971).

საბჭოთა დროის მწერლებს ჰოფმანის დარად შექმნილი ჰქონდათ „სერაპიონელთა საძმო“ 1920-იანი წლების დასაწყისში. მასში შედიოდნენ: რუსი აშქენაზები -ლევ ლუნცი (1901-24) და ვენიამინ კავერინი (1902-89), თავადური წარმოშობის მიხაილ ზოშჩენკო (1894-1958), ნიკოლაი ტიხონოვი (1896-1979) და სხვები. ისინი თეოდორ ჰოფმანს თავის მასწავლებლად თვლიდნენ. ზოშჩენკო შეუდარებელი სატირიკოსი იყო საბჭოთა მწერლობაში. კომპარტიის ცკ-ს ორგბიუროს დადგენილებაში (1946 წლის 14 აგვისტო)ზოშჩენკოს ეწოდა пошляк и подонок литературы. ის ასევე დაგმო პარტიის იდეოლოგმა ანდრეი ჟდანოვმა (1896-1948). ზოშჩენკოსადმი მიმართული ჰოფმანს ხვდებოდა. ამის მიუხედავად, რამდენიმე წლის შემდეგ ჰოფმანი ისევ იწყებს გამოსვლას საბჭოთა რუსეთში.

გერმანიაში 1984 წელს გამოვიდა კლაუს გიუნცელის გამოცემული, დოკუმენტებით მდიდარი წიგნი: E. T. A. Hoffmann. Leben und Werk in Briefen, Selbstzeugnissen und Zeitdokumenten. Herausgegeben von Klaus Günzel. *Verlag der Nation.* Berlin. 1984. ეს წიგნი მოგვიანებით რუსულადაც ითარგმნა.

ჰოფმანის თანამედროვე გერმანელი შემსწავლელნი არიან: დეტლევ კრემერი, ჰარტმუტ შტაინეკე, ალფრედ ჰოფმანი, კლაუს დეტერდინგი, მანფრედ ენგელი და სხვანი. უფრო ადრინდელი შემსწავლელნი იყვნენ: რუდიგერ შაფრანსკი, ჰანს-გეორგ ვერნერი, ებერჰარდ როტერსი. ჰოფმანის ბიოგრაფოსია გაბრიელ ვიტკოპ-მენარდო: ***Gabrielle Wittkop –Ménardeau.*** E. T. A. Hoffmann. *Rowohlt,* 2004. ვფიქრობ, ეს ბიოგრაფია კარგად ვერაა დაწერილი და ჰოფმანის ბევრი თხზულება აქ ყურადღების მიღმაა დარჩენილი.

საბჭოთა რუსეთში ჰოფმანის ნაწერები ყოველთვის გამოდიოდა. 1929-30 წლებში გამოვიდა მისი ტომები. გასაკვირია, რომ ეს ემთხვევა ათეისტური მძვინვარების ჟამს. მიუხედავად იმისა, რომ ჰოფმანის მემკვიდრეობა ბოლშევიკურ ათეისტურ რაციონალიზმთან დიდ წინააღმდეგობაში მოდიოდა, ის ეთნებოდათ ბოლშევიკებს მისი ნონკონფორმიზმისა და მოჯანყეობრივი სულის გამო. მათთვის ის რევოლუციური კლასიკოსი იყო. 1929-30 წლებში გამოვიდა მისი ექვსტომეული. აღარ ექცეოდა ყურადღება იმას, რომ ჰოფმანი ათეიზმის საპირისპირო ავტორი იყო. მისი მოთხრობები გამოდიოდა 1922-23,1936-7, 1946 წლებში. 1957-76, 1983-91 წლებში ჰოფმანი სულ გამოდიოდა საბჭოთა კავშირში.

გერმანული რომანტიზმის უთვალსაჩინოესი ფიგურა – ჰოფმანი (დაიბ. 24 იანვ. 1776 – გარდ. 25 ივნ. 1822) განსაკუთრებული მოვლენაა მსოფლიო ლიტერატურაში. კიონიგსბერგში დაბადებული და კანტის Landsmann (რუს. – земляк. ამ სიტყვის ქართული შესატყვისი დღემდე არ არის), პოლონურ-უნგრული ძირების მქონე ჰოფმანი მოღვაწეობდა მაშინ, როცა La Sainte Alliance (საღვთო კავშირი) შეიქმნა (1815წლიდან) და პრუსია ამ როიალისტურ-კლერიკალური კავშირის ერთ-ერთი ბურჯი იყო. Ancien régime (ძველი რეჟიმი) ევროპაში რუსეთის იმპერატორის ალექსანდრ I-ის (1777-1825) დახმარებით აღადგინეს. დამკვიდრდა მონარქისტული Ordre légal (კანონიერი წესრიგი). დაიწყო რევოლუციის მანიქეველური დემონიზაცია. დევნილი ბურბონები და noblesse (თავადობა) დაბრუნდნენ საფრანგეთში. რუსულ წყალობას უნდა უმადლოდეს XIX-საუკუნის ჰოჰენცოლერნების პრუსიის სამეფო გაძლიერებას. ის იწყებს ხანგრძლივ მტრობას ჰაბსბურგთა ავსტრიულ იმპერიასთან. დღეს ბევრისათვის ძნელია ამ ვითარებათა ძირეულად გააზრება. ფრანგი ისტორიკოსი ალექსის დე ტოკვილი (Tocqueville, 1805-59) თავისი ნაშრომის L'Ancien Régime et la Révolution („ძველი რეჟიმი და რევოლუცია") პირველივე თავში წერს, რომ ის დიდი რევოლუციები, რომელნიც გამარჯვებით სრულდება, სპობენ მათ გამომწვევ მიზეზებს და სწორედ თავისი გამარჯვების წყალობით ჩვენთვის გაუგებარნი ხდებიან.

თეოდორ ჰოფმანის ოჯახში იურისტობა ტრადიცია იყო. მისი ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ ის გულგრილი იყო კანტისადმი, მაგრამ გატაცებით კითხულობდა სხვა კიონიგსბერგელი ფილოსოფოსის, იოჰან გეორგ ჰამანის (Hamann, 1730-88) შრომებს. ჰამანის გავლენა ჰოფმანს მთელი ცხოვრება გაჰყვა. ჰამანი იყო რომანტიზმის წინამორბედი, Sturm und Drang-ის (1767-85 წლების ლიტ. მოძრაობა) იდეოლოგი. ჭაბუკობაში ერნსტ თეოდორი შველოდა მხატვარ ალოიზ მოლინარის (1772-1831) საეკლესიო მოხატულობის რესტავრაციაში. მუსიკა მან ისწავლა კიონიგსბერგში მოღვაწე საეკლესიო ორღანისტთან, ქრისტიან პოდბელსკისთან. ერნსტ თეოდორი კიონიგსბერგის უნივერსიტეტში სწავლობდა 1792-6 წლებში. კანტი ამ დროს აქ ლექტორი იყო. ჰოფმანს არ უყვარდა კანტი და ის ისევე ირონიულად უბნობდა მასზე, როგორც ნიცშე. კანტის და ჰეგელის ფილოსოფიაზე ვერ იტყვი, რომ მასში რომანტიზმის ნატამალი მაინც იყო.

ჰოფმანს სიცოცხლეში არ ხვდა წილად ისეთი აღიარება, როგორიც გოეთესა და შილერს. ის ერთობ არაკონიუნქტურული შემოქმედი და ხელისუფალთაგან დევნილი ნონკონფორმისტი იყო, რომელსაც განმანათლებლობის კონცეპტები რესტავრირებული ფეოდალიზმის სამსახურში არ ჩაუყენებია, როგორც ეს გააკეთეს გოეთემ, ჰეგელმა და სხვებმა. გოეთესა და ჰეგელისათვის განმანათლებლობის იდეალები მათივე კონფორმიზმის გამამართლებელი კარგი ილეთი იყო. ორთავენი რესტავრაციის ავტორიტეტებად იქცნენ. მათგან განსხვავებით, ჰოფმანი შორს იდგა რესტავრატორული (ფეოდალიზმის დაბრუნების) კონიუნქტურისაგან და იცავდა განმანათლებლური რევოლუციონიზმის იდეალებს. მას სწამდა ლიტერატურის, მუსიკის, მხატვრობის აღმზრდელობითი ძალისა. ამავე დროს, ჰოფმანი აკრიტიკებდა თავისი დროის რაციონალისტურ ფილოსოფიას მექანიცისტური სწორხაზოვნების გამო. ის იცავდა ირაციონალიზმსა და ბედისწერის ძალას შემოქმედებაში. გასაგებია საიდუმლო მრჩეველის (Geheimrat) ფონ გოეთესა და ჰეგელის მიერ ჰოფმანის ნეგატიურად შეფასება. 1824 წლის 3 დეკემბერს იოჰან

ეკერმანთან საუბარში გოეთემ ჰოფმანი მაშინდელი მცირე მწერლების გვერდით დააყენა (Johan Eckermann. Gespräche mit Goethe. Leipzig, 1911, S. 100). გოეთემ და ჰეგელმა განმანათლებლობის იდეალები დაუკავშირეს ფეოდალურ რეაქციას და ეს იდეალები ჩააყენეს კონტრრევოლუციისა და რესტავრაციის სამსახურში. მათ განმანათლებლობის დებულებანი გადააქციეს საღვთო კავშირის (ევროპისა და რუსეთის მონარქიათა ალიანსი) იდეოლოგიად. ჰეგელი რომანტიკოსებს მტრობდა. მას ჰოფმანი და კლაისტი თანამედროვე ხელოვნების სიმახინჯედ მიაჩნდა. გოეთემ არც ჰოლდერლინი სცნო და არც ჰოფმანი. აქ არ შეიძლება არ გაგვახსენდეს ნიცშეს სიტყვები ნაშრომიდან „შერეული აზრები და გამონათქვამები“ (Vermische Meinungen und Sprüche, § 192). ნიცშე ამბობს, რომ ყველაზე უსამართლოდ გენიოსი გენიოსებსვე ეპყრობა ... მას ისინი ზედმეტად მიაჩნია და მათი გავლენა მისთვის ხელისშემშლელია. ის მიდრეკილია ისინი მავნებლებადაც კი ჩათვალოს, – წერს ნიცშე.

ნიცშეს ჰოფმანი ნახსენები ჰყავს ნაშრომში „ნება ძალაუფლებისაკენ“, § 106. სხვაგან ნიცშე გოეთეს აკრიტიკებს კიდეც და დადებითსაც ამბობს მასზე. გოეთეზე კამათი დიდხანს შეიძლება. მას მრავალი მოწინააღმდეგე ჰყავდა. ნაპოლეონის პირისპირ მხილველ და მასთან ნაუბარ გოეთეს სათნო ზნე-ბუნება არ ჰქონდა. რომანტიკოსთა ტიტანიზმი და ჯანყი მისთვის გაუგებარი იყო. გოეთე ვერ დაწერდა ასე, როგორც ჯორჯ ბაირონი თავისი „დონ-ჟუანის“ (1819-24) ირონიულ Dedication-ს (მიძღვნას) იწყებს, მიმართავს რა პოეტ-ლაურეატს (კარის პოეტს) ბობ საუტის (Robert Southey, 1774-1843) და უწოდებს მას ეპიკურ რენეგატს (Epic Renegade), მიწასთან ასწორებს მონარქიებს, უხოტბის ჯონ მილტონს, როგორც მონარქომაქს. არისტოკრატიასთან კარგ ურთიერთობაში მყოფმა გოეთემ, რის გამოც მას ჰყვედრიდნენ ბეთჰოვენი და სხვები, არ გაუმართა ხელი ძველ შტიურმერს, ჰენრიხ ფონ კლაისტს (1777- 1811). კლაისტის გარდა გოეთე არ სწყალობდა ჰიოლდერლინსა და ჰოფმანს, რადგან მათ შემოქმედებაში ის თავისი პოლიტიკური არჩევანის უარყოფას ხედავდა. ჰიოლდერლინიც და ჰოფმანიც იყვნენ ანტიგოეთეები. ჰეგელის პატივსაცემად გამართა სუფრა გოეთემ და ვინმე ძველი შტიურმერთაგანი თავისთან არ მიუწვევია. როგორღაც მოხდა, რომ გოეთე დიდად გამოჩინებულ იქნა და მისი ფარფაში დღემდე არ დამთავრდა. მისი დაწესებული არშინით იზომება გერმანული ლიტერატურა. გამოდის და გამოდის გოეთესადმი მიძღვნილი წელიწდეულები, ცალკეული კრებულები, თემატური გამოკვლევები გერმანიაში და ასევე მის გარეთ. გოეთეს შეჩვენება ჯერ არ წარმოთქმულა. გოეთოლოგიის მოთხრა ჯერ არ დაწერილა. გოეთეანობის დიდი რევიზია ჯერ არ დაწყებულა. ეკერმანის „საუბრებმა“ მხოლოდ განამტკიცა გოეთეს ილუზია მსოფლიო ლიტერატურაში. ორაზროვანი იყო გოეთე რომანტიზმის შეფასებაში, რადგან თავად ბევრით იყო მისგან დავალებული, რადგან არ შეიძლებოდა, ბრენტანოს, ტიკის და სხვა რომანტიკოსთა ნაწერების დაუნახაობა. ეკერმანთან საუბარში გოეთე შლეგელებს დიდ შეფასებას აძლევს, მაგრამ ეს აღარას ნიშნავს თავად გოეთეს შესაფასებლად. გოეთესა და შლეგელების ურთიერთობაზე დაწერილი აქვს ჰაინრიხ ჰაინესაც თავისი ნაშრომის „რომანტიკული სკოლა“ (Die romantische Schule, 1836) პირველ წიგნში. ჰაინე ამბობს, რომ შლეგელებისგან არისო დავალებული გოეთე თავისი სახელით.

გოეთემ გამოიყენა რომანტიზმი და შტიურმერთა დასი და შემდეგ ხელი ჰკრა მას. შემდეგ ის იყო, რომ გოეთე ყველას მაღლიდან დასცქერდა და სისულელეა, როცა მას ლიტერატურის ისტორიაში ოლიმპიელი ეწოდება. გოეთეს ქედმაღლობა ცნობილი იყო. ბლეფია ასევე გოეთეს და შილერის მეგობრობა, რაზეც ამდენი დაიწერა. რომანტიკოსებთან იყო მეგობრობის კულტი და გოეთე არ იყო ის კაცი, რომ ვინმეს მეგობრად გამოსდგომოდა.

ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ ფეოდალებმა განმანათლებლობის მონოპოლიზება მოახდინეს. ეს იწვევდა გულგატეხილობას ნონკონფორმისტ, რევოლუციური სულის შემოქმედთა შორის და ჰბადებდა შეეჭვებას ისტორიული პროგრესის იდეის მართებულობაში. გვიანდელი რომანტიზმი, როგორც პოსტნაპოლეონური ეპოქის მოვლენა, პესიმისტური იყო. როდესაც გოეთე ირწმუნებოდა, რომ გარშემო ჰარმონიაა, ჰეგელი პრუსიის სამეფოში ღმრთის ნების ვლენას ისწავლებოდა, ხოლო კათოლიკე და პროტესტანტი პასტორები კი, მათივე თქმით, ეშმაკის მოციქულ ნაპოლეონის დამარცხებასა და ღვთის მადლის მოფენაზე უქადაგებდნენ მრევლს ამბიონიდან, ჰოფმანი წერდა ამ დროს, რომ ბოროტს მიაქვს ეს წუთისოფელი და გარშემო ყოველივე შეავებული, უცნობელი ძალით განმსჭვალული და გროტესკულია. ჰოფმა-

ნი ჰეგელისაგან ქებულ პრუსიის სამეფოს ირონიას არ აკლებდა. ჰეგელისათვის კი ეს ირონია მიუღებელი იყო. ჰეგელის დალაგებულს ჰოფმანი ურევდა და მის დიალექტიკას სატირის მახვილს სცემდა. გოეთე ჰეგელთან, უოლტერ სკოტთან, ბობ საუტისთან ერთად არის პოსტნაპოლეონური სტაბილიზაციის ავტორიტეტი. ჰოფმანი კი გარდარეული ანტირაციონალისტი და ქარიშხლის ამტეხია. იგი იყო Stürmer und Rebell (მოჯანყე) იმ ძველ შტიურმერთა შემდეგ. ცხოვრებამ გააცამტვერა ჰეგელის მოძღვრება და დაადასტურა ჰოფმანის აზრის სისწორე. ჰოფმანის ნააზრევი გადაჭრით უარჰყოფს ჰეგელის ცნობილ ნათქვამს: Was wirklich ist, das ist vernünftig (ყოველივე, რაც ნამდვილია, ამავე დროს გონიერიც არის). ჰოფმანის შემოქმედება ჰეგელის ფილოსოფიის ლიტერატურული ოპოზიციაა კირკეგორთან და შოპენჰაუერთან ერთად. კირკეგორიც ლიტერატურული ფორმით გამოხატავდა თავის უთანხმოებას ჰეგელთან. მოძღვრება წოდებული ჰეგელიანელობად, რომელიც უმაღლეს სისტემურ ფილოსოფიად აღიარა ბევრზე ბევრმა ფილოსოფოსმა როგორც ევროპაში, ასევე მის გარეთ, სოფლის ხენეშებამ და მზაკვარებამ აღხოცა. ესეც უცნაურობა იყო, რომ მონარქიების რესტავრაციის შემდეგ, პანევროპული რევოლუციური მოძრაობა ჰეგელის იმ მოძღვრებას იყენებდა, რომელიც თავად მან შექმნა პრუსიული მონარქიზმის უკვდავსაყოფად ისტორიაში. ჰეგელის მარქსისეული და ნაცისტური ინტერპრეტაციები უფრო მნიშვნელოვანი გახდა ევროპის ისტორიაში, ვიდრე თავად ამ ინტერპრეტაციის წარმომშობი წყარო. ესვე ითქმის ნეოჰეგელიანელობაზე, როგორც ფილოსოფიურ მიმდინარეობაზე. ისტორიის დასასრულის იდეა ჰეგელის ფილოსოფიაშია. ჩვენს დროში ეს აზრი ისტორიის დასასრულზე პანლიბერალიზმის სასარგებლოდ გამოთქვა ფრენსის ფუკუიამამ. რისთვის ვამბობ აქ ამაზე? იმისთვის, რომ ჰოფმანის თემატიკა, მისი კრიტიციზმი და ირონია ეხმიანება დიდად კრიზისულ ახლანდელ დროს. ჰოფმანის თხზულებები ფილოსოფიურია. აქ სჭვივის უძველესი მანიქეველური და გნოსტიკური დუალიზმი, რომლის მიხედვით თანაბარძალოვანი კეთილი და ბოროტი საწყისები სოფელსა შინა მიწყივ იბრძვიან. ეს შემოქმედებითი მანიქეველობა შემეცნებისათვის ერთობ ბევრის მომცემია. გააჩნია იმას, როგორ გაიგებს და ასახავს მას შემოქმედი კაცი. მანიქეველობის აღუხოცელი ტვიფარი თავად ნეტარი ავგუსტინეს (354-430) თხზულებებს აჩნია, მიუხედავად იმისა, რომ ავგუსტინე განუდგა მანიქეველობას და ძველ თანამოაზრეებთან საღვთისმეტყველო დისპუტი გამართა. ეს იმიტომ ხდება, რომ ოცნებისათვის კაცის ძალუმ ფიქრს ბოროტი აღძრავს. ბოროტია შემეცნების დასაბამი.

ჰოფმანის კალამი სრულად გამოხატავს მაიას ბურის მრჩობლედ ბუნებას. ჰოფმანი დემონურად გენიალურია და ბევრით აღემატება მის თანამედროვე და მის მომდევნო მწერლებს. დოსტოევსკისათვის სულით მონათესავე იყო იგი კაცი და ამიტომაა მასთან ასე რელიეფური ჰოფმანის გავლენა. როგორ ეტყობა დოსტოევსკის, რომ მას შთაუგრძვნია ჰოფმანი და შესულა მის პრობლემატიკაში! ცნობილია, რომ სალიტერატურო კრიტიკოსი და მთარგმნელი აპოლონ გრიგორიევი (1822-64) დოსტოევსკის შემოქმედებაში მეორე რუს ჰოფმანს ხედავდა. ასეთი შემოქმედნი, როგორიც ჰოფმანი და დოსტოევსკი იყვნენ, იბადებიან დიდი საეპოქო ძვრების წინ. ისინი არიან ვითარც წინასწარმეტყველნი ლიტერატურაში.

ჰოფმანს, ბაირონს და სხვებს აფიქრებთ ერთი დიდად არსებითი რამ: **რატომ დამარცხდა რევოლუცია და ევროპის მასშტაბით გაიმარჯვა რესტავრაციამ. როგორ შეიძლება ეს დამთრგუნველი პოსტნაპოლეონური სინამდვილე აიხსნას რაციონალურად? ასე რატომ მოხდა? ეს როგორ შეიძლება განიმარტოს ქრისტიანულად? საკითხი საგანმანათლებლო ისტორიზმის სისწორეს, საზოგადოდ, განმანათლებლობის გენერალურ კონცეფციას ეხებოდა. ჰოფმანი იბორგნის და დასძრწის ამ საკითხს მთელი თავისი ცხოვრება. ის ახსნას ვერ პოულობს. არადა, ეს პრინციპისა და მრწამსის საქმეა. ამ კითხვებს ვერ გაექცევი, ოდეს ისტორიის საზრისსა და პრედესტინაციონიზმზე ფიქრობ.** განა დღეს ასევე არ ჰხამს ამაზე ფიქრი? რა არის ისტორიის საზრისი და როგორ ვლინდება წინასწარგანგებულება ჟამის რბოლაში? განა ჩვენც ასევე არ გვარწმუნებდნენ, რომ სატანური საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ ჰარმონია და ლიბერალური სათნოება გამეფდებოდა? რატომ არ ჰყავს ჩვენს სირცხვილიან სინამდვილეს თავისი ლიტერატურული კრიტიკოსები და გეზის დამდგენები? სად გაქრა სალიტერატურო კრიტიკა?

ჰოფმანის შტიურმერული ირონია, გამოხატული სიტყვაკაზმული მაგიზმით, არაადამიანურია ბურჟუაზიული და ფეოდალური სინამდვილის მიმართ. მას ამ კლაინბიურგერულ ჭაობში

შეუძლებლად მიაჩნია რაიმე პოეტურის არსებობა და თავისი იდეალის პაროდირებას თავადვე ახდენს. პოეტი ბალთაზარი „ნამცეცა ცახესში“ ბოლოს ფილისტერიზებულია. ფრიდრიხ შლეგელმა (1772-1829) შექმნა რომანტიკული ირონიის თეორია და ჰოფმანმა ის მწვერვალზე აიყვანა. ჰოფმანისეული ირონია ჰეგელთან ერთად გოეთესთვისაც მიუღებელი იყო, მიუხედავად იმისა, რომ გოეთე ასპარეზზე გამოვიდა, როგორც შლეგელების მხრებზე მდგარი რომანტიკოსი. გოეთე განუდგა რომანტიზმს და რომანტიკოს მწერლებს არა იმიტომ, რომ მან რომანტიზმის უპირატესი გეზი მოიძია ლიტერატურაში, როგორც ეს ხშირად თქმულა ლიტერატურის ისტორიაში. გოეთემ არ შეაწია სიტყვა არც ჰოფმანს და არც არავის, ვინც შორს იდგა ფეოდალური რეაქციისა და სამეფო კარისაგან და მონარქისტული რევანშიზმის კრიტიკას აგრძელებდა. **გოეთეს პოეტიკა დღეს ეკუთვნის, ჰოფმანის პოეტიკა კი ღამის პოეტიკაა. ჰოფმანი ღამის მეხოტბე და ზმანებათა მემატიანეა.** რომანტიკოსებთან ღამე არის ყოვლადი სიმბოლო. ნოვალისმა დაწერა „ჰიმნები ღამისადმი“ (Hymnen an die Nacht, 1800), ჰოფმანმა კი დაწერა „ღამის მოთხრობები“ (Nachtstücke, 1817). თავად ნოვალისს ჰოფმანი ახსენებს თავის მოთხრობაში ძაღლ ბერგანცაზე (1813). ჰოფმანი მოთხრობის ბოლოში წერს, რომ ნოვალისი იყოო უწმინდესი პოეტი.

სანამ ჰოფმანის თხზულებებს შევეხები, აუცილებელია იმ სპეციფიკური ისტორიული სიტუაციის განხილვა, რომელშიც ჰოფმანს მოუწია ყოფნა. 30 წლისა იყო ჰოფმანი, ოდეს საფრანგეთის დიდი რევოლუცია მოხდა და მისი იდეებით განმსჭვალული, ის 34 წლისა გამოდის ლიტერატურულ სარბიელზე. მანამდე ის უკვე ცნობილი იყო, როგორც კომპოზიტორი. 10 წელზე ცოტა მეტი იყო იგი სამწერლო ასპარეზზე (1809-22) და ასევე იყო სახელმწიფო მოხელეც. ნაპოლეონის იმპერიის დამარცხებას მოჰყვა ბურბონთა რესტავრაცია, კლერიკალიზმის რევანში, პანევროპული საღვთო კავშირის შექმნა და რევოლუციური მოძრაობის ამოშანთვა მთელს ევროპაში. ყოველივე რევოლუციამდელის აღდგენა მოხდა და მოზეიმე არისტოკრატიის მოკავშირედ გამოვიდა მწერალთა და ხელოვანთა დიდი ნაწილი. ის ევროპელი შემოქმედნი, რომელნიც თავის სასოებას საფრანგეთის დიდი რევოლუციის (1789-94-99 წწ.) გამარჯვებას უკავშირებდნენ, მომსწრენი გახდნენ მონარქისტულ-კლერიკალური რევანშისა, ბურბონების შურისგებისა. რევოლუციის მარცხი გავლენას ახდენდა გვიანდელი რომანტიკოსი მწერლების შემოქმედებაზე. სხვა იყო ჰიოლდერლინისა და ნოვალისის აღმაფრენა, რომელთაც სწამდათ საფრანგეთის დიდი რევოლუციის გამარჯვებისა. ასეთი მასშტაბური რეციდივი, რაც ევროპაში მოხდა ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ, აღძრავს ფიქრს: **არის თუ არა ისტორია ციკლური? თუ ის მაინც ვექტორულია?** რევოლუციის მატიანეზე, ისტორიული ხდომილებების სიძნელეებზე ფიქრი პოსტსაბჭოთა დროის ლიბერალიზებულმა ისტორიოგრაფიამ არააქტუალურად მიიჩნია, რაც სწორი არაა. ამას ყველა სამეცნიერო თეორიაზე უკეთ თავად ისტორიის მდინარება წარმოაჩენს. რომანტიკოსი ჰენრიხ ფონ კლაისტი მიიჩნევდა, რომ ადამიანის ისტორია ციკლურია და ამის გამო ის ინფერნული და ეშმაურია. ციკლიზმის თეორია ჰოფმანთან ვლინდება ლიტერატურული სახით რომანში „სატანის ელექსირი“ (Die Elixiere des Teufels) (1816). ისტორიოგრაფიაში მოგვიანოდ არნოლდ ტოინბი იყო ციკლისტური თეორიის უცნობილესი წარმომადგენელი. მისი წინამორბედი ციკლისტი იყო ოსვალდ შპენგლერი. ახლა ცნობილი ციკლისტი არის ბრიტანელ-ამერიკელი ისტორიკოსი, ნაიელ ფერგიუსონი. ციკლიზმი ეს პროვიდენციალიზმი და პრედესტინაციონიზმია. ჰოფმანთან პროვიდენცია მეტად გამოკვეთილი თემაა.

რომანტიზმი, გარდა ლიტერატურული მიმდინარეობისა, არის პოლიტიკური პროტესტის ფორმაც. **პარადოქსი ისაა, რომ რომანტიზმი აღძრა ფრანგულმა რევოლუციამ. ჩინჩლი და ლიბო რომანტიზმისა არის ის მოჯანყეობრივი სული, რაიც მკვიდრობს 1789 წლის რევოლუციაში.** რადგან რომანტიზმი პოლიტიკური პროტესტიც არის, ამიტომ ჰოფმანთან მისი თანადროული სინამდვილე დიდ ადგილს იკავებს. საღვთო კავშირის პრინციპების მიხედვით მოწყობილ სახელმწიფოში ის უსამართლობას ხედავდა. მძიმე პოლიტიკურმა სინამდვილემ დაღი დაასვა ჰოფმანის შემოქმედებას და თავად მისი სიცოცხლეც შეიწირა. როგორც ჰოფმანის ზღაპარი მაიმახ ცინობერზე ჰოფმანიანაში დგას ცალკე ნაწარმოებად, ასევე ჰოფმანი არის რომანტიზმში ცალკე მდგარი ფიგურა. ის გერმანიის უდიდესი რომანტიკოსია, მაგრამ არა რომანტიკოსთა დასის წარმომადგენელი, რადგან არ ყოფილა რომანტიკოსთა რომელიმე წრეში. ჰაინემ თავის კრიტიკულ ნარკვევში „რომანტიკული სკოლა“ (1836) ჰოფმანი ნოვალისზე მაღლა

დააყენა. ჰაინემ ჰოფმანის სიცოცხლეშივე აღნიშნა, რომ მისი ქმნილებანი არის ჩვენი დროის უშესანიშნავესი რამ (Sie gehören zu den merkwürdigsten, die unsere Zeit hervorgebracht) (Briefe aus Berlin. Dritter Brief).

ალმაცერად უცქერდა ჰოფმანს ბევრი გერმანელი რომანტიკოსი და მას ფსევდოლიტერატურულობაში სდებდნენ ბრალს. ნეგატიურად შეაფასეს ჰოფმანი მისმა თანამედროვე იოზეფ აიხენდორფმა და უოლტერ სკოტმა. აიხენდორფი თავად რომანტიკოსი იყო. ის არნიმთან ერთად მიუთითებდა შუა საუკუნეებსა და კათოლიკურ ეკლესიაზე, როგორც იდეალზე. ის იცავდა ფეოდალურ რეაქციას. საფრანგეთის დიდი რევოლუციის შემდეგ ეს მეტად აბსურდულად ჩანდა, რაც იმ დროს ცოტას ესმოდა. აიხენდორფისათვის ჰოფმანი ნიჰილისტი იყო. ჰოფმანი მოგვიანოდ შემოვიდა რომანტიკოსთა მაინსტრიმში. როგორც ვთქვი, 34 წლისამ გამოაქვეყნა პირველი ნოველა („რაინდი გლუკი“, 1808). გვიან მოსულმა ყველაზე დიდი საქმე გააკეთა რომანტიზმში. რომანტიკოსთა პირველ და მეორე თაობებს უკვე დასრულებული ჰქონდათ თავისი სიტყვა. რომანტიზმის ტატნობზე ადრევე, 28 წლისა ჩაქრა ნოვალისი (1772-1801). 24 წლისა ჩაქრა ვილჰელმ ვაკენროდერიც (Wackenroder, 1773-98). ჰოფმანმა, მიუხედავად მოკლე შემოქმედებითი გზისა, შეძლო ვაკენროდერის დასახული რომანტიკული იდეალის ხორცშესხმა თავისი ცხოვრებით. მან ბევრით დაჯაბნა თავისი თანამედროვე რომანტიკოსი მწერლები, რომელნიც ოდენ მწერლები იყვნენ. თვით გერმანელ რომანტიკოსებს უჭირდათ ეცნოთ მასში თანამოაზრე. ეს გვამით მცირე კაცი (მისი ბიოგრაფოსი ჰიტციგი წერს: Hoffmann war von sehr kleiner Statur...) ამდენის შემძლებელი იყო. იურისტი იყო და ოპერას წერდა. მას შეეძლო ერთდროულად ეწერა რამდენიმე ნაწარმოები. ჰოფმანის რომანტიზმი არის სალოსობა ხელოვნებასა და ლიტერატურაში. ჰოფმანმა მოახდინა რომანტიზმის რერომანტიზაცია იმ აზრით, რომ მან წინამორბედი რომანტიკოსების კონცეფციიდან აღებულ დებულებებს ახალი სიცოცხლე შთაბერა. მან სრულჰყო და დაასრულა გერმანული რომანტიზმი. ის იყო მისი აღმასვლის ბოლო წერტილი. რომანტიკოსთა დიდ დასში ჰოფმანმა პირველობა მოიპოვა, რაც ჟამთასვლამ დაადასტურა. დიდი დროის გამოხდომა გახდა საჭირო, რათა ჰოფმანი დაეფასებინათ და ეღიარებინათ sine ira et studio (რისხვისა და მიკერძოების გარეშე). ცოტას თუ ძალუძს ჰოფმანისებრ გარდაირიოს და იღვაწოს ესევითარ. ეს ერთი აღმოჩნდა რომანტიკოსთა შორის ასე მნათობიერი და ყოველთა საქმეთა მომცველი.

თავისი გამოჩენილი თანამედროვეების – გოეთეს, შილერის და სხვათა გვერდით ჰოფმანს უნდა გასჭირვებოდა, როგორც გაუჭირდა ჰიოლდერლინს, მაგრამ თეოდორ ამადეუსმა თავისი სათქმელი მაინც თქვა და წარუშლელი კვალი დააჩნია ლიტერატურას. ჰოფმანი მე გოეთეს უმეტესად მიმაჩნია. მას არ ჰქონდა ისეთი გარემო შემოქმედებისათვის, როგორიც გოეთეს. ძაღლურ ცხოვრებაში მყოფი ჰოფმანი თავის შესაძლებლობებს სრულად ვერ ჰმოსავდა ხორცით და მაინც დიდი შემოქმედი იყო. მას რომ შესაფერისი გარემო ჰქონოდა, მერე გეხილათ! სიღარიბეში ჰგიებდა და შემოქმედებით ცეცხლს მაინც აგზებდა. მას არაფრად მიაჩნდა, რომ იყო საუკეთესო და პრუსიაში ცნობილი იურისტი, რომლის გამოცდილება პრუსიის სამეფოს დასჭირდა სტუდენტური მღელვარების დროს, როდესაც დრამატურგი და მემუარისტი, რომანტიზმის მოწინააღმდეგე, ავგუსტ ფონ კოცებუ (1761-1819)მოკლა სტუდენტმა კარლ ზანდმა, რაც ისტორიის საბჭოთა სასკოლო სახელმძღვანელოებშიც კი იყო შესული. ამ მკვლელობის შემდეგ პრუსიის მთავრობამ აკრძალა ბურშენშაფტები (სტუდენტური ერთობები). გოეთეს დროს კოცებუ ერთობ შესახელდა როგორც დრამატურგი და ის თეატრის ისტორიაში შევიდა. ჰოფმანი სწუხდა იმაზე, რომ ვერ ახერხებდა საკმარისი დრო დაეთმო მუსიკისათვის. მან თავისი მესამე სახელი – ვილჰელმი შეიცვალა ამადეუსით, მოცარტისადმი მოწიწების ნიშნად. მოცარტის გარდა ის აფასებდა ლუდვიგ ვან ბეთჰოვენს (1770-1827), იოზეფ ჰაიდნსა (1732-1809) და რობერტ შუმანს (1810-56). თავადაც კარგი მუსიკოსი იყო. 1804 წლისთვის შექმნილი ჰქონდა ზინგშპილი. 1808 წლისთვის შექმნა ბალეტი „არლეკინი“, შემდეგ კამერული კომპოზიციები და სიმფონიები. ჰოფმანის რომანტიკული ოპერა „უნდინა“ (1816), რაც ყველაზე მნიშვნელოვანია მისი სამუსიკო ნაწარმოებებიდან, მალევე შესახელდა გერმანიაში. (უნდინა არის წყალთა სული, როგორც სალამანდრა არის ცეცხლის სული თქმულებათა მიხედვით). ლა მოტ-ფუკეს რომანტიკული ზღაპრის ტექსტზე დაწერა ჰოფმანმა ეს ოპერა. 1816-7 წლებში 14-ჯერ დაიდგა ეს ოპერა ბერლინის სამეფო საოპერო თეატრში, რომელიც 1742 წელს დააარსა კომპოზი-

ტორმა კარლ ჰენრიხ გრაუნმა (1704-59) (ჰოფმანი მას ახსენებს ზღაპარში „ოქროს ქოთანი“) და ჰოფმანის დროს ის ცეცხლმა შთანთქა. ამ ოპერაში მთავარ როლს ასრულებდა იოჰანა ოინიკე. თავად ჰოფმანი ბერლინის თეატრის კაპელმაისტერი (ქოროს და ორკესტრის დირიჟორი) იყო, როცა მისი „უნდინა“ დაიდგა. ამავე დროს ის ბერლინის სასამართლო პალატის მოხელეც იყო. საოპერო კომპოზიტორობა ამადეუს ჰოფმანის ყველაზე დიდი სურვილი იყო. დიდად განიცდიდა ჰოფმანი ამ ოპერის შექმნისას იმას, რომ მას მუსიკაში დილეტანტად მიიჩნევდნენ. მართლაც, მას არ ჰქონდა მიღებული სამუსიკო განათლება, მაგრამ შეეძლო მუსიკის შექმნა. ის იყო საოპერო დირიჟორი, რეჟისორი, მხატვარ-დეკორატორი, სასცენო მუსიკის ავტორი, სამუსიკო კრიტიკოსი, სიმღერის მასწავლებელი. მოცარტის, ასევე ჰაიდნისა და გლუკის ქმნილებათა დირიჟირება ჰოფმანს გაუწევია და ცხადია, მან ზედმიწევნით იცოდა მოცარტის მუსიკა. ჰოფმანის საფლავის ქვას აწერია: „ის გამოირჩეოდა როგორც იურისტი, როგორც ლიტერატორი, როგორც მუსიკოსი, როგორც მხატვარი“. დიახ, ბერლინის სასაფლაოზე hic jacet (აქ განისვენებს) მაისტერ თეოდორ ამადეუსი, რომანტიზმის შუქურა!

იურისტმა თეოდორმა ლათინური და იტალიური იცოდა და იყენებდა კიდეც თხზულებებში. მას უყვარდა გამოთქმა: quod diis placebit (რაც ღმერთებს ენებებათ). სწამდა, რომ ეშმაკი იდებს წილს კაცთა ცხოვრებაში. მხატვრებიდან ჰოფმანს განსაკუთრებით ეთნებოდა ფრანგი ოფორტისტი, სატირული გროტესკის ოსტატი ქალაქ ნიმიდან, ჟაკ კალო (Jacques Callot, 1592-1635), ასევე ბრიტანელი სატირიკოსი ფერმწერი, უილიამ ჰოგარტი (William Hogarth, 1697-1764). ჰოგარტზე შარლ ბოდლერსაც (1821-67) აქვს ერთგან დაწერილი. აქვე უთუოდ უნდა ვახსენო იტალიელი მხატვარი, პოეტი და კომპოზიტორი სალვატორ როზა (შალვატორ ღოსა, 1615-73), რომელსაც გერმანელ რომანტიკოსთა შორის დიდი აღიარება ჰქონდა. ეს მხატვარი არის ჰოფმანის ნოველის „სინიორ ფორმიკას“ (Signor Formica,1820) (შესულია მის კრებულში „სერაპიონელი ძმები“, IV ტ.) პერსონაჟი.

ადრეული რომანტიკოსებისაგან (იენის რომანტიკოსთა მოთავენი – ძმები შლეგელები, კლემენს ბრენტანო, ლუდვიგ ტიკი და სხვ.) განსხვავებით, რომლებთანაც არის მუსიკის კულტი, ჰოფმანი თავად არის მუსიკოსი. ხელოვნებათა იერარქიაში ჰოფმანი მუსიკას უმაღლეს საფეხურს აკუთვნებდა. ის სიტყვის მეოხებით მუსიკობდა და ხატავდა თავის თხზულებებში. მუსიკის ისტორიიდან ცნობილია, რომ ჰოფმანის მუსიკამ გავლენა მოახდინა პიოტრ ჩაიკოვსკიზე (1840-93), ჟაკ ოფენბახზე (1819-80), რიჰარდვაგნერზე (1813-83), რობერტ შუმანზე (1810-56) და სხვებზე. შუმანმა ჰოფმანის გავლენით უწოდა თავის ერთ ნაწარმოებს „კრაისლერიანა“. განა არ იცოდა გოეთემ, რომ მუსიკაშიც მოღვაწეობდა ჰოფმანი, მაგრამ არსად ერთი სიტყვა არ თქვა მასზე. შეუძლებელია გოეთეს არ სმენოდა ჰოფმანის ოპერა„უნდინა“. გოეთესათვის ჰოფმანი იყო დიდი ანტაგონისტი, რომელთანაც საქვეყნო დისპუტს ის გაურბოდა, რადგან იცოდა გოეთემ, რომ დამარცხდებოდა. გოეთემაც სცადა კალამი ლიტერატურის იქით და ხელი მოეცარა.

ჰოფმანი აკრიტიკებს XIX საუკუნის რაციონალიზმს, ასევე შრომის კაპიტალისტურ წესს, რომელმაც მოსპო შუასაუკუნეობრივი ხელოსანთა ამქრული გაერთიანებები.ამაზე მას მოთხრობა აქვს, რომელსაც ქვემოთ განვიხილავ. ჰოფმანს აღაშფოთებს ფილისტერული საზოგადოების შეზღუდულობა და მისი ნორმები. ის ყველგან ამხელს და ამათრახებს გერმანელ ფილისტერს, რომელიც იდეალის მტერია. მეორე, ვინც არ ინდობს გერმანელ ფილისტერს, არის ნიცშე.

არც ერთ სალიტერატურო მიმდინარეობაში არაა ასე მწვავედ წარმოჩენილი კონტრასტი იდეალურსა და რეალურს შორის, როგორც რომანტიზმში. რომანტიზმი ოდენ ლიტერატურით არ შემოსაზღვრულა. მან მოიცვა ფილოსოფია, მეცნიერება, ხელოვნება, მუსიკა.

რომანტიკოსი ხელოვანი არის მოჯანყე ღვთის წინაშე. ეს არის ტიტანური ჭმუნვა და ბორგნა. ეს არის ამა სოფლის ორადობისა და შესაქმის ტრაგიზმის გულით ტარება. რომანტიკოსი შემოქმედი დიდად თიმოტური ადამიანია. მისი თიმოსი კვალს ავლებს ლიტერატურასა და ფილოსოფიაში. ჰოფმანის რომანი „სატანის ელექსირი“, რომელიც თავსატეხია მსოფლიო რომანისტიკაში და აქვს ისეთი ალგორითმული სიუჟეტი, რომ ის უნდა წაიკითხო რაიმეს გამოტოვების გარეშე, თიმოტური, შემოქმედი ადამიანის სწრაფვას კარგად გამოხატავს. გარდა იმისა, რომ ჰოფმანი იცავს მისტიკურს, ის დიდ ყურადღებას უთმობს სხვადასხვა მანიებს. ამაში მას უახლოვდება დოსტოევსკი. აქაც დოსტოევსკიმ ჰოფმანისაგან ბევრი რამ აიღო. ჰოფმანის გავ-

ლენას წავაწყდებით ასევე მიხაილ ბულგაკოვის თხზულებაში „ოსტატი და მარგარიტა“ (გამოქვეყნდა 1966-7 წწ.), ბოლშევიკებისგან დიდად შერისხულ მიხაილ ზოშჩენკოსთან, ონორე დე ბალზაკთან, ჩარლზ დიკენსთან, ჯორჯ ორუელთან (მისი ფანტასმაგორიული მოთხრობა „ცხოველთა ფერმა“ (Animal Farm, 1945)), ფრანც კაფკასთან. ლიტერატორობის ჰოფმანისეულმა წესმა დიდი იმპულსი მიანიჭა XIX-XX საუკუნეების ბევრი სახელოვანი პროზაიკოსის შემოქმედებას. Fantasy-ს ჟანრის სათავე ჰოფმანის გარეშე ვერ მოიაზრება. ჰოფმანის გმირები არიან ავტორის დროის გერმანიაში მცხოვრები ექსცენტრიკოსები, შეშლილები, ჰალუცინანტები, ვირტუოზული მექანიკოსები, ჯადოსნები. თხზულებათა სიუჟეტები ვითარდება რეალურის და ილუზორულის ზღვარზე. სინამდვილე და ფანტასმაგორია მუდამ ერთურთში გადადიან. ჰოფმანთან ასევე არის ანიმირებული ნივთების აღლუმი. ესაა წიგნიდან გამომტყვრალი მროკავი ჭინკა, ჰაერში მორიალე ჭურჭელი, მოლაპარაკე საათი, მობურტყუნე ყავადანი, რომელიც სინამდვილეში ავიჯადოქარი ფრაუ ლიზა, იგივე დედაბერი რაუერია. ზღაპარში „გარმიანელი ბავშვი“ (Das fremde Kind), მოუსვენარ ბავშვებს მათ მიერვე დამტვრეული და გადაყრილი, გაცოცხლებული სათამაშოები ემუქრებიან. დიალოგურ მოთხრობაში ძაღლ ბერგანცაზე ვხვდებით მყვარს (გომბეშოს) ადამიანის მსგავსი სახით, რომელიც ქოთანს ურევს და იწყება ჯადოქრების შაბაში.

თავისებური უნარია საჭირო, რომ წაიკითხო და ჩასწვდე ჰოფმანის ინფერნულ ქმნილებებს. ლუდვიგ ბოერნემ ამ ქმნილებებს უწოდა Epopee des Wahnsinns (შეშლილობის ეპოპეა). ახლანდელ ლიტერატურისმცოდნეობაში ხშირად ხდება, რომ სახელშეძენილ ავტორთა შემოქმედებაზე შექმნილი გამოკვლევები სავალდებულო რევერანსის გამო უფრო დაწერილა, ვიდრე განსახილველი შემოქმედის ხელახლა შესასწავლად. შემსწავლელი ამოვარდნილია განმანათლებლობის გენერალური პაიდეიიდან და არც გრძნობს ამის ნაკლებობას. ის არ ცდილობს შექმნას ყოვლადი იდეა. ის არ ცდილობს ლიტერატურას დაუბრუნოს დაკარგული მაღალი სტატუსი.

მეტად სპეციფიკური, ერთობ ჰოფმანისეული ისაა, რომ ის არ ეთანხმება საღვთო კავშირის (ანტინაპოლეონური როიალისტური ალიანსის) არგუმენტაციას, რომლის თანახმადაც ნაპოლეონის, როგორც ეშმაკის დამარცხება ღვთის შეწევნით მოხდა და მონარქიზმის რესტავრაცია ღვთივსათნო საქმეა. ჰოფმანის ირონია მონარქიზმის აღდგენის გამო არის ტიტანურად მოჯანყებრივი. გასაკვირია, საიდან ჰქონდა ამ ტანმორჩილ კაცს ესევითარი პროტესტის გამოთქმის ძალა ფეოდალიზმის წინააღმდეგ, როცა სხვები გაჩუმდნენ და კლერიკალურ-მონარქისტული რეჟიმის ქებას შეუდგნენ. ჰოფმანის ლიტერატურული დისკურსი, მისი გროტესკული უტოპია და სატირა ძირში არყევს რესტავრირებული მონარქიების კლერიკალურ იდეოლოგიას. ჰოფმანთან არის სახეცვლილი რევოლუციური მოწოდება, შემოსილი მისტიციზმითა და პარადოქსიზმით. მისთვის ბუფონადაა ქრისტიანობის ჩადგომა რესტავრირებული მონარქიების სამსახურში. ამის გამო ის სარკაზმით იმსჭვალება ოფიციალური ეკლესიის მიმართ. ის უცნაურის, შეუცნობლის მესიტყვე იყო და ამით მსახურებდა რევოლუციურ აზრს. ჰოფმანის შემოქმედება მთლად ლიტერატურა არ იყო. ეს რაღაც მეტი იყო, რომელიც ასახავდა მიღმეთიდან მოსული გმირების უცნაურ ცხოვრებას სოფლის მრჩობლობაში. ჰოფმანი ყოველთვის გულით განიგზნებდა ამა სოფლის ორობასა და მზაკვარებას და მის შესატყვისად ქმნიდა თავის თხზულებებს, იქნებოდა ეს რომანი, ნოველა, თუ კაპრიჩიოზული ზღაპრები. მის ნაწერებში ეშმაკი მძლავრობს ყველგან და სოფელი ბოროტს წარუტაცნია. არაფერს ნიშნავს ლაპარაკი, რომ ნაპოლეონის დამხობის შემდეგ ევროპას ღვთის ნათელი მოეფინა. თურმე ვის დაჰკარგვიან ბურბონები?! კი მოაბრუნა და გაამთავნა ისინი რუსულმა ხიშტმა, მაგრამ მოგვიანო დროის რევოლუციის ქარიშხალმა ისინი საბოლოოდ აღხოცა.

ჰოფმანი თავისი მოღვაწეობაში ხორცით ჰმოსავდა ვაკენროდერიდან მომდინარე რომანტიზმის დიდ მიზანს – **ხელოვნებათა სინთეზს და უნივერსული ადამიანის შექმნას. ხელოვნებათა სინთეზის რომანტიკული იდეალი გულისხმობს რომ ანტიკურ უნივერსალიზმს. ჰოფმანთან მაცხოვნებელი, სოტერიოლოგიური მისია აკისრია ხელოვნებას და ამაში ის მისტიკოს ემანუელ სვედენბორგს (1688-1772) უახლოვდება.** უნივერსულ რომანტიკოს კაცს უნივერსული მზერა უნდა ჰქონოდა. რომანტიზმი იცავს ტიტანიზმის, პრომეთეანიზმის და ფატალიზმის იდეებს. რომანტიზმი ცდილობს, რომ ეს იდეები გაიზიაროს რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა. ჯონ მილტონის (1608-74) დიდება მწვერვალს აღწევს რომანტიკოსთა მიერ მისი შემოქმედების შესწავლისას. მილტონის „დაკარგულ სამოთხეში“ (Paradise Lost, 1667) პრო-

მეთეანიზმის სული მძლავრობს. ეშმა მილტონთან სიბრძნის მცველია. შარლ ბოდლერმა თავის რომანტიკულ ლექსში Les Litanies de Satan, რომელიც შესულია მის კრებულში Les Fleurs du mal (1857) („ყვავილნი ბოროტებისანი“) და სადაც ბოდლერი მილტონის გამგრძელებელია, თქვა, რომ სატან არის მოჯანყეთა კვერთხი და მეძიებელთა შუქურა (Bâton des exilés, lampe des inventeurs). „ყვავილნი ბოროტებისანი“ გერმანულად გადაიღო შტეფან გეორგემ (Die Blumen des Bösen).

ევროპული რომანტიზმი ომნიკულტურული და კოსმოპოლიტური იყო. ეგვიპტის კულტურიდან და პლატონიდან ვიდრე იაკობ ბოემეს მისტიკამდე ყოველივეს სწვდებოდა და მოიცავდა რომანტიზმი. ამად არის ის კოსმოპოლიტური პანკულტურა. ის არის ჰოლისტური პაიდეია, რომელიც მოიცავს და მსჭვალავს პროზას, პოეზიას, ფილოსოფიას, მუსიკას, მეცნიერებას. ფრიდრიხ შლაიერმახერისა (1768-1834) და ფრიდრიხ შელინგის (1775-1854) ფილოსოფიაში იძებნება გერმანული რომანტიზმის იდეური ფესვები. რომანტიზმი მეტაიდეაა იმ აზრით, რომ ის სუპრაფორმაციულია. რომანტიკოსთა საესავი იყო რომაული პანთეონის ღვთაება ფანტაზუსი (ბერძნული ღმერთი – მორფეოსი), ზმანებათა ღმერთი, რომელიც ძილის ღმერთის, ჰიპნოსის ვაჟია. ჰოფმანი დაინტერესებული იყო ჰიპნოზის მოვლენით და ამაზე ნოველა „მაგნეტიზიორიც“(Der Magnetiseur, 1814) აქვს. ბამბერგში გაიცნო მან ორი ფსიქიატრი და მათთან საუბრისას შეიმსჭვალა ის მაგნეტიზმისა და სომნამბულიზმის (ლუნატიზმის) მოვლენებით. მან წაიკითხა თავისი დროის ლიტერატურა სიზმრებსა და მაგნეტიზმზე. ჰოფმანი ამ ნოველაში იტყვის ზმანებასა და სიზმარზე, რომ ყველაზე საკვირველი მოვლენა ადამიანის ცხოვრებისა ის არისო. ნოველას წამძღვარებული აქვს ძველგერმანული გამოთქმა – Träume sind Schäume (სიზრები ქაფით სავსეა). თეოდორ ამადეუსი ხშირად ახსენებს ფსიქიატრ იოჰან კრისტიან რეილს (1759-1813). მაგნეტიზმზეა საუბარი ნოველაშიც „უკაცრიელი სახლი“ (Das öde Haus, 1817). ჰოფმანი „სერაპიონელი ძმების“ დასაწყისში ამბობს, რომ მას ბევრი უკითხია წიგნები შეშლილობაზე.

ხელოვნების იდეალი ჰოფმანთან პოლიტიკურ იდეალზე მეტია. მასთან ხელოვნება არის ადამიანის გონითი მოღვაწეობის უმაღლესი ფორმა. მასთან არაა პოლიტიკური იდეალი, მიუხედავად იმისა, რომ იგი მთელი თავისი ცხოვრება პოლიტიკური დისიდენტი იყო და ამას შეეწირა მისი სიცოცხლე. ძველი რეჟიმის მიერ დადგენილი პოლიტიკური თეოლოგემა, რაც ჰეგელის ფილოსოფიაში უფრო განმტკიცდა, ჰოფმანისათვის დიდი არაფერია.

ჰოფმანის რომანტიზმი არ ეთანხმება საბუნებისსმეტყველო მეცნიერებათა მიერ სამყაროს სისტემატიზაციის მცდელობებს, მის მექანიცისტურ შემეცნებას. დიდი მექარაგმისა დაბნელთა მეუწყის, ჰოფმანის შემოქმედებაში ვლინდება ძველისძველი დიონისური სული. ჰოფმანის გავლით ევროპულ ბელეტრისტიკაში იჭრება პაგანისტური ნაკადი, რომელიც რევოლუციასთანაა დაკავშირებული. მსგავსი ინტენციაძალუმად გამოხატულია ჯერ კიდევ ჰიოლდერლინთან. ეს მასთან (ჰიოლდერლინთან) არის ელინობა და საფრანგეთის დიდი რევოლუცია ერთურთს გადაწნული.

სათნო ჯადოსანი პროსპერ ალპანუსი (ზღაპრიდან „ციცქნა ცახესი“) ისაა, ვინც ბუნების უღრმესი საიდუმლოებანი შეიცნო. მისი ანტიპოდია პროფესორი მოშ ტერპინი ამავე ზღაპრიდან. პროფესორი მოშ ტერპინი ბუნებას მექანიცისტის თვალით ჭვრეტს და იმეცნებს. ჰოფმანის რომანტიზმში სიცოცხლე სასწაულია, საკვირველებაა და საკვირველებათა შლეიფი გასდევს ჰოფმანის მთელ შემოქმედებას. სოფელი ბოროტს მოუცავს და ის მაინც გამოცანად შთება. ჰოფმანის ეს თემა – ბუნების შემეცნების შეუძლებლობა ბუნებისმეტყველების ფარგლებში, იქცა XX საუკუნის დასავლური ფილოსოფიის ერთ-ერთ ძირითად თემად. ეს თემა არის სიცოცხლის ფილოსოფიაში (ვ. დილთაი, ა. ბერგსონი, ფ. ნიცშე და სხვები), ასევე ჰაიდეგერის მოძღვრებაში.

ჰოფმანის ფილოსოფიურ-ლიტერატურული შემოქმედება ვერ იქცევა მასობრივ საკითხავად. ადამიანთა უმრავლესობისათვის გასაგები და მისაღებია მხოლოდ დეკლარირებული ოპტიმიზმი, მეცნიერული ჭეშმარიტებანი, ლოგიკური დასრულებულობანი, რომელნიც არ საჭიროებენ შინაგანი კაცის მოღვაწებასა და მრწამსის შეძენას. ჰოფმანის თხზულებანი მის სიცოცხლეშივე კრიტიკისა და კამათის საგანი იყო. სისტემატიზებულ შესწავლას ჰოფმანის თხზულებანი ძნელად ემორჩილება. ამაში ჰოფმანს ჰგავს ნიცშე. დაისმოდა კითხვა: საერთოდ არის კი ჰოფმანის შემოქმედება ლიტერატურა? ჰოფმანის პროზა არის neuter (ლათ. – არც ეს

არის, არც ის). ჰოფმანის ძალზე სუბიექტური, სოლიფსისტური შემოქმედება არას დაგიდევს და ყოველთვის არღვევს ლიტერატურულ კანონებსა და ნორმებს. ეს არაკანონიკური შემოქმედება უცნაურსა და მისტიკურს გვაზიარებს და თან გვახსენებს, რომ არსებული ფეოდალური სისტემა მიუღებელია და ის უნდა დაემხოს. ჰოფმანის პარალიტერატურული მისტიკა გვახსენებს, რომ ძველი ფეოდალური რეჟიმის დაბრუნების მიუხედავად, ჩვენ რევოლუციის შვილნი ვართ და რევოლუციისთვის გვიხამს მუშაკობა.

ჰოფმანზე გოეთესა და ჰეგელის ცნობილ შეფასებებს აყოლილებმა შეიძლება თქვან ჰოფმანზე, რომ ეს არის კლინიკური მოვლენა ხელოვნებაში, ირაციონალურისა და მისტიკურის გაქანება და ბედისწერის ბნელ ძალთა ჰიმნი ლიტერატურაში. განა ბევრჯერ არ უთქვამთ ასე? მაგრამ ჰოფმანი ყოველთვის განიხილებოდა ლიტერატურის ისტორიაში. მას გვერდს ვერ აუვლი. ჰოფმანმა მყარად დაიმკვიდრა ადგილი ისტორიაში და თავისი გავლენა შორს განავრცო. ფილოსოფიაში ირაციონალურისა და მისტიკურის გამო დიდი დავა ჰქონდათ ედმუნდ ჰუსერლსა და მის ნამონაფარს, მარტინ ჰაიდეგერს XX საუკუნის 20-30 -იან წლებში. ცხოვრებამ აქაც ჰაიდეგერის სისწორე დაადასტურა, ისევე, როგორც მან დაადასტურა ჰოფმანის და არა გოეთესა და ჰეგელის სისწორე. შოპენჰაუერი ჰეგელს შარლატანს უწოდებდა, განაქიქებდა მის ფილოსოფიას და მას ბრალს სდებდა ხელისუფალთა კეთილგანწყობის მოპოვების მცდელობაში. („ახალი აფორიზმები“ § 74,§ 76). თავის ძირითად ნაშრომში „სამყარო, როგორც ნება და წარმოდგენა“, შოპენჰაუერი ჰეგელის ფილოსოფიას უაზრობას უწოდებს. ის აკრიტიკებს ფიხტესა და შელინგს, მაგრამ ჰეგელი მთლად ამოგდებული ჰყავს. ჰეგელის ფილოსოფია შოპენჰაუერს გერმანული სისულელის ძეგლად მიაჩნდა.

ლუდვიგ ბოერნემ (Börne) (1786-1837), რომელიც ჰაინეს შემდეგ მიიჩნევა ყველაზე სახელოვან გერმანელ აშქენაზად XIX საუკუნეში, გოეთე მიწასთან გაასწორა. შთამომავლობამ უნდა მოჰკითხოსო გოეთეს იმის გამო, რომ მან თავისი ნიჭი მხოლოდ სათავისოდ გამოიყენა (***ЛюдвигБёрне***. Сочинения в 2-х томах. СПб. Изд. «Книгопродавческой складчины», 1896, Т. I. Из моего дневника, стр. 162). ბოერნე გოეთეს ცრუ გენიოსს უწოდებს (стр. 174). მან ასევე თქვა, რომ გოეთე გარითმული მონაა, ჰეგელი კი – ურითმო მონა (ibid.). ბოერნე გოეთეს ჰყვედრის, რომ ის ამა სოფლის ძლიერთა გვერდით იყო (стр. 155). მან ამხილა გოეთე ეგოიზმში (стр. 158) და მიმართავს მას: „შენ ბედნიერი იყავი, მაგრამ დრო მოჭამე“ (стр. 162). ბოერნე წერს, რომ გოეთე და შილერი არიანო წარსულის დასათაურება. ეს ბოერნეს გამოყოფილი აქვს(стр. 155).თავის „პარიზულ წერილებში (1830-33)“ ბოერნე ამბობს, რომ გოეთე არის ლიბრი გერმანიის თვალზე“ (Т. II, стр. 24). მე მძულსო გოეთე და ჩემთვის საცნაურიაო ამ სიძულვილის მიზეზი (ibid.).

სათქმელია ისიც, თუ რა ბედი ეწია რომანტიზმის ცნებას. რომანტიზმი დღეისთვის მიაჩნიათ საღი აზრის, კალკულაციური მსჯელობის, ლოგიკური ანგარების საპირისპირო არგუმენტად. რომანტიზმს ირონიულად მოიხსენიებენ საღი აზრის მიდევნით გალაღებული პროფანები. სიტყვა „რომანტიკოსი“ გამოიყენება მეოცნების, ფანტაზიათა ხიბლით ტყვექმნილი კაცის აღსანიშნად. ამასთან ერთად, გამოთქმაში „რომანტიკული ბუნების მქონე“, იგულისხმება, რომ მავანი სხვათაგან განსხვავდება სულის მდგომარეობით, ისეთი ღირსებით, რაც ძნელად იპოვება მოკვდავთა შორის. რომანტიკის ცნება კი უკავშირდება კონსიუმერულ პარადიზს, გაქანებულ მომხმარებლობას, როდესაც ადამიანის მაქსიმალურად არათიმოტური, ლიბერალურად სტერილიზებული ტიპი რომანტიკას ეძიებს იქ, სადაც ის არაა და არც იქნება. ეს ნონსენსია, როდესაც ბანალური მომხმარებელი, ახლანდელი ფილისტერი თავს რომანტიკოსად მიიჩნევს რაღაცის მოხმარების ან სადმე ტურისტად ყოფნის გამო.

რას გვასწავლის ჰოფმანის რომანტიზმი? იმას, რომ სინამდვილის, ხილული სამყაროს მკაფიო და თანმიმდევრული სურათის შექმნა შეუძლებელია. სიცოცხლე შეუცნობელი და უცნაურია თავის რებაში. წუთისოფლის ხენეშება და ყოველივეს წარმავლობა შეუძლებელს ხდის ნათელი დეფინიციებით გადმოიცეს ეს სამყარო. სოფლის ამაოება სატანურია. სატანურია იმ აზრით, რა აზრითაც სიტყვა „სატან“-ს ებრაული საღვთო ტექსტების ენაში მოიხმარენ. სოფელი მაცდუნებელი და მაცდურებით კაცთა გულმოწყე მსინჯველია. ადამიანის ხვედრი არის ასეთი, რომ ის უნდა წარსდგეს სოფლის საცთურთა წინაშე თავისი თავის გამოსაცდელად. ჰოფმანთან სინამდვილის კარნავალიზება და პაროდირება ხდება. მას ეცინება ამ სამყაროს ასეთობაზე არა იმიტომ, რომ მასში რაიმე სამხიარულოა. მისი სიცილი ვარამის სიცილია სიცოცხლის ტრაგი-

კომიზმისა და შესაქმის გროტესკულობის გამო. მის თხზულებებში ყველგან უნდა ვხედავდეთ ავტორის გვემას. ჰოფმანი სპონტანურად თავის თავს წერს. მის ირონიაში, მის კლოუნადაში გამოსჭვივის დიდი დარდი და ტრაგიზმი. მიმაჩნია, რომ ნიცშესთან არის ბევრი რამ ჰოფმანისეული. ჰოფმანის ესთეტიკური შეხედულებანი გადმოცემულია მის ოთხტომეულ ნოველათა კრებულში „სერაპიონელიძმები“ (Die Serapionsbrüder, 1819-21).

ლევ შესტოვის აზრით, რომლის ირონია უდავოდ ჰოფმანისეულია, ჩვენ ვცხოვრობთ აჩრდილთა სამეფოში, სადაც ყველაფერი იძენს ფანტასტიკურად უაზრო შეფერილობას. შესტოვის მიხედვით, ყოფიერების (ხილული სამყაროს) ძირითადი პრედიკატი არის непонятность (უცნაურობა).

ჰოფმანი ჯანყობს შესაქმის და მისი შემოქმედის წინააღმდეგ. მას აღაშფოთებს სოფლის ძალადობა კაცზე და ის, რომ საზოგადოება მოითხოვს მორჩილებას კაცისგან. მასში პროტესტს იწვევს კლერიკალთა თვალთმაქცობა. არა ყველას შეუძლია გაჰყვეს ჰოფმანს მის მოჯანყეობაში, შევიდეს მის სამყაროში, რომელიც მოჩვენებებით, შეშლილი ადამიანებით, ადამიანი-მანქანებით, ჯადოსნებით, ალქიმიკოსებით, ორეულებით სავსეა. ჰოფმანი არც არავისგან მოითხოვს გაყოლას. მისი ნაწერები მაინც ელიტურია და ვერ იქნება მასობრივი. მისი სიტყვა, ვარამი და გზნება მცირეთათვისაა საცნაური. მისმა ექსცენტრიკოსმა პერსონაჟებმა, მანიით შეპყრობილებმა რაღაც დაფარული უწყიან. ისინი არიან ორსახოვანი ადამიანები, რომელთაც მკითხველი იმიერსოფლიდან შემოქცეულებად მიიჩნევს. ჰოფმანთან ცხოველებიც კი არაამსოფლიურნი არიან. მისი პერსონაჟები ჰიერონიმუს ბოსხის (მიახლ. 1450-1516) ტილოებიდან გადმოსულთ ჰგვანან. ბოსხი თავის ფერწერაში ინტერესდებოდა სიმახინჯით, სიბრიყვით, შეშლილობით, ჰალუცინაციებითა და ფანტაზმებით. აღსანიშნავია ჰოფმანის ეპატაჟური და მაგიური კოსტიუმერიაც („ნამცეცა ცახესი“, „პრინცესა ბრამბილა“, „Datura fastuosa“ და სხვ.). ჰოფმანის გავლენითაა შექმნილი ნიკოლაი გოგოლის (1809-52)მოთხრობა „შინელი“ (1842 წ.), სადაც შინელზეა დამოკიდებული ბედშავი აკაკი აკაკიევიჩის ცხოვრება. ჰოფმანის გავლენა ასევე ჩანს გოგოლის პოემაში „მკვდარი სულები“ (Мёртвые души, 1842 წ.). ჩიჩიკოვები და მანილოვები არიან ხორციელი მოჩვენებანი. საკითხი მხოლოდ იმას არ ეხება, რომ ისინი მხოლოდ ცარისტულ სინამდვილეში არიან. ჩიჩიკოვები და მანილოვები გადადიან ერთი დროიდან მეორე დროში. ისინი იყვნენ ცარიზმის და ბოლშევიზმის დროს და არიან ახლაც. ადრე ისინი მხოლოდ თავის მამულში ჩანდნენ. ახლა კი მათ მთელი დუნია ყოველდღე ხედავს.

გოეთესა და ჰეგელისაგან განსხვავებით, ჰაინრიხ ჰაინემ (1797-1856) დაინახა და დააფასა ჰოფმანის შემოქმედება. გერმანულენოვან აშქენაზ ჰაინეს ირონიისა და სარკაზმის განსაკუთრებული უნარი ჰქონდა. ჰაინეც მოჯანყე იყო. ის იყო არა ათეისტი, არამედ ღმერთმებრძოლი. ჰაინეს თავისებურად სწამდა შეუცნობელი. ისიც ისევე დამბლით დაავადდა, როგორც ჰოფმანი. სნეულების მიუხედავად, ჰაინე არას ინანიებს და ღვთის წინაშე ისეთივე მოჯანყედ რჩება, როგორიც ის ახალგაზრდობაში იყო. ჰოფმანის მეგობრები იყვნენ მისი ბიოგრაფოსი იულიუს ჰიტციგი (Julius Hitzig) (1780-1849), ლუდვიგ ტიკი (1773-1853), კლემენს ბრენტანო (1778-1842), გერმანელი რომანტიკოსი მწერალი, ბარონი ფრიდრიხ დე ლა მოტ-ფუკე (Friedrich de La Motte-Fouqué) (1777-1843), რომელსაც ეკუთვნის მოთხრობა-ზღაპარი „უნდინა“ (1811),გერმანულენოვანი ფრანგი პოეტი ადალბერტ შამისო (1781-1838). შამისო საფრანგეთის დიდი რევოლუციის შემდეგ გერმანიაში გაქცეული ფრანგი თავადიშვილი იყო. მან მიაწოდა ჰოფმანს სიუჟეტი ნოველისათვის Datura fastuosa, 1820-1). ჰოფმანის მეგობართაგანი იყო მწერალი და მოგზაური გერმან ფონ პიუკლერ-მუსკაუ (1785-1871). ჰოფმანმა შექმნა ლიტერატურული წრე, წოდებული „სერაპიონელ ძმებად“. მასში შედიოდნენ ლა მოტ-ფუკე, შამისო, ჰიტციგი, იტალიური წარმოშობის ნოველისტი, კარლ-ვილჰელმ სალიჩე-კონტესა (Salice-Contessa) (1777-1825), დავიდ ფერდინანდ კორეფი (Koreff) (1783-1851).

რუსულენოვანი ებრაელი ფილოსოფოსი, რაციონალიზმის კრიტიკოსი, რომანტიზმთან ახლოს მდგარი ლევ შესტოვი (1866-1938) ჰაინეს შემოქმედებაზე მსჯელობისას ამბობს: «Мне даже порой кажется, что «там» в противоположность существующему мнению, особенно любят и ценят упорных и непреклонных.От смертных же эта тайна скрыта для того, чтобы слабые и уступчивые не вздумали представляться упорными, чтоб заслужить расположение богов» (ხანდახან მეჩვენება, რომ არსებული შეხედულების საწინააღმდეგოდ, „იქ“ (საიქიოში- გ. გ.) განსაკუთრებით უყვართ და აფასებენ შეუპოვართა და უდრეკთ. მოკვდავთაგან კი ეს საიდუმლო დაფარულია იმისთვის,

რომ სუსტებმა და დამყოლებმა არ მოაჩვენონ თავი უდრეკებად, ღმერთების კეთილი განწყობის მოსაპოვებლად.“

ევროპამ შვა მოჯანყეობის უნიკალური პაიდეია. ჰოფმანის გარდა ლიტერატურაში დიდი მოჯანყეობა არის ჯონ მილტონთან, ჯორჯ ბაირონთან, ჰაინრიხ ჰაინესთან. ფილოსოფიაში მოჯანყეობის პაიდეია არის ჟულიენ ოფრე ლამეტრისთან, ფრიდრიხ ნიცშესთან, ჟან-პოლ სარტრთან, ალბერ კამიუსთან.

ჰოფმანის შემოქმედებით მრწამსს კარგად მიესადაგება ლევ შესტოვის მსჯელობა: «...душевный покой кажется позорным...Человеческим сердцем внезапно овладевает тоска по фантастическому, непредвиденному, не допускающему предвидение... где не будет данного, законченного, готового, где не будет сотворённого, где будет одно беспредельное творчество...» (Т. 6, стр. 49-50), (...სულიერი სიმშვიდე სირცხვილად მოჩანს... ადამიანის გულს მყისიერად იპყრობს სევდა ფანტასტიკურის, განუჭვრეტელის გამო, იმისა, რაც არ ხდის დასაშვებს წინასწარჭვრეტას... სადაც არ იქნება მოცემულობა, დასრულებულობა, მზაობა, სადაც არ იქნება შექმნილი, არამედ იქნება მხოლოდ უსაზღვრო შემოქმედება“.

ბაირონის რომანტიკული და არისტოკრატული გმირი თავის მოჯანყეობაში მაღლდება გარშემომყოფ ადამიანებზე და მათ ზემოდან დასცქერის. ის ვერ ეგუება სხვათა სიმხდალეს და შემგუებლობას. ბაირონის მოჯანყე გმირი განდგომილია, რომელმაც შერისხა და შეიძულა ყველა და ყველაფერი. ჰოფმანის მოჯანყეობა კი სხვაგვარია. უნივერსული რომანტიკული ადამიანის შექმნა ნიშნავს, რომ ეს ადამიანი მონაწილეა საზოგადოებრივი ცხოვრებისა და არ განუდგება მას. შემოქმედის გონითი მოღვაწეობის გამოვლენა, მისი სახელოვნებო მუშაობა საზოგადოებისთვის საკეთილო საქმის ქმნაა. როდესაც ეს ხელოვნება ეხება სინამდვილეს, ხელოვანი ამის გამო ტანჯვაშია. ეს კარგად არის აღწერილი ჰოფმანის საკვირველ რომანში „სატანის ელექსირი“. ჭეშმარიტი ხელოვნება მოჯანყეობრივია და სწორედ ამითაა ღირებული. დილემა კი იმაში მდგომარეობს, რომ ჭეშმარიტი ხელოვანი, ესე იგი მოჯანყე შემოქმედი ღმერთის შექმნილის მწუნობარია. ამრიგად ეს მოჯანყეობა შემოქმედი კაცისა არის დემონური. მაგრამ თუ ის ასეთი მოჯანყეობრივი არ იქნება, მაშინ ხელოვნება აღარ იქნება ღირებული. ეს არის კოლოსური სიძნელისა და თვალუწვდენი აზრის მქონე საკითხი, რაიც ხშირად მიჩუმათებულია საღვთისმეტყველო ენამზეობითა და კალმოსნური მეხრიკეობით. ამ საკითხს გოეთეც ეხება თავის „ფაუსტში“. კომპოზიტორი გუსტავ მალერი (1860-1911) ერთგან ახსენებს ჰოფმანს და ამბობს, რომ ხელოვნება მასთან დემონური საწყისის მქონეა. რუსი პიანისტი ანტონ რუბინშტეინი (1829 – 94) თავისი მეგობრისადმი, კომპოზიტორ ფრანც ლისტისადმი (1811 – 86) მიწერილ წერილში (1871 წლის ივლისი) წერდა, რომ «...искусство требует диктатора, повелителя» (А. Г. Рубинштейн. Избранные письма. *Государственноемузыкальноеиздательство*, Москва, 1945, стр. 76).

ხელოვნების შესატყვისი რუსული სიტყვა искусство კარგად გამოხატავს ამ გარემოებას. სიტყვა искусство-ს ფუძე არის искус (ცდუნება). Искусство სიტყვასიტყვით არის მაცდუნებლობა. სიტყვა искушённый ნიშნავს გაწაფულს, ცოდნიერს. ვინც ცდუნდა, მან შეიმეცნო. შემეცნება არაა ცდუნების გარეშე. ხელოვანი თავისი პერსონულობის გამომხატველია და ბოლოს ხედავს, რომ იგი მაინც სათამაშოა ბედისწერის ხელში. ეს აზრი მკვიდრობს „სატანის ელექსირში“.

თავად ჰოფმანისეული დემონია მრავალსახოვანია და სხვაგვარად შეუძლებელია რომ იყოს. ჰოფმანის ირონია და სარკაზმი შემოქმედებითი და არა იავარმქმნელი ძალის მქონეა. ჰოფმანის ირონია სატანურია (მაცდუნებელია). აქ მხოლოდ ის კი არ არის, რომ სიმწრით გაგეცინოს რესტავრირებულ მონარქიასა და კლერიკალურ ტრიუმფზე. ამ ირონიაში, ამ სატირულ მხილებაში არ იკარგება, არ უფერულდება დიდი მიზანი – რომანტიკული უნივერსალიზმის აღსრულება. ეს მიზანი რომანტიზმის ფარგლებს შორს სცდება. ჰოფმანის სატირა რომანტიკული უნივერსული კაცის ხორცშესხმას ემსახურება და არა ყველაფრის გაქიაქებასა და გააბუჩებას, როდესაც მარქსიზმ-ლენინიზმის გმობამ ყვლაფერი გადაიყოლა. ეს გააკეთა XX საუკუნის 90-იანი წლების პოსტმოდერნიზმმა. ჰოფმანის ირონიას იდეალი აქვს დასახული. ასევეა ნიცშეს ირონია, რომლის იდეალი ისაა, რომ ჰხამს ზეკაცის შექმნა. ჰოფმანის და ნიცშეს ტიტანური უარმყოფლობა შემოქმედებითია. მათ ირონიას მხატვრული თვითმყოფადობის, ავტარკიულობის უნარი აქვს. ეს არის ტელეოლოგიური (მიზნისკენ მსწრაფი) ირონია. ნიცშეს ზარათუშტრა

ამაში დაგვარწმუნებს. პოსტმოდერნიზმის ირონიას არც რამ მიზანი და არც იდეალი არ ჰქონია. პოსტმოდერნული თავისუფლების აპოლოგია ყოველივეს ერთურთში არევა და ყოველგვარი მიზნის უარყოფაა. პოსტმოდერნისტული ნეგატივიზმი არ ყოფილა დემონური და ჭეშმარიტი ხელოვანის დილემა, რაზეც ზემოთ ვთქვი, პოსტმოდერნისტებთან არ მდგარა. ეს იყო ილუზიების შემქმნელი აკადემიური ტაკიმასხრობა, რომელისთვისაც ბიბლიაც კი ვერბალური ჟონგლიორობის საგანი იყო. პოსტმოდერნიზმმა შექმნა ქრისტიანობის პროფანაციის ციკლი. პოსტმოდერნულ იმპროვიზაციებს კიდევ უფრო განაცხოველებდა საბჭოთა იმპერიის დაშლა და ათეიზმის დეკლარაციული გაკილვა. აღმოჩნდა, რომ, ვინც იცინოდა და უარყოფდა, ის, გარდა იმისა, რომ უმეცარია, უარყოფილზე უარესია. ახლა თავად ცხოვრება იცინის მასზე. სატირასა და ირონიას უნდა ჰქონდეს მიზანი. თუ მიზანი არ არის, მაშინ უარმყოფლობას დროის მდინარება უარყოფილის გამართლებად გადააქცევს. საქართველოში ბევრჯერ მოხდა ასე. სულის დისციპლინის არარსებობის გამო ეს ვერაა დანახული და გაგებული.

აქვე ისიც სათქმელია, რომ თუ იდეალად დასახულია სოციუმის მოწყობა რაციონალურ, ლიბერალურ საფუძველზე, ამის მიღწევის შემდეგ ვხედავთ, რომ ეს მინაღწევარი რაციონალურ სახეს ჰკარგავს. ის ყოველთვის ირონიის მომგვრელია. ეს მინაღწევარი თავისი დამთრგუნველი სინამდვილით, თავისი ყოფნობით იქცევა ირაციონალურ მოვლენად. განა ამის მომსწრენი ჩვენ არ ვართ დღეს, როცა ლიბერალ-დემოკრატიზმის იდეალი ქიმერად იქცა? ახლანდელი ლიტერატორის თვალი ამას უნდა ამჩნევდეს. ჰოფმანმა უწყოდა ცხოვრების ეს მზაკვარება და ამაზეა მისი „ნამცეცა ცახესი“, ასევე რომანი „კატა მურის ცხოვრებისეული ფილოსოფია“. კიდევ ერთხელ მივმართავ ლევ შესტოვს: «Философия должна жить сарказмами, насмешками, тревогой, борьбой, недоумениями, отчаянием, великими надеждами...» (Т. 6, стр. 48).

ჰოფმანის მოჯანყებრივი ხელოვნება ლამობს მაიას ბურის იქით გაჭრას, რაციონალიზმის კანონების უარყოფას. ამ მოჯანყე ხელოვნებას ადამიანი გაჰყავს დავიწყებული მითურისა და ფანტასმაგორიულის სამყაროში. ჰოფმანის შემოქმედებაში იშლება ზღვარი ნამდვილსა და წარმოსახვითს შორის, შესაძლებელსა და შეუძლებელს შორის. რაციონალიზმის დიდი კრიტიკოსი ნიცშე ამბობს, რომ პატარა ადამიანებს არ შეუძლიათ მოწიწებით განიმსჭვალონ დიდი უბედურების, დიდი სიმახინჯის და დიდი ხელნაცარავობის წინაშე. ჰოფმანი და ნიცშე იმითაც არიან ახლონი, რომ ორთავენი იგვემნენ ცხოვრებაში. ორთავენი ავადმყოფები იყვნენ. ხარკი უნდა გაიღოს მოკვდავმა, თავისი თავით უნდა ზღოს, რომ იყოს ისეთი შემოქმედი, როგორიც არის თეოდორ ჰოფმანი, როგორიც არის ფრიდრიხ ნიცშე. საღ განსჯად და საღ აზრად წოდებული ბანალობით ვერ იქნები მოჯანყე შემოქმედი, თიმოტური პერსონა. ნებადართული ნონკონფორმისტობა, როგორც ეს იყო გასული საუკუნის 90-იან წლებსა და ამ საუკუნის დამდეგს, არაფერს ნიშნავს. მას არაფერი შეუქმნია ლიტერატურასა და ფილოსოფიაში.

მკითხველი ჯერ უნდა შეეჩვიოს ჰოფმანის სამყაროს სიძნელეს, რათა შეიცნოს უცნაურ პერსონაჟთა ნაქმი. მკითხველს ესაჭიროება ფილოსოფიური შეყვანება ჰოფმანთან საზიაროდ. მხოლოდ ეგ არ კმარა, რომ მკითხველმა რაღაც შეიტყოს გერმანული რომანტიზმის ფარვატერში მდგარ ჰოფმანზე და ამით დამთავრდეს. ჰოფმანი გვასწავლის სასწაულის მოლოდინს, უცნაურს მიმთხვევას.სტუდიოზუს ბალთაზარს, რომელიც ბუნებისმეტყველ პროფესორთან, მოშ ტერპინთან დადის სალექციოდ, სწამს შეუცნობელისა და მოელის მას. ბალთაზარი უამბობს მეგობარ ფაბიანს, რომ მოშ ტერპინის ლექციები და საბუნებისმეტყველო ცდები მას შიშს ჰგვრის და ეს ცდები მას ღვთის დაცინვად მიაჩნია. ბალთაზარი იტყვის, რომ მას ხშირად ჰქონია სურვილი დაემტვრია პროფესორის კოლბები და სინჯარები. მოგვიანოდ ბალთაზარი ეუბნება პულხერს, რომ მას ესმის უცხო ხმა, რომელიც აუწყებს, რომ ბალთაზარი მისდათავადაა სასწაული, ჯადოსნური მიკროკოსმოსი მეუფებს მასში და აიძულებს მას ათასგვარი უცნაურობისა და გარდარევისათვის. ბალთაზარს ესმის ყვავილთა და ნაკადულთა ხმები. სულაც არაა ისე, რომ ყველაფერს ლოგიკური ახსნა მოეძებნება, როგორც ამას ბალთაზარის მეგობარი სტუდენტი ფაბიანი ამტკიცებს.ფაბიანი მიუთითებს საღ აზრზე (gesunden Vernunft) და მისი მსჯელობა ლოგიკოსის სკეფსისია, რომელიც უარყოფს sogenannte Wunder-ს (ეგრეთწოდებულ სასწაულს).ფაბიანი ბალთაზარს ჩინებულ მელანქოლიკუსს (vortrefflichster Melancholikus) უწოდებს. ყოველივე შეუცნობელი, რაც განათლების სახელით განიდევნა, არის „წყეული კონტრაბანდა“,

რომელიც მთელი სისრულით წარმოჩნდა ცინობერის მოვლინებითა და აღზევებით. თავადმა პაფნუტიუსმა შემოიღო განათლება და შეუცნობელი განდევნა, მაგრამ ის მაინც შემოიპარა და მაქციებრ ჰგია მუნ. ჯადოქარი ალპანუსი განმანათლებლად გარდასახულა და ავრცელებს წიგნებს განათლებაზე. ასე ფარავს ის თავის ვინაობას. ეს ასეა, რომ მისტიკოსმა გაავრცელოს წიგნები რაციონალიზმსა და მეცნიერულ ჭეშმარიტებებზე.

ჰოფმანი გვასწავლის სრულ შთაგრძნობას, საგანში შესვლას. ასეა ბამბერგში ყოფნისას დაწერილ მის პირველ ნოველაში „რაინდიგლუკი“ (Ritter Gluck, 1809). ეს ნოველა იწყებს მის კრებულს „ფანტაზიები კალოს მანერით“ (Fantasienstücken in Callots Manier, 1814-5). აქ პერსონაჟი არის უცნობი ვირტუოზი მუსიკოსი, რომელიც უბადლო იმპროვიზატორია კრისტოფ გლუკის (1714-87) საფორტეპიანო ნაწარმოებთა შესრულებაში. მან უნოტოდ შეასრულა უვერტიურა და ფინალური სცენა გლუკის ოპერიდან „არმიდა“, რომელიც შეიქმნა ტორკვატო ტასოს პოემის მიხედვით. უცნობი მუსიკოსი მთელი თავისი არსებით შესულია გლუკის მუსიკაში. ესაა вживание в образ, sich einlebenin species. ამ მოთხრობის რომანტიკული პერსონაჟი ავტორთან საუბრისას თავის თავს უწოდებს რაინდგლუკს. ის გამოდის როგორც კრისტოფ გლუკის ორეული, მისი უცნობი ინკარნაცია. ის ეუბნება ავტორს, რომ გარშემომყოფნი ვერ ერკვევიან მუსიკაში. ბერლინი იყო la capitale de la musique (მუსიკის დედაქალაქი) და თურმე, ჰოფმანის გმირის ნამსჯელით, აქ არ ესმით მუსიკა და მასზე ვერვისთან ილაპარაკებ. აქ არ შეიძლება არ გაგახსენდეს „კრაისლერიანა“, სადაც მაიმუნი მოლო უკრავს ფორტეპიანოზე, მღერის და ლაპარაკობს. ეს არის ჰოფმანის ირონია იმის გამო, რომ მუსიკა არ ესმით და მუსიკოსობენ. „კრაისლერიანაში“ განიხილავს ჰოფმანი მოცარტისა და ბეთჰოვენის მუსიკას. ამ მოთხრობას („რაინდი გლუკი“) ეტყობა, რომ მუსიკოსის დაწერილია, ისევე, როგორც მოგვიანო მოთხრობებს ეტყობა თეატრის კვალი.მუსიკის სიძნელეთ ეძღვნება ნოველა „ფერმატა“, დიალოგი „პოეტი და კომპოზიტორი“ (Der Dichter und die Komponist, 1819), ასევე ნოველა „Ombra adorata“ (იტალ. – გაღმერთებული ჩრდილი. ეს ერთი არიის სახელწოდებაა),მოთხრობა „მრჩეველი კრესპელი“ (Rat Krespel, 1818), „სერაპიონელი ძმების“ I ტომიდან. „მრჩეველ კრესპელში“ თეოდორ ამადეუსი ახსენებს თავის ერთ-ერთ საყვარელ კომპოზიტორს, დი ლეო ლეონარდო ორტენზიო სალვატორეს (1694-1744). „კრაისლერიანა“ ნახსენები აქვს შარლ ბოდლერს(ჰოფმანის მსგავსად ისიც 46 წლისა მოკვდა) თავის ნაშრომში „ხელოვნური მტილოვანი“ (Les Paradis artificiels, 1860, თავი: Du vin et du haschisch (ღვინო და ჰაშიში)). ბოდლერს აქ ნათქვამი აქვს du divin Hoffmann (ღვთაებრივი ჰოფმანი).

„კრაისლერიანას“ მეორე თავში ჰოფმანი განიხილავს ბეთჰოვენის ინსტრუმენტულ მუსიკას და ამბობს, რომ მისი მუსიკა ეხება ძრწოლას, ვარამს და აღძრავს სწორედ იმ უსასრულო სწრაფვას, რაიც არის რომანტიზმის არსი. ჰოფმანი ასკვნის, რომ ბეთჰოვენი წმინდა რომანტიკული კომპოზიტორია. ნოველაში „ავტომატები“ (Die Automate, 1814) (შესულია „სერაპიონელი ძმების“ მე-2 ტომში), სადაც თურქულად გამოწყობილი მანქანა მისნობს, ლუდვიგი ამბობს, რომ მექანიკურ მუსიკაში, რომელსაც ასრულებენ ავტომატები, ის ხედავს რაღაც საშინელს. თოჯინებს შეუძლიათ იცეკვონ ადამიანებთან ერთად და ადამიანი ხის თოჯინასთან ერთად იცეკვებს დარბაზში. ამ თემას ჰოფმანი გაშლის 1816 წელს დაწერილ ნოველაში „ქვიშის კაცი“. ირღვევა გონითი პრინციპი (das geistige Prinzip). ლუდვიგი კითხვას აყენებს: არის კი მანქანების მიერ შესრულებულ მუსიკაზე უფრო უღმერთო და საძაგელი რამ? ლუდვიგის პირით ამბობს ჰოფმანი, რომ სულის საღვაწო არის მუსიკა და მექანიკოსების სწრაფვა, შექმნან ადამიანის ორგანოების ზუსტი ასლი და წარმოქმნან ჰანგები, არის ღია ომი სულის წინააღმდეგ. ჰოფმანს რომ ენახა, როგორ ქმნის მელოდიას კომპიუტერული პროგრამა, სადიჯეო აპარატურა, ნეტავი რას იტყოდა?

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

მანფრედ ჰალერი

ქრისტე – ღმერთის საიდუმლო
ხელახლა აღმოჩენა სახარებისეული თემის ცხოვრებისა

ახალი აღთქმის სინამდვილე

ამ წიგნში გვსურს ჩავუღრმავდეთ საკითხს, თუ რაში მდგომარეობს ახალაღთქმისეული გამოცხადების საკუთრივი შინაარსი, თუ რამდენად დაშორდა ამ შინაარსს ქრისტიანობა და რა არის გასაკეთებელი იმისთვის, რომ თავიდან მოვიპოვოთ იგი. ის რომ, დღევანდელი ქრისტიანობის მდგომარეობა დიდად განსხვავდება სახარებაში აღწერილისაგან, ბიბლიის მკითხველთა უმრავლესობას, უეჭველია, კარგა ხანია, თვალში ხვდება. მისთვის, ვინც ქრისტიანულ წრეებშია აღზრდილი, ცნობილია უამრავი მიზეზი, თუ რატომ არის დღეს ასე და რატომ არ შეიძლება, ძველებურად ყოფილიყო. ამდენი ბიბლიის გაკვეთილებით, წიგნებით, მოხსენებებით, კონფერენციებით, ბიბლიური სკოლებითა და ევანგელიზაციებით ისე გავიწაფეთ, ქრისტიანობის დღევანდელ ფორმებს მოცემულობად მივიჩნევთ და წმინდა წერილის გამონათქვამებს ისე განვმარტავთ, რომ დღევანდელობას მიესადაგონ. ცხადია, ბევრია ბევრი რამით უკმაყოფილო; ცხადია, უამრავი წინადადებაა, თუ როგორ უნდა შეიცვალოს მდგომარეობა, უამრავი კონცეფცია თუ იდეა არსებობს. არსებობენ უამრავი ჯგუფები და მოძრაობები, რომლებიც ცდილობენ, დენომინაციებისა და ინსტიტუციების ისტორიულად ჩამოყალიბებული სქემა გაარღვიონ და რაღაც ახალი გაბედონ. მაგრამ ყველა ერთსა დადა იმავე შეცდომას უშვებს: ყველანი ამოდიან რაღაც გამაიდეალებელი წარმოდგენებიდან და საკმაოდ რადიკალურად არ სვამენ კითხვას თავდაპირველი სახარებისეული სინამდვილის შესახებ, იმ კანონზომიერებათა შესახებ, რომლებმაც ეს სინამდვილე შექმნეს, იმ ძირეული პირობების შესახებ, რომელთა წყალობითაც ეს სინამდვილე შეიძლება აღორძინდეს, განვითარდეს და შენარჩუნდეს. ისინი ამოდიან არა ზეციური სინამდვილიდან, რომელიც ქრისტეშია მოცემული, არამედ ისტორიული მდგომარეობებიდან, პირობებიდან და ცნობიერებიდან.

ვერაფერს მოგვიტანს მოციქულთა საქმეების ზოგი ადგილის ციტირებით „თაურქრისტიანობის“ დახატვა, რომელსაც ისეთს, როგორსაც ჩვენ წარმოვიდგენთ, არასოდეს უარსებია და რომელსაც ვითომ უნდა დავუბრუნდეთ. მეორეს მხრივ, არც ქრისტიანობის ისტორიულ ხატს უნდა ჩავებღაუჭოთ და მის დაკონსერვებასა და აღდგენას შევეცადოთ. არა. რადგანაც: გადამწყვეტად ქრისტიანულს, იმას, რაც მოციქულებსა და წინასწარმეტყველებს გამოეცხადათ, არაფერი აქვს საერთო ისტორიულ განვითარებასთან, ის არასოდეს დაქვემდებარებია ისტორიულ პირობებს, არამედ: მუდამ მხოლოდ სულიერ სინამდვილეებს წარმოადგენდა, რომლებსაც აღდგომის სახარებისეულ განზომილებაში აქვთ ფესვი გამდგარი, და მხოლოდ „აღდგომაში“ ან, პავლეს ერთი ძალზედ მნიშვნელოვანი გამოთქმა რომ გამოვიყენოთ, – „ქრისტეში“ შეიძლება იქნენ განცდილნი. აი, ამ საკითხებს გვსურს ჩავუდგეთ კვალში, ძირეულად გავიაზროთ ისინი და ამის შემდეგ შევუპირისპიროთ დღევანდელ მდგომარეობასა და ტენდენციებს. თუ ღმერთი შეგვეწია, ორი რამეს მივაღწევთ: 1. თვალებიდან ლიბრი გადაგვეცლება და დავინახავთ, თუ რა „ღრმად“ გადაგვიხვევია ღმერთის განზრახვისა და მისი მარადიული გეგმის გზიდან. დავინახავთ, თუ რა ცალმხრივად და ზედაპირულად ისწავლებოდა და გადმოგვეცემოდა სახარებისეული ჭეშმარიტებები, და რა გულგრილად ვიტანდით ამას. 2. ჩვენში გაიღვიძებს მოთხოვნილება, მთელი ძალისხმევით შევეწიოთ ღვთაებრივი პრინციპების, ღმერთის სურვილებისა და წარმოდგენების ზუსტად დაცვას და განხორციელებას. თუკი ეს ნაწერი ამას მოახერხებს, თავის ამოცანას შესრულებულად ჩათვლის.

ახალი აღთქმის სინამდვილე

ახალი აღთქმის სინამდვილედ მივიჩნევთ იმ გამოცხადებათა შინაარსებს, რომლებიც მოციქულებმა და წინასწარმეტყველებმა ღვთის სულისაგან მიიღეს და თავიანთ ნაწერებში ასახეს. ხაზს ვუსვამ: *გამოცხადებებს* ეხება საქმე.მოციქულებმა იმ შემეცნებას, რომელსაც ფლობდნენ, ადამიანური აზროვნებისა და კვლევა-ძიების შედეგად როდი მიაღწიეს, როგორც ეს დღეს ხდება ქრისტიანული აქტივობების მთელ ველზე. არა. ეს ცნობიერება უეცრად შეიჭრა მათ ცხოვრებაში; იერიში მიიტანა მათზე და შეიპყრო ისინი; და დააყენა ეს ადამიანები გადაწყვეტილების წინაშე: ან „ზეციურ ჩვენებას“ გაჰყოლოდნენ, ან უმნიშვნელო ყოფიერებაში ჩაძირულიყვნენ. გამოცხადებებში ისინი ღმერთის აბსოლუტურ ავტორიტეტს შეხვდნენ. რასაც ისინი ხედავდნენ და რამაც ისინი შეიპყრო, – ღვთაებრივი გარკვეულობითა და სინამდვილით იყო აღბეჭდილი.და ჩვენ აღგვძრავს და გვრჯის ეს კითხვა: რა გაუცხადდა ეგზომ ავტორიტეტულად ამ ადამიანებს? რას ხედავდნენ ისინი? რამ შეიპყრო ისინი ასეთი ძალით, რომ ყველაფერი მიატოვეს და თავიანთი სიცოცხლესამსხვერპლოზე მიიტანეს?სულიერ სფეროში საგნები ისე არსებობენ, როგორც ისინი არსებობენ ღმერთის წინაშე, როგორც ღმერთს ისინი ესმის. იმდენად მივეჩვიეთ ღვთაებრივ და „სულიერ“ ამბებზე საკუთარი აზრების ქონას, რომ ძალიან გვიჭირს დაჯერება: საგნების ჩვენეული ხედვა შეიძლება სულაც არ ემთხვეოდეს ღმერთისას. ყველას კარგად გვახსოვს: „რადგან ჩემი ზრახვები თქვენი ზრახვები არ არის და თქვენი გზები ჩემი გზები არ არის“ (ესაია 55,8). დიახ, ყველამ ვიცით ეს სიტყვა, მაგრამ როდი ვაცნობიერებთ მას. ამ სიტყვის ჭეშმარიტ აზრს როდი ვუშვებთ ჩვენამდე.ჩვენ ვცვლით მის შინაარსს და უპასუხისმგებლო ზედაპირულობით ვაცხადებთ: „ჩვენი გზები, დიახაც, რომ ღმერთის გზებია, სხვაგვარად იგი ასე ხშირად და ისევ და ისევ არ გვაკურთხებდა წარსულში“. ის, რომ ღმერთი ჩვენ გვლოცავს, სულაც არ ნიშნავს, რომ გვეთანხმება. ის თავის ნათელს თანაბრად აფენს კეთილს და ბოროტს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ თანხმობაშია ბოროტებასთან. ჩვენ ისევ და ისევ უნდა ვისწავლოთ გაფაციცებით მოსმენა, დიდხანს მოსმენა, ზუსტად გაგონება და ნაჩქარევი დასკვნებისაგან თავის შეკავება. მაშინაც კი, როცა გვგონია, რომ რაღაცას ზუსტად ჩავწვდით, გონივრული იქნება, თუ კიდევ მოვიცდით და კიდევ ერთხელ მივუგდებთ ყურს, იქამდე, ვიდრე ის მოხდებოდეს, რაც მოციქულებსა და წინასწარმეტყველებს ემართებოდათ: ვიდრე ის, რაც გაგვეცხადა, ისეთი ძალით, ისე ავტორიტეტულად აზვირთდეს ჩვენში, რომ მას ვერაფრით ვეღარ ავარიდოთ თავი. აი, მხოლოდ ამ დროს ვეხლებით სულიერ სინამდვილეს. (და აქ ნათელი ხდება, რომ ასეთი საგნების უბრალო შეცნობას თუ ამოკითხვას ვერ მივყავართ თავად სულიერ სინამდვილეებთან. ჩვენ მალევე ვიტყუებთ ხოლმე თავს. რასაც ჩვენ წმინდად ინტელექტუალურად „ვწვდებით“, ეს არის მხოლოდ ცოდნა ასეთ სინამდვილეთა შესახებ. მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს სინამდვილე შეგვიპყრობს, როცა ძალაუფლებას იღებს ჩვენზე, – ნამდვილად ვეხლებით მას). სულიერი სინამდვილეები ეს არ არის შეხედულებები, რაღაც საგნებზე რომჩამოვიყალიბებთ ხოლმე და მერე მათთან ვაიგივებთ თავს. არა. ძალზე ხშირად ეს სინამდვილეები შეარყევენ ხოლმე ყველაფერს, რასაც ვფიქრობდით, რაც გვეგონა, რაც შეცნობილი გვქონდა, რაც გვწამდა. სულიერი სინამდვილეები ჩვენ გვაყენებენ ღმერთის უშუალო აწმყოში; ისინი გვაშიშვლებენ, სინათლეში გავყავართ. ადამიანური მოსაზრებები მათ წინაშე ემხობიან. ჩვენ იმდენად ვართ ამოვსებულები, იმდენად ვართ ფორმირებულნი ჩვენი აღზრდით, ისტორიით, საერო და სასულიერო გარემოთი, რომ ღმერთი ხშირად ძალზემძაფრად უნდა მოგვექცეს, რათა ჩვენი ილუზიები გაანადგუროს. მაგრამ ამგვარი შეჯანჯღარებები ჩვენს განკურნებას ემსახურება. ისინი გვათავისუფლებენ მრავალი ბალასტისაგან და გზას გვიხსნიან ღმერთის სინამდვილეებისა და მისი ახალი შესაქმისაკენ. ამ ნაშრომში კრიტიკას არ ვესწრაფვით. კრიტიკით ვერავის უშველი. მაგრამ საგნების უფრო მკაფიოდ წარმოსაჩენად ზოგჯერ კონტრასტების ჩვენება ხდება აუცილებელი. ვიდრე სახარებისეული გამოცხადების ცალკეული ასპექტებისა და შინაარსების გამოკვლევას, და თუ ღმერთი ინებებს, მათ ხელახლა მოპოვებას შევუდგებოდეთ, ზოგი ცნების განმარტება მოგვიწევს.

რა არის ახალი აღთქმის სინამდვილე?

უპირველესად ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაირკვეს, რომ ყველაფერი, რაც სახარებაშია, არ არის ახალაღთქმისეული. ეს აზრი ნამდვილად უწყინრად, დიახ, ბანალურადაც კი მოჩანს, მაგრამ შორსმიმავალ შედეგებს იწვევს, როცა მას სახარებისეულ ამბებზე საშუალო ქრისტიანის შეხედულებებს შევუპირისპირებთ ხოლმე. მათეს, მარკოზის, ლუკასა და იოანეს სახარებები ახალაღთქმისეულია? მოციქულთა საქმეები თავისი არსით ნამდვილად ახალაღთქმისეულია?თუკი ასეთი კონკრეტული შეკითხვების დასმას დავიწყებთ, დავინახავთ, რომ ჩვენი დებულებები არც ისე თავისთავად ცხადია.

რეფორმატორული ეკლესიები დიდხანს ქადაგებდნენ და დღესაც ქადაგებენ უპირატესად სახარებებიდან. და თუ პროტესტანტებს (და ეს კათოლიკეთა უმრავლესობასაც ეხება) შეეკითხები, რა იციან ახალი აღთქმის შესახებ, – უმეტესად ოთხ სახარებაში აღწერილ ამბებს დაგისახელებენ: სასწაულებს, განკურნებებს, საუბრებს, იესოს სიკვდილსა და აღდგომას. ამიტომ გახდა შესაძლებელი, რომ თანამედროვე ლიბერალიზმმა ასე ფართოდ და თითქმის უბრძოლველად მოიკიდა ფეხი ჩვენს ეკლესიებში. რადგან: სახარებებში იესო ხომ უპირველეს ყოვლისა „ძე კაცისაა". ის არის ადამიანი Par excellence. მისი საქმეები ქველმოქმედებაა, მისი საქციელი და პოზიცია განსაცვიფრებლად უახლოვდება რევოლუციურს. ასე რომ, საკმაო მასალაა იმ ხალხისთვისაც, ვისაც არ სწამს ის, როგორც ღვთის ძე.

მაგრამ ფუნდამენტალიზმისა და ლიბერალიზმის პარალელურად არსებობს მრავალი სხვა მიმართულებაც, რომლებიც, მარტივად თუ დავინახავთ, დადიან და ამტკიცებენ, ზემოხსენებული ეკლესიებისა და ქრისტიანული თემებისაგან განსხვავებით, ჩვენ „სრულ" სახარებას წარმოვადგენთო. მაგალითად, ქარიზმულმა მოძრაობამ მეოცე საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული ბევრი სალაპარაკო და საწერი მისცა ხალხს და ახლაც აძლევს. ის იქცა უმძაფრესი სულიერი ბრძოლების მიზეზად (და მოწინააღმდეგების მხრიდანაც უსაშველოდ მცდარი განსჯები გამოიწვია). ახლავე უნდა ითქვას: მე მჯერა, რომ ქარიზმული სულიერი გამოვლინებები, როგორც ეს აღწერილია ახალ აღთქმაში, და როგორც მათ ძალზე შთამბეჭდავად მეოცე საუკუნეშიც ამოყვინთეს (ეს მოვლენები ეკლესიის მთელ ისტორიას მიჰყვება, და მაშასადამე, ბოლომდე არასდროს გამქრალა), იმ აღდგენით-ამაღორძინებელი სამუშაოს ნაწილი იყო და არის, რომელსაც ღმერთი ახორციელებს. მაგრამ შეცდომაა, როდესაც ძველი თუ ახალი ქარიზმული მოძრაობა სულიერი განვითარების დასასრულად და მწვერვალად ცხადდება, როცა სწამთ, თითქოს სახარებისეული ქრისტიანობის მთელი აზრის მოსაპოვებლად საკმარისია მხოლოდ სულიერი ნიჭები და უპირველეს ყოვლისა, ენებით ლოცვა. ჩვენ დავინახავთ, რომ ეს მოვლენები, მართალია, მუდამ ახლდნენ ნამდვილ სულიერ ამოფრქვევებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც უფრო ქრისტიანული გამოცდილების გზისპირს განეკუთვნებიან. უპირველესად კი, ისინი არ წარმოადგენენ სახარებისეული გამოცხადების არსებით შემადგენელ ნაწილს.

და მაშ როგორ არის ქარიზმული მოძრაობის საქმე? ის ხომ ამბობს და თან დაჟინებით, რომ სრულ და ერთიან სახარებას გვაუწყებს, და, რა თქმა უნდა, ხელახლა დაბადებას და ნათლობას, ამასთან სულიერ ნათლობას გულისხმობს მთელი მომდევნო შედეგებით, რომელთა შორის პირველ ადგილას დგას ენებით ლოცვა, წინასწარმეტყველება და განკურნებები. თითოეულ ამ ცნებაზე საუბარს წიგნის მთელი თავი დასჭირდებოდა, მაგრამ იმის საჩვენებლად, რომ ქარიზმული მოძრაობა, მისი მთელი დინამიკის მიუხედავად მაინც ძალზე დაშორებულია იმას, რასაც ჩვენ „სახარებისეულს" ვუწოდებთ, – რწმენით განკურნების ფენომენზე ვისაუბრებ.

არგუმენტები სნეულთა განკურნების თაობაზე უმეტესად სახარებაში ან ძველ აღთქმაში გვხვდება (ესაია 53; ფსალმუნი 103; მალაქია 4:2; მოსე 15 და სხვ.). ზოგი ამტკიცებს, რომ სნეულთა განკურნებას, ისევე როგორც ცოდვათა მიტევებას თავისთავად შეიცავს ჯვარზე აღსრულებული საქმის შინაარსი. ვინც გოლგოთას ცოდვათა მიტევებასთან აკავშირებს, მაშინ სნეულთა განკურნებასთანაც უნდა დააკავშიროსო. და ისე შორს მიდიან, რომ ცოდვების მიტევებას და სნეულთა განკურნებას ერთმანეთთან ათანაბრებენ და ამტკიცებენ, ვინც მიტევება მიიღო, ის განკურნებულიც არის და ავად აღარ უნდა გახდესო. არ მინდა აქ სნეულთა განკურნების თაობაზე რეფერატი წარმოვადგინო, მაგრამ მსურს ამ მაგალითზე ნათელვყო, თუ რა დასკვნებთან შეიძლება მივიდეს ადამიანი, რომელმაც არ იცის, რა არის არსებითად სახარებისეული და

რა – აგრეთვე ძველი აღთქმის შემადგენელი ნაწილი. რადგანაც ესაიასთან (53,4) ნათქვამია, რომ „ იტვირთა მან ჩვენი სნეულებანი და ჩვენი ტკივილებით გაიტანჯა“, – ასკვნიან, რომ იესომ სნეულებანი და ტკივილები, ზუსტად ისევე როგორც ჩვენი ცოდვები, იტვირთა და გააკრა ჯვარზე. მაგრამ სულიწმიდამ თავად გადაწყვიტა საკითხი. მათესთან (8,17) ხდება სწორედ ესაიას ამ სიტყვების ციტირება: „მან თავად აიღო ჩვენი უძლურებანი და იტვირთა ჩვენი სნებანი.“ აქ იესო თავისი საჯარო მოღვაწეობის დასაწყისთან დგას, როდესაც ადამიანთა დიდ-დიდი ჯგუფები დასდევენ უკან და ისიც უამრავს კურნავს. ჯვარი ჯერ ძალიან შორსაა. *იესო აქ კურნავს არა თავისი, გოლგოთაზე განხორციელებული, საქმის წყალობით, არამედ თავისი ღვთაებრივი განჩინებისა და ღვთისძეობის ძალით.* იგი წარმოადგენს „ძეს კაცისა“, როგორც ეს დანიელმა იხილა, მესია, მეუფე მომავალი ღვთის საუფლოსი, სადაც არანაირი სნეულება, ტკივილი და ტანჯვა აღარ იარსებებს. მისი მოღვაწეობა, განსაკუთრებით მათესთან, მთლიანად მოახლოებული ცათა სასუფევლის ნიშნით არის აღბეჭდილი. და იესოს ამ საქმესთან აკავშირებს სულიწმიდა ესაიას ამ სიტყვებს. ხომ ვხედავთ, რა მცდარ დასკვნებთან შეიძლება მივიდეს ადამიანი, როდესაც ბიბლიას თვითნებურად განმარტავენ და საკუთარ სურვილებს არგებენ. ჭეშმარიტებაა, რომ იესო კურნავს. და ის კურნავს დღესაც. მაგრამ იმიტომ კი არ კურნავს, რომ ჯვარზე მოკვდა, არამედ ის კურნავს, რადგანაც მესიანური ღვთის საუფლოს მეუფეა. მისი განკურნებანი წარმოადგენენ იმ მდგომარეობის ნიშნებს, შემოჭრას და წინსწრებას, რომელიც დადგება მხოლოდ მაშინ, როდესაც „პირველი სოფელი“ გადაივლის. თითოეული განკურნება არის უფლის ახალი, პიროვნული ჩარევა ადამიანის ბედში, მიმართვა ადამიანისადმი და არასოდეს შეიძლება რაიმე მოძღვრებით მისი აბსოლუტიზაცია და ავტომატიზაცია. ვიდრე ეს „პირველი სოფელი“ არსებობს, სნეულება დარჩება ჩვენი გამოცდილების შემადგენელ ნაწილად; ვიდრე ჩვენ ქრისტიანები სხეულებით ვართ შემოსილები, ავადმყოფობისა და ფიზიკური სიკვდილის გავლენის ქვეშ დავრჩებით. მაშასადამე, ვხედავთ: ის, რასაც „მთლიან სახარებას“ უწოდებენ, არსებობს უკვე მაშინ, როდესაც არსებითად სახარებისეული, არსებითად ახალაღთქმისეული ჯერ არ შემდგარა. ჯვარი და მკვდრეთით აღდგომა ჯერ არ განხორციელებულა. მაშასადამე, ასეთ მოვლენებს მხოლოდ სახარებისეულს ვერ ვუწოდებთ. განკურნებანი ძველ აღთქმაშიც ხდებოდა; სასწაულები და ნიშნები სამყაროს შექმნის დღიდან მოჰყვებოდა ადამიანს. ქარიზმული წინასწარმეტყველება სამუელის დროიდან არსებობდა. სულიერი აღჭურვა განსაკუთრებული დავალებებისა თუ მსახურებების შესასრულებლად ძველ აღთქმაშიც გვხვდება და ახალშიც, და თან ცად ამაღლებამდეც (სამსონი, ელია, ელისი, ეზეკიელი, დანიელი, ელისაბედი, ზაქარია და სხვ.). ერთადერთი ნამდვილად ახალი ენებით ლოცვა უნდა იყოს, და ქარიზმული მოძრაობაც იმიტომ ანიჭებს მას ამხელა მნიშვნელობას. მაგრამ თუ ეს მოვლენა ებრაული კულტურული წრეებისათვის ახალი შეიძლება ყოფილიყო, – გლოსოლალია (გაუგებრად ლაპარაკი რელიგიური ექსტაზის დროს. – მთარგ.) ხომ ცნობილი იყო წარმართული მისტერიებისა და კულტებისათვის ქრისტემდე ბევრად ადრე, და ხომ დღემდე ხორციელდება ზოგ აზიურ კულტსა და მედიტაციის ფორმებში.

სულაც არ მსურს ამ საგნების მნიშვნელობის დაკნინება. მე მხოლოდ ის მრჯის, რომ სრულიად აუცილებლად მიმაჩნია, საგნები მათ ნამდვილ პერსპექტივაში დავინახოთ და წარმოვადგინოთ. მაშ, რა არის ნამდვილად ახალაღთქმისეული? რა არის იესოს მოსვლის მიზანი, ჯვრისა და მკვდრეთით აღდგომის, ადამიანის ხსნისთვის აღსრულებული მთელი საქმის შედეგი? ან სხვაგვარად რომ ვიკითხოთ: რა არის ის ნამდვილად ახალი, რაც ძველ აღთქმაში და სული წმიდის გადმოსვლამდე არ არსებობდა, რა არის არსებითად სახარებისეული?თუ ჩვენ გამოცხადების პოზიციიდან შევხედავთ, უეცრად დავადგენთ, რომ რომ სახარებები სინამდვილეში ძველი აღთქმის სივრცეს განეკუთვნებიან. პავლემ თავის კლასიკურ ყაიდაზე ეს ამგვარად გამოხატა: „და როცა მოვიდა სისავსე ჟამისა, მოავლინა ღმერთმა თავისი ძე, რომელიც დედაკაცისაგან იშვა, და დაემორჩილა იგი რჯულს რჯულის ქვეშ მყოფთა გამოსასყიდად, რათა მიგვეღო შვილობა“ (გალატ. 4:4). იესო ჯერ ისევ ძველ აღთქმაში მოვიდა, რათა თავისი სიკვდილითა და მკვდრეთით აღდგომით საფუძველი ჩაეყარა აბსოლუტურად ახალი კავშირისათვის, რომელიც სრულიად განსხვავებული იქნებოდა ძველისაგან. აქ მთელი სიცხადით არის ნათქვამი, რომ იესომ რჯულის ქვეშ იცხოვრა და რჯულის ქვეშ მოკვდა, რათა გამოესყიდა ისინი, ვინც რჯულს იყო დაქვემდებარებული. რა თქმა უნდა, ახალი აქა თუ იქ გაიბრწყინებს ხოლმე, და უპირველეს

ყოვლისა, იოანეს სახარებაში, სადაც სწორედ გამოცხადების პოზიციიდან არის მოთხრობილი ქრისტეს ცხოვრება. მაგრამ არ იქნებოდა სწორი, თუ იმის დასამტკიცებლად, რაც ქრისტიანულ თემს, ახალ შესაქმეს ეხება, სახარებებს დავიმოწმებდით, რადგან მათში ახალი ჯერ არ იყო განხორციელებული – ცხადია, იესო ქრისტე პიროვნების გამოკლებით! არის ერთი სიტყვა, რომელიც უბადლოდ შემოწერს ახალი კავშირის არსს. ეს გახლავთ აღთქმის გამომხატველი გამონათქვამი, იერემიასთან და ეზეკიელთან რომ გვხვდება: (იერემია 31:33; ეზეკიელი 36, 26-27), „რადგან ეს არის აღთქმა, რომელსაც დავუდებ ისრაელის სახლს იმ დღეების შემდეგ“, სიტყვა უფლისა, „მივცემ მათ ჩემს რჯულს და მათ გულებზე დავწერ ამას, და მე ვეყოლები მათ ღმერთად და ისინი მეყოლებიან მე ერად...“ (შეად. ებრაელთა 10, 16). ამ აღთქმაში ჩვენ გვაქვს გასაღები, ახალაღთქმისეული გამოცხადების გულისგული. ამ შუაგულიდან უნდა განვსაჯოთ და განვალაგოთ ყველაფერი, რაც ახალ აღთქმაში წერია. აქედან მივუჩენთ ყოველივეს თავის კუთვნილ ადგილს. ამ უშინაგანესი შუაგულიდან ცოცხლობს ქრისტიანული ერთობა, თემი, როგორც ქრისტეს სხეული, და მისი ყოველი წევრი, როგორც ქრისტეს სხეულის ნაწილი. აი, სწორედ ეს არის სრულიად ახალი რამ, სწორედ აქ ვიმყოფებით ჩვენ სრულიად ახალ გარემოცვაში. სწორედ ეს არის ის რაღაც, რაც დედამიწაზე არასდროს ყოფილა, და რაც ქრისტეს გარეშე, მისი სიკვდილისა და მისი მკვდრეთით აღდგომისგან მოწყვეტით, – აბსოლუტურად შეუძლებელია. ეს გამოცდილება, ეს ახალაღთქმისეული სინამდვილე გვიხსნის გზას ყველაფრისაკენ, რაზედაც მთელი ბიბლია მეტყველებს, ყველაფრისაკენ, რაც ღმერთსა და მის სიტყვას შეეხება, მთელი სულიერი სინამდვილისაკენ. და ზუსტად რას ამბობს ეს სიტყვა? ძველი აღთქმის ისტორია ეს არის ისტორია უთანხმოებისა ღმერთსა და მის რჩეულ ხალხს შორის. ხალხი შეადგენდა ერთ გენეტიკურ, ბიოლოგიურ მთელს. მოდგმის მამა იყო აბრაამი. და მხოლოდ და მხოლოდ ამ ხალხს უნდა მიკუთვნებოდა ყველა, ვისაც წინაპრად აბრაამი ჰყავდა. ამ ხალხს უნდა წარმოედგინა ღმერთი დედამიწაზე, მას უნდა განესახიერებინა ღმერთის არსი, ძალა, დიდება, სიდიდე, სიბრძნე და სიკეთე. დედამიწის ერებს ღმერთი ამ ხალხის საშუალებით უნდა შეეცნოთ. ამ მიზნით მისცა მათ ღმერთმა რჯული, კანონი, რომელიც მთლიანად შეესაბამებოდა მის არსს და გამოხატავდა მის ნებას. ამ გარეგან კანონს, რომელიც ურიცხვ მითითებას შეიცავდა, შესაძლებლობა უნდა მიეცა ღმერთისთვის, პიროვნულად ეცხოვრა თავის ხალხში და თავისი თავის მანიფესტაცია მოეხდინა. ღმერთის საცხოვრისი იყო „სალოცავი კარავი“, შემდგომში – ტაძარი, რაღაც „ხელთქმნილი“. მაგრამ უკვე ძველ აღთქმაში გრძნობდნენ, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ რაღაც წინასწარი, რაღაც დროებითი შეიძლებოდა ყოფილიყო. ღმერთის წყურვილი, ღმერთის გული რაღაც უფრო ყოვლისმომცველს, უფრო რადიკალურს ესწრაფოდა. ღმერთს სურდა ეცხოვრა არა ადამიანებს შორის და ადამიანებთან ერთად გარეგანი კანონისა და კულტის საფუძველზე, არამედ მას სურდა ადამიანში ცხოვრება; რადგან ამისთვის იყო ადამიანი შექმნილი (ღმერთის ხატად). ადამიანის გარდა არცერთ სხვა არსებას არ შეეძლო თავისი ბუნებით ღმერთის აღქმა და მიღება. ამიტომ მუშაობდა ღმერთი სხვა კავშირზე, რომელსაც პირველი უნდა გაეუქმებინა და გვერდზე გაეწია. ახალ კავშირს ადამიანთან ჰმართებდა განეხორციელებინა ის, რაც ვერ შეძლო პირველმა: ადამიანი თავად უნდა ქცეულიყო ღმერთის ტაძრად, მის წმინდა ალაგად; და არა ცალკეული ადამიანები, არამედ მათი ერთობა, თემი, ახალი კაცობრიობა: ახალი ადამიანი ქრისტეში (ეფესელთა 2,15). ამ ახლის განსახორციელებლად წინაპირობები უნდა შექმნილიყო. პირველის განზე გაწევა იყო საჭირო, რათა მეორეს დამკვიდრება-გაძლიერება გამხდარიყო შესაძლებელი. ხომ ამის შესახებ ლაპარაკობს მთელი ეპისტოლე ებრაელებისადმი. ღმერთმა გამოაგზავნა თავისი ძე. როგორ? მრავალი თაობის გავლით ღმერთი უმზადებდა თავის ძეს სხეულს, რომელიც მთელ კაცთა მოდგმას ადამიდან მოკიდებული თავის თავში შეიცავდა (შეად. მოდგმის რიგი მათესთან). ეს სხეული აიტანა ძემ გოლგოთას ჯვარზე. ჯვარზე აღსრულდა არა მხოლოდ მართლმსაჯულება ცოდვილსა ზედა, არამედ თავად პირველი ადამიანი, ადამი გაიკრა ჯვარზე. ამით გათავისუფლდა გზა მეორე ადამიანისთვის: მკვდრეთით აღმდგარ ქრისტეს პავლე მეორე ადამიანს უწოდებს. მასში განსხეულებულია სრულიად ახალი შესაქმე. ის არის მკვდართაგან პირველშობილი. მან გადალახა პირველი შესაქმის ბუნებრივი არსების სივიწროვე და გაანთავისუფლა გზა აღდგომის სინამდვილის უსასრულო სიშორეებისაკენ, სინამდვილისა, რომელიც არანაირად აღარ არის დასაზღვრული. მაგრამ მკვდრეთით აღმდგარი აღარ არის ისეთი, როგორიც იესო იყო ჯვარცმამდე. ის აღარ არის შეზღუდული ერთადერთი ინდივი-

დუალობით. თუმცა მას შეუძლია ადამიანებს გამოეცხადოს კონკრეტული ინდივიდის სახით (იხილე მკვდრეთით აღმდგარის გამოცხადებები იოანესთან), მაგრამ მას შეუძლია ადგილზე გაუჩინარდეს, შეერიოს უხილავ სინამდვილეს. მას შეუძლია ჩარაზული კარებების გავლით ოთახში შესვლა, ერთდროულად სხვადასხვა ადგილას გამოჩენა და ადამიანთა თვალწინ გამოცხადება. პავლე ამბობს მასზე, რომ მეორე ადამიანი არის „სიცოცხლის მომნიჭებელი სული." ეს არის სულის უარსებითესი ნიშანი, რომ ის არ არის მიბმული ფიზიკის, მატერიის კანონებზე. მაგრამ თუმცა ქრისტე სიცოცხლის მომნიჭებელი სულია, ის მაინც პიროვნებაა და არა მხოლოდ ძალა ან ინტელექტი. ნუ დავივიწყებთ ამას. ღმერთი ყოველთვის პიროვნებაა. ის არასოდეს განზავდება რაღაც მისტიკურ „ყოვლადობაში", „ყოვლისშემძლეობასა" თუ „ყველგანსუფევაში". მაშ როდის იწყება გადამწყვეტად „ახალაღთქმისეული სინამდვილე?" მაშინ, როდესაც ეს სიცოცხლის მომნიჭებელი სული მიწაზე დაეშვა და ადამიანებში, რომელთაც ის იწამეს, პიროვნულად დაიდო ბინა. ეს არის სულთმოფენობის გადამწყვეტი ასპექტი. და სულთმოფენობა არ არის პირველ რიგში ის ხდომილება, რაც ხილვადი იყო. სულთმოფენობა გახლავთ სუნთქვისშემკვრელი ფაქტი, რომ თავად ცოცხალმა ღმერთმა ქრისტეში, სულიწმიდის საშუალებით ადამიანში სახლი იპოვა. სულთმოფენობა არის ადამიანის შიგნით ღმერთის დაბუდება, დიდება ღმერთისა ადამიანში, ახალი შესაქმის, ახალი ადამიანობის, ახალი კაცობრიობის დაბადება, ახალი სინამდვილის გამოცხადება: *„ღმერთი, ანუ ქრისტე ჩვენში, დიდების იმედი".* ეს არის ის, რასაც ვაღწევთ ხელახლა დაბადების შემდეგ: ქრისტეს ჩვენში დამკვიდრებას სულიწმიდის საშუალებით. არ ვიცი, როგორ უნდა იჯდე მშვიდად ამ გრანდიოზული სინამდვილის წინაშე! ღმერთი, ყველა არსებისა და საგნის დამბადებელი, ის, ვინც ყოვლის შემძლეა, ვისაც ემორჩილება ყველა ქმნილება, ღმერთი, რომელიც ვერავინ გამოთქვა, ეძებს საცოდავი ადამიანის სულს, რათა იქ სახლი იპოვოს. ის კი არ გვსტუმრობს მხოლოდ. არა. ის ცხოვრობს ჩვენში, – დიდების იმედი! ეს არის გადამწყვეტად ახალაღთქმისეული. ამის უშუალო შედეგი კი ქრისტიანული თემი გახლავთ, ადამიანთა ერთობა, რომლებიც ბიოლოგიური წარმომავლობის საფუძველზე როდი უკავშირდებიან ერთმანეთს. ეს თემი ერთიანია, რადგან მის ყველა წევრში ერთი პიროვნება სახლობს: ქრისტე. ამით ახალი სივრცეები, ახალი პერსპექტივები, ახალი ჰორიზონტები გვეხსნება. ქრისტიანული თემის არსი, საფუძველი და ერთიანობა გახლავთ სულიწმიდის საშუალებით მის შიგნით მცხოვრები ქრისტე. ის წარმოადგენს ქრისტეს, მეორე ადამიანის განსხეულებას. იგი ქრისტეს „სხეულია". ქრისტე არ არის თავი მხოლოდ ზეცაში. იგი აგრეთვე ქრისტიანული თემის თავი, არსი, მისი პიროვნებაა, თუ გნებავთ. მაგრამ დაპირება ძველი აღთქმიდან უფრო მეტს ამბობს: იქ წერია, რომ ღმერთი თავის კანონს ადამიანთა შინაგანობაში ჩაწერს. პავლე ეპისტოლეში რომაელთა მიმართ (8:1-2) ლაპარაკობს კანონზე, რომელიც გააჩნია ქრისტეში მცხოვრებ სულს. ქრისტეს ცხოვრება ადამიანის სულში შესაძლებელს ხდის იმას, რომ როდესაც ჩვენ „სულში" ვმყოფობთ, კანონს მივყვებით. ქრისტეს გარეშე ვერ შევძლებდით კანონის დაცვას. ჩვენში დამკვიდრებული ქრისტეს გარეშე სრულიად შეუძლებელი იქნებოდა ჩვენთვის გვყვარებოდა მოყვასი ისე, როგორც საკუთარი თავი გვიყვარს. მაშასადამე, „იარებოდე სულში" ნიშნავს, ვიარებოდეთ თანხმობაში ჩვენსავე შინაგან კანონთან. და ეს კანონი სხვა არაფერია, თუ არა ქრისტეს პიროვნული ყოფნა ჩვენს სულში. ეს შინაგანი რეალობა – ქრისტე ჩვენში – და გარეგანი რეალობა – ჩვენ ქრისტეში – არის გადამწყვეტად ახალაღთქმისეული. ამის შესახებ კიდევ ბევრის თქმა მოგვიწევს. მაგრამ დასაწყისისთვის საკმარისი იქნება, თუ საშუალებას მივცემთ ამ რეალობას იმოქმედოს ჩვენზე. როგორც კი ყველა საგნის ამ შუაგულიდან დანახვას დავიწყებთ, უამრავი რამ შეიცვლება ჩვენს ცხოვრებაში, ჩვენს შემეცნებაში, თეორიასა და პრაქტიკაში. მაშასადამე, იმ ყველაფერთან შეხებისას, რასაც კი თავისი თავი ქრისტიანულ, ანუ სახარებისეულ ღირებულებად მიაჩნია, მუდამ ამ სულიერ სინამდვილეზე უნდა მოვახდინოთ სწორება: არის ამ საქმის ცენტრი ქრისტე ჩვენში, ქრისტე თავის სხეულში, თუ ეს ყველაფერი გარეგანი, მეორეხარისხოვანი რამაა, რაც წინა პლანზე გამოსულა და ამრუდებს მზერას, რომელიც არსებითზე უნდა იყოს მიმართული? სრული სახარებისეული სინამდვილე არის არა მოქცევა და სულით ნათლობა პლიუს ქარიზმები, არამედ ეს: პირველი ქმნილება გაუქმდა ჯვრით, და ქრისტე – პირმშო მკვდართაგან – ჩვენი სულის ბინადარი გახდა. რაღაც კიდევ შეიძლება ამას მივუმატოთ, მაგრამ ყველაფერი მეორეხარისხოვანი იქნება. მნიშვნელოვანი ეს არის: „ქრისტე ყველაფერი და ყველაფერში". ახალ აღთქმაში ღმერთს თავისი არენა გარედან შიგნით შეაქვს, მიწიერი გეგმიდან ზეციური გეგმაზე გადა-

ვყავართ, ადამიდან ქრისტესკენ, ხორციდან სულისკენ მიგვაქცევს, და ეს სული უკვე და მუდამ მასში მცხოვრები ქრისტეა.

ახალაღთქმისეული სინამდვილე ახალ აღთქმაში

ცხადია, ეს სინამდვილე უცბად არ გაჩენილა. გარკვეული საგნები, როგორც ყველაფერი ღმერთთან კავშირში, უნდა დაბადებულიყო, გაშლილიყო, განვითარებულიყო და მომწიფებულიყო. როდესაც მოციქულთა საქმეებს ვუკვირდებით, ვხედავთ, რომ სულთმოფენობის შემდეგაც ყველაფერი არ იყო ახალაღთქმისეული. ქრისტიანული თემი, როგორადაც ის სულთმოფენობის დღეს წარმოგვიდგა, ამ გადასახედიდან არც ერთ შემთხვევაში არ არის ის „თავდაპირველი თემი“, რომელთანაც დაბრუნება გვმართებს. *მოციქულთა საქმეების ქრისტიანობა არცერთ შემთხვევაში არ წარმოადგენს იმ ქრისტიანობას, რომელსაც უნდა მივბაძოთ და მივაღწიოთ.* პირიქით. ეს ქრისტიანობა ახლადშობილი ჩვილია, რომელიც ჯერ უნდა გაიზარდოს და თავისი ბავშვური სანდლები დიდხანს ცვითოს, ვიდრე მამაკაცის სიმწიფეს მიაღწევდეს. ჩვენ არ შეგვიძლია სულთმოფენობის დღის ქრისტიანული თემი ახალაღთქმისეული თემის ცხოვრების ნიმუშად დავისახოთ, და სახელდობრ, შემდეგი მიზეზით: პავლეს მიხედვით, თემისთვის არსებითია ერთიანობა ებრაელებსა და წარმართებს შორის, რჯულის დაძლევა, ყველანაირი კულტურული, სოციალური, მატერიალური და სექსუალური განსხვავების წაშლა. სულთმოფენობის შემდეგ ქრისტიანული თემი პრაქტიკულად შედგებოდა ებრაელებისაგან, რომლებიც უმეტესწილად რჯულის კანონებს მისდევდნენ. (შეიძლება ნიშანდობლივია, რომ დღეს ისევ შეიმჩნევა ძლიერი მიდრეკილება ებრაელობის წიაღში დაბრუნებისაკენ. ლაპარაკია მესიანურ იუდაიზმზე, ამბობენ, რომ ებრაელი მაშინ არის სრულყოფილი ებრაელი, თუ ქრისტიანობა აქვს მიღებულიო; ისევ დღესასწაულობენ ებრაულ დღესასწაულებს, როგორც ორი ათასი წლის წინ დღესასწაულობდნენ და ამაში გასაოცარ წინსვლას ხედავენ; მკითხველისათვის მიმინდვია, იმის შუქში, რაც განვიხილეთ, თავად განსაზღვროს, რასთან გვაქვს საქმე). მათი ცხოვრება, მათი ღვთისმსახურება თითქმის მთლიანად ძველაღთქმისეული იყო, თუ არ ჩავთვლით ერთობლივი საკუთრების პრაქტიკას, რაც სპონტანურად გაჩნდა და მოგვიანებით გაქრა, როგორც ქრისტიანობისათვის არატიპიური. ქალები მინიმალურად იყვნენ ჩართულნი ქრისტიანული თემის ცხოვრებაში. მალევე გაჩნდა საჩივრები ბერძენთა უგულვებელყოფის გამო. წინადაცვეთის (ისევე როგორც თემისადმი მიკუთვნებულობის) საკითხი ჯერ ისევ გაურკვევლი იყო. მოციქულთა მსახურებას ჯერ არ ჰქონდა წესიერად ფრთები გაშლილი. ამ თემის ხედვა ჯერ კიდევ ძალიან ძველაღთქმისეული იყო. მხოლოდ პავლესა და მისი თანამოღვაწეების მუშაობის შედეგად გადმოხეთქა სრულად ახალაღთქმისეული სინამდვილის გამოცხადებამ და განზე გასწია, ცხადია, თუკი მორწმუნეები მიჰყვებოდნენ, ებრაული და ბუნებრივი ნაჭუჭების ნარჩენები. პირველად პავლემ აღიარა თემი ქრისტეს სხეულად. და ეს იყო სრულიად სპეციფიური წვლილი ახალაღთქმისეულ გამოცხადებაში. აქედან უნდა დავინახოთ ყველაფერი, რაც ქრისტიანულ თემს უკავშირდება. მხოლოდ ამ ასპექტში შეგვიძლია ჩავწვდეთ პავლეს სიტყვებს ბავშვისა და კაცის, კაცის ასაკის შესახებ (1კორინთელთა 13). მხოლოდ ამ ასპექტში შეგვიძლია გავიგოთ სულის მანიფესტაციათა ფუნქცია და ადგილი. თემი არის ისეთი რამ, რაც ბავშვიდან კაცისკენ უნდა იზრდებოდეს და მწიფდეს. ბავშვობის საფეხურს თან სდევს მრავალი გვერდითი მოვლენა: ხილული სასწაულები, ნიშნები და სხვა გამოცხადებები. სიმწიფეში შესული თემი ასეთ რამეებს სულ უფრო და უფრო ირიდებს და სულში მყოფი უფლის უშუალო სინამდვილით ცხოვრობს. მაშასადამე, ვხედავთ: მძიმე ჭიდილის, თანმდევი გამოცხადებების გზით თანდათან გამოიჩეკა ახალაღთქმისეული სინამდვილე „ქრისტეში“. პირველად ანტიოქიაში (მოციქულთა საქმეები 13) განთავისუფლდა ახალი ძველისაგან, სწორედ ამიტომ პირველად აქ ეწოდათ მოწაფეებს ქრისტიანები. მაგრამ ამის შემდეგაც კიდევ კარგა ხანს გაგრძელდა დაძაბულობები და განხეთქილებები ვიდრე ეპისტოლემდე გალატელთა მიმართ. ამ წერილში პავლე იძულებულია საჯაროდ მიუთითოს პეტრეს შეცდომაზე, რადგან ამ უკანასკნელმა კიდევ ერთხელ დაიხია უკან ახალი აღთქმიდან. სწორედ წერილი გალატელთა მიმართ გვიჩვენებს უმძაფრეს კონფლიქტს, რომელიც უნდა გადაეტანათ, თუკი სურდათ მთლიანად დაფუძნებოდნენ ახლად გამოცხადებულ სინამდვილეს – „ქრისტეს ჩემში“ და ჩვენს სულში მცხოვრებ სულს. პირვე-

ლად მხოლოდ პავლეს დიდ, გამოცხადებით წერილებში (გალატელებიდანკოლოსელებამდე) და წერილში რომაელთა მიმართ (8:12-16) ვაღწევთ ახალი აღთქმის მთელს სიმაღლეს, და გასაკვირია, რა ნაკლებ იხსენიება აქ გარეგანი, თანამდევი მოვლენები. სამაგიეროდ, მთელი სიმძიმე მკვდრეთით აღმდგარ, ცად ამაღლებულ ქრისტესა და ჩვენს მასთან ერთობა-ერთიანობაზეა გადატანილი. გადატანილია ქრისტეს სხეულის სინამდვილეზე, როგორც იმ სფეროზე, რომელშიც სრულად ხორციელდება ახალაღთქმისეული სინამდვილე. ამ საგნების შესახებ ჩვენ კიდევ ვისაუბრებთ. ახალაღთქმისეულია ყველაფერი, რაც ამ გამოცხადების ცენტრსა და საფუძველს წარმოადგენს. მისი წინაპირობაა იესო ქრისტეს სიკვდილი და მკვდრეთით აღდგომა, ცოდვების მიტევება და ცოდვილის სამსჯავრო. ამის განხორციელება – გასრულება არის სულის შთამოსვლა და მისი ცხოვრება მორწმუნეებში; თემი, „რომელიც არის ქრისტეს სხეული, იმის სისავსე, რომელიც ავსებს ყველაფერს ყველაფერში“.

საიდუმლოს გამოცხადება

როდესაც თვალს ავლებ ქრისტიანული პუბლიკაციებისა და წიგნების ნაკადს, თვიდან თვემდე და წლიდან წლამდე თავზე რომ გვენთხევა, სულ უფრო შემაშინებლად გხვდება თვალში ერთი რამ: არავითარი საიდუმლო აღარ არსებობს. ყველაფერი განიმარტება, უინტიმურესი გამოცდილებანი დაუნდობლად შიშვლდება, ყველაფრისთვის მზად არის რეცეპტი, მეთოდი, გზა, და ყველაფერი სრულიად უბრალოა. საჭიროა მხოლოდ ამისა და ამის გაკეთება და პრობლემა უკვე გადაწყვეტილია. დღესდღეობით აღარაფერია ქრისტიანად ყოფნაზე უფრო ადვილი. ყველა ბავშვი გეტყვის, რა უნდა გააკეთო. სახარება? სრულიად მარტივია. ხომ იცი „ოთხი სულიერი კანონი“? რაიმე პრობლემა გაქვს? ღმერთი ხომ სასწაულებს ახდენს! ავადა ხარ? არაფერია, იესო განგკურნავს. რაღაც ვერა გაქვს წესრიგზე ცხოვრებაში? დაიწყე ღმერთის განდიდება. ნახავ მერე, რეები მოხდება. გსურს იცოდე, რა არის ცოცხალი მრევლი? ახლავე წადი აქა და იქ, და საკუთარი თვალით იხილავ. რა აკლია დღეს ქრისტიანობას? ეს ხომ ნებისმიერმა იცის: გამოღვიძება!... ყველაზე დიდი სირცხვილი, რაც შეიძლება დაგემართოს, ის არის, რომ რაიმე შეკითხვას მაშინვე ვერ უპასუხო. რაიმე პრობლემას მაშინვე ვერ გამოუძებნო გასაღები. ჩვენ დაავადებულნი ვართ ყველაფრის გატრივიალურების, ყველაფრის პოპულარიზაციისა და პროპაგანდად ქცევის მოთხოვნილებით. ყველაფერი იმ წუთსავე უნდა გავაუბრალოვოთ, მარტივად გასაგები გავხადოთ. ჩვენი თაობაც მაქსიმალურად გაისარჯა, რათა დეტალურად განემარტა ყველაფერი, რაც კი ქრისტიანულ რწმენასა და ცხოვრებას ეხება. მავან ჟურნალისტს, თუკი არ დაიზარებს, დღეს შეუძლია რომელიმე ქრისტიანული თემა გულმოდგინედ დაამუშაოს და შემდეგ ისე ექსტატიურად გადმოგვცეს, თითქოს ეს მისი უღრმესი შემეცნების ნაყოფი იყოს, შინაგანად კი საერთოდ არ ეხებოდეს და არ სწამდეს. ობიექტურობა მისი პროფესიული მოვალეობაა, და უკვე იმდენი დეტალური ცნობები შეუძლია მოიპოვოს, რომ პიროვნული ძალისხმევა და მგრძნობელობა სულაც არ სჭირდება. ქალზე, რომელიც თავის ინტიმურ საიდუმლოებებს ყველა ზერელედ დაინტერესებულს უმჟღავნებს, ადვილად ამბობენ ხოლმე, სულიერად მრუშობსო. და განა თანამედროვე ქრისტიანობის ამბავიც ეს არ არის? განა ჩვენს უდიდეს პრობლემად არ ქცეულა, რომ ასე ავადმყოფურად ვცდილობთ, გაგვიგონ, ყურადღება მოგვაქციონ, ანგარიში გაგვიწიონ, და სულ ვეღარ ვამჩნევთ, თუ როგორ ვყიდით საკუთარ თავსა და უფლის საქმეს?

ძველ აღთქმაში ისრაელი ქალწულს არის შედარებული, რომელიც უსირცხვილოდ ცდილობდა უცხო ხალხების გულის მოგებას, მათგან აღიარებისა და „სიყვარულის“ მოპოვებას. მეფე ჰისკია მკაცრად გაიკიცხა, რადგან მან უცხოელ მეფეებს დაუფიქრებლად აჩვენა თავისი სახლისა და ტაძრის მთელი განძეულობა. განა არ გხვდებათ თვალში, თუ რა იშვიათად განმარტავს რაიმეს ბიბლია? ამაოდ ეძებენ მასში დეფინიციებს, ანალიზებს, ინტერპრეტაციებს. ბიბლია ათასგვარ ამბებზე ლაპარაკობს,მაგრამ არ განმარტავს. ის უბრალოდ წარმოგვიდგენს, გვამცნობს მათ, მაგრამ დასაბუთებისა და ახსნა-განმარტების გარეშე. და განა სწორედ ეს არ აღიზიანებდა და აბრაზებდა ყველა ეპოქას, რომ ბიბლია ასე სავსეა გამოცანებით, რომ მისი ენა არამკაფიო, დიახ, გაუგებარია? და განა ბუნებრივი ადამიანი ოდითგან ინსტინქტურად არ გრძნობდა, რომ ბიბლია არის რაღაც ისეთი რამ, რის გასაგებადაც ის მზად არ არის; რომ

ბიბლია ისეთ საგნებზე ლაპარაკობს, რომლებიც მისთვის ჩაკეტილია, რომელთა წინაშეც ის უმწეოდ და გაოგნებული დგას? და განა სწორედ ამ უმწეობის, ამ უსაშველობის განცდა არ წარმოშობდა ნიადაგ ადამიანის მრისხანებას, და მას ბიბლიის დასაპყრობად არ ამხედრებდა? ვიდრე ბიბლიის საიდუმლოებანი დაცული რჩებოდა, ბიბლია მუდამ იმარჯვებდა. თავად ღმერთი იდგა ამ წიგნის წინაშე და იცავდა მას. ვერაფერმა, ვერავითარმა ინკვიზიციამ, ვერავითარმა დაცინვამ და ვერავითარმა ღვთისგმობამ ვერ შეძლო მისი ძალმოსილების, მისი სიცოცხლისა და გავლენის დაკნინება. ამის აღსრულება თანამედროვეობამ იტვირთა. და როგორ მოახერხა მან ეს? პროსტიტუციით! ახსნა-განმარტებით, დეფინიციით, ანალიზით, აუცილებლად თანამედროვედ ყოფნისა და ეპოქისათვის ფეხის აწყობის სურვილით, ყველა საიდუმლოზე ლაყბობით! თუ სურვილი გაწუხებს გაიგო, როგორ არის ავტომობილი მოწყობილი, რისგან შედგება, რამდენი ნაწილია მასში გამოყენებული და ა.შ. მაშინ აიღე, დაშალე და შემადგენელი ნაწილები ცალკ-ცალკე განალაგე. ასე გაიცნობ ავტოს შიგნიდან და გარედან, არავითარი ტექნიკური საიდუმლო შენთვის დაფარული აღარ დარჩება. და თუკი ყველა საჭირო დეტალი გექნება ხელთ, ყოველთვის შესძლებ მის აწყობას თავიდან. მაგრამ განა თავში მოგივა დაშლილი მანქანით გამგზავრება? ის ხომ ადგილიდან არ დაიძვრება! რადგან მას დაკარგული აქვს თავისი ფუნქცია, თავისი ძალა, თავისი მნიშვნელობა. მართალია წინ გილაგია ყველა ნაწილი, რისგანაც სრულყოფილი ავტომობილი შედგება, მაგრამ, რა? ეს ხომ ავტომობილი აღარ არის. აღარ მიდის. თავისი ღირებულება დაკარგული აქვს. ავტოსთან ეს შედარება მხოლოდ პირობითად არის სწორი. იმ ცოდნით, რომელიც ავტომობილის შესწავლისას მოიპოვე, შეგიძლია ხელახლა ააწყო იგი. მაგრამ გამომზეურებული საიდუმლო საიდუმლო აღარ არის. დაღეჭილი ჭეშმარიტებანი აღარ არიან ჭეშმარიტებანი. ისინი მკვდარ, უძალო დებულებებად გადაიქცევიან. ჩვენ ვდგავართ თავზარდამცემი ფაქტის წინაშე: რასაც საუკუნეების მანძილზე ვერ მიაღწიეს მოწინააღმდეგეთა ლეგიონებმა, ის თავად ქრისტიანობამ აღასრულა: მან თავისი საიდუმლო გასწირა, გაყიდა, გამხელა-გამხელით დაშრიტა; თავისი ავადმყოფური აკვიატებით, აუცილებლად გაგებული და ანგარიშგაწეული უნდა ვიყოო, ძალა წაირთვა და სიცოცხლე მოისწრაფა. და იგი ისევ სცოდავს აღიარების მოსაპოვებლად, ცდილობს ამ წუთისოფლის ყურადღების მიპყრობას, და არ ერიდება არანაირ ტრიუკს, არანაირ ეფექტს, არანაირ ფულს, ოღონდ კი საზოგადოებრივი ინტერესის არეალში მოხვდეს. და როგორ წააგავს იგი ამით იმ დავიწყებულ „მეძავს“, რომელიც მზად იყო თავისი საყვარლებისთვის თავად გადაეხადა ფული, რათა მათ ის რაიმენაირად გამოეყენებინათ, ოღონდ კი ხალხის თვალში მიტოვებულად, „ჩამოქვეითებულად“, ხანში შესულად არ ჩათვლილიყო. როგორი მოურიდებელი, როგორი ბაზრულად ურცხვი, როგორი ტლანქი და წვრილმანი გახდა ის ოდესღაც უმანკო, მწყაზარი და ჩუმი ქალწული, ადრე კდემისა და სიმორცხვის სული რომ ამშვენებდა. როგორ გაიმეტა თავი მან, ვინც ოდესღაც ისე დაფარულად და თავმდაბლურად ცხოვრობდა, რადგან თავის სიცოცხლეს უფრთხილდებოდა, თუმცა, არავის შეეძლო წინ აღსდგომოდა მას. და რა იაფად იძლევა ეს გოგონა დღეს იმას, რაც მისთვის ოდესღაც ასეთი ღირებული და ძვირფასი იყო, და რისთვისაც უამრავი ადამიანი სიკვდილის გზას ადგებოდა! დაე, შეგვიწყალოს ღმერთმა!

ქრისტე – ღმერთის საიდუმლო

ღმერთი ასეთი არ არის. იგი იცავს თავის საიდუმლოებებს. იგი ამჩატებულად არ იმეტებს მათ. 25-ე ფსალმუნში ვკითხულობთ: „საიდუმლო უფლისა – მოშიშთა მისთა და თავის აღთქმას აუწყებს მათ“. იგავი 3, 32 გვეუბნება: „რადგან სისაძაგლეა უფლის წინაშე მრუდი, წრფელებთან კი მეგობრობს იგი“. ბუნებრივი, გაუსხივოსნებული გონებისათვის ღმერთი მარადიულ, შეუღწეველ საიდუმლოდ რჩება. შეუძლებელია ღმერთის საიდუმლოებებში შეჭრა, თუ ის არ მოხდება, რასაც ბიბლია „გამოცხადებას“ უწოდებს. სწორედ ღმერთია, ვინც შეიძლება თავის საიდუმლოებებში შეგვახედოს. თავად ღმერთია, ვინც ადამიანს ამცნობს იმ საიდუმლოებებს, ღმერთის გარდა ყველასთვის დაფარული რომ არის. და გადამწყვეტად მნიშვნელოვანია იმის შეგნება, რომ ყველაფერი, რაც ქრისტიანობას ახასიათებს, ყველაფერი, რაც მან წარმოშვა და განახორციელა, საიდუმლოებით არის მოცული და სწორედ როგორც საიდუმლო ისე უნდა იყოს

განხილული, თუკი არა გვსურს მთლად დაგვეკარგოს. ეს როდი ნიშნავს, რომ ჩვენ ქრისტიანულ ხარებასთან დაკავშირებით იდუმალობანა წამოვიწყოთ. იდუმალობანა პროპაგანდის, ჭორაობის, სანახაობად ქცევის მეორე სახეობაა. ეს მხოლოდ გააცამტვერებდა ხარების იდუმალ ხასიათს. როცა ბიბლიას სიტყვა „საიდუმლოება“ სჭირდება, მაშინ ის რაღაც ისეთს გულისხმობს, რისი ახსნა და ანალიზიც შეუძლებელია. და რასთანაც ერთადერთმა გზამ შეიძლება მიგვიყვანოს: გამოცხადებამ თავად ღმერთის ნებით. ამის შესახებ კიდევ ვილაპარაკებთ. თავად ღმერთი შეუცნობელია. ვერავინ ვერასოდეს გაიგებს და ჩასწვდება ღმერთს ისე, როგორც აქ, დროსა და სივრცეში იგებს და სწვდება საგნებს. ღმერთი ანალიზსა და დეფინიციას არ ექვემდებარება. ის უსხლტის ყოველგვარ მეთოდს, რომელიც მიზნად ისახავს მის საიდუმლოებებში შეღწევას. ის იმ სინათლეში ცხოვრობს, სადაც „ვერავინ მივა“. ახალ აღთქმაში კარგად ჩანს, რომ რაც უფრო ვუახლოვდებით ახალაღთქმისეული გამოცხადების ცენტრალურ ჭეშმარიტებებს, მით უფრო ხშირად ჩნდება სიტყვა „საიდუმლო“ ან სწორედ „გამოცხადება,“ როგორც ერთადერთი გზა ამ საიდუმლოებებში შეღწევისა. ყველაფერი, რაც სულიერად ნამდვილია, საიდუმლოა. ის, რისი ახსნა, დეფინიცია, გაგებინებაც შეიძლება, სინამდვილიდან ჩამოწყვეტილი რამ გახლავთ, ეს ის არის, რაც საიდუმლოს ჩამოშორებია და ახლა ჯერ კიდევ მხოლოდ თეორიის, მოძღვრების, აზრისა თუ იდეის სახით არსებობს ადამიანთა თავებში. ვისაც ღმერთის შეცნობა სწყურია, გარკვეული პირობები უნდა დააკმაყოფილოს. ის გარკვეული სახის ადამიანი უნდა იყოს. ყველას არ შეუძლია ღმერთთან მისვლა. შემდეგ მონაკვეთში მეტს ვიტყვით ამაზე.

მაგრამ ახლა უმნიშვნელოვანესი კითხვა: რა არის ღმერთის საიდუმლო? ამბობს წმიდა წერილი რაიმეს ამის შესახებ? ისევ და ისევ ეს გახლავთ მოციქული პავლე, ვინც ამ კითხვას პასუხობს. ის თავის თავს განიხილავს „ღვთის საიდუმლოთა მნედ“, გამგებლად (1 კორინთელთა 4:1). თავის ეპისტოლეებში ეფესელთა და კოლოსელთა მიმართ იგი დაწვრილებით ლაპარაკობს ღმერთის საიდუმლოზე, რომელიც უწინარეს ყოველთა საუკუნეთა ღმერთთან იყო დაფარული და ახალი კავშირის მოციქულებსა და წინასწარმეტყველებს გამოეცხადათ: „... „რომელთათვისაც ღმერთს სურდა გაეცხადებინა, თუ მისი დიდების რა სიმდიდრეა ეს საიდუმლო ხალხთა შორის, რომელიც არის თავად ქრისტე“. მოციქულისთვის ქრისტე ღმერთის საიდუმლოა. იყო დრო, როდესაც პავლემ არაფერი იცოდა ამქრისტეს შესახებ, დიახ, არ სურდა სცოდნოდა. მას სწამდა, რომ იცნობდა ღმერთს და თავის ბრმა მოშურნეობაში სურდა ყველაფერი მოესპო და ამოეძირკვა, რაც ღმერთის მისეულ გაგებას ეწინააღმდეგებოდა. და როგორც თავად ამბობს, ეს იმ დრომდე გაგრძელდა, „როცა კეთილინება ღმერთმა ... გამოეცხადებინა ჩემში თავისი ძე“ (გალატელთა 1: 15-16). ამ დღიდან იგი ამ ქრისტეს მსახური გახდა. მისი სახარება ქრისტეს ხარება იყო, და რაც უფრო მეტ ხანს ემსახურებოდა იგი ქრისტეს, მით უფრო ღრმად შეიჭრებოდა საიდუმლოს სიღრმეში, რომელიც ამ სახელის მიღმა იმალებოდა. ისე შორს წავიდა, რომ ამბობდა, *ქრისტეში ღვთის სისავსე ცოცხლად არსებობსო,* მასშია დაფარული სიბრძნისა და შემეცნების მთელი განძეულიო. რაც მოციქულს სწყუროდა, ეს იყო ქრისტესა და მისი მკვდრეთით აღდგომის ძალის შეცნობა. მას არაფრის გაგონება არ სურდა ქრისტეს და თან ჯვარცმული ქრისტეს გარდა. რაც უფრო შედიოდა ასაკში, მით უფრო მეტად კონცენტრირდებოდა მისთვის ყველა საგანი ქრისტეში, და თან ცაში და მიწაზე. ღმერთის ყველა ფიქრის, ყველა გეგმის, ყველა განზრახვის განხორციელებას ის ქრისტეში ხედავდა. ეს საიდუმლო უკან მიიქცეოდა დროთა წინარე, მარადისობაში, და როცა მოციქული მომავალს მიაპყრობდა მზერას, ისევ და ისევ მხოლოდ ქრისტე არსებობდა იქაც და სხვა არავინ: „ქრისტე ყველაფერი და ყველაფერში“. ქრისტე მისთვის იყო მთელი სულიერების ჯამი. რაც უფრო მეტად შეიცნობდა ქრისტეს, მით უფრო მეტად ცხადდებოდა მისთვის, რა ღრმა, რა უძირო, რა უშრეტი და შეუცნობელი იყო ეს საიდუმლო. ეს საიდუმლო იყო ქრისტიანთა პირველი თაობის განძი, ეს იყო უძვირფასესი განძი მიწიერ ჭურჭელში. ეს იყო ძალის მიმცემი ბიძგი და მოტივაცია ყველაფრისათვის, რასაც ქრისტიანები აკეთებდნენ. სულიწმიდა უშრეტად იღებდა ცად ამაღლებული ქრისტესაგან და ადამიანთა ცხოვრებებში ჩამოაფრქვევდა მისი სისავსისგან მიღებულს. ეს იყო „სიბრძნისა და შემეცნების“, ასევე, ძალის სისავსე.

და რა დაემართა ამასობაში ამ საიდუმლოს? ვინ არის ქრისტე დღეს ჩვენთვის? და სად ვდგავართ ჩვენ, როცა საქმე ქრისტეს შემეცნებას ეხება? ამ საიდუმლოს შიგნით თუ გარეთ? და ისევ და ისევ მოგვიწევს ვაღიაროთ, რომ მეტისმეტად დაშორებულნი ვართ ქრისტეს ცოდნასა და

ცნობიერებას, როგორც ეს სახარებაშია გაცხადებული. მრავალი ქრისტიანი, ალბათ უმეტესობა, მხოლოდ სხეულებრივ ქრისტეს იცნობს, ზოგი მეტად, ზოგი ნაკლებად. მათ იციან, რომ ის იესო ნაზარეველის სახით მიწაზე ცხოვრობდა, სასწაულებს ახდენდა, სნეულებს განკურნავდა, დემონებს განასხამდა, ჯვარზე მოკვდა, მესამე დღეს აღსდგა და ბოლოს, ორმოცდაათი დღის შემდეგ ცად ამაღლდა. ზოგმა ესეც იცის: წასვლამდე დაგვპირდა, რომ კვლავ მოვიდოდა. მაშასადამე, მის მეორედ მოსვლას ველოდებით, ერთნი – უკიდურესი მონატრებით, სხვები – გულგრილად. მაგრამ მაშ ვინ გადაეთაღა ამ ოც საუკუნეს? სად არის ქრისტე დღეს? ბუნებრივია ვიტყვით: ზეცაშიო. ჩვენ შეგვიძლია ყოველ წუთს ვილოცოთ მისდამი და ის შეგვისმენს. ეს ყველაფერი სწორია. მაგრამ შეეფერება ეს ახალი აღთქმის მოწმობას? სად რჩება ამ პიროვნების საიდუმლო? სად დარჩა ის ვნება, რომლითაც მოციქულები და წინასწარმეტყველები იბრძოდნენ, იტანჯებოდნენ და კვდებოდნენ, „რათა ქრისტეში აღმდგარიყვნენ?“ რას ნიშნავს, როცა პავლე ამბობს, რომ ის „დღე და ღამ იღვწოდა, რათა ყოველი ადამიანი ქრისტეში გამოესახა?“ რას ნიშნავს, როცა წერილში გალატელთა მიმართ პავლეს აღმოხდება, რომ ის ყოველ ჯერზე მშობიარობის ტკივილებით იტანჯება, როცა ქრისტეს „ჩასახავს“ მორწმუნეებში? უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ ამ პიროვნების საიდუმლო ხელიდან გაგვისხლტა და დაგვეკარგა. რაც დღეს ქრისტეზე გვესმის, ყველაფერი ახსნადია, ყველაფერი შკოლარულად დადგენილია, პუნქტიდან პუნქტამდე. სად არიან ქალები და კაცები, რომლებსაც თავიანთი ცხოვრების, თავიანთი მსახურების ბოლოს ავიწყდებოდათ, რა ჰქონდათ განვლილი, ამას ნაგვად მიიჩნევდნენ, რადგან შეცნობილი ჰქონდათ, რომ რაღაც არის ქრისტეში დაფარული, რაც მათ ჯერ კიდევ ვერ ამოხაპეს? რომლებიც მზად იყვნენ, ქრისტეს მოსაპოვებლად ყველაფერი დაეთმოთ, თვით მას შემდეგაც კი, რაც მთელი ცხოვრების მანძილზე ყველაფერი მიიღეს ქრისტიანობისაგან? დღეს იმაზე კი არ არის ლაპარაკი, რამდენი რამ ვიცით ქრისტეს შესახებ, არამედ – მხოლოდ და მხოლოდ ერთ კითხვაზე: სადა ვართ ჩვენ – ამ საიდუმლოს შიგნით თუ გარეთ? გამოგვეცხადა ეს ჩვენ, თუ მხოლოდ ის გვწამს, რაც სხვებისგან გაგვიგონია? ხომ ეს არის ახალი კავშირის შემდგომი ნიშანი, რომ აღარავინ უნდა ასწავლოს სხვას: „შეიცან უფალი“, არამედ: უმცირესიდან უდიდესამდე თითოეული შეიცნობს უფალს. და როგორ არის ჩვენი საქმე?

გამოცხადება

ჩვენ გვჭირდება გამოცხადება. მაგრამ რა არის გამოცხადება? როგორ შეიძლება მას მივაღწიოთ? გამოცხადების არსის უკეთ გასაგებად ერთმანეთს უნდა შევუპირისპიროთ წმინდა წერილის ორი წინადადება, რომლებიც უბადლოდ გვიჩვენებენ, რა სასწაული იმალება გამოცხადებაში. პირველს მათესთან ვპოულობთ (11:27): „არავინ იცნობს ძეს გარდა მამისა. არც მამას იცნობს ვინმე გარდა ძისა და იმისა, ვისაც ძეს სურს, რომ გამოუცხადოს.“ ეს სიტყვები გამაცამტვერებელი უნდა იყოს ბუნებრივი, არაგასხივოსნებული ცნობიერებისათვის: „... არავინ იცნობს ძეს გარდა მამისა...“ მაშასადამე, სამარადჟამოდ გამორიცხულია ქრისტეს, ღმერთის საიდუმლოს შეცნობა! ვერავინ, ვერავინ შეიცნობს მას! მხოლოდ ღმერთმა იცის ქრისტე, და ღმერთის დახმარების გარეშე ამ ცოდნას ვერცერთი არსება ვერ მოიპოვებს. თუ ღმერთი არ მოიქმედებს რაიმეს, შეუძლებელია ქრისტეს, ძის, შეცნობა. არსებობს ცოდნა, რომელსაც მხოლოდ ღმერთი ფლობს, რომელიც მხოლოდ მისთვის არის მისაწვდომი, რომლის გაზიარება და მოცემა მხოლოდ და მხოლოდ მას შეუძლია. აი, ეს ცოდნა არის ღმერთის საიდუმლო. და რადგანაც ღმერთის ყველა აზრი ქრისტეშია კონცენტრირებული, რადგან ამ აზრებს ქრისტეში აქვთ თავიანთი ამოსავალი წერტილი, ცენტრი და მიზანი, – ამიტომ არის ქრისტე ღმერთის დაფარული, კარგად დაცული, მუდამ გაუმხელელი საიდუმლო. და შეუძლებელია ამ საიდუმლოში შეღწევა, თუკი ღმერთი არ შეგვიყვანს თავის ნდობაში და არ გაგვიზიარებს ამ საიდუმლოს.აი, ამ ნდობაში შეყვანას, ღმერთის საიდუმლოში შეძღოლას უწოდებს ბიბლია „გამოცხადებას“. მაგრამ, სხვა სიტყვაც წერია წმინდა წერილში, ეპისტოლეში გალატელთა მიმართ (1,15): „როდესაც კეთილინება ღმერთმა... გამოეცხადებინა ჩემში თავისი ძე...“ ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ პავლეზე და მის მიმართებაზე ახალაღთქმისეული სინამდვილის, ასევე, ღვთის საიდუმლოსადმი. არც მანამდე, და არც მას შემდეგ არავინ ყოფილა, პავლესავით ღრმად რომ ჩაეხედოს ღვთის საიდუმ-

ლოს გულში. აქ იგი გვეუბნება, თუ როგორ მიაღწია ამ ხედვებს. მნიშვნელოვანია ამ ნათქვამის სიტყვა-სიტყვით განხილვა. პირველად ნათქვამია, რომ ღმერთმა „კეთილინება“, მისთვის თავისი ძე გაეცხადებინა. „კეთილინება“. რა დიდებული სიტყვაა! შემდეგ ვკითხულობთ, რომ აწ და მარადის შეუძლებელია ღმერთის საიდუმლოში შეღწევა, თუკი თავად ღმერთი არ გვაზიარებს მას. და კიდევ: რომ ღმერთმა „კეთილინება“ , ანუ ღმერთმა სიხარულით აზიარა პავლე თავის ძეს. რა ხარებაა ყველასთვის, რომლებსაც ქრისტეს გაცნობა სწყურიათ. თურმე ღმერთს უხარია, უფრო მეტიც: მისი მოთხოვნილებაა, უჩვენოს ადამიანებს ქრისტე მთელ თავის დიდებაში. ღმერთს არ სურს მარტო დარჩეს თავის საიდუმლოსთან, მას სურს მრავალი, დიახ, ყველა ეზიაროს მას! არის ღმერთში რაღაც ისეთი, რაც მას უბიძგებს, გაუზიაროს ადამიანს თავისი თავი, თანამონაწილედ აქციოს იგი. ღმერთს მოსწონს თავისი ძის გაცხადება! და ეს ჩვენ ყველას გვეხება? დიახ, თუ იმ პირობებს დავაკმაყოფილებთ, ამასთან რომ არის დაკავშირებული.

საიდუმლოებებს იმათ ანდობენ, ვისაც ენდობიან. ნდობის წინაპირობა კი მეგობრობა, ახლობლობა, ინტიმურობაა. რადგან საიდუმლო საიდუმლოდ უნდა დარჩეს, თავისი იდუმალი ბუნება შეინარჩუნოს. გავიხსენოთ ორივე, ზემოხსენებული სიტყვა: „საიდუმლო უფლისა – მოშიშთა მიმართ და თავის აღთქმას აუწყებს მათ (ფსალმუნი 25,14). ღვთისმოშიშობა ნიშნავს მოწიწებას ღმერთის წინაშე, მისი ამაღლებულობისა და სიდიადის, ყოვლისშემძლეობისა და ყველგანსუფევის აღიარებასა და პატივისცემას. მისი ინტიმურობის დაცვას, მისთვის იმის მიცემას, რაც მას ეკუთვნის. რაც უფრო დიდია ადამიანი, მით უფრო მეტი რამ გააჩნია ისეთი, საზოგადოებას რომ არ ეკუთვნის და საჯაროობას არ ექვემდებარება. ღვთისმოშიშობა, მაშასადამე, ნიშნავს ღმერთის როგორც „ საიდუმლოებით მოცული“, აუხსნელი და გამოუცნობი უფლის პატივისცემას, მისდამი ერთგულებას და აბსოლუტურ ნდობას, ნდობასუთუმცაოდ და უპირობოდ. ასეთი ადამიანები შეჰყავს ღმერთს თავის საიდუმლოებებში, ასეთებს უჩვენებს იგი თავის ძეს – საიდუმლოებათა საიდუმლოს, მისტერიათა მისტერიას. მეორე სიტყვა იგავებიდან (3,32) იყო: „მისი საიდუმლო წრფელებთანაა“. ღმერთის წინაშე გულწრფელობა ნიშნავს, რომ ჩვენ დავიმსხვრეთ. მხოლოდ დამსხვრეული ადამიანები არიან გულახდილები და გულწრფელები. ბუნებით სავსე ვართ ყალბი შეფასებებით. თავი ერთგული და სანდო გვგონია, გვგონია, სავსებით ვიმსახურებთ იმას, რომ ღმერთმა თავისი საიდუმლოებები გაგვანდოს, მაგრამ სულაც არა ვართ ასეთები. მხოლოდ მაშინ, როდესაც ღმერთი შეარყევს ჩვენი სულის სიღრმეებს, და დაამსხვრევს ძველ ფუძეს; მხოლოდ მაშინ, როცა ყველა ილუზია გაიფანტება და საკუთარი თავისადმი ნდობის, საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენის უკანასკნელი ნაშთიც გაგვიქრება, – დავიწყებთ გულწრფელად და გულახდილად ყოფნას. შეხედეთ პავლეს! როგორ ძალიან სწამდა, რომ ვიღაც იყო! როგორ ენდობოდა საკუთარ თავს, როგორ დარწმუნებული იყო თავის უფლებამოსილებაში – დაერბია ქრისტიანები და შეეჩვენებინა ქრისტე! ვიდრე არ დადგა ის წუთი, როცა ის ცხენიდან ჩამოვარდა, ბუკვალურად და სიმბოლურად! ვიდრე არ დაბრმავდა ამ სოფლისათის, თავისი თავისა და თავისი გარემოცვისათვის, და ასე უსინათლო არ დარჩა სამი დღის განმავლობაში, – როცა, სამაგიეროდ ღვთის სინათლეში შეაბიჯა, – აი, მხოლოდ მაშინ გახდა გულახდილი. და ღმერთმა „კეთილინება, მისთვის თავისი ძე გაეცხადებინა“. უმეტეს ქრისტიანებს სურთ იგივე გამოცხადებები ჰქონდეთ, რაც პავლეს ჰქონდა. მაგრამ ისინი მზად არ არიან, დაიმსხვრნენ. გამოცხადება თავის ფასს ითხოვს! როგორც დასაწყისშივე ვთქვით: ღმერთი იაფად არ იძლევა თავის განძეულს. საქმე ძვირფას მარგალიტებს ეხება, რომლებიც დაცული და დაფარული უნდა იყოს, რათა ისინი არ მოიპარონ და ტალახში არ მიმოაბნიონ. თუმცა ღმერთს უხარია თავისი ძის გაცხადება, ამას მხოლოდ მაშინ აკეთებს, როცა წინაპირობა არსებობს: როცა ჩვენ გულახდილები და გულწრფელები ვხდებით. ესე იგი, როცა შევიცნობთ, რომ არაფერი კეთილი არ ბინადრობს ჩვენში, ჩვენს ხორცში. ეს კი ისევ და ისევ ნიშნავს, რომ ღვთის სინათლეში თავად „კეთილი“ ჩვენში კეთილი არ არის. რომ ისიც კი, რაც ჩვენში საუკეთესოა, მის წინაშე იბინდება. ეს არის საწყისი საფუძველი იმისთვის, რომ ღმერთმა გვაზიაროს თავის საიდუმლოებებს. თუ ამას მანამდე გააკეთებს, ვიდრე დავიმსხვრეოდეთ, მაშინ ჩვენს საკუთარ რამეებს ნიადაგ ავურევთ ღვთის საიდუმლოში. საგნებს ნიადაგ დავამახინჯებთ,მათ ღირებულებას სწორად ვერ განვსაზღვრავთ და მარგალიტებს დავუყრით ღორებს. მხოლოდ მინას შეუძლია ღვთის სინათლის აუმღვრევლად არეკვლა, და რათა ქვიშა მინად იქცეს, ჯერ ცეცხლში უნდა გაიაროს. გამოცხადება ღმერთის სინათლისა და ცეცხლის პირისპირ გვაყენებს და

გადაგვადნობს. შეგვეწიოს უფალი, რომ მზად ვიყოთ, დავიმსხვრეთ მისგან, რათა გამოცხადებას ვეღირსოთ. მაგრამ პავლეს ამ ნათქვამში არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი. „მაგრამ როდესაც ღმერთმა კეთილინება, თავისი ძე გაეცხადებინა ჩემში...“ მრავალ ქრისტიანს ღმერთის საიდუმლოებები წარმოუდგენია სამყაროს შინაგანი კავშირების, შესაქმის მისტერიების, ზეციური იერარქიებისა და ასე განსაჯეთ, თვით სხვადასხვა საუკუნეებისაც კი ღრმა ჭვრეტად, დაახლოებით იმად, რასაც ანტიკურ მისტერიულ კულტებში ეძებდნენ. არა, ღმერთის საიდუმლო ქრისტეა, და პირველ რიგში ქრისტე როგორც ღვთის ძე. მასზე თქვა ავტორმა წერილისა ებრაელებისადმი (7,28): რომ ის არის „ძე გასრულებული მარადისობაში.“ საინტერესოა იმის გაგება, რომ განსაკუთრებით პავლემ მიიღო გამოცხადება ქრისტესი, როგორც ძისა. ყველაფერი, რაც მან ამ ძეზე იცის და სათქმელი აქვს, შეგვიძლია მის ეპისტოლეებში ამოვიკითხოთ. ისევ და ისევ ძის ირგვლივ ტრიალებს მთელი მისი მზერა, მთელი მისი შემეცნება. და ჩვენ ვხედავთ, თუ რა აღფრთოვანებული და აგიზგიზებული იყო მისგან. მზად გახლდათ ყველაფერი ნაგვად გამოეცხადებინა იესო ქრისტეს შეცნობის დიდებულებასთან შედარებით. როდესაც გამოცხადებას ვეძებთ, საიდუმლოებით მოცული მისტერიები არ უნდა ვეძებოთ; ღმერთის საიდუმლო არის ძე. მხოლოდ ძის საშუალებით ვიგებთ რაღაცას შესაქმის შესახებ; ზეციური იერარქიების შესახებ; წარსულისა და მომავლის შესახებ; რადგან ის არის უწინარეს ყოველივესი და ყოველივე არსებობს მისით. ის არის პირველშობილი, მთელი სამყაროს უწინარეს შობილი. ის არის შეჯამება ყოველივესი, რაც ცაზეა და რაც მიწაზეა. მაგრამ ის არის აგრეთვე პირველშობილი მკვდართაგან, ის არის დასაწყისი და დასასრული, ის არის ყველაფერში, ის არის ყველაფრის თავი! ეს არის უკიდურესი ნაპირები საიდუმლოსი, რომლის სიღრმეც კარგა ხანს დარჩება ჩვენთვის დაფარულ-დაგმანული. კიდევ მრავალი საუკუნე დასჭირდება ამ საიდუმლოს გამოკვლევას, და მთელი ქმნილება კიდევ ურიცხვ პროცესს გაივლის, ვიდრე მოიპოვებდეს უნარს, გამოთქვას ქრისტე. დაბოლოს, იქ ესეც წერია: „... თავისი ძე გამოეცხადებინა ჩემში...“ ღმერთის ყოველი გამოცხადება არის რაღაც ღრმად შინაგანი და აუცილებელი. როდესაც პავლე ლოცულობდა, რომ ღმერთს ეფესელებისათვის მიემადლებინა სიბრძნისა და გამოცხადების სული, ღმერთისავე შესაცნობად, მაშინ ის ქარიზმულ წინასწარმეტყველებებზე, გარეგან სიბრძნისმეტყველებაზე როდი ფიქრობდა. ასეთი რამეები ვერასოდეს შესძლებენ ღვთის საიდუმლოთა გამოკვლევას.სიბრძნისა და გამოცხადების ეს სული ღრმად შინაგან საქმეს აღასრულებს. ღრმად შიგნით, ადამიანის საწმიდარში, მის სულში, ღმერთი გვიხსნის თავისი საიდუმლოებების მისადგომს, გვიცხადებს თავის ძეს, გვაკავშირებს მასთან, დიახ, გვაერთიანებს ქრისტესთან, ისე, რომ ვიწყებთ მოძრაობას ამ საიდუმლოთა შიგნით. ჩვენ ვიწყებთ არა მხოლოდ რაღაცის ცოდნას ამ საიდუმლოთა შესახებ, არამედ ჩვენ ვხდებით ამ საიდუმლოთა ნაწილი, ჩვენ ვიწყებთ ამ საიდუმლოთა სივრცეში ცხოვრებას, მათში გადაზრდას. ქრისტე ხდება ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი ძალა, ჩვენი სინამდვილე; ის გვექცევა კანონად, მასშტაბად, ჩვენს ახალ მე-დ. ჩვენ ვიწყებთ მის შეცნობას, ისე, როგორც ბიბლიაში შეიცნობენ მას, სახელდობრ: ნდობით აღბეჭდილი ურთიერთობით, მასთან გაერთიანებით და ორმხრივი ურთიერთგამსჭვალვით. ეს არის ბიბლიური გამოცხადების უშინაგანესი არსი. აქ ჩვენ ისევ და ისევ ვიმყოფებით ღმერთის ნების შუაგულში და იმის შუაში, რაც ბოლო თავში აღვწერეთ როგორც ახალაღთქმისეული. რათა ეს მოხდეს, მანამდე ჯვარმა თითოეული ჩვენგანი ძირეულად უნდა გარდაგვქმნას. ყველაფერი დანარჩენი, რაც სწრაფად და სახელდახელო ხდება, არ გამოგვადგება. და ჩვენს მიერ კეთილად გაგებულ ღმერთს მოსწონს, უხარია თავის ძის ჩვენთვის გამოცხადება! მაგრამ ისიც მოგვწონს, რომ დამსხვრეულ ვიქნათ მისგან, რათა მან ჩვენთვის თავის გამოცხადება შესძლოს? გამძლეობა მოგვმადლოს უფალმა. მხოლოდ ჩვენში მომხდარი გამოცხადება გვაზიარებს ღმერთის საიდუმლოს. რადგან ამ შინაგანი სინამდვილის არსი სიყვარულია. მხოლოდ სიყვარული შეიმეცნებს. მხოლოდ სიყვარულს მივყავართ ურთიერთგამსჭვალვასთან და დაწინდვასთან. და სიყვარულით დაკავშირებულებმა იციან თავიანთი საიდუმლოს შენახვა. მხოლოდ ნამდვილმა შეყვარებულებმა იციან წმიდისა და უწმიდურის, უმანკოსა და მანკიერის, ღვთაებრივისა და პროფანულის განსხვავება. კაცი, რომელსაც ნამდვილად უყვარს ქალი, არასოდეს გაამხელს ამ ქალის საიდუმლოს. და პირიქით. სიყვარულს მხოლოდ თავისი საიდუმლოს წყალობით შეუძლია იყოს სიცოცხლითა და ძალით აღვსილი. ყველაფრის წამოროშვა, ქარაფშუტულ მასლაათში დაფქვა და გაუფასურებაანადგურებს სიყვარულის საიდუმლოს და ძალას აცლის

მას. და ასგზის უფრო მეტად ეხება ეს ღმერთის საქმეებს. თუმცა ღმერთი მრავალს ეცხადება, გამოცხადებული მაინც რჩება შეყვარებულთა ძვირფას და დაფარულ სამფლობელოდ, რომლებმაც იციან თავიანთი სიყვარულის დაფარვა. მხოლოდ ასე ინარჩუნებს ქრისტიანობა თავის ძალას, თავის სიღრმესა და მიმზიდველობას. გამოცხადება ყოველთვის პიროვნულია: „... ჩემში...“ მას სხვაზე ვერ გაავრცელებ. მაშინაც კი, როდესაც ადამიანები თავიანთ გამოცხადებებზე მიყვებიან, ეს მხოლოდ მაშინ იქცევა ჩემს სულიერ სინამდვილედ, როცა მე თავად დავინახავ, როცა თავად ჩემში აღსრულდება გამოცხადება.

სულიერი ხედვა

სულიერი თვალსაზრისით ჩვენ ყველანი ბრმადშობილები ვართ. „აი, მიწიერი ადამიანი არ ღებულობს იმას, რაც ღვთის სულისაგან არის, ვინაიდან უგუნურებად მიიჩნევს და არც ძალუძს შეცნობა, რადგან სულიერად არის განსასჯელი“ (1. კორინთელთა 2:14). აი, ეს უზარმაზარი „არც ძალუძს“ ჩამოგვმხობია ჩვენ ყველას თავზე. ბუნებრივი ადამიანი სულ სხვა კატეგორიას განეკუთვნება, სულიერი კი – სულ სხვას და მათ შორის უხიდო უფსკრულია. მხოლოდ ქრისტეში შეიძლება დაიძლიოს ეს უფსკრული. ამას კარგად გვიჩვენებს იოანეს სახარების მე-9 თავში აღწერილი შემთხვევა. იესოს აქ უპირატესად მხედველობაში ჰყავდა მაშინდელი რელიგიური წინამძღოლები, მათი სიბრმავე და მათი უუნარობა, შეეცნოთ იგი, ვინც ცოცხლად იდგა მათ წინაშე. ნიშანდობლივია, რომ სწორედ რელიგიური, თეოლოგიურად კარგად ინფორმირებული ხალხი აღმოჩნდა ასეთი ბრმა. განა იესო თეოლოგიის წინააღმდეგი იყო? განა იმისათვის, რომ გამოცხადების ღირსი გახდე, – თავი უნდა გაისულელო, წიგნები ცეცხლს მისცე და ყველანაირი თეოლოგია შეაჩვენო?არა. იესოს თეოლოგია ისევე უყვარდა, როგორც უბრალო მორწმუნეებს გალილეაში. სულიერი პრობლემების ინტელექტუალური დამუშავების საკითხი აქ საერთოდ არ დგას. აქ ლაპარაკია იმ ადამიანებზე, რომლებიც რომელიღაც მოძღვრების, რომელიღაც თეოლოგიის, რაღაც განსაკუთრებული გამოცდილებისა თუ შემეცნების სახელით ბრმად გამოიდებენ ხოლმე თავს, ყველას წყევლიან, რომლებიც იგივეს ვერ ხედავენ, რასაც ისინი, რომლებსაც, დიახაც სჯერათ, რომ უფლება აქვთ, ადამიანთა მარადიული ხსნისა და წარწყმედის საკითხი გადაწყვიტონ. ესენი პირველ რიგში ის ადამიანები იყვნენ, რომლებსაც არ სურდათ გარკვეული საგნების დანახვა, რომლებიც მზად იყვნენ, გამოეყენებინათ ნებისმიერი არგუმენტი ყველაფერ იმის გასაცამტვერებლად, რაც მათ კონცეფციაში არ ჯდებოდა.

ადამიანები, რომლებიც შინაგანად სხვასვერაფერს ეხსნებიან, გარდა იმისა, რაც თავად იციან, ბრმები არიან. მათ არ შეუძლიათ მოსმენა, მათ არ შეუძლიათ მშვიდი დისკუსია, სხვათა შეხედულებებზე სერიოზულად დაფიქრება, ისინი შეუწყნარებელნი არიან. ცნობილია, რომ ყველაზე ფანატიკური და შეუწყნარებელი ადამიანები, ჩვეულებრივ, „ღვთისმოსავთა“ შორის გვხვდებიან. ღმერთი თავის მზერას არ აშორებს მათ, რადგან ისინი ყველაზე უფრო მკვეთრად ამჟღავნებენ ბუნებრივი, ანუ არასულიერი ადამიანის არსს. ამიტომ, რაც ჩვენ ესოდენ გვჭირდება, ეს არის სულიერი ხედვა, სულიერი ხედვის უნარი. ჩვენი გულის თვალები უნდა აიხილონ, რათა დავინახოთ, და სწორედ ისე დავინახოთ, როგორც ღმერთი ხედავს. როგორ მივაღწევთ ამას? გვჭირდება ამისთვის ვიზიონერული ჭვრეტის ქარიზმა? გვჭირდება ზმანებები და ჩვენებები? ღმერთს სჭირდება ჩვენი ხილვები და გამოცხადებები, ამის შესახებ ბიბლიაში ვკითხულობთ და ეკლესიის ისტორიიდანაც ვიცით. მაგრამ ზმანებები და ხილვები ადამიანს სულიერ პიროვნებად ვერ გადააქცევს. იოანეს სახარების მე-9 თავში უფალი ცოტა სხვაგვარად იქცევა: „ეს რომ თქვა, მიწაზე დაანერწყვა, ნერწყვით ტალახი მოზილა და თვალებზე წაუსვა ბრმას. უთხრა მას: „წადი, მოიბანე შილოახის საბანელში“ (9:6). რას ნიშნავს ეს? რათა სულიერად მხედველნი გავხდეთ, ჩვენც ისეთი მალამო გვჭირდება ჩვენი თვალებისთვის, როგორიც იესომ დაამზადა. მან აიღო ნერწყვი საკუთარი პირიდან .... მინიშნება ლოგოსის, სიტყვის აქტივობაზე. ეს ნერწყვი მან შეურია მიწას – იმას, რაზედაც დავდივართ, რაზედაც ვცხოვრობთ. სხვა სიტყვებით: ის, რაც ჩვენ სულიერად მხედველ ადამიანებად გვაქცევს, არის მკურნალობა, რომელსაც სულიწმიდა ჩვენი ცხოვრების გარემოებათა, ჩვენი გარემომცველი სამყაროს მეშვეობით გვარგუნებს. არ არსებობს არავითარი სულიერი შემეცნება იმავდროულად უფლის მიერ

ჩვენი განკურნების გარეშე. ღმერთი სულიწმიდის მეშვეობით ისე გვეპყრობა, რომ ყველა გარემოება, რომელშიც მისი ნებით აღმოვჩნდებით, ჩვენი მტანჯველი გარდაქმნისაკენ, ჩვენი შინაგანი სიკვდილისკენწაგვიყვანს. მაშასადამე, იესომ ბრმას ტალახი წაუსვა ქუთუთოებზე – ეს ტალახი უმეტესად ისეთი გარემოებებია, რომლებიც ცუდ შეგრძნებებს გვანიჭებს; რომლებშიც ღმერთისაგან და ადამიანებისგან თავს მიტოვებულად ვგრძნობთ; რომლებსაც შეუძლიათ სულიერი თვალები აგვიხილონ. ჩვენ ბუნებით თავის ამრიდებელნი ვართ. გვსურს, ყოველთვის ყველაფერი უმტკივნეულოდ მისრიალებდეს, ჩვენი პრობლემები მაშინვე წყდებოდეს, უსწრაფესად ვიკურნებოდეთ. მაგრამ ასეთ პირობებში სულიერად ბრმები დავრჩებოდით. უნდა ვისწავლოთ, ღვთის ნებად აღვიქვათ ყველა გარემოება, თუ ისინი ჩვენი ბრალი არ არის (და თვით ამ შემთხვევაშიც). თუ ჩვენი ცხოვრება ღმერთს გადავეცით – და ხომ ამას ვამოწმებთ, როდესაც ქრისტიანები ვხდებით, – მაშინ სერიოზულად უნდა მოვეკიდოთ იმ ფაქტს, რომ ყველა გარემოება, ყველა ადამიანი, ყველა ურთიერთობა მისი კონტროლის ქვეშ დგას, მის მიერ არის დაშვებული, და ერთ მიზანს ემსახურება: თვალი აგვიხილოს. კიდევ ერთხელ: ჩვენ ყველანი ბრმადშობილნი ვართ. ჩვენ ყველანი ბრმა მოშურნენი ვართ, ჩვენ ყველას გვჭირდება ეს ტალახი ნერწყვისა და მიწისაგან. ჩვენ ყველა ღმერთმა უნდა განგვკურნოს: რათა ჩვენი ძველი მე მოკვდეს. მაგრამ ჩვენ რაღაც სხვაც გვჭირდება: შილოახის საბანელში უნდა განვიბანოთ. ამას სხვადასხვა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს: ნათლობიდან დაწყებული ყოველდღიური დაბანვით დამთავრებული. მაგრამ სიტყვა „შილოახი“ რაღაც ისეთს გამოხატავს, რაც სულიერი ხედვისათვის აუცილებელია: ეს არის მორჩილება. „შილოახი“ ნიშნავს „წარმოგზავნილს“. ვინც შილოახის საბანელში განიბანება, ექვემდებარება იმის აბსოლუტურ ავტორიტეტს, ვინც წარმოგზავნილ იქნა, რათა ჩვენთვის თვალი აეხილა, სულიერი ხედვა მოენიჭებინა. აბრაამის რწმენა, უპირველეს ყოვლისა, მორჩილების რწმენა იყო. და აბრაამის შესახებ ნათქვამია, რომ „მან, ქრისტე იხილა“. დიახ, და უფრო მეტიც: აბრაამი იმ ქალაქის რაღაც ნაწილსაც კი ხედავდა, რომელიც ჯერ მხოლოდ საფუძვლის სახით არსებობდა, და მას უცდიდა. მაშასადამე, აბრაამი ღმერთის ყველა გზისა და ამ გზებზე ადამიანის ყველანაირი ტარების მიზანს ხედავდა, თუმცა, მან იცოდა, რომ „უჩვენოდ“, ესე იგი, გვიანდელ შთამომავალთა გარეშე, ის ამ მიზანს ვერ მიაღწევდა. ძმებო და დებო, უნდა გვიკვირდეს, რომ სულიერად ასეთი ბრმები ვართ, ნიადაგ გავურბით ღვთის მიერ ჩვენს განკურნებას, ნიადაგ ჩვენს საკუთარ გზებს მივუყვებით, სიძნელეებს გავურბით და მუდამ იოლ გზას ვირჩევთ! ღმერთი შეგვეწიოს, რომ დავემორჩილოთ ღვთის ძეს, განვაკურნინოთ მას თავი, და შილოახისსაბანელში განვიბანოთ. მხოლოდ მაშინ აღმოგვხდება ჩვენც ეს შეძახილი: „ერთი ეს ვიცი, რომ ბრმა ვიყავი და ახლა ვხედავ!“

ძე, გასრულებული მარადისობაში

ჩვენ ვილაპარაკეთ სულიერი ხედვისა და გამოცხადების შესახებ. ის, რაც ჩვენ უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვადგინოთ, არის ახალაღთქმისეული ხედვა, კერძოდ, თუ როგორ ხედავს ახალი აღთქმა იესო ქრისტეს, ჩვენს უფალს. ჩვენ ისე უნდა დავინახოთ და შევიცნოთ ქრისტე, როგორც მას ახალი კავშირის მოციქულები და წინასწარმეტყველები ხედავდნენ და შეიცნობდნენ. და აქ ვეჯახებით ერთ პრობლემას, რომელიც არც ისე ადვილი გასაგებია. ამიტომ ვთხოვდი ყველას, ვინც მაშინვე „ერესის“ გამო ატეხენ ხოლმე განგაშს, ცოტა დამაცადონ და ერთ ხანს თავი შეიკავონ განსჯებისაგან. მართლაც ყურადსაღებია პროფესორ ჰელმუტ თილიკეს სიტყვა: „ერესს უნდა შეჰბედო, რათა შეიტყო ჭეშმარიტება“. ცხადია, განზრახვად ის სულაც არა გვაქვს, რაიმენაირად გავუმანძილდეთ ახალი აღთქმის დამოწმებებს. ღმერთმა დაგვიფაროს. მაგრამ ის კი შეიძლება, რომ ჩვენი სულიერი აღმოჩენების გზაზე ისეთ მხარეში გავიჭრათ, რომელიც თავიდან ცოტა უცხოდ მოგვეჩვენება, რადგან ის ტრადიციული თვალთახედვის ვიწრო წრეს გაცილებულია და ისეთ პერსპექტივებს ხსნის, რომლებიც ტრადიციულ დოგმატიკას წინასწარ არ განუჭვრეტია, დიახ, სულაც გვაფრთხილებს მათ გამო. მაგრამ ჩვენ ახლა როდი ვეხებით ქრისტიანული მოძღვრების შენობის ცალკეულ ნაწილებს, არამედ – ახალი აღთქმის დამოწმებათა სისავსეს ვუტრიალებთ. როგორც უკანასკნელ თავში დავინახეთ, აქ საქმე ეხება სულიერ საიდუმლოს, რომელიც არასოდეს იძლევა შესაძლებლობას, დოგმატურად

იქნას განსაზღვრული და დადგენილი. ახალი აღთქმა სინამდვილეს გვიჩვენებს, ის მისი დამოწმებაა და არა სახელმძღვანელო. რას გვარგია რომელიმე მშვენიერი ქვეყნის თუნდაც ძალიან ზუსტი რუკა, თუ ბილეთი არ ავიღეთ და იქ არ გავემგზავრეთ. რუკა არ არის სინამდვილე, ის ოდნავაც ვერ ჩაენაცვლება მას. მართალია, ის ნიუანსებსაც კი გვიჩვენებს, და მისი წყალობით მრავალ ინფორმაციას ვიღებთ, მაგრამ რუკაზე მზე არ ანათებს, არ წვიმს, ქარი არა ქრის, არც ხეებია და არც ყვავილები, არც ტორფის სურნელი იფრქვევა და არც ძლიერ მცენარეთა ტევრებისა. რუკაზე არაფერი იძვრის – რადგან ის არ არის ცოცხალი სინამდვილე. ზუსტად ასეთივე ურთიერთმიმართებაა ქრისტიანულ მოძღვრებასა და თავად სინამდვილეს შორის. ვიდრე მე მხოლოდ ჩემი დოგმატიკის, ჩემი მართალი სწავლების (თუნდაც იმჟამად საუკეთესო სწავლების) ამარა ვარ, იმ ადამიანს ვედარები, რომელიც მსოფლიოს ყველა ქვეყნის რუკას ფლობს (და შეიძლება ისინი თვალდახუჭულმაც იცის), მაგრამ ორი ნაბიჯითაც არ გასცილებია თავისი სახლის კარს, გავიდე ერთი, ვნახო, სინამდვილეში როგორ გამოიყურება ქვეყნიერებაო. ჩვენ ვესწრაფვით იმ სინამდვილეებში შეჭრას, რომელთაც ახალი აღთქმა ამოწმებს. მხოლოდ ასე მივაღწევთ ღმერთის ნამდვილ შემეცნებას, და ასე მივაღწევთ შესაბამისობას იმასთან, ვინც უნდა ვიყოთ ჩვენ ღმერთის წარმოდგენით, როგორც ახალი კავშირის მორწმუნეები. მოციქულთა საქმეებში ახალ ქრისტიანული რწმენას ხშირად „გზას“ უწოდებენ, რადგან რწმენით უნდა ვიაროთ. ქრისტიანები „გზის“ ხალხი იყვნენ. ქრისტე თავის თავს უწოდებს „გზას“ და „კარს,“ კარს, რომელშიც უნდა შეხვიდე. ასეთი გამოთქმები იმაზე მიანიშნებს, რომ სულიერი სინამდვილეების შემეცნებას მხოლოდ მაშინ შევძლებთ, თუ ერთი განსაზღვრული მიმართულებით მივდივართ, ანუ ერთ განსაზღვრულ გზაზე მივაბიჯებთ. ისეთ რამეზეა ლაპარაკი, რომელსაც მხოლოდ მაშინ მოვიპოვებთ, თუ მთელი ჩვენი არსებით მივეცემით მას, ჩვენზე ზემოქმედების, ჩვენში შემოჭრის უფლებას მივცემთ, მთლიანად მას მივეჯაჭვებით, მასში განვზავდებით. მოძღვრების მუხლები მხოლოდ გვეხმარება ორიენტაციაში. და ამით მათი ფუნქცია ამოწურულია. ჩვენ არ უნდა დავემსგავსოთ იმ მწიგნობრებს, რომლებმაც იცოდნენ, რომ ქრისტე ბეთლემში უნდა დაბადებულიყო, მაგრამ საჭიროდ არ ჩაუთვლიათ, წასულიყვნენ და მეფეს შეგებებოდნენ. ჩვენ იმ ბრძენებს უნდა ავედევნოთ, რომლებიც ბეთლემში მიდიან, რათა დაემხონ ბავშვის წინაშე და თაყვანი სცენ მას. ეს ერთადერთი შესაძლებლობაა, ნამდვილად გავიცნოთ იგი, ვინც მაშინ ბაგაში იწვა. ეს მოწიწებით, მთელი სულითა და გულით უნდა გავაკეთოთ, თუნდაც იმ ბრძენი კაცების მსგავსად შორზე შორი გზის გავლა მოგვიხდეს.

ქრისტე ღმერთის ყველა აზრისა და გეგმის ცენტრი

ღმერთის აზრები განუხრელად მის საყვარელ ძეს დასტრიალებენ. რაც კი მას ოდესმე დაუპირებია, რაც კი ოდესმე გადაუწყვეტია და განუხორციელებია, ყველა მისი საქმე და ქმნილება ხილულ და უხილავ სამყაროში ქრისტესგან გამოდიოდა და ქრისტეს უბრუნდებოდა. სახარებებში მრავალგზის ნახსენები სიტყვა, რომელსაც მამა ნათლობასთან, ანუ ფერისცვალებასთან დაკავშირებით წარმოთქვამს თავისი ძის შესახებ თაბორის მთაზე, გაცილებით ღრმა და ვრცელ შინაარსს შეიცავს, ვიდრე შეიძლება პირველ წუთებში მოგვეჩვენოს: „ეს არის ჩემი საყვარელი ძე, რომელიც მოვიწონე მე“ (მათე 3:17). რომ ღმერთმა „მოიწონა“ ქრისტე, ნიშნავს, რომ ღმერთმა ქრისტეში ჰპოვა ის, რასაც ეძებდა; რომ ყველა მისი მოთხოვნილება ქრისტეში დაკმაყოფილდა; ყველა მისმა წარმოდგენამ და სურვილმა აღსრულებასა და სრულყოფას ქრისტეში მიაღწია. ქრისტეში ღმერთი სიმშიდეს ეწია, ქრისტესთან ღმერთს მთლიანად შეუძლია გაიგივდეს. მაგრამ ამით ისიც ითქვა, რომ რომ ქრისტეს გარდა სხვას არავის შუძლია ღმერთის დაკმაყოფილება და რომ ღმერთის თვალში არ არსებობს არავინ ქრისტეს შემცვლელი, ქრისტეს სუროგატი.

ამ აზრს სერიოზული კონსექვეტურობა გააჩნია ღვთის ყველა შვილისთვის. უმნიშვნელოვანესი დასკვნა კი, რაც აქედან უნდა გავაკეთოთ, ის არის, რომ როგორც არ უნდა მოვინდომოთ და გავისარჯოთ, ვერ შევძლებთ, ღმერთს მოვაწონოთ თავი. რადგან ჩვენ ქრისტე არა ვართ. ქრისტე ყველა თვალსაზრისით ჩვენგან სრულიად განსხვავებულია. მოდით, ერთი წამით სახარებებს ჩავხედოთ. რამდენჯერ განცვიფრებულან ან გაბრაზებულან მოწაფეები იმის გამო,

რომ იესო სულ სხვაგვარად მოქცეულა, ვიდრე ელოდნენ. ის უბრალოდ ვერ ეწერებოდა ვერანაირ ადამიანურ კონცეფციაში. ის აფეთქებდა ყოველგვარ ტრადიციას, ყოველგვარ რელიგურ და ზოგჯერ მორალურ ნორმასაც კი, რადგან ის მისდევდა კანონს, რომელიც არღვევდა ადამიანურ საზღვრებს და ცხოვრებას მარადისობისაკენ მიმართავდა. არა ერთხელ განუმარტავს უფალს, თუ რატომ იქცეოდა ასე და არა სხვაგვარად: „სიტყვები, რომლებსაც გეუბნებით, ჩემი არ არის“, „მე ჩემი მამის საქმეებს ვაკეთებ; რასაც ვხედავ, რომ მამა აკეთებს, მეც იმას ვაკეთებ...“ ყველა საქმეში ის გამგონე და მორჩილი ძე იყო, რომელიც მამის ყველა სურვილს, მთელ მის ნებას აღასრულებდა, ისე რომ არავითარ ანგარიშს არ უწევდა საკუთარ თავს. მაგრამეს არ არის ერთადერთი მიზეზი, რატომაც უფალმა ღმერთის მოწონება დაიმსახურა. ის ამავე დროს სრული ადამიანი იყო. ის იყო, რაც ღმერთს წარმოედგინა, როდესაც ადამს ქმნიდა, ისეთი იყო, როგორიც ადამი უნდა ყოფილიყო: ადამიანური არსის სრული შინაარსი, უზადო, წაუხდენელი, უცოდველი ადამიანი. კაცი, რომელიც სრულიად თავისუფლად გამოთქვამდა ღმერთის აზრებს ადამიანის შესახებ. ამიტომ ის სიამოვნებით უწოდებდა თავის თავს „ძეს კაცისას“. ის იყო ღმერთის სრული მანიფესტაცია ადამიანის სახით. როგორიც ის იყო, ისეთია ღმერთი. ღმერთი მასში იყო, და ის იყო ღმერთში. ამიტომ შეეძლო ესეც კი ეთქვა: „მე და მამა ერთი ვართო.“ მაგრამ ის უფრო მეტი იყო. ის იყო მეუფე, სადაც კი ჩნდებოდა: ის ბატონობდა ტკივილზე, დემონებზე, მოლეკულებსა და ატომებზე (წყლის ღვინოდ გადაქცევის სასწაული); ის ბატონობდა სიცოცხლისა და სიკვდილის პროცესებზე (ლეღვის ხის სასწაული, კეთროვნებისთვის ორგანოთა განახლების სასწაული); ის განაგებდა ადამიანთა გეგმებსა და ზრახვებს; ის განაგებდა გარემოებებსა და დროს („მისი ჟამი ჯერ არ დამდგარიყო“, „ის გავიდა მათი შუაგულიდან“). სხვა თვალსაზრისითაც შეესაბამებოდა ქრისტე ღმერთის მოლოდინებს, და აკმაყოფილებდა ღმერთის მოთხოვნილებას: ის აგრეთვე მთლიანად ტანჯვაში იდგა. ის გაურბოდა ყოველგვარ „შემსუბუქებას“. ტანჯვამ სრულყოფილი გახადა. სიძაბუნისა და სირცხვილის ატანით მან მიაღწია სიმწიფის სისრულეს და ამაღლდა სრულყოფილ„ძეობამდე“, „ძემდე, მარადისობაში რომ სრულიქმნება“ (ებრაელთა 7, 28).თუმცა, ადამიც, ვიდრე დაეცემოდა, უცოდველი იყო, მაგრამ ღმერთის გეგმასთან კავშირში ბავშვი გახლდათ. იგი, რაც მის მორალურ მდგომარეობას შეეხება, შეიძლება უცოდველი იყო, მაგრამ არასოდეს – სრულყოფილი. ქრისტე გაჩნდა მეორე ადამიანად (ადამად), რათა ცოდვით დაცემის შედეგად შერყეული გეგმა, ღმერთს რომ ადამიანებთან დაკავშირებით გააჩნდა, გადაერჩინა, განეახლებინა და ბოლომდე მიეყვანა. ამიტომ ამბობს ეპისტოლე ებრაელთა მიმართ, რომ ქრისტე „ტანჯვის წყალობით სრულიქმნა, მას შემდეგ, რაც „ისწავლა მორჩილება“.

ქრისტოცენტრიზმი?

თუნდაც ამ მცირეოდენი მითითებების საფუძველზე ვხედავთ, რომ ქრისტეს ტრადიციული შემეცნება გაცილებით უფრო ვიწრო მზერას ეყრდნობა. ტრადიციული ქრისტოლოგია ჩვენი უფლის პიროვნების მრავალ ასპექტს მხოლოდ ნაწილობრივად სწვდება. დიახ, ჩვენ არსებითად არც გაგვაჩნია ნამდვილი ქრისტოლოგია, არამედ უფრო სოტერიოლოგიას ვავითარებდით („სოტერ“ ბერძნულად „მხსნელი“). ყველა შემთხვევაში, ის ცალმხრივი და სწორხაზობრივი განვითარება იყო. და თუ ახლოდან დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ მას ჩვენი უფლის პიროვნებასთან, როგორც ის ახალ აღთქმაშია გაცხადებული, საერთო ძალზე ცოტა აქვს. მე აქ არ ვლაპარაკობ სამხარეო ეკლესიების აკადემიურ თეოლოგიაზე. უფრო მეტად ფუნდამენტალიზმისა და ამგვარად განწყობილ დაჯგუფებათა ქრისტოლოგიას ვგულისხმობ. თუმცა, ისინი თავიანთ მოძღვრებას ქრისტოცენტრულად მიიჩნევენ, მაგრამ ძეს, მის პიროვნებას, მის ადგილს ღმერთის გეგმაში არ განიხილავენ ამ მოძღვრების ბირთვად. მთელი მათი სწავლება ტრიალებს ადამიანის დახსნაზე და ხსნაზე ცოდვისა და წახდომის მონობისაგან. მთელი ჩვენი ევანგელიკური თეოლოგია სოტეროცენტრულია (ანუ, მის ცენტრში დგას ადამიანის ხსნა). იგი მთლიანად ტრიალებს ცოდვილის დაკარგულობასა და ხსნაზე, ცოდვასა და შენდობაზე, მის გამართლებასა და განკურნება-განწმენდაზე. და თუ გვეყოფა გაბედულება, ზუსტად დავინახოთ, მაინც რაზეა ლაპარაკი, აღმოვაჩენთ, რომ აქ ცენტრში ქრისტე კი არა, ადამიანი დგას,

ადამიანი თავისი მოთხოვნილებებით, და ქრისტე ადამიანის მსახურია, რომელსაც იგი გაჭირვებიდან დაიხსნის და თავისთან ზეცაში აჰყავს. ვისურვებდი, აქ ნაადრევი განსჯებისაგან თავი შეეკავებინათ. ხსნა დიადი რამაა. ქრისტეს გარეშე ადამიანი მარადისობაში ჩაიკარგებოდა. ქრისტეს საქმე, გოლგოთაზე რომ აღასრულა, სამარადჟამოდ დარჩება დიად მელოდიად იმ ძლევამოსილ ხმოვანებაში, სამყაროსადმი თაყვანისცემას რომ გამოხატავს. კრავს თავისი ადგილი უჭირავს საკურთხეველზე და ზეციური იერუსალიმის გულის-გულში. მაგრამ იმას, რომ ქრისტე კრავი გახდა, რომელმაც სოფლის ცოდვები იტვირთა, არაფერი აქვს საერთო იმ მარადიულ გეგმასთან, ღმერთს თავის ძესთან დაკავშირებით რომ გააჩნია. ქრისტეს ხსნა არ სჭირდებოდა. გამომდინარე მისი პიროვნებიდან და ღმერთთან მისი ადგილიდან, მას არაფერი აქვს საერთო ცოდვასთან, მონობასთან, წახდენასა და წყვდიადთან. „ის იყო უწინარეს ყოველივესი“, ამბობს მოციქული. როდესაც ღმერთმა თავისი გეგმა შეიმუშავა, როდესაც მან თავისი ძე თავისი გადაწყვეტილების შუაგულში ჩააყენა, ხსნის არავითარი საჭიროება და აუცილებლობა არ არსებობდა, რადგან ჯერ არ არსებობდა ცოდვა. ღმერთმა თავისი გეგმა შეიმუშავა ადამიანის ცოდვით დაცემამდე, და თუ ეს დაცემა არ მოხდებოდა, – ადამიანი ასე შემზარავად არ შეაქცევდა ღმერთს ზურგს და მის წინააღმდეგ არ ამბოხდებოდა. ასეთ შემთხვევაში ღმერთის გეგმა მაინც სრულყოფილად შესრულდებოდა ქრისტეში და არაფერი დააკლდებოდა. ის, რისი თქმაც აქ გვსურს (და გაცნობიერებული მაქვს, რაოდენ ძნელია ამ ღვთაებრივი განზომილებისთვის თვალის მიდევნება და ღმერთის პოზიციაზე დადგომა), არის შემდეგი: მთელი ხსნა, ადამიანის ხსნისა და გადარჩენის მთელი კონცეფცია მასთან დაკავშირებული დეტალებით არ არის ნაწილი ღმერთის თავდაპირველიგეგმისა, რომელიც ღმერთმა ქრისტეში „უწინარეს ყოველთა საუკუნეთა“ შეადგინა.ხსნა მხოლოდ ცოდვით დაცემის შემდეგ გახდა აუცილებელი. რა თქმა უნდა, ღმერთმა წინასწარ იცოდა, რომ ერთხელაც ეს ცოდვით დაცემა მოხდებოდა. ამიტომ გაითვალისწინა ხსნაც ამ შემთხვევისათვის და ძეც მზად იყო თავისი თავი როგორც კრავი გადაეცა მამის განკარგულებაში. მაგრამ ხსნა არ იყო აუცილებელი მამის თავდაპირველი გეგმით, და მას არც არაფერი შეუცვლია ამ გეგმაში. ხსნით ღმერთი იქ ჩაერთო, სადაც გეგმა ცოდვით დაცემამ ჩაწყვიტა. და როგორც კი ჩვენ ქრისტეში ვიწყებთ არსებობას, ღმერთი თავის ძესთან ერთად პირდაპირ აგრძელებს გზას, როგორც ეს დაცემამდე და ამის გამო საჭიროდ გამხდარ ხსნამდე ჰქონდა დაგეგმილი. ღმერთს რომ ცოდვით დაცემა დაეგეგმა, მაშინ ეს თავდაპირველი გეგმის შემადგენელი ნაწილი უნდა ყოფილიყო, და მაშინ ღმერთი თავად იქნებოდა ამ დაცემაზე პასუხისმგებელი, ეს კი შეუძლებელია. ღმერთმა ადამიანი ისე შექმნა, რომ ის დაცემის გარეშე შეძლებდა გაზრდას, ქრისტემდე ამაღლებას (სამოთხეში დარგული სიცოცხლის ხის წყალობით) და „სრული ღვთიური სისავსით ავსებას“, ისე რომ ღმერთი ადამიანის მიერ სრულად განდიდდებოდა. ახლა ზემოთ ნათქვამიდან გამოვიტანოთ დასკვნა: თუ ჩვენ გვსურს ისე გავიცნოთ ქრისტე, როგორც მას მამა იცნობს, როგორც ის წარმოგვიდგება ღმერთის მარადიულ გეგმაში ცოდვასთან და დაცემასთან კავშირის გარეშე, მაშინ თვალებიდან უნდა ჩამოვიხსნა „ხსნის“ სათვალე, ანუ აღარ დავინახოთ და ავხსნათ ყველაფერი მხოლოდ ხსნის შუქში. მაშინ უპირატესობა უნდა მივანიჭოთ ჩვენი უფლის პიროვნებას მის საქმემდე „უწინარეს ყოველთა საუკუნეთა“. აღარ გვაქვს უფლება მხოლოდ ადამიანის პოზიციიდან ვმსჯელობდეთ, არამედ იქითკენ უნდა ვისწრაფოდეთ, რომ საგნები ღმერთის თვალით დავინახოთ. ადამიანი იქ უნდა მივიყვანოთ, სადაც ეკუთვნის მისვლა: ჯვართან. რადგან ჯვარზე ადამიანი დაიძლია და მის ადგილას ქრისტე დადგა. და მხოლოდ მაშინ როდესაც ამ ღვთაებრივ თვალთახედვას გავითავისებთ, – შევუდგებით ქრისტოცენტრულად აზროვნებას და რწმენას. ღმერთმა ქრისტე მოიწონა. ღმერთს ქრისტე აინტერესებს. ღმერთის მიზანია, ყველა საგანი ქრისტეთი ჩაანაცვლოს, ყველა საგანში ისე გამოსახოს ქრისტე, რომ „ქრისტე იყოს ყველაფერი და ყველაფერში“. ღმერთის განზრახვა არ არის ადამიანების ცაში აყვანა. ღმერთი უფრო იმას აპირებს, ისე აღავსოს ცა და მიწა ქრისტეთი, რომ არაფრისთვის აღარ დარჩეს ადგილი, რაც ქრისტე არ არის და ქრისტეში არ არის.

ღმერთს ნაკლებად ეხება ჩვენ აქ, ქვემოთ ცოტათი გამოვსწორდებით, ჩვენს ამა თუ იმ ნაკლს შეძლებისდაგვარად დავძლევთ, ხანდახან რაღაც სიწმინდე მოგვეცხება თუ არა. მისი მიზანია ჩვენში ყველაფერი ქრისტეთი ჩაანაცვლოს. ისე არ არის, რომ რაკი მორწმუნეები გავხდით, ღმერთისაგან მაშინვე მივიღებთ სამართლიანობას, განწმენდას, ხსნას, მშვიდობას

და ა.შ. არა. ღმერთი ჩვენ გვაძლევს ქრისტეს. და ქრისტეს მივყავართ სამართლიანობასთან, სიბრძნესთან, სიწმინდესთან, ხსნასთან. ქრისტეა ჩვენი მშვიდობა, ქრისტეა ჩვენი სინათლე, რომელიც გვანათებს.

რაც არ უნდა ჩამოვთვალოთ, ყოველთვის გამოჩნდება, რომ ქრისტე ყველაფერს აღემატება და მართლაც ყველაფერია. და მთელი ჩვენი ხსნა იმაში მდგომარეობს, რომ ქრისტე მივიღოთ. ჩვენ, მაგალითად, აღარ გვჭირდება სიყვარული. ჩვენ გვჭირდება მეტი ქრისტე და ცოტა ჩვენი თავი, რადგან ქრისტე თავად სიყვარულია. ჩვენ აღარ გვჭირდება მოთმინება, რადგან ქრისტეა მოთმინება ჩვენში. აღარ გვჭირდება ძალა, რადგან ქრისტეა ღვთის ძალა ჩვენში. ისე არ არის, რომ ქრისტე, თუკი ის გვწამს, იმ ყველაფერს გაგვინაწილებს, რაც გვჭირდება. უფრო მეტად იმგვარდაა, რომ ქრისტეა ის ყველაფერი ჩვენში, რაც ჩვენ გვჭირდება. და ეს ქრისტე უშრეტი და ამოუწურავია.

და სული წმინდაც მაშინ სულ სხვა მნიშვნელობას იძენს: იგი ნამდვილად ქრისტეს „საქმეთა მმართველი“, მნეა. ის არ მოდის მანიფესტაციებისა და სხვადასხვა სულიერი ნიჭებისა თუ მადლების წყალობით და მათი გულისთვის. ის მოდის, რათა ყველაფერი ქრისტეთი ჩაანაცვლოს და ყველაფერი ქრისტეთი აღავსოს. აქედან გამომდინარე, მე-13 თავი პირველი ეპისტოლესი კორინთელთადმი ღრმა მნიშვნელობას იძენს და წარმოადგენს მძაფრ შენიშვნას ყოველგვარი ქარიზმული კონცეფციისადმი. ყველა ეს ნიჭი (რაც ამ თავშია ჩამოთვლილი), ამბობს პავლე, კარგიაო, გიხაროდეთ, რომ ღმერთი ამდენი ცუდის მიუხედავად თქვენს შუაგულში ცოცხლად მოქმედებს და მრავალგვარად ვლინდება. მაგრამ ეს ის არ არის, რაც ღმერთს უნდაო. „მე თქვენ გიჩვენებთ გზას, რომელიც ამ ყველაფერს აღემატება“ (სხვა თარგმანში: „...უფრო დიდებულ გზას“) და შემდეგ ის ახასიათებს ქრისტეს და ისე უბადლოდ და განუმეორებლად, როგორც კი ეს შესაძლებელია იმ ადამიანისათვის, რომელიც საგნებს ღმერთის თვალებით ხედავს. ყველაფერი დანარჩენი ფერმკრთალდება ქრისტეს სინამდვილის წინაშე. მაშინაც, როცა პავლე სიყვარულზე ლაპარაკობს, ხომ ქრისტე ჰყავს მხედველობაში, როგორც ის თემში ვლინდებოდა, რა სახესაც თემში იღებდა. ამის გვერდით ყველაფერი ქარიზმული, „სულთმომფენობითი“ ბავშვურ თამაშად გამოიყურება („როცა კაცი გავხდი, ყველაფერი ბავშვური ჩამოვიშორე“). ეს კაცი, რომელზედაც პავლე ლაპარაკობს, არის ქრისტეს სრული სახე წმინდანში, ეს არის ქრისტეს სისავსის სისრულე, ეს არის ქრისტე ყველაფერი და ყველაფერში.

ჩვენ გვჭირდება, ღმერთი მძაფრად მოგვეპყროს, რათა მოვიპოვოთ მზაობა ჩვენი მცდარი კონცეფციების გვერდზე მოსასროლად, საგნების ისე დასანახად, როგორც მათ ღმერთი ხედავს. მხოლოდ მასშემდეგ, რაც მრავალჯერ ამაოდ მივადგებითქრისტეს, მრავალჯერ მხოლოდ ნაჩქარევად შევუვლით მას, მრავალჯერ უკან გავბრუნდებით უარით გაწბილებულნი, და მაინც არ მოვეშვებით, – დაიწყებს ქრისტე ჩვენი რწმენის ცენტრად, შუაგულად, არსად და შინაარსად გადაქცევას. როცა ვისწავლით ყველა საგანში ქრისტეს დანახვას და იმის დაჯერებას, რომ ქრისტეა ჩვენში ყველაფერი, რაც კი გვჭირდება, მაშინ ვხდებით ჭეშმარიტად ქრისტოცენტრულნი. მაშინ გავიყოფთ ღმერთ მამასთან ერთად იმ უძვირფასესს, რაც მას გააჩნია: მის ძეს. ქრისტე გახდება ჩვენი ერთადერთი ჰორიზონტი, ჩვენი ერთადერთი იმედი, ერთადერთი სამფლობელო და საკუთრება, ჩვენი ერთადერთი ინტერესი. და მაშინ ყველაფერი სულ უფრო და უფრო გაფერმკრთალდება...

ბერი ფილოთეველი

იესოს ლოცვა[1]

(ნაწყვეტები წიგნიდან „ჩემი ბერი[2] იოსებ ისიხასტი[3] და მღვიმელი“)

ბერი იოსების საძმოში რამდენიმე დღის მისული ვიყავი, მამა არსენმა რომ მითხრა:

– წამოდი, პატარა, ლოცვას გასწავლი. – მაშინ გონიერი ლოცვა[4] არ ვიცოდი, – ჩემთან მოდი, სენაკში, – ის სენაკი, აბა, როგორ დაგვიტევდა – შენ საწოლზე დადგები. გონებას გულში მოვათავსებთ და ვიტყვით, „უფალო იესო ქრისტე, შემიწყალე მე“. ვნახოთ, რა იქნება. ხომ მიხვდი?

– მივხვდი.

– ოღონდ ყურადღებით იყავი, გონებით წარმოთქვი და არა ბაგით. ფეხზე ვიდგებით. აბა შენ იცი, არ ჩაგეძინოს.

– არ ჩამეძინება.

ძალისაებრ ვლოცულობდი, იმის გათვალისიწინებით, რაც გონიერი ლოცვის შესახებ გამეგონა. ცოტა ხანში მამა არსენი მეკითხება:

– იგრძენი რამე? განიცადე? გეწვია მადლი?

– არა, მამაო.

– მოუსვი აქედან, შე უსულგულოვ! ამდენი ხანია, ვლოცულობთ და ვერაფერი იგრძენი?

[1] „უფალო იესო ქრისტე, შემიწყალე მე“. წმინდა მამების სწავლებითა და გამოცდილებით, იესოს ლოცვა არის ვნებებთან ბრძოლის საფუძველი. ვინც მოიხვეჭს ამ ლოცვას, ის აღმოაჩენს და დაამარცხებს ვნებებს საკუთარ თავში, შეიცნობს თავს და ღვთის დიდებულებას ეზიარება. ორი სიტყვით – ასეა. პრაქტიკულად კი ეს გახლავთ ყოველწამიერი ბრძოლა, „უსისხლო ჯვარცმა“, „შენი შენთაგანის“ მიცემა, იმისთვის, რომ საბოლოოდ ადამიანი შეერთდეს ღმერთთან და იესო დაემკვიდროს მლოცველის გულში. არსებობს სწავლება, თუ როგორ უნდა დავეუფლოთ იესოს ლოცვას. ის რამდენიმე საფეხურისგან შედგება – ა) ლოცვა ბაგეებით, ანუ ხმით, ბ) გონიერი ლოცვა, გ) გულითადი ლოცვა. გამოუცდელმა ადამიანმა შეიძლება იფიქროს, რომ ლოცვის დაუფლება ტექნიკურად შესაძლებელია, თუმცა ეს არ მიანიშნებს იმაზე, რომ ადამიანში ნამდვილი ქრისტიანი დაიბადა. ქრისტიანული გამოცდილება კი ამბობს, რომ თუ არ გექნება ლოცვა – ვერ გაუმკლავდები ვნებებს. როგორც ითქვა, იესოს ლოცვის ბოლო საფუხური სწორედ ვნებათაგან გათავისუფლებაა, ეს კი, მამათა სწავლებით, შეუძლებელია ღვთის შეწევნის გარეშე, მისი დახმარების გარეშე. დახმარება უნდა ვითხოვოთ, თხოვნა, იგივე ლოცვაა. ამრიგად, ლოცვის სწავლა თვითმიზანი არ არის, იესოს ლოცვა იარაღია იმ ბრძოლაში, რომელსაც მლოცველი, პირველ რიგში, საკუთარ თავში მართავს. თუ როგორ აღიჭურვებოდნენ ამ იარაღით ათონელი მეუდაბნოეები, რა გზას გადიოდნენ ისინი, სწორედ ამაზეა ეს თავი.

[2] თანამედროვე ქართულ სასულიერო ლიტერატურასა და მეტყველებაში არასწორი მნიშვნელობითაა დამკვიდრებული სიტყვები: „ბერი“ და „მონაზონი“. „ბერს“ უწოდებენ მოწესე მამაკაცს, ხოლო „მონაზონს“ – მოწესე ქალს. თარგმანში „მონაზონი“ ორივე სქესის მოწესეს გულისხმობს, როგორც აღკვეცის წესშია („წესი და განგება წმიდისა და ანგელოზებრივისა სქემისა თქმული წმიდისა და დიდისა ბასილისა“). „ბერი“ კი „სულიერი ჰასაკის“ სისრულეს მიღწეული მონაზონია, რომელსაც აქვს სულიერი გამოცდილება და შეუძლია იყოს სხვათა მასწავლებელი, მოძღვარი. სხვა მონაზვნებისგან ბერს განასხვავებს, გამოარჩევს „მოხუცებულობა გონებისა“, მადლმოსილება, უნარი, განჭვრიტოს ადამიანის სულიერი მდგომარეობა, უცდომელად განასხვავოს ღვთიური ენერგია ეშმაკის ენერგიისა და ადამიანის ფსიქომატური ენერგიისგან და, აქედან გამომდინარე, განასხვავოს ემოციური მდგომარეობა სულიერი გამოცდილებისგან.

[3] ბერი იოსებ ისიხასტი, ათონელი (1897-1959) – ერთ-ერთი უდიდესი სულიერი მოღვაწე XX საუკუნის ეკლესიის ისტორიაში. მის ცხოვრებას აღწერენ მოწაფეები და მოწაფეთა მოწაფეები მოგონებებში, წერილობით თუ ზეპირად. 80-იან წლებში გამოქვეყნდა ბერი იოსების წიგნი „მონაზვნური გამოცდილების გადმოცემა“, რომელშიც მის მიერ სხვადასხვა ადამიანთან, მათ შორის ერისკაცებთან გაგზავნილი წერილებია თავმოყრილი. ეს გახლავთ სწავლება მონაზვნური ცხოვრების, იესოს ლოცვისა და ვნებებთან ბრძოლის შესახებ.

[4] „გონიერი ლოცვა არის თავის იძულება, განუწყვეტლივ ამბობდე ლოცვას ბაგით, თავიდან სწრაფად, რომ გონებამ ვერ მოასწროს გაბნეულობის გულისსიტყვის ჩამოყალიბება. ვფიქრობთ მხოლოდ ლოცვის სიტყვებზე... როცა ლოცვა საკმაოდ დიდხანს გრძელდება, გონება ეჩვევა მას და თვითონ იწყებს გამეორებას. და სიტყბოებით ივსები, თითქოს თაფლი გქონდეს პირში. სულ გინდა, ლოცვა იმეორო და როცა შეწყვეტ, მწუხარება გეუფლება. როცა გონება მიეჩვევა და გაჯერდება ამით, ის გზავნის ლოცვას გულში, რადგან გონება არის სულის მკვებავი და კეთილს გაიგებს თუ ბოროტს, მისი საქმეა, ჩაუშვას ის გულში, რომელიც ადამიანის სულიერი და ხორციელი ძალების ცენტრი და გონების საყდარია. ასე რომ, როცა მლოცველი არ აძლევს გონებას რაიმეს წარმოდგენის საშუალებას, არამედ ფიქრობს მხოლოდ ლოცვის სიტყვებზე, მაშინ მსუბუქი სუნთქვით, მცირედი ძალდატანებით და საკუთარი სურვილით ჩაუშვებს მას გულში, სივიწროვეში აჩერებს და თანაბრად იმეორებს“. (ბერი იოსებ ათონელი, „მონაზვნური გამოცდილების გადმოცემა“. მეორე გამოცემა, ხახულის ღვთისმშობლის ახალი შუამთის მონასტერი, 2004).

გული გამინათდა, სიხარულით ამევსო, შენ კი არაფერს განიცდი? ბრიყვი ხარ, შვილო? მთელი ეს ხანი, აბა, რას აკეთებდი?

– თვითონაც არ ვიცი, მამაო, რას ვაკეთებდი.

– კარგი, დაბრუნდი სენაკში და იქ იკითხე ლოცვა.

დავბრუნდი სენაკში – კედელი გვყოფდა – და დავიწყე: „უფალო იესო ქრისტე, შემიწყალე მე“. ის კი კედელზე მიკაკუნებს:

– ჩუმად ილოცე, გონებაში! ხელს მიშლი!

ვერაფერს გავხდი: ფიქრები ირეოდა, თითქოს გონება არ მომყვებოდა, მეძინებოდა. ძილისთვის თავი რომ დამეღწია, გადავწყვიტე მემოძრავა, მაგრამ ჩემს სენაკში ეს შეუძლებელი იყო. შემეშინდა, ზეზეულად დამეძინება, დავეცემი და თავს გავიტეხავ-მეთქი. ამიტომ ჩურჩულით დავიწყე: „უფალო იესო ქრისტე, შემიწყალე მე“. მამა არსენს სიცოცხლის ბოლომდე, ოთხმოცდაშვიდი წლის ასაკამდე, უზადო სმენა ჰქონდა, ჩვილივით მახვილი სმენა. გაიგონა ჩემი ჩურჩული და კაკ-კუკ! ისევ კედელზე მომიკაკუნა. მივხვდი, რომ მეძახდა და მივედი.

– რატომ ლაპარაკობ?

ოჰ, ღმერთო! შემიწყალე!

– შემინდე, მამაო.

დავბრუნდი და ლოცვა გავაგრძელე, მაგრამ გონება უტყვი და უძრავი იყო, ლოცვა არ გამომდიოდა, ძილი მერეოდა და იძულებული ვიყავი, მეჩურჩულა, ოღონდ, ძალიან ხმადაბლა. მაგრამ მამა არსენიმ ამჯერადაც გაიგონა! ისევ დამიკაკუნა. კაკ-კუკ!

– კარგი, ხმადაბლა თქვი. არა უშავს რა, გაიზრდები და ისწავლი. რვა საათი ილოცე. ჩვენ ათ-თორმეტს ვლოცულობთ, ჯერ კვიცი ხარ, გაუხედნავი, უნაგირს რომ დაგადგამთ, შენც ათ-თორმეტ საათს ილოცებ.

* * *

თავიდან დიდი გასაჭირი მადგა. იესოს სახელს ვერ წარმოვთქვამდი. მეჩვენებოდა, თითქოს გონება მეწინააღმდეგებოდა, ვერ მეტყველებდა. სიტყვა „უფალოც“ კი არ შემეძლო მეთქვა. რას ნიშნავდა ეს? ჩემმა ბერმა მითხრა:

– ნუ დარდობ, შვილიკო, ნუ დაყრი ფარ-ხმალს. ნაჭუჭივითაა, უკაკუნე და გატყდება. ნაჭუჭი თუ გატყდა, აი, მერე კი!.. ლოცვა იმ თესლს ჰგავს, მიწაში რომ მარხია. თუ გაღვივდა და დაფესვიანდა, მისი ღერო მიწის გამომშრალი ზედაპირის გარღვევას ეცდება – ტკაც! – გაარღვევს და გააგრძელებს ზრდას. როცა მტერი უკან დაიხევს, შეტევაზე გადახვალ, მის პოზიციებს დაიკავებ, სულ ახალ-ახალს. მაშინ დაინახავ შედეგს, ამის შემყურე გაიხარებ და კიდევ მეტი მოგინდება, მეტს მოიწადინებ. ასე გაგრძელდება.

სიტყვა საქმედ იქცეოდა. ბერის ლოცვით თითოეული ჩვენგანი ლოცვას სწავლობდა. ზოგჯერ სამ, ოთხ, ხუთ საათს შინაგან ლოცვას ვასრულებდით, თავჩაქინდრულნი, გონებით. გონებას გულში ჩავუშვებდით და იქ, ღვთაებრივ სუნთქვაში ვაჩერებდით. ხანდახან თავს ავწევდი ხოლმე, ჰაერი რომ ჩამეყლაპა, მაგრამ მაშინვე უკან, შიგნით მეწეოდა. რა მეძახდა შიგნით? სული, რომელსაც ლოცვის გემო გაეგო და მეუბნებოდა: „სხვას ნუ ეძებ. აი, საფასე! განძი! ითხოვე!“ ოჰ, ეს მართლაც განძი იყო! ჭეშმარიტად!

* * *

როდესაც ჩვენს საძმოს ვინმე ემატებოდა, ბერის პირველი მოთხოვნა მისდამი ეს იყო: თავის იძულება[1] მდუმარებასა და იესოს ლოცვაში.

– იესოს ლოცვა, შვილო! მინდა მესმოდეს, როგორ ამბობ იესოს ლოცვას.

ღვთივგანბრძნობილმა მასწავლებელმა იცოდა, რომ თუ ახალდამწყები შეინარჩუნებს მდუმარებას და ილოცებს, ეს იქნება მყარი საძირკველი და კეთილი საწყისი მისი მომავალი ცხოვრებისა. ამიტომ ბერი იოსები გამუდმებით ამას გვიმეორებდა და ყურადღებით იყო, რომ დაუცადებლად გველოცა და მდუმარება გვქონოდა. ცხოვრება რეალურად გვიჩვენებდა, რომ ის ძმა, რომელიც მდუმარებასა და იესოს ლოცვას თავს აიძულებდა, მართლაც კეთილ საწყისს

[1] თავის იძულება არის ქრისტიანის შრომა, ღვაწლი, აიძულოს თავისი ვნებიანი ბუნება ლოცვისთვის, ვალდებულებების შესრულებისთვის, მცნებების დაცვისთვის, ყველა იმ საქმისთვის, იმ სათნოებებისთვის, რაც ცათა სასუფეველს დაამკვიდრებინებს. (მათ. 11,12).

დებდა, მყარ საძირკველს ამზადებდა სულის სახლისთვის. ვხედავდით, რომ ეს მხოლოდ ჩვენი მოძღვრის თეორია კი არ იყო, საქმით დასტურდებოდა.

სწორედ ამიტომ გვიმეორებდა:

– თქვენგან არაფერი მინდა, არაფერს ვითხოვ. მზარეულიც მე ვიქნები, ყველაფერს მე ვაკეთებ, მხოლოდ მსურს, დღე და ღამ ლოცულობდეთ, ინანიებდეთ, ცრემლს ღვრიდეთ.

ჩვენი მონაზვნური ცხოვრების დასაწყისში გვითხრა: „შვილებო, როცა ერს ვტოვებთ, გონება მაინც იქ რჩება და იმაზე ფიქრობს, რაც ერში ჩვენს საზრუნავს წარმოადგენდა. წარმოსახვა სავსეა სურათ-ხატებით, ვნებებით, შთაბეჭდილებებით, აზრებით იმ ცხოვრებიდან რომ მოგვყვა, ამასთან, ზურგზე გუდასავით გვკიდია ამპარტავნება. ჩვენს ვნებიან შინაგან სამყაროში ვნებების შესაბამისი გულისსიტყვები[1]და წარმოდგენებია. რომც მოვინდომოთ და შევეცადოთ, ლოცვის დროს გონება იმ ყველაფერს მოვწყვიტოთ და განვაშოროთ, არაფერი გამოგვივა. რატომ? იმიტომ რომ სულიერად სუსტნი ვართ, ვნებიან ოცნებებში კი ძლიერნი. და ვინაიდან არ შეგვიძლია ისე ვილოცოთ, რომ გონება არ გაგვეფანტოს და ოცნებას არ მიეცეს, მაშინ ეკლესიის მამების, ჩვენი ათონელი ბერებისა და წმინდა ასკეტური გადმოცემის თანახმად, უნდა შევეცადოთ, ვილოცოთ ბაგეებით, ხმით, რათა ლოცვის ხმოვანებამ მოგვწყვიტოს ოცნებას. თანდათან ლოცვა იმოქმედებს გონებაზე, საზრდოდ ექცევა მას და საერო საკვები აღარ მიიზიდავს, გარეთ გასვლას გადაეჩვევა, შემდეგ ჩარაზავს კარებს და შინაგანში განმარტოვდება. ამიტომ შევწყვიტოთ ამაოდმეტყველება, მრავლისმეტყველება, რათა მთელი ეს დრო ლოცვას დავუთმოთ. ახლა ჩვენი გონება ჩვენ მიერ დატოვებულ სოფელში მოგზაურობს, დაეხეტება, მასაა მიჯაჭვული, თუ არ დავდებთ საფუძველს – გამუდმებით თუ არ ვიმეორებთ იესოს ლოცვას – შეუძლებელზე უფრო შეუძლებელი იქნება, წარვემატოთ მონაზვნობაში“.

მართლაც, მისი სიტყვები ცხოვრებით დასტურდება. ვერავინ შეძლებს, ეჭვი შეიტანოს ან იდავოს ამაზე. რომც მოინდომოს, გამოცდილების კლდეს შეეხლება და აღმოაჩენს, რომ თავად არ გააჩნია უმცირესი გამოცდილებაც მონაზვნური ცხოვრებისა.

ბერი გვარიგებდა: „როგორც კი თვალს გაახელთ, უმალ შეუდექით იესოს ლოცვას. არ მიუშვათ გონება, ათას რამეს გადასწვდეს, ქვეყანა მოიაროს და მხოლოდ ამის შემდეგ გაახსენდეს, რომ უნდა ილოცოს. თუ ასე აიძულებთ თავს, ღმერთი დაგეხმარებათ და წმინდა ჩვევად გექცევათ, რომ იესოს ლოცვა, თვალის გახელისთანავე, გაღვიძებიდან დაძინებამდე, თქვენი უპირველესი, უმთავრესი საქმე იყოს. შემდეგ კი – შრომა, ისიც ლოცვით. ასე განიწმინდება და იკურთხება თქვენი საქმე, თქვენი ბაგეები, ენა, გული, ადგილი, დრო, და უპირველესად, – ადამიანი, რომელიც უფლის სახელს წარმოთქვამს. აღიჭურვებით ლოცვით, ღვთიური ძალით და მოუწყვლელი გახდებით ეშმაკთათვის, რომელთაც წვავს და დევნის იესოს ლოცვა“.

* * *

ამგვარად, მონაზვნურ გზას ბერის დარიგებების შესმენით ვიწყებდით. უდაბნოში ვცხოვრობდით, გარშემო არავინ იყო და ხმამაღლა ვამბობდით იესოს ლოცვას. თვალს გავახელდით თუ არა, მაშინვე – აბა, ჰე! ვასრულებდით მორჩილებას, მივდიოდით დავალებებზე, აღმა-დაღმა ვეზიდებოდით ტვირთს – „უფალო, იესო ქრისტე, შემიწყალე მე“ არასოდეს წყდებოდა.

და მართლაც, უდიდესი სარგებელი გვქონდა. სულში ისეთ სიხარულს ვგრძნობით, ისეთ ლმობიერება,[2] იმდენი ცრემლი გვდიოდა, რომ ვერ გადმოვცემ. ხშირად, ბაგეებით ლოცვის დროსაც კი მოდიოდა დიდი მადლი და გვავსებდა – ვგრძნობდით ღვთის სიყვარულს ჩვენდამი და გონების აღტაცებას.[3] და მორჩილების შესრულების დროსაც, გონება არა მხოლოდ ლოცვაში იმყოფებოდა, არამედ რაღაც უცნაური გზებით, ღმერთს ჭვრეტდა,[4] სხვა სამყაროს ჭვრეტდა, ყველაფრით შეიგრძნობდა მას.

[1] გულისსიტყვა — „გონების მსიტყუელობაი“ (სულხან-საბა ორბელიანი, „სიტყვის კონა“). მამათა სწავლების მიხედვით, გულისსიტყვა არ ნიშნავს მხოლოდ ფიქრს, აზრს, ზრახვას ამ სიტყვების ჩვეულებრივი გაგებით, ის არის ბოროტი აზრი, რომელსაც ეშმაკი აწვდის ადამიანს, გულისსიტყვა იქცევა ხოლმე სხვადასხვა ცოდვის მიზეზად (მათ. 15.19).

[2] სინანულის, შემუსვრილების, თანაგრძნობის, კეთილგანწყობის გრძნობა. წმინდა მამათა სწავლებით, ლმობიერების ბუნებაა გლოვა და მწუხარება საკუთარ ცოდვაზე.

[3] იგულისხმება გონების აღტაცება ზეციურ სამყაროში. ეკლესიის სწავლებით, მსგავსი შესაძლებელია მხოლოდ ღვთის ნებით, მასში ადამიანის ნება და წარმოდგენა არ მონაწილეობს.

[4] წმინდა მამები სამნაირ ჭვრეტაზე საუბრობენ: ა) ფიზიკური ხედვა, დანახვა, ბ) გონებით აღქმა, გონებით შეგრძნება, „მიმოხილვა“, „განსჯა“, „ფილოსოფიური ჭვრეტა“, გ) „გონიერი“ ჭვრეტა, რაც არის ლოცვის უმაღლესი საფეხური.

იმავეს განვიცდიდი, როცა მოძღვარს ზურგიდან ვაწვებოდი ხოლმე, რომ ეკლესიამდე ამეყვანა. წლების განმავლობაში წყალმანკი სტანჯავდა და კლდის ციცაბო ბილიკებზე სიარული უჭირდა, დაშვებისას ხელს ვკიდებდით, ასვლისას ვაწვებოდით. ზოგჯერ მომხდარა, რომ ზურგიდან კი ვაწვები, მაგრამ თითქოს მის გვერდითაც არ ვარ – რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ მისი ლოცვით იყო შესაძლებელი. ჩემი გონება სხვაგან ქროდა, ზეციურს მოიხილავდა, შემდეგ გონს მოვდიოდი და ვგრძნობდი, რომ ისევ ბერთან და მამა არსენთან ვარ. შემდეგ ისევ გავსხლტებოდი. როცა განვსჯიდი მომხდარს, თავს ვეუბნებოდი: „აი, თურმე როგორია სულიერი ცხოვრება! რა დიდებულია მონაზვნობა! რას უშვრება ადამიანს, როგორ ცვლის მას, ასხვაფერებს! რამდენად მსუბუქი და სულიერი ხდება გონება, როგორ გადალახავს წინააღმდეგობებს და სწვდება იმ საზღვრებს, რომელზეც სიტყვებით საუბარი შეუძლებელია!“

* * *

რა საქმეც უნდა გვეკეთებინა, მამა იოსები შეგვიძახებდა ხოლმე; „იმეორეთ, შვილებო, ლოცვა, ხმამაღლა იმეორეთ“. ცხადია, ყვირილს არ გულისხმობდა, ხმადაბლა უნდა გველოცა. ვჩურჩულებდით, ერთმანეთი ძალიან რომ არ შეგვეწუხებინა. თუმცა შეწყვეტით არასოდეს ვწყვეტდით.

ჩვენ შესახებ ამბობდნენ, ხიბლში[1] არიანო, გვეძახდნენ მზვაობრებს[2], სწორედ იმის გამო, რომ ლოცვას ხმამაღლა ვამბობდით. მაგრამ ასე იმიტომ არ ვიქცეოდით, სხვებს რომ გაეგონათ და ქება-დიდება შეესხათ ჩვენთვის, რამდენს ლოცულობენო, არა. უბრალოდ, ეს იყო მეთოდი, მოღვაწეობის ერთ-ერთი სახე, ძალზე ნაყოფიერი.

ჯერ ერთი, ქრისტეს სახელის ხსენებით ჰაერი განიწმინდება და ეშმაკები წკავ-წკავს იწყებენ.

მეორე, როდესაც ერთი მონაზონი ასე ლოცულობს, მეორეს უჭირს მიუახლოვდეს, უსაგნო ლაპარაკი გაუბას. ჯერ დაფიქრდება, რამდენად სწორად მოვიქცევი, თუ ლოცვას უმიზეზოდ შევაწყვეტინებ? მლოცველიც ეცდება, გონება არ გაექცეს.

მესამეც, ამ დროს გონების უქმადმეტყველება წყდება. გონება რომც გაიფანტოს, ლოცვის ხმოვანება მალევე უკან გამოაბრუნებს.

მეოთხეც, ძმა, რომელიც მეოცნებეა, სულიერად ზარმაცობს და აზრებით სადღაც მოგზაურობს, იესოს ლოცვის გაგონებაზე, შეიძლება, გამოფხიზლდეს და თავს უთხრას: „აი, ადამიანი ლოცულობს, მე კი რას ვაკეთებ?“

ასეთი ნაყოფი გამოაქვს ღვთის სახელის წარმოთქმას, ხმით ლოცვას, ოღონდ, თუკი სხვას მყუდროებას არ ვურღვევთ და ხმადაბლა, მშვიდად ვლოცულობთ. ქრისტეს სახელი ისე ისმის, როგორც ფუტკრების ზუზუნი, სკიდან რომ გამოფრინდებიან, შეფრინდებიან და ამზადებენ თაფლს, ასეთ სასარგებლოსა და საჭიროს. ამ შემთხვევაშიც, როცა შეუჩერებლად წარმოვთქვამთ იესოს სახელს, ფუტკრებს ვემსგავსებით, თითქოს თაფლს ვეზიდებოდეთ.

* * *

თანდათან, ხმით ლოცვა, შინაგან ლოცვად იქცევა. გონებას გაეხსნება გზა გულისკენ და ადამიანს აღარ დასჭირდება დიდი ძალისხმევა ლოცვისთვის, ის ძალდაუტანებლად ილოცებს. ერთ დღესაც გაიღვიძებს – და ლოცვა თავისით დაიწყება! თავიდან გამუდმებით ვაიძულებთ თავს, ფიქრებმა ან საქმემ არ გაგვიტაცოს, ლოცვა არ შევწყვიტოთ და ის ნებისმიერ ვითარებაში გამუდმებით წარმოვთქვათ, მაგრამ როცა იესოს სახელი გაიკვალავს გზას ჩვენ შიგნით, როცა ბულდოზერივით გაჭრის გზას, მაშინ შეძლებს თავისუფლად გავლას თავისი ავტომობილით – გონებით. გონიერ ლოცვას ძალდაუტანებლად შევძლებთ. თუკი ადამიანი ამაზე არ შეჩერდება, უფრო წინ წავა, უფრო ჩაუღრმავდება, მსგავსად დიდი ისიხასტი მამებისა, მაშინ მის გულამდე გადაიშლება არა უბრალოდ გზა, არამედ – ფართე გამზირი. მაშინ ქრისტეს სახელი მისი გულის

[1] სულიერი მდგომარეობა, რომლის დროსაც ადამიანი სასურველს წარმოიდგენს რეალობად, ოცნებას – ცხადად. ქრისტიანული გამოცდილება ხიბლს მიიჩნევს სულისთვის უკიდურესად საშიშ, დამღუპველ მდგომარეობად.

[2] მზვაობარია ადამიანი, რომელიც სათნოებებით ამაყობს, თავმოწონებით შრომობს და ამავდროულად მაჩვენებლობს სხვასთან და საკუთარ თავთანაც, ამიტომ მისი შრომა ამაოა, უნაყოფო. ამ ვნებას წმინდა მამები ამპარტავნების წინამორბედს უწოდებენ.

ერთადერთ საზრუნავად იქცევა. გული იგრძნობს დიდ სიხარულს და იდღესასწაულებს, ასეთ საფასეს რომ დაეუფლა.

ადამიანი მდიდრდება, მაგრამ გამდიდრებას ხომ წვრილ-წვრილი წარმატებით იწყებს, ამიტომაც აუცილებელია ხმით ლოცვა.

ჩვენს გზას მივყვებოდით და არას დაგიდევდით იმას, რომ ბევრი ვერ გვიგებდა. რომ არ ვყოფილიყავით მონდომებულნი, გულმოდგინედ რომ არ გველოცა ბაგით, ალბათ ჩვენი გონება მოივლიდა ყველა კუთხე-კუნჭულს და მოზიდავდა აუარება ნაგავს. ერთხელ, საღამოს, ერთი ეშმაკეული მოვიდა ჩვენთან და იძახდა: „შეეშვით ამ სკვნილს, შედით ეკლესიაში და „მწუხრი“ წაიკითხეთ!“ თვითონ ეშმაკს წამოსცდა, რამდენად დიდი ძალა აქვს ღმერთთან ჩვენს პირისპირ საუბარს, ვინაიდან, ისიხასტის ცხოვრება – მაშასადამე, სკვნილი მეტანიებითა და იესოს ლოცვით – ბევრად მაღლა დგას, ვიდრე საეკლესიო მსახურება[1]. ღვთისმსახურება ტროპრებითა და სხვა დანარჩენით კარგია, მაგრამ იესოს ლოცვას ვერ შეედრება, ამიტომაც ჩვენ ვიძინებდით ადრე და ვდგებოდით, მზე რომ ჩადიოდა,[2] რათა მთელი ღამე იესოს ლოცვისთვის მიგვეძღვნა.

* * *

ვინაიდან, ჩვეულებრივ, ჩემ გვერდით არავინ იყო, ხმით ვლოცულობდი. ვლოცულობდი შეუჩერებლად, ყელის ტკივილამდე. ბერს ვუთხარი:

– მოძღვარო, ლოცვისგან ენა, პირი მტკივდება, ყელი მისივდება, გული მეკუმშება, ვეღარ ვსუნთქავ. მგონი, ყელი დამესერა და მალე დამიწყლულდება.

– არაფერი მოგივა! მოითმინე! დაგიწყლულდეს, მერე რა! ლოცვა არ შეწყვიტო! ტკივილს შვება მოაქვს სულისთვის, თუ არ გეტკინა, ლოცვის ნაყოფს ვერ იხილავ, იცოდე. ლოცვა გადაგარჩენს. ის დაგეხმარება, ის განუგეშებს, ის გასწავლის, ის განგანათლებს. ამიტომ იძახე, შეჰღაღადე. შენი გონება, გონი დაამკვიდრე არა გარეთ, არამედ შიგნით, სიღრმეში, არა სიტყვები და თეორიები, არა ქადაგებები და ფაციფუცი, არამედ მღვიძარება და თავმდაბლად ლოცვა. ამაშია არსი, ასეთია წმიდა და ღმერთშემოსილთა მამათა გზა, ასეთია მცნება და მოძღვრება ჩვენი ბერების. გამოსცადე ეს შენს თავზე. ვინაიდან, თუ ამას არ გაივლი, თუ გამოცდილება არ გექნება, როგორღა დამოძღვრავ სხვას?

– როგორც მაკურთხებ, მოძღვარო, მაგრამ ჩასუნთქვისა და ამოსუნთქვისას[3] გული მტკივა.

– შენს გულს არაფერი მოუვა!

როცა იესოს ლოცვას ვამბობდი, ვცდილობდი, მომეშორებინა ყველა აზრი, ხატება და მხოლოდ და მხოლოდ ლოცვას ჩავღრმავებოდი, ამ დროს მოდიოდა განსაცდელი, გულისსიტყვა მეუბნებოდა: „დაჭიმულობისგან გასკდები“. მე ვპასუხობდი: „გავსკდე, თუნდაც ნაფლეთებად ვიქცე, მაგრამ ბრძოლა მაინც გაიმართება, მაინც აქ ვიდგები, როგორც ორჯერ ორი ოთხია“.

* * *

ჩვენ შორის პირველი მლოცველი ბერი იოსები იყო. ის გვაძლევდა პირად მაგალითს და მთელი დღე გვიმეორებდა: „ლოცვა არ მიატოვოთ! უფალო, იესო ქრისტე, შემიწყალე მე! უფალო, იესო ქრისტე, შემიწყალე მე! ეს გაცხოვნებთ. ქრისტეს სახელი განგანათლებთ, შეგეწევათ, ნაკლულოვანებას აღმოგივსებთ, აღგზრდით, ის თქვენთვის ყველაფერია. თუკი არ გაიმეორებთ ლოცვას, მაშ, თქვენი სულიერი ცხოვრებისთვის კეთილი დასაწყისი არ დაგიდიათ“.

[1] ამ შემთხვევაში „საეკლესიო მსახურებაში“ იგულისმება ღვთისმსახურების ტიპიკონი, რომელიც დღისა და ღამის სხვადასხვა მონაკვეთებში შესასრულებელ ლოცვებს მოიცავს: მწუხრს, სერობას, შუაღამიანს, ცისკარს, ჟამნებს. წირვა, იგივე ლიტურგია ამ მსახურებაში არ შედის. წმინდა ლიტურგიას ბერი იოსების ძმობა ყოველ კვირას დღეს აღასრულებდა, ზემოჩამოთვლილ მსახურებებს კი ჩაანაცვლებდა იესოს ლოცვით.

[2] ათონის მთაზე ღვთისმსახურება აღესრულება ბიზანტიური დროით, შესაბამისად, მონაზვნური ყოველდღიური ცხოვრებაც ამ ციკლით მიდის. ათვლის საათია შუაღამე. შუაღამედ კი ითვლება მზის ჩასვლის დრო, ხოლო ვინაიდან მზე წელიწადის განმავლობაში სხვადასხვა დროს ჩადის, ათონზე დრო მუდამ ცვალებადია და საათის ისრებიც რეგულარულად გადაიწევს ხოლმე, ბიზანტიური შუაღამის შესაბამისად.

[3] საუბარია გონიერი ლოცვის ერთ-ერთ მეთოდზე., სუნთქვით მეთოდზე. ამას ბერი იოსებიც აღწერს სულიერი შვილისადმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში: „თავიდან მლოცველი რამდენჯერმე ამბობს ლოცვას და ჩაისუნთქავს. შემდეგ, როცა გონება მიეჩვევა გულში შეჩერებას, ყოველ ჩასუნქვაზე ითქმის: „უფალო, იესო ქრისტე“. ჩასუნთქვა — „უფალო იესო ქრისტე“, ამოსუნთქვა — „შემიწყალე მე“. (ბერი იოსებ ათონელი, „მონაზვნური გამოცდილების გადმოცემა“. მეორე გამოცემა, ხახულის ღვთისმშობლის ახალი შუამთის მონასტერი, 2004).

ბერის მთელი სწავლება მდგომარეობდა მოწოდებაში, იძულებაში, დამოძღვრაში, შეხსენებასა და თვალყურის დევნებაში, გველოცა, შინაგანად გვეშრომა,[1] რათა ამ გზით მუდამ ღვთის ხსენება გვქონოდა და ჩვენი ისიხასტური[2] ცხოვრებით ბოროტ სულებს შევბრძოლებოდით. მონაზვნურ მოვალეობებზე[3] საუბრისას, ის იესოს ლოცვის პრაქტიკულ მეთოდს განსაკუთრებით გამოარჩევდა.

ვინაიდან თვითონ თავს დღენიადაგ აიძულებდა ლოცვას, ჩვენგანაც ითხოვდა თავის იძულებას, რამდენადაც შეგვეძლო. და ეს ყველაფერი მხოლოდ იმისთვის, რომ ღვთის სახელი, რომელიც სულის შენობის ქვაკუთხედია, გონებასა და გულში ღრმად ჩანერგილიყო და გაეხარა. მეუბნებოდა: „თუ მორჩილს[4] აიყვან, ლოცვის გარდა არაფერი ასწავლო. ლოცვა მისცემს ღვთის სიყვარულსაც, მოშიშებასაც, მოშურნეობასაც, ყურადღებასაც, აღსარებასაც, მორჩილებაში[5] მისწრაფებასაც – ამ ყველაფერს ლოცვა მისცემს“.

მისი მთელი მეცნიერება მდგომარეობდა იმაში, რომ ჩაგვესუნთქა და ამოგვესუნთქა იესოს სახელი, რომ მღვიძარებისას[6] ვმსხდარიყავით, გონება საათობით გაგვეჩერებინა გულში და გვესუნთქა ლოცვით: „უფალო იესო ქრისტე, შემიწყალე მე“.

არ ვიცი, კიდევ შემორჩნენ თუ არა ადამიანები, რომლებიც თვითონაც შრომობენ და სხვებსაც ასწავლიან ამ ღვთივგანათლებულ, მაცხოვნებელ მეცნიერებას, მლოცველის სულის ჭეშმარიტ განმაახლებელს, აღმშენებელსა და განმკურნებელს. ადამიანი, განსაკუთრებით კი მონაზონი, რომელიც ამ მეცნიერებას იცნობს, მაგრამ არ იყენებს, სულიერად სნეული რჩება.

* * *

ყოფილა, რომ ლოცვის დროს, არ მქონია დაბრკოლება, ტყვიასავით, წარმოუდგენელი, მიუწვდომელი სისწაფით ავჭრილვარ მაღლა და შევხებივარ მას, რაც ნივთიერ ბუნებაზე აღმატებულია. და ყოფილა ისეც, რომ ჩემი ლოცვა სენაკის ჭერსაც ვერ ასცდენია. ერთხელ, ამისგან შეჭირვებული, ბერთან მივედი და ვეკითხები:

– მოძღვარო, რატომაა, რომ ლოცვა არ გამომდის, გონება მიმძიმდება, მიწას ეჯაჭვება. საიდან ეს წინააღმდეგობა?

– ბოროტი სულებისგან, შვილო. ისინი უხილავად შენ გვერდით არიან და ლოცვაში წინ გეღობებიან, ღვთის დაშვებით, მისი წმინდა განგებულებით, მისი მეცნიერებით, რათა გამოცდილება შეიძინო.

---

[1] შინაგანი, იგივე გონიერი შრომა (გონების და გონებით მუშაობა) ნიშნავს ბრძოლას გულისსიტყვებთან (ფიქრთან აზრთან, ზრახვასთან, რომელსაც ადამიანს აწვდიან ეშმაკები), მიზანი გონიერი შრომისა არის ვნებათაგან გათავისუფლება, ვნებები კი იკვებება გულისსიტყვებით. მთავარი იარაღი ამ შინაგან ბრძოლაში არის იესოს ლოცვა. ქრისტიანებს შორის, სრულსა, ყოვლისმომცველ გონიერ შრომას ეწევიან მონაზვნები, განსაკუთრებით – ასკეტები, ისიხასტები. მათი შინაგანი ღვაწლი იესოს უწყვეტ ლოცვას ეფუძნება.

[2] ქრისტიანული მისტიკური მსოფლმხედველობა, სულიერი ცხოვრების ერთ-ერთი უძველესი ტრადიცია. ისიხაზმი წარმოდგება ბერძნული სიტყვიდან „ისიხია“ და ნიშნავს სიმშვიდეს, სიმყუდროვეს, მდუმარებას, განმარტოებას... ისიხასტური ცხოვრება, უპირველესად, გულისხმობს იესოს ლოცვაში მოღვაწეობას, მთელი სულიერი ძალების მობილიზებას ამ ლოცვისთვის. ისიხასტის მიზანია მოიპოვოს უწყვეტი ლოცვა, ვინაიდან იგია უვნებობის საწინდარი, უვნებობა ასკეტიზმის, ზოგადად – სულიერების მწვერვალია.

[3] ამ შემთხვევაში იგულისხმება ლოცვის პირადი კანონის შესრულება სენაკში. პირადი კანონი სრულდება ღამით, მას სხვაგვარად (პირად) ღამისთევასაც უწოდებენ. სკვნილზე ითქმის იესოს ლოცვა, კეთდება მეტანიები (მუხლმოყრა), ჩვეულებრივ, პირადი კანონი მოიცავს წმინდა წერილისა და წმინდა მამების თხზულებათა კითხვასაც. ბერი იოსებ ისიხასტი მონაზვნურ მოვალეობად, საქმედ მიიჩნევდა, ასევე, ვარჯიშს გონიერ ლოცვაში (ე.წ. სუნთქვით ვარჯიშს).

[4] მონასტრულ ცხოვრებაში სიტყვა „მორჩილს“ ორი მნიშვნელობა აქვს: ა) ადამიანი, რომელიც ემზადება მონაზვნობისთვის. ათონის მთაზე უწოდებენ დამწყებ მონაზონსაც, ის შეუდგება მონაზვნური წესით ცხოვრებას, პირადი კანონის შესრულებას, გონიერ შრომას. დამწყები მონაზონი პირველ, გამოსაცდელ საფეხურზე მდგომი მოწესეა. ბ) მონაზონი, რომელიც სულიერი მოძღვრის მორჩილებით ცხოვრობს, ამ გზით მისთვის შესაძლებელი ხდება ვნებებისგან გათავისუფლება და სულის ცხონება.

[5] მორჩილება ორგვარია: ფიზიკური და სულიერი. პირველი გულისხმობს მონასტრის, ძმობის, კრებულის თითოეული წევრის მიერ (იერარქიული საფეხურის განურჩევლად), დადგენილი წეს-განგების დაცვას და წინამძღვრის მითითებით მონასტრის საქმეების შესრულებას. მეორე კი გულისხმობს ღვთის, მოძღვრის სიტყვის, მცნების, რჩევა-დარიგების შინაგანად მორჩილებას, მაშასადამე, შინაგანი წინააღმდეგობისა და სიტყვისგების გარეშე მიღებას.

[6] აქ „მღვიძარებაში“ იგულისხმება ლოცვის პირადი კანონის შესრულებისას ღვიძილი, იგივე – ლოცვის პირადი კანონის შესრულებისას ღამისთევა.

და კიდევ მითხრა:

– შვილო, გაიხსენე მეზღვაური. ქარი რომ დაუბერავს, ის აფრებს შლის და თავისუფლად მიცურავს. ხოლო უქარო ამინდი, შტილი, იძულებულს ხდის, ნიჩბები მოიმარჯვოს. შრომობს, ოფლს ღვრის და მაინც წინ მიიწევს. ჩვენც ასე ვართ. როცა მადლი მოდის, იესოს ლოცვა თავისით ითქმება, მაგრამ თუ, ღვთის განგებულებით, მადლი განგვეშორა, ნიჩბები უნდა მოვუსვათ, ჩვენი ღვაწლი ვაჩვენოთ, ჩვენი განზრახვა.

* * *

ბერი იოსები ძალიან მკაცრი იყო. სურდა, მის მორჩილებს მონაზვნის სახელი ღირსეულად ეტარებინათ. ამიტომაც მეუბნებოდა: „შვილო, ერის დატოვება, სადმე წასვლა, აღკვეცა, ანაფორით ან სქემით[1] შემოსვა როდი ნიშნავს მონაზვნობას, მონაზონი ის არის, ვინც დატოვებს ერს, იპოვის მოძღვარს, დარჩება მის გვერდით, უერთგულებს და იგრძნობს ლოცვას. თუ უწყვეტი ლოცვა ვერ იგრძნო, შინაგანში ვერ დაამკვიდრა, ვერ მოიპოვა – მაშინ ის მონაზონი არ არის. თუ დაუცადებლად არ ლოცულობს, ან არ ცდილობს მაინც, მაშინ ფიქრიც ზედმეტია მის მონაზვნობაზე. ის არ არის მოწესე. გარეგნულად – მონაზონია, შინაგანად – არა.

ადამიანი ორსახოვანია. ის შედგება შინაგანისა და გარეგანისგან, სულისა და ხორცისგან. იმოსება შიგნიდანაც და გარედანაც. შიშვლდება შიგნიდანაც და გარედანაც. საზრდოობს ნივთიერი საკვებითაც და სულიერითაც. თუ ადამიანი არ შეიცვლება შინაგანად, გარეგანი ცვილილება – არაფერს მისცემს, არაფერს შეცვლის. განა ჭურჭელს მხოლოდ გარედან ვრეცხავთ და შიგნით ჭუჭყიანს ვტოვებთ? განიწმინდე შინაგანი, მოაწესრიგე იქ ყველაფერი, გულისსიტყვები და სხვა დანარჩენი, და ნახავ, რომ გარეგნულადაც შენი საქმე შეუსვრელი იქნება“.

იესოს ლოცვას მოვიღვაწებდით და ბერის სიტყვები ამ ღვაწლში განგვამხნევებდა, განგვამტკიცებდა.

* * *

ბერი გვეუბნებოდა: „როცა ადამიანი იესოს ლოცვაში გულმოდგინეობს და წარემატება, მაშინ გონებაც თანდათან მოიკრიბება და ნაკლებად იფანტება, რადგან იესოს სიტყვიერი მოხმობით, ის თანდათან შეიგრძნობს ლოცვის სიტკბოებას და მიეჯაჭვება მას. რამდენადაც მოვიზიდავთ გონებას, იმდენად დავეუფლებით, გავითავისებთ ლოცვას. და როცა ეს მოხდება, გული დაიწყებს გახსნას და ლოცვას ნელ-ნელა შეიწნარებს. წლების შემდეგ, ყოვლისმომცველი თავის იძულებით, მაშასადამეყველა მონაზნურ ღვაწლში თავის იძულებით, გული სრულიად დაეუფლება ლოცვას, შეუჩერებლად დაიწყებს მის გამეორებას და იესოს სახელი და თავად ქრისტე დამკვიდრდება ჩვენს შინაგანში. ეს განსაკუთრებული მდგომარეობაა, – გული ლოცვის საყდარი ხდება და მბრძანებლობს ვნებებზე. მასში ისადგურებს მშვიდობა, მყუდროება, ყველაფერი ემორჩილება ხელმწიფებას ქრისტესას, რომელიც მისი სახელის გამუდმებული მოხმობით დამკვიდრდა გულში“.

* * *

წმინდა მამებისა და ჩვენი ბერის სწავლების თანახმად, ძმობისთვის ლოცვა იყო უმთავრესი საზრუნავი. ბერი იოსები და მისი კრებული ცდილობდნენ შეუჩერებლად ელოცათ, ეს ერთ-ერთ მორჩილებას წარმოადგენდა. ლოცვა იყო ავანგარდი, იარაღი, მახვილი, საძირკველი და პირობა იმისა, რომ ამ შრომას გაგრძელება მოჰყვებოდა, ანუ მომავალში გამოიღებდა ნაყოფს და გააძლიერებდა ძმებს. ამიტომ იესოს ლოცვა ჩვენთვის უპირველესი სათნოება და ცხოვრების მიზანი იყო.

* * *

ერთხელ ბერმა ერთ-ერთ ძმას უთხრა:

– ილოცე, შვილო, ერთხელაც არ გამიგია, ლოცვას ამბობდე.

[1] ბერძნულ მართლმადიდებელ ეკლესიაში მონაზვნად კურთხევის, აღკვეცის ორი საფეხურია: ანაფორაში კურთხევა და სქემაში კურთხევა, იგივე აღკვეცა. ეს უკანასკნელი მონაზვნობის უმაღლესი საფეხურია.

– ეჰ, მოძღვარო, ნუთუ ამდენი წლის მერეც ხმით უნდა ვილოცო?

– მაშ, ვინაიდან მრავალი წლის წინ აღიკვეცე, ხმით ლოცვა გესირცხვილება, გგონია, ბაგეებით ლოცვა უფროს მონაზონს სულიერად დაგაქვეითებს, ფიქრობ, ეს მხოლოდ ახალდამწყებისთვისაა, შენ კი უკვე დაწინაურდი? გრცხვენოდეს! ამპარტავნება და დიდებისმოყვარება! სირცხვილი ისაა, ლოცვას თუ არ იტყვი, გონებას თუ მიუშვებ, ენას თუ არ გააჩერებ. აი, რა შეურაცხჰყოფს მონაზონს ღვთის წინაშეც და ადამიანებთანაც!

* * *

ერთი ძმა გამუდმებით ლოცულობდა. მის გონებასა და გულს ეწადა ყოველი დაბადებულის ბუნება შეეცნო და სასუფევლის სიტკბოება განეცადა. მიუხედავად იმისა, რომ სულიწმინდის მადლს დროდადრო შეიგრძნობდა ხოლმე, ერთხელ მადლი განსაკუთრებული სახით ეწვია. ერთ დღეს, დიდხანს ილოცა ხმით და მოულოდნელად სულიერი თვალი აეხილა, თითქოს სხეულს განეშორა და შეიცნო, შეიგძნო ენა, რომელიც ადიდებდა ღმერთს. მისი თვალები, როგორც ხორციელი, ასე სულიერი, გარშემო ყველაფერს სრულებით სხვაგვარად აღიქვამდა. თუმცა, კონკრეტულად – როგორ, ამის ახსნა, მიახლოებით გადმოცემა საკუთარი თავისთვისაც კი არ შეეძლო. ყველაფერი რაც ესმოდა, რასაც ხედავდა, რაღაცნაირი, უცნაური იყო, თითქოს ზებუნებრივთან დაკავშირებული. მგალობელი ჩიტები, გაშლილი ყვავილები, აყვავილებული და კეთილსურნელოვანი ხეები, მზე, ნათელი დღე – ყველაფერი ღვთის დიდებას მეტყველებდა. ადამიანი ხედავდა ამას – თითქოს სამოთხე ეხილოს. აღსრულდა გამოცხადება, რაღაც გაიხსნასავით, რაღაც საიდუმლო, რომელიც ასე დაფარულია ჩვენგან და რომლის ხილვაც, იმ სულიერი რეალობების ხილვაც, ხორციელი თვალებით არ ძალგვიძს. „ყოველი სული აქებდეს უფალსა“ (ფს. 150,6). როგორც ცხოველთა სამყარო, ისე მცენარეები ლაპარაკობდნენ ღვთის დიდებაზე, დიდებულებაზე, სილამაზეზე. ძმა გაკვირვებას, გაოცებას განიცდიდა, მაგრამ მეტყველება არ შეეძლო. თვალებიდან ცრემლები სდიოდა, არა საკუთარი ცოდვების, არამედ ღვთის სილამაზის გამო. როგორ შეძლო გულმა, დაეტია ამ ღვთაებრივი მშვენიერების გამოცხადება? მაგრამ ადამიც ხომ ჭვრეტდა სამოთხეს, მისთვის ხომ სამოთხე ღვთის განცდათაგან ერთ-ერთი იყო? სიხარული და მხიარულება განიცადა სულმა, როცა ის ჩასწვდა ყოველი დაბადებულის არსს და მოისმინა მათი ხმები, ღვთის მადიდებელი.

მსგავსი რამ ერთხელ წმინდა ნექტარიოს პენტაპოლელსაც[1] შეემთხვა. თავის მონასტერში, კუნძულ ეგინაზე იმყოფებოდა და მონაზონმა დებმა სთხოვეს, განემარტა მუხლი „ყოველი სული აქებდეს უფალსა“. მან უპასუხა: „მოითმინეთ და აგიხსნით“. და ერთ ღამეს, როცა ისინი ეზოში ღამისთევას აღასრულებდნენ, წმინდანი ცოტა მოშორებით დადგა, რათა თავისთვის ელოცა და რაღაც გაელვებით, აუხსნელი, ზებუნებრივი გზით, მონაზვნებმა გაიგონეს, შეიცნეს, განიცადეს ყველა ქმნილების ერთსულოვანი, ერთხმოვანი შესხმა. და მაშინ მიხვდნენ, რას გულისხმობს „ყოველი სული აქებდეს უფალსა“. ყველა ქმნილება ერთი სუნთქვით აქებდა თავის ღმერთს, შემოქმედსა და დამბადებელს!

გვასწავლიდა რა იესოს ლოცვას, ბერი იოსები ამბობდა: „იესოს ლოცვის გარეშე, მღვიძარების გარეშე, მოშურნეობის გარეშე, გულმოდგინების გარეშე, წესრიგის მიმართ იმგვარივე წმინდა დამოკიდებულის გარეშე, რაც სახარებისადმი გვაქვს, ვერ შევძლებთ შევიძინოთ უმცირესიც კი იმ საფასედან, რომელზეც ისიხასტი მამები გვიყვებიან“.

სულიერი ნაყოფი

მრავალსაათიანი მღვიძარება, ფსკვნილზე ლოცვა, მეტანიები, კითხვა, ჭვრეტა, აღსარება, გულისსიტყვების გულწრფელი და სრული გაცხადება მოძღვართან, ასევე, ხელსაქმე და სხვა საქმეები – ეს იყო ჩვენი შრომა. შაბათკვირაობით აღვასრულებდით საღვთო ლიტურგიას და ვეზიარებოდით. მდუმარება – სრული. განსაკუთრებით ახალგაზრდები არ ვაძლევდით თავს უფლებას, ერთმანეთში გველაპარაკა, უქმადმეტყველებისგან სრულიად თავისუფლები ვი-

[1] წმინდა ნექტარიოსი, პენტაპოლელი ეპისკოპოსი, ეგინელი სასწაულმოქმედი (1846-1920).

ყავით. ყოველივე ეს იქცა ქვაკუთხედად ჩვენი კურთხეული, მშვენიერი სულიერი ცხოვრებისა. და ამ შრომის საფასურად, ცხადია, ბერის ლოცვით, მოგვეცა მადლი.

* * *

ვცდილობდით, იესოს ლოცვის, გულისსიტყვების გამოძიებისა და მდუმარების შესახებ ბერის მითითებები მკაცრად დაგვეცვა. და რა შედეგი მოჰყვებოდა ამას? საკუთარი თვალით ვხედავდით, რომ ძმა, რომელიც თავს არ ზოგავდა შრომაში, – დღე და ღამ ცრემლებით რწყავდა მიწას. მიდიოდა დასაძინებლად და მტირალს, რული დიდხანს არ ეკარებოდა. გაახელდა თვალს და სიკვდილის ხსენება სასთუმალთან ელოდა. ნებისმიერი საქმის კეთებისას გონება სულიერით იყო დაკავებული. აი, მორჩილების ნაყოფი!

მაშ, განსაკუთრებული ძალისხმევის შედეგად სდიოდა ცრემლი? არა. ცრემლები, რაც არსობრივად სულიერი სიხარულის ნიშანი იყო, სდიოდა იმიტომ, რომ ადამიანს არ შეეძლო, შეეკავებინა ღვთის მადლი და კურთხევა, მის შიგნით რომ მოქმედებდა. უფრო სწორედ, ის ვერ მალავდა იმ მწიფე ნაყოფს, რომელიც მორჩილების ღვაწლით მოეწია...

* * *

არასოდეს დამავიწყდება, რა საშინელი,[1] განსაკუთრებული რამ შემემთხვა, ცხადია, ბერი იოსების ლოცვით.

მაშინ მორჩილი ვიყავი – უზრუნველი. იმ წლებს ხშირად ვიხსენებ. დიდმარხვის პირველ შვიდეულში ერთმანეთისგან შორიშორს, განმარტოებით ვცხოვრობდით. გაორმაგებული ღვაწლისგან, შრომისგან დავუძლურდი, გავხდი, მკერდში ძალიან მტკიოდა რაღაც. პარასკევს უდაბნოში გავედი, რომ კლდეებზე ველური ფხალი შემეგროვებინა. იესოს ლოცვას ხმით ვამბობდი. ამ დროს, თითქოს, ხმადაბალი გალობა მომესმა, სიხარული ვიგრძენი და, არ ვიცი, როგორ, ჩემი გონება აღტაცებულ იქნა ზეცად. რა თქმა უნდა, მიწიერი ენით ზეციური არ გადმოიცემა. ამიტომ სულ ესაა, რისი გადმოცემაც სიტყვებით შემიძლია: გონებით აღვიტაცე და აღმოვჩნდი ანგელოზებთან, ანგელოზთა დასებს შორის, ცხადია, სხეულის გარეშე, მხოლოდ სულით, მხოლოდ გონებით. იქ იდგა ღვთის საყდარი და ანგელოზები მის გარშემო გალობდნენ, მეც ვადიდებდი ღმერთს. იმავეს გადის ადამიანი, რომელიც კვდება, რომლის სულიც ადის ზეცაში, რომელიც სხვა სიცოცხლეს იწყებს. განკვირვებაში ვიყავი, აუწერელ სიხარულში.

ეს მდგომარეობა სულ რამდენიმე წუთს გაგრძელდა. ისეთ სიტკბოებას, სიხარულს, ნეტარებას ვგრძნობდი, რომ ათ წუთსაც რომ გაგრძელებულიყო, ალბათ ჭკუიდან შევიშლებოდი! ანუ, იმდენად აშკარა და დიდი იყო მადლი, სიტკბოება, ნეტარება, მაუწყებელი იმქვეყნიური ცხოვრებისა, რომ თუ ადამიანურად ვეცდებოდი გააზრებას, არა მგონია, სული შემრჩენოდა, რაღაცას მოვიწევდი. ახლაც გონება ძალიან ფორიაქობს და რომ ვაიძულო, გამოთქვას, რა ხდებოდა მაშინ ჩემს თავს, მას უფრო მეტად დავთრგუნავ, დავამძიმებ. დაუჯერებელი რამ იყო!

ამიტომაც ამბობენ, რომ ადამიანურ ბუნებას არ ძალუძს დაიტიოს ზებუნებრივი. აკი პავლე მოციქულით განგვეცხადა, „რომელი თვალთმან არა იხილა, ყურსა არა ესმა, და გულსა კაცისასა არა მოუხდა, რომელი განუმზადა ღმერთმან მოყვარეთა თვისთა“ (1 კორ. 2,9).

მე ვფიქრობდი, რომ ის მადლი საათობით და დღეებით არ განეშორებოდა დიდ მამებს, ამიტომ ვერ გრძნობდნენ დაღლას ლოცვებში ღამისთევისას, ამიტომაც ირინი ხრისოვალანდუ,[2] მზის ჩასვლისას, ლოცვას ხელაღპყრობილი რომ იწყებდა, მონასტრის დები დილით ჩამოაშვებინებდნენ ხოლმე ხელებს, ამ დროს მისი სახე თბილი და განათებული იყო მადლისგან.

ღმერთო ჩემო! რა იყო ეს? წამით სხვა ადამიანი გავხდი. წამოგიდგენიათ, რა იქნება იმქვეყნიური ცხოვრება, სადაც ადამიანს მადლი არასოდეს განეშორება! ამიტომ პავლე მოციქულმა თქვა: „ვერ ღირს არიან ვნებანი ამის ჟამისანი მერმისა მის დიდებისა, რომელ გამოჩინებად არს ჩვენდა მომართ“ (რომ. 8,18). მწუხარება, სნეულება, განსაცდელი – რაც უნდა დაითმინოს კაცმა ღვთის სიყვარულისთვის – ვერ შეედრება იმ მარადიულ სიკეთეებს, ღმერთმა რომ განუმზადა თავის შვილებს, ვერც კი მიუახლოვდება მას.

[1] იგულისხმება „დიდებული“, „ძრწოლის მომგვრელი“.

[2] ღირსი ირინი ხრისოვალანდუ (იგივე კაბადოკიელი), IX ს-ის წმინდანი, კონსტანტინეპოლში, ხრისოვალანდის მონასტრის იღუმენია. ხსენება — 10 აგვისტოს.

მორჩილი ვიყავი, როცა ის საშინელი რამ შემემთხვა. მეუდაბნოე კი არ ვყოფილვარ, ჩემი მოძღვრის გვერდით ვცხოვრობდი, მქონდა ბევრი საქმე და ხშირად ვისჯებოდი. ო, როგორი დასჯა იცოდა ბერმა! დღევანდელ მორჩილებს მსგავსი, ალბათ, არც დაესიზმრებათ. არადა, სწორედ იმ შრომისგან მივიღე მადლი.

რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ბერის სულიერი მონაპოვარი, მემკვიდრეობა გახლდათ, საიდანაც სულ მცირედი მეც მერგო. მის ლოცვებს ჰქონდა ძალა, მოეზიდა სულიწმინდის მადლი. ბერ იოსებს უდიდესი კადნიერება[1] ჰქონდა ღვთის წინაშე. რაც კი უთქვამს – ამხდარა. მუდამ ამის მოწმენი ვიყავით. ღმერთი უსმენდა და თავის კურთხევებს უგზავნიდა. ამგვარი ნაყოფი გამოიღო მისმა შრომამ. მან მთლიანად მიუძღვნა სული ღმერთს, მთლიანად ღვაწლს მისცა თავი. ჩვენ ხომ ვკითხულობთ, ან ხომ ვისმენთ დიდი წმინდანების, დიდი მოღვაწეების ცხოვრებას, საუკუნეების წინანდელს, მსგავსი ცხოვრება განვლო ბერმა იოსებმაც და თანამედროვე დროში მიიღო ზუსტად ისეთივე მადლი, როგორიც მათ ჰქონდათ. და როგორც მოციქულები არიან ღვთისა და მისი სასწაულების მოწმენი, მეც ვადასტურებ, რომ ამ ადამიანის გვერდით ცხოვრებისას, საკუთარი თვალით მიხილავს და განმიცდია ის, რაზეც მხოლოდ ძველ წიგნებში წერენ.

ასე რომ, ვინც თავს აიძულებს მორჩილებას, ლოცვას, მდუმარებას, სულიერი მოვალეობების შესრულებასა თუ მღვიძარებას, ის მიიღებს, ეზიარება მადლს გაწეული შრომის, ძალისხმევის თანაზომიერად, რამეთუ *იესო ქრისტე გუშინ და დღეს და იგი თავადი უკუნისამდე* (ებრ. 13,8).

* * *

ერთ დღეს სეფისკვერისთვის ბეჭედს[2] ვამზადებდი. მოვიდა დრო, გამომეცვალა წყალი, მიმეყვანა დუღილამდე, მომეთავსებინა შიგ ბეჭედი და შემდეგ ხელმეორედ დამემუშავებინა მისი ზედაპირი. ამ დროს შეუჩერებლად ვამბობდი იესოს ლოცვას. და ბერი იოსების ლოცვით, სულით შევიგრძენი ის, რასაც ალბათ სამოთხეში გრძნობდა ადამი, ვიდრე დაეცემოდა. ამ მდგომარეობას ვერავინ ახსნის. გაკვირვების ღირსია, რომ იმ დროს გონებით კი არა, ხმით ვლოცულობდი, შეუჩერებლად. იქ მარტო ვიყავი. თუმცა რომელიმე ძმა რომ ყოფილიყო და მასაც ჩემსავით, ხმით ელოცა, უკეთესი იქნებოდა ჩემთვის, რადგან გონების გაფანტვისა და ლოცვის შეწყვეტის შემთხვევაში, გავიგონებდი რა ძმის ლოცვას, უმალ მეც მივუბრუნდებოდი მას.

მიუხედავად იმისა, რომ მარტო ვიყავი, – არ დამვიწყებია ბერის მითითება, მელოცა ხმით, რადგან მჯეროდა, რომ მის სიტყვებს ჰქონდა ძალა და მნიშვნელობა და რომ ის ტყუილად არასოდეს არაფერს ამბობდა. ამ რწმენით ვასრულებდი მის ყველა სიტყვას. არ ჰქონდა მნიშვნელობა, ჩემ გვერდით იყო თუ არა. უმეტესად მარტო ვიყავი. 1953 წლიდან, როცა წმინდა ანას მცირე სკიტიდან[3]გადავსახლდით, მოძღვარს, ჩვეულებრივ, მხოლოდ შუადღეს ვხედავდით, ტრაპეზე, და შემდეგ – საღამოს, როცა მუხლს მოვუყრიდით და ლოცვა-კურთხევას ვიღებდით, რომ წირვა დაგვეყენებინა.

იესოს ლოცვას შეუჩერებლად ვამბობდით, გულისსიტყვას თავს არ ვატყუებინებდით და გონებით აქეთ-იქით ხეტიალს არასოდეს ვიწყებდით. რატომ? იმიტომ რომ, მოძღვრის მითითებას ვემორჩილებოდით. განა, რისთვის მოვედი მონასტერში? სულიერი მამის დამჯერი და მორჩილი თუ არ ვიქნებოდი, დავრჩენილიყავი ერში! და თუ მონაზონი არ გავხდებოდი – მონაზონი, არა გარეგნულად, არა შავი შესამოსლით, არამედ შინაგანად – მაშინ რა მინდოდა აქ? რა მიზანი მქონდა? ხელობის, ან სხვა რაიმე საქმის შესწავლა? აქ მოვედი იმიტომ, რომ დავუფლებოდი

[1] აქ იგულისხმება კადნიერება, არა უარყოფითი მნიშვნელობით (თავხედობა, ურცხვობა, მოურიდებლობა, რომელიც მამათა სწავლების მიხედვით, ადამიანის სულში სპობს ღვთის შიშს და ანადგურებს ადამიანებს შორის სიყვარულს), არამედ – კადნიერება დადებითი მნიშვნელობით: ღვთის წინაშე კადნიერებას ადამიანი მოიპოვებს ღვაწლით, სულიერი ბრძოლით, ღვთის სიყვარულით. ამგვარ მოღვაწეს ღვთისგან ეძლევა გამბედაობა, რომ ლოცვით გამოითხოვოს წყალობა, სხვებსაც უშუამდგომლოს ღმერთთან. ღვთის წინაშე კადნიერება ჰქონდათ პირველმშობლებს, მაგრამ დაკარგეს იგი ცოდვით დაცემის შემდეგ, ასევე – ღვაწლით შემოსილ, სულიერების მაღალ საფეხურზე მდგომ ადამიანებს, როგორც მიწიერ ცხოვრებში, ასე გარდაცვალების შემდეგ.

[2] საუბარია ხელსაქმეზე.

[3] სკიტი – დიდი მონასტრების ტერიტორიაზე არსებული დასახლება. ის შედგება კელიებისგან. „კელიებში“ არ იგულისხმება მონაზვნების სენაკები, არამედ – მცირე კრებულის საცხოვრებელი სახლი, ტაძრით, სენაკებით, ტიპიკონით. სკიტი რამდენიმე კელიის გაერთიანებაა, მას აქვს დიდი საერთო ტაძარი და ზოგადსაცხოვრებელი მონასტებისგან განსხვავებული წეს-განგება.

ხელოვნებათა ხელოვნებას, მეცნიერებათა მეცნიერებას. აქ ყველანი იმიტომ მოვედით, რომ გავმხდარიყავით სულის მეცნიერნი, მონაზვნობის მეცნიერნი და არა – სპეციალისტები საერო სფეროებში.

ყოველივე ეს ჭეშმარიტებაა. და ვისაც სურს, შეიცნოს ჭეშმარიტება, მან უნდა მიუძღვნას თავი კონკრეტულ საქმეს. და თუ არ იშრომებს, ვერაფერს იპოვის. ლაპარაკია არა იმგვარ შრომაზე, გარკვეული ხნით რომ გაირჯები და შემდეგ თავს მიანებებ, არა. როცა დაიწყებ, უნდა გააგრძელო. ყოველ შემთხვევაში, უნდა აიძულო თავი, არ გაჩერდე, იშრომო, რამდენსაც შეძლებ, იშრომო დღე და ღამ, იესოს ლოცვით, ქრისტეს სახელის ჩასუნთქვითა და ამოსუნთქვით.

ჩვენი კატები

ბერ იოსებს ხუთი თუ ექვსი კატა ჰყავდა. ეცოდებოდა ისინი და აჭმევდა, ამიტომაც თაგვებს ვერ ვიშორებდით. ერთხელ, სათაგურში წრუწუნა გაება, ბერი მეუბნება:

– კატას აჭამე.

გავხსენი სათაგური, გაიქცა წრუწუნა, მაგრამ კატამ ერთი გახედა და – არაფერი. ყურადღებაც არ მიაქცია. ბერი შეწუხდა.

– დაიჭირე, – მითხრა.

დავედევნე, ვისკუპე და დავიჭირე. მერე წავიყვანე და ისევ სათაგურში ჩავსვი. ბერის ხათრით გავაკეთე, თორემ ისე, ვერ მივეკარებოდი.

მე კი ორი კატა მყავდა – ბარდალისი და არაპისი. ვწვრთნიდი.

ერთხელ, როცა საქმე ჭლექისკენ მიმდიოდა, ახალი კარაქი გამომიგზავნეს. სახელოსნოში ხელსაქმით ვიყავი დაკავებული და ვხედავ, ჩემს ერთ-ერთ ფისოს ულვაშები გასთეთრებია. კარაქს მიაგნო! იმ დღეს მთელი წლის სამყოფი ვეჩხუბე: იცოდე, პირველი და უკანასკნელი იყოს-მეთქი!

ღამით ვუშვებდი ხოლმე, რომ მათაც მღვიძარება ჰქონოდათ:

– აბა ჰე! მე – ლოცვა, თქვენ – თაგვები!

არცერთს არ ეძინა. წირვას რომ დავასრულებდი და უკან, სკიტში დავბრუნდებოდი, ვეტყოდი:

– მოდით, თქვენი სეფისკვერი მიიღეთ, – და ორცხობილასა და კანფეტს ვაძლევდი.

თუ არაპისი თაგვს დაიჭერდა, თვლიდა, რომ ვალდებული იყო, ნადავლი ჩემთვის ეჩვენებინა. არაპისმა იცოდა, რომ სენაკში ვიჯექი, მაგრამ არ მეძინა, ამიტომ მოდიოდა კართან და კნაოდა. და მე უნდა მეთქვა: „იკურთხება!“ – მხოლოდ ამის შემდეგ შეექცეოდა თაგვს. გასაოცარი კატები იყვნენ!

მუშაობის დროს, ჩემ გვერდით, კალათში ისხდნენ, კინკლაობდნენ, ყირაზე გადადიოდნენ.

– რომელმა წამოიწყეთ ჩხუბი?

ორივე უკანა თათებზე დგებოდა და წინა თათებს მაღლა სწევდა. რა სასაცილოები იყვნენ! ბერი მეუბნებოდა, – მამაო, მგონი, გამასხარავებენო.

უფრო ადრე კი, როცა ბერთან ერთად უდაბნოში ვცხოვრობდით, ერთი კატა გვყავდა, ის პირდაპირ ქვაბიდან გვპარავდა საჭმელს, მომზადებისას. ერთხელ ვხედავთ, ბარდალი კარტოფილს შეექცევა. ნეტავ სად იპოვა? ბერმა მისი დაჭერა მოინდომა, მაგრამ კატა ზურგზე გადაბრუნდა და თათები ასწია. რა თქმა უნდა, არ გავბრაზებივარ. ასე ამოიწურა ინცინდენტი... როგორ გავუწყრებოდი, როცა ასეთი სინანული მიჩვენა. ნუთუ შეიძლებოდა, დამესაჯა?!

ვუთხარი:

– ღმერთმა შეგინდოს. დაამთავრე შენი კარტოფილი და მორჩა.

რა ცოდვაც უნდა ჩაიდინოს ადამიანმა, თუ მოინანიებს, ღვთის სასჯელი არ შეეხება. ხოლო თუ უნანელია, სანამ შენდობას არ ითხოვს, ღვთისგან ალიყური არ მოაკლდება. და როგორც კი სინანულს აჩვენებს, შეენდობა ცოდვა.

ერთხელ ბერმა დამავალა, თევზი მიმეტანა მისთვის. დავეშვი ზღვისკენ. კატებიც წამომყვნენ. ისინი სათევზაოდ ყოველთვის მიმყავდა. ნაპირზე სხდებოდნენ, მელოდნენ და დაჭერილ თევზებს უყურებდნენ.

– არ მიეკაროთ, თორემ ზღვაში გადაგყრით!

წესრიგი!

როცა თევზაობას მოვრჩი, ვთქვი:

– პარდალის, შენ აქ დარჩი.

მე კი თევზი წავუღე ბერს. არაპისს ვეუბნები:

– თევზს უყარაულე.

შევედი ბერთან, მუხლი მოვიყარე. მეუბნება:

– თევზი?

– გარეთ, კალათში დავტოვე, კატასთან.

– მამაო, ის ხომ შეჭამს.

– გავედით და დავინახეთ, რომ არაპისი თევზს სხვა კატებისგან იცავს, იბრძვის.

ბერ იოსების მაძღარ კატებს დავუცაცხანე და სახურავზე ავდენე. როგორც კი ეს დაინახა, ბერი მეკითხება:

– როგორ შეძელი გაგეწვრთნა?

– მორჩილებას აღასრულებენ, მოძღვარო.

როცა მაგიდასთან სატრაპეზოდ ვსხდებოდით, არაპისი ჩემ გვერდით მოიკალათებდა. ძმები უწყრებოდნენ:

– აბა, აქედან მოუსვი!

ის კი ყურადღებას არ აქცევდა, თითქოს ეუბნებოდა: „ჩემს ბერს არ დავტოვებ, მის გვერდით ვიქნები“.

ერთხელ ბერმა მითხრა:

– წადი თხილნარში, თხილი დაკრიფე, ჭამე, ცოტა მომაგრდი, ძალები მოიკრიბე.

წავედი. ვერ დავიძინე, ვფიქრობდი კატებზე, ბერს რომ შევატოვე. პარასკევს დავბრუნდი. გზაში ვგალობდი „აღდგომისა დღე არს“[1] და როცა მივედი, ბერი მეუბნება:

– ცუდი ამბავი მაქვს. კატები დაიკარგნენ.

– არა, მოძღვარო, არ დაიკარგებოდნენ.

ქვემოთ დავეშვი, ჩემი ქოხისკენ, და გამახსენდა, რომ გასაღები ბერთან დამრჩა, მოვტრიალდი და ვეძახი:

– მოძღვარო, გასაღები დამრჩა!

– მიაუ-მიაუ, – მეხმიანებიან კატებიც და საიდანღაც მოძვრებიან.

– ოჰ, შენ რა გითხარი, მართლაც, როგორ გაგიწრთვნია! – მეუბნება მამა იოსები.

რა მშვენიერი ცხოვრება გვქონდა: მე, კატები და უდაბნო. მხოლოდ ჩვენ.

ბერი იოსების სიცოცხლის ბოლო წელიწადი

შრომა, ღვაწლი, მარხვა, თავშეკავება – ყველაფერი ჩვენი მოძღვრის ჯანმრთელობაზე აისახა, მოხუცივით გამოიყურებოდა. ერთმა მომლოცველმა გაოცება ვერ დამალა, როცა გაიგო, ბერს, ის-ის იყო, სამოცი წელი შესრულებოდა, – ოთხმოცს მიტანებული მეგონაო. ძლივს დადიოდა. ჯერ კიდევ წმინდა ანას მცირე სკიტში[2] ცხოვრებისას უმტყუნა ფეხებმა. სვენებ-სვენებით გადაადგილდებოდა მოკლე მანძილებზე, ასვლა-ჩასვლა კი სრულებით არ შეეძლო. აღმართზე ვაწვებოდით, დაღმართზე ვიჭერდით. ამიტომ სანამ ნეა სკიტში[3] არ დავსახლდით, ეკლესიაში წირვებზე სიარული მისთვის დიდი პრობლემა იყო. მახსოვს, მივუყვებოდით აღმართს ეკლესიისკენ და უკნიდან ვაწვებოდი. „მომაწექი!“ – მეუბნებოდა. მთელი ძალით ვაწვებოდი. თოვლში, წვიმაში... ვერ დადიოდა. აღმართებზე მისი ყელიანი ფეხსაცმელი მხარზე თასმებით მეკიდა.

– მოდი, ფეხსაცმელი ჩამაცვი, ბრიყვო.

[1] მუხლი ბრწყინვალე შვიდეულის სადღესასწაულო ლოცვიდან.

[2] ათონის მთის ჩრდილო-დასავლეთით, ციცაბო კალთაზე შეფენილი მცირე ასკეტური დასახლება. ხუთიოდე სენაკისაგან შედგება. სენაკი – სკიტს დაქვემდებარებული პატარა საცხოვრებელი, საკუთარი ტაძრითა და მცირე ძმობით.

[3] ათონის მთაზე წმინდა პავლეს მონასტერს დაქვემდებარებული სკიტი.

დავსვამდი ტაძარში და ფეხსაცმელს ვაცმევდი. ბოლომდე ასე მცდიდა და მწვრთნიდა, მაგრამ როგორი მადლობელი ვარ ახლა ამისთვის!

წყალმანკისგან დროდადრო მთელი სხეული უშუპდებოდა, უსივდებოდა. თუკი შემთხვევით ხელს გაიჭრიდა, სისხლის ნაცვლად, ჭრილობიდან წყალივით სითხე სდიოდა. დროთა განმავლობაში შეშუპებამ გულიც ჩაითრია და უმცირეს ფიზიკურ დატვირთვაზეც კი ქოშინი ეწყებოდა. ამის მიუხედავად, საზრდელის მიღებასთან დაკავშირებულ პირად წესს ძველებურად მკაცრად იცავდა. არც უფიქრია, ჩვენი ყოველდღიური საკვების გარდა რაიმე დამატებით მიეღო, ან ტრაპეზისთვის დადგენილი საათი დაერღვია. ამასთან, მისი დაავადებული ორგანიზმი მოსვენებას არ აძლევდა, უძილობით იტანჯებოდა.

* * *

კარგა ხანი იყო, რაც სიკვდილს ნატრობდა, რადგან მშვიდი სინდისი აუწყებდა, რომ ღვაწლი კეთილი მოიღვაწა.[1]

რამდენადაც ქრისტიანი წარმატებულია სულიერ ცხოვრებაში, იმდენად მოჩქარეა ამაქვეყნის დატოვებისა და ქრისტესთან შეხვედრისა. როგორც იოანე კლემაქსი[2] ამბობს, ვინც დღითიდღე მოელის სიკვდილს, ჭეშმარიტად მადლმოსილია, ხოლო ვინც მარადჟამ მოსურნეა ამისა, ის წმინდაა[3]. ბერი იოსები რომ სწორედ იმ „წმინდათა“ შორის იყო, მისი ერთ-ერთი წერილიდანაც ჩანს: „სიკვდილი, რომელიც ბევრი ადამიანისთვის უდიდესი და საშინელია, ჩემთვის მხოლოდ დასვენებაა, უტკბესი რამ, რომელიც როგორც კი მოვა, ამსოფლიური მწუხარებისგან გამათავისუფლებს. მე მას წუთი-წუთზე მოველი, ის ჭეშმარიტად უდიდესია, მაგრამ ამავე დროს, ძალიან დიდია დღევანდელი მსოფლიოს ყველა სიმძიმის საკუთარ თავზე აღების ღვაწლი, როცა თითოეული ადამიანი მცნებების დაცვას სხვისგან მოითხოვს“.[4]

* * *

ცრემლი უწყვეტად სდიოდა, განსაკუთრებით ავადმყოფობის პირველ ხანებში. ძლიერი ქოშინი ჰქონდა, ლამის იხრჩობოდა და ამიტომ თითქმის არ ეძინა. მე, მისი მომვლელი, გვერდიდან არ ვშორდებოდი, ხელით დამყავდა აქეთ-იქით. ყოველ ხუთ წუთში – ქვითინი. „ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი დედა გამახსენდა და თავი ვერ შევიკავე“. ყოვლაწმინდა, შეიძლება ითქვას, მგზნებარედ უყვარდა. გულის ამგვარი უკმარისობისა და მუდმივი უძილობის ფონზე, ნეტავ, როგორ შეეძლო გონებით ეფხიზლა!

ექიმის მოყვანა გვინდოდა, მაგრამ ბერი უარზე იყო. ერთხანს ვუთმობდით. როცა შეტევა ეწყებოდა, ზეთისცხებას[5] აღვასრულებდით და – შველოდა, მაგრამ ზოგადად, მისი ჯანმრთელობა დღითიდღე უარესდებოდა, შეშუპება ფეხებიდან ზემოთ წავიდა, ნახევარი მუცელი მოიცვა. ექიმზე არც მაშინ თანხმდებოდა.

ძმობაში აზრი ორად გაიყო. ერთნი ამბოდნენ „ჰო“-ს, მეორენი – „არა“-ს. ჩვენ – მამა ათანასეს, მამა იოსებ უმცროსსა და მე – ექიმის მოყვანა გვსურდა. მართალია, ბერი წინააღმდეგი იყო, მაგრამ როგორც შვილები, ვალდებულნი ვიყავით, მამაზე გვეზრუნა. სხვები უარზე იდგნენ. მამა არსენმა თქვა:

– მამა ათანასე, რაკი ბერს არ სურს, ექიმს ნუ მოიყვან.

---

[1] II ტიმ. 4, 7.

[2] ღირსი მამა იოანე სინელი (525-649), იგივე კლემაქსი, კიბისაღმწერელი. ხსენება 30 მარტს.

[3] „კლემაქსი, რომელ არს კიბე“, სიტყვა 6.

[4] ბერი იოსებ ათონელი, „მონაზვნური გამოცდილების გადმოცემა“, წერილი 30. (ხახულის ახალი შუამთის დედათა მონასტერი, მეორე გამოცემა, 2004).

[5] ზეთის კურთხევა ეკლესიის შვიდ საიდუმლოთაგან ერთ-ერთია, მას შვიდჯერ ზეთისცხებასაც უწოდებენ. იგი, ისევე, როგორც ახალი აღთქმის დანარჩენი ექვსი საიდუმლო, დააწესა იესო ქრისტემ, როცა საქადაგებლად წარგზავნა მოციქულები, რომელნიც „სცხებდნენ ზეთსა მრავალთა სნეულთა და განჰკურნებდეს“(მარკ.6,13). ზეთის კურთხევის არსი კარგად ჩანს წმინდა მოციქულ იაკობის სიტყვებში: „უძლურ თუ ვინმე არს თქვენ შორის, მოუწოდონ ხუცესთა ეკლესიისათა, და ილოცონ მას ზედა და სცხონ ზეთი სახელითა უფლისათა და ლოცვამან სარწმუნოებისამან აცხოვნოს სნეული იგი და აღადგინოს იგი უფალმან, დაღაცათუ ცოდვა რაიმე ექმნეს, მივეეტეოს მას“ (იაკ. 5, 14-15). ამ საიდუმლოს პირველსახედ წმინდა მამები მიიჩნევენ ასევე უფლის მიერ კაპერნაუმში განრღვეულის განკურნებას (მარკ. 2, 1-12). ზეთის კურთხევის საიდუმლო სრულდება დიდმარხვის პერიოდში ეკლესიაში, ან წლის ნებისმიერ დროს — სნეულის სახლში.

– მამა არსენ, ასე, შეიძლება, მოვკლათ ადამიანი! ხომ იცი, ბერი თვითუარყოფის გამო ამბობს უარს.

მამა ეფრემ კატუნაკიელი ამბობდა:

– რაკი ბერმა თქვა „არა“, ესე იგი – არა.

შევეწინააღმდეგე:

– ბოლოს და ბოლოს, რას გვეტყვის სინდისი, ან რას გვეტყვის ხალხი? როგორ არ უშველეთ ადამიანს, მაშ, რაღა სულიერი შვილები ხართო!

ჩვენ მეტნი ვიყავით და როგორც კი დანარჩენები დავითანხმეთ, ექიმის მოყვანაზე დავიწყეთ ზრუნვა.

საწრაფოდ დაფნიში[1] გავემართე, იქიდან იერისოსში დავრეკე და თერაპევტი მოვიწვიე. როცა მოვიდა, ცალკე გავიხმე:

– მომისმინეთ, ბერს ასე უთხარით: „მომლოცველი ვარ, აქეთ რომ ჩამოვიარე, მონაზვნებმა მთხოვეს, მენახეთ, რადგან ავად ყოფილხართ“.

შევედი ბერთან:

– მოძღვარო, აქ ერთი მომლოცველია, ექიმი. მოგიყვანო, გნახოს?

– ჩანს, ღმერთმა გამოგზავნა, შვილო, მომიყვანე.

ექიმმა ბერს მოუსმინა და ეუბნება:

– კარდიოპათია გაქვთ, ის გამოწვეულია ფურუნკულოზისგან. თუ არ იმკურნალეთ, მოკვდებით.

– ღმერთო მიშველე! ეს კი კარგად თქვით, მოკვდებიო. სწორედ ეგ მინდა.

– პირველ რიგში, შეშუპების საწინააღმდეგო აბებს გამოგიწერთ, ასევე – ფურუნკულოზის საწინააღმდეგო და მოსამაგრებელ ნემსებს.

– კარგი, ასე იყოს.

როცა ნემსები დამთავრდა, ბერმა თქვა:

– და რატომ არ მოვკვდი? ხელებზეც დავიჩხვლიტე, უკანაც. აი, რა დამემართა. ხომ ვეუბნებოდი ღმერთს, არ მინდა ექიმი, მსურს, შენ იყო ჩემი მკურნალი-მეთქი.

აბებისა და ნემსების მერე მომჯობინდა. ერთხელ, მასთან რომ შევედი, მკითხა:

– კეთილი! ეს იყო პირველი, ერთადერთი ექიმი ჩემს ცხოვრებაში. საქმე იცოდა, მიხვდა, რაც მჭირდა, – მერე უცებ მომიბრუნდა და თვალებში შემხედა, – მოდი აქ, ციცქნავ, ექიმი თვითონ მოვიდა?

– ღმერთმა გამოგზავნა.

– ჰო, ჩემო შვილო, ღვთისგან იყო, ღმერთმა უშველოს. ოჰ, ღმერთო.

ესეც ასე, რა გამოდის, ვიცრუე?

საღამოს, მანამ ეკლესიაში წირვის აღსრულებას შევუდგებოდი, მეტანიისთვის ბერთან მივედი, სტასიდზე[2] იჯდა. „როგორ ვწირო, როცა ცოტა ხნის წინათ ტყუილი ვთქვი? თანაც, ჩემი ბერი მოვატყუე. სიმართლე უნდა ვუთხრა! უნდა ვაღიარო“. ვეუბნები:

– მოძღვარო, შემინდე, ექიმი ჩვენ მოვიწვიეთ, თქვენი სიყვარულის გამო დავუძახეთ, როგორც შვილებმა. თქვენ ხომ მამა ხართ ჩვენი, ზრუნვა გვმართებს.

შემხედა. ცხადია, უწყოდა, რატომაც მოვიქეცი ასე. მოღიმარმა თავზე დამადო ხელები და მომიჭირა:

– რამხელა ჭკუა დევს ამ პატარა თავში... კარგი, შვილო, წირვა დაიწყე. ღმერთი შეგინდობს, ვიცი, რომ ასე სიყვარულით მოიქეცი.

* * *

ვინაიდან წმინდა პავლეს მონასტერს ვექვემდებარებოდით, მირქმას [3] იქ უნდა შევხვედროდი. მივედი თუ არა ბერთან მეტანიისთვის, შეტევა დაეწყო, ისეთი უკმარისობა ჰქონდა, დასასრულია-მეთქი, ვიფიქრე. მკვდრის ფერი ედო. ვეღარ სუნთქავდა.

[1] ათონის მთის მთავარი პორტი.

[2] ხის სკამი ეკლესიაში, მაღალი საზურგით, მაღალი სახელურებით, ასაკეცი დასაჯდომით. სტასიდი საშუალებას აძლევს მლოცველს ზედ დაჯდეს, ჩამოჯდეს, ჩამოეყრდნოს.

[3] იგივე „მიგებება უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი“, ათორმეტთაგან ერთ-ერთი საუფლო დღესასწაული.

– ჩემო იესო, შემიწყალე! ჩემო იესო, შემიწყალე! ჩემო იესო, შემიწყალე! ჩემო იესო, შემიწყალე!

მხოლოდ ამას ამბობდა. უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ლოცულობდა. როგორც კი დავინახე, ვთქვი: „მორჩა. ვეღარ სუნთქავს. გადის. კვდება“. მაჯაზე მოვკიდე ხელი, პულსი მინდოდა დამეთვალა. სად ჰქონდა!

ვეკითხები:

– მოძღვარო, გადიხართ?

– არა.

ზეთისცხებაო, მანიშნა. როგორც კი ვცხეთ ზეთი, მომჯობინდა, თითქოს, ცუდად არც ყოფილა.

დიდმარხვაში კიდევ ერთხელ გამოჩნდა მისი გონიერება, გულისხმისყოფა. ვინაიდან მდგომარეობა დაუმძიმდა და, როგორც იტყვიან, ცალი ფეხი სამარეში ედგა, თავისი მონაზვნური ცხოვრების განმავლობაში პირველად, თავს უფლება მისცა, მარხვა შეემსუბუქებინა. ეს დაუშვა იმიტომ, რომ ფეხზე მდგარიყო, ხედავდა, რომ მარხვის შემსუბუქებით, ლოცვისთვის ძალებს იკრებდა.

აღდგომის მერე გულის შეტევა გაუმეორდა და დაახლოებით სამ საათს გაუგრძელდა. ვხედავდი, როგორ ინავლებოდა. ისევ ვკითხე:

– გადიხარ, მოძღვარო?

– არა, მამაო, – მიპასუხა მაშინაც.

პულსი არ ჰქონდა.

– აღვასრულოთ ზეთისცხება?

როგორც კი ვცხეთ, მოიხედა. დაიწყო ტირილი და წარმოთქვა სიტყვები წესიდან, რომელიც აღსრულება შესვენებულთათვის: „ჰოი, მე, ვითარი ღუაწლი აქუს სულსა, განრაივიდოდეს ხორცთაგან“.[1]

რაოდენი ცრემლი ჰქონდა, რამდენს ტიროდა! მამა არსენი ეტყოდა ხოლმე:

– კიდევ იცრემლები? რატომ? ხომ იცი, შენთვის ამდენი ტირილი არ შეიძლება!

ბერი პასუხობდა:

– დამანებე თავი, მამაო, დამშვიდდი და დამანებე თავი, დამანებე.

* * *

...ზაფხულში შეტევა გაუმეორდა. იქამდე რამდენიმე წერილს უპასუხა. მკარნახობდა და ვიწერდი. თვითონ კალამს ვეღარ იჭერდა. როცა გათენდა, ვუთხარი:

– მოძღვარო, წავალ, წერილებს გავგზავნი.

– მალე დაბრუნდი, აქ დამჭირდები.

ყველაფერს მივხვდი. ელვასავით სწრაფად დავბრუნდი მასთან. შევდგი თუ არა ფეხი მის სენაკში, – დაეწყო. იცოდა, რომ ასე მოხდებოდა და ამიტომ დამაჩქარა. შეუჩერებლად იმეორებდა:

– იესო! დედავ! იესო! დედავ!

ყოვლაწმინდა ღვთისმშობელს „დედას“ ეძახდა.

ვინაიდან, შეტევის დროს, გულს არ შეეძლო წარმოეთქვა იესოს ლოცვა, ბაგეებით ლოცულობდა. გვერდით დავუჯექი. მისი ხელი ავიღე. მაშინ მეგონა, რომ აგონია დაეწყო. მკვდარივით გახდა. სწორედ იმ დროს მოვიდა ვიღაც და ბერი იკითხა.

– რა გნებავთ?

– ბერის ნახვა მინდოდა.

– ბერი უკანასკნელ წუთებშია.

– მაშ, ჯობს წავიდე?

– დიახ, ის ვერ შეძლებს თქვენთან ლაპარაკს.

ოთხი საათი გრძელდებოდა შეტევა, ბოლოს ბერმა მოიხედა. და როცა მოიხედა, იკითხა:

– რა უნდოდა მამა კონსტანტინეს?

როგორ დაინახა, ან როგორ გაიგო მისი მოსვლა, თუკი პულსი საერთოდ არ ჰქონდა?

[1] „წესი, რომელი აღესრულების ერის კაცსა ზედა შესუენებულსა“, დასდებელი იოანე დამასკელისა, ხმა მე-2.

...მამა ეფრემ კატუნაკიელმა ბერ იოსებს სთხოვა სამახსოვრო წერილი, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე, კურთხეული განძივით შეინახავდა. და ბერმა დაუწერა: „ჩემო ღვთიურო და წმინდა წიაღო, საყვარელო შვილო ეფრემ, მამობრივად გეამბორები. გიძღვნი მთელ ჩემს სიყვარულს, შენ გეძლევა ჩემი უკანასკნელი კურთხევა, რომელზეც ორი დღის წინ ვილაპარაკეთ. ბოლო ათი დღე ძალიან ცუდად ვიყავი, ვერაფერს ვჭამდი, გუშინწინ ამერიკიდან წამლები გამოგზავნეს, მიღება დავიწყე და უკეთესობა ვიგრძენი. ვნახოთ, როდემდე იმოქმედებს. არა მგონია, გამოვჯანმრთელდე. როგორ ცდილობენ ძმები, მაგრამ ვერაფერს გახდნენ, მხოლოდ აყოვნებენ ჩემს წასვლას. ორგანიზმი მოწამლული მაქვს. მატლები ჩემს სხეულს არ მიეკარებიან და მთელს დატოვებენ, ჭამას არ მოისურვებენ. მაშ, მშვიდად იყავი. ჯერ დრო არ მოსულა. მთელი სულით გიკრავთ გულში. მდაბალი და მრავალჭირნახული ბერი იოსები“.

* * *

გადიოდა დღეები. ჩვენი მოძღვარი უკან-უკან მიდიოდა. მარტოს აღარ ვტოვებდით, ერთ-ერთი ჩვენგანი ყოველთვის მის გვერდით იყო. ერთხელაც ბერთან ვარ, სენაკში, ის თავის სკამზე ზის, მე უკნიდან ვიჭერ, მოულოდნელად გვესმის, ეკლესიის კარი გაიღო, მერე კი – ჩვენი სენაკის კარიც. ვხედავ – ვეება მონაზონი, უწვერული, კუნკულში,[1] ზედ გამოსახული ჯვრით, წითლად მოქარგულ სქემაში[2]. იმ ანგელოზს ჰგავდა, წმინდა პახომს[3] რომ გამოეცხადა. ერთდროულად მშვენიერიც იყო და ძრწოლისმომგვრელიც. ერთიანად თეთრ შუქს ასხივებდა. სულში შიშსაც ვგრძნობდი და სიყვარულსაც. ერთდროულად – შიშს და სიყვარულს. როგორც კი კარი გაიღო, თვალებში შემხედა, ჯერ – მე, შემდეგ – ბერ იოსებს, შემდეგ გაიხურა და წავიდა. როცა დაგვტოვა, დამრჩა სრული შეგრძნება, თითქოს ეთქვას: „მალე“. ათასი პროცენტით ვიყავი დარწმუნებული, რომ ეს მიქაელ მთავარანგელოზი იყო. ამ დროს ბერი მეკითხება:

– ციცქნავ, დაინახე?

– დავინახე.

– მთავარანგელოზი მიქაელი იყო, მან გვითხრა: „მალე“.

ბეგეები არ გაუხსნია, მაგრამ ანგელოზებსა და წმინდანებს ხომ შინაგანი მეტყველება აქვთ. მივხვდი. „მალე“ ნიშნავდა, რომ გარკვეული დროის შემდეგ, ისევ მოვიდოდა. მართლაც, თვე არ იყო გასული, მეორედ რომ მოვიდა და ბერი წაიყვანა.

* * *

ჩემს მორჩილებას ვასრულებდი: ვამზადებდი ტრაპეზს ძმებისთვის და ვუვლიდი ბერს. ეზოში ვმზარეულობდი და ხმით ვლოცულობდი: „უფალო იესო ქრისტე, შემიწყალე მე“, „უფალო იესო ქრისტე, შემიწყალე მე“. როგორც ჩემმა მოძღვარმა მირჩია და მცნებად დამიდო, იესოს ლოცვას ხმამაღლა ვამბობდი. ბერი კი სკვნილით ხელში, მაკვირდებოდა. ესმოდა, რომ ხმამაღლა ვლოცულობდი და ძალიან ხარობდა. თუ დაინახავდა, რომ რომელიმე ძმა ჩუმადაა, ფიქრობდა, „ლოცულობს თუ არა? ნეტავ, სად არის ახლა გონებით?“ და როგორც სულიერი მამა, წუხდა. მაგრამ თუ ჩვენი ხმა ესმოდა, მშვიდად იყო, რადგან ხედავდა, – ნამდვილად ვლოცულობდით. და სწორედ იმ დროს, როცა ეზოში ტრაპეზს ვამზადებდი და ვლოცულობდი, გამხიარულებულმა ჩემი ლოცვით და სიკვდილის მოახლოების მოლოდინით, მითხრა:

[1] მონაზვნის თავსაბურავთაგან ერთ-ერთი, რომელიც ჰგავს ჩვილის ჩაჩს და სიმბოლოა მონაზვნის სიწმინდის, უმანკოების და სახარებისეული მცნების აღსრულებისა: „უკეთუ არა იქმნეთ ვითარცა ყრმანი, ვერ შეხვიდეთ სასუფეველსა ცათასა“ (მთ. 18, 1-9).

[2] IV ს-ის I ნახევარში ეგვიპტეში, თებაიდის უდაბნოში ანგელოზისა და მეუდაბნოე პახომი დიდის შეხვედრა საფუძვლად დაედო ზოგადსაცხოვრებელი მონასტრის, იგივე კინოვიოს დაარსებას. ანგელოზისგანვე ეუწყა ღირს მამას ზოგადსაცხოვრებელი მონასტრის პირველი წეს-განგება, იგივე ტიპიკონი და მონაზვნური შესამოსლის სახე. პახომი დიდმა ანგელოზის სახით პირველი სქემოსანი იხილა. გარდა იმისა, რომ სქემას უწოდებენ მონაზვნობის უმაღლეს საფეხურს, ამავდროულად იგი არის სამოსი, უფრო ზუსტად – სიმბოლური გამოსახულება ქრისტეს ჯვარცმის, აღდგომის და ადამიანის გამოხსნისა; იგი არის მონაზვნობის არსის გამოხატულება, მიმანიშნებელი, რომ ვინც ქრისტეს სიყვარულისთვის ტოვებს სოფელს, ის იტვირთებს ჯვარს, მიემსგავსება მაცხოვარს, თავისი ცხოვრებით იმეორებს გოლგოთის გზას, საკუთარ თავსა და ვნებებს ჯვარს აცვამს და ჰყოფს მორჩილებას სისხლის დათხევამდე. სქემა ყოველივე ამას გამოსახავს სიმბოლოებით: გოლგოთა, ჯვარცმა, ადამის საფლავი-თავის ქალა, ღრუბელი, მახვილი. მასზევეა ქარაგმული წარწერა (სხვადასხვა ქვეყნის მართლმადიდებელ მონასტრებში წარწერები მცირედით განსხვავებულია) – რაც მონაზვნობის მრწამსს, მის ფორმულას წარმოადგენს.

[3] ღირსი პახომი დიდი (292-349). ხსენება 15 მაისს.

– შვილო, ილოცე. ეს მთელი ცხოვრება ნუგეშად გაგყვება. არ დაკარგო იესოს ლოცვა, თუ გინდა, ყველაფერი საათივით აგეწყოს, არ მიატოვო ის და მაშინ ყველაფერში წარემატები. ნუ გეშინია. მე აღარ ვიქნები, მაგრამ ლოცვა გექნება, ის შეგიცვლის ყველას და ყველაფერს, სულიერ და მონაზვნურ გზაზე გიწინამძღვრებს. ოღონდ, არ დაკარგო ლოცვა, შვილო.

ის მაჯისცემას გრძნობდა. და ამიტომ, მისი სიტყვა გაცილებით ცოცხალი და ძლიერი იყო, ვიდრე თეორეტიკოსის ქადაგებაა.

– თქვენი ლოცვით, მოძღვარო, შევინარჩუნებ ლოცვას.

და სადილის მომზადება გავაგრძელე. ის კი გვერდით იჯდა და ისმენდა, როგორ ვლოცულობდი.

* * *

ბერის გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, დავფიქრდი: „რას გავაკეთებ, როცა ბერი აღარ მეყოლება? აქაურობას გავეცლები და სადმე, ადამიანებისგან მოშორებით, მყუდრო ადგილს მოვნახავ. აღარ ვიმსახურებ,[1] ხისგან ჯვრებს გამოვთლი და ნახელავს თვეში ერთხელ მცირედ საკვებში, ორცხობილებში გავცვლი. მერე ისევ მივეფარები თვალს. ისე ვილოცებ, როგორც ბერმა მასწავლა. სკვნილით და მეტანიებით. ასე გავქრები. ადამიანებს გავეცლები“.

ბერი მიმიხვდა ფიქრებს და მითხრა:

– შეხედე რას დაემსგავსე, მწუხარებამ მოგიცვა, ძალა წაგართვა. ამიტომ, როცა აღარ ვიქნები, არსად წახვალ, აქ დარჩები. გიტოვებ ჩვენს პატარა საყდარს, ხარებისას,[2] რათა იმსახურო და შენს მორჩილად ვასახელებ ტომოთეს.

– როგორც მაკურთხებ.

საწინააღმდეგო არაფერი მითქვამს. ჩვეულებრივ, როცა მოძღვარი კვდება, მორჩილებისგან თავისუფლდები, ჩვენ კი ბერის სიკვდილის მერეც ვაგრძლებდით მის მორჩილებას.

* * *

მართალია, ძალიან სუსტად იყო, მაგრამ რამდენიმე დღით ადრე, სულიერად რომ გავემხნევებინე და დამხმარებოდა, მითხრა: „შვილო, სულში სამოთხე მკვიდრობს, უდიდეს მადლს ვგრძნობ, ყველა ვნება დაეყუდა. ღვთის კურთხევაა! ბრძოლები აღარ მაქვს, დასრულდა, გულისსიტყვები აღარ მაშფოთებს, ჩემში ამბოხის ნატამალიც არ არის. მაგრამ განა, ამგვარი მდგომარეობა დღევანდელი დღის მონაპოვარია? ეს სიყმაწვილიდან მოდის, ახალგაზრდობაში გაწეული შრომის საფასურია. მაშინ ჩაითესა მარცალი, ახლა ნაყოფი მოვიწიე.

ხედავ, რაოდენი სარგებელი აქვს ყმაწვილკაცობაში გაწეულ შრომას? ხედავ, რომ არაფერი დაკარგულა? ღმერთს ყველაფერი აღრიცხული აქვს, წვრილმანებიც კი. ქრისტიანს სხვისთვის გაწვდილ ჭიქა წყალსაც კი არ დაუკარგავს, ათასად მიაგებს, ჩვენ კი მონაზვნური ღვაწლისთვის ბევრად მეტად დავსაჩუქრდებით – ამ ცხოვრებაშივე მადლსა და კურთხევას მივიღებთ, ზეცაში კი ჩვენი შრომის საფასური ღვთის ბანკში დაიდება და როცა მონაზონი შეისვენებს,[3] როცა მაღლა, ზეცაში ავა, მთელ თავის თანხას, შრომის საფასურს „მოხსნის“ ანგარიშიდან, ანუ აქაური მუშაკობისთვის გასამრჯელოს იქ მიიღებს. და რამდენადაც მაღალია ფასი მისი მუშაკობისა, იმდენად მდიდარი იქნება ის სამოთხეში.

ამიტომ თუ არ იშრომებთ, ახალგაზრდობაში არ გაირჯებით, ღვაწლს დაუტევებთ, სიბერე უქონელი გექნებათ, სულიერი პენსიის გარეშე დარჩებით. მაშ, ეცადე იმუშაკო, შვილო, რადგან გავა წლები, მოიყრები და ნახავ, სულიერი მოსავლით გაავსებ შენს ბეღლებს. როგორც ჩვენი პაპები ამბობდნენ: „შრომა სიყმაწვილეში, შვება სიბერეში“.

მე და მამა არსენმაც ბევრი ოფლი ვღვარეთ, ერთად ვმოსაგრეობდით, ახლა მოდის ღმერთი და მოგვაგებს შრომისთვის, ამას სულში ვგრძნობთ სწორედ ახლა, როცა დავბერდით და ნელ-ნელა ვტოვებთ მიწიერ ცხოვრებას. ამას სამახსოვროდ გეუბნები. დღეს პატარა ხარ, ჩემს სიტყვებს ხვალ გაიაზრებ“.

---

[1] იგულისხმება საეკლესიო ღვთისმსახურება. მამა ეფრემი, როგორც ბერ იოსების კრებულის მღვდელმონაზონი, კელიის ტაძარში ყოველ კვირას წირვა-ლოცვას აღასრულებდა. თავად ბერი იოსები არასოდეს ყოფილა არც მღვდელი, არც – დიაკონი.

[2] ხარება ყოვლდაწმინდა ღვთისმშობლისა.

[3] იგულისხმება გარდაცვალება.

* * *

მორჩილების პირველ წლებში ბერისგან წმინდა მამების გამონათქვამი მოვისმინე: „ვინც სათნოეყოფა მოძღვარს – სათნოეყოფა ღმერთს“. და მას შემდეგ მოძღვრის სათნოყოფა, მისი მსახურება ცხოვრების მიზნად მექცა.[1] ჩემს თავს ვუთხარი: „რისი მაქნისი ვარ, თუ ამას ვერ შევძლებ?!“ მას მერე მიზნისთვის არ გადამიხვევია, მთელი ძალებით მას ვესწრაფოდი. ვევედრებოდი უფალს, ღირსი გამხადე, ჩემი ბერისგან დალოცვა და კურთხევა დავიმსახურო-მეთქი. მოძღვარს სიცოცხლის უკანასკნელ გაელვებამდე ვემსახურე, ვაკეთებდი ყველაფერს, რომ ჩემი ვალი მის წინაშე წმინდად აღმესრულებინა, მაგრამ მანამ შეისვენებდა, ვისურვე მცოდნოდა, სათნოვეყავი თუ არა მას. არ ჰქონდა მნიშვნელობა, სინდისი რას მაუწყებდა, მე ბერისგან მინდოდა გამეგო. რა თქმა უნდა, თავნებობა არც მიფიქრია, უბრალოდ, ძალიან მაშფოთებდა შეკითხვა, მივაღწიე თუ არა მიზანს. და ამიტომ ვკითხე:

– მოძღვარო, მთელი ეს წლები, დღე და ღამ იმის ცდაში ვიყავი, თქვენი მორჩილება აღმესრულებინა, თქვენთვის მემსახურა. თუ რამეს ვიქმოდი, ყველაფერს – თქვენ გამო. რამდენად სათნოგეყავით, ღვთის მადლით?

– როგორც ჩემი ცხოვრება ანუგეშე, შვილო, ისე განუგეშოს ღმერთმა.

ოჰ, დავწყნარდი, ეს ჩემთვის ყველაფერი იყო!

* * *

გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, ვთხოვე:

– მოძღვარო, შეგიძლიათ, ახლა ილოცოთ ჩემთვის?

– მოდი, შვილო, „ზეთისცხებას“ აღვასრულებ შენზე.

მივუახლოვდი, გულში ჩამიკრა, ჩემი თავი მკერდზე მიიყრდნო და დიდხანს, დიდხანს მსახავდა ჯვარს და ლოცულობდა. ეს იყომთელი ჩემი შრომის საფასური. ამაზე მეტს ვერც კი ვინატრებდი! მაგრამ ამ დალოცვის გარდა, უდიდეს ნუგეშად დამიტოვა სიტყვები:

– ღვთის წინაშე კადნიერებას თუ მოვიპოვებ, მაშინ მე მოვალ შენთან, გეახლები ცოტა ხნით ადრე, ვიდრე წუთისოფელს დატოვებდე, ჩემგან გეუწყება გასვლის წუთი. სიკვდილის წინ შენ წასაყვანად მოვალ.

მოვა?! ჩემი ბნელი და საწყალობელი სულის ამოსვლისას გვერდით მეყოლება, დამეხმარება? დიდი კადნიერება ჰქონდა ღვთის წინაშე.

* * *

გარდაცვალებამდე რამდენიმე ხნით ადრე, ვკითხე:

– მოძღვარო, გვაკურთხებ, რომ მე და ხარლამპიმ „ორმოცდღიან“[2] ვწიროთ შენთვის?

დიდებულმა და ბრძენმა ადამიანმა კი მიპასუხა:

– ჩემი სულის ცხონების საქმე ორმოცდღიანი წირვის იმედად რომ დამეტოვებინა, ვაი, ჩემს დედას! მაშინ სატირლად მქონია საქმე და ყველაზე უბედური ადამიანი უნდა ვიყო. სინდისი რომ მშვიდად გქონდეთ, ნახევარი შენ სწირე, ნახევარი ხარლამპიმ.

მთელი მისი ღვაწლი მდგომარეობდა იმაში, რომ წინდაწინ მომზადებულიყო და თავისი სული სხვისი ლოცვების იმედად არ დაეტოვებინა. მოემზადა კიდეც, რადგან ყოველ ღამე, თავის სენაკში მღვიძარებისას განსჯიდა, თუ როგორ იცხოვრა ის დღე, რომელმა ვნებამ შეაჭირვა.

[1] „როცა ვინმე (მონასტერში) მოდის, რომ მორჩილებაში იცხოვროს, ცხადზე უცხადესია, ის არც იღუმენის, არც მონასტრის გამო, არამედ სწორედ ქრისტეს სიყვარულისა და სულის ცხონებისთვის მოდის. მაგრამ ვინაიდან ქრისტეს ვერ ხედავს და მორჩილებას უშუალოდ მის წინაშე ვერ აღასრულებს, ამიტომ დაადგინა უფალმა თავის სახედ მონასტრის იღუმენი, რათა მას დაემორჩილოს ისე, როგორც ქრისტეს დაემორჩილებოდა. ყოველი სულიერი მამა ქრისტეს ხატის მატარებელია, ესე იგი, როგორც ემორჩილები სულიერ მამას, ისე ემორჩილები ქრისტეს... მოძღვარი, შესაძლოა, ცოდვილი ადამიანი იყოს და წარწყმედის გზაზე იდგეს ისევე, როგორც მე, მორჩილების მნიშვნელობა კი სხვაა: ის უშუალოდ ქრისტეს მიმართ აღესრულება“. ბერი ეფრემ ფილოთეველი. „მამობრივი დარიგებანი“. („ჩაკიდული თხემები“, 2007).

[2] მიცვალებულის სულის მოსახენებლად აღსრულებული წირვა-ლოცვა გარდაცვალებიდან ორმოცი დღის განმავლობაში. საეკლესიო სწავლების თანახმად, ქრისტიანის გარდაცვალებიდან პირველ, მესამე და მეცხრე დღეს სული წარდგება ღვთის წინაშე, ამის შემდეგ გასავლელია საზვერეები – გასაცემია პასუხები ცოდვებზე. საზვერეების გავლისას გარდაცვლილს შეეწევა ორმოცდღიანი წირვა-ლოცვა, სულის მოსახსენებელი პანაშვიდები, ფსალმუნება, მის სახელზე გაცემული მოწყალება. მეორმოცე დღეს ის კვლავ წარდგება ღვთის წინაშე და განეჩინება ადგილი მეორედ მოსვლამდე.

და იწყებდა ბრძოლას მის გასანადგურებლად. შრომა, რომელიც სიკვდილისთვის მზადებას გულისხმობს, იესოს ლოცვით გამოიხატება. შემიძლია ვთქვა, რომ ლოცვამ ის სრულად გაამზადა სიკვდილთან შესაყრელად. ამიტომაც ერთხელ, როცა ბოლო წუთი ახლოვდებოდა, მითხრა:

– შვილო, ხიდს როგორ გადავივლი? მთელი სირთულე ესაა, თორემ გადაღმა, ღვთის წინაშე ყველა ანგარიში გასწორებული მაქვს, რამდენადაც ეს ღვთის მადლით ადამიანითვისაა შესაძლებელი. აი, ხიდს კი როგორ გადავალ?

მისი სინდისი უხინჯო და მშვიდი იყო. ის რომ საუკეთესოდ იყო მომზადებული, ბოლო წუთებმა აჩვენა: ღვთისა და ყოვლდაწმინდა ღვთისმშობლისადმი სიყვარულისგან ტიროდა, სინდისი არაფერში ამხელდა, სიკვდილს ელოდა როგორც დღესასწაულს, როგორც ბედნიერ დღეს, როგორც ამა სოფლის მახეთაგან უდიდებულეს გამოხსნას, ის ეწრაფოდა ღვთის სახის ხილვას, მისი სილამაზით გულსავსეობას, ტკბობას, შეერთებას ანგელოზთა დასთან, რომლისკენაც მთელი ცხოვრება მიილტვოდა.

მისი სიყვარული ყოვლაწმინდა ღვთისმშობლისადმი შეუძლებელია გადმოიცეს. დღემდე არ შემხვედრია ადამიანი, ასე მხურვალედ ჰყვარებოდა ღვთისმშობელი და ასეთი კრძალვა ჰქონოდა მის მიმართ. ყოვლადწმინდას სახელის წარმოთქმა, მისი ხატისთვის თვალის შევლება, ან საგალობლისთვის ყურის მოკვრა საკმარისი იყო და მისი სახე ცრემლებით ინამებოდა. ერთხელ ვერაფრით დაიძინა და მერე გამიმხილა, – დედა ღვთისმშობელი გავიხსენე და ძილი გამიკრთაო. ასე უყვარდა ყოვლაწმინდა ქალწული. მის წერილებში ჩანს კიდეც ეს მხურვალე ტრფობა.[1]

დიდი ხანია ევედრებოდა, წამიყვანე, დამასვენეო. ზოგჯერ მის პატარა ხატს იკრავდა გულში და ამბობდა: „როდის მოხვალ, დედა? როდის მიიბარებ ჩემს სულს?“ მოწყალე ღმერთმა და ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა მოხედეს წყალობით, შეისმინეს მისი ვედრება და ღირსჰყვეს, დედა ღვთისას მიძინების დღეს[2] მასაც საუკუნო ძილით მიეძინა. ყოვლაწმინდა ქალწულმა ასე გამოაჩინა, რომ ბერი იოსების ლოცვა შესმენილია და მისი სურვილი დედასთან შეხვედრისა – აღსრულებული...

ახალბერძნულიდან თარგმნა
თამარ ყურულმა

[1] ბერი იოსებ ათონელი, „მონაზვნური გამოცდილების გადმოცემა“. წერილები: 33, 34, 36 (ხახულის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის დედათა მონასტერი. მეორე გამოცემა, 2004).

[2] ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინება, იგივე მარიამობა, ათორმეტი დღესასწაულიდან ერთ-ერთი, აღინიშნება 28 აგვისტოს. ბერი იოსები გარდაიცვალა მარიამობას, 1959 წელს.

ერნესტო კარდენალი

წიგნი სიყვარულზე
ფრაგმენტები

ღვთის სამყარო

ამქვეყნად ყველა და ყველაფერი შეყვარებულია. ბუნების ერთი ქმნილება აუცილებლად ისწრაფვის მეორისკენ. ყოველი ცოცხალი არსება დაბადების, ზრდის, გამრავლებისა და გარდაცვალების ყოვლისმომცველ პროცესში ერთმანეთთან არის დაკავშირებული. ზოგი უშუალოდ, ზოგი შუამავლის მეშვეობით ისე, რომ მთელი სამყარო ერთიანი და ყოვლისმომცველია. მწერები ყვავილებს ბაძავენ, ყვავილები – მწერებს, ცხოველები – წყალს, კლდეს, ქვიშას უდაბნოში, თოვლს ტყეში, ან სულაც სხვა ცხოველებს და ყოველ მათგანს ან უყვარს მეორე, ან ჭამს მას. რაღაც უხილავი ძალა ანათესავებს მათ.

ბუნებაში ყველაფერი იცვლება და ტრანსფორმირდება. ყველაფერი ურთიერთგადახლართული და ჩახუტებულია. ყველგან ალერსი და კოცნაა. სამყაროში არსებული ეს ურთიერთობები იმართება ერთი უნივერსალური – სიყვარულის კანონით. ყოველი ფიზიკური მოვლენა, საბოლოო ჯამში, მხოლოდ ერთი – აღმატებული სიყვარულის ფენომენია. თოვლის ფიფქის კრისტალიზაცია, ვარსკვლავთა აფეთქება, საკუთარი ხორთუმის მოალერსე ბუზი, თუ გულის სწორს ჩახუტებული შეყვარებული არის ქმნილების მისწრაფება გადალახოს და ამაღლდეს საკუთარ საზღვრებზე, დაანგრიოს ეგოცენტრულობის შემზღუდავი ჯვებირები და ეძებოს ის მეორე, რომელსაც მიუძღვნის საკუთარ თავს და რომელშიც ის გარდაიქმნება. თერმოდინამიკის, ელექტროდინამიკის და სინათლის გავრცელების კანონები, უნივერსალური მიზიდულობის ძალა სხვა არაფერია, თუ არა ისევ და ისევ სიყვარულის კანონი. ბუნებაში ყველაფერი სხვისადმი თავის მიძღვნითა და მასთან ჩახუტების გზით ესწრაფვის სრულყოფილებას. ყოველი არსების შინაგანი მამოძრავებელი ძალა უღრმეს იდუმალებაში არის სიყვარულის შიმშილი და წყურვილი.

ნიავი, რომელიც მესალბუნება, მზე, რომელიც მკოცნის, ჰაერი, რომელსაც ვისუნთქავ, შორეული ვარსკვლავი, რომლსაც ვაკვირდები, ჩემი განუყოფელი ნაწილებია. ის, რასაც ჩვენ ცარიელ ინტერსტელარულ სივრცეს ვუწოდებთ, სინამდვილეში, იმავე მატერიისგან შედგება, რისგანაც ვარსკვლავები, ისინი სხვა არაფერია, თუ არა ინტერსელარული მასის მაღალი კონცენტრაცია. მთელი სამყარო წარმოჩინდება, როგორც ერთი უზომო ვარსკვლავი, რომელშიც ჩვენ ყველანი ვმონაწილეობთ უნივერსალური მიზიდულობის ძალის ერთნაირი რიტმით, რომელიც მოლეკულებს ერთად კრავს, მატერიას განსაზღვრულ ადგილას აგროვებს და ვარსკვლავებს ვარსკვლავებად ხდის. და ეს არის სწორედ სიყვარულის რიტმი.

რაკი ცალ-ცალკე ნაკლულნი და არასრულყოფილნი ვართ, სწორედ ეს აღძრავს ჩვენში ღვთისკენ – აბსოლუტური სრულყოფილებისკენ მისწრაფებას! და თუ ადამიანს ღმერთი უყვარს, მას სულის კანკალით უყვარს ყველა მისი ქმნილება! უზომო თანაგრძნობით ეპყრობა მთელ ბუნებას! როგორც მოციქული პავლე ამბობს, ყოველი არსი ჩვენთან ერთად კვნესის მშობიარობის ტკივილისგან, მაგრამ ჩვენ მოთმინებით ვიტანთ ამ ტკივილს, რადგან ზუსტად ვიცით, რომ სიყვარული უნდა იშვას.

ბერები მთელი სამყაროსთვის გალობენ, რადგან ბუნებაში ყველაფერი, უმცირესი ელექტრონიდან დაწყებული ადამიანით დამთავრებული, არის ერთი მთლიანი ფსალმუნი და ჩვენ მანამდე ვერ დავისვენებთ, სანამ ღმერთს არ ვიპოვით. მხოლოდ ამის მერე გაქრება ჩვენი გულებიდან უსაზღვრო კოსმიური შიში. ჩვენი უკიდეგანო სიყვარული, რომელიც ადამიანის პატარა გულს უდიდესი ძალისხმევით საყოველთაო მიზიდულობის ძალასთან აერთიანებს, მხოლოდ მაშინ დაკმაყოფილდება, როცა ის იმას იპოვის, რომლისკენაც ყოველი არსება მიისწრაფვის.

ყოველი ქმნილება ღმერთზე ლაპარაკობს, მას ამხელს, მისკენ მიილტვის: ვარსკვლავებით

მოჭედილი უსაზღვრო ცაც და პატარა ჭრიჭინაც; უსასრულო გალაქტიკებიც და მორცხვი ციყვიც, რომელსაც ყველაფრის ეშინია და ყველას ემალება; ყველა ვარსკვლავი, რისგანაც სხვა ვარსკვლავები წარმოიშვა და რომელმაც პირველსაწყისი მატერია შექმნა. მათი გაუცნობიერებელი ყველა მოქმედება სინამდვილეში არის მისწრაფება ღვთისაკენ. მთელი სამყარო სიმშვიდეს მხოლოდ მასში პოულობს.

წყურვილი

როცა ეული ტრამალის მგელი ღამის სიბნელეში ყმუის, როცა ბუ კივის, მტრედი ნაზად ღუღუნებს, ხბო დედას ეძებს, სინამდვილეში, შენ გიხმობენ, უფალო, და თვითონაც არ იციან ეს! ყველა ქმნილებას ხვადასხვა ენით განუწყვეტლივ შენ ერთს გეძახის! შენ გეძებს ლომი, როცა ღრიალებს და ყველა ბაყაყი, როცა ყიყინებს. შენ გადიდებს პოეტთა და შეყვარებულთა ენა და ბერთა ლოცვა.

ნებისმიერი რასის ადამიანის, ბავშვისა თუ მოხუცის, მზრუნველი დედისა თუ შეყვარებული ქალის, პოლიციელისა თუ მოსამსახურის, ავანტიურისტისა თუ მკვლელის, რევოლუციონერისა თუ დიქტატორის და, რა თქმა უნდა, წმინდანთა თვალებში ჩანს უსასრულო მონატრება და დაუოკებელი წყურვილი, იდუმალი ცეცხლი, ღრმა უფსკრული ბედნიერებისა და სიხარულისა, მისწრაფება ყველაფრის უსასრულოდ ფლობისა. უკლებლივ ყოველი არსება გრძნობს წყურვილს, რომელიც სინამდვილეში ღვთისადმი სიყვარულია. ამ წყურვილზეა საუბარი ჭასთან მყოფი სამარიტელი ქალის იგავში.

ამ წყურვილის მოსაკლავად სჩადიან ადამიანები ყველა დანაშაულს; მის გამო იწყებენ ომებს; იპყრობენ მთის მწვერვალებს და იკვლევენ ოკეანეთა ღრმულებს; მისთვის ბატონობენ და აწყობენ ინტრიგებს; მისთვის აშენებენ, წერენ, მღერიან, ტირიან, უყვართ და სძულთ. ყოველი ადამიანური მოქმედება, თვით ცოდვაც, არის ღვთის ძიება. მხოლოდ ერთია დასანანი, რომ ვეძებთ მას ხშირად იქ, სადაც ის არ არის, ვეძებთ ყველგან: სუფრასა თუ ზეიმებზე, კინოსა თუ ბარში, მაგრამ მისი პოვნა შესაძლებელია ერთადერთ ადგილას – ჩვენსავე გულში! ამიტომ ამბობს ნეტარი ავგუსტინე: „ეძებე, რასაც ეძებ, ოღონდ იქ არა, სადაც ეძებ!“

ყოველ გულში ერთი და იგივე კოცონი ანთია, ერთი და იგივე დაუოკებელი წყურვილია. „როგორც ირემი წყაროს წყლისკენ, ისე მიისწრაფის ჩემი სული შენკენ, უფალო!“ – ამბობს მეფსალმუნე. ყოველი გული ამ ისრით არის დაჭრილი. დიქტატორთა დაუოკებელი მისწრაფება ძალაუფლებისკენ, ქონებისა და ფულისკენ სინამდვილეში ღვთისადმი სიყვარულია. შეყვარებული, მკვლევარი, ბიზნესმენი, აგიტატორი, ხელოვანი თუ მლოცველი ბერი, ყოველი ეძებს ერთსა და იმავეს – ღმერთს და არაფერს მის გარდა. ყოველი ყმაწვილი ქალის სახეზე ღვთის ანარეკლი ისახება, ამიტომ არის ასე მშვენიერი და ჩვენ გვიზიდავს ეს ანარეკლი, რადგან ჩვენ მარადიული ცხოვრებისთვის ვართ შექმნილნი! უფალი ყოველი სულის სამშობლოა. ის არის ჩვენი ერთადერთი მონატრება. ღმერთი ყოველი ქმნილების გულშია დამალული და გვეძახის ჩვენ. ის არის ის იდუმალი გამოსხივება, რომელიც ყოველი არსებიდან გამოსჭვივის. ჩვენ, ჩვენი გულის სიღრმეში გამუდმებით გვესმის მისი ძახილი, როგორც ხარირემს ფურირემის ძახილი ან როგორც ჯულიეტას აივნის ქვეშ მდგარი რომეოს სტვენა.

ინიციალები

ტყე, უდაბნო, ვარსკვლავებით მოჭედილი ზეცა და მთები იმისთვის შეიქმნა, რომ ჩვენ მათში ჩავიძიროთ. ღამე მშვიდია და მარტოსული, რადგან ღმერთმა ის ლოცვისთვის განაჩინა. კაჭკაჭი და გუგული უფალზე მოგვითხრობენ, რომელმაც მათეს ენა ასწავლა. სხვა ფრინველები, ცხოველები, ვულკანები, ღრუბლები და ხეებიც სიყვარულით უმღერიან ღმერთს. ყველა ქმნილება გამუდმებით გვიმტკიცებს ღვთის არსებობას, გვახსენებს მის სილამაზეს და უსაზღვრო სიყვარულს ჩვენდამი. ბუნების უწყვეტი მუსიკაც ამიტომ ატკბობს სმენას და ულამაზესი პეიზაჟებით ესალბუნება ჩვენს მხედველობას.

„მე ყოველი ქუჩის კუთხეში ვპოულობ უფლის წერილებს“, – ამბობს მწერალი და დასძენს: „მწვანე ბალახი ღვთის ინიციალებით მონიშნული, სურნელებით გაჟღენთილი ტილოა, რომელიც უფალმა მოსაგონებლად გადმოგვიგდო, რათა არასოდეს დავივიწყოთ იგი“. ასე აღიქვამდა ბუნებას ადამი და ასე ესმით მისი საიდუმლო წმიდანებს, პოეტებსა და ხელოვნების მსახურებსაც.

მთელი ბუნება დადაღულია უფლის ინიციალებით. მისი ყოველი ქმნილება სასიყვარულო ბარათია მის მიერ ჩვენთვის დაწერილი. მთელი სამყარო სიყვარულის ცეცხლშია გახვეული, სიყვარულისგან არის შექმნილი, რათა ჩვენშიც სიყვარულის ალი აანთოს. და არ არსებობს სხვა გამართლება მისი არსებობისა. ქმნილება საზრისს კარგავს, ვერ დაგვაკმაყოფილებს, თუ ჩვენში ღვთის სიყვარული ვერ გააღვივა. ბუნება უფლის, მისი სილამაზის აჩრდილია. მისი თითის ანაბეჭდებს ვპოულობთ მატერიის ყოველ ნატეხზე. ყოველ ატომში სახლობს სამების სახება, სამერთიანი ღმერთის ანარეკლი. ამიტომაც გვაგიჟებს ასე, უფალო ჩვენო, შენგან შექმნილი ბუნება!“

ჩემი სხეულიც ღვთის სიყვარულისთვის არის შექმნილი. ჩემი ორგანიზმის ყოველი უჯრედი შემოქმედისადმი მიძღვნილი ჰიმნი და განუწყვეტელი სიყვარულის ახსნაა.

როგორც ვარხვი თევზის დასაჭერად არის შექმნილი, ან პეპელა ნექტარის შესასრუტად, ასევე ადამიანი გაჩენილია სიყვარულისა და ლოცვისთვის. ღმერთი არა მარტო ჩვენშია, ყველგან არის, მაგრამ, როცა ჩვენს სულში მის არსებობას ვგრძნობთ, მაშინ მთელი ძალისხმევით ვცდილობთ მასთან მარტო დარჩენას და გვინდა განმარტოება, რათა მასთან თანამყოფობა სხვა არსების ლანდმა არ დაჩრდილოს.

ღმერთი მარტოობასა და სიმშვიდეში ბრწყინავს, როგორც ცა დაწყნარებულ ტბაში. და საკმარისია სულმა სიმშვიდე და სიწმინდე მოიპოვოს, რომ მის ზედაპირზე მაშინვე ღვთის სახება გამოჩნდება. შეიძლება წყალი ჯერ კიდევ მღვრიეა, მაგრამ ის მაინც აირეკლავს ცას. ჩვენ ვართ სარკე, შექმნილნი იმისთვის, რომ მასში უფლის ხატება გამოისახოს.

ღვთის სახება

ბუნება აღსავსეა ურიცხვი ბგერით: სიმღერით, მუსიკითა და გალობით. ყველა არსება რაღაცას ჩურჩულებს, ოხრავს, ღუღუნებს, გალობს, სტვენს, ღრიალებს, ყმუის, ღმუის, ღრუტუნებს, ტირის, წუწუნებს...

ჭრიჭინი, ყიყინი, სტვენა – ბუნების ყოველი ტონი და ჩქამი და, რა თქმა უნდა, ადამიანის ხმაც არის ლოცვა. განდეგილი ბერები მხოლოდ გალობით არღვევენ მდუმარებას, რადგან ზუსტად იციან, რომ მათი ხმა ლოცვაა.

ბუნება ღმერთზე მიმანიშნებელი სიმბოლოების ერთობლიობაა. მთელი ქმნილება უფლის დახვეწილი ხელნაწერია, რომელშიც არ არსებობს არაფერი უმნიშვნელო და უაზრო. ზეცაზე მეტეორის ცეცხლოვანი კუდი, გველის ნაკვალევი ქვიშაზე, შემოდგომის ზეცაზე გადამფრენ ფრინველთა წყობა, მზის მოგზაურობა დედამიწის გარშემო, ხის მორზე წელიწადის რგოლები და მდინარის კალაპოტის საოცარი ზიგზაგები – უფლის არსებობას გვახარებენ, მხოლოდ, უნდა ვისწავლოთ მათი ამოცნობა.

არსებობენ ადამიანები, რომლებიც ამ ნიშნების ჭვრეტისას სიხარულით ექსტაზამდე მიდიან, მაგრამ ვერ ხვდებიან, რომ ეს საკუთრივ მათთვის დაწერილი და დახატული სახარებაა. ისინი იმ გლეხის გოგონას ჰგვანან, რომელსაც როგორღაც ძვირფასი მანუსკრიპტი ჩაუვარდა ხელში, ხარობს მისი გასაოცარი მშვენიერებით და წარმოდგენაც კი არა აქვს, რომ ეს მისთვის დაწერილი მეფის სასიყვარულო წერილია.

და, რა თქმა უნდა, ჩვენ – ადამიანები – ვართ ღვთის სიმბოლონი. ყოველ ჩვენგანში ღვთის ხელწერაა დავანებული. ჩვენი არსება უფლის მიერ მთელი სამყაროსთვის გამოგზავნილი კეთილი სახარება და ცნობაა; მან დაგვაყენა შესაქმის ცენტრში, როგორც თავისი უწმიდესი და ულამაზესი სიტყვა, როგორც თავისი სახება და ხატება!

წარმართნიც თავიანთ ღმერთებს ადამიანის სახით გამოსახავდნენ, რადგანაც მათაც იცოდნენ, რომ უფალმა ადამიანი ჭეშმარიტად თავის მსგავსად შექმნა. იოანე კიბისაღმწერელი

მოგვითხრობს ერთ კაცზე, რომელსაც ლამაზი ქალის დანახვაზე გულში უდიდესი სიყვარული აენთო და სიხარულის ცრემლები წამოსცვივდა, მაგრამ ეს ამ ქალისადმი ვნება კი არა, მშვენიერ არსებაში მისი შემოქმედის – უფლის სახების რეალური შეგრძნება იყო. ყოველ ჩვენგანზე აღბეჭდილი ღვთის ეს ანარეკლი ქრისტეს ზუსტი მსგავსებაა. ადამიანი (ქრისტე – ღმერთკაცი) არის სწორედ ღვთის ხატება.

ღმერთმა ადამიანთა ურიცხვი რაოდენობა გააჩინა. მრავლობითობა იგულისხმება ბიბლიურ ფრაზაში: „გავაჩინოთ კაცი ჩვენს ხატად და მსგავსად“ (დაბ. 1.26). და ეს ქმნილება არის სამების, სამერთიანი ღმერთის, სიყვარულის (რადგან ღმერთი ურთიერთსიყვარულია) ხატება, ჩვენ ამ სიყვარულის შემადგენელი ნაწილები ვართ. ყველას გვერდით გვყავს ღმერთი ჩვენი მოყვასის სახით. ამიტომ აქვს უდიდესი მნიშვნელობა ურთიერთსიყვარულს. თუმცა ისიც მართალია, ვისი შეცნობაც არ ძალგვიძს, მისი მსგავსება ჩვენთვის თითქოს ფარდითაა დაფარული და ასე რჩება, ვიდრე არ დავიხოცებით.

ცხოველებიც ღვთის სახებანი არიან. ჩვენ გვიყვარს ისინი, რადგან ვამჩნევთ მათ მსგავსებას ადამიანთან.

ცოდვა ჩვენი გულიდან შლის ღვთის ხატს (ეშმაკები სწორედ ის არსებები არიან, რომლებმაც მთლიანად დაკარგეს ღვთის მსგავსება) მაგრამ ქრისტეს, თავად ღვთის სიტყვის, მეშვეობით კვლავ ვიბრუნებთ მას. „ვინც მე მხედავს, ხედავს მამას“. ღმერთი ყოველი ქმნილების შიგნითაა, და, რა თქმა უნდა ჩვენშია. მის საპოვნელად არ გვჭირდება შორს წასვლა, საკუთარი გულიდან გამოსვლაც კი. საკმარისია ვიპოვოთ საკუთარი მე, შემდეგ ვეცადოთ მასზე ავმაღლდეთ და საბოლოოდ, ჩვენი ჭეშმარიტი იდენტურობა დავადგინოთ, რომელიც ღმერთია. „მე განვაცხადე თქვენ ხართ ღმერთები და უზენაესის ძენი ხართ თქვენ ყველანი“.

მაგრამ თანამედროვე ადამიანს ძალიან უჭირს განმარტოება; შინაგანი „მეს“ დაძლევა კი მისთვის თითქმის შეუძლებელია. საკუთარ თავთან ღვთის მადლით პირისპირ დარჩენას, ჩვენივე სინდისის ყურის დაგდებას და ამით ღვთის შემეცნების მიახლოვებას გვირჩევნია, სასწრაფოდ ტელევიზორი ან რადიო ჩავრთოთ, ან ხმაურიან ქუჩაში გავიდეთ.

იდენტურობა

ლოცვა ისევე ბუნებრივი, თანდაყოლილი ინსტინქტია ადამიანისთვის, როგორც საუბარი, სუნთქვა ან გულისცემა. ის სხვა არაფერია, თუ არა გოდება, კვნესა, მზერა, შეყვარებული გულისფეთქვა, მაგრამ ჩვენმა ცოდვილმა ბუნებამ აღქმის უნარი დაგვისუსტა და გვიწევს ამ ყველაფრის თავიდან სწავლა. ლოცვა უფალთან დაკარგული კონტაქტის აღდგენაა, მასთან სულიერი კავშირია, რომელსაც არც სიტყვები სჭირდება და არც გონება. ლოცვა მაშინ იწყება, როცა ღვთის ქმნილებას სიყვარულით ვუმზერთ, მოყვასს თანაგრძნობით ვუღიმით, მის ტკივილს გულით ვიზიარებთ, სიკეთეს უანგაროდ ვთესავთ. თვით სიგარეტის მოწევაც კი შეიძლება ლოცვად იქცეს, როგორც ხატვა, ცის მზერა ან წყლის სმა, თუ ის ჩვენში ღვთისადმი უღრმესი მადლიერების გრძნობას აღძრავს.

ჩვენი სხეული შემოქმედს ქვეცნობიერად უნატიფეს ლოცვას აღუვლენს, ჰიმნს უგალობს, როცა წყურვილს წყაროს უგემრიელესი წყლით ვიკლავთ, ან ზაფხულის თაკარა დღეს მდინარის ცივ მორევში ვეშვებით. ეს მადლიერება უკვე ლოცვაა, მიუხედავად იმისა, რომ ირაციონალურია და გაუაზრებლად, გაუცნობიერებლად ხდება.

ნების დაძაბვით ჩვენ შეგვიძლია, ყოველდღიური საქმიანობა ლოცვად ვაქციოთ. ჩვენი შრომა ეგზისტენციალური ლოცვაა. ერთ წმინდანს ღმერთმა უთხრა, რომ მას ახარებს სიცოცხლისთვის ბუნებრივი ნებისმიერი მისი ქმედება: ჭამა, სმა თუ ძილი...

ღმერთი, როგორც ჰაერი, ყველა მხრიდან გვევლება. და როგორც ვერ ვგრძნობთ ატმოსფეროში არსებულ ელექრო თუ სინათლის ტალღებს, სანამ საჭირო ხელსაწყოს არ ჩავრთავთ, ასევე ვერ ვიგრძნობთ უფლის სიყვარულის ტალღებს, სანამ შესაბამის არხზე არ გადავერთვებით. თუ მხოლოდ მიწიერი გრნობების აღქმას შევეჩვევით, ღვთაებრივი ტალღების მიმღებლობის უნარს დავკარგავთ.

სინათლის სიჩქარეზე სწრაფად კვეთს ატმოსფეროს დედამიწის სხვადასხვა კუთხეში მცხ-

ოვრები ორი ადამიანის გულიდან გამოსული მონატრების ტალღა, რომელიც უშორეს დისტანციაზეც ვრცელდება და გაცილებით მძაფრია, ვიდრე გვერდით მდგომი გულგრილი ადამიანის ფიზიკური შეხება.

ღმერთი ასე ახლოს არის, მაგრამ თან უსაშველოდ შორსაა. მას მთელი მარადიულობა გვაშორებს. ამიტომ უფალთან ჩვენი ყოველი დაკავშირება, შორიშორს მყოფი შეყვარებულების ურთიერთობას ჰგავს, რომლებიც უაღრესად სასურველი ურთიერთჩახუტების ნაცვლად, იძულებული არიან გაგზავნილი სასიყვარულო წერილებით დაკმაყოფილდნენ ან მინის გამჭვირვალე კედლის სხვადასხვა მხრიდან აკოცონ ერთმანეთს.

ჩვენ ღვთის ნახვა შეგვიძლია, როგორც საღამოს ბურუსში, როგორც უკვე დაწყებული ფილმის ყურებისას, როცა კინოდარბაზის კარები ჯერ არ არის დაკეტილი და დარბაზში შუქი ჯერ არ არის ჩამქრალი. მხოლოდ როცა სიბნელე ჩამოწვება, ეკრანზე ფიგურების გარჩევას ვიწყებთ თანდათან. ღვთის არსებობა ჩვენთვის ერთგვარად გაურკვეველი და ბურუსით მოცულია, და რაც უფრო ვუახლოვდებით მას, მით უფრო დაბურული გვეჩვენება ის. ეს ისევეა, როცა დახვეწილი, ტექნიკურად სრულყოფილი ფილმი ჩვენს თვალწინ გამოგონილ სადა რეალობას შორის ირხევა. და ჩვენ არ უნდა გავფანტოთ ეს ბურუსი, არ უნდა ჩამოვხიოთ ეს ფარდა. ჩვენ ისე ახლოს ვართ ღმერთთან, რომ მისი შეცნობა არ შეგვიძლია.

ჩვენ ღმერთთან რეალური თანაარსებობის შეგრძნება არ გვაქვს. ამის მიზეზი ის არის, რომ შევეჩვიეთ საგნების მხოლოდ გარეგნული ეფექტების ხედვას და დავკარგეთ შინაგანი ხმის მოსმენის უნარი და ჭეშმარიტი შეგრძნებები. არც ერთი საგნის არსი სინამდვილეში მის ზედაპირზე არ დევს. ვერც ერთი ადამიანი ვერ უარყოფს, რომ თავის არსებაში გრძნობს იდუმალი და შეუცნობელი რაღაცის, უფრო ზუსტად, ვიღაცის თანამყოფობას. რატომღაც ვფიქრობთ, რომ ღმერთი ადამიანის ხმით უნდა დაგველაპარაკოს და ეს ყურით უნდა გავიგონოთ.

და მაშინაც კი, როცა, ღვთის მადლით, ჩვენს გულში უფლის არსებობას ვიგრძნობთ, სამწუხაროდ, გვგონია, რომ ეს თავად ვართ და ამიტომ ვერ ვახერხებთ მის შეცნობას. შეგნებულად უარვყოფთ იმ ფაქტს, რომ ყოფიერების ცენტრში მარტონი არ ვდგავართ, არამედ ყოველთვის სხვასთან ერთად. ყოველი ჩვენგანი ონტოლოგიურად ორერთიანია. თუ ვიპოვით საკუთარ თავს, ამით უფალს ჩავეხუტებით. ნებისმიერი ჩვენი ცნობიერი თუ ქვეცნობიერი მოქმედება ამ შეერთების განუწყვეტელი ძიებაა, რაშიც გარეგნული ეფექტებისკენ ჩვეული მისწრაფება ხელს გვიშლის. გამუდმებით გვესმის გულიდან ჩვენი საყვარლის გამაბრუებელი ხმა, მაგრამ ვცდებით, როცა გვგონია, რომ ის აივნის ქვემოდან გვიმღერის სერენადას. მიუხედავად იმისა, რომ ღმერთი ყველგანაა, თვით ბროდვეიზეც კი, მისი ხმის გაგონება მხოლოდ საკუთარი გულიდანაა შესაძლებელი.

სიყვარულთა სიყვარული

შეყვარებული გრძნობისაგან მთვრალია, ყოველ წუთს მზადაა სიგიჟე ჩაიდინოს, მისი ქცევა მოულოდნელი და ალოგიკურია. ეს იმიტომ, რომ სიყვარულს უდიდესი ძალმოსილება აქვს, რადგან თვით არის ღმერთი. მისი ბინაც და გასაღებიც ჩვენი გულის სიღრმეშია, და თუ არ შემოვა მასში, ბინა ცარიელი რჩება.

როგორ ჭარბადაც არ უნდა დავიკმაყოფილოთ ვნებები, ლამის გულის არევამდე, სული მაინც დაუწყრულებელი რჩება. მე მინახავს ვენეცია და კაპრი, დავტკბარვარ მათი მშვენიერებით, მაგრამ ჩემს სულს მაინც რაღაც აკლდა. დღეს ყველა ჩემი მოგონება ისევე არარეალურია, როგორც საფოსტო ბარათებზე აღბეჭდილი პეიზაჟები. ყველაფერი, რაც ვნახე, თითქოს არც მინახავს.

ყოველი სიხარულის უკან გლოვა და სიდუხჭირეა მიმალული. ყოველი ქმნილება და მისი სილამაზე დადაღულია წუხილით, სიმწრითა და ცრემლით. როგორც მოციქული პავლე წერს, ეს კოსმიური გლოვაა, მაგრამ თუ ადამიანის გული ღვთისთვის გაიხსნება, მისი მეშვეობით სხვა ქმნილებებიც თავისუფლდებიან მეტაფიზიკური აგონიისგან.

ადამიანი იღლება მოგზაურობით, არდედეგებითა და შვებულებებით, მაგრამ არასოდეს – ღმერთთან ურთიერთობით. ბერებს არ სჭირდებათ შვებულება, რადგან მთელი მათი ცხოვრე-

ბა ჩიტებისა და ციყვების ცხოვრებასავით ლაღი და თავისუფლია, განუწყვეტელი დასვენებაა ღმერთში. მათთვის საკვების მოპოვება და ან საცხოვრისის შენებაც მშვიდი თამაშია. განა ფოლადის ან ნავთობის ნებისმიერი მაგნატი უზარმაზარ საფასურს არ გაიღებდა, მთელ თავის „იმპერიას“ არ გაცვლიდა ციყვის თავისუფლებასა და სიმშვიდეში? ბერებმა ამ ბედნიერების მოპოვებას მთელი თავიანთი ცხოვრება შესწირეს და მათ მსგავსად, ყველა, ვინც კი ერთხელ მაინც იგემებს ნამდვილ სიმშვიდეს, ნებისმიერ ფასად ცდილობს, შეინარჩუნოს იგი. ასეთი მშვიდობისკენ მივისწრაფით ყველა.

ამ წუთას ბარებსა თუ კლუბებში რამდენი ქალი და კაცი ფლირტაობს და ვერც კი ხვდებიან, რომ ღვთის მიერ მისტიკური ცხოვრებისთვის არიან მოწოდებულნი. სრულიად შესაძლებელია, რომ ღმერთმა სწორედ მათ მიანიჭა ლოცვის უმაღლესი ნიჭი, ისინი კი, სამწუხაროდ, ამაზე არ ფიქრობენ და შეიძლება, ვერც ვერასოდეს მიხვდნენ.

ზოგჯერ ადამიანები თავგამოდებით ეჭიდებიან გრძნობათა სიხარულს. ისინი ღმერთს ეძებენ, მაგრამ სხვაგან, სხვა რამეში: ფულში, ალკოჰოლსა და გართობაში. ეს მცდარი მცდელობა სასოწარკვეთილების საფუძველი ხდება. ასე ძალაუნებურად მიდიან დანაშაულამდე, ჭკუიდან შეშლამდე ან თვითმკვლელობამდე. ისინი ბედნიერებას ეძებენ სასაცილო და პრიმიტიულ ნივთებში და მთელ თავიანთ ცხოვრებისეულ ენერგიას ტყუილუბრალოდ ხარჯავენ, რომელიც, სინამდვილეში, ღმერთში სულიერი ნეტარების მოსაპოვებლად არის განსაზღვრული. ეს დასანანია, რადგან, ზუსტად ის ადამიანები, რომლებიც თავგამოდებით ესწრაფვიან გრძნობიერ სიყვარულს, რომანტიკასა და სიამოვნებას, დანარჩენებზე მეტად განიცდიან ღვთის სიყვარულის უკმარისობას. ყველა მათი თავგადასავალი სინამდვილეში სწორედ ღვთის ძიებაა, მაგრამ უშედეგო.

ღმერთმა, თავად სიყვარულმა, სიყვარულისთვის შეგვქმნა! ადამიანთა ყველაზე დიდ ტანჯვასა და აუტანელ ტკივილს საწყისი სიყვარულში აქვს. არსებობს მრავალგვარი დაუკმაყოფილებელი, აკრძალული თუ შეუძლებელი, დაკარგული თუ ცალმხრივი, უპასუხო სიყვარული. ათასები ელოდებიან მას და ის არასდროს მოდის, ბევრი კი სიყვარულისგან იტანჯება. ყველა კიდემდე სავსე ვიქნებოდით კმაყოფილებით, გამოვავლენდით სინაზისა და თავდადების განუსაზღვრელ შესაძლებლობებს, რომ მთელი ძალისხმევით ვუძღვნიდეთ თავს ჩვენში ღვთისგან ჩადებულ მთავარ, ერთადერთ და განუმეორებელ სიყვარულს – ღვთიურ სიყვარულს, რომელიც ჩვენს გულში ფეთქავს და სუნთქავს. ვერც კი წარმოვიდგენთ, როგორ გადასხვაფერდებოდა სამყარო, ერთხელ მაინც რომ ვეცდებოდეთ საკუთარ გულში ამ სიყვარულთა სიყვარულის მოძებნას.

უსასრულო გატაცება

ღმერთი სიყვარულია და რადგანაც ადამიანი ღვთის სახებად და ხატებად არის შექმნილი, ისიც სხვა არაფერია, თუ არა სიყვარული. ღმერთი უსაზღვროდ უბრალო არსებაა, განუზომელი სიკეთე, სიბრძნე, ჭეშმარიტება, სილამაზე და სიმართლე, მაგრამ ყველაზე ზუსტი იქნება თუ ვიტყვით, რომ ის უსასრულოდ სამართლიანი, ლამაზი და ჭეშმარიტი სიყვარულია, რადგანაც სიყვარულის გარდა სხვა სუბსტანციად ყოფნა არ ძალუძს. როცა ადამიანი თავის არსებობას აცნობიერებს, ის მაშინ ვეხვდება, რომ მისი ცხოვრება სხვა არაფერია, თუ არა სიყვარულის წყურვილი, მისი შიმშილი, ჟინი და მისკენ განუმეორებელი და უსასრულო სწრაფვა. ადამიანის არსებობის ერთადერთი ჭეშმარიტი გამართლება არის სიყვარული. ჩვენ ონტოლოგიურად სიყვარული ვართ. ღვთისა და ჩვენი სიყვარული ერთი და იგივეა. ერთი უსასრულო დაუოკებელი წყურვილია და თუნდაც განუწყვეტლივ ვსვათ, ვერ დავკმაყოფილდებით.

თვით ღვთისგან დაშორებული ადამიანების გონებაში არსებობს ამ წყურვილის ხსოვნა. ჩვენ აკვარიუმში გამომწყვდეულ თევზებს ვგავართ, რომლებიც ზღვის მოგონებას დაატარებენ და აკვარიუმშიც იმავე მოძრაობებს აკეთებენ, რასაც ოკეანეში.

ღვთის გული არ დაწყნარდება მანამ, სანამ მთელი ქმნილება, როგორც უძღები შვილი, მისკენ არ მობრუნდება და მას არ ჩაეხუტება. ჩვენ ვართ მისი უსასრულო მონატრება, ხოლო სული წმიდა ამ მონატრების კვნესაა. ჩვენი და მამის სიყვარულის გამო სიტყვა განკაცდა, რათა ღმერთს მილიარდობით სულსა და სიცოცხლეში ღმერთი – მამა ჰყვარებოდა.

ჩვენ ვართ სიყვარულის მაღალი ძაბვის გადამცემი ჯაჭვი. მოყვასი უფრო მეტად უნდა გვიყვარდეს, ვიდრე საკუთარი თავი, რადგან ეგოიზმი, როგორც საიზოლაციო მასალა, ღვთიური სიყვარულის დინებას აჩერებს. ადამიანი სიყვარულმა შექმნა სიყვარულისთვის. თუ მთლიანად მიუძღვნით თავს მას, უბრალოდ, ხელს არ შევუშლით, რომ მისმა ნაკადმა ჩვენს გულზე გაიაროს, მაშინ სიყვარულის გამტარებად ვიქცევით.

ყოველი არსი მხოლოდ ღმერთთან კავშირში აგრძელებს და სრულყოფს თავის არსებობას, მაგრამ არაგონიერი ქმნილების შემთხვევაში ეს კავშირი არასრულყოფილი და შეზღუდულია. მთელს სამყაროში ადამიანია ერთადერთი, რომელსაც სიყვარული შეუძლია. ყოველი ადამიანი სიყვარულის დაულეველი მარაგით იბადება. ადამიანი არ არის სარტრის „უაზრო ჟინი“, არამედ უსასრულო გატაცებაა, რომლის აზრიც ღმერთია.

ეგოიზმი

ღმერთს ვუყვარვართ არა კოლექტიურად, არამედ პერსონალურად. ჩვენ გამო გამოირიცხა არა ათასი და მილიონი, არამედ უსასრულო მისი შესაძლებლობა და მარადიული არყოფნისთვის გაიწირა. უთვალავიდან ჩვენ შეგვარჩია უფალმა. ჩვენ მისი განსაკუთრებული რჩეულები ვართ და რომ ვარსებობთ, ეს უკვე მისი უსაზღვრო სიყვარულის ყველაზე დამაჯერებელი დადასტურებაა.

ყოველი ჩვენგანი განუმეორებელი და შეუცვლელია, როგორც ეგზემპლარი კრებულში. ღმერთი ნამდვილი ხელოვანია, რომელიც არც იმეორებს და არც სხვებისგან იწერს. არც ერთი ფოთოლი თუ თითის ანაბეჭდი, არც ერთი სული არ ჰგავს მეორეს. თუ სული დაიღუპება, ღმერთი მის მსგავსს აღარასოდეს შექმნის და მისი დაკარგვა უსასრულო ტკივილად იქცევა. ღმერთს მარადიულად ვუყვარდით და ვეყვარებით უფრო მეტად, ვიდრე ჩვენ ჩვენივე თავი.

რა აუტანელი ტკივილი ეუფლება მას, როცა იძულებული ხდება დაგვშორდეს! ღმერთი უარყოფილი სიყვარულია. ეს არის ღვთის არსებობის დიდი ტრაგიზმი. ჩვენ მას ხშირად ტირანად წარმოვიდგენთ, რომელიც თითქოს ჩვენგან რამეს ითხოვს. სინამდვილეში მხოლოდ ვედრებად ქცეული სიყვარულია. უსასრულო სამყაროს შემოქმედი ჩვენს სიყვარულს მათხოვრობს. ღმერთს ისე ვუყვარვართ, თითქოს სამყაროში სულ ორი სული არსებობდეს: შენ და ის.

ღმერთს ჩვენ არ ვჭირდებით, მარადისობაში ის ადამიანის გარეშე არსებობდა, მაგრამ ისე ძლიერ ვუყვარვართ, უჩვენოდ ერთი წამიც ვერ ძლებს და თითქოს მარად უბედური რჩება, თითქოს ჩვენ გარდა მთელი სამყარო დაავიწყდა. მონასავით იმცირებს თავს და დაჟინებით გვთხოვს სიყვარულს. ერთი წმიდანი ამბობს: „ღმერთს ისე უყვარს სული, თითქოს სული იყოს ღმერთი და თვითონ კი მონა“.

უფალო, შენ ხომ განუწყვეტლივ ფიქრობ ჩემზე, როგორც განშორებული შეყვარებული საყვარელზე. გენატრებოდი, მაშინაც კი, როცა დაბადებულიც კი არ ვიყავი, მე მელოდი მთელი მარადისობა!

ჩვენი სიცოცხლე სიყვარულში წვაა. გაჩენიდან თან გვდევს და გულში ბობოქრობს ღვთის უსაშველო, უსასრულო მონატრება. ღმერთი სიყვარულია და ჩვენც, მის სახებად შექმნილი ადამიანებიც. როგორც საკმეველი ნაკვერჩხლისთვის, ყოველი ჩვენი უჯრედი სიყვარულისთვისაა შექმნილი. მთელი ჩვენი არსებობა ღვთიური სიყვარულის კოცონზე დასხმული ნავთია.

ერთადერთი, რაც ჩვენ ღმერთს გვაშორებს, არის ეგოიზმი – საკუთარი თავის სიყვარული. ამიტომ ღმერთთან კონტაქტის აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენი ეგო კვდება. როგორც კი იგი ჩვენი გულიდან და გონებიდან გაქრება, მის ადგილს იმავე წამს ღმერთი დაიკავებს. ღმერთი ან მე!

ღმერთს უპირობოდ ვუყვარვართ და მისი წყალობა ჩვენზე განუსაზღვრელია: საკმარისია გულით შევძახოთ: „გიხაროდენ, მარიამ!..“ – და ღვთის კაცად შობის აქტი განმეორდება. საკმარისია რწმენით ვეზიაროთ, რომ ქრისტეს ხორცად და სისხლად ქცეულმა პურმა და ღვინომ ჩვენც ქრისტედ გვაქციოს. მაგრამ თუ გული და გონება ვერ გავითავისუფლეთ ეგოიზმის ტირანიისაგან, ვერ შევინარჩუნებთ ღვთის ნაჩუქარ უსაზღვრო წყალობას.

ღმერთთან მისტიკურ გაერთიანებას წმინდანები აღიქვამენ როგორც სინერგიას, ღვთისა

და სულის ურთიერთჩაყლაპვას. სიყვარული გამუდმებით ცდილობს ორის ერთად გადაქცევას. მართალია, ეს ამქვეყნად სრულყოფილად შეუძლებელია, მაგრამ ღმერთს ძალუძს სრულიად შეუერთდეს ეგოიზმისგან განთავისუფლებულ სულს ისე, რომ ცალ-ცალკე არსებობა მეტი ვეღარ შეძლონ.

სამყაროს ცენტრი

ღმერთი უსასრულო ბედნიერებაა, რადგან ის სიყვარულია. განა არსებობს უფრო დიდი ბედნიერება, ვიდრე გიყვარდეს და უყვარდე? ყოველი სიცოცხლე, თითოეული ნივთი და საგანი სიყვარულით არის შექმნილი და სიყვარულის გამოვლინება-დამტკიცებაა. ღმერთს არაფერი სძულს, არც შექმნიდა, რომ სძულებოდა. ის ყოველ საგანს უფრთხილდება, ეამბორება.

პიკასო მართალი იყო, როცა ამბობდა, რომ ადამიანები არ ვფიქრობთ, რა არის ხე ან ფანჯარა? ყოველი ქმნილება განუმეორებელი და იდუმალია (პიკასიანურია) და ეს მხოლოდ იმიტომ დაგვავიწყდა, რომ მათ ძალიან შევეჩვიეთ, მათი არსი ზედაპირულად გვესმის. მაინც რა არის ყოველი მატერიალური ქმნილების არსი? ეს ნივთად და საგნად ქცეული ღვთის სიყვარულია.

მთელი სამყარო თავის შემოქმედს ამხელს. ღვთის ყოველი ქმნილება ჩვენთვის დაწერილი სახარებაა. როცა წიგნს ვკითხულობ, მისი მეშვეობით ღმერთი მესაუბრება; როცა ლამაზი პეიზაჟით ვტკბები, ვგრძნობ, რომ ის ჩემს გასახარად შექმნა უფალმა; ნახატი, რომელიც მაჯადოებს თავისი სილამაზით, მხატვარს ღმერთმა შთააგონა; ყველაფერი, რაც მე მსიამოვნებს, ღმერთმა მაჩუქა სიყვარულით, რომ გავიხარო. ვიცი, მან თვით ტკივილიც კი სიყვარულით მაჩუქა.

ღვთის სიყვარულმა შექმნა სამყარო და შესაქმე ამ წუთსაც გრძელდება, რამეთუ ევოლუციის პროცესიც მისი სიყვარულის გამოვლინებაა. თავისი სიტყვით – „ინაყოფიერეთ და იმრავლეთ“ – მან განვითარების კანონი აკურთხა.

სამყარო არ ჰგავს იმ ფერწერულ ტილოს, რომელიც საუკუნეების წინ დაიწერა და ახლა მუზეუმში ხელშეუხებელად ინახება, არამედ უფრო ხელოვანის სახელოსნოში გამოფენილ, დაუმთავრებელ ნახატს ჰგავს.

როგორც მოციქულმა უთხრა არეოპაგზე ათენელებს, ღმერთი არ არის მარმარილოს ქანდაკება, არამედ ცოცხალი არსებაა, რომელშიც „ჩვენ ვმოძრაობთ, ვცოცხლობთ და ვარსებობთ“. მისი შექმნილია არეოპაგში მდგარი მარმარილოც და ის ხელიც, რომელმაც მისგან ქანდაკება გამოძერწა, თვითონაა ის მუზა, რომელმაც ხელს ქანდაკება შეაქმნევინა.

ჩვენ გვგონია, თითქოს სამყაროს ცენტრშია ჩვენი „მე“, ამიტომაც ჩვენი ხედვა ისევე მცდარია, როგორც სამყაროს კოპერნიკისეული მოდელი. ჩვენ მხოლოდ მაშინ გვაინტერესებს გარემომცველი სინამდვილე, როცა პირადი ინტერესები გვამოძრავებს, მაგრამ ბედნიერები მხოლოდ მაშინ ვართ, როცა ჩვენი სამყაროს ცენტრი ღმერთია. მხოლოდ მაშინ ვხარობთ ცოცხალი თუ არაცოცხალი ქმნილებით, სიხარულით ვიღებთ გარემომცველ სამყაროს ისეთს, როგორიც არის, და თვინიერად ვესალმებით ღვთის ნებით დაშვებულ ყოველ ფაქტს, მიუხედავად იმისა, შეესაბამება ის ჩვენს გეგმებს თუ არა.

ჩვენი ეგოისტური სიყვარული სინამდვილეში ანტისიყვარულია, რადგან სიყვარული საკუთარი პერსონის სხვისთვის მიძღვნაა, სხვებისთვის თავდადებაა. სხვანაირად იგი გაუკუღმართებულია, საკუთარი თავისკენ არის მიმართული და ამიტომაც სიძულვილია.

გვიყვარდეს მოყვასი ჩვენი, როგორც საკუთარი თავი, მძიმე და თითქმის შეუსრულებელ ამოცანად გვეჩვენება, მაგრამ სწორედ ეს არის ადამიანის ღვთიური მდგომარეობა სამოთხეში, სწორედ ეს იყო იმთავითვე მისი ბუნებრივი არსი. ადამიანები ორგანულად ერთიან არსებებად შეიქმნა, მიუხედავად მათი სიმრავლისა: „და შექმნა ღმერთმა ადამიანი თავის ხატად“ (დაბ. 1, 27). ჩვენ ადამიანები ღვთის ერთი მთლიანი სხეული ვართ, მილიარდობით პიროვნების ორგანული გაერთიანება, ამიტომ ეგოიზმი ისევე არაბუნებრივი გამოვლინებაა, როგორც ორგანიზმის ერთი უჯრედის ორიენტაცია საკუთარ თავზე, საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ, სხვა უჯრედებთან ომის გამოცხადებით. ეს ხომ მთელი სხეულის ორგანული ფუნქციების ნორმალური მუშაობის დარღვევაა, ეს არის კიბო. ეგოიზმიც ერთიანი, მისტიკური, კოსმიური სხეულის

კიბოა. ან, როგორც მოციქული პავლე წერს: „თვალი ვერ ეტყვის ხელს, ვერც თავი ფეხებს: არ მჭირდებიო“ (1 კორინთ. 12, 21).

ბუნება

ბუნება ღვთის სიყვარულისა და ქველმოქმედების სხვადასხვა მატერიალური ფორმით გამოვლინებაა, რომელიც ყოველი მხრიდან გვეხვევა და გვეფერება. მთლიანად ვართ მისი სიყვარულითა და წყალობით გაჯერებულნი, მასში ვცურავთ, როგორც თევზი წყალში. უფალი ძალიან ახლოს არის ჩვენთან. ის არის წყალი, რომელსაც ვსვამთ, ჰაერი, რომელსაც ვსუნთქავთ და სინათლე, რომელსაც ვხედავთ. თავადაც მისი უსაზღვრო წყალობა ვართ, მაგრამ როგორც ვერ ვგრძნობთ ატმოსფეროს წნევის ზემოქმედებას ჩვენზე, ამის შემჩნევა და შეგრძნებაც არ ძალგვიძს, რადგან ღრმად ხედვის უნარი დავკარგეთ. ღვთის სიყვარულის აღქმა შეუძლია მისტიკოსს სულიერი გამოცდილების დაგროვების პროცესში.

ბუნება ღვთის გრძნობადი, მატერიალიზებული სიყვარულია. უფლის წინასწარ განგებულება საგრძნობია ყველა ხილულ საგანში. მაგრამ იმის ნაცვლად, ერთხელ მაინც გულში ჩავიხედოთ და დავფიქრდეთ მასზე, ვინც მუდამ თავს გვევლება, ჩვენს თავზე თითოეული ღერი თმა და უჯრედი აქვს დათვლილი, პირადი საზრუნავით დახუნძლულნი მუდამ სადღაც მივიჩქარით.

რატომ დავდივართ ასეთი სერიოზული სახეებით ქუჩაში, ქალაქიდან ქალაქში, თითქოს ჩვენს პრობლემებთან მარტოდმარტო დარჩენილები მტრებით ვიყოთ გარემოცულნი? რატომ ვზრუნავთ განუწყვეტლივ საჭმელსა და სასმელზე, რატომ ვართ სულ ტანსაცმლის შერჩევაში? შეხედეთ ფრინველთ ცაში და ყვავილებს მინდორში; ისინი არც თესავენ და არც იმკიან, მათ არა აქვთ ბეღლები, არც ბანკომატები, არც დაზღვევის პოლისები. უფალი თავისი განგებულებით უკვე 4 მილიარდ წელიწადზე მეტია იცავს დედამიწას და 100 მილიონი წელია ფრინველებსა და მწერებზე ზრუნავს, შენ კი თავს უმწეოდ გრძნობ და გგონია, რომ ამქვეყნად მარტო ხარ, არავის ახსოვხარ! გავიწყდება, რომ არის ერთი არსება, რომელიც ამ წუთსაც და განუწყვეტლივ, შენი ქსოვილის ყოველ უჯრედზე ზრუნავს; შენი სისხლის მიმოქცევას არეგულირებს და შენი ჯირკვლების ფუნქციონირებას აკონტროლებს. ნუთუ მართლა გჯერა, რომ შენს ყოველდღიურ ცხოვრებაში წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტა მის გარეშე შეგიძლია?

მას ეს მის ხევში ფურირემი ხარირემს როგორ უხმობს და მიჰყავს მასთან; ის ზრუნავს გუგულზე, რომელიც საკვებს ეძებს, მიუძღვის წინ გადამფრენი ფრინველების გუნდს; როცა მელასა და მაჩვს თავიანთ ბუნაგებში სძინავთ, ის სდარაჯობს მათ. მისი წყალობით საჭირო დროს ბაყაყი, ბუზი და ყვავი აუცილებლად იპოვიან საკვებს.

„ყველა მათგანი შენგან მოელის საზრდოს თავთავის დროზე. მისცემ მათ – აიღებენ, გახსნი შენს ხელს – გაძღებიან სიკეთით“ (ფს. 103, 27-28).

ადამიანური სურვილები

ყოველი ადამიანი დაკოდილი გულით და დაუოკებელი წყურვილით იბადება. „ჩემს სულს, ვითარცა მიწას გამოფიტულს, მოსწყურდი შენ“ (ფსალ. 142, 8). ფიზიოლოგიური შიმშილი და წყურვილი შემოქმედმა ღვთის წყურვილისა და შიმშილის მატერიალურ სიმბოლოდ შექმნა.

ღვთის წყურვილი, როგორც შინაგანი ფორიაქი, ადამიანებს სახეზე აწერიათ, სადაც უნდა იმყოფებოდნენ: ქუჩაში, მინდორში, კინოსა თუ ბარში. მთელი კაცობრიობა დაატარებს უსასრულო სურვილთა გროვას: ზოგს ერთი ჭიქა სასმელი ენატრება, ზოგს ნამცხვრის ნაჭერი, ერთი მზერა, ერთი სიტყვა, ერთი ამბორი, ერთი წიგნი, ერთი მგზავრობა... მეტი და კიდევ მეტი ნატვრა. ყოველ სახეს ატყვია სურვილების ანაბეჭდი. მაგრამ როგორც კი მათი მონობისაგან გავთავისუფლდებით, ისეთი გრძნობა დაგვეუფლება, თითქოს ნაცისტურ საკონცენტრაციო ბანაკს ან ციმბირის კატორღას დავაღწიეთ თავი.

ადამიანი იმედოვნებს, თუ ცოტათი მეტი ექნება, ეშველება, მაგრამ როგორც კი მოიპოვებს ნანატრს, კიდევ მეტი უნდა. ის ფიქრობს, თუ საკუთარი სახლი და მანქანა ექნება, კარგი მეუღ-

ლე და დამჯერი შვილები ეყოლება, ამით დამშვიდდება. მაგრამ ამის მიღწევის შემდეგაც ახალი პრობლემებით გონებაარეული გადის სახლიდან. ის სულ ახალ და ახალ გეგმებს სახავს და იმავე მონდომებით ცდილობს მათ შესრულებას. იმავე სიხარბით ყიდულობს გაზეთს, რომელსაც მერე განზე მოისვრის და ისევ აფორიაქებული რჩება. ეს ერთგვარი ავადმყოფობა აიძულებს მეტი და მეტი ჭამოს, თუმცა ვერასოდეს ძღება.

პლატონმა თქვა, რომ ადამიანი უძირო ჭურჭელს ჰგავს, რომლის ავსება შეუძლებელია. რამდენადაც არ უნდა დავიკმაყოფილოთ გრძნობები, სული მაინც დაურწყულებელი რჩება. მიწიერი სიხარული სხეულის პერიფერიაზეა მუდამ და ვერასოდეს აღწევს სულის სიღრმემდე. უფრო მეტიც, ისინი კიდეც ამძაფრებენ სულის წყურვილს, რადგან აშკარა ხდება, რომ სიხარულის თასი ჩვენს ტუჩებსაც კი არ შეჰხებია. თითქოს ვღებულობთ საკვებს, რომელსაც დანაყრება არ შეუძლია და ვსვამთ სასმელს, რომელსაც დათრობა არ შეუძლია. კუჭი ივსება, მაგრამ შინაგანი შიმშილი ამით არ ქრება, პირიქით, უფრო მძაფრდება.

ჭა ღრმაა, თუ მასში ჩაგდებული ქვის ექო აღარ გვესმის. ასევე ვრწმუნდებით, რა უსასრულოა ჩვენი სული, როცა ვხედავთ, როგორ იძირება მასში ჩვენი აურაცხელი ოცნება და სურვილი და არავითარი უკუძახილი არ გვესმის. სული უსასრულოა და მისი შევსება შეუძლებელია სხვა რამით, გარდა ღმერთისა.

მონასტერში ხშირად ნახავთ ადამიანს, რომელიც მშვიდად მიუყვება გზას, ლაღად იღიმის და ზრუნვისგან შუბლი არა აქვს შეჭმუხნული. თუ ბერმა მიზანმიმართული მოსაგრეობითა და ღვთის შემწეობით მიაღწია მიწიერი ვნებებისგან გათავისუფლებას, ის თავად სიმშვიდე და კმაყოფილებაა.

ზუსტად ასევე მოქმედებენ ცხოველებიც, ბერებივით დინჯად მიუყვებიან ყოველდღიურ ცხოვრებას და არასოდეს ავლენენ მშფოთვარებას და უკმაყოფილებას. მაგრამ თუ ცხოველები ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების გარდა არაფერს საჭიროებენ, ადამიანები არასოდეს შეივსებიან მხოლოდ მიწიერი კმაყოფილებით, რადგან მათთვის შემოქმედმა ძირითადად სულიერი საკვები აკურთხა.

ცხოველები არ გრძნობენ უსასრულობის წყურვილს, არასოდეს არიან საკუთარი ცხოვრებით გაწბილებულნი და არასოდეს იკლავენ თავს. ამიტომ დედამიწა არის მათი ზეცა. ისინი ამქვეყნიური ცხოვრებისთვის შექმნა უფალმა!

როგორც თევზს ეკურთხა წყალში ცურვა, ხოლო ფრინველს ფრენა, ჩვენი არსებობა ნაკურთხია მხოლოდ ღმერთის სიყვარულისთვის, იმისთვის, რომ ის მოვიპოვოთ გულში და მისით დავტკბეთ. მიწიერი სიამოვნებანი კი ზეციური ნეტარების მკრთალ ანარეკლს წარმოადგენენ და თუ ჩვენ მხოლოდ მათზე ვართ მანიაკალურად ორიენტირებულნი, ცხოველებს ვემსგავსებით. მაგრამ თუ ჩვენი მთავარი მიზანი გულში უფლის აღმოჩენაა, მაშინ ირგვლივ ყველაფერი ამაღლებულ, ღვთიურ შეფერილობას იძენს და არა აქვს ჩვენზე ტირანული ძალაუფლება. ღმერთში გაცისკროვნებული ადამიანისათვის მიწიერი სიამოვნება აღიქმება როგორც ღვთის საჩუქარი, ნუგეში და ის მასში კმაყოფილებისა და მადლიერების გრძნობას აღძრავს. ასეთი ადამიანისთვის ზეცა უკვე აქ, ამ მიწაზე იწყება. ნეტარმა ავგუსტინემ თქვა: „გიყვარდეს და აკეთე, რაც გინდა“. დიახ, ღვთის სიყვარულით აღსავსე ადამიანი ყოველი მიწიერის გონიერი მომხმარებელია და უფალი ხარობს ასეთი ადამიანის ბედნიერებით! სამოთხე არამარტო მოწამეთა, ღირსთა და მართალთა სამშობლოა, არამედ აგრეთვე კეთილგონიერთა.

ღვთის გარეშე ნებისმიერი სიამოვნება შენელებული შხამია, ღმერთში კი ყველაფერი კურთხეულია! ამიტომ მხოლოდ ღმერთით ვართ ბედნიერი, მიუხედავად იმისა, რომ არასოდეს გვინახავს. ჩვენ გადამფრენ ფრინველებს ვგავართ, რომლებიც უცხო ადგილას დაბადებულნი, რაღაც იდუმალ აღელვებას გრძნობენ, როცა ზამთარი ახლოვდება.

როცა სისხლის ყივილი იწყება და უცნობი სამშობლოს მონატრება აიძულებთ დაიწყონ შორეული გადაფრენა, თუმცა, ზუსტად არც კი იციან, სად მიფრინავენ.

„მომიგებს საყვარელი და მეტყვის: ადექი, სატრფოვ ჩემო, მშვენიერო ჩემო, და წამოდი!“ (ქებათ აქება 2, 10).

ერთადერთი მონატრება

ადამიანის სული გაჩენის დღიდანვე შეყვარებულია. მას უყვარს ის, ვინც არასოდეს უნახავს, მაგრამ მისი ხატება მთელ სამყაროში ირეკლება, ამიტომ დაბადებიდან ესწრაფვის ირგვლივ ყველა ნივთის ჩახუტებას. პატარა ბავშვი ცდილობს მოიხელთოს, რასაც დაინახავს, რათა სასწრაფოდ პირში ჩაიტენოს. მას უნდა ყველაფერი მოსინჯოს და გადაყლაპოს. როცა ცოტათი წამოიზრდება, ის თავის სათამაშოებს ეპატრონება და მერე მთელი ცხოვრება ცდილობს ყველაფრის მითვისებას, მაგრამ ვერასოდეს დაკმაყოფილდება, რადგან, რასაც ის ებღაუჭება, ღმერთი არ არის. ამიტომ ჯობდა, ყველა ნივთი განზე გადაედო და მხოლოდ ღმერთი ეძებნა. ღმერთი იქ არის, სადაც ნივთები წყვეტენ არსებობას, მისი პოვნა მხოლოდ სიცარიელეში, არაფერშია შესაძლებელი.

ყველაფრის ფლობა შეუძლებელია, ამიტომაც არასოდეს ვიქნებით სავსებით კმაყოფილნი. „სამყაროვ, რა დასანანია, რომ შეუძლებელია, მთლიანად მოგეხვიო!“ – კვნესის ჩახუტებას მონატრებული პოეტი. და სწორედ ეს არის ადამიანის გულის მღელვარების მთავარი მიზეზი: უნდა მთელ სამყაროს ფლობდეს, მაგრამ არ ძალუძს. ალექსანდრე დიდი ტიროდა იმის გამო, რომ ვარსკვლავთა დაპყრობა არ შეეძლო. ვცდილობთ შეყვარებულის სხეულის დასაკურთებას, მაგრამ მთლიანად ესეც შეუძლებელია.

ვერავინ და ვერაფერი დაგვაკმაყოფილებს სრულყოფილებით. ადამიანს მხოლოდ ღვთის ფლობა შეუძლია, სავსებით მხოლოდ ის ერთადერთი გვნებდება, ის ერთადერთი გვავსებს სრულიად. ადამიანის ხელები უსასრულობის ჩასახუტებლად შეიქმნა და სხვა არაფრისთვის.

ღმერთი თრობის წყარო და ჟინია, მაგრამ ისე, რომ თავად არც ღვინოა და არც ჟინი, თავად არის ყველა სურვილი და სიხარული უსასრულო ზომით და მასთან ახლოსაც ვერ მოვა ვერც ერთი მიწიერი სიხარული და სიყვარული. მასში ყველა ადამიანის სილამაზე, ყველა ხილის სიტკბო, ყველა ღვინის ბუკეტი, ყველა მიწიერი სიყვარულის სიმწარე და სიტკბო გაერთიანებულია და ვინც ამ ზეციური შარბათის თუნდაც ერთ წვეთს მოსინჯავს, სამუდამოდ გადაირევა. ადამიანს, რომელმაც ეს ნეტარება იგემა, უკვე აღარ შეუძლია ძველი ცხოვრებით ცხოვრება, სერიოზული სახით სამსახურში სიარული და სოციუმის გაყინული კანონების მორჩილება. ის უეცრად სალოსი ხდება და ათასგვარ სისულელეს სჩადის: ან ქუჩაში გადის და მათხოვრობს, რომ ადამიანებმა დასცინონ, ან მოედნის შუაგულში დგება და ქადაგებს, ან მთელი ცხოვრება ბნელ სენაკში იკეტება, ან კეთრით დაავადებულებს კოცნის. სწორედ ეს არის ფერიცვალება და მეორედ დაბადება.

ღმერთო, ამიერიდან შენი სიყვარული ჩემი ყოფიერების ერთადერთი მიზანია, ერთადერთი ჩემი პროფესია, ერთადერთი ჩემი ხელობაა. ამიერიდან მთლიანად შენ გიძღვნი ჩემს სიცოცხლეს, რომელსაც ადრე ლამაზი ქალის სილამაზეს ვუძღვნიდი. შენ გჩუქნი ჩემს სულსა და გულს! და მე ზუსტად ვიცი, რომ შენ სიყვარულით მიპასუხებ და ჩემს წყურვილს სრულიად დააოკებ. მე ვიცი, ყველაფერს, რაც ადრე მიყვარდა, შენში ხელახლა ვიპოვი. მე შენ ისეთივე შთაგონებით მიყვარხარ, როგორც ადრე შენი ქმნილება მიყვარდა. მწყურიხარ, როგორც უდაბნოში გზააბნეულს წყაროს წყალი! მშია შენი კოსმიური სიყვარული! მენატრები, მენატრები, მენატრები!.. ყველა ჩემი ვნება მოკვდა, დამრჩა მხოლოდ შენი სიყვარული და ამიერიდან მე შენ მიყვარხარ სიყვარულთა სიყვარულით!

შეიწყალე, უფალო, ჩემი ცარიელი გული!

გულის კუნჭული

ჩვენ ვგრძნობთ, რომ გვაქვს შიგ გულში კუნჭული, რაღაც ძალიან პერსონალური კუთხე, სადაც მხოლოდ ღმერთს შეუძლია შეღწევა. თვით ყველაზე ცეცხლოვან ადამიანურ სიყვარულსაც კი არ ძალუძს ამ კუნჭულში შეღწევა. ღმერთი ჩვენი გულის კარებს უკაკუნებს, იცდის, სანამ გავუღებთ. მაგრამ უმრავლესობა ამას უგულებელყოფს, ამიტომ მათი გული ცარიელი და უსიყვარულოა. „შეხედე, მე კარებთან ვდგავარ და ვუკაკუნებ...“, – წერიაგამოცხადებაში.

ჩვენ ქვეცნობიერად გვესმის თხოვნით აღსავსე ეს ძახილი, რომელიც ნიცშეს შიშითა და

ტკივილით აღავსებდა. ეს იგივე ხმაა, რომელიც სოლომონის „ქებათა ქებაში“ გაისმის: „გამიღე კარი, დაო ჩემო, სატრფოვ ჩემო, უბიწოვ ჩემო! რადგან თავი ცვარმა ამივსო და თმები ღამის წვეთებმა“. მაგრამ საყვარელი ადგილიდან პასუხობს: „გახდილი მაქვს პერანგი და ვეღარ ჩავიცვამ, დაბანილი მაქვს ფეხები და ვეღარ დავისვრი!“

ღამის წყდიადში ჩაგვესმის ეს ტკივილნარევი ხმა და კაკუნი. ამიტომაც არის ჩვენი გული დარდით აღსავსე. ჩვენ ვეძებთ ბედნიერებას ყველგან, იმის ნაცვლად, რომ გულში მჟღერ ამ მაცოცხლებელ, შინაგან ხმას ყური მივუგდოთ. თითქოს ვიცით, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ეს, მაგრამ არ ვაკეთებთ, ალბათ იმიტომ, რომ ისიც ვიცით: მის მისაღებად ყველაფრისგან უნდა გავთავისუფლდეთ და თვით საკუთარი თავიც უნდა უარვყოთ.

ჩვენ გვძულს მარტოობა. სადაც უნდა ვიყოთ, მატარებელში, მოსაცდელ დარბაზში, გვეშინია საკუთარ თავთან მარტო დარჩენისა და სასწრაფოდ მოვუხმობთ საშველად წიგნს, გაზეთს, ან გადავეშვებით უაზრო მუსაიფში. და ეს მაშინ, როცა ჩვენი ერთადერთი ნამდვილი თანამგზავრი, ჩვენი ერთადერთი სიყვარული ჩვენი გულის კართან დგას და აკაკუნებს.

ადამიანი, მხოლოდ თავისი შემოქმედის და მისი ქმნილების სიყვარულისთვის შეიქმნა. და ყველა დრო, რომელსაც ის არ უძღვნის ამ სიყვარულს, უაზროდ გატარებული და გაფანტულია. სიყვარული არის ის ერთადერთი კანონი, რომელიც სამყაროს მართავს, რომელიც მზეს და ვარსკვლავებს ამოძრავებს. როგორც დანტე ამბობს, ის არის ურთიერთლტოლვის ძალა, რომელიც მთელ მატერიას ერთიანად კრავს. ამიტომაც მატერია, რომლისგანაც არის სამყარო შექმნილი, სიყვარულია. სამყაროს ყოველ სხეულს აქვს მიზიდულობის ძალა. დედამიწა იზიდავს სხეულებს და ეს სხეულებიც – ერთმანეთს; დედამიწა იზიდავს მთვარეს და მზე ამ ძალით იჭერს დედამიწას, მთვარესა და სხვა პლანეტებს; ასევე იზიდავენ სხვა ვარსკვლავები მზეს, დედამიწას და მთვარეს; სამყაროს ნებისმიერი ნაწილაკი – სხვა ნაწილაკებს; თვით აბსოლუტურ ვაკუუმში მყოფი ორი მატერიალური სხეული ინტენსიურად ესწრაფვის ერთმანეთს. სიყვარული ნიშნავს ერთადყოფნას და სიყვარულია ჩვენი ერთადერთი სიხარული.

ყოველი სული, რომელსაც ღმერთი ქმნის, უსაზღვროდ უყვარს. სწორედ ამიტომ ვგრძნობთ ჩვენ უსასრულო მშფოთვარებას, სანამ, ნეტარი ავგუსტინეს მსგავსად, არ მივხვდებით, თუ ვისთვის ძგერს ჩვენი გული და ვინ უყვარს მას. ღმერთია ჩვენი მარტოობის უსასრულო შინაგანი სევდა და ჩვენი უსასრულო მონატრება.

ღმერთი გვეძახის ყოფიერების იმდენად ღრმა კუნჭულიდან, რომ გვგონია, ეს ჩვენი სულის მიღმიდანაა. ღმერთი ჩვენს სულში, სინდისსა და ოცნებებზე უფრო ღრმად, ქვეცნობიერის შორეულ კუნჭულში, ჩვენი პიროვნულობის სიღრმეში ბინადრობს, იქ, სადაც ოცნებები სახლობენ, იმ იდუმალ კუთხეში, რომელიც არასოდეს ეხსნება სხვას. ღმერთს უნდა ჩვენი ოცნებების, მითებისა და სიყვარულის წყაროსთან დაიდოს ბინა. და თუკი ეს სივრცე ცარიელია, მაშინ ადამიანი აღსავსეა მშფოთვარებით, შიშითა და აგონიით. მაშინ მას ვერ უშველის ვერც ფული, ვერც ქონება და თვით მთელი ქვეყნიერების საგანძური. მისი ცარიელი გულიდან მარტოობის გამყინავი ქარი ქრის. და სანამ ასეთი გავერანებული სულის ადამიანს ღვთის ამბორი ეღირსება, ხშირად ეღვიძება ღამე და საკუთარი სულის სიცარიელისგან შეძრწუნებული უიმედოდ ტირის.

მიწიერი და ზეციური ქორწინება

„ცათა სასუფეველი ჰგავს მეფე-კაცს, რომელმაც თავის ძეს ქორწილი გადაუხადა...“ – როგორც ქრისტე ამბობს. ზეცაში არ არის ქორწინება. იქ აღარ იქნება საჭირო ქალისა და კაცის შეუღლება, გამრავლება და ახალი თაობების წარმოქმნა. მისტიკური სხეული იქ უკვე სრულყოფილი იქნება და მხოლოდ ერთი შეუღლება აღსრულდება: კრავის ქორწინება.

ცათა სასუფეველი ქორწინებაა, მაშინ როცა ჯოჯოხეთი გაწბილებული სიყვარულია. მიწიერი ქორწინება კი ზეციური შეუღლების ხატებაა, მისი პროტოტიპია.

სქესი ღვთიური სიყვარულის სიმბოლოა. სექსიც სიმბოლო და საიდუმლოებაა, სექსუალურობა საკრალურია. როგორც სიმბოლო და საკრამენტი, ის გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე ჩვენ გვგონია. ის უზენაესი რეალობის სიმბოლოა, მინიშნებაა სწორედ ღვთიური სიყვარულისა.

სოლომონის „ქებათა ქება“ თავდაპირველად დაიწერა, როგორც ადამიანური სიყვარულის

ჰიმნი, მაგრამ შემდგომ ღვთიური სიყვარულის სიმბოლოდ იქცა. ფაქტობრივად ყოველი პოეტი, რომელიც ლექსებს საყვარელ ადამიანს უძღვნის, ღმერთს უმღერის, ამიტომაც მთელი სამიჯნურო ლიტერატურა, ადამიანური სიყვარულის ყოველი გამოვლინება, ღვთიური სიყვარულის ანარეკლია.

ქორწინება იმიტომ არის ასე მიმზიდველი, სასურველი და ამაღლებული, რომ ის ღვთიური სიყვარულის ხატებაა. გიყვარდეს ღმერთი, ნიშნავს ფლობდე მას და შეეუღლო მას. საყოველთაოდ გავრცელებულია აზრი, რომ არსებობს დილემა: ან ქორწინება ან ღვთისთვის თავის მიძღვნა. ამასთან აღსანიშნავია, რომ ღვთისთვის თავის მიძღვნაც ქორწინებაა – ვისაც ღმერთი უყვარს, ქორწინდება მასზე. მართალია, ბერთა სექსუალურობა ამქვეყნად ჯვარცმულია, მაგრამ ისევ აღდგება ზეციური ქორწინების შედეგად. ბერი სიყვარულისგან გადარეულია, და იტანჯება ზეციური ქორწინების მოლოდინში. როგორც წმიდა მამები ამბობენ, ღვთიური სიყვარულიც ეროტიკულია.

სულიერი ცხოვრება სიყვარულის ნაირსახეობაა. ბერი უარს ამბობს ამქვეყნიურ სიამოვნებებსა და გრძნობებზე არა იმიტომ, რომ მას ბოროტებად თვლის, არამედ სრულიად საპირისპირო მიზეზით: სწორედ იმიტომ, რომ ისინი იმდენად კარგნი და მშვენიერნი არიან, რომ შემოქმედს გვაყვარებენ. რადგან ჩვენი შემოქმედის სილამაზის აღქმა მხოლოდ მისი ქმნილების სილამაზის ტკბობით შეგვიძლია. მისი სილამაზის გაგების სხვა გზა არ არსებობს.

ჩვენ – ბერები უარს ვამბობთ ადამიანურ სიყვარულსა და სილამაზეზე არა იმიტომ, რომ ისინი არაფრად მიგვაჩნია ან გვძულს, არამედ იმიტომ, რომ ჩვენ ზუსტად ვიცით იმ სრულყოფილების არსებობა, რის მიწიერ სიმბოლოსაც ისინი წარმოადგენენ და მასთან შესაუღლებლად ვემზადებით. ღმერთმა თავად გამოიგონა სქესიც და ამბორიც. განა ის არ არის ყველა ჟინისა და ლტოლვის შემოქმედი? სამყაროს შემოქმედი სულაც არ არის ბერწი, ის მჩქეფარე სიცოცხლე და სიყვარულია!

ღმერთი მარად ნორჩი და ახალგაზრდაა. მისი ქმნილება მუდამ ხალასია. ყოველ დილას სამყარო ახლად შექმნილივით იღვიძებს. ყოველი განთიადი არის ახალი „იქმენ ნათელი!“ და ისეთივე სიხალასე და პირველსიწმინდე აქვს, როგორც სამყაროს დასაწყიში ჰქონდა. ამიტომაც ასე ლამაზად უგალობს შემოქმედს გახარებული ბულბული და მისთვის ტკბილად ღუღუნებს მადლიერი მტრედი. ყმაწვილი ქალის უბიწოება და მომაჯადოებელი ღიმილიც ღვთისგან მოდის, რამეთუ ის არის ყველა ქალწულობის და ყველა ნაყოფიერების წყარო.

და ის არის ერთადერთი სიყვარული, რომელიც არასოდეს დაბერდება, არასოდეს იკადრებს ღალატს, არასოდეს მოკვდება. ყველა ჩვენს სურვილსა და მისწრაფებაში დაფარულია დიდი ენერგია, ვნება და ცეცხლი. და რა უზარმაზარი ძალა უნდა იფარებოდეს იმ სულში, რომელიც ყოველივე ამის ერთ სურვილად და ერთ სიყვარულად გაერთიანებას შეძლებს.

ვნება, ჟინი, ინსტინქტი და აფექტი, ადამიანის გულის ყველა მონატრება ღვთის სიყვარულის საწვავია. ფაქტობრივად, ადამიანი მთლიანად არის ფეთქებადი საწვავი. ხოლო ღვთის სიყვარული ჩვენზე ზუსტად ისევე მოქმედებს, როგორც კოცონზე ბარელი ბენზინის დასხმა.

თუ დავრწმუნდებით, რომ პარტნიორს ასევე ვუყვარვართ, მისადმი სიყვარული იზრდება. არაფერი არ აღვივებს გრძნობას ისე, როგორც პასუხი. რაც უფრო მეტს ვფიქრობთ შეყვარებულზე, უფრო და უფრო მძაფრება სიყვარული, სანამ მთლიანად ცეცხლად არ ვიქცევით.

ჩვენი სხეულის ყოველი უჯრედი, ყოფიერების ყოველი შემადგენელი ნაწილი ქორწინების მოლოდინშია, რამეთუ ქორწინებისთვის შეგვქმნა უფალმა. ის, რასაც ფროიდი „ლიბიდოს“ უწოდებდა, სასიძოს მომლოდინე გონიერ ქალწულთა ლამპრების ზეთია.

ვინც ერთხელ სიგიჟემდე შეყვარებული იყო, შეუძლია კარგად წარმოიდგინოს, თუ როგორია ღვთიური სიყვარული. ადამიანური და ღვთიური სიყვარული მსგავსია, მხოლოდ სიყვარულის საგანია სხვადასხვა.

სიყმაწვილე საუკეთესო დროა იმისთვის, რომ ადამიანმა ღმერთს მიუძღვნას თავი, რამეთუ ეს არის სიყვარულისა და ილუზიების, ქალისა და კაცის ხალასი სიყვარულის ასაკი, გაზაფხულისა და პოეზიის ხანა. ღვთისადმი თავის მიძღვნა მხოლოდ სიყვარულითაა შესაძლებელი. რაც უფრო დიდია იმის სიყვარული, რასაც ღვთის სიყვარულის გამო ვტოვებთ, მით დიდია ძღვენი, რომელსაც ღმერთს მივართმევთ. ასევე, შესაბამისად, დიდია მადლი, რომელსაც მივიღებთ. რა უნდა მიუძღვნას ღმერთს ცხოვრებისგან გაწბილებულმა ადამიანმა? უფალი ითხ-

ოვს სიყმაწვილეს, ცეცხლსა და მოშურნეობას. სწორედ იმას, რასაც ჩვენ ჩვეულებრივი ქორწინებისთვის ვინახავთ, რამეთუ მისი სიყვარული ქორწინებაა.

კავშირი ეკლესიასა და ქრისტეს შორის ქორწინებაა, მაგრამ ასევე ქორწინებაა ურთიერთობა ცალკეულ სულსა და ქრისტეს შორის, რამეთუ ყოველი სული მთელ ქრისტიანობას მოიცავს, ყოველ სულში ქრისტესთან ერთად ცხოვრობს მთელი კაცობრიობა, ისევე როგორც ქრისტეს სხეული გარდაქმნილი პურის ყოველ ნაწილაკშია. ამიტომ მარტოსული განდეგილის გამოქვაბული ერთიანი, მებრძოლი, მოშურნე და მოზეიმე ეკლესიაა. ყოველი სული, რომელიც ქრისტეს ეზიარება, მთლიანი ქრისტეა.

„ცათა სასუფეველი ჰგავს მეფე-კაცს, რომელმაც თავის ძეს ქორწილი გადაუხადა“. მაგრამ პირველწვეულები არ მოვიდნენ. ჩვენ მეორე რიგში მოწვეულები ვართ, ქუჩიდან მოსული უსინათლოები და ხეიბრები. პირველწვეულებში, ალბათ, ამა ქვეყნის ძლიერნი იგულისხმებიან: პრეზიდენტები და პრემიერ-მინისტრები, ბანკების მმართველები და კინოვარსკვლავები, ბელადები და დიდი ბოსები, ბესტსელერების ავტორები და რკინის ნებისყოფის ადამიანები, ლიდერები და ბიზნესის ვეშაპები. მათ უარი თქვეს მოწვევაზე, რადგან უფრო მნიშვნელოვანი საქმეებით იყვნენ დაკავებულნი. მათ იმდენი უპასუხო კორესპონდენცია დაუგროვდათ, რომ მოსაწვევი ბარათი მათში ვერ შეამჩნიეს, ან ზუსტად ამ დროს თავად ჰქონდათ ქორწილი.

„წვეული ბევრია, რჩეული კი – ცოტა“.

მარადიული წამი

არის მომენტი, როცა სული აბსოლუტური სიზუსტით გრძნობს ღვთის რეალურ არსებობას, როცა ეჭვის შეტანა შეუძლებელია, შეცდომა გამორიცხულია. და მაშინ ამ ენით აუწერელი ხილვით გაოგნებულსა და აცახცახებულ სულს აღმოხდება: „შენ ხარ ის, რომელმაც ცა და დედამიწა შექმენი!“ მას უნდა გაიქცეს სადმე, ამ მისტიკურ რეალობას თვალი მოსწყვიტოს, მაგრამ არ შეუძლია, სული ვერსად იმალება, რადგან ღმერთი ყველგან არის, ყველა ქმნილებაშია დავანებული: ზეცაშიც და ქვეყანაზეც და ყველა სული თავად ღმერთია.

და, აი, შეხედეთ, სწორედ ეს სული, დაბადებიდან ბედნიერებას უიმედოდ მოწყურებული, რომელიც თავისი ცხოვრების ყოველ წამს სილამაზის, ვნებისა და სიხარულის ძიებაში იყო, რომელსაც სულ მეტი და მეტი სურდა, ახლა, დაუტევნელი ბედნიერების ოკეანეში ჩაიძირა, სიამოვნებითა და შიშით აცახცახებული კვნესის: „საკმარისია! მომაშორე ეს უსაზღვრო მადლი, შემიბრალე, თუ გიყვარვარ, თორემ ვკვდები!“

სული იმ მომენტში ისეთ გამჭოლავ უსაზღვრო სიტკბოებას გრძნობს, რომ იგი უსასრულო ტკივილსა და სიმწარეში გადაეზრდება და შემდეგ ისევ უსასრულო ნეტარებაში. და ყველაფერი ეს შეიძლება სულ რამდენიმე წამს გაგრძელდეს და მთელი ცხოვრება აღარასოდეს განმეორდეს. მაგრამ სული, რომელმაც ეს წამები ერთხელ მაინც განიცადა, ამიერიდან ვერც ერთ სილამაზეს, ვერც ერთ ბედნიერებას, ვერც ერთ სიხარულს ვეღარ აღიქვამს. მისთვის სხვა ყველაფერი უაზრო ხდება, როგორც წმიდა მამები ამბობენ – „არის, და მეტი არაფერი“, ან როგორც მოციქული პავლე ამბობს: „მიმიჩნევი ეს ნაგვად“ (სკიბალა). სულს მეტი აღარაფერი ეკარება, გარდა ამ ნეტარებისა. და ამ წამიდან მისი ცხოვრება უსასრულო მონატრებად და ტანჯვად იქცევა, რამეთუ ის ამიერიდან გადარეულია იმ სიყვარულისგან, რომელიც მან წამიერად იგემა. და ის მზად არის ყველა ტანჯვა და ყველა ტკივილი აიტანოს, რომ კიდევ ერთხელ, კიდევ ერთი წამით, თუნდაც ერთი წვეთი იმ ნეტარებისა ისევ შეიგრძნოს. მეგობრობა, სიყვარული, ღვინო, მოგზაურობა და ზეიმები – ყველაფერი მისთვის უინტერესო ხდება და უკაცრიელ უდაბნოში მარტოდ დაყუდებული მოთმინებით ელოდება თავის ერთადერთ სიხარულს.

ნეტარი ასული, რომელმაც ეს უსასრულო წამები თუნდაც ერთხელ განიცადა – მან ცხოვრებისეულ ყველა მტანჯველ კითხვაზე ამომწურავი პასუხი მიიღო.

გათავისუფლება

ჩვენ ღვთის ქმნილების შეცნობას ვესწრაფვით, რომელიც მინასავით გამჭვირვალეა და ღვთის ბრწყინვალება მასში სხივივით გადის. შემოქმედის ძიებაში ვაწყდებით მას, როგორც პეპელა ფანჯრის მინას.

გარემომცველი სამყარო გვიზიდავს და არ გვესმის, რომ იგი ნამდვილი სილამაზის მხოლოდ ანარეკლია. ჭეშმარიტი სილამაზე მხოლოდ ჩვენშია. პარადოქსია, რომ რაც უფრო მეტი დაჟინებით ვეძებთ მას, მით უფრო ვშორდებით, რადგან საპირისპირო მხარეს ვეძებთ.

უფალთან კავშირი მხოლოდ მას მერე შედგება, თუ შევეცდებით ავმაღლდეთ ნებისმიერ მიწიერ ტვირთზე. არაფერი გამოვა, თუ პირიქით მოვინდომებთ: ჯერ ღმერთთან გაერთიანებას და მერე გათავისუფლებას. ღმერთი არ შეგვიერთდება, სანამ თვითონ არ მოვისურვებთ ამას. როგორც კაცს არ ძალუძს შეიყვაროს ქალი, სანამ სხვა უყვარს. მაგრამ როგორც კი სული გათავისუფლდება ყველა მიწიერი კავშირისგან, უარს იტყვის ამქვეყნიურზე, ღმერთი მეყვსეულად შემოდის მასში. არც ერთი წამით არ რჩება გული ცარიელი, რამეთუ, როგორც წმიდა მამები ამბობენ, სამყაროში არ არსებობს სიცარიელე, უფლის უსაზღვრო სიყვარული მომენტალურად ავსებს მას. სულის გათავისუფლება მასში ღვთის დავანებას ნიშნავს.

როგორც შეუძლებელია ღვინის ჩასხმა ჭურჭელში, რომელშიც სხვა სითხეა, სულში ღვთის სიყვარულის შემოჭრა შეუძლებელია, თუ ის ყველაფრისგან არ დაიცლება, რაც აქამდე ავსებდა. ამიტომ სანამ ღმერთთან ჩახუტების ბედნიერებას ვეზიარებით, უნდა გავიაროთ ტანჯვით აღსავსე გზა ყველა ადრინდელი მიდრეკილების, მისწრაფების, ჩვევისა და სიყვარულის უარყოფისა. სულის გემიდან უნდა მოვისროლოთ ჩვენი სურვილები და ოცნებები, რითაც მატერიალურ სამყაროს ვართ მიტმასნილნი, როგორც წურბელა სისხლძარღვს. მხოლოდ მაშინ მოიცლიან ჩვენი ხელები უფლის ჩასახუტებლად.

სიყვარული გამუდმებით ისწრაფვის შერწყმისკენ. ამიტომ ღმერთი, რომელსაც ჩვენი სული – მარადისობა – უყვარს, დაუყოვნებლივ, წამიერი ყოყმანის გარეშე შეუერთდება მას, როგორც კი უკანასკნელი ჯეობირი დაირღვევა. მიწიერი ბუნებისგან ჩვენი გათავისუფლების პროცესი შეიძლება წლები გაგრძელდეს და შეიძლება წამიერადაც მოხდეს. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, ღმერთი ქარიშხალივით შემოიჭრება ჩვენში და მთლიანად შეგვავსებს.

თუ მთლიანად არ გაქრა თუნდაც ოდნავი მიწიერი ლტოლვა, ან მცირე მისწრაფება მისკენ, ღმერთს არ შეუძლია ასეთ გულში დავანება, რადგან ადამიანი შინაგანი ძალებით მიწიერზე ორიენტირებული დარჩება. სულს არ შეუძლია არსებობა ჩახუტების გარეშე, ამიტომ სხვა გამოსავალი არა აქვს – ჯერ უნდა გაიაროს სრული გათავისუფლების აგონია, რომ მერე ღმერთში ჩაიძიროს. თავდაპირველად ჩვენ უნდა მოვკვდეთ! და თუ ღმერთს მთლიანად ვაჩუქებთ სულს, ისიც სრულად გადმოგვცემს თავის მაცოცხლებელ მადლს. დიახ, მსხვერპლი, რომელიც ჩვენ უნდა გავიღოთ, უზარმაზარია, მაგრამ ჯილდოც უზომოდ დიდია: ჩვენ ვცვლით პირადულ, სასრულ და შეზღუდულ სილამაზეს აბსოლუტურ, უსასრულოსა და მარადიულზე.

გზა უფლისკენ კოსმოსური ხომალდის გაფრენას ჰგავს, რომელსაც თავიდან, დედამიწის მიზიდულობის ძალის დასაძლევად, უზარმაზარი ენერგია და ძალისხმევა სჭირდება, მაგრამ როგორც კი გადალახავს გრავიტაციის საზღვრებს, ფრენა სულ უფრო და უფრო ადვილი ხდება და მალე მას იმ ვარსკვლავის მიზიდულობის ძალა გაიტაცებს, რომლისკენაც წრაფვის.

ცოდვის დიქტატურა

მთვარიან ღამეს ბაყაყებისა და ჭრიჭინების გუნდის სიმღერას, მამლის ყივილს, ძროხის ბღავილსა და ძაღლის ყეფას, ცხოველების ხმასა და ბუნების ყველა იდუმალ ტონს, იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც ბერთა გალობას. ეს სხვა ენებზე აჟღერებული ფსალმუნებია, ესეც ლოცვაა. ჩიტები გალობით უფალს სთხოვენ პურს არსობისას, ევედრებიან, რომ იყოს ნება მისი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა და ადიდებენ მის სახელს. ყოველი ცხოველი და ფრინველი თავისებურად ლოცულობს „მამაო ჩვენოს“.

ისევე, როგორც ვარსკვლავებით მოჭედილი ცა თავისი ბრწყინვალებით ღვთის სადიდებე-

ლია, ხელოვნების ყოველი ნიმუში ასევე ლოცვაა. და სულაც არ არის აუცილებელი ის რელიგიური შინაარსის იყოს, რამეთუ ხელოვნება თავისი არსით რელიგიურია.

ქრისტიანისთვის არ არსებობს არაფერი უბრალო და მეორეხარიხოვანი: არც ვნებიანი სიყვარულია უმნიშვნელო და არც ადამიანის შიშველი სხეული, რამეთუ ყველაფერი ღვთისგან შეიქმნა. მისი ყოველი ქმნილება წმიდაა, მისი სიწმიდე ყველა მის ქმნილებაშია განფენილი, ღორის ულამაზო დინგშიც კი.

ადამიანთა ცოდვების გარდა ბუნებაში ყველაფერი თანაბრად წმიდაა, როგორც ტუბერკულოზით დაავადებულის ამონახველი, ისე კარიბის კუნძულების ანკარა წყლები. ჭიაყელა ისევე უნაკლოა, როგორც თეთრი გედი. პეიზაჟი მშვენიერია, რადგან სიხარბითა და შურით არ არის გასვრილი, როგორც ცოდვილის გული. ცხოველიც წმიდაა, რამეთუ არც სიამაყე იცის და არც გარყვნილება. მთელი მატერია ხალასი და სუფთაა, რამეთუ ღვთის წმიდა ხელებმა შექმნეს. ამიტომაც კოცნიდნენ წმიდანები კეთრით დაავადებულთა ჩირქოვან წყლულებს. როცა ადამიანი განიწმინდება სიხარბის, შურის, სიამაყისა და გარყვნილებისგან, მისი სული ისეთივე უზადო ხდება, როგორც ტყე და ტბა, როგორც ჭიაყელა ან გედი.

ღვთის ფიქრი თავად ღვთაებაა, რამეთუ მის არსშია დავანებული. ცხოველი ან ხე ღვთის ფიქრის ზუსტი ხატებაა. ყოველი ქმნილება მისი სანდო ხარებაა, რომელიც, სიტყვათა თამაშის გარეშე, ზუსტად იმას გამოხატავს, რისი თქმაც ღმერთს უნდოდა. ყოველი ვარსკვლავი მის მაგივრად გვეუბნება: „მე აქა ვარ“. ყოველი ირაციონალური საგანი ღვთის აღსრულებული ნატვრაა.

სხეულიც თავისთავად წმიდაა და ცალკე ცოდვაში ვერ ჩავარდება, მხოლოდ ადამიანის თავისუფალ ნებას ხელეწიფება ღვთის სიწმინდე ტალახში ამოსვაროს. ამიტომ როცა ვცოდავთ, ღმერთს, რომელიც ყველაფერია ყველაფერში, ჩვენი ცოდვის თანამონაწილედ და, მეტიც, მსხვერპლად ვაქცევთ და ეს არის სწორედ ის, რაც ცოდვას ათვალსაჩინოვებს.

ყოველი ცოდვით ჩვენ ღმერთსაც ვაწამებთ და საკუთარ თავს ენით აუწერელ უსამართლო ტკივილს ვაყენებთ! ცოდვა არ არის თავისუფლება, არამედ მონობაა, მაგრამ თავისუფლების ნიღბით მოვლენილი. ისევე, როგორც რომელიმე დიქტატორის პროპაგანდის მანქანა ქვეშევრდომებს გამუდმებით არწმუნებს, რომ დიქტატორი ერის მამა და თავგამოდებული პატრიოტია, ჩვენში არსებული დიქტატორი – ეგოიზმი ცრუ თავისუფლებას გამუდმებით გვიმტკიცებს. ტირანი ჩვენი არსების ცენტრშია მოკალათებული. გვგონია, ჩვენი თავისუფალნი ვართ, მაგრამ სინამდვილეში ხშირად ეს მხოლოდ მონობაა. თავისუფლება არ ნიშნავს მუდამ ის ვაკეთოთ, რაც მოგვესურვება, ვერ ვამჩნევთ, რომ დიქტატორი საკუთარ არსებაში გვიზის, ჩვენს ნებიყოფას მართავს და გვაიძულებს გავაკეთოს, რაც სულაც არ გვსურს, ვტყუვდებით. ამიტომაც ღრმად ჩაფიქრების მერე სინდისი გვქენჯნის, რადგან ვხვდებით, ის გავაკეთეთ, რაც არ გვინდოდა.

და როცა ავი ვნებებისა და სურვილების ტირანიის ქვეშ მყოფი ადამიანი ქვეყანას მართავს, ხალხი ოხრავს და გმინავს, ხოლო დიქტატურის დამახასიათებელი სიხარბე, კარის ინტრიგები, სისასტიკე და სიძულვილი თანდათან მათ გადაედება და მალე ეს მანკიერებანი თავად იქცევიან მათ პრეზიდენტებად და პრემიერ-მინისტრებად.

სული

ამქვეყნად არ არსებობს ორი ზუსტად ერთნაირი ფოთოლი, მით უმეტეს, ორი იდენტური ადამიანი. ჩვენი პერსონალურობა თავად სიწმინდეა, მაგრამ ცოდვები ერთნაირ უნიფორმაში გამოწყობილ ციხის პატიმრებს გვამსგავსებს. წმიდანები კი, პირიქით, ერთმანეთისგან განსხვავებულნი და განუმეორებელნი არიან, რამეთუ სიწმინდე იმ უნიკალური პიროვნულობის სრულყოფილი აღმოჩენა-წარმოჩენაა, რომელსაც ცოდვა კარგავს და შლის.

რამდენადაც ღმერთს ვუახლოვდებით, მით უფრო ვპოულობთ საკუთარ თავს. რაც უფრო ვახერხებთ ჩვენი პიროვნების ღმერთში იდენტიფიცირებას, მით მეტად ვერკვევით მასში. ადამიანი თავისთავად ღმერთი არ არის, მაგრამ მისი ასლია. მისი ბედი ღვთის ხატად და მსგავსად ყოფნაა. და რაც უფრო ემსგავსება სული ღმერთს, მით უფრო ხვდება თავის რეალურ „შინაარსს“', რამეთუ სული უსასრულობის ანარეკლია და, შეიძლება ითქვას, თავად არის უსასრულობა.

ჩვენ არ გვიხილავს სულის სილამაზე, მაგრამ გვინახავს მკვდარი სხეული, რომელიც სულმა უკვე დატოვა. სიკვდილის ამაზრზენი აჩრდილი კარგად მიგვანიშნებს, თუ რა არის სული. ლამაზი სხეულიც შიშველი სულის მშვენიერების სიმბოლოა. ხელოვნების შედევრებიდან მათი ავტორის სული ანათებს. სიყვარულის ინტიმურობა და მეგობრობის სიწრფელე ასევე გვიადვილებს სულის საიდუმლოს ამოხსნას. მასში ღვთის სიყვარული და სილამაზე ისე ირეკლება, როგორც უსასრულოდ ლურჯი ცა მშვიდ ზღვაში.

სული არის ნათელი ღიმილი, წრფელი გრძნობა, ცეცხლოვანი სიყვარული, კანკალი, წვა, თავდავიწყება, უსაზღვრო სინაზე და მგრძნობელობა, სიცოცხლის წყურვილი და თავად სიცოცხლე. რაც უფრო ახლოსაა სული ღმერთთან, მით უფრო შეიცნობს მას, და რაც უფრო შეიცნობს, მით უფრო უყვარს, რაც უფრო უყვარს, მით უფრო ემსგავსება და კიდევ მეტად უყვარს, მთელ თავის არსებას ისევ და ისევ მას ჩუქნის, სანამ მთლად ღვთიურ სიყვარულად არ იქცევა.

სული ღმერთთან მიმართებაში პასიურია, ამიტომ მამაკაცის სულიც მდედრობითია და ქალისაც, არ ძალუძს თავის თავზე აიღოს ინიციატივა. ის ვერ ესტუმრება ღმერთს, რამეთუ არ იცის, სად არის. თავის ადგილს ვერ დატოვებს, იცდის, სანამ უფალი თავად მოვა და თუ არ მოვიდა, მარტო რჩება. მხოლოდ ღვთის სიყვარულის სევდანარევ ლოდინს ბედავს, ღმერთი შემოდის და გადის მასში და სულიც ამბორისა და მოფერების ნებას აძლევს მას.

მოხუცი ქალბატონის სული ისევე ნორჩი და ხალასია, როგორც პატარა ბავშვისა, რამეთუ სიყვარულის წყაროა და არასოდეს დაბერდება. ყმაწვილის სული ისევეა ნათლით გასხივოსნებული, როგორც ბეთჰოვენისა და დანტესი. სული სიცოცხლის საწყისია, წმიდა უბიწობაა და არაფერია, თუ არა ნათელი და სიხარული, სიტკბო და მადლი. აბსოლუტურად ყველა ადამიანს ასეთი სული აქვს და ამიტომ უყვარს ღმერთს იგი ასე თავდავიწყებით. რაოდენ გულდასაწყვეტია, როცა სული თავისთავს უღირს შეყვარებულს ჩუქნის, ჭამა-სმას, გარყვნილებასა და ფულს ემონება.

ხანდახან ზოგი ადამიანის სუფთა თვალებიდან გამოანათებს სულის სილამაზე, თითქოს გაუმტარ-უხეშ მატერიაში მზის სხივმა გაატანაო. სხეული და სული ერთიანია, სანამ სხეული ცოცხალია. სული სხეულის ჭეშმარიტებისა და სიცოცხლის წყაროა და სწორედ მისი ძალით არ არის ლეში. „თუ სული და სხეული ერთი და იგივე არ არის, მაშ, რა მიმართებაა მათ შორის? – აინტერესებს ვაითმანს და არისტოტელე ამაზე ამბობს: „სული ის სუბსტანციაა, რომელიც სხეულს ფორმას აძლევს“.

ხოლო ტერტულიანე ამტკიცებს, რომ სული ბუნებით ქრისტიანულია („nima naturaliter Cristiana“). რომელიმე წარმართს, რომ შეეძლოს გათავისუფლება აღზრდის, კულტურისა და გარემომცველი გარემოს გავლენებისგან, მაშინ ის (თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ) – სულის ბუნებიდან გამომდინარე, თავის ქვეცნობიერში, ქრისტიანული მოძღვრების ჭეშმარიტებას აღმოაჩენდა.

თუკი უხეშ მატერიაში ღვთის ანარეკლის აღმოჩენა ასე გვაცვიფრებს, რა გამაბრუებელი უნდა იყოს მისი ჭეშმარიტი ხატება – ერთარსში კონცენტრირებული მთელი მატერიის სილამაზე: ზღვებისა და ტბების სილურჯე, დათოვლილი მთების ელვარება, უდაბნოთა მირაჟები, ყვავილების ფერთა თამაში, ვარსკვლავთა ბრჭყვიალი – მასში, ერთ დიად სიყვარულში დახვეწილ და უზენაეს სილამაზედ – გაერთიანებული, ღვთის სულიწმიდად გარდასახული. ის ჩვენს სულში ბინადრობს, როგორც მილიარდი ღიმილისა და მილიარდი სიყვარულის თაიგული.

ღვთის ნება

ამქვეყნად არ არსებობს რაიმე ბანალური და უმნიშვნელო. „ყოველი თმის ღერი თქვენს თავზე დათვლილია“. ნებისმიერი მოვლენა, ყოველი ისტორიული ფაქტი იგივე წმიდა წერილია, რამეთუ ღვთის ნების საკრალური გამოხატულებაა. როგორც ქრისტეს სხეული პურსა და ღვინოში, ღვთის ნება ყოველდღიურობაშია დამალული. ჩვენი ცხოვრების უმნიშვნელო ფაქტებიც მისი უწმიდესი ნებით ხდება. უბრალო ადამიანის მატარებელზე დაგვიანება ისევე მნიშვნელოვანია, როგორც გახმაურებული ისტორიული მოვლენა, მაგალითად, ვატერლოოს ბრძოლა.

მოულოდნელმა შემთხვევამ, შესაძლოა, ისტორიის ჩარხი წაღმა შეატრიალოს. სახურავ-

იდან ჩამოვარნილმა თიხის კრამიტმა იმსხვერპლა ესპანეთის მეფე. გაზეთების დამტარებელი ბიჭუნა ხვალ შეიძლება ბესტსელერების ავტორი გახდეს. ამქვეყნად მილიონობით უმნიშვნელო შემთხვევა ხდება, რომელთა შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით, მაგრამ საერთო ჯამში ისინი ისტორიის მსვლელობაზე უზარმაზარ გავლენას ახდენენ. ამიტომაც ყოველი ადამიანის სიცოცხლე უაღრესად მნიშვნელოვანია, იმისიც, რომელზეც არც ერთ გაზეთში არასოდეს არაფერი დაწერილა.

ჩვენი ყოველდღიური პატარა ცხოვრება სავსეა სასწაულებითა და იდუმალებით. ის იესოს ნაზარეთში ცხოვრების იმ მონაკვეთს ჰგავს, რომელზეც მახარებლები არაფერს მოგვითხრობენ. იესოს ცხოვრების ეს ნაწილი და მისი საქმიანობის დეტალები არ ვიცით, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ კაცობრიობის ისტორიისთვის ის უმნიშვნელოა.

მთელი ისტორია წმიდაა, როგორც წმიდაა ჩვენი პირადი ცხოვრების ნებისმიერი ფაქტი. წმინდა წერილი მთლიანი მატიანის ფრაგმენტია, ამონაჭერია, რომელიც ისტორიაში შესაქმიდან გამოცხადებამდე ღვთის ჩარევის კონკრეტულ შემთხვევებს აღწერს და ნათელს ჰფენს, სულიწმიდით ასხივოსნებს. ბევრი რამ, რაც იქ არ არის მოთხრობილი, დავიწყებას მიეცა, მაგრამ თავისი არსით ისიც ღვთის ნებაა, ამიტომ არანაკლებ მნიშვნელოვანია. ის გაუშიფრავ ტექსტს ჰგავს, რომელსაც ადამიანი ხშირად თავის დაღს ამჩნევს, ცვლის და აყალბებს.

წმიდა წერილი ადამიანთა მიერ ღვთის ნების ხშირი იგნორირების ისტორიაა. ღმერთმა გადაწყვიტა ებრაელთა ერი აღთქმულ ქვეყანაში შეეყვანა, მაგრამ როცა ხალხი აუჯანყდა მის ნებას და ეგვიპტეში დაბრუნება მოისურვა, ღმერთმა გადაწყვიტა ამოეწყვიტა ისინი და მოსესთვის ახალი ხალხი ჩაებარებინა. მოსე შეეხვეწა უფალს და, მისი ლოცვით, უფალმა შეცვალა თავისი გადაწყვეტილება – მან არ მოსპო ისინი, მაგრამ არც აღთქმულ ქვეყანაში შეიყვანა, როგორც თავიდან ჰქონდა განზრახული.

ღვთის ნება რთული და დახლართული პროცესია, რომელიც ყოველ წამს ზავდება და იმსჭვალება ადამიანთა ქცევების, მათი თავისუფალი ნების შესაბამისად, მაგრამ არასოდეს წყდება და ჩერდება ამის გამო. ღმერთი ცვლის თავის ნებას იმის შესაბამისად, როგორც იცვლებიან გარემოებები.

როცა ღმერთს ვევედრები წვიმას ჩემი მოსავლისათვის, ან კარგ ამინდს სასეირნოდ, მე მხოლოდ ჩემს სარგებელზე ვფიქრობ. ღმერთმა კი მთელი სამყაროს მასშტაბით ერთდროულად მომხდარი მოვლენების ყველა შესაძლო შედეგი იცის და ითვალისწინებს. ღვთის ნება ამ პროცესთა უსასრულო სიბრძნითა და სიყვარულით განხორციელებული კოორდინაციაა. ამის გათვალისწინებით, კონკრეტულ შემთხვევაში მან შეიძლება შეცვალოს თავისი ნება. ამიტომაც ყველაფერი, რაც ხდება, სიხარულით უნდა მივიღოთ, თუნდაც ეს იმ მომენტში სრულიად არასასიამოვნო იყოს, რამეთუ ყველაფერი ჩვენს სასარგებლოდ ხდება, უფალმა ყველა შესაძლო ვარიანტი სიყვარულით გათვალა და მხოლოდ ის ერთადერთი აირჩია, რაც ჩვენთვის სასარგებლოა.

ერთადერთი, რაც არ არის ჩვენთვის სასარგებლო, რაც მხოლოდ ჩვენგან გამოდის და არაფერი აქვს საერთო ღვთის ნებასთან, ეს ცოდვაა. ცოდვა აყირავებს ღვთის ნებას და აბსოლუტურად მისი საპირისპიროა.

რაც ჩვენს ნებაზე არ არის დამოკიდებული: ცოდვის შედეგები და მისი გავლენა გარე სამყაროზე, უფლის ნებაა. ცოდვის ჩადენა ჩვენი ნებაა, მაგრამ მისი ყველა შესაძლო ზემოქმედება სხვა მოვლენებზე, უკვე უფლის ნებაა. როცა ადამიანი გადაწყვეტს, ტყვია ესროლოს სხვას, ეს საშინელი ცოდვა მისი ნებით ხდება, მაგრამ არის თუ არა დამბაჩა დატენილი, ან მოხვდება თუ არა ტყვია მიზანს? – უკვე ღვთის ნებაა. ჩვენზე დამოკიდებულია მხოლოდ ერთადერთი რამ: ვეთანხმებით ცოდვის ჩადენას თუ არა?

უფლის ნება თვინიერად უნდა მივიღოთ, თუმცა ხანდახან ძალიან გვიჭირს ეს, რადგან შეფარული გვევლინება არასასურველსა და საშინელ გარემოებებში: წარუმატებლობაში, სიღარიბეში, მარტოობასა და სიკვდილში. ებრაელებს არ უნდოდათ ეკლის გვირგვინით შემკული მეფის აღიარება და დიქტატორი ტიბერიუსი არჩიეს მას. „ჩვენ არა გვყავს მეფე, გარდა კეისრისა!“ ისტორიამ კი გვიჩვენა, რომ მათ შეცდომა დაუშვეს: იესო მათი მხსნელი იყო, ტიბერიუსი კი დამპყრობელი. ღვთის ნება ჩვენ ხანდახან „არ გვაწყობს“ და მაშინ უპირატესობას ტიბერიუსს ვანიჭებთ: ძალაუფლების, სიამოვნების, ფულის, სისასტიკისა და გამარჯვების სიმბოლოს და მთელი ძალით ვყვირით: „შორს, შორს, ჯვარს აცვი, ჩვენ არა გვყავს მეფე, გარდა კეისრისა!“

ღვთის ნება შეიძლება კიბოს დაავადებაში გადაცმული მოგვევლინოს, ან როგორც ავტოკატასტროფა, როგორც ტოტალიტარული რეჟიმის საიდუმლო პოლიცია, რომელიც ერთ მშვენიერ ღამეს დაგვაპატიმრებს. და ძალიან ძნელია ასეთ მძიმე გარემოებებში უფლის ნების შეცნობა და მშვიდად მიღება. მაგრამ ყველაფერი, რასაც ჩვენ რეალობას ვუწოდებთ, ღვთის სიტყვის კაცად ქცევის პროცესია. ყოველი სინამდვილე წმიდაა. ქუჩაში მოულონელად ვიღაცას მანქანა დაეჯახა, მატარებელზე ვიღაცას დააგვიანდა, ან ვიღაცამ უკანასკნელ წუთზე მიუსწრო თვითმფრინავის გაფრენას – ეს ყველაფერი – ფაქტად ქცეული ღვთის სიწმინდეა.

ღმერთი არა მარტო საკრალურ პურსა და ღვინოშია რეალურად, არამედ გარკვეული სახით ყველა სხვა ღვინოსა და პურში, ყველა წყალსა და ყველა 01-ში, სამყაროს ნებისმიერ რეალობაშია. ყოველ სინამდვილესა და ფაქტში ღმერთია ჩაკირული – ჩუმი და თვინიერი. ყოველი რეალობა საკრალურია.

ჩვენ არ ვიცით, თუ რა არის ჩვენთვის სასარგებლო, ამიტომ უაზრობაა, რაიმე ვისურვოთ ან არ ვისურვოთ. გონივრულია მორჩილად მივიღოთ ის, რაც ღმერთს ჩვენთვის სურს, ან არ სურს, რამეთუ მხოლოდ მან იცის, რა არის ჩვენთვის კარგი და რა – არა.

ჩვენს ირგვლივ იმდენი რამ ხდება, მათი გაგება არც შეგვიძლია, არც ის, რომელი საიდან მოდის ან საით მიდის. მოვლენათა ორომტრიალში ისე გამოვიყურებით, როგორც ბრმა შუაგულ ავტობანზე. ჩვენ აეროპორტში დაკარგულ პატარა ბავშვს ვგავართ, რომელმაც არც თვითმფრინავების განრიგი იცის და არც ის, თუ სად უნდა გაფრინდეს.

დიახ, ჩვენი მიზანიც არ ვიცით, ამიტომ მოთმინებით უნდა დავიცადოთ, ვიდრე ვინმე მოვა და გვიჩვენებს, რომელ თვითმფრინავში ჩავსხდეთ. ცოდვაა იმის რწმენა, თითქოს უფალზე კარგად ვიცოდეთ ჩვენი ბედი ან ის, რა არის ჩვენთვის კარგი და რა – ცუდი. ჩვენ ხომ წარმოდგენა არა გვაქვს ჩვენს მომავალზე, არც აწმყო გვესმის და თვით წარსულიც ნაკუწ-ნაკუწ მოგონებებადღა შემოგვრჩა. მაინც ვუშვებთ აზრს, რომ ღმერთს ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში რაღაც შეეშალა.

ღმერთმა ბრწყინვალედ იცის, რა არის ჩვენთვის სასარგებლო, რამეთუ რაც ახლა ხდება და რაც მერე მოხდება, მის წმიდა სულში უკვე მთელი მარადისობაა არსებობს, როგორც ფოტო, რომელიც ოდესღაც გადაიღეს, მაგრამ მხოლოდ ახლა გამოამჟღავნეს და დაბეჭდეს, ან დიდი ხნის წინ გადაღებული ფილმი, რომელიც მხოლოდ ახლა აჩვენეს ეკრანზე, ან როგორც შორეული ვარსკვლავის ნათება, რომელმაც მილიონობით წლის წინ გამოანათა, მაგრამ მხოლოდ ახლა მოაღწია ჩვენამდე.

ღმერთს უნდა, რაც დღეს ცუდია, ხვალ სასიკეთოდ მოაბრუნოს. და მას შეიძლება დღეს ისეთი რამე სურდეს, რასაც ხვალ აღარ მოისურვებს. ის ერთგან ანგარიშს უწევს იმას, რასაც სხვაგან უგულებელჰყოფს და ჩემთან დაკავშირებით აქვს რაღაც ისეთი გეგმები, როგორიც სხვასთან მიმართებით არა აქვს.

როცა ორლეანელ ქალწულს სასამართლო პროცესზე ჰკითხეს: „განა ღმერთს ინგლისელებიც ისევე არ უყვარს, როგორც ყველა სხვა?“ – მან უპასუხა: „ღმერთს უყვარს ინგლისელები, მაგრამ არა საფრანგეთში“. ზუსტად ეს არის ჩვენი მოწოდების მისტერია. ღმერთს ნიკარაგუის დიქტატორიც უყვარს, მაგრამ არა როგორც ნიკარაგუის დიქტატორი.

ბუნებრივი სასწაული

სამყარო მარადიული სასწაულია: ამოუხსნელი მოვლენებით და ყოველდღიურობით. ჩვენ ვერც კი ვამჩნევთ, რამდენი ბუნებრივი სასწაული ხდება ჩვენ ირგვლივ! საუბარია არა ზებუნებრივ მოვლენებზე, არამედ სრულიად ჩვეულებრივ ყოველდღიურობაზე. არავის უყვარს ბუნება ისე ძლიერ, როგორც ღმერთს – მის შემოქმედს, რომელმაც მიანიჭა ყველაფერს ღრმა შინაარსი და სურს, ის სავსე იყოს, ლამაზად და ლოგიკურად გაიფურჩქნოს, სამყაროს ყველა პროცესი თანმიმდევრულად წარიმართოს. „თაგვი სასწაულია!“ – წერს ვაითმანი. რაც უფრო შეუმჩნეველია მოვლენა, მით უფრო დიადი, უხილავი და ჩუმი სასწაულია.

ნეტარი ავგუსტინე ამბობს, რომ ქრისტეს სხეულის ღვინოდ და პურად გადაქცევის საიდუმლოებაზე არანაკლები გასაოცარია ის პროცესი, რაც ნებისმიერი მცენარის თესლში მიმდინ-

არეობს. უფლის მიერ სამყაროს შექმნა არ იყო ერთჯერადი აქტი, რომელიც დროის ოკეანეში ჩაიძირა, არამედ ჩვენ თვალწინ განუწყვეტლივ მიმდინარეობს. ეს ურწმუნო ადამიანთათვისაც თვალსაჩინოა, მაგრამ მათ მაინც არ სჯერათ შემოქმედის. ჩვენ მუდმივად თავიდან ვიქმნებით, ყოველი წამი არაფრისგან ჩვენი შექმნის პროცესია. ნებისმიერი ბუნებრივი მოვლენა ისეთივე სასწაულია, როგორც უფლის მიერ ლაზარეს აღდგინება.

ბუნებრივი და ზებუნებრივი მოვლენები ერთნაირად გასაოცარია, მაგრამ მათ ვერ ვამჩნევთ, რადგანაც ძალიან შევეჩვიეთ. როგორც კი უფალს ოდნავ მაინც მივუახლოვდებით, ყოველდღიურობაშიც აღმოვაჩენთ სასწაულებს.

ღმერთი ხანდახან ზებუნებრივ სასწაულებსაც აკურთხებს, რათა ეს ქვეყანა თავის არსებობაში დაარწმუნოს. მაგრამ უფალში გასხივოსნებულ სულს დამატებითი არგუმენტები აღარ სჭირდება. მის გულში ღმერთი ენით აუწერელ სასწაულებს ახდენს და უბოძებს მადლს, ნებისმიერ დეტალში არაჩვეულებრივის კვალი შენიშნოს.

ხანდახან არ არის ძნელი შემთხვევითობისა და სასწაულის ერთმანეთისგან გარჩევა, მაგრამ ხშირად თვით შემთხვევითობაც სასწაულია, ან სხვანაირად რომ ვთქვათ, ღმერთი შემთხვევის მეშვეობით სასწაულს ახდენს.

სინამდვილეში საერთოდ არ არსებობს არაფერი შემთხვევითი. რაც ჩვენ შემთხვევა და იღბალი გვგონია, სხვა სახელით მოხსენიებული ღვთის ნების გამოვლინებაა, წინასწარ განგებულებაა, რომლის ამოცნობა ხშირად ძალიან ძნელია, რადგან ის ყოველდღიურ მოვლენებში: ბუნების კანონებში, ისტორიულ პროცესებში, შემთხვევაში, ბედში, იღბალსა თუ სხვა დეტალებშია შეფარული.

ჩვენ ჩვენი ცხოვრების მნიშვნელოვანი მომენტები მიგვაჩნია ღვთის განგებულებად, ან მხოლოდ იმას ვამჩნევთ, რაც ჩვენს გეგმებს შეესაბამება და რაც სასარგებლოდ მიგვაჩნია: თუ ავტოკატასტროფაში უვნებელი გადავრჩით, ან ჩამოვარდნილ თვითმფრინავს ვერ მივუსწარით. და არ ვფიქრობთ იმაზე, რომ ავტო ან ავიაკატასტროფაში გარდაცვალებაც ღვთის განგებულებაა. ჩვენი ასეთი წარმოდგენა ერთგვარი მანიქეიზმია, რომელიც ქადაგებს, რომ არსებობს ორი ღმერთი – კეთილი და ბოროტი, და რომ კეთილი ღმერთი იმარჯვებს ქაოსისა და კატასტროფების ღმერთზე. მაგრამ არსებობს მხოლოდ ერთი ღმერთი და ყველაფერი, რაც ხდება, მისი ყოვლისმომცველი ხელმწიფების ქვეშაა, მისი წინასწარ განგებულებაა, და ჩვენთვის ყველაფერი სასარგებლოა, გარდა ცოდვისა. ცოდვა ერთადერთია, რაც ღვთისგან არ მოდის, ადამიანის თავისუფალი ნების პროდუქტია. მაგრამ ცოდვის შედეგები და მისი ზეგავლენა სხვა პროცესებზე უკვე ღვთის განგებულებაშია.

ღვთის წინასწარ განგებულება ყოველთვის არ არის სასიამოვნო, ზოგჯერ უსიამოვნოცაა, ზებუნებრივი და ჩვეულებრივიც, რაც ხდება და რაც არ ხდება.

ხშირად ჩვენ ვერ აღვიქვამთ უფლის განგებულებას, რადგან ჩვენი ნება მის ნებას ეწინააღმდეგება და მის გეგმასა და ჩანაფიქრს ეურჩება. მაგრამ, როგორც კი ჩვენს ნებას ღვთის ნებას დავუქვემდებარებთ, მის საწინააღმდეგოს არაფერს გავაკეთებთ, დავინახავთ ჩვენს ცხოვრებაში მის სასწაულებრივ ჩარევას. მაშინ მთელი ჩვენი ცხოვრების ნებისმიერი დეტალი ამაღლებულ აზრს შეიძენს და ღვთიური მადლით აღივსება. ყოველი უმნიშვნელო მოვლენა – ტელეფონის ზარი თუ ქუჩაში შემთხვევით ვიღაცასთან შეხვედრა – უეცრად ღრმა შინაარსს შეიძენს. მაშინ მივხვდებით, რომ უმიზეზოდ არაფერი ხდება, რომ ყველაფერი ღვთის განგებულებაშია.

ადამიანთა უმრავლესობა ამქვეყნად სიმარტოვესა და დაუცველობას გრძნობს, უმწეობისგან იტანჯება, თითქოს შემთხვევით გაჩნდა ამქვეყანაზე, თითქოს ქაოსურსა და აზრგამოცლილ სამყაროში ცხოვრობდეს. როგორც ტყეში გზააბნეული პატარა ბავშვი, ის უარყოფს იმ გენიალურ რეალობას, რომ ღვთის სიყვარულმა შექმნა და რომ ეს ქვეყანა ღმერთმა მისთვის აკურთხა. ჩვენ არა ვართ მარტონი. ვინც ჩვენ შეგვქმნა, ჩვენში ბინადრობს და თავისი ქმნილებებით ჩვენ გვეხუტება. და თუ რწმენით აღსავსე გულით „მამაო ჩვენოს“ ვილოცებთ, მაშინ ის ინტერსტელარული სივრცეების საიდუმლოსაც გაგვიზიარებს.

თუ დარწმუნებული ვიქნებით, რომ ვინც ვარსკვლავები და გალაქტიკები შექმნა, ვინც მთელ სამყაროს მართავს, ასევე ჩვენი სისხლის მიმოქცევაზე, მეტაბოლიზმსა და ჩვენი ცხოვრების ყველა დეტალზე ზრუნავს, სიმშვიდეს და უსაფრთხოებას ვიგრძნობთ. ის ერთნაირად ფიქრობს როგორც პაწია ციცინათელაზე, ისე უზარმაზარ გალაქტიკებზე და მისი თანხმობის გარეშე ერთი ატომიც არ იძვრის. და რისი უნდა გვეშინოდეს ჩვენ ამქვეყნად?

სიხარული შეიძლება სრულყოფილ ლოცვად გადაიქცეს, თუ ის ღვთისადმი სრული ნდობის შედეგია, თუ ის იმ აზრისგან იბადება, რომ ღვთის წყალობით, ამქვეყნად არაფერი ცუდი არ დაგვემართება. არსებობს გმირული სიხარულიც.

სამყაროს ფიზიკური და მორალური კანონები ერთი და იგივეა – ერთადერთი განსხვავებით: ღვთისგან ბოძებული მორალური კანონების დარღვევა ადამიანს ხელეწიფება. თერმოდინამიკის კანონიდან გამომდინარე, ჩვენ ბუნების კანონებში ჩარევა არ შეგვიძლია, მაგრამ შელახვა – დიახ! ადამიანი ერთადერთი არსებაა სამყაროში, რომელსაც შეუძლია დაუმორჩილებლობა გამოავლინოს. როცა ღვთის ნებას ვასრულებთ, დანარჩენ სამყაროსთან ჰარმონიაში ვცხოვრობთ, რამეთუ იმავე კანონებს ვემორჩილებით, რომლებიც მთელი ბუნებისთვისაა ღვთისგან ნაკურთხი. ყოველი არაგონიერი არსება შემოქმედის ნებას ზუსტად ასრულებს, ამქვეყნად ერთადერთი გონიერი არსება – ადამიანი უჯანყდება ღმერთს და, ამის გამო, თავის გამოგონილ ფსევდოსამყაროში უსაშველოდ იტანჯება.

მარადისობა

ბერისა და რელიგიური ადამიანისთვის სიკვდილი აღარ არსებობს, დიდი ხანია დაძლეულია. ჩვენთვის ის არის ნათლობა, რომლითაც ქრისტეში ვკვდებით. ვინც მონათლულია, მან უკვე სძლია სიკვდილს. ქრისტე მოკვდა ჩვენთვის და ჩვენ მაგივრად, ამიტომ ზუსტად ვიცით, რომ ფიზიკური სიკვდილი სხვა არაფერია, თუ არა აღდგომის პირობა, მარადიული სიცოცხლის დასაწყისი, ქრისტესთან შეხვედრა. ვინც ღმერთში ცოცხლობს, ვერაფერი შეაშინებს ამქვეყანაზე.

როგორც მოციქული პავლე ამბობს, ქრისტე „მკვდართა შორის პირველდაბადებულია“. რაც იმას ნიშნავს, რომ ქრისტე პირველია მკვდრეთით აღმდგართა შორის, რომელიც სიკვდილის სხეულიდან ახალ სიცოცხლედ დაიბადა. დანარჩენები მოგვიანებით ისევე ვიქნებით, როგორც დედის საშოდან პირველშობილს სხვა და-ძმები მიჰყვებიან ხოლმე.

ადამიანები ძალიან განიცდიან მიწიერი ცხოვრების სწრაფლმავლობას. ჩვენ კი მხოლოდ გვიხარია, რომ ეს ასეა, რომ დრო სწრაფად მიქრის, როგორც მგზავრს ახარებს მატარებლის სისწრაფე და დანიშნულ ადგილამდე მალე მისვლა. დრო მატარებელია, რომელიც სანატრელ არსებასთან შესახვედრად მიგვაქანებს.

არასწორია, რომ სიცოცხლე ხანმოკლეა. წინ სიკვდილი კი არა, მარადისობა გველოდება. იმისთვის კი არ გავჩნდით, რომ დავიხოცოთ, არამედ ვიცოცხლოთ, მარადიულად ვიცოცხლოთ! მაშ, ნუ ვიდარდებთ სიცოცხლის წარმავლობაზე. ის არასოდეს გაწყდება. მხოლოდ დრო გაჩერდება, რომელიც რეალობად ქცეული მომავლის წარსულში გადასვლა, ჯერ არარსებულის უკვე აღარარსებულში გადადინებაა. და როცა დრო გაჩერდება, მას მოჰყვება მარადისობა – მარადიული აწმყო, არანაირი მომავლისა და წარსულის, არანაირი ბოლოს გარეშე. მაშ, ნუ გვეშინია სიკვდილის, ჩვენ არასოდეს დავიხოცებით, უფრო სრულყოფილ, ჭეშმარიტ და ნამდვილ სიცოცხლეში გადავალთ მხოლოდ, როგორც თავის ჭუპრში ჩაძინებული აბრეშუმის ჭია, ულამაზეს პეპელად გარდაქმნილი, ისევ იღვიძებს.

„ვიხილე ახალი ცა და ახალი მიწა“, – ამბობს გამოცხადებაში იოანე მახარებელი. სამყარო არ მოკვდება, არ არსებობს „დასასრული“, არამედ იქნება მხოლოდ განახლება. თუ წერია, რომ ციდან ვარსკვლავები „ჩამოცვივდებიან“, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ იქნება ახალი სამყარო, ახალი კოსმოსი, სრულიად ახალი სტუქტურით. და ამ ახალ სამყაროში იქნება ასევე ახალი სიცოცხლე. ჩვენ სწორედ მას მივეკუთვნებით, რომელიც ჩამოყალიბების პროცესშია და რომლის პირველადი თესლი მკვდრეთით აღმდგარი ქრისტეა. ეს თესლი აღმოცენდება, გამრავლდება და ახალ სამყაროდ ქცეული სრულიად ჩაანაცვლებს ძველს. „ცათა სასუფეველი მდოგვის მარცვალს ჰგავს“. მატერია გადასხვაფერდება და ახალ მარადიულ ფორმად ჩამოყალიბდება, ახალი მოლეკულური და უჯრედოვანი სტუქტურით. და მისი ცენტრი ქრისტე იქნება და მთელი ქმნილება მის ირგვლივ იტრიალებს, როგორც ახლა დედამიწა და სხვა პლანეტები მზის ირგვლივ.

„ქალაქს არ სჭირდება არც მზე, არც მთვარე გასანათებლად, რადგან ღვთის დიდებამ გაანათა იგი და კრავია მისი სასანთლე“ (გამოცხ. 21, 23). თუკი ჩვენ ქრისტეში გავერთიანდებით,

მაშინ სამყაროს მკვდრეთით აღდგომისა და განახლების თანამონაწილეები გავხდებით და გაზაფხულის ჭეშმარიტი წყაროდან შევსვამთ მაცოცხლებელ წყალს.

არის კალიის ნაირსახეობა, ციკადი, რომელიც მატლის სახით მიწაშია დამალული, და მხოლოდ 17 წლის მერე გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს აღდგება და დაუღალავად მღერის. ამ მწერის ცხოვრება ქრისტესა და ჩვენი მკვდრეთით აღდგომის ერთგვარ სიმბოლოს წარმოადგენს. ყოველი გაზაფხული ასევე აღდგომის სიმბოლოა.

ღვთის მსგავსად ყოფნა

„ქრისტიანი მარადიული პილიგრიმია", – ამბობს წმიდა კლიმენტი ალექსანდრიელი. ჩვენ ტურისტებივით ვართ, რომლებიც მასპინძელ ქვეყანას დიდი დარდის გარეშე ტოვებენ, რადგან წინ სამშობლოსთან შეხვედრის სიხარული გველოდება. ამქვეყნიდან დიდი გლოვის გარეშე გავდივართ, რადგან ტუსაღებივით გადასახლებაში კი არ მივდივართ, არამედ ემიგრანტებივით საკუთარ სამშობლოში ვბრუნდებით.

ვისაც მარადიული სიცოცხლე არ სწამს, მისთვის მიწიერი სიამოვნება და სიხარული სევდის მომგვრელია, რამეთუ ყველაფერს თავისი ბოლო აქვს. მაგრამ ვინც იმედს მარადისობაზე ამყარებს, მიწიერ სიამოვნებასაც ტკბილად ირგებს, რამეთუ ზუსტად იცის, ეს მომავალი ულევი სიხარულის ანარეკლია, იმ ნეტარების მიწიერი გამოხატვაა, რომელიც მარადისობაში ელოდება. ის არ დარდობს, რომ ყველაფერი წარმავალია და თავისი ბოლო აქვს, რადგან ღმერთში ნეტარების მოლოდინშია.

მოციქული პავლე ამბობს, რომ „ჩვენ ახლა სინამდვილის მხოლოდ ანარეკლებს ვხედავთ, მაგრამ ზეცაში ყველაფერს პირისპირ შევიცნობთ", მივხვდებით, რომ ჩვენც შეგვიცნეს. ჩვენ არსებათა მისტერიის აღქმა არ შეგვიძლია, არაფერი ვიცით საგანთა ნამდვილ არსზე, არც ის, თუ როგორია სამყარო ღმერთში და ღმერთი სამყაროში. ჩვენი გრძნობის ორგანოებითა და დაკვირვებით მხოლოდ ფორმებს, გემოს, ფერს აღვიქვამთ. ეს ყველაფერი კი ტვინში აღბეჭდილი ჩვენი გრძნობითი შთაბეჭდილებებია, მაგრამ როგორი იქნება საგანთა არსი სინამდვილეში? როგორ გადასხვაფერდებიან ჩვენი სიხარულები? როგორ დავინახავთ ადამიანები ერთმანეთს, როცა ყველაფერი უფლის ბრწყინვალებით გასხივოსნდება? ეს ჩვენ ჯერ არ ვიცით. მაგრამ ფაქტია, რომ ყველაფერს ისე შევიცნობთ და შევიყვარებთ, როგორც უფალმა შექმნა და როგორიც მას უყვარს. და თვით ღმერთსაც შევიცნობთ, ზუსტად ისე, როგორც ის ახლა ჩვენ გვიცნობს, რამეთუ მაშინ მას პირისპირ შევხედავთ. როცა ღმერთს შევიცნობთ, მაშინ მის მიერ შექმნილ მთელ სამყაროსაც ზუსტად ისე დავინახავთ, როგორადაც თავად ღმერთი ხედავს და იცნობს, ანუ როგორიც ის არის სინამდვილეში.

ჩვენ დავინახავთ არა ანარეკლს სილამაზისა, არამედ ენით აუწერელ მშვენიერებას თავისი ღვთიური არსით, უსულო საგანთა შუამავლობის, ფარდის გარეშე. უბრალოდ ვიხილავთ თავად სილამაზეს და არა ლამაზ საგნებს. ზეცაში ყოფნა ნიშნავს იხილო და იხილო, და იმავდროულად – გიყვარდეს, გიყვარდეს და გიყვარდეს. რამეთუ იხილო ნიშნავს, გიყვარდეს, ხოლო გიყვარდეს იგივეა, რაც – დაესაკუთრო. რაიმეს ფლობას კი მოაქვს დიდი სიხარული.

დედამიწაზეც განვიცდით დიდსა თუ მცირე სიხარულს, მაგრამ ყველა ეს გრძნობა წარმავალია, რადგანაც ყველაფერი მიწიერი შეზღუდულია, დროებითია. მაგრამ ღვთის დასაკუთრებით გამოწვეული სიხარული კი ოკეანეა. მას არა აქვს არავითარი საზღვარი და ყველა ჩვენი გრძნობის შესაძლებლობას სცილდება.

ჩვენ დავესაკუთრებით უფალს, ისევე როგორც ის ჩვენ, ღვთის პატრონები გავხდებით, როგორც ის არის ახლა ჩვენთვის. ჩვენ სრულიად შევიგრძნობთ ღვთიურ სიხარულს და გავხდებით ღმერთები, ისევე როგორც ახლა ღმერთი ღმერთია. რამეთუ იხილო უფალი. ნიშნავს დაეუფლო მას და დაეუფლო მას, ნიშნავს გახდე ისეთივე, როგორც ის არის. „ამიერიდან ღვთის შვილნი ვართ, ოღონდ ჯერ არ გამომჟღავნებულა, რანი ვიქნებით. ვიცით, რომ როცა გამომჟღავნდება, მისი მსგავსნი ვიქნებით, რადგან ვიხილავთ მას, როგორიც არის" (1 იოან. 3.2).

და სინამდვილეში მხოლოდ მაშინ გავიცნობთ ერთმანეთს და ზეცა სიყვარულად და თანამეგობრობად იქცევა. დედამიწაზე ჩვენ ერთმანეთს მხოლოდ ნაწილობრივ ვიცნობთ. ჭეშმარ-

იტად ერთმანეთზე შეყვარებული და ერთად მცხოვრები ადამიანებიც კი ერთმანეთისთვის დიდ საიდუმლოდ რჩებიან და, არსებითად, ერთმანეთისთვის ამოუცნობი, უცხონი არიან. უფრო მეტიც, არათუ სხვისი, ბოლომდე არც საკუთარი თავის გაგება ხელგვეწიფება. მხოლოდ ზეცაშია შესაძლებელი ერთმანეთის სრული შეცნობა, მხოლოდ იქ შევძლებთ გავუზიაროთ ერთმანეთს ჩვენი გულის ყველა საიდუმლო და ამისთვის ენაც კი არ იქნება საჭირო, რადგან ადამიანებს შორის სრულყოფილი სიყვარულის ურთიერთობა დაისადგურებს. და დროც აღარ იარსებებს, როგორც გამოცხადებაში წერია. დროის სიმცირით გამოწვეული ტანჯვა, დასასრულით ჩაშხამებული ზეიმი ერთხელ და სამუდამოდ შეწყდება. ამიერიდან ერთმანეთს შევიცნობთ არა ფრაგმენტულად, არამედ აბსოლუტური უწყვეტობით, ყველა საყვარელი ადამიანის ტოტალურ თანაარსებობაში.

ჩვენი სიტყვა ამქვეყნად ქარისგან ატაცებული ფოთოლივით იფანტება, აქ ჩვენს ღიმილსაც ბოლო აქვს. ორი შეყვარებული ადამიანის ერთადყოფნის სიხარულს დრო აფერმკრთალებს. ხოლო იქ, მარადისობაში, ყველაფერი ღვთიური სიყვარულით გაცისკროვნდება და ყოველივე აბსოლუტურ სიყვარულად შეივსება. არც სივრცის პრობლემა იარსებებს: ახლა ჩვენ არ ხელგვეწიფება ერთდროულად ყველასთან ერთად ყოფნა, ვინც გვიყვარს. იმისთვის, რომ ერთთან ვიყოთ, უარი უნდა ვთქვათ სხვებთან ერთად ყოფნაზე, და ეს მაშინ, როცა ამქვეყნად იმდენი ადამიანია, რომლებსაც ჩავიხუტებდით, რომ ვიცნობდეთ. ვინც ახლა გვიყვარს, ერთ დროს მათაც არ ვიცნობდით და უცხონი იყვნენ ჩვენთვის. ზეცაში კი მთელ კაცობრიობასთან ერთად ვიქნებით და გავიხარებთ ყველას სიყვარულით, იმათითაც, ვინც აქ არც ისე გვიყვარდა, ან საერთოდ არ გვიყვარდა, რადგან არ ვიცნობდით.

და რა გრანდიოზული და განსაკუთრებული იქნება იქ იმ ადამიანების სიყვარული, ვისაც დედამიწაზე უკვე უყვარდათ ერთმანეთი! იქ ჩვენ ვიხილავთ ყველა გარდაცვლილს და ვერაფერი ამქვეყნიური ვერ შეედრება მათი ფერნაცვალები სხეულების მშვენიერებას. მიწიერი სილამაზე მხოლოდ მიგვანიშნებს აღდგომის ბრწყინვალებას. ნოვალისმა ერთხელ თქვა, რომ ადამიანის სხეულის შეხება, ფაქტობრივად, იგივეა, თითქოს ზეცას შეეხოო. დიახ, მაგრამ მიწიერი სილამაზე ბერდება. ის ისე შეიძლება შევადაროთ აღმდგარ სხეულს, როგორც თესლი მისგან აღმოცენებული მცენარის სილამაზეს.

როგორც მოციქული პავლე ამბობს, მაშ, აქვს კი ჩვენთვის ფულს, წარმატებას, ან სხვა რომელიმე მიწიერ სიამოვნებას რაიმე მნიშვნელობა, როცა ზეციურზე ვფიქრობთ? ამიტომაც არ გვეშინია სიკვდილის, პირიქით, ვესწრაფით მის მალე მოსვლას. ამიტომაც არ ვგლოვობთ ახლობლების გარდაცვალებას, არამედ კეთილი შურით გვშურს მათი, რამეთუ ისინი უკვე იქ არიან, სადაც ყოფნა ასე გვსურს. და მაინც თვინიერად ველოდებით ღვთისგან ნაკურთხი სიცოცხლის გალევას, რადგან ღმერთმა ზუსტად იცის, თუ რა დრო გვჭირდება მოსამზადებლად, რომ ცათა სასუფეველში მოხვედრის ღირსნი გავხდეთ. იქ კი დრო და სივრცე გაქრება, ყველა იმედგაცრუება, წარუმატებლობა, ავადმყოფობა, სიკვდილის შიში და თვით სიხარულიც, მიწიერი გაგებით, გაქრება. იქნება მხოლოდ ღვთიური ნეტარება – ღვთის სიყვარულით გაბრწყინებული ყველას სიყვარული ყველას მიმართ!

ხატება და მისი პირველწყარო

ჩვენ ღვთის ხატება, უფლის შედევრები ვართ. ჩვენი სული ჰგავს თეთრ ეკრანს, რომელზეც ღმერთი პროეცირდება და თუკი ფილმს გამოვრთავთ, ეკრანზე აღარაფერი დარჩება. ჩვენი შინაგანი იდუმალება, არსებობის უკანასკნელი გამართლება სწორედ ის არის, რომ ღვთის ასლი, მისი ფოტოგამოსახულებანი ვართ. მხოლოდ მაშინ ვიწყებთ არსებობას, როცა ის ჩვენში დაიდებს ბინას.

ეს დუალურობა ადამიანის სულიერი ცხოვრების საიდუმლოა. თითქოს სრულყოფილნი, მაგრამ ამავე დროს, არარაობანი ვართ. დიახ, ჩვენ ვართ არაფერი, რომელზეც ყველაფერი პროეცირდება. მაგრამ, თავისუფალი ნებით შეგვიძლია, ეს ყველაფერი ჩვენში წავშალოთ და, ნებაყოფლობით, ისევ არარაობად მივიქცეთ.

ერთი მხრივ, არაფრის შვილები ვართ, მეორე მხრივ კი – ღვთის, რამეთუ ღმერთმა არაფრისგან შეგვქმნა. არაფერი და ღმერთი, ეს არის ადამიანის გაორების საიდუმლო.

ჩვენ ღვთის წიაღიდან გამოვედით. მთელი მარადისობა მისი ნაწილი ვიყავით. და ამიტომ ვერასოდეს მოვიპოვებთ სულის სიმშვიდეს, სანამ უკან, ისევ მასში არ დავბრუნდებით. მანამდე კი ჩვენ გადასახლებაში ვცხოვრობთ, ამ დედამიწაზე ლტოლვილები ვართ.

ამავდროულად, ჩვენი დასაბამი აგრეთვე არაფრობაა. რამეთუ როცა ღმერთში ვიყავით, პერსონალობა არ გვქონდა და მხოლოდ ღმერთი ვიყავით. ქაოსისგან დავიბადეთ, რომელიც ღმერთმა გაანაყოფიერა.

წმიდანები კარგად ხედავენ საკუთარ თავში უსასრულო არაფერს, ქაოსს, ტოტალურ არყოფნას, სრულყოფილ სიცარიელეს, დაშლას, ლპობას, შემოდგომას, სიკვდილს და დავიწყებას. სწორედ ეს არის მათი განსაცვიფრებელი თვინიერების საფუძველი. ზუსტად ამისგან: სიბერის და შემოდგომის, სიკვდილის მატერიისგან, ლპობისა და ხრწნისგან ვართ შექმნილები.

შიმშილისა და შავი ჭირის შემაძრწუნებელი ლანდები კარგად მიგვანიშნებენ ჩვენი ყოფიერების მეორე მხარეზე. რამეთუ როგორც კი ღვთის სახება ჩვენგან ამოიშლება, მაშინვე გლოვის, შიშისა და სიკვდილის ხატებად ვიქცევით. ყოველი ადამიანის უკან სიკვდილის აჩრდილი დგას და ამ აჩრდილთა ქვეყანაში ის რომც იცინოდეს, მხიარულობდეს, მისი ღიმილი მორგში შენახულ სიკვდილის გრიმასს ჰგავს. რატომ ეშინიათ ბავშვებს სიბნელის? ყოველ ჩვენგანში არსებულ ბავშვს ბნელი ფიქრების სამყაროში ისევ და ისევ თრგუნავს ის არაფერი, რომლისგანაც ჩვენ გამოვედით, და ყოფნას ისევ მასში ვაგრძელებთ. ვართ იგივე მტვერი, რაც ვიყავით და ვიქნებით. სიცოცხლე, რომელიც ახლა ჩვენშია, ერთგვარად ზედაპირული და შეზღუდულია. როცა გვძინავს, მკვდრებივით ვართ, და მაშინაც კი, როცა გვღვიძავს, ნახევრადგაბრუებულნი ვართ და არ გვაქვს სრულყოფილი შეგრძნება.

ხელოვანის შინაგანი ბრძოლა სიცოცხლის მღვიძარ მდგომარეობაში ხელოვნურად შენარჩუნების თავგანწირული მცდელობაა. ასევე შეყვარებულიც იბრძვის, რომ ძლიერი გრძნობის მეშვეობით სიცოცხლე რუტინისა და სიკვდილისაგან იხსნას. მთელი ხელოვნებაა მას ემსახურება და რიტორიკა ხდება. მიუხედავად ყველა მცდელობისა, სილამაზე ბერდება და ჭკნება, მიწიერი სიყვარული კი ფერმკრთალდება. სამყაროში ყველაფერი თერმოდინამიკის მეორე კანონს ექვემდებარება.

მხოლოდ ღმერთია მარადცოცხალი – ცოცხალი სიცოცხლე, მუდამ ახალი, განუწყვეტელი სიხალასე და მარადიული დასაბამი. ის არის ის, ვინც არის! მას სიცოცხლე კი არა აქვს, თავად არის სიცოცხლე. „ვისაც წყურია, მოვიდეს ჩემთან და დალიოს., ვისაც ჩემი სწამს“, როგორც ამბობს წმიდა წერილი, – „მისი წიაღიდან იდენენ ცოცხალი წყლის მდინარეები“.

ჯოჯოხეთი

ცოდვილი ადამიანი ღმერთობას იჩემებს. მართალია, მან კარგად იცის, რომ პატარა, შეზღუდული და წარმავალი „ღმერთია“, მაგრამ მაინც დაჟინებით ითვისებს ამ როლს. ჩვენ გვსურს, თავად ვიყოთ სამყაროს ცენტრი და თვითონ ვთხზავთ ცხოვრების წესებს. ცოდვის ჩადენით მათ ლეგიტიმაციას და ღვთის კანონების ჩანაცვლებას ვცდილობთ.

ცოდვა ტირანიაა, ხოლო ცოდვილი საკუთარი თავის დიქტატორია, საკუთარი თავის მტერია. უსამართლოდ ექცევა მას, არარაობად ყოფნისთვის სწირავს, თავის უბიწოებას ასამარებს, ღმერთზე სამუდამოდ უარს აცხადებს. ამიტომ ცოდვილს თავი ეზიზღება, მაგრამ ღმერთს ისიც უსაზღვროდ უყვარს და ებრალება. ღმერთი სიხარულით ჩავიდოდა ჯოჯოხეთში მის მაგივრად სატანჯველად, რომ შეეძლოს.

ღმერთს ისიც უყვარს, ვინც ცოდვილი არის, ან უფრო ზუსტად, ვინც შეიძლებოდა დარჩენილიყო უცოდველი. უყვარს მისი პიროვნების უბიწო თავისთავადობა, მისი ჭეშმარიტი ყოფიერება, რომელიც ცოდვილმა თავად უარყო და აირჩია ანტიყოფიერება. ცოდვა ღვთის უარყოფა და ანტიღმერთია.

ცოდვაა ყველაფერი, რაც სიყვარული არ არის, ცოდვა ანტისიყვარულია. ის სავსეა სიცარიელით. ის უარესია არაფრობაზე, რამეთუ არაფერი არ არსებულია და თავისთავად არარაობაა, ხოლო ცოდვა რეალურად არსებულია – ცოცხალი სიკვდილია. ცოდვილი სიკვდილის მარადიულ მდგომარეობაში ცხოვრობს და განწირულია მთელი მარადისობა არაფრად ყოფნისთვის.

ბუნებრივი სიკვდილი მატერიის მხოლოდ ფერიცვალებაა. მარადიული სიკვდილი კი მატერიის ლეშადქცეული ერთი ნაწილაკის ამაზრზენი სახეა, მარადიულ მძორადყოფნის მდგომარეობაა.

ცოდვაში მყოფი სული ჩამქრალი ვარსკვლავივითაა, უსასრულოდ ცივი და ცარიელი, შემაშფოთებელი და თვით იზოლირებული მარტოობაა. ღმერთი უსასრულოდ კეთილი და უსასრულოდ ლამაზია, ამიტომ მისი სიყვარულის უარმყოფელი ცოდვა სიკეთისა და სილამაზის შეგნებული უარყოფაა და ამიტომ უსასრულოდ საზიზღარია და რადგან ღმერთი აბსოლუტური ყოფიერებაა, მაშინ ცოდვა – ღვთის სიყვარულის უარყოფა – აბსოლუტური არაყოფიერება, სრული სიცარიელე და ამაზრზენი არაფერია. სული არსებაა და როგორც არსებას, არ ძალუძს შეწყვიტოს არსებობა, მაგრამ ღვთისგან დაცარიელებული ცოდვილი სული სრულიად ცარიელი და გაყინულია, უნუგეშო და არაფრობით აღსავსეა.

არსებობს აზრი, რომ ჯოჯოხეთი ღვთის სასჯელია, ხოლო სამოთხე ჯილდოა, რომელიც უნდა მოვიპოვოთ. მაგრამ მოციქული პავლე სრულიად საპირისპიროს გვეუბნება: „სიკვდილი ცოდვის საფასურია, ქრისტეში მარადიული სიცოცხლე ღვთის წყალობაა“.

ჩვენ თავად ვიხდით თავს ჯოჯოხეთის ღირსად, თავად მოვითხოვთ მას ჩვენთვის და ღმერთს იძულებულს ვხდით, მოგვცეს, თუნდაც ძალიან არ უნდოდეს ის ჩვენთვის. ცხონებას კი სულაც არ ვიმსახურებთ, ღმერთი ნებით გვჩუქნის მას. ჯოჯოხეთი ჩვენი არჩევანია, სამოთხე კი – ღვთის საჩუქარი.

ჯოჯოხეთის ცეცხლიც კი სიყვარულის ცეცხლია. ჯოჯოხეთი ღვთის სიყვარულის ნაყოფია, – ამბობს დანტე. ჯოჯხეთშიც გრძელდება სიყვარული, მაგრამ მხოლოდ უიმედო. ვისაც ოდესმე განუცდია უპასუხო სიყვარული, მან ჯოჯოხეთის მსგავსება ამქვეყნად უკვე იგემა.

სამოთხე აღსრულებული და გამარჯვებული სიყვარულია, ჯოჯოხეთი კი შემცდარი და გადაგვარებული. „ქებათაქებაში“ წერია, რომ ეჭვიანობა ჯოჯოხეთივით საშინელია, და, მართლაც, ჯოჯოხეთი ეჭვიანობაა, უარყოფილი სიყვარულია. სამოთხე წმიდანთა თანამეგობრობაა, სიყვარულის ზეობაა ერთიანობაში, ჯოჯოხეთი კი მხოლოდ თვითიზოლაცია და მარტოობაა, ონტოლოგიური მარტოობა! ჯოჯოხეთის ცეცხლი ჰგავს იმ ვნების ცეცხლს, რომელსაც ჩვენში ეგოისტური სიყვარული, მანიაკალური ჟინი, ქვენა გრძნობა და ეჭვიანობა აღძრავს. ამასთან ჯოჯოხეთში არის აგრეთვე „მატერიალური“ ცეცხლიც, მაგრამ ჩვენ ჯერ არ ვიცით, როგორია ის. მაგრამ ჩვენ – ატომის ხანის ადამიანებს შეიძლება გვქონდეს მასზე მეტ-ნაკლები წარმოდგენა. მარადიული ცეცხლი, ალბათ, მატერიის მოლეკულური და ნუკლეარული დაშლის უწყვეტი მდგომარეობაა.

ღმერთი სიყვარული და გაერთიანებაა, და მისი სიყვარულია ის ძალა, რომელიც მატერიის მოლეკულურ ერთიანობასა და მდგრადობას უზრუნველყოფს. ჯოჯოხეთი კი მარადიული დაშლაა, დაგლეჯილი და დანაწევრებული მატერიაა, რომელიც თავის თავთან გამუდმებული ომის მდგომარეობაშია. ჯოჯოხეთი უსიყვარულობის უსასრულო ტკივილია.

სამოთხე

ღმერთმა სამოთხის კარებთან ცეცხლოვანი მახვილით აღჭურვილი ანგელოზი დააყენა და იმ დღიდან ყოველი მიწიერი სიხარული დარდით, შიშითა და სიმწრით არის გაზავებული. მას შემდეგ, რაც ადამიანი სამოთხიდან გამოაგდეს, უკან დაბრუნების იმედით იტანჯება. ბავშვობა, გაზაფხული, პირველი სიყვარულის ამბორი, უბიწო ცხოველები... ადამიანს ოდესღაც სამოთხეში ყოფნის სიტკბოს ახსენებს, მის ერთგვარ ნიშანს ატარებს.

მაგრამ სამოთხე არ მდებარეობს ტროპიკებში, როგორც კოლუმბი ფიქრობდა, და არც „ტროპიკულ სამოთხეებშია“, როგორც გვარწმუნებენ ტურისტული სააგენტოები. სამოთხე არ არის არც ფლორიდაში, და არც მაიამი ბიჩიზე, არამედ გოლგოთაზეა.

იესოსთან ერთად ჯვარცმულმა ყაჩაღმა სთხოვა უფალს მის სამეფოში მოეხსენებინა: „იესო, გამიხსენე, როცა შენს სასუფეველში მიხვალ!“ „დღესვე ჩემთან იქნები სამოთხეში!“ იესომ სიტყვა „სამოთხით“ უპასუხა, რითაც იმის თქმა უნდოდა, რომ იმ მომენტში თავისი სიკვდილით, ადამიანებისთვის სამოთხის კარებს ისევ აღებდა. ეს სულაც არ იყო მეტაფორა, რამეთუ

მას, ვინც ჯვარზე გაკრული სიკვდილს ელოდება და მეორე ჯვარცმულს ელაპარაკება, მეტა-ფორისთვის სულაც არ სცხელა. მან, ვინც ქრისტესავით, თავისი ჯვარი გოლგოთაზე აიტანა, ზუსტად იცის, რომ ეს სიტყვათა თამაში არ იყო.

იმ წუთიდან სამოთხის კარები ღიაა ადამიანებისთვის, მაგრამ მისკენ მიმავალი გზა გადის არა სიამოვნებასა და კომფორტზე, არამედ ტანჯვაზე. სამოთხე ღმერთში გაერთიანებაა. ეს კი, ქრისტესმიერი სიყვარულით, ეგოიზმის კლანჭებისაგან ჩვენი სულის გათავისუფლების, სიყ-ვარულადქცევის ტანჯვით აღსავსე გზაა. სწორედ ესაა ყოველი ჩვენგანის გოლგოთას გზა, რომ-ლის ღირსეულად გავლის შემდეგ გვეძლევა უფლება, მშვიდად შევიდეთ ქრისტეს მიერ გაღე-ბულ სამოთხის კარებში. დიახ, ეს გზა უსაშველოდ მძიმეა, სამაგიეროდ, ნებისყოფის დაძაბვა და ღმერთთან შერიგების სურვილიც კი დედამიწას ჩვენთვის ისევ ედემის ბაღად გადააქცევს. იქ, სადაც ის და ჩვენ ერთად ვართ, სამოთხეა. დაბრუნება კი ჩვენი შერიგებისთვის ბრწყინვალე ასპარეზია. ვარსკვლავებით მოჭედილი ცა, ცისფერი მთები და აყვავებული ვაშლის ხეები მის სიყვარულზე გვეჩურჩულებიან.

თუ ჩვენ ღვთის სიყვარულში ვცოცხლობთ, ბუნება ჩვენსა და ღმერთს შორის შუამავალი ხდება და თავს დაცულად ვგრძნობთ ყოველგვარი ბოროტისაგან, როგორც ადამი სამოთხეში. ღმერთთან თანაარსებობის გარეშე ადამიანი საშიშროებათა ალყაშია მოქცეული და გამუდმე-ბით შეგრძნება აქვს, რომ ახრჩობენ, კბენენ, ანაწევრებენ, ჭეჭყავენ, სცემენ. მაგრამ თუ ჩვენ ღვთის სიყვარულში ვცოცხლობთ, ზუსტად ვიცით, რომ მისი ნების გარეშე ხიდან ფოთოლიც კი არ ცვივა, რომ ყოველი ღერი თმა ჩვენს თავზე დათვლილია და რომ ვერც ერთ ქმნილებას, მისი კურთხევის გარეშე, ჩვენთვის ზიანის მოყენება არ შეუძლია.

ღმერთში გაცისკროვნებული ადამიანისთვის ყველაფერი განსაკუთრებული, ნათლით არის შემოსილი და ყოველდღიური ცხოვრების დეტალებიდან სიხარულის წყარო ამოჩქეფს. მისი ცხ-ოვრების ყოველი წუთი ბედნიერებას ასხივებს და რასაც უნდა მოჰკიდოს ხელი, ყველაფერი სიყვარულად გარდაიქმნება. სამოთხე სიყვარულია. ვინც ოდესმე შეყვარებული ყოფილა, ცოტა ხნით უკვე ნამყოფია სამოთხეში. ვინც ღვთის სიყვარულით ცოცხლობს, გამუდმებით სამოთხ-ეშია.

დიახ, ადამიანური სიყვარული მარადისობის სუსტი ანარეკლია. სისუსტე მის წარმავლობა-შია. და მაინც მასში ღვთიური სიყვარული აისახება, რომლის სიდიადე მარადიულობაშია. ღვ-თის სიყვარული მარადიული აწმყოა, რომელიც არასოდეს დასრულდება. ადამიანური სიყვარ-ული წარმავალი მარადისობაა, ღვთიური სიყვარული კი – მარადიული წარმავლობა, რამეთუ ღვთის მარადისობა არ არის რაიმე სტატიკური, არამედ ყველა სიცოცხლისა და ყოველი მოძ-რაობის წყაროა.

როგორც ბერგსონი ამბობს, ადამიანურმა სიყვარულმა ენა მისტიკური სიყვარულისგან აიდგა და არა – პირიქით: მისტიკურ სიყვარულს არ უსესხებია ენა ადამიანურისგან.

დღეს ბევრი ოჯახი ინგრევა, რამეთუ ოჯახი მისტიკური სიყვარულივით აღიქმება. თანა-მედროვე გოგონა თითქმის იმავე იმედებით ქორწინდება, როგორითაც მონაზონი მიდის მონ-ასტერში. ჩვენი პარტნიორისგან მოველით სასწაულებს, თითქოს ის ღმერთი იყოს და ოჯახუ-რი ცხოვრება კი ედემის ბაღი, სასუფეველი, სადაც ყველა ჩვენი ოცნებაა სრულდება. მაგრამ ადამიანში მარადიული სიყვარულის უსასრულო წყურვილის მოკვლა არავის ძალუძს, ღმერთის გარდა.

ულევი წყარო

ბუნება თავისი არსით რელიგიაა. ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ლოცვაა და პეიზაჟი – გა-ლობა. ყოველი ქმნილება შემოქმედს სიყვარულის ჰიმნს უმღერის. მთელი სამყარო ელოდება გაერთიანებას ღმერთში, რომლისგან გამოვიდა.

ღვთისგან დაშორებული ყოველი სულიერი თუ უსულო გაფანტულია სამყაროში და ამიტომ მსგავსისკენ მიისწრაფვის. სიყვარულის კანონი სამყაროს ერთადერთი ფიზიკური, ბიოლოგიუ-რი და ასევე, ერთადერთი მორალური კანონიცაა: „ახალ მცნებას გაძლევთ თქვენ: გიყვარდეთ ერთმანეთი, როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ“.

ადამიანთა ყველა ბუნებრივი მოთხოვნილება: ჭამა, სიყვარული, მეგობრობა – პრინციპში, ერთი მთავარი მისწრაფებიდან გამომდინარეობს: ერთმანეთთან და მთელ სამყაროსთან გაერთიანების სურვილიდან. მაგრამ ეს კოსმიური ზიარება მხოლოდ ქრისტეშია განხორციელებადი. როგორც ქრისტე მამასთან, ჩვენც ღმერთში დავბრუნდებით. ამ კოსმოსურ უკან დაბრუნებაზე მიგვანიშნებდა უფალი უძღები შვილის იგავში.

ჩვენ ღვთის წიაღიდან გამოვედით, რასაც შეზრდილი ვიყავით, როგორც ემბრიონი დედის საშოს და გვენატრება უფალთან ისევ შეხვედრა, როგორც პატარა ბავშვს მშობელი დედის ჩახუტება. და სანამ ეს მოხდება, გამუდმებით ვეძახით უფალს, როგორც დაკარგული ხბო უხმობს დედას და როგორც ძროხა ბღავის ნაშიერის ძიებაში. უფლის სიყვარული ჩვენ ისევე მაგნიტივით გვიზიდავს, როგორც თევზებს ბადემომარჯვებული მეთევზის ჩირაღდნის შუქი ზღვის ზედაპირისკენ.

სული შეყვარებული იბადება და თვალის გახელისთანავე ყველგან მის ანარეკლს ხედავს, მაგრამ თავად შეყვარებულს – ვერა. ამიტომ იზიდავს სიგიჟემდე ყველაფერი მიწიერი. ღვთის ყოველი ქმნილება ღმერთს აგონებს. მაგრამ ყოველ მათგანში ასევე დაფარულია იმედგაცრუება. ქმნილებაში არაფერია საზიზღარი. არის მხოლოდ სილამაზის, ღვთის ანარეკლის ფარდობითი ნაკლებობა ან უქონლობა. ღვთის ყოველი ქმნილება მეტ-ნაკლები ინტენსივობითაა სილამაზით შემოსილი, ასხივებს მას, მაგრამ მაინც ბინდი დაჰკრავს, რადგან არ არის სრულყოფილი. ღვთის სილამაზე კი ყველა მიწიერი მშვენიერების აბსოლუტური კონცენტრაციაა, მისგან მომდინარეობს, როგორც ულევი წყაროდან. მიწიერმა სიხარულმა და სილამაზემ ღმერთამდე უნდა აგვიყვანოს, ყველა სიხარულისა და სილამაზის დასაბამამდე.

ღმერთია ის ნათელი, რომელიც აბრწყინებს ქმნილებას. ამიტომაც, როცა ადამიანი ღვთის მისტიკურ ხედვას ეღირსება, მისთვის ხილული ფერები უეცრად მკრთალდება.

ბავშვების სიცილი, მრავალფეროვანი ყვავილები, თევზები და ცას მომწყდარი ვარსკვლავები ღვთის სილამაზის წარმავალი გამოვლინებებია. ისინი ვერც კი ასწრებენ ღვთის წიაღიდან გამოსვლას, რომ ისევ უკან უნდა დაბრუნდნენ. მაშ, რატომ გვაჯადოებს ასე მიწიერი სილამაზე და რატომ არ ვეძებთ მის ნამდვილ წყაროს?

ყოველი ცოცხალი თუ უსულო არსება რეალურად მხოლოდ ღმერთში არსებობს. და რასაც ჩვენ ვხედავთ, სინამდვილეში საგანთა მხოლოდ ჩრდილია. ჩვენი ყოფა ისევე შორსაა ღვთაებრივი რეალობისგან, როგორც ფოტოსურათი მასზე ასახულ სინამდვილესთან.

პეპელა, თოვლი, მთები – ლურჯი ზღვა, მომხიბლავი ადამიანი, ყელმოღერებული გედი, უზარმაზარი პალმების ქვეშ ბინდში მუქლურჯად შეფერილი ტროპიკული მდინარე... ყველაფერი ერთადერთი რეალური სილამაზის – ღვთის ანარეკლებია, რომელიც მასში აბსოლუტური სრულყოფილებით არსებობს. დედამიწაზე ყველაფერი შეზღუდული, სასრული, შემთხვევითი და პერსონალურია. ღმერთში იგივე პეპელა, თოვლი და მთები, იმისი პროტოტიპები, რასაც ჩვენ ამქვეყნად ვხედავთ, კონცენტრირებულია ერთ უსასრულო სილამაზედ.

როგორი იქნება ღვთის ჭეშმარიტი სილამაზე ყოველგვარი ფარდის გარეშე – არა მატერიაში არეკლილი, არამედ თავის არსში კონცენტრირებული? ამას ჩვენ მხოლოდ მარადისობაში ვნახავთ. მაგრამ ერთი კია, რომ ყველაფერს, რაც აქ გვხიბლავდა, იქ ისევ ვიხილავთ: ზღვას, თოვლს და გედს, მაგრამ არა ისეთს, როგორც ჩვენი გრძნობის ორგანოები წარმოგვისახავდნენ, არამედ ერთარსში შეჯამებულად და კონცენტრირებულად და ამ უმშვენიერესი თაიგულის განუყოფელი ნაწილი თავად ჩვენც ვიქნებით.

ზუსტად ეს არის ქვეყნიერების წიგნიდან გადმოცვენილი ფურცლები, რომლებზეც დანტე უკანასკნელ სიმღერაში საუბრობს, რომლებსაც სიყვარული შეაგროვებს და ისევ ერთადერთ წიგნად აკინძავს.

მაღლა ღრუბლებში მფრინავ თვითმფრინავს, ავტობანზე მოსრიალე ავტომობილს, ტყეს, ყვავილებს, გოგონას და „ღვთაებრივ კომედიას“ – ყველაფერს თავისი მარადიული არსებობა აქვს. მაგრამ ღმერთში ისინი არ იქნებიან ცალკე და ინდივიდუალურად, როგორც ამქვეყნად, სადაც ყველაფერი დანაწევრებულია. ყვავილი, სიყვარული, ლექსი, სიმღერა... ღმერთში ერთიან უსასრულო წმიდა აქტად გადაიქცევა, როგორც შეჯამება და სინთეზი. მაგრამ ჯერ ყველაფერი უნდა მოკვდეს, სანამ თავის პირველწყაროს დაუბრუნდება, სანამ პერსონალურად შეუერთდება ყველა ცოცხალისა და არაცოცხალის ერთიანობას – ღმერთს. ყველაფერი უკან

უნდა მოვიტოვოთ – თვით საკუთარი მეც, რომ დავუბრუნდეთ იმას, რისი ორგანული ნაწილიც ვართ. მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენს თავს მოვუკვდებით, აღმოვაჩენთ ჩვენს იდენტურობას, რომელიც არა მხოლოდ ჩვენში, არამედ ყველაფერშია. ჩვენი ცენტრი არის ღმერთი, რომელიც იმავდროულად, სხვა ყველაფრის ცენტრიცაა. ღვთის მთლიან ქმნილებასთან თანხმობის პოვნა, მასთან გაერთიანება და მათთვის თავის მიძღვნა არის საკუთარი თავის პოვნა. თავის დაკარგვა არის მისი ისევ აღმოჩენა. „ვისაც სურს თავისი სული გადაარჩინოს, ის დაღუპავს მას, ხოლო ვინც ჩემი გულისთვის დაღუპავს სულს, ის მოიპოვებს მას“.

ჩვენი „მე“ მარტოობაა და ვინც უარს ამბობს ტანჯვასა და სიკვდილზე, ვისაც არ უნდა თავი მსხვერპლად შესწიროს, ის ქმნილების ერთიანობის გარეთ, ღვთის გარეთ დარჩება. „თუ ხორბლის მარცვალი არ მოკვდება, დარჩება მარტო...“

ღვთის თითის ანაბეჭდი

ქმნილებათა აღნაგობა ღვთის პერსონალობას ისევე წარმოაჩენს, როგორც ხელოვნების ნაწარმოები მის ავტორს.

მთელ ბუნებაზე ღვთის თითია აღბეჭდილი, როგორც სასაქონლო ნიშანი: ნიჟარისა თუ ზებრას ზოლები, ხის გადანაჭერზე წელიწადის რგოლები, გამშრალი ფოთლის ძარღვები, პეპლის ფრთებზე ფერთა კოლაჟი, კომეტის ცეცხლოვანი კვალი, იის ფურცლების უჯრედები, ატომისა და გალაქტიკების სტრუქტურები...

ქმნილებათა ყოველ დეტალში დიადი ხელოვანის ხელწერა ჩანს. მთელი სამყარო წარმოგვიდგება, როგორც მრავალფეროვნება ერთიანობაში. ყველაფერი ერთდროულად განსხვავებულიცაა და მსგავსიც. ყოველ არსებას აქვს თავისებური სახე და იერი, განუმეორებლობა, მაგრამ იმავდროულად, არსებობს მილიონობით მსგავსი პატარა ჭიანჭველა თუ უზარმაზარი ვარსკვლავი.

ყოველ არსებას აქვს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ზოლი, ლაქა, ნაოჭი, ძარღვი: მუხლუხოსა თუ თიხის დოქს, ქამელეონსა თუ პაულ კლეეს ნახატებს, სპარსულ ხალიჩას, ზღვის ქაფს, სტალაქტიტებსა, აქატის მოლიცლიცე მარცვლებს, ხეს, მარმარილოს, ფორამინი ფარების ნიჟარებსა თუ რადიოლარიების ჩონჩხებს...

ყველაფერი ღვთის თითის ანაბეჭდს ატარებს, რომელიც ჩვენი თითებივით თითქოს ერთმანეთს ჰგავს და ამავე დროს, განსხვავებულიცაა. ეს არის სწორედ სამების ბეჭედი, ერთი ღმერთის, რომელიც სამია და ასევე ერთია – უსასრულო მრავალფეროვნება მსგავსებაში და უსასრულო მსგავსება მრავალფეროვნებაში. როგორც ღმერთი, სამყაროს შემოქმედი, ყოველი ქმნილება – გალაქტიკიდან დაწყებული და ელექტრონით დამთავრებული, ერთდროულად ერთიც არის და მრავალიც. არ არსებობს ორი ერთნაირი მუხლუხო ან ატომი, ორი მსგავსი ვარსკვლავი, თუმცა ღამის ცაზე ასე გვეჩვენება. და მაინც ყველაფერი იდენტურია.

პოეზია სხვა არაფერია, თუ არა ამ ღვთაებრივი მისტერიის აღმოჩენა. ყოველი ლექსი ამ იდუმალების ამოხსნის მცდელობაა. პოეზია იმის შეგრძნებაა, რომ ღვთის ყველა, ასე მრავალფეროვანი ქმნილება, საბოლოო ჯამში, მაინც მსგავსია. ღვთის წვდომის წყურვილი ხელოვანის შემოქმედებაში მეტაფორის ტრიუმფად გადაიქცევა: „აჰა, მშვენიერი ხარ, სატრფოვ ჩემო, აჰა, მშვენიერი ხარ! შენი თვალები ორი მტრედია შენი პირბადის ქვეშ; შენი თმა არვეა თხათა, გილყადის მთიდან დაშვებული. შენი კბილები გაპარსული ცხვარია, საბანელით მომავალი, თითოეული ტყუპ-ტყუპად მსხმელი და ბერწი არ არის მათ შორის. შენი ბაგეები ძოწის ძაფივითაა, და შენი პირი – საამური. შენი ღაწვები ბროწეულის ლებნებია შენი პირბადის ქვეშ. შენი ყელი დავითის გოდოლია, აგებული საჭურველთათვის, ათასი ფარი ჰკიდია მასზე, ძლევამოსილთა ყველა ფარი. ორი ძუძუ შენი ორი თიკანია ნიამორისა, მარჩბივი, მძოვარი შროშანთა შორის. ვიდრეღა სუნთქავს დღე და იძვრიან ჩრდილები, ავალმურის მთაზე და გუნდრუკის ბორცვზე. ყოვლად მშვენიერი ხარ, სატრფოვ ჩემო, და ბიწი არ არის შენში“ (ქებათაქება 4, 1-7).

დიდება

ადამიანებს გვსურს, რომ მეტ-ნაკლებად ცნობილნი ვიყოთ საზოგადოებაში. ჭიანჭველა კი ხალისით შრომობს თავისთვის და კმაყოფილია ღვთისგან მისთვის განსაზღვრული სამყაროს მცირე ნაგლეჯით. ის არ ითხოვს აპლოდისმენტებს, ბედნიერია თავისი ანონიმურობით და არსებობის იმ ფორმით, რომელიც უფალმა განუსაზღვრა. ღმერთი მას იცნობს და ეს მისთვის საკმარისია. ჩვენ კი თავს ბედისაგან დაჩაგრულად ვგრძნობთ, თუ ჩვენი ცხოვრება შეუმჩნევლად მიმდინარეობს, თუ ვერ მივაღწიეთ იმას, რომ სახელგანთქმული და ცნობილი ვიყოთ, მაშინ გვგონია, თითქოს არც ვარსებობთ.

უნატიფესი ძაფების მქსოველობასაც არაფერში სჭირდება პოპულარობა; უმშვენიერესი ფრთებით შემოსილი პეპელა ავტოგრაფებს არ არიგებს; ვირგინიული სკვინჩა ულამაზესი ტყეების ლადშაფტებში ეძებს სამალავს ყოველგვარი ყურადღებისგან თავდასაცავად; გარეული კურდღელი სოროში იმალება და თავისი პატარა ცხოვრებით კმაყოფილია.

თუ გვიცნობენ და პატივს გვცემენ, ვგრძნობთ, რომ ვარსებობთ, როცა აღარავინ გვამჩნევს, თავი აჩრდილი გვგონია. ამიტომ ჩვენი მისწრაფება პოპულარობისკენ ერთგვარად გასაგებია.

ზეციური დიდება და პატივიც ამქვეყნიურის მსგავსია: ეს ნიშნავს, იყო ცნობილი. მაგრამ ადამიანური დიდება ცრუდიდებაა, ცრუპატივია, რამეთუ ჩვენი განმადიდებლები არაფრით განსხვავდებიან ჩვენგან. მათ აზრს ჩვენი ჭეშმარიტი ყოფიერებისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. და თუ შეუმჩნეველი და უბრალო ცხოვრებით ვცხოვრობთ, არაფრით ვართ ნაკლები ან მეტი მათზე, ვინც დიდება მენეჯერთა გაქნილობითა და მოხერხებულობით მოიპოვა, ვისი სურათებიც ჟურნალ-გაზეთების ყდებზეა გამოჭიმული და მათი ცხოვრების დეტალებზე რადიო და ტელევიზია ჭორაობს.

ჩვენი ნამდვილი არსებობა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, გვიცნობს თუ არა ღმერთი, და რაც უფრო მეტად გვიცნობს ის, მით მეტია ჩვენში პიროვნულობა. თუ ღმერთი არ გვიცნობს, ესე იგი, აღარ ვარსებობთ. ღმერთი ყველაფერს იცნობს, ბოროტის გარდა, რამეთუ იგი უსასრულო სიკეთე და უბიწოებაა. ამიტომ ამბობენ წმიდა მამები: „მე ვარ მხოლოდ ის, რაც ღვთისგან ვარ“. ქრისტესგან ვიცით, რომ ადამიანებს, რომლებიც ცათა სასუფეველში არ იქნებიან მიღებულნი, შემდეგი სიტყვებით გამოისტუმრებენ: „მე არასოდეს გიცნობდით თქვენ, გამშორდით, ურჯულოების მოქმედნო“ (მათე. 7, 23).

ჩვენ იმიტომ ვესწრაფით პატივსა და დიდებას, რომ ვგრძნობთ სიცარიელესა და ბნელს ჩვენში. თუ სხვა ადამიანების თვალში არ გვაქვს რაიმე ძალაუფლება და ადგილი, მივიჩნევთ, რომ საერთოდ აღარ ვარსებობთ. ჩვენ იმდენად დავშორდით უფალს, რომ ჩვენი შინაგანი სიცარიელის გარეგნული ეფექტებით კომპენსაციას ვცდილობთ. მაგრამ გარეგნული პატივს და ადამიანურ დიდებას არ ძალუძს ჩვენთვის უკვდავების მინიჭება, რამეთუ ყველაფერი ეს ისეთივე წარმავალია, როგორც თავად ვართ. და რამდენიც არ უნდა ამტკიცონ სხვებმა, რომ ჩვენი სახელი უკვდავია, ისინი ამ საკითხს არ წყვეტენ. ეს მხოლოდ ღმერთს ძალუძს. უღმერთოდ მხოლოდ აჩრდილები ვართ და ჩვენი მიწიერი დიდება სხვა აჩრდილთა მიერ არის კონსტრუირებული. ის ზეციური დიდების უბადრუკი მსგავსებაა. ჩვენ აქ მხოლოდ აჩრდილთა აჩრდილები ვართ.

მარადიული ცხოვრებაც ნიშნავს იყო ცნობილი. „მე გიცნობთ თქვენ, როგორც მე მიცნო მამამ“. ზეცა ხილვა, მზერა და ცქერაა. „ჩვენი ჯილდო ხილვა იქნება“, – ამბობს ნეტარი ავგუსტინე. ამიტომ ხილვა (რაც ნიშნავს მიღებას), გაგება და აღქმა არის ღმერთში გაერთიანება. სწორედ ეს არის შემეცნება ბიბლიური გაგებით.

როგორც ახლა გრძნობის ორგანოთა საშუალებით ვხედავთ და აღვიქვამთ გარე სამყაროს, ზუსტად ასევე, სულიერი ხილვის ძალით შევიცნობთ ღმერთს. „ვიცით, რომ როცა ის მოვა, როცა უფალს ვიხილავთ, ჩვენ მისი მსგავსნი ვიქნებით“. ადამიანი ბუნებით მიმბაძველია, ამიტომ მისი ხილვა ნიშნავს მის მიბაძვას. სული, რომელიც ღმერთს იხილავს, თავად არის ღმერთი. მარადისობის მსვლელობის პროცესში ჩვენ სულ უფრო და უფრო დავემსგავსებით მას.

სული სარკეს ჰგავს, რომელიც თავისთავად მხოლოდ მინის ნატეხია და არაფერს წარმოადგენს, სანამ მომღიმარი სილამაზე მასში არ ჩაიხედავს. სულის სილამაზე ღვთის სილამაზეა, რომელსაც ის სარკესავით აირეკლავს. სული ღვთის გარეშე ცარიელ სარკეს ჰგავს, რომელზეც არაფერია გამოსახული, ანუ არარაობაა.

ადამიანის წყურვილი, იცოდეს მეტი და გამოკვლიოს სამყარო, სინამდვილეში ღვთის შეცნობის წყურვილია, სულის სარკის ღვთის სილამაზით შევსების მისწრაფებაა. ჩვენ ყველაფერში ღვთის შეცნობას ვცდილობთ: მოგზაურობაში, მეცნიერებაში, წიგნებში, სიყვარულში. ბერებიც იმიტომ მოსაგრეობენ, რომ ღვთის შეცნობისა და წვდომის წყურვილის დაკმაყოფილება სურთ.

მაგრამ მარადისობაში ჩვენ არამარტო რეალობის შეზღუდულობას გავაცნობიერებთ, არამედ სრულ ჭეშმარიტებას შევიცნობთ ბიბლიური გაგებით, ღმერთში სიყვარულით გაერთიანების გზით.

სესარვალიემ ხომ ამაზე ერთხელ თქვა: „რაც აქ კოცნა დაგვაკლდა, სანაცვლოდ, იქ გვეამბორებიან“.

თარგმნა
ბერმა ერმოლაოსმა

ჯალალ ედ-დინ რუმი

არსთა მესნევი

მე-13 საუკუნის დიდი სპარსელი მისტიკოსი პოეტის ჯალალ ედ-დინ რუმის ექვსნაწილიანი პოემა „არსთა მესნევი“ ერთი ისეთი ნაწარმოებია, რომელიც მსოფლიოს თითქმის ყველა კულტურული ერის ენაზეა თარგმნილი და ამა თუ იმ ერის კულტურულობა სწორედ მისი თარგმანითაც გაისაზღვრება. „არსთა მესნევის“ სამართლიანად უწოდებენ „სუფიზმის ენციკლოპედიას“, რადგან მასში „მოულავიას ორდენის“ პოსტულატების საფუძველზე მთლიანად მუსლიმური მისტიციზმის არსია მოცემული. პოემა „მესნევის“ ფორმით დაწერილი თხზულებაა. აღმოსავლური სალექსო ფორმა „მესნევი“ ანუ „წყვილეული“, „მრჩობლედი“ ორ ერთმანეთთან გარითმულ სტრიქონს წარმოადგენს, რომელსაც ბეითი (სტროფი) ეწოდება.

გიორგი ლობჟანიძე მუშაობს ამ პოემის ქართულ თარგმანზე, რომელიც მას ირანულმა „შამს-ე თაბრიზმის ფონდმა“ (ჯალალ ედ-დინ რუმის მემკვიდრეობის შემსწავლელმა საზოგადოებამ) დაუკვეთა. დამკვეთის მოთხოვნით, თარგმანი სიტყვასიტყვითი, ფილოლოგიური პწკარედია, რომელსაც თან ახლავს მხოლოდ ტექსტის გასაგებად საჭირო კომენტარი. პოემის სამი „დაფთარის“ (რევულის, ნაწილის, წიგნის) თარგმანი უკვე დასრულებულია; მათი გამოცემა წელს დაიწყება და ეტაპობრივად გაგრძელდება. ეტაპობრივად მანამდე ექსკლუზიურად „აფრის“ მკითხველს ვთავაზობთ პირველი წიგნის დასაწყისის საკმაოდ მოზრდილ ფრაგმენტს.

დასაწყისი

სახელითა ალაჰისა, მოწყალისა, მწყალობლისა

1. ყური დაუგდე ამ ნაის[1] ხმას, როდესაც ჩივის,
განშორებათა ამბავს ჰყვება გულდათუთქული:

2. ლერწმიანიდან რაც ჩამომჭრეს, იმის შემდგომად,
ჩემს ყრუ ქვითინში კვნესის ყველა ქალი და კაცი.

3. გული მწადია განშორებით ნაფლეთ-ნაფლეთი,
რათა გამოვთქვა მონატრების ტკივილის დარდი.

4. ყოველი, ვინაც განეშორა საკუთარ საწყისს,
მთელი ცხოვრება ისევ ისე შერწყმას მიელტვის.

[1] ნაი (სპარს. 1. ლერწამი; 2. ლერწმისაგან გამოთლილი ჩასაბერი საკრავი, სალამურის ტიპისა) ამ სიტყვის უთარგმნელად დატოვება ორი მიზეზის გამო გადავწყვიტეთ: ა) „ვეფხისტყაოსანის“ ფრაზა „მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მე ნა რხეული“ ყველა ქართველისათვის ცნობილია და ვიცით, ისიც, თუ რას ნიშნავს აქ „ნა“. ბ) ნაი სუფიურ ტერმინოლოგიაში გამოიყენება, როგორც სიმბოლო ადამიანისა ღვთის ხელში. იმისათვის, რომ ნაიმ ხმა გამოსცეს, შიგანი უნდა ამოცლილი და გასუფთავებული ჰქონდეს. მისი კვნესა კი სინამდვილეში სულის ჩამბერის სუნთქვაა. „მესნევის“ კომენტატორთა აზრით, სწორედ ეს იგულისხმება პოემის პირველივე ფრაზაში. ჩვენებითი ნაცვალსახელით „ეს” („ამ ნაის“) კი რუმი საკუთარ თავს გულისხმობს. არსებობს ფრაზის სხვაგვარი ინტერპრეტაციაც. კერძოდ, „მესნევის“ ადრეული კომენტატორები სპარსულ სიტყვას ني კითხულობდნენ არა როგორც „ნაი“-ს, არამედ როგორც „ნეი“-ს და აცხადებდნენ, რომ ეს არის უარყოფის ნაწილაკი: „არა“ „არაფერი“. აქედან გამომდინარე, „მესნევის“ ფრაზას ეძლეოდა შემდეგი ინტერპრეტაცია: „რადგან ადამიანი ღვთის გარეშე არარაა, ამიტომაც ჯალალ ედ-დინ რუმი თავის თავს „ნაიდ“ – არაფრად, არარად მოიხსენიებს“ (შაჰიდი, ტ. I, გვ. 56). ეს ინტერპრეტაცია ფორუზანფარს ნაძალადევი და უმართებულო ეჩვენება. ფორუზანფარის აზრით, ბეითის პირველი მისრა სწორედ იმ ჰადისის ალუზიაა, რომელსაც რუმი სამოციქულო ჰადისად მიიჩნევდა: „მორწმუნის იგავი ჰგავს ლერწმის იგავს, არ ექნება მას საამური ხმა, ვიდრე არ ამოივსება მისი შიგანი“. ეს ფრაზა, რომელიც ალ-ღაზალის მიხედვით, აბუ ტალიბ ალ-მაქის ეკუთვნის, (ფორუზანფარი, „აჰადის ალ-მასნავი“, გვ. 222) „არსთა მესნევის“ მეექვსე წიგნშიც გაიელვებს.

5. მე ყოველ ჯგუფთან დარდით მკვნესად გადავიქეცი,
კარგად მყოფთა და ავად მყოფთა ცალად ვიქეცი.

6. ყოველი ჩემი სატრფო გახდა გუმანით თვისით,
არ უძებნია ჩემს შიგნით ჩემი საიდუმლონი.

7. ჩემი კვნესისგან შორს როდია ეს საიდუმლო,
მაგრამ თვალს და ყურს ის სინათლე არ გააჩნია.

8. ტანისგან სული არ იფარვის, სულისგან ტანი,
მაგრამ არავის აბადია სულისა თვალი.

9. ცეცხლია ნაის ეს ძახილი, არ არის ქარი,
ვისაც ეს ცეცხლი არა აქვს, ის ნურცა ყოფილა.

10. ტრფობის ცეცხლია, ნაის შიგნით რომ ჩავარდნილა,
ტრფობის დუღილი ჩავარდნილა მაჭარ ღვინოშიც.

11. ნაი, ვინც სატრფოს მოსწყდა, ყველას მეგობარია,
მისმა ჰანგებმა დაგვიფლითა ჩვენც საბურველი.

12. სხვას ვის უხილავს, ვით ნაის, შხამიც და შხამის მჯაბნიც,
ნაივით სხვას ვის უნახავს ნატრულიც, მონატრებულიც?!

13. ეს ნაი ჰყვება სისხლიანი სავალის ამბავს,
მაჯნუნის[1] ტრფობის ზღაპრებს ჰყვება, ათასფრად ლამბავს.

14. გონს მესაიდუმლე არ ჰყავს თვინიერ გონმიხდილისა,
ყურის თვინიერ არავინ არის ენის მუშტარი.

15. ჩვენს სადარდელში დღენი იქცნენ დაისად, მწუხრად,
ჩვენი დღეები დაემგზავრნენ წვასა და დაგვას.

16. დღენი თუ წავლენ, თქვი, აჰა, წადით, რამ შემაშინოს,
თუ შენ დამრჩები, სხვა რომ არვინ არს შენგვარად წმინდა.

17. ყველა დარწყულდა იმისი წყლით, გარდა თევზისა,
ვისაც დღიური სარჩო არ აქვს, მობეზრდა დღენი.

18. გამოცდილის ჰალს[2] ვერ გაიგებს ვერცერთი ხამი,
მაშასადამე, სიტყვა მოკლე უნდა და მორჩა!

19. ხლართის გამხსნელი იყავ, ვაჟო, თავისუფალი,
როდემდე გინდა, დარჩე ოქრო-ვერცხლის ხლართებში?

20. ზღვა რომ ჩაასხა კოკასა შიგან, რამდენი ჩავა?
მხოლოდ ერთი დღის საკმარისი თუ ჩაეტევა.

---

[1] მაჯნუნი – ლეგენდარული არაბი, უზრიელთა არაბული ტომიდან, ლეილის სატრფო, რომლის ტრფობაც მოგვიანო ხანის მუსლიმურ ლიტერატურაში ამაღლებული სიყვარულის ერთგვარ სიმბოლოდ იქცა.

[2] ჰალი – მისტიკოსის ექსტატიური მდგომარეობა მუსლიმურ მისტიციზმში.

21. ხარბების თვალის კოკა, ვერ იქნა, ვერ ამოივსო,
სანამ სადაფი არ დაოკდა, მარგალიტით არ ამოივსო.

22. ის, ვისაც ტრფობამ გადაუღეღა შესამოსელი,
სულ განიწმინდა სიხარბისა და ნაკლისაგან.

23. იხარე, ჩვენო სიყვარულო ტკბილნაღვლიანო,
მკურნალო ჩვენი ყოველგვარი სნეულებისა!

24. სალბუნო ჩვენი სინდისისა და ნამუსისა,
შენ - ჩვენო დიდო აფლატუნო[1] და ჯალინუსო![2]

25. ეს მიწიერი ტანი ტრფობისაგან ცარგვალზე აღხდა,
მთა აცეკვდა და სიხარულმა აატორტმანა.

26. და ტრფობა სულად შთაებერა სინას მთას, სატრფოვ,
სინას მთა დათვრა და მუსას წინ კრძალვით განერთხა.[3]

27. სულის ჩამდგმელის ბაგესთან თუ დავწყვილდებოდი,
მაშინ ხომ სათქმელს მეც ვიტყოდი, ვითარცა ნაი.

28. ვინც თანამზრახველს მოშორდა, ის მდუმარე დარჩა,
თუმც სამდურავი გააჩნია აღურიცხველი.

29. რაკიღა ვარდი წავიდა და ვარდნარი წახდა,
ბულბულისაგან ვერ ისმინოთ ამბავი მისი.

30. ყოველი – სატრფო, ხოლო მეტრფე საბურველია,
ცოცხალი არის სატრფო, მეტრფე კი არის მკვდარი[4].

31. თუ სიყვარული ყურადღებას აღარ მიაპყრობს,
მეტრფე უფრთო ჩიტს ემსგავსება, ვაი საცოდავს!

32. როგორღა მქონდეს გონი უწინ ან კიდევ შემდეგ,
როს არც უწინ, არც შემდგომ მახლავს სატრფოს ნათელი.[5]

33. ტრფობა სჭირდება, რომ ეს სიტყვა გამომზეურდეს,
სარკე ვით იყოს, თუ არ იქნა გამომსახველი?!

34. უწყ, შენი სარკე რად არ არის გამომსახველი? -
იმად, რომ პირზე ჟანგი არ აქვს მოცილებული.

---

[1] აფლატუნი (ფელატუნი) – ბერძენი ფილოსოფოსის პლატონის სახელის არაბიზებული ფორმა მუსლიმურ აღმოსავლეთში.

[2] ჯალინუსი, გალინუსი – ცნობილი ბერძენი ექიმისა და ფილოსოფოსის გალენოსის (131-210 ჩვ. წ. აღ.-მდე) მუსლიმურ სამყაროში მიღებული სახელი. ისლამური სამყარო გალინოსს (ჯალინუსს) მიიჩნევს მედიცინის ისტორიის 8 ყველაზე დახელოვნებულ ექიმთაგან უკანასკნელ ექიმად. 2) აღმოსავლურ პოეზიაში ის გამოყენებულია, როგორც ზედსართავი „დახელოვნებული, მცოდნე ექიმის“ ზოგადი მნიშვნელობით.

[3] ალუზია ყურანის 7:139 ფრაგმენტისა.

[4] ფორუზანფარის (მესნევის განმარტება, ტ. I, გვ. 36-37) თანახმად, ეს არის ალუზია ყურანის 55: 26 ფრაგმენტისა.

[5] ფორუზანფარის (მესნევის განმარტება, ტ. I, გვ. 37) თანახმად, ეს არის ალუზია ყურანის 57: 28 ფრაგმენტისა.

**აქა ამბავი სნეულ მხევალზე ხელმწიფის გამიჯნურებისა
და მისი ჯანმრთელობისათვის გაწეული გარჯისა**

35. ისმინეთ, ძმანო, ეს ამბავი, რადგან ხალასი
ჭეშმარიტება არის იგი ჩვენი ყოფისა.

36. ერთი ხელმწიფე იყო უწინ, გარდასულ დროში,
ქვეყნის სამეფოც მას ჰქონდა და რწმენის სამეფოც.

37. მოხდა ისე, რომ ერთხელ მეფე ცხენზე ამხედრდა
რჩეულთა თანა ნადირობის მიზნით გავიდა.

38. ერთი მხევალი დაინახა მთავარ შარაზე
და აჰა, მეფე იმა მხევლის მონა შეიქნა.

39. სულის ჩიტმა რომ გალიაში უწყო ფრთხიალი,
ფული მისცა და შეისყიდა მაშინ მხევალი.

40. როცა იყიდა და შეიქნა მისი მფლობელი,
ბედმა ინება, დასნეულდა უცებ მხევალი.

41. კაცს ვირი ჰყავდა, უნაგირი კი არ გააჩნდა,
რა უნაგირი მოიპოვა, მგელმა მოსტაცა ვირი.

42. კოკა ჰქონდა და წყალს ვერაფრით ვერ შოულობდა,
წყალი იშოვა, ამასობაში კოკა გაუტყდა.

43. მეფემ მკურნალნი შემოკრიბა მარჯვნივ და მარცხნივ,
უთხრა: „ხელთ თქვენ გაქვთ ახლა ორივ ჩვენგანის სული!

44. ჩემს სულს რა უშავს, ჩემი სულის სული ის არის,
მე სნეული და დაღლილი ვარ, სალბუნი კი ჩემი ის არის!

45. ვინაც განკურნავს ჩემს სულს, ერგოს დაუხარჯავი
განძი ჩემი, თვალმარგალიტი და ლალ-მარჯანი!“

46. ერთხმად მიუგეს: „აჰა, ჩვენ თავს არ დავიზოგავთ,
ცოდნას მოვუხმობთ და ერთმანეთს გავუზიარებთ.

47. ყველა ჩვენგანი ყოვლის მცოდნე არის მესია,
ჩვენი ხელიდან იკურნება სნება ყოველი.“

48. მაგრამ არ უთქვამთ: თუ ინებებს ღმერთიო, – ყოყოჩთ,
ჰოდა, უჩვენა ღმერთმაც კაცის უუნარობა![1]

49. თუ ღმერთსა ნებავს! – უთქმელობა სიფიცხედ მიჩანს
და უთქმელობა ამის არის ჭირთა შემყრელი.

50. თუმცა არ უთქვამს მრავალსაც, თუ ღმერთსა ნებავსო,
მაგრამ იმათი სული იყო ამ სიტყვის ცალი.

[1] ალუზია ყურანის ფრაგმენტის 18: 23-24

51. მათ კი რამდენიც არ უწამლეს, წამლისგან უფრო
ტანჯვამ იმატა და მცდელობა გამოდგა უქმი.

52. მხევალი იგი სნებისაგან თმის ღერს ემსგავსა,
ხელმწიფის თვალი დაემგვანა ნაკადულს ცრემლის.

53. ბედმა ინება, სერქანგაბინმა[1] ამრავლა ზისხა[2],
ნუშის ზეთმა კი – სიმშრალე და დაშაშრულობა.

54. ჰალილემ[3] კუჭში შეკრულობა გამოიწვია,
განქარდა შვება, ცეცხლს ნავთივით მოედო წყალი.

ბრძენთა უუნარობის გამჟღავნება მხევლის განსაკურნავად,
ხელმწიფისაგან უფლის ტაძრად მიშურება და სიზმრად ერთი ღვთისკაცის ნახვა.

55. როცა იხილა მეფემ ბრძენთა უუნარობა,
სრულ ფეხშიშველი გაეჩქარა მეჩეთისაკენ.

56. მივიდა მეჩეთს, გაემართა მიჰრაბისაკენ[4],
და სალოცავი მეფის ცრემლთა დენამ დაალტო.

57. ხოლო არყოფნის[5] მორევიდან როს გონს მოეგო,
ლოცვად და უფლის სადიდებლად მომართა ენა.

58. „შენი წყალობის საცავია ქვეყნის ქონება,
მე რა უნდა ვთქვა? – როს შენ იცი ზრახვა ფარული!

59. შენა ხარ ჩვენი გაჭირვების ნავსაყუდელი,
ჩვენ კვლავ დავკარგეთ გზა, არასწორ გზას დავადექით!

60. მაგრამ ხომ ბრძანე: „რაკი ვიცი საიდუმლო შენი, მაშ ჩქარა,
გამოამჟღავნე იგი, გამოააშკარავე!“

61. რადგანაც სულის სიღრმეთაგან იწყო ძახილი,
წყალობის ზღვამაც სწორედ ამად დაიწყო ღელვა.

62. ტირილ-ტირილში უცებ ძილმა წაართვა თავი,
სიზმრად იხილა, მიეახლა მავანი ფირი[6].

63. და უთხრა: „მეფევ, მოგიტანე სამახარობლო,
ხვალ თუ ყარიბი მოვიდა, ის ჩვენგან იქნება!

---

[1] სერქანგაბინი – ნაღვლისა და სანაღვლე გზების მკურნალობის ტრადიციული საშუალება შუა საუკუნეების მუსლიმურ აღმოსავლეთში, ძმრითა და სუფთა თაფლით დამზადებული.

[2] ზისხა – ნაღვლის წვენი.

[3] ჰალილე – ერთგვარი სასაქმებელი ზეთი.

[4] მიჰრაბი – სალოცავი ნიშა მეჩეთში.

[5] დედანშია „ფანა“ – არყოფნა, წაშლა, განადგურება. სუფიური ტერმინოლოგიით ეს ნიშნავს ადამიანის ღმერთში განზავებას, წაშლას.

[6] ფირი – სპარსულად ნიშნავს მოხუცსაც და ასევე მისტიკოსთა საძმოს მეთაურსაც, ზოგადად, მისტიკოსსაც.

64. მომსვლელი იგი გამოცდილი არის მკურნალი,
მართლად მიიღე, რაკი სანდოა და მართალი.

65. მის წამლობაში ჯადოქრობა იხილე სრული,
განკურნებაში – კი ღვთის დიდი ძალა იხილე!“

66. როცა დათქმული დრო მოვიდა ანუ გათენდა,
მზემ გადაბუგა ვარსკვლავები აღმოსავლეთით.

67. სადარბაზეში მომლოდინე იყო ხელმწიფე,
რათა ენახა ის, რაც საიდუმლოდ უჩვენეს.

68. იხილა კაცი დიდებული, შემკული ყოვლად,
მობრდღვიალებდა, ვითარცა მზე ჩრდილთა შუაში.

69. შორიდან ისე მოდიოდა, ვით სავსე მთვარე,
არყოფნაც იყო და ყოფნაც, ერთად წარმოსახული.

70. არყოფნა მისი წარმოსახვა იყო სულისა,
შენ ეს ქვეყანა წარმოსახვით წარმავლად სცანი.

71. წარმოსახვაა მათი[1] ომიც და მათი ზავიც,
წარმოსახვისა არის მათი პატივ-სირცხვილიც.

72. წარმოსახვანი, რაიც ღვთის ღვთისკაცთ უგიათ მახედ,
უფლის წალკოტის პირმთვარეთა ანარეკლია.

73. წარმოსახვა კი, რაც ხელმწიფემ სიზმრად იხილა,
სტუმრის სახეში საცნაურად იკვეთებოდა.

74. ეჯიბთა ნაცვლად წინ წამოდგა თვითონ ხელმწიფე,
თავის იდუმალ სტუმარს კრძალვით გამოეგება.

75. ორმა ზღვამ იცნო ერთმანეთი და ორი სული
დაუკერებლად ერთმანეთზე გადაეკერა.

76. უთხრა: „შენ იყავ სატრფო ჩემი და არა იგი,
მაგრამ ამქვეყნად საქმე სულ სხვა საქმით იწყება.

77. შენა ხარ ჩემი მოციქული[2], მე კი ვით ომარს[3],
შენს სამსახურად მომიხრია მორჩილად წელი!“

[1] კომენტატორთა თანახმად, აქ ნაცვალსახელოვანი სუფიქსი „ეშან“ – „მათი“ ადამიანებს გულისხმობს.
[2] იგულისხმება ისლამის ფუძემდებელი, მოციქული მუჰამადი (570-632)
[3] იგულისხმება ომარ იბნ ალ-ხატაბი (584-644), მეორე მართლმორწმუნე ხალიფა (634-644)

(მარჯვე შემთხვევათა გამგე უფლისაგან ყველა ვითარებაში ზრდილობის დაცვის შესაძლებლობის თხოვნა და უზრდელობის შედეგთა უდიდესი ზიანის განმარტება)

78. უფლისგან ვითხოვთ მოგვცეს ზრდილობის შესაძლებლობა,
უზრდელი არის მოწყვეტილი ღვთის სათნოებას.

79. უზრდელმა კაცმა არამხოლოდ თავს უქნა ავი,
არამედ ცეცხლი წაუკიდა ყველა ცისკიდეს.

80. ზეციდან ტაბლა ეშვებოდა ამ ქვეყნად დაბლა
ვაჭრობის, აღებ-მიცემობის, სიტყვის გარეშე.[1]

81. მუსას ხალხიდან რამდენიმე უზრდელმა კაცმა
კი განაცხადა: „ნიორი და ოსპი სად არის?!“

82. ამგვარად შეწყდა ტაბლა და პური ზეცით მოწვდილი
და დაგვრჩა მხოლოდ გარჯა, თესვა, თოხი და ცელი.

83. კვლავ, რადგან ისამ[2] იშუამდგომლა, ჭეშმარიტებამ
გამოაგზავნა ისევ ტაბლა და სიუხვე ხონჩით.

84. მაგრამ გადასცდნენ ზრდილობის გზას კვლავ უტიფარნი,
მათხოვრებივით ნარჩენები დაინარჩუნეს.

85. ჩივილი იწყო ისამ მათზე, „არის მარადი
(ეს თვითნებობა), არ მოიკლებს ამ ქვეყანაზე.

86. დაეჭვება და სიხარბე კი უმადურობა არის
ზეციდან ჩამოწვდილი ღვთიური ტაბლის.

87. იმ მათხოვართა მსგავსებს, უმადურთ სიხარბის გამო
დაეხშოთ სწორედ ის კარიბჭე მოწყალებისა.[3]

88. ზაქათის[4] წყვეტას თან ღრუბელი კი არ მოჰყვება,
სიძვით ედება შავი ჭირი კიდით კიდეებს.

89. რაც შეგემთხვევა, უსმართლობა თუ სადარდელი,
ღვთის უშიშრობით და უტიფრობით დაგემართება.

90. ვინც უშიშრობას დაიჩემებს სატრფოსკენ გზაზე,
კაცთა შარაგზის ყაჩაღი და არაკაცია.

91. ზრდილობისაგან ავსებულა ნათლით ცარგვალი,
ანგელოზი კი უმანკო და წმინდა გამხდარა.

---

[1] იგულისხმება ყურანის მე-5 სურაში მოთხრობილი ამბავი ზეციური მაგიდის, ტაბლის შესახებ.

[2] ისა იბნ მარიამი – (იესო, ძე მარიამისა) იესო ქრისტეს ყურანსა და მუსლიმურ აღმოსავლეთში გავრცელებული სახელი.

[3] ყურანის სიუჟეტი. შდრ: ყურანი, 2: 57-58.

[4] ზაქათი („განწმენდა“) – ისლამის რელიგიის ე. წ. „ხუთი ბურჯიდან“ ერთ-ერთი – აუცილებელი მოწყალება ღარიბი მუსლიმებისათვის.

92. მზის დაბნელება შეიქნება უზრდელობისგან,
ღმერთს აზაზელი[1] თავხედობამ ჩამოაცილა.

მეფის შეხვედრა იმ მეგობართან, ვინც სიზმრად ანახვეს

93. ხელი გაშალა და გვერდებზე შემოეხვია,
ვითარცა ტრფობა, შიგ სულსა და გულში ჩაიკრა.

94. კოცნა დაუწყო ხელებსა და შუბლზე ფერებით,
მისი ადგილის და გზის გამოკითხვას შეუდგა.

95. კითხვა-კითხვაში იზიდავდა, გულში იკრავდა,
ამბობდა: „ბოლოს მოთმინებით ვიპოვე განძი!“

96. რქვა: „ განმარტებავ ჭეშმარიტების, ცოდვის განმგდებო,
აზრო გამოთქმის: „თმენა ლხენის გასაღებია!“[2]

97. შენთან შეხვედრა პასუხია ყველა კითხვისა,
სიძნელე შენით გადაწყდება სიტყვის უთქმელად.

98. თარჯიმანი ხარ ყველაფრისა, რაც გვიძევს გულში,
ხელმოსაჭიდი ტალახს ფეხით ჩაჭედილისა.

99. სალამი შენდა, რჩეულო და უფლის სათნოო,
თუ გაგვიქრები, ბედი დაგვამხობს, სივრცე გვევიწროვება!

100. შენა ხარ მწყემსი ხალხისა, ვინც არ ასდევს ვნებას,
საპირისპირო იმისა, ვინც „თუ ხელს არ აიღებს“[3]

101. როცა დასრულდა მეჯლისი და პატივის სუფრა,
მოჰკიდა ხელი და შეიყვანა თავის ჰარემში[4].

ხელმწიფისაგან იმ მკურნალის სნეულთან მიყვანა მისი მდგომარეობის გასაგებად

102. წვრილად მოუყვა სნებისა და სნეულს ამბავს,
მერე სნეულის სასთუმალთან ჩამოაჯინა.

103. სახის და შარდის ფერი უნახა, უსინჯა მაჯა,
ნიშნებს შეხედა და მიზეზებს მიაყურადა.

104. თქვა: რაც წამალი მისცეს, არა – მაშენებელი,
არამედ ყველა დამანგრეველი გამოსდგომია.

105. ვერ შეუტყვიათ შინაგანის მდგომარეობა,
„საშველად ვუხმობ ალაჰს იმისგან, რასაც შეთხზავენ![5]

[1] აზაზელი – იგივე შაიტანი/შაითანი, ამპარტავნების ცოდვით დაცემული ანგელოზი.
[2] სამოციქულო ჰადისი, რომელიც შემდგომში ფრთიან გამოთქმად იქცა: „ას-საბრ მიფთაჰ ალ-ფარაჯ“.
[3] ყურანი 96:15.
[4] ჰარემი (არაბ. ჰარამ) – აკრძალული, საკრძალველი. იქ, სადაც უცხოთა, გარეშე პირთა, სუფიური კონოტაციით – არაგანდობილთა – შესვლა არ შეიძლება.
[5] ალუზია ყურანისა, იხ. ყურანი, 6:24.

106. იხილა ტანჯვა და დაფარული გამოუმჟღავნდა,
მაგრამ დამალა და სულთნისთვის არა უთქვამს რა.

107. მისი სნება არც ზაფრის[1] იყო და არც სევდისა,[2]
ყველა ხის სუნი კვამლისაგან გამომღავნდება!

108. კვნესით მიუხვდა, რომ ეს გულის წყლულისაგან სჭირდა,
სხეული მრთელი ჰქონდა, გულს კი ეჭირვებინა.

109. მიჯნური გულის წყლული ოხვრით გამომჟღავნდება,
სნებას გულისას სხვა რამ სნება ვერ ესწორება!

110. მეტრფის სახმილი სახმილთაგან ცალკე მდგომია,
ტრფობა ღმერთის საიდუმლოთა ასტროლაბია!

111. სიყვარული გინდ აქაური[3], გინდ იქაური[4],
საბოლოოდ, ჩვენ მაინც იქით წაგვიყოლიებს.

112. რაც არ უნდა ვთქვა სიყვარულის განსამარტავად,
როცა ტრფობამდე მივალ, ყველაფრის მომერიდება!

113. თუმც სიტყვიერი ახსნა სიცხადის შემომტანია,
მაგრამ უსიტყვო ტრფობა თვითონ უფრო ცხადია!

114. ოდეს კალამი წერად იყო ასწრაფებული,
როცა ტრფობამდე მიაღწია, თვით გადაიპო[5].

115. გონება ტრფობის ახნისას ლაფში ჩაეფლო ვით ვირი
სიყვარულის და ტრფობის ახსნა ისევ ტრფობამ გამოთქვა.

116. მზე თუ იქნება თვითონ მზეზე მანიშნებელი,
თუ ნიშანი გსურს, პირი მისგან არ მიიბრუნო!

117. თუმც მის ნიშანკვალს გვაძლევს ჩრდილი, მაგრამ ყოველწამს
მზე თვითონ სულის ნათელს გვაფენს დაუსრულებლად.

118. ჩრდილი ძილს მოგგვრის, როგორც ღამის ტკბილი ზღაპარი,
მზე რომ ამოვა, „მაშინ მთვარე გადაიპობა!“[6]

119. სხვა ვინ იქნება ქვეყნად მზეზე მეტად ყარიბი?
მზე მარადისი სულია და არა აქვს „გუშინ“.

120. მზე თუმცა გარეთ არის ცალი და ერთადერთი,
მაინც შეიძლებ, მისი მსგავსი წარმოიდგინო.

---

[1] ზაფრა – დედანშია „საფრა“ – ნაღველი, ნაღვლის ბუშტი.
[2] სევდა- დედანშია „სავდა“ – შავნაღვლიანობა.
[3] იგულისხმება მიწიერი სიყვარული
[4] შესაბამისად, იგულისხმება ზეციური, ღვთაებრივი სიყვარული
[5] კალამი – ყურანისეულ აიაზე დაყრდობით, სუფიურ ლიტერატურაში განიმარტებოდა, როგორც ღვთის ხელს მინდობილი ადამიანის სინონიმი. ადამიანისა, რომელსაც თავისი ნება არ გააჩნია და მოქმედებს უფლის სურვილის შესაბამისად.
[6] ალუზია ყურანის აიისა: 56: 1

121. მაგრამ სულის მზეს, ეთერიდან რომ გამობრწყინდა,
გარეთ და გონში ვერ ექნება რამე ბადალი!

122. წარმოსახვაში სადაა მისი დასატეველი,
რომ მისი მსგავსი დაიბადოს წარმოსახვაში?

123. რადგან სიტყვა უკვე შამს ედ-დინზეც[1] მიგვიდგა,
მეოთხე ზეცის მზემ[2] კრძალულად თავი ჩაჰკიდა.

124. რაკი სახელი ვახსენე მისი, გარდუვალია,
მისი წყალობის მინიშნებაც რომ განიმარტოს.

125. და აჰა, გული საგულედან გამისხლტა წამით,
რაკი შეიგრძნო იუსეფის პერანგის[3] სუნი.

126. (მითხრა) იმაზე, ვინც იმსახურებს წლობით საუბარს,
სულ ერთი ახნა მაინც მომიყევ იმ ლხენის წამთა

127. რათა ზეცა და დედამიწა დარჩეს მცინარი,
გონი, სული და თვალი ასგზის უფრო გაბევრდეს.

128. ნუ დამაკისრებ ნურას, რადგან ვარ არყოფნაში,
ბაგე დამეხშო და ხოტბა არ ხელმეწიფება.

129. ყოველი, რასაც დაიქადნის უღონო კაცი,
თუკი თავს იდებს რამეს, კვეხნით, უადგილოა.

130. მე რა უნდა ვთქვა, ერთი ძარღვიც არ მაქვს ფხიზელი,
იმ მეგობარზე, ვინაც თვითონ უმეგობროა.

131. მაშ, განმარტებაც ამ გაყრის და გულის სისხლისა
ხანი გამოხდეს, გადამიდე სხვა დროისათვის.

132. თქვა: „დამაპურე, რადგან ახლა მე ვარ მშიერი,
ოღონდ იჩქარე, დრო ხომ მჭრელი ხმალია![4]

133. სუფია[5] დროის შვილი არის, ძმობილო ჩემო,
„ხვალეს“ ძახილი თარიყათის[6] წესი არ არის.

134. განა შენ თვითონ, ჩემო ძმაო, სუფია არ ხარ:
გადავადება აქცევს სწორედ ყოფნას არყოფნად.

---

[1] იგულისხმება შამს ედ-დინ თაბრიზი – ჯალალ ედ-დინ რუმის მოძღვარი და სულიერი მეგობარი (მისი ლაკაბი – „შამს ედ-დინ“ არაბულად „სარწმუნოების მზეს“ ნიშნავს).

[2] მუსლიმური წარმოდგენით, ზეცა სართულებად, სფეროებად არის დაყოფილი. მზე, რომელიც მატერიალურ ქვეყანას ანათებს, მეოთხე სფეროზეა.

[3] ეს არის ყურანის მე-12 სურის 93-96 აიების ალუზია, სადაც მოთხრობილია იმის შესახებ, თუ როგორ აუხილა თვალი იოსების მოხუცებულ მამას იოსების პერანგის სურნელმა. სიუჟეტი შემდგომში ფართოდ გამოიყენებოდა მთელ აღმოსავლურ სუფიურ ლიტერატურაში, როგორც ღვთიური მინიშნების, ღვთის არსებობის შეგრძნების ერთგვარი პოეტური ალეგორია.

[4] არაბული ანდაზა.

[5] სუფია – მუსლიმი მისტიკოსის ზოგადი სახელი.

[6] თარიყათი – სუფიური სავალი, მისტიკოსის გასავლელი მანძილი მიწიერი ყოფიერებიდან ღმერთში განზავებამდე. მოგვიანებით ამა თუ იმ მისტიკური საძმოს სინონიმადაც იქცა.

135. ვუთხარი: სატრფოს საიდუმლო სჯობს დაფარული,
მაგრამ შენ თვითონ ამ დროს ამბავს მიაპყარ ყური!

136. უმჯობესია, საიდუმლოს გულისწამღებთა
სხვათა და სხვათა ნაუბარი თუ გაამხელდა.

137. მთხოვა: მომითხარ გახსნილად, შიშვლად, დაუფარავად
და ნუ დამტანჯავ, კაცო მრავალღირსებიანო!

138. ფარდა აჰხადე, შიშვლად მითხარ ყოველი, რადგან
მე ლამაზმანთან არა ვწვები პერანგიანად.

139. მივუგე: ის რომ გადაშიშვლდეს თვალთა წინაშე,
არც შენ დარჩები, არცა შუა და არც გვერდი შენი.

140. ნატვრა ინატრე, მაგრამ ზომიერად ისურვე,
მთას ვერ დაიტევს ჩალის ერთი პატარა ღერი.

141. მზე, რომლისგანაც ბრდღვიალებს ეს ჩვენი სამყარო,
სულ ოდნავაც რომ მოგვეახლოს, ყოველს დაბუგავს

142. შუღლს, ჯანყსა და სისხლისღვრას ნუ დაუწყებ ძებნას,
ამაზე მეტად ცეცხლოვან მზეზე[1] ნურაფერს იტყვი.

143. ამას არა აქვს დასასრული, თავიდან მოჰყევ,
მოდი და მთელი ეს ამბავი წვრილად მითხარი.

ღვთისკაცის მიერ მეფისაგან განმარტოების თხოვნა მხევლის ჭმუნვის მიზეზის მოსაძიებლად

144. უთხრა: „ხელმწიფევ, დამიცალე სასახლე მთელი
და განგვაშორე ყველა: უცხო თუ ახლობელი.

145. რომ ტალანებში აღარავის ეჭიროს ყური,
რათა ამ მხევალს გამოვკითხო ამბავ-ხაბარი“.

146. დაცარიელდა სახლი, არ დარჩა არცერთი მკვიდრი,
გარდა ექიმის და თვინიერ იმ სნეულისა.

147. ფრთხილად ჰკითხვდა, რბილად: „სად არის შენი ქალაქი, რაკი
ყველა ქალაქის მკვიდრთა წამლობა სხვადასხვა არის.

148. და იმ ქალაქში ახლობელი ვინ გყავს, მითხარი,
ვინ ნათესავი და ვინ კიდევ ამბის მკითხავი?“

149. მაჯაზე ხელი დაადო და სულ თითო-თითოდ
გამოჰკითხავდა ბედის ჩარხის ცვალების ამბებს.

[1] იგულისხმება შამს-ე თაბრიზი.

150. რადგან ის, ვისაც შეესობა ეკალი ფეხში,
ფეხს აიღებს და შემოიდებს, მუხლზე დაიბჯენს.

151. და ნემსის წვერით დაიწყებს ძებნას ეკლის თავისას,
თუ ვერ იპოვნის, ამოიძრობს სველი ბაგითა.

152. ეკლის მოძებნა თუკი ფეხში ასე გაძნელდა,
გულის ეკალი რა იქნება? – აბა, მითხარი!

153. ყოველ მდაბალს რომ დაენახა გულის ეკალი,
სევდას რა ხელი ექნებოდა მერე ვინმესთან?!

154. თუკი ვინმე ვირს კუდის ქვემოთ შეასობს ეკალს,
ამოღებას რომ ვერ შეძლებს ვირი, კუნტრუშს მოჰყვება!

155. შეკუნტრუშდება, ეკალიც უფრო ღრმად შეერჭობა,
გონიერი ხამს, ის ეკალი რომ ამოუღოს!

156. ვირი, წვითა და დაგვით, ეკლის მოსაშორებლად
ტლინკებსა ჰყრის და თავს ათასგან დაიზიანებს.

157. ის ბრძენი ეკლის ამოღების იყო ოსტატი,
ხელს ჰკიდებდა და ადგილ-ადგილ ფრთხილად სინჯავდა.

158. და იმა მხევლის მონათხრობის გამოისობით
სნეულის ნაცნობ-მეგობართა ამბავს იგებდა.

159. და უამბობდა ბრძენს გახსნილად ამბებს თავისი
ქვეყნის, ქალაქის, ბატონების და პატრონების.

160. ბრძენს თან იმისი ამბისათვის მიეპყრო ყური,
თან გულისყური მის მაჯასა და კრთომაზე ჰქონდა.

161. რადგანაც მაჯას ვისი ხსენებაც აუჩქარებდა,
ის იქნებოდა მისი ზრახვაც ამ სამყაროში.

162. ქალმა ახსენა მეგობრები და ქალაქი თვისი,
ამის შემდეგ კი სხვა ქალაქიც მოიხსენია.

163. ჰკითხა: „რაც შენი ქალაქიდან გამოეშურე,
შემდეგ მეტწილად კიდევ რომელ ქალაქში დაჰყავ?“

164. ერთი ქალაქის სახელი თქვა და იმასაც გვერდი უქცია,
სახის ფერი და მაჯის სიმშვიდე კი აღარ შეცვლია.

165. მფარველები და ქალაქები სულ თითო-თითოდ
ჩამოუთვალა, პურმარილი ვისგან რგებია.

166. ქალაქ-ქალაქ და სახლ-სახლ ამბავი უთხრა ყოველი,
თუმც აღარც მაჯა ასჩქარებია და აღარც ღაწვი გაჰყვითლებია.

167. მაჯა უცვლელად მშვიდი ჰქონდა, აუმღვრეველი,
ვიდრე ბრძენკაცი ყანდივით სამარყანდზე ჰკითხავდა.

168. მაშინ კი მაჯა აუჩქარდა, დაკარგა ფერი,
როცა ახსენა სამარყანდელი ოქრომჭდელი.

169. ხოლო ბრძენკაცმა ეს სადუმლო სნეულისაგან
როცა შეიტყო, ტანჯვის და სნების მიზეზსაც მიხვდა.

170. ჰკითხა: „იმისი ქუჩა რომელ გასასვლელშია?“
დაუსახელა ხიდის თავი და ქუჩა ყათეფარისა.

171. მიუგო: „სწრაფადვე მიგიხვდი, თუ რა გტანჯავდა
და შენს საშველად აწ ჯადოსნობას უნდა მივმართო.

172. გიხაროდეს და ლაღად იყავ, გჯეროდეს, რომ მე
იმავეს გიზამ, რასაც წვიმა უშვრება მდელოს.

173. მე შევჭამ შენს ჯავრს, შენ კი მეტად არ ჭამო ჯავრი,
შენთვის ვიქნები ას მამაზე უფრო მზრუნველი.

174. მაგრამ იცოდე, ამ საიდუმლოს ნურავის ეტყვი,
თუნდაც რომ მეფემ შენგან მრავლად გამოიძიოს!

175. როს საიდუმლოს სამაროვნად გექცევა გული,
მაშინ სურვილიც უფრო სწრაფად აგისრულდება.

176. თქვა მოციქულმა: „საიდუმლო ვინც შეინახა,
ის უფრო სწრაფად დაუწყვილდა მისთვის სასურველს!“[1]

177. როცა მარცვალი დაიფლება მიწის წიაღში,
იმისი თავი[2] ბაღის სიმწვანედ გადაიქცევა.

178. ოქრო და ვერცხლი დამალული რომ არ ყოფილიყო,
ქანის ქვეშ როგორ გაბევრდებოდა და დაუნჯდებოდა?

179. იმ ბრძენი კაცის ალერსმა და დაპირებებმა
ავადმყოფს შიში გაუფანტა, დაიმედა.

180. დაპირებები არის ნამდვილი, გულის საამო
დაპირებები არის ყასიდი, ძრწოლის გამფანტი.

181. კეთილშობილთა დაპირება განძია სულის,
ხოლო უღირსთა დაპირება – ტანჯვა სულისა!

---

[1] ფორუზანფარი (აჰადის ალ-მასნავი, გვ. 3) პოემის ამ პასაჟის წყაროდ გვთავაზობს მოციქულის ერთ გამონათქვამს: „წარმატების მისაღწევად გამოიყენეთ დაფარვა, რადგან მადლის ყოველი მფლობელი შურის საგანია.“

[2] აქ სპარსული سر გაუხმოვნებელ ტექსტში ქმნის გარკვეულ ორაზროვნებას თუ ამ სიტყვას გავახმოვანებთ ფათჰით და წავიკითხავთ, როგორც „სარ“, მაშინ თარგმანი იქნება ის, რაც ჩვენს ვარიანტშია. ხოლო ქესრით გახმოვანებული იგივე სიტყვა (სერრ) ნიშნავს საიდუმლოს და მაშინ თარგმანი იქნება „მისი საიდუმლო“.

ღვთისკაცისაგან სატკივრის შეტყობა და მისი სატკივრის მეფისთვის მოხსენება

182. ამის შემდეგ კი წამოდგა და მეფეს მიმართა
ხელმწიფეს ზოგი რამ აცნობა მისი ამბისაგან.

183. უთხრა: „საშველი ის იქნება, რომ კაცი იგი
აქ მოვიყვანოთ ამ ტკივილის დასაყუჩებლად.

184. მოიხმე შორი ქალაქიდან ოქრომჭედელი
ჩვენთან ოქროთი და საბოძვრით ჩამოიტყუე.“

(როდესაც მეფემ ბრძენისაგან ეს გაიგონა,
იმისი რჩევა სულსა და გულს დაამჯობინა.)

მეფისაგან სამარყანდში მოციქულთა გაგზავნა ოქრომჭედლის ჩამოსაყვანად

185. შემდეგ წარგზავნა იმ მხარეში ორი მსტოვარი -
მარჯვე, გაქნილი, მეტისმეტად შეუპოვარი.

186. სამარყანდამდე ჩავიდა ის ორი ემირი,
ოქრომჭედელთან, რომ მეფისგან ეხარებინათ:

187. „ჰოი, ნატიფო დიდოსტატო, ღრმად განსწავლულო,
შორს გავარდნილა ქალაქებში შენი სახელი.

188. და ჰა, მავანმა ხელმწიფემაც საოქრომჭედლოდ
შენ აგირჩია, რადგან შენ ხარ საუკეთესო.

189. ჯერ ეს ხალათი გამოგვართვი, ოქრო და ვერცხლი
და როს ჩამოხვალ, იქნები მეფის ხასო მხლებელი!“

190. კაცსაც ებევრა მირთმეული ოქრო და ძღვენი,
მოღორდა, თავის ქალაქსა და შვილებს მოშორდა.

191. გზა მხიარულად გაიარა და არ იცოდა,
მეფეს იმისი მოკვდინება რომ განეზრახა.

192. არაბულ ტაიჭს მოახტა და გაქუსლა მარდად,
ძღვენად მიიღო თავის სისხლის გამოსასყიდი.

193. ვაი, ასგზისი კმაყოფილებით დაადგა გზას და
ავ აღსასრულთან საკუთარი ფეხით მივიდა.

194. გულში ქონება, პატივი და ღირსება სწადდა,
და აზრაილმაც[1] უთხრა: „ წადი, იქნები გამარჯვებული!“

195. როს უცხოელი ჩამოვიდა, მკურნალმა იგი
მეფის წინაშე მიიყვანა და წარუდგინა.

[1] აზრაილი – სიკვდილის ანგელოზის სახელი მუსლიმურ სამყაროში.

196. მეფის წინაშე მიიყვანეს იგი ალერსით,
რომ დამწვარიყო ტერაზული[1] სანთლის ალებში.

197. ხელმწიფემ ნახა და მიიღო დიდი პატივით,
ოქროს საცავი მთლიანად მას გადააბარა.

198. მერე მკურნალმა უთხრა: „დიდებულო სულთანო,
ამ წარჩინებულ კაცს უბოძე მხევალი იგი!

199. რათა მხევალი მომჯობინდეს ამასთან შერწყმით,
და ეგებ მასთან შეყრის წყალმა ჩაუქროს ცეცხლი!

200. შაჰმაც ის მთვარისსახიანი მას უწყალობა
და დააწყვილა ეს ორი შეყრის მაძიებელი.

201. სრული ექვსი თვე ნებივრობდნენ თავის ნებაზე,
სანამდის ქალი საბოლოოდ არ მომჯობინდა.

202. ამის შემდეგ კი გაუმზადა რაღაც შარბათი,
რომ შეესვა და ქალის თვალწინ ჩამომდნარიყო.

203. სნების გამო რომ ძველი ეშხი აღარ შემორჩა,
ქალმაც დასჯაბნა სულიერი ვნების სიძნელე.

204. რა დაუშნოვდა, დასნეულდა და გადაყვითლდა,
ნელ-ნელა ქალმაც აიყარა იმაზე გული.

205. ტრფობა, რომელიც აინთება ფერხორცის გამო,
ტრფობა კი არა, საბოლოოდ სირცხვილი არის!

206. ნეტავი, ისიც ერთიანად შერცხვენილიყო,
რომ ეგებ ამ ავი მსჯავრისაკენ არ წასულიყო.

207. სისხლი წამოსკდა თვალებიდან, ვით ნაკადული,
რომ მისი სახე მისივე სულის მტერი გამოდგა!

208.ფარშევანგის მტერი ბოლოს მისივე ფრთები აღმოჩნდა,
მრავალი მეფე დაღუპა მისმა დიდებულებამ.

209. თქვა: „მე არჩვი ვარ, ვისი მუცლის ქონის გულისთვის
მონადირემ ჩემი უბრალო სისხლი დაღვარა.[2]

210. მინდვრის მელა ვარ, ვისაც მტრებმა სამალავიდან
თავი ტყავისთვის წააცალეს, გაანადგურეს.

211. მე ვარ ის სპილო, რომლის სისხლიც სპილოთ მარეკმა
დაღვარა სპილოს ძვირფასი ძვლის მოსაპოვებლად.

---

[1] ტერაზი – ქალაქი ისფინჯაბის (საირამის) ჩრდილოეთით. ტერაზელთა მშვენიერება საყოველთაოდ განთქმული იყო.

[2] აქ იგულისხმება ის, რომ არჩვისა თუ ირმის ერთ-ერთი სახეობის მუცლის ქონს ფართოდ გამოიყენებდნენ შუა საუკუნეების აღმოსავლურ ფარმაკოლოგიაში.

212. მაგრამ ვინც მე მკლავს იმისთვის, რაც ჩემ გარეშეა,
ის კი არ იცის, რომ არ შერჩება ეს ჩემი სისხლი.

213. დღევანდელი თუ მე დამღუპავს, მას- ხვალინდელი,
ჩემგვარის სისხლი ცუდუბრალოდ როდის დაღვრილა!

214. თუმცა კედელი გრძელ ჩრდილს აფენს, ბოლოს და ბოლოს,
ის ჩრდილი მაინც თვითონ მასვე დაუბრუნდება.

215. საწუთრო მთაა და ქცევა ჩვენი არის ძახილი,
ჩვენ გვიბრუნდება ექო ჩვენი დაძახილისა!“ -

216. ეს თქვა და იმ წამს ჩაინაცვლა მიწის წიაღში,
ხოლო მხევალი განწიმინდა ტრფობის სნებისგან.

217. იმის გამო, რომ მკვდართა ტრფობა მყარი არ არის,
იმის გამო, რომ მკვდარი ჩვენთან არ დაბრუნდება!

218. ცოცხლის ტრფობა კი – გინდ სულისთვის, გინდა, თვალისთვის -
ყოველწამს კვირტზე ცინცხალია, ახალ-ახალი!

219. შენც იმ ცოცხალის[1] ტრფობა არჩიე, ვინც მარადია,
ვინც მწდეა სულის მარგებელი სიცოცხლის ღვინის.

220. იმისი ტრფობა აირჩიე, ვისგანაც ყველა წინასწარმეტყველმა
ჰპოვა საქმე და საქმეში ჰპოვა პატივი!

221. ნუ იტყვი, ჩვენ იმ მეფის კარზე ვინ მიგვიშვებსო!
კეთილშობილთან საქმის დაჭერა ძნელი არ არის!

განმარტება იმისა, რომ მჭედლის მოკვლა და მისთვის საწამლავის მიცემა ღვთიური მინიშნებისამებრ აღსრულდა და არა – ანგარებითა თუ უკეთური განზრახვით

222. იმ კაცს სიკვდილი ბრძენის ხელით არა სწვევია,
არც სასოების ძიებით და არც შიშის გამო.

223. და არც მანამდე არ მოუკლავთ მეფის დასტურით,
სანამ ღვთის ნება, ზეშთაგონება არ ეწვეოდათ.

224. და იმ ჭაბუკის საიდუმლოსაც, ვისაც თვით ხიზრმა[2] გამოსჭრა ყელი,
ჩვეულებრივი, უბრალო ხალხი ვერას გაუგებს.

225. მაგრამ ვინც ღვთისგან იღებს პასუხს და შთაგონებას,
რასაც კი იზამს, სამართალი არის ხალასი!

[1] იგულისხმება ღმერთი. „მარადის ცოცხალი“, „ცოცხალი“ ყურანში ალაჰის ერთ-ერთი ეპითეტია.

[2] ჰიზრი, ალ-ჰადირი (აბუ ლ-‘აბბასი) – მუსლიმური ტრადიციით, ღმერთთან დაახლოებული წინასწარმეტყველი, რომელსაც იგივე ტრადიცია ნოეს შვილთა ერთ-ერთი განშტოების, სემის ძეების, ანუ მთელი არაბების, საგვარეულოს მიაკუთვნებს. მუსლიმური გადმოცემების თანახმად, ჰიზრი ღმერთმა ცაში ცოცხლად აიყვანა. ის ითვლება მოგზაურთა მფარველად. ასევე ჰიზრის მოვალეობას უკავშირებენ გაზაფხულზე ბუნების განახლებას. საკომენტარო ბეითში იგულისხმება ყურანისეული ამბავი მუსა (მოსე) წინასწარმეტყველისა და მისი ჭაბუკი (მსახურის) შესახებ, რომლის იდენტიფიკაცია მოგვიანო ხანის მუსლიმურმა ეგზეგეტიკამ სწორედ ჰიზრთან მოახდინა. შდრ: ყურანი 18:73.

226. ვინც სულს ანიჭებს, თუ ის მოკლავს, იქნება სწორი
ის ნაცვალია და მისი ხელი უფლის ხელია!

227. ვით ისმაილმა[1], მის წინაშე დადრიკე თავი,
მხიარულმა და პირმცინარმა მისი ხმლის ქვეშ დალიე სული!

228. რომ სული დაგრჩეს მომღიმარი უკუნისამდე,
როგორც აჰმადის[2] წმინდა სული იმ ერთადერთთან[3].

229. მეტრფენი სულის ღვინოს მხოლოდ მაშინ შესვამენ,
როცა მშვენიერ სატრფოთა ხელით მოისრებიან.

230. მეფეს ის სისხლიც ვნების გამო არ დაუღვრია,
შენ დაეხსენი ავ ეჭვსა და ჟინიანობას.

231. შენ კი გეგონა, რომ მან თავი დაილაქავა,
დაწმენდილ ნაერთს ვით შებღალავს მინარევები?

232. ეს სულის წვრთნა[4] და გარჯა-შრომა იმისთვის არის,
რომ ქურამ ბოლოს ვერცხლისაგან გამიჯნოს ლექი.

233. კეთილისა და ავის გამოცდაც იმისათვის ხდება,
ოქრო ადუღდეს და თავზემოთ მოიგდოს ქაფი.

234. მის საქმეში რომ არ ყოფილიყო ღვთის შთაგონება,
რის მეფე? – ძაღლი იქნებოდა, კბილალესილი.

235. ის წმინდა იყო ვნების, სიხარბის და წადილისგან,
სიკეთე კი ქნა, მაგრამ ავისმგვანი სიკეთე.

236. თუმცაღა ხიზრმა დაამსხვრია ხომალდი ზღვაში,
ასი სიმართლე არის ხიზრის ამ შეცდომაში.[5]

237. და მოსეს მთელი წარმოსახვა, მისი სინათლისა და უნარის მიუხედავად,
დაფარული აღმოჩნდა მათთვის[6]. და შენც უფრთოდ ნუ აფრინდები!

238. ის[7] ვარდია და შენ იმას სისხლს ნუ დაუძახებ,
გონს დაუთვრია[8] იგი, შენ შმაგს ნუ დაუძახებ!

---

[1] ისმაილი – ყურანის მიხედვით, იაკობის ვაჟი, რომელიც მამამ ღვთის ბრძანების თანახმად, ღვთის შესაწირად წაიყვანა. ბოლო წამს, ღმერთმა ბრძანება შეცვალა და იაკობი ამ აღთქმისაგან გაათავისუფლა. იხ. ყურანი, 37:102

[2] იგულისხმება წინასწარმეტყველი მუჰამადი. აჰმადი მისი ერთ-ერთი სახელია.

[3] იგულისხმება ღმერთი.

[4] დედანშია „რიიაზათ“ – ვარჯიშები. სუფიური ტერმინოლოგიით, აქ იგულისხმება სულის წვრთნა სხვადასხვა მედიტაციური სავარჯიშოების მეოხებით, რომელთა მიზანი ადამიანს ღმერთთან მიახლოებაა.

[5] შდრ: ყურანი, 18: 70

[6] კომენტატორების თანახმად, მათთვის ანუ „უბრლო, ჩვეულებრივი ხალხისათვის“ (იხ. ფორუზანფარი ტ., გვ. 120).

[7] კომენტატორების თანახმად (ფორუზანფარი, ზამანი), „ის“ აქ მეფის საქციელს გულისხმობს.

[8] დედანშია مست عقل. თუ ამ სინტაგმას იზაფეტით წავიკითხავთ, მაშინ ზუსტი თარგმანი იქნება „მთვრალი გონით, მთვრალი გონების მიერ“. ასეთი წაკითხვა გამომდინარეობს პოეტური საზომის მიხედვითაც და ასევე თარგმნის ამ პასაჟს ნიკოლსონიც. თუმცა შეიძლება, აღნიშნული წავიკითხოთ, როგორც კომპოზიტი „მასთაყლ“ – გონებამთვრალი. ამ უკანასკნელ წაკითხვას უჭერს მხარს „მესნევის“ რუსული თარგმანი. ჩვენი აზრით, აქ გონში („აყლ“) უზენაესი გონი, გონთა გონი უნდა იგულისხმებოდეს.

239. მუსლიმის სისხლი რომ ყოფილიყო მისი მიზანი,
ურწმუნო ვიყო, თუკი მეთქვა მისი სახელი!

240. აზანზარდება უფლის ტახტი ცოდვილის ხოტბით[1],
და ხოტბა მისი ღვთისმოსავზე ავ ეჭვს დაბადებს.

241. ხელმწიფე იყო და ძალზე მცოდნე ხელმწიფე იყო,
რჩეული იყო და ალაჰის იყო რჩეული.

242. იმას, რომელსაც შეიწირავს ასეთი მეფე,
სინამდვილეში, მიუძღვის შვების და პატივისკენ!

243. თუკი ვერ ხედავ მის სარგებელს იმის რისხვაში,
რად გახდებოდა სრული სიკეთე რისხვის მძებნელი?

244. ბავშვი კანკალებს სისხლის ასაღებ მილაკის ჩხვლეტით,
მზრუნველი დედა კი ამ შიშით ბედნიერია!

245. სულის ნახევარს ამოგართმევს, ათას სულს მოგცემს,
იმას გიბოძებს, რაზეც არც კი გიოცნებია!

246. შენ შენივ თავთან შედარებით კი მსჯელობ, მაგრამ
კარგად შეხედე, ერთი, როგორ შორს დარჩენილხარ!

სპარსულიდან თარგმნა და განმარტებები დაურთო
გიორგი ლობჟანიძემ

[1] ფორუზანფარის მიხედვით, აქ ალუზიაა სამოციქულო ჰადისისა: „როდესაც განადიდებენ მჩაგვრელს (ავაზაკს), მრისხანებს უფალი და ზანზარებს ღვთის ტახტი (არშ)“

დანიელ გოლემანი

ჟურნალი „საუნჯე“, №2 „სამშობლო“, თბილისი, 1990.

ბუდას მოძღვრება მედიტაციასა და ცნობიერების მდგომარეობაზე

წინამდებარე ნაშრომი დაწვრილებით ეხება ბუდას მოძღვრებას მედიტაციისა და ცნობიერების მდგომარეობის შესახებ, სკრუპულოზურად რომ აღწერა ბუდაგოზამ (V ს.) თავის ვრცელ თხზულებაში – „ვისუდდხიმაგგა“-ში (Visuddhimagga), რომელიც წარმოადგენს ზუსტ და ყოვლისმომცველ აღწერას იმ უმაღლესისა, რაც კი ადამიანს სულიერ სფეროში შეუქმნია.

ვისუდდხიმაგგა: ბუდას მიერ ცნობიერების უმაღლესი მდგომარეობის აღწერა

ცნობიერების უმაღლეს მდგომარეობათა ყველაზე უფრო ვრცელ და დაწვრილებით განხილვას გვთავაზობს ენციკლოპედიური აბხიდხამა (Abhidhama), რომელიც წარმოადგენს გაუტამა ბუდას გამონათქვამთა (რაც 40 წელიწადზე მეტი ხნის მანძილზე იქმნებოდა) გადმოცემას ბუდას მოწაფეთა მიერ. მე-5 საუკუნეში ბუდაგოზამ თავის მონუმენტურ ქმნილებაში „ვისუდდხიმაგგა“-ში, რაც „ნათელხილვის გზას“ ნიშნავს, მოგვცა აბხიდხამას განზოგადება. ბუდაგოზა „ნათელხილვაში“ ნირვანას გულისხმობს. ამ პროცესის აღწერისას, პრაქტიკულად, მოკლედაა დახასიათებული მედიტაციურ მდგომარეობათა ყველა სხვა გზაც, რომელთაც ნირვანასკენ მივყავართ. გადმოცემის თანახმად, ბუდამ ყველა ეს გზა განვლო, ვიდრე ნირვანას მიაღწევდა. ყველა ამ გზის გამკვალავი ხერხებისა და მეთოდების შესაბამისი ცნობიერების სფეროების „ვისუდდხიმაგგაში“ აღწერილი სისტემა მოიცავს და განიხილავს აღმოსავლეთის სკოლების (რომლებიც ამჟამად დასავლეთშიცაა დანერგილ-გავრცელებული) უმნიშვნელოვანეს პრაქტიკულ მოძღვრებებს.

განმწმენდი სილა

ბუდას სისტემა იწყება „სილა“-თი, რაც ნიშნავს კეთილზნეობას, მორალურ სისპეტაკეს, აზროვნების, მეტყველებისა და მოქმედების სისტემატურ წვრთნას, ჩვეულებისამებრ, ფუჭად დახარჯულ ენერგიას სასარგებლო, სასიკეთო მიმართულებით რომ წარმართავს. „სასიკეთო“ აქ ისე უნდა გავიგოთ, როგორც ეს დხარმაში (Dharma)[1] გვხვდება: ამ ცნებაში იგულისხმება ის, რასაც ადამიანი მედიტაციური (meditativ) ცნობიერების მდგომარეობაში, ბოლოს კი ნირვანაში (nirvana) შეჰყავს. სილა წარმოადგენს იმ პროცესის გადამწყვეტ ფაქტორს, რომელიც აპოგეას საბოლოოდ ნირვანაში აღწევს. ეს არის უნარი, შენარჩუნებულ იქნას ფხიზელი, საღი გონება, რომელიც საჭიროა სპეციფიკური მედიტაციური ცნობიერების მდგომარეობების მისაღწევად. სილა ბუდას მოძღვრების ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია; შემდეგი ორია სამადჰი (samadhi), ანუ კონცენტრაცია (რაიმესადმი მთელი ყურადღების მიპყრობა) და პრაჯნა (prajna), ანუ წვდომა, შეცნობა. სილას, სამადჰისა და პრაჯნას შორის არსებობს ფსიქოლოგიური ურთიერთმოქმედება – თუ სილასათვის მთელი ჩვენი ძალების მობილიზებას მოვახდენთ, მაშინ გაცილებით უფრო ადვილად მივაღწევთ ყურადღების სრულ მოკრებას (კონცენტრაციას), რაც თავის მხრივ, ხანგრძლივ ჩაღრმავებას, წვდომას ხდის შესაძლებელს. სილა, რომელიც თავდაპირველად ნებისყოფის გამომვლენ აქტად გვევლინება, ადვილი და ბუნებრივი ხდება, როდესაც

[1] დხარმა – სიტყვასიტყვით: მსოფლიო კანონი, წესრიგი; მოძღვრება ხსნა-გათავისუფლების, სიკეთის, ბედნიერების შესახებ ბუდისტური ტრადიციის მიხედვით.

სამადჰიში ანდა პრაჯნაში გადადის. პრაჯნა განამტკიცებს სისპეტაკეს და იმავდროულად კონცენტრაციასაც უწყობს ხელს. ძლიერი კონცენტრაცია განაპირობებს ჩაღრმავება-წვდომას და სულიერ განწმენდას. ინტერაქციის (Interaktion) დინამიკა ცალკეულ კომპონენტებს შორის ხაზობრივი არ არის: ერთ-ერთი მათგანის განვითარება აადვილებს გადასვლას დანარჩენ ორ კომპონენტზე ამ დროს მედიტაციის პროცესი ხდება არა მაინცდამაინც როგორც წრფივი (ხაზოვანი) სვლა, არამედ უფრო სიმულტანური (ერთდროული, სინქრონული) სპირალური ინტერაქციის ფორმით. თუმცა ეს პროცესი აქ მაინც წრფივად უნდა იქნას წარმოდგენილი. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ინდივიდუუმთან მორალური სისპეტაკის, კონცენტრაციისა და წვდომა-ჩაღრმავების განვითარება სინამდვილეში ამ სამი კომპონენტის კომპლექსური ურთიერთმოქმედებით ხდება. ისინი ერთი მთლიანი პროცესის სამ წახნაგს წარმოადგენს.

თუ გვსურს, სილას ადვილად მივაღწიოთ, საჭიროა „მოკვდეს“ ეგო. მაშასადამე, ჩვენს აზროვნებაში, ჩვენი პიროვნების შიგნით წარმოქმნილმა სურვილ-მისწრაფებებმა აღარ უნდა განსაზღვრონ ჩვენი ყოფა-ქცევა (როგორც ჩვეულებრივ აქვს ამას ადგილი). როდესაც ეს „კვდომა“ სამადხის საშუალებით მიიღწევა, ეგო, ვისუდდხიმაგგას თანახმად, შენარჩუნდება ლატენტური სურვილის, ნდომის სახით და რჩება უმოქმედოდ (რომლის დროსაც გონება კონცენტრაციის მდგომარეობაშია); იგი მხოლოდ მაშინ გააქტიურდება, როცა კონცენტრაცია წყდება. თუ ეგოს „კვდომა“ პრაჯნას მომწიფების შედეგია, იგი (ეგო) აღარ გვევლინება ჩვენი მოქმედების განმაპირობებელ ძალად. თუმცა შესაძლოა გონებაში, ცნობიერებაში კვლავ ძველი სააზროვნო თვისებებით განაგრძობდეს არსებობას. სრული ჩაღრმავების, წვდომის მდგომარეობაში გონება თავისუფლდება ეგოს სურვილ-მისწრაფებებისაგან, რომლებიც უკვე მკრთალი და არაარსებითი ხდება. როცა ნირვანა მთლიანად მიიღწევა, სილაც სრულყოფილია – საბოლოოდ ვძლევთ რაიმე უმართებულო ქცევის ჩადენის სურვილს, მოთხოვნილებას. აღმოსავლური თვალსაზრისით, ეს ბოლო სტადია არის რაიმე არჩევანის ზეგავლენისაგან, ზემოქმედებისაგან გათავისუფლებული სილა, ანუ Vairagya; სილა მხოლოდ რაიმე კონკრეტულ მოქმედებაზე, ქცევაზე უარის თქმას კი არ ნიშნავს, არამედ აგრეთვე განსაზღვრულ ჩარჩოებში მოქცეული აზროვნებისაგან გათავისუფლებასაც, რამეთუ აზროვნება ქცევის, მოქმედების საფუძვლადაა მიჩნეული. ასე მაგალითად, ვისუდდხიმაგგა დაბეჯითებით ურჩევს მედიტაციის მაწარმოებელს, რომ ავხორცულ, უკეთურ აზრებს, რომლებიც შესაძლოა მას დაებადოს, დაუპირისპიროს ის, რომ ყურადღების კონცენტრაცია მოახდინოს საპირისპირო, გამაბათილებელ სხეულებრივ ასპექტებზე. მორალური სისპეტაკის გამომუშავების მიზანს წარმოადგენს მედიტატორის გათავისუფლება ფუჭი სინანულის, მოვალეობის და მორცხვობის გრძნობისაგან.

დასაწყისში ძნელი სავარჯიშოები შემდგომში აიოლებენ ცნობიერების გადასვლას მაღალ მდგომარეობაში, რომლის დროსაც სილაში საფუძველჩაყრილი ქცევის სახეები ცნობიერების ამ მდგომარეობათა ადვილ, ბუნებრივ თანამდევ მოვლენებად გვევლინება. ცნობიერების ამ მაღალ მდგომარეობებში აზროვნებასა და ცნობიერებას უკვე აქ დომინირებული ნეტარების, კმაყოფილებისა და თვითმყოფადობის განცდა-გამოცდილება განსაზღვრავს. დასავლეთის ძველი ფსიქოლოგიები, რომელთაც სექსუალობის დინამიკა და ძალაუფლებისადმი მისწრაფება ედო საფუძვლად, გამოყენებას ვეღარ პოულობს გონების ახალ სფეროებში, ისევე როგორც არასაკმარისი აღმოჩნდა ნიუტონის ფიზიკა ატომური ფიზიკის გაგებისათვის. მედიტაცია და ცნობიერების მაღალი მდგომარეობები დასავლეთის ფსიქოლოგიის თვალსაზრისით, იმდენად არიან ტრანსცენდეტალური, რამდენადაც მიეკუთვნებიან იმ სფეროს, რომელიც მათი სპეციფიკური სააზროვნო სისტემის მიღმა მდებარეობს; მაგრამ მედიტაციურ-სპეციფიკური ცნობიერების მდგომარეობებსა და მაღალი ცნობიერების მდგომარეობებშიც შეინიშნება განსაზღვრული წესები და კანონზომიერებანი.

ვისუდდხიმაგგას ტრადიციის მიხედვით, სილა იწყება ერისკაცთა,[1] მორჩილთა და ბერთათვის გათვალისწინებული ზნეობრივი წვრთნის წესებით. არასასულიერო პირთათვის მხოლოდ ხუთი ცნება არსებობს: არა კაც კლა, არ იქურდო, არ იცრუო, აგრეთვე უარის თქმა სქესობრივ ურთიერთობასა და ნარკოტიკების მიღებაზე. მორჩილთათვის ეს რიცხვი ათამდე იზრდება, ხოლო ბერებისათვის დადგენილია 227 აკრძალვა და სავალდებულო წესი, რომლებიც განსაზ-

[1] აქ: იგულისხმება პირი, რომელსაც არ გააჩნია სასულიერო წოდება.

ღვრავს მონასტრულ ცხოვრებას. სილაში დაოსტატებისას მხედველობაში მიიღება რა ყოველი ადამიანის ცხოვრებისეული სტილი და თავისებურებანი, მიზანი მუდამ ერთია: მედიტაციისათვის მომზადება. გარკვეულწილად ეს ვალდებულებანი მიზნად ისახავს სწორი სოციალური ქცევის ნორმების ფორმირებას. მაგრამ აქ აღწერილი ბუდისტური ტრადიციის მიხედვით ეს ასპექტი მეორეხარისხოვანი მნიშვნელობისაა იმ მოტივაციებთან შედარებით, რომლებიც მთელ ცხოვრებას განსაზღვრავს და უზადო, კრისტალურ ყოფა-ქცევაში პოულობენ გამოხატულებას. სილა გაგებულ უნდა იქნას არა ჩვეულებრივი ფორმალური მნიშვნელობით, არამედ აგრეთვე როგორც სულიერი აღუშფოთველობა (ქცევის მანერა) და განწყობილება, რომლითაც სათავეს იღებს უნაკლო, ჯეროვანი აზროვნება, მეტყველება და ყოფა-ქცევა. ჩვენი მოქმედება, ქცევა, რამდენადაც იგი ზემოქმედებას ახდენს ცნობიერებაზე, კონტროლს უნდა დაექვემდებაროს, სილა არის შეგნებული, გამიზნული (წარ)მართვა ჩვენი ყოფა-ქცევისა, მოქმედებისა, რაც მოწოდებულია წყნარი, ზომიერი, უშფოთველი სულიერი გუნება-განწყობილების ჩამოყალიბებისათვის. მორალური განწმენდა მხოლოდ და მხოლოდ სულიერ სიწმინდეს ისახავს მიზნად.

გონებრივი (სულიერი) სიცხოვლე და მედიტაცია

რადგან სილას მიზანი გონების დახვეწა-დამორჩილებაა, სავარჯიშოებს, წვრთნის მეთოდებს განეკუთვნება აგრეთვე ცნობიერების კონტროლი. იგი მიიღწევა სატიპატჰანას (satipathana), ე. ი. გონებრივი ცხოველმყოფელობის, უნარის მეოხებით. ამ დროს სწავლობენ გრძნობის ორგანოების დაუფლებას, კოტროლს და იძენენ ჩვევას, რომ თუმცა ხორციელდება გრძნობადი აღქმანი, მაგრამ მათ საფუძველზე გონებაში აღარ უნდა წარმოიქმნას რაიმე აზრთა წყება (ე. ი. გონებისმიერ პროდუქციას ადგილი არ უნდა ჰქონდეს). თუ გრძნობადი გამღიზიანებლების საპირისპიროდ ყურადღების სრული კონცენტრაციის ეს მდგომარეობა თანდათანობით ვიპასანად (vipassana)[1] იქცევა, მაშინ იგი ჰკვალავს ბილიკს ნირვანას მდგომარეობის მისაღწევად. ყოველდღიური პრაქტიკის საფუძველზე იგი განაპირობებს საკუთარი შინაგანი სამყაროს აღქმებსა და აზრებისაგან გათავისუფლებას. ადამიანი ხდება საკუთარი ცნობიერების განვითარების პროცესის გარე დამკვირვებელი და ამგვარად გზას უხსნის იმ მდგომარეობებს, რომლებიც ჩვეულებრივი ცნობიერების ფარგლებს მიღმა არსებობს.

საწყის სტადიაში, ვიდრემდის ჭეშმარიტ, ცხოველმყოფელ გონებრივ უნარიანობას განივითარებდეს, ადამიანს ადვილად უფანტავს ყურადღებას სხვადასხვა გარეშე მოვლენები. ამიტომ ვისუდდხიმაგგა დამწყებ მედიტატორს აძლევს რჩევა-დარიგებას. მან პატიოსანი გზით უნდა ირჩინოს თავი, რათა მის მიერ გამოყენებული ფინანსური საშუალებები უნდობლობას არ იწვევდეს. სწორედ ამიტომ ბერებს სასტიკად ეკრძალებათ ასტროლოგის პროფესიის არჩევა, ქირომანტია და სიზმრის ახსნა; მათთვის რეკომენდებულია მათხოვრად ცხოვრება. ბერმა საკუთარი ქონება მინიმუმამდე უნდა დაიყვანოს. მას შეუძლია თავისთვის დაიტოვოს მხოლოდ რვა ნივთი: სამი ხელი ტანსაცმელი, ქამარი, სამათხოვრო ჯამი, საპარსი, ნემსი და სანდლები. უნდა ჭამოს ზომიერად. მას, ცხადია, შეუძლია ჭამის მოთხოვნილების დაკმაყოფილება, მაგრამ არა იმდენად, რომ თვლემა მოერიოს; უნდა ცხოვრობდეს ქვეყნისგან მოშორებით, სადმე უკაცრიელ ადგილზე. მას, ვისაც ოჯახი ჰყავს, ცალკე ოთახი უნდა ჰქონდეს, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ მედიტაციისთვის გამოიყენებს. სხეულის მოთხოვნილებებზე ზედმეტად არ უნდა გაამახვილოს ყურადღება, მაგრამ ავადმყოფობის შემთხვევაში წამალი უნდა მიიღოს. ოთხი ბუნებრივი რამ – ქონება, საჭმელ-სასმელი, ბინა და მედიკამენტები – უნდა ჰქონდეს მხოლოდ იმდენი, მისი მატერიალური კეთილდღეობისათვის რომ იქნება აუცილებელი ისე, რომ ეს მატერიალურად აუცილებელიც წმინდა და უზადო იყოს.

რადგან ადამიანის სულიერ განწყობილებაზე ირგვლივ მყოფი ხალხი ზემოქმედებს, მედიტატორი თანამოაზრეთა საზოგადოებაში უნდა ცხოვრობდეს. ეს სანგჰას (სანსკრიტში satsang – სატსანგ) ერთ-ერთი ღირსებათაგანია. ვიწრო გაგებით, ეს ის ადამიანები არიან, რომლებმაც

[1] Vipasana – საგნის დანახვა ისე, როგორც ის სინამდვილეშია.

ნირვანას მიაღწიეს, ხოლო, ფართო გაგებით, მათი წრე, ამ ბილიკს რომ დაადგნენ. გონებაფხიზელი და ყურადღებამოკრებილი ადამიანების საზოგადოებაში მედიტაცია იოლდება, ხოლო მათთან ერთად, რომელთაც აწუხებთ ამქვეყნიური საზრუნავი, გონებადაფანტული და აბსორბირებული არიან, იგი ძნელდება. ეს ხალხი, ჩვეულებრივ, ყოვლად უმნიშვნელო და ფუჭი საუბრითაა გართული, რომლისთვისაც დამახასიათებელია მოუსვენრობა, ცმუკვა, აღელვება, შფოთვა და სხვ. ბუდა ჩამოთვლის მაგალითებს, ამგვარი უსარგებლო ლაპარაკისთვის რომ არის ტიპური: საუბრები მეფეების, ქურდების, მინისტრების, არმიების, უბედურება-გაჭირვების (შიმშილი რომ იწვევს) და ომების შესახებ; საჭმელ-სასმელის, სამოსელის, სახლის, ყვავილების, მორთვა-მოკაზმვის და კეთილსურნელება-ნელსაცხებლის, ნათესავების, სამგზავრო საშუალებების, ქალაქებისა და ქვეყნების, ქალებისა და ღვინის შესახებ; ჭორიკანობა ქუჩებში და ჭებთან; წინაპრების შესახებ; საერთოდ, ყოველგვარი წვრილმანის შესახებ; სამყაროს წარმოშობისა და იმის შესახებ, თუ როგორი სახისაა საგნები და მოვლენები და ა. შ. (მაჰასი, საიადაგი, 1965, გვ. 252).

მას შემდეგ, რაც სანგჰას დამახასიათებელ თვისებებსა და ღირსებებს ჩაწვდება და მათი მეშვეობით მედიტაციაში გაიწაფება, მედიტატორმა შეიძლება ცნობიერების უფრო მაღალ საფეხურზე დაბრკოლებად აღიქვას ის, რაც მანამდე პირიქით, დახმარებას უწევდა. ვასუდდხიმაგგა ჩამოთვლის დაბრკოლებათა ათ სახეს, რომელთაც შეუძლია შეაფერხოს მედიტაციის განვითარება: 1. ყოველგვარი მყარი საცხოვრებელი, რომელიც წესრიგში არ არის, მოუწყობელია და ადამიანს აწუხებს; 2. ოჯახი, რომელიც მუდმივ ყურადღებასა და ზრუნვას მოითხოვს; 3. საჩუქრები და პოპულარობა, როცა ადამიანი იძულებული ხდება დრო თავის თაყვანისმცემლებთან გაატაროს; 4. სამასწავლებლო საქმიანობა და მოსწავლეთა ამალა. 5. სხვადასხვა სახის აქტიურობა-მოქმედებანი და ზრახვები: „რაიმე საქმის ქონა“. 6. მოგზაურობა; 7. ახლო დამოკიდებულებაში მყოფი ადამიანები, რომლებზეც ზრუნვაა საჭირო; 8. ავადმყოფობა, რომელიც მკურნალობას მოითხოვს. 9. თეორიული გამოკვლევები, რომელთაც თან ახლავს პრაქტიკული საქმიანობა-გამოყენება; 10. სუპრანორმალური ფსიქიკური ძალები, რომელთა მოქმედება-განხორციელება მეტ ინტერესებს იწვევს, ვიდრე მედიტაცია. ამ ნუსხას საფუძვლად უდევს ის, რომ მედიტაციაზე ყურადღების სრული გამახვილება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა ადამიანი ამქვეყნიური ზრუნვა-მოვალეობებისაგან გათავისუფლდება. ეს არის გონების განწმენდა-გათავისუფლება ყოველივე იმისგან, რაც მას ხელს შეუშლის მედიტაციის განხორციელებაში.

ასკეტიზმი

სილასთან ერთად ვისუდდხიმაგგაში აღწერილია 13 სავარჯიშო, რომელიც თვითგაკეთილშობილების, თვითგანწმენდისთვისაა გამიზნული. ეს ასკეტური სავარჯიშოები ბუდას მოძღვრების შესწავლისას სავალდებულო არ არის. თუ ადამიანი, რომელმაც თავისი ცხოვრება კონტემპლაციას მიუძღვნა, გრძნობს, რომ რამდენიმე ამ სავარჯიშოთაგანი მიზანთან აახლოებს, მაშინ ისინი უნდა შეასრულოს, მაგრამ ეს უნდა გააკეთოს თავშეკავებით, შეძლებისდაგვარად სხვებისაგან შეუმჩნევლად. განწმენდის ამ ასკეტურ მეთოდებს განეკუთვნება ის, რომ ადამიანს ძონძები აცვია, მოწყალებით საზრდოობს, დღის განმავლობაში მხოლოდ ერთ ჯამ საჭმელს ჭამს, ტყეში ხის ძირას სძინავს, სასაფლაოებზე და ღია ცის ქვეშ იმყოფება და მთელ ღამეებს ფხიზლობს. თუმცა ეს სავარჯიშოები ნებაყოფლობითია, ბუდა ქებით იხსენიებს მათ, ვინც „ზომიერების, თავდაჭერა-თავშეკავების, თვითმყოფადობის და თვითგვემის გულისათვის“ ცხოვრების ეს ფორმა არჩია, და პირიქით, მკაცრად გმობს ხალხს, ვინც ამაყობს თავისი ასკეტური საქმიანობით და ქედმაღლურად იქცევა. სპირიტუალური ქედმაღლობა ზიანს აყენებს და ვნებს სიწმინდეს. ეს სილას ყველა ასპექტს ეხება. სილას მიზანია მშვიდი, ამქვეყნიური საზრუნავისაგან გათავისუფლებული გონება, რომელიც მომწიფებულია საიმისოდ, რომ ყურადღება შიგნით, სიღრმისკენ მიმართოს მედიტაციისათვის.

სამადხი: კონცენტრაციის გზა

სილას განვითარება ფსიქოლოგიურ საწყის ბაზას ქმნის კონცენტრაციაში დასახელოვნებლად (სამადხი). კონცენტრაციის არსს წარმოადგენს ყურადღების გაუფანტველობა, მისი ერთი საგნისადმი, ობიექტისადმი მიმართვის უნარი. სილაში ხდება ხელისშემშლელი ფაქტორების სისტემატური დაძლევა. ახლა მედიტატორის ამოცანაა გონების დაუნაწევრებლობა, ერთიანობა, მისი ერთადერთი პუნქტისადმი მიმართვის უნარის მიღწევა. ჩვეულებრივ აზრთა ნაკადი შედგება უთვალავი გვერდი-გვერდ მიმქროლი ცალკეული ნაწილაკებისაგან. სამადხიში მიმდინარე აზრის კონტინუუმი გონის ფიქსირების მეოხებით უნდა შეწყდეს და შეჩერდეს ერთადერთ აზრზე. ეს ერთადერთი აზრი წარმოადგენს მედიტაციის საგანს. სამადხიში გონება მხოლოდ ამ ერთადერთი ობიექტისკენ კი არ წარიმართება, არამედ იგი (გონი) იჭრება მის არსში, აბსორბციას განიცდის მისგან, მას შეერწყმება. წყდება აზრთა ნაკადის უმიზნო, ქაოსური დინება, რომლის დროსაც იგი მიპყრობილი იქნება ამ ერთადერთი საგნისადმი. ამ ერთადერთი დანიშნულების პუნქტისადმი. ყოველივე, რაც შესაძლოა ყურადღების საგანს შეადგენს, შეიძლება გახდეს აგრეთვე მედიტაციის ობიექტი. სამადხი უბრალოდ კონსტანტური,[1] ერთადერთი საგნისადმი მიპყრობილი ყურადღებაა, მაგრამ სამედიტაციო საგნის სახეობა ძალზე მნიშვნელოვანია მედიტაციის შედეგისათვის. ნიკაიას (Nikayas) სახელწოდებით ცნობილ სუტრების კრებულში მოცემულია იმ საგანთა სრული სია (დასახელებულია 101 საგანი), რომელსაც ბუდა მედიტაციისათვის გვთავაზობს. ვისუდდხიმაგგაში ჩამოთვლილია ორმოცი სამედიტაციო საგანი:

ათი კასინა (Kasinas), ე. ი. კონტემპლაციის საშუალებანი: მიწა, წყალი, ცეცხლი, ჰაერი, მუქლურჯი, ყვითელი, ალისფერი, თეთრი, ღია ფერი, შემოსაზღვრული სივრცე.

ათი ასუბხა (asubhas), ე. ი. ამაზრზენი, გახრწნის სტადიაში შესული გვამი, მაგალითად, შეშუპებული გვამი, ლპობაშეპარული გვამი, მატლის შეჭმული, მატლებშეხვეული გვამი, ჩონჩხი.

ათი სააზროვნო ობიექტი: ბუდას შინაგანი მესათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისება, მისი მითითებები, სწავლება, სანგხა, სილა, თავისუფალი აზროვნება, სიკვდილის გარდაუვალობა, მედიტაციის წარმოება სხეულის 32 შემადგენელ ნაწილზე, შესუნთქვა-ამოსუნთქვა.

ოთხი მდგომარეობა ამაღლებული ცნობიერებისა: სიკეთე, თანაგრძნობა, სიხარულის თანაგანცდა, სიმშვიდე-უშფოთველობა.

ოთხი უფორმო მდგომარეობა: მედიტაცია უსასრულო სივრცეზე, უსასრულო ცნობიერებაზე, არასაგნობრივის სფეროზე, შესაცნობისა და შეუცნობლის სფეროზე; გულისამრევი საჭმლის ამაზრზენობაზე; და ოთხ ელემენტზე (მიწა, ჰაერი, ცეცხლი, წყალი), როგორც აბსტრაქტულ ძალებზე.

ყოველი ზემოჩამოთვლილ საგანთაგანი (მოვლენა) თავისებურ ზეგავლენას ახდენს კონცენტრაციის სახეებზე, სიღრმეზე და მათ თანამდევ მოვლენებზე. ყოველ მათგანს შეუძლია განავითარებინოს კონცენტრაციის ის სიღრმე, რომელიც საჭიროა ნირვანას მდგომარეობის მისაღწევად. მიუხედავად მისი განსაზღვრული სამედიტაციო საგნით გაპირობებული თავისებურებებისა, კონცენტრაციის ყოველ მდგომარეობას განსხვავებული ფსიქოლოგიური თანამდევი მოვლენები ახასიათებს. მაგალითად, როდესაც მედიტატორი სიკეთეზე (როგორც სამედიტაციო ობიექტზე) მედიტაციას ახორციელებს, მას გულდამშვიდებით ყოველგვარი საფრთხის შეგრძნების გარეშე სძინავს და ღვიძავს, ცუდი სიზმრები არა აქვს და ყველგან კეთილგანწყობა ხვდება. იგი ადვილად იკრებს ყურადღებას, მუდამ უშფოთველი და გაწონასწორებულია და ბოლოს მშვიდად კვდება. სამედიტაციო საგნით გაპირობებული უმნიშვნელოვანესი მომენტია „ჩაშვება“ სიღრმეში“ (опускание, погружение) – თხიანა (ჯჰანა) – რომელიც შესაბამის მომენტში დგება.

ბუდამ დაადგინა, რომ განსაზღვრული ტემპერამენტის მქონე ადამიანებისათვის განსაზღვრული სამედიტაციო საგნებია შესაფერისი; ტემპერამენტის მისეული ტიპოლოგია, რომელიც მან შექმნა ადამიანისათვის სამედიტაციო საგნის შერჩევის საფუძველზე, მოიცავს ოთხ მთავარ ტიპს: 1. გულღვარძლიანობის, სიავისადმი მიდრეკილების მქონენი; 2. ტკბობის, ნე-

[1] კონსტანტური, კონსტანტა (ლათ. ცონსტანს, ცონსტანტის) – მუდმივი, უცვლელი.

ტარების სურვილით შეპყრობილნი და აღგზნებისადმი მიდრეკილების მქონენი; 3. მორწმუნენი; 4. ინტელიგენტები.

პირველი ტიპის წარმომადგენელთათვის რეკომენდებულია ოთხი უმაღლესი ცნობიერების მდგომარეობა და ოთხი კასინა – ფერი (სამედიტაციო საგნებად); მეორე ტიპისათვის სამედიტაციო საგნებად რეკომენდებულია ათი ასუბხა (asubhas), სხეულის შემადგენელი ნაწილები და სუნთქვა. მესამე ტიპისათვის აზროვნების პირველი 6 ობიექტი, ხოლო მეოთხე ტიპისათვის ფიქრები სიკვდილზე, გულისამრევ საჭმელზე და ოთხ ელემენტზე. დანარჩენი საგნები შეესაბამება ყველა კოგნიტიურ (ანუ შემეცნებით) დისპოზიციებს.

ბუდა იყო მედიტაციის იდეალური მასწავლებელი, რომელმაც განავითარა უნარი, ჩაეხედა სხვა ადამიანთა თავსა და გულში და ამიტომ შეუცდომლად შეეძლო ყოველი ადამიანისათვის სწორი სამედიტაციო საგნის შერჩევა. ვასუდდხიმაგგა ურჩევს დამწყებ მედიტატორს, მოძებნოს ისეთი მასწავლებელი, რომელიც შეესაბამება მის მიერ მიღწეული მედიტაციის საფეხურს. მისი მხარდაჭერა და რჩევა გადამწყვეტ როლს თამაშობს უჩვეულო სულიერ სამყაროსთან შეხვედრისას. მოსწავლე მასწავლებელთან „პოულობს თავშესაფარს“ და მას უნდა ემორჩილებოდეს. დამორჩილებული უნდა იქნას ეგოს მისწრაფება-მიდრეკილებანი, „დაბრკოლებანი“, რომლებიც ხელს შეუშლიან მოსწავლეს, მიზანმიმართულად განავითაროს მედიტაცია იმ პუნქტამდე, იმ მომენტამდე, რომლის მიღწევის შემდეგაც დაძლეული იქნება ეგოს ეს თვისებები. ეგოს ამ ხელისშემშლელ მიდრეკილებათაგან გათავისუფლება მოსწავლეს ეკისრება და არა მასწავლებელს: მასწავლებელი ტრადიციული აღმოსავლელი გურუ კი არ არის, არამედ კარგი მეგობარი“, რომელიც მას გზის გავლაში ეხმარება, მასწავლებელი გზას უჩვენებს, მაგრამ მოსწავლემ იგი თვითონ უნდა გაიაროს. ამ ტრადიციის მიხედვით ძენრინი (Zenrin) მასწავლებლის როლის მნიშვნელობას შემდეგნაირად განმარტავს:

თუ გსურს იცოდე ბილიკი, მთისკენ რომ მიდის, უნდა ჰკითხო მას, ვინც იმ გზით დადის.

თხიანა: ჩაღრმავების, წვდომის საფეხურები

თუ მედიტატორმა მოძებნა შესაფერისი მასწავლებელი, შეურჩიეს შესაბამისი სამედიტაციო საგანი და რამდენადმე სილაშიც გაცნობიერდა, მაშინ შეუძლია სერიოზულად შეუდგეს საქმეს. ეს პირველი სტადია ხაიათდება შინაგანი ფსიქიკური დაძაბულობით ყურადღების უშუალო საგანზე კონცენტრაციასა (რაც მედიტაციის ობიექტს წარმოადგენს) და ყურადღების გამფანტველ აზრებს შორის, რომლებიც ხელს უშლიან კონცენტრაციას. ეს დაბრკოლებანი, უპირველეს ყოვლისა, თავს იჩენენ შემდეგი სახით: სხვადასხვა სურვილები, ნებისყოფის სისუსტე, სასოწარკვეთილება და ბრაზი; უხალისობა და უმოძრაობა; აღელვება და მოუსვენრობა; ეჭვი და სკეფსისი. შეუპოვარი მეცადინეობის მეშვეობით ადამიანი მთლიანად დაძლევს ამგვარ დაბრკოლებებს, რის შედეგადაც ძლიერდება კონცენტრაცია და დომინირებს ცნობიერების ის კომპონენტები, რომლებიც მოგვიანებით ჩაღრმავების, წვდომის პროცესში სრული ძალით ამოქმედდება. ეს სამადხის პირველი მნიშვნელოვანი რეზულტატია. რადგან ეს ის საფეხურია, რომელსაც ადამიანი სრულ ჩაღრმავებაში შეჰყავს, მას „საწყის“ კონცენტრაციას უწოდებენ.

კონცენტრაციის ეს მდგომარეობა შეიძლება შევადაროთ ბავშვის სიტუაციას, რომელიც, მართალია, ჯერ კიდევ ვერ ახერხებს სწორად დგომას, მაგრამ განუწყვეტლივ ცდილობს ამას. სრული ჩაღრმავებისათვის დამახასიათებელი მენტალური (ე. ი. აზრობრივი) ფაქტორები საწყის საფეხურზე ჯერ კიდევ არამყარია. ეს მომენტი ასე იოლად არ დგება, ხოლო გონება განუწყვეტლივ მერყეობს მათსა და „შინაგან მონოლოგს“, ჩვეულებრივ ფიქრებსა და უწესრიგოდ, უმიზნოდ მიმდინარე აზრებს შორის. მედიტატორი ჯერ კიდევ ახდენს რეაგირებას გრძნობად გამღიზიანებლებზე და აღიქვამს გარესამყაროს ხმაურსა თუ თავის სხეულებრივ მდგომარეობებს. პირველადი ობიექტის (ანუ სამედიტაციო საგნის) მეოხებით, მართალია, ითრგუნება აზრები, მაგრამ მედიტატორი მთლად მაინც ვერ ეუფლება გონებას. ამ საფეხურზე შეიძლება (მაგრამ საჭირო არ არის) წარმოიქმნას შემდეგი გრძნობები: სიხარული და დიდი აღტაცება (ექსტაზი), ბედნიერება და კმაყოფილება. სრული სიმშვიდე; პირველად ობიექტზე ყურადღების

პირველივე მიქცევისას ადამიანს შეიძლება ეგონოს, რომ ის შემთხვევით აღმოაჩინა, შემთხვევით წააწყდა. ხოლო კონსტატური კონცენტრაციისას კი ობიექტს კვლავ და კვლავ ახლოდან აღიქვამს. ზოგჯერ ჩნდებიან მოციმციმე ფიგურები და კაშკაშა გაელვებანი, უპირველეს ყოვლისა კი მაშინ, როცა სამედიტაციო ობიექტი კამინა (კამინა), ე. ი. სუნთქვაა ამ საფეხურზე, რომელზეც გონება „გასხივოსნებული“ კი არის, მაგრამ ჯერ კიდევ უთმობს ყურადღებას საგნებისა და მოვლენების სახელებსა და ფორმებს, ზოგჯერ კი მედიტაციის სპეციფიკური ცნობიერების მდგომარეობებთან დაკავშირებული ხილვები იჩენს თავს. შესაძლოა წარმოიქმნას აგრეთვე სხეულის სიმსუბუქის შეგრძნება, თითქოს ადამიანი ჰაერშიაო. საწყისი კონცენტრაცია ჯერ კიდევ ძალზე ლაბილურ მდგომარეობას წარმოადგენს და თუ ახლა მისი სტაბილიზაცია შეუძლებელია, ე. ი. სრულ ჩაღრმავებას ვერ ვახდენთ, მაშინ იგი იმით მაინც უნდა იქნას შენარჩუნებული, რომ მოვერიდოთ ხელისშემშლელ, ე. ი. ყურადღების გამფანტველ მოქმედებებსა და შეხვედრებს. პირველად ობიექტზე გონების განუწყვეტელი მიმართების შედეგად დგება მომენტი, რომლის დროსაც პირველად ხდება კავშირის სრული გაწყვეტა ბუნებრივი ცნობიერების მდგომარეობასთან. ეს არის თხიანა, სრული ჩაღრმავება, „ჩაშვება“. გონება თითქოს ობიექტში „ეშვება“, „ეფლობა“ და მთლიანად შედის, „იჭრება“ მასში. აღარ არსებობს ყურადღების, გონების გამფანტველი აზრები, გრძნობადი აზრები, გრძნობადი აღქმა, საკუთარი ტკივილი. უწყვეტი ყურადღების გარდა პირველად ობიექტთან აღარაფერს „აქვს საქმე“, აღტაცებით და ნეტარების გრძნობის გამოკლებით „აღტაცებასა“ და „ნეტარებას“ შორის განსხვავებაა. თხიანას პირველ საფეხურზე აღტაცება (ექსტაზი) ჰგავს დაკმაყოფილებას და სიხარულისაგან აღელვებას, რომელსაც ადამიანი მაშინ განიცდის, როდესაც ბოლოს და ბოლოს რაიმე დიდი ხნის ნანატრს მიიღებს. ნეტარება კი ამ დიდი ხნის ნანატრით ტკბობაა. ექსტაზი შეიძლება გამოვლენილ იქნას როგორც სხეულზე ბუსუსების დაყრა, ელვისებურად წარმოქმნილი და კვლავ გამქრალი სიხარული, სიხარულის, ხალისის სულ უფრო და უფრო ახალი ტალღებით სხეულის შეჟრჟოლება, უწონობის გრძნობა და ყოვლისმომცველი ბედნიერების განცდა, რომელიც მთლიანად ეუფლება ადამიანს. ნეტარება არის ხანგრძლივი ექსტაზის წყნარი, სტაბილური მდგომარეობა.

თხიანას პირველი განცდა წარმოადგენს მხოლოდ მოკლე აღქმის მომენტს. მაგრამ დაუღალავი მეცადინეობის წყალობით ადამიანი ახერხებს თხიანას ხანგრძლივი დროის მანძილზე შენარჩუნებას. სანამ მედიტატორი თხიანას მტკიცედ არ დაეუფლება, იგი (თხიანა) არასტაბილური ცნობიერების მდგომარეობად რჩება, რომელიც კვლავ „ხელიდან უსხლტება“. ნამდვილ ოსტატობასთან მაშინ გვაქვს საქმე, როცა მედიტატორს თხიანას პირველი საფეხურის მიღწევა შეუძლია – როცა უნდა, რა სწრაფად და რამდენ ხანსაც უნდა.

საწყისი საფეხურის მიღწევისას საერთოდ აღარ ხდება ყურადღების გაფანტვა (თხიანას პირველ საფეხურზე ყველა აზრი, ფიქრი დალაგებულია). თხიანას მეორე საფეხურის ზღვარზე წყდება კონსტანტური ყურადღება საკონცენტრაციო საგნის (ანუ პირველი ობიექტის) მიმართ. ეს პროცესი შემდეგნაირად ხდება: ჩაღრმავება-წვდომის პირველი საფეხურის მიღწევა პირველადი ობიექტის მეოხებით და შემდეგ წინასწარ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე გონების მიმართვა, „შეჭრა“ ექსტაზსა და ნეტარებაში პირველად ობიექტზე რაიმე აზრის გამახვილების გარეშე. წვდომის ეს საფეხური უფრო სუბტილურია, ვიდრე პირველი, მაგრამ უფრო სტაბილურიც. გონება უკვე სრულიად თავისუფალია ვერბალური ფორმულირებებისაგან და ფორმალური სახის წარმოდგენებისაგან, რომლებიც გამოწვეულია პირველადი ობიექტით. თხიანას საფეხური ისევე უნდა იქნას დაძლეული, როგორც მისი წინამავალი. როცა მედიტატორი დაძლევს თხიანას მეორე საფეხურს, „გამოვა“ მისგან და მას რეტროსპექტულად „შეხედავს“, მას ექსტაზის, ერთგვარი მღელვარების გრძნობა შეიპყრობს. თხიანას მესამე საფეხური მიიღწევა პირველადი ობიექტის ხელახალი კონტემპლაციით, რომლის დროსაც ყველა აზრი თანამიმდევრულად ჯერ პირველად ობიექტს, შემდეგ კი ზემოაღნიშნული ექსტაზის მდგომარეობას შეერწყმის, ენივთება. ჩაღრმავების მესამე საფეხურს ახასიათებს სიმშვიდე-უშფოთველობა და ახლა უკვე „გულგრილი დამოკიდებულება“ უმაღლესი აღტაცების გრძნობის მიმართაც კი, რაც ამ ექსტაზის თანდათანობით ქრობაში გამოიხატება. თხიანას ეს საფეხური წარმოადგენს განსაკუთრებულ სუბტილურ მდგომარეობას და ამ ეტაპზე მიღწეული უშფოთველობა-სიწყნარის გარეშე გონება კვლავ ექსტაზის მდგომარეობაში იქნებოდა. მედიტატორს უსაზღვრო

ნეტარების გრძნობა იპყრობს და როდესაც ამ საფეხურს ტოვებს, მას სხეულის უკანასკნელ უჯრედებამდე აქვს გასიგრძეგანებული ეს ნეტარება, რის მეოხებითაც გონება ამ სუბტილურ სფეროებში ერთაზროვნად მხოლოდ თავისი მიზნისკენ არის მიმართული და ექსტაზის ტალღებსაც თრგუნავს.

როდესაც მედიტატორი ხელახლა გაივლის თხიანას საფეხურთა რიგს და ამასთან მენტალური და ნეტარების ყოველგვარი სახისაგან გათავისუფლდება, იგი მეოთხე საფეხურს მიაღწევს. ნეტარების გაქრობის შემდეგ სრული ძალით ამოქმედდება და ვითარდება სიმშვიდისა და კონცენტრაციის ფაქტორები, დაძლეულია მენტალური ცნობიერების ყველა მდგომარეობა, რომელიც შესაძლებელია დამაბრკოლებელი ყოფილიყო ამ ორი ჯერ კიდევ არსებული ფაქტორისათვის. ამ დროს სრულიად გამქრალია სხეულებრივი ვნება-მოთხოვნილებანი; ტკივილის შეგრძნებანი თხიანას პირველ საფეხურზევე შეწყდა. აღარ არსებობს შგრძნებანი და ფიქრები, რაიმე აზრი. ამ განსაკუთრებულ სუბტილურ საფეხურზე გონება აბსოლუტურად წყნარია და მხოლოდ ერთადერთ საგანზეა მიპყრობილი. ჩაღრმავების ყოველ საფეხურზე თანდათანობით წყნარდება როგორც გონება, ასევე სუნთქვა. მეოთხე საფეხურზე სუნთქვა მთლიანად წყდება. აქ კონცენტრაციას უკვე ხელს აღარაფერი უშლის. თხიანას ყოველი საფეხური მის ქვემოთა საფეხურს ეფუძნება, ვიდრე გონება თხიანას ერთ საფეხურს მიაღწევს, იგი თანმიმდევრულად გაივლის ყველა ქვემოთა საფეხურს და ახდენს მათი კომპონენტების ელიმინირებას. გარკვეული წვრთნის შემდეგ თითქმის მომენტალურად ხდება თხიანას საფეხურების გავლა, რადგან გონება ცალკეული საფეხურების გავლისას თითოეულ საფეხურზე მხოლოდ მცირე ცნობიერების მომენტის განმავლობაში ყოვნდება. იმის მიხედვით, თუ რამდენად ხდება მენტალურ ფაქტორთა ელიმინირება, ძლიერდება კონცენტრაცია.

„უფორმო“ თხიანა

კონცენტრაციის განვითარების შემდეგ ეტაპს წამოადგენს ცნობიერების ოთხი მდგომარეობა, რომელიც დახასიათებულია როგორც „უფორმო“. მას შემდეგ, რაც გავლილია თხიანას პირველი ოთხი საფეხური მატერიალურ საგანზე მიმართული კონცენტრაციის მეოხებით და მისგან წარმოქმნილი წარმოდგენით, ვაღწევთ ცნობიერების უფორმო მდგომარეობებს საგანთა ფორმისა და გამოსახულების ყოველგვარი აღქმის მიღმა. როდესაც მენტალური ფაქტორების „გამორთვით“ თხიანას პირველი ოთხი საფეხური მიიღწევა, თხიანას უფორმო ცნობიერების მდგომარეობის დროს ხდება ტოტალური დაძლევა იმ საფეხურისა, რომელიც მომდევნო საფეხურის მიღწევას ხდის შესაძლებელს. თხიანას ყველა უფორმო ცნობიერების მდგომარეობისათვის საერთოა, დამახასიათებელია კონცენტრაცია და სიწყნარე, რაც უფრო და უფრო სუბტილური ხდება საფეხურიდან საფეხურამდე.

პირველი უფორმო ჩაღრმავება – თხიანას მეხუთე საფეხური – მიიღწევა მას შემდეგ, როცა ერთ-ერთი „კისინის“ საშუალებით ხდება თხიანას მეოთხე საფეხურის გაცნობა. მედიტატორი გონებაში შეძლებისდაგვარად აფართოებს „კასინის“ საზღვრებს და როგორც ასეთი, ყურადღებას მიმართავს საზღვრებს მიღმა მყოფ სივრცეზე. კონტემპლაციის ობიექტის უსასრულო სივრცისა, სრულად გამოვლენილ-განვითარებული კონცენტრაციისა და გონების სრული გაწონასწორების მეოხებით გონება ახლა უკვე ისეთ სფეროში ექცევა, რომელშიც შეწყვეტილია საგანთა ფორმისა და გამოსახულების ყოველგვარი აღქმა. იგი ისე მტკიცედ მკვიდრდება სუბლიმური ცნობიერების ამ საფეხურზე, რომ მას ხელს ვეღარ უშლის ანდა ვერ „ამოაგდებს“ გარე გრძნობადი გამღიზიანებელი, თუმცა გრძნობადი აღქმის მექანიზმები კვლავ ინარჩუნებს არსებობას. თხიანას მეხუთე საფეხურზე მათი გამოყენება უკვე აღარ ხდება, მაგრამ თუ ყურადღება ამ მექანიზმებს მიეპყრო, მაშინ ჩაღრმავება შეწყდება.

შემდეგი საფეხური (მეხუთეს დაუფლების გავლის შემდეგ) მაშინ მიიღწევა, როცა მედიტატორი, ნათლად აღიქვა რა უსაზღვრო სივრცე, ყურადღებას უსასრულო ცნობიერების აღქმის ელემენტს მიაპყრობს. ამით აზრი გადადის უსასრულო სივრცეში, რის დროსაც რჩება უობიექტო უსასრულო ცნობიერება. ეს არის თხიანას მეექვსე საფეხურის დამახასიათებელი ნიშანი,

როდესაც მედიტატორი თხიანას მეექვსე საფეხურს დაძლევს, იგი მეშვიდეს მიაღწევს, რომლის დროსაც ჯერ მეექვსეში შედის, შემდეგ კი უსასრულო ცნობიერების არარსებობას თავისი კონტემპლაციის საგნად აქცევს. მაშასადამე, თხიანას მეშვიდე საფეხური ჩაღრმავებაა არასაგნობრიობაში, სიცარიელეში. ეს ნიშნავს, რომ ცნობიერების საგანი არის ყოველგვარი ობიექტის არარსებობა. როდესაც მედიტატორი თხიანას ამ საფეხურს დაძლევს და შემდეგ კვლავ მოხედავს გონების თვალით, მისთვის ყოველგვარი აღქმა დაბრკოლებად ჩანს, რადგან მხოლოდ მის გარეშეა შესაძლებელი უმაღლესი ცნობიერების მდგომარეობა.

ამგვარი მოტივებით მედიტატორს შეუძლია მიაღწიოს თხიანას მერვე საფეხურს, რომლის დროსაც იგი ჯერ მეშვიდეში შევა, შემდეგ კი ყურადღებას (რომელიც სიცარიელის აღქმაზე იყო გამახვილებული) სრულ სიწყნარეზე გადაიტანს. როდესაც გონებას ღრმა სიწყნარე დაეუფლება, იგი აღწევს ულტრასუბტილურ მდგომარეობას, რომელშიც მხოლოდ მენტალური ფორმების ნიშნებიღა არსებობს. აქ უკვე აღარ არსებობს ჩვეულებრივი აღქმა, ამდენად ადგილი აქვს „არააღქმას“. თხიანას ეს მერვე საფეხური დახასიათებულია როგორც „არც აღქმა“ და არც „არაღქმა“. აქ ცნობიერების ყოველ ფაქტორს ყოფის სუბტილურობის იგივე ხარისხი ენიჭება. ვისუდდხიმაგგა თხიანას მერვე საფეხურის მენტალური ცნობიერების მდგომარეობის შესახებ წერს: ის, რაც არ არსებობდა, არ იყო, გაჩნდა. გაჩნდა თუ არა, კვლავ გაქრა“. ლამა გოვინდა (1969) ცნობიერების ამ მდგომარეობას ახასიათებს როგორც აღქმის უკიდურეს ზღვარს. გონება ისეთივე მდგომარეობაშია, როგორც სხეული: თხიანას უფორმო ცნობიერების მდგომარეობაში ნივთიერებათა ცვლა სულ უფრო ნელა მიმდინარეობს. მერვე საფეხურამდე, რომლის დროსაც კასხიაპსისეული (kashyaps) დეფინიცია ფსიქოლოგიურ პროცესებსაც ეხება: საქმე გვაქვს ისეთ განსაკუთრებულ სუბტილურ მდგომარეობასთან, რომ ვერ დავასკვნით, არსებობს ცნობიერების ეს მდგომარეობა თუ არა.

თხიანაში წარმოქმნილი ცნობიერების მდგომარეობები შეესატყვისება იმას, რასაც ვისუდდხიმაგგას სისტემაში „ბრაჰმას სამფლობელო“, „ნათელხილვის სფეროები“ და „წმინდა სამყოფლის საფეხურები“ ეწოდება. რამდენადაც თხიანას ცნობიერების მდგომარეობები თავისუფლდებიან გრძნობადი აღქმის, აზროვნების, დროისა და სივრცის რელატიურობებისაგან და აღივსებიან ნეტარებისა და აბსოლუტური უშფოთველობა-სიწყნარის მდგომარეობით, იმდენად ყოფიერების ეს სხვა სფეროები თხიანას დიმენსიებში (განზომილებებში) არსებულად აღიქმება.

სუპრანორმული ძალები

თხზულების ნაწილი სუპრანორმული ძალების შესახებ დასავლური თვალსაზრისით ვისუდდხიმაგგას, ყველაზე უფრო საკამათო ადგილია, რადგან იგი (ვისუდდხიმაგგა) ფენომენებს განიხილავს როგორც რეალურ ფაქტებს, იმ საზღვრებს მიღმა რომ იჩენს თავს, როლებიც აღმოჩენილ იქნა თანამედროვე საბუნებისმეტყველო კვლევის შედეგად. ვისუდდხიმაგგას მიხედვით, სუპრანორმულ ძალებს მიეკუთვნება: ტელეპათია (სხვათა აზრების წაკითხვა), წინასწარჭვრეტის უნარი, საგნების მატერიალიზაცია, დიდ მანძილზე ხედვა და სმენა, წყალზე სიარული, ჰაერში ფრენა და ა. შ. კიდევ უფრო საინტერესოა შემდეგი: ვისუდდხიმაგგა სკრუპულოზურად აღწერს, როგორ სრულდება, როგორ მიმდინარეობს ეს პროცესები. მაშინ როცა დასავლელი მეცნიერები ჯერაც ვერ შეჰგუებიან იმ აზრს, რომ ეს საერთოდ შესაძლებელია. მაგრამ ეს ფაქტები აღიარებულია ყველა სამედიტაციო სკოლის მიერ როგორც უმაღლესი ცნობიერების მდგომარეობათა თანამდევი მოვლენები. ვუსდდხიმაგგა მათ მიიჩნევს კონცენტრაციის შედეგად მიღწეულ რეზულტატად, მაგრამ ამასთანავე თვლის, რომ ეს ძალები დაბრკოლებას წარმოადგენს უმაღლესი ცნობიერების მიღწევის გზაზე და აყენებს მკაცრ პირობებს (განმარტავს რა, რომ ამ ძალების დაუფლება ძალზე ძნელია და „ხელიდან ადვილად სხლტება“), რომელთა მიხედვითაც უნდა იქნას გამოყენებული სუპრანორმული ძალები. მათი გამოყენება მოითხოვს გონების უმაღლეს ფლობას, უპირველეს ყოვლისა კი, ადამიანი უნდა ფლობდეს გონებაზე კონტროლის 14 სხვადასხვა მეთოდს. გარდა ამისა, მას გავლილი უნდა ჰქონდეს თხიანას რვავე

საფეხური, რომლის დროსაც საჭიროა ყოველი მეორე კასინასა და თხიანას ყოველი მეორე საფეხურის გამოტოვება. შემდეგ ყოველივე ეს უნდა გაკეთდეს შებრუნებული თანამიმდევრობით. ვისუდდხიმაგგა თვლის, რომ ყოველი 100 000 ანდა ერთი მილიონი ადამიანიდან მხოლოდ ერთი თუ ახერხებს ამ ძალების დაუფლებას. მოთხოვნილება იმისა, რომ ყურადღება გამახვილდეს, ვინმეს აჩვენოს თავისი უნარ-შესაძლებლობანი, „ნაკლოვანებად" არის მიჩნეული. რა გასაკვირია, რომ დასავლელი პარაფსიქოლოგები ჯერაც ეძებენ ადამიანს, რომელიც ფლობს აღნიშნულ სუპრანორმულ ძალებს, როგორიცაა, მაგალითად, ტელეკინეზი (telekinese) და სუპრანორმული სმენა.

ბუდისტური თვალსაზრისით, სუპრანორმული ძალების ფლობას ნაკლები სარგებლობა მოაქვს და მას სულიერი გათავისუფლების გზაზე არავითარი ღირებულება არ გააჩნია. ასეთი ძალები დაბრკოლებას უქმნის ადამიანებს, რომელთაც ჯერ არ მიუღწევიათ ნირვანას მდგომარეობისათვის, რადგან ისინი (სუპრანორმული ძალები) ზრდიან საკუთარი თავის ფასის შეგრძნებას და ამით აძლიერებენ მე-სთან კავშირს. ბუდისტური ტრადიციის მიხედვით, ეს ძალები შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ სხვათა საკეთილდღეოდ. ბერთა კავშირის წევრებისათვის შეურაცხყოფად ითვლება, თუ ბუდისტი ბერი არასასულიერო პირის თვალწინ ახდენს ფსიქიური ძალების დემონსტრირებას, რასაც ვერ ფლობენ ჩვეულებრივი ადამიანები, ხოლო ცრუ მტკიცება იმისა (ანუ ტყუილის თქმა), ამ ძალებს ვფლობო, ორდენიდან გაძევებას მოასწავებს.

პრაჯნა

ვისუდდხიმაგგას თვალსაზრისით, თხიანას დაუფლება, ისევე როგორც მისგან წარმოქმნილი უმაღლესი ნეტარება და სუპრანორმული ძალები დაქვემდებარებული მნიშვნელობისაა პრაჯნას – შესაცნობი სიბრძნის განვითარებასთან შედარებით. თუმცა თხიანა დასრულებული სავარჯიშო პროგრამის ნაწილს წარმოადგენს, მაგრამ მისი მიზანი, უპირველეს ყოვლისა, ის არის, რომ გონება დახვეწილი და მოქნილი გახდეს პრაჯნაში გასავარჯიშებლად. მართლაც, პალის, ანუ ვისუდდხიმაგგას ენაზე სამადხის ქვედა საფეხურებს ზოგჯერ კონცენტრაციათა თამაში ეწოდება, იმ პირთა „თამაში", რომლებმაც უკვე უმაღლეს დონეებს მიაღწიეს ამ სავარჯიშოთა დაუფლებისას. მაგრამ ამ წვრთნის არსებითი ნაწილია გზა, რომელიც იწყება გონების უნარ-მოქმედების დახვეწით, მის ცხოველმყოფელობით (satipatthana) და წვდომის, ჩაღრმავების (vipassana) წყალობით), რასაც მედიტატორი ნირვანაში შეჰყავს.

პირველ ფაზაში წყდება სტერეოტიპული აღქმა. ადამიანს თანდაყოლილი მიდრეკილება აქვს, „მიეჩვიოს" თავის გარემომცველ სამყაროს, უშუალო გრძნობადი გამოცდილება აბსტრაქტული სააზროვნო, ანდა თავიდანვე მზა აღსაქმელი მოდელებით შეცვალოს. ადამიანი გამოიმუშავებს ისეთ გონებრივ თვისებებს, რომ ამ დროს ხდება ადრინდელი თვალთახედვის შეგნებული გადაჩვევა, ე. ი. გამოცდილების ფაქტებზე ყურადღების გამახვილება და ყოველი მოვლენის ისეთი თვალით დანახვა, თითქოს ის პირველად ხდებოდეს. გადაჩვევის მეთოდი გამოიხატება იმაში, რომ მედიტატორი აღქმის პირველ ფაზას, რომელშიც გონება უფრო რეცეპტულად მოქმდებს, ვიდრე რეაქ ტიულად (ე. ი. რეაქციისაგან გამოწვეული), განუწყვეტელ კონტროლს უწევს. ამასთან ყურადღება მიპყრობილია მხოლოდ დაკვირვების საგნების აღქმაზე, როდესაც მედიტგატორი ყურადღებას ამახვილებს გრძნობად შთაბეჭდილებებზე, მისი რეაქციები მხოლოდ დაკვირვებამოხდენილი ფაქტებით შემოიფარგლება. თუკი ამის გარდა მას რაიმე კომენტარი, აზრი ან მსჯელობა მოუვა თავში, მაშინ ისინიც, თავის მხრივ, უშუალო ყურადღების საგნად იქცევა. მათი არც უკუგდება ხდება და არც განდევნა, არამედ, მას შემდეგ, რაც მათი რეგისტრირება მოხდება, ისინი უბრალოდ გაქრება. გონებრივი ქმედითობის, ცხოველმყოფელობის არსი ნიანაპონიკა ტხერას სიტყვებით, წმინდა, დაუმახინჯებელი ცნობიერებაა იმისა, რაც აღქმის ცალკეულ მომენტებში ნამდვილად ჩვენთან ერთად და ჩვენში ხდება.

გონებრივი ქმედითობის გამომუშავების ინტენსიური მცდელობისას პრაქტიკულ გამოყენებას პოულობს მანამდე განვითარებული კონცენტრაცია. გონებრივი ქმედითობის განვი-

თარებისათვის ოპტიმალური კონცენტრაციის საფეხურს წარმოადგენს ყველაზე ქვედა: საწყისი საფეხური: გონებრივი ქმედითობა თან უნდა სდევდეს ბუნებრივი ცნობიერების გააზრების პროცესს. მაგრამ თხიანას პირველი საფეხურიდანვე ეს პროცესები შეჩერდება. მეორე მხრივ, კონცენტრაციის ერთ-ერთ საფეხურზე გონებრივი ქმედითობის ვარჯიშებს აფერხებს ხელისშემშლელი აზრები და გონების ადრინდელი მდგომარეობა. სრული წონასწორობა მხოლოდ საწყის საფეხურზე სუფევს: სააზროვნო და აღქმის შესაძლებლობანი სრულუნარიანი რჩება, კონცენტრაცია კი საკმაოდ ძლიერია, რომ აღკვეთოს გონების გადახრა სააზროვნო და აღქმის პროცესების მუდმივი დაკვირვებიდან.

გონებრივი ქმედითობის განვითარების ყველაზე უფრო მიღებული მეთოდია თხიანაში წინასწარ ვარჯიში. მას შემდეგ, რაც მედიტატორი სამადხიში წვრთნისას ოსტატობის გარკვეულ დონეს მიაღწევს, იგი კონცენტრაციის უნარს გონებრივი ქმედითობის გამოსამუშავებლად იყენებს. არსებობს აღქმის, ჩაღრმავების ისეთი მეთოდი, რომლის საშუალებითაც ეს ვარჯიშები წინასწარი ჩაღრმავების გარეშე მიიღწევა. აქ ჩაღრმავებისათვის საჭირო საფეხური თვითონ მიიღწევა გონებრივი ქმედითობის გასავითარებელი სავარჯიშოების შესრულების დროს. ამ დროს მედიტატორს განუწყვეტლივ ეფანტება გონება „მოფარფატე“, ხელისშემშლელი აზრებისაგან, რომელთაც ადგილი აქვს დაკვირვების მომენტებში. ეს აზრები, ფიქრები ზოგჯერ აღიქმება, ზოგჯერ კი არა. დასაწყისში გონების ხანმოკლე კონცენტრაცია ფენომენების დაკვირვებაზე ისე ძლიერდება, რომ ბოლოს, პრაქტიკულად, ყველა „მოფარფატე“ აზრის რეგისტრირება ხდება. ისინი რეგისტრირებისთანავე ქრება და იმწამსვე შეიძლება ვარჯიშის კვლავ გაგრძელება. ბოლოს მიიღწევა მომენტი, რომლის დროსაც გონება გაუფანტველი ხდება. მაშინ უკვე დაუბრკოლებლად ხდება დაკვირვება აღქმისა და სააზროვნო პროცესებზე. ცნობიერების ამ მდგომარეობას იგივე ფუნქცია აქვს, როგორიც კონცენტრაციას ჰქონდა საწყის საფეხურზე.

პრაქტიკაში გონებრივი ქმედითობის ოთხი სახე გვხვდება, რომელთაც, მართალია, იდენტური ფუნქცია აქვთ, მაგრამ ერთმანეთისაგან განსხვავდებიან იმ პუნქტით, რომლისკენაც განსაზღვრულ დროს თვითონვე არიან მიპყრობილი. კონტემპლაცია შეიძლება მიპყრობილ, მიმართულ იქნას სხეულზე, გრძნობებზე, გონებასა და აზროვნების ობიექტებზე. ამ დროს ხდება სხეულებრივი მოქმედების, აქტიურობის ყოველი მომენტის, მაგალითად, სხეულის ორგანოების მდგომარეობის და მოძრაობის გააზრება შესრულებული მოქმედების სახისაგან დამოუკიდებლად. ყოველდღიურ ცხოვრებაში სხეულის ყველა, ყოველგვარი მოქმედება ზუსტად, ზედმიწევნით უნდა იქნას აღქმულ-გააზრებული მისი მიმდინარეობის უბრალო რეგისტრირების საფუძველზე. ამ დროს საჭიროა ყოველ შინაგან შეგრძნებაზე კონცენტრაციის მოხდენა, სასიამოვნო არიან ისინი თუ არა. ჩვეულებრივ, ხდება ყოველი პროპრიოცეპტული სტიმულის რეგისტრირება მისი შენიშვნისთანავე. ზოგიერთი მათგანი წარმოიქმნება როგორც უშუალო რეაქცია გრძნობად გამღიზიანებელზე, ზოგი როგორც ფსიქოლოგიური ცნობიერების მდგომარეობების თანამდევი მოვლენა, ზოგიც როგორც ფიზიოლოგიური ცხოვრებისეული პროცესების თანაპროდუქტი. მაგრამ რა წარმოშობისა და ხასიათისაც არ უნდა იყოს იგი, ბოლოს ხდება, როგორც ასეთი, შეგრძნების რეგისტრირება.

გონებრივი ქმედითობის საფუძველს წარმოადგენს აზრობრივი ცნობიერების მდგომარეობები. როგორი განწყობილება, აზროვნების სახე თუ სულიერი მდგომარეობაც არ უნდა გამოვლინდეს, ის, როგორც ასეთი, რეგისტრირებულ უნდა იქნას. როდესაც რაიმე აზრი წარმოიქმნება, მაშინ იგი „შეტანილი“ იქნება მენტალურ მნიშვნელობათა საკლასიფიკაციო სისტემაში, რომელიც აზრის, ფიქრების ყოველ სახეს ორ კატეგორიად ჰყოფს: პირველი, ნათელხილვას რომ აფერხებს და მეორე, რომელიც ხელს უწყობს მას.

ჩაღრმავების საფეხურები

როდესაც გონებრივი ქმედითობის ზემოაღწერილი ტექნიკა კონსეკვენტურ გამოყენებას პოულობს, მაშინ, ჩვეულებრივ, ისპობა ილუზია, რომ აზროვნებისა და აღქმის პროცესები განუწყვეტლობისა და გონების მიერ არის განსაზღვრულ-გაპირობებული. გონება იწყებს

შემთხვევითი, წუთიერი ცალკეული ელემენტების გარჩევას, რომელთაგან მუდამ ახლიდან მკვიდრდება რეალობა. იგი (გონება) ახდენს ამ პროცესთან ნამდვილი ბუნების გააზრებას. ფაქტობრივად, ცნობიერების „ამოქმედება“ იწყება უშუალოდ განუწყვეტლად შენარჩუნებულ კონტემპლაციასთან კავშირში. ამგვარად, გონება ისეა ფიქსირებული თავის ობიექტზე, რომ კონტემპლატური გონება და ობიექტი მთლიან, უწყვეტ ერთიანობას ქმნის – გონება თავის თავს შეიცნობს, რაც ბოლოს აპოგეას ნირვანაში აღწევს.

პირველი კოგნიტური (შემეცნებითი) განცდა ცხადყოფს, რომ დასაკვირვებელი (ე. ი. რომელზეც უნდა მოხდეს კონცენტრაცია) ფენომენები განსხვავდება მათზე დამკვირვებელი გონებისაგან. უნარ-შესაძლებლობა, გონებას თავისივე საკუთარი ფუნქციონირების მოწმედ რომ ხდის, განიცდება როგორც რაღაც განსხვავებული იმისაგან, რაზეც დაკვირვება ხდება. როგორც წვდომის ყველა საფეხურზე, ასეთი აღქმა არამც და არამც არ წარმოიქმნება ვერბალიზაციის სიბრტყეზე (როგორც ეს აქ არის გამოხატული), არამედ ნამდვილი, უშუალო განცდის სფეროში. დგება გაგების, შეცნობის მომენტი, მაგრამ არა აუცილებლად ამ გაგების ვერბალური (სიტყვიერი) ფორმულირების თვალსაზრისით.

როდესაც მედიტატორი გაიაზრებს გონებისა და ობიექტის დუალიზმს, იგი ღრმად დარწმუნდება იმაში, რომ ეს დუალისტური პროცესები მე-ს არ შეიცავს. იგი მას აღიქვამს როგორც მათი მიზეზების შედეგს და არა როგორც ინდივიდუუმის აქტიურობის, მოქმედების რეზულტატს. ეს პროცესები მიმდინარეობს საკუთარი შინაგანი კანონების თანახმად, ადამიანური ნებისაგან დამოუკიდებლად. ეს არის „ანატას“ შესახებ (სიტყვასიტყვით „არა მე“) ბუდისტური მოძღვრების უშუალო შეხედულება, სახელდობრ კი ის, რომ ყველა ფენომენი თავისუფალია მისთვის დამახასიათებელი პერსონალური არსის თუ არსებისაგან, რაც საკუთარ „მეზეც“ ვრცელდება. მთელი ცხოვრება, როგორც განვლილი, ასევე მომავალი, გააზრებულია, გაგებულია მხოლოდ როგორც კონდიციონირებული (პირობითი, შეპირობებული) პროცესი მიზეზისა და შედეგისა. კითხვა, მართლა ვარსებობ „მე“ თუ არა, უსაგნო, უმიზნო გახდა. „მე ვარ“ მცდარ კონცეფციად არის მიჩნეული.

შემდგომი კონტემპლაცია ნათელყოფს, რომ შემმეცნებელი გონება და მის მიერ საგნებად შერჩეული ფენომენები წარმოიქმნება და მიმდინარეობს ისეთ რიტმში, რომ მედიტატორს არ ძალუძს ამ რიტმის გააზრება. ცვლილება და მსვლელობა განსაზღვრავს ცნობიერების მთელ არეს. მედიტატორისთვის ელვის უსწრაფესად ცხადი ხდება, რომ მისი სინამდვილის სამყარო მუდმივად ახლიდან ფორმირდება განცდათა თითქოსდა უსასრულო ჯაჭვში. ყოფიერების ცვალებადობა, არამუდმივობა მისთვის სულის სიღრმემდე ნათელი ხდება (პალი: anicca). რადგან მედიტატორი ხედავს ამ ფენომენების მუდმივ წარმოქმნა-მიმდინარეობას, ისინი მას არ წარმოუდგება სასიამოვნო და უიმედო მოვლენებად. მას „იმედი უცრუვდება“, რაც ყოველთვის ცვლილებას განიცდის, არ შეიძლება იყოს მუდმივი კმაყოფილების წყარო. ფსიქოლოგიურ პროცესს, დაწყებულს იმის გააზრებით, რომ სინამდვილე დაქვემდებარებულია „უმეობასა“ და მუდმივ ცვალებადობას, მედიტატორი ბოლოს მიჰყავს თავისი გამოცდილება-განცდის სამყაროსაგან საკუთარი „მეს“ მოწყვეტის ცნობიერების მდგომარეობამდე. სახელდობრ კი იმ პუნქტამდე, რომელშიც იგი აღიქმება ყოველგვარი ტანჯვა-კაეშნის წყაროდ (პალი: dukkha). კონტემპლაცია უკვე ამ სახის გააზრებების გარეშეც გრძელდება. ამას მოჰყვება სტადია, რომლის დროსაც ნათლად აღიქმება კონტემპლაციის ერთმანეთის მომდევნო ყოველი ობიექტის წარმოქმნა და გაქრობა. იმავდროულად, აღქმის ასეთივე სიმძაფრით წარმოჩნდება შემდეგი ფენომენები:

ხილვა მოციმციმე, მბრწყინავი სინათლისა, ანდა სინათლის სხვაგვარი ფორმისა, რომელიც მხოლოდ რამდენიმე წამს, ზოგჯერ კი უფრო მეტხანს გრძელდება.

უდიდესი აღტაცება (ექსტაზი, რომელიც ბუსუსების დაყრას იწვევს, სხეულის ორგანოების თრთოლა, ლევიტაციის შეგრძნებები და ა. შ. (შდრ. თხიანას პირველი საფეხურის აღწერა).

გონებისა და სხეულის ღრმა სიმშვიდე, ორივე მსუბუქი და მოქნილი ხდება და მედიტატორი თავისუფლად ფლობს მათ.

გატაცება და რწმენა, რომელიც ემყარება მედიტაციის უპირველესი მასწავლებლის – ბუდას მოძღვრებას და სანგხას (sangha), რასაც თან ახლავს სიხარულით სავსე ნდობა მედიტაციის

ეფექტურობისადმი და სურვილი – ურჩიოს მედიტაციის ჩატარება მეგობრებსა და ნათესავებს.

უშრეტი ენერგია კონტემპლაციის დროს (რომელიც არც დუნედ შესრულდა და არც ზედმეტი დაძაბვით). მთელ სხეულს ამაღლებული, დახვეწილი ბედნიერების გრძნობა ეუფლება: ჯერაც განუცდელი, უსასრულო ნეტარება „აიძულებს“ მედიტატორს, სხვებსაც გაანდოს ეს არაჩვეულებრივი განცდა;

დასაკვირვებელი ფენომენების სწრაფი და მკაფიო აღქმა; დაკვირვება ზუსტი, ინტენსიური და მკაფიოა და წამსვე ნათლად ცნობიერდება ცვალებადობის, „უმეობის“, დაუკმაყოფილებლობის დამახასიათებელი ნიშნები;

ინტენსიური გონებრივი ქმედითობა ჩაღრმავების, წვდომის სავარჯიშოების შესრულების დროს ისე, რომ დამკვირვებელი, შემმეცნებელი გონება იოლად „ხედავს“ რიგ-რიგად წარმოქმნილ ყველა ფენომენს;

სუბტილური „ტყვეობა“, კავშირ-დამოკიდებულება სინათლის მოვლენებთან, სხვა აქ ჩამოთვლილ ფაქტორებთან და კონტემპლაციის სურვილთან;

სრული სიმშვიდე ყოველი მენტალური წარმოსახვისადმი;

მედიტატორი ამ ათი ფენომენის წარმოჩენისას მღელვარე სიხარულს გრძნობს და შესაძლოა სხვებსაც გაუზიაროს თავისი განცდები, მიიჩნევს რა, რომ მან განახორციელა ნათელხილვა და მიაღწია მიზანს სამედიტაციო სავარჯიშოების მეშვეობით, თუნდაც არ ფიქრობდეს, რომ ეს მის გათავისუფლებას (ე. ი. ნათელხილვის მიღწევას) მოასწავებს. მან შეიძლება მაინც შეწყვიტოს სავარჯიშოები მცირე ხნით, რათა მთლიანად მიეცეს ამ განცდებით მოგვრილ სიხარულს. ამიტომ აქ აღწერილი საფეხური, რომელსაც „ცოდნა წარმოქმნისა და ქრობის“ შესახებ ეწოდება, ვისუდდხიმაგგაში მოხსენიებულია ქვესათაურით – „შეცნობის, ჩაღრმავების ათი კორუფცია“. ეს ფსევდონირვანაა. ამასთან მთავარი საშიშროება იმაში გამოიხატება, რომ „რაც არ არის ბილიკი, მიჩნეულ იქნას ბილიკად“ (ე. ი. გასავლელი საფეხური) და მერყეობა წვდომის, შეცნობის დროს, რადგან მედიტატორი ზემოაღნიშნული ფენომენების ტყვეობაშია. თუ მედიტატორი არ გაითვალისწინებს საკუთარ ძალას ან მასწავლებლის რჩევას ამის შესახებ, რომ ეს განცდა მხოლოდ ეტაპია გასავლელ გზაზე და არა უკვე მიზანი, მაშინ იგი მათზე ახდენს კონტემპლაციის კონცენტრირებას, რაც სრულიად არასწორია.

ამის შემდეგ მედიტატორი ამჩნევს, რომ ამგვარი შეგრძნებები თანდათანობით ქრება, ხოლო ობიექტების აღქმა კი მეტ სიმძაფრეს იჩენს. გაცილებით მატულობს განსხვავება ერთმანეთის მომდევნო ფენომენებს შორის, ხოლო ობიექტების აღქმა ხდება შეუმცდარად და სულ უფრო და უფრო სწრაფად. ობიექტების გაქრობა უფრო ნათლად შეიგრძნობა, ვიდრე წარმოქმნა: დამკვირვებელი, განმჭვრეტი გონება და კონტემპლაციის ობიექტი ერთდროულად „იხსნება“ ყოველ ახალ მომენტში. ამ განცდისაგან გამომდინარეობს მთელი რიგი აღქმებისა – გონებას ეუფლება შიში და თრთოლვა, ყოველი მენტალური წარმოსახვა რაღაც საშინელებად ეჩვენება; გახდომა – ე. ი. აზრის წარმოქმნა – შიშის მდგომარეობაში ვლინდება მენტალური ფენომენების წარმოქმნა, რომელიც ჩვეულებრივ სიხარულის წყაროა, მას წარმოუდგება როგორც მუდმივად შემავიწროებელი მდგომარეობა, რომელსაც უმწეოდ ემორჩილება გონება.

ამის შემდეგ საცნაური ხდება, თუ როგორი მცდარია და არადამაკმაყოფილებელი ყველა ფენომენი. თითოეული მენტალური წარმოსახვა მოკლებულია ყოველგვარ მნიშვნელობას და არადამაკმაყოფილებელია. ისინი მხოლოდ საშიშროებას შეიცავენ. მედიტატორი გრძნობს, რომ ყოველი მენტალური წარმოსახვა დასაკვირვებელი თუ როგორღაც ჯერ კიდევ გონებაში არსებული, ევლინება უსიამოვნოდ და ცარიელად, ყველაფერში, რასაც აღქივამს, მედიტატორი ხედავს მხოლოდ წვალებასა და სიძნელეს.

ამგვარად, როდესაც მედიტატორი ყოველ მოვლენაში ფარულ გასაჭირს, სიძნელეს შეიცნობს, იგი მის მიმართ ღრმა ზიზღს იგრძნობს. თუმცა იგი კვლავაც ასრულებს ცნობიერების განსავითარებელ ვარჯიშებს, მაგრამ მის გონებაში უკმაყოფილება და უხალისობაა დასადგურებული მენტალურ წარმოსახვათა მიმართ. თვით ფიქრი სრულყოფილ, ბედნიერ ცხოვრებაზე და სასურველ-სანატრელ ამბებზე მას ნაკლებად მიმზიდველად და მოსაწყენად უჩანს. იგი სრულიად უგრძნობელი გახდა და ანტიპატიურად განეწყო ყოველგვარ მენტალურ წარმოსახვათა სფეროსადმი და რაიმე ახალი მოვლენის, წარმოქმნის, ბედისა თუ ცნობიერების ნებისმიერი მდგომარეობისადმი.

დაკვირვების, ჭვრეტის ცალკეულ მომენტებს შორის იბადება, თავს იჩენს აზრი, რომ ხსნა მხოლოდ ყველა მენტალურ წარმოსახვათა შეწყვეტაშია. ახლა გონება უკვე აღარ არის „მილურსმული“ ამგვარ წარმოსახვებზე. მედიტატორს სურს გათავისუფლდეს ამ ფენომენებით მიყენებული უსიამოვნო შეგრძნებებისაგან. შესაძლოა მთელ სხეულს ტკივილები დაეუფლოს და მას აღარ შეეძლოს ერთ მდგომარეობაში დიდხანს ყოფნა. მისთვის უაღრესად ცხადი ხდება საკუთარი გონების შინაარსით გამოწვეული უმწეობა, სულის სიღრმემდე გრძნობს მისგან გათავისუფლების მოთხოვნილებას. ეს ძლიერი მოტივაცია, წერტილი დაუსვას ყოველ მენტალურ წარმოსახვას, ინტენსიურს ხდის მის მცდელობას, შეიცნოს ეს წარმოსახვანი, რათა მისგან გათავისუფლდეს. ახლა უკვე სრულიად ნათელი ხდება ამ ფენომენების ბუნება – მათი არამდგრადობა, ცვალებადობა – მერყეობა, წვალების ელემენტი და მათი უმეობა. მედიტატორი ამ საფეხურზე ჩვეულებრივ, სულ უფრო მეტ სხეულებრივ ტკივილს განიცდის. აქ შემდგომი შეცნობის მცდელობა შესაძლოა დაბრკოლდეს მღელვარების, მოუსვენრობის მიერ. მაგრამ ტკივილები თანდათან გაქრება მათი შეგნებულად გაცნობიერებით. ამ დროს მედიტაცია სრულიად მახვილი და ცხადი ხდება. მედიტატორი ყოველ მომენტში სრულიად ნათლად გაიაზრებს ამ ფენომენების სამ დამახასიათებელ ნიშანს და ამ სამთაგან ერთ-ერთი ეუფლება მის გონებას. ახლა კონტემპლაცია ავტომატურად გრძელდება, სრულიად ძალდაუტანებლად, თითქოს თავისთავად მიმდინარეობს და ვითარდებაო. ქრება შიშის, სასოწარკვეთილების, გაჭირვება-სიძნელისა და სხვა უსიამოვნო შეგრძნებები. სრულიად ქრება ფიზიკური ტკივილები, რაიმე შეგრძნება მენტალური ობიექტისადმი. მედიტატორს ეუფლება გონების უზომო სუბლიმური სიცხადე და ღრმა სიმშვიდე ყოველი მენტალური წარმოსახვის მიმართ. მედიტატორს აღარ ესაჭიროება რაიმე შეგნებული მცდელობის, ღონისძიების გამოყენება. მედიტაცია რამდენიმე საათის განმავლობაში მიმდინარეობს შეუწყვეტლად და დაუღლელად. კონტემპლაცია თავისთავად მიმდინარეობს, ხოლო ჩაღრმავების, წვდომის პროცესი უაღრესად სწრაფი და აქტიურია.

ჩაღრმავება უკვე კულმინაციას უახლოვდება, მედიტირება ინტენსიური და ნათელია, ყოველი მენტალური წარმოსახვა, სახე შეიცნობა, გაიაზრება როგორც არამყარი, მტკივნეული და „უმეო“. ყოველი მათგანი აღიქმება როგორც არასასურველი, უსიამოვნო და უცხო. ხდება მათგან სრული გამიჯვნა. მედიტაცია ჩაღრმავების კავშირს წყვეტს ყოველგვარ მენტალურ სახესთან. შემდეგ წარმოიქმნება ისეთი ცნობიერება, რომელსაც საფუძვლად უდევს „უნიშნობა“, არ მიმდინარეობა, უპროცესობა: ნირვანა. ამ დროს მთლიანად ქრება ფიზიკური და მენტალური ფენომენები. ნირვანას განცდის მომენტი პირველად ერთ წამსაც კი არ გრძელდება. უკვე უშუალოდ ამის შემდეგ გაიაზრებს გონება ახლახან მომხდარ, ახლახან განვლილ განცდას.

ნირვანა

ნირვანა არის დიდ ფსიქოლოგიურ, თანამიმდევრულ მოვლენათა შედეგად მიღებული კოგნიტური (შემეცნებითი) შოკი. იგი განეკუთვნება მოვლენათა შეფარდებითი სინამდვილის მიღმა არსებულ იმ სფეროს, საიდანაც წარმოშობილია ჩვენი ენა, მეტყველება და მაშასადამე, ნირვანა, განუპირობებლობის ცნობიერების მდგომარეობა, მხოლოდ იმის საშუალებით შეიძლება აღიწეროს, რაც არ არის. ეს არის წარმოუქმნელი, დაუბადებელი, შეუქმნელი, განუპირობებელი. თვითონ სიტყვა წარმოშობილია ნეგატიური პრეფიქს *ნირ*-ისა და ძირის *ვანა*-საგან (წვა); მაშასადამე, იგი არის მეტაფორა რაიმედ გახდომის, განხორციელების, მომავლად ქცევის ყველა ფორმის ქრობისა; ყოველგვარ სურვილ-მისწრაფებათა და ეგოს ქრობისა. ნირვანას მიღწევის შედეგად საბოლოოდ მოიხსნება ეგოსი და ჩვეულებრივი ცნობიერების ასპექტები. ახლა წვდომის ჩაღრმავების პროცესი არსებითად განსხვავდება სამადხის დროს არსებული ჩაღრმავების პროცესისაგან ამ ერთადერთ პუნქტში: ნირვანა სპობს ეგოს „საძრახის“ თვისებებს – სიძულვილს, სიხარბე-ანგარებას, ილუზიომანიას და სხვა, მაშინ როცა ისინი მხოლოდ ზღუდავს და თრგუნავს მათ. ნირვანაში სილა ძალდაუტანებელი ხდება, თავისთვად მიმდინარეობს. იგი მოქმედების ერთადერთი შესაძლებელი სახე ხდება. თხიანა „განდევნის“ საძრახის თვისებებს, მაგრამ ისინი ფარულად ინარჩუნებენ მათ. თხიანას გავლის შემდეგ მათ შესაძლოა კვლავ იჩინონ თავი.

არსებობს ნირვანას განცდის, შეცნობის ოთხი სფერო, რომლებიც დამოკიდებულია ნირვანაში „შესვლამდე“ მცირე ხნით ადრე მიღწეული წვდომის, ჩაღრმავების სიღრმეზე. რამდენჯერაც მიაღწევს ადამიანი ნირვანას, იმდენჯერ წარმოჩნდება მისი ოსტატობის დონე, ე. ი. ეს ნიშნავს უნარს – მიაღწიოს ნირვანას სადაც კი, როცა კი უნდა და რამდენ ხანსაც უნდა, მაგრამ ამას არა აქვს კავშირი მიღწეულ სფეროსთან. რამდენადაც უფრო ღრმაა ნირვანაში შესვლამდე განვითარებული წვდომის უნარი, იმდენად უფრო მაღალია მიღწეული დონე და მით უფრო საგრძნობი და საფუძვლიანია მისგან გამომდინარე პიროვნული ცვლილება. ნირვანაში „შესვლა“ ნიშნავს „გაღვიძებას“, მისი მომდევნო ეგოს დაკარგვა არის „გათავისუფლება“ პიროვნულობისაგან. დ. ტ. სუცუკი (Suzuki) ასე წერს (1957, გვ. 55) ბუდასეული ნათელხილვის პროტოტიპული განცდის შესახებ: „ნათელხილვის განცდა ძირეულ გავლენას ახდენს მთელს პიროვნებაზე, მის დამოკიდებულებაზე სიცოცხლისა და სამყაროს მიმართ... ბუდას განცდა არ იყო უბრალოდ ცნობიერების „პერიფერიული“ განცდა, არამედ ადამიანის უშინაგნეს, ღრმად შინაგან სამყაროში გათავისებული რამ“.

აქ პირველი სფეროა, ცნობიერების პირველი მდგომარეობაა სოტაპანა (Sotapanna) – „ნაკადში ჩაშვება, ჩაღრმავება, ჩაყურყუმალავება“. მედიტატორი ნაკადში ჩამღრმავებელი, ჩამყურყუმელავებელი ხდება ნირვანაში შესვლის პირველსავე წამში და ასევე რჩება მანამდე, ვიდრე მისი ცნობიერება იმ დონემდე გაღრმავდება, რომელიც საჭიროა შემდეგი სფეროს, დონის მისაღწევად. „ნაკადი“, რომელშიც იგი „ეშვება“, ის ნაკადია, რომელიც ეგოს მთლიანად დაკარგვას, ყოველი „გახდომის“, განხორციელების, მომავლის დაკარგვას, ქრობას იწვევს. საბოლოო გათავისუფლება ხდება მტკიცედ, „შვიდი შემდგომი ცხოვრების შიგნით“. ამ პირველ სფეროში მინიმუმამდე მცირდება პიროვნების დამახასიათებელი ნიშნები და შეხედულებანი: ყოველგვარი აღგზნება-გაღიაზიანებანი და აღელვება; სწრაფვა პირადი სარგებლობისადმი, ქონებისა და რიტუალების შესრულებით შემოფარგვლა და იმით დარწმუნება, რომ ესა თუ ის „რაღაც“ – ჭეშმარიტებაა; ეჭვი და მერყეობა, ნამდვილად მოაქვს თუ არა სარგებლობა ვიპასანას (vipassana), სიცრუე, ქურდობა, აღვირახსნილობა, სხვათადმი ფიზიკური ტკივილის, ზიანის მიყენება და სხვის ხარჯზე თავის რჩენა.

როდესაც ცნობიერება, წვდომის უნარი ისე გაღრმავდება, რომ მედიტატორს დუკკას (dukkha), ანატას და ანიკას (anicca) შეცნობა უფრო და უფრო მეტად აღავსებს, იგი (ცნობიერება) განსაკუთრებულ ინტენსიობას აღწევს: ახლა ნირვანა ისეთ საფეხურზეა, რომ ქრება სურვილ-მისწრაფება აღქმის ობიექტებისადმი და ნებისყოფის ყოველგვარი სისუსტე. მედიტატორი ხდება საკადგამი (sakadgami) – „კვლავ დამბრუნებელი“, რომელიც მთლიანად თავისუფლდება ამ თუ შემდგომ ცხოვრებაში. ეგოს ელემენტებთან ერთად წყდება აგრეთვე ყოველგვარი მღელვარება და აღგზნებულობა-გაღიზიანებანი; ქრება ყოველგვარი მიზიდულობა-განზიდულობის ძალა. ცნობიერების ამ მდგომარეობისათვის დამახასიათებელია ყველა სტიმულისადმი „უგრძნობი“ დამოკიდებულება ისე, რაც „კიდევ ერთხელ დამბრუნებლის“ საფეხურზე მცირდებოდა, ახლა მთლიანად ქრება. მედიტატორი შედის ანაგამის (anagami – ე. ი. „აღარ დამბრუნებლის“) ცნობიერების მდგომარეობაში და სამუდამოდ თავისუფლდება რაიმეს რაიმედ ქცევის, რისამე განხორციელების უწყვეტი, ცირკულარული პროცესისაგან ამ ცხოვრებასა და სამყაროში. მანამდე უკვე „მოხსნილ“ ეგოს ელემენტებს დაემატება (ე. ი. ისიც გაქრება) ყოველგვარ სურვილ-მოთხოვნილებათა და აღგზნებულობა-გაღიზიანებათა უკანასკნელი ნარჩენები. ქრება ყოველგვარი ანტიპათიები ამქვეყნიური გარემოებებისადმი როგორიცაა რაიმე დანაკარგი, სირცხვილი, ტკივილი, გაკიცხვა-საყვედური; ბოროტული მოტივაციები, რაიმე ზრახვა თუ ლაპარაკი შეუძლებელია – ამ დროს მედიტატორი ვინმეს ან რაიმეს მიმართ ცუდ აზრს გულში ვერ გაივლებს. კატეგორიები „მტერი“ და „ანტიპათია“ ცნობიერებიდან ქრება. ამ სტადიაში სრულიად შეუძლებელია სექსუალური მოქმედება, რადგან ჟინის დაკმაყოფილება და ავხორცობის გრძნობა-მოთხოვნილება ჩაკლულია. სრული აღუშფოთველობა, „მიუსწრაფებლობა“ სუფევს ყოველგვარი საგნისა თუ მოვლენისადმი, „აღარ დამბრუნებელი“ მათ აბსოლუტურად ნეიტრალურად უყურებს.

ცნობიერების საბოლოო, სრულყოფილი სიმწიფის მიღწევისთანავე ქრება ყოველგვარი კავშირი ეგოსთან და იხსნება უნივერსუმის პირობითი ცნების ყველა სუბიექტური მნიშვნე-

ლობა. მედიტატორი უკვე არაჰანტია (arahant) – „აბსოლუტური ნათელმხილველი“, წმინდანი. იგი საბოლოოდ თავისუფლდება ტანჯვა-წვალებისაგან, ვნებებისაგან და ახალი კარმისაგან (ადამიანის ბედის დამოკიდებულება მის მოქმედება-საქციელზე); რადგან მას მეს ცნობიერება აღარა აქვს, მისი ყვოელი მოქმედება აბსოლუტურად ფუნქციონალურია. საკუთარი წარსულიდან აღარა აქვს შერჩენილი არავითარი შინაგანი ცნობიერების მდგომარეობა, რომლის საფუძველზეც შესაძლოა გონებაში წარმოქმნოდა რაიმე სურვილ-მოთხოვნილების, სიძულვილის და სხვა მსგავსი ემოციები. ყველა წარსული ნამოქმედარი აღმოფხვრილია ისევე, როგორც ყოველი მომავალი ამბავი ეგოს უკანასკნელი „კვალი“, რომელიც ამ ბოლო სტადიაში ქრება, არის ნებისმიერი სურვილი თუ წყურვილი ყოველგვარი ამქვეყნიური მოგება-სარგებლობისადმი, სახელისადმი, სიამოვნებისადმი და განდიდებისადმი; ყოველგვარი სწრაფვა-მოთხოვნილება თვით მატერიალური და უფორმო თხიანას ცნობიერების მდგომარეობებისათვის დამახასიათებელი ნეტარებისადმი; ყველა მენტალური აკვიატება-სიჯიუტე და აღელვება; ნებისმიერი სწრაფვა ამქვეყნიური საგან-მოვლენებისადმი. წარმოუდგენელი, შეუძლებელი ხდება ყოველგვარი უხამსი ფიქრები თუ მოქმედება. არაჰანტის დონეზე „უმეობის“, ტანჯვა-ვნებისა და მერყეობა-ცვალებადობის – ამ სამი ყველაზე უფრო სუბლიმური ჭეშმარიტების შეგრძნება-მოქმედება ყოველ მომენტში ევიდენტურია (ნათელია, ცხადია). ვაი ვუ ვაი ცნობიერების მდგომარეობის ამ სფეროს შესახებ ამბობს: „როდესაც ბუდა გამოერკვა, მან ირწმუნა, რომ რასაც იგი აქამდე ტანჯვა-ვნებისაგან განსხვავებით და მასთან შედარებით ბედნიერებად მიიჩნევდა, ის სულაც არ ყოფილა ბედნიერება. ამის შემდეგ მისი ერთადერთი „სტანდარტული ზომა“ იყო ანანდა (ანანდა), ე. ი. ის, რის წარმოდგენასაც ჩვენ ნეტარებად ვცდილობთ. ტანჯვა-ვნება მას წარმოუდგა, განუსახიერდა როგორც ბედნიერების ნეგატიური სახე, ხოლო ბედნიერება კი როგორც ტანჯვა-ვნების პოზიტიური სახე, ორივე ერთად კი როგორც განცდის, ცნობიერების მდგომარეობებისათვის დამახასიათებელი ნეგატიური და პოზიტიური ასპექტები. მაგრამ შედარებით ნუმინოზურ[1] მდგომარეობასთან, რომელსაც მხოლოდ იგი ჩაწვდა, შესაძლებელი იყო ორივეს... დუკკხად (ტანჯვა, ვნება) მიჩნევა-დახასიათება. დუკკხა იყო სუკკხას (სიამოვნება, კეთილდღეობა) დამატება, შევსება“.

არაჰანტს „არა მეს“ ჭეშმარიტება ადვილად წარმოესახება. სუძუკი ამას შემდეგნაირად აღწერს: „ვინც ამ საფეხურს მიაღწევს, ჩაწვდება, შეიცნობს „თავისთავად, უშუალო ცოდნით, რომ იმ მომენტში, როცა გონი გაწმენდილ იქნა ჩვეულებრივი ეგოცენტრირებული იმპულსებისა და მძაფრი სურვილ-მისწრაფებებისაგან, აღარაფერი დარჩა ისეთი, რაც ეგოს „თავშესაფარი იქნებოდა“. არაჰანტისათვის სრულყოფილია აღქმა ვიპასანაში: იგი იცნობიერებს მენტალური პროცესების უმცირეს სეგმენტებს, ცნობიერების მომენტებს. გადმოცემის თანახმად, ბუდამ 17 სხვადასხვა ცნობიერების მომენტში (ყოველი მათგანი წინამავალისაგან და მის მომდევნოსაგან გამოყოფილად) ერთადერთ წამში შეიგრძნო. როგორც იგი, ასევე არაჰანტიც „ხედავს“, რომ ცნობიერების ნაკადის ცალკეული ელემენტები ყოველ წამში იცვლება. ადამიანური გონის უნივერსუმში არაფერია კონსტანტური და გარეშე რეალობა გამომდინარეობს საკუთარი შინაგანი უნივერსუმიდან. მაშასადამე, არსად არ არის მუდმივი უცვლელობა (ან უცვლელი მუდმივობა) და ხანგრძლივობა.

ნიროდი (NIRODH)

ნირვანასთან ერთად არსებობს აგრეთვე მდგომარეობა, რომელიც დასავლეთისათვის თითქმის უცნობია: ეს არის ნიროდი, ე. ი. ჩაქრობა, შეწყვეტა. ნირვანაში ცნობიერების, წვდომის ობიექტია ცნობიერების ქრობა, ნიროდში კი თვითონ ცნობიერება წყდება. ეს არის ცნობიერების და მასთან დაკავშირებული ფაქტორების საბოლოო ქრობა. არაჰანტს შეუძლია ნიროდში „შესვლა“, რომელმაც თხიანას ყველა საფეხური განვლო. არც ნაკადში „ჩამყურყუმელავებელს“ და არც „დამბრუნებელს“ საკმარისად არ „მოუცილებია“ ეგოს ელემენტები, რათა მან შეძლოს ნიროდისათვის აუცილებელი უმაღლესი კონცენტრაციის განხორციელება. ამ სრული

[1] ნუმინოზური – ღვთაებრივი, ზეშთაგონებული.

სიცარიელის, უმოქმედობის მდგომარეობაში (აქ უკვე აღარ ითქმის ცნობიერების მდგომარეობა, რადგან ნიროდში ცნობიერება აღარ არსებობს) შესვლისას არავითარი შეგრძნება აღარ არსებობს.

ნიროდის მიღწევა მოითხოვს ვიპასანაში დახელოვნებას თხიანას საფეხურეობრივად გავლის საფუძველზე, მერვე საფეხურამდე, რომლის დროსაც არც აღქმაა და არც არააღქმა. ამ უკანასკნელი ულტრასუბტილური ცნობიერების მდგომარეობის ქრობის შემდეგ მედიტატორი ნიროდში შედის. ქრობა აქ „სხვაგვარად არის რეალური“, რადგან აღარ არსებობს არავითარი რეალობის განცდა-შეგრძნება, აღარ არსებობს ულტრასუბლიმური ცნობიერების მდგომარეობებიც, თუმცა ნიროდი შეიძლება გრძელდებოდეს დროის დანაშენიდან შვიდ დღემდე. ეს „არ იცნობს“ დროის ცვლილება-მსვლელობას. მომენტი უშუალოდ ადრე და უშუალოდ შემდეგ განიცდება პირდაპირი თანამიმდევრობით. ნიროდის ხანგრძლივობის შვიდდღიანი ზღვარი შესაძლოა მისი ფსიქოლოგიური პროცესის თავისებურებით იყოს განპირობებული; პრაქტიკულად, ცნობიერების ქრობასთან ერთად წყდება გულისცემა და ჩვეულებრივი ნივთიერებათა ცვლა, თუმცა გარკვეული ნაწილი ნივთიერებათა ცვლის პროცესისა მაინც გრძელდება ისე, რომ მედიტატორის სხეული გვამისაგან განსხვავდება. ამ მდგომარეობაში შესვლამდე მედიტატორმა გარკვეული დროის პერიოდი უნდა დაინიშნოს, რომელსაც იგი ნიროდში დაჰყოფს. ნიროდიდან გამოსვლის შემდეგ იგი უკუთანმიმდევრობით კვლავ გაივლის თხიანას ყველა საფეხურს, ვიდრე ჩვეულებრივი ცნობიერების მდგომარეობას დაუბრუნდებოდეს. თხიანას მერვე საფეხურზე კვლავ ბრუნდება ცნობიერება, მესამე საფეხურზე აღსდგება სხეულის ნორმალური ფუნქციები, ხოლო პირველ საფეხურზე კრიტიკული აზროვნება და გრძნობადი აღქმანი.

თხიანასა და სამადხის შორის არსებობს განსაკუთრებით სუბტილური, მაგრამ არსებითი განსხვავებანი. თხიანას მეშვიდე საფეხური არის უობიექტო აღქმის ცნობიერების მდგომარეობა: არასაგნობრიობა. თხიანას მერვე საფეხურზე თვითონ არასაგნობრიობის აღქმაც კი აღარ შეიძლება დახასიათდეს როგორც მოქმედი. მისი ფუნქცია ლატენტური რჩება და ამიტომ არ შეიძლება მიჩნეულ იქნას არარსებულად: ეს არც აღქმის სფეროა და არც არააღქმისა. ნირვანაში იწყება საბოლოო ქრობა ცნობიერების მდგომარეობისა, რომელიც არარსებული ცნობიერების შეცნობადობაა. ეს პროცესი აპოგეას პოულობს ნიროდში, სადაც საერთოდ აღარ არსებობს შეცნობადობა. თვითონ თხიანას უმაღლესი საფეხურის მიღწევაც არ ზემოქმედებს ჩვეულებრივ ეგო-ფუნქციაზე ცნობიერების მდგომარეობიდან გამოსვლის შემდეგ, მაშინ როცა ნირვანა აუცილებლად იწვევს ეგოს ფუნქციების შეცვლას. ეს ორი განსხვავებული გზა გამოხატავს გონების გამოკვლევისა და დაუფლების კონტინუუმის ორ უკიდურესობას. ვისაც საკმარისი გამოცდილება აქვს, მაგალითად, თხიანას უფორმო ცნობიერების მდგომარეობაში შესვლისა, იგი ადვილად შეძლებს ნირვანას მიღწევასაც, თუკი განიზრახავს, რომ თავისი ძლიერი გონისმიერი კონცენტრაციის ძალა აამოქმედოს. ამიტომ ისინი, რომელთაც ერთ-ერთი ამ ორი მნიშვნელოვნად განსხვავებული გზებისა ბოლომდე განვლეს, რომელიმე ამ მიმართულებათაგანს კი არ ეკუთვნიან, არამედ ორივეს. თუ მედიტატორი მთლიანად დაძლევს სამადხის, მაშინ იგი ადვილად გაივლის ცნობიერების სხვა მდგომარეობებსაც, რომლის დროსაც განსხვავება მედიტაციის გზებს შორის მცირდება. ძენრინში წერია:

„ძველთაგანვე ერთი გზა არსებობდა“.

ვინც „ჩამოვიდა“, ყველა ამ ერთი გზით „მოვიდა“.

დანიელ გოლემანის (ამ თავის ავტორის) გოლოთქმა

ეს ნარკვევი, რომელიც ბუდას მიერ აღწერილ მედიტაციური სპეციფიკური ცნობიერების მდგომარეობებს ეფუძნება, დაეხმარება მას, ვისაც ამ სფეროში თეორიების დამუშავება და თეორიული გამოკვლევების ჩატარება სურს. ეს იყო ჩემი მიზანი.

მათ, ვინც საკუთარ პრაქტიკაზე დაყრდნობით იკვლევენ მედიტაციური ცნობიერების მდგომარეობებს, შეიძლება გამოსადეგად ჩათვალონ ჩემი მოსაზრებები და მედიტაციის სპეციფიკური ცნობიერების მდგომარეობების ბუდასეული აღწერები. ხშირად ძალზე ძნელია „გათავი-

სუფლების“, „ნათელხილვის“ მიღწევის გზების, ხერხების, საშუალებების მეთოდების აღწერა, აქ საზღვრები ცვალებადია, დაუდგენელი და განუჭვრეტელი. უმაღლესი ცნობიერების მდგომარეობების, ბოლოს კი „ნათელხილვის“, „გათავისუფლებისაკენ“ მიმავალი იმდენი მრავალი, სხვადასხვაგვარი გზა არსებობს, რამდენიც ადამიანია ამ გზის გავლის მოსურნე. ამ გზის ყოველი აღწერა, ახსნა როდი შეესაბამება ცალკეული ადამიანის ცხოვრებისეულ სიტუაციას. სუფიებს აქვთ ასეთი ანდაზა: „ვინც ეცდება, შეიცნობს, ჩაწვდება“. მეხერ ბაბა (Meher Babas) ამბობს: „სულიერ სფეროში არ არის აუცილებელი ზუსტად დამუშავებული „საგზაო რუკის“ ქონა. ინსისტირებამ გზის სრულად ცოდნაზე შესაძლოა უფრო დააბრკოლოს განვითარება, საფეხურების გავლა, ვიდრე ხელი შეუწყოს მას. ...ვინც ნაპირიდან ახდენს ზღვაზე დაკვირვებას, იგი მხოლოდ მის ზედაპირს აღიქვამს, ხოლო ვისაც მისი სიღრმეების გამოკვლევა სურს, იგი ჩასაყვინთადაც მზად უნდა იყოს“ (1967, გვ. 193).

ბხიკუ ნანამოლის (Bhikku Nanamolis) თარგმანის გარდა ამ ნარკვევის ავტორმა გამოიყენა აგრეთვე Visuddhimagga-სადმი მიძღვნილი თანამედროვე კომენტარები: ბხიკუ სომა (Bhikku Soma, 1949), კონცე (Conze, 1956), დხამარატანა (Dhammaratana, 1954), კასხიაპი (Kashyap, 1954), ლამა გოვინდა (Lama Govinda, 1969), ლედი საიადავ (Ledi Sayadaw, 1965), მახასი საიადავ (Mahasi Sayadaw, 1965, 1970), ნარადა თხერა (Narada Thera, 1956, 1949, 1962, 1968), ნიანტილოკა (Nyanatiloka, 1952) და მახატხერა (Mahathera, 1962).

გერმანულიდან თარგმნა
ლაშა დადიანმა

(თარგმნილია სამეცნიერო-პოპულარული კრებულიდან
„ტრანსპერსონალური ფსიქოლოგია“, ნიუ-ორკი,
რედაქტორი ჩარლზ ტარტი, Harper & Publishers, Inc. 2012)

ნაირა გელაშვილი

ხუდონჰესი – საქართველოს ბედისწერა?

დოკუმენტური ფილმის სცენარი

თავისი მმართველობის ბოლო წლებში პრეზიდენტმა სააკაშვილმა, როგორც ყოველთვის სპონტანურად და ერთპიროვნულად, მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს მთისა და ბარის მდინარეებზე ასამდე ჰესის აშენების შესახებ.

ამ გეგმის მიხედვით, პირველ რიგში უნდა აშენებულიყო გიგანტური ჰიდროელექტროსადგური ხუდონი დასავლეთ საქართველოს მაღალმთიანეთში – სვანეთში, სოფელ ხაიშთან, მდინარე ენგურზე.

ეს გადაწყვეტილება არანაირ მეცნიერულ კვლევაზე არ იყო დაფუძნებული. ის არ გამხდარა საჯარო დისკუსიის საგანი, არ შეთანხმებულა ეკონომისტებთან, გეოლოგებთან, სეისმოლოგებთან თუ ეკოლოგებთან.

საერთოდ, ფუნდამენტური მეცნიერებები სააკაშვილის ხელისუფლებას საქართველოსთვის ზედმეტ ფუფუნებად მიაჩნდა. ამიტომ მაქსიმალურად შეამცირა მათი დაფინანსება, რითაც განადგურების პირამდე მიიყვანა მეცნიერების მთელი რიგი კარგად განვითარებული დარგები.

ამავე დროს, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო უკვე ოც წელზე მეტია დამოუკიდებელ ქვეყნად ითვლება, დღემდე არ გააჩნია ეკონომიკური განვითარების კონცეფცია, რომლის ნაწილიც უნდა იყოს ქვეყნის ენერგეტიკული სტრატეგია.

ურიცხვი ჰიდროელექტროსადგურის, მათ შორის გიგანტური ჰესების, აგების გაუაზრებელმა გადაწყვეტილებამ საქმეში ჩახედული საზოგადოების აღელვება და პროტესტი გამოიწვია, რაც პრეზიდენტ სააკაშვილისთვის არასდროს არაფერს ნიშნავდა. მიზნად იქცა, რაც შეიძლება, მეტი ელექტროენერგიის გამომუშავება ექსპორტისათვის.

მოქალაქეთა აღშფოთება განსაკუთრებით კიდევ იმით იყო გამძაფრებული, რომ 90-იან წლებში ანტიკომუნისტურმა საზოგადოებრივმა მოძრაობამ უმნიშვნელოვანეს წარმატებებს სწორედ ბუნების დაცვის სფეროში მიაღწია: შეჩერებულ იქნა ორი ტექნიკურად და მეცნიერულად სრულიად დაუმუშავებელი გიგანტური მშენებლობა, რომლებიც საქართველოს ეკოლოგიურ კატასტროფას უქადდა: ე.წ. ტრანსკავკასიის რკინიგზა, რომელიც ითვალისწინებდა კავკასიონის მთიანეთის განგრევას და გასვლას ჩრდილო კავკასიაში, კერძოდ, ინგუშეთში; და გიგანტური ელექტროსადგური მდინარე ენგურზე.

1989 წლის 30 ივნისს საქართველოს მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება ხუდონჰესის მშენებლობის შეჩერების შესახებ. დადგენილებაში ნათქვამია, რომ საქართველოს ტერიტორიის სეისმოლოგიური დარაიონების ახალი რუკის შედგენისას აღმოჩენილია მაღალი სეისმურობის ზონები, რის გამოც დაუყოვნებლივ უნდა შეჩერდეს ელექტროსადგურის მშენებლობა სოფელ ხაიშთან.

როდის და ვინ გააბათილა ეს დასკვნა? განა დღევანდელმა ხელისუფლებამ საქართველოს ტერიტორიის ახალი სეისმური კვლევა განახორციელა?

ეს ორი ეკოლოგიური გამარჯვება საბჭოთა ტექნოკრატიაზე, რომელიც მაშინდელი ჩრდილოვანი ეკონომიკის დიდ სეგმენტს ქმნიდა, ნათელ წერტილებად დარჩა საქართველოს დამოუკიდებლობის ოცწლიან ისტორიაში, რომელიც, სხვა მხრივ, ქვეყნის უდიდესი პოლიტიკურ-ეკონომიკური, ტერიტორიულ-დემოგრაფიული მარცხებითა და დანაკარგებით აღიბეჭდა.

და აი, პრეზიდენტი სააკაშვილი დაჩქარებული ტემპით შეუდგა თავისი ჰიდროლოგიური ხილვების აღსრულებას. არქივებიდან უცნაურად გაქრა საბჭოთა დროის დამტვერილი ჰიდროტექნიკური პროექტები.

კახი მაქაცარია, ორგანიზაცია „ჰიდროპროექტის“ დირექტორი: „არქივში, სადაც შენახული იყო 30-35 წლის წინ შექმნილი პროექტები, შემოიჭრა 50 მდე ნიღბიანი, შეიარაღებული ადამიანი. ვიდექი და ვტიროდი...მაგ ნაძირლებმა წაიღეს მთელი პროექტები... აქ დიდ ფულ-

ზეა ლაპარაკი, ისეთ ადამიანებიდან მოდის ეს ყველაფერი, რომლებისთვისაც 2-3 მილიონი არაფერს ნიშნავს... საქმე იმაშია, რომ თვითონ ენერგეტიკის სამინისტროში ეუბნებიან ხალხს, წადით არქივებში, მოიტანეთ იქიდან პროექტები, თარგმნეთ ინგლისურად, გადაიყვანეთ სამ განზომილებაში და ჩვენ ვიყიდით. ესე იგი, თვითონ ენერგეტიკის სამინისტრო გახდა ბროკერი: საქართველოში დამზადებულ, სახელმწიფოს კუთვნილ პროექტებს თვითონ ყიდულობს...“

აქვე უნდა ითქვას, რომ ეს ჰიდროპროექტები საბჭოთა პერიოდშივე იყო დაწუნებული მაღალი რანგის, პატიოსანი ენერგეტიკოსებისა და სხვა და სხვა დარგის მეცნიერთა მიერ.

მაგალითად, ენერგეტიკოსების ძველი თაობის წარმომადგენლები: ვლადიმერ აბაშიძე, ბესარიონ მხეიძე, კონსტანტინე გაგნიძე, მირიან და რაჟდენ ებრალიძეები საქართველოს დამსახურებული ინჟინრის, საბჭოთა კავშირის საპატიო ენერგეტიკოსის, **ლევან ასათიანის** მეთაურობით დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ ტექნიკურად და მეცნიერულად გაუმართავი პროექტების გატანის მცდელობას, რასაც ხშირად ჰქონდა ადგილი საპროექტო ორგანიზაციების, პირველ რიგში, თბილისის „ჰიდროპროექტის“ მხრიდან, რომელსაც 1980-2008 წლებში ხელმძღვანელობდა მანამდე პარტიულ თანამდებობებზე ნამსახურები ბატონი ანზორ ჭითანავა, დღესაც რომ განაგრძობს ბრძოლას ხუდონჰესის აშენებისთვის.

საბჭოთა ეპოქის ამ მოწინავე ენერგეტიკოსებმა, პირველ რიგში, სწორედ ბატონმა ლევან ასათიანმა, გამოაშკარავეს, მაგალითად, **ნამოხვანიჰესის** დიდი ელექტროსადგურის პროექტის უაღრესად დაბალი მეცნიერულ-ტექნიკური დონე, უხეში შეცდომები გაანგარიშებებში, და კატეგორიულად უარყვეს ასეთი ჰესის, ისევე როგორც მდინარე თერგზე **დარიალჰესის** აშენების შესაძლებლობა გარემოსათვის დიდ საფრთხეთა შემცველობის გამო. დღეს იმავე პროექტებით დარიალჰესი უკვე აშენებულია, ხოლო ნამოხვანიჰესის აშენებას აპირებენ.

აი, რას წერდა გასული საუკუნის 80-იან წლებში საქართველოს დამსახურებული ინჟინერი ლევან ასათიანი: **„რატომ ცდილობს ზოგიერთი სპეციალისტი და ორგანიზაციაც კი როგორმე, რაიმე ხერხით, უკაცრავად უხეში სიტყვისთვის, „გაათრიოს“ თავისი პროექტი?... ბოლოს და ბოლოს, ყველა ტექნიკური შეცდომა ხალხის კისერზე გადავა და მისთვის აღარავითარი მნიშვნელობა არ ექნება, თუკი ამის გამო ვინმე დაისჯება მომავალში. უკვე ფაქტია, რომ რაღაც გიგანტომანია დაგვჩემდა. გვინდა გვქონდეს ყველაზე მაღლივი კაშხალი, ყველაზე დიდი გვირაბი და სხვა. გვავიწყდება, რომ ჩვენი ქვეყანა პატარაა და ეს საეჭვო ახირება კარგს არაფერს მოგვიტანს. რატომ ვთქვით უარი მცირე ჰესებზე? ვის ვეჯიბრებით? რისთვის? ... მაღლივი კაშხლები ჩვენი ქვეყნისთვის საზარალოა“.**

მაგრამ საბჭოთა ჩრდილოვანი ეკონომიკისათვის შემოსავლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყარო სწორედ სახელმწიფოს მიერ კარგად დაფინანსებული უზარმაზარი ნაგებობები იყო. ამდენად, ტექნიკური გიგანტომანიის წინააღმდეგ ბრძოლა ფაქტობრივად საბჭოთა მაფიის წინააღმდეგ ბრძოლას ნიშნავდა, რაც საშიში გახლდათ.

1960 წელს დაიწყო ენგურის დიდი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. მაშინაც გამოითქმებოდა შიში, რომ ეს უზარმაზარი კონსტრუქცია დიდ რისკებს შეიცავდა. მართლაც შემდეგში აღმოჩნდა, რომ ელექტროსადგური ტექტონიკური რღვევის ხაზზე აეგოთ. გარდა ამისა, დაგუბებულმა ენგურმა, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, ქვა და ხრეში შავ ზღვაში ვეღარ ჩაიტანა და ზღვამ დაიწყო ხმელეთის წაღება, რის შედეგადაც საჭირო გახდა საქართველოს ტერიტორიაზე შავი ზღვის სანაპიროს ხელოვნური გამაგრება, რაც თავისთავად ძალიან ძვირი და დროში უსასრულოდ გაგრძელებული პროცესია. რადგან ზღვა მუდამ ძალით წაიღებს ნაპირს, თუკი მდინარეები დაგუბების შედეგად მას ვეღარ მიაწვდიან ბუნებრივ საკვებს : ქვებს, ლოდებს, ქვიშას.

აქვე უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ კატასტროფული მდგომარეობაა აჭარაში: თურქეთის მიერ მდინარე ჭოროხზე აგებულმა ჰესების კასკადმა მინიმუმამდე დაიყვანა ზღვისთვის ნატანის მიწოდება. ნაცვლად საქმის გამოსწორებისა, საქართველომ თავის მხრივ დაუმატა უამრავი ჰესი მდინარეებზე: ჭოროხზე, აჭარის წყალზე და მაჭახელაზე, რაც ეკოლოგიურ განსაცდელს გარდაუვალს გახდის.

თავის მხრივ ნაპირდაცვითი სამუშაოებიც ზიანს აყენებს ბუნებას: რადგან ზღვაში ჩასაყრელი ქვა-ღორღი სხვაგან უნდა მოითხაროს. და როდემდე?

გარდა ამისა, ენგურჰესმა გამოიწვია კლიმატური ცვლილებები, კერძოდ ტენიანობის მომატება.

მართალია, ენგურჰესის მიერ გამოწვეული სხვადასხვა სახის უარყოფითი შედეგები მეცნიერულად დღემდე არ არის შესწავლილი, მაგრამ სვანეთის მოსახლეობა მას საკუთარი თვალით ხედავს და საკუთარი კანით გრძნობს. მეცნიერული შესწავლა არ არის აუცილებელი იმის დასანახად, მარილი და შაქარი რომ წყლად იქცევა და თეთრეულის გაშრობას ორჯერ მეტი დრო სჭირდება.

ჯერ კიდევ 90 -იან წლებში იტყობინებოდნენ სვანი ექიმები, კერძოდ, ცნობილი მესტიელი ექიმი **ლუბა ნიჟარაძე**, რომ თვით ზემო სვანეთშიც კი საგრძნობლად მოიმატა ნესტმა, რის შედეგადაც სასუნთქი გზებისა და ძვალსახსრების დაავადებები განსაკუთრებით გახშირდა და გამწვავდა.

გარდა ამისა, ენგურის წყალსაცავის ზემოქმედებით გამოწვეულმა ნესტმა გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა შუასაუკუნეების ქრისტიანული კულტურის უნიკალურ ძეგლებს.

ყველა ამ უარყოფით შედეგს უკიდურესად გაამძაფრებს ხუდონჰესის ელექტროსადგური წყლის უზარმაზარი რეზერვუარით. იგი ენგურჰესის წყალსაცავიდან, რომელიც შეიცავს მილიარდ 134 მილიონ კუბურ მეტრ წყალს, 5-6 კილომეტრით იქნება დაშორებული. მაშასადამე, სულ რაღაც 40 კვადრატული კმ-ის ფართობზე დაგუბდება დაახლოებით მილიარდ-ნახევარი კუბური მეტრი წყალი.

გარემოს დამცველებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ გაძლიერდება ზვავები, მეწყრები და გაიზრდება მიწისძვრების საშიშროება.

ჯერ კიდევ 1989 წელს ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი მიხეილ ღოღობერიძე, რომელიც კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ხუდონჰესის აგებას, წერდა: **„დიდი წყალსაცავების ხელოვნურად შექმნა ხშირად იწვევს „აღძრულ მიწისძვრებს“. ასეთი მიწისძვრები შეინიშნებოდა ისეთ კაშხლებზე, როგორიც არის: კოინა, კარიბა, კრემასტა, მიდი, ვაიონტი, მონტენარი... 1980 წელს ლონდონში ჩატარებული საერთაშორისო კონფერენციის მონაცემებით დადგინდა, რომ 236 შესწავლილი დიდი კაშხლიდან 64 კაშხალზე ადგილი ჰქონდა „აღძრულ მიწისძვრას“.**

ისევ დავბრუნდეთ ახალ, დემოკრატიულ საქართველოში:

მაშასადამე, პრეზიდენტ სააკაშვილის პერიოდში არქივებიდან გატაცებული, თავის დროზე დაწუნებული პროექტები იმ ტექნოკრატთა ხელში აღმოჩნდა, ნაციონალური მოძრაობის ჰიდროტექნიკური რევოლუციის გამწევ ძალად რომ მოიაზრებოდნენ. ისინი ყველანაირი დამუშავებისა და გადაკეთების გარეშე სასწრაფოდ თარგმნეს ინგლისურად და განსაცვიფრებლად სწრაფად იპოვეს ინვესტორები, მაგალითად, ოფშორულ ზონაში დარეგისტრირებული **„ტრანს ელექტრიკა ლიმიტედ“, რომელსაც სიმბოლურ 1 დოლარად(!) გადაეცა 1548 ჰექტარი ფართობი უნიკალური სილამაზის ხეობაში და ამ ფართობზე მდგომი შენობა -ნაგებობები, რომელთა საერთო ღირებულება 170 მილიონ დოლარს აღემატება (!).**

2012 წლის არჩევნებში ახალმა პოლიტიკურმა გაერთიანებამ „ქართული ოცნება“, რომელსაც სათავეში მილიარდერი, ცნობილი ქველმოქმედი ბიძინა ივანიშვილი ედგა, ნაციონალური მოძრაობა დაამარცხა. საქართველოს მოქალაქეები ზეიმობდნენ ცხრაწლიანი არაადამიანური, ავტოკრატიული რეჟიმის დამთავრებას.

„ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პროგრამაში დიდი ადგილი ეკავა ეკოლოგიურ და გარემოსდაცვით პრინციპებს. მათ სვანეთში იმიტომ მოიპოვეს ხმები, რომ ხალხს თავად ბატონი ბიძინა ივანიშვილი დაპირდა, ხუდონჰესი არ აშენდებაო...

მაგრამ არჩევნებში გამარჯვების შემდეგ მალევე „ქართულმა ოცნებამ“ სააკაშვილის ანტიეკოლოგიური პროგრამის განხორციელება დაიწყო და საქართველოს ყველა მთის მდინარეზე ჰიდროელექტროსადგურის აგება გადაწყვიტა.

ხუდონჰესი, ეს ნიშნავს: 702 მეგავატი სიმძლავრის მიწისქვეშა ჰიდროელექტროსადგურს, 200 მეტრიანი სიმაღლის თაღოვან კაშხალს და 364 მილიონ კუბურ მეტრზე მეტი წყლის რეზერვუარს. იგი ითვალისწინებს 528 ჰექტარი ფართობის დატბორვას და მთლიანად 1548 ჰექტრის ნგრევის ზონაში მოყოლას.

არა ერთი ისტორიული სოფელი აღმოჩნდება წყლის ფსკერზე და სამუდამოდ გაქრება საქართველოს ისტორიიდან. მათ შორისაა სოფლები: ხაიში, გაღმა ხაიში, ნალქერვალი, შგეთი, ციცხვარი, ლუხი, ლახანი, ტობარი... ხოლო იდლიანისა და ჭუბერის თემის სხვა სოფლებს, რომლებიც წყალში არ ჩაიძირება, გაუსაძლისი ყოფისა და ინფრასტუქტურის არარსებობის გამო მოუწევთ მშობლიური საცხოვრისის მიტოვება.

წყალი დაფარავს დიდებულ ხეობებს, ნაყოფიერ სავარგულებს, ბაღებს, ტყის უზარმაზარ მასივებს: სუბალპურ ტყეებს, ალპურ ტუნდრას თავისი ენდემური ბიომრავალფეროვნებით, ველ-მინდვრებს; ეკლესიებს, წინაპრებისა თუ ახლახან გარდაცვლილი ადამიანების საფლავებს; განადგურდება ადგილობრივ ფრინველთა და ცხოველთა სამყარო; დაიტბორება უძვირფასესი არქეოლოგიური მონაპოვარი: მე-2, მე-3 ათასწლეულის კოლხეთის კულტურის უნიკალური ძეგლები, რომელთა დეტალური შესწავლა ჯერ არ განხორციელებულა; 2013 წელს პროფესორ ზვიად კვიციანის მერ აღმოჩენილი ძველი წელთაღრიცხვის მე-6 საუკუნის სარიტუალო კომპლექსი.

ასე უკვე მოხდა ადრე, კომუნისტური რეჟიმის დროს, როდესაც საბჭოთა ტექნოკრატიამ საქართველო – ეს პატარა, ისედაც მცირემიწიანი, მაღალმთიანი ქვეყანა უზარმაზარი წყალსაცავებით აავსო: ენგურჰესი, ჟინვალჰესი, დალის წყალსაცავი, შაორის წყალსაცავი... ამ უკანასკნელის მიერ გამოწვეული კლიმატური ცვლილებების შედეგად დაავადდა: დანესტიანდა და სოკოთი დაიფარა XI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლის – ნიკორწმინდის ეკლესიის კედლები, ნიკორწმინდისა, რომელსაც ეძღვნება გალაკტიონ ტაბიძის შედევრი ლექსი „ნიკორწმინდა“.

ხოლო ჟინვალის წყალსაცავმა დაფარა ეკლესიები და სასაფლაოები. და წყალში ჩაძირულ გარდაცვლილთა ძვლების ნარეცხი ბოდორნის წყალსაცავიდან სასმელ წყლად მიეწოდება ქალაქ თბილისს.

ენერგეტიკის სამინისტრო უმალავს საზოგადოებას, რომ ხუდონ ჰესის გარდა სვანეთში მრავალი სხვა ჰესის აშენებაც არის გადაწყვეტილი.

2013 წელს „ქართულმა ოცნებამ“, კერძოდ ენერგეტიკის მინისტრმა, ყოფილმა ფეხბურთელმა, კახი კალაძემ, რომელსაც არავითარი შესაბამისი განათლება არ გააჩნია, ხელი მოაწერა დადგენილებას ხუდონ ჰესის გარდა იმავე ხეობაში კიდევ 15 სხვა ჰესის აშენების შესახებ, რაც განხორციელების შემთხვევაში ხაიშიდან მესტიამდე წყლით დაფარავს ამ მხარეს.

მოსალოდნელ მეწყრებსა და მიწისძვრებზეც რომ აღარაფერი ვთქვათ, გარდაუვალი კლიმატური ცვლილებები, უზომოდ მომატებული ნესტი დააზიანებს ზემო სვანეთს, როგორც კულტურის ძეგლს, სვანეთის საგანძურს, საკრალურ ჯვარხატებს, ფრესკებს, ეკლესიებს, რომელთა ნაწილის რესტავრაცია გასული საუკუნის დასასრულს განახორციელა ევროპულმა ფონდმა „ჰორიზონტმა“, და რომელიც იუნესკოს დაცვის ქვეშ იმყოფება.

ხუდონჰესის აგებას კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან აგრეთვე საქართველოს სამხედრო წრეების წარმომადგენლებიც, რადგან გიგანტური წყალსაცავი ჩაკეტავს დღესდღეობით რუსეთის მიერ ოკუპირებული კოდორის, ანუ დალის ხეობისაკენ მიმავალ ერთადერთ გზას. 2013 წლის ნოემბრის თვეში გამართულ ქართველ ვეტერან გენერალთა კონფერენციაზე ერთმნიშვნელოვნად დაფიქსირდა ეს პოზიცია.

მაგრამ საქართველოს დღევანდელ მმართველებამდე საზოგადოების ეს ხმები ვერ აღწევს.

დღეს, როდესაც მთელი მოწინავე მსოფლიო გადადის ელექტროენერგიის მოპოვების ახალ, ალტერნატიულ საშუალებებზე, საქართველოს ხელისუფლება საუბედუროდ დაუბრუნდა სასიცოცხლო სივრცისათვის უდიდესი რისკის შემცველ, დრომოჭმულ საბჭოთა პროექტებს;

ხელისუფლებას აზრად არ მოსდის, დროზე შეუდგეს მზისა და ქარის ენერგიების ათვისებას; აღადგინოს ძველი, მწყობრიდან გამოსული ჰესები; მოაწესრიგოს ენერგიის გადამცემი ხაზები, რომელთა გაუმართაობის შედეგად ქვეყანა უამრავ ენერგიას კარგავს; საერთოდ, შეიმუშაოს ენერგიის დაზოგვისა და რაციონალურად გამოყენების სტრატეგია, რათა საქართველო აღარ რჩებოდეს ენერგიის უაზროდ მფლანგველ და მკარგავ ქვეყნად;

მთავრობის ტექნოკრატიული აკვიატებები კი , რომლებიც უგულვებელჰყოფს განათლებას, მეცნიერებასა და ადამიანობას, ისედაც მცირემიწიან, მთიან ქვეყანას უზარმაზარი კაშხლებ-

ითა და წყალსაცავებით აავსებს, ან მდინარეებს რკინის მილებში მოაქცევს, რის შედეგადაც საქართველო ადამიანის საცხოვრისად ძნელადღა ივარგებს.

გარდა ამისა: მშენებელ კომპანიასთან დადებული ხელშეკრულების მიხედვით ხელისუფლება არ მოითხოვს არანაირი მატერიალური ზარალის ანაზღაურებას, ან რაიმე დამატებით ბონუსსა თუ წილს. უცხოელი მესაკუთრე მიღებული ელექტროენერგიის 95 პროცენტს საქართველოს გარეთ გაყიდის. იგი არ გადაიხდის დამატებითი ღირებულების გადასახადს, მთელი 20 წლის განმავლობაში არ გადაიხდის არც მოგების გადასახადს, ვიდრე მთლიანად არ ამოიღებს საკუთარ დანახარჯებს. სრულიად ცხადია, რომ ქვეყნისთვის მიყენებული ზარალი უბრალოდ, დაუთვლელი და აუნაზღაურებელი იქნება.

და რას უნდა ნიშნავდეს ეს? რითი შეიძლება აიხსნას ასეთი გაუგონარი ხელგაშლილობა უცხოელი ინვესტორის მიმართ?

კომპანია TRANS ELECTRICA LIMITED-ს, რომელიც 2008 წელს ვირჯინიის კუნძულებზეა დარეგისტრირებული, დღემდე არც ერთი ანალოგიური პროექტი არ განუხორციელებია. ასეთი რთული პროექტი – ხუდონჰესი მისი პირველი მცდელობაა, რაც მრავალ შეკითხვას ბადებს: რატომ მაინცა და მაინც ყველასათვის უცნობი და სრულიად გამოუცდელი კომპანია? ვინ დგას მის უკან?

სოფელი ხაიში საქართველოს ულამაზესი მაღალმთიანეთის – სვანეთის ერთგვარ ჭიშკარს წარმოადგენს. ეს პირველი კომპაქტური დასახლებაა მესტიისაკენ მიმავალ გზაზე, რომელსაც, როგორც უკვე ვთქვით, ხუდონჰესის აგების შემთხვევაში წყალში ჩაძირვა ემუქრება.

ამ სოფლის ბინადართა უმრავლესობას არ სურს საკუთარი სოფლის მიტოვება. მათ არ სურთ არანაირი კომპენსაცია და უკეთეს ადგილას ცხოვრება. ლამის უკვე 30 წელია ხაიშელები საკუთარი სოფლის გადარჩენისათვის იბრძვიან. ესენი ბუნებასთან მჭიდროდ დაკავშირებული, მორწმუნე ადამიანები არიან, რომლებსაც შენარჩუნებული აქვთ ძველი წეს-ჩვეულებები. მათთვის წარმოუდგენელია წინაპრებისა თუ ახლად გარდაცვლილთა საფლავების, ეკლესიებისა და სხვა სიწმინდეების მიტოვება და წყალში ჩაძირვა.

200 – ზე მეტმა მამაკაცმა ძველი რიტუალი აღასრულა და წმიდა გიორგის ხატზე დაიფიცა, არ დასტოვოს მშობლიური სოფელი, ეკლესია და სხვა სიწმიდეები. ხაიშელების ამ თავგანწირვას ისიც განაპირობებს, რომ მათ იციან: თუ ხუდონჰესი აშენდა, მას სწრაფად მიჰყვება სხვა დაგეგმილი ჰესებიც; ამდენად ისინი მხოლოდ საკუთარ სოფელს კი არა, არამედ მთელ სვანეთს, მთელ საქართველოს იცავენ და კაცობრიობას უმშვენიერეს კუთხეს უნარჩუნებენ.

ხაიშელი მამაკაცი: აი, იქამდე უნდა დაიფაროს წყლით მთა, ჩემი სახლი იქ დგას, და ჩემი ძმისაც, ესე იგი, ჩვენ იქ ვყვებით წყალში, მაგრამ ამას აღარ ვჩივით... სოფელი არ უნდა ჩაიძიროს, ჩვენს ეკლესიებსა და სალოცავებს, ჩვენს საფლავებს წყალში არ ჩავძირავთ. ხუდონჰესის გარეშე საქართველო რომ იღუპებოდეს, მის გადასარჩენად იყოს საჭირო, ხმას არ ამოვიღებდით, ჩვენც საქართველოს შვილები ვართ და თუ საჭირო გახდა, თავსაც შევწირავთ ჩვენს სამშობლოს, სახლებსაც და ჩვენს ოჯახებსაც, მაგრამ არ არის ასე! ჩვენს სამშობლოს დაღუპავს ეს ჰესები!

ენერგეტიკის სამინისტრო კი ამ ხალხს იძულებითი გასახლებით ემუქრება!

კიდევ რამდენ ხანს უნდა იცხოვრონ ხაიშელმა ბავშვებმა მუდმივ სტრესში, გასახლების მუდმივი მუქარის ქვეშ, გაურკვეველი მომავლის წინაშე?!

ხაიშის მოსახლეობამ დღემდე არ იცის, მაინც სად უპირებენ გადასახლებას. არავინ იკვლევს, რა ბედი ეწიათ საბჭოთა პერიოდში ხუდონჰესის მიზეზით ქართლში გადასახლებულ ხაიშელებს. მიხეილ სააკაშვილმა მათი მიწები (ისევე, როგორც ათასობით ქართული სოფლების მიწები) უცხოელებს მიჰყიდა. უცხოელმა ინვესტორმა კი მათ საქონელი მოუწამლა და დაუხოცა. დღეს ამ ხალხს არა აქვს არც სასმელი და არც სარწყავი წყალი და უკვე მზად არის უკან, ხაიშში დაბრუნდეს...

და ისიც უნდა იცოდეს ყველამ, რომ სხვა და სხვა დროს ბარში გადასახლებულმა სვანებმა დაკარგეს სვანური ენა, ადათ-წესები, ყოფის თავისებურება... ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ მზის საგალობელი და ძველი სვანური ფერხული, რომელიც ადრე სვანური კულტურული ყოფის ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა. ასე ნადგურდება საუკუნეების მანძილზე

ჩამოყალიბებული სოციუმების სპეციფიკური იერსახე და კულტურა, როცა მათ თავიანთ სამკვიდრებელს წყვეტენ.

საქართველოს საზოგადოება, გარემოსდამცველები, მეცნიერები, სტუდენტები აპროტესტებენ, მოუწოდებენ მთავრობას არ დაუშვან დიდი ჰესების აშენება, რასაც ხელოვნური მიწისძვრების პროვოცირება შეუძლია. საქართველო, ისევე როგორც მთელი კავკასია ხომ ისედაც სეისმურად აქტიური ზონაა!

მოუწოდებენ, არ ჩაძირონ წყალში ისტორიული სოფლები, საქართველოს რუსეთის მიერ ოკუპაციის შედეგად ხომ ისედაც უამრავი სოფელი აქვს დაკარგული!

მოუწოდებენ, არ დაარღვიონ ადამიანის უფლებები და ძალით არ გადაასახლონ სოფელ ხაიშის მაცხოვრებელნი, იძულებითი გადასახლება ხომ ადამიანის უფლებათა შელახვის უმძიმესი ფორმაა!

ჩვენ ვთხოვთ საერთაშორისო გარემოსდაცვით ორგანიზაციებს, დედამიწის მეგობრებს, დაგვეხმარონ საქართველოს ულამაზესი მაღალმთიანი კუთხის -სვანეთის, და სოფელ ხაიშის გადარჩენაში. ეს სიმდიდრე ხომ მხოლოდ საქართველოს კი არა, მთელ კაცობრიობას ეკუთვნის.

„კავკასიური სახლის“ შემოქმედებითი ჯგუფი

„აფრის“ 19 ნომრის შინაარსი

ლიტერატურა

აბუ საიდი: რობაიები. *სპარსულიდან თარგმნა გიორგი ლობჟანიძემ* №16, გვ. 5

ავსტრიული პოეზიიდან (პაულ ცელანი, ალბერტ ერენშტაინი, ჰაინც ჩეხოვსკი). *გერმანულიდან თარგმნა ვლადიმერ კორტავამ* №16, გვ. 27

აზერბიჯანული ბაიათები. *თარგმნა ზეზვა მედულაშვილმა* №15, გვ. 25

დავით აკრიანი: ლექსები №19, გვ. 70

დავით აკრიანი: ოქროსთმიან დედოფალს №1, გვ. 11

ნიყმთ ალ-ბუჰაირი: მდუმარე ქალები. *არაბულიდან თარგმნა დარეჯან გარდავძემ,* №19, გვ. 92

გივი ალხაზიშვილი: ამოდის თუ ჩადის მზე?! (ნაწყვეტი რომანიდან) №4, გვ. 46

რატი ამაღლობელი: ლექსები. №4, გვ. 55

აურობინდო გჰოში: ლექსები. *ინგლისურიდან თარგმნა დავით აკრიანმა* №17, გვ. 5

როზა აუსლენდერი: ლექსები. *გერმანულიდან თარგმნა მარინე ნაროუშვილმა*, №5, გვ. 62

ბელა ახმადულინა: ლექსები. *რუსულიდან თარგმნა ვასილ გულეურმა,* №18, გვ. 23

ჯემალ აჯიაშვილი: სიკვდილისა და სიყვარულის სონეტები რენესანსის ეპოქის იტალიური პოეზიიდან (დანტე ალიგიერი, ფრანჩესკო პეტრარკა, მიქელანჯელო ბუონაროტი) №9, გვ. 5

ჯემალ აჯიაშვილი: სონეტები №13, გვ. 14

ჯემალ აჯიაშვილი: სონეტები და ტრიოლეტები №15, გვ. 38

შალვა ბაკურაძე: ლექსები №16, გვ. 190

ინგებორგ ბახმანი: სიზმრების მაღაზია (რადიოპიესა). გერმანულიდან თარგმნა ასმათ ფიცხელაურ-ფარჯიანმა №13, გვ. 251

ლუკა ბაქანიძე: ლექსები №16, გვ. 239

ტარიელ ბიბილური: სამეფო ლოტოსი (მისტიკური ზღაპარი) №3, გვ. 45

შარლ ბოდლერი: ბოროტების ყვავილები. სპლინი და იდეალი. *ფრანგულიდან თარგმნა სიბილა გელაძემ* №6, გვ. 5

შარლ ბოდლერი: კედლის საათი. *ფრანგულიდან თარგმნა დავით აკრიანმა* №1, გვ. 7

სიმონ დე ბოვუარი: მანდარინები (ფრაგმენტი რომანიდან). *ფრანგულიდან თრაგმნა გიორგი ძნელაძემ* №18, გვ. 59

შოთა ბოსტანაშვილი: გაცეცხლებული ლაპრაკი №13, გვ. 227

ბეტინა ბრენტანო: გოეტეს მიმოწერა ბავშვთან. *გერმანულიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ* №7, გვ. 15

იოსიფ ბროდსკი: დიდი ელეგია ჯონ დონს. *რუსულიდან თარგმნა ირაკლი სურგულაძემ* №7, გვ. 133

იოსიფ ბროდსკი: ლექსები. *რუსულიდან თარგმნა ვასილ გულეურმა* №16, გვ. 10

გიორგი ბუნდოვანი: ლექსები №13, გვ. 148; №17, გვ. 43; №19, გვ. 40

ივან ბუნინი: მოთხრობები. რუსულიდან თარგმნა მზია გელაშვილმა, №13, გვ. 137

ქრისტინე ბუსტა: ლექსები. *გერმანულიდან თარგმნა ლულუ დადინმა*, №15, გვ. 5

ლაშა ბუღაძე: თერთმეტი წლის №2, გვ. 83

ნაირა გელაშვილი: ლექსები №13, გვ. 105

ნაირა გელაშვილი: მე ის ვარ (რომანი) №17, გვ. 78

ნაირა გელაშვილი: „მაგრამ აწ გასწი და მიესალმე“ (მოთხრობა) №13, გვ. 49

ნაირა გელაშვილი: ძწისცჰენ შანდ უნდ ჭინდ... (რომანი, II და III თავი) №7, გვ. 89

ნენე გიორგაძე: ლექსები №19, გვ. 16

ბადრო გუგუშვილი: ანდაზები, ლექსები №15, გვ. 83

მიხეილ დადიანი: ლექსები №19, გვ. 44

მარგარიტ დიურასი: მთელი დღეები ხეებზე. *ფრანგულიდან თარგმნა ელდარ ჭიჭიაშვილმა* №8, გვ. 67

მარგარიტ დიურასი: ფრაგმენტები წიგნიდან „მატერიალური ყოფნა“. ფრანგულიდან თარგმნა ათინათ მამაცაშვილმა №13, გვ. 98

სერგეი დოვლატოვი: კომპრომისი. *რუსულიდან თრაგმნა ზურაბ გოცირიძემ,* №19, გვ. 97

მანანა დოიაშვილი: მეძველმანის ტრაპეცია საფუნთუშე №6, გვ. 87

თეონა დოლენჯაშვილი: რეალური ამბები 316, გვ. 244

ანეტე ფონ დროსტე-ჰიულსჰოფი: ლექსები. *გერმანულიდან თარგმნა ნათელა ხუციშვილმა* №4, გვ. 41

კრისტინა ერინი: ლექსები. *თარგმნა შოთა იათაშვილმა* №14, გვ. 74

ერნსტ ვალდინგერი: ლექსები. *გერმანულიდან თარგმნა ლულუ დადიანმა,* №19, გვ. 5
ფრანსუა ანრი არუე ვოლტერი: თეთრი კურო. *ფრანგულიდან თარგმნა თამარ აბრამიშვილმა* №7, გვ. 137
ინტერვიუ გაბრიელე ვომანთან. *გერმანულიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ* №3, გვ. 226
ვირჯინია ვულფი: ტალღები (ნაწყვეტი). *ინგლისურიდან თარგმნა დავით კახაბერმა*, №15, გვ. 68
ნუგზარ ზაზანაშვილი: ლექსები №19, გვ. 32
რაფიკ თაგი: ომი კურორტულ ზონაში. *აზერბაიჯანულიდან თარგმნა ოქტაი ქაზუმოვმა* №18, გვ. 63
ზაზა თვარაძე: ლექსები №2, გვ. 72
ზაზა თვარაძე: ლექსები; მძინარე მზეთუნხავები (ესე) №15, გვ. 96
გეორგ თრაქლი: ლექსები. ლექსები პროზად. *გერმანულიდან თარგმნა ნაირა გელაშვილმა*, №11, 117
შოთა იათაშვილი: ლექსები №3, გვ. 41; №6, გვ. 47; №13, გვ. 79; №15, გვ. 61
შოთა იათაშვილი: სიცილის ოთახში (მოთხრობა) №13, გვ. 122
შოთა იათაშვილი: მავედრებელნი (დრამის II ნაწილი) №16, გვ. 258
თანამედროვე ინგლისურენოვანი პოეტი ქალები. *ინგლისურიდან თარგმნა დალილა გოგიამ* №18, გვ. 13
მარგარიტ იურსენარი: აღმოსავლური ნოველები. *ფრანგულიდან თარგმნა მზია ბაქრაძემ.* № 2 , გვ. 58
მარგარიტ იურსენარი: სიქსტე. *ფრანგულიდან თარგმნა ხათუნა ზარელუამ* №2, გვ. 58; №3, გვ. 37
რუსუდან კაიშაური: ლექსები №13, გვ. 90; №15, გვ. 50; №16, გვ. 209; №19, გვ. 10
ირაკლი კაკაბაძე: ლექსები №13, გვ. 156
ანა კალანდაძე: ლექსები №1, გვ. 13
იან კაპლინსკი: სტუმარი. *თარგმნა თამარ კოტრიკაძემ* №14, გვ. 9
იან კაპლინსკი: ჰექტორი. *თარგმნა შოთა იათაშვილმა* №14, გვ. 15
დორის კარევა: ლექსები. *თარგმნა რუსუდან კაიშაურმა* №14, გვ. 32
იან კაუსი: ხილის ბუზები. *თარგმნა ლუკა ბაქანიძემ* №14, გვ. 115
გიორგი კეკელიძე: ლექსები №16, გვ. 228
ანდრუს კივირაჰკი: ღმერთი ვარ. შისვლები. არწივი. *თარგმნეს სერგო კალაძემ და ნანა დევიზემ* №14, გვ. 36
ანდრუს კივირაჰკი: ექვსი მონოლოგი ფულის შესახებ. *თარგმნა მაია ჯორჯაძემ*, №14, გვ. 64
პასკალ კინიარი: აპრონენია ავიციას ჩანაწერები ხის დაფებზე. *ფრანგულიდან თარგმნა სიბილა გელაძემ* №8, გვ. 191
ზარა კირში: დროსტეს ხალისით შევედრებოდი (ლექსი). *გერმანულიდან თარგმნა ნათელა ხუციშვილმა* №4, გვ. 41
ჟან-მარი გუსტავ ლე კლეზიო: ანგოლი მალა. *ფრანგულიდან თარგმნა მზია ბაქრაძემ* №8, გვ. 103
მნან კობახიძე: ლექსები №19, გვ. 61
ბილი კოლინსი: ლექსები. *ინგლისურიდან თრაგმნა დალილა გოგიამ,* №17, გვ. 20
ბერნარ-მარი კოლტესი: ზანგის და ძაღლების ბრძოლა. *ფრანგულიდან თარგმნა მზია ბაქრაძემ* №8, გვ. 237
ანდრეი კოროვინი: ლექსები. *რუსუსლიდან თარგმნა შოთა იათაშვილმა,* №17, გვ. 26
ვახუშტი კოტეტიშვილი: სონეტები №13, გვ. 9
გიორგი კორნაპელი: მაინც ლიცლიცებს ეგ წმინდა ცეცხლი №1, გვ. 10
ქართული კრიტიკა გიორგი კორნაპელის შესახებ. გ. კორნაპელი: იყავნ! (პოემა), №5, გვ. 84
ინა კულიშოვა: ცალკეული ადამიანი – სხვის ზღვარზე. *რუსულიდან თარგმნა ლაშა დადიანმა* №19, გვ. 121
ქრისტინე ლავანტი: ნელი (მოთხრობა). *გერმანულიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ*, №9, გვ. 119
ტომაზო ლანდორფი: ორი შინაბერა. *იტალიურიდან თარგმნა ნოდარ ლადარიამ*, №7, გვ. 184
ელზე ლასკერ-შიულერი: ლექსები. *გერმანულიდან თარგმნა ნაირა გელაშვილმა*, №11, გვ. 209
დეივიდ ჰერბერტ ლორენსი: შესავალი საკუთარი ნახატებისათვის. ინგლისურიდან თარგმნა ლალი გეგეჭკორმა №6, გვ. 122
გიორგი მაისურაძე: ანიტა თუთხალია, „ტროადული ოპტოგრამა“ №1, გვ. 22
მარსიანი: ლექსები №16, გვ. 235
ინდრეკ მესიკეპი (შ): ლექსები. *თარგმნა შოთა იათაშვილმა* №14, გვ. 72
მორის მეტერლინკი: ბრმები (პიესა). *ფრანგულიდან თარგმნა დავით აკრიანმა* №3, გვ. 15
მორის მეტერლინკი: ყვავილთა სიბრძნე. *ფრანგულიდან თარგმნა დავით აკრიანმა* № 16, გვ. 87

მორის მეტერლინკი: ფუტკრების ცხოვრება. *ფრანგულიდან თარგმნა დავით აკრიანმა* №9, გვ. 79
მინიანთოლოგია – 1998-1999 წლების საუკეთესო ქართული ლექსები №7, გვ. 57
მაია მიქაბერიძე: ლექსები №5, გვ. 89
მაკა მიქელაძე: ლექსები №19, გვ. 59
მაკა მიქელაძე: მოთხრობები №18, გვ. 71
პატრიკ მოდიანო: ცირკი მიდის. *ფრანგულიდან თარგმნა ელდარ ჭიჭიაშვილმა* №8, გვ. 135
ბექა მურვანიძე: ლექსები №19, გვ. 55
გაგა ნახუცრიშვილი: ლექსები №18, გვ. 31
ანტონ ნიგოვი: სავარჯიშოები. თარგმნა გია რჩეულიშვილმა №14, გვ. 95
ნია ნიკოლოზიშვილი: სწორ და არასწორ პასუხთა მეთოდი №4, გვ. 60
ფრიდრიხ ნიცშე: Vereinsamt (საკონკურსო ლექსი), №1, გვ. 229
ნოვალისი: ლექსები. *გერმანულიდან თარგმნა ნაირა გელაშვილმა* №1, გვ. 12
ნოვალისი: ლექსები ციკლიდან „სასულიერო სიმღერები“. *გერმანულიდან თარგმნა ნაირა გელაშვილმა*, №10, გვ. 259
ნოვალისი: საისელი მოწაფეები. *გერმანულიდან თარგმნა ნაირა გელაშვილმა*, №16, გვ. 31
ნოვალისი: ყვავილთა მტვერი. *გერმანულიდან თარგმნა ნაირა გელაშვილმა*, №10, გვ. 266
ჯორჯ ორუელი: 1984 (ფრაგმენტი). *ინგლისურიდან თარგმნა დავით აკრიანმა*, №9, გვ. 99
ბორის პასტერნაკი: ლექსები. *რუსულიდან თარგმნა ირაკლი სურგულაძემ*, №9, გვ. 55
ბორის პილნიაკი: ჩაუმქრალი მთვარის ამბავი. *რუსულიდან თარგმნა ნიკო დადიანმა*, №17, გვ. 55
რატი რატიანი: თუთი №19, გვ. 173
რაინერ მარია რილკე: ლექსები. *გერმანულიდან თარგმნეს: თამაზ ბაძაღუამ, ნაირა გელაშვილმა, ვახუშტი კოტეტიშვილმა* №1, გვ. 8
რაინერ მარია რილკე: წერილები ახალგზარდა პოეტს. *გერმანულიდან თარგმნა ასმათ ფიცხელაურ-ფარჯიანმა* №1, გვ. 36
რაინერ მარია რილკე: დუინური ელეგიები. *გერმანულიდან თარგმნა ვახუშტი კოტეტიშვილმა* №4, გვ. 5
რაინერ მარია რილკე: სონეტები ორფევსისადმი. *გერმანულიდან თარგმნა ვახუშტი კოტეტიშვილმა* №5, გვ. 5
რაინერ მარია რილკე: ოგიუსტ როდენი. *გერმანულიდან თარგმნა ასმათ ფიცხელაურ-ფარჯიანმა* №5, გვ. 21
რ. მ. რილკეს ცხოვრებისა და შემოქმედების თარიღები. *შეადგინა დალი სიხარულიძემ* №5, გვ. 57
რ. მ. რილკეს, ბ. პასტერნაკისა და მ. ცვეტაევას მიმოწერიდან. *გერმანულიდან თარგმნა ნაირა გელაშვილმა*, №11, გვ. 227
დავით რობაქიძე: ლექსები №18, გვ. 39
ვასილ როზანოვი: განმარტოვებული. *რუსულიდან თარგმნა გიორგი ხეოშვილმა*, №5, გვ.
იურგენ როოსტე: ლექსები. *თარგმნა შოთა იათაშვილმა* №14, გვ. 108
ჯალალ ედ-დინ რუმი: „წუხელ ვარსკვლავმა...“. *სპარსულიდან თარგმნა დავით ახალაძემ* №1, გვ. 18
მიხაელ რუჩკი: მუზეუმი ყველგანაა. *გერმანულიდან თარგმნა ნათია მიქელაძემ*, 319, გვ. 182
ლელა სამნიაშვილი: ლექსები №18, გვ. 35
მაია სარიშვილი: მწვანე პალტო № 15, გვ. 80
ნატალი საროტი: ოქროს ნაყოფი. *ფრანგულიდან თარგმნა მანანა შიუკაშვილმა*, №8, გვ. 7
ჟან-პოლ სარტრი: კედელი. *ფრანგულიდან თარგმნა ნესტან იორდანიშვილმა*, №7, გვ. 169
პეტერ საუტერი: მშობიარობა. *თარგმნა მიხეილ ბეროშვილმა* №14, გვ. 76
ოლგა სედაკოვა: მოგზაურობა ტარტუში. *რუსულიდან თარგმნა ნიკო დადიანმა*, №19, გვ. 125
პარუირ სევაკი: სადღეისო ლოცვა. *სომხურიდან თარგმნა გივი შაჰნაზარმა* №1, გვ. 9
ჯ. დ. სელინჯერი: ეძღვნება ესმას (მოთხრობა). *ინგლისურიდან თარგმნა დარეჯან კაპანაძემ* №5, გვ. 64
სოჰრაბ სეფეჰრი: ლექსები. *სპარსულიდან თარგმნა გიორგი ლობჟანიძემ*, №13, გვ. 126
მარკ სტრენდი: ლექსები. *ინგლისურიდან თარგმნა ზვიად რატიანმა* №15, გვ. 14
ირმა ტაველიძე: მარი მენარის სამი ცხოვრება №19, გვ. 148
ფათიჰა ტაიბი: სიყვარულს თარგმანი არ სჭირდება. *არაბულიდან თარგმნა დარეჯან გარდავაძემ* №19, გვ. 95
ლევ ტოლსტოი: შექსპირისა და დრამის შესახებ. *რუსულიდან თარგმნა ნიკო დადიანმა* №16, გვ. 55
ტომას ტრანსტრომერი: ბალტიის ზღვები. *თარგმნა ზვიად რატიანმა* №18, გვ. 5

ვერონიკა ტუშნოვა: ლექსები. *რუსულიდან თრაგმნა ვასილ გულეურმა* №19, გვ. 27
მიშელ უელბეკი: ბრძოლის ველის განვრცობა. *ფრანგულიდან თარგმნა გიორგი ეკიზაშვილმა* №8, გვ. 275
ასი უმაროვა: ძილი ნებისა, მარისაბელ! *რუსულიდან თარგმნა შოთა ახვლედიანმა,* №19, გვ. 159
ანატოლ ფრანსი: იუდეის პროკურატორი. *ფრანგულიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ,* №18, გვ. 44
დავით ქართველიშვილი: Vიტა ოვა. დღე პირველი №15, გვ. 73
ეკა ქევანიშვილი: ლექსები №16, გვ. 219
ბექა ქურხული: აჰა, საცაა ხე წაიქცევა №18, გვ. 77
ნაჰაპეტ ქუჩაკი: ჰაირენები. სომხურიდან თარგმნა გივი შაჰნაზარმა, №13, გვ. 178
ნაჰაპეტ ქუჩაკი: ჰაირენები. *სომხურიდან თარგმნა გივი შაჰნაზარმა* №17, გვ. 8
ეკა ღაღანიძე: წითელი ციცინათელები №7, გვ. 115
რეზო ყარალაშვილი: გოეთე და ტექნიკური სამყარო. *გერმანულიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ* №7, გვ. 47
ერიკ-ემანუელ შმიტი: კიკი ვან ბეთჰოვენი. *ფრანგულიდან თარგმნა მერაბ ფიფიამ,* №19, გვ. 72
შუა სუკუნეების არაბული პოეზია №13, გვ. 173
ალეკო შუღლაძე: პასუხები ერთ-ერთი მცირეტირაჟიანი ჟურნალისათვის №6, გვ. 59
დათო ყანჩაშვილი: ლექსები №17, გვ. 35
ბექა ყორშია: ლექსები №19, გვ. 49
ცირა ყურაშვილი: ბელიარის პამპულები №17, გვ. 41
კარელ ჩაპეკი: ჩვეულებრივი მკვლელობა. *ჩეხურიდან თარგმნა თამარ ლეჟავამ* №2, გვ. 71
თემურ ჩხეტიანი: ლექსები №17, გვ. 31
მარინა ცვეტაევა: ანდრეი ბელი. *რუსულიდან თრგმნა მზია გელაშვილმა* №16, გვ. 119
ბესო ხვედელიძე: ორი მე №16, გვ. 294
ბიჟან ჯალალი: ლექსები. *სპარსულიდან თარგმნა გიორგი ლობჟანიძემ* №16, გვ. 18
ანდრეი ხადანოვიჩი: ლექსები. *თარგმნა შოთა იათასვილმა* №18, გვ. 27
ჯიბრან ხალილ ჯიბრანი: შლეგი იოანე (მოთხრობა). *არაბულიდან თარგმნა გიორგი ლობჟანიძემ* №13, გვ. 165
ნიკ ჯინჭარაძე: ლექსები, სიმღერები. *რუსულიდან თარგმნა ნაირა გელაშვილმა,* №17, გვ. 48
ნიკა ჯორჯანელი: ლექსები №4, გვ. 58; №16, გვ. 204
გეორგ ჰაიმი: ლექსები. *გერმანულიდან თარგმნა ნაირა გელაშვილმა*, №11, გვ. 103
პეტერ ჰანდკე: უსურვილო უბედურება (მოთხრობა). *გერმანულიდან თარგმნა რუსუდან ბრეგაძემ* №9, გვ. 141
ჰერმან ჰესე: ირისი. *გერმანულიდან თარგმნა როზიტა დანელიამ* №7, გვ. №7, გვ. 159
ჰერმან ჰესე: ლექსები. *გერმანუკლიდან თარგმნა ლევან ბრეგაზემ* №19, გვ. 25
ჰერმან ჰესე: ზიდჰართა. *გერმანულიდან თარგმნა ასმათ ფიცხელაურ-ფარჯიანმა* №4, გვ. 26; №6, გვ. 52; №13, გვ. 185
ჰერმან ჰესე: პატარ-პატარა სიხარულები; მარტინის დღიურიდან. *გერმანულიდან თარგმნა ნაირა გელაშვილმა* № 16, გვ. 113
ჰერმან ჰესე: რომანტიზმის სული. საიდუმლოებანი. ახალ გააზრებათა თანამედროვე მცდელობანი. ახალგზარდა ხელოვანს. სიბერის შესახებ. *გერმანულიდან თარგმნა ნაირა გელაშვილმა* №11, გვ. 77
ჰერმან ჰესე: წერილი ადელეს. *გერმანულიდან თარგმნა როზიტა დანელიამ*, №9, გვ. 169
ფრიდრიჰ ჰიოლდერლინი: ლექსები. *გრემანულიდან თარგმნა ნაირა გელაშვილმა*, №10, გვ. 207
ტედ ჰიუზი: ციკლიდან „ყვავი“. *ინგლისურიდან თრაგმნა დალილა გოგიამ* №17, გვ. 11
ვლადიმირ ჰოლანი: ლექსები. *ჩეხურიდან თარგმნა ლია ჯაყელმა*, №3, გვ. 6
ჰუგო ფონ ჰოფმანსთალი: მხედართა ამბავი. *გერმანულიდან თარგმნა გაგა ჩხეიძემ*, №7, გვ. 154

პერსონა, იუბილე, პრემია

გამონათქვამები გოეთეს შესახებ №7, გვ. 5
გოეთეს ცხოვრება თარიღებში №7, გვ. 7
იოჰან ვოლფგანგ გოეთე: სამი ესე. *გერმანულიდან თარგმნა ნაირა გელაშვილმა*, №7, გვ. 11
გოეთეს საუბრები ეკერმანთან (ფრაგმენტები). *გერმანულიდან თარგმნა ნაირა გელაშვილმა*, №7, გვ. 37
გოეთესა და შილერის მიმოწერიდან. *გერმანულიდან თარგმნა ნაირა გელაშვილმა*, №7, გვ. 43
გივი მარგველაშვილი – 70, მილოცვა №2, გვ. 5
გივი მარგველაშვილი – 80 №13, გვ. 5

გივი მარგველაშვილი: მე წიგნის გმირი ვარ (ლექსები), მუცალი (რომანის I თავი). *გერმანულიდან თარგმნა ნაირა გელაშვილმა* №2, გვ. 20
გივი მარგველაშვილი: ბიბლიოგრაფია №2, გვ. 49
ლევ ტოლსტოი: ბოლოთქმა „კროიცერის სონატისათვის". *რუსულიდან თარგმნა ნიკო დადიანმა* №17, გვ. 145
ვალენტინ ნიკიტინი: მონანიების გარეშე. *რუსულიდან თარგმნა ნიკო დადიანმა* №17, გვ. 154
ვლადიმირ მიკუშევიჩი: „ყველა დამნაშავეა ყველას გამო" თუ „არ არიან ამქვეყნად დამნაშავენი?" (ლ. ნ. ტოლსტოისა და ფ. მ. დოსტოევსკის დაუსწრებელი დიალოგი). *რუსულიდან თარგმნა ნიკო დადიანმა* №17, გვ. 164
ასმათ ფარჯიანი: აწმყო უწყვეტი (ირაკლი ფარჯიანის შესახებ) №19, გვ. 294
ზაზა ფირლიშვილი: ირაკლი ფარჯიანი და შეხვედრის მეტაფიზიკა №19, გვ. 305
ალმა მალერ-ვერფელი. *ტექსტი მომზადა და შენისვნები დაურთო ლულუ დადიანმა,* №19, გვ. 312

საბავშვო ლიტერტურა

ნაირა გელაშვილი: დიდი დაგის ორდენი №15, გვ. 308

წერილები ლიტერატურაზე, კრიტიკა, ესეისტიკა

ზაზა აბზიანიძე: ჩემი ცხოვრება უცნაური... (ტერენტი გრანელის ლიტერატურული პორტრეტი) №15, გვ. 113
თამარ აფციაური: ფრანგული ლიტერატურა საუკუნეთა გასაყარზე №8, გვ. 5
ლოთარ ბაიერი: რა ხდება ლიტერატურა? *გერმანულიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ* №19, გვ. 192
როლან ბარტი: რა არის კრიტიკა? №13, გვ. 271
ლევან ბრეგაძე: ვინ თხზავს ანეგდოტებს? №18, გვ. 203
ლევან ბრეგაძე: ნობელიანტი თარგმნის ჩეჩნურ თქმულებას №13, გვ. 289
ლევან ბრეგაძე: პაროდიული სტრიქონი №15, გვ. 129
დარეჯან გარდავაძე: ფათიჰა ტაიბი – საქართველოზე შეყვარებული ამაზიღი, №19, გვ. 94
ნაირა გელაშვილი: თარიღები და ფაქტები და ზოგი რამ ისიც, რაც მათ შორის, მიღმა და მაღლაა (ანუ შტრიხები გივი და ტიტე მარგველაშვილების ბიოგრაფიისათვის) №2, გვ. 7
ნაირა გელაშვილი: რ. მ. რილკე და საქართველო №4, გვ. 24
ნაირა გელშვილი: როცა „პოეზია ღვთისმსახურებაა"... და ცხოვრებაც №10, გვ. 5
ნაირა გელშვილი: ჰიოლდერლინი №10, გვ. 30
ნაირა გელშვილი: ნოვალისი №10, გვ. 249
ნაირა გელაშვილი: „გამოცხადება და აღსასრული", ანუ გეორგ თრაქლის პოეზია და ბედისწერა №11, გვ. 107
ნაირა გელაშვილი: გზა და სახე ანუ ელზე ლასკერ-შიულერი – პოეტი №11, გვ. 141
გოჩ გვასალია: ქართული ენის მანიფესტი №19, გვ. 209
ლულუ დადიანი: „ემმე ფატალე" ანუ ლუ ანდრეას-სალომე №18, გვ. 101
თეიმურზ დოიშვილი: მოტირალ-მოცინარი სულხან-საბა №19, გვ. 202
გიორგი ეკიზაშვილი: ლაბირინთი (ეპიზოდური საუბარი მკითხველთან), №18, გვ. 110
შოთა იათაშვილი: მგოსანი პოლიტიკოსები №17, გვ. 263
იან კაუსი: ცოტა რამ ესტონური პოეზიის შესახებ. *თარგმნა მაია ჯორჯაძემ*, №14, გვ. 5
გიორგი კევლიშვილი: მოკლედ სტანისლავ გროფის, მისი წიგნისა და ტრანსპერსონალური ფსიქოლოგიის შესახებ №9, გვ. 261
თამარ კოტრიკაძე: „მე ვარ ადამიანი" (რამდენიმე მოსაზრება ქართულ საბავშვო ლიტერატურაზე) №13, გვ. 275
თამარ კოტრიკაძე: ლორა ბოჩაროვას ერთადერთი სიმღერა №18, გვ. 129
თამარ კოტრიკაძე: შეხვედრა დეივიდ ლორენსთან №6, გვ. 128
ინა კულიშოვა: სინამდვილის მეტამორფოზები დროის თვალსაწიერიდან (იოსიფ ბროდსკის შემოქმედების შესახებ). *რუსულიდან თარგმნა ჰამლეტ ზუკაკიშვილმა*, №9, გვ. 175
ლუდვიგ ლანგენფელდი: რაინერ მარია რილკე. *გერმანულიდან თარგმნა გაგა ჩხეიძემ* №4, გვ. 66
თომას მანი: გოეთე და დემოკრატია. ხელოვანი და საზოგადოება. *გერმანულიდან თარგმნა ნაირა გელაშვილმა* №11, გვ. 47
ოსიპ მანდელშტამი: ზოგიერთი რამ ქარტული ხელოვნების შესახებ; დაბრუნება; მენშევიკები საქართველოში; ბათუმი №18, გვ. 115

მარსანი: რუსთაველი, ბიბლია და ფაშიზმი №18, გვ. 208

რობერტ მუზილი: სიტყვა, წარმოთქმული რილკეს გარდაცვალების ერთი წლის თავზე. *გერმანულიდან თარგმნა მარინე ბარამიძემ* №5, გვ. 92რ. მ. რილკეს პირადი მიმოწერიდან. *გერმანულიდან თარგმნეს ნაირა გელაშვილმა და ნანა გოგოლაშვილმა.* №4, გვ. 81

გრიგოლ რობაქიძე: ლერმონტოვის ნიღაბი №3, გვ. 67

ზელიმხან უძილაური: ესეები №16, გვ. 309

ოქტაი ქაზუმოვი: „ჯერ სულმთლად არ დაბნელებულა“. სალიმ ბაბულაოღლის პოეზიის შესახებ №17, გვ. 268

მარსიანი: კავკასიური სახლის პოეტები №17, გვ. 272

მერაბ ღაღანიძე: რას გვაუწყებს დღეს ნიკოლოზ ბარათაშვილის „საფლავი მეფის ირაკლისა“? №15, გვ. 125

მერაბ ღაღანიძე: ფრანც ვერფელი – პოეტი და რომანისტი №16, გვ. 306

ზაზა შატირიშვილი: სახელი გალაკ/ქტიონი №3, გვ. 54

დავით ჩიხლაძე: „პოლილოგი“ – ფართო მასებისთვის ლიტერატურის გამოუსადეგარობის საიდუმლო გამოაშკარავება №4, გვ. 95

ბელა წიფურია: კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარს №4, გვ. 86

ბელა წიფურია: „საშიში არაფერია“ (გივი მარგველაშვილის „მაყურებელთა დარბაზების“ შესახებ) №5, გვ. 99

გიორგი ძნელაძე: ზრდილი ქალიშვილიდან ფემინისტურ რევოლუციამდე განვლილი გზა თავისუფლებისაკენ (სიმონ დე ბოვუარის შესახებ) №18, გვ. 52

მარტინ ჰაიდეგერი: ჰიოლდერლინი და პოეზიის არსი. *გერმანულიდან თარგმნა ნაირა გელაშვილმა* №10, გვ. 235

ფილოსოფია

ინგებორგ ბახმანი: თქმადი და უთქმადი – ლუდვიგ ვიტგენშტაინის ფილოსოფია (რადიოესე). *გერმანულიდან თარგმნა ასმათ ფიცხელაურ-ფრჯიანმა* №3, გვ. 156

ნიკოლაი ბერდიაევი: რუსული იდეა (წიგნის პირველი თავი). *რუსულიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ* №15, გვ. 210

უოლტერ ა. ბროუგანი: ჰაიდეგერი და არისტოტელე: მუნყოფიერება და პრაქტიკული ცხოვრების საკითხი. *ინგლისურიდან თარგმნა გიგი ზედანიამ* №6, გვ. 171

მარტინ ბუბერი: პლატონი და ესაია. *ინგლისურიდან თარგმნა ზურაბ კიკნაძემ* №2, გვ. 169

მარტინ ბუბერი: ისტორიის შუაგულში. *თარგმნა ზურაბ კიკნაძემ* №3, გვ. 175

ნაირა გელაშვილი: სიბრძნე და სიყვარული ანუ ფილოსოფოს შელინგის გახსენება, №10, გვ. 288

გეორგ ჰენრიკ ფონ ვრიგტი: ლუდვიგ ვიტგენშტაინი (ნარკვევი). *თარგმნა ვლადიმერ კორტავამ* №7, გვ. 287

ხათუნა თავდგირიძე: „გაუჩინარებისა“ და „დაბრუნების“ მითოსურ-ფილოსოფიური სიმულაციები №16, გვ. 325

ვლადიმერ კორტავა: სიმბოლოებისა და კონცეპტების დავიწყებისა და გაქრობის შესახებ №18, გვ. 200

კლოდ ლევი-სტროსი: სტრუქტურალისტური მოღვაწეობა. საუბარი მარკო დ'ერამოსთან. *გერმანულიდან თარგმნა ლაშა დადიანმა* №6, გვ. 179

ფრიდრიჰ ნიცშე: ჩვენ – ფილოლოგები. მეცნიერება და სიბრძნე ბრძოლაში. *გერმანულიდან თარგმნა ნაირა გელაშვილმა* №11, გვ. 5

მერაბ ღაღანიძე: მერაბ მამარდაშვილის ლექციები №13, გვ. 293

ზზა ფირალიშვილი: წიგნის კითხვა №18, გვ. 179

იოჰან გოტლიბ ფიხტე: ადამიანის ღირსების შესახებ. *გერმანულიდან თარგმნა გიგი თევზაძემ* №2, გვ. 166

ბადრი შარვაძე: ფილოსოფოსი და ადამიანები (გ. მარგველაშვილის ფილოსოფიურ თხზულებათა გამოცემასთან დაკავშირებით) №2, გვ. 52

ბადრი შარვაძე: კვლავ მილოცვა (გივი მაგრველაშვილს) №2, გვ. 56

ფრიდრიჰ შელინგი: წამყვანი იდეები ქრისტიანული ეკლესიის ისტორიაში. წიგნიდან „გამოცხადების ფილოსოფია“. *გერმანულიდან თარგმნა ნაირა გელაშვილმა* №10, გვ. 319

ფრიდრიჰ შელინგი: გამოცხადების ფილოსოფია (შესავალი). *გერმანულიდან თარგმნა ნაირა გელაშვილმა* №18, გვ. 171

ვილჰელმ შმიდი: გარეშეს სახება. ფრანგი ფილოსოფოსი ემანუელ ლევინასი. *გერმანულიდან თარგმნეს თეა გულუამ და ლევან ბრეგაძემ* №6, გვ. 161

მარტინ ჰაიდეგერი: ვინ არის ნიცშეს ზარატუსტრა? №11, გვ. 31

რელიგია. მისტიკა

აპოკრიფები. გრგვინვა. სრულქმნილი გონება. *რუსულიდან თარგმნა ნოდარ შანიძემ*, №9, გვ. 217

აურობინდო გჰოშ: საზოგადოების ციკლი (წიგნიდან „კაცობრიობის ციკლი“).

ჰეინერ ბიელეფელდი: რელიგიის თავისუფლება საბოლოო კრიტერიუმი? *ფრანგულიდან თარგმნა ვასილ კობახიძემ* №13, გვ. 299

დიტრიჰ ბონჰიოფერი: ვინ არის ქრისტე დღეს ჩვენთვის? (წერილები საპყრობილედან). *გერმანულიდან თარგმნა ნაირა გელაშვილმა*, №11, გვ. 315

ხორხე ლუის ბორხესი: ბუდიზმი. *თარგმნა ნანა კაციტაძემ* №7, გვ. 243

ნაირა გელაშვილი: დიტრიჰ ბონჰიოფერი №11, გვ. 275

რენე გენონი: აბელი და კაინი; დიდი კედლის ბზარები; გრაალის სიმბოლიზმი; ტრადიცია და არაცნობიერი. *თარგმნეს თამარ ჯაყელმა და ზურაბ კიკნაძემ* №1, გვ. 131

ალფონს და რაქელ გოტმანები: იესოს ლოცვა, გულის ლოცვა. იესოს ლოცვა: ცხოვრების წესი. *თარგმნა თამარ ჯაყელმა* №15, გვ. 173

გიორგი გურჯიევი: „ცხოვრება მხოლოდ მაშინ არის ნამდვილი, როცა მე ვარ.“ გერმანულიდან თარგმნა ლაშა დადიანმა №5, გვ. 113

გავრიილ დერჟავინი: ღმერთი (ლექსი). *რუსულიდან თარგმნა ესმა ონიანმა* №3, გვ. 76

მაისტერ ეკჰარტი: შეგონებანი განსხვავების შესახებ. *გერმანულიდან თარგმნა ნაირა გელაშვილმა* №1, გვ. 63

ბერი ეფრემ ფილოთეველი: ეგოიზმის შესახებ. *ახალი ბერძნულიდან თარგმნა თამარ ჟურულმა* №19, გვ. 282

ელიზაბეტ ვანდერჰილი: მამა ალექსანდრე მენი. *რუსულიდან თარგმნა მზია გელაშვილმა* №1, გვ. 77

ვასულა: საუბრები იესოსთან. *გერმანულიდან თარგმნა ნაირა გელაშვილმა,* №19, გვ. 223

ჰამლეტ ზუკაკიშვილი: პაველ ფლორენსკი – გზა რელიგიისკენ №2, გვ. 117

ივანე ილინი: ქრისტიანული კულტურის საფუძვლები. *რუსულიდან თარგმნა ლია ჯაყელმა* №3, გვ. 79

ვაშინგტონ ირვინგი: მუჰამადის ცხოვრება. *თარგმნა გიორგი მანელაშვილმა* №1, გვ. 96; №2, გვ. 124; №3, გვ. 90

კენეტი და გლორია კოუპლენდები: რწმენიდან რწმენაში (გამარჯვების კალენდარი). *თარგმნა ნაირა გელაშვილმა* №18, გვ. 145

რაფაელ ლაფორტი: გურჯიევის მასწავლებლები. *თარგმნა ნოდარ შანიძემ*, №7, გვ. 253

რობერტს ლიარდონი: კეტრინ კულმანი – „ქალი, რომელსაც სასწაულების სწამდა“. *რუსულიდან თრაგმნა თამარ კოტრიკაძემ* №17, გვ. 207

ულრიჰ მანი: სიმბოლო და მითოსი, როგორც რელიგიის არსებითი ელემენტები. *გერმანულიდან თარგმნა ნაირა გელაშვილმა*, №11, გვ. 263

მამა ალექსანდრე მენი: უკანასკნელი ინტერვიუ და ლექცია. *რუსულიდან თარგმნა მზია გელაშვილმა* №1, გვ. 79

მამა ალექსანდრე მენი პასუხობს მსმენელთა შეკითხვებს. *რუსულიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ* №15, გვ. 230

მამა ალექსანდრე მენი: ღვთის სასუფევლის მაცნენი. *რუსულიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ* №17, გვ. 184

მამა ალექსანდრე მენი: ჭეშმარიტი ქრისტეს ძიებაში. *რუსულიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ* №16, გვ. 155

მოლიენელი განდეგილი: ვედრება ქალწულისა მიმართ. *ფრანგულიდან თარგმნა ელდარ ჭიჭიაშვილმა* №6, გვ. 134

შრი რამაკრიშნა: საუბრები მოწაფეებთან. *გერმანულიდან თარგმნა ნაირა გელაშვილმა* №1, გვ. 122

იოზეფ რაცინგერი: ახალი დროის ზღურბლზე. *გერმანულიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ* №16, გვ. 172; №17, გვ. 169

რ. ვ. რიბაკოვი: რა არის ინდუიზმი. *რუსულიდან თარგმნა გიორგი ბაქანიძემ*, №4, გვ. 146

კატრინ რიორდანი: გიორგი გურჯიევი. *გერმანულიდან თარგმნა ლასა დადიანმა,* №19, გვ. 257

რომენ როლანი: რამაკრიშნას ცხოვრება. *ფრანგულიდან თარგმნა დავით აკრიანმა* №1, გვ. 109; №2, გვ. 148; №6, გვ. 138

სერაფიმ როუზი: რუსეთის მომავალი და ქვეყნის დასასრული. *რუსულიდან თარგმნა ვასილ ბურკაძემ* №7, გვ. 229
საადი შირაზელი: გოლესთანი. *სპარსულიდან თარგმნა გიორგი ლობჟანიძემ*, №15, გვ. 133
ანტონი სუროჟელი; ანატოლი გოლდბერგი: მორწმუნის სუბარი ურწმუნოსთან. *თარგმნა ნაირა გელაშვილმა* №16, გვ. 135
ანტონი სუროჟელი: რწმენის შესახებ. *რუსულიდან თარგმნა ნაირა გელაშვილმა,* №17, გვ. 197
დედა ტერეზა №1, გვ. 60
დედა ტერეზას „უბრალო გზა“. *გერმანულიდან თარგმნა ანა მარგველაშვილმა* №2, გვ. 113
გეორგ ფიშერი: ეკუმენიზმის გამო. *გერმანულიდან თარგმნა რუსუდან ბრეგაძემ* №3, გვ. 85
ყურანი I-II სურა. *არაბულიდან თარგმნა გიორგი ლობჟანიძემ* №9, გვ. 231
ედუარდ შიურე: იესო (ქრისტეს მისია). *რუსულიდან თარგმნა მზია გელაშვილმა* №2, გვ. 92
ედუარდ შიურე: პითაგორა. *რუსულიდან თარგმნა მზია გელაშვილმა* №4, გვ. 118
ულრიხ ცვინგლი: ანგარიში რწმენის შესახებ. *გერმანულიდან თარგმნა დათო ბარბაქაძემ* №4, გვ. 160
თამარ ჯაყელი: რენე გენონის დიდი ტრიადა №16, გვ. 313

აღმოსავლური სიბრძნე

ჩანაკია პანდიტი: აფორიზმები. *თარგმნა გიორგი სუბელიანმა* №7, გვ. 267

მითოლოგია, ფოლკლორი

მირჩა ელიადე: მითები კვლავ ცოცხლობენ და ინიღბებიან. *ფრანგულიდან თარგმნეს მზია ბაქრაძემ და ბელა წვერაძემ* №3, გვ. 122
ირლანდიური საგები. *თარგმნა ირაკლი სურგულაძემ* №7, გვ. 211; №9, გვ. 189
თამარ ჯაყელი: ალვის ხე №3, გვ. 138

ეთნოგრაფია

გიორგი ცოცანიძე: არგამაბრუნვის სამანი №3, გვ. 152

საუკუნეთა მიჯნა
სინამდვილე ფილოსოფოსის თვალით

რენე გენონი: თანამედროვე სამყაროს კრიზისი. *ფრანგულიდან თარგმნა თამარ ჯაყელმა* №2, გვ. 179
კახა კაციტაძე: მარტინ ჰაიდეგერი თანამედროვეობის არსის შესახებ, №2, გვ. 175
გურამ ლებანიძე: მერაბ მამარდაშვილი №1, გვ. 144
მერაბ მამარდაშვილი: გაბედო, იყო... (ინტერვიუ) №1, გვ. 145
მერაბ მამარდაშვილი: ჰუმანიზმი და ტექნიკა №3, გვ. 180
გიორგი მარგველაშვილი: შუალედური ყოფიერება და ერზაც-რეალობები, №1, გვ. 154
გრიგორი პომერანცი: XXI საუკუნის არჩევანი. *რუსულიდან თარგმნა ლია ჯაყელმა* №2, გვ. 191
ფილიპ სოლერსი: მშვიდობით, XX საუკუნე! *ფრანგულიდან თარგმნა მზია ბაქრაძემ*, №9, გვ. 283

ხელოვნება

ნიკოლაი ბერდიაევი: ხელოვნების კრიზისი. *რუსულიდან თარგმნა ბექა ჭახელიძემ* №6, გვ. 187
ნაირა გელაშვილი: ვორპსვედეს შესახებ №6, გვ. 117
ნაირა გელაშვილი: ზრდის ბედნიერება ანუ პაულა მოდერზონ-ბეკერი – მხატვარი, №12
ვასილი კანდინსკი: სულიერების შესახებ ხელოვნებაში. *რუსულიდან თარგმნა ლულუ დადიანმა* №17, გვ. 249; №18, გვ. 213
რაინერ მარია რილკე: ვორპსვედე. შესავალი. *გერმანულიდან თარგმნა ნაირა გელაშვილმა* №6, გვ. 107
ჟაკლინ სირაძე: ქმნილების უკუხედი – გათოშილი მარტოობა, №3, გვ. 190
ანდრეი ტარკოვსკი: აპოკალიფსი №6, გვ. 199
მარია ჯოვანი მუცი: შენიშვნები ირაკლი ფარჯიანის რელიგიურ თემაზე შექმნილი ზოგიერთი ნამუშევრის ალეგორიული გააზრებისათვის. *იტალიურიდან თარგმნა ირინა დარჩიამ* №5, გვ. 150

არქიტექტურა

რობერტ ფურნო-ჯორდანი: კლასიკური საბერძნეთი. ინგლისურიდან თარგმნა გიორგი მანელაშვილმა №7, გვ. 297

პედაგოგიკა
რუსუდან კაიშაური: ვინც სულ სწავლობს და უყვარს №17, გვ. 275

კულტურა, ხალხი, ბედისწერა
გი ბუღაძე: პოსტმოდერნის შესახებ №4, გვ. 205
ვოლფგანგ ველში: „პოსტმოდერნი“. ერთი საკამათო ცნების გენეალოგია და მნიშვნელობა. *თარგმნა მაია გოგოლაძემ* №4, გვ. 189
გიგი თევზაძე: პარადიგმა და ურჩხული №5, გვ. 134
ჰაინრიხ ფონ კლაისტი: მარიონეტების თეატრის შესახებ. გერმანულიდან თარგმნა გაგა ჩხეიძემ №5, გვ. 131
გურამ ლებანიძე: რა შეუძლია კულტურას? №1, გვ. 168
გიორგი მაისურაძე: „ქართლის დედა“ და დედის კომპლექსი №1, გვ. 179
თომას მანი: კულტურა და პოლიტიკა. გერმანულიდან თარგმნა ნაირა გელაშვილმა №1, გვ. 162
„მოწიწება სიცოცხლის წინაშე“ №1, გვ. 188
ჟაკლინ სირაძე: სიკვდილი აშიშვლებს ჩვენს ნამდვილ არსებას №5, გვ. 147
ზაზა შათირიშვილი: ზედაპირის ტოპოლოგია №2, გვ. 198
რობერტ ფურნო ჯორდანი: ძველი ეგვიპტის არქიტექტურა. *ინგლისურიდან თარგმნა გიორგი მანელაშვილმა* №4, გვ. 179
ოლდოს ჰაქსლი: კულტურა და ადამიანი. *ინგლისურიდან თარგმნა დავით აკრიანმა*, №9, გვ. 255

საზოგადოება
ბრძოლა ტოტალიტარულ ატავიზმსა და განახლების წყურვილს შორის. ერთი დისკუსიის მასალები №5, გვ. 177; №6, გვ. 216
განდეგილნი და უარყოფილნი, ანუ მაჰმადიან მესხთა დაუსრულებელი ტრაგედია №2, გვ. 206
გოგი გვახარია: ხსოვნა (პასუხები შეკითხვებზე) №18, გვ. 232
ლევან გიგინეიშვილი: პასუხები შეკითხვებზე №18, გვ. 234
ლუკა დელატრი: ისლამი გერმანიაში. *გერმანულიდან თარგმნა ასმათ ფიცხელურ-ფარჯიანმა* №3, გვ. 212
მიმართვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის დარგის სამეცნიერო საატესტაციო საბჭოსადმი №2, გვ. 204
ირაკლი კაკაბაძე: ჰუმნიზმი თუ ლიბერალიზმი?!; მრავალხმოვანი ხედვა, როგორც გმოსავალი დღევანდელი სიტუაციიდან; სამხრეთის და ცრდილოეტის დაპირისპირების ჩრდილში; აზდაკის აჩრდილი №18, გვ. 218
ვასილ კობახიძე: მაგიიდან სამოქალაქო რიტუალამდე №15, გვ. 268
ინა კულიშოვა: ერთი წელი სზღვრისპირეთში: საქართველო 2008-2009. *რუსულიდან თარგმნა ჰამლეტ ზუკაიშვილმა* №15, გვ. 251
კვლავ მაჰმადიან მესხთა გამო №3, გვ. 206
გია ნოდია: იდეოლოგია: ეროვნული და სხვა №5, გვ. 157
ნუგზარ პაპუაშვილი: აზროვნების ოკუპაცია და ანტიეკუმენური აჯანყება საქართველოში №15, გვ. 274
მარსიანი: მაესტროს დასაცავად №15, გვ. 300
ალექსანდრე სვატიკოვი: ჩვენი სახლი №4, გვ. 220
უდიდესსა და უმცირეს ბოროტებას შორის (საქ. ცხოველთა დაცვის საზოგადოების განცხადება) №2, გვ. 227
გოგი ჩაგელიშვილი: „თავისფლების შენებას“ რა უნდა?! №15, გვ. 291
ვილჰელმ შმიტი: გონს მოსვლა ცოდვით დაცემის შემდეგ. *გერმანულიდან თარგმნა რუსუდან ბრეგაძემ* №4, გვ. 214
ლონდა ხასაია: რა შეიძლება გაკეთდეს ყველასაგან მივიწყებულ პერიფერიაში? №4, გვ. 216
ზაზა ფირალიშვილი: მერაბ მამარდაშვილი №5, გვ. 170

კავკასია
დიტერ ბოდენი: კავკასიური მითოსის მსხვრევა რუსულ ცნობიერებაში. *გერმანულიდან თარგმნა მიხეილ ბეროშვილმა* №1, გვ. 215
გაუცხოების დასაწყისი №1, გვ. 197
„კავკასიური სახლი“ – სტრუქტურა, დანიშნულება, საქმიანობა, №2, გვ. 220; №3, გვ. 216

„კავკასიური სახლი“, როგორც ასეთი №1, გვ. 216
გიორგი კორნაპელი: ძმათა ომი №1, გვ. 194
ვიპოვოთ გამოსავალი! №1, გვ. 210
ნუნუ მინდაძე, გიორგი ცინცაძე: თავის ჭრილობების მკურნალობა საქართველოში №1, გვ. 224
აივაზის მოსვლა ჩონლიბელში (ერთი თავი ეპოსიდან „ქოროღლი“). *აზერბაიჯანულიდან თარგმნა ზე ზვა მედულაშვილმა* №4, გვ. 99

ეკოლოგია

ი.ლითანიშვილი, ე. ნათენაძე, ვ. პაპაშვილი: ენგურისა და ჟინვალის წყალსაცავების რაიონების სეისმურობა №7, გვ. 321
თეიმურაზ მუხაძე, ვახტანგ პაპალაშვილი: კავკასიის სეისმური საშიშროების შესახებ №6, გვ. 210
არჩილ ზარნაძე: გლობალური დათბობა №4, გვ. 210
ჭიჭიკო ჯანელიძე, ზურაბ ბაღაშვილი: საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს ეროზიის პრობლემა №5, გვ. 153
ვილჰელმ შმიდი: ახალი დისკუსიები დასავლეთში ეთიკის, მეტადრე ეკოლოგიური ეთიკის შესახებ. *გერმანულიდან თარგმნა ლევან ბრეგაძემ* №7, გვ. 311

მეცნიერება

ინა სმირნოვა: ბგერის იდუმალი ძალმოსილება. *რუსულიდან თარგმნა ნიკო დადიანმა* №17, გვ. 229
ვიქტორ ტროსტნიკოვი: მეცნიერულია თუ არა „სამყაროს მეცნიერული სურათი“? *რუსულიდან თარგმნა ვლადიმერ კორტავამ* №17, გვ. 240

დამშვიდობება

ზაზა კვერცხიშვილი: „შენი კალამი ნაწები სისხლის გუბეში“ (ზაზა თვარაძე), №13, გვ. 326
ზაზა თვარაძე (არქივიდან) №13, გვ. 329
დევი ფუტკარაძე: აფხაზურის გაკვეთილი (ანა აბრამიშვილი-წვინარია) №13, გვ. 307
ნათელა ხუციშვილი №13, გვ. 309

ათრა

№20 2014

სალიტერატურო
რელიგიურ-ფილოსოფიური და
საზოგადოებრივი ჟურნალი

კულტურულ ურთიერთობათა
ცენტრი – კავკასიური სახლი
თბილისი, გალაკტიონის ქ. №20